ISSN 1512-0449

ამირანი

კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის

მოამბე
XI

მონრეალი - თბილისი
2004

ნინო წერედიანი

სვანურ-ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი

თბილისი

2004

ნინო წერეთელი

სვანურ-ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი

„ქართული ენა"
თბილისი
2004

კომპიუტერული უზრუნველყოფა:	**ლ. ვაშაკიძე** **თ. ვაბრიშვილი** **მ. იმნაძე**

შესავალი

სვანეთში დაცული რელიგიური დღესასწაულები და მათი რიგითი საწელიწადო კალენდარი სამყაროზე სულიერი ხედვით შექმნილ ერთ მონოლითურ ნაწარმოებად გვესახება. იგი ერთბაშად მითოსიცაა და რეალობაც, წარმოსახვაცაა და სინამდვილეც, ქმედებაცაა და რელიგიურობაც; იგი ყოფაა ცნობაში არეკლილი და ყოფა ცნობიერებით განსაზღვრული. აქ მთელი გარემომცველი სამყაროა ადამიანის და მათ შორის ურთიერთობის კანონზომიერებანიც; აქ Აერარქიაა ცისა და Აერარქია მიწაზედ გაჩენილთასიც; აქ არის დაკონკრეტებული ყოფა მიწიერ შემოქმედთა და დაკონკრეტებული ქმედება ზეციერ არსთა; აქ ყველაფერია - სკნელიც, ქვესკნელიც და ზესკნელიც. აქ სამყაროა მთელი თავისი მორალით, ზნეობით, ქმედებით, წარსულით, აწმყოთი თუ მომავლით, მითოსით თუ რეალობით, აქ ადამიანია დაუწერელი კანონებით, თავისი შინაგანი სახით თუ გარეგანი უფლება - მოვალეობით: ზნეობით, სურვილით, ავით თუ კარგით ისე, რომ შეუძლებელია იგი მხოლოდ მითოსად ან მაგიურ ქმედებად წარმოვიდგინოთ და შეუძლებელია იგი, ამავე დროს, მხოლოდ უშინაარსო ქმედებათა კომპლექსად წარმოვაჩინოთ; უფლება არ გვაქვს მშრალი სახიერებით გავითავისოთ და მას სუნთქვა შევაწყვეტინოთ, შინაგანი არსი ამოვაცალოთ და დავყოთ ეტაპებად ან კულტებად; არ შეიძლება ამ ყველაფრის სუნთქვა არ გავიგოთ, ან გავიგოთ და ჩვენთვის მიუღებელი გარემოების გამო უვარვყოთ, ან მხოლოდ ყოფიერების ნიშნად, სიძველის ნაშთის და გადმონაშთის ანარეკლად მივიჩნიოთ!..

აი, რას ამბობს ზურაბ კიკნაძე ერთ-ერთი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში; - ,,მართალია, წიგნს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მასალა უდევს საფუძვლად და მისი სახელწოდება სწორედ ამაზე მეტყველებს (,,ჯვარი და სამყარო''), მას ზოგადად ქართული საფუძველიც უნდა ჰქონდეს, რადგან საზოგადოებრივი და სულიერი კულტურა, რომელიც ქვეყნის ერთ მხარეში იქმნება, სავსებით გამოხატავს მთლიანი ერის დაფარულ შესაძლებლობებს, მის პოტენციას და, რასაც თავის მიწაზე რომელიმე ტომი ან ტომთა კავშირი ქმნის, მთელი ერის სახელით ქმნის.

უფრო მეტიც; ყოველი კულტურის ფესვი ადამიანშია და ყველგან, სადაც კი მას უხდება ცხოვრება, თუნდაც მიუვალ მთებსა და უდაბნოს ხრიოკებს იყოს შეხიზნული, რასაც ქმნის კაცობრიობის სახელით ქმნის. ის ყველგან თესავს საკაცობრიო თესლს, რომელიც ნაყოფს იღებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ყოფაში, საკაცობრიო კულტურის ყოველ კერძო გამოვლინებაში. ქვეყნის მიყრუებულ ადგილებში შეყუჟულთ არ უშენებიათ მონუმენტური ტაძრები და სასახლენი, ხშირად კვალიც კი არ დაუტოვებიათ მიწაზე თავიანთი არსებობისა, მაგრამ ეს უკვალობა იქნებ მათი ღირსებაც იყოს, რადგან კვალი ნივთიერია, ეს ხალხი კი სულიერ ღირებულებას ქმნიდა''.[1] ამ ნათქვამს, საბედნიეროდ, სვანთა ყოფაც ეხმიანება და მის ჭეშმარიტებას ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს.

ქრისტიანი ერისთვის დროის ათვლა ქრისტეს დაბადებით იწყება ამიტომ, სარწმუნოების კვლევისას, ისტორიული მეცნიერება ორ ეტაპად წარმოაჩენს ერის ისტორიას ქრისტემდე და ქრისტეს შემდეგ.

წარმართობის სახელით არსებულ ქრისტემდელი პერიოდის შესწავლისას ივანე ჯავახიშვილს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ქართული წარმართობის ძველი

[1] ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ჯვარი და საყმო, 1996 წ. ქუთაისი გვ. X-XI.

და მერმინდელი, საკუთარი და უცხო ელემენტების გარკვევის პრობლემა მიაჩნდა[1] და შემდეგშიც, ეს იყო ერის სარწმუნოების კვლევის ქვაკუთხედიც.

,,თუ ჩვენ გვსურს შევისწავლოთ ერის ნამდვილი ისტორია, უნდა შევისწავლოთ არამარტო მისი მატიანეები და ნივთიერი ძეგლები, არამედ, ამასთანავე, მისი სარწმუნოებაც''[2] - გვაფრთხილებდა ქართული წარმართობის მკვლევარი სერგი მაკალათია.

ნათქვამია: - ,,მსოფლიოში არ არსებობს კულტურა რელიგიური საფუძვლების გარეშე''. ნათქვამია ისიც, რომ ,,ქართული კულტურა რელიგიური კულტურაა'' და, ,,ქართული კულტურა ქრისტიანული კულტურაა''; ქართული კულტურის უმთავრეს არტერიად და იმპულსად ნუგზარ პაპუაშვილი ჯვრისა და ხატის თაყვანისმცემელ რელიგიას სახავს. ,,რამდენადაც მიგვიწვდება თვალი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ვრცელ გზაზე, წერს იგი, სწორედ ეს რელიგია კვებავდა და კვებავს ქართველთა შემოქმედებით პოტენციას და მის თვითმყოფადობას''.[3]

ტერმინი რელიგია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ,,ხელახალ კავშირს ანუ კავშირის განახლებას, აღდგენას, კვალადგებას''; re - ხელახლა, კვლავ, კიდევ ligo - დაკავშირება - ასეთია ამ სიტყვის ზუსტი, მეცნიერული ეტიმოლოგია და მას უკავშირდება მისი თეოლოგიური ინტერპრეტაციაც: - რელიგია არის ზებუნებრივი სამყაროს რწმენისა და თაყვანისცემის სისტემა. ასე რომ რელიგია აერთიანებს რწმენას და საქმეს, ღვთის მეტყველებას და ღვთის დიდებას. მისი ფუნქციაა, სხვათა შორის, ამ ორი, ერთი შეხედვით სხვადასხვა მხარის ერთყოფა. მიზანი კი ღვთისშემეცნება. აქედან გამომდინარე ყოველგვარი რელიგიური სისტემის, ზოგადად - რელიგიური ცნობიერების საფუძველია უხილავი და ზებუნებრივი სამყაროს რწმენა.[4]

კითხვებზე; როგორია რწმენის (რელიგიის) ანთროპოლოგიური საფუძვლები, ადამიანის არსების შემადგენელი და ორგანული ნაწილია იგი თუ შორეული - შეძენილი''. ანდა, არსებობდა თუ არა ოდესმე საზოგადოება რელიგიის გარეშე? - მკვლევარი ზურაბ კიკნაძე ასეთ პასუხს იძლევა: - ცნობილია ადამიანურობის ხუთი ძირითადი ნიშანი ე. წ. მახასიათებელი ანუ განზომილება, მათ გარეშე ორფეხა, ვერტიკალურად მავალი და მეტყველი არსება ადამიანად ვერ ჩაითვლება. ისინი ქმნიან ადამიანს ადამიანად და საზოგადოებას საზოგადოებად, სულდგმულს პიროვნებად და ჯოგს კოლექტივად. ეს ნიშნებია;

1. ადამიანი არის იარაღის მკეთებელი homo faber
2. გონიერი homo sapiens
3. რელიგიური ანუ მორწმუნე homo religiesus
4. მორალური homo moralis
5. საზოგადოებრივი homo politikus

ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ამა თუ იმ პიროვნებებისათვის ზოგი მეტადაა ნიშანდობლივი, ზოგი ნაკლებად, მაგრამ არ არსებობს ადამიანი მით უფრო საზოგადოება, მათგან ერთიც რომ აკლდეს. ეს ნიშნები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს აპირობებენ და ხელს უწყობენ ერთიმეორის განვითარებას, დახვეწას, ურთიერთპროგრესს. ამას ადასტურებს ისტორია, კონკრეტულად კი კერძო ადამიანის ცხოვრება...

---

[1] ივანე ჯავახიშვილი; ქართველი ერის ისტორია, ტ.1. გვ. 78, 1979 წ.
[2] ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, თბ, 1927 წ. გვ. 33.
[3] ნ. პაპუაშვილი, რელიგიის ისტორია, კარიბჭე, 1996 წ. გვ. 5-6.
[4] ნ. პაპუაშვილი, 1996 წ. გვ. 14 და გვ. 16.

ადამიანი რელიგიურია მუდამ და ყველგან, რასაც ადასტურებს არქეოლოგია, საისტორიო წყაროები, მატერიალური და ლიტერატურული ძეგლები. ეთნოგრაფია არ იცნობს ისეთ საზოგადოებას, თავისუფალი რომ იყოს რწმენის ამა თუ იმ, თუნდაც უმარტივესი ფორმისაგან და ეს არცაა გასაკვირი, რადგან რწმენის იმპულსი იმთავითვეა ჩანერგილი პიროვნების სულში და ვლინდება ყოფიერების ნებისმიერ უბანზე.[1]

ამავე მეცნიერის თვალსაზრისით, ,,რწმენის, როგორც რელიგიის საყრდენის, პირველ საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ისეთი უნარი, როგორიცაა ნდობა, იმედი, სასოება, მოლოდინის განცდა. ეს უნარები თავისი ბუნებით ზნეობრივი უნარებია და მათი არსებობა ადამიანში მოწმობს არა მხოლოდ მის სულიერ სიჯანსაღეს, არამედ ამხელს მასში რელიგიურ არსებას.[2]

ამით, პირველქმნილ რწმენას, ზურაბ კიკნაძე, ზნეობრივ რწმენას - ,,რელიგიურობის ქვაკუთხედს'' უწოდებს და, მის საფუძვლად ნდობას, იმედს და სასოებას სახავს.

ჩვენში არსებული რელიგიის ძველქართული ტერმინები ,,რელიგიურობის ქვაკუთხედის'' გამთავისებელი ცნებებია. მსახურება, ღვთისმსახურება, ღვთისმოშიშება, კეთილმსახურება, აღსარება, სარწმუნოება, მართლმორწმუნეობა და მათთან ერთად სვანური ცნება ლიმზირ (ლოცვა) უზენაესი განმგებლისადმი ადამიანის ნდობას, იმედს და სასოებას რომ გამოხატავს და არა უზენაესის თვისებათა ჩამოყალიბების მცდელობას. თითქოს მათ, ამ ტერმინთა შემქმნელთ, უზენაესის არსის ,,სიტყვიერი თქმა'' არც ევალებათ. მათი ხელმწიფება ზებუნებრივის რწმენაა, სულიერი ხედვა კი - ნდობით, იმედით, მოთმინებითა და სასოებით სავსე. ხოლო, ღვთის იდეის, ცნების ,,შექმნა - გამოკვლევა'' მათ, ჩანს, დროისთვის მიუნდიათ!

დრომ კი შექმნა და ჩამოაყალიბა რელიგიურ სისტემათა ორი ძირითადი წრე: ,,პირველი - ადამიანისეული და ბუნებითი წარმოდგენები ღმერთზე, რაც, ცხადია, უამრავია. ისინი მიმოფანტულია დედამიწის სხვადასხვა მხარეს და ეთნიკურ რეგიონში. მათ შემსწავლელ დისციპლინას უწოდებენ ეთნიკურ ღვთისმეტყველებას და მეორე, - ბიბლიური ე. ი. წერილის, წიგნის ანუ გამოცხადების რელიგიები (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი, აღმოსავლური სისტემები). მათში გამოცხადებულ ჭეშმარიტებათა გააზრებას და ჩვენთვის გასაგებად გამოთქმას ემსახურება დარგი, რომელსაც კვლევის ობიექტის მიხედვით ჰქვია ღვთისმეტყველება ანუ თეოლოგია. პირველისთვის თვალშისაცემია ნაირგვარობა, მეორისთვის კი, პირიქით - შედარებითი მონოლითურობა, ტენდენცია ერთიანობისაკენ''.[3]

ჩვენ კი, ამ ორთაგან, მკვლევარ ნუგზარ პაპუაშვილისაგან განსხვავებით, პირველზე გავამახვილებთ ყურადღებას, რადგან კვლევის ობიექტად ქართველთა (სვანთა!) წარმართული კალენდარი ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ,,ბუნებითი'' და ,,უავტორო'' - ხალხური რელიგია აგვირჩევია.

,,ყოველ ერს, რომელსაც ისტორიული ცხოვრების გზა გამოუვლია, უცხოვრია თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებით, ხანგრძლივი ისტორიული ერთობის შედეგად გამომუშავებული აქვს თავისი ტრადიციები, თავისი ფსიქიკური

---

[1] ზ. კიკნაძე ,,რწმენის კაცი''. გაზ. ,,ჯვარი'', 1993 წ. №1. (სტატიის ნაწილი, იხ. წიგნში ნ. პაპუაშვილისა, რელიგიის ისტორია, კარიბჭე, 1996 წ. გვ. 16-17).

[2] ზ. კიკნაძე, რწმენის კაცი; გაზ. ჯვარი, 1993 წ. №1

[3] ნ. პაპუაშვილი, რელიგიის ისტორია, კარიბჭე, 1996 წ. გვ. 24.

წყობა, ჰქონია და აქვს თავისი ცხოვრების წესი, სარწმუნოება, რწმენა, ცრურწმენა, თავისი მიღწევები და სიძნელეები, მატერიალური თუ სულიერ ღირებულებათა მისეული გაგება... ეს ,,თავისი'' სპეციფიკურია და არის ის, რასაც ეროვნულ კულტურას ვუწოდებთ''. ,,კულტურა არაა წმინდა სულიერი სუბსტანცია, შემოსაზღვრული ცნობიერების ფარგლებით. იგი განსაკუთრებული სახის ობიექტური სინამდვილეა, რომელსაც განსხვავებით ბუნების სინამდვილესაგან, გააჩნია სუბიექტური საწყისი''.[1]

ქართველი ერის სიმდიდრე მისი ეთნიკური მრავალფეროვნებაა, სიძლიერე კი - ამ მრავალფეროვნებათა ერთობლიობა და იგი, ეროვნული თვითშეგნებით ქართველობითა და საქართველოთი მთავრდება. საქართველოში ,,მსხვილი ეთნიკოსების'' თავისებურებანი კვლავ მათ შემადგენლობაში შემავალი ,,ეთნიკური უჯრედების'' განსხვავებულობით ხასიათდება: სწორედ ეს ერთიანობა ხდება ერის სიმამყეც და სატკივარიც, სიძლიერეც და სისუსტეც, ისტორიაც და თანამედროვეობაც.

ჩვენი მიზანია საქართველოს ერთ-ერთი მცირე და, ამავე დროს, უმნიშვნელოვანესი კუთხის, სვანეთის, იმ კულტურულ მონაპოვართა წარმოჩენა, რომელიც მის სულიერ კულტურაში - რელიგიურ დღეობებსა და ტრადიციებშია დაუნჯებული. კულტურის ეს მხარე არაა მხოლოდ ამ კუთხის მცხოვრებთა მონაპოვარი: იგი უძველეს, საერთო ქართულ მსოფლხედვის ნაყოფად გვევლინება.

სვანეთი ამოუწურავი განძთსაცავია მეცნიერთათვის, იგი მსოფლიო მნიშვნელობის ეთნოგრაფიული ელდორადოა. სვანეთის ეთნოგრაფიულ - არქეოლოგიური ველი იტევს საუკუნეების მანძილზე შექმნილ მაღალი კულტურის დანაშრევებსა და ფენებს... ეს მისი მსოფლიო მნიშვნელობაა და კარგად უნდა მოვემსახუროთ[2] - წერდა ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, პროფესორი გიორგი ჩიტაია.

ქართველთა წარმომავლობა ისტორიული მეცნიერების კვლევის საგანია. აქ ზედმეტია მტკიცება იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ერის ისტორიის წარმოჩენისათვის ეთნოლოგიური მეცნიერების თვალსაზრისი. მისი კვლევის საგანი ხომ ხალხია თავისი ყოფიერებითაც და ცნობიერებითაც. ,,ეთნოგრაფი კი, უპირველესად, ხალხის მსახურია. მის სულთან და შრომით შემოქმედებასთან ყველაზე ახლო მდგომი და თანაზიარი''[3] (გ. ჩიტაია).

ვხელმძღვანელობთ რა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების კვლევის კომპლექსურ - ინტენსიური მეთოდის ისტორიზმის პრინციპით, რომ ,,ამ მეთოდის თვალსაზრისით ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე'' და, რომ ,,მნიშვნელოვანია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე'' (გ. ჩიტაია),[4] თავს უფლებას ვაძლევთ კვლევის საგნად გავიხადოთ სვანეთის ერთ-ერთი სოფლის (ლატალის) რელიგიურ დღესასწაულთა კომპლექსი, რომელიც ტარდება მთელი წლის მანძილზე, როგორც სასოფლო ისე საოჯახო რიტუალებში.

ლატალი ისტორიული ,,თავისუფალი სვანეთის'' (ბალს ზემო სვანეთი) პირველი სოფელია. იგი მდებარეობს ,,თავისუფალი'' და ,,საბატონო სვანეთის'' გამყოფი

---

[1] ა. სურგულაძე, ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები, წიგ. 1. თბ, 1989. გვ. 11 და გვ. 12.

[2] მისალოცი სვანეთის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმისადმი, არქივი, გ. ჩიტაია. 10 ივლისი, 1986 წ. წიგნში: თ. ცაგარეიშვილი, გ. ჩიტაია - 100 -, 1999 წ. გვ. 117.

[3] თ. ცაგარეიშვილი, გ. ჩიტაია, 100, 1993. გვ. 99.

[4] ს. ჭანტურიშვილი, ეთნოგრაფიული მეცნიერების წყაროების მეთოდოლოგიური საკითხები. თბ., 1987, გვ. 7.

ქედის (ბაალის ქედის) აღმოსავლეთით და რაიონული ცენტრიდან (მესტია) 9 კმ-თაა დაშორებული. ამ სოფლის მნიშვნელოვანმა კულტურულ-ისტორიულმა ღირებულებამ განაპირობა კვლევის ობიექტად მისი არჩევაც.

ჩვენი მიზანია, დღესასწაულის აღნიშვნის წესისა და რიგის („გარეგნული სახიერების" ანუ რიტუალის) წარმოჩენით, წარმოვაჩინოთ, პირველ რიგში, დღესასწაულის შინაგანი არსი და მისადმი „ყოფიერი შემოქმედის" (ადამიანის, როგორც ქალის ისე მამაკაცის) რწმენითი დამოკიდებულება, რომელიც, თავის მხრივ, მსახურების ისეთ ფორმას ქმნიდა, როგორიც რიტუალებითაა გადმოცემული.

ვცდილობთ წარმოვადგინოთ ის, რაც საუკუნეებმა დღემდე სულიერი კულტურით შემოგვინახა. სულიერი კულტურა ხომ ერის და მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა! - „ხალხური დღესასწაულები ხალხის ცხოვრების ის მომენტია როდესაც მისი სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და პოეტური იდეალები ხილულ სახეს იღებენო!" წერდა ბურხარდტი (I. Burckhardt).[1]

სვანეთში არსებული რწმენა-წარმოდგენები სინკრეტული ხასიათისაა და მისი კვლევა, ვფიქრობთ, არც ისე მარტივია. ხალხის ემპირიული ცოდნა საშუალებას გვაძლევს ტრადიციებში თავშეფარებული დროითი დანაშრევი გავიაზროთ, უპირველესად იმ გაგებით, წინარექრისტიანულია იგი თუ ქრისტიანული.

საკითხის კვლევისას, ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს და უპირველეს წყაროს წარმოადგენს ქართული ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური!) სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლის პროფესორ ვერა ბარდაველიძის მიერ სვანეთში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალები და მათს ნიადაგზე შექმნილი სამეცნიერო შრომები. ამ მეცნიერის სახელს უკავშირდება რელიგიური რწმენა - წარმოდგენების მეცნიერული კვლევაძიების დასაწყისიც საქართველოში.

წიგნის „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის" წინასიტყვაობაში ქალბატონი ვერა აღნიშნავს შემდეგს: "სვანური ხალხური კალენდრის შესწავლას შეუდექი 1931 წლის ზაფხულში, როდესაც მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიის (ლენინგრადში), მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს (მოსკოვში) და საქართველოს მუზეუმის მიერ მივლინებული ვიყავი სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში რელიგიური გადმონაშთების შესასწავლად".[2]

სამწუხაროდ, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" საბრძოლო პროგრამა ასეთი იყო: „რელიგია თავისთავად არ მოკვდება. იგი დაძლეულ უნდა იქნეს მკაცრ კლასობრივ ბრძოლაში. აი, ამიტომაა საჭირო ანტირელიგიური მუშაობის გაფართოება და გაძლიერება. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა, ბრძოლაა სოციალიზმისათვის! ვიბრძოლოთ ხუცურ კულაკურ შობის (იგულისხმება ქრისტეშობა ნ. წ.) წინააღმდეგ. ძირს მატყუარა და საშობაო, პირფერული ლეგენდა კლასობრივი ზავისა და სათნოების შესახებ! გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლას ექსპლუატატორებისა და მათი დასაყრდენის - რელიგიის წინააღმდეგ!" - „მუკი" - საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭო".[3]

---

[1] ციტატა წამძღვარებული აქვს ს. მაკალათიას თავის ნარკვევისთვის, ახალწელიწადი საქართველოში, თბ, 1927.

[2] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი I, 1939 წ. წინასიტყვაობა, გვ. XIII.

[3] ვისი დღესასწაულია შობა, საქ. მებრძ. უღმ. კავშ. ცენტრ. საბჭოს გამომცემლობა, ტფ. 1935 წ. გვ. 27.

ამ ,,ულმერთოთა კავშირის'' ,,სამაგალითო ბრძოლის'' შედეგი მთელმა მსოფლიომ უწყის რაც იყო: ადამიანურობის ტყვეობის საბჭოური წლები, რეპრესიები, ადამიანში ადამიანის (რწმენის) მოსპობა და ახალი ადამიანის (ურწმუნოს!) შექმნის მცდელობა... ეს იყო ეპოქალური ტრაგედია, რომელსაც ვერც ,,შემსრულებელი'' ვერ გადაურჩა!..

1931 წლიდან მოყოლებული ვ. ბარდაველიძე 1936 წლამდე აგრძელებს საველე მუშაობას სვანეთის მხარეში. კერძოდ: 1933 წელს აფხაზეთში, დალის რაიონის სვანებში, 1934 წელს ქვემო სვანეთში, 1935 წელს ზემო სვანეთში (მეორედ), 1936 წელს კვლავ ზემო სვანეთში (მესამედ). ამ წლების საველე ეთნოგრაფიული ძიებანი ქართული ეთნოლოგიური სკოლის საგარძურს წარმოადგენს.[1]

სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის შესახებ არსებული მასალის გამოცემა ვ. ბარდაველიძეს განზრახული ჰქონია ნაკვეთებად. ამის შესახებ იგი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: ,,წინამდებარე ნაშრომი (იგულისხმება ,,სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი'' - ნ. წ.) წარმოადგენს პირველ ნაკვეთს, რომელშიც მოთავსებულია ახალი წლის ციკლის დღეობები ე. წ. ლიფანალის გარდა.[2]

ლიფანალის დღეობა კი დაბეჭდილია პერიოდულ გამოცემაში; ,,მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის'' (მსე, ტ VI, 1953 წელი).

ვერა ბარდაველიძის საველე ეთნოგრაფიული მასალების სახით ჩვენს ,,თვალწინ'' არსებობს უნიკალური ღირებულების წყაროთა ბაზა, რომელიც საკმარისია მკვლევარის ღირსების დანახვისათვის, მაგრამ, ჩანს, დღეობათა წმინდა ეთნოგრაფიული აღწერილობა, საკითხის ერთი მხარეა. აქ სხვა მომენტია ამ აღწერილის დანახვა და გააზრება ისე, როგორც ეს ხალხის ცნობიერებას შეუნახია. ტრადიციათა გაგებისათვის, ჩანს, ყველაზე მეტად სულიერი (რწმენითი, რელიგიური!), შინაგანი ხედვაა საჭირო და არა მხოლოდ ფაქტების მექანიკური თავმოყრა ანდა მათი ,,ჩვენდა სასურველად'' გადაადგილება, რამეთუ უმცირესი ნიუანსიც კი მთლიანისთვის წარმოუდგენლად დიდია. ამიტომაა, რომ დღემდე ვერ გაგებულა სვანების და საერთოდ, ქართველი ხალხის უძველეს სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებათა ხანგრძლივობის მიზეზი; რას ემსახურებოდა ძველთა რწმენა-წარმოდგენანი ,,ზებუნებრივსა'' და ,,განსაკუთრებულს'', თუ რაღაც ცხოველურს, ,,ყოფიერს'', სულიერებისა და წარმოსახვასაგან დამოუკიდებელ რეალობას. ვერ დანახულა ხალხური ხედვის ფესვი და დვრიტა და კითხვა - ქართველი მთიელი წარმართია თუ ქრისტიანი?! - კითხვადვე რჩება!.. (მტკივნეულია ყოველივე ეს და, მით უფრო მტკივნეული, თუკი იგი ქართველისგანვე გესმის! ჩანს, ,,ულმერთობის პერიოდმა'' თავისი გაიტანა!..).

ნათქვამია, სვანეთი განძთსაცავიაო, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არ ეხება მხოლოდ ქართველ მეფეთა თუ დიდებულთა მიერ აქ შემოფარებულ განძთა სიმრავლეს. იგი სულიერი ხედვისა და ცნობიერების საცავიცაა, სადაც ყოველი ნიუანსი ,,სინამდვილით'' სუნთქავს. აქ სიძველეა, მაგრამ არა გაყინული ფორმით. აქ სიახლეა, მაგრამ არა ძველის უარყოფით. აქ ცუდიცაა თავისი სიცუდით და სიშიშვლით და კარგიც მთელი თავისი სიმშვენიერით, აქ ცხოვრებაა შეულამაზებელი სინამდვილით და თითქმის ყველა ის ,,საფეხურია'' წარმოდგენილი, სადაც კი ოდესმე აუვლია ადამიანს თავისი ,,განვითარების'' მანძილზე იქნებ ესეცაა ჩვენი სულის, ჩვენს მრავალსაუკუნო-

[1] ვ. ბარდაველიძე, არქივი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ეთნოგ. და არქ ინსტ-ტი.
[2] ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღეობ. კალენდარი, I, 1939 წ. გვ. XII.

ვან კულტურასთან ჩაკირული თვითმყოფადობის ერთ-ერთი დამადასტურებელი; მას ხომ ერის „მე“-ობა ჰქვია!.

დღესაც ქართველი ეთნოგრაფების წინაშე ამოცანად ისახება „ხალხის ყოველ-დღიურ პრაქტიკასა და სულიერ ცხოვრებაში დღეობათა წონისა და მნიშვნელობის გააზრება და ამით საბოლოო მიზნის მიღწევა“, ანუ: „გაადვილება ქართულ ხალხურ დღეობათა წარმოშობის წყაროს ძიებისა და მიკვლევისა“. აღნიშნული სამომავლო ამოცანად დასახა რელიგიის კვლევის დასაწყისშივე თვით ვერა ბარდაველიძემ.[1]

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სვანთა ყოფიერებაში სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებებს, ამაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს. სვანურ დღეობათა და სარწმუნოე-ბრივ წეს ჩვეულებებით აღბეჭდილ დღეთა რიცხვი (160 დღე), საერთოდ, თითქმის ნა-ხევარ წელიწადს უდრიდა... ბუნებრივია, რომ აღნიშნულ დღეებში არ არის ნაგული-სხმევი ისეთი წეს-ჩვევები, რომელთა შესრულებას იწვევდა დაბადება, აღზრდა, ავადმ-ყოფობა, სიკვდილი, ქორწინება, გვალვა, წვიმიანობა და მისთანანი. ამის გარდა სვანე-თში კვირის ანუ შვიდეულის გარდა, რომელსაც „ნაგზი“ ეწოდება, არსებობს ტერმი-ნი „მიშ“, რომლითაც აღინიშნებოდა სამუშაო დღეები უქმე დღეებისგან განსხვავე-ბით. ასეთ სამუშაო დღეებად ძველად მიჩნეული იყო წლის განმავლობაში ყველა ორ-შაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი (თუკი, ამ დღეებში არ მოხვდებოდა რომელიმე დღეობა ნ. წ.) ხოლო, პარასკევი, შაბათი და კვირა უქმე დღეებად იყო მი-ჩნეული და ერქვა „ლისგურეშ“ - ჯდომისა.[2]

ვფიქრობთ, ეს არ იყო „უსაქმურობის“ („ჯდომის“!) შედეგი და არც შედეგი „ღრეობისა“ და „ჭამა-სმისა“. „წლის განმავლობაში 365 დღიდან 208 დღე იყო „მიშ“ (ე. ი. სამუშაო დღე) და 157 დღე „ლისგურ̄ეშ“ („ჯდომისა“, - „დასვენების“!)“ - სადღე-ობო; ფაქტს ამისას, სხვა რეალური ახსნა მოეპოვება. დღეობათა ასეთი სიმრავლე „ჭამა-სმისთვის არ შეიქმნებოდა და არც მისი „შემქმნელები“ იქნებოდნენ „მუცლით მეზღაპრე“...

157 სადღეობო დღეთაგან „სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარში“ წარმოდგენი-ლია ათი. ესენია:

1) ბარბლაშ (4 დეკემბერი) - ბარბალობა. (დრო ყველგან ძვ. სტილითაა აღნიშ-ნული).

2) ᲒᲐᲜᲐᲨ || ᲒᲐᲜᲝᲑ (9 დეკემბერი) - იონობა.

3) ჭკᲒᲓᲝᲑ || ენშიერი (8 ან 10 დეკემბერი) - მჭადობა, ფეტვისკვერობა.

4) ჭიშდუარობ (10 ან 11 დეკ) - ყველნარევი ფეტისკვერობა.

5) შობ, ჭანტილობ (24 დეკ) - შობა, ჭანტილობა.

6) ქრისდ̄ეშ (25 დეკ) - შობა.

7) ᲒᲐᲠᲣᲜ̄ᲔᲜᲡᲒᲐ (25-31 დეკ) - ორთაშუობა.

8) ᲔᲔᲨᲮᲣᲐᲛ || ლიძიენᲐᲚ (31 დეკ) - შეშხუამი, დაკვლის დღე.

9) ზომხა || კანდა || კალანდა (1იანვარი) ახალწელიწადი.

10) კუიმტᲐᲠ || ნᲐᲜᲙ || ლიშიᲐᲨᲐᲚ (2-3 იანვარი) - კვიმატები.

წლის თავდღეობად ქალბატონ ვერას ბარბალობის დღეობა აქვს მიჩნეული. სვანურ დღეობათა კალენდარში შემონახულ წლის დასაწყისის სამი თარიღიდან (ბი-ხობ, ბარბლᲐშ, მᲐხე ზᲐᲒ) უძველესი, მკვლევარის აზრით, „ბარბლაშია“, მისივე

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. გვ. VIII.
[2] იგივე, გვ VIII.

თქმით, ,,ჩანს ეს ის თარიღებია ახალ წლის დასაწყისისა, რომელიც ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდიდან შემოუნახავს''. აქვე ,,ბიხობთან'' დაკავშირებით სვამს საკითხს: გასარკვევია ეს ბიხობი (ლირსკგნალი) მართლაც წლის დასაწყისის დღეობა იყო თუ არა.[1]

ხოლო ბარბალობის უძველეს თავდღეობად მიჩნევის ნიადაგზე შექმნილ ნარკვევში ვერა ბარდაველიძე ასკვნის, რომ ,,ქართველი ხალხის უძველესი მზის ქალ-ღვთაება მოცემულია ბარბოლ, ქალ-ბაბარ-ის სახელით''.[2]

ხალხური რწმენით ბარბალე საქონლის მფარველი და ავადმყოფობისაგან დამცველი წმინდანია!

მსგავსი სახის ნარკვევი არ მოგვეპოვება არც ,,ბიხობისა'' და არც ,,შეშხუამ-მახე ზაგს'' შესახებ, თუ არ ჩავთვლით იმ სტატიებს, რომლებიც დღემდე პერიოდულად იბეჭდება სამეცნიერო ლიტერატურულ გამოცემებში.

ტრადიციით ახალი წლის იდეური დატვირთვა ,,შეშხუამ-მახე ზაგს'' დღეობებზე უფროა ასახული, ვიდრე ბარბლაშის დღეზე. მსოფლხედვა ამ დღეთა ტრადიციას უფრო აჩენს ,,მზის'' დღესასწაულად, ვიდრე ბარბალეს დღეობას. ამიტომ ახალი წლის ციკლის დღეთა გააზრებას ჩვენ ეშშხუამ მახე ზაგთ ვიწყებთ. მით უფრო, თუკი ახალი წელი მთელ საქართველოში მზის დღეობის (მზის დაბადების!) აღსანიშნავად იდღესასწაულებოდა.[3]

ამ საწყისიდან გამომდინარე ვეცდებით წარმოვაჩინოთ ახალი წლის ციკლით წარმოდგენილი დღეობების იდეური მხარე, მის სახიერებაში (რიტუალში) ჩადებული სულიერი და შინაარსობრივი დატვირთვა; ადამიანის მსოფლხედვა, ზნეობა და მორალი, უფლება - მოვალეობანი, ცნობიერებით განპირობებული ყოფითი სინამდვილე და, საერთოდ, დავინახოთ ადამიანი, რომელიც ,,ქმნიდა'' რელიგიურ დღეობათა კალენდარს!...

ღვთის რწმენა სვანეთში ნამდვილად არ განსაზღვრავდა მხოლოდ ტრადიციების სიმყარეს, მისი სახის უცვლელობას და ,,მშრალ კანონად'' დამკვიდრებას. უზენაესი განგების, ღვთის ძალისა და არსებობის რწმენა ადამიანის ზნეობის საწინდარი ხდებოდა; ღვთის რწმენა და მისი სამართლიანობა არეგულირებდა ადამიანის ფსიქიკას, მის წარმოდგენას სამყაროსა და მომავალზე, აძლევდა წარსულის განსჯის უნარს, მატებდა სამომავლო გამოცდილებას. აღქმულ ჭეშმარიტებას კი ემპირიულად და ტრადიციებად გადმოგვცემდა.

უზენაესის რწმენა არეგულირებდა სამართალს, ოჯახს, სოციალურ ურთიერთობებს თუ უფრო კონკრეტულ ყოფიერებას (ვგულისხმობთ სახლის ინტერიერს!). ღვთისგან მოდიოდა ყველაფერი და იგი იყო უდიდესი კანონიერება (სამართალი!). ამას გრძნობდნენ, ხედავდნენ და აღიქვამდნენ ქვეცნობიერად თუ ცნობიერად და ემსახურებოდნენ არა ფანატიკურად, არამედ რწმენით, სულის სიწმინდით, გენის სიძლიერით და არა სხვისი სწავლებით, მხოლოდ გამოცდილებით და ღვთის სამართლის დანახვით. ასე იყოო უწინ! - გვიმტკიცებდნენ მცხოვანნი, ისინი ვისაც არც ბიბლიის და არც სახარების გაეგებოდათ რა!

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. გვ. XI.

[2] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბალ-ბაბარ, თბ. მეც. აკადემია, 1941. გვ. 103.

[3] ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, თბ, 1927 წ.

სვანურად დღესასწაულს ,,ღგნ'' (ღგნიარუ) ეწოდება. დღესასწაულების დამწყებ დღეს, ანუ, დროის ათვლის პირველ დღეს (წლის პირველ დღესასწაულს) - ,,ღენიარ̄ თხუმ'' || ,,ღგნა ლათხუიმ'' (თავდღეობა) ერქვა.

დღესასწაულთა ათვლა სვანეთში განისაზღვრება სამი დღით;

1) ათვლა ,,ბიხობის'' დღიდან (,,ბიხობ'' აღინიშნება მარიამობის წინა დღეს ძვ. სტ. 14 აგვისტოს, ახ. სტ. 27 აგვისტოს).

2) ათვლა ,,ბარბალობის'' დღიდან (,,ბარბლაშ'' - ძვ. სტ. 4 დეკ. ახ. სტ. 17 დეკ.).

3) ათვლა ახალი წლიდან (,,ზუმხა'' || ,,მახე ზ�დ'' - ძვ. სტ. 1 იანვარი ახ. სტ. 14 იანვარი). ახალი წლის დღეს ბალს ზემოურად ,,მახე ზাদ ეწოდება. ბალს ქვემოურად - ,,ზომხა'' ,,ზუმხა'', ,,კანდა'' და ქვ. სვანურად ,,კალანდა''.

გლეხი მეურნე დაკვირვებული იყო იმ გარემოებას, რომ კვირის რომელ დღესაც ,,ბიხობ''-ის დღე მოხვდებოდა, კვირის იმ დღესვე იქნებოდა უცილობლად შემდეგი დღეობანიც: ბარბალობა, ახალი წელი, ქრისტეშობა და საერთოდ, წლის სხვა მთავარი - ძირი დღესასწაულები. ჩანს, ეს იყო ერთ-ერთი გარემოება იმისათვის, რომ აღნიშნულ სამ ძირითად დღეს ცალ-ცალკე დარქმეოდა საწელიწადო კალენდრის თავ დღე - ღგნა თხუიმ'', ამ დღეობიდან იწყებოდა სხვა, მომდევნო, დღესასწაულთა დროის და რიგის ათვლაც. აღნიშნული გარემოება რელიგიურ დღეებს კალენდარულ კანონზომიერებას ანიჭებდა და საბოლოოდ მისი მთლიანობა მონოლითურ სახეს იღებდა.

საქართველოში ახალი წლის რიტუალი ,,მზის ღვთაებისადმი იყო მიმართული''.[1] სვანური ახალი წელი საერთო ქართული რიტუალის შემადგენელი ნაწილია და, ამავე დროს იგი თავისებური, ,,სვანური'' სპეციფიურობითაც გამოირჩევა.

სამეცნიერო ლიტერატურით შემორჩენილი უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა[2] საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ ,,ახალი წლის'' ძველი სახე და მის პარალელურად სახე დღევანდელი რიტუალისა.

რამდენადაც ,,ახალი წლის'' დღესთან ტრადიციულად განუყრელია ახალი წლის წინა დღე, ეთნოგრაფიული მასალის წარმოდგენას ჩვენც მისით დავიწყებთ. ახალი წლის წინა დღეს ბალს ქვემოურად ეწოდება ,,ეეშხუშ'' ბალს ზემოურად ,,შეშხუშ'', ქვემო სვანურად ,,ლიძინალი'' და ,,შუშხუმი''.

სანამ უშუალოდ ამ საკითხზე გადავიდოდეთ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სვანური სახლის საკრალური მხარის გაშიფვრა და აქ მისი მცირედი ფორმით წარმოდგენა.

---

[1] ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, თბ, 1927 წ.

[2] იხ. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I ახალი წლის ციკლი, თბ, 1939 წ. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ ეთნოგრაფიული წერილები ტ. 1 - 1964 წ. გვ. 54-56. სვანური პროზაული ტექსტები, ბალს ქვემოური კილო, II, 1957 წ. გვ. 71-75. ი. კვიციანი, ნ. კვიციანი, ახალი წლის ზოგიერთი თავისებურებანი სვანეთში, ეთნოგრაფიული ძიებანი, 1992 წ. ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ, 1991 წ. და ა. შ.

სვანური სახლის საკრალური მხარე

ტიპიური სვანური სახლი („ქორ“), რომელიც ერთდროულად საცხოვრებელი ბინის, საქონლის სამყოფის, საბრძოლო, სოციალური და რელიგიური ფუნქციების მქონეა, ჩვეულებრივ, ორსართულიან ქვის შენობას წარმოადგენს. ორსართულიან სვანურ სახლში პირველი სართული (მაჩუ̄ბ, სგირ, ქორ) განკუთვნილია ადამიანის ბინად და საქონლის სადგომად. ხოლო, მეორე სართული (დარბაზ, მაჟ̄ბ) გამოყენებულია საქონლის საკვები მარაგის და ადამიანის სარჩოს შესანახად. უმეტეს შემთხვევაში კი ადამიანის სარჩო ინახება სპეციალურად გამოყოფილ შენობაში - „გუ̄ემ“-ში.[1] (სვანურად გუ̄ემ (მხ. რ.) - გუ̄ამარ (მრ. რ.) ნიშნავს ქალის მკერდს (ძუძუს). ზოგადად, მკერდს „მუჭედ“ ჰქვია, ძროხის ცურს ჩილელუ̄).

ქორ-ის კედელი (ანუ გეომეტრიული ოთხკუთხედის გვერდები) იყოფა ოთხ ნაწილად. პირველი კედელი, რომელიც ქორში შესვლისთანავე იწყება (მარჯვენა მხარე) მამრისაა ანუ სახარეა. მეორე კედელი მის გაყოლებაზე მდედრისაა ანუ საძროხეა:

მეორე მხრიდან პირველი კედელი არის მამაკაცების - ლელუ̄ემ̄რ (ღვაქემ̄რე - მამაკაცი!) და მეორე კედელი მის გაყოლებაზე არის ქალების - ლეზურა̄ლ (ზურა̄ლ - ქალი).

ე. ი. საცხოვრებელი სივრცის („შინა“-ს) წრეხაზი ან კედელი, ოთხკუთხედის გვერდებით შექმნილი, განსაზღვრული კატეგორიულობით ეკუთვნისს ორ არსს - მდედრობითს და მამრობითს.

აღნიშნული ნიშნით იყოფა „შინა“-ს (მაჩუბის შინა, კედლის შიდა) სივრცეც, მაგრამ მას ამ შემთხვევაში განაპირობებს არა კედელი (წრეხაზი) არამედ, „შინა“-ს ცენტრში მდგარი კერა (კა-კერ̄ა): კერის მიერ დაყოფილი მაჩუბის პირველი სივრცე „კაცხ̄შ“ - მამაკაცებისაა (კ̄ცხ - სათავეა. კ̄ცხ̄შ - შინას წინა მხარე). მეორე სივრცე „კავეშგიმ“ - დედაკაცების (ვეშგიმ - „უკანა“ კა-ვეშგიმ - კერის უკანა მხარე). გრაფიკულად ეს ასე გამოისახება:

---

[1] სვანური სახლის უკეთ გაცნობისათვის იხ. მ. ჩართოლანი, ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან 1961 წ. თბ. მისივე, კერა სვ. სახლში. ს. ჯანაშიას სახ. სახელმ. მუზ. მოამბე ტ. XX - , 1959 წ. გვ. 4-10.

(„ერთი მთელის ორი ნაწილი“!) თუკი სახლის („ქორის“) დაგეგმარებას წრით შევცვლით მივიღებთ მის შემდეგ სახეს

შემდეგი ორი სივრციდან, პირველი - „სგა̈ ყველფ“ || ლამარა̈ლ - საქალებოა („სგა̈“ - შიდა „ლამარა̈ლ“ - სამზადი, „ყველფ“ - კერის ირგვლივი სივრცე) მეორე სივრცე - ქა̈ ყველფ - საკაცოა („ქა“ - გარე სივრცე, გარე ყველფი)ეს კი ასე გამოისახება.

აქაც ორი არსის ერთობლიობაა გამოსახული „ერთის ორი ნაწილი“! წრით შეცვლილი ეს სივრცე ასეთი იქნება

საბოლოოდ კი სახლის შიდა სივრცე გრაფიკულად შემდეგ სახეს მიიღებს.

დღევანდელი ქორ-ის დაგეგმარების შემთხვევაში კი ეს ასე იქნება

ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. ტაბულა VI. „ყა-ყერაა“, ყერა საზამთრო საცხოვრებელ ბინაში (მაჩუბში), საახალწლო წეს-ჩვეულებათა შესრულების მთავარი ადგილი. საქ. მუზეუმის, ეთნოგ. განყოფ.

ქორის შინას თვითეული სივრცე მკაცრად განსაზღვრული წეს-რიგით იტევს როგორც ქალის, ისე მამაკაცის ყოფიერებით ფუნქციას, ანუ ყველა შრომითი ხელსაწყო - იარაღი თავ-თავის ადგილასაა; ქალის - საქალებოში, კაცის - სამამაკაცოში. თავიანთ შრომით საქმიანობასაც ამ განსაზღვრულ „ტერიტორიაზე“ ასრულებენ. საერთოდ კი ეს ასე ჩანს: „კაცხᲨ“ || „ჭᲨ-ყველფ“-ის მხარეს მოთავსებულია:

1) „ყრ“ - კარი სახლის შინაში შესასვლელი.

2) „ლᲨნნუნᲨლ“ - მეორე სართულიდან თივის ჩამოსაყრელი ადგილი.

3) „მᲨრან“ - მარანი „ჰარᲨყ“-ის შესანახი.

4) „საკურცხილ“ საუფროსო - მᲨხუᲨის - სკამი. მის გაყოლებაზე მდგომი „ლᲨსგურა“ და ზურგიანი სკამი - „ლგლგიმ“.

1

2

3

ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. ტაბულა XII.
სურ. 1-3. „ბანდᲨრ“, მერხი, მესტია,
ქალების დასასხდომი სკამი.

5) სამუშაო და საბრძოლო იარაღები ანუ ყოველივე ის, რაც მამაკაცების ბუნების გამომავლინებელი და მსახურია.

სგᲨ ყველფში || კავეშგიმში || ლამᲨრაში ანუ, ზოგადად, საქალებო მხარეს მოთავსებულია ყოველისე ის, რაც ქალის კუთვნილებას შეადგენს და მისი ბუნების გამომავლინებელია:

1) „კა-კერა “ - კერა პურის საცხობი.

2) პურის ცხობისათვის საჭირო ჭურჭელი.

3) რძის პროდუქტებისთვის საჭირო ჭურჭელი.

4) სხვადასხვა ზომის და დანიშნულების განჯინები.

5) „გუმ“-ში შესასვლელი თაღიანი კარი. აქ ინახება ყოველივე პურეული, განკუთვნილი როგორც ღვთისთვის, ისე სულისა და ადამიანისთვის.

6) დაბალი მოგრძო სკამი, საქალებო სკამი - „ბანდარ“, საკაცო „ლასგურას“, „ლგლგიმისა“ და მით უფრო „საკარცხულისგან“ - განსხვავებული; ქალი უფრო მიწიერია (პირველი მიწათმოქმედი! მიწის არსთან უფრო ახლობელი და ორგანული) და ჩანს ამიტომაცაა მისი სკამი ასე დაბალი - მიწისაკენ მიმართული, მიწასთან ზიარი. კაცის კი პირიქით - ამაღლებული და მით უფრო საკარცხულისნაირი.

7) ქალის მხარესაა წყვილთა ლოგინი; ბუნების კანონზომიერებამ გახადა ქალი „მგთუენი“ და „მერბიელი“ - დამბადებელი და „პურის შემქმნელი“, რამდენ რამეს იტევს ეს ორი ცნება ქალის არსობის გაგებისათვის.

კაცობრიობის ისტორიაში ცეცხლის პირველი მსახური ქალია. ასეა სვანთა ყოფაშიც: ქალის ხელობა ცეცხლის შენახვა - დანთებაა. ქალისაა „კერა“- აც და „ყველფი“- ც. ქალიდანაა „ლიყოლფ“-იც, ოჯახის წევრთა ურთიერთობა, აგებული. ქალიდანაა მთელი ოჯახის სახე შექმნილი. ქალიდანაა მომდინარე ოჯახის წინსვლაც და დაქცევაც. ოჯახში ქალი ყველაფერია, მაგრამ ოჯახის წინამძღოლი მამაკაცია; ქალი კიბეა მაღლა ცასა და დაბლა ქვეყანას შორის; ქალი მიწაა, რადგან წიაღია: ქალი დედაა, რადგან დამბადებელია; ქალი სიცოცხლეა, რადგან პურია; ქალი მზეა, რადგან ნათელია, ქალი ყველაფერია, რადგან ყოველივეს განმსაზღვრელია, მაგრამ მაინც კაცის გარეშე მისი არსებობა არაფერია!ამ უზოგადეს კანონზომიერებას იტევს სვანური სახლი (ქორ), ოჯახი (მეზგე), კერა (კა-კერა), ლოცვა (ლიმზირ), სამზადი პურის შექმნისა (ლირბიელ), ოჯახის წევრთა ურთიერთობა (ლოყოლფ), ცოლ-ქმრობა (ლიხეხუ-ჭაშ), გაყრა (ლითალ), სამართალი (სამგრთალ), შურისძიება (ლიწრი), სულეთი (ლაქუნ, ეჩაბუალსდ) სულთა პატივისცემა (ლიფანე), დატირება (ლიგუანე), ლხინი - სუფრის წესები (ლიქეიფ - ლიმზგრალი), ქალობა (ლიზურალ), კაცობა (ლილუჟმარ), მუშაობა (ლიშდაბ), ნადირობა (ლითხუიარ) და აბსოლიტურად ყველაფერი, რაც ადამიანთა ურთიერთობას და ყოველივე ამ ურთიერთობის ყოფიერ თუ ცნობიერ მხარეს შეესაბამება.

სვანეთში მიწათმოქმედება (ლიჩარალი, ლიბერგი, ლითი, ლიკლავი, ლიშყუდი, ლიფრე, ლექუერ, კიბდენ, გუმ, გუიზ, ლირბიელ), გარდა საკუთრივ ხვნა-თესვისა, ლიკნი-ლილაში) მთლიანად ქალის საქმე იყო. ამაშიც კი ეხმარებოდა ქალი მამაკაცს. მასვე ეკუთვნოდა მიწათმოქმედების პროდუქტების განმგებლობაც, მარცვლეულის მარაგის განაწილება და ხარჯვა. კაცი ამ საქმეებში საერთოდ არ მონაწილეობდა: „შინა“-ს საქმეებს უფროსი ქალი (ხოშა ზურალ) განაგებდა. „გარეთ“ - საზოგადოებაში („ქამ“) მას ნაკლებად ეკითხებოდა, თუმცა თუ საჭირო იყო ხოშა ზურალ აქაც მამაკაცის ტოლი უფლებებით სარგებლობდა.[1]

მესაქონლეობა და ნადირობა მამაკაცის საქმე იყო. მასვე ევალებოდა ხორცისგან დღიურად საჭირო ნაწილის გამოყოფა (დაჩარექება - ლილღუი). ეს მომენტიც კი არ გაითავისა ქალმა მაშინ, როდესაც მთელი საოჯახო საქმიანობა და საერთოდ, შეჭამანდის დამზადება, ქალის საქმედ ითვლებოდა. კაცი კერისგან მხოლოდ სითბოთი და სინათლით სარგებლობდა მაშინ, როდესაც ქალის მთელი არსი კერით და კერასთან ხორციელდებოდა; ქალი კერაშია ჩაკირული და კერის არსი საკრალურად იგივეა რაც ქალის არსი. შესაბამისად, კერის, სახლის (ოჯახის) და ქალის არსთა იდენტურობაც

---

[1] მ. ჩართოლანი, ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტ-დან, თბ, 1961 წ. გვ. 98-109.

უტყუარია. ყოველივე ამის „სახიერად“ გამომხატველი ხომ ქალის მიერ კერის, მიწისა და ღვთისადმი მსახურებაა. ქალი მიწისა და ცის ერთიანობის მსახურია: პირველი მემზირ, - პირველი ლემზირის შემქმნელი, მიწის მოსავლის პირველი მსახური! განა ეს ცოტაა?! - ეს ყველაფერია!...

საკუთრივ კერა კა-ს გარეშე („კა“ ფიქალის ქვაა, რომელიც კერის თავზეა გადადებული) განსაკუთრებით საპატივცემულო ავეჯია. მასზე გამოისახებოდა სიმბოლური მნიშვნელობის ორნამენტები თუ გამოსახულებანი. ორნამენტირებულია სახლის კარი, განჯინები, გომურის ტიხარი.[1]

ახალი წლის დღეობათა პერიოდში სვანის მიერ შინას მოხატულობის ჩვეულება ორნამენტის თავისებურ სახეს გვთავაზობს. მათი აღნიშნულ დროში შექმნა, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს შემთხვევითი. არც დიასახლისის მიერ ამ ჩვეულების შესრულება მიგვაჩნია უმნიშვნელო მომენტად და არც ის, რომ ნახატები „გუ̈ბ“-ის ნაცრით იხატებოდა. იხატებოდა სახლის შინას „მორთულობა“ - კიდობნები, განჯინები... იხატებოდა მათზე ცხოველურიც, მცენარეულიც, ადამიანიც და, რაც მთავარია, ის ასტრალური სამყარო, რომელზე დამოკიდებულადაც მიაჩნდა ადამიანს მთელი თავისი არსებობა: მზისა და მთვარის სახიერებით იქმნებოდა „ამ ძალთა“ გრაფიკული გამოსახულებანი.[2]

ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. ტაბულა XI.
სურ 1. „ფიჩქ“, მრგვალი სუფრა. მესტია.
სურ 2. „სკ̈ამ“, დაბალი სკამი, მესტია.
სურ. 3. „კიბდუ̈ენ“, კიდობანი, მესტია.

---

[1] მ. ჩართოლანი, 1961 წ. გვ. 70,80.

[2] ვ. ბარდაველიძე, ქართულ (სვ) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ. 1953 წ. გვ. 39.

ბიბლიურ ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ „შემოქმედმა“ ორ ბუნებას („ქალურს“ და „მამრულს“) იმთავითვე განუსაზღვრა და დაუკონკრეტა უფლება-მოვალეობანი, ნათლად ადასტურებს ქორის ყოფიერება და მისით გამოხატული საკრალური ცნობიერება. აქ ისეა ყველაფერი დაკონკრეტებული და განსაზღვრული, თითქოს ნამდვილად ვინმეს ეხელმძღვანელოს მათი უფლება - მოვალეობების „შექმნა - განაწილებისათვის“. ეს კი სახავს სამკუთხედისებურ კავშირს შემოქმედს, ქალსა და მამაკაცს შორის, ანუ კავშირს ცისა და მიწის შემოქმედთ შორის.

ცეცხლი — ზეციერი უხილავი შემოქმედის სიმბოლო, ნიშანი

სვანური სახლის ფუძედაგეგმარებით გამოვლენილი „სიცოცხლის ფორმულა“ — „ერთი მთელის ორი ტოლი ნაწილი „ორი არსის ერთობლიობაა ერთი მთელი!“...

(მიწიერი შემოქმედი)

კერის გამართვა - ოჯახში პირველი ცეცხლის გაჩენა და, საერთოდ, მისით ოჯახის არსებობა ცის თაღზე რომ იყო დამოკიდებული, მეტყველებს ის გარემოებაც, რომ კერის გამართვისთვის უმთავრესი ყურადღება მთვარის ფაზებს და ოჯახის სიწმინდეს ექცეოდა. შემდეგ კი აუცილებელი იყო წყნარად, უხმაუროდ, უსტუმროდ გადასვლა ფუძე (ურთა) სახლიდან ახალ (მახე) სახლში. ისევე, როგორც ,,წყნარად", ,,უხმაუროდ", ,,სხვისი თანდასწრების გარეშე" შექმნა განგებამ თითქოს განუყოფელი (ურთა) რამიდან ახალი სამყარო, ახალი ყოფიერება - ,,მახე ლირდე", ,,მახე ქორ".

ახალ სახლში (მახე ქორ) კერის ცეცხლი ,,ურთა" (,,განუყოფელი" ძირი, ფუძე) სახლის ,,ყველფიდან" (კერა, ცეცხლის ორმო) გამოჰქონდათ, იმის ნიშნადაც, რომ ჭეშმარიტება განგებისა (კერის || ოჯახის მისით შექმნა) განუყოფელია; იგი გადადის ერთი ადგილიდან მეორეში, ძველიდან - ახალში, არსი და ფესვი, იგივე რჩება, და ბოლოს, დალოცვის მომენტი: ჯერ ურთა სახლში უფროსი კაცის მიერ და იმ ძმის მიერ, რომელიც ამ სახლში რჩება და შემდეგ, ახალ კერაში ,,ქაშმე მგჭეხის" (გარე მეკვლის) მიერ ახლად გამართულ კერასთან[1] - ნათქვამს ერთხელ კიდევ ადასტურებს.

დიდი ღმერთის ,,არჩეული" და ,,ხელდასმული" მეკვლით ხდება ღვთის მადლის გარდამოსვლა ახალი კერის ყოფიერებაში, - ამ კერის ,,ყველფსა" (შინა) და ,,მეყულფაში" (ოჯახის წევრები). ჩანს ადამიანის მოდგმის არსებობისთვის აუცილებელი ცისა და მიწის ერთიანობა, ამ ყოფითა და ცნობიერებითაც გამოიხატებოდა.

კერა რომ ღვთის შექმნილად ითვლებოდა და ამისთვის ადამიანის, უპირველესად კი დედაკაცის, მისადმი მსახურება იყო დაკონკრეტებული, ყველაზე მეტად ის ფაქტი მეტყველებს, რომ დიასახლისი პირველად, ლემზირებს აცხობდა - ღვთის ანუ შემქმნელის მსახურებისთვის ირჯებოდა და შემდეგ - საკუთარი თავისთვის. ღვთისადმი უპირველესი სათხოვარიც ხომ ეს იყო: მოეცა მისთვის ყოველივე, პირველ რიგში, ისევ ღვთის სადიდებლად, შემდეგ სულთა შესავედრებლად და ბოლოს, კაცთა სამშვიდობოდ - ,,ღერთა ნაშზურუნდ, ქუინი ნაჭგრგნდ, მარემი ნაშდებუნდ!"[1]

თითქოს მარტივია ყოველივე ეს, მაგრამ ეს ყველაფერია. მასშია იმ ერის მსოფლმხედველობა, რომელიც გაჩენისთანავე ითავისებდა ბუნების დაუწერელ კანონებს. იმ ერისა, რომელიც ,,მიწიდან" მომდინარეობდა და ,,ცით" საზრდოობდა. რწმენა და ზნეობა იყო მისი ,,ხელმძღვანელი" და ,,ყოველივეს შემქმნელისადმი მოვალეობას არასოდეს ივიწყებდა - ერთგულებდა მიწასაც და ცასაც. განა ეს ღვთისგან მომდინარე მადლის გარეშე შეიძლებოდა? ჩანს - არა! ადამიანი ხომ ,,რწმენის კაცია"...

ამ მცირედის შემდეგაც ჩვენთვის უხერხულიცაა ადამიანის რწმენის ,,კულტებად" დანაწილება, ტრადიციის ,,გადმონაშთებად" მონათვლა, მათი - ხალხისთვის უცნობი - ,,მაგიური", ,,ტოტემური", ,,ფეტიშური"... განმარტებებით დაყოფა და დანაწევრება. ერის ცხოვრება ერთი მთლიანობაა, მით უმეტეს იმ ერისა, რომლის გონებაშიც კოდირებულია უზენაესის აღქმა და რწმენა. ჩანს, არანაირად არ შეიძლება ,,საგნის" მთლიანობა მისი მარტო ერთი ნახევრით აღვიქვათ, რადგან ეს ჩვენ ,,ასე გვინდა", ,,ასე გვეგალება" და თუნდაც, ბოლოს და ბოლოს, ,,ასე გვწამს". ხედვის ეს თავისებურება ჩვენი - შორიდან აღმქმელის ნაკლად უნდა ჩაითვალოს და არა ,,საგნის" ნაკლად!.. სწორედ რომ ყველაფრის და ყოველივეს ზუსტად აღქმა და დანახვა ნამდვილად არ შეგვიძლია ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავთ და, ჩანს, ამიტომაც შევქმენით ,,განგების ძალა" და ყოველივე ჩვენთვის აუხსნელი მივაწერეთ მას... მაგრამ იქნებ მართლა პირიქითაა, იქნებ ჩვენთვის აუხსნელიც და ახსნილიც მისია, იქნება განგებაა შემქმნელი ჭეშმარი-

---

[1] კერის გამართვის რიტუალი იხ. მ. ჩართოლანის წიგნში. 1961 წ. გვ. 75-85.

ტებისა, სინათლისა, სილამაზისა და მისით ურწმუნო ადამიანისაც კი? - ვინ იცის!... ადამიანის და ერის ზოგად ცნობიერებას კი ეს პირიქითობა უფრო სწამს და სჯერა, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავთაგან დასაბუთებული კვლევითი დებულებები. სწამთ, რადგან ყოველივე ეს მათშია კოდირებული, გენეტიკურად მომდინარეა და განსხეულებასთან ერთად ამ რწმენითაც არიან გაჯერებულნი.

ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. ტუბალა X.
„ტაბაგ", გრძელი სუფრა, სოფ. ფენაში, ლატალი.

I

„ᲔᲨᲮᲣᲐᲛ“, „ᲖᲣᲛᲮᲐ“, „ᲙᲣᲘᲛᲢᲐᲠ“ — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲙᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲦᲔ

ᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ ლატალურ ტრადიციაზე ,,სვანურ ხალხურ კალენდარში“ ვკითხულობთ: ,,ჯერ კიდევ შემოდგომაზე, როცა საქონელს სახლებში შერეკავდნენ, ყოველი მოსახლე შეარჩევდა დედალ გოჭს ან ცხვარს, ცოტაზე კუდს წააჭრიდა, საჭმელი უკეთ შეერგებაო, გაუშვებდა თავისუფლად საზამთრო-საცხოვრებელ ბინაში (მაჩუბში) და რაც შეიძლება უკეთ უვლიდა და კვებავდა, რადგან საახალწლოდ ეს საკლავი გოჭი (ლეზომახი) მსუქანი უნდა ყოფილიყო.

კალოობის დროს, აგრეთვე, ცალკე გამოყოფდნენ პირველ გალეწილ კალოდან საუკეთესო ხორბალს, დაფქვავდნენ და მყუდრო ადგილას შეინახავდნენ[1] ამ ფქვილს ლამარია გუიზ ეწოდებოდა და მას დიასახლისის მეტი ვერავინ მიეკარებოდა. ვერც უკანასკნელი ვერ მივიდოდა გუიზის კიდობნის ახლოს, თუ ის უწმინდური იყო. როდესაც ოჯახს მხოლოდ ერთი კარუა ლამარია გუიზი ჰქონდა გამოყოფილი, მაშინ ამ ფქვილისაგან საახალწლო ლემზირებს აცხობდა, ხოლო თუ მეტი ჰქონდა მომარაგებული, მაშინ ლამარია გუიზი შეშხუამს გარდა იხმარებოდა ზომხასა და ლიფანალიში.

შეშხუამ დილას, ვიდრე გათენდებოდა, ყოველი სვანის ოჯახში ე. წ. ანჭი-კუანჭის წესი სრულდებოდა: მერბიელი გამოაცხობდა იმდენ ცალ წვრილ ლემზირს, რამდენი მოზრდილი წევრიც იყო ოჯახში. თუ ეს უკანასკნელი ერთი ან ორი სულისაგან შედგებოდა, მაშინ სამ ლემზირს გამოაცხობდნენ, რადგან სამ ცალზე ნაკლების გამოცხობა არ შეიძლებოდა. ეს ლემზირები ცერცვის გულიანები იყო და ღერღლარი

---

[1] მარცვლეულის შესანახ ნაგებობას სვანეთში გუემ||გემ ეწოდება. სვანური გუემი ქვითკირითაა ნაგები. იგი ზოგან სვანური სახლის ორგანული ნაწილია, ზოგან კი დამოუკიდებელი ნაგებობა. ,,მაგრამ გვემი ყველგან პირველი სართული იყო, უმთავრესად თაღისებურად გადახურული, საიმედოდ დაცული და მტრისთვის შეუვალი სიმაგრე“. აქ იდგა სხვადასხვა ზომისა და მოცულობის კიდობნები, საწყაოები. გვემის კარი იკეტებოდა. ოჯახმა იცოდა წლის განმავლობაში რა რაოდენობის პროდუქტი დასჭირდებოდა ოჯახის გამოსაკვებად. ამას კიდობნების საშუალებით ზომავდნენ. ,,ამ საქმის მოსამსახურე და ხელმძღვანელი ქალი იყო („ხოშა ზურაშ“, „დისხაშ“, „მერბიელ“). ხარჯვის ორგანიზაციაში პირველ ყოვლისა იგულისხმებოდა სწორად განსაზღვრა იმისა, თუ როგორ ეხარჯათ მარაგი. კარგი თუ ცუდი დიასახლისი აქ გამოჩნდებოდა“. იგი ამ საქმეში განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა და ნდობითაც იყო აღჭურვილი. მას ებარა ოჯახის მთელი საკვები პროდუქტის მარაგი, გარდა ხორცეულისა. მის ხელში იყო გვემის საკეტი. მის გარდა და მისი ნებართვის გარეშე იქ არავინ შედიოდა... თუ დიასახლისი არ იყო უნარიანი, გამჭრიახი გონების პატრონი და არ იცოდა ან, არ შეეძლო სცოდნოდა, რა ჰქონდა ბეღელში შენახული მარაგი, მას ეს სრულ დახარჯვამდე უნდა განეცხადებინა ოჯახისთვის. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახისთვის და ამიტომ, ისეთ დიასახლისს, რომელმაც არ იცოდა, ხარჯვის წესები მეფეჭლის - მეფქვილე ქალს უწოდებდნენ (ფექ - ფქვილი - მეფქვილე). მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა. ბეღელს გამოცდილი დედაკაცი მართავდა და განაგებდა (მ. ჩართოლანი, სამეურნეო ნაგებობანი სვანეთში, კრებ. სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ. 1970, გვ. 106-113.

ეწოდებოდა. გამომცხვარ ლემზირებს მიიტანდნენ კარ-სარკმელ დახურულ სახლის აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელთან და სახლის უფროსი დალოცავდა დალ შეშხუმიშის სახელზე - დალო შეშხუმისაო მხოლოდ კარგი გვიშეშხუამე ჩვენს სახლს, მრავალი დღევანდელი დღე კარგ გულზე მოგვასწარი!

ლოცვის შემდეგ ოჯახის სათანადო პირებს ჩამოურიგებდნენ ამ შესაწირავებს და ყველანი მოკრძალებით შესჭამდნენ მას. ამ ლოცვა ზიარებას ვერ დაესწრებოდა ოჯახის ის წევრი, რომელიც წარსული წლის შეშხუამს სახლში არ იყო ნამყოფი.

როდესაც ღერღლარის ჭამას გაათავებდნენ, ხოშა მარე დაიჭერდა ხელში წმინდა თეთრი ფქვილით სავსე კარუას, მივიდოდა ისევ მაჩუბის აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელთან, სარკმელს ცოტაზე გამოაღებდა და ხმამაღლა წარმოსთქვამდა: - დალო შეშხუამისაო,[1] მხოლოდ კარგი გვიშეშხუამე, ეს რომ თეთრი არის, ასეთ თეთრ წელიწადს მიგვაყენე!

ამ ლოცვის დამთავრების შემდეგ შეიძლებოდა კარ-სარკმელთა გაღება და გარეთ გასვლა. ნალოცი ფქვილის ნახევრისგან ახალწელიწად დღეს ლიდბაშის გადაიხდიდნენ ქალები და მეორე ნახევარს კი ერთგულ მეზობელს, რომელიც აუცილებლად სხვა გვარის უნდა ყოფილიყო, გაუცვლიდნენ ახალწელიწად დღესვე ხელის ახსნის (ლიშიაშალის) მიზნით.

ყოველივე ამის შემდეგ სახლის უფროსი დაიჭერდა ხელში სამსხვერპლო გოჭს, ლეზომახს, მიიყვანდა მაჩუბის აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ შემდეგი სიტყვებით ილოცებდა: - დალო შეშხუამისაო დიდება მოგსვლოდეს, მრავალი ახალი წელი კარგ გულზე შეგვასწარი! ან კიდევ ასე იცოდნენ: დალო შეშხუამისაო, მრავალი დღევანდელი დღე შეგვასწარი მშვიდობით, კეთილი გულით, საქონლისა და ადამიანის მშვიდობით და გამრავლებით! ლოცვის შემდეგ სამსხვერპლოს კერიასთან მიიყვანდნენ და მის პირად აღმოსავლეთის კედლის პირდაპირ მდგარ მერხზე („ბანდარ“) დააწვენდნენ ისე, რომ თავი აღმოსავლეთით ჰქონოდა, ორი კაცი ფეხებს შეუკრავდა და ერთი მუგუზლით ყელთან ჯაგარს შეუტრუსავდა და დაკლავდა. მის სისხლს ჭურჭელში დააგროვებდნენ. ლეზომახს დაიჩარექებდნენ გარკვეული წესის მიხედვით... ზისხორას (სისხლისა და ნაწლავებისგან გაკეთებული კერძი) შეშხვამ ღამეს ვახშმად შეექცეოდნენ.

საახალწლო საკლავი (ლეზომახი) ყოველწლიურად დედამთილსა და რძლებს გამოჰქონდათ მორიგეობით. ერთ წელს ლეზომახი დედამთილის პირადი ქონებიდან იყო გამოყოფილი, მეორე წელს რძლისა და ა.შ.

შეშხუამ საღამოს ერთი რომელიმე წავიდოდა ტყეში და თან წაიღებდა ყველიან ლემზირსა და ნაჯახს. იქ მსხლის ხესა და თხილის ბუჩქებს მონახავდა და თვითოეული მათგანის წინაშე შემდეგ ლოცვას წარმოთქვამდა: „ხუაᲂ შეშხუᲐმ შიდებდ ოგუენა, ხოჩა გუჟენ გუᲐრ ამ ზᲐუი ზᲐᲂ“ - „მრავალი შეშხუამი მშვიდობით მოგვესწროს, კარგ გულზე გვქონოდეს ამ წლის მოსავალი“. მოჭრიდა მათ ტოტებს და წამოიღებდა სახლში. გზაში ხავსსა და თეთრ ქვას მონახავდა და იმათაც თან წამოიღებდა.

---

[1] „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში“ ავტორის, ვ. ბარდაველიძის, ასეთი შენიშვნაცაა სქოლიოში მოყვანილი: ქვერიჯას თქმით (მისი ერთერთი მთხრობელია), ამ დღეს რომ ლოცვისას დალს ახსენებდნენ, ეს დალი სულ სხვა იყო, ვიდრე მონადირის მფარველი ღვთაება დალიო. ᲂემზა წერედიანის თქმით, დალი ტყეშია, კლდეებში. ეს ღვთაება საქონელსაც შველის და კაცსაც; საზოგადოდ დალ შეშხუამიში ძლიერია, ყველაფერს და ყველას შველის (იხ. დასახ. ლიტ. გვ. 91).

ახალი წლის განმავლობაში ამ ქვას ყველს ეძახდნენ. ფიქრობდნენ, რაც უფრო დიდი იქნებოდა შეშხვამს შემოტანილი ჭყერუ, იმდენად მეტი წველა ექნებოდა ოჯახს წლის განმავლობაში. ამგვარადვე ფიქრობდნენ ამ დღეს მოტანილი თხილის ტოტების შესახებაც, რომელთა კონას გუიზი ეწოდებოდა (ხოლო ამ დღეს მოჭრილ მსხლის ხეს ვუულს ეძახდნენ): სვანების ძველი რწმენით, რამდენადაც უფრო კარგი, ე. ი. უფრო მრავალკვირტიანი გამოდგებოდა ის, იმდენად უკეთესი მოსავალი ექნებოდა იმ წელს ოჯახს, და პირიქით, უკვირტო ან მცირეკვირტიანი გუიზის სახლში შეტანა ამ დღეს ცუდ მოსავლიანობას მოასწავებდა. მსხლის ხეს შეშხუამ ღამეს გარედან ააყუდებდნენ სახლზე, ხოლო გუიზს გაახვევდნენ ხავსსა და მცირე ნაკელში და სახლის კართან დადებდნენ გარედან მოფარებულ ადგილზე.

ამავე საღამოს, მზის ჩასვლამდე, მერბიელი, სახლის უფროსი ქალი, კერიასთან შემოდგომიდან შენახულ ,,ლამარია გუიზს'' გამოიტანდა და გამოაცხობდა სამ ცალ პურს: ერთი განკუთვნილი იყო ღვთაება ლამარიასთვის და ეწოდებოდა ლამარიაშ ლესკარ, მეორე დიდი ღმერთისათვის და ეწოდებოდა ხოშა ღერბეთიშ ლესკარ და მესამეს ,,მუქეღუ''-ს ეძახდნენ. ქორა მახუში გოჭის ფეხის ძვლით კერის წინ ამ ლესკარებს ააჭრელებდა და თან გაიძახოდა: ხარი, ხარი...ძროხა, ძროხა... ვაცი, ვაცი... ცხვარი, ცხვარი... ვაქიშვილი, ვაქიშვილი, ადამიანის მშვიდობა... ბედნიერი რძალი... და ა. შ.

ლამარიაშ ლესკარი ქალების საჭმელი პური იყო, კაცებს მისი შეჭმა არ შეეძლოთ, ხოლო ხოშა ღერთემიშ ლესკარის შეჭმა ქალებისთვის იყო აკრძალული, ის მხოლოდ კაცებს უნდა შეეჭამათ. რაც შეეხება მუქეღ-ს, მას შეინახავდნენ და როცა ნაახალწლევს ხარებს ყანაში ან ტყეში გაიყვანდნენ პირველად, მათ ამ კვერს შეაგებებდა წინ ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი: მარჯვენა მხრიდან მოუვლიდა, წინ დახვდებოდა და წარმოთქვამდა შემდეგ ლოცვას :,,ზაგ მგცადი ხოჩა ზაგ ლიცადალსუ ჯიცადიხ, ხოჩა ლიმშალელუშ ჯარხ! - ,,წლის შემცველი კარგ წელს შეგიცვლიდეთ, კარგი სამუშაო დღეები გქონოდეთ''. მესამე დღეს მუქეღუს ოჯახის წევრი მამაკაცები შეჭამდნენ ისე, რომ ნამცეცი არ დავარდნოდათ. ნამცეცის გადაგდებას ძალიან ერიდებოდნენ და ამიტომ სვანი მუქეღუს ჩოხის კალთაში (ლახზარალში) შეჭამდა შემდეგი სიტყვებით: შოდო ამის დო ახთხალდედ, ეჩქად მიშგუ მარცხ ნოსშ ხასმა - ვიდრე ამას არ მოძებნიდეთ, მანამდე ჩემი მარცხი არავის გაეგონოს.

ვახშმის გათავების შემდეგ ოჯახი შეუდგებოდა საახალწლო სამზადისს. მერბიელი გამოაცხობდა ე. წ. ლაჭშხიარს. მისი გამოცხობის პროცესს უნდა დასწრებოდა ოჯახის ყველა წევრი, წინაალმდეგ შემთხვევაში მას უფლება ეკარგებოდა მომავალი წლის ისეთ საიდუმლო დღეებზე დასწრებისა, როგორიცაა ,,მეგსარაბ'', ,,ლალჩა'', ,,ისგ ლილჩალ'', ,,ჭაბგობ''. განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნდათ ის, რომ ოჯახის წევრს შეშხვამ ღამეს შეეხედა სულებისთვის გაშლილი სუფრისთვის (ლიფანესათვის). თუ ამ დღეს ოჯახის ქალი ,,უწმინდურად'' შეესწრებოდა, რისთვისაც ის შეშხუამს ოჯახის გარეთ იყო დარჩენილი, - მასაც კი გაუტანდნენ გარეთ და შორიდან შეახედებდნენ ლაჭშხიარს. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ მას არ აღკვეთოდა წლის აღნიშნულ დღეებზე ქმრის ოჯახში რიტუალის დასწრება.

ლაჭშხიარს შეადგენდა ორი ლესკარი, მუქეღუ და მათზე ზემოდან დადებული ლეზომახის თავი, თუ ოჯახს საკლავი არ ჰყავდა, ყველის წველა ან კვერცხი. შეშხვამის ლიფანედან გადარჩენილ პურს თუ შემდეგში ნახავდა ვინმე, მას შეეძლო წლის საიდუმლო დღეობებზე დასწრება ამ ლიფანეს პატრონის ოჯახში. მაგრამ სვანების

უმრავლესობა ვერ ენდობოდა ასეთ ადამიანს და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისწრებდა მას თავის საიდუმლო დღეობებზე, თუ ეს პირი მის ოჯახში შეშხუამ ღამეს ლაჭშხიარის გამოცხობაზე იყო ნამყოფი.

ვახშმის შემდეგ ირჩევდნენ კენჭისყრით (ლიჯლაჳ) ორ მეკვლეს: ერთს ,,ქორა მგჭშხის'' და მეორეს ,,ქამე მგჭშხის'' რომელიც აგრეთვე შინაური მეკვლე იყო, მაგრამ შეშხვამ ღამეს სგირში არ დაიძინებდა და დარბაზში ან სხვაგან გაათევდა ღამეს. გოჭის ფეხის ძვლისგან გამოჭრიდნენ იმდენ კენჭს (ჯგლაჲ), რამდენი წევრიც იყო ოჯახში. ერთ მათგანზე ამოთლიდნენ ჯუარს და მას ,,ხოშა ღერმეთიშ ჯგლაჲ'' ეწოდებოდა, მეორეზე სწორ ზოლს ჩათლიდნენ და მას ,,ჯგგრაჭგი'' ჯგლაჲ ერქცა, ხოლო დანარჩენ კენჭებს უნიშნოდ ტოვებდნენ და თვითოეულ მათგანს ყუბ (ცარიელი) ეწოდებოდა. ვისაც ხოშა ღერმეთიშ ჯგლაჲ შეხვდებოდა, ის იქნებოდა ქორა მგჭშხი და ვინც ჯგგრაგი ჯგლაჲს ამოიღებდა, ის ქამე მგჭშხი უნდა ყოფილიყო. კენჭისყრით ხდებოდა აგრეთვე მეკვლე საქონლის არჩევაც იმ ოჯახებში, რომლებსაც შესახელებული სამსხვერპლო, ფისხუ ან ლგლგენე არ ჰყავდათ. როცა ოჯახში ფისხუი ჰყავდათ, მაშინ აუცილებლად ის უნდა ყოფილიყო ,,მგჭშხი'' (მეეკვლე) და კენჭისყრაც არ იყო საჭირო''.[1]

ჩვენს მიერ აქ მოტანილი ვერა ბარდაველიძის საველე ეთნოგრაფიული მასალა დაფიქსირებულია 1935 წელს ლატალის საზოგადოებაში.

როგორია სამოცი წლის შემდეგ შეშხვამის რიტუალი იგივე თემში და რა ახსოვთ დღევანდელ მთხრობელებს მოცემული მასალისაგან განსხვავებით.

ჩვენი რესპოდენტები სხვადასხვა ასაკისა და მოწოდებისანი არიან. აქედან გამომდინარე თვითეული მათგანის დამოკიდებულება ტრადიციის, როგორც ,,გარეგნული'' ფორმის, ისე მისი შინაარსისადმი, განსხვავებულია.

მცხოვანთათვის (80-90 წლის ასაკისანი) ტრადიციის წესისა და რიგის შეცვლა - გადასხვაფერება ყოვლად წარმოუდგენელია: მათთვის, წლებით განმტკიცებული - უცვლელი კანონიერებაა! აქედან გამომდინარე მათი ნაამბობი ვერა ბარდაველიძის მიერ დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალის იდენტური ხდება, თუმცა ისინი რამდენიმე სიახლესაც გვთავაზობენ.[2] აი ისიც:

,,შეშხუამს იკვლება მამრი ღორი (ტაჰ). მამრი იმიტომაა უკეთესი, რომ მისი კუბდარი ღვთაებისადმი[3] შეეწირება, მდედრისა (ნეზ) - არა. საკლავის დაკვლის შემდეგ გამოსაცხობია საკლავის მუცლის ქონის (ღვესე) კუბდარი ჴულის მომტანისათვის. ჴულს კარს გარეთ მიაყუდებდნენ - შემოსასვლელში (ჰაგაშ). შინ იყო შემოსატანი გუიზ - თხილის ტოტი - თავისი ნაყოფით დახუნძლული (მაშანშ ლგჩენჩხ). გუიზის ერთი ტოტი სამეკვლეოზეა (ლაჭშხიარ) ჩასარჭობი, დანარჩენი ლიფუანალის პირველ ღამეს (ადგომს) არის კერიაში დასაწვავი. ჴულის ტოტს შემომსვლელნი მოტეხდნენ და შინ შემოიტანდნენ. ზოგჯერ მას აყარზე (შგილ) შეაგდებდნენ. ამ ღამეს

---

[1] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, I, მეც, აკად. 1939წ. (ლატალი, სოფ. ლახუშდი, 97 წლის ბასლი ჩამგელანი. 1935 წელი). გვ. 90-95.

[2] ეთნოგრაფიული მასალა თავმოყრილია ჩვენს დღიურებში. იმის გამო, რომ თხრობისას განმეორებისათვის თავი აგვერიდებინა, იდენტურობის დამამტკიცებელ მასალას, ჩვენი მთხრობელების ნაამბობიდან, აქ არ მოვიტანთ. აღვნიშნავთ მხოლოდ განსხვავებულს; მათ მიერ მოწოდებულ სიახლეს, რომელიც თავის მხრივ ავსებს ზემოთქმულს.

[3] იგულისხმება, პირველ რიგში, ხოშა ღერბეთი - დროის და ყოვლიერების შემომქმედი.

გასაკეთებელია ,,ზისხრერები", დასაცხობია ლემზირები. ,,პირველად დავილოცებით წლის შემცველელ ღმერთის ან დალ შეშხუამის სახელზე. კარგი წლის დაბადებას შევსთხოვთ მათ". (ერთ-ერთს რომელსაც ვახსენებთ!) (ჯარ ქრისდეში ქრისტეშობის დღეს იხსენება, ამ დღეს არა! მთხრ.).ამის შემდეგ ამ შელოცილ პურებს (ლგმზგრე ლემზირალ) და ზისხრერებს ერთად ეუკურთხებთ გარდაცვლილებს (ლიფანე).

საახალწლო საკლავის (ლეზომახ) დაკვლისას და მისი ქონის კუბდარის შეწირვისას ვიტყოდით: დიდება მოგსვლოდეს ჯეჯგლამს, ღორს შემოგწირავ, გაგვიმრავლე ისინი, დიდება მოსასვლელო. ჯეჯგლამ, ღორების გამამრავლებელი და მფარველია. ქონის კუბდარებს მას შევეულოცავთ შემოსასვლელში, იქ სადაც ვული არის მიყუდებული ან ტყეში, სადაც ვულის მომტანი ვულს და გვიზს მოჭრის.

პურობის შემდეგ გამოსაცხობია სამეკვლეო (ლაჭშხიარ). ეს არის მუქელუ და ლამარიას გადაბრუნებული (ლგსპე დიარ) პური. (ყოველთვის ლაჭშხიარისთვის ცხვებოდა და ცხვება ორი პური: მუქელუ და ლამარა ლესკარი. მესამე პური ლაჭხიარისთვის არავის გაუგონია - მთხრ.). ამათთან ერთად, გამოსაცხობია ,,პუხულდები" 6 ან 9 ცალი. დილით, ახალ წელს, სადაც კი წახვალ, ეს პურები თან უნდა წაიღო და დადო ფქვილის შესანახ ადგილას, საკუჭნაოში, დარბაზში, კიდობებში, ყველგან - სადაც კი ქონებაა შენახული. აქ ისინი მომავალ შეშხვამამდე უნდა დარჩეს. დილისთვის დასამზადებელია სამეკვლეო (ლაშიაშალ) მასში შედის მუქელუ, ლამარა ლესკარ, ერთი წველა ყველი, გოჭის თავი (თუ საკლავი მოზრდილია - ზედა ყბა), გუიზი, განძი, (ვერცხლის სამკაული) ან ვერცხლის მანეთიანი. მათ ერთად ჩააწყობენ სათესლეში ლალაშ კარუა - ხის ცილინდრული ფორმის ჭურჭელი.

შეშხვამ ღამეს კენჭს უყრიდნენ მეკვლეებს: ცეცხლის დამნთებს (სგვებნე მგჭშხი), სახლის მეკვლეს (ქორა მგჭშხი), უკანა მეკვლეს (ღვეშგმე მგჭშხი) და გარე მეკვლეს (ჭმე მგჭშხი). დანიშნულ კენჭებს ერქვათ უნიშნო (ყუბ), წარმატებული (ლგნჯარ) და ცარიელი (ფუტუ). ესენი ვისაც შეხვდებოდა, იმის მიხედვით იმოქმედებდა მეორე დღეს ყველა თავ-თავის საქმეს.

სხვა ოჯახიდან მოსულ მეკვლეს ერქვა გარე მეკვლე. იგი სახლში (თავის მისაკვლელ ოჯახში) ბოლოს მოვიდოდა მაშინ, როდესაც აქ ყველას თავ-თავისი დავალება შესრულებული ჰქონდა. ეს მეკვლე იცვლებოდა მაშინ, როცა სამეკვლეო ოჯახში ვინმე გარდაიცვლებოდა".[1]

დღესაც, ჩვენს თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში ,,შეშხუამ"-ის დღეს იკვლება საგანგებოდ გასუქებული საკალანდო გოჭი (ოჯახის შეძლებისდაგვარად იგი მოზრდილი ღორიცაა - ,,ლეზომახ ტახ). მისი შიგნეულიდან მზადდება, ზისხრერები", ცხვება და მზადდება მეორე დღისთვის ,,ლაჭშხიარ" და ,,ლაშიაშალ კარუა", ტყიდან მოაქვთ ,,გუიზ", ,,ვულ", და ცხვება განსაკუთრებული დანიშნულების კვერი - ,,ჭირვატი". ამზადებენ შეძლებისდაგვარად ყველანაირ კერძს, რადგან რამდენადაც მდიდარი და მრავალფეროვანი იქნება ახალი წლის სუფრა ოჯახში, იმდენად მდიდარი იქნებაო ოჯახისთვის მთელი წელიც, აღნიშნავენ ისინი.

---

[1] მთხრ. საჯხე გირგვლიანი-გვიჩიანი, სოფ. იფხი, დაბ. 1904 წელს, ლატალი, 1995 წელი.

როდესაც „ზისხორები“ გამზადებული იქნება და წლის შემცვლელი ღმერთის[1] სახელზე შელოცილი „ლემზირები“ (ყველაზე მცირე 3 ცალი) უკვე მზად იქნება, მზადდება ლეფშნე - საკურთხი სუფრა.ამ სუფრას საკურთხად ემატება საგანგებო დანიშნულების ლემზირი - ჭირვშტი. იგი ცხვება შემდეგი წესით: პურის ცხობის დროს რამდენ პურის გუნდასაც გააკეთებენ, იმდენსავეს მოაჭრიან პატარა ნაწილს, თვითეულ მათგანს დაარქმევ იმ ნათესავ-მეზობლების სახელებს, ვინც შეიძლება მოგისწრონ მთელი წლის მანძილზე არსებულ საიდუმლო წესის (უწენშლე ლიზებ) შესრულებისას.

ჭირვშტი მრგვალი ფორმის მრავალქიმიანი კვერია შუაში ხვრელით. გამოცხობის შემდეგ მას ჩამოკიდებენ კერის თავზე, თვალსაჩინო ადგილას, რათა შემომსვლელმა ყველამ დაინახოს იგი. ამ კვერის გამოცხობით და შემდეგ მისი ნახვით „საიდუმლო რიტუალის“ (უწენშლე ლიზებ) დამსწრეს ე. ი. ოჯახის არა წევრს, ეხსნება რიტუალზე დასწრების უფლება. ოჯახის „უწენა“ მისთვის „ლგწენე“ (დანახული) ხდება - „იხსნება საიდუმლოება“.

ჩვეულებრივ, „უწენა“ (აკრძალული, არ დასანახი) მხოლოდ ოჯახის წევრებმა უნდა მიირთვან სხვის დაუსწრებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დღის ლოცვას ძალა და მნიშვნელობა ეკარგება. „ჭირვშტის“ ნახვით ოჯახისთვის ეს საშიშროება ქრება, რადგან ამ საშიშროებისაგან მას იცავს აღნიშნული რიტუალური კვერი.

ამრიგად, შეშხუამის ღამეს მიცვალებულთათვის საკურთხად (ლენფშნედ) აუცილებელია „ზისხორები“, უკვე შელოცილი ლემზირები (აღვლენილი ლემზირები - „ლგმზგრე ლემზირშლ“) და ლემზირი - ჭირვშტი. ზისხორები და ლემზირები „უწენაა“ და იმ ღამესვე ვახშმად უნდა იქნეს მირთმეული, ხოლო ჭირვშტი, როგორც აღნიშნული იქნა, კერის თავზეა ჩამოსაკიდებელი.

ამ პროცესის დამთავრების შემდეგ დიასახლისი კვლავ იწყებს პურის ცხობას: ამზადებს მეორე დღისთვის „ლაჭშხიარ“-ს (სამეკვლეო ტაბლები). აცხობს მცირე ზომის დახ. 5 სმ დიამეტრის, მრგვალ ულემზირო კვერებს (პუხულდარ). სამეკვლეოდ ამათ უმატებენ ჩირს, ტკბილეულს, კვერცხს, ერთ წველა ყველს, გოჭის თავს, ხილს, ხორბლის ან სიმინდის მარცვლებს... მათ ერთად ჩადებენ ერთ მოზრდილ ემალის ჭურჭელში და დილით მეკვლეს დაახვედრებენ მაგიდაზე სხვა სანოვაგესთან ერთად.[2]

ამით მთავრდება ახალი წლის სამზადისი ახალი წლის წინა დღეს.

ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალა პირობითად დაყოფილია ორ პერიოდად: „დღესასწაული წინათ“ და „დღესასწაული დღეს“ ამ ორი პერიოდის მიხედვით უფლება გვეძლევა ერთ სოფელში მიმდინარე დღეობის აღნიშვნის ტრადიციიდან გამოვყოთ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ეს კი, თავის მხრივ, ნათელს გახდიდა დღესასწაულის ტრადიციულ ფორმაზე დროის გავლენის და მისით განპირობებულობის ფაქტს.

---

[1] „დალ შეშხუამიშ“-ი შეიძლება ასი ოჯახიდან ერთმა ახსენოს - მათ, ვისაც ძლიერ მოხუცებული ჰყავთ ოჯახში და ტრადიციის აღნიშვნაც და წინამძღოლობაც „ლიმზირისას“ ისევ ამ მოხუცებული პირის ხელშია.

[2] საველე ეთნოგრაფიული მასალები, 1991-1995 წ. ლატალი.

ამ „ორი დროის“ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

ა) განმასხვავებელ ნიშანთაგან არსებითია:

1. „ლამპრია გრეზ“. დღეს ამ „წმინდად“ და საღვთოდ მოწეული ხორბლის ფქვილის მაგივრად საღვთო პურები ცხვება ჩვეულებრივ, „სხვაგან მოყვანილი“ ფქვილისაგან. აქედან მოყოლებული არ არსებობს ის ტრადიციაც როდესაც ხდებოდა „გრეზ“-ის წმინდად მოწევა და შენახვა-დანაწილება დიასახლისის მიერ რიტუალური დანიშნულებისათვის.

„გრეზ“-ის დანიშნულება კი იყო ერთადერთი - სალოცავად საჭირო საღვთო პურების („ლემზირების“) „შექმნა“. იქნებოდა იგი განკუთვნილი ღვთაება „ლამპრიასთვის“, ღვთაება „ბარბოლისთვის“, „მაცხვარისთვის“ თარინგზელებისთვის თუ სხვა სახელწოდების „წმინდანებისთვის“.

„გრეზ“-ის წმინდად მოწევა გულისხმობდა ქალის და სოფლის სიწმინდეს საგრეზედ განკუთვნილი მიწის ნაკვეთის ხვნით დაწყებიდან, მოყვანილი ხორბლის ფქვილის შენახვით დამთავრებული. (შენახვის შემდეგაც „საგრეზე“ კიდობნის მიკარება „უწმინდურ“ ქალს არ შეეძლო). გრეზ-ისთვის გაწეული სამეურნეო საქმიანობისას ქალს დედათა წესი არ უნდა ჰქონოდა, სოფელში კი მკვდარი არ უნდა ყოფილიყო. ამ მნიშვნელოვანი გარემოებით ხდებოდა ხორბალი „გრეზ“ და ამავე გარემოების გამო, მის ზოგად სახელწოდებას განმსაზღვრელად ემატებოდა „წყლიან“ და, ვღებულობთ „წყლიან გრეზ“-ს ანუ, „წმინდა გრეზ“-ს. (შესაბამისად „წყლიან ზურალ“).

2. არ სრულდება „ანჭი-კრანჭი“-ს წესი. შესაბამისად არ ცხვება ცერცვის გულიანი ლემზირები. არ აღევლინება („შეეწირება“) ღვთაება „დალ შეშხრამიშ-ს თეთრი, წმინდა ფქვილი.

3. მივიწყებულია ტრადიციის ის წესი, როდესაც შეშხრამის ნალოცი ფქვილისაგან ქალები „ლიდბაშის“ გადაიხდიდნენ და მის მეორე ნახევარს კი ერთგულ მეზობელს გაუცვლიდნენ ხელის ახსნის მიზნით.

4. არ არსებობს საკალანდო საკლავის ოჯახის რომელიმე წევრის (იგულისხმება ქალთა სქესი) კერძო ქონებიდან გამოყვანის წესი, რადგან არ არსებობს ოჯახში ქალის ქონების სათავნოს ტრადიცია: შინ შემოსული ქონება ყველასია.

5. „ჴულის“, „გრეზ“-ის და „ჴყერულ“ (თეთრი ქვა) მომტანისთვის ცხვებოდა ან ყველიანი პური ან „გოჭის“ (გოჭი - პირობითია, რადგან იგი უმეტესად მოზრდილი საკლავი იყო) ქონის (ღვესე) კუბდარი. ორივე „ლემზირი“. არც ეს წესი არსებობს დღეს, ამასთან ერთად, არც ამ პურების ღვთაება „ჯეჯგლამ“ (დალ ჯეჯგმიშ) -ისთვის შეწირვის წესი. (ღვთაება „ჯეჯგლამ“ ღორების გამამრავლებელიაო - გვიკონკრეტებს მთხრობელი).

6. დაიკარგა „მუქელრ“-სა და „ლამპრია ლესკარ“-ისადმი განსაკუთრებულობის გრძნობა: რომ „მუქელრ“ აუცილებლად მამაკაცებმა უნდა მიირთვან და „ლამპრია“-ს სახელობის „ლესკარი“ კი ქალებმა. რომ „მუქელრ“კარებთან კაცებმა ახალი წლიდან სამუშაოდ პირველად გაყვანილ ხარებს უნდა დაახვედრონ და ა.შ. არ ხდება გოჭის ფეხის ძვლის კვრით ამ პურების აჭრელება და საერთოდ, ტრადიციის ამა თუ იმ წესს, რომელსაც ოდნავადაც კი გააჩნდა სიმბოლური (სამეცნიერო ტერმინით: „მაგიური“) დატვირთვა ის დღეს, ან ძალზე „განეიტრალებულია“ ან საერთოდ დავიწყებულია არა თუ აზრის, არამედ წესის არსებობაც. ეს კი ქმნის ძირითად განსხვავე-

ბას ტრადიციის „წინანდელსა“ და „დღევანდელ“ სახიერებას შორის.

7. არ ირჩევენ მეკვლეს „ჯგლაᲂ - ლიჯლᲂეთი“ (კენჭისყრა - მკითხაობა); წარსულიდანვეა ცნობილი რომელი თემის რომელ ოჯახს „რა ფეხი“, „რა ხელი“ და „რა გული“ მოჰყვება. მეკვლედ უმეტესად ბავშვებს ნიშნავენ.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნულ საზოგადოებაში და, საერთოდ, სვანეთის სინამდვილეში, დღეს უკვე არ არსებობს ყველა ოჯახისთვის, როგორც ეს უწინ ხდებოდა, ტრადიციის აღნიშვნის მეტ-ნაკლებად ზუსტი წესი. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც წარსულისგან განსხვავებით, დღევანდელი ეთნოგრაფიული ველი, საზოგადოების რწმენის და მოწოდების სიჭრელის გამო, ძალზედ თავისებურია.

სწორედ ამ ფაქტის ნიადაგზე ჩვენ ვხმარობთ სიტყვა „წესიერებას“, როგორც „წესის“ მრავლობითობას; დღეს ტრადიციული დღესასწაულების აღნიშვნას უფრო ინდივიდუალური სახე ეძლევა ვიდრე ტრადიციული.

ტრადიციაა ყველა სვანის ოჯახისთვის ახალი წლის აღნიშვნა, მაგრამ მისი აღნიშვნა ტრადიციული ფორმით (წესით) კი არ ხდება, არამედ სხვანაირად - „წესიერებით“. მაგ: აღნიშნულ დღეობისას წესი იყო ტყიდან ᲩᲣლის და გᲩიზ-ის მოტანა დილით ადრე უბრად მამაკაცის მიერ, მაგრამ ᲩᲣლიც და გᲩიზიც დღეს შეიძლება, მოიტანონ დილის მაგივრად შუადღეზე, ან საღამოს, ან თუნდაც, წინადღის საღამო ჟამს. ასეთი მცირე ნიუანსები სიმყარეს აცლის ტრადიციის აღნიშვნის წესს და, როგორც ვთქვით, ვღებულობთ „წესიერებას“, როგორც ტრადიციის ერთი წესის „მრავალფეროვან“ სახიერებას. მსგავსი ნიუანსების ცვლილებამ შეიძლება საბოლოოდ მიგვიყვანოს შედეგამდე: ვერ გავიგოთ ამა თუ იმ ტრადიციის წესის შინაარსი და როდესაც ეს რელიგიის სფეროს ეხება, ვერ გავითავისოთ ხალხის ვერც მსოფლხედვა და ვერც მათი ქმედების (ვგულისხმობთ დღეობათა აღნიშვნის ყოფით - „ხილულ“ მხარეს) არსი. ანუ, დავინახოთ მხოლოდ „რა“ - „როგორ“ ხდება და ვერ გავიგოთ მისი მიზანი - „რატომ“ აღნიშნული გარემოების გამო დღეს უკვე შეუძლებელია თუნდაც ორი ძმის ოჯახში ერთნაირი სიზუსტით აღინიშნოს ესა თუ ის ტრადიციული დღე. წესის შემსრულებელნი ხომ ადამიანები არიან, მაგრამ, როგორც არა „კონსერვატორები“ (წესის უცვლელად შემსრულებელნი), არამედ „ლიბერალები“ - ტრადიციის ზედაპირულად გამთავისებელნი. აქვე ჩნდება მეორე მხარეც: ტრადიციის ძველი სახე იცრიცება და დღევანდელ ყოფაში იგი „უფერო“ ხდება. ზერელე და უსულგულო დამოკიდებულება დღის აღნიშვნისათვის მომაბეზრებელი და უინტერესოცაა. მკვლევართათვის კი არაფრის მომცემი.[1] ჩანს, ლოცვისას როგორც მლოცველისთვისაა (იქნება იგი ქრისტიანი თუ არაქრისტიანი, წარმართი თუ მუსლიმი) რწმენა აუცილებელი ისე, დღესასწაულების აღმნიშვნელთათვის, რიტუალის ყველა ქმედითი ნიუანსისადმი, რწმენითი დამოკიდებულებაა საჭირო და აუცილებელი. თუ კი ეს წონასწორობა დარღვეულია, დღესასწაულის დღე ჩვეულებრივი დღის ტოლფასი ხდება ეცლება ის დვრიტა, რომელიც რწმენამ „ჩადო“ ჩვეულებრივ დღეში მის დღესასწაულად გადაქცევისათვის.

აქედან გამომდინარე, ჩვენც გვევალება მათი (ხალხის) ნამოქმედარი რწმენით გავითავისოთ და არ ამოვაცალოთ ის ხედვა, რომელიც ყოფით ნიუანსებს წესად აყა-

---

[1] ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველა ადრინდელ ეთნოგრაფიულ მასალას, ჩვენთვის, ისტორიული წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. რის გამოც, მათ აქ მთლიანად მოტანას შეგნებულად არ ვერიდებით.

ლიბებს, დღეს კი - დღესასწაულად გადმოგვცემს.

არ დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ რწმენაზე XX საუკუნის მანძილზე მომხდარმა საზოგადოებრივმა მოვლენებმა მეტი გავლენა იქონია, ვიდრე ადრინდელმა საუკუნეებმა: დღემდე მოღწეული ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც სვანეთში და საზოგადოდ მთაშია ,,დაკონსერვებული'', შორეული წარსულისაა. უმერთობის ,,პერიოდში'' ადამიანის ფსიქიკაში ,,საკუთარის'' აკრძალვით და ,,სხვისი'' (უმერთოსი) რწმენის ,,დამყნობით'' შეიცვალა როგორც ადამიანის ზნეობა, ისე მისი ტრადიციისადმი (და შესაბამისად უფლება მოვალეობებისადმი) დამოკიდებულებაც. თუკი ადრინდელთათვის საუკუნეებით გამოწრთობილის შთამომავლობისათვის გადაცემა იყო ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა, დღევანდელთათვის იგი სასაცილო გახდა; ზოგმა ვერც წარსულისა გაიგო და ვერც დღევანდელობაში დაიმკვიდრა ადგილი. არადა ღვთის რწმენა და მასზე დაფუძნებული ტრადიციები (საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში) იმთავითვე იყო ადამიანის ზეობისა და მორალის საწყისიც, თვითეული მათგანის უფლება-მოვალეობის განმსაზღვრელი.

ბ) საერთო ნიშნები;

,,ორი დროის'', ერთი და იგივე დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციას შორის საერთო ნიშანთაგან არსებითია:

1) საკალანდო გოჭი.

2) ,,წლის შემცვლელი ღმერთის'' (ზაᲂ ყერი მგცᲐდი ღერბეთ) ან ,,დᲐლ შეშხუᲐმის სახელზე ლოცვა. მათი ხსენება, როგორც წლის შეცვლის ძალის მქონესი.

3) შენალოცი პურებით გარდაცვლილთათვის სუფრის კურთხევა. საკურთხად, ,,ზისხორების'' დამზადება.

4) საიდუმლო შესალოცი პურები და მათი საიდუმლოდ ზიარების წესი (უწენᲐლ, ,,უწენᲐლე ლიზებ''). ლემზირი - საწესო კვერი - ,,ჭირვᲐტი''.

5) ვახშმობის შემდეგ სამეკვლეო ტაბლების და სამეკვლეო კალათის მომზადება დიასახლისის ან მეკვლის მიერ და მისი შემადგენლობა (,,ლᲐჭშხიᲐრ'', ,,ლᲐლᲐშ კარუა'' || ,,ლაშიᲐშᲐლ'').

6) ტყიდან მამაკაცის მიერ გუიზ-ის, ჭყერუს და Აულ-ის მოტანა.

7) მეკვლის შერჩევა და შეცვლა მაშინ, როდესაც ოჯახის რომელიმე წევრი გარდაიცვლება.

წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალის ნიადაგზე აქ ჩამოთვლილი საერთო ნიშნები განაპირობებდა ,,შეშხუᲐმი''-ს ტრადიციულ სახეს. ჩანს ყოველივე ეს იყო საჭირო იმისათვის, რომ შეშხუᲐმის ღვთაებას ახალი ,,ეშეშხუამა'' (მოევლინა) მოსახლისათვის.

აღნიშნულის შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ ამ დღესასწაულის აღმნიშვნელი დღის დროებად დანაწილებაზე, ანუ წარმოვადგინოთ უფრო კონკრეტულად ის, თუ დღის რომელ მონაკვეთში რა ძირითადი წესები სრულდებოდა, როგორც ქალების, ისე მამაკაცების მიერ.

„შეშხუამ“ || „ჲეშხუამ“-ის დროებად დანაწილება

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „შეშხუამის“ და შესაბამისად ახალი წლის („მახე ზაᲥ“-ს) დღესასწაულს ახლდა წინა მოსამზადებელი პერიოდიც. ეს ეხებოდა როგორც შესაწირი საქონლისთვის ზრუნვას (მის გასუქებას), ისე სალემზირე ხორბლის ფქვილის მოყვანა-დაბინავებას. აქვე შეგვიძლია ხაზი გავუსვათ ორ მნიშვნელოვან გარემოებას; 1) საკლავი საქონელი, აღნიშნული დღისთვის განკუთვნილი, გამოიყოფოდა ქალის სათვნო ქონებიდან. და 2) საგვიზე მიწის მოხვნის შემდეგ გვიზის მოწევა სრულდებოდა ზრდასრული ქალების მიერ. ქალების სიწმინდე „ქმნიდა“ ჩვეულებრივ ხორბალს საგვიზე ხორბლად!

ამრიგად, ეს ორი მნიშვნელოვანი გარემოება (შესაწირი საქონელი და სალემზირე ფქვილი) ქალის „კუთვნილი“ და ქალის „შექმნილი“ იყო. ძველად დღესასწაულის აღნიშვნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა წესის შესრულებას მისთვის განკუთვნილ დროში. დაუშვებელი იყო გამთენიის საქმე საღამოს ვახშმობამდე ან ვახშმობის შემდეგ შესრულებულიყო და, პირიქით. ამით დღესასწაულის აღნიშვნა მისი წესების რიგობრივი შესრულებითაც განისაზღვრებოდა. წესის რიგობრივი ქმნა („წესრიგი“) კი, ჩანს, არა მარტო დღესასწაულის დღის აღნიშვნისთვისაა აუცილებელი...

რა ძირითადი საქმიანობა სრულდებოდა დროში რიგისდა მიხედვით:

ა) ადრიანი დილა (ლირჰᾶლ), ალიონი.

1) ოჯახის უფროსი დიასახლისი (ხოშა ზურᾶლ || დისხᾶლ || მერბიᲩᲔ)[1] აცხობს „ლამᾶრიᾶ გᲩიზ“-ისაგან ცერცვისგულიან ლემზირებს. ოჯახის წევრთა რაოდენობით. სალოცავ სარკმელთან თვითონვე შესწირავს ამ ლემზირებს შეშხᲩᾶმის მფარველ ღვთაებას „დᾶლ შეშხᲩმიშს“. ამ ლოცვის შემსრულებელი შეიძლება მამაკაციც ყოფილიყო. სვანეთში არ იყო მკაცრად განსაზღვრული წესი იმისა, საოჯახო დღეობებისას რომელი იქნებოდა მლოცველი ქალი თუ კაცი. ოღონდ იგი ყოველთვის ასაკით უფროსი უნდა ყოფილიყო: კაცებიდან კაცი, ქალებიდან ქალი. თუ ოჯახში ასაკით უფროსი მამაკაცი არ არის, ოჯახის მლოცველი ქალია. ლოცვისას კარ-სარკმელი დახურულია.

2) ცერცვისგულიანებით ზიარება ოჯახის წევრების მიერ.

3) მლოცველის მიერ თეთრი ფქვილით სავსე ჭურჭლის („კარᲩა“) სალოცავ სარკმელთან დᾶლ შეშხვამისთვის (შეწირვა) აღვლენა; სარკმელის ცოტაზე გამოღება და ფქვილის მზის სხივისთვის, ან თუ მზე არ იყო, დღის სინათლისთვის დანახვება.

4) „ლეზᲩმᾶხის“ შეწირვა, დაკვლა და დაჩარექება მამაკაცის მიერ ისევ დᾶლ შეშხᲩᾶმისთვის.

ბ) ვახშმობამდე ანუ მზის ჩასვლამდე. („ნᾶბზᾶ პილთე“)

1) დისხᾶლის მიერ პურების ცხობა:

ერთი ყველჩართული ლემზირი ან ერთი ცალი გოჭის ქონის კუბდᾶრი (ლემ-

---

[1] ხოშა ზურᾶლ - დიდი ქალი. დისხალ - დიასახლისი, მერბიᲩᲔ - პურის მცხობელი. ეს ქალი „დიდია“ იმიტომ, რომ დიდია მისი ვალდებულებაც; დიასახლისობა და ოჯახის დაპურება არ იყო უმნიშვნელო. პირიქით, აღნიშნული განაპირობებდა ოჯახის არსებობას, მის ძლიერებას და უძლურებას, ღირსებით ყოფნა-არყოფნას.

ზირებიანი) - ტყეში წასაღებად. 3 ცალი ცარიელი ლემზირები ,,წლის შემცვლელი'' ძალის მქონე ღვთაებისთვის სალოცავად განკუთვნილი. 1 ცალი განსაკუთრებული დანიშნულების პური - ,,ჭირვᾶტი'' და გარდაცვლილთათვის საჭირო საკურთხი პურები. საკურთხი სახსნილო საჭმელებით ივსება.

2) გარდაცვლილთათვის ,,ზისხᾶრების'' დამზადება.

3) სალოცავ სარკმელთან წლის შემცვლელი ღმერთისთვის ლემზირებით ლოცვა.

4) ლოცვის შემდეგ გარდაცვლილთა სუფრის კურთხევა. ვახშმობა.

5) სუფრის კურთხევის შემდეგ ერთ-ერთი მამაკაცის მიერ ტყეში წასვლა, თან სალოცავი პურის და ნაჯახის წაღება.

6) ტყეში მის მიერ მრავალკვირტიანი თხილის ტოტის - გᾶიზის მონახვა, მსხლის ხის მსხვილი ტოტის მოჭრა. თეთრი ფერის ქვის მონახვა და ამათთან ერთად ხავსის თან წამოღება სახლში რიტუალური დანიშნულებისათვის. ,,ᾶულის'' და ,,გᾶიზ''-ის მოსაჭრელად ამორჩეულ ადგილას მის მიერ ჯეჯგლᾶმ || დᾶლ ჯეჯგმისთვის სალოცავი პურის ,,შეწირვა''.

7) ,,მერბიᾶლის'' მიერ ისევ პურების დაცხობა ამჟამად, ,,ლაჭშხიᾶრის''-თვის განკუთვნილი პურების: ვერა ბარდაველიძე აღნიშნული საზოგადოების ეთნოგრაფიულ ყოფაში ადასტურებს სამი სახისა და დანიშნულების პურს, რომელიც ,,ლაჭშხიᾶრ''-ის შემადგენლობაში შედის. ესენია:

1) დიდი ღმერთის სახელობის პური - ,,ხოშა ღერბეთიშ'' ლესკᾶრი.

2) ლამარიას სახელობის პური - ,,ლამარიას'' ლესკარი.

3) ხარებისთვის განკუთვნიოლი პური - ,,მუქეღᾶ-ი''.

ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით ამავე საზოგადოებაში მთხრობელების მიერ უარყოფილი ხდება ,,ლაჭშხიარ''-ში აღნიშნული სამი დასახელების ანუ სამი სხვადასხვა დანიშნულების პურის არსებობა. ისინი ამბობენ, რომ ,,ლაჭშხიᾶრ''-ში შედის და შედიოდა მხოლოდ და მხოლოდ ორი პური 1) დიდი ღმერთის სახელობის პური, რომელსაც ჰქვია ,,მუქოღი''-ც და ,,ხოშა ღერბეთიშ ლესკარ''-იც. 2) ლამარიას სახელობის პური - ლᾶმᾶრიᾶ ლესკᾶრი.

ამ ეტაპზე კი ჩვენთვის მთავარია, რომ აღნიშნულ დროში სრულდება მერბიელის მიერ ,,ლამᾶრია გᾶიზ''-ისაგან ,,ლაჭშხიარის'' პურების დაცხობა: ამ დროშივე დიასახლისი აცხობს ულემზირო პატარა ბურთულა კვერებს 6 ან 9 ცალის რაოდენობით. (,,კოკონᾶლᾶრ'' || ,,პუხულდᾶრ''). ამ პურების ცხობას ოჯახის ყველა წევრი უნდა დასწრებოდა. ე. ი. ეს პურები ცხვებოდა ,,გᾶიზ''-ის მომტანის ტყიდან დაბრუნების შემდეგ.

4) უფროსი მამაკაცის მიერ ლᾶჭშხიᾶრ ლესკრების დაჭრელება კერასთან გოჭის ფეხის ძვლით.

გ) საღამო მზის ჩასვლის შემდეგ (- ლᾶეთ!)

1) ,,ლᾶშიᾶშᾶლ''-ის დამზადება.

2) კენჭისყრა: მეკვლეთათვის და კენჭისყრა მეკვლე საქონლისათვის.

3) ,,გარე მეკვლის'' გაფრთხილება, გაგებინება მისთვის იმისა, რომ იგი არჩეული მეკვლეა.[1]

---

[1] აღნიშნული წეს-რიგი განეკუთვნება შეშხუამის ლატალურ ტრადიციას.

„ზუმხა“ || „ზომხა“ — ახალი წელი
„კუიმტარ — ახალი წლის მეორე დღე

,,ზომხას დილით, გათენებამდე, ქორა მგჭშხი წამოიკიდებდა ზურგზე ლალაშს, ცალ ხელში წყლის ცარიელ ჭურჭელს დაიჭერდა, მეორეთი მეკვლედ არჩეულ ხარს ან ცხენს გაიყვანდა და წავიდოდა წყაროზე... წყაროზე მისვლისთანავე მეკვლე ხელპირს დაიბანდა, ილოცებდა, ხარს წყალს დაალევინებდა. წყაროზე, ან გზაში სხვადასხვა ოჯახების ქორა მგჭშხიები ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, მისალმების შემდეგ ერთი-მეორეს არყით სავსე სასმისებს შესთავაზებდნენ და თან ეტყოდნენ: - ასე სავსე გაისამაც მისდგომოდე!

თავისი სახლის კართან მისვლისას, ქორა მგჭშხი დაიძახებდა: - კარი გამიღე, ბედნიერო, - შინიდან შეეკითხებოდნენ - რა მოგაქვს, შე ბედნიერო? ამაზე მეკვლე უპასუხებდა: - ადამიანთა მშვიდობიანობა, ხარების ჯოგი, კარგი წლით შეცვლა უმარცხოდ, უზიანოდ.

ამ სიტყვების შემდეგ ის მარჯვენა ფეხით შევიდოდა სახლში, კერიას გარს შემოუვლიდა ლოცვა-ვედრებით, ხარსაც შემოატარებდა, შემდეგ ხარს ბოძზე მიაბამდა, თივას დაუყრიდა და ლაჭშხიარს სუფრის გვერდით დადგამდა. ამასობაში ოჯახის წევრები ლოგინიდან წამოიშლებოდნენ, მეკვლის მიერ მოტანილი წყლით, რომელსაც ლგჯე (რძე) ეწოდებოდა, ხელპირს დაიბანდნენ, საუკეთესო ტანისამოსში გამოეწყობოდნენ, ფეხსაცმელში ახალ წერექუს ბლომად და მსუბუქად ჩაიფენდნენ და ფეხსაცმელს ისე ჩაიცვამდნენ, რომ წერექუი გარეთ გამოფენოდათ - მთელი წლის განმავლობაში დოვლათიანად და მსუბუქად ვივლითო, და კერიის პირას დასხდებოდნენ. ამ დროს სრულდებოდა ე. წ. ლიშიაშალ-ი: ქორა მგჭშხი ხელში მუქეღუს და ღორის თავს დაიჭერდა, ოჯახის წევრებს ჩამოუვლიდა და თვითოეულს ცალკე მარჯვნივ დაუტრიალებდა მუქეღუ-სა და ღორის თავს და ეტყოდა: - კარგი წლის შეცვლამც გქონებოდეს საქონლის მატებით, ზრდით, მშვიდობიანობით, უმარცხო, გაუჭირვებელი წელიწადი გქონოდეს: შენი და შენი ერთგული ადამიანის მშვიდობიანობით, მრავალი წლის შეცვლით, კარგ გულზე მოსწრებით.

დალოცვილი ოჯახის წევრი მუქეღუ-ს აკოცებდა და არყით სავსე სასმისს გამოსცლიდა, როდესაც ლიშიაშალს გაათავებდნენ, მერბიელი გაშლიდა სუფრას, რომელზედაც ღორის ხორცს, მის თავს და ნაჭშხურას მიიტანდა. უკანასკნელს არასოდეს დაანახვებდნენ ოჯახისათვის უცხო პირებს და ამიტომ საუზმიდან მორჩენილ მის ნაწილს დაფარულ ადგილას შეინახავდნენ ხოლმე, უცხოს თვალი არ მოხვდესო.

ამის შემდეგ მოდიოდა ქამე მგჭშხი. ის სახლის კარს რომ მოადგებოდა, დააკაკუნებდა. შინ მყოფნი მას ლალაშს შეაგებებდნენ საახალწლო შემოსალოცით. ლალაშით დატვირთული გარეშე მეკვლე შევიდოდა სახლში, კერიას გარს შემოუვლიდა, შემდეგ მის უკან (კაუეშგიმ) საფუართან დაგორდებოდა და დაიძახებდა - ასემც დაგგორებოდეთ წელიწადი!

ამას ყველა სიცილ - მხიარულებით ხვდებოდა. შემდეგ გარეშე მეკვლე ლიშიაშალს შეასრულებდა და ყველანი სადილად დასხდებოდნენ. ქამე მგჭშხის დაასაჩუქრებდნენ ან საქალამნე ტყავით, ან ხუთიოდე მანეთით და ჯიბეში აუცილებლად წერექუის კონას ჩაუდებდნენ და ისე გაისტუმრებდნენ.

ნაჭშხუნის მექეღუ-ს ოჯახის წევრთაგან მხოლოდ მამაკაცები ჭამდნენ. ჭამის დროს ისინი ცდილობდნენ ნამცეცი მიწაზე არ დავარდნოდათ და ამიტომ ჩოხის კა-

ლთას გაიშლიდნენ წინ, ან ქუდში შეჭამდნენ. მეჟელუ-ის ნამცეცს თუ ვინმე ფეხს დაადგამდა, მას ფეხის ტერფი დაუბერდებაო, - ამბობდნენ სვანეთში. ვინც ამ დღეს სვანის სახლში შევიდოდა, შინაური იქნებოდა ის თუ გარეშე, სახლის კიდეზე მიყუდებულ ჴულ-ს ტოტს მოსტეხდა, სახლში შესვლისთანავე მას სხვენზე შეაგდებდა და თან წლის შემცველელ ღმერთს ახსენებდა.ზომხა დღეს თოვლზე ციგაობა იცოდნენ, დიდი და პატარა უკუღმა შეაჯდებოდა მარხილს ან ციგას და თითოჯერ მაინც გასრიალდებოდა - წლის განმავლობაში ზურგი მაგარი გვექნებაო. ახალ წელიწადს ბედობა დღე იყო. ამიტომ ამ დღეს მამაკაცები ნედლ ხეს გააპობდნენ. ქალები ცოტაოდენს დართავდნენ და გაკერავდნენ რამეს, მონადირე ცდილობდა ფრინველი ან ნადირი მოეკლა - წლის განმავლობაში ნადირობა კარგი მექნებაო; სასესხებლად მოსულ მეზობელს არას დაუჭერდნენ და ხელცარიელს არ გააბრუნებდნენ, მხიარულობდნენ, ჩხუბს ერიდებოდნენ, ყოველ საქმეში, რომელსაც კი ამ დღეს წამოიწყებდნენ, გამარჯვებას ცდილობდნენ, რათა წლის განმავლობაში ყველაფერში გამარჯვებული გამოვიდეთო.

შეშხუამ ღამეს მოტანილ ჴულს (ერთს მსხლისა და მეორეს არყის ხეს) ლიფანალიმდე ეზოში შეინახავდნენ და მხოლოდ ლიფანალს შეჰქონდათ სახლში.ახალწლის შემდეგ, პირველად რომ შეშის მოსატანად წავიდოდნენ ტყეში, შეშის ზემოდან მარხილზე აუცილებლად ნაძვის ხეს დადებდნენ და უკან ისე გამობრუნდებოდნენ; ეს დღე, სვანების რწმენით, ზომხას გამოყოლილი დღე იყო".[1]

ჩვენი მთხრობელი „ზომხა"-ს ტრადიციას შემდეგნაირად გადმოგვცემს; ზომხა დღეს პირველად ის პირი ადგებოდა ვისაც ევალებოდა ცეცხლის დანთება, წყაროზე გასვლა და საქონლით მეკვლეობა. ამ პირველ მეკვლეს (|| ლემსგი მგშე || ქულუმგენოშ მგჭშხი!) ერქვა პირველი, წინა მეკვლე - „სგვებნე მგჭშხი". ცეცხლის დანთების შემდეგ აიღებდა ხელში ლაალაშ ლაჭშხიარს, საკმეველს, დააკმევდა მას ბაგის კარებთან, გამოიყვანდა მეკვლე ხარს, ან ყველა საქონელს ერთად და გავიდოდა წყაროზე მეკვლე ხართან ერთად ლალაშით და წყლის ჭურჭლით (ტოხარ). წყაროზე პირს დაიბანდა, ხარს წყალს დაალევინებდა, დაილოცებოდა და დაბრუნდებოდა სახლში წყლით სავსე ჭურჭლით, ლალაშით და მეკვლე ხარით. ხშირად ეს მეკვლე ცეცხლს შინ შემოსვლის შემდეგ დაანთებდა და ამის მერე, დალოცავდა (ჩაშიაშიდა) ყველას ხელისახსნის წესით.

მის მიერ ლიშიაშის შესრულების შემდეგ შინაში შემოდიოდა „სახლის მეკვლე" - ქორა მგჭშხი. მას ყოველთვის სხვაგან აწვენდნენ, სახლში, მაგრამ არა იქ, სადაც სხვებს ეძინათ. „სანამ გავთხოვდებოდი, მე ვიყავი ჩემი ოჯახის სახლის მეეკვლე, ამიტომ ყოველთვის სახლის მეორე სართულზე, დარბაზში მაწვენდნენ. მე შესვლისას კარებთან ლალაშს დამახვედრებდნენ შესასვლელში და მისით შევდიოდი შიგნით. შესვლისას მეკითხებოდნენ რა მოგაქვსო, მე კი ყველაფერ საუკეთესოს ჩამოვუთვლიდი: წლის სიბეჯითე, კარგი დრო და ჟამი, სიმრავლე, სიდიდე, სიუხვე". შემოსვლის შემდეგ ეს მეკვლე (ქორა მგჭშხი ჭაშხანისგა მგჭშხი) საქალებო მხარეს (კავეშგიმ) კერიასთან უნდა დაგორებულიყო და ეთქვა ასეც დაგგორებოდეთ ახალი წელიო, იტყოდა. ამის შემდეგ შინ უნდა შემოსულიყო „ღვეშგმე მგჭშხი" - „უკანა მეკვლე". ეს მეკვლე

---

[1] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, 1939 წ. გვ. 138-141. ზომხა ლატალური.

ან დედაჩემი იყო ან მამაჩემი. რომელიც იქნებოდა არჩევით, ის იმ ღამეს ჩემთან დაიძინებდა - მეც შენნაირი ნაფეხარი მექნებაო. ამ მეკვლის შემოსვლა საქონლის სიმრავლის მხრიდან იყო, ჩემი ადამიანის მშვიდობიანობისა და მოსავლის სიუხვიდან!

უკანა მეკვლესაც ჩემს მსგავსად დაახვედრებდნენ ლალაშს კარებთან და შინ შემოსვლის შემდეგ ისიც კავეშგიმ დაგორდებოდა სიტყვებით: ასეც დაგგორებოდეთ ახალი წელიო.

წესით მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემოსულიყო ,,ქუმე მგჭშხი". ჩვენს ოჯახს (ქორს) ამ მეკვლის შემოსვლა იმდენად არაფრად არ მიგვაჩნდა რადგან, ჩვენით წესის შესრულება ძალიან კარგად გვქონდა დაცდილი. ამის შემდეგ იმართებოდა ლხინი - გართობა, არავინ ერიდებოდა ერთმანეთში მისვლას, ყველა მხიარულობდა წლის შეცვლას".[1]

ახალი წლის მომდევნო დღეებს ლიფანალიმდე ერქვა კვიმატები. ლიფანალი კი იწყებოდა ახალი წლის დღიდან მეხუთე დღეს. ლიფანალის პირველ დღეს ერქვა ადგომ. კვიმტარის საწესო ქმედება ხდებოდა პირველ დღეს ანუ ზომხას მეორე დღეს.

ლატალური კვიმტარის ძველი წეს-ჩვეულების წარმოსაჩენად ისევ ქალბატონ ვერას ეთნოგრაფიულ მასალებს მოვიშველიებთ:

,,კუიმტობ"-ი ახალი წლის მეორე დღეს ერქვა. ის მეტად უკულმართ დღედ მიაჩნდათ და ამიტომ ერიდებოდნენ ახალი საქმის დაწყებას, ერთმანეთში მისვლა-მოსვლას, სახლიდან რისიმე გატანა განათხოვრებას. რაც უნდა კარგი დღე იყოს კვიმტობაო, ამბობდნენ მოხუცები, მას აუცილებლად ცუდი მთვარე დაეწევა და დღეს გაიფუჭებსო. მაინც კარგი იყო თუ კუიმტობს 9 ან 7 მთვარე შეხვდებოდა. ამ დღეს გარეკავდა საქონელს წყაროზე ის პირი, რომელმაც მათ ზომხა დღეს წყალი დაალევინა. სვანების რწმენით, კუიმტობის განმავლობაში რომელიღაც ერთი წუთი, ბედნიერი იყო, მაგრამ როდის დადგებოდა ეს წუთი ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდაო. ქალები ამ დღეს ე. წ. გიმი ლიმზირს აწყობდნენ - სადილის შემდეგ მამაკაცები გავიდოდნენ სახლიდან გარეთ და ქალებს დატოვებდნენ. მერბიელი გამოაცხობდა სამ ან მეტ ცალ ლემზირ-ს, შემდეგ კა-კერის მარჯვენა ფეხთან ცალ მუხლს მოიყრიდა, ლემზირებს კერიის ირგვლივ სამჯერ შემოატარებდა და თან ასე ლოცულობდა: კვიმატობის ლამარიავ, კარგი წელი შეგვიცვალე, თეთრად (კარგად, მხიარულად ვ. ბ.) გვამყოფე ქალები.

შემდეგ შეწირულ ლემზირებს დამსწრეთ ჩამოურიგებდა და ყველანი მათ აქვე შეექცეოდნენ. თუ ოჯახში ,,უწმინდური" ქალი ვინმე იყო, მაშინ ამ დღეს კერიაში ,,ცეცხლს ვერ დაანთებდნენ და ვერაფერს ვერ გამოაცხობდნენ, გარდა გიმი ლიმზირის კვერებისა".[2]

კვიმატობის წეს-ჩვეულებას ჩვენი მთხრობელი შემდეგნაირად გვიკონკრეტებს: ,,კუიმტობს ვილოცებით კუიმტობა ლუმარიას სახელზე. იმ ყველისაგან, რომელიც ახალი წლის სამეკვლეოს შეადგენდა, დავაცხობთ ხაჭაპურს და შევულოცავთ ამ დღის მფარველს: - კვიმატობის ლამარიავ, ბარაქა მოგვეცი, შენს კერაზე არ დაგვაცხობინო არასასურველი პური, სალხინოდ მოგვეცი შენით მოწეული, დიდებული, დიდება მოსასვლელო კვიმატობის ლამარიავ! ლოცვა ხდება ყველას თანდასწრებით სალოცავ სარკმელთან. მლოცველი ქალია.

---

[1] მთხ. ს. გირგვლიანი - გვიჩიანი, ლატალი, იფხი, 1995 წ.

[2] ვ. ბარდაველიძე, 1939. გვ 180-181 კუიმტუარ ლატალში.

ამავე დღეს ქალები ასრულებდნენ მარტო, მამაკაცების გარეშე, ,,კერის ლიმზირს''. კვიმატობის დღეს დილით ამოყვანილი ყველისგან დასაცხობია 3 ცალი ხაჭაპური და შესაწირია ,,კერი ლამარიასთვის'': - კერი ლამარიავ, სალხინოდ, ღვთის სალოცავად და სულის შესაწირად მარტო მოგვეცი შენს კერაზე დაცხობილი და შექმნილი ყოველივე, რად გინდა ჩვენი ცოდო კერის ლამარიავ! უნდომ პურს ნუ დაგვაცხობინებ, მადლიანო! ლოცვის წესს ასრულებდნენ მხოლოდ ასაკში შესული ქალები, ისინი ვისაც დედათა წესი დასრულებული ჰქონდა ან ამ დღეს ,,სუფთანი'' (,,წყლიან'') იყენენ. კერი ლემზირს || გიმი ლემზირს ჩვეულებრივი ლემზირები კი არ აქვს დასახული, არამედ ზედაპირზე მას ცერა თითის დაწოლით უკეთდება სამი ჭდე[1] და შემდეგ ცხვება გადაბრუნებით. ლოცვისას მანდილიანი ქალი დაიჩოქებს კერის მარჯვენა ფეხთან და მის გარშემო ლემზირების წალმა შემოტარებით ილოცება ზემოთქმული ლოცვით. ლოცვისას ამ დროს მას სანთელი არა აქვს!''[2]

ხალხური გაგებით, ყველა თვეს გააჩნია კვიმატიანი დღეები. ესენია: იანვარში 2, 15, თებერვალში 23, 24, მარტში 4, 20, აპრილში 3, 20, მაისში 6, 20, ივნისში 3, 17, ივლისში 6, 20, აგვისტოში 6,15, სექტემბერში 3, 24, ოქტომბერში 21, ნოემბერში 17, დეკემბერში 3, 20.[3]

როგორი იყო შეშხრამ-მახე ზაქის ტრადიცია სვანეთის სხვა სოფლებში. ამის წარმომჩენი ეთნოგრაფიული მასალა თავმოყრილია ,,სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში'', რასაც ბუნებრივია აქ არ გავიმეორებთ. ქვემოთ ჩვენ მათ, აღნიშნული ლიტერატურიდან, მხოლოდ ძირითადი ნიშან თვისებებით წარმოვაჩენთ. აქ კი, სვანეთის ერთი სოფლის (ლატალი) შეშხრამ-მახე ზაქის ტრადიციამ, ძირითად ნიშან-თვისებათა შემდეგი რიგი შეადგინა;

1. საკალანდო შესაწირი - (,,ლეზრმახი'').

2. შესაწირი ლემზირები - აღსავლენი პურები (,,უწენალები'' და ,,სალაჭშხიარო'' ლემზირები).

3. სამეკვლეო და მეეკვლენი (,,ლაჭშხიარ-ლალაში'' და ლიჭშხი - მგჭშხიარ'').

4. გრიზ, ჭყერუ, ვულ - საახალწლო სარიტუალო საგნები.

5. დღესასწაულის მფარველი: ,,წლის ძალის შემცვლელი ღმერთი''. მისი რწმენა და მსახურება; ლოცვითი მიმართვები.

აქ ჩამოთვლილი, ყველანი ერთად, აქცევდა ჩვეულებრივ დღეს არაჩვეულებრივად - დღესასწაულად, ანუ მათით აღინიშნებოდა სასწაული დროში და იგი ჩვეულებათა კალენდარში საწყის დღედ (თავ დღედ!) თავსდებოდა.

ახალი წლის პირველი სამი საკრალური დღის რიტუალის წარმოდგენის შემდეგ, მის შინაარსობრივ განხილვას ჩვენ, საახალწლო სარიტუალო საგნების საკრალური დანიშნულების წარმოჩენით დავიწყებთ.

---

[1] დასტურდება ოთხი ჭდეც.

[2] მთხ. ს. გირგვლიანი, 1995 წ. იფხი, ლატალი.

[3] მთხ. გ. გირგვლიანი 57 წლის, მაცხვარიში, ლატალი. ვ. ბარდაველიძის არქივი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტ.... ინსტიტუტი, თბ, ф 209[2] , საქაღალდე 673, გვ 71.

II

საახალწლო სარიტუალო საგნები

ახალი წელი კალენდარული დროის საწყისია, მაგრამ სხვადასხვა ერისთვის იგი სხვადასხვა დღესთანაა მიკუთვნებული.

ცნობილია, რომ დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციას ორი არსებითი მხარე გააჩნია: რელიგიური ანუ საკრალური და ხილული - იდეა ყოფითი ქმედებით და ხილული საგნებით გამოხატული.

მსგავსი ბუნებრიობით არსებობდა ძველ საქართველოშიც რელიგიური დღეობები, მაგრამ სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთათვის, კუთხური სპეციფიურობითაც ხასიათდებოდა საერთო ქართულ სულსა და მსოფლხედვასთან ერთად. ასეთ დღეობათა რიცხვს მიეკუთვნება საერთო ქართული ახალი წელი. იგი სვანეთში სამ დღეს აღინიშნებოდა; ,,შეშხუმ''-ს, ,,მახე ზაჟ''-ს და ,,კვიმტარ''-ს, ანუ ეს იყო ციკლი შეშხუამ-ის დღიდან ლიფანალიმდე.

ახალი წლის დღეობების სრულყოფილი და სამეცნიერო ღირებულებითი აღწერილობა მიეკუთვნება ვ. ბარდაველიძეს. ეთნოგრაფიული მასალა მოიცავს სვანეთის სამივე რეგიონს: ზემო სვანეთს, ქვემო სვანეთს და აფხაზეთ სვანეთს (,,დალის ხეობა'') და თავმოყრილია წიგნში ,,სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი''.[1] ახალი წლის ციკლის დღეობათა შინაარსობრივი ღირებულება მოცემულია წიგნში - ,,ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები''.[2]

ვ. ბარდაველიძე შეშხუმის დღის მფარველს, დალს, ცისკრის ვარსკვლავად მიიჩნევს, ხოლო ახალი წლის მფარველს - მამაკაცური ბუნებრიობის ითიფალურ ღვთაება ,,ბოსლად'', თავისი ,,ბომბღა ბამბღუ''-ს ეპითეტით.

ვ. ბარდაველიძის აზრით, ,,სვანეთში ბომბღას ეპითეტით წარმოდგენილი უძველესი ღვთაება. ქართველთა სარწმუნოებაში თავდაპირველად ზოომორფულ (ხარის) სახეს ატარებდა.., ხოლო სვანური ახალი წელიწადის რელიგიურ წესში, იგი გამოკვეთილია უკვე ანთროპომორფული ითიფალური ღვთაება ბომბღას სახით, როგორც საზოგადოდ სქესობრივი განაყოფიერების, საქონლისა და ადამიანთა გამრავლების, მოსავლიანობისა და დოვლათიანობის უზენაესი მფარველი''.[3]

ვ. ბარდაველიძისავე მტკიცებით, ცხოველის (ხარის) სახის ღვთაება ბოსელის კულტი უნდა ,,შერწყმოდა'' მზის კულტს და ამ შერწყმის ნიადაგზე ჩამოყალიბდა ,,ფუსნაბუასდის კულტი'' - უზენაესი ანთროპომორფული ღვთაება, ანუ ღმერთი.[4]

ბ. ნიჟარაძე ახალი წლის უშგულური წეს-ჩვეულების აღწერილობასთან ერთად ,,მახე ზაჟ''-ის ეტიმოლოგიასაც გვთავაზობს. მისი აზრით, ,,ახალი წელიწადი სვანურად არის ,,ზუმხა''. სიტყვა ,,ზუმხა'' რთულია იგი შემდგარია: ,,ზაჟ'' წელიწადისა და ,,მახე'' ახალისაგან''.[5] ,,ზომხა'' იგივე ,,მახე ზაი''-ია, ანუ ახალი წელი. საბატონო სვანეთში (ბალს ქვემოური სვანეთი) და ქვემო სვანეთში მას კანდა-ს და ,,კა-

---

[1] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, I, თბ. 1939 წ.
[2] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვ.) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ. 1953 წ.
[3] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვ) გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953 წ. გვ. 115.
[4] იგივე, გვ. 118.
[5] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ.1 1962 წ. გვ. 54.

ლანდა"-ს ეძახიან. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ვ. ბარდაველიძეს არაფერი აქვს ნათქვამი დღეთა სახელწოდებების: „შეშხუშ"-ისა და „ზომხა"-ს ეტიმოლოგიაზე.[1]

წიგნი „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე", წარმოადგენს მე-19 საუკუნის ცნობილი სვანი მოღვაწეების ლ. მარგიანის, ბ. ნიჟარაძის მიერ ქართულ პრესაში სვანეთზე გამოქვეყნებული წერილების კრებულს.[2] მასში მარგიანი გვთავაზობს ახალი წლის მულახურ ვარიანტს.[3] ეშხუშ - ახალი წლის ცხუმარული წეს-ჩვეულებანი გამოქვეყნებულია წიგნში - სვანური პროზაული ტექსტები II, ბალსქვემოური კილო, თბ, 1957. (ტექსტები შეკრებილია ა. დავითიანის, ვ. თოფურიას და მ. ქალდანის მიერ). ახალი წლის ქვემო სვანური ტრადიციის ეთნოგრაფიული აღწერილობა მოთავსებულია ასევე, „სვანური პროზაული ტექსტების" მე-3 ტომში, (ლენტეხური კილო, გვ. 57). კალანდასა და „სახლის მეკვლეზე" (ქორა მგჭშხი) ქვემო სვანურ წეს-ჩვეულებებს ვხვდებით „სვანური ენის ქრესტომათიაშიც". აღნიშნულ წიგნში მოთავსებული ტექსტები შეკრებილია ა. შანიძის, მ. ქალდანის და ზ. ჭუმბურიძის მიერ. ტექსტები, „სვანური ენის ქრესტომათიაშიც"[4] და „სვანურ პროზაულ ტექსტებშიც"[5] მოცემულია ქართული თარგმანის გარეშე.

სვანეთში ახალი წლის ზოგიერთ თავისებურებათა კვლევისას მკვლევარი ი. კვიციანი ყურადღებას ამახვილებს „შეშხუშ || ეეშხუშმი-ის ხალხურ განმარტებებზეც; ლენტეხელ მთხრობელებს აღნიშნული დღესასწაულის სახელწოდებად ამ დღის ჩვეულება მიუჩნევიათ. კერძოდ, „დგამ-ჭურჭლისა და ავეჯეულის ცხელი წყლითა და ნაცარმტუტით დარეცხვა - „დაშუშხვა" - ხოლო, ზემო სვანეთის მცხოვრებთ - „ერთი"-სა და „დილ"-ის შემადგენლობად. მათი აზრით, „ეეშხუშმი" „ეშხუ"-სა და „ჰამ"-ისაგან (დილა) შედგება, რადგან ახალწლამდე „ერთი დილაა დარჩენილიო". აღნიშნულის ნიადაგზე სტატიის ავტორი ეჭვს გამოთქვამს „დაშუშხვიდან" დღესასწაულის სახელწოდების წარმოშობაზე. რაც შეეხება მეორე საზრისს ხალხისას, მკვლევარი მიიჩნევს შემდეგს: „თვით დასასრული რომ არ იყოს დაკავშირებული დილასთან, მაინც ეშხუამი დამოუკიდებელ ერთ დღესასწაულად შეიძლება ჩაითვალოს თავისი, საკმაოდ რთული რიტუალითა და წეს-ჩვეულების რიგით".[6]

და მაინც, რას უნდა ნიშნავდეს „ახალი წლის" (დღის) წინა დღის და „ძველი წლის" ბოლო დღის - შეშხუშმის სახელწოდება; „ეშეშხუშ"-ის პარალელური ტერმინებია ეეშხუშ და ეშხუშ. ქვ. სვანეთში ამ დღეს „ლიძიენწლ"-საც ეძახიან. იგი მსხვერპლშეწირვას || დაკვლას (საქონლისას) ნიშნავს. ტერმინი არ გამოგვადგება ეეშხუშის ეტიმოლოგიის ასახსნელად ისევე როგორც - „დაშუშხვა", რადგან აღნიშნული წესი სვანური დღეობების განუყოფელი ჩვეულებაა ხოლო, „დგამჭურჭლის" „დაშუშხვა" „ლიფუნწლის" პირველ დღესაც („ადგომ") კი იყო სავალდებულო.

---

[1] იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვ) გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ. 1953 წ.

[2] ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ. 1973 წ.

[3] იგივე, ლ. მარგიანი, შობა-ახალწელიწადი სვანეთში. გვ. 17-19.

[4] სვანური ენის ქრესტომათია, თბ. 1978.

[5] სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, თბ. 1967. სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბ. 1967.

[6] ი. კვიციანი, ახალწლის ზოგიერთი თავისებურებანი სვანეთში, იხ. წიგნში; ი. კვიციანი, ეთნოგრაფიული ძიებანი, 1992 წ. გვ. 4.

აღნიშნულ სადღესასწაულო დღის სახელწოდებათა („შეშხუამ, ეშხუამ, ეშ-ხუამ) საერთო ფუძე „ერთი“-ა - (სვანურად „ეშხუ“ || „ეშხუ“). სუფიქსი - ამ - კუ-თვნილების მაწარმოებელი. იგი რიცხვითი სახელისგან („ერთი“-საგან) „რაიმეს“ სახე-ლწოდების შემქმნელია. ამ შემთხვევაში სუფიქსი „-ამ“ მსგავსია ქართული სუფიქსისა „-სა“ და ვღებულობთ სიტყვას „ერთი“ -სა-ს ე. ი. რაღაცას ერთისთვის განკუთვნილს. ზოგადად დღესასწაულის არსობიდან გამომდინარე ეს „რაღაცა“ რას უნდა ნიშნა-ვდეს თუ არა ლოცვას და მსახურებას. აღნიშნულით, შეშხუამის || ეშხუამის, სახე-ლწოდების აზრობრივი მხარე წარმოჩინდება ცნებად, რომელიც შემდეგი შინაარსის მტვირთველია: ლოცვა „ერთი“-სა, ლოცვა „ერთისთვის“. გამოჩნდა, რომ თვით რი-ცხვი „ერთი“ საკრალური ღირებულებისაა, რადგან საკრალური ღირებულებისაა მი-სგან შექმნილი სახელწოდებაც. იგი (შეშხუამ || ეშხუამ) ხომ დღესასწაულის აღმნი-შვნელია.

ეშხუამ-ის „ერთი“ ვიზუალურად წარმოუდგენელი ბუნებრიობაა. მას თითქოს სახიერება არც კი გააჩნია და მხოლოდ რიტუალის საკრალური მხრით ვხვდებით მის არსებობას. ანუ, „ეშხუამ“-ის „ერთი“ არის „ერთი“ -ს იდეა (პარადიგმა) და იგი კონ-კრეტდება ქალური ბუნებრიობით. ამიტომ „ერთი“ არ უკავშირდება მხოლოდ მცენა-რეულ საწყისს, არც ცხოველურს და არც მხოლოდ ადამიანურს - იგი „ყველაფრის დამბადებელია“. აღნიშნულიდან შესაძლებელია მახე ზაე-ის || ზუმხას იდეური არსის გარკვევაც; ეს დღე მეორე უზოგადესი ბუნებრიობის ანუ „ყოველივეს შემქმნელის“ დღედ მიიჩნევა („შექმნა“ კი მამრული ბუნებრიობის „ხელმწიფებაა“); არც ამ იდეის „სახითობაა“ წარმოდგენილი. ისიც ისევე, როგორც „ერთი“, მთელი რიტუალის მან-ძილზე იდეად რჩება. სარიტუალო ქმედებით შეშხუამის წიაღში (დროში) „ისახება“ ყოველივე ის ნივთიერი სიმბოლო, რითაც წარმოჩინდება მეორე დღის (ახალი წლის პირველი დღის) სარიტუალო ქმედებაც და ამ დღეთა საკრალური ღირებულებაც.

ეშხუამი ავლენს „ერთ“ ბუნებრიობას, „მახე ზაე“ - „მეორეს“. მათი „ერთობ-ბით“ კი ნათელი ხდება დროც და სასწაულიც დროში ჩენილი. ორივენი, აღნიშნული დღეებისას, „ზაე ყერი მგცაჭდის“ ეპითეტით იხსენიებიან, რაც ნიშნავს „წლის (დროის) შეცვლის ძალის მქონეს“ იგივე, „წლის ძალის შემცვლელთ“. რწმენით, ეს ორი ბუნებრიობაა ერთად „შემოქმედი“ და მათით ხდება ჟამი მარადიული. ახალი წლის ციკლის დღეობანი ადამიანისა და ბუნების შინაგანი ურთიერთობის დემონსტ-რირებაცაა, ამიტომ მათში ადვილი შესაძლებელია მსოფლხედვის საწყისებიც იკვეთე-ბოდეს.

ამავე დროს ახალი წლის „შესაქმის“ იდეა, ჩვენი გაგებით, არ არის მხოლოდ პირველი სამი დღის არსობა (შეშხუამ, მახე ზაე, კუიმტარ). იგი იმ დღეთა საფუძვე-ლიცაა, რომელნიც შემდეგ, მთელი წლის მანძილზე სრულდება განსაზღვრული წესრიგით. აქედან გამომდინარე, „ორი არსი“ სულიერი ხედვის საწყისადაც გვევლი-ნება, სადაც შემდგომში „დამყნობილია“ ხედვის სხვადასხვა (დაბლიდან მაღლისაკენ) საფეხურები და, პირველ რიგში, ღვთაებათა იერარქიულობა.

ახალი წლის ციკლის რიტუალები სახიერ ნივთთა მრავლობითობას მოითხოვს. ასეთ ნივთთა კრებულია ოჯახის მამაკაცის მიერ ტყიდან მოტანილი; ჴულ, გუზ, ჭყე-რუ, ფუნთქუირ, წერწქა, ქიუ, თაშ, ფეხ, ნათ..., რომელთაც ახალი წლის რიტუა-ლებისას საკუთარი სიმბოლური დატვირთვა გააჩნიათ.

ახალი წლის ციკლის დღეთა არსი აძლევს ამ საგნებს რელიგიურ დატვირთვას და იგი გამოიხატება როგორც სახელწოდებებით, ისე რიტუალში მათი ქმედებით.

„დღე-სასწაული“ უქმნის ამ საგნებს რელიგიურ სამოსს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულნი ჩვეულებრივი ხენი და ქვანი არიან.

აღნიშნული ნივთების სარიტუალო ღირებულება ეშხუამის დღით იწყება. სწორედ, ეშხუამს მოჭრილ და შინ წამოღებულ მსხლის ხეს ეძახდნენ სვანები „ჴულ“-ს. ხოლო, თხილის ტოტების კონას „გუიზ“-ს. თხილის ტოტის მრავალკვირტიანობა მოსავლის სიუხვის ნიშნად, ხოლო ჭყერუს (კვარცი) სიდიდე წველის ბარაქად (ყველის სიდიდედ!) მიიჩნეოდა. რწმენით, აღნიშნული ნივთების „შინ“-აში შემოტანით ოჯახს მსგავსი დოვლათი წლის მანძილზე დაებედებოდა.

„შეშხუამ“ საღამოს ერთი რომელიმე (იგულისხმება მამაკაცი) წავიდოდა ტყეში და თან წაიღებდა ყველიან ლემზირს და ნაჯახს“. იქ მსხლის ხეს და თხილის ბუჩქს მონახავდა და, თვითეული მათგანის წინაშე შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა - მრავალი შეშხუამი მშვიდობით მოგვესწროს, კარგ გულზე გვქონდეს ამ წლის მოსავალი. მოჭრიდა მათს ტოტებს და წამოიღებდა სახლში. გზაში ხავსსა და თეთრ ქვას მონახავდა და იმათაც თან წამოიღებდა. ახალი წლის განმავლობაში ამ ქვას ყველს ეძახდნენ... მსხლის ხეს შეშხუამ ღამეს გარედან ააყუდებდნენ სახლზე, ხოლო გუიზს გაახვევდნენ ხავსსა და მცირე ნაკელში და სახლის კართან დადებდნენ გარედან, მოფარებულ ადგილზე“.[1]

ბალს ქვემო სვანეთში გუიზ-ს, უმთავრეს შემთხვევაში, წარმოადგენდა მრავალკვირტიანი თხილის ტოტები, მატყლის ძაფი და კანაფის ტოტები, ან კანაფისა და მატყლის ძაფები. „ჴულ“-ს უმეტესად წარმოადგენდა მსხლის, კაკლის ან ნაძვის ხე. „ფეხ“-ის სახელწოდებით არსებობდა მუხის ხე. ესენი ყველა ერთად მოჰქონდა ტყიდან მამაკაცს, მოჰქონდა დილით ან საღამოს, შეშხუამის დღეს ან იეშხუამის წინა საღამოს. ტყეში „ჴულის“ მოჭრისას ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ როგორ დაეცემოდა მიწაზე მისი პირველი ნაფოტი. სასურველი იყო რომ თეთრი პირი მაღლა ზეციკენ ჰქონოდა მოქცეული, რადგან იგი ბედნიერი და უხვი წლის მომასწავლებლად მიიჩნეოდა. ნავახშმევამდე აღნიშნულ მცენარეთა ტოტებს შეინახავდნენ, რათა ისინი უცხოს, განსაკუთრებით კი სახლის დიასახლისს არ დაენახა. ჴულსა და გუიზს ოჯახის უფროსი (მამაკაცი) შემოიტანდა შინ, ვახშმობის შემდეგ იმ დროს, როდესაც ოჯახის ყველა წევრი დაიძინებდა. ჴულს კარებთან მიაყუდებდა, გუიზს შინ შემოიტანდა. შინ შემოსული სტუმარი ახალი წლისა, ამ ჴულს ტოტს მოსტეხდა და შგილზე (აყარი) შეაგდებდა, თან ბედნიერ წელს უსურვებდა ოჯახს, - „ზაᲂ ყერი მგცᲔდი ღერბეთის“ წყალობით, ჴულის მთავარ ღეროს ლიფანალიმდე ნელ-ნელა წვავდნენ კერიის ცეცხლში. ტყიდან ჴულის პირველ ნაფოტს კვეთში (მგლდგრლა“) მოათავსებდნენ. გუიზის ტოტებს სამეკვლეო კალათაში, ხშირად სამეკვლეო ტაბლებზე ჩაარჭობდნენ. უმეტესად თავ ლემზირზე ანუ იმ ლემზირზე, რომელიც ყველაზე მაღლა იდო სამეკვლეო კალათაში თავისი ფუნქციური ღირებულების გამო, სხვა ნივთებისაგან განსხვავებით.[2]

ბალს ზემო სვანეთის სოფლებში გუიზს შეადგენდა თხილის, ასევე ნაძვის მრა-

---

[1] ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, თბ. 1939 წ. გვ. 92. შეშხუამი ლატალში.

[2] აღნიშნულის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა იხ. ვ. ბარდაველიძის სვ. ხალხურ დღეობ. კალენდარში. 1939 წ. „ეშხუამი ბალს ქვემო სვანეთში გვ. 77-88.

ვალკვირტიანი და ხშირწიწვიანი ტოტები. აქაც, ,,გუიზ''-ის უმთავრესი ,,წევრია'' თხილის მრავალკვირტიანი ტოტი - ,,ლგჩენჩხ მიჩა მაშანშ'' დახუნძლული თავისი ნაყოფით, არა თხილით, არამედ კვირტებით (კუმპირ). ვული, ბალს ზემო სვანეთში წარმოდგენილია არყის ხით. ერთგან გვხვდება მსხლის ხეც (ლატალი). ,,ფეხ''-ის სახელწოდების ხემცენარე ხავსით იცვლება. იგი ყველაზე მეტად (ბუნებრივად) მუხის ხეს აქვს და ხავსსაც მისას წამოიღებდნენ შინ (ფუნთქრირ - ხავსია). შეშხუამს შინ-აში შემოტანილ ,,ყველს'' (თაშ) მრგვალი რიყის ქვა განასახიერებდა. ოჯახის წევრი მამაკაცი დილით ან საღამოთი, შეშხუამის დღეს მოტანილს, შეინახავდა კალოზე, რაც ამავე დროს, ოჯახის ეზოსაც წარმოადგენდა. აქაც ვულის მოჭრისას, თვალყურს ადევნებდნენ მისი პირველი ნაფოტის მდებარეობას - ბედნიერი და უხვი მომავალი წლის გაგების მიზნით. ვულს ზოგი ეზოში ვულის მოტანის შემდეგ აღმართულ თოვლის კოშკზე დაამაგრებდა, ზოგი სახლის გარე კარებთან მოათავსებდა, ზოგი შგილზე შეაგდებდა გასახმობად. ვულის მთავარ ღეროს ლიფანალის პირველ დღემდე ნელნელა წვავდნენ კერიის ცეცხლში. ვულის პირველი სამი ნაფოტიდან ერთს საფუარში ჩაგდებდნენ, მეორეს საქონლის საკვების ჩასაყრელ ბაგაში (ლალდიარ) და მესამეს - თომის (წერქრა) კონის შუაგულში. ზოგან წერექოს, ქირ-ს (თაშ), თხილის კონას (გრიზ), ხავსს, სამეკვლეო კალათაში (||ლალაშში) მოათავსებდნენ. სხვაგან, მოზრდილი ზომის ქვა, ,,თაშ''-ის სახელწოდებიანი, უნდა მოთავსებულიყო ან საქალებო მხარეს არსებულ იმ ადგილზე, სადაც ყველის ნაწარმი მზადდებოდა, ან შუაცეცხლის ადგილას კა-კერასთან. მას მთელი წლის მანძილზე აქ ინახავდნენ და პურების გამოცხობისას შესაფიცხებლად იყენებდნენ (,,ლამყინა ბაჩარ'') (ლატალი).[1]

ქვემო სვანეთში თხილის მრავალკვირტიანი ტოტები წარმოადგენდა საახალწლო ,,გრიზ''-ს (გრზარ). ,,გუზმაგუზი''ერქვა მუხის ტოტებს ,,ქირ'' კი - კვარცის ქვას. შეშხრამ საღამოს მოტანილ მარხილ შეშას ,,ლექთუნა სარ''-ს ეძახდნენ. ზოგან, მუხის ტოტებთან ერთად მუხის ფოთლებსაც მოიტანდნენ, მარხილ შეშასთან ერთად. ,,გუზმაგუზს'' (მუხის ტოტები) და ,,კრაფხს'' (თხილის მრავალკვირტიანი ტოტები) სხვებთან ერთად ,,ლაჭიშხი კარრაში'' მოათავსებდნენ, წერექოსაც აქ ჩადებდნენ''.[2]

საზოგადოდ, მთელს სვანეთში მიაჩნდათ რომ სარიტუალო ხეთა და ქვათა შინ შემოტანა უმჯობესი იყო უმძრახად და სხვის დაუნახავად. უმჯობესი იყო ასევე უმძრახად მათი შენახვა სარიტუალო ქმედებებისათვის. ყველგან, მთელს სვანეთში, ვულის, გრიზის და სხვათა მოტანის შემდეგ, შეშხრამ ღამეს ხდებოდა დიასახლისის მიერ მეორე დღისთვის (საახალწლო!) ლემზირების ანუ ,,სამეკვლეო პურების'' და სამეკვლეო ხონჩის დაცხობა - გამზადება; ხოლო ამ ქმედების შემდეგ - მეკვლეთა არჩევა.

მთელს სვანეთში თომის კონა (წერქრა) წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამეკვლეო ნივთს. მის გარეშე არც ,,სამეკვლეო ხონჩა'' არ არსებობდა და არც სახლის ,,გარე მეკვლის'' მეკვლეობა სრულდებოდა. საჩუქრად ამ მეკვლეს ოჯახი წერექოს კონას გაატანდა თავის სახლში.

წერექო იზრდება მყინვარების ძირას, ალპური მთების მწვერვალებზე (სვ. მწვერვალს ,,კაცხ'' ჰქვია) ცასთან ახლოსაა წერექოს ,,სამკვიდრებელი'' - მის ზემოთ

---

[1] აღნიშნულის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა იხილეთ ვ. ბარდაველიძის სვ. ხალხ. დღეობ. კალენდარში, 1939 წ. გვ. 88-107. შეშხუამი, ბალს ზემო სვანეთის სოფლებში.

[2] იხ. დასახ. ლიტ-რა, 1939 წ. გვ. 107-118. შეშხუამ ქვ. სვანეთში.

სიცოცხლე (ამ შემთხვევაში მცენარისა) არ არსებობს. ღვთაებათა სამკვიდრებლად მიჩნეული ადგილის კუთვნილებაა წერექო: ,,კაცხ'' მწვერვალია; ,,კაცხ-აშ'' ჰქვია სამამაკაცო მხარეს სახლის ,,შინ-აში''; ,,გარე მეკვლის'' (ქანმე მგჭშხი) უცილობელი სამეკვლეო ,,ნივთიც'' - წერექოა!

ზემოთ წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ ,,ვულ'', ,,გრიზ'', ,,ჭყერუ'', ,,ფუნთქრირ'' და მისთანანი საკრალური ნივთებია. ჩვეულებრივ ყოფაში აღნიშნული სახელწოდების ხე-მცენარეებს და შესაბამისად ქვებს, სხვა სახელწოდებანი გააჩნიათ; თხილის ხეს ,,შდგხინდ'' ჰქვია, მსხლის ხეს - ,,იცხრა'', არყისას - ,,ჟაკვრა'', ნაძვისას - ,,ღუმერ'', ფიჭვისას - ,,გგგიბ''. ქვას რანაირიც არ უნდა იყოს იგი - ,,ბაჩ''-ს ეძახიან. აღნიშნულ დღეს გამოსაყენებელ კვარცის ქვას - ,,ჭყერუ''-ს და ,,ჩირხას'' უწოდებენ. ამ ქვებს ჩვეულებრივ ყოფაში არც ,,ქირით'' და არც ,,თაშით'' (ორივე ყველის გუნდის აღმნიშვნელია) არ იხსენიებენ. არც ხის ჯიშებს (მათ რომელნიც რიტუალში მონაწილეობენ) ეძახიან აღნიშნულ დროში გრიზსა და ვულს და, საკრალური სახელწოდებანიც მათ მხოლოდ დღეობებისას უჩნდებათ.

ამდენად, საახალწლო ნივთთა სახელწოდებანი მხოლოდ იმ საკრალური დღის ღირებულების გამოა ადამიანის გონის გამოისობით შექმნილი, რომელი დღის აღსანიშნავადაც ისინი არიან გამოყენებული. აქედან გამომდინარე, კანონზომიერებადაა ჩასათვლელი ის გარემოება, რომ რელიგიური დღესასწაულებისას ხესაც და ქვასაც (შესაბამისად მცენარესაც და ცხოველსაც), რელიგიური ღირებულება უჩნდებათ მხოლოდ და მხოლოდ დღის საკრალური იდეიდან გამომდინარე. აღნიშნულ შემთხვევაში, შეშხრეშ-ახალიწლის იდეა ხდება ხეთა და ქვათა ,,სიწმინდის'' მიმნიჭებელი; მათ ეცვლებათ ,,ჩვეულებრივი'' სახელწოდებანი ,,არაჩვეულებრივით'' და ხდებიან ,,ქმედითი'', ,,წმინდა'' და ,,რელიგიური''.

აღნიშნულს შემდეგი გარემოებაც ადასტურებს: ,,საახალწლო საკლავის დაკვლის შემდეგ, შეშხრეშმს, ვულის მომტანისთვის ცხვებოდა ღორის მუცლის ქონის კუბდარი (ღვესემი ლემზირ). საახალწლო საკლავის - ლეზრმაზის - დაკვლისას და ტყეში, ვულისა და გრიზის ხეებთან, მისი ქონის კუბდარის შეწირვისას, დალ ჯეჯგლაბ-ს შევსთხოვდით ღორების გამრავლებას და მით შეწევნას. კერიის წინ მერხზე, ლეზრმაზის დაკვლისას ვიტყოდით: მრავალი, ამაზე უკეთესი, შეგვაწირინე დალო ჯეჯგლაბისაო შენთვის! ტყეში ვულისა და გრიზის მომტანი თავისი კუბდარით, მანამ სანამ ვულსა და გრიზს მოსჭრიდა, მოსაჭრელ ხეებთან ჯეჯგლაბს ახსენებდა და სთხოვდა მფარველობას - გაგვიმრავლე ღორები დიდება მოსასვლელო! (ანფიშირ ხამარ დიდაბი ლეკვედ!), შეეძლო იგი აღევლინა იმ ადგილას სადაც ვულს შეინახავდა (ეზოში ან შინას შემოსასვლელ კარებთან)''. აღნიშნულის მთხრობელი კვლავ გვიმარტავს, რომ დალ ჯეჯგლაბ || ჯეჯგლამ ღორების მფარველიაო.[1]

ვულსა და გრიზთან ლემზირის აღვლენის წესიც ნათელს ხდის ვულისა და გრიზის ხეთა საკრალურობას, მათს რიტუალურ (|| რელიგიურ) დანიშნულებას. ჩანს, ხეები ამ ფუნქციას აქვე, მოჭრამდე ღებულობენ. მოჭრის წინ მამაკაცი სთხოვს ხეთა

---

[1] მთხრ. ს. გირგვლიანი-გვიჩიანისა, ლატალი, იფხი, 1995 წ. 91 წლის. მსგავსი სახელწოდების ღვთაება ჩვენ დღემდე არ შეგვხვედრია, არც ვ. ბარდაველიძის სვ. ხალხ-დღეობ. კალენდარი გვაძლევს ამის შესაძლებლობას.

მფარველს (დალ ჯეჯგლაბიშს) წყალობას, მაგრამ რატომ „ხეთა მფარველს“? იგი ხომ „ღორების გამამრავლებელია?!“ ის ფაქტი, რომ აღნიშნული მფარველი ჴულისა და გრიზის ხესთან ლოცვით იხსენიება და შეეწირება ღორის ქონიანი ლემზირი, ამით კი - შეშხრეამის დღის შესაწირი საქონელი იწყალობება მისგან, ამ შესაწირთან „ხეთა მფარველის“ უშუალო კავშირზე მეტყველებს. ამდენად, სარიტუალო საგნებს საკრალურ ღირებულებას ანიჭებს პირველ რიგში, დღესასწაულის იდეა (და შესაბამისად მისი მფარველის არსობა!) და შემდეგ, თავისი „კერძო მფარველი“. აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც „წმინდა ხეთა“, ისე „წმინდა შესაწირის“ მფარველია „დალ ჯეჯგლაბიშ“, მაგრამ „ეშხუამის“ რიტუალიდან ჩანს, რომ ამ სამივეს (დალ ჯეჯგლაბის, წმინდა ხეთა და შესაწირი ზვარაკის) უზენაესი მფარველია „დალ ეშხრეამიშ“.

სარიტუალო საგანთა საკრალური ღირებულების გარკვევის შემდეგ ისევე იბადება კითხვა, რას უნდა ნიშნავდეს შინაარსით საკრალურ ნივთთა სახელწოდებანი, პირველ რიგში „ჴულ“ და „გრიზ“. სანამ უშუალოდ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, შევეცდებით „დალ ჯეჯგლაბ“-ის ეტიმოლოგიურ ახსნას.

ნ. მარი ქართულ სიტყვა „ხატ“-ს და სომხურ „ხაჩ“-ს მნიშვნელობის მიხედვით უკავშირებდა ძველ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც საქართველოსა და ძველ სომხეთში ხეებს ოდითგანვე თაყვანს სცემდნენ. ტერმინები ხე და ხელი, ასევე მეგრული „ჯა“, ნ. მარის აზრით, პირველად საკულტო ხეს ნიშნავდა, ხოლო ხეთაგან მუხა და ცაცხვი ასტრალურ სამყაროს უკავშირდებოდა.[1]

ღვთაება ჯეჯგლაბის ფუნქციიდან გამომდინარე, თუკი ამ სიტყვის ფუძეში მეგრული „ჯგ“ -ირ-ის („წმინდა“) არსებობას მივიჩნევთ სარწმუნოდ, ნათელი გახდება ღვთაების სახელწოდების შინაარსიც: აზრობრივად, ჯეჯგლაბ „წმინდა ხეს“ უნდა ნიშნავდეს და ამ სიტყვის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს როგორც „ჯა“ ფუძე, ისე „ჯგ“ ფუძე. სიტყვის, ანუ ღვთის სახელწოდების, სუფიქსები - ამ და -აბ იგივე ღირებულებისა უნდა იყონ აქ, როგორც შეშხრეამ || ეშხრეამ-ისას იყვნენ. თუ კი ეს ვარაუდი დასაშვებია „ჯგგრაგის“ ეტიმოლოგიაც ამდაგვარ ახსნას უნდა პოულობდეს; „ჯგგრაგი“ უნდა ნიშნავდეს წმინდა ადგილს, წმინდა ალაგს მიწის ზედაპირისას (ჯგგრი || ჯგირი აგი).[2]

აღნიშნულთან ერთად ნუ დაგვავიწყდება „ეშხრეამის“ არსობაც. უპირველესად ხომ იგი („ერთი“) მფარველია „ეშხრეამ“-ის დღესასწაულისა და ამ დღესასწაულის ჩენილი „სიწმინდებისაც“ - მისითაა „ყოველივე დაბადებული“. (ვგულისხმობთ, პირველ რიგში, ჩვენთვის საინტერესო წმინდა საგნებს, მათ მფარველს და მფარველს დღის შესაწირისას!). მათ შორის ჴულიც და გრიზიც.

„გრიზ“, როგორც აღინიშნა, არის ან, მხოლოდ თხილის ტოტი ან თხილის

---

[1] ციტატა აღებულია გ. ბარდაველიძის სტატიიდან, ქართველი ტომების ასტრალური ღვთაებათა პანთეონის ერთ-ერთი საფეხურთაგანი, მსე. 1959, ტ X, გვ. 158.

[2] აგი სვანურად ადგილს და ალაგს ჰქვია. სახლის შინასაც აგის ეძახიან და იგი „ქორ“-ის იდენტური ცნება ხდება. სახლის ზღურბლს ლაგგაგი ეწოდება. დედულეთს ბალს ქვემოურები ნანაგარ-ს უწოდებენ ბალს ზემოურები დადაშერ-ს. ნანა-დედაა და მისგან წარმოებული სიტყვა ნიშნავს დედისიანთა საცხოვრებელს, სამკვიდრებელ ადგილს. ასევეა დადაშერ. ამდენად თვით სიტყვა „აგი“-ის ეტიმოლოგიაც „მიწას“ და „ქალს“ უკავშირდება, ისე, თითქოს, მართლაც ყველაფერი „ერთი“-დანაა „დაბადებული“.

მრავალკვირტიანი ტოტი სხვა მცენარეთა ტოტებთან ერთად. ხოლო, ,,ჴულ'' არის მხოლოდ ერთ-ერთი სახეობის ხე მცენარე: ან მსხალი, ან კაკალი, ან არყის ხე, არც ერთ შემთხვევაში მათი ერთობლიობა. აქედან ,,გუ̄იზ'', ბუნებრივია, ,,რაიმე მრავლის'' (სიმრავლის; სიუხვის) აღმნიშვნელი ცნებაა, ხოლო ,,ჴულ'' - ერთის, კონკრეტული რამის, მტვირთველი უნდა იყოს. კერძოდ რისი?! ჩანს, ამის ამხსნელი გარემოება ,,ახალიწლის'' (დღის) წესჩვეულებათა მნიშვნელობაშია თავშეფარებული.

ვფიქრობთ, ,,ჴულ'' ფალოსის აღმნიშვნელი ცნება უნდა იყოს. მაგრამ სანამ უშვალოდ ამ ცნებაზე გადავიდოდეთ განვმარტავთ ,,გუ̄იზ''-ს. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ,,გუ̄იზ''-ის ტოტები სამეკვლეო კალათაში თავსდებოდა, ,,ჴულ''-ი სახლის ,,შინ''-აში მხოლოდ ახალი წლის დღეს ,,შემოდიოდა'' - საამისოდ არსებობდა შესაბამისი ქმედებაც. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ,,გუ̄იზ'' უშვალოდაა დაკავშირებული შეშხუ̄ამის დღესთან და მისი მფარველის ბუნებრიობასთან ,,ჴული'' კი-არა ,,ჴული'' უფრო ახალი წლის კუთვნილებაა და ახალი წლის მფარველის ბუნებრიობას უკავშირდება.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ საკრალური სახელწოდება ,,გუ̄იზ''-ით ,,არსებობს'' ის წმინდა სარიტუალო ხორბალიც, რომლის ფქვილისგან მზადდება დიასახლისის მიერ საღვთო - ,,ლემზირები''. არ არქვს მნიშვნელობა ახალი წლის დღეებისათვის იქნება ლემზირები განკუთვნილი, თუ სხვა რომელიმე წმინდა დღისათვის: საღვთო პურები მხოლოდ ,,გუ̄იზის ლემზირებია''. აქედან გამომდინარე, მიწის ნაყოფს ხით იქნება იგი გამოვლენილი, თუ მარცვლით, კენკრით თუ თესლით, რიტუალური დანიშნულებისას ერთი და იგივე საკრალური სახელწოდება გააჩნია. ეს სახელწოდებაა ,,გუ̄იზ''! (გუ̄იზის პარალელური ტერმინია ტაბლუ̄შ!).

ამდენად, გუ̄იზ ,,საკრალური მიწის'' ნაყოფის აღმნიშვნელი ცნებაა. მიწა ქალური ბუნებრიობაა და მისი საკლარულობაც ,,დედამიწით'' გამოიხატება[1] - დედამიწის ნაყოფია ,,გუ̄იზ''! არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჩვეულებრივ, თესლოვანი მცენარეულის (ხორბლის საუკეთესო ჯიშია შერჩეული მისთვის!) ნაყოფს ,,გუ̄იზ''-ად ქალის ,,სიწმინდე'' გადააქცევდა. (დედათა წესის მქონე ქალი არათუ საგვიზე ფქვილს, არამედ საგვიზე მიწასაც არ უნდა გაკარებოდა). ხოლო, ჩვეულებრივ ხეს ,,გუ̄იზ''-ად ჯერ ,,შეშხუ̄ამის'', ხოლო შემდეგ ,,ახალიწლის'' საკრალური ღირებულება ქმნიდა. შეშხუ̄ამის მფარველია დუ̄ლი-დუ̄ლ ეშხუ̄ამ-ისი;

უზენაესი ქალი-ღვთაება, უზენაესი და უზოგადესი დედა-ბუნების განმასახიერებელი, - ,,მრავლის დამბადებელია''! (იგულისხმება მცენარეულიც, ცხოველურიც და ადამიანურიც) სწორედ ყველაფრის სიმრავლე - სიუხვით, სიკეთით თუ სითეთრით გამოხატული, უნდა ხდებოდეს გუ̄იზ-ის შინაარსის ამხსნელიც.

გუ̄იზ || გვიზ, ვფიქრობთ, დაკავშირებულია ზმნასთან გვ̄ზ || გუ̄იზ, რაც ქონას აღნიშნავს. იდეურად შეშხუ̄ამ - ახალიწლის დღე მრავლის ქონისთვის (სიკარგით ქონისთვის) ზრუნვას მეტყველებს. ამდენად, ყოფიერებაში ჩენილი მრავლობითობა

---

[1] ,, დედამიწას'' სვ. ,,გიმ'' ჰქვია. ისე, მიწის ,,დამუშავებულ ადგილს'' ვერ'' ეწოდება. ,,ვერუ̄ ჯ̄ქვენა'' - იტყვიან დაწყევლისას ,,მიწა დაგეყაროს''! ,,ისგუ მუთვენი გიმუ̄ ალმაზრ̄ელი''. შენი - დამბადებელი (გამჩენი!)მიწა ყოფილიყოს დალოცვილი! ვფიქრობთ, არც ეს გამოთქმებია შემთხვევითი.

,,ქონისა'' ანუ ,,ქონებისა'' საკრალურად აღნიშნული სიტყვის (გ̃ᲘᲖ-ის) მნიშვნელობას უნდა შეესატყვისებოდეს. აქედან ბუნებრივია გ̃ᲘᲖის დაკავშირება ზოგადად როგორც ქალურ ბუნებრიობასთან ისე, ქალური ბუნებრიობის უზოგადეს ღვთაებასთან, ანუ ღვთაება დᲐᲚ ეშხ̃ᲐᲛისთან.

ამდენად, ,,გ̃ᲘᲖ'' ის ჩენილი მრავლობითობაა, რომელსაც ,,დედა ბუნება'' ბადებს ყოველწლიურად - ახლად და მრავლად ადამიანის სასიკეთოდ. ნივთიერად ეს დღესასწაულისას გამოხატულია, როგორც ხის ისე კულტურული მცენარის ,,გ̃ᲘᲖით''.

კონკრეტული დღიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნული თვისება (,,ყოველივეს დაბადება'') მიეწერება დᲐᲚს ეშხ̃ᲐᲛის. დᲐᲚის (ქალის) ,,ხელმწიფებაა'' დაბადება. ,,ყოველივეს დაბადება კი ზოგადია - უზოგადესი საიდუმლოება, უხილავის, ზებუნებრივის შესაძლებლობა და ამიტომაც უტოლდება იგი მზის აუხსნელ სამყაროს, მზის ბუნებრიობას ანუ ღვთაებას. ,,დაბადების'' საიდუმლოება უქმნის მზესაც და მიწასაც საკრალურობას. ერთი და იგივე ფუნქციის გამო მათი მფარველნიც არსით ერთი და იგივენი არიან კონკრეტულად კი ამ არსის გამომამზეურებელია ციური მზე, მიწიური კი - ქალი (დალი, დედა), ,,დედამიწასთან ერთად. ამადაც გვესახება ,,დᲐᲚი ეშხ̃ᲐᲛიში'' ქართველთა უზოგადეს მზის ღვთაებად, სხვანი კი - მასზედ იერარქიულად დაბლა მდგომ ,,წმინდანებად''.

ქალ-ღვთაებები ,,ლᲐᲛᲐრია'', ,,დᲐᲚ ჯეჯგლᲐბიᲨ'' და ,,ბარბოლ'' , ვფიქრობთ, მხოლოდ ,,კონკრეტული რამის'' მფარველები არიან. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მკვლევარ ი. კვიციანს მზის ღვთაებად მიჩნეული ბარბალე, კავ მშვილდიანი წმინდა გიორგის (სვ. ,,ქაუშელდიანი''), მსგავსად ქრისტიანობის ზეგავლენით შექმნილ ,,გასვანურებულ'' წმინდანად მიაჩნია. ამით ბარბარეს უზენაესობა და მზის ღვთაებრიობა ეჭვის ქვეშ დგება.[1] აღნიშნული კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს დასკვნას: უზენაესი მზის ღვთაება ,,დალ''-ია და არა ,,საქონელთა მფარველი'' ბარბოლი!

დალ-ს ახალი წლის ციკლის დღეობები ყველაფრის დამბადებლად და მფარველად წარმოგვიდგენს. ამიტომ იგი უზოგადესი დიდი დედის || მზის ღვთაების განმასახიერებელი ღვთაება ხდება: შეშხ̃ᲐᲛის დროში (,,წიაღში'') იქმნება ახალი წელი (ახალი დრო) მთელი თავისი მრავლის მომცველობით: დროით, თვისებებით, ხილული და უხილავი სამყაროს რაობით ისე, რომ ,,შესაქმის'' იდეისთვის არ არსებობს არც მხოლოდ ,,შეშხ̃ᲐᲛის დღე'' და არც მხოლოდ ,,ახალი წლის'' დღე. ისინი მხოლოდ ორნი ,,ერთარსებად'' ქცეულნი, არიან არსებითი ,,ახალი დროისთვის''. ჩანს, ამიტომაც აღინიშნება ახალი წლის ციკლი სამი დღით: შეშხ̃ᲐᲛით, მᲐხე ზᲐᲣთ და კ̃ᲘᲛტარით ისე თითქოს, ერთია ,,დამბადებელი'' (ქალი!), მეორე ,,შემქმნელი'' (კაცი!) და მესამე ,,შექმნილი''. (შვილი!) რწმენისთვის ნათელია ისიც რომ ,,შექმნილი'' არ არის ,,კარგი'' ბუნების, იგი ,,ავიცაა'' და მისგან თავასარიდებელი ჩვევებიც ,,კ̃ᲘᲛტარის'' დღის კუთვნილებაა. (კ̃ᲘᲛტᲐრ - კვიმატები).

მთელს წარმართულ საქართველოში წელიწადში ერთხელ, წლისთვაზე, მზის ღვთაების აღმნიშვნელი დღესასწაული იმართებოდაო, - გვამცნობს სერგი მაკალათია. მზის ღვთაების შესაწირად ღორები ყოფილან განკუთვნილი, მზის ღვთაების

---

[1] იხ. ი. კვიციანი, ახალწლის ზოგიერთი თავისებურებანი სვანეთში, ი. კვიციანი, ნ. კვიციანი, ეთნოგრაფიული ძიებანი, 1992 წ. გვ. 17.

სადგომად წმინდა ხეები, განსაკუთრებით კი მუხა ითვლებოდა. ხოლო მზის ღვთაების სიმბოლოს ახალი წლისთვის შექმნილი ჩიჩილაკი წარმოადგენდა; ,,ქართულმა ჩიჩილაკმა თავის სამკაულთა შორის, ჩვენამდე დაიცვა იმ მცენარეთა ტოტები და ხეთა ნაყოფი, რომლებიც დიდ მუხასთან ერთად ქართველთა წმინდა ხეივანს შეადგენდა და, რომელსაც ჩვენი წინაპარნი თაყვანს სცემდნენ''.[1]

,,ჩიჩილაკს თხილის ან ძეძვის ხის ტოტისაგან აკეთებდნენ. მას გარშემო წვრილი და დახუჭუჭებული ნათალი აქვს შემოვლებული, ზედ გაყრილია ჯვარედინი ჯოხი, რომლის ოთხივე წვერზე სხვადასხვა ხილს უკეთებდნენ და ანთებულ სანთელსაც აკრავდნენ. ჩიჩილაკს ამკობდნენ კაკლიან სუროს, წითელნაყოფიან კურკანტელის, კუკუროიანი ხილის და დაფნის ტოტებით, აგრეთვე სხვადასხვა ტკბილეულით, აბრეშუმის ძაფებით, ოქროს და ვერცხლის ნივთებით''.[2]

ჩიჩილაკს გურიაში კალპსაც უკეთებდნენ. კალპიც ხის ტოტებისაგან იყო შექმნილი. ამ ტოტებს ფოთლებიც ზედ უნდა ჰქონოდა. სვანეთში შეშხუამ ღამეს ახალი და ძველი წლის შეერთების აღსანიშნავად ტირიფის წნელისაგან წნავდნენ რგოლებს, რომლებსაც ,,გირგუდარ''-ს ეძახდნენ (ცხუმარი).[3]

ადვილია ჩიჩილაკისა და სვანეთში არსებული საახალწლო სარიტუალო ნივთთა იდენტურობის წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სვანური ეშხუამის და მისი მომდევნო დღეების მზის ღვთაების დღესასწაულად მიჩნევაც. ნურც შეშხუამის დღის შესაწირი საქონელი დაგვავიწყდება: იგი ხომ დედალი ღორია აღნიშნულ დღის ზვარაკად მიკუთვნებული. ბუნებრივია, ამითაცაა დალ ეშხუამის დღე მზის ღვთაების დღეობად მისაჩნევი, დალ - მზის ღვთაების სახელწოდებად; გუიზ ქალ-ღვთაების არსობის ხილულად ჩენაა!; სალემზირე გვიზიც და ხეთა მრავალი კვირტიც ამ სიმბოლოს მტვირთველია. ,,ლემზირებიც'' და ,,ხეთა გუზიც'' სამეკვლეო კალათის ანუ ,,ლალაშის'' ნივთებია, მათით ხდება ახალი წლის მეკვლეობა. მეკვლენი კი, - ,,ღვთის ნობათის'' შემომტანნი არიან სახლის შინაში: სიუხვით, სიკეთით და სითეთრით. მიწიერი ,,შემომქმედნიც'' ხომ, მხოლოდ აღნიშნულის მთხოვნელი არიან დალ ეშხუამისგან.

მათ ზეციური მწყალობლისაც სჯერათ იციან, რომ რწმენით მსახურებას წყალობაც მოჰყვება. ამათაც დაურქმევიათ კვარცისთვის ყველი, მუხის ტოტისთვის ,,ფეხ''-ი, თხილის ტოტებისთვის ,,გუიზ'', ამადაც მოუტანიათ სამეკვლეო ნივთად ,,წერექო'' და ბოლოს'' ამადაც გაუხვევიათ ნაკელში გუიზის ტოტი და ხავსი (,,ფუნთქვირ'') როგორც ხელმეორედ მცენარეთა ჩენის სიმბოლო.

დღესასწაულთა სარიტუალო ქმედების ყველაზე მცირე ნიუანსიც კი მნიშვნელოვანია მთელისთვის. აქ ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. დღესასწაული არა მხოლოდ ,,სასწაულის'' ჩენაა, არამედ ადამიანისა და ბუნების შინაგანი კავშირის გამომავლინებელიც.

შეშხუამის მომდევნო დღე, როგორც ეს არაერთგზის აღინიშნა, ,,ახალი წლის დღეა''. ახალი წლის დღე კი - ,,ახალი დროის'' პირველი დღე. ისიც აღვნიშნეთ, რომ

---

[1] ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, 1927 წ. გვ. 42.

[2] იგივე, გვ. 39, 1927 წ.

[3] იხ. ვ. ბარდაველიძის, სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1939, გვ. 88. შეშხუამი ცხუმარში. ასევე, ვ. ბარდაველიძის, ქართ. უძვ. სარწ. ისტორიიდან ღვთ. ბარბალ, 1941.

„ახალი წლის“ დღის მფარველი, „ერთი“-სგან განსხვავებით, „მეორე“ არსია, - მამრული ბუნებრიობა. მაგრამ იგი არ არის მხოლოდ „ახალი წლის“ პირველი დღის მფარველი, არამედ მფარველია მთელი წლის, - დასაწყისიდან დასასრულამდე. აღვნიშნეთ ისიც, რომ „ჟულ“ ფალოსის აღმნიშვნელი ცნება უნდა იყოს და, რადგან იგი „ახალი წლის“ პირველ დღესთანაა დაკავშირებული „ქმედებით“, დაკავშირებული უნდა იყოს დღის მფარველთანაც. „ჟულ“ „ახალი წლის“ მფარველის ბუნებრიობის გამომავლინებელია.

ჟული „სრულად“ მხოლოდ ახალი წლის დღეს შემოდის ოჯახში, იქ, სადაც სახლის კერაა მოთავსებული. მანამდე იგი ინახებოდა ჟულის მიმტანი მამაკაცის მიერ იმ ადგილას, სადაც მას დიასახლისი ვერ დაინახავდა. რა წესჩვეულებით გამოიხატება „ჟულის შემოსვლა“ (შემოტანა) ოჯახში? აღნიშნული სრულდებოდა ახალი წლის ღამეს ვახშმობის შემდეგ. ამ პერიოდის კონკრეტული სახელწოდებაა „ბომბღა ლ̄ეთ“.

„კანდა საღამოს ბომბღა ლეთ ეწოდებოდა“. შეგროვდებოდა ერთად სოფლის ახალგაზრდობა და სათითაოდ ყველა მოსახლეს ჩამოუვლიდა. ეზოში შესვლისთანავე ორი ახალგაზრდა ვაჟი მოსახლის კარზე მიყუდებულ ჟულს მხრებზე შეიგდებდა, მესამე პირი ამ ჟულზე მუცლით გადაეკიდებოდა და ასე შევიდოდა სახლში დანარჩენი ახალგაზრდების თანხლებით. ისინი კერიას 3-ჯერ გარს შემოუვლიდნენ და თან მღეროდნენ; - ბომბღა ბომბღა გვემიშ ყორჟი ხარგელია ჩიჩხ.[1] ამ სიტყვებს იმეორებდნენ ვიდრე კერიის შემოვლას არ გაათავებდნენ. ამავე დროს ჟულზე გადაკიდებულ კაცს ყოველი მხრიდან ჩხვლეტდნენ და ჩქმეტდნენ, ისიც წიხლის კვრით იგერიებდა ხალხს, რის გამო დიდი ხმაურობა და სიცილი იყო სახლში. კერიის გარშემო შემოვლის შემდეგ ჟულს მხრებიდან ჩამოიღებდნენ და მას ცეცხლში შეუკეთებდნენ. ამის შემდეგ, სახლის უფროსი წინასწარ გამომცხვარ დიდი ზომის პურს - „ჟულიშ ლემზირს“, ცეცხლზე შეკეთებულ ჟულის ბოლოზე დადებდა, დანას მოიმარჯვებდა, იქვე ჩაცუცქდებოდა და დაუწყებდა დანით ლემზირს ჩხვლეტას, თან იძახოდა პურეულის და საქონლის ჯიშების სახელებს სათითაოდ სამჯერ. ყოველი სიტყვის თქმაზე, თითოჯერ მაინც უჩხვლეტდა პურს დანით. დამსწრენი ამ დროს ფეხზე იდგნენ და გაიძახოდნენ ქგრ-ქგრ! წყალობა, წყალობაო! უზომოდ დაჩხვლეტილ ჟულიშ ლემზირს სახლის უფროსი ბოლოს წვრილად დაჭრიდა და მათ შეგროვილთ გადაუყრიდა, დაეხვეოდა მათ დიდი და პატარა და მხიარულად შეექცეოდნენ თავიანთ ხელში ჩაგდებულ ნაჭრებს ჟულიშ ლემზირისა. ამის შემდეგ სხვა ოჯახისაკენ მიემართებოდნენ იგივე წესის შესასრულებლად.[2]

წესის და მიხედვით ბომბღა ლეთ შეკეთებული ჟული, ლიფანალის პირველ დღემდე უნდა დამწვარიყო. „ადგომს“ კერია ძველი ნაცრისგან სუფთავდებოდა, რადგან ამ დღეს დამწვარ გუ̄ბის ნაცარს სხვა რამის (იგულისხმება პირველ რიგში ჟულის) ნაცარი არ შერეოდა.[3] (ლატალი)

ბალს ქვემო სვანეთში ჟულის შემოტანა სოფლის ახალგაზრდების გარეშე ოჯახის წევრი მამაკაცების მიერაც შეიძლებოდა. ჟულის შემოტანის წესებში დედაკა-

---

[1] ბომბღა, ბომბღა, ბელლის კარზე დატვირთული, რახ!

[2] ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღეობათა კალენდარი, 1939 წ. გვ. 128. კანდა ჩუბეხევში (ბ. ქვ. სვ.).

[3] მთხრობელი ს. გირგვლიანი-გვიჩიანის, ლატალი, იფხი, 1995 წელი.

ცი საერთოდ არ მონაწილეობდა (თუ არ ჩავთვლით მის მიერ Ვულიშ ლემზირის დაცხობას), იგი სამამაკაცო წესად მიიჩნეოდა. Ვულზე შემჯდარი ყმაწვილიც ბიჭი იყო. Ვულის ლემზირის დამჩხვლეტი მამაკაცი ან ,,ქორა მგᲭᲨხი'' (სახლის მეკვლე) უნდა ყოფილიყო ან ,,ქორა ხოშა'', რომელსაც თავის ხნოვანების გამო მეკვლეობის ღონე არ შესწევდა.

ზოგან Ვულის ერთ ნაჭერს კერიაში შეუკეთებდნენ, სადაც ის ნელ-ნელა უნდა დამწვარიყო, მეორეს ლიფანალისთვის შეინახავდნენ, მესამე - პატარა ნაჭერს, მომავალ კანდამდე გადაინახავდნენ.აქ ,,Ვულიშ ლემზირად'' ,,ნაᲭᲨხუნი ლემზირი'' გამოიყენებოდა. Ჯვარედინად დაჩხვლეტილ კვერს დამჩხვლეტი ოთხად გაჭრიდა და Ვულის მოტანის მონაწილეებს დაუნაწილებდა (ფარი).[1]

ეცერელი ქორა მახᲩში, Ვულის შემოტანის შემდეგ, კერიაში შეკეთებულ Ვულზე Ვულის ლემზირის ჩხვლეტისას იტყოდა: წლის შემცვლელო, კარგი წელი შეგვიცვალე, მომავალი ახალი წელი კარგ გულზე მოგვივლინე ადამიანის მშვიდობიანობით, საქონლის სიმრავლით, წლის სიბეჯითით. კარგ გუნებაზე მოგვახმარებინე შენი მადლი და წყალობა! ამის შემდეგ Ვან, Ვან, ფურ, ფურ და სხვა სასურველი ჩამონათვალი (თვითოეულის 3-ჯერ), იქნებოდა იგი მცენარეული, ცხოველური თუ თვით ადამიანური - ბედნიერი შვილი, ბედნიერი რძალი და ა.შ. - მეორდებოდა. (ეცერი).[2] სხვაგან, სურვილების ჩამოთვლას დაიწყებდნენ ,,ყველა ღმერთის წყალობის'' ხსენებით: ჩიღერთემი Ჟგრ, Ვან, ფირ, ლოლიაქ...

ბალს ზემო სვანეთის სოფლებში ,,ᲨᲔᲨხᲩᲨᲛ საღამოს მზის ჩასვლამდე, მერბიᲔლი კერიასთან შემოდგომიდან შენახულ ,,ᲚᲨᲛᲨრია გᲩიზ''-ს გამოიტანდა და მისგან სალაᲭᲨხიარო პურებს (,,ᲚაᲭᲨხ ლესკრᲨᲚ-ს'') დააცხობდა. მათ ქორა მახᲩში გოჭის ფეხის ძვლით კერიის წინ ააჭრელებდა და თან გაიძახოდა: ხარი, ხარი, ძროხა, ძროხა, ვაცი, ცხვარი, ხორბალი, ვაჟიშვილი, ადამიანის მშვიდობა, ბედნიერი რძალი და ა.შ. თვითეულ მათგანს სამჯერ იტყოდა. დაჭრელებულ ლემზირებს სამეკვლეეო კალათაში ჩადებდნენ მეორე დღისთვის. მათ, მეორე დღეს, საქალებოს ქალები შეᲭამდნენ, საკაცებოს — კაცები[3] (ლატალი).

ჩანს, ლატალში აქ აღნიᲨნული რიტუალური ქმედება იყო Ვულის შემოტანის სანაცვლო. ახალი წლის დღეს შინ შემოსული სტუმარი კარებთან მიყრდნობილ Ვულს ტოტს მოსტეხდა და ,,შგილზე'' შეაგდებდა ბედნიერი წლის შენაცვლების სურვილით.

მესტიაში, საღამოს ვახᲨმის წინ Ვულს შემოიტანდნენ. მას კერიაში დაწვის მაგივრად შგილზე შედებდნენ გასახმობად, ხოლო წვრილ-წვრილად დაჭრილ და დაჩხვლეტილ Ვული ლემზირს ქორა ხოშა კა-ზე დაყრიდა და მათ ბავშვები დაიტაცებდნენ. ამის შემდეგ ქორა მახᲩში Ჯამში ფქვილს ჩაყრიდა, ბლომად წყალს ჩაასხამდა, კარგად აურევდა და მიღებულ სითხეს მოასხამდა ლეᲭუნდირს, შგილს, კიბდენებს[4] და სხვა ავეჯეულს მათ ავი თვალი არ მიეკარებაო. თუ ოჯახი უᲩმინდური იყო (დედათა წესის

---

[1] ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი 1939, გვ. 132 კანდა ფარში.

[2] იგივე, გვ. 132-135 კანდა ეცერში.

[3] მთხრობელი ს. გირგვლიანი-გვიჩიანის 1996 წელი ლატალი, იეᲩი.

[4] ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1939 წ. გვ. 144-148 ზომხა მესტიაში.

მქონე), ჴულის შინ შემოტანას ,,ადგომი''-ს დღისთვის გადადებდნენ (5 იანვ. ძვ. სტ.).[1] სხვაგან, ჴულის ღემზირს ჩხვლეტისას მატყლს ჩაურთავდნენ. ჩხვლეტდენ კერასთან და სიუხვისთვის სასურველ სიტყვებს იტყოდნენ. ბოლოს, ამ საქმის მკეთებელი მატყლიან პურს ჯამში ჩადებდა, წყალს დაასხამდა, ერთმანეთში გაურევდა და ამ სითხეს ჭერს შეასხამდა. ნათქვამი იყო რაც უფრო მეტი ცომიანი წყლის შხეფები მოხვდებოდა ჭერს, მით უფრო ბარაქიანი და მოსავლიანი წელიწადი ექნებოდა ოჯახს[2] (მულახი).

ქვემო სვანეთში ვ. ბარდაველიძის ,,სვანური კალენდრის'' მიხედვით, არ გვაქვს კალანდა დღის ჩვეულებებისათვის ზემო სვანური ზომხას მსგავსი ჴულით საწესო ქმედებანი (საერთოდ, დღეობათა აღწერილობისას შეინიშნება, რომ ქვემო სვანური მასალა რელიგიური ყოფისა, ბარის საქართველოს წეს-ჩვევებთან უფროა ათქვეფილი, ვიდრე ,,სუფთა სვანურ'' წეს-ჩვევებთან. იგი თითქოს ,,გარდამავალი ზოლია'' რწმენისა, მთასა და ბარს შორის) მაგრამ აქ გვხვდება ერთი საინტერესო მომენტი კანდა დღის წეს-ჩვეულებიდან, რომელიც შესაძლოა იდეურად დავუკავშიროთ ჴულის საწესო ჩვეულებას. ეს არის ,,ხორბლის დათესვის'' წესი; ,,შინაური მეკვლე თუ მოიცლიდა, კანდა დღეს თუ არადა ახალიწლის კვირა დღეს მაინც აუცილებლად ,,ხორბალს დათესავდა''. აურევდა ერთმანეთში ქუბას (ქირს), სიმინდს, პურისა და ქერის მარცვლებს, შემდეგ მათ ნეხვს დააყრიდა, წაიღებდა ნიჩბით ყანაში და თოვლზე მოაბნევდა შემდეგი სიტყვებით: - ღმერთო შენ გაგვიკეთე ნახნავ-ნათესი. დათესილ ადგილზე თხილის ტოტის ჯვარს დაასობდა. ვიდრე სახლის მეკვლე ამ წესს არ შეასრულებდა, ოჯახიდან თესლის გატანა არ შეიძლებოდა. იცოდნენ ასევე ზომხა დღეს კალოზე თოვლის მურყუ̈ამის (კოშკი, ზვინი) აგება და მის შუაგულში ფიჭვის, ნაძვის ან მუხის გაჭრილი ხის ჩაყოლებაც.[3]

ახალი წლის დღის მფარველად მთელი სვანეთი ,,ზა̈ ყერი მგცა̈დ''-ის ეპითეტით არსებულ ,,ღერბეთ''-ს მიიჩნევს. (ითარგმნება ,,წლის ძალის შემცვლელი''. ამ ეპითეტში და̈ლ ეშხუ̈ამიშიც იგულისხმება!) მის პარალელურად ახსენებენ ,,ხოშა ღერბეთს'' (დიდი ღმერთი) და, უშგულსა და ქვემო სვანეთის თემებში - ,,ბასილს ზღვის კალანდისას'' სახელს (,,ბასილ ძუღუა კალანდიშ'').

,,ახალი წლის'' დღე პირველი დღეა ყოველივე ახლად შექმნილისა, ანუ ყოველივე იმისი, რაც ადამიანის გარემომცველ ბუნებაში არსებობს მისგან დამოუკიდებლად და, არსებობს იგი დროში (კერძოდ, ერთი წლის მანძილზე) მაგრამ, რამდენადაც აღნიშნული დღე წლის ძალის შემცვლელი ღმერთის მფარველობით არსებობს, ბუნებრივია, ,,ყოველივეს'' ახლად შექმნის ძალაც და უნარიც ამ ღმერთისაა. ეს ღმერთია ,,დიდი ღმერთი'' - (,,ხოშა ღერბეთ''), ,,დიდი'' და უზენაესი თავისი ,,ხელმწიფების'' გამო. ჩანს, ,,ახალიწლის'' მფარველიც ისეთივე იდეურად წარმოდგენილი განგებაა, როგორც ,,დალ ეშხუ̈ამიში''. მისი არსის ბუნებრიობას სიმბოლურად ავლენს ახალი-წლის პირველი დღის ყველა საწესო ქმედება: მეკვლეობით დაწყებული ჴულის შემოტანით დამთავრებული და განსაკუთრებით ის გარემოება, რომ ჴულით მხო-

---

[1] ლეჭუნდირ არის კერისაგან საქონლის ბაგის გამყოფი ხის ტიხარი. შგილ-აყარი - კერის ზემოთ მოთავსებული კიბდენ - კიდობანი.

[2] ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1939წ. გვ. 148-152 ზომხა მულახში.

[3] ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1939 წ. გვ. 170 და გვ. 170-174 კანდა ქვემო სვანეთში.

ლოდ მამაკაცები მოქმედებენ. ისინი ჴულს, კერიის ირგვლივ სამჯერ შემოტარების შემდეგ ცეცხლში სადიაცო მხრიდან შეუკეთებდნენ, ან სხვენზე, კერიის ზემოთ გამართულ ,,შგილზე'', შეაგდებდნენ.

საკრალიზებულია დროც ჴულის შემოტანისა: მისი კერასთან ზიარება და სახლის შინაში შემოტანა ხდება ღამით (,,ბომბღჳ ლ̃ეთ''), რათა ,,შესაქმის იდეას'' შეუნარჩუნდეს ,,საიდუმლო სამოსი''. ანუ, რამდენადაც ადამიანის გონისთვის შეუცნობელია მდედრის წიაღში სიცოცხლის ჩასახვა, სრულყოფა და დაბადება, იმდენად შეუცნობელია ბუნებრივად, ადამიანისგან დამოუკიდებლად, ბუნებაში არსებული ,,ყოველივეს შექმნის'' სინამდვილეც. სამყაროსეული ,,შექმნაც'' და ,,დაბადებაც'' მოკვდავისათვის უხილავია და ბოლომდე ამოუცნობი. ალბათ, ამიტომაცაა ასე საკრალიზებული, როგორც დღეობათა იდეური მხარე, ისე ქმედებაც და ,,რიტუალური ენაც''. აქ ყველაფერი საიდუმლოებით მოცული და სიმბოლიზირებულია;.. (შიში შიმშილისა და სიკვლისისა ზებუნებრივისაკენ (უზენაესი შემოქმედისკენ!) აღაპყრობინებდა ადამიანს თავის გონებას და ქმნიდა მისდამი მსახურების გარკვეულ წესს მანამ, სანამ არ გამოეცხადა ,,მართლად არსებულიც'' და მსახურების ,,მართალი წესიც'' - ქრისტე და ქრისტეს მოძღვრება).

აქვე აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ პროფესორი ვ. ბარდაველიძეს ,,ბომბღა || ბამბღუ'', ღვთაება ბასილას ეპითეტად მიაჩნია. მის ბუნებრიობას ჴულის რიტუალი გამოავლენს''.[1] პროფესორი ზ. კიკნაძე ,,ბასილას'' ,,ბოსელად'' მიიჩნევს. ,,ბოსელი'' კი - შუმერთა გაგებით, მდედრული ბუნებრიობის წიაღია.[2] ჩვენც, სვანური ,,ახალი წლის'' წესთა გააზრებით იგივე უნდა აღვნიშნოთ: ბომბღა არ არის ბასილის ეპითეტი და არც შესაბამისად ,,ახალი წლის'' დღის მფარველის ეპითეტი. ,,ბომბღჳ ლ̃ეთ'' მდედრის წიაღია (ღამეა, უხილავი სივრცეა), სადაც უხილავად ხდება ,,სამყაროსეული შესაქმე''. მიგვაჩნია რომ ,,ბომბღა'' ზმნაა და არა ,,რაიმეს'' სახელწოდება. რაც შეეხება ,,ბასილ'' ძუღუა კალანდაშის'' ბასილს, ის ნამდვილად ქრისტიანული წმინდანის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია განვაცხადოთ შემდეგი: 1) სვანური შეშხუჳმ-ახალი წლის დღესასწაული ტრადიციის მიერ სამყაროსეული ,,შესაქმის'' სასწაულადაა მიჩნეული. რამდენადაც ეს ორი საკრალური დღე არ არსებობს ერთმანეთისგან განყენებულად და შინაარსითაც და რიტუალითაც ერთმანეთით განპირობებულნი არიან, ,,შესაქმეც'' გაიაზრება ორი ბუნებრიობის მარადიული ერთიანობით. რწმენით, ეს უდიდესი საიდუმლოებაა და მისი ,,ქმნაც'' მხოლოდ ზებუნებრივ არსებებს შეუძლიათ. ამიტომაც არიან ,,დალ''-იც და ხოშა ღერმეთიც'' ,,იდეური სახის'', (ვიდრე ან, მხოლოდ ზოომორფული ან, მხოლოდ ანთროპომორფული), ისინი უხილავი, უზენაესი ღვთაებანი არიან - ,,წლის ძალის შეცვლის შემძლენი!''. ამასთან ერთად, მარადიულობა დრო-ჟამისა და სამყაროს არსებობისა, ერთად მათ მუდმივ არსებობას მოითხოვს.

2) ზებუნებრივნი ამ ერთობით ქმნიან მიწიერთათვის ხილულ სამყაროს. პირველი ორის მუდმივი ერთიანობით გაიაზრება ცისა და მიწის კავშირიც, მათით ხდება ყოველივე!

---

[1] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები 1959 წ. გვ. 113 და გვ. 118.

[2] ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, 1979 წელი, გვ. 76.

3) ადამიანი ამის გამო ,,ამ ორ შემოქმედთ'' ცალ-ცალკე, საკუთარი ბუნებრიობითაც წარმოგვიდგენს: ისინი თვითოეულად ,,ერთი'' არსებანი არიან, მაგრამ უზოგადესი საიდუმლოება ხდის მათ ორს ერთარსებად და ერთი და იგივე ეპითეტით ,,ზაჲ ყერი მგცაჴდი ღერბეთით!'' აღნიშნავს. ,,ერთს'' პირველი დღის მფარველობა მიეკუთვნება და დაჴლ ეშხრ-აშ-ისად იწოდება. მეორეს - მისი მომდევნო დღე და იწოდება - ,,ხოშა ღერბეთად''. (აქვე უნდა გავიზიაროთ ის გარემოებაც რომ ,,ერთი'' და ,,მეორე'' არ ნიშნავს მათ მეტ-ნაკლებობას, იერარქიულობას. იგი ნიშანია მხოლოდ იმისა, რომ ,,ერთი'' ერთი ბუნებრიობაა. ,,მეორე'' - სხვა, ჟამის ცვლილებისთვის ორივე ერთნაირად ტოლნი და არსებითნი. (ორივე პირველნი). ,,ერთ''-ს პირველი დღის მფარველობა მიეკუთვნება და რადგან ,,დაბადებაა'' მის წიაღში გააზრებული, დალია დღის მფარველიც (ქალი მზე). მეორე დღეს, რადგან ყოველივეს შექმნაა ამ დღის მტვირთველი, მისი მფარველიც ზეციური დიდი ღმერთია (,,ხოშა ღერბეთ'' || ,,ფუსდ აბუჴსდიშ'').

4) მათდამი რწმენა ქმნის მსახურების წესს, თუნდაც იმდაგვარს დღესასწაულთა ხილული მხარე რომ იტევს.

5) იდეის შესაბამისად დღესასწაულის (იგივე მსახურების) მონაწილე ყველანაირი ,,ხილული რამ'' საკრალიზებულია. ისინი პირველ რიგში, მონაწილეობის გამო და შემდეგ, მათით გამოხატული იდეის გამო, ,,სასწაულის'' მსახურნი ხდებიან, სასწაულის მჩენენი კი ზებუნებრივი ,,პირველი ორი''.

6) ,,გრიზ'' ,,დამბადებლის'' ბუნებრიობის (არსის) გამააზრებელი და წარმომჩენი სიმბოლოა, ,,ჷულ'' - ,,შემქმნელისა''. სხვა დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი ,,ყოფიერი ნივთნი'', ყოფაში ადამიანის სასურველი ბუნებრიობის მჩენნი ხდებიან; ახალ წელს პირველად შემოტანილი წყალი - ,,რძეა'', თეთრი ფერის ქვა (კვარცი) - ყველია. წერექო - ,,მწვერვალზე მზის სამკვიდრებელი ადგილის'' მცენარეა. ,,ფუნთქვირ'' - მცენარის ხელახალი ,,ჩენის'' სიმბოლო. ხის ნაფოტიც კი სიუხვის და სიკეთის მიმანიშნებელია.

7) რწმენით, ყოველივე ზეციურის ნობათია, რადგან მისია შექმნის ძალაც და შექმნილის არსებობის ძალაც. ამ უპირატესობით გახდა მამრული ბუნებრიობა პირველი ღვთაებრიობაშიც და ყოფაშიც (მიწად იგი ოჯახის უფროსი მამაკაცია, ზეცად სამყაროს მეუფე მამაზეციერი) ადამიანის გონისთვის მხოლოდ ეს ბუნებრიობა დარჩა ,,ხოშა ღერბეთად'' (უზენაესი ჭეშმარიტებაც ხომ ეგაა!).

8) მიწიერის მსახურება ზებუნებრივისთვის ვედრებაა ყოველივეს ახლად მოვლენისთვის, რადგან შექმნის განმეორებითობაა გადამწყვეტი, როგორც სიცოცხლისთვის, ისე ღვთისა და ადამიანის მარადიული ურთიერთობისთვის.

ხე-მცენარის გრიზის საკრალურობა შეშხრაშ-მახე ზაჲ-ის დღით არ მთავრდება. იგი, ნაცრად ქცეული, მთელი წლის მანძილზე აგრძელებს ოჯახის შინაში არსებობას. გრიზის ნაცარს (და არა ჷულისას) სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებენ. უმეტესად, სალოცავი ადგილის (სალოცავი სარკმლის), სახლის შინას, ,,გასაწმენდად'' - მისი ავი თვალისაგან დამცველად. იყენებდნენ სამკურნალოდაც და, რაც მთავარია, გრიზის ნაცრით სრულდებოდა დიასახლისის მიერ საწესო მხატვრობა. იხატებოდა მის მიერ სიმბოლურიც (ე. ი. საკრალური) და ნატურალისტური ფორმის ნახატებიც, იხატებოდა ხის ავეჯი და გომურის ტიხრები. ნახატები კი იქმნებოდა ლიფანაწლის პირველ დღეებში და ქვემო სვანეთში ,,ბემბღუ ლენ''. (ყველიერის წინა შვიდეულის შაბათი დღე).

რა მიეკუთვნებოდა ლიფანალის საწესო მხატვრობით ღვთაებათა სამყაროს, ანუ რა იყო საწესო მხატვრობის საკრალური ნახატები. რწმენით, ეს ხელოვნება კეთილდღეობის ერთ-ერთი საშუალება იყო ამქვეყნად მცხოვრებთათვის. ადამიანის კეთილდღეობა კი, პირველ რიგში, ღვთაებათა წყალობად გაიაზრებოდა. ამ იდეას მხატვრობის ნიმუშებიდან განასახიერებდა ,,ღვთაების სიმბოლური გამოსახულება, წარმოდგენილი თავისი ზეციური საბრძანებლის ნიშნით, ასევე სიცოცხლის ხის მოტივის ამსახველი ჭრელი, ისეთი მნათობების გამოსახულებანი, როგორიცაა მზე და მთვარე, შესაწირავებისა და რიტუალური კვერების ჭრელები, მლოცველი კაცი შესაწირავებით ხელში, ადორანტი ქალი და მისთანანი".[1]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ,,საწესო მხატვრობისას მხატვარი ჭრელებს ,,ალაგებდა" როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ჭრილში. ორივე შემთხვევაში ფონის ზემო ნაწილი მთლიანად ,,წმინდა" საგნებს ჯვრებს, მთვარესა და ლემზირს ეძღვნებოდა, ხოლო მათ ქვემოთ ცხოველთა ჭრელები იყო მოთავსებული".[2]

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ამ ,,წმინდა საგნების" სახეც და ,,ღირებულებაც". ისინი ხომ ეშხუამის ხე - მცენარის გუიზის ნაცრით არიან შექმნილნი. სახატავ საშუალებად გამოიყენებოდა ასევე გუიზის ფქვილის ხსნარი, ჩვეულებრივ მისგან ,,ლემზირები" რომ მზადდებოდა დიასახლისის მიერ.

I. წმინდა ნახატი ჯვრისა გამოხატულია შემდეგი ფორმებით.[3]

1) ჯუარ (ტოლგვერდა მხრებით) ტაბ. V ნახ. 12, გვ. 30.

2) ჯუარ ,,ლგპრისდე"-ს სახელწოდებით (ტოლგვერდა მხრებით) ტაბ XII, ნახ. 8, გვ. 37.

3) ჯუარაარ (ჯუარ მრ. რ.) ტაბ XII ნახ. 4, გვ. 38.

4) ჯუარ და ,,ხოჩა ჯუარ" - კარგი ჯვარი (აუცილებლად ტოლგვერდიანი) ტაბ. XIV, ნახ. 1, და ნახ.7, გვ. 40.

5) ჯუარ. ტაბ. XV ნახ. 8, და ნახ. 9, გვ. 41.

6) ჯუარ ტაბ. XVIII ნახ. 5, გვ. 43.

7) ჯუარ ტაბ. XX ნახ. 11, გვ. 44.

8) ჯუარ ტაბ. XXII ნახ. 1, გვ. 48 ამ ჯვართან ერთად დახატულია შეუკრავი წრეც.

ჯუართან არის ასევე დაკავშირებული შემდეგი სახის და სახელწოდების ნახატები, რომელთაც ვ. ბარდაველიძე ღვთაების სიმბოლურ გამოსახულებად მიიჩნევს. ესენია;

1) ,,მაარე" (კაცი) ტაბ VII ნახ, 5 გვ. 31.

2) ,,მაარე" (კაცი) ტაბ XVII ნახ. 1, გვ. 42.

3) ,,მაარე" (კაცი) ტაბ. XV, ნახ. 1, გვ. 41.

4) ტატუაჟის ნიშანი ხელზე ნახ. 23, გვ. 47.

5) საკარძლის ზურგის ქვემო ნაწილის დეტალი ნახ. 22, გვ. 47.

II ლიფანალის მხატვრობაში ,,წმინდა" საგნად მიჩნეულია ასევე მნათობები:

---

[1] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები 1959 წ. გვ. 74.

[2] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები 1959 წ. გვ. 23.

[3] მათ აქ ჩვენ აღვნიშნავთ ვ. ბარდაველიძის დასახელებული ნაშრომის შესაბამისი გვერდებით, შესაბამისი ტაბულის რიგით და ტაბულაზე ნახატის ნომრის მიხედვით.

მზე და მთვარე. ისინი აქ გამოსახულნი არიან სხვადასხვა ფორმით:

1) დოშდულ (მთვარე) მიქ (მზე) ტაბ. V, ნახ. 6 და ნახ. 7, გვ. 30.

2) მიქ (მზე) დოშდულ (მთვარე) ტაბ. XI, ნახ. 11, ნახ. 10, გვ. 37.

3) დოშდულ (მთვარე) ტაბ. XII, ნახ, 3, 38.

4) დოშდულ (მთვარე) ტაბ. XIII, ნახ, 4, გვ. 39.

5) დოშდულ (მთვარე) ტაბ. XIV, ნახ, 3, გვ. 40.

6) მიქ (მზე) დოშდულ (მთვარე) ტაბ. XVI, ნახ, 6 და ნახ. 7, გვ. 42.

7) დოშდულ (მთვარე) ტაბ. XIX, ნახ. 8, გვ. 44.

8) დოშდულ, ჯვარ, მიქ ტაბ. XX, ნახ, 10, ნახ, 12, გვ. 44.

მთვარე, ჯვარი, მზე.

9) ამ ნახატებს ფორმით უკავშირდება ჭრელები; ,,ლგჭარ კიბდენ'' (შეკრული კიდობანი) (ტაბ. VIII ნახ. 15, გვ. 33) - გვაქვს ,,კიბდენის'' სხვა ფორმაც - ნახ. 5, ტაბ. IX, გვ. 35 და კიბდენ ტაბ. XX ნახ. 1, გვ. 44. ასევე, დახვეული პურის ფორმისაა პურის საჭვრეთი - ,,ბეჭდარ'' ნახ. 21, გვ. 39.

III ლიფანალის მხატვრობაში გამოხატულია ,,წმინდა საგნად'' სალოცავი პურიც - ,,ლემზირ''-ი.

ა) ,,ლემზირ'' ტაბ. XII ნახ. 6, და ნახ. 7, გვ. 38.

ბ) ,,ლემზირ'' ტაბ. XIV ნახ. 5, გვ. 40.

გვაქვს მლოცველის ჭრელაც ,,მომზგრ'' (მლოცველი) ტაბ. XX ნახ. 3, გვ. 44.

აღნიშნული სახის ლემზირები ღვთის აღსავლენი პურებია. ისინი, ამ ფორმით მხოლოდ ღვთისთვის ცხვებოდა. ლემზირების აქ წარმოჩენილი სახე ტრადიციის მიერ ღვთაებათა სხვა სახიანი ლემზირების საწყის ფორმად მიიჩნევა; მათზე, ღვთაების შესაბამისად (მიწისაა იგი თუ ცის), ფორმასაც სხვანაირს უსახავდნენ, ხოლო გარდაცვლილთა სულთათვის (,,ქრინი დიარ'') მიკუთვნებულ პურს ცერა თითით (ან საჩვენებელი თითით) ზემოდან უკეთდებოდა მრავალი ნაჭდევი, რადგან, ნათქვამია, რამდენ ნაჭდევსაც გაუკეთებდი ქრინი დიარს, იმდენ სულს შეხვდებაო იგი.

გიმი ლიმზირისას, (,,ლამარია ლიმზირ'' || კერი ლიმზირ, - მიწისადმი მიმართული ლოცვა), შესაწირ პურსაც ჰქონდა ზედაპირზე დასმული ნაჭდევები, მაგრამ არა მრავალი, არამედ 3 ან 4 ცალი ცერა თითით დასმული. აღნიშნულს ,,ლემზირი'', ანუ გვერდზე 3 ნაწიბური არ უკეთდებოდა. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებდა ამ ლემზირის ფორმის განსხვავებას ,,ლამარია'' (გიმი ლემზირის || კერი ლემზირის) ლემზირისაგან, რომელიც ,,ცის განგებებს'', ,,ცად მსუფევ ღვთაებებს'' აღევლინებოდა. თავის მხრივ, სალემზირე პურზე (მის გვერდებზე) დასახულ ნაწიბურებს (3 ცალს), - სვანურად ,,ლემზირი'' ჰქვია. აქედან გამომდინარე, თვით სალოცავ პურსაც ჰქვია ,,ლემზირი''. ეს გარემოება არც თუ ისე უმნიშვნელო ფაქტია. აღნიშნული მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან მიცვალებულთა სამყაროს ცის სამყაროსაგან და, შესაბამისად, ამ ორივეს მსახურ ადამიანის სამყაროსგანაც. ადამიანის მიერ ეს განსხვავება სიმბოლიზირებულია. სვანთათვის მიცვალებულთა სამყარო სხვაა და ღვთაებათა სამყარო - სხვა: იქნებიან ისინი ცაზედ თუ მიწაზედ მსუფევნი. რწმენით, მიწაზედ მსუფევი ღვთაება ,,ლამარია'' (- ,,ლამარია გიმჟი სგვეჯ!'') - ქალური ბუნებრიობაა (მიწა), რომლის ორეულიც ,,ზეციური ქალღვთაება'' - მზეა. ამ ორივეს პარადიგმულ სახეს სახიერი ქალის სახელწოდებით გვიქმნის ,,შეშხუამ'' || ,,ეშხუამის'' დღესასწაული მფარველ ,,დალ ეშხუამ''-თან ერთად. (ამითაც, ჩანს რომ დალ ეშხუამ-იშ მზის ბუნებრიობასთანაა დაკავშირებული და იდეურად იგი ,,ყველაფრის დამდებელია''.)

არსებობს წესის მეორე მხარეც: თუკი დღესასწაული ღვთაებებისთვისაა მიკუთვნებული და არა მიცვალებულებისთვის, მაგრამ აუცილებელია, რომ მიცვალებულებსაც ეკურთხოთ სუფრა, ჩვეულებრივ, ცხვება სალოცავი ლემზირები ისეთი, როგორიც ზემოთაა მოცემული. ღვთაებებისთვის აღვლენილი ლემზირები იდება მიცვალებულების სუფრაზე და „შეეწირება" მათ. ყოვლად დაუშვებელია, რომ ლემზირებით პირველად მიცვალებულებისთვის იზრუნონ და შემდეგ ღვთაებებისთვის. ისინი, პირველად ცისთვისაა აღსავლენი! ბუნებრივია, ლიფანალის მხატვრობისას ეს წესი არც გაიაზრებოდა და ჩანს, არცაა გააზრებული. საწესო მხატვრობის სალოცავი პურები მხოლოდ „წმინდა პურებია" და ისინი არ მიეკუთვნება გარდაცვლილებს.

IV „წმინდა" ჭრილად მიჩნეულია „სიცოცხლის ხის" ჭრელა („ფიჭვს ჭამენ თხები"), რომელიც მხატვარს მოუთავსებია სხვა სახელწოდებების ჭრელებთან ერთად. ესენია; კიდობანი, მლოცველი, თხა, ცხენი, კაცი, ხარი, ქათამი, მთვარე, ჯვარი, მზე, ძროხა, მამაკაცი, ქალი, ჯიხვი.[1]

აღსანიშნავია, რომ ერთგან ხის ჭრელას, რომელსაც ტოტები დაბლა აქვს დახაზული ფიჭვი (გგგიბ) ეწოდება, ხოლო „ფიჭვს ჭამენ თხების" ჭრელაში. ფიჭვს ტოტები მაღლა აქვს აწეული (ჩანს, ამის და წიწვიანი მცენარის „მარადმწვანობის" გამო მიიჩნევა იგი სიცოცხლის ხის სიმბოლოდ). სხვაგან ხე, რომელსაც ტოტები მაღლა აქვს „ატყორცნილი" და სიძლიერითაც გამოირჩევა, არყის ხის სახელწოდებით (ქაჴვრა) აღინიშნება. ყოფაში საკრალური დატვირთვით არყის ხე უფრო გამოირჩევა, ვიდრე ფიჭვის ხე. ლამპარი, რომელიც ხალხს სანთლის „პირველსახედ" ესახება, არყის ხისგან ინთებოდა (ინთება დღესაც). ალბათ იმის გამო, რომ მისი ქერქი თეთრი ფერისაა და ფიჭვისგან (საერთოდ, წიწვიანი ხეებისგან) განსხვავებით, არც ფისის სუნი არ ასდიოდა. ლამპარი ხომ უზენაესისთვის არის ანთებული, მათი მსახურება სუნის და ფერის სიწმინდესაც ითხოვდა. ასევე არყის ხის ფიცარზე იხატებოდა ძველად სვანეთში ხატები. არყის ხესთან ერთად სახატე ხეები იყო წითელი ხის ჯიშები - „შაირა" და „ცაირა". სიმბოლური დატვირთვა აქვს იმ გარემოებასაც, რომ წითელი ხის ჯიშები მრავლდება მხოლოდ და მხოლოდ „ერთი ჩიტის" (არ იციან რომელია იგი) მიერ; მისი თესლის აკენკვით და შემდეგ, ამ თესლის ნოყიერ ნიადაგზე მოხვედრით. ჩანს, ღვთის ნებაა თავისი სახატე მცენარის მოშენებაც, საუბედუროდ ჩვენი კი - მისი მოსპობა - უმოწყალოდ ამ ხეთა განადგურება.

ხატი არ იხატებოდა არასდროს ფიჭვიანი მცენარეების სხეულზე - იგი ადვილად ლპობადიაო. ხატი არ იხატებოდა ასევე წიფელასა და მუხაზე - სახიანი პირი აქვსო. ხატი მხოლოდ წმინდა, ბუნებით დაუსურათებელ ფიცარზე იქმნებოდა.

ვფიქრობთ, აღნიშნულიც კი საკმარისია საწესო მხატვრობის „წმინდა" ნახატთა ღირებულება რომ გავითავისოთ და, პირველ რიგში, გავითავისოთ მათი „ერთი"-დან „ჩენის" იდეაც. ისინი გუ̃ეზ-ის ფქვილიდან და გუ̃ეზ-ის ნაცრიდან იქმნებიან. იხატებიან სახლის შინაში „ბომბღა ლ̃ეთ", ახალი წლის ციკლის დღეობებისას. იხატებიან ქალის მიერ და გვევლინებიან მსოფლხედვის „ანა-ბანად".

ასე მოგვიყვანა პირველ იდეამდე რიტუალის, ერთი დანახვით, მცირე „საგანმა", „ჴულისა", და „გუ̃ეზის" საკრალურმა ღირებულებამ. ჩანს, „ერთის" ჭეშმარიტებისთვის არანაირი მცირედი არ არსებობდა. მისთვის მცირედიც კი არსებითია.

---

[1] ჭრელები იხ. წიგნში, ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953, ტაბ. XX, გვ. 44.

,,ერთი''ს უზენაესობა მისგან ყოველივეს წარმოშობის ,,ღვთაებრიობას'' უკავშირდება. ეს ,,ერთი'' და ამავე დროს ,,პირველი'' უძველესი მსოფლხედვით - ,,მზეა''. იგი უტოლდება ქალის და მიწის ბუნებრიობას - მუდამ საიდუმლოს და ამოუხსნელს. ,,ერთი'' მათი ბუნებრიობითაა ადამიანისთვის გათავისებული. აღნიშნულის ,,დემონსტრირებაა'' ქართველთა მზის დღესასწაული და ამ საერთო დღესასწაულის ,,სვანური ვარიანტი''. ახალი წლის ციკლის დღეობების წეს-რიგში მზის ღვთაების, ალბათ, ერთ-ერთი უძველესი სახელწოდებაცაა შემონახული.

ადამიანის ცნობიერებას, სადაც არ უნდა არსებულიყო იგი, ქრისტიანული ეპოქის იქნებოდა თუ ადრექრისტიანულის, ერთნაირად სჭირდებოდა ბუნების კანონზომიერებათა გათავისება. როცა მათ ,,დაბადებას'' ახსნას ვერ უპოვიდა, გამჩენადაც ,,უხილავს'' წარმოიდგენდა. მაგრამ, ბუნების ,,ცენტრში'' ხომ თვითონ არსებობდა (როგორც გონიერი) ამიტომ, ბუნების ბუნებრიობის გააზრებასაც საკუთარი ,,მე''-ს ძიებით (მისი გააზრებით) იწყებდა. ჩანს, საკუთარი ,,სხეულის თვისებისდარად'' აღიქვამდა მთელ სამყაროს გაჩენასაც, მაგრამ ესეც უხილავი გამჩენის ძალად მიიჩნეოდა.

მიჩნეულია, რომ პირველი რელიგიური მსოფლხედვა ადამიანმა ,,მიწიერი ნაყოფიერების სინკრეტული იდეის'' გააზრებით წარმოაჩინა. ეს აერთიანებდა მცენარეულ, ცხოველურ და ადამიანურ საწყისებს. სახიერად აღნიშნული ქალის სხეულით გამოიხატებოდა, ანუ ყველაფრის საწყისად ქალური ბუნებრიობა მიიჩნეოდა. ,,ეს ქანდაკება უმეტესად მცირე ზომისაა. ტანად წაგრძელებულ ფიგურებს დაუმუშავებელი, დეფორმირებული სახეები აქვთ, ხანდახან იგი კურდღლისა და ბაყაყის თავს მოგვაგონებს.მხრებზე ჩაჭრილი მცენარის თესლები აქვთ ჩატანებული, თვალები ინდის ხურმის კურკებითაა ამოვსებული, ფიგურას ზოგჯერ დოინჯი აქვს შემოყრილი. ზოგს კი ბავშვი ჰყავს გულში ჩაკრული''. აღნიშნული სახის ქანდაკებანი ძვ. წ. 5000-3100 წლებს განეკუთვნება. ისინი მიიჩნევა ,,რელიგიის ჩასახვის'', რელიგიური აზროვნების, სულიერი კულტურის საწყისად.[1]

ასე იყო შუამდინარეთში, სადაც კაცობრიობის მრავალმა ეთნოსმა დაიწყო არსებობა. საქართველოში მსგავსი ქანდაკებანი (და შესაბამისად მსგავსი იდეაც) ძვ. წ. VI ათასწლეულს განეკუთვნება; შულავერში აღმოჩენილი თიხისგან შესრულებული მჯდომარე ქალ-ღვთაების ვერტიკალური სხეული შემკულია გრაფიკული სახეებით, ფეხებზე დატანებულია პარალელური ჭდეები, ხოლო სხეულზე გამოსახულია ხე, რომელიც უშუალოდ ქალის საშოდან ამოდის. ამ პერიოდშივე აშკარად იკვეთება ქალღვთაებასთან დაკავშირებული სამყარო: ქალი, მცენარე, ირემი, გველი... რაც საფუძვლად დაედო გვიანდელი ხანის რთულ წარმოდგენებს. აღნიშნული ქანდაკება გაიაზრება, როგორც ქვეყნიერების სიმბოლო, რომელშიც სამყაროს ვერტიკალური სტრუქტურის იდეაა ჩადებული.[2]

კულტურა, პირველ რიგში, ადამიანის აზროვნებაა. იგი, ამავე დროს, მისი სულის ტეხილთა ჩენაცაა. შემოქმედებითი ნაყოფი (ნივთი, მისი ხელიდან შექმნილი) ადამიანის სულის ბარომეტრია. მათითაც იკვეტება ხედვა და გრძნობა. საბოლოოდ კი, ჭეშმარიტებისთვის, ღირებულებისა და სრულყოფილებისათვის ,,ქმნად'' და ,,ძიებად'' წარმოჩინდება იგი. ქმნის მადლიც, არსებული ადამიანისთვის, ზეციურია, რამე-

---

[1] ვ. აფანასიევი, ე. ლუკონინი, ნ. პომერანცევა, ძვ. აღმოსავლეთის ხელოვნება, ხელოვნების მცირე ისტორია. თბ. 1986. გვ. 42. და სინქრონული ცხრილი გვ. 346.

[2] მ. ხიდაშელი, საქართველოს უძველესი მოსახლეობის სულიერი სამყარო, კრებ. ,,დიდგორი'' 1991, თბ. გვ. 7-8.

თუ თავიც ზეციურ ნობათად მიუჩნევია. ასეა გონით!..

სვანური დღესასწაულები არ გვაძლევს ნივთიერ კულტურას. აქ მათ ყოფაში ერთხელ შექმნილია მარადიული, ბუნების ნობათის ერთგულნი არიან ისინი. მაგრამ როცა დღეობათა წეს-ჩვევებს ვუკვირდებით მისი შემქმნელი ხალხის არათუ სულიერი კულტურა, სუნთქვაც კი გვესმის; აქ აზროვნების სიძველე და პირველქმნილი ბუნებრიობა ადამიანისა, უმარტივეს მიამიტურობამდეა სულში განივთებული...

ხასიათში ჩაკირული რწმენა უზენაესი ღვთისა სულსაც უწვრთნიდა ქართველს და ცხოვრების სიმძიმესაც ატანინებდა. ეს ის ძალაა, რომლითაც ხალხი მთის უმძიმეს ყოფაში მადლიან ხედვას, სულიერი კულტურის ღირებულებებს რომ აძლებინებდა. ამითაც მიგვაჩნია დღემდე მოსული დღეობები ღირებულად და ისტორიის კუთვნილებად. მადლი ამ ,,შენახვის სურვილს'' და მადლი მათ შემნახავთა გონიერებას.

III

საკალანდო შესაწირი — „ლეკლანდი“ || „ლეზომახი“ || „ზომხაჷ“

შეშხუამ - ახალი წლისთვის სავალდებულო, საწესო შესაწირი, ჩანს ყველაზე ადრე დედალი ღორი იყო. ზემო სვანეთში მას ეძახიან ლეკლანდი || ლეზომახის და ქვემო სვანეთში ზომხაჷ-ს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ახალი წლის დღეთა სალასკარო აღნიშვნისას, არ იკვლებოდა ღორი, არამედ - თხა, ცხვარი, ხბო. არც სალასკარო ამ დღის შესაწირ საქონელს (თხას, ცხვარს...), არ ეწოდებოდა არც ლეკლანდი, არც ლეზომახი და, შესაბამისად, არც ზომხაჷ. ამ გარემოებიდანაც ჩანს, რომ საახალწლო შესაწირი საქონელია მხოლოდ ღორი და არა სხვა რამ. მთელს ძველ საქართველოშიც ახალი წლის შესაწირი ზვარაკი ღორი იყო. (ჩანს ისიც, რომ ახალი წლის დღეობანი უფრო საოჯახოა, ვიდრე სასოფლო!)

ამავე დროს შეშხუამ-ახალი წლის შესაწირ საქონელთან დაკავშირებით, ჩნდება ტერმინები: ,,უწენა“ და ,,ლალყაჯი“. უწენა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს არ დასანახს, ლალყაჯი - აკრძალულს. ,,ლალყაჯები“, ევალებათ, რომ ,,უწენად“ მიირთვან: მათით ოჯახის წევრების ზიარება უცხოს არ უნდა დაენახა - ორივე ეს ტერმინი შინაარსით ერთი და იგივენი არიან და იხმარებიან აღნიშნული დღეობისას საკლავის სხეულების იმ ნაწილების აღმნიშვნელ ტერმინად, რომელთაც სიმბოლურად, კუთვნილი დღეობის გამო, რიტუალური დატვირთვა გააჩნიათ. ამდენად, დღესასწაულის იდეა აკონკრეტებს შესაწირის (საქონლის) ,,უწენა-ლალუაჯ“-ებს, მათ საკრალურ ღირებულებას.

და მაინც, რისთვის იქმნებოდა შეშხუამ-მახე ზაის დღეობისას საკლავის ნაწილებით გამოხატული აკრძალვა? ამის პირდაპირ პასუხს ეთნოგრაფიული მასალა იძლევა, კერძოდ: საკალანდო შესაწირის ,,ლალყაჯები“ შექმნილიაო გადამდები სნეულების (ზიგ-ის)[1] საწინააღმდეგოდ. საახალწლოდ მისი შეწირვა ყველა სვანის ოჯახისთვის იყო სავალდებულო. კონკრეტულად კი სავალდებულო იყო იმის გამო, რომ 1) დალ შეშხუამიშს (||დალ ეეშხუ-მიშს) დამდეგი წლის მანძილზე, ამ კუთხის მცხოვრებთათვის გადამდები სნეულება არ მოევლინებინა და 2) შეშხუამის ,,მფარველს მხოლოდ კარგი ეშეშხუამა“ მათთვის.

დღეობათა საწელიწადო კალენდრიდან ჩანს, რომ მსგავსი აკრძალვები სხვა რელიგიურ დღეობებშიც სრულდებოდა სწორედ ავადმყოფობისაგან თავის აცილების (დაცვის) მიზნით. ეს აკრძალვა საქონელთაგან ეხებოდა მხოლოდ ღორს (გოჭი), მამალს და მამლის მაგივრად 3 ცალ კვერცხს. ძირითადად ეს დღეობებია; ,,ლალჩა“, ,,მეასრაბ“, ტახრე ვებიშ“. ამავე დროს, აკრძალვის (,,უწენა - ლალყაჯის“) მიზანი მთლიანად რიტუალური დღეებითაც (,,უწენალები“ - ,,ლალყაჯები“) გამოიხატებოდა, ხოლო - ამ წესების შესრულება უმეტესად ქალების მოვალეობას წარმოადგენდა.

უწენა-ლალყაჯებით შემწირველი აღნიშნულთან ერთად იწყებდა თავისებურ მარხვასაც, რათა ასრულებულიყო მიზანი: დაცული ყოფილიყვნენ ავადმყოფობისაგან.

---

[1] ,,ზიგ“ ,,მაზიგ“-ის ფუძეა, მაზიგ - ავადმყოფობაა.

სწორედ ეს ქმნიდა შესაწირი საქონლის ,,ლალყაჯებსა'' და ლემზირების ,,ლალყაჯებსაც'', ე. ი., იმის გამო რომ მლოცველის მიზანი ასრულებულიყო (ძირითადად ეს სურვილი, ჩანს, ავადმყოფობისაგან დაცვაა) იკრძალავდა იგი ჭამას ამა თუ იმ ნაწილისა შესაწირიდან ან მთლიანად შესაწირს და იკრძალავდა ლოცვის წეს-ჩვევას ანუ ლოცვას ,,უწენად'' (მალულად, სხვის დაუნახავად). ჩანს, აკრძალვა - ,,უწენა ლალყაჯ'' - მარხვის წინა პირობაცაა!

ამდენად, უწენა-ლალყაჯებით გამოხატული იდეა დაკავშირებულია ა) შესაწირი საქონლის სხეულის ნაწილებთან (ზოგჯერ მთლიანად მასთან!) ბ) რიტუალურ კვერებთან (უწენა ლემზირაშ) და გ) მათით ლოცვა-ზიარების წესთან (უწენა!) და ეს წესი არ ეხებოდა მხოლოდ ერთ რომელიმე დღეობას. უწენა-ლალყაჯების ,,სახიერებათა'' მრავლობითობა ოჯახის ნება-სურვილს ექვემდებარებოდა და ამიტომ იგი შეიძლება ყველა დღეობის დამახასიათებელი ნიშან-თვისება ყოფილიყო. მისი შერჩევის შემდეგ იგი ტრადიციულად თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ამ წესის მეორე მხარე იყო ის გარემოება, თუ როდის, რომელ დღეობისას უნდა შეესრულებინათ მათ ეს ,,უწენა - ლალყაჯები''. მამლის და კვერცხის გარდა უწენა - ლალყაჯი სხვაზე (სხვა სახის ზვარაკზე!) არ ვრცელდებოდა. რიტუალურ პურთაგან იგი ეხებოდა ცარიელ და ყველჩართულ ლემზირებს. ეს რიტუალები მხოლოდ საოჯახო რიტუალები იყო, როდესაც მას მთელი ოჯახი იცავდა და იყო საქალებო რიტუალები, როდესაც მას მხოლოდ ოჯახის ქალები ასრულებდნენ. ღორი ხან მთლიანად იყო ლალყაჯი, ხან მისი სხვადასხვა ნაწილი. მამალი და კვერცხი (3 ცალი) ყოველთვის იყო ლალყაჯი. ზოგან ზისხორაც ლალყაჯი იყო.

მეტი სინათლისთვის საჭიროა აქვე გავერკვეთ: საკალანდო საკლავის (ღორის) რა ნაწილებია ,,ლალყაჯები'' და ,,უწენად მისართმევი'' - ,,ლეთფე'' (,,დასაკარგი'').

ლახამულაში - სასუქად განკუთვნილ საკალანდე ნეზვს კისერთან ჯაგარს წაჰკრეჭდნენ. დაკვლის წინ ანთებული კვარით ყელთან ჯაგარს შეუტრუსავდნენ. დაკლულ მსხვერპლს ქვემოდან ჭურჭელს შეუდგამდნენ და მის სისხლს დააგროვებდნენ. ეს სისხლი ოჯახის გარეშე პირთათვის ლალყაჯი იყო. მისი არც დანახვა და არც შეჭმა არ შეეძლო ამ პირებს. ლალყაჯი იყო მსხვერპლის ჯაგარიც, რომელსაც, გააცლიდნენ თუ არა ღორს, მაშინვე მიწაში ჩაფლავდნენ, ან ცეცხლში დაწვავდნენ. ლალყაჯი იყო აგრეთვე მსხვერპლის შემდეგი ნაწილები: ნაწლავები, მუცელი (ვ̄ად) ძუძუებიანად და ქვედა ყბა (მათ პირველ რიგში გამოყოფდნენ და დაფარულ ადგილას გადააწყობდნენ). ლალყაჯი იყო ზისხორაც. ,,ზისხორას სვანები სისხლიან ძეხვს ეძახდნენ: დაკლული ღორის სისხლში აურევდნენ მსხვერპლისვე წვრილად დაჭრილ შინაგან ქონს და ფიქვს, შემდეგ მას სუფთად გარეცხილ ნაწლავებში მოათავსებდნენ. ნაწლავებს პირს მოუკრავდნენ და ისე ხარშავდნენ''.[1]

ეცერში ლელშხუ̄ამის შიგნეულს ეშხუ̄ამ ღამეს მოხარშავდნენ და ვახშმად შეექცეოდნენ. (ღორის თავს გიდელში დებდნენ ყველგან, რადგან იგი ლალყაჯი არ იყო!). ცხუმარში ლალყაჯებად მიჩნეული იყო ქვედა ყბა და გულ-მუცელი.

ლატალშიც ზისხორა ლალყაჯი იყო. მესტიაში სამსხვერპლოს დაკვლის წინ შეუტრუსავდნენ ორივე მხარს კეფას, ყელის ბალანს. დაგროვილ სისხლს გადააქცევდნენ ღორების სადგომთან ბნელ ადგილას სახლის შიგნითვე. ვახშმად ზომხ̄ეს მოხა-

[1] გ. ბარდაველიძე, 1939. გვ. 80.

რშულ გულ-ღვიძლს და სხვა შიგნეულს შეექცეოდნენ. მულახშიც ვახშმად ზომხაᲘს მოხარშულ შიგნეულს შეექცეოდნენ. კალაში საკლავი ღორის მოხარშულ შიგნეულსაც ვახშმად შეექცეოდნენ. უშგულში ლეზრმახის თავსა და ხორცს მეორე დღისთვის ინახავდნენ, ხოლო შიგნეულს ვახშმად შეექცეოდნენ.[1]

ლაშხეთის თემში შეშხვამ დღეს ღორის შიგნეულიდან ძეხვს გააკეთებდნენ და თავთან ერთად მეორე დღისთვის შეინახავდნენ, რადგან ის ლალყაჯები არ იყო. ლალყაჯი იყო ღორის ყბა და ამიტომ მას შეშხვამ ღამეს ვახშმად შეექცეოდნენ. სავახშმოდ ,,სხვა კვერებთან ერთად, აცხობდნენ სამ კუწუბიან ტაბგლ-ს. ამ კვერებს გულში ზომხაᲘ-ს შინაგან ქონს (ბიდი-ს) ჩაატანდნენ და ისე გამოაცხობდნენ. ვიდრე ოჯახი ვახშმის ჭამას შეუდგებოდა, სუფრაზე დალაგებული სამი ტაბგლისა და ღორის ყბის წინ სახლის უფროსი ასე დაილოცებოდა: კარგი შეშხვამი გვშეშხვამებია სახლში მყოფს ყველას, ადამიანის მშვიდობიანობით და საქონლის სიმრავლით ბასილ ზღვის კალანდისაო, მოგვასწარი მრავალი კალანდობა მშვიდობით, ადამიანისა და საქონლის მშვიდობიანობით''.[2]

ჟახუნდერში ,,შეშხრამ ღამეს ვახშმობისათვის მოამზადებდნენ საახალწლო ღორის ქვედა ყბას, გულ-ღვიძლს, ღორისქონიან სამ ტაბგლს, რომელთაგან ერთი ლამარია შილგგნე იყო, მეორე ფუსნა ლემზირი და მესამე ჩვეულებრივი ტაბგლი (მას სხვა სახელი არ ჰქონდა). ღორის ყველა ეს ნაწილი და პურები ლალყაჯი იყო ე. ი. მათი შეჭმა ეკრძალებოდა ოჯახის გარეშე პირებს. ეს აკრძალვა (ლალყაჯი) გადამდები სენის (ზიგ-ის) საწინააღმდეგოდ იყო დაწესებული. ზოგი მოსახლისთვის (ჟახუნდერში), ღორის ქვედა ყბის მაგიერ, ლალყაჯი იყო ღორის ხერხემალი (შიყრა). ჩამოთვლილი სამი ტაბგლიდან, ფუსნა ლემზირი მხოლოდ მამაკაცებს ეჭმეოდათ, ლამარია შილგგნე მხოლოდ მანდილოსნებს, ხოლო მესამე უსახელო ტაბგლს ოჯახის ახალგაზრდობას და ბავშვებს შეაჭმევდნენ. სამი კვერცხის გარდა ვახშმისთვის უბრალო პურებსაც დააცხობდნენ. მოხარშულ, გამომცხვარ საჭმელს და აგრეთვე სასმელს კერიის პირად გააწყობდნენ ტაბაგზე. ნაკვერჩხალზე ნატრხუნს (საკმეველს) დააკმევდნენ და სახლის უფროსი, რომელიც ამავე დროს ახალ წელს ქორა მგჭშხი იყო, ტაბაგის წინ ასე ილოცებდა: ,,ზაᲘ ყერიშ მგცადრლ,[3] ძუღრა ბასილ კალანდაშ, ლეგრეშდ ი ლეგრმეᲘერ! ზაᲘნ მაᲘადდ ოგხიდ, მარემი ნაშდობან, კუმში ნაფშირან, მაზიგ ქოგქაბგნ'' - ,,წლის ძალის შემცვლელო ზღვის ბასილ კალანდისო, გვიშველე და გაგვიგონე! წლის მოსავლით გაგვახარე, ადამიანის მშვიდობიანობით, საქონლის სიმრავლით, ჭირი აგვაცილე. (ვ. ბ.)

ამ ლოცვის გათავების შემდეგ ოჯახის წევრები სუფრას შემოუსხდებოდნენ და შენალოცს შეექცეოდნენ დიდი საიდუმლეობისა და სიწყნარის დაცვით არც უცხოს უნდა გაეგო ეს ზიარება და არც მაზიარებლებს უნდა ამოეღოთ ხმა ამ დროს ტყუილ-უბრალოდ. ვახშმიდან მორჩენილ ძვლებს და ნამცეცებს ცეცხლში დაწვავდნენ, რათა უცხო ვინმეს არ მოეკრა მათთვის თვალი და ამით ოჯახს ლალყაჯი არ გაეტეხა.

---

[1] იგივე გვ. 80-108. (ზემო სვანეთი!).

[2] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 109.

[3] ,,ზაᲘშ ყერიშ მგცადრლ'' - წლის ძალის შემცვლელნო, (და არა შემცვლელო), ზღვის ბასილ კალანდისაო; ე. ი. აქ ჩამოთვლაა და არა საუბარი მხოლოდ ბასილზე - წლის ძალის შეცვლის შემძლეზე. ნ.წ.

თუ ამ დროს ოჯახში ახლად მოსული რძალი იყო, ე. ი., ისეთი, რომელსაც ჯერ წელიწადი არ შესრულებოდა ამ ოჯახში, ან გათხოვილი ქალიშვილი იმყოფებოდა სტუმრად თავის მშობლებთან, მათ ლალყაჯის მონაწილედ ვერ გახდიდნენ. ვახშმის დროს მათ სხვაგან გაიყვანდნენ და საჭმელსაც სხვას მიართმევდნენ".[1]

ჩოლურში ,,ღორის თავყბასა და შიგნეულს მაშინვე გადამალავდნენ საღამომდე. საღამოს მეორე დღისათვის მოხარშავდნენ თავს, ხოლო ყბასა და შიგნეულს ამავე ღამისთვის იმზადებდნენ ვახშმად. სახლის უფროსი ქალი (ხოშა ზურაბ) ზომხაგ-ს ქონით და ტყირპით შეაზავებდა ცომს და ე. წ. გუეჭ-ტაბგლს გამოაცხობდა. ეს ტაბგლი მრგვალი კვერი იყო ღორის კანჭით დაჭრელებული, ნაპირებზე წაწვერილი ოთხი ,,ყურით". დაჭრელების დროს ღორის კანჭის ყველა დასმაზე ხოშა ზურაბლი იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს; ნეზუ-ტახ... (ნეზვი-ტახიო). ფიქრობდნენ, რაც უფრო მეტჯერ გაიმეორებდნენ ამ სიტყვებს, მით მეტი ღორი ეყოლებოდა ოჯახს ახალი წლის განმავლობაში.

ვახშმის დამზადების შემდეგ, როდესაც კერის პირად ტაბაგ-ს დადგამდნენ და სუფრას გაშლიდნენ, სახლის უფროსი მამაკაცი დაიჭერდა ხელში გუეჭ-ტაბგლ-ს, რომელზედაც დადებული იყო საახალწლო ღორის კუდი და ძუძუები. გავიდოდა გარეთ და ღორების სადგომისაკენ მიაშურებდა. მას თან გაჰყვებოდნენ ოჯახის ბავშვები. მიადგებოდნენ თუ არა საღორის კარს, ხოშა მარე იტყოდა: ღერბეთ ჯუარ-უებშა, ათფიშირ ხამარ".[2] ლოცვის შემდეგ ხოშა მარე დაუნაწილებდა ბავშვებს გუეჭ-ტაბგლს და ღორის ხორცს, ხოლო ღორის ძუძუებს საღორეში შეაგდებდა. შეწირული სანოვაგე ბავშვებს საღორის კართან უნდა გაეთავებინათ და ისე გაბრუნებულიყვნენ სახლში, სადაც მათ საერთო ვახშამი ელოდა".[3]

ლენტეხში შეშხვამ საღამოს ვახშმისათვის ზომხაგს თავ-ყბას მოხარშავდნენ, გამოაცხობდნენ ტაბლებს, რომლებსაც ღორის ყბასთან ერთად გაიტანდნენ საღორის კარზე. იქ შეულოცავდნენ ღორების გამრავლების ღმერთ ბასილ ძულუა კალანდაშიაშ-ს და ტაბლებსა და ხორცს იქვე საღორის კართან შეჭამდნენ.[4]

სოფ. ზემო ლექსურაში ,,საავახშმო სამზადისისას მოხარშავდნენ ლეკლანდე-ს კუდს, ლეკლანდეს ქონს ცომში შეურევდნენ და მისგან ნეზუტახა ტაბგლს გამოაცხობდნენ. ეს კვერი ღორის ჩლიქით უნდა დაეჩხვლიტათ. ხოშა ზურაბლი რამდენჯერაც ჩაჩხვლეტდა ღორის ჩლიქს, იმდენჯერ დაბალი ხმით წარმოსთქვამდა: ,,ნეზუ-ტახ, ნეზუ-ტახ". ვახშმის წინ სახლის უფროსი კაცი დაიჭერდა ხელში ამ ნეზუ-ტახა ტაბგლ-ს, სანთელს, ერთ ჭიქა ღვინოს, ლეკალანდეს ძუძუებსა და სასქესო ორგანოს. წაიყოლებდა თან ოჯახის ბავშვებს, წავიდოდა საღორესთან და, როდესაც მის კარს მიადგებოდა, წარმოსთქვამდა შემდეგ სიტყვებს: ბასილი ზღვის კალანდისაო, გაამრავლე ჩვენი ღორები! მლოცველის გარშემო მდგომი ბავშვები ამ დროს თავის მხრივ გაიძახოდნენ: ,,ნეზუ-ტახ, ნეზუ-ტახ"-ი. ნალოც ტაბგლს და ღორის კუდს უფროსი ბავშვებს დაუნაწილებდა, ხოლო ღორის ძუძუს, ჩლიქებს და სასქესო ორგანოს საღორეში შეყრიდა და თან ყველანი გაიძახოდნენ ზემოაღნიშნულ სიტყვებს. ნეზუ-ტახა ტაბგლი სა-

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 111-112.

[2] იგივე, გვ. 113.

[3] ,,ღმერთო ჯუარ-პარასკევისაო, ამრავლე ღორები!"

[4] იგივე, გვ. 114.

ღორესთან უნდა შეეჭამათ, რის შემდეგ სახლში ბრუნდებოდნენ და ოჯახი ვახშამს შეექცეოდა“.[1]

სოფ. ფაყშიც ლგკალანდეს ამოჭრიდნენ ძუძუებს, მოაკვეთდნენ სასქესო ორგანოს და მათ საღამომდე გადამალავდნენ. საღამოს ვახშმის წინ დიასახლისი დააცხობდა ლემზირებს. მათ შორის ერთს ნეზუ-ტახას ლემზირს, რომელსაც გულში ჩაურთავდა ღორის ქონს და მარილს და მეორე ლემზირს აგრეთვე ქონნარევს. ვახშმის წინ მამაკაცი გაიტანდა საღორესთან ნეზუ-ტახას ლემზირს, ღორის მოხარშულ გულ-ღვიძლს, სასმისით არაყს და ბავშვებს გაიყოლებდა. აქ ღმერთს ღორების გამრავლებას შესთხოვდა, გულ-ღვიძლს და ლემზირს ბავშვებს დაუნაწილებდა, საღორეში კი ძუძუებს, ჩლიქებს და სასქესო ორგანოს შეაგდებდა ნეზუ-ტახის ძახილით.

სახლის ოჯახის უფროსები ილოცებდნენ საკალანდე ღორის ქონიან მეორე ლემზირით და დაუნაწილებდნენ შინ მყოფთ - ოჯახში ყველა უნდა ზიარებოდა ამ დღეს ლეკლ̈ანდეს ლემზირით.[2]

ლატალში ჩვენს მიერ დაფიქსირებული მასალით ვგებულობთ, რომ ღორების მფარველი და გამმრავლებელია დ̈ალ ჯეჯგმიშ || ჯეჯგლამ. მისთვის ლოცვა ხდებოდა ან ტყეში, ან შინას შესასვლელთან (ჰაგ̈შ), სადაც ჴული იყო მიყუდებული. ლოცვა ხდებოდა ღორის ქონის (ღვესᾑმი კუბად) კუბდარით, რომელსაც გვერდებზე ჩვეულებრივი ლემზირის მსგავსად ჰქონდა სამი „კუწუბო“. ტყეში ლოცვისას ხის მჭრელი იტყოდა: „დ̈ალ ჯეჯგმიშ (ასევე დ̈ალ შეშხუმიშ) ხოჩა ზ̈ᾳ ენშხვამინ“. კარებთან ლოცვისას - „დ̈ალ ჯეჯგმიშ, ხამარ ანფიშირ“. აქ აღნიშნული ყველა ქმედება სრულდებოდა „სხვისი თვალის“ (სხვისი თანდასწრების) გარეშე (უწᾑნად).

ამრიგად, საახალწლო ზვარაკთან დაკავშირებით

A. ბალს ქვემო სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფა გვიკონკრეტებს შემდეგს:

1) დღესასწაულს, რომლის აღნიშვნის დღესაც ღორი იკვლება, ამ მხარეში ეწოდება „ ᾳეშხუ̈ᾳმი“.

2) ამ დღის შესაწირი ღორი უმეტესად მდედრობითი სქესისაა (ნეზვი) - (სვ. „კერ“, „ნეზუ̈“) იგი ან მოზრდილი გოჭია ან ღორი. მისი შეწირვის წესთან დაკავშირებით კონკრეტდება ერთი მნიშვნელოვანი წესიც:

1) შესაწირ დედალ ღორს არ შეავედრებენ სალოცავ სარკმელთან დღესასწაულის მფარველ განგებას

2) შესაწირ მამალ ღორს (კერ || ტ̈ახ) შეავედრებენ სალოცავ სარკმელთან დღესასწაულის მფარველ განგებას.

3) შესაწირს დაკლავენ კერიასთან მდგარ საქალებო მერხზე („ბანდ̈არ“).

4) შესაწირი გამოყოფილია ყოველთვის ქალების სათავანო ქონებიდან.

5) შესაწირის სახელწოდებაა: „ლეკლ̈ანდი“ და „ლელშხუ̈ᾳმი“.

6) შესაწირს შესწირავდნენ „მზე როცა დასავლეთისკენ გადაიხრებოდა“, დილის ლემზირებით ლოცვა - ზიარების შემდეგ, დღისით.

7) შესაწირის სისხლისა და ნაწლავებისგან „ზისხ̄რებს“ აკეთებდნენ სავახშმოდ. ან ვახშმად მხოლოდ მის შიგნეულს მოხარშავდნენ.

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 116-117.

[2] იგივე, გვ. 118.

8) შესაწირის თავს ყოველთვის ათავსებდნენ სამეკვლეო კალათაში („ლაჭშხარ“-ში).

9) შესაწირის თავის ქვედა ყბა და გულ-მუცელი „ლალყაჯი“ იყო. იგი ოჯახის წევრებს სხვის უნახავად უნდა მიერთვათ შეშხუამის ღამეს.

10) შესაწირს შესწირავენ „დალ ეეშხუამიშ“-ს („ჯუარ ეეშხუმიშ“).[1]

11) შესაწირს შესწირავდა მამაკაცი - „ქორა მახუში“ ან კაცები ერთად.

B. ბალს ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფა გვიკონკრეტებს შემდეგს:

1) დღესასწაულს, რომლის აღნიშვნის დროს ღორი იკვლება, სვანეთის ამ მხარეში ეწოდება „შეშხუამ“-ი (ლატალიდან მულახამდე) და „შუშხუამ“-ი (მულუხიდან უშგულის ჩათვლით).

2) აქაც ამ დღის შესაწირი ღორი უმეტესად მდედრობითი სქესისაა. იგი ან მოზრდილი ღორია, ან გოჭი. ამ დღის შესაწირად გვხვდება ცხვარიც. ღორის შეწირვის წესთან დაკავშირებით აქაც გვიკონკრეტდება ის წესი, რაზეც ზემოთ იქნა ყურადღება გამახვილებული.

3) შესაწირს დაკლავენ კერიასთან მდგარ საქალებო მერხზე („ბანდარ“).

4) აქაც შესაწირი გამოყოფილია ყოველთვის ქალების სათავნო ქონებიდან.

5) შესაწირის სახელწოდებაა: ლეზ̄მახი, ზომხაი.

6) შესაწირს შესწირავდნენ დილით, დილის ლოცვა - ზიარების დამთავრების შემდეგ. საღამოს, ვახშმის წინ, ღამისით.

7) სავახშმოდ აკეთებდნენ ან ზისხ̄რებს ან, მხოლოდ მოხარშულ გულ-ღვიძლს და სხვა შიგნეულს შეექცეოდნენ (ე. ი. ზისხ̄რას არ აკეთებდნენ). ამათთან ერთად „ლალყაჯად“ ღორის თავის ქვედა ყბაც ითვლებოდა.

8) შესაწირის თავს ყოველთვის ათავსებდნენ სამეკვლეო კალათაში.

9) შესაწირის ფეხის ძვლით ქორა მახუში სამეკვლეო ტაბლებს ააჭრელებდა და თან გაიძახოდა: ხარი, ხარი, ხარი, ძროხა, ძროხა, ძროხა, ვერძი, ვერძი, ვერძი, ვაცი, ვაცი, ვაცი, ვაჟიშვილი, ვაჟიშვილი, ვაჟიშვილი, ადამიანის მშვიდობა, ადამიანის მშვიდობა, ბედნიერი რძალი, ბედნიერი რძალი და ა.შ. ეს ხდებოდა კერიის წინ (თვითეულს იტყოდა სამჯერ!).

10) გოჭის ფეხის ძვლიდან კენჭებს გამოთლიდნენ და მათ სამკითხაო „ქვებად“ იყენებდნენ.

11) შესაწირს შესწირავენ „დალ შეშხუამიშ“-ს, „შეშხუამ დეცეშ“-ს „ჯგრაგ შეშხუამიშ“-ს, „ხოშა ღერბეთ“-ს.

12) ღორის შიგნეულთან ერთად ვახშმისთვის ლემზირებსაც აცხობდნენ. ამ ლემზირებს ზემოთ აღნიშნულ განგებებს შეავედრებდნენ და შემდეგ მათ ლალყაჯებთან ერთად მიირთმევდნენ.

13) შესაწირს შესწირავდა მამაკაცი (შეშხუამის ღამეს, ვახშმისას).

14) დასტურდება აღნიშნულ დღეს მამაკაცის მიერ თეთრი კრავის (მეწხალდ) შეწირვა „ჯგრაგ შეშხუამისადმი სახლის მე-2 სართულზე, სარკმელთან აღმოსავლეთის მხარეს. ოღონდ ეს კრავი არ დაიკვლებოდა.

---

[1] ჯუარ ეეშხუამიშს ახსენებდა, ვახშმობისას, სუფრასთან სახლის უფროსი - ხოშა მარე (ლახამულაში). ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 80.

C. ქვემო სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფა კი გვიკონკრეტებს შემდეგს:

1) დღესასწაულს, რომლის აღნიშვნის დღესაც იკვლება ღორი სვანეთის ამ მხარეში, ეწოდება „შუშხუ̈მ“ და „ლიძიენა̈ლ“.

2) აქაც, ამ დღის შესაწირავი უმეტესად მდედრობითი სქესისაა.

3) შესაწირს დაკლავენ კერიის წინ მდგარ საქალებო მერხზე („სკა̈მ“).

4) ვახშამზე ლალყაჯების მირთმევისას (გულ-ღვიძლი, ქვედა ყბა, მოხარშული ნაწლავები) სუფრაზე თავსდება დიასახლისის მიერ სავახშმოდ გამოცხობილი ღორის ქონიანი ლემზირები (3 ც.) მათ მირთმევამდე, ამ ტაბაგის (სუფრა) წინ, ოჯახის უფროსი მამაკაცი ისურვებდა კარგი შუშხუ̈მის დადგომას, სახლში მყოფთა მშვიდობას, ადამიანის და საქონლის სიმრავლეს, მრავალი კალანდობის მოსწრებას.

5) ჩანს, აქაც შესაწირი გამოყოფილია ქალების სათავნო ქონებიდან.

6) შესაწირის სახელწოდებაა ზომხა̈ᲂ.

7) შესაწირს შესწირავდნენ ა) დილით მზის ამოსვლამდე, ბ) გათენებამდე, გ) დღისით, დ) დილით ძალიან ადრე.

8) შესაწირის თავს სამეკვლეო კალათაში ათავსებდნენ.

9) შესაწირს შესწირავდნენ „ბასილ ძულუ̈ა კალანდაშიაშ-ს (ბასილ ზღვის კალანდისაო), ჯგგრა̈გ შუშხუ̈ამიშ-ს, „ზა̈ᲂ ყერიშ მგცა̈დ̄ულ-ს, ძულუ̈ა ბასილ კ̄ალ̄ა̈ნდაშ“-ს (წლის ძალის შემცველელნო, ბასილ ზღვის კალანდისაო). ღერბეთ-ს, „ბასილ ძულუ̈ა̈შ კალანდაში ღერბეთ“-ს, ღერბეთ ჯუ̈არ ᲂ̈ებშა-ს.

10) ვახშმობამდე ღორის ხორცის ჭამა არ შეიძლებოდა, ხოლო ვახშამზე პირის ახსნა ამ ხორცით ხდებოდა.

11) გოჭის ფეხის ძვლებს აქ სამკითხო კენჭებად არ იყენებდნენ.

12) საკალანდე ღორის ქონს ნაჭშხირა-ში || ნაჭშხურაში გაურევდნენ.

13) ლალყაჯების მირთმევისას დიდ საიდუმლეობას და სიწყნარეს იცავდნენ: არც უცხოს უნდა გაეგო ეს ზიარება და არც მაზიარებლებს უნდა ამოეღოთ ხმა ამ დროს ტყუილ-უბრალოდ, ვახშმიდან მორჩენილ ძვლებს და ნამცეცებს ცეცხლში დასწვავდნენ, რათა უცხო ვინმეს არ მოეკრა მათთვის თვალი და ამით ოჯახის ლალყაჯი არ დარღვეულიყო.[1]

14) გუ̈ეჭ-ტაბგლის გამოცხობის ტრადიცია: გუ̈ეჭ-ტაბგლი ღორის კანჭით დაჭრელებული მრგვალი კვერი, ნაპირებზე წაწვერილი ოთხი „ყურით“. ეს იყო ზომხა̈ᲂის ქონით და ტყირპით შეზავებული ცომისგან გამოცხობილი „ლემზირი“ || „ტა̈ბგლი“. დაჭრელების დროს ღორის კანჭის ყოველ დასმაზე ხოშა ზურა̄ლ იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს: ნეზუ-ტახ, ნეზუ-ტახ, (ნეზვი-ტახიო). ეს კვერი საღორის კარებთან ბავშვებს უნდა გაენაწილებინათ და შეეჭამათ. კვერი განკუთვნილი იყო მხოლოდ ღორების გამრავლებისათვის. ამისთვის ლოცულობდა ოჯახის მამაკაცი, რიტუალზე დაისწრებდა ბავშვებსაც, საღორეში კი ლეკლანდე-ს ძუძუებს, ჩლიქებს, სასქესო ორგანოს, კუდს შეაგდებდა ღორების (ნეზუ-ტახუ̈) სიმრავლის ნიშნად.[2]

15) ლალყაჯი (აკრძალვა) გადამდები სენის (ზიგ-ის) საწინააღმდეგოდ იყო დაწესებული.

---

[1] გ. ბარდაველიძე, სვ. დღეობათა კალენდარი, 1939 წ. გვ. 112.
[2] იგივე, გვ. 108-118.

რას გვაძლევს ყოველივე ზემოთ წარმოდგენილი, შეშხუ̈მის მფარველის არსის გაგებისათვის და რა ხასიათისაა იგი: ზოომორფული, ანთროპომორფული, ასტრალური, ხილული თუ უხილავი.

პირველ რიგში, აუცილებელია გავითავისოთ დღესასწაულის სახელწოდება. გავიმეორებთ, რომ ბალს ქვემო სვანეთში დღესასწაულს აღნიშნული დღისას, ანუ ახალი წლის წინა დღისას, ეწოდება ᲐᲔᲨᲮᲣ̈ᲛᲘ - ,, ᲐᲔᲨᲮᲣ̈Მ''. ბალს ზემო სვანეთში შეშხუ̈მი და შუშხუ̈მი - ,,შეშხუ̈მ''. ქვემო სვანეთში შუშხუ̈მ და ლიძიენ̈ალ.

სახელწოდება ,,ლიძიენ̈ალ'' (იგივე, ზემო სვანური ,,ლიგსენ̈ალ'') ყველა დღეობის სახელწოდებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. იმიტომ, რომ არ არსებობს სვანეთში დღესასწაული (გარდა ქალების დღეობებისა!), რომელიც ზვარაკს არ ითხოვდეს. რადგან ამ ტერმინს წმინდა ყოფითი მნიშვნელობა აქვს (ლიგსენი || ლიძიენი - დაკვლა), იგი არ იტევს დღესასწაულის რელიგიურ შინაარსსაც. გვრჩება დანარჩენი სამი; ᲐᲔᲨᲮᲣ̈Მ, ᲨᲔᲨᲮᲣ̈Მ, ᲨᲣᲨᲮᲣ̈Მ. მათგან კი, უძველესი უნდა იყოს ᲐᲔᲨᲮᲣ̈Მ; სამივეს ფუძე კი - ,,ᲐᲔᲨᲮᲣ'', (Ა)ᲔᲨᲮᲣ - ერთია!

ტრადიციიდან ვგებულობთ, რომ ეს დღე (ᲐᲔᲨᲮᲣᲐᲛ) არის ახალი წლის წინა დღე, ანუ სამზადისი, წიაღი ახალი წლისთვის. გრაფიკულად ეს აზრი შეგვიძლია გამოვსახოთ ნულით ან წრით. იგი თავის თავში იტევს სივრცესაც და წიაღსაც არა უსასრულოდ განფენილს, არამედ შემოსაზღვრულს, ერთს, განსაკუთრებულს და განსხვავებულს განფენილი სივრცისაგან! (წრე სრულყოფილებაა) წრე სიმბოლოა დროში დასაწყისის და დასასრულის და მას წელიწადის დრო, მონაკვეთი, განასახიერებს.

,,---0----'' - ნული ამავე დროს დასაწყისიცაა და დასასრულიც.[1] ამ აზრის სინამდვილეს ᲐᲔᲨᲮᲣ̈ᲛᲘᲡ დღეობა გვიქმნის: ᲐᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲓᲐᲜ იწყება კალენდარული დღეების ათვლა: 1-თი ანუ წლის პირველი დღე - ,,ახალი წელი'' 2, - კვიმატი, წლის მეორე დღე და ა.შ. წლის დღეთა დასასრულამდე. ჩანს, ბოლო დღე (ᲐᲔᲨᲮᲣ̈Მ) თავისსავე წიაღში ისევ ქმნის ახალს, ახალი წლის პირველ დღეს.

ამითაც ახალი წლის წინა დღის ეტიმოლოგია საკრალური ღირებულებისაა. ჩანს, მისი მფარველიც საკრალურია.

ᲐᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ შესაწირის (ზვარაკის) ნიშან-თვისებებით თუ ვიმსჯელებთ, გავიგებთ, რომ დღის მფარველი მდედრობითი ბუნებისაა მისი - შესაწირი ხომ პირველ რიგში, ნეზვია!

დღესასწაული გვიკონკრეტებს იმასაც, რომ ეს დღე მხოლოდ ერთი რამის მოვლენისთვის არაა განკუთვნილი. მლოცველნი მას მრავალ სიკეთეს სთხოვენ: სიმრავლეს, ჯანმრთელობას, სიუხვეს, სითეთრეს, სვეს და ბარაქას, მრავლის წყალობას!.. ეს ,,თხოვნა'' მთელს მათს გარემომცველ ბუნებას ეხება: მიწით, წყლით, დარით, ავდრით, ცხოველით (საქონელი), მცენარით, ღვთის მადლით, ადამიანის ბუნებით, სიკეთით, სიკარგით, ყველაფრით, რითაც არსებობს ამქვეყნად ადამიანი. დღის საკრალური სახელწოდება გვიკონკრეტებს, რომ ეს ,,ყველაფერი'' ,,ერთი''-ს წყალობაა. ამ ,,ერთი''-ს განსახიერება და ,,შემწე'' კი (პირველ რიგში) დᲐ̈ლ-ია, დᲐ̈ლ ᲐᲔᲨᲮᲣᲛᲘᲨ. ანუ, დᲐ̈ლი -

---

[1] დასასრულის ნიშანი ქართულ ასომთავრულში ,,X'' წაქცეული ჯვარია. ამ ნიშანს სახავენ სვანები ხეზე იმ შემთხვევაში, თუკი მას საკუთრად მიიჩნევენ. ტყეში ამ ნიშნიანი ხის მოჭრის უფლება მხოლოდ მასზე ნიშნის დამსახავს ენიჭებოდა. ამ ნიშნით გამოიხატებოდა ხის სიცოცხლის დასასრული.

,,ერთი''-სა: (ი) ეშხუ-მისა. (სახელწოდებანი ,,შეშხუამიშ'' და ,,შუშხუმიშ'', ეშხუამის, საწყისი ფუძის (ფუძე სიტყვის!) ნაირსახეობად მიგვაჩნია! (ეშხუ-ეშხუ-შეშხუ-შუშხუ!).

დალ ქალღვთაებაა და მისი ბუნება მდედრობითია. ეს არ არის კლდის და ტყის არსება, მით უფრო, ხილული გრძელნაწნავებიანი ქალი, ხილულად რომ შეუძლია მისი მიკარება ჩვეულებრივ მოკვდავს, მონადირე მამაკაცს. ამ დალს ყველაფრის დაბადება ხელეწიფება, რადგან ყველაფერს შესთხოვენ მას, რადგან საამისო წიაღიც (,,--O--'') (,,ლ̄ეთ'') გააჩნია! ამავე დროს იგი უხილავია, წარმოუდგენელი შესაძლებლობების მქონე (,,მას ყველაფერი შეუძლია''! ,,იგი ყველაფრის მფარველია''!), დაუნახავი, ცის ,,არსება'', თუმცა, ერთი რამ ცხადია, იგი ,,ქალია'' - დამბადებელი ცაზედ მსუფევი რამ უზოგადესი ბუნებრიობა. (იდეური სახე!).

საკლავის შეწირვის დრო გვიკონკრეტებს წარმოდგენას იმის შესახებაც, რომ აღნიშნული დღის მფარველი ბნელეთის წარმომადგენელი კი არ არის, არამედ სინათლის, დღის (მზის!) მომცველია. იგი ნათელია და ნათლის მოვლინებას შესთხოვენ კიდეც; კერიაც და აქ მოთავსებული მერხიც (ბანდარ!) ქალებისაა: კერიით იწყება და კერიით მთავრდება ოჯახის არსებობა. კერიით განისაზღვრება მადლი ზეციურისა ოჯახისთვის გაღებული! კერიის ,,მფარველი'' კი ქალია. ქალის მსახურებით, მისი ავკარგიანობით შექმნილი მადლი, წინაპირობაა მომავლისა. მომავალი კი, რწმენით, ცის არსებათა, ,,დღის'' (დროის!) მფარველთა ხელშია!

დალ-ის უპირველესი ფუნქცია ,,ყოველივეს დაბადება'' თავის თავში აერთიანებს კარგსაც და ცუდსაც: მას მხოლოდ კარგის გაჩენას სთხოვენ, რადგან ცუდიც ხელეწიფება. ,,ცუდი'' კი უპირველესად, გადამდები სენით და ავადმყოფობით აღიქმება.

რას არ გაიღებდა ადამიანის გონება, რომ ეს არ მომხდარიყო: აიკრძალავს დღეებს და უქმად გაიხდის, აიკრძალავს ჭამას და მას მარხვად გაიხდის, შექმნის ,,სასწაულის სახეს'' და მას ტრადიციად გაიხდის, შექმნის პურს და მას ,,ლემზირებად'' გაიხდის, ააშენებს სახლს და მის მარჯვენა სარკმელს, მზის ამოსვლის მხარეს, სალოცავად გაიხდის, სიმაღლეზე, ცის სიახლოვეს ააშენებს ,,შენობას'' და მას სალოცავად გაიხდის და, საერთოდ, აკეთებს ყველაფერ საუკეთესოს, საუკეთესოდ, საუკეთესოსთვის! - ,,მისით და მისთვის'' - ზეარსებისთვის!

ამასთან ერთად, ადამიანი ზრუნავს ცის მსახურებისთვის აუცილებელთა სიმრავლეზეც. იქნება ეს, საქონლური, მცენარეული თუ იმ წეს-ჩვეულების ზუსტი შესრულება, რაც რწმენით აუცილებელია ,,დღის მფარველის'' მიერ სასწაულის მოვლინებისთვის: სიცოცხლის გაგრძელებისა და კვლავ არსებობისთვის. უპირველესად, იმისათვისაც, რომ კვლავ შეძლონ ცის განგებათა მსახურება! ამ შემთხვევაში მსახურება დალ ეშხუამისა, რათა მხოლოდ კარგი ეშეშხუამა მათთვის - ჩვეულებრივ მოკვდავთათვის!

საკალანდო ღორი ,,მსახურია'' ეშხუამ - მახე-ზაი -ის დღესასწაულის არსის (და არა მფარველის განსახიერება!). იგი ის საქონელია, რომელიც ეხმარება მსოფლხედვას დღე - სასწაულის იდეის გამოხატვისათვის (,,სასწაული'' კი, ჩანს, ბუნებაში, ბუნებრივად ყოველივეს კვლავ დაბადება - არსებობაა დროში). იგი შესაწირავი ზვარაკია, რადგან ფუნქციურად ისიც დღესასწაულის (ეშხუამის) მფარველის არსის ნაირია. მასაც ,,ერთბაშად'' მრავლის დაბადება - გაჩენა შეუძლია.

შესაწირის ,,ლალუაჯებიც'' სიმბოლურად ამ იდეის მტვირთველია; სისხლი, ნაწლავები, მუცელი ძუძუებიანად, ზურგი... ზვარაკის ძირითადი ნაწილებია და არსები-

თია მისი სიცოცხლისათვის. სიცოცხლის საწინააღმდეგო ხომ სიკვდილია! ზვარაკს ან ადამიანმა უნდა უყოს პირი, ან მიწამ, ან ცეცხლმა, რადგან თავის მხრივ ეს სამივე, თავისსავე ბუნებაში ,,კვლავ დაბადების'' უნარს ატარებს: ადამიანი აჩენს! მიწა აჩენს! ცეცხლი აჩენს! ეს ქმედება კი ხდება კონკრეტულ შემთხვევაში ,,ეშხუამს, რადგან ყოველივეს ,,კვლავ დაბადების'' სასწაული ამ დღეს ,,ისახება''.

თავის მხრივ, რიტუალური შეწირვის წესრიგი ქმნის თავისებურ ჰარმონიას: თუკი შემწირველს სწამს რაიმესი (უზოგადესი ძალის), უნდა ემსახუროს მას. მისი მსახურება კი გამოვლინდება, პირველ რიგში, რწმენით 2) შესაწირავებით და 3) შეწირვის წეს-რიგით. ამ სამიდან ერთ-ერთის ,,უქონლობა წყვეტს რწმენის ჰარმონიას, შესაბამისად, მსახურების ჰარმონიას და წყალობის ჰარმონიასაც. აღნიშნულ კონკრეტულ დღეობაშიც ასეა: იმისთვის, რომ ზებუნებრივმა ძალამ (წლის შემცვლელმა ძალამ!) წყალობა მოუვლინოს შემწირველს, საჭიროა კვლავმსახურება. კვლავმსახურებისთვის და, შესაბამისად, კვლავწყალობისთვის კი საჭიროა შესაწირის სიმრავლე (კონკრეტულად ამ იდეას აჩენს ,,გუეჭ-ტუბგლი'' და დულ ჯეჯგლუბი!). წინააღმდეგ შემთხვევაში არც შემწირველის ქმედებას (და საერთოდ, მის არსებობას, არსობას!) არ აქვს მნიშვნელობა და არც მწყალობლის სიდიადეს! შემწირველმა ყველაზე მეტად ის იცის, რომ ამქვეყნად ყველაფრის (სახიერის თუ უსახოს!) შემქმნელია ის ზებუნებრივი, რომლისკენაც მიუმართია თავისი ცნობიერი თუ ქვეცნობიერი განწყობა; ნდობა და რწმენა, თვალი და გულისყური, სულიერი ხედვა თუ გონება, ანუ ყველაფერი ის, რითაც გამოირჩევა თვითონ ცხოველისაგან. გრძნობს მის არსებობას და ემსახურება ისე, როგორც შეუძლია!.. გვინდა თუ არ გვინდა, დღესასწაულების ტრადიციებით შენარჩუნებული ადამიანის ,,სააზროვნო კიდობანი'' მსგავს ხედვასაც იტევს. ეს ხედვა კი, - არ ეთაყვანება არც ღორს და არც ძროხას (არც ხარს!) და არც სხვას რაიმე ხილულს! სახიერებანი ადამიანს იდეისთვის (ზებუნებრივის რწმენის გამოსავლინებლად და შესანარჩუნებლად!) სჭირდება და სჭირდება ამ იდეის მსახურებისთვისაც!

ღორის სვანურ სახელწოდება ,,ყერ''-ს[1] ნ. მარი ხალხის სარწმუნოებრივ შემეცნებას უკავშირებს. მისი აზრით, დაფიცება ,,ღერთემ ყერ''-ლო ნიშნავს ,,ვფიცავ ღმერთს საღმრთო ღორითო!''.[2]

ამ დაფიცების ასე გაშიფვრა და გაგება, ვფიქრობთ, დანაშაულია. მასთან ღორს საერთოდ არავითარი კავშირი არ აქვს. ამ დაფიცების ფორმულაში არ იგულისხმება არანაირი ცხოველი, მით უფრო ღორი! და საერთოდ, არ არსებობს სვანის რწმენაში ცხოველი, რომელიც ღვთის სიწმინდეს (მის არსს, სახეს) უტოლდებოდეს, რაც არ უნდა ,,ცის არსებათა'' შესაწირს წარმოადგენდეს იგი! ,,ყერ'' მსოფლმხედველობრივად ,,ღვთიური ძალის'' მნიშვნელობით გაიაზრება. ეს ის ძალაა რომელსაც შემწეობის უნარი შესწევს. ამიტომ დაფიცებაც ასეთია: ვფიცავ ღვთის ძალას, ღვთის მადლიან ძალას ვფიცავ! ,,ღერთემ ყერღო!'' უტოლდება დაფიცების მარტივ თქმას: ,,ღერბეთღო!'' || ,,ღერთემღო!'', აზრობრივად ეს იგივეა რაც თქმა ,,შენს თავს ვფიცავ'', შენს თვალებს ვფიცავ (ისგუ თერაღო!), შენს სიცოცხლეს ვფიცავ (ისგუ ლირდეღო!) და ა.შ.

---

[1] საერთოდ მამალი ღორი სვანურად არის კერ || ხუმ || ჯით, || ტუხ. დედალი ღორი ნეზუ და ყუერ (ნ. წ.).

[2] Н. Иарр. Религиоз. Веров абхазцев, христ. вост. IV вып. 1. 1915 г. ст. 132.

,,ყერ'', სვანების რწმენით, ის ძალაა, რომელიც მხოლოდ წმინდა საგნებს (ხატს, ეკლესიას) და ნათლით მოსილთ ახლავს თან. მისი სახება სითეთრეა, ცეცხლისებრი სიწმინდეა და ამ თვისებათა გამო ძალაა სიბნელის გამკვეთი! იგი ღამით ერთი ეკლესიიდან მეორე ეკლესიაში გადაფრინდებაო!

რაც შეეხება ღორს და მის გაღმერთებულ კულტს, ამის მსგავსი სვანეთში არც ცნობიერად და არც ქვეცნობიერად არ დასტურდება ისევე, როგორც არ დასტურდება ,,ხარის სახიანი'' ღმერთის არსებობა. თუკი სადმე ეს ცხოველები (და სხვანიც!) ფუნქციონიერებენ რიტუალებში, იგი არანაირად არ გვაძლევს მსგავსი აზრის გამოთქმის და გაზიარების საშუალებას. ისინი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ღვთის შესაწირი ცხოველები არიან, რამეთუ სისხლიანი ზვარაკი წინარექრისტიანული ღვთის მსახურების ერთერთი აუცილებელი პირობაა ადამიანისათვის (და არა მარტო სვანისათვის!). ყოვლის შემძლედ ადამიანი ცხოველს ვერ წარმოიდგენდა იმ უბრალო მიზეზის გამოც, რომ სახიერად არც ღორი ქმნის ყველაფერს და არც ხარი...

აქ ყოვლის'შემძლის (ღვთის!) სახიერება, ჩანს, პირველ რიგში სქესით განისაზღვრება. მიწა და ცაა ამის საწყისი! და შემდეგში ჩანს, ,,უზენაესთ'' ,,ადამიანის ხატება'' მიეცემოდა, რამეთუ, ადამიანი, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, სხვას (ცხოველის ხატებას!) არ გაღმერთებდა. ვინ იცის, იქნებ სხვანაირადაც ხდებოდა - ისე, საღვთო წიგნებში რომაა თქმული: ღმერთმა შექმნა ყოველივე... და მათ შორის ადამი და ევა, ამ ორით შექმნილი ,,ცოდვილი'' კაცობრიობა. ცოდვის გამო ერგოთ საზრუნავით სავსე ცხოვრება პირველთ და ამავე ცოდვის გამო დაეკისრათ ღვთისმსახურებაც შემდეგთ!

ამრიგად, ,,ᲔᲨᲮᲣᲛის'' და შესაბამისად ,,მᲮე ზᲨᲔ''-ის სამსხვერპლო საქონლის რიტუალური არსი შემდეგი სახის დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

1. სვანეთში მკაცრადაა განსაზღვრული, ღვთაების სქესის მიხედვით, შესაწირი საქონლის სქესიც და იგი არა მარტო ღვთაებათა იერარქიულობასა და ,,სქესობრიობაზე'' ვრცელდება. ასეა განსაზღვრული გარდაცვლილთათვისაც: ამ შემთხვევაში ღორი საერთოდ არ ფუნქციონირებს. იგი გარდაცვლილს საერთოდ არ ,,შეეწირებოდა''.

2. ნეზვი (დედა ღორი!) ახალი წლის ზვარაკად და, პირველ რიგში, ᲔᲨᲮᲣᲛის ზვარაკად არჩეულია მხოლოდ, როგორც ,,ერთად მრავლის მშობი'' და ამით ,,ყველაზე სარგებლიანი ,,თვალსაჩინო'' საქონელი''. იგი ამ ბუნების გამო დღის მფარველი ,,ქალ-ღვთაების'' ბუნების შესაბამისია - მასაც ეს ევალება ვიზუალურად! ანუ ეს ღვთაება ერთად მრავლისმჩენია და ხილულადაც ასეთი შესაწირია არჩეული მისთვის.

3. რადგან ,,ყოველივეს ჩენისას'' ჩნდება უბედურებაც (ავადმყოფობა, სიკვდილი), ღორის ლალყაჯებიც მისგან თავის ასაცილებლადაა ,,შექმნილი''. (ღორიც და კვერცხიც საწყისით მდედრობით არსს ექვემდებარება, დᲐᲚ ᲔᲨᲮᲣᲛის - დამბადებელი ერთის კუთვნილია იგი.

4. ადამიანის მსახურებისას დღესასწაულის წესრიგშივე იკვეთება მისი მარხვით მსახურების წესიც. ,,ლალყაჯი'' თავის მხრივ ამის დადასტურებაცაა.

5. მსახურებისას დღეობის წესრიგშივე იკვეთება ყოვლის შემძლე უზენაესისადმი (ღვთისადმი!) დამოკიდებულება, რომლის საფუძველიც მისი არსებობის რწმენაა; ,,მე შემოგწირავ! - შენ შემეწიე (!)''. ,,მე ავიკრძალავ! - შენ შემეწიე(!) ,,მე ვილოცებ! - შენ შემეწიე (!)'' და იგი მთავრდება ისევ რწმენით - ,,ვიცი რომ მიშველი!'' ამდენად, ღვთის რწმენა ადამიანში არსებული ღვთის წყალობაა!

ღვთის მსახურება, ადამიანის მიერ მოვალეობად გათავისებული, ისევ ღვთის წყალობაა! მარხვით (აკრძალვა - ლიყჯენი, ლალყაჯ!) მსახურება ღვთისთვის ისევ

ღვთის წყალობაა! ამ რწმენით არსებობს მიწიერი ზეციერისთვის, ადამიანი ღვთისთვის, რათა კვლავ მიიღოს ზეციერისგან მიწიერმა მადლი! მადლი და წყალობა კვლავ არსებობისა!

6. შესაწირი ზვარაკი თვით ადამიანური ფაქტორიცაა - ლხინი სჭირდება ,,სასწაული'' დღის აღნიშვნას. ლხინი კი საკვების გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ ლხინიც ზომიერია, უზენაესი რწმენის შესაფერისი! სიმღერებიც ასეთია - საგალობლები და არა საკუთარი ,,ხორცის დამატკბობელი''.

7. სვანური დღეობები არაფრის კულტს არ აჩენს. აქ ,,ყველა სახიერი'', იდეის მსახურია და ამდენად ისინი მხოლოდ დროში (ერთ დღეს, დღეობის დღეს!) არიან ,,წმინდა''. მარადის წმინდა კი მხოლოდ უზენაესია - ,,ერთია''! იდეურად ყველაფრის შემძლე და ყველგან არსებული!

IV

„უწენა“ და „უწენაᲚები“ — საიდუმლო პურებით ლოცვა-ზიარება

ოჯახის საწესო საიდუმლო ლოცვა-ზიარება დაკავშირებულია „ლამᲐრიᲐ გუ-იზ“-ისაგან დაცხობილ ლემზირებთან და მათით ლოცვა-ზიარებასთან.

ეთნოგრაფიული მასალა საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ სალოცავ პურებთან დაკავშირებული „ლალყᲐჯ-უწენᲐᲚები“ იგივე სემანტიკური დანიშნულებისაა, რაც გააჩნია შესაწირი საქონლის (ღორის!) „ლალყაჯებს“. კერძოდ, აღნიშნული ტერმინებიც, საწესო პურებთან დაკავშირებული, იტევს ორ გარემოებას 1) „უწენა“ ლემზირები არიან „სხვისთვის“ არდასანახი პურები („უწენა“). „სხვაში“ იგულისხმება ის ოჯახის წევრიც კი, რომელიც ᲐეშხუᲐმის ღამეს არ ესწრებოდა „ნაჭშხუნების“ (||ლაჭშხიᲐრის) გამოცხობის პროცესს. და პირიქით, „თათარიც“ რომ ყოფილიყო ამ წესის დამსწრე, მისთვის ოჯახის უწენᲐᲚები „არდასანახი პურები“, დასანახი - „ლგწენე“, - ხდებოდა. ეს ეხებოდა არა მხოლოდ ეშხუᲐმის დღეს და მის წეს-ჩვეულებს არამედ მთელ საწელიწადო დღეობებს, რომლის დროსაც კვლავ „საიდუმლო“ ლოცვა-ზიარებანი იმართებოდა. აღნიშნული ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ᲐეშხუᲐმის დღის საკრალურ ღირებულებას, რომ იგი არის სწორედ ის „ათვლის წერტილი“, რითაც იწყება ყოველივე, ამ შემთხვევაში ახალი წელი. დამწყები და შემოქმედი, ჩანს, „ერთია“. ეს კი, გარკვეულ წილად, ჩრდილს აყენებს იმ გარემოებას, რომ წლის საწყისად ოდესმე „ბარბლაშის“ დღეობა ყოფილიყო გააზრებული. მისი მფარველი „ბარბოლი“ კი ყოველივეს შემოქმედად“. „შემოქმედება“, გონით განსაზღვრული, დროით შემოიფარგლება; წელიწადია ეს დრო! - ზოგადად, კონკრეტულად კი - წლის პირველი დღე - „ზომხა || მᲐხე ზᲐᲣის“ ლექსემით სახელდებული. მისი შემოქმედი ღმერთია, რომლის არსიც, როგორც ზემოთ აღინიშნა „ერთია“! მაგრამ „სამარსობა ერთი“. სწორედ ამ „სამარსობა ერთის“ მადლის (შექმნის!) - ამ ქვეყნად კვლავ ჩენისთვის არის „დაკონკრეტებული“ ახალი წლის ციკლის დღეობანი;

პირველი დღე „ ᲐეშხუᲐმ“ „სამარსობა ერთის“ ერთი არსის გამოვლინებაა ეს ის ძალაა, რომელსაც შეუძლია დაბადება ყოველივესი, რადგან მას ამის წიაღი ბუნება გააჩნია!

მეორე დღე „მახე ზᲐᲣ“ „სამარსობა ერთის“ მეორე (და ამავე დროს ერთი!) არსის გამოვლინებაა და ეს ის ძალაა, რომელსაც შესწევს ძალაც და უნარიც ყველაფრის შექმნის და წინამძღოლობის და მესამე დღე „კᲐიმატ“ის შედეგია, ის მესამეა, რომელიც ვლინდება ორის ერთარსობით! ეს კი იდეა და წარმოსახვაა „ერთის“ ყოვლის შემძლეობისა, რომლის ძალაც და უნარიც ლექსემა „ღმერთი“-თ განსახიერდება. დროში, ღვთის ძალა ისახება ᲐეშხუᲐმ-ის წიაღში და ხილულად იგი სწორედ ამ დღის სარიტუალო წესებით წარმოჩინდება. ყველაზე მეტად მჩენი აღნიშნული იდეისა, სწორედ „უწენა“ ლემზირების ქმნის და შერჩევის წესია. უწენა ლემზირების საწყისი სახე კი ლამᲐრია გუიზია.

კუანჭილარ|| ლერღლარ|| ალუდალ
(მრგვალი, ულემზირო, ბურთულა კვერები)

მეორე გარემოება, რაც ,,უწენალებს'' გააჩნია არის ის, რომ ისინი, უკლებლივ, ,,ლალუყაჯებიც'' არიან. ეს კი იტევს იმ იდეას, რომ არდასანახი კვერების არსებობა ,,კანონით დაშვებულია'' და კონკრეტული რამისთვის არის განკუთვნილი. ეს ადამიანის ხილული ქმედებიის სახეა, რათა გამოვლენილი იქნეს ,,ვინმეს'' მიერ ,,რაიმეს'' ქმნის საიდუმლოება ანუ გამოვლენილი იქნეს ის, რომ ,,ვინმე'' ადამიანისაგან საიდუმლოდ (უხილავად) მოქმედებს, რადგან უხილავად და საიდუმლოდ ქმნა მისი უნარია! ,,უწენალები'', ზოგადად ,,ლაშარია გუიზ'', ,,ვინმეს'' მიერ უხილავად ,,ქმნის'' სახეა.

რას გვაძლევს საამისოდ ეთნოგრაფიული მასალა; ლახამულაში საღამოს ოჯახის უფროსი ქალი შეუდგებოდა საახალწლო პურების ცხობას. პირველად გამოაცხობდა 3 ცალ ლამარიან ლემზირს და შემდეგ, ყველიან და ხორციან პურებს. ლამარიან ლემზირი იყო მრგვალი კვერი, რომელსაც ჩვეულებრივი ლემზირებისგან განსხვავებით ნაპირზე სამ ადგილას თითით ჭდეები ჰქონდა გაკეთებული. ჩვეულებრივი სადღეობო შესაწირი კვერებიც (ლემზირები) მრგვალი იყო, მაგრამ მათ ნაპირზე ჭდეების ნაცვლად თითით სამი კუწობო ჰქონდა გამოწვერილი. ლამარიან ლემზირები უხილავი (უწონა) იყო, მათი დანახვა არ შეეძლო ოჯახისთვის უცხო პირს. ეს ვრცელდებოდა, აგრეთვე სახლის შინაურ მეკვლეზეც (ქორა მგჭშხიზე), რომელიც ამ დროს ლამარიან ლემზირების გამოცხობას არ ესწრებოდა.

ჩუბეხევში, ,,ეშხუა'' დილით, გათენებამდე, ყოველი სვანის ოჯახში იმდენ ცალ წვრილ ლემზირს გამოაცხობდნენ, რამდენსაც ამ დილით შესაჭმელად მოერეოდა ოჯახი. ამ ლემზირებს შემოდგომიდან ცალკე შენახულ საუკეთესო ხორბლის ფქვილისგან აცხობდნენ. ამ ფქვილს, რომელსაც ლამარიაშ ტაბლაში ეწოდებოდა, ძალიან ,,წმინდად ინახავდნენ მაგალითად დედათა წესის მქონე ქალი ახლოს ვერ გაეკარებოდა იმ კუთხეს, სადაც ლაშარიაშ ტაბლაშით სავსე კიდობანი იდგა. როგორც ეს ფქვილი, ისე მისგან გამომცხვარი ლემზირები უწონაში იყო - ოჯახისთვის უცხო პირს მათ არ დაანახვებდნენ. ,,ეშხუა'' დილით გამომცხვარი ლემზირებით სახლის უფროსი ილოცებდა. ლოცვის შემდეგ იგი ჩამოურიგებდა ყველას ლამარიაშ ტაბლაშის ლემ-

ზირებს და ისინიც მოკრძალებით შეექცეოდნენ მათ“.[1]

ფარში ᲔᲛᲮᲣᲐᲛᲡ დილით გათენებამდე წამოდგებოდა დიასახლისი და ლამარიამ ტაბლაშისგან გამოაცხობდა ყველისგულიან პატარა კვერებს, რომლებსაც კუᲜᲭილᲐრ-ი (მხ. რ. კუᲜᲭილ-ი) ეწოდებოდა. ამ კუᲜᲭილებით, ზედაშით და სანთლით ხელში სახლის უფროსი ილოცებდა სალოცავ სარკმელთან. ლოცვის გათავების შემდეგ, კუᲜᲭილებს ჩამოურიგებდნენ ოჯახის ყველა წევრს, რომელნიც მოვალენი იყვნენ თავისი წილი შეეჭამათ ისე, რომ ნამცეციც არ დავარდნილიყო ძირს და მას უცხო თვალი არ მოხვედროდა... კუᲜᲭილ-ები უწონაში იყო. ამიტომ კუᲜᲭილ-ებზე ლოცვა და მით ზიარება კარ-სარკმელ ჩაკეტილ სახლში სრულდებოდა. თუ ლიმზირი დღისით სრულდებოდა, მზის სინათლეზე, მაშინ საკმეველს (ნატუსუნს) აკმევდნენ ხოლმე, ხოლო მისი ღამით შესრულებისას, სანთელს ანთებდნენ. ვინაიდან ᲔᲛᲮᲣᲐᲛ დილით ლიმზირი ჯერ კიდევ რიჟრაჟზე სრულდებოდა, როცა მზე ამოსული არ იყო, ბნელოდა, ამიტომ ნატუსუნის მაგიერ ამ დროს სანთელს ანთებდნენ.[2]

ეცერში „დილით სახლის უფროსი ქალი, დისხალ-ი, აცხობდა პატარა ზომის კვერებს, რომლებსაც კუᲜᲭილᲐრ-ი ეწოდებოდა. ამ კუᲜᲭილებს ლამარიᲐ ტაბლᲐშ-ისგან აკეთებდნენ. როგორც ეს ფქვილი, ისე მისგან გამომცხვარი კვერები უწონაში იყო - მათ არ დაანახვებდნენ ოჯახისთვის უცხო პირებს. ამიტომ კუᲜᲭილების გამოცხობა, შეწირვა და შეჭმა კარ-სარკმელ დაკეტილ სახლებში სრულდებოდა. ლოცვის დროს სახლის უფროსი დᲐლ ᲔᲛᲮᲣᲐᲛისას მიმართავდა. კუᲜᲭილებით ზიარების შემდგომ დაკლავდნენ ლელᲛᲮᲣᲐᲛს“.[3]

ამავე სოფელში ლამᲐრიᲐ ტაბლᲐშ-საგან აკეთებდნენ „ლაწდᲐშ ლემზირ“-ს ანუ „ᲔᲛᲮᲣᲐᲛ ლემზირს“.

ლემზირ (კუᲐᲮ ლემზირ)
(|| საკაცებო საფერხავი პური)

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 78 და გვ. 81.
[2] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 83.
[3] იგივე, გვ. 84.

ლამარიპ ლემზირ
(|| საქალებო საფერხაეი პური)

ეშხუამი ლემზირ = ლაწდამ ლემზირ
(კერის თაეზე ჩამოსაკიდებელი სახილეელი ლემზირი)

„მას შემდეგი წესით აცხობდნენ: დიასახლისი ლამარიპ ტაბლაშს მოცომავდა და დაა-გუნდავებდა; შემდეგ ამ გუნდას ნაჭრებად დაჭრიდა. თვითეულ ნაჭერს ამა თუ იმ ნა-თესავს ან მეგობარს შეუსახელებდა, შემდეგ ნაჭრებს კვლავ შეაერთებდა და ერთი მთლიანი გუნდისგან გამოაცხობდა შუაში ნახვრეტიანს, მრგვალსა და მრავალკუწუ-ბიან (მუჭუარ-იან) კვერს. ლაწდაშ ლემზირ-ის გამოცხობის დროს დიასახლისი შე-მდეგს იტყოდა: ღმერთო, შეგვინდე თუ ვინმე ულირსი შეგასახელეთ. („ღერმეთ, შემი-ნდუილ ნაყრ, ესუაგ შთე ლანქადეს ალ ტაბლაშხენქა“). გამომცხვარ ლაწდაშ ლე-მზირს სხვენზე (შგილზე) ჩამოჰკიდებდნენ და მეორე – მესამე დღეს რომ ოჯახს კვე-რით შესახელებული პირი ეწვეოდა, ამ კვერს ჩამოუღებდნენ და მიართმევდნენ. ისიც ლაწდაშ ლემზირს ერთ კუწუბოს მოაკბეჩდა და კვერს მასპინძელს დაუბრუნებდა. ლაწდაშ ანუ ეშხუამ ლემზირის გარდა დიასახლისი ოჯახის კეთილის მოსურნეთათვის აცხობდა სულზე თითო ცალ ჩვეულებრივ კვერს (კუაახ ლემზირს). ამ კვერსაც ლამა-რიპ ტაბლაშისაგან აცხობდნენ და მათ გამოცხობისთანვე დაუგზავნიდნენ შესახელე-ბულ პირებს ერთი ჭიქა არყითურთ. ეშხუამ ღამეს პურების ცხობას შეეძლო დასწ-რებოდა ყველა, ვისაც სურდა, იქნებოდა ის ქრისტიანი თუ „თათარი“. ამით ამ პი-რებს უფლება ენიჭებოდათ მთელი წლის განმავლობაში გამხდარიყვნენ ამ მოსახლის ყველა საიდუმლო ლიმზირ-ის მონაწილენი. ხოლო იმ პირებს, რომლებიც ამ ღამეს საახალწლო პურების ცხობას ვერ დაესწრებოდნენ, თუნდაც ამ ოჯახის წევრნიც ყო-ფილიყვნენ, მთელი წლის განმავლობაში ეკრძალებოდათ უფლება ამ ოჯახის საიდუ-მლო ლიმზირებში მონაწილეობის მიღებისა მომავალ ეშხუამამდე“.[1]

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 84-85.

ყველიანი ლემზირი

ლემზირი ხორცის შიგთავსით

ცხუმარში „გათენებამდე დიასახლისი (დისხალ) აცხობდა ლამარიან ტაბლაშისგან წვრილ წვრილ ყველიან კვერებს, კუანჭილარს და სამი დიდი ზომის ხაჭაპურს. ერთი ამ ხაჭაპურთაგანი მიძღვნილი იყო ძროხის მწველელი ქალისადმი (მგშგალისადმი), მეორე საქონლის მკვებავისადმი (მგნნი), და მესამე მწყემსისადმი (ანდარუ). ამიტომ ამ ხაჭაპურებს ეწოდებოდა მგშგალია ლემზირ; მგნნი ლემზირ და ანდარუ ლემზირ. როდესაც ეს ლემზირები გამოცხვებოდა, კუანჭელ-ებს დაიჭერდა ხელში სახლის უფროსი და თითო-თითო ხაჭაპურს მგნნი, ანდარი, და მგშგალი. სახლის უფროსი დახურული სარკმლის წინ ახსენებდა დალ ეშხუამიშს, ხარების მკვებავი (მგნნი) ხარებთან, ძროხების მწველავი ქალი (მგშგალი) ძროხების ბაგასთან და მწყემსი კი იმ ადგილთან (ლამდართან), სადაც საქონელს თივას უყრიდნენ ხოლმე მეორე სართულიდან. ყველა ესენი ევედრებოდნენ დალ ეშხუამიშს საქონლის გამრავლებას და ოჯახის ბარაქას ახალი წლის განმავლობაში“.[1]

ცხუმარშიც იცოდნენ „ლაწდაშ ლემზირის“ დაცხობა. აცხობდნენ იმავე წესით როგორც ეს ეცერში ხდებოდა. დიასახლისი პირთა შესახელებისას იტყოდა ალი ლეშედ ი ლეწედ გიერგისთვის ეს გიერგს (შეთქმული პირის სახელი) ეჭმეოდეს და ენახვებოდეს. ამგვარად, შესახელებულ პირებს მას შემდეგ, რაც ისინი ლაწდაშ ლემზირს იგემებდნენ, ნება ჰქონდათ კვერის გამომცხობის ოჯახში დასწრებოდნენ ყველა საიდუმლო შესაწირს მთელი წლის განმავლობაში.[2] ბეჩოში „ძალიან ადრე, გათენებამდე

[1] იგივე, გვ. 86.
[2] იგივე, გვ. 87.

დიასახლისი დააცხობდა პატარ-პატარა ყველიან კვერებს. ამ კუანჭილებს, რომელიც ლამარია ტაბლაშისგან იყო გამომცხვარი, დალ ეშხუმიშს შესწირავდნენ და მათ მაშინვე შეჭამდნენ ისე, რომ ნამცეცი არ გადარჩენოდათ. მათი შეწირვა და ზიარება კარ-სარკმელ დახურულ სახლში სრულდებოდა, ვინაიდან არ შეიძლებოდა უცხო პირისათვის დანახვება არც, შესაწირის და არც, შეწირვის პროცესის".[1] [2]

მესტიაში ,,ვახშმობის შემდეგ ხელმეორედ გააჩაღებდნენ ცეცხლს კერიაში და მერბიელი შეუდგებოდა საახალწლო კვერების გამოცხობას ოჯახის ყველა წევრის თანდასწრებით. ის, ვინც ამ მოქმედებას არ დაესწრებოდა, წლის საიდუმლო საოჯახო დღეობებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა და ვერ ეზიარებოდა ამ დღეობების ლალყაჯებსა და უწენა-ს. ეს წეს-ჩვეულებები დაუფარავი იყო წლის მანძილზე იმ პირისათვის, რომელიც ამავე სვანის ოჯახში შეესწრებოდა შეშუახმ ღამეს კვერების ცხობას. მერბიელი აცხობდა მუქელუ-ს, ორ ნაჭშხუნს - ერთს საკაცებო კუწუბებიანს (მუჭუარ-ით) და ერთს ქალებისთვის - ჭდეებიანს. მუქელუი შედარებით უფრო მოზრდილი კვერი იყო. გამომცხვარ ნაჭშხუნებს მერბიელი ისეთ ადგილას შეინახავდა, რომ უცხოს ვერ დაენახა, რადგან ისინი ლალყაჯი იყო. მეორე დღეს (ახალი წელი) საქალებო კვერს ქალები და საკაცებო კვერს კაცები შეექცეოდნენ უცხო პირთაგან დაფარულად. თუ ოჯახს გათხოვილი ქალიშვილი ჰყავდა (ჰასუიშ-ი), ნაწილს საქალებო ნაჭშხუნიდან მასაც შეუნახავდნენ და ჩუმად შეაჭმევდნენ, რათა მისთვის მშობლების ოჯახის კარი ღია ყოფილიყო ყოველგვარი საოჯახო საიდუმლო წეს-ჩვეულებების შესრულების დროს".[3]

მულახში თუ ნაჭშხუნუარების გამოცხობას ვერ დაესწრებოდა ოჯახის რომელიმე წევრი, მას ნება აღარ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ოჯახის საიდუმლო წესჩვეულებებში მთელი წლის მანძილზე მომავალ შეშხუამამდე.[4]

იფარში შემოდგომიდან საგანგებოდ ამ დღეს ცალკე შენახულ, საუკეთესო ხორბლის ფქვილით სავსე კიდობანს გახსნიდა დიასახლისი და ნაჭშხუნებს დააცხობდა. დარჩენილი ნაჭიშხი ფექით მომავალი წლის განმავლობაში მანდილოსნები ე. წ. დულს აცხობდნენ და მით დულაგ-ს წესს ასრულებდნენ. დულაგ ეწოდებოდა მამაკაცების ჩუმად მანდილოსნების მიერ ყველიანი კვერის, დულ-ის, გამოცხობას და სხვებისგან დაფარულად შეჭმას. დულაგს წესს, ჩვეულებრივ, სახლის უფროსი ქალი, მერბიელი, ასრულებდა.[5]

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 88.

[2] ლატალური შეშხუამი ნაშრომის პირველ თავშია მოცემული, ამის გამო მას აქ არ გავიმეორებთ.

[3] იგივე, გვ. 97-98.

[4] იგივე, გვ. 100.

[5] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 102.

დულ-ყველიანი საქალებო ლემზირი. ასეთია იმ შემთხვევაში, თუკი სარკმელთან აღავლენენ.

დულ-საქალებო ყველიანი ლემზირი. ასეთია იმ შემთხვევაში, თუკი მას კერასთან, მიწისკენ მიმართავენ.

ბალს ქვემო სვანეთში იგი უმეტესად ბარბალეს კუთვნილებაა და სთხოვენ საქონლის სისაღეს, წველის ბარაქას და მათი მომვლელი ქალების ჯანმრთელობას.

ბალს ზემო სვანეთში იგი უმეტესად ლამარიას კუთვნილებაა და სთხოვენ საქონლის სიმრავლესთან ერთად მიწის ბარაქას, ქალების კარგად ყოფნას და მოწეულის „კარგ დროზე" მოხმარებას.

კალაში შეშხუამ დღეს დილით გათენებამდე ყოველ ოჯახში აცხობდნენ პატარა ზომის ლემზირებს რიცხვით იმდენს, რამდენიც ადამიანიც იყო ოჯახში. სახლის უფროსი მათ სალოცავ სარკმელთან შესწირავდა ჯგგრაჭგ შეშხუამიშს. ნალოცკვერებს მაშინვე დაინაწილებდნენ და შეჭამდნენ.[1]

ლენტეხში (სოფ. ზომო ლიქსურა) ლეკალანდეს დაკვლის შემდეგ „მაჩუბში დარჩებოდა მარტოდ-მარტო ხოშა ზურალი, რომელიც ამ დროს ე. წ. არგილი ლიმზირს შეასრულებდა. ის გამოაცხობდა და კერიის პირად ტაბაგზე გააწყობდა ლეკლანდეს მარჯვენა ფეხს, ღვიძლის მარჯვენა ნახევარს, ახლად მოხარშულ კვერცხს, ყველიან ლემზირს და სანთელს დაანთებდა. შემდეგ კერიასთან ცალ ფეხზე დაიჩოქებდა („ლიტანიას იზამდა"), თავს მიწამდე დახრიდა და ილოცებდა: ღმერთო, გაგვიმარჯვე, დიდება, კარგი წელი შეგვინაცვლე, საქონელი გაგვიმრავლე, წელო ახალო, ბედნიერო, კარგ წელიწადს მიგვაყენე, კარგი მოსავალი მოგვიტანე, ყანა და სათიბი გაგვიმარჯვე, მათ მომხმარებლად ადამიანი გვამყოფე, გოჭი და ქათამი გაგვიმრავლე! ლოცვას გაათავებდა თუ არა, მუხლმოხრილი ხოშა ზურალი დაიწყებდა ტაბაგზე გაშლილი შეწირულის ჭამას. მორჩენილი ძვლები და კვერცხის ნაჭუჭი ცეცხლში უნდა

[1] იგივე, გვ. 103.

დაეწვა არგილი ლიმზირი სრული სიწყნარით და საიდუმლოების დაცვით უნდა ჩატარებულიყო: არავის, არამც თუ უცხო პირთაგანს, არამედ ოჯახის არც ერთ წევრს არ უნდა დაენახა ხოშა ზურალ-ის ამ დროის ლიმზირი".[1]

ლენტეხის რაიონის სოფელ ფაყში ლიძიენალ (შეშხუამ) ღამეს მანდილოსნები, ხოშა ზურალის მეთაურობით, აწყობდნენ ე. წ. ალაგი ლიხელეს (მიწისადმი მიძღვნას!); ალაგი ლიხ̄ელე განკუთვნილ იყო ოჯახის ბარაქისა და კეთილდღეობისათვის".[2]

ამრიგად, მთელს სვანეთში ყველა სახის სარიტუალო პურს საიდუმლო სამოსი „ამშვენებს", პირველ რიგში, იმ გარემოების გამო, რომ ისინი შექმნილი იყვნენ ლამარია გ̄ეიზ-ისაგან და, შემდეგ იმის გამოც, რომ შექმნილი იყვნენ საიდუმლო საკრალურ დღეს - ᲐᲔᲨᲮᲣᲐᲛᲡ; საიდუმლო საწესო პურები იდეის სახიერად მსახურნი ხდებიან ადამიანის ხელით. თავის მხრივ კი ადამიანები იდეას ემსახურებიან აღნიშნული ლემზირებით; იდეის შესაბამისად იქმნებოდა სალოცავი პურების სხვადასხვა სახე - ფუნქციებიც. თუკი ზემოთ მოცემულ ეთნოგრაფიულ მასალას უფრო მეტად დავაკონკრეტებთ, „უწ̄ენა" ლემზირებთან დაკავშირებით მივიღებთ შემდეგ კონკრეტულ გარემოებებს:

A. ბალს ქვემო სვანეთში

1. იმ ფქვილს, რომლისგანაც ცხვება შეშხ̄ᲣᲐᲛის „უწ̄ენა ლემზირები" (საიდუმლოდ სალოცავ-საზიარებელი რიტუალური პურები) ბალს ქვემო სვანეთში ეწოდება „ლამარიაშ ტაბგლ" („ლამარიას ტაბლა" ანუ „ლამარიას ძღვენი").

2. ლამარიაშ ტაბგლ „წმინდად" მოწეული და „წმინდად" შენახული ფქვილია. ამისთვის იხმარებოდა ხორბლის საუკეთესო ჯიში.

3. როგორც ეს ფქვილი, ისე მისგან გამომცხვარი ლემზირები უწონაში იყო - ოჯახისთვის უცხო პირებს მათ არ დაანახვებდნენ.

4. მათით ლოცვა-ზიარება კარ-სარკმელ დახურულ სახლში ხდებოდა.

5. ამ პურებით ლოცვა-ზიარება შეშხ̄ᲣᲐᲛს ყველაზე ადრე საკალანდო საკლავის დაკვლამდე სრულდებოდა.

6. ლამარიაშ ტაბლაშისგან გამოცხობილ უწ̄ენალებს სხვადასხვა სახელწოდება გააჩნიათ. ა) „კ̄ᲣᲐᲜᲭილები", ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით დაცხობილი მცირე ზომის, ულემზირო[3], ყველიანი კვერები[4] და ბ) „ᲚᲐᲛᲨᲠიᲜ ლემზირ", (3 ც.) მრგვალი კვერი, რომელსაც ჩვეულებრივი ლემზირებისგან განსხვავებით ნაპირზე სამ ადგილას თითით ჭდეები ჰქონდა გაკეთებული.

7. ლამარიაშ ტაბლაშისგან ცხვება ასევე სამეურნეო „დანიშნულების" ანუ საქონლის მომვლელთათვის სამი დიდი ზომის ხაჭაპური. კერძოდ, „მ̄ᲨᲒᲐᲚიაშ ლე-

---

[1] იგივე, გვ. 116, 115.

[2] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 119.

[3] ულემზიროა ის პური, რომელსაც გვერდზე (ნაპირზე) სამი კუწუბო (ვ. ბ.) არ აქვს გამოწვერილი. ანუ ეს არის ჩვეულებრივი მრგვალი პური. რიტუალური პური („ლემზირი") ამ პურისაგან სწორედ ნაპირზე გაკეთებული სამი კუწუბოთი განსხვავდება. თვით ამ კუწუბოს ეწოდება „ლემზირ". (ლატალი) და აქედან მისი ზოგადი სახელწოდებაც წარმოგვიდგება - „ლემზირი". ანუ, ზოგადად, სალოცავი პური.

[4] კუანჭილები შეიძლებოდა უყველოც ყოფილიყო (ცერცვის გულიანებიც).

მზირ“, მეორე „მგნნიაშ ლემზირ“ და მესამე „ანდაშა ლემზირ“.

8. იმისათვის, რომ „უწენა“-ს წესის „დარღვევისაგან“ დაცული ყოფილიყვნენ, დიასახლისი აცხობდა „ლაწდაშ ლემზირ“-ს (დასანახი ლემზირი) ანუ „ეშხუამ ლემზირ“-ს (ეშხუამის ლემზირი). ეს ლემზირი იყო მრგვალი, შუაზე გახვრეტილი, მრგვალქიმიანი კვერი. იგი ყოველთვის კერის თავზე (შგილზე) იყო ჩამოკიდებული, რათა ოჯახში შემოსულს მისთვის თვალი მოეკრა. (ლატალური ჭირვატი).

9. „უწენად“ შესაწირავებს აცხობდა ოჯახის უფროსი დიასახლისი. (ხოშა ზურაშლ მერბიელ||დისხალ).

10. არ შეიძლებოდა უცხო პირისათვის ლამარიშ ტაბლაშისგან გამოცხობილი არც უწენალების დანახვება და არც შეწირვა-ზიარების პროცესისას მათი თანდასწრება. იგი საიდუმლოდ უნდა შესრულებულიყო.

11. უწენალებს (ანუ უწენა ლემზირებს) შესწირავდნენ დაშლ ეეშხუმიშს საღოცავ სარკმელთან, საქონლის ბაგასთან, მეწველი ძროხების ბაგასთან, თივის ჩამოსაყრელ ადგილას (ლანნრნაშლ) და კერასთან: სანთლით, ზედაშით და საკმევლით.

12. ლამარია ტაბგლის ფქვილი თავის მხრივ თავსდებოდა სამეკვლეო ხონჩაშიც - ლაჭშხიარში, რითაც ამ სახელწოდების ფქვილის რიტუალური (რელიგიური, რწმენითი) დანიშნულება უფრო მყარი და ნიშანდობლივია.

B. ბაალს ზემო და ქვემო სვანეთში:

1. იმ ფქვილს, რომლისგანაც ცხვება შეშხუამის უწენა ლემზირები ბაალს ზემო სვანეთში ეწოდება „ლამარიშ გრიზ“. (ლამარიას გრიზი).

2. ლამარიას გუიზი „წმინდად“მოწეული და „წმინდად“ შენახული ფქვილია. აქაც არც მისი შესაწირი კიდობნის და არც ამ ფქვილისგან დაცხობილი ლემზირების მიკარება „უწმინდურ“ ქალს არ შეეძლო. ლამარიას გუიზისთვის განკუთვნილი იყო ხორბლის საუკეთესო ჯიში.

3. როგორც ეს ფქვილი, ისე მისგან გამომცხვარი ლემზირები უწონაში იყო[1] - ოჯახისთვის უცხო პირებს მათ არ დაანახვებდნენ.

4. აქაც მათით ლოცვა-ზიარება კარ-სარკმელ დახურულ სახლში ხდებოდა.

5. ამ პურებით ლოცვა ზიარება შეშხუამს ყველაზე ადრე საკალანდო საკლავის დაკვლამდე სრულდებოდა. კერძოდ „ვიდრე გათენდებოდა“.

6. ლამარიაშ ტაბლაშისაგან გამოცხობილ უწენალებს ჰქვია კრაჭნჭილები; ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით დაცხობილი მცირე ზომის ულემზირო, ყველიანი ან ცერცვისგულიანი კვერები. (ლატალი, ლენჯერი, კალა).

7. „ლამარია ლემზირ“-ის სახელწოდების კვერი შედის ნაჭშხუნრარ-ის შემადგენლობაში. იგი საქალებო პურია, სამჭდიანი. ლამარია ლემზირს ქალები მიირთმევდნენ ახალ წელიწად დღეს სხვის დაუნახვებლად, რადგან იგი უწენა იყო. (მესტია, მულახი, იფარი).

8. ლამარია გუიზისაგან სხვა დღეებში ქალები აცხობდნენ სადულე პურებს („დულ“ - „დულაი“ იხ.ზ.). დულაი -ის წესს ჩვეულებრივ სახლის უფროსი ქალი ასრულებდა.

---

[1] ლამარია გუიზისაგან დაცხობილი ლიმზირები ისევე, როგორც ლამარია ტაბლაშისა, უწენალებად ითვლებოდა. იხ. ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი გვ. 90.

9. ,,არგილის ლიმზირ''-ისთვის განკუთვნილ ყველიან ლემზირს დიასახლისი დააცხობდა ლამარია გუიზის ფქვილისაგან. (ლენტეხი, სოფ. ზემო ლექსურა).

10. ,,ალაგი ლიხელეს''-თვის განკუთვნილი ლემზირებიც ლამარიან გუიზ-ისაგან'' ცხვებოდა.

11. ლამარია გუიზისაგან ცხვებოდა ასევე სამეკვლეო პურები, რომლებიც თავის მხრივ განკუთვნილი იყო როგორც ქალებისთვის, ისე კაცებისთვის და შესაბამისად გააჩნდათ განსხვავებული ფორმა.[1]

12. ლამარია გუიზის ფქვილიც თავსდებოდა საკალანდო გიდელში - ,,ლაჭშხიარში''.

13. უწენა ლემზირები შეეწირება როგორც დალ შეშხუამიშ-ს, ისე ჯგგრაგ შეშხუამიშს (ჯგგრაგ შეშხუამიშ მხოლოდ ერთგან გვაქვს! - კალა).

14. ქვემო სვანეთში სავახშმოდ ხდებოდა უწენალების ზიარება. საკლავის ლალყაჯებთან ერთად უწენა იყო სამი კუწუბიანი ტაბგლ-ი. ამ კვერებს გულში ზომხაგ-ს შინაგან ქონს (ბადი-ს) ჩაატანდნენ და ისე გამოაცხობდნენ (სასააში).

15. ღორის ქონიან სამ ტაბგლს ჰქონდა თავთავისი სახელწოდება და დანიშნულება: ,,ერთი ლამარიან შილგგნე იყო,

ლამარიან შილგგნე (ქვ. სვ.)

მეორე ფუსნა ლემზირი და მესამე ჩვეულებრივი ტაბგლი (მას სხვა სახელი არ აქვს''). ეს პურები ლალყაჯი იყო - მათი შეჭმა ეკრძალებოდათ ოჯახის გარეშე პირებს. ჩამოთვლილი სამი ტაბგლიდან, ფუსნა ლემზირი მხოლოდ მამაკაცებს ეჭმეოდათ, ლამარია შილგგნე - მხოლოდ მანდილოსნებს, ხოლო მესამე უსახელო ტაბგლს ოჯახის ახალგაზრდებს და ბავშვებს შეაჭმევდნენ. (ჟახუნდერი).

16. სალემზირედ განკუთვნილი ფქვილისაგან, ქვ. სვანეთში, ცხვებოდა ე. წ. ,,ნეზუ-ტახა'' ტაბგლ || გუეჭ-ტაბგლ. იგი იყო ზომხაგ-ის ქონითა და ტყირპით შეზავებული ცომი. ზედაპირზე ფეხის ძვლით დაჭრელებული და გვერდებზე ოთხ ლემზირდასახული.

---

[1] საკაცებო პურს ლემზირები (3 ც.) გააჩნდა, საქალებოს ჭდეები. (3ცალი) ჩანს, ,,ლემზირის'' და ჭდეთა რაოდენობა 4-იც იყო.

ნეზუ-ტახი ტაბგლ (ქვ. სვ.)
(ზომხას ფეხით დაჭრელებული ლემზირი)

17. ქვემო სვანეთში უწენალების დაცხობა და მათით ლოცვა-ზიარება ხდება ვახშმობის წინ. ვახშამზე კი მიირთმევენ მათ!

18. ქვ. სვანეთში საიდუმლოდ შესასრულებელი წესები მიკუთვნებულია ბასილ ძუღუჭშ კალანდაშის ძალისადმი. ასევე ღერბეთისა და ჯგერაგ შეშხუამისადმი.

ყოველივე აქ აღნიშნულის საკრალური თუ ქმედითი საწყისი ლამარია და მისი გუბიზია (იგივე ტაბგლ).

ლამარიას, ჩვენი აზრით, აზრობრივი ფუძე ლიმარეა (მზადება, სამზადისი), და იგი მსახურების იდეას ითვალისწინებს. ჩანს, დროთა განმავლობაში ეს ყოფიერი ფუნქცია ქალისა, ქალის (მდედრობითი, მიწიერი არსის - მცენარეულთან ერთად) მფარველ ღვთაებად გარდაიქმნა. ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ადამიანმა, პირველ რიგში ქალმა, თავისი მსახურება წესად გაითავისა და მთელი თავისი მსახურების წესი ღვთივკურთხეულად ჩათვალა, ქალის საკრალური ქმედების (ლემზირების და „შესაწირთა" ლიმარეს) ფაქტი გახდა ღვთაება - ლამარია! იგი ერთი შემომქმედის - დამბადებლის - მზის სადარი ქალ-ღვთაების მსახურებიდან მიწიერ ღვთაებად იქცა.

რადგან ლამარია პირველად მიწიერი ნობათის (პურეულის) „სამზეოდ" (ზეციერისთვის, მზისთვის!) გამზადების მომცველია, ჩანს, ამიტომ საკრალური ღირებულება პირველად მიწის ნობათს (პურეულს) და მის დამბადებელს უფრო მეტად გაჰნდა, ვიდრე ადამიანის ხელით მის სალემზირედ შექმნის პროცესს, ანუ ლიმარეს. ამიტომ, ბუნებრივია, ლამარიამდე ქართველებს ეყოლებოდათ ზოგად ქართული მიწის ღვთაება და, ჩანს, იგი თვით სვანურშია ქართულის ფუძე ენის ერთერთ განშტოებაში, „ცოცხალი" სახით დღესაც შემორჩენილი. ეს არის „გიმ" („გა", „გეა") - მიწის" საკრალური სახელწოდება. ამის დასტურად თუნდაც ერთი მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი გამონათქვამიც დაგვეხმარება: - ისგუ მუთვენი გიმუ ალმაზრელი. „შენი დამბადებელი მიწა დალოცვილიყოს", და უპირველესად ის გარემოება, რომ ძველი ქართველების უპირველესი საფიცარი ცა (ურანოსი) და მიწა (გეა) იყო. (იხ. მიბჩუანის ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ. 1989). სვ-ში არსებობს საგალობელი „გა", რომელიც მიწის ნაყოფიერების საგალობელს წარმოადგეს.

როგორ ემსახურება ყოველივე ეს „დალ ემხუამიშს", ის ხომ „ემხუამის" განგებაა. ემხუამის უწენალები, ლამარია გუბიზისგან შექმნილნი, დალ ემხუმიშის არსის მჩენნი არიან; ისინი იქმნებიან ლამარია გუბიზისაგან ანუ „წმინდა ფქვილისაგან" წმი-

ნდად მსახურებისათვის. ის ლამარიას კუთვნილია და გუ̃ზია, რადგან არ არის ჩვეულებრივი პური მხოლოდ ,,კუჭის დასანაყრებლად'' შექმნილი: ის ლამარიას გუ̃ზია - მისი ტაბლაა, უფლისთვის შექმნილი და მისით ხელდასმული. მრავლისმჩენი მდედრის ბუნებრიობა (და̃ლ ეშხუ̃მიშ!) ლამარიას გუ̃ზს ირჩევს თავის მსახურებისათვის. ირჩევს მხოლოდ ლამარიას გუ̃ზს და არა სხვა რამისას - ,,ბარბოლის'' და ჷ̃ნის'', რადგან მიწაზე დალის ბუნებრიობის პირველი გამთავისებელი ლამარიაა და არა რაიმე ან ვინმე სხვა: იგი მიწის მადლია ქალის ხელთა მადლით სახექმნილი. ლამარია გუ̃ზ ცით მოვლენილი მადლია. მიწა, ქალი და მისი ცისადმი მსახურება კი ლამარიას მთლიანი სახე. იგი და̃ლ დამბადებლის მიწიერი სახის მჩენია! ლამარია (ლიმა̃რე!) მიწის განგების უპირველესი ფუნქციაა!..

და̃ლ ეშხა̃მიშ ირჩევს მსახურად ქალს (ლამარიას!) თავისივე ბუნების სადარს და შემცნობს. ირჩევს მსახურების დროდ იმ ჟამს, რომელიც ,,თავის წიაღს'' შეესაბამება: დრო იდუმალების და ,,სიბნელის'' (არა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!), რადგან მიწიერის გონებისთვის მუდამ ამოუცნობი და აუხსნელი სამყაროსეული ,,შესაქმე'', საიდუმლოა გონებისთვის ბნელი და დაუნახავი. ის წიაღია ,,კარ-სარკმელდახურული'' და ამ ყველაფრის მეტნაკლებად გამთვისებელი უწენალებიც ამ დროშია აღსავლენი და საზიარებელი. ამ წიაღის პატრონი დალია ეშხუ̃მიში, რადგან ეს ბუნებრიობა მხოლოდ მას გააჩნია.

ღვთაებათა შესაქმის იდეათა მსახურად გაცნობიერებელია ზენახარის კვერები თუ ლემზირები, უწენალების საქალებო და საკაცებო პურებად დანაწილების წესები და მათი ფორმები, საიდუმლოდ მსახურების წესები და სხვანი. ისინი ჷ̃ეშხუამის დროში იქმნებიან. იქმნებიან იმიტომ, რომ განავრცონ და განასახიერონ ორი ბუნებრიობის მარადიული კავშირი, მაგრამ ადამიანის თვალისთვის უხილავი. მათთვის ეს მხოლოდ სულის თვალისთვისაა გასაგები. სამყაროს შემოქმედების დანახვა მხოლოდ შემოქმედთ შეუძლიათ! არდი - მზე და მზირა იქნებ ამ ყველაფრის მტვირთველია ერთად.

ეშხუ̃ამის დღესასწაული ,,ლამა̃რია ტაბლაშისა'' და ,,ლამარია̃ გუ̃ზის'' პარალელურ სახელწოდებად ,,უფლიში ტაბგლ''-საც (,,უფლის ტაბლა''!) წარმოგვიდგენს. ამ სახელწოდებებით არსებულ ერთიდაიგივე წმინდა ფქვილისგან მზადდება ყველა სახის და დანიშნულების ,,ლემზირი'', როგორც ახალი წლის დღეებისთვის, ისე მთელი წლის დღესასწაულებისთვის. ახალი წლის საწესო ლემზირები კი მზადდება შეშხუ̃ამის დღეობაში.

ზემოთქმულს თუ დავაკვირდებით, მივიღებთ ამ ლემზირების შემდეგ რიგს:

1) კუ̃ანჭილა̃რ || ღერღლა̃რ || ალუდა̃ლ.

2) საქონლის მომვლელთათვის ყველიანი ლემზირები: ,,ანდაუ̃ი ლემზირ'' - ,,მგშგა̃ლია ლემზირ'' , ,,მგნნი ლემზირ''.

3) ტყიდან ჴ̃ულის, გუ̃ზისა და სხვათა მომტანისთვის ყველიანი ან ხორციანი ლემზირი.

4) ,,ლაჭშხია̃რ''-ის პურები || ნაჭშხუნები, როგორც ,,ლამა̃რია̃ ლესკა̃რი'', ისე ,,მუჟელუ̃'' ანუ, როგორც საქალებო ნაჭშხუნები ისე საკაცებო.

5) ,,ჭირვა̃ტი'' || ჷ̃ეშხუ̃ამი ლემზირ.

6) კოკონ̃ლა̃რ'' (მხ. რ. კოკონ̃ლ).

7) ,,ჴ̃ული ლემზირ''.

ჭული ლემზირ (ზ. სვ.)
(ლეზომახის ფეხით დაჭრელებული ლემზირი)

8) „დული ლემზირ“ || „ლამარიშ ლემზირ“ || „გიმი ლემზირ“ || „კერი ლემზირ“.

დული ლემზირ
ლამარიშ ლემზირ
გიმი ლემზირ
კერი ლემზირ
ალაგი ლემზირ
მეზირი ლემზირ
ტგრბეზი ლემზირ

ლამარიშ ლესკარ (სამეკვლეო პური — ქალების კუთვნილი ბზ. სვ.)
(ჩვეულებრივი ლემზირისგან განსხვავებით იგი მოზრდილი პურია გადაბრუნებით გამოცხობილი)

9) ,,ალაგი ლემზირები'' || ,,გიმი ლემზირ''-ები.

10) ,,მეზირი ლემზირ'' || ლამარიშ ლემზირ.

11) ,,ნეზუ-ტახშ-ს'' ტაბგლ''-ი და სხვანი.

ეშხუშმის დღის მფარველია დშლ ეშხუშამ-ისი. ყოველივე იმას, რასაც დშლ ეშ-ხუშამ-ისაგან ეშხუშმის დღეს მოითხოვენ, მოითხოვენ ჯუშრ ეშხუშმიში-საგან, ,,ეშხუშმ დეცეში''-ისაგან, ,,ჯგგრშგ ეშხუშმიში''-საგან, და ბოლოს, ,,ღერბეთ''-ისაგან. ისე, თი-თქოს, ყველა ერთნი იყონ და ხელეწიფებოდეთ ის, რაც დშლ-ს ეშხუშმიშ-ს ხელეწი-ფება (იგულისხმება ,,დაბადება'').

ეშხუამის დღის მფარველისაგან ითხოვენ წყალობას, რადგან ეს მას შეუძლია. ითხოვენ, რადგან ემსახურებიან! ითხოვენ, რადგან სწამთ მისი ძალაც და არსებობაც! ამ ძალის და არსებობის რწმენა ,,გადადის'' ,,დალ''-იდან სხვებში, და საბოლოოდ, იგი ერთიანდება ლექსემა ,,ღმერთ''-ში. (ღერბეთ!) (,,ერთი'' - ,,ყველაფერი'' - საწყისი''!) დშლ-ს ,,ერთი''-სას შეუძლია წლის შეცვლა და სთხოვენ კარგი წლის შეცვლას; ადა-მიანის სიკვდილ-სიცოცხლის გამრიგეა და სთხოვენ ადამიანის მშვიდობას, სულის სი-მშვიდეს, ბედნიერებას, სვესა და ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ,,უმარცხოდ ყოფნას'' და გამარჯვებას; წლის ბარაქა აბარია და სთხოვენ წლის სიბეჯითეს, მოსა-ვლის სიუხვეს, მის კარგი საქმისათვის, სალხინოდ, თეთრად არსებობისთვის მოხმარე-ბას; ,,საქონელიც მისი გაჩენილიაო'' და სთხოვენ მის გამრავლებას, მათთვისაც საკვე-ბის სიუხვეს, ავადმყოფობისა და ჭირისგან დაცვას; მისია დრო და ჟამი, ამიტომ სთ-ხოვენ მარადის, მრავალ ახალ წელს, სითეთრით, სიუხვით, სიკარგით მოსვლას, ყოვე-ლივე კარგის დაბედებას, მრავალი ,,დღევანდელი დღის'' კარგად დადგომას, მრავალ შვილს - ძე - შვილს სიცოცხლის გამგრძელებლად, ბედნიერ რძალს - მომავლის დამბადებლად და ოჯახის ტრადიციის ამსრულებლად!

ვის შეუძლია ,,ამდენი რამე'', თუ არა ,,ყოვლის შემძლეს'' ! ,,ყოვლის შემო-ქმედს'', გონით წარმოქმნილ იდეურ არსებას, რომლის ამ შესაძლებლობასაც სა-კრალურად ადამიანი უკავშირებდა მხოლოდ მზისა და სინათლის ძალას. ამ ვიზუა-ლურად წარმოდგენილის მსახური კი მიწიერი ადამიანია, მისითაა შექმნილი დღესას-წაულთა სახიერება (რიტუალი) და ამ სახიერების სულ მცირე ნიუანსიც კი. ბნუებრივია, იგი არ შეიქმნებოდა მანამ, სანამ საკრალური აზრი არ მომწიფდებოდა, იდეა არ დაიხვეწებოდა, რწმენა არ გათვითცნობიერდებოდა. ჩანს, ამის შემდეგაა შექმნილი რიტუალიც და უპირველესად მისი ლემზირებით მსახურების წესიც.

საახალწლო სარიტუალო ლემზირები იტევს სამყაროს შემოქმედთა იდეურ არსს, ავლენს მათ თვისობრივ სახეს და აკანონებს მიწიერის ზეციერისადმი რწმენითი მსახურების აუცილებლობას. თუმცა ამ აზრის უკეთ გაგებისათვის უმჯობესი იქნება თვითეული მათგანის ცალკე გაცნობაც და გათავისებაც.

კუშნჭილშრ || ღერღლშრ || ალუდშლ

შეშხუშმის დღის პირველი ლოცვა-ზიარება ოჯახისა, უწენა-ლალყაჯ ლემზირე-ბით იწყება. ეს ლემზირები მზადდება ,,ლამარიშ ტაბლშში-საგან (ბ. ქვ. სვ) ,,ლამარიშ გუიზ''-ისაგან (ბ.ზ.სვ.). (მათგან დაცხობილი ყველა სახის ლემზირი უწენშ) ამ ლემზი-რებს ჰქვია ,,კუშნჭილ''-ები.

,,ლამშრიშ'' მიწის ნაყოფიერების და ქალების მფარველი ღვთაებაა, ქრისტია-ნული მსოფლხედვით - წმ. მარიამი.

,,ტაბგლ'' აღნიშნავს ა) სალოცავ პურს (ე. ი. ერთ ლემზირს) და ბ) სალოცავ

პურთა ნაკრებსაც (ე. ი. ლემზირებს) (ლატალი). ტაბგლ - ლემზირთა ნაკრები - აღევლინებოდა დიდ ღმერთებს (ხოშა ღერთალ: ხოშა ღერბეთ, მგქემ თარინგზელ, ჯგგრაგ) დიდი დღესასწაულებისას, როგორიცაა მაგ: ,,ლალხორალ'', ,,ლიგიერგი'', ,,უფლიშიერ'' და ა.შ. შესაბამისად ამ ლემზირებს ერქვათ ,,ხოშა ღერბეთი ტაბგლ'' - დიდი ღმერთის (ლემზირები) ტაბგლი! ,,მგქემ თარინგზელი ტაბგლ'' - მგქემ თარინგზელის ტაბგლი! და ,,ჯგგრაგი ტაბგლ'' - ჯგგრაგის ტაბგლი. სახელწოდებების და ღვთაებათა კუთვნილების მიხედვით ლემზირების ფორმაც სხვადასხვა იყო. აღნიშნულ შემთხვევაში ,,ტაბგლ''[1] ითარგმნება ძღვნად, რომელიც აღევლინება, ადამიანის ხელით, ზეციურს! შეიძლება ,,ტაბგლ''-ის შინაარსი სხვანაირადაც გავიგოთ: ძღვენი ღვთისაგან მოვლენილი (,,პური არსობისა''!), ისევ ღვთის სადიდებლად არსებული. (,,ლიმზირ!'' - ,,ლემზირალ''!).

საზოგადოდ, მრგვალ სამფეხა მაგიდას ,,ტაბლა'' ეწოდება. ასევე, მრგვალ ტაბლაზე დაწყობილი ,,სანოვაგით'' ხდებოდა ახალი წლის დღეს ხელის ახსნა (ლიშიაში) მეკვლის მიერ. ამ დროს ტაბლას წაღმა ატრიალებდნენ ხელისამხსნელიც და ხელასახსნელიც (—,,მგშიაში'' და ,,ლეშიაში''). (ჩანს, საკრალურ დღეს მაგიდის ფორმაც კი საკრალურია!).

,,ძღვენის'', ,,ქონების'' (ქონა!) მტვირთველი უნდა იყოს ასევე, საკრალური სახელწოდება ,,გრიზ''. ,,ლამარიგ გრიზ'', თუკი აღნიშნული შინაარსით გავიზიარებთ მას, უნდა ნიშნავდეს იმას, რასაც ,,ლამარიგ'' გვაძლევს ანუ ლამარიას ძღვენს'' - ლამარიას ნაბოძებს''! ეს ზოგადად, მაგრამ ჩანს მასაც კონკრეტული მიმართულება გააჩნია. ანუ ეს ის ძღვენია, რომელიც ბოძებულია ჩვენთვის, ადამიანებისათვის, მბოძებლის მსახურებლად: ლოცვისა და დღესასწაულებისათვის.

ამ აზრს კი მივყავართ ,,ლამარიგ გრიზ''-ის მოსაწევი მიწის ნაკვეთის, სახელწოდება ,,ლაგრზ''-ის ახსნამდეც და ახსნამდე იმ გარემოებისა, თუ რატომ იყო ლაგუზის'' დამუშავება, ,,ლამარიგ გრიზ''-ის ,,წმინდად'' მოყვანა და, საერთოდ, ღვთის ,,წმინდა'' მსახურება აუცილებელი და ანგარიშგასაწევი. ,,წმინდად მსახურებას'' ხომ ქალის ფიზიოლოგიური (,,სუფთა'', ,,წყლიან''!) მდგომარეობა განაპირობებდა: ჩვეულებრივ მიწის ნაკვეთი ,,ლაგუზად'' იქცეოდა მაშინ, თუკი მას ,,წმინდად'' ყოფნისას დაამუშავებდნენ ქალები. ასევე ჩვეულებრივი ხორბალი ,,წმინდა'' და სალოცავი ხდებოდა მაშინ, თუკი მას ,,წმინდად'' შეინახავდნენ და ,,წმინდადვე'' მოიხმარდნენ ქალები. ჩანს, როგორც ხორბალს, ისე მის მომცემ წიაღსაც (მიწა!) ეს აზრობრივი დატვირთვა (საკრალური მნიშვნელობა!) ქალის ბუნებამ მიანიჭა და ღვთის წმინდად მსახურებაც ,,ქალის მდგომარეობიდან'' გამოიკვეთა. მან უზენაესის ხილულ მსახურად თავისთავთან ერთად მიწაც გაიაზრა და ამ ორივეს (ერთი არსის მქონეთ!) მფარველს ლამარიგ უწოდა, რადგან მათი არსი ,,ლიმარეა''. (,,ლემზირი ლიმარე'' - ლემზირების შექმნა!).

გავიხსენოთ ისიც, რომ შეშხრაგ - მახე ზაგ -ის შესაწირი ქალის სათავნო ქონებისაა, თვით შესაწირი საქონელიც მდედრული ბუნებისაა - ნეზვი! შეწირვითაც იგი

---

[1] ტაბგლ აღნიშნავს ასევე სარიტუალო მაგიდას, მრგვალს, სამფეხას. ხშირად მასზე დადებდნენ აღსავლენ ლემზირებს და უმეტესად იმას რაზეც ახლაა საუბარი - დიდი ღმერთების ტაბგლს, ზედაშესა და ზვარაკის შემწვარ გულ-ღვიძლს ერთად. წმინდანსაც ამ მრგვალი მაგიდითვე აღევლინებოდა აღნიშნული.

კერიის პირას შეეწირებოდა; აქვე მდგარ დაბალ, გრძელ მერხზე, რომელიც ასევე ქალების კუთვნილი ავეჯი იყო ძველ სვანურ სახლში. იგი საქალებო მხარეს იდგა და მასზე მხოლოდ ქალები სხდებოდნენ! კერა (შუაცეცხლი) კი - მთელი კაცობრიობის ისტორიაში, განურჩევლად კულტურული თუ არაკულტურული ერისა, ქალის ,,კუთვნილებას'' შეადგენდა. სასაქონლო შესაწირი, როგორც ამას შეშხუამის დღის წესრიგი გვამცნობს, შეეწირებოდა მხოლოდ დალ ეშხუამიშს! — ,,უწენა'' ლემზირებით ლოცვა-ზიარების შემდეგ. გვაძლევს კი ეს იმის თქმის უფლებას, რომ გონებით წარმოსახული პირველი მფარველისთვის ადამიანმა, მისადმი მსახურებისას, პირველად გაიღო მიწის მოსავლის შესაწირი (შესაწირი მცენარეული!) და შემდეგ, სისხლიანი ზვარაკი? (შესაწირი საქონელი) ვინ იცის! ... თუმცა, თუკი კაცობრიობის ისტორიის საწყისებს გადავხედავთ, გაგვახსენდება ის გარემოება, რომ პირველი შემგროვებლები ბუნების ნობათისა და, შესაბამისად, პირველი ,,მიწის - მომქმედნიც'' ქალები იყვნენ! მაშინ არცაა გასაკვირი თუკი ,,ყოველივეს'' შემოქმედად პირველად ქალური ბუნებრიობას გაითავისებდნენ, და შესაბამისად პირველი შესაწირიც მცენარეული იქნებოდა. (მზირა → ლემზირ → ლიმზირ).

,,მიწიერი ნაყოფიერების სინკრეტულ იდეას'', ჩვენს შემთხვევაში, ზეციური ქალი შემოქმედიც ემატება. ეს კი დალ ეშხუამისია. ჩანს, ქალური ბუნებრიობაა ერთერთი აგური სამყაროსეული კანონზომიერების რელიგიურად გააზრებისთვის. ამიტომაც იწყება ყოველივე დღესასწაული ,,მისი ნობათით'' (ლამარიან გუიზის ლემზირებით...); წლის დასასრული და დასაწყისი დღეც ქალური ბუნებრიობის მტვირთველია. ეშხუ-ამის დრო და წიაღი ,,დალ''-ის ბუნებრიობაა.

,,წყვლიან''-ის (წმინდა!) შინაარსით არსებული ,,ლამარია გუიზ''-ისაგან იქმნება არა მხოლოდ შეშხუამის დღის ლემზირები, არამედ მთელი საწელიწადო დღეობათა საწესო პურები. ეს კი ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტია იმის გასააზრებლად, რომ დროში ყოველივეს საწყის დღედ ქართველებში მზის ღვთაების დღესასწაულია მიჩნეული და პირველ უზენაეს შემოქმედად მზის ღვთაება დალ არის არჩეული.

მზის ღვთაების თვისებრიობის პირველი სახიერი ,,ნივთია'' კუანჭილები. საზოგადოდ ,,კუანჭილ'' პატარა ულემზირო კვერია!

,,კუანჭილარი'' მთიების კულტის ამსახველ კვერადაა მიჩნეული. ვერა ბარდაველიძის აზრით, ,,კუანჭილების წარმომჩენი რიტუალის ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ გამოუკლებლივ ყველა დღეობაში, როცა კი მას ასრულებდნენ, ამ კვერების შეწირვა დილით, მზის ამოსვლამდე ხდებოდა კარ-სარკმელდახურულ სახლში. ამასთან ერთად, ფიქსირებულია შეწირვის წესის მეტად საინტერესო ვარიანტიც: ოჯახის უფროსი სარკმელთან მივიდოდა გამომცხვარი კვანჭილებით ხელში, დარაბას ცოტაზე გამოაღებდა, კვანჭილებით დატვირთულ ხელს გარიჟრაჟს გადაუშლიდა და ლოცვას წარმოსთქვამდა. ლოცვის დამთავრების შემდეგ სარკმლის დარაბას კვლავ დახურავდა და კვერებს დაუნაწილებდა ოჯახის წევრებს, რომელთაც თავისი წილი კვანჭილი მაშინვე უნდა შეეჭამათ, რომ მზის ამოსვლამდე რიტუალი დამთავრებული ყოფილიყო''.(ლატალი).[1]

აღნიშნულის ნიადაგზე ვერა ბარდაველიძე ასკვნის შემდეგს: ,,კუანჭილების შეწირვისა და შეწირულით ზიარების რიტუალის წარმოება მაინცდამაინც სისხამ დი-

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 87.

ლით, ბინდის გაყრისას, მისი დამთავრება მზის ამოსვლამდე და კუანჭილების შეწირვის მოყვანილი ვარიანტი ნათლად მოწმობენ იმას, რომ ეს რიტუალი და კვერი მთიების კულტის ამსახველი უნდა ყოფილიყო. ამასთან ერთად უნდა ვივარაუდოთ, რომ კუანჭილი ხალხის რელიგიური აზროვნების ემბლემა კვერი უნდა ყოფილიყო მთიების ანთროპომორფული ღვთაებისა, რომელიც სვანების სარწმუნოებრივ გადმონაშთებში მოცემული ჩანს დალ შეშხუამის სახელწოდებით"...[1]

აქვე ქალ. ვერა გვაძლევს ჯგგრაგისა და დალის გენეზისის სურათს. მისი აზრით, თავდაპირველად ჯგგრაგი და დალი „ტყის არსებანი" უნდა ყოფილიყვნენ: დალი ცხოველებისა და ფრინველების, ჯგგრაგი მცენარეთა სულთა განსახიერებანი. ალბათ მას შემდგომ, რაც ეს არსებანი ანთროპომორფულ სახეს ღებულობენ, ისინი მამრობითი (ჯგგრაგი) და მდედრობითი (დალი) სქესის ნადირთ პატრონებად წარმოისახებიან. ხოლო უკანასკნელად, როდესაც ჩვენში ასტრალური რელიგია განვითარდა, ნადირთ პატრონები ცაზე ყოფილან აყვანილი და იქ ისინი, როგორც ირკვევა, ღამის დიდ მნათობებსა და მთიებს დაუკავშირდნენ პირველს ჯგგრაგი და მეორეს - დალი. ამ მნათობთა თაყვანისცემის გადმონაშთებს დღეობა შეშხუამში ვამოწმებთ"[2]

ხალხური გაგებით კი (ვგულისხმობთ ვ. ბარდაველიძის მთხრობელთაგან მიღებულ განმარტებებს!) - 1) „დალ ᲔᲔშხუამიში სხვაა და ნადირის მწყემსი დალი კიდევ სხვა. დალ ᲔᲔშხუამისა ახალ წლის, ახალი მოსავლის და მომავალი ბედიღბლის ღმერთია".[3]

2) „შეშხუამის დღეს დალს რომ ახსენებენ, ეს დალი სულ სხვა იყო, ვიდრე მონადირეების მფარველი დალ"-ი.

3) „დალი ტყეშია, კლდეებში. ეს ღვთაება საქონელსაც შველის და კაცსაც, ყველაფერს და ყველას შველის, დალ შეშხუამიში ძლიერია".[4]

4) „დალ შეშხუამიში მიაჩნიათ მუდმივად კლდეებში მცხოვრებ, მეტად ლამაზი სახის და ოქროს ნაწნავებიან ქალ-ღმერთად. აქ იგი იდენტიფიცირებულია მონადირეობის ღვთაება დალთან".[5]

5) ჩვენი მთხრობელი კი, ამ ყოველივესთან ერთად, აღნიშნავს შემდეგსაც: - დალᲐ ნათავ ლი მᲐგ ღერბეთ!", დალის გაჩენილიაო ყველა ღმერთი!".[6]

ჩვენთვის, ᲔᲔშხᲐმ-მᲐხე ზᲐᲔს დღესასწაულის არსი კუანჭილების რაობის სხვანაირად გააზრების შესაძლებლობასაც იძლევა. ამიტომ იმავე ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, რითაც ქალბატონი ვერა ხელმძღვანელობდა, შეგვიძლია განვაცხადოთ განსხვავებული მოსაზრება;

1) კუანჭილები არ მიგვაჩნია მთიების ემბლემა კვერად. მას არც კი გააჩნია ცის კუთვნილების ნიშანი - ღემზირები: იგი ულემზირო, მრგვალი ბურთულა კვერია!

2) არც დალი მიგვაჩნია მთიების ანთროპომორფულ ღვთაებად!

3) კუანჭილები არიან მხოლოდ სიმბოლური გამოსახულება დალის ბუნებრივი

---

[1] იგივე, გვ. 88.
[2] იგივე, გვ. 88.
[3] ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. გვ. 84 (ეცერი).
[4] იგივე, (ლატალი) გვ. 91.
[5] იგივე, (მულახი) გვ. 93.
[6] მთხ. ი. გირგვლიანი, 1998 წ. ლატალი. მაცხვარიში.

თვისების: დᲐლს ეᲨხუამისას ყოველივეს სიუხვით და სიმრავლით (უხვად და მრავლად!) გაჩენა შეუძლია, რადგან ყოველივეს დაბადება მისი ბუნებაა! სწორედ, დᲐლის ამ თვისების ხილული ნიშანია კᲩანჭილები, მრავალი, კერძოდ, იმდენი, რამდენი წევრიც იყო ოჯახში, ანუ იმდენი უზმოზე (ადრე დილით!) რომ შესძლებოდათ მათი, ,,სხვისი თვალის უნახავად'' (საიდუმლოდ!), ზიარება. ამიტომაც კᲩანჭილების რაოდენობის ამსახველი კანონიერი საკრალური რიცხვი არ არსებობს. რიტუალისას იგი განუსაზღვრელია და მრავალი! კონკრეტულად კი ოჯახის წევრთა რაოდენობის, რათა ასეც ზიარებოდნენ ისინი სათითაოდ დᲐლ ეᲨხᲩᲐმის კᲩანჭილებით გამოხატულ მადლს და თვისებას.

4) ერთად მრავლის დაბადება, მრავალგზის - სასწაულია! ამ სასწაულის იდეური მჩენი კი ,,ერთი'', ქალური ბუნებრიობაა. ,,ერთი''-ს იდეური სახე არ უტოლდება მხოლოდ მთიების შესაძლებლობას...

5) ,,ყოველივეს'' სიკარგით, სიუხვით და სითეთრით გაჩენა უხილავი, განუსაზღვრელი და უზენაესი არსის უნარია. იგი დაუკონკრეტებელია და ამიტომაც მისი არსის მჩენი, პირველ რიგში, ,,ერთი''-ა (1). რადგან იდეა დაბადების სასწაულისა მდედრის არსს იტევს პირველ რიგში. არსის ,,სახელწოდებადაც სახიერი ქალის სახელია შერჩეული - დᲐლი! დᲐლი ,,ეᲨხუ''-ს პარადიგმული სახეა მზის ბუნებრიობას გატოლებული.

6) ,,დაბადება''ყოველივესი და ყველაფრისა (ერთად!) ადამიანისთვის უხილავია, ბოლომდე ამოუცნობი და საიდუმლო. იგი მხოლოდ დაბადებულს ხედავს: მზის ნათებას, სიბნელის სინათლით შეცვლას! მიწის წიაღიდან თესლის აღმოცენებას, ქალის სხეულიდან ახლის გაჩენას. მაგრამ, ჩანს, არსებითი კითხვა -როგორ ჩნდება მის წიაღში ყოველივე ადამიანისთვის კვლავ კითხვადვე რჩება. ამიტომ უზენაესად ყოველივე დამბადებლის არსებობას ითავისებს და წესად ამკვიდრებს მის მსახურებას; გონით მომწიფებული და სრულქმნილი წარმოსახვა ქმნის დღესასწაულის რიტუალურ მხარეს; ბუნებრივია, შეᲨხᲩᲐმის დღეს დᲐლ შეᲨხᲩᲐმის არსის გამთავისებელი, მლოცველი, პირველად კᲩანჭილებს აღავლენს. აღავლენს სწორედ კარ-სარკმელ დახურულ შინაში უხმაუროდ და საიდუმლოდ! - რიტუალი ხომ იდეის ხილულად ჩენაა! უზენაესის საიდუმლეობაა უზენაესის რწმენის ქვაკუთხედიც. ამ შემთხვევაში საიდუმლო ზიარება, კარ-სარკმელ დახურული ,,შინა'', — დაბადების'' საიდუმლოების მჩენი წიაღია.

7) რას უნდა ნიშნავდეს მზის სხივისთვის ან დღის სინათლისთვის კᲩანჭილების და ,,ლამარიᲨ გᲩიზ''-ის (ფქვილი) ,,ჩვენების'' ფაქტი, თუ არა დᲐლ ᲔᲨხᲩᲐმიშის სინათლესთან თუ მზის სხივთან იდეურ კავშირს. დალის თვისობრივი უნარი მზის სხივის, ზოგადად, სინათლის დარია: მას ყოველივეს ,,თეთრად'' (კარგად!) გაჩენაც შეუძლია: - ეს რომ თეთრია (ფქვილი!) ასეთ თეთრ წელიწადს მიგვაყენე მადლიანო! - გამოსთხოვენ მლოცველნი, რადგან იციან, რომ ,,კარგის'' გვერდით ,,ავიცაა'' დაბადებული. (ესეც დალის ბუნებაა?!) სწორედ, ამ ორი უკიდურესად სხვადასხვა არსის (კარგის და ცუდის!) ერთად ჩენაც ხდის ,,დამბადებელს'' უზენაესად, ყოვლის შემძლედ და ყოვლის პატრონად. ხალხის რწმენაც ასეთია: ,,დᲐლ ᲔᲨხᲩᲐმისა ახალ წლის, ახალი მოსავლის და მომავლი ბედ-იღბლის ღმერთია! იგი ყველა ღმერთის დედაცაა! (,,მუთვენი''). თუნდაც მხოლოდ ამ რწმენის ნიადაგზე შეგვიძლია კი იგი ,,ცისკრის ვარსკვლავად (მთიები!) მივიჩნიოთ?! დᲐლს არ ეკუთვნის მხოლოდ ,,ცისკარი'', იგი მეტია.

8) ,,დᲐლ ეᲨხᲩ-მიშ'' უზოგადესი ქალური ბუნებრიობაა, მისი საკრალური სა-

ხელწოდებაა და უმაღლესია ქალ-ღვთაებათა შორის, სხვა დანარჩენი მისი შემდგომნი სხვადასხვა კონკრეტული უფლებამოვალეობებით ,,არსებულნი'' არიან. იგი ყველასი და ყველაფრის მომცველია ანუ მომცველია იმის, რაც მდედრის ბუნებისაა: იქნება იგი მიწაზე თუ ცაზე, მცენარეში თუ ცხოველში, ქვასა თუ ხეში, ადამიანსა თუ ღვთაებაში, იგი არსია მდედრობისა - მზესავით ნათელი, ყოვლის მომცველი და ყოვლად ძლიერი, ერთი ბუნებრიობა.

9) ყოველივეს დამბადებელი მდედრის წიაღი ამოუწურავი შესაძლებლობისაა, იდუმალებით მოცული სიბნელეა იგი (,,კარ სარკმელ დახურული''!) მისგან დაბადება ისეთივე სასწაულია, როგორც სასწაული სიბნელის სინათლით შეცვლისა, მზის ამოსვლისა, მიწიდან მცენარის აღმოცენებისა, წლის დროთა ცვლილებებისა და ბოლოს, ქალის სხეულიდან პირმშოს დაბადებისა! არსებობს კი ადამიანისათვის სხვა რამ ამაზე მეტად საიდუმლო?! ჩანს რომ არა!.. ამადაცაა ახალი სიცოცხლის საწყისი დღე,,ეშხუ''-ს დღე (ᲔᲨᲮᲣᲛ!). მისი მფარველი კი (იდეის განმასახიერებელი!) - ,,დᲐლ ᲔᲨᲮᲣᲛისი (პარადიგმული სახე და არა ანთროპომორფული!). დᲐლის პირველი შესაწირია - ლამᲐრია გუᲜიზისაგან შექმნილი კუᲐნჭილები. მისი პირველი ზვარაკი (ქალის სათავნო ქონების ნაწილი), - ერთად მრავლის მჩენი ნეზვი! - შეწირული კერიასთან, ცეცხლთან, საქალებო მხარეს და ბოლოს, დალის პირველი მსახურია ოჯახის დიასახლისი - ქალი!

დალი ღმერთია ყოვლისშემძლე, დამბადებელი; ბუნებრივია, საჯიხვეების მეუფე, მონადირეთა ქალ-ღმერთიც დᲐლი იქნებოდა.

10) აღნიშნული, ჩვენის გაგებით, ,,ერთი''დან ყოველივეს დაწყების (გაჩენის, ერთი შემოქმედის!) ფაქტორს უფრო აჩენს, ვიდრე იმ გენეზისს ქალბატონო ვერა ბარდაველიძე რომ გვთავაზობს დᲐლის და ჯგგრᲐგის შემთხვევაში.

კვანჭილებით ლოცვა-ზიარება სრულდებოდა ასევე ბარბლაშის დღეობებისას, ქრისტეშობის დღეს და დღეობა ლიფანᲐლისას. კერძოდ, ლიფანᲐლის ბოლო დღეს ,,ჯრდი ჰამ''-ს.

1. კუᲐნჭილები ბარბლᲐშის დღეს - ბარბალობისას (ძვ. სტ. 4 დეკ.).

ხალხის რწმენით, ,,ბარბალობ''ის დღე ,,მზე-ბუდობის'' დღეა: 4 დეკემბრიდან სამი დღის განმავლობაში მზე არ იძვრის (ბარბალობაც სამ დღეს იდღესასწაულება!), ხოლო ამ დღეთა შემდეგ დღე თანდათან მატულობს და ყველაზე გრძელი დღე ,,ქრისდეშია'' (ქრისდეშობის დღე!), რადგან ამ დღეს მზე ვერძის სამ ნახტომს აკეთებსო! (საკრალური ერთობა: მზე, სამი, ვერძი, ქრისტეშობა!...).

ხალხური რწმენითვე მიჩნეულია, რომ ბარბლაშის უქმე და მისი წესჩვეულებანი დაწესებული იყო საზოგადოდ საქონლის და, კერძოდ, ძროხისა და წველის გამრავლებისთვის.

ამასთანავე, ბარბალაშის დღეობა ყოველგვარი ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ იყო დაწესებული. მისი წესჩვეულებები იცავენ ადამიანს ავი სულისაგან. თვით ბარბალე სოფლის დოსტაქრების ღვთაება იყო: თავის მძიმე ავადმყოფებს ისინი ბარბალეს შეავედრებდნენ და მისგან გამოითხოვდნენ თავისი ხელობის მფარველობას.[1]

,,სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში'' ბარბალობის დღეს (ვ. ბ.) კუᲐნჭილებით ზიარებას ეხვდებით მხოლოდ ერთგან, ცხუმარის თემში (ზემო სვანეთი!) ხოლო ქვემო სვანეთში, (აქაც მხოლოდ ერთგან) - ჩოლურში. გვაქვს ფქვილის შეწი-

[1] იხ. ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. ბარბალობა, გვ 1—17.

რვის, შეშხუშმის დღესთან მიმსგავსებული წესი!

ცხუმარში ,,ბარბლაშს დილით, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, როდესაც კერიაში დიასახლისი ცეცხლს გააჩაღებდა და ოჯახის სულზე თითო პატარა ყველიან კვერს გამოაცხობდა. ამ ყველიან კვერებს კუანჭილარი ეწოდებოდა. ისინი უწონაში იყო. კარ-სარკმელ დახურული სგირის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმლის წინ სახლის უფროსი ეკედრებოდა ბარბალეს საქონლის გამრავლებისთვის და სწირავდა მას კვანჭილარს. ლოცვის გათავების შემდეგ კუანჭილებს მიირთმევდნენ მისივე ოჯახის წევრები. ამასობაში გათენდებოდა და ოჯახის დიასახლისი შეუდგებოდა ბარბალესათვის აუცილებელი რძის ფაფის (ლგჯ̄ემი გაგ) მოხარშვას. ლგჯ̄ემი გაგს, ისევე როგორც ამ დღის ყველა ლემზირს, ლამარიაშ ტაბლაშისგან ამზადებდნენ".[1]

ჩოლურში ,,ბარბლაშის წინა ღამეს სახლის უფროსი ქალი ხმის ამოუღებლად, ოჯახის წევრებისა და უცხო პირებისგან დაფარულად, ბეღლიდან ერთი კარუა ფქვილს გამოიტანდა და სახლში შეინახავდა. ბარბალაშ დილით გათენებამდე სახლის უფროსი მამაკაცი, აგრეთვე უბრად და სხვების მიერ თვალმოუკრელად, ამ ფქვილით სავსე კარუას სახლიდან გარეთ გაიტანდა და შემდეგ კვლავ სახლში შემოაბრუნებდა. არავითარი ლოცვა ამ დროს არ იცოდნენ, რადგან ეს წესჩვეულება უბრად უნდა შესრულებულიყო. აღნიშნული ფქვილისაგან საღამოს ხოშა ზურაშლი ექვს ცალ ჩვეულებრივ ტაბგლს - ერთს ფუსნა ტაბგლს და ერთს ლამაშრია შილგგნეს გამოაცხობდა. ეს კვერები ნიგვზიანი ან ყველიანი იყო. ქორა მახუში დაიჭერდა მათ ხელში და ილოცებდა: ღმერთო შენ დაგვიცავი ცუდი სენისაგან, ცუდი ავადმყოფობა აგვაცილე, კარგი ზამთარი მოგვეცი, გაზაფხულს მოგვასწარი მშვიდობით! (ბარბლაში აქაურთა რწმენით განკუთვნილი იყო ხველისა და გადამდებ სნეულებათა საწინააღმდეგოდ. ლოცვის გათავების შემდეგ ფუსნა ტაბგლს მლოცველი შესჭამდა, ლამაშრიაშ შილგგნეს ქალები და ჩვეულებრივ ტაბლებს - ოჯახის დანარჩენი წევრები.[2]

აქ წარმოდგენილი ცხუმარული ტრადიცია საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ შემდეგი; 1) ბარბალაშის დღეს მთელი სვანეთისთვის არაა წესი და ტრადიცია კუანჭილებით ლოცვა-ზიარება. აქედან გამომდინარე ბარბლაშის დღის კუანჭილები არ არიან ,,ბარბოლის" საწესო პურები.

2) მაგრამ ერთგან რადგან მსგავსი გამონაკლისი გვაქს, კუანჭილარი მაინც შეეწირა ბარბოლს და არა დაშლს, ბუნებრივია, იმის გამო, რომ ეს დღე ბარბალესია და არა დაშლის.

3) რითი უნდა აიხსნას ამ შემთხვევაში კუანჭილების კავშირი ბარბოლთან? პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბარბალე ისევე როგორც დალი, ქალური (მდედრი!) ბუნებრიობისაა; კერძოდ, მესაქონლეთა შემწე, საქონლის (ოთხფეხი!) ,,გამამრავლებელი" და დამცველი. ბუნებრივია კუანჭილარის კავშირი ბარბოლთან ამ გარემოებით უნდა აიხსნას. ბარბალეს საქონლის სიმრავლეს და დაცვას შესთხოვდა ოჯახი. ამ დღის კვანჭილარი პატარა ყველიანი ლემზირია, ისინიც უწონალებია და შეეწირება ბარბალეს კარ-სარკმელდახურულ სგირის (შინა) აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმლის წინ. აღნიშნული წესრიგი ხაზს უსვამს კუანჭილარის შინაარსს; მისით სიმრავლის ჩენაა გამოხატული, მაგრამ ბარბალობის დღეს ეს სასურველი სიმრავლე საქონელს უკავშირდება. ბუნებრივია, ბარბალეს მდედრი ბუნებრი-

---

[1] გ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 78. (ცხუმარი).
[2] იგივე, გვ. 18-19. ჩოლური.

ობაც იგივე წესრიგს მოითხოვდა კუანჭილებით ლოცვა-ზიარებისა, როგორითაც ისინი ჲეშხუამის დღეს ,,მოქმედებდნენ''.

4) ჩანს ისიც, რომ ბარბოლის სავალდებულო ,,შესაწირი'' არის არა კუანჭილები, არამედ რძის ფაფა, თუმცა ისიც, ლამარია გუიზისაგანაა გაკეთებული. (ფაფისთვის ფქვილია საჭირო რძესთან ერთად.) ეს კი ხაზს უსვამს ბარბალისა და დალის იდეურ განსხვავებას, მათ ,,მეტ-ნაკლებობას'' და ორივეს კავშირს ,,ლამარიას გუიზთან''.

5) ბარბალობის დღის ყველა საწესო ,,შესაწირი'': რძის ფაფა, კუანჭილები, ლემზირები, მზადდება ლამარია ტაბლაშისაგან (||ლამარია გუიზ). ეს კი აორკეცებს ლამარიას საკრალურ ღირებულებას. აღნიშნული გარემოება ერთგვარად ჩრდილსაც კი აყენებს ,,ბარბალესაც'' და ,,დალსაც'', რამეთუ ორივეს შესაწირთა საკრალურ ღირებულებებს ლამარია ტაბლაში უდევს საფუძვლად! მაგრამ, რადგან მიწიერის მიერ ,,მიწის ნობათის'' შეწირვის წესი ვლინდება, ბუნებრივია, ყველა სალოცავი დღის შესაწირი ლემზირები თუ სხვანი, აღნიშნული სახელწოდების (ლამარია გუიზ) ,,გუიზ''-ისაგან იქნებოდა დამზადებული. ამიტომ ყოველი სარიტუალო დღის ლემზირები ლამარია ლემზირებია, რადგან ყველა ისინი მზადდება ლამარია გუიზისაგან (||ტაბგლისაგან), ხოლო შემდეგ უნაწილდება მათ ცალკეული სახელწოდებანი: ბარბლაში გუიზ, ქრისდეში გუიზ, უფლიში გუიზ და ა.შ. ამდენად, გუიზს საკრალურ ღირებულებას ანიჭებს ,,ლამარია'' და არა სხვანი. მას სხვა სახელწოდება უჩნდება მხოლოდ იმის გამო, რომ ლამარია გუიზის გარკვეული ნაწილი ხმარდება ,,ბარბალეს'' დღეობას და ა.შ.

6) ლამარია ტაბლაშისაგან დაცხობილი კუანჭილები, ბარბალობის დღისა, როგორც ყოველთვის, ,,უწონაშია''. ეს კი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ,,დაბადების'' საიდუმლოებას.

ქვემო სვანური (ჩოლური) ჩვეულებიდან ცხადი ხდება, რომ 1) კუანჭილების ცხობა აღნიშნულ დღეს არ იციან, მაგრამ მზადდება უწენალები, რომლისთვის საჭირო ფქვილი უფროს ქალს ბარბალობის წინა ღამეს ბეღლიდან მოაქვს ხმა ამოუღებლად (უბრად), ოჯახის წევრებისა და უცხო პირისაგან დაფარულად.

2) აღნიშნული წესჩვეულება შინაარსობრივად უტოლდება შეშხუამის დღის ზემო სვანურ წესჩვეულებას ბეღლიდან (||გვემ-იდან) ლამარია გუიზის გამოტანისას რომ ტარდებოდა ოჯახის წევრების და დიასახლისის მიერ.

3) აღნიშნული წესჩვეულება ბარბალობის დღისა ისევ ,,შესაქმის'' საიდუმლეობის მტვირთველია და იგი მთლიანად ,,ნაყოფიერების სინკრეტულ იდეას'' მოიცავს. ბარბალობის დღე ამიტომაც მოითხოვდა ისეთსავე წესჩვეულებებს, როგორიც ტარდებოდა მთელს სვანეთში ,,ერთის'' დღეობისას. მისი ბუნებრიობა ხომ ყოველივეს და ყველაფერს მოიცავდა ისეთს, რასაც მდედრი განასახიერებდა. თუმცა მას დაკნინებული, შემთხვევითი ხასიათი აქვს. ამას ამყღავნებს ზემო სვანეთში მხოლოდ ერთ თემში დაფიქსირებული კუანჭილების შეწირვის წესი ბარბალობის დღეს და ქვემო სვანეთის მხოლოდ ერთ თემში დაფიქსირებული ,,უწენალების'' დამზადება - ზიარების წესი. (ვგულისხმობთ ვ. ბარდაველიძის სვ. ხალხურ დღეობათა კალენდრის ეთნოგრაფიულ მასალებს!).

4) მაგრამ ეს ორი შემთხვევა იმადაცაა ღირებული, რომ მთელი საწელიწადო კალენდრის (და შესაბამისად მსოფლხედვის), საწყისი იდეის - ,,დაბადების'', (უზოგადესი, საიდუმლეობით მოსილი კანონზომიერების) მჩენია არა მხოლოდ უზო-

გადესი დამბადებლის დღეობის დღე (ᲓᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘ!), არამედ ის დღეებიც, რომელთა მფარველსაც „ერთი“ (უზოგადესი შემოქმედი) - სინკრეტული იდეის საფუძველზე (ყოვლის შემძლეობის საფუძველზე) უკავშირდება. ასე რომ თავიც და ბოლოც სვანურ ხალხურ დღეობათა (ერთ-ერთი უძველეს ქართველთა!) კალენდარისა „ერთი“-ა. „შესაქმე“ ანუ „დაბადებაა“ მათი საფუძველი.

5) ამიტომ, რომელ დღეობაშიც იდეურად „რაიმეს“ შობა იგულისხმება, რიტუალშიც იგულისხმება ის წეს-ჩვევები, რომელნიც ამ იდეას წარმოაჩენენ; რადგან ბარბალობას საქონლის „შობა“ - სიმრავლე მათი - „იხვეწება“ მფარველისაგან, ბუნებრივია ამ მფარველის მსახურებლადაც იგივე წესები იქნებოდა გამოყენებული, რაც სხვა დღეობებისას ტარდება იგივე იდეის წარმოსაჩენად. მაგ, ᲓᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ დღეს, ქრისტეშობის დღეს ან, შობის დღეს თუ სხვა დროს. ასე რომ მსახურებაშიც, (სარიტუალო წეს-ჩვევები!) ისევე როგორც ღვთაებათა იერარქიაში, კანონზომიერებანი იკვეთება.

6) ქვემო სვანური ვარიანტი გვთავაზობს „შესაქმის“ მეტ საკრალურობას, კერძოდ, სალოცავ პურთა საკრალურ რიცხვს; 6 ცალი ჩვეულებრივი ლემზირი (ტაბგლ ქვ. სვ-ად!) + 1 ცალი ფუსნა ტაბგლი (ე. ი. დიდი ღმერთის, ფუსდის, სახელობის სამამაკაცო პური) და + 1 ცალი „ლამარიᲐ შილგგნ“ ლემზირი (ანუ საქალებო პური „ლამარიას ხელდასმული“!) სულ 8 ცალი. (6 + 2 = 8!).

ლემზირᲐᲚ

ფუსნა ტᲐბგლ

ლამარიან შილგვნე

ბარბალობის დღეს აღსავლენი ლემზირების ნაკრები (ქვ. სვ.)

საინტერესო ფაქტია, თითქმის მთელს სვანეთში დიდი ღმერთის სახელობის სარიტუალო პურს ყოველთვის ახლავს ლამარიას სახელობის პური და არა „დალ"-ის სახელობის. არადა უზენაეს შემოქმედთა იდეური არსი დალს უფრო ითავისებს, ვიდრე ლამარიას. მაგრამ ჩანს რწმენის გასაღებიც ამაშია. „ერთი"-ს იდეა არ ითავისებს არანაირ ბიოლოგიურს (სქესობრივ, სქესუალურ სიშიშვლეს) და არ ხდის მას რწმენის ქვაკუთხედად. ყოვლის მომცველი „ერთი" შემოქმედი, უფრო იდეური და რწმენითია, ვიდრე „რაიმეს" ან „ვინმეს" სახიანი: იგი ერთია – საწყისი და დასასრული!, მაგრამ ადამიანის სამყაროს მკვიდრი კი არა, სხვა, – უსასრულო, საიდუმლოებით მოცული ცის განგება. აქ სუფევს ყოვლის შემომქმედი „ერთი". (ღმერთი!) მაგრამ, მისი რწმენა, ვიმეორებთ, არ ითავისებს რაიმე ბიოლოგიურ კავშირს „ვინმესთან" (შესაძლოა ეს დალი ყოფილიყო!), არამედ მისი ბუნებრიობა და ძლიერება (უნარი არსისა) იკვეთება სწორედ მიწისადმი მიმართულებაში: მიწაზედ სახავს იგი „ჩენის" სასწაულებს! მიწიერისთვის არსებობს იგი!.. სწორედ ცისა და მიწის ვიზუალური კავშირია ის ყველაფერი, რითაც იწყება ადამიანში (ამ შემთხვევაში, ქართველი) უზენაესის რწმენა და მისი მსახურება. (ცისა და მიწის მაფიცარი ერიაო ქართველნი – უთქვამთ ბერძნებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.) მიწას კი ჩვენს ტრადიციათა შემთხვევაში ლამარიას ხელდასმული ტაბლა განასახიერებს, საახალწლო პურებიც ხომ მხოლოდ ამ ორი ბუნებრიობის მტვირთველნი არიან და ასევე მიწის შესაწირი კვერები – ზენახარიც ხომ ამ ორი ბუნებრიობის მჩენი ლემზირებია!

7) ბარბალობის დღეს საწესო „კვერებს" სახლის უფროსი მამაკაცი შესწირავდა ღერბეთს და არა ბარბალეს, რაც ბუნებრივია არ არის შემთხვევითი. ყოვლის შემომქმედი ღერბეთია და არა ბარბოლი. მისი წინა იდეური სახე „ერთია" და არა ბარბოლი ამიტომ სათხოვარიც ღერბეთისთვის თავისი ფუნქციათა „შესაფერისია"; „ცუდი სენისაგან დაცვა, ჯანის სიმრთელე, კარგი ზამთრის დადგომა", „მშვიდობით გაზაფხულის მოსწრება", – ადამიანის ბედ-იღბალი, მისი სიკვდილ სიცოცხლე აბარია კი ბარბოლს?! ჩანს არა. ეს ფუნქცია ღერბეთისაა! ამიტომ შესაწირავებიც (ერთერთი „შესაქმის" ჩენის დღეს!) ღერბეთის შესაფერისია – მისი იდეის და არსის მჩენი! მათი ზიარების წესიც იდეის შესაფერისია!

რიტუალით (სახილველი ნიშნებით!) აქ მოტანილი ქვემო სვანური ტრადიცია ცხუმარულისგან ძალზე განსხვავდება, მაგრამ მათ აერთიანებთ შემდეგი მნიშვნელო-

ვანი ფაქტორები: 1) წესის საიდუმლო შესრულება; ლემზირების დაცხობა, ლოცვა და მათი ზიარება უცხოს არავის უნდა დაენახა. ე. ი. ლემზირები და ლიმზირი, ამ ორივე შემთხვევაში, ,,უწენაა''! 2) ფქვილი - წმინდა გრ̃ეზი - ლამარია ტაბლაშის სახელწოდებით არსებული. 3) შეწირვის დრო: ,,დილით გათენებამდელი''!; მაშინ როდესაც შეწირვა ფქვილისა ხდება ღია ცის ქვეშ - ეზოში (ჩულური) და ,,დილით გათენებამდელი'' მაშინ, როდესაც შეწირვა ლემზირებისა ხდება შინაში - სალოცავ სარკმელთან. და ბოლოს, 4) ლოცვა-ზიარება ,,კარ-სარკმელ დახურულ'' სახლში!

ფქვილიდან, რომელიც აღნიშნული დროის (ბარბალობის!) მფარველის შესაწირავია, მზადდება ყველა დანარჩენი: კუანჭილები, ფაფა, ჩვეულებრივი სახის ლემზირები (6 ც.) ასევე, ,,ფუსნა ტაბგლი'' და ,,ლამ̃არიჭ̃ შილგგნე'' (ნიგვზიანი ან ყველიანი). ფაფა, კუანჭილები და ჩვეულებრივი სახის ლემზირები ოჯახის წევრთა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ყველას მისართმევია. ფუსნა ტაბგლი'' მხოლოდ და მხოლოდ - სახლის უფროსი მამაკაცისაა! ,,ლამ̃არიჭ̃ შილგგნე''—ქალების. ფაფა ბარბოლის აუცილებელი შესაწირავია, კუანჭილები—არა, მაგრამ მაინც შეეწირება. სხვა დანარჩენით ღერბეთი იხსენიება. ბარბოლს შესთხოვენ საქონლის სიმრავლეს. ღერბეთს ა) ცუდი სენისაგან დაცვას და ავადმყოფობის აცილებას, ბ) მშვიდობით ყოფნას, გ) წლის დროთა (ზამთარი, გაზაფხული) კარგად შეცვლას! მაშ, რა გამოიხატება, ვისი ბუნებრიობა აღნიშნული ქმედებით! თუ შეწირვის დროით ვიმსჯელებთ, მთიები გამორიცხულია. აქ გათენებამდელი პერიოდია—სიბნელეა ამ დროს! სახლის კარ-სარკმელიც დახურულია! თუ მფარველით ვიმსჯელებთ, დ̃ლ-იც გამორიცხულია, როგორც მთიების მფარველი; არც ერთ შემთხვევაში მას არ შესწირავენ ლემზირებს! არც ბარბოლია სარწმუნო, რადგან მას კონკრეტულად საქონლის სიმრავლეს სთხოვენ! - მისი ,,უფლება - მოვალეობანი'' შეზღუდულია; მეორე შემთხვევაში (ჩოლური!) ბარბოლს არც კი ახსენებენ მის მაგივრად ღერბეთია - მეტი შესაძლებლობის განგება! მაგრამ არც ღერბეთის მფარველობაა სარწმუნო, რადგან იგი ამ შემთხვევაში, ქრისტიანული ხედვით უფროა დატვირთული, ვიდრე წინარექრისტიანულით. თანაც აქვე წინააღმდეგობა გვხვდება - სიბნელე, რომელსაც არ მფარველობს არც წინაქრისტიანული ყოვლის შემოქმედი და არც ქრისტიანული. მაშ ვის უნდა მიეწეროს ზემოთ აღნიშნული სარიტუალო ჩვევათა საერთო ნიშან-თვისებები?! ბუნებრივია, ისეთ განგებას, რომელსაც შეუძლია დაბადება, ე. ი., მდედრობითი ბუნებრიობის ღვთაებას, რომლის ,,კუთვნილებაცაა'' ლამ̃არიჭ̃ ტაბლაშ. აღნიშნული ჩვენი მსჯელობის გარეშეცაა წესჩვეულებაში შემორჩენილი. აი, ამის დამამტკიცებელი რამდენიმე ფაქტი:

1) ყოველი სადღესასწაულო დღის საწესო ლემზირები და სხვანი, ისეთი, რომელიც ფქვილს შეიცავდა ,,ვისი'' შესაწირავებიც არ უნდა ყოფილიყო ისინი, მზადდებოდა ლამარია გრ̃ეზისაგან. მას ბეღელში (გრ̃ემ!) ცალკე კიდობანში შეინახავდნენ და ხსნიდნენ პირველად ᲔᲨᲮᲬᲐᲛის დღეს, რადგან ეს დღე იყო ,,თავ'' - დღე ყველა სხვა დანარჩენისა. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ვინც ᲔᲨᲮᲣᲐᲛის დღეს ,,ნაჭშხუნების'' დაცხობას ვერ დაესწრებოდა (ოჯახის წევრიც კი!), ეკრძალებოდა სხვა მთავარ დღეთა წესჩვეულებაზე დასწრებაც. ვიმეორებთ, ეს ეხებოდა ᲔᲨᲮᲬᲐᲛის დღეს და არა ბარბოლისას! ლემზირების და ლიმზირის ,,უწენალების'' იდეა ლამ̃არიადან იტვირთებოდა და არა ბარბოლიდან!

2) ლამარია გრ̃ეზის პირველად გახსნისას გარკვეული საწესო ქმედება იმართებოდა. დილით ძალიან ადრე დიასახლისი გავიდოდა გრ̃ემში (ბეღელი!) და მიჰქონდა ცარიელი ჭურჭელი (კარუა) ფქვილისათვის. ამ დროს შინამყოფნი კა-კერიას გარშე-

მო ისხდნენ სულგანაბულნი, გაუნძრევლად და კალთაში ეწყოთ მუშტებში მომუჭული ნახშირი. გუემიდან ფქვილით დაბრუნებული ქალი კერიის პირად მსხდომებს მარჯვენა მხრიდან შემოუვლიდა, ხოლო უკანასკნელნი ამ დროს ნახშირს ცეცხლში შეაგდებდნენ და წამოიშლებოდნენ (ცხუმარი). (ბარბალობა დღეს!).[1]

ეცერში დიასახლისი ,,შობ''ის (ქრისდეშობის წინა დღეს!) ღამეს აცხობდა სამ ცალ პატარა კვერს. ეს კვერები ხორბლის ღერღილისაგან (მსხვილად დაფქვილი ფქვილი!) უნდა გამოეცხოთ. ამის შემდეგ ოჯახის წევრები კა-კერის გარშემო შემოსხდებოდნენ გაჩუმებულნი. ამ დროს დიასახლისი გადიოდა კეშკში (||გუემ ბ.ზ. სვ-ში), სადაც მიჰქონდა აღნიშნული სამი პატარა კვერი და საშობაო თესლით (კორკოტი წინა დღეს დაღერღილი და შობის დღეს მოხარშული) სავსე ჯამი. ის გაჩერდებოდა ,,ლამარიაშ ტაბლაშის კიბდენთან, ახსენებდა ლამარიას სახელს და ევედრებოდა მას - ჩემი ოჯახის მოსავალს ბარაქა მიანიჭეო. ლოცვის შემდეგ თესლს იგემებდა, ნალოც კვერს კიბდენში (კიდობანი!) ჩადებდა, ხოლო ამ კიდობნიდან კარუაში გადაიღებდა საჭირო რაოდენობის ლამარიაშ ტაბლაშს და შეწირულს თესლითურთ სგირში გამოიტანდა. აქ ის კა-კერის ირგვლივ მსხდომებს მარჯვენა მხრიდან შემოუვლიდა და საქალებო ადგილთან გაჩერდებოდა, დიასახლისის შემოვლისთანავე ყველანი წამოიშლებოდნენ, ნახშირს ცეცხლში შეაგდებდნენ და დაილაპარაკბდნენ. ,,დისხალი'' ამის შემდეგ შეუდგებოდა ლამარიაშ ტაბლაშისაგან ლემზირების დაცხობას.[2] ეს ხდებოდა ბ. ქვ. სვანეთის სოფლებში (ეცერი, ფარი, ცხუმარი). ბ.ზ. სვანეთის სოფელ ლატალში, ,,შობ''ის დღესასწაულისას, მფარველად ამ დღისა, ,,შობა ლამჭრიჭ'' იყო მიკუთვნებული. ეს სახელწოდება მთლიანად ამოწურავს ლამჭრიას მთავარ თვისებებს, ,,შობ''ის უნარს!

აღნიშნული ქმედება ბარბალის დღესაც და ,,შობ''ის დღესაც ,,უწენად'' - საიდუმლოდ იმართებოდა. ამ წესთა შესრულების დროდ კი საღამო, მზის ჩასვლის შემდეგი პერიოდია მიჩნეული და ეს ეხება არა მხოლოდ აქ აღნიშნულ დღეობებს. ,,ლამარია გუიზისაგან'' შექმნილი უწენალები ზამთრის თითქმის ყველა დღეობისას იყო საწესო და ასევე საწესოდ მიიჩნეოდა იგი ქალთა დღეობებისთვისაც! (ლამჭრიჭ ლიმზირ || კერი ლიმზირ || გიმი ლიმზირ და ლიდბაში!).

3) აღნიშნული წესები იდენტურია (როგორც ეს ზემოთ აღინიშნა!) ქვემო სვანეთში ბარბალობის დღეს დაფიქსირებული შეწირვის წესისა რომლის დროსაც ღერბეთი (ღმერთი!) იხსენიება.

ამდენად, ,,ლამარიაა'' ის ქვაკუთხედი, რომელიც ქმნის რწმენის დვრიტას და იგი შეგვიძლია გამოვსახოთ ასეთი მიმართულებით ლამჭრია → ეშხუ → ღერბეთ! ანუ ,,ლამჭრიას'' არსი იგივეა რაც ეშხუ-ს არსი და ესენი იგივეა რაც ყოვლის შემოქმედი ღერბეთის არსი. ეს ერთიდაიგივე იდეა ,,უმაღლესი'' ლექსემა ,,ღმერთით''-აა სრულად გამოხატული! ამ არსისა და ლექსემისაგან ,,ბარბალი'' რომ განსხვავდება, ჩანს თვით ბარბლაშის დღეთა ტრადიციებიდან. ერთერთი ამისი აღმნიშვნელი უმნიშვნელოვანესი საწესო ჩვეულება გახლავთ ბარბალობის დღეს ბარბლაშის შესაწირავი ლემზირების დაცხობა არა იმ კა-კერაზე, რომელიც მუდმივად ანთია და ფუნქციონირებს სახლის ,,შინა''-ში, არამედ იმ კა-კერაზე, რომელიც ამ დღეს ინთება (და იმართება) მხოლოდ, ,,მთავარი'' კა-კერის უკან, ან ,,ლანნუნლზე'' იმ ადგილას, სადაც სა-

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 8.
[2] ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. გვ. 33-34.

ხლის მეორე სართულიდან პირველ სართულზე საქონლისთვის თივა იყრება. თუნდაც ეს ფაქტი რომ არსებობდეს მხოლოდ, საკმარისია გავიაზროთ ის გარემოება, რომ ბარბალე მხოლოდ საქონლის მფარველია და არა უზენაესი შემოქმედი ,,მზის" - ,,ერთი"-ს ,,განსახიერება"! ,,ბარბალი" ღმერთის არსობას ვერც კი უახლოვდება!

ვფიქრობთ, ყოველივე საკმარისია იმისათვის, რომ გასაგები გახდეს ბარბალობის დღეს კუანჭილების არსებობაც. მისთვის, ბარბალესთვის, შეწირვაც და ბარბალობის დღეს ,,ღერბეთის" ხსენებაც: ბარბალეს აღევლინება კუანჭილები იმის გამო, რომ კუანჭილებია ხილული სახე მრავლად მჩენის ბუნებრიობისა და მათი შეწირვით გამოითხოვენ ბარბალესაგან საქონლის სიმრავლეს, ამ შემთხვევაში, მრავლად მჩენის ბუნებრიობას ავლენს არა ბარბალი, არამედ კუანჭილები და უკავშირდება იგი ,,ლამპარიას". ღმერთი იხსენიება იმის გამო, რომ არსის იგივეობა არსებობს ღერბეთსა და ლამპარიას შორის. ამის იგივეობის გამო იგივე ხდება შეწირვის წესიც და შესაწირავებიც!

2. კუანჭილარ ქრისტეშობის დღეს - ქრისდენშ (ძვ. სტ. 25 დეკ.)

ვნახოთ რა ხდება კვანჭილებთან დაკავშირებით სხვა დღეობებისას. ეს დღეა ,,ბარბალობის" შემდეგ ,,ქრისდენშ" - 25 დეკემბერი (ძვ. სტილით!). ქრისდენშ ქრისტიანული კალენდრით ქრისტესშობის დღეა. მართლმადიდებლური საქრისტიანო ამ დღეს ახლით 7 იანვარს დღესასწაულობს. რა ხდება ამ დღეს ხალხური კალენდრით სვანეთის სოფლებში. ვგულისხმობთ მხოლოდ კუანჭილებთან დაკავშირებულ ჩვევებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ,,კუანჭილი" არ არის მყარი საკრალური ცნება. ამიტომ იგი დღეობებისას იწოდება ხან ,,ღერღლარ"ად, ხან ,,ალუდალ"ად (უშგული), ხან ,,წვრილი ლემზირები ოჯახის წევრთა რაოდენობით", ,,ყველიანი პატარა ლემზირებით", "პატარა ზომის კვერებით", ,,წვრილ წვრილი ყველიანი ლემზირებით", ,,პატარ-პატარა ყველიანი კვერებით" და ა.შ. მაგრამ მათი ფუნქციური ღირებულებიდან და შეწირვის წესიდან ვგებულობთ, რომ ყველა ესენი მრგვალი, მცირე ზომის, ულემზირო კვერებია, ანუ კუანჭილები.

ქრისდეშობის დღის ზემო სვანური ტრადიცია[1] საშუალებას გვაძლევს დავაკონკრეტოთ შემდეგი ძირითადი ნიშან-თვისებანი კუანჭილებთან დაკავშირებით:

1) ამ დღისთვის დაცხობილი კუანჭილები არის მრგვალი, პატარ-პატარა ულამაზო ყველიანი ლემზირები.

2) ამ დღის კუანჭილებიც შექმნილნი არიან ,,ლამარიშ ტაბლაშისაგან!"

3) ლამარიშ ტაბლაშ წარმოადგენს უწონას და მისგან გამომცხვარი კუანჭილებიც უწონალებია, სხვა ლემზირებთან ერთად.

4) კუანჭილების შეწირვის დროა ,,დრო გათენებული".

5) ოჯახის შინაში შეწირვის ადგილია სარკმელი, სალოცავი სარკმელი, - სახლის აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელი! ლოცვა წარმოებს დარაბებდახურულ და კარჩაკეტილ შინაში.

6) კუანჭილებით მლოცველია ,,ქორა მახრეში" - მამაკაცი.

7) კუანჭილების შემქმნელი, როგორც ყველა სალოცავი პურისა, ,,მერბიელ"

---

[1] მისი ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა იხ. წიგნში ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. გვ. 47, 48, 49, 50, 51, 52, 54, 55.

(პურის მცხობელი), დიასახლისია.

8) კუ̈ნჭილები, ჩვეულებრივ, ცხვება ოჯახის სულზე თითო ცალი ან, 3, 6, 9 და 12 ცალი.

9) ლოცვის შემდეგ ისინი მყისვე შესაჭმელია.

10) ქრისდეშობის დღეს კუ̈ნჭილებს შესწირავენ ქრისდე ქალქიშს (-ქრისდეს ქალაქისას!), ჯუ̈რ ქრისდეშ-ს (ჯუარს ქრისდეშობისას), ქრისდე ლამარიას, აფსასტს (მონადირეთა მფარველ განგებას!) და სოლომს, რომელიც, ჩანს, აფსასტზე მეტია, რადგან იგი აძლევს მონადირეებს ნადირობის ნებას!

11) კუ̈ნჭილარის პარალელური სახელწოდებაა ალუდა̈ლ (ალუ-და̈ლ!).

კუ̈ნჭი-ლა̈რ (კუ̈ნჭი - მხ.რ.), ჩვენის აზრით, ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა ,,კუეჭ̄ლა̈რ''-ს (მხ.რ. კუ̈ეჭ̄ლ). იგი ზედსართავი სახელია და ნიშნავს მცირეს, პატარა მოცულობის მქონეს მაგ: კუ̈ეჭ̄ლ დიӓრ - პატარა პური და მისთანანი. (კუ̈ეჭ̄ლის სინონიმია ,,ხოხრა'', ანტონიმი - ,,ხოშა''). კუ̈ანჭის ფორმა ანუ მისი მცირე ზომა სწორედ, კუ̈ეჭ̄ლთან დაკავშირების საშუალებას იძლევა. აქ მხოლოდ პურის ფორმაზეა საუბარი და არა იმ განგების მცირე არსობაზე, რასაც კუ̈ნჭილები შეეწირება. აქედან გამომდინარეც ჩვენის აზრით, გამოსარიცხია კუ̈ანჭილების ემბლემურობა ვარსკვლავიერი მნათობისადმი ამ შემთხვევაში მთიებისადმი.

კუ̈ნჭილარის მეორე სახელწოდება, ალუ-და̈ლ, უფრო უნდა იყოს დატვირთული რელიგიური სამოსით, ვიდრე სახელწოდება კუ̈ნჭილარ. რას ნიშნავს ,,ალუ'', ჩვენთვის გაუგებარია. თუ ამ სახელწოდების ,,და̈ლ'' ღვთაება ,,და̈ლ''ის იდენტურია, უნდა ჩავთვალოთ, რომ ის ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც შესაწირის ლექსემაშივეა აღნიშნული მისი შემწირველი ღვთაების სახელწოდება. გამოვა რომ ალუ-და̈ლ || კუანჭილარ და̈ლ-ის კუთვნილებაა, მისი ბუნების მჩენი სარიტუალო - სახიერი პური! თუკი ეს ასეა, ჩანს, რომ რასაც ზემოთ ვამტკიცებდით დღეობათა წესრიგის გაშიფვრის ხარჯზე, დამტკიცებულია ამ ერთი სიტყვით ალუ-და̈ლ!

ქრისდეშობის დღის ქვემო სვანური ტარადიცია გვიკონკრეტებს შემდეგ ძირითად მომენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, მსგავსნი არიან ბარბალობის დღის ქვემო სვანური წესჩვეებისა.

1) ლემზირები, აღნიშნული დღეობისას, მზადდება ქვემო სვანეთში სადილობის ჟამს.

2) ჩვეულებრივ პურებთან ერთად დაცხობილი ლემზირებია ა) 3 ცალი ჩვეულებრივი ზომის მრგვალი და ოთხკუწუბოიანი კვერი, ბ) ლამა̈რიჰ შილგგნეს'' სახელწოდების პური. მისი ფორმაა: მრგვალი პური, შუაზე კიდით-კიდემდე ხელის ყუით დანაკრავი, ოთხკუწუბოიანი და გ) ჯვრის სახის ტაბგლი, სახელწოდებით ,,ფუსნა ლემზირ''. ლოცვის შემდეგ ,,ფუსნა ლემზირს'' მლოცველი მამაკაცი მიირთმევდა, ,,ლამა̈რიჰ შილგგეს'' - ქალები, 3 ცალ ოთხკუწუბოიან კვერებს - ოჯახის დანარჩენი წევრები.

3) შესწირავენ მათ შინაში საღოცავ სარკმელთან ან ეკლესიაში. აქ მათ მღვდელს ან ,,მულზონ''-ს (მლოცველი) შეაწირვინებდნენ.

4) ,,შეწირვისას 3 ჩვეულებრივ ტაბგლზე დადებული იყო ,,ლამა̈რიჰ შილგგნე'', მის ზემოთ ,,ფუსნა ლემზირ''. ამ უკანასკნელს ზემოთ - ,,ნატ̄სუნი'' - საკმეველი. ილოცებდნენ ზედაშესთან ერთად.

ქრისტეშობის დღეს ერთად აღსავლენი ლემზირები (ქვ. სვ.)

ლემზირ

ლამარიაᲘ შილგგნე ლემზირ

ფუსნა ლემზირ

5) ლოცვისას იტყოდნენ: - „ქრისტე შობის წმინდაო და ანგელოზო, შენ გვიშველე, გაგვახარე ადამიანის მშვიდობით და საქონლის სიმრავლით, უქმის და სამუშაო დღის ნამუშევარი ყველა სამხიარულოდ მოგვახმარე. მოგვეცი სიმრავლე კაცისაც და საქონლისაც, შენ აგვაცილე ავი თვალი და ენა (ყბა!), აგვაცილე ცუდი მოარული ავადმყოფობა, დაგვიცავი სენისაგან და მადლი გვექნება, მადლით სავსევ".[1]

ერთი შეხედვით მკრეხელობაც კია აღნიშნული ლოცვითი მიმართვა ქრისტეს შობის დღეს ქრისტესადმი; ძლიერ განსხვავდება იგი (და ამ დღის სხვა ლოცვითი მიმართვები!) ღვთის სადიდებლებისაგან!... ჩანს, საქართველოს ამ კუთხის მცხოვრებთ, მხოლოდ ქრისტეს ღვთის შვილობა გაუთავისებიათ! იმ ღვთისა, ქრისტემდე რომ სწამდათ.„ გახალხურებული ქრისტიანობა (?!)" - ასეა მონათლული ქრისტიანული დოგმატიკის შერწყმა ხალხურ (ადრეულ) მსოფლხედვასთან. ქრისტეშობის დღის ტრადიცია ამის ნათელი მაგალითია. მას ქრისტეშობის ქრისტიანულ დღესასწაულთან მხოლოდ სახელწოდება „ქრისდეშ" აკავშირებს, სხვა დანარჩენი წინარექრისტიანულია: ლოცვითი მიმართვები და სახელწოდებანი „ამ დღის მფარველისა" - „ქრისდე ქალქიშ!", „ჯუარ ქრისდეშ", „ქრისდე ლამპარია" - აღნიშნულის ნათელ სურათს იძლევა!

იდეურად (და შესაბამისად რიტუალითაც), „ქრისდეშის" დღეს სხვა დღეობებთან (ვგულისხმობთ ზემოთ განხილულს!) აკავშირებს „შობის" სასწაული. ამ შემთხვევაში ეს ეხება ქრისტეს შობას, ხალხური გაგებით „ძველი ღმერთის" შვილის შობას, შობას „ქრისდე ქალაქისას!".

ბარბალობასა და ქრისტეშობასთან ერთად კუპანჭილები ლიფანალის დღეობაშიც ცხვებოდაო, მაგრამ ცხვებოდა მხოლოდ ლიფანალის დასასრულს გარდაცვლილთა სულების გასტუმრების დღეს - „ჯრდი ჰამ"-ს.

3. კუპანჭილები ლიფანალისას - „ჯრდი ჰამს"

კუანჭილებთან დაკავშირებით აღნიშნული დღის წესი გვეუბნება შემდეგს:

1) ლიფანალის კუპანჭილარ შექმნილია ლამარიპ ტაბლაშისაგან!

2) ეს კუპანჭილებიც წვრილ-წვრილი ყველიანი ულემზირო ლემზირებია!

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939. ქვემო სვანური „ქრისდეში" გვ. 50-58.

3) აცხობდნენ სულთა რაოდენობის მიხედვით ან იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი სამ-სამი ცალობით შეწირვა.

4) კუ̃ნჭილები ამ დღესაც უწონაში და ლ̃ალ̃ჯ̃ი იყო - უცხო პირთათვის დასანახად და საჭმელად აღკვეთილი.

5) კუ̃ნჭილების შეწირვა ხდებოდა სალოცავი სარკმლის წინ. კერძოდ: ,,როდესაც მიცვალებულთა სულებს სამწყება სუფრას უკურთხებდნენ და სამწყება სანთელი დაიწვებოდა, დარაბებდახურულ სარკმლის რაფაზე ზედაშეს (საღვთო არაყი) და ანთებულ სანთელს მოათავსებდნენ. ამის შემდეგ ოჯახის უფროსი სარკმელთან მივიდოდა გამომცხვარი კუ̃ნჭილებით ხელში, დარაბებსა და სარკმელს ცოტაზე გამოაღებდა, კვერებით დატვირთულ ხელს გარიჟრაჟს გადაუშლიდა და წარმოსთქვამდა: - ქრისტე ღმერთო მადლიანო, კარგი ფეხი დაატოვებინე სულებს. შემდეგ სარკმელსა და დარაბას კვლავ დახურავდა, კვერებსა და ზედაშს ოჯახის წევრებს დაუნაწილებდა და თავის წილ შესაწირს ყველანი მაშინვე შეექცეოდნენ".[1]

შეწირვის აღნიშნული წესი ჲ̃ეშხუ̃ამის დღეს კუ̃ნჭილების შეწირვის შემდეგ, ლ̃ამ̃არია გუ̃იზით სავსე კარუ̃ის (ჭურჭელია) დ̃ალ ეშხუ̃ამისადმი შეწირვას წესს გვაგონებს, მაგრამ ბუნებრივია ლიფანალის დღეობისას ,,დ̃ალი" არ იქნებოდა ნახსენები. ლიფანალი ხომ ზოგადად გარდაცვლილთა საპატივცემულო დღეობაა!.. რადგან მათი სულები ,,ქრისტე ღმერთს" ეკუთვნის, სათხოვარიც მისადმია თქმული - კარგი ფეხი დაატოვებინე გარდაცვლილებს! - შესთხოვს მას და არა რაიმეს შობას. შეწირვის წესის იდენტურობა კი გვიქმნის იდეური კავშირის შესაძლებლობას; ეშხუ → ღ̃ერბეთ → ქრისტეს ღ̃ერბეთ! არსის იგივეობა მსახურების წესის იგივეობასაც ითხოვს!

ამრიგად, წვრილი ულემზირო კვერებია (კუ̃ნჭილები) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ,,საშუალება" დღესასწაულის იდეის გამოსახატად. ამ ღირებულების გამოცაა აუცილებელი მათით ლოცვა-ზიარება ახალი წლის ციკლის დღეობებში. კერძოდ ბარბალობისას, ქრისტეშობისას, შეშხუ̃ამისას, მ̃ახ ზ̃ᲔᲡᲐᲡ და ლიფ̃ან̃ალისას. თავის მხრივ ყველა ამ დღეობას საკუთარი (კერძო) მიზანი და შინაარსი გააჩნია. მაგრამ, ჩანს, მათ აერთიანებთ ერთი იდეაც და იგი სახიერად კუანჭილებითა და მათით ლოცვა-ზიარებით გამოიხატება. კერძოდ:

1) ბარბალობა საქონლის სიმრავლისთვისაა განკუთვნილი და სჭირდება კუ̃ნჭილები.

2) ქრისტეშობა (ქრისდეშ) ქრისტეს შობის დღესასწაულია. მასთან ორგანულად დაკავშირებული წინა დღე კი ,,შობ"-ისაა, ბუნებრივად და ბუნებაში ყველაფრის შობის გამომხატველი. ამ დღის მფარველიც ,,ლამარი̃ შობ"-ისა. ბუნებრივია, ეს დღეც კუ̃ნჭილებს მოითხოვს. თვით ქრისტეშობა ხომ ქრისტეს შობის ,,ზედღეა"!..

3) ᲔᲨᲮᲣ̃ᲐᲛ ახალი წლის წინა დღეა და მის წიაღში (დროში!) შექმნილი ახალი წლის დღესასწაულიც კუ̃ნჭილების მომთხოვნია: ახალი წელი არაა მხოლოდ დღეთა ათვლისთვის განკუთვნილი. იგი იდეურად ყველაფრის დამბადებელი, ახლად გაჩენილთა დღეა და მფარველადაც შესაბამისად დ̃ალ ჰყავს მიჩნეული, მაგრამ არა მხო-

---

[1] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ლიფანალი, II, მასალები საქართ-ოს ეთნოგ-თვის (მსე) ტ VI, 1953 წ. გვ 282. (ფარი)

ლოდ დᲐლ-ი. მის გვერდით არსებობს მეორე არსიც - ,,ხოშა ღერბეთით'' დაკონკრეტებული მამრული ბუნებრიობა. ,,ყოველივე დამბადებლის'' არსის გამომავლინებლად კუᲐნჭილებია საჭირო.

4) ლიფᲐნᲐლი გარდაცვლილთა დღეობაა, მაგრამ არა მხოლოდ მათი, იგი სამი განზომილების - ზესკნელის, სკნელის, ქვესკნელის - ერთიანობის იდეური გამოხატულებაცაა. შეიძლება კი ეს სამივე ერთად ,,განივთებული'', ერთი მთლიანი სამყარო, არ აღნიშნულიყო ახალი წლის ციკლისას?! - აღინიშნა კიდეც. ამის გამოცაა ლიფᲐნᲐლის ბოლო დღეს ,,გარდაცვლილთა ღმერთისადმი'' (,,ქრისდე მაცხვᲐრ''), კუᲐნჭილები შესაწირავი: მათი ფეხის დანატოვარიც ხომ ,,მრავლად კარგი'' უნდა ყოფილიყო საᲐქაოს მცხოვრებთათვის!

ამრიგად, აღნიშნული ოთხივე დღესასწაული ცალ-ცალკე ,,რაიმეს'' საწყისის მომცველია. მათით გამოხატული ,,კონკრეტული რაიმე'' კი ერთიანდება ერთ იდეაში ყოველივეს ,,ერთი''-დან შექმნასა და ,,ერთი''-დან დაბადებაში.

ყოველივეს დამბადებლად მდედრული ბუნებრიობა იკვეთება, ყოველივეს შემქმნელად კი მამრული. სხვანაირად, ბუნებრივია, არც შეიძლებოდა! ამ უზოგადესობის კონკრეტულ სახელწოდებებად დღესასწაულით გვევლინებიან ,,დᲐლ''-ი და ,,ხოშა ღერბეთი''. მათ შესაბამისად (ვგულისხმობთ სქესს!) ყალიბდება ღვთაებათა იერარქიაც.

სქესი ხდება ღვთაებათა არსის გამომხატველი. მათი უფლება - მოვალეობანიც ამის მიხედვით განიყოფება. ეს მსოფლხედვა არ იტევს ცხოველთა და მცენარეთა გაღმერთებას და გასხეულებას. აქ უპირველესად სამყაროს აღქმა და მისი კანონზომიერების გათავისებაა უნიშვნელოვანესი. სამყაროსი და ბუნების საწყისად კი ორი არსია მიჩნეული!

მსოფლხედვა ჩანს, პირველ რიგში, გრძნობითი აღქმაა, შემდეგ აზროვნება, და ბოლოს ლოცვა და ის სახიერება, რასაც დღესასწაულთა აღნიშვნის წესები გვაძლევს. ამიტომ ჩვენთვის წარმოუდგენელიც კია მხოლოდ ყოფითი ნიშნების სიძველით და ამ ნიშნებით (საგნები!) გამოხატული ხედვით იქნას დაყოფილი რწმენა კულტებად და ნაწილებად (ვინ იცის რისი!) ისე, რომ არ დავინახოთ ის სიმბოლიზმი, რასაც აზროვნება და გონება ამ ნიშნების არსობასა და თანამიმდევრობაში, ქმედებაში გამოავლენდა. ხეც, ქვაც და მისთანანი ადამიანს შინაგანი ხედვის გამოსამჟღავნებლად სჭირდებოდა. სჭირდებოდა იმისთვის, რომ თავისი შინაგანი, თანდაყოლილი რწმენა ,,მარადიული ექნა'' სახილველი ნიშნებით და საბოლოოდ იგი დღეობათა წეს რიგში გამოესახა! ჩვენთვის აქ არსებითია ადამიანის გონის მიერ უზენაესი შემოქმედის დანახვის ფაქტი და არა მისი მსახურების ფორმა, ქრისტიანობის მიერ დაგმობილი. არადა, ისიც ხომ ხალხის გონით შექმნილი მსახურებაᲐ!

ხალხური გონის ხედვითაᲐო (მსოფლხედვᲐ!) შექმნილი მადლიანი ჩვენი ენა, ქართული დამწერლობა — მსოფლიოს ერთ-ერთი ანბანური ენა. ხალხური გონის ხედვითაა შექმნილი განუმეორებელი და თვითმყოფადი ქართული კულტურა, მისი ყველა სახესხვაობით, ხალხური გონითაა შექმნილი ხედვის სიმბოლიკა და ბოლოს, ხალხური გონითაა შექმნილი ქართული სულის გამოძახილი - ხალხური მუსიკა (საგალობელი), ის ხომ Ჰანგია, სულის Ჰანგი და შემდეგ სიტყვები. ის ხომ დიდებაა პირველ რიგში და არა სიტყვათა ჩვეულებრივი ,,წყობა''...

შექმნილის განუმეორებლობით მოგვაქვს თავი ქართველებს მსოფლიოს სხვა ერთა შორის. განუმეორებლობა კი იქმნებოდა არა საკუთარის დავიწყებით და ,,სხვისი გაღმერთებით''. პირიქით, ის სხვისას იღებდა იმ ზომით, რითაც საკუთარი უფრო მყარი და ფერადოვანი ხდებოდა, იღებდა მას, რაც თავისას ჭეშმარიტად შეესაბამე-

ბოდა!... დროს კი მხოლოდ ჭეშმარიტება უძლებსო - ნათქვამია!

ჭეშმარიტება ქართველთათვის, ჩანს, ერთი იყო - უზენაესის ჭეშმარიტება, ყველაფრის მისით წარმომავლობის რწმენა. მაგრამ აქაც ჩანს, თავისებურნი არიან: საწყისად ორი, ცალ-ცალკე არსებული არსია მიჩნეული ,,ერთად''. სულიერი ხედვის ამ ორიგინალობას ,,სინამდვილე'' და ,,სიძველე'' უდევს საფუძვლად!; როგორც ხილულად არაფერია შექმნილი ორი არსის ერთობლიობის გარეშე, ასევე შეუძლებელია წარმოსახვისათვისაც ყოველივეს შექმნა მათი ,,ერთარსობის'' გარეშე. ამიტომაცაა ეს ორი ბუნებრიობა აქ (რწმენაში) ასე ერთმანეთში ჩაგვირისტებული, ჩაწნეხილი და ჩახშულიც კი (საიდუმლო!). აქ არაა სახიერი სიშიშვლე ზე-არსებებისთვის დამახასიათებელი პირიქით, ეს ხედვაა ბოლომდე დაუნახავი, ეს გრძნობაა ბოლომდე გაუთავისებელი, ეს საიდუმლოებაა ბოლომდე საიდუმლოდ არსებული! ერთისთვის ,,ქმედებაც'' - დღესასწაულების აღნიშვნისა და ,,ენაც'' - მსახურებისა ამიტომ ხდება საიდუმლოებით მოცული. ის ახსნას საჭიროებს ჩვენგან, რადგან ძველია, მაგრამ ახსნას არ საჭიროებდა მათთვის, ვინც ქმნიდა მათ. ჩანს, სულიერ ხედვას იგი სიმბოლოებად, რიტუალად და რიტუალურ ენად აქცევდა!

ვფიქრობთ, უკვე არაა გასაკვირი რწმენის იმდაგვარად მსახურება ,,წარმართთა რიტუალებს'' რომ ვუწოდებთ!... ჩვენს შემთხვევაში კი, არცაა გასაკვირი ზემოთ აღნიშნული დღესასწაულებისთვის ,,კრ̃ნ̃ჭილების'' არსებობა. (და საერთოდ არსებობა ყველა სახილველი ,,ნივთისა''!) ისინი იმ იდეის მსახურნი არიან, შექმნა-დაბადების იდეა რომ იტევს თავის-თავში: როგორც ახალი წლის დღე (შესაბამისად მისი წინა დღე!) ,,მსახურია'' ამ იდეისა, ამ იდეის მსახური ხდება მთლიანად ახალი წელი. როგორც ახალი წლის წინა დღის წიაღში (,,დროში'') ხდება ახლად ყოველივეს შექმნა, ისე მთელი წლის მფარველად და დამბადებლად მდედრული არსია მიჩნეული, რომელიც თავის მხრივ უტოლდება საკრალურ ,,ეშხუ''-ს - (,,ერთ შემოქმედს''!).

პირველ რიგში, ახალი წლის პირველი სამი დღით, და შემდეგ მთელი საწელიწადო კალენდრით, საკრალური ,,ეშხუ'' ანუ ერთი შემოქმედი, იშიფრება შემდეგნაირად: ,,პირველი ერთი'' + ,,მეორე ერთი'' + ,,მესამე ერთი'' უდრის ,,ერთს''! ,,პირველი ერთია'' - ეშხრ̃ა̈მ-ის დალი (,,უზოგადესი მდედრი''!) ,,მეორე ერთი'' - მ̃ახე ზ̃ა̈ი-ის ,,ხოშა ღერბეთი'' (,,უზოგადესი მამრი'') (- ორივე იდეური და არა ანთროპომორფული ან რაიმე სხვა სახიანი!) და ,,მესამე ერთ''-ია - ,,შექმნილი ყოველივე!''. (1 + 1 + 1 =3 !). მათი ბუნებრიობის დღესასწაულებია 1) ეშხრ̃ა̈მ, 2) მ̃ახე ზ̃ა̈ი, 3) კრ̃იმატ. სამივე ერთმანეთის მიყოლებით აღნიშნული, ისე რომ ერთის გარეშე ვერ აღინიშნება მეორე, ამ ორივეს გარეშე მესამე. ეს სამი, ჩანს, შემდეგში ხდებიან ღვთაებათა იერარქიის (რწმენით, დალის გაჩენილიაო ყველა ღმერთი!) პირველი სამი წევრი'' 1) ,,ხოშა ღერბეთ'', 2) მ̃Გქემ თ̃რინგზელ 3) ᲧᲒᲒრ̃Გ! ამ დროს ზემოთ აღნიშნული იდეური ,,ერთ''-ი, უკვე გაპიროვნებულნი არიან ცალ-ცალკე საკუთარი სახელდებით! რადგან ამის საფუძველი იმთავითვე ,,ერთ''-ის იდეაში იყო არსებული. ისე რომ ,,ერთი'' იდეურად უდრიდა ,,სამარსება ერთ''-ს. რაც არ უნდა მკრეხელობად მოგვეჩვენოს აღნიშნული, - ქრისტიანული სამობისადმი მიმართებით, ფაქტი ფაქტად უნდა ჩაითვალოს და იგი ერთისა და მარადიული ღმერთის ქრისტიანობამდელ სახის მჩენად უნდა მივიჩნიოთ. ჩანს, მისი საკრალური სახეა ,,ერთი'' (ეშხუ!), დაყოფილი ,,დამბადებლით'', ,,შემქმნელით'' და ,,შექმნილით''! - ჭეშმარიტება ძიებაააო, ნათქვამია... ღმერთთან მიახლოების გზაა აქ აღნიშნული!..

რიტუალებით კონკრეტდება ზეციურის არსი; რადგან ახალი წლის დღეები (პირველი სამი!) ,,შესაქმის'' სასწაულია და ,,შექმნა'' ყოველივესი მდედრის წიაღში

ხდება, ,,მახე ზაგს'' წინ უძღვის ,, ეშხუამის'' დღესასწაული, იგი დალის არსია. მასში ჩნდება, იქმნება და იბადება ყოველივე, რადგან მისი თვისებაა დაბადების უნარი. ნიშანი ამისაა ,,გუიზ'' (,,ლამარიშ გუიზ'' ხორბლით და დალ ჯეჯგლები გუიზ - მცენარეთა მრავალ კვირტიანი ტოტებით გამოხატული). დალ-ი რადგან დამბადებელია, გააჩნია წიაღიც: მიწა, სივრცე, სიბნელე... ნიშანი ამისა ეშხუამს დილით გათენებამდელი კუანჭილებია და საღამოს საახალწლო (სალაჭშხიარო) პურები. (სხვა დროს კი ქალის საიდუმლო ლოცვა-ზიარებანი თუ ,,სალადბაშო'' დღეობანი!). დალი, რადგან დამბადებელია, შესთხოვენ გაჩენას, მოვლინებას ყველაფრისას (,,ხოჩა გარ ენშხუამ დიდაბი ლეგედ დალ ეეშხუამიშ''!), შესთხოვენ ყოველთვის, საკუთრივ, თავის დღეობებზე თუ ,,სხვათა'' დღეობებისას. დალი, რადგან დამბადებელია, გააჩნია წიაღი, და რადგან შექმნა ყოველივესი საიდუმლოა, საიდუმლოდ ხდება ,,უწენალების'' ზიარება - კარ-სარკმელდახურულ ,,შინა''ში! რადგან დამბადებელია, დაბადებაც დალს, ეეშხუამისას, ,,მრავლის'' და ,,მრავალგზის'' შეუძლია. კუანჭილები კი სიმბოლოა ,,შექმნილისა'' და არა ვარსკვლავებისა (მთიები!), შექმნილი ზოგადია და მრავალი სახის: სახიერიც და უსახოც, ხილულიც და უხილავიც, თვისებაც და წყალობაც!... ამიტომ სჭირდება ახალი წლის ყველა დღეობას (ვგულისხმობთ მთელს საწელიწადო კალენდარს!). გუიზი ლუმარიასი და მისგან დაცხობილი ლემზირები.

* * *

2) ,,ლამარიშ ლემზირი''.

ეეშხუამის დღესასწაულისას ლამარიშ ტაბლაშისაგან იგივე ლამარიშ გუიზისაგან მზადდება ,,ლამარიშ ლემზირი'' - მრგვალი, სამჭდიანი სალოცავი პური (ლახამულა).

ლამარია ლემზირის ფორმა იგივეა რაც კერი ლემზირის ფორმა, იგივეა რაც გიმი ლემზირის ფორმა, იგივეა რაც დულ-ის ფორმა (დულ ყველჩართულია!) ანუ ეს არის ლემზირი, ზედაპირზე ცერა თითით გაკეთებული სამი ნაჩვრეტით - სამი ლემზირის მაგივრად.

* * *

3) ,,ლაწდაშ ლემზირი'' || ,,ეშხუამი ლემზირ'' || ,,ჭირვატ''.

ეეშხუამის დღესასწაულისას ლამარიშ ტაბლაშისაგან მზადდება აღნიშნული სახელწოდების პური - მრავალქიმიანი, მრგვალი, შუაზე გახვრეტილი (ნაჩვრეტიანი ვ.ბ.) ლემზირი. ნახვრეტი უკეთდებოდა იმის გამო, რომ იგი ყველაზე სახილველ ადგილას, კერიის თავზე (შგილზე!) უნდა დაკიდულიყო: სალოცავ პურს, ბუნებრივია, უდიერად არ მოექცეოდნენ და გამოცხობის შემდეგ არ გახვრეტდნენ.

პურის ფორმა, მისი მრავალი ქიმი ,,ეშხუამ ლემზირ''-ს მზის სახიანად წარმოგვიდგენს. ამ ლემზირის სახელწოდებანი საკრალურია; ეშხუამ-ი ლემზირ ნიშნავს ეშხუამის დღის საწესო ლემზირს. მისი სახე მზის სახეა, ე. ი. ,,ეშხუ''-ს საკრალურობა უტოლდება ,,მზის'' საკრალურობას! ,,ლაწდაშ ლემზირ'' ნიშნავს სასურველ ლემზირს. ის იმისთვის ცხვებოდა, რომ ოჯახს ,,უწენალები'' ამ ლემზირით დაეცვა! უწენალები შესაქმის საიდუმლოების მჩენია! თუკი საიდუმლოების დამცველი მზის სახიანი ეშხუამის ლემზირია, ოჯახის უზოგადესი დამცველიც და ე. ი. მფარველიც ,,მზის სახიანი'' შემომქმედია. ,,ჭირვატ'' ნაკლებადაა საკრალური. მისი სემანტიკა ჭვრეტი-

დან უნდა მომდინარეობდეს. ჭვრეტა კი ხედვის მცირე ფორმაა: მალული, ფარული ხედვა. ამ ფუნქციას ,,ეშხუამ ლემზირ'' იმ ადგილიდან ასრულებდა, საიდანაც ყველაზე ადვილია ყველაფრის დანახვა (კერის ზემოდან!). ,,შინაში'' არსებულნი კი ,,მას მუდმივად არ ხედავენ'', სამაგიეროდ კი ,,იგი ხედავს ყველაფერს''! თუკი ამას იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ ჭირვეტის ცხობისას ღმერთს სთხოვდნენ შენდობას (მიტევებას) უღირსის შესახელებისთვის ანუ ღმერთის ნებით ქმნიდნენ მას, არ გაგვიჭირდება ამ სალოცავი პურის არც სახელწოდებათა ერთმანეთთან დაკავშირება და არც მთლიანად მისი არსის გაგება: იგი ,,მზის'' - ,,ეშხუ''-ს - ,,ღმერთის'' ფუნქციის მჩენი ერთერთი სახილველი (სახიანი) ლემზირია!

ვინ არის დიასახლისის გაგებით ,,უღირსი''?! აქ ზოგადად ადამიანის ბუნებრივ თვისებებზეა საუბარი, მის ავსა და კარგ მხარეზე. დღესასწაული, და მით უფრო, ახალი წლისა, ,,სიკარგის'' მოვლენისთვის იმართებოდა პირველ რიგში და იმართებოდა იმისთვისაც, რომ ოჯახი დაცული ყოფილიყო ავისაგან. სიავე კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანის ბუნებრივ თვისებად მიიჩნევა! ღვთის შეწევნაც ადამიანს მისგან დასაცავად სჭირდება: ხილულად ადამიანი ყველა ერთია, მაგრამ უხილავადაა იგი სიკარგის და სიცუდის მქონე. ვინ იცის და მხოლოდ ღმერთმა უწყის, ოჯახში შემოსული ნაცნობი თუ უცნობი - რა პოტენციისაა, უღირსია იგი თუ ღირსეული, კეთილი თუ ბოროტი, ,,ავი თვალის მქონეა'' თუ ,,ავი გულის''... არადა, ოჯახს ნამდვილად რომ ,,სიკარგის'' შემოსვლა სჭირდება თავის შინაში. ეშხუამის დღესაც ღვთისადმი სათხოვარი ეს არის. ,,მზის (ღვთის) სახიანი'' ლემზირით ითავისებდა ადამიანი ადამიანშივე არსებულ ავისგან დაცვას!

ლაწდაშ ლემზირის ზიარება აბათილებდა და უვნებელყოფდა ,,უღირსის არსებობას'' მის ,,უღირს თვისებებს'' (სიავეს) და ,,განწმენდილს'' უფლება ეძლეოდა საიდუმლო დღეობებზე დასწრებისა. ვინც ამ ლემზირის ცხობისას შესახელებული არ იყო, ბუნებრივია, მათზე არ ვრცელდებოდა ლაწდაშ ლემზირით ზიარების წესი. ამ მომენტს ცვლიდა ის გარემოება, რომ მისი ხილვა ოჯახში შემოსულს ყველას შეეძლო, რადგან კერიის თავზე იყო ,,ჩამოკიდებული'' - მოთავსებული.

ვერა ბარდაველიძეს ,,ლაწდაშ ლემზირი'' მნათობიერი მთვარის ემბლემა კვერად მიუჩნევია'', რადგან ა) მას ქმნიან ღამით ბ) გრაფიკულად სვანები საავსე მთვარესაც და მზესაც ერთნაირად გამოსახავენ. აი რას წერს ქალბატონი ვერა აღნიშნულ საკითხზე; ,,შეშხუამის რიტუალი ღამით სრულდებოდა და აგრეთვე, სათანადო კვერის ერთ-ერთი სახელწოდებაც (,,შეშხუამ ლეთი ლემზირ'') მიუთითებს იმაზე, რომ ეს კვერი და სათანადო რიტუალი (შეშხუამი) ღამის მნათობის ელემენტი უნდა ყოფილიყო''.[1] აქვე მოვიტანთ ამ აზრის სხვა, გავრცობილ ციტატასაც; ,,შესაძლებელია ლაწდაშ ლემზირის რაობაზეც შესაფერისი რიტუალის თავისებურება მიუთითებდეს, სახელდობრ, ის რომ ამ კვერის გამოცხობა და შეწირვა, როგორც ვიცით, მაინც და მაინც ნავახშმევს ხდებოდა, ე. ი. ხდებოდა მაშინ, როცა კარგად დაღამებული იყო, ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაწდაშ ლემზირი ღამის დიდ მნათობთან დაკავშირებული კვერი უნდა ყოფილიყო და რომ იგი თავისი მოყვანილობით საავსე მთვარეს გამოხატავდა. ამ ვარაუდს ხელს უშლის ის გარემოება, რომ ლაწდაშ ლემზირს გააჩნია ქიმები, რომლებიც ქალ-ბაბარის კვერში მზის სხივებს ასახავდა, საქმე იმაშია, რომ სვანები მზის სხივებსაც და მთვარის ნიმბსაც ერთნაირი ნიშნით გამოს-

[1] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვ) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. 1953 წ. გვ 86.

ცემდნენ, როგორც ამაზე მათი საწესო მხატვრობა მიუთითებს: ამ მხატვრობაში ჩვენ ვნახავთ, რომ წრეხაზი ნაპირზე შემოვლებული მოკლე ხაზებით მზესაც წარმოსახავს და სავსე მთვარესაც (ტაბ. XIV, ნახ. 3 და ტაბ. XVI ნახ. 6)".[1]

„ეშხუამის" დღესასწაული არ იტევს ღამის მნათობის დღესასწაულს, ამიტომ „ეშხუამი ლემზირიც არაა „ღამის მნათობის ელემენტი". გრაფიკულად სავსე მთვარის და მზის ერთნაირად გამოხატვა „ორი ერთნაირის" იდეის მტვირთველია და არა იმისი, რომ სხივებიანი მზე და სრული მთვარე სვანებს ერთმანეთისგან ვერ გაერჩიათ!

ქალ-ბაბარის კვერის არსებობა სვანეთში მხოლოდ ერთ ადგილას (ფარში) დასტურდება ქალბატონ ვერას მიერ. ეშხუამი ლემზირი კი მთელს სვანეთში. (ალბათობა 99 და 1%). ქალ ღვთაების (მზე ღვთაების) რწმენა ეროვნულია, როგორც ერთ-ერთი შემოქმედისა და შეიძლება საქონლის (ოთხფეხის) თუ ფრინველის „გამამრავლებელი" ბარბალე მზე შემოქმედად მივიჩნიოთ"? იქ, სადაც ქალ-ბარბარის კვერთან დაკავშირებულ წესებზეა საუბარი, ქალბატონი ვერა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ნიშანია მზის მიქცევა-მოქცევის, წლის შეცვლის. ამიტომ ამ აზრის აღმნიშვნელ პურსაც სწორედ ის სახე გააჩნია, რაც ეშხუამი ლემზირს! მაგრამ აქ იგი ქალ-ბაბარის სახელწოდებითაა აღნიშნული, ჩანს, წესი ძველია, სახელწოდება - აღრეული, მაგრამ, „უსაფუძვლოდ" აღრეული არა: ქალ - ბაბარი სქესით დალის იდენტურია, მაგრამ ფუნქციურად სხვადასხვანი არიან; დალი „მეტია", ბარბალი „მცირე". რადგან „ბარბალობა" მზებუდობის დღეა და ამ დღის შემდეგ დღეს მზის მატება ეწყება, ჩნდება მზის მიქცევა-მოქცევის აღმნიშვნელი წესიც „მზის სახიანი ლემზირით".ეს ლემზირი რომ თავიდანვე ქალ-ბარბარის სახელიანი ყოფილიყო, აღნიშნული წესიც და ლემზირის სახელწოდებაც უფრო მეტ ადგილას იქნებოდა ცნობილი, ვიდრე სვანეთის ერთ სოფელში (ოჯახში).

შეშხუამის წიაღში ხდება ახლის დაბადება.შეშხუამიდან იბადება ახალი დღე, ახალი წელი, ახალი დრო მარადიულობაში გადასული. „მზის სახიანი" უმაღლესი არსი კი ოჯახის მფარველია, ისევე როგორც მფარველია იგი შეშხუამის დღეობისა, რადგან ეშხუამია ამ უმაღლესი განგების არსის განსახიერება. ამ დღეობითაა დაკონკრეტებული მისი თვისებები. თვისება უპირველესად, ყოველივეს მისით და მისგან დაბადებისა, რადგან დამბადებლის წიაღი მხოლოდ მას გააჩნია! (წესებიც ღამით ამიტომ სრულდება!) იგი ამასთან ერთად მფარველიცაა: შეიძლება კი „ცის არსება" მცირედ ღირებული იქნებოდა იგი ადამიანისთვის თუ დიდად ღირებული, მფარველობის უნარის გარეშე წარმოედგინა მას? ამასთან ერთად, ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ლაწდაშ ლიმზირი არც ერთ ღვთაებას არ შეეწირება (არ აღევლინება!). იგი ცხვება, - იქმნება, და იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს (შგილზე) და აქედან „დასცქერის" (ჭვრეტს!) იგი სახლს, ოჯახის შინას, მის მიმსვლელ-მომსვლელს. ლაწდაშ ლემზირის ქმნისას დიასახლისი არავის არ ახსენებდა გარდა ღმერთისა, იმ უზოგადესისა, რომლითაც უზენაესი და უპირველესი მფარველი გაიაზრებოდა. მხოლოდ მას შესთხოვდა მფარველობასაც და შენდობასაც იმ უღირსის შესახებ-ისთვის, რომლის „დანახვაც" მხოლოდ უზენაესს ხელეწიფება. „მხოლოდ ღმერთმა უწყის ვინ ვინ არის!" - ადამიანის გონებას არ ძალუძს უხილავის (სხვისი სულის, პოტენციის) ხედვა, - მხოლოდ ღმერთმა უწყის ყოველივე! ასე ფიქრობდნენ მაშინაც, როცა პირველად მზის სახიან ლემზირს ქმნიდნენ. ასე ფიქრობენ დღესაც, ღვთის ჭე-

[1] გ. ბარდაველიძე, 1953, გვ. 89-90.

შმარიტება ერთიაო! - ბრძენთ ესეც უთქვამთ.

ლატალში ჩვენს მიერ დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ლაწდაშ ლემზირს || ჭირვატს-შეშხუამ — ღამესაც უკურთხებდნენ გარდაცვლილებს, ანუ მათთვის დაფენილ სუფრაზე ეს ლემზირიც უნდა დებულიყო. ვფიქრობთ, ესეც იმ იდეის დადასტურებაა „ზესკნელს", „ქვესკნელსა" და „შუასკნელსაც" ადამიანი მუდმივ კავშირში რომ წარმოიდგენდა. საიქიო, სააქაო, და ცის სამყარო მარადიულად ერთმანეთთან დაკავშირებული სივრცეა და მისი უფლობა მხოლოდ უზენაესის ფუნქციაა. ღმერთიაო ყოველივეს შემოქმედი! ღმერთად, კი, ჩანს, პირველ რიგში, მზის ბუნებრიობა გაიაზრებოდა. მზის თვისებებში ირეკლებოდა ღვთის თვისებები და შესაძლებლობა.

„ლაწდაშ ლემზირის" სახიანი ლემზირია რიტუალური კვერი „ჭაფხურის" სახელწოდებით - აღნიშნავს ვ. ბარდაველიძე. მას დღეობა ბაზლობს აცხობდნენ.[1] „ლაწდაშ ლემზირის" სახიანი იყო აგრეთვე ის რიტუალური კვერი, რომელსაც ფარელები კანდას აცხობდნენ - თხელი, მრგვალი, მრავალქიმიანი ლავაში - ქალ-ბაბარის სახელწოდებით.[2] ამ პურს შუაში ნახვრეტი არ ჰქონდა.

„ზოგ თემში შეშხუამ ღამესვე აცხობდნენ კიდევ ერთს ასეთსავე მრგვალ, ქიმებიანსა და ნაჩვრეტიან ტაბლას, ე. ი. კირკადუს, რომელიც ლაწდაშ ლემზირზე პატარა ზომისა იყო და ნაპირებზე მცირე რაოდენობის ქიმები ჰქონდა გამოყვანილი. აქვე ვ. ბარდაველიძე დასძენს, რომ „ლაწდაშ ლემზირისა და კირკადუს შუაგულში გაკეთებული ნაჩვრეტი ისეთი დეტალია, რომელიც ამ კვერებს გარეგანი გამოსახულებით ერთ ჯგუფში აქცევს და დღის მნათობის გამომხატველ კვერისაგან გამოჰყოფს.[3]

ვფიქრობთ, არც მზეს, დღის მნათობს და არც მთვარეს, ღამის მნათობს ადამიანი შუაზე გახვრეტილად არ წარმოიდგენდა. უბრალოდ იმ მიზეზის გამო, რომ ეს მათ არ გააჩნიათ. პურის ხვრეტილი ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოების გამოა შექმნილი, რასაც ამ პურს ადგილმდებარეობა ანიჭებდა: ლაწდაშ ლემზირი უნდა შუაცეცხლის შგილზე სხვენზე ჩამოკიდებულიყო და კირკადუ სათესლე გოდორზე ანუ სვ. „ლალაშ"-ზე. გვაქვს კი უფლება ამ მნიშვნელობის უგულვებელყოფის, ეს ხომ ყოფითი აუცილებლობაა, რომელსაც არავითარი სიმბოლური დატვირთვა, მით უფრო ღვთაებასთან დაკავშირებით, არ გააჩნია. იმის გამო, რომ იგი ჩამოვკიდოთ, დავამაგროთ, ბუნებრივია, ხვრელია საჭირო. იგი არც წყვეტს და არც ქმნის, ჩვენი გაგებით, აღნიშნული კვერების არც ფუნქციას და არც მათით განსახიერებული განგების არსობას.[4]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „კირკალდუს" მრგვალ ფორმასთან ერთად გააჩნია რკალისებრი ფორმაც. ე. ი. გვაქვს მრგვალი, ქიმებიანი კირკალდუც და რკალისებური, ქიმებიანი კირკალდუც.

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1953, გვ. 83. ნახ.44.

[2] იგივე, გვ. 83 და მისივე, სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1939 წ. გვ. 130-131.

[3] ვ. ბარდაველიძე, 1953 წ. გვ. 84-85. ნახ. 46.

[4] კირკადუ და ლაწდაშ ლემზირი ვ. ბარდაველიძეს მიაჩნია მთვარის ემბლემად და ქალ ბაბარი და ჭაფხურის სახელწოდების პური მზის ღვთაების ემბლემა კვერებად. თავის მხრივ, ეს დაკავშირებულია მზისა და მთვარის დუალისტურ კონცეფციასთან! იხ. ვ.ბ. ქართ. სვ. საწესო... ნიმუშები, 1953, გვ. 85.

მრგვალი ქიმებიანი კირკალდე

რკალისებური ქიმებიანი კირკალდე

ლაწდაშ ლემზირ || ეშხუამი ლემზირ || ჭაფხურ || ქალ-ბაბარი ლემზირ.

ვ. ბარდაველიძე 1953 წ. ნახ. 44. გვ. 83,
„ჭაფხუგრ“ || „ქალ-ბაბარ“

ლაწდაშ ლემზირ || ეშხუამი ლემზირ || ჭაფხურ || ქალ-ბაბარი ლემზირ.

რკალისებურ ქიმებიან კირკალდუზე „კალენდარში“ ვკითხულობთ; მესტიაში დიასახლისი ნაჭშხუნებთან ერთად „აცხობდა ნაკურთხ წყალში მოზელილ ერთ პატარა კვერს, კირკალდუს. იგი რკალის მოყვანილობის გულცარიელი კვერი იყო, გარეთ ნაპირებზე მრგვალი მუჭუარით. მას შეაბამდნენ სათესლე ლალაშს (მოწნულ კალათას, რომელშიც სათესლე ხორბალი ინახებოდა) და როდესაც თესვას დააპირებდნენ, კირკალდუს სათესლეში ჩაფშვნიდნენ, აურევდნენ და ხორბალთან ერთად დასთესავდნენ.[1] ხოლო, იფარში ზომხას ქორა მგჭშხი აიღებდა ხელში ლალაშს, რომელზეც ამ ლალაშზე გარედან ჩამოკიდებული იყო ნაკურთხ წყალში მოზელილი პატარა კვერი, კირკადუ, რომელსაც თესვის დროს დაფშვნიდნენ, სათეს ხორბალს შეურევდნენ და ამ ხორბალთან ერთად დათესავდნენ.[2] ამავე სოფელში შეშხუამს ღამით ბავშვები და სხვანი, ვიდრე დაიძინებდნენ, სახლის შინაში მარცვლეულს ეძებდნენ (ბაგაში - ლალდიარ!), რაც მეტს მონახავდნენ, მით უკეთესი იყო. ამ მარცვლებს ლალაშში ჩაყრიდნენ და თესვისას სათეს ხორბლეულს გაურევდნენ და დათესავდნენ. მსგავსი წესი სვანეთის სხვა სოფლებშიც აღინიშნებოდა. ამით შეშხუამის ღამე აძლევს ერთგვარ საკრალურ შინაარსს თესლს, ბაგაში ნაპოვნს და იდენტურს ხდის მას კირკალდუს კვერის დანიშნულებასთან.

ამრიგად, თესვისას ერთიდაიგივე ღირებულება ენიჭება კირკადუს სახელწოდების პურს, რომელსაც აქვს როგორც მრგვალი (მზის!), ისე რკალისებრი ფორმა (მცხრალი მთვარის!). ეს კვერი არ აღევლინება „არაფერს“, იგი მხოლოდ ნაკურთხი

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 98.
[2] იგივე, იფარი ზომხა გვ. 153 და გვ. 100-102.

წყლისა და ლამარია გუიზისაგან (||,,ნაჭიშხი ფექისაგან") მზადდება იმისათვის, რომ სათესლე ხორბალს ჩაყვეს ნიადაგში. ვფიქრობთ, ეს ფაქტი არაფერს არ ამბობს საწინააღმდეგოდ იმისა, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით. ქართველთათვის მზე ქალია, მთვარე კაცი. მზე და მთვარე და-ძმანი, მზე დედაა ჩვენი, მთვარე მამაა ჩვენი. ეს ცის სამყაროსთვისაა ხატოვნად თქმული. მიწისა და ცის კავშირისას კი მიწა დედაა, ცა — მამა. თესლის გაღვივებისა და ნაყოფის მიღებისათვის ორივე აუცილებელია - მიწაც და ცაც!

* * *

4. შეშხუამის დღესასწაულისას ლამარია ტაბლაშისაგან მზადდებოდა დიდი ზომის ხაჭაპურები მესაქონლეთათვის. ეს ლემზირები მრგვალი, სამლემზირ დასახული პურია და შეეწირებოდა დალ შეშხუამიშს საქონლის სიმრავლისა და დაცვისათვის. ლოცვა-ზიარება ხდებოდა საიდუმლოდ, სხვის შეუხედავად და დაუსწრებლად, კარ-სარკმელდახურულ სახლში![1]

* * *

5. ლამარია ტაბლაშისაგან მზადდება განსაკუთრებულად შეშხუამ-მახე ზაეს იდეის მომცველი რიტუალური პურები ,,ნაჭშხუნუარ" || ლაჭშხიარ. ამ სახელწოდებით ცნობილია როგორც დიდი ღმერთის სახელობის, ისე ლამარიას სახელობის და შესაბამისად, როგორც საქალებო ისე საკაცო პურები. ისინი არსებითი არიან ,,ლიშიაშის" და ,,ლიჭშხის" წესებისთვის (ხელის ახსნა, მეკვლეობა). ,, ეეშხუამის ღამეს ვინც ამ პურების დაცხობას ვერ დაესწრებოდა, ოჯახის წევრიც კი, სხვა დღეობებზე დასწრების უფლება ეკარგებოდა.

* * *

6. ლამარია ტაბლაშისაგან იქმნებოდა დიდი ღმერთის ემბლემა კვერი ,,მუქეღუ"-ს სახელწოდების (მას პარალელურად სხვა სახელებიც გააჩნია). იგია მთავარი სამეკვლეო ლემზირი. ,,მუქეღუ" ავლენს ,,თავისი მფარველის", დიდი ღმერთის (მამა-ღმერთის), ნიშან-თვისებებს. ამ პურის მესაკუთრის უზენაესობას და უპირატესობას.

* * *

7. ლამარია ტაბლაშით მზადდებოდა ,,დულ"-ის სახელწოდებიანი საქალებო ლემზირები და ყველა ის ლემზირი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ წიგნში. Religioses Brauhtum in swaneti (Die Rolle der Frau im rutuellen Kontext) Tbillissi, 1998. Cultura caucasica – იქნებოდა ეს პურები ყველიანები თუ უყველო მარხვისას უყველოს აცხობდნენ. წმინდა ფქვილს, ,,ლამარიან ტაბგლს", რამდენადაც იგი სამეკვლეო კალათაშიც ფუნქციონირებს, ,,ნაჭიშხი ფექ"-იც ეწოდება. ანუ ეს სახელწოდება იგივეა, რაც ,,ნაჭშხუნები" და ,,ლაჭშხიარი". იქ ფქვილია აქ პურები (ლემზირები) ფქვილიდან გამოცხობილი. ამიტომ ფქვილს ლამარია ტაბლაშ ან უბრალოდ გუიზ ეწოდება, ხოლო მათგან დაცხობილ ლემზირებს კი სხვა სახელწოდებანი ისეთნი, რომლებსაც ჩვენ ამჟამად ვაკონკრეტებთ.

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 86. ცხუმარი.

* * *

8. ლამᲨრიᲜ ტაბლაშით || ნაჭგშხი ფქვილით შექმნილია ,,ნეზუ-ტᲨხას'' ტაბგ-ლი. გოჭის ცხიმგარეული ლემზირი (ქვ. სვანეთი).[1] ზედაპირზე გოჭის ფეხის ძვლით დაჭრელებული და გვერდებზე ოთხ ლემზირ დასახული.

* * *

9. ნაჭიშხი ფქვილითაა შექმნილი, ,,არგილი ლიმზირის''[2] (ადგილის ლოცვა) ლემზირი, ჩვეულებრივი ყველიანი ლემზირი. ამ რიტუალს (ლიმზირს - ლოცვა) მხოლოდ ოჯახის ქალები ასრულებდნენ (ქვემო სვანეთი), ქალებიდან ის, ვინც ყველაზე ხნიერი იყო სახლში - ,,ხოშა ზურᲨლ''.

ეს ხდებოდა ლიძიენᲨლ || შეშხᲨᲨმ დღეს, დილით ძალიან ადრე საახალწლო ღორის დაკვლის შემდეგ, როდესაც ოჯახის წევრები გარეთ გავიდოდნენ და შინ მხოლოდ სახლის დიასახლისს დატოვებდნენ (უფროს ქალს). მას ამ რიტუალისას სარიტუალოდ ჰქონდა ლეკლანდეს მარჯვენა ფეხი, მისი ღვიძლის მარჯვენა ნახევარი, ახლადმოხარშული კვერცხი და სანთელი, ბუნებრივია, ლემზირთან ერთად.

შეწირვის წესი: დიასახლისს ეს ყველაფერი კერიის პირად ტაბაგზე (პატარა მრგვალი მაგიდა) უნდა დაეწყო, ხელში სანთელი დაეკავებინა, შემდეგ კერიასთან ცალ ფეხზე უნდა დაეჩოქა, თავი მიწამდე დაეხარა და ელოცა. ლოცვის მიზანი: ლოცვის გამარჯვება (ლგნჯᲨრ ნᲨყრ), კარგი წელიწადის შეცვლა (ხოჩა ზᲨᲣ ლიცᲨდᲨლ), საქონლის გამრავლება (ქულუმგენᲨმი ლიფშირ), კარგი წელიწადის მოვლინება, კარგი მოსავალი (ზაᲣᲨ ხოჩა ნᲨვზერი), ყანაც და სათიბიც კარგი (დაბლარე ლგᲨᲨზერე), მისი მომხმარებელი ადამიანის სიკარგე, და არსებობა (მიჩა მგᲨმარი მᲨრემი ხოჩამდ ლირდე), ანუ, ადამიანის უზრუნველყოფა საკვებითაც და ჯანის სიმრთელითაც, ზრუნვა ხორციელისთვის.

ქალის ლოცვა და ნალოცის ჭამა საიდუმლოდ უნდა შესრულებულიყო, რადგან იმ ყველაფრის ,,ქმნა'' და ,,მოვლენა'', რასაც შემწირველი შესთხოვდა ,,ღმერთო დიდებულოს'' (დიდებულ ღმერთს) მოკვდავი ადამიანის უხილავად, საიდუმლოდ ხდებოდა. ჩაწვდება კი ადამიანი ბუნების (ღმერთის) ქმნის მადლს?! შეცვლის კი მას თავის მადლად ოდესმე?! - ვერასოდეს! თესლის გაღვივებისა და მიწიდან პურის მოწევისთვის ნიადაგია საჭირო, მიწას ვერ შეცვლის ადამიანი... მისი ვალია მხოლოდ ამ კანონზომიერებების დანახვა და გაგება. გაგება იმისა, რომ უზენაესი და ყოვლის შემძლე მხოლოდ ღმერთია! შეედრება კი სიმბოლურად აღნიშნულ წესს სხვა რამე?!..

აქ მიწისა და ცის ერთიანობა უნიკალური, უძველესი და ვფიქრობთ, უმარტივესი ხერხითა (სახით) გადმოცემული. იგი, ბუნებრივია, იდეის (სულიერი ხედვის) გათავისების გარეშე არ შეიქმნებოდა. იდეა კი ასეთია: ცა და მიწა განუყოფელნი არიან! ცა უხილავთა სასუფეველია, მიწა - ხილულთა! უხილავით ხდება ყოველივე ხილულის გაჩენა! უხილავი მოქმედებს ხილულზე უხილავად: ქმნის მას და ბადებს მისგან ხილულს! იგი ქმნის დროს უწყვეტად და იგი სახავს უწყვეტად ყოველივეს დროში! ,,ამ კავშირს'' დიდებული ღმერთი განაპირობებს.

აღნიშნულს უფრო მეტად აკონკრეტებს ,,ალაგი ლიხᲨლეს'' რიტუალი. ,,ალაგი ლიხᲨლეს'' ლემზირებიც ხომ ნაჭგშხ || ლამარიᲨ ტაბლაში''-საგანაა შექმნილი.

---

[1] ვ. ბარდაველიძე. 1939, გვ. 113. შუშხᲨᲨმ ჩოლურში.

[2] რიტუალი იხ. წიგნში ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. გვ. 115-116. (ქვ. სვ. ეშხუამი).

* * *

10. ,,ალაგი ლიხელე''

,,შეშხუამ ღამეს, ნავახშმევს, როდესაც ოჯახის კაცები და ბავშვები დაწვებოდნენ და დაიძინებდნენ, უფროსი მანდილოსანი გამოაცხობდა სამ კვერს, რომელთაგან ერთი ,,ფუსტა ჩისხჩი'' ,,იყო, მეორე ნამგლის სახისა და მესამე - კენჭივით მრგვალი და პატარა''. ამ კვერებს საერთო სახელად ,,ზენახარ'' ეწოდებოდა. აცხობდნენ კიდევ სამ ჩვეულებრივ ტაბგლს (ლემზირს) მრგვალსა და სამქიმიანს. ტაბლების გარდა შესაწირავად მზადდებოდა ქათმის მოხარშული კვერცხი, ერთი ჭიქა არაყი ან ღვინო (ზედაშე!) სანთელი. ყველა შესაწირავს, გარდა ზედაშისა, საცერში ჩააწყობდნენ, სახლის უფროსი ქალი ამ საცერს მარცხენა ხელში დაიჭერდა, მარჯვენა ხელით კერასთან ნაკვერჩხალზე სანთელს (ცვილს) დაყრიდა, შემდეგ ზედაშეს აიღებდა და კერიის წინ გაჩერდებოდა. რძლებიც კერიის გარშემო შემორიგდებოდნენ. უფროსი მანდილოსანი წარმოსთქვამდა ლოცვას, რომელსაც დამსწრე ქალები ხმადაბლა იმეორებდნენ. შემდეგ ყველანი დაიჩოქებდნენ; ჯერ სახლის უფროსი ქალი და შემდეგ დანარჩენი დამსწრენი და ლოცვას გაიმეორებდნენ იმავე წესით, როგორც პირველად წარმოსთქვეს. ლოცვა რომ დასრულდებოდა, რძლები განზე გადგებოდნენ და კერას პირს აარიდებდნენ. სახლის უფროსი, რომელიც განაგრძობდა მუხლმოყრით კერასთან დგომას, თავს მიწაზე დახრიდა და კერის პირად მიწაში დამარხავდა მის მიერ გამომცხვარ სამ პატარა კვერს (ზენახარს) და მოხარშულ კვერცხს. შემდეგ ის კვლავ ილოცებდა და ზედაშეს დალევდა. ადგილისათვის მიძღვნა რომ დასრულდებოდა, შემწირველი წამოდგებოდა და იქ მყოფთ გულ-ღვიძლს, ფეხის ნაწილებს და ლემზირებს დაუნაწილებდა. ხალხის რწმენით, ადგილი ლიხელე განკუთვნილი იყო ოჯახის ბარაქისა და კეთილდღეობისათვის.''[1]

ალაგი ლიხელესათვის გამოცხობილი პირველი სამი კვერიდან ,,ფუსნა ჩისხუ'' დიდი ღმერთის სახელობის კვერი იყო. ხოლო დანარჩენი ორი - ამბობს ქალბატონი ვერა - ციურ მნათობთა გამომხატველნი უნდა ყოფილიყვნენ. ,,კვერების გარეგანი მოყვანილობა გვაფიქრებინებს, რომ რკალის ან ნამგლის ფორმის კვერი ახალ მთვარეს გამოხატავდა, ვინაიდან ალაგი ლიხელეს მეორე ლენტეხურ ვარიანტში, რომელიც დღეობა ჩიტობს სრულდებოდა, ანალოგიურ კვერს დოშდულ - მთვარე ეწოდებოდა''.[2] (სამწუხაროდ, აღნიშნულიდანაც ჩვენ ვერ ვგებულობთ ,,ფუსნა ჩისხჩ''-ს კვერის ფორმას. ვფიქრობთ, იგი არაფრით არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ლემზირისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ქალბატონ ვერას აღნიშნული ექნებოდა).

დღეობა ჩიტობზე ჩვენ, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით მასზე წარმოდგენის უქონლობის გამო, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში, რაც მთავარია, მასზე წარმოდგენას გვიქმნის ,,ზენახარ''-ის სურათი, რომელიც მოთავსებულია წიგნში, ქართული (სვ.) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები.[3] ,,ზენახარში'' შედის ოთხი სახის პური''. a) - ,,დუალ'', b) - ,,უჟმურ'', c) - დოშდულ (მთვარე) d) - ,,ჯრარ'' - მიწისადმი განკუთვნილი კვერები, ქალების შესაწირავი, სოფ. ლაჯრებულა, ლენტეხი, ასე განმარტავს მას მკვლევარი.

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1953, გვ. 90 და ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 118-119. ეშხუამ. ქვ. სვანეთი. ლენტეხი, სოფ. ფაყი.

[2] ვ. ბარდაველიძე, 1953. გვ. 91.

[3] ვ. ბარდაველიძე, 1953. დანართი. ტაბ. II. ზენახარ სოფ. ლაჯრებულა, ლენტეხი.

ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. ნახ. ტაბ. II, სურ. 1. „ზენახარ“.
a — „დუალ, b — „დუალ,
c — „დოშდულ“, d — „ჯუარ“ — მიწისადმი განკუთვნილი კვერები, ქალების შესაწირავი, სოფ. ლაჯოზებულა, ლენტეხი.

შ. ჩართოლანი, ძველი სვანეთი, 1996 წ. ტაბულა L.
მამაკაცის ითიჴალური ქანდაკება სოფ. მუჟალიდან
(არქეოლოგიური მასალა)

დუალ და უჟმურ წმინდად ადამიანის ქალის და კაცის - გამომსახველი კვერებია. დოშდულ ნახევარმთვარის ფორმის კვერია. ჯუარ - ოთხმხარიანი ჯვარის, რომლისნაირიც სალაჭშხიარო პურებში გვხვდება დიდი ღმერთის სახელობის პურის ერთ-ერთ ფორმად.

„ზე-ნახარ“ სიტყვის შინაარსი შემდეგი უნდა იყოს: ზე-ზეციური, აღმატებული. „ნახ“ - ჩატნეულს და შიგთავსს ნიშნავს არ - მრ-ის ნიშანი. ეს პურები მიწაში ჩასადები პურებია, ე. ი. „მიწაში ჩასატნევი ლემზირები“, მაგრამ ხომ შეიძლება ისინი მრგვალი, ჩვეულებრივი ფორმის ლემზირები ყოფილიყვნენ... სწორედ ლემზირების ეს საწესო სახე და რაოდენობა ხდის მათი მიწაში ჩადების || ჩატნევის ფაქტს საკრალურს; ჩვენ ზეციურ ორ საკრალურ არსზე გვქონოდა ზემოთ საუბარი როცა „მზის ქალღმერთს“ წარმოვიდგენდით, ბუნებრივია, მის გვერდით „მთვარე ღმერთიც“ უნდა წარმოგვედგინა ისევე, როგორც მიწიერი ქალის გვერდით მიწიერი მამაკაცია წარმოდგენილი. ზეციური და - მიწიერი ეს ორი არსი (თავის მხრივ ერთარსებანი), ჩანს, ზენახარით სწორედ ისეა დაკონკრეტებული, როგორი სახეც მათ ხილულად გააჩნიათ: მიწაზედ ქალი და მამაკაცი თავიანთი ფიზიონომიით და არა სიმბოლიზმით: ზეცაზე მზე და მთვარე, მაგრამ, ჩანს, ესენი უფრო საკრალურნი არიან, რადგან მთვარე ნახევარმთვარეა და არა სრული მთვარე. ბუნებრივია, ეს ხაზს უსვამს იმას, რომ აქ სწორედ მამრულ ბუნებრიობაზეა საუბარი, ზეციური შემოქმედიდან ერთ-ერთ პირველზე. ხოლო მზე თავისი საკრალური ფორმით - ჯვრით არის წარმოდგენილი და არა ქიმებიანი პურით, ჭირვატის შემთხვევაში რომ გვქონდა. სწორედ მზის ამ ემბლემაში უნდა იმალებოდეს ქალღვთაების შენაცვლება დიდი ღმერთით, რადგან ჯვრის

სახიანი ლემზირი, ვიმეორებთ, საახალწლო საწესო პურებით, ერთ-ერთი ფორმაა დიდი ღმერთის სახელობის ლემზირისა.

ჩანს, ამ რიტუალური პურებით ყველაზე ნათლადაა გამოხატული ცისა და მიწის კავშირიც, საკრალური კავშირი, რომლის გარეშეც ყველაფერი შეუძლებელია! ის გარემოება, რომ ამ ლიმზირს მხოლოდ ქალები ასრულებენ საიდუმლო რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში ქალის უმთავრეს და უპირველეს როლზე მეტყველებს. ჩანს, სამყაროს სულიერი და ცოცხალი წარმოსახვა ქალის მეტი შემოქმედებაა, ვიდრე მამაკაცის. ნურც ის დაგვავიწყდება ,,ლიმჭრე'' და მსახურება ,,ლემზირებისა'' და ,,ლიმზირისა'' საკრალური მიწის ნობათით - გუიზის ლემზირებით რომ იწყება. ამიტომ ,,პირველი ერთი''-ც, ისევ ვიმეორებთ,,მზე''-ა, საკრალური ქალღმერთი, სახელწოდებით ,,დალ''.

ნამგლის სახიან კვერს ლატალში ,,მუსუჭალდ'' ჰქვია. ეს კვერი (გარკვეული რაოდენობით) შედის იმ პურთა ნაკრებში, რომელთაც ერთად ,,დიდი ღმერთის ტაბგლ''-ი (,,ხოშა ღერბეთი ტაბგლ'') ეწოდება.

მუსუჭალდს დასახული აქვს სამ-სამი ლემზირი (თითოს სამი ცალი). იგი ხოშა ღერბეთის ტაბგლ-ის I ვარიანტში არსებობს - 4 ცალი. II ვარიანტში 1 ცალი. ,,მუსუჭალდ'' ილაჯის მიმცემიაო გვინმარტავენ მთხრობელნი. ილაჯი სვანურად ,,სევ''-ია (,,სვიანი''). არსებობს სამუშაო პროცესისას ასეთი ტერმინები ,,ლგსევ'' და ,,ლგმალ''. ,,ლგსევ'' ნიშნავს თოხნისას ერთიორად გაზრდილ კვალს, ე. ი. ისეთს, დასაწყისი რომ ბევრად ნაკლებია დასასრულზე. ,,ლგმალ'' - თიბვისას მთიბავის ერთ გაყოლებაზე გატანილი კვალია. იგი დასასრულშიც იმ ზომისაა, რაც დასაწყისში. ამითაც ჩანს, რომ სეუ - (ლგსეუ) მუსუჭალდ იმ ღვთაების სიმბოლოა, რომელსაც ადამიანისთვის ზრდის და მატების მადლის მინიჭება შეუძლია. ამ სახელწოდების და ფუნქციის წარმომჩენი ღვთის სიმბოლო ლემზირი დიდი ღმერთისადმი მისაძღვნელ ,,ტაბგლშია'' მოქცეული. ჩანს, არც ეს პურია შემთხვევით არსებული დიდი ღმერთის ლემზირებში და გამოავლენს უზენაესის ერთ-ერთ თვისებას—იგი ილაჯის მიმცემია ადამიანისთვის!

* * *

და ბოლოს, ლამარიჭ ტაბლაშისაგან ცხვებოდა სახლის მფარველ ანგელოზისთვის გიმი ლიმზირისას || კერი ლიმზირისას || ლამარიჭ ლიმზირისას შესაწირი კვერები. და, ასევე ლემზირი ახალი წლის მეორე დღისთვის (კუიმტჭრ!)

,,ლამარიჭ ლემზირები'' კერასთან ,,კუიმტობა ლამარიას'' სახელზე იყო შესაწირი. მლოცველნი იყვნენ ქალები ისევ უწენად, კარ-სარკმელ დახურულ სახლში. ,,კუიმტობა ლამარიას'' ლემზირებს ჩაუტნეევდნენ იმ ყველს, რომელიც ,,სალაჭშხიარო'' კალათაში იყო სხვა ,,ნივთებთან'' ერთად. (ლატალი). და საერთოდ, არ არსებობდა არანაირი დღესასწაული და საწესო ჩვეულება, რომელსაც ლემზირები არ სჭირდებოდა და არ არსებობდა ლემზირი, რომელიც ,,გუიზ''-ისგან არ ყოფილიყო შექმნილი. გუიზ კი ,,ლამჭრიასიაა''! როგორც ,,ლამარიჭ გუიზ'' საიდუმლოდაა შექმნილი უხილავი ძალის მიერ (მიწის ძალა = ლამარიას ძალას) ანუ უწენჭ იგი, ასევე უწენჭლებია მისი ლემზირებიც: ,,შექმნა ყოველივესი'' საიდუმლოა. ამ უზოგადესობის ზეციური შემოქმედია დალ ეშხუმიში დალი ეშხუ-სი, დალი ერთი-ს. აქ ღვთის არსი ,,ეშხუ''-შია - ,,ერთ''-ში!

ამდენად, ჩვენის აზრით, ქართველთა უძველეს რწმენა - წარმოდგენებშივე არსებობდა ის აზრობრივი „ფენა", რომლებმაც „უაღმატებულესი"არსის მქონე ლექსემის - ღმერთის ჩამოყალიბება შეძლო. ახალი წლის ციკლის დღეობანი (პირველი სამი!) ამ იდეის დადასტურებაა. ღვთის იდეა აქ არის „ერთი"-ს იდეა, რომლის საბრძანისია ცა. თავის არსს იგი მიწაზედ ახორციელებს „ერთი"-ს ზეციური განსახიერებაა „მზე", მიწიური - „ლამპარია". ორივეს ერთად დალ ეშხუმისი წარმოადგენს!

„ეშხუ"-ს იდეა „შესაქმის" იდეაა. სამყაროსეული შესაქმე არ იტევს მხოლოდ და მხოლოდ „ერთი" - განყენებული არსის შემოქმედებას. აქ ორივეა ერთარსი, ორივე პირველი - დალიც და ხოშა ღერბეთიც! (ცაც და მიწაც! „ქალიც და კაციც"!) „შესაქმის" იდეა ამ „ორ არსება ერთს" „მესამესაც უმატებს და იგი ხდება ყოველივე შექმნილი „ერთი" ხდება „სამარსი"! (დამბადებელი, შემქმნელი და შექმნილი!). ჩანს, დროის პრობლემა მხოლოდ ის იყო, ორიდან რომელი ყოფილიყო პირველი - მზე ქალი, თუ მეორე შემოქმედი.

სწორედ „ერთი"-ს იდეა მიგვაჩნია ჩვენ ღმერთის, როგორც ეტიმოლოგიურ საწყისად, ისე სემანტიკურ გააზრებადაც. დღესასწაულთა (ახალი წლის პირველი სამი დღე) წესრიგი (საკრალურიც და რიტუალურიც!) არ გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ „პირველი ერთის" მსოფლმხედველობრივი აღქმა განვაცალკევოთ „მეორე ერთის" მსოფლხედველობრივ აღქმისაგან. პირიქით, აქ ორნი ერთარსებანი არიან და არსებითნი სწორედ იმ ფუნქციისათვის, რასაც ყოვლიერების შემოქმედის ხატება („მამა ზეციური"!) ასრულებს.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ ორმა ერთარსებამ ადგილები შეინაცვლა: მზე ისევ უზენაესი შემოქმედის ხატებად დარჩა და პირველი ერთი გახდა მამაღმერთი, სვანურად ხოშა ღერბეთ იგივე ფუსნაბუშდი! ჩვენ სრულიად გამოვრიცხავთ იმ მასალების საფუძველზევე, რითაც ვერა ბარდაველიძე ხელმძღვანელობდა, ხოშა ღერბეთის ანუ უზენაესი ღმერთის წარმოშობის შესაძლებლობას მზის კულტისა და ხარის კულტის შერწყმით. „შესაქმის" იდეის საფუძველზეა შექმნილი „სვანური", დღემდე შემორჩენილი უძველესი ქართული, ღვთაებათა სამეული: ხოშა ღერბეთ, მგქემ თარინგზელი და ჯგრაგი, სადაც მგქემ თარინგზელი ქრისტიანულ სამოსელში გახვეული დალ-ია! (ქალ-ღვთაება || მზე ქალი).

როგორ კონკრეტდება ახალი წლის დღეთა სალოცავი პურებით ორი შემოქმედის სიმბოლური ნიშნები. დავიწყოთ ყველაზე მარტივით!:

1) წრე, ლემზირებდაუსახავი ლემზირი
2) ულემზირო ლემზირის ფორმაზე, წრეზე სამი დასახული ლემზირი
ა) გაუბრტყელებელ გუნდაზე ბ) გაბრტყელებულ გუნდაზე

3) გაბრტყელებული სამ ლემზირიანი ლემზირი იყოფა საქალებო და საკაცებო პურებად. საკაცებოა ის, რომელსაც აქვს გვერდზე სამი ნაწიბური და საქალებოა ის, რომელსაც აქვს ზედაპირზე სამი ნაჩვრეტი ცერა თითით გაკეთებული. ნაწიბური კი იქმნება ცერა და საჩვენებელ თითებს შორის ცომის გამოწევით;

ლემზირის ამ ფორმას ემატება მეოთხე ნაწიბური და ნაჩვრეტი;

ჩანს ამ ოთხის დიაგონალური გადაკვეთით იქმნება პურთა შემდეგი სახეები:

ამ სახიან პურებს ჰქვია ,,ჯუარ'' და ,,მუჟელუ''. ,,შეეწირებიან'', უფრო სწორად, განასახიერებენ ,,ხოშა ღერბეთ''-ს.

აქ პირველი ვარიანტით გამოსახული გრაფიკული სახეები საწესო პურებისა იწყება წრით და მასზე სამი ლემზირის დასახვით. ერთი სიმბოლო (წრე) იცვლება სამით. (,,ლემზირით'') (1—3). აქედან იქმნება ლემზირის შემდეგი სახეები;

(,,ერთარსება სამი'') ლატალური ,,მუჟელუ''!

იმ საქალებო და საკაცებო პურებიდან, სადაც ,,ოთხი''-ს სიმბოლო ფუნქციონირებს, იქმნება ოთხმხრიანი ჯვარი და წრეში ,,ჩახაზული'' ჯვარი—,,დიდი ღმერთის'' ,,ემბლემა'' ლემზირები;

ხოშა ღერბეთისადმი მიკუთვნებული ამ სახიანი ,,მუჟელუ'' ლემზირის გრაფიკულ სახეს თუ დავუმატებთ ქართული კალპიანი ჩიჩილაკის, ქართული საქორწინო გვირგვინის და მამაკაცის სვანური ქუდის ერთადერთი ორნამენტის გრაფიკულ სახეებს, მივიღებთ საოცარ სიზუსტეს;

ა) კალპიანი ჩიჩილაკი (ზედა მხარე)

ბ) ქართული საქორწინო გვირგვინი (ზედა მხარე)

გ) სვანური ქუდის ორნამენტი (ზედა მხარე)

დ) „დიდი ღმერთის“ „მუჟელუ“-ს გრაფიკული სახე.

ცნობისათვის: ასეთივეა „ბორბლისებური ჯვრის ფორმა,

ხოლო „კოსმოლოგიური დანიშნულების და მარადისობის სიმბოლური ჯვრის“ ფორმა კი ასეთი.

(იხ. მითოლოგიური ლექსიკონი, აკაკი გელოვანის გვ. 569, ნახ.IV და ნახ 8.)

საბოლოოდ, ეშხუამის ტრადიციით შექმნილ რიტუალურ პურთა გრაფიკული სახეები შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ;

1. კერი ლემზირ || გიმი ლემზირ || ლამარიშ ლემზირ || დულ || საქალებო ნაჭშხუნი (ზემო სვანეთი).

2. კოკონილ || პუხულდარ || ღერღლარ || ანჭი-კუანჭი. (ზემო სვანეთი).

3. ლამარიშ შილგგნე (საქალებო პური) (ქვ. სვანეთი).

4. ფუსნა ლემზირ (საკაცებო პური) || ფუსნა ტაბგლ (ქვ. სვანეთში)

5. ნუზუ-ტაბი ტაბგლ || გუეჭ ტაბგლ (ქვ. სვ.)

ჰული ლემზირ (ზ. სვანეთი.)

6. ჩვეულებრივი ლემზირი || საკაცებო ნაჭშხუნი (ახალგაზრდების უწენად მი-
სართმევი)

7. ჭირვაჭ || ლაწდაშ ლემზირ || ეშხუამი ლემზირ (ზემო სვანეთი).

8. ლამარიან ლესკარ

9. „მუქელუ" || ხოშა ღერბეთი ლესკარ

10. ფუსნა უისხუი
(ვ. ბარდაველიძესთან ფორმა - ?)

11. ნამგლის სახის (ფორმა - ?) ლემზირი

12. კენჭივით მრგვლი და პატარა (ფორმა -?)
o o o

ზენახარ-„ალაგი ლიხელე"
(იხ. ვ. ბარდაველიძე, 1939 წ.
ტაბ. II (ქვ. სვ.))

13. დუალ (გოგონა) ქალის ფორმის კვერი
14. უემურ (ბიჭი) კაცის ფორმის კვერი
15. დოშდულ ნახევარმთვარის ფორმის კვერი

16. ჯუარ ჯვრის ფორმის კვერი

ზენახარ-„ალაგი ლიხელე"
(იხ. ვ. ბარდაველიძე, 1939 წ.
ტაბ. II (ქვ. სვ.))

ჩვენის აზრით, რადგან ეს ჯუარ აქ „მთვარესთან" (დოშდულ) ერთად არის მოცემული და იგი ზენახარის იდეის გამომხატველია, უნდა ქმნიდეს მზის სახეს, ე. ი. ასეთი ჯვარი (ჯუარ) მზის საკრალური ფორმაცაა.

მაშ ასე, რა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს „ლამარიან გუიზით" შექმნილი საახალწლო სარიტუალო ლემზირები და რა საკრალური ღირებულებისაა მათი შექმნილი აზრობრივი სივრცე.

1. ყოველი საწესო პური, და მით უმეტეს საახალწლო სარიტუალო პურები, იქმნება ლამპარია გუბიზისაგან.

2. რწმენით ,,ლამარიან გუბიზ" თავადაა ,,უწენა" (არ დასანახი, ვერ დასანახი, ადამიანის წარმოსახვით შექმნილი მადლი წმინდა მიწისა) აქედან გამომდინარე, მისგან გამომცხვარი ლემზირებიც ,,უწენაა".

3. უწენანლები ამავე დროს არის ლალყაჯებიც. ლალყაჯ || ლიყჯენი აკრძალვაა. იდეურად იგი ავლენს აზრს იმისას, რომ იგი ,,ვინმეს" მიერ არის აკრძალული, წესად დაკანონებული, რათა ასრულდეს იგი მხოლოდ რიტუალისას—სადღეობო დღეს.

4. მას, ვინც არ დაესწრებოდა საფერხავი პურების დაცხობას ოჯახში, ეკრძალებოდა მთელი წლის მანძილზე მნიშვნელოვან სარიტუალო დღეებზე დასწრებაც. ეშხუამის ღამეს, ,,თათარიც" რომ ყოფილიყო ამ პურების დაცხობის მხილველი, უფლება ეძლეოდა ოჯახის სხვა საიდუმლო დღეებზე დასწრებისა.

5. აქედან გამომდინარეც, ეშხუამ არის ის უმნიშვნელოვანესი დრო, როდესაც ხდება ,,ათვლა", ,,ახლად დაბადება" ყოველივესი დროშიც და სივრცეშიც. ამ ფუნქციას ბარბალი და მისი დღეობა ბარბლაშ არ ითავისებს და აღნიშნულიდან გამომდინარე, მისდაუნებურად კარგავს.

6. ეშხუამის არსი ,,ერთია" (,,ეშხუ"). გრაფიკულად ამ დღის მფარველის სახე წრეწირია. წრეა სრულყოფილება. იგი იტევს დროში ყველაფრის საწყისს, ამავე დროს, იტევს დასასრულსაც. ბუნებრივია, ამ იდეის წარმომჩენად სხივი ვერ იქნებოდა ვარგისი. - იგი ხომ უსასრულობას ნიშანავს. იდეის გრაფიკულ გამომავლინებლად წრე შეირჩა. მისით გამოიხატება სივრცეც და სიღრმეც, მისით გამოიხატება სამყაროს მთლიანობა. ამ მთლიანობის - ,,მფარველ" შემოქმედს რიტუალური ენით - ,,ეშხუ" (,,ერთი") ჰქვია. რიტუალს კი ,,ერთის" - ეშხუამ.

7. რიტუალურად როდესაც დალ ეშხუამის დღე თენდება ყველგან მთელს სვანეთში ,,ანჭი-კუანჭი"-ს წესი სრულდება. (ლატალურად მათ ღერღლაარი ეწოდება.) ეს ,,ანჭი-კუანჭიები" პატარა ულემზირო პურებია და სიმრავლის ნიშნად არის გამოცხობილი. ასევე ნიშნად იმ მადლის მიღებისა, რაც დალ ეშხუმიშს გააჩნია (ერთად მრავლის მჩენის უნარი!). მისი დაცხობით და შეწირვით აღნიშნული მადლი გადმოდიოდა როგორც ოჯახზე, ისე თვითოეულ მის წევრზე. ეს ილოცება კარსარკმელ დახურულ შინაში დილით ძალიან ადრე - ,,ჩიტების აზვრამდე" (ნაპრლრე ლიგნალალდ). აღნიშნული ავლენს იდეას—ლემზირები მფარველის ,,სახის" მჩენია, მისი იდეის რიტუალურად დამაფიქსირებელი. ლემზირ აფიქსირებს როგორც იდეურ, ისე გრაფიკულ სახეს: ულემზირო ფორმა ,,ღერღლარისა" || ანჭი-კუანჭისა, არის ფორმა || გრაფიკული სახე ,,ერთი"-ს წრის.

წრეა ეშხუს საკრალური სახე
წრეა სრულყოფილების ნიშანი —
დასაწყისის და დასასრულის სიმბოლო,
სიღრმის და შემოსაზღვრული სივრცის მომცველი

იგი იქმნება იდეურად წარმოდგენილი მფარველის მსახურებისთვის შესაწირი ლემზირის ფორმადაც. სახიერად კი ეს ლემზირი შექმნილია ,,ლამარიან გუბიზი"-საგან—მიწიერი შემოქმედისაგან, მიწის მადლისაგან, თუმცა საკრალური ლექსემით ეს

მადლი არ არის დაფიქსირებული. ვგულისხმობთ მიწის ღვთაებას, მიწის ძალის განსახიერებას. მაგრამ ეს რომ უცილობლად არსებობს, ამაზე მეტყველებს საკრალური ცნება ,,გუ̃იზ", რომელიც მიწიდან აღმოცენებულთა საკრალურობას ითავისებს; (გუ̃იზ ხორბლის (პურეულის!) და გუიზ ხე - მცენარის). ლამᾶრიას ამ შემთხვევაში გამოვრიცხავთ მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ საწყის იდეურ ეტაპზე იგი მხოლოდ ,,ლემზირების ქმნის" ფაქტს (ლიმᾶრეს) უნდა ნიშნავდეს, ხოლო შემდეგ, დროთა განმავლობაში, ყოფითობის აღმნიშვნელი ,,ლიმᾶრე" ხდება ,,ლამᾶრია" (რომელიც როგორც წმინდანი ,,გიმჟᾶნ სგუ̃ეჯი" - ,,მიწაზე სუფევს"!) - მიწის მფარველის (მისი ბუნების გამთავისებელი და მომცველი არსის) გამომხატველი ლექსემა და ეს ხდება თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ ამ ,,ქმედებაში" არსებითია ქალი, მისი ბუნება და მისი არსი. აღნიშნულის გამო ,,ლიმᾶრე" ლამᾶრიად ქცეული ხდება ქალის მფარველიც და ,,გუ̃იზ"-ის საკრალობის მჩენიც. მიწის ,,მოსავლის" მფარველი, პურეულის მფარველი ლამარიᾶ და არა ბარბოლი! ეს კი მეორე მთავარი და არსებითი უპირატესობაა ლამᾶრიასი ბარბალთან შედარებით.

8. ლამარიᾶ გუ̃იზისგან იქმნება ყოველივე ლემზირი. და მით უფრო ის ლემზირი, რომელიც უწენᾶ, ლემზირი ,,უწენას" ფუნქციით ხდება ,,შესაქმის" იდეის მჩენი—ერთერთი სახიერი მსახური. თუკი ეს ასეა, ლემზირის პირველი სახე მხოლოდ მრგვალი, ულემზირო ბურთულა კვერი უნდა ყოფილიყო. ასეთი ფორმის პურებია დალ ᾳეშხუამისთვის შესაწირი კუ̃ᾶნჭილები.

9. ლემზირის ეს საწყისი ფორმა ხდება სხვა ლემზირების ფორმის საფუძველიც. საწყისი იდეა ქმნის საწყის ფორმასაც; დᾶლ ᾳეშხუ̃ᾶმის პირველი აღსავლენი პურები სხვა ლემზირების ფორმის განმსაზღვრელია;

10. უპირველეს ყოვლისა, ,,ბურთულა ულემზირო კვერზე" ჩნდება სამი ცალი ნაწიბური. სწორედ ამ ,,ლემზირ"-ს (ლე - ,,მზირ" სა-,,მზირ"-ი ,,მზირ"-ისთვის განკუთვნილი) - სამ ნაწიბურს გააჩნია ის საკრალური ღირებულება, რომელიც ,,შესაწირ პურს" საბოლოოდ უსაკუთრებს მიწიერ ნობათს ზეციურის დიდებისთვის შექმნილ და განკუთვნილ სახელს—,,ლემზირ". ზეციურის აღმნიშვნელი საკრალური ცნება ამ სიტყვაში არის ,,მზირ". ამით ლემზირის აზრობრივი დატვირთვა შემდეგია: პური || წმინდა პური სა-,,მზირ"-ედ განკუთვნილი, სამზირედ გაღებული. ,,მზირ"-ს გააჩნია მზერის (მზირა) ფუნქცია (ივ. ჯავახიშვილი) ამით ამ ზეციურის არსი უკვე გასულიერებულია, სახედ კი ცეცხლიერი მასა - მზის ძალა არის წარმოდგენილი. (,,მზირა" ,,მზის" ლექსემის წინაპირობაა ქართველებში (ივ. ჯ.). ლემზირით ისიც ხდება ცნობილი, რომ ,,ეს ძალა" სამის საკრალური რიცხვითაც არის გამოხატული. ერთ ლემზირზე, ერთ სალოცავ პურზე დასახული სამი ლემზირი ერთ-ის სამარსობის მჩენია. ულემზირო პური ხომ ,,ერთ"-ის იდეის გამომავლინებელი იყო. უკვე მასზე დასახული სამი ლემზირი || სამი ნაწიბური აღნიშნულის ნიშანია. ,,ერთი" = ,,სამ"-ს ,,ერთი" იგივეა, რაც ,,სამ"-ი - ეს იდეური მთლიანობაა და არა რიცხობრივი! მისი საფუძველი კი სამყაროსეული ,,შესაქმეს" იდეაა. ჩანს, იდეაც ხდება ღვთაებათა იერარქიის პირველი სამეულის სახეთა შექმნის საფუძველიც.

11. მრგვალ ბურთულა კვერზე სამ ლემზირის დასახვით ჩნდება სწორედ ისეთი ფორმის ლემზირი, რომელსაც გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები ავლენს და რომელსაც ვ. ბარდაველიძე, ,,ხარის შუბლა" ლემზირს უწოდებს. ჩვენის გაგებით ამ ლემზირის სახეს განსაზღვრავს, პირველ რიგში, ზემოთ აღნიშნული იდეური ვითარება და (არა ხარის არსებითობა და პირველადობა!) შემდეგში, დაცხობის (შექმნის) სახიე-

რი მომენტი. იგი ეხება „ბურთულა კვერს" - გაუბრტყელებელი ცომის გუნდას. მისი გაბრტყელებით და მასზე სამი ლემზირის დასახვით კი იქმნება ლემზირის სწორედ ის სახე, რომელიც დღეს არსებობს სვანეთში და მისი გრაფიკული გამოსახულება საწესო საკრალურ ნახატთა რიცხვში შედის. (ვ.ბ. 1953 წ. იხ. ეს გრაფიკული ნახატები).

12) თუკი ლემზირის (სალოცავი პურის) გაბრტყელებულ სახეს მიწის ფორმად მივიჩნევთ, მივიღებთ ასეთ იდეურ დატვირთვასაც: სალოცავი პური შექმნილია ადამიანის („მიწიერი შემოქმედის") მიერ. ადამიანი სახიერად მჩენია ლემზირის, თორემ სხვა მხრივ (სინამდვილეში!) იგი სხვა მადლის (სხვა ძალის) („მიწის დედის") ნობათია (ლამარიᲂ გუᲨᲘ!) იგი „სა-მზირია" - „მზირა"-სთვის განკუთვნილი, მიწის წმინდა ნობათი, ზეციურის მსახურების წმინდა საგანი.

13. ლემზირში „მზირა"-ს არსებობა ორმხრივ გაგებასაც იტევს, ანუ იტევს შემოქმედის (მზირ-ას!) („ყურად-ღებას") - „მზერას", (სხვა) მიწის - სამყაროსადმი და, პირიქით, მიწის სამყაროზე მთავარი შემოქმედის „სულიერ მზერას" „ზეცის მეუფისადმი". || ყოვლიერების შემოქმედისადმი.

14. თუკი ჩვენი მსჯელობა გამართლებულია „ერთი"-ს საკრალური ცნება იცვლება „მზირა" (მზე!) საკრალური ცნებით. ეს ორივე სამყაროს შემოქმედის საკრალური სახელწოდებანია. ეს ორივე ხდება მიწიერის მსახურების გამომავლინებელი პირველი „საგნის" სალოცავი პურის (ლემზირის) - არსის და ფორმის საკრალურად მჩენიც და გამთავისებელიც. ლემზირით ფიქსირდება მიწიერის რწმენა ზეციერისადმი და რწმენა მსახურების მარადიული აუცილებლობისა.

მაშ ასე, „ერთი"-სადმი აღსავლენი პურის პირველი სახე უნდა ყოფილიყო მრგვალი ულემზირო ბურთულა კვერი

შემდეგ ამ ბურთულა კვერის გაუბრტყელებელ გუნდაზევე დასახული „სამ-ლემზირიანი" ლემზირი.

და ბოლოს, გაბრტყელებულ გუნდაზე დასახული სამი ლემზირიანი ლემზირი.

ამ სამიდან პირველი ფორმა ავლენს „ერთი"-ს არსსაც და ბუნებასაც: ა) იგი არის დასაწყისი და დასასრული - ერთი შემოქმედი დროშიც და სივრცეშიც. ბ) არის დამბადებელი, გ) არის ერთად მრავლის მჩენი, დ) არის საიდუმლეობით მოსილი უხილავი ძალა-იდეური სახე შემოქმედის.

ლემზირის მეორე ფორმა მოიცავს „ერთის სამ არსობას". იდეურად „ერთი"-ს „მეორე" ბუნებრიობასთან ერთიანობით იქმნება მესამე - ყოველივე ახლად შექმნილი. ამ ახლად შექმნილში კვლავ მეორდება პირველი ორის არსობრივი ბუნება დადებითი და უარყოფითი საწყისით, სქესით განპირობებული - მდედრიც და მამრიც!

ლემზირის მესამე ფორმას უკვე უნდა ემატებოდეს ის იდეა, რომ ლემზირი არის ზეციერისადმი აღმართული მიწის წმინდა ნობათი, მოწეული (ლგმᲐრე) ადამიანის ხელით. ვფიქრობთ, ლემზირის გაბრტყელება შემდეგ სამი ლემზირის დასახვა და გადაბრუნებით გამოცხობა მიწის ფორმას უნდა აღნიშნავდეს. საბოლოოდ ეს სახე

ქმნის მიწის და ცის ერთიანობას, ცაზედ არსებული „ერთარსება სამის" მეუფებას მიწის სამყაროზედ და, მიწიერის ამ შემოქმედი ძალისადმი მარადიული მსახურების იდეას. ◯ ლემზირის ამ ფორმაზე იდეის დამატებასთან ერთად ჩნდება სხვადასხვანაირი გრაფიკული ნიშნები და კონკრეტდება მათი დაცხობის წესებიც და „მეპატრონის" იდეური არსიც.

15. ეშხუპმ - მახე ზაგს რიტუალი მზეში გაარსებითებულ ეშხუ-ს სახეს ცალკე ლემზირითაც აჩენს. მრავალქიმიანი ლემზირი, კერის თავზე ჩამოკიდებული „ეშხუპმი ლემზირი" ამის დასტურია:

ჭირვაპ || ლაწდაშ ლემზირ || ეშხუპმი ლემზირ.

არც ეს ლემზირი მეტყველებს მზის, როგორც პლანეტის თაყვანისცემის ფაქტზე. ის ითავისებს „ეშხუ"-ს ძალის შეფარდებას მზის ძალასთან. სწორედ ეს ძალა იცავს ოჯახს ავისა და საფრთხისაგან - ის ოჯახის მფარველი „ანგელოზია". მზის სახიანი ლემზირი ამ სიმბოლური დატვირთვით არც ერთი სხვა დღეობების დროს არ გვხვდება. ეს სახიანი ლემზირი კი გვხვდება ერთგან, ბარბალობის დღეს ეცერში ქალ ბაბარის სახელით არსებული. მას გააჩნია მზის მიქცევა - მოქცევის ფაქტის დამფიქსირებელი ფუნქცია და არა ბარბალე მზის ღვთაების ემბლემა კვერის ფუნქცია. ეეშხუპმის ლემზირი არსებობს ამ უფლებით.

16. ეეშხუპმ- მახე ზაგს ტრადიცია საიდუმლო - „უწენა" - ლემზირების სახით ზემოთ წარმოდგენილ მსოფლმხედველობას კიდევ უფრო აკონკრეტებს; საქალო და საკაცო უწენა პურთა სახეს განსაზღვრავს ნაჭდევი და ნაწიბური. ამათგან ისინი 3-ია თუ 4. ლემზირი, რომელსაც დასახული აქვს ზედაპირზე ცერა თითის დაჭერით 3 ან 4 ნაჭდევი, მიეკუთვნება მდედრობითი სქესის ბუნებრიობას (ღვთაებას!) და შესაბამისად იგი საქალებო პურია.

საქალებო ლემზირი

ლემზირი, რომელსაც დასახული აქვს გვერდზე 3 ან 4 ნაწიბური - ლემზირი, მიეკუთვნება მამრობით არსს, მამრობითი სქესის ბუნებრიობას და შესაბამისად იგი საკაცებო პურია.

მამაკაცთა კუთვნილი
ლემზირი

საკრალური რიცხვები 1, 3, 4.
საკრალური „შიდა" და „გარე" სივრცე.

საქალებო პურების სახელწოდებანია: კერი ლემზირ - კერის ლემზირი. გიმი ლემზირ - მიწის ლემზირი, ლამარიშ ლემზირ - ლამარიას ლემზირი, დული ლემზირ - დულის ლემზირი, ლეზურშლ ნაჭშხუნ - საქალებო საფერხავი პური! ლამარიშ შილგგნე - ლამარიას ხელდასმული პური.

საკაცო პურთა სახელწოდებანია: ლემზირ - ჩვეულებრივი ლემზირი, ლეღუემშრ ნაჭშხუნ - საკაცო საფერხავი პური, ფუსნა ლემზირ - ფუსდის ლემზირი, ფუსნა ტაბგლ - ფუსნას ტაბლა.

აქვე განვმარტავთ ერთ გარემოებას: ლემზირი შესაწირი, აღსავლენი, სალოცავი პურია. ნაჭგშხუნ || ლაჭშხიშრ არ არის ლემზირის ფუნქციისნაირი, თუმცა შესაძლებელია მათი აღვლენაც, მაგრამ ეს ძველი და არსებითი წესის დამახინჯება უფროა, ვიდრე სიძველის მომცველი ფაქტი. ლაჭშხიშრ-ის პურები არის ,,ემბლემური'' პურები ორი შემომქმედი არსის, რომლისთვისაც იდღესასწაულება მახე-ზაგს რიტუალი. ისინი, ეეშხუამის დროში შექმნით და მახე ზაგს რიტუალისას შინაში არსებობით, ,,სახიერად'' არსებობენ ოჯახისთვისაც. შემოქმედი ორი არსის - მადლი და მფარველობა ამ ლაჭშხიარის პურებით ფიქსირდება. ისინი უწენალებია და ეკუთვნით როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს - აღნიშნული იდეის უფრო ნათელსაყოფად და შესანარჩუნებლად. ასე რომ ფუნქციურად ლემზირი სხვაა და ნაჭშხუნ პურები სხვა. ისინი აღსავლენი არიან და ესენი სამეკვლეონი - შემოქმედ არსთა სიმბოლური პურები. აქვე გამოიკვეთა 3-ის და 4-ის სიმბოლური ღირებულებაც. გამოიკვეთა ლემზირზე ნაჭდევის და ნაწიბურის - ლემზირის - სიმბოლური არსიც; სამ ნაწიბურიანი ლემზირი მამრობითი ღვთაებრივი არსის სახიერი მჩენია. ასევეა ოთხიც, მაგრამ არა ნაჭდევი, არამედ ნაწიბური. ამ ნაჭდევთა თუ ნაწიბურთა გრაფიკული შენაერთი გვაძლევს სახეს სადაც ა) ქმნის სამქიმიან ნიშანს და ასომთავრულში იგი ჭარ - ასონიშანია.

ბ) ქმნის ჯვრის, ოთხმკლავიანი ჯვრის სახეს და იგი მამალმერთის გრაფიკული ნიშანია.

თავის მხრივ, ორი არსის განმცალკევებელ ნიშანს ქმნის წრის წრეხაზი. სწორედ, წრის ,,შიდა'' და გარე'' მხარეზე დასმული ნიშანი ქმნის ორი არსის განმასხვავებელ სივრცეს - ბუნებრიობას, ნიშანს, თვისებას, არსს. ის რომელიც წრეხაზის შიგნითაა მოქცეული და დასმული მდედრის ბუნებრიობაა. გამოდის რომ ,,შინა''-ს არსი მდედრის ბუნებრიობადაა მიჩნეული, ხოლო წრეხაზს (შიდა სივრცეს) გადაცდენილი სიმბოლო ნიშანი შიდა და გარე სივრცის მეუფის არსებობის დასტურია.

ეს მეუფება ღმერთის—მამრობითი არსის— კუთვნილებაა. აქვე, ადამიანის ყოფას თუკი უფრო მეტად გაგვაშიშვლებთ, დავინახავთ იმასაც, რომ სახლი - ,,ქორ'' არის სწორედ ის სახიერი რამ მიწიერის არსებობის სივრცეში, რომელიც ყოფს ზოგადად სივრცეს ორად ,,შინა'' და ,,გარე'' მხარედ. ,,შინა'' (სახლის კერა, აქ მის ირგვლივ და მასთან არსებული ყველა სახითი თუ რიტუალური ქმედება...) ქალის კუთვნილია, მისი უფლება-მოვალეობის სახიერად მჩენი და მთლიანად მდედრული ბუნებრიობის გამთვისებელი სივრცე. ,,გარე'' კი—მამაკაცის. იქ ხდება მისი ძალის და არსის გამოვლინება. რიტუალურ პურთა ემბლემურ სახეშიც ეს იდეური დატვირთვა ფიგურირებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ღვთაებრივ შემოქმედთ განასახიერებენ, მაგრამ ეს ჩანს არც არის არსებითი. მათი ბუნებრიობის წარმოდგენა ხომ საკუთარი ბუნების არსის შეცნობით არის მიღწეული. ჩვენთვის მთავარი არის ის გარემოება, რომ ეს სახე დაყოფილია ორი სქესად და არავითარი სხვა მესამე, არც ცხოველური და არც მცენარეული აქ არ არსებობს და ,,ერთი'', ყოველივეს შემოქმედის იდეური არსი, ორი ბუნებრიობის ერთად არსებობის სრულყოფილებაა.

ამ გრაფიკულ ნიშანში დევს ის იდეური გათვლა, რომ ,,ერთი'' ,,ორ არსება ერთი'' სამყაროს მეუფეა. იმ სამყაროსი, რომელიც იყოფა ,,ზესკნელად'', ,,სკნელად'' და ,,ქვესკნელად'', ანუ მიწის ზედა მხარედ, მიწად - ადამიანთა სამკვიდრებლად და მიწის ქვედა მხარედ — ქვესკნელად.

ქვეყნიერების ეს სამივე ნაწილი ერთიანია, რადგან სრულყოფილება ამ ერთიანობით და მათზე „ერთი“-ს მეუფებით განისაზღვრება. ამ იდეითაც იქმნება ერთის სიმბოლოზე, წრეზე, დასმული ჯვრის სახე, სახე ერთი-ს სამყაროზე მეუფებისა. იგი არის „ ოთხივ მხარეს“ „ოთხივ დროში“ (დროსა და სივრცეში) ხილულის და უხილავის მეუფე და შემოქმედი. ასე მივედით ამ გზითაც (ლემზირზე დასახული ფორმებით!) „ერთი“-დან „ღმერთი“-ს ცნებამდე. ერთი არის ღმერთის იდეური საფუძველიც და ლექსემური ქვაკუთხედიც და ეს ქვაკუთხედი „რელიგიური კაცის“ გონში არსებული მარადიული, ღვთიური კოდია, რომლის სიღრმე და შესაძლებლობა ისევ უცნობი და მარადიულია. „ერთი“-ს ძალა აზრობრივ სივრცეში მზის ძალასა და სახესთანაა გაარსებითებული. სხვა რამ მისი ტოლი და სადარი ქართველს არანაირი „ფერი“ და „სახე“ არ ესახება.

17) დავინახეთ, თუ როგორ წარმოჩინდა ლემზირების სახეებით ორი არსის ტოლობა, ორივეს პირველობა, ორივეს „ერთ-“ობა სამყაროს „შესაქმის“ იდეაში. ახლა გადავიდეთ იმ საკითხზე, თუ როგორ წარმოჩინდა ამ ორიდან „ერთი“ - ერთერთის უპირატესობა, როგორ გახდა იგი „ღმერთი“ და პირველი შემოქმედი. რა სახიერი ნიშნებით ვლინდება აღნიშნული ლემზირების შემთხვევაში. ეშხუამ - მახე ზაის რიტუალისას ეს ფაქტი, პირველ რიგში, ვლინდება იმ სამეკვლეოთი, რომელსაც „მუჟელუ“ ეწოდება. იგი სამეკვლეო პურების შექმნისას (დაცხობისას) პირველი „მზადდება“ და, სამეკვლეო ტაბლასა თუ კალათაში („ლალ̄შ“) სხვა სარიტუალო „ნივთების“ თავზე ექცევა. იგი ასევე სამამაკაცო პურია - რიტუალის შემდეგ მათი მისართმევი. მასზე საუბარს „ლატალური მუჟელუთი“ დავიწყებთ. ვთვლით, რომ იგი არის ერთდროულად ორი სახის ლემზირის „ნაერთი“. ფუძე მისი ჩვეულებრივი ლემზირია. ზედა მხარე კი - ბურთულა გაუბრტყელებელ გუნდაზე დასახული სამი ლემზირი. ეს ორივე ერთად, „ერთი ხელის მოსმით“ იქმნება: მრგვალ გაუბრტყელებელ გუნდაზე ზედა მხარეს მარჯვენა ხელის პირველ სამთითს შორის გუნდის ზედაპირის მოქცევით და ზემოთ ოდნავ წამოწევით ისახება ზედა მხარე, შემდეგ მას ამ სამივე ლემზირის დაყოლებით გვერდითა მხარეზეც უკეთდება სამი ნაწიბური - ლემზირი. საბოლოოდ კი მისი სახე ასეთია: გუმბათიანი ლემზირი, სადაც ფიგურირებს სამი, („სამი ნაწიბური“) სამი ლემზირი, როგორც ზევით ისე გვერდებზე.

გრაფიკულად ამ ლემზირის სახე ისეთივეა, როგორც ეს სამლემზირიანი ლემ-ზირის გრაფიკულმა სახემ წარმოგვიდგინა:

ლატალური მუჟელუ

წრეზე დახაზული სამმხრიანი ჯვარი – ჭარ ასონიშნის მსგავსია. თუკი სარწ-მუნოდ მივიჩნევთ იმ გარემოებას, რომ პირველად ლემზირი (3 ც.) გაუბრტყელებელ გუნდაზე უნდა დასახულიყო შემდეგ გაბრტყელებულზე, აღმოჩნდება, რომ მუჟელუ-ს ეს სახეც ერთ-ერთი იმ პირველთაგანია რომელმაც ხაზი გაუსვა დიდი ღმერთის || ღმერთის პირველობას – პირველი უზენაესი შემოქმედის იდეური დატვირთვით. ამ შემთხვევაში ჭარ ასო-ნიშნის მსგავსი სამმხარიანი ჯვარი ოთხმხრიან ჯვარის სახეზე ადრინდელი ნამოქმედარია. (სამმხრიან ჯვარს ანუ ამ სახის ლემზირს სვანები ჯუარ-ს ეძახიან ასე რომ ჩვენც მას აქ შემთხვევით არ ვხმარობთ); სამის არსებითი საკრალუ-რი ღირებულება ქმნის აღნიშნული სახის ჯვარს: ა) ჩვეულებრივი ლემზირის ნიშნად (სამლემზირიანი ლემზირი!) ბ) მუჟელუს სახელწოდებით არსებულ დიდ ღმერთს „სა-მეკვლეო" პურის ნიშნად. „მუჟელუ"-ში ამ ორივეს ერთობა ქმნის ცისა და მიწის კა-ვშირს და მის მეუფედ ღმერთს (ხოშა ღერბეთ) აღიარებს. ამ პურში არსებითია მისი დაცხობის - წესი. იგი არ ცხვება გადაბრუნებით ლამარიშ ლესკარის მსგავსად, რო-მელიც სამეკვლეოში მდედრობითი არსის მჩენი სალაჭშხიარო პურია.

მეჟელუ ხოშა ღერბეთის აღსავლენი ლემზირი, სალოცავი პურით გამოხატული დიდი ღმერთის საკრალური ნიშანი

18) ნუ დაგვავიწყდება ის გარემოება რომ ყოველი რიტუალური || რელიგიური იდეა ,,ერთი''-დან იწყება. მისი დღეობის დროსა და სივრცეში იქმნება ყოველივე და მათ შორის ყოველივე საკრალურიც. ამ დროშივე იქმნება ,,ერთი''-ს მსახურების ფორმები, შესაწირავი ლემზირები, მისი მარადიული მსახურების წესები. იგი არის ყოველივე უხილავის და ხილულის საწყისი. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება კონცენტრირდება სალოცავ პურებზე და შესაბამისად სამეკვლეო პურებზე, რომელიც შემოქმედთა ბუნების გამთავისებელი და წარმომჩენია. სწორედ მათითაც ფიქსირდება სახიერად ის იდეური განაცხადი, რომ ყველაფერი, ერთის შემოქმედებაა ზეცად, ეს მზის არსის სადარი დალ ᲔᲨᲮᲗᲐᲛᲘᲨის ბუნებრიობაა, მიწაზე კი მიწის ნობათი, რომელიც ქალის კვლავ ხელახალი ლიმᲐრეთი ხდება ზეციურისადმი მსახურების და მადლის მჩენი. ლამარიᲐ გᲗიზ-ით იწყება ამ უხილავი ცისა და მიწის მადლის მსახურება, იწყება ქალის ხელით. და ჩანს მის მიერვე ხდება ზეციური მამის დანახვაც და გათავისებაც.

ურწმუნოთათვის, ზემოთ აღნიშნული ყოველივე, მაგიური ქმედება და სისულელეა. ურწმუნოთათვის ○ ნული ○ არაფერია, მორწმუნისთვის მთელი სამყარო, სრულყოფილება, დასაწყისი და დასასრული. ურწმუნოთათვის Ჯვარი ორი ხის გადაჭდობილი სახეა, მორწმუნისთვის სამყაროს მეუფის სახე, იმ მარადიული მეუფისა, რომელიც მარად არსებობს დროშიც და სივრცეშიც, ყველგან და ყველაფერში. ასე არაფრად გადაქცევა შეუძლია ურწმუნოს ყოველივე აქ მოთხრობილისა და, ზოგადად, სადღეობო კალენდრის რიტუალთა წესრიგისაც. მაგრამ ფაქტია, რომ იგი მორწმუნის, ,,რელიგიური არსების'' მიერ არის შექმნილი, რადგან სწამდა ,,ერთი'' შემოქმედის და ამ რწმენას ემსახურებოდა იგი ისე, როგორც შეეძლო და რითაც შეეძლო.აქ სულ სხვაა ამ ერთი-ს ჭეშმარიტი არსის შეცნობამდე რამდენი შეცდომა დაუშვა, ემსახურა თუ არა ისე, როგორც ამას ეს ჭეშმარიტება ითხოვდა. მთავარი და არსებითი სწორედ ის არის, რომ ამ დღეობათა შემქმნელის გონშიც, სულშიც და გენეტიკურ კოდშიც არსებობდა უზენაესი ერთი შემოქმედის არსებობის რწმენითი საფუძველი, დვრიტა, რომელზეც ასე ორგანულად იქნა დაფუძნებული მართლმადიდებლობა ღვთისა. ეს დვრიტა არაფრის და არავისი კულტმსახურების მჩენია. აქ ყოველივე ამ იდეის მსახურია, შემოქმედი ,,ერთი''-ს მსახურია ყველა და ყველაფერი. ამ მსახურებით კი ცხოვრებით კარგად გამოწრთობილი ადამიანის გონებაა წარმოდგენილი. ის გონება, რომელსაც კარგად ესმის ცხოვრების კანონზომიერებანი, ბუნების როლი და ადგილი თავის ცხოვრებაში, თვით ბუნებისავე კანონზომიერებანი და აღიარებს იმას, რომ თვითონაც ისევე, როგორც სხვა დანარჩენი, უხილავი შემოქმედის მსახურებისთვისაა ამ ქვეყანაზე შექმნილი. ამ მორალით არსებობს იგი მთელს გარემომცველ სამყაროში, საკუთარ არსში, ზნეობასა და სამართალში, რწმენასა და მსახურებაში, უფლებასა და მოვალეობაში...

V

„ლიჭშხი“ და „ნაჭშხუნჭარ“. რას შესთხოვენ სვანები ეშხჭამის „წმინდანებს“

ეშხჭამს, ბალსქვემო სვანეთის ლახამულას საზოგადოების ერთი ნაწილი, სალასკაროდ აღნიშნავდა. ამ დღისთვის განკუთვნილ სალემზირე პურის ხორბალს ჯერ კიდევ შემოდგომაზე შეაგროვებდნენ („ლიზორშლი“ ერქვა ამ დღეს და შეგროვებას ნიშნავს) და ეძახდნენ უფლიში ტაბლაშს. (საუფლო ტაბლას).

აღნიშნულ შემთხვევაში „უფლიში ტაბლაშ“ სემანტიკურად უტოლდება ლამშრიშ გჩიზს და ლამშრიშ ტაბლაშ-ს. უფლიში ტაბლაში აღნიშნულ საზოგადოებაში ხმარდებოდა სამ დღესასწაულს: „ ეშხჭამს“, „კანდას“ და უფლიშს“. ეშხჭამს აღნიშნულ წმინდა ტაბლაშიდან აცხობდნენ უამრავ სადღეობო კვერს, ანუ - „ლემზირებს“ (მორიგე ოჯახში) და მათ აღუვლენდნენ „დალ ეშხჭამიშ“-ს. ლოცვას მლოცველი (უხუცესი) წარმართავდა მთელი საძმოს სახელზე, რადგან დღის აღნიშვნა წარმოებდა მათ მიერ.

ლოცვისას ყველა წმინდანის ხსენება („დიდი“ იქნება იგი თუ „მცირე“) იწყება „დიდებით“: თითქოს ეძახიანო კიდეც - ო,ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს დალ ეშხჭამისას დიდება! (მსგავსი ფორმულა არსებითია ღვთაებათა ხსენებისას). ამის შემდეგ კონკრეტდება სათხოვარიც; აღნიშნულ შემთხვევაში, სამხუბისთვის მლოცველის სათხოვარია: „საძმოს კარგ გულზე ყოფნა“, “ლიჟუალ საღამოს საძმოს წევრების კარგ გულზე შეყრა“, „ადამიანის სულის მშვიდობა“, „ახალი წლის კარგად შეცვლა“... აღნიშნულს ითხოვს იმ გარემოების გამო, რომ აღნიშნავენ „დალ ეშხჭამის“ დღეობას ერთად და აღუვლენენ მას საერთო „ტაბლას“ ანუ ლემზირებს საერთო ზვარაკთან ერთად. (ხბო, თხა, თიკანი ან კრავი); „კარგ გულზე“ ყოფნა სვანისთვის უპირვალესად მხიარულად ყოფნაა. სიმხიარულე სულის მდგომარეობასაც იტევს და ყოფისასაც, იტევს ჯანმრთელად და დაუმარცხებლად ყოფნასაც. ადამიანის პირველი სათხოვარი სიბერემდე ყოფნა იყო! „ლიჟჭალ“ ახალკვირის შაბათს ეწოდებოდა (ვ.ბ.). ახალკვირის შაბათით იწყებოდა ახალი დრო - „თანაფ“, ზამთრის (ლინთ) შემდეგ რომ მოდიოდა. ახალკვირის კვირა დღეს საუფლო დღეთა („უფლიშ“) დღესასწაული აღინიშნებოდა; ბუნების აღორძინების პერიოდსაც მისით ეგებებოდნენ სვანები. ბუნებრივია, ამ დღის საძმოთა თავყრილობაც მათთვის მშვიდობიანობის მტვირთველი უნდა ყოფილიყო. (სათხოვარიც ხომ ეგ არის!). „ადამიანის სულის სამშვიდობოდ გიძღვნითო ამ ღამის ლოცვას - („მარ̄ემ ქუნემ ნაშხა“). აღნიშნულის შემდეგ არც რამის გაშიფრვა გეჭირდება. მლოცველისთვის მისი მწყალობელია „დალ ეშხუმი“-ში, რომელსაც ხელეწიფება წლის ძალის შეცვლაც.[1]

ეშხჭამის დღის სალასკარო დღეობა ამ საწესო ქმედების გარდა მსახურების

---

[1] აღნიშნულის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა იხ. ვ. ბარდაველიძე სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1939, გვ. 77. ეშხჭამ ლახამულაში.

სხვა წესს არ იტევდა. იგი მთავრდებოდა საერთო პურობით, ქეიფითა და სიმღერებით. (საგალობლები!). ჩვენ წესებიდან, ᲓᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ დღისა, აქ ყურადღებას საახალწლო პურებზე გავამახვილებთ. საახალწლო სამეკვლეო პურები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ,,დღესასწაულის'' აღნიშვნისათვის. მათი არსის გარკვევა არკვევს დღის მფარველის არსობასაც.

,,მეხᲔლეს'' ოჯახიდან შინ დაბრუნებულები იწყებდნენ საახალწლო სამზადისს. ჯერ ეზოში შენახულ გᲠიზსა და Ვულს შეიტანდნენ ოჯახში, შემდეგ საახალწლო პურების დაცხობას შეუდგებოდნენ ქალები. ამ პურებიდან რიტუალური ბუნება ,,ლᲨმᲬრია ლემზირ''-ის სახელწოდებიან პურებშია განსაკუთრებით მოქცეული: კერძოდ, 1) საახალწლო პურებიდან[1] ლᲨმᲬრია ლემზირის სახელწოდებიანი პურები ცხვება პირველად. 2) ისინი უწონაშებია და მათი ნახვა არ შეუძლია ოჯახისთვის უცხო პირს. 3) მათი დანახვა არ შეეძლო სახლის შინა მეკვლეს ,,ქორა მᲒᲭᲨხის'', ამიტომ იგი ამ ლემზირების დაცხობას არ ესწრებოდა. ქორა მᲒᲭᲨხი არ ესწრებოდა ასევე სამეკვლეო კალათის (,,ლაᲭᲨხიᲬრ კᲠიდᲜლის'') გაწყობას. 4) ლᲨმᲬრია ლემზირები თავსდებოდა სამეკვლეო კალათაში. 5) ლᲨმᲬრია ლემზირები ეᲭმეოდათ მხოლოდ ქალებს.

ლᲨმᲬრია ლემზირს'', ჩვეულებრივი ლემზირისგან განსხვავებით, ჰქონდა ზედაპირზე სამ ადგილას (ცერა თითით!) Ჭდეები გაკეთებული. ცხვებოდა სამი ასეთი ,,ლᲨმᲬრია ლემზირი'' მრგვალი ფორმით, ხოლო, ჩვეულებრივ ლემზირებს (ე. ი. მათ, რომლებიც ცხვებოდა ამ ღამეს ლახამულელ ოჯახში) ზედაპირის მაგივრად გვერდზე (ნაპირზე) ,,თითით სამი კუᲭუბო ჰქონდა გამოᲭვერილი'' (ვ. ბ.). ეს ,,ჩვეულებრივი ლემზირები'' ყველიანი და ხორციანი პურები იყო.[2]

აღნიშნული პურებით, როგორც ვნახეთ, ხდება ახალი წლის მოლოცვა მეკვლის მიერ: ისინი შედიან სამეკვლეო კალათაში. მათით მეკვლის ქმედებას საკრალურად ,,ლიᲭᲨხი'' ეწოდება. ,,ლიᲭᲨხი'' ,,ᲭიᲨხ''-იდან ჩანს მომდინარე. ,,ᲭიᲨხ''-ფეხია. ,,ლიᲭᲨხი'' კი აზრობრივად იმ ბუნების მტვირთველია ჩვეულებრივ რომ ხდება ყოფიერად, ანუ ხილულად რაიმეს მოტანით და მორთმევით. მსგავსი სემანტიკის მტვირთველია ,,ლიᲨᲨᲘᲪ''. ,,Ში''-სვ. ხელია. მეკვლენი შემოქმედ ღვთაებათა ,,ხილული წარმომადგენლები'' რომ არიან, ,,ლიᲭᲨხი'' და ,,ლიᲨᲨᲘᲪ'' ამ საკრალურობის დამადასტურებელია.

,,ლიᲭᲨხის'' სახლის პირველი მეკვლე ,,ქორა მᲒᲭᲨხი'' საახალწლო შემოსალოცით, წყლით (,,ლᲒᲯᲔ'') და ხარით აწარმოებდა. სამივე აღნიშნული საკრალური ფუნქციის მქონეა. მათ ამ ფუნქციას აღასრულებინებს ,,ქორა მᲒᲭᲨხი'', - შემოქმედი ღმერთის მადლის მჩენი ახალი წლის დღეს. პირველი, სადაც ეს მეეკვლე თავისი სამეკვლეოთი მიდის, წყაროს წყლის ადგილია. და პირველი, რაც მას ამ სამეკვლეოსთან ერთად შინ შემოაქვს, არის წყალი - საკრალურად ,,რძე'' (ლᲒᲯᲔ). ,,რძე'' მყისვე ასოცირდება სითეთრეში, სიუხვეში და რძის პროდუქტთა სიმრავლეში.

პირველი მეკვლის სათხოვარი (წყაროსთან) დროის შეცვლის ძალის მქონე მა-

---

[1] საახალწლო პურები ის პურებია, რომლებიც მზადდება ᲓᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ ღამეს ᲓᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ ყველა საწესო წესის შესრულების შემდეგ. მათი საკრალური ფუნქცია იკვეთება მხოლოდ მეორე - ახალი წლის დღეს. ამდენად ისინი ᲓᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ დროში შექმნილი საახალწლო (ახალი წლის დღის) პურებია. მათ აქვთ სამეკვლეოს ფუნქცია.

[2] იგივე. იქვე. გვ. 77.

დლიანი ღმერთისთვის არის შემდეგი: ,,ღმერთო მადლიანო, კარგი ფეხი მომატანინე, ყველას წყალობა მოგვეცი! წელო ახალო, ძველი წლის შემცვლელო, კარგი წელი შეუცვალე ჩემს სახლს; ყველას ღმერთის წყალობა მოგვეცი; ადამიანის მშვიდობა და ოთხფეხის სიმრავლე; გაისს ახალი წელი კარგ გულზე მოასწარი ჩემს სახლს!...''[1] მსგავს წყალობას ეკედრებოდა მლოცველი ,,დალ ეშხუამისას'', ოღონდ აქ ის წყალობაცაა ხაზგასმული სვანურად ,,ჩი'' ღერთემიშ ,,ჟგრ''-ით რომ გამოიხატება. იგი იგივეა, რაც ,,ჩიმი ჟგრ ლანო'' - ყველას წყალობა მოგვეცი || ყველა ღმერთის წყალობა მოგვეცი. ჩანს ,,ღერბეთ მალდიანს''-აც და დალ ეშხუამიშსაც (,,ორ ერთ არსებას'') ყველა ღმერთის წყალობა ხელეწიფებათ, რადგან ,,ისინი არიან ყველაზე უფროსი და ყველაფრის მჩენი (თვით ,,ღმერთებისაც'', იმათი ვისაც, კერძოდ რაიმეს მფარველობა აკისრიათ მათგან!).

,,ღერბეთ მადლიანისაგან'' ყველას წყალობით დატვირთულ მეკვლეს ,,შინ''-აში შემოაქვს; დიდი ღმერთის წყალობა (ხოშა ღერთემი ჟგრ). მგქემ თარგლეზერის წყალობა (მგჭმ თარგლეზერიშ ჟგრ), ჯგგრაგის წყალობა (ჯგგრაგიშ ჟგრ), ლამარიას წყალობა (ლამარიაშ ჟგრ), ოთხფეხის სიმრავლე (უეთხმალიშ ნაფშირი), ე. ი. ოთხფეხის მფარველის წყალობა, თორმეტი კასრი რძე, პური ბლომად (ლამარიას წყალობაა პური!) მოვდივარ და ვერ მოვდივარ... ამდენი სიკეთით დატვირთულ მეკვლეს ოჯახის წევრები ,,შე ბედნიეროთი'' მიმართავენ. (არ დაგვავიწყდეს მეკვლე, ამავე დროს, რჩეულიც რომაა; ქორა მეკვლე ,,ხოშა ღერბეთ''-ის მიერაა რჩეული ჯვრის სახიანი კენჭით. იგი ვულის ტოტისგან არის გამოთლილი.

ღვთის მადლით დატვირთული ხვავიან-ბარაქიანი ,,ქორა მგჭეხი'' კერიას სამჯერ შემოუვლიდა, შემდეგ სალოცავ სარკმელთან დაგორდებოდა, რათა ამით მისი ბარაქა, შინ ,,ლიჭეხით'' შემოტანილი მსგავსად დაგორებულიყო, დახვავებულიყო და ოჯახი მისით ავსებულიყო.

ლახამულაში ,,კანდა'' დღეც (,,ახალი წლის დღე'') სალასკაროდ აღინიშნებოდა ეშხუამის მსგავსად. თუ ეაშხუამის დღისას მხოლოდ დალ ეშხუამიშს ახსენებდნენ, ,,ახალ წელს'' მას არც კი უხმობდნენ საშველად. მის მაგივრად ლოცვას იწყებდნენ ,,ხოშა ღერბეთისთვის'' ლემზირების აღვლენით; - ო, ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს, დიდო ღმერთო, დიდება! დიდო ღმერთო მადლიანო, ქვეყანა შენი დაწესებული არის, ყველაფერი კარგი დააწესე ჩვენში! (საძმოში). შემდეგ თარგლეზერს; - ო, ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს, თარგლეზერს დიდება მოგსვლოდეს თარგლეზერო, ყველა ღმერთის ვაზირი შენ ბრძანდები (,,სი სგჭჯი''), ყველა ღმერთს სულ კარგი მოამართებინე (,,ახმეწჭნინ'') ჩვენკენ (საძმოსკენ) ახალწელიწადი კარგ გულზე გვამყოფე. თარინგზელის შემდეგ მუდამ წესი იყო ჯგგრაგის ხსენება; ო, ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს, მწყალობელ ჯგგრაგ-ს დიდება, ჯგგრაგო მადლით სავსევ, ადამიანის შემწე შენ ბრძანდები და ჩემს საძმოს, პატარასა და დიდს, ყველას შენ შეეწიე, გაისს ახალი წელი კარგ გულზე მოგვასწარი! ამ სამის შემდეგ მლოცველი ადიდებს სხვებს: ჩამოყვებოდა ზედა (ბალს ზემოთა) სოფლებიდან და ჩაათავებდა ქვედა (ბალს ქვემოთა) სოფლების სალოცავების მოხსენებით.[2]

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 120 კანდა ლახამულაში.
[2] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 123-124. კანდა ლახამულაში.

აღნიშნულიდან გამოიკვეთა დღეთა მსახურების ორი ფორმა: საოჯახო და საძმო (სალასკარო). საოჯახო საკრალურად მეტის მტვირთველია, ვიდრე საძმო (საერთო). საერთო დღეობა დღის საკრალურ იდეას მეტად აკონკრეტებს და ,,უზენაესთა სახესაც" მეტად აჩენს. აღნიშნული სოფლის მაგალითზე ეს ასე ჩანს: ეშხუამს მხოლოდ დალ ეშხუამიშს ახსენებენ, კანდას პირველად ,,ხოშა ღერბეთს", შემდეგ ,,თარინგზელს" და ,,ჯგრაგს" - იმ სამეულს, ღვთაებათა იერარქიის პირველი წევრები რომ არიან. მათდამი სათხოვარიც ის არის, რაც დალ ეშხუამისისადმი. თითქოს, უზოგადესი ,,ეშხუ" რაღაც დროის მანძილზე ამ სამით კონკრეტდება (,,ერთი" - ,,სამდება") და უნაწილდება მათ ,,ერთ"-ის ფუნქციები. რიტუალებში ,,ერთ"-ის ბუნების გამოსავლინებლად ზაე ყერი მგცალდი ღერბეთის || ღერბეთ მადლიანის ეპითეტიც ჩნდება საინტერესოა რომელი ეპოქისაა ეს შენაცვლება!!! ალბათ ქრისტიანული, მაგრამ აქ არსებობს ,,ქვედა ფენა", რომლის იდეურ საფუძველზეც უნდა შექმნილიყო ,,უზენაესის" აღმნიშვნელი სიტყვა ,,ღმერთი". აღნიშნულის გამომამზეურებლად ჩვენ სწორედ ეშხუამის ,,ერთი" მიგვაჩნია, რომელიც დროთა მანძილზე იტევდა ,,ორ ბუნებასაც" და ,,სამ ბუნებასაც" ,,ერთი"-სას. ,,ორ ბუნებაში", ჩვენი აზრით და იგი ეთნოგრაფიული მასალიდან არის გამომდინარე, არსებობს ,,ქალური" და ,,კაცური" (,,ზედედა" და ზე-მამა") საწყისი,მათ ემატებათ ,,შექმნილი" და ხდება ,,ერთი" ,,სამი"; დამბადებელი, შემქმნელი და შექმნილი, ანუ უზენაესი ,,დედა ღვთაება", უზენაესი ,,მამაღმერთი" და უზენაესი ,,ძე ღმერთი". სვანურად რომ ვთქვათ: ,,ხოშა ღერბეთ", ,,თარინგზელ" და ,,ჯგრაგ". სწორედ თარინგზელ"-ში უნდა იყოს თავშეფარებული ,,დალი"-ს დაკნინებული სახე, ქრისტიანობის ზეგავლენით მიღებული: სახელი კია გადასხვაფერებული ,,თარინგზელ" ანგელოზში ასოცირებული, მაგრამ ქრისტიანობამ, ჩანს, ვერც ,,სვანური" ,,სამობა" მოსპო და ვერც ამ ,,სამობის" წევრი მზე - ქალი - უზოგადესი დამბადებელი.

რაც შეეხება ქართული ,,ღმერთის" ეტიმოლოგიას, იგი ჯერ-ჯერობით მეცნიერულად შესწავლილი და დაზუსტებული არ არის. ,,სამივე ქართველურ ენაში ეს ცნება გამოხატულია მსგავსი ,,ფუძეებით: ქართ. ,,ღმერთი", კოლხ ,,ღორონთი || ღორმოთი" სვ. ,,ღერმეთი" || ,,ღერბეთი". ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ძველთაძველი, პროქართველური სიტყვაა. ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი მას ასე შლიან: ღმერ-თ-ი, სადაც ძირია ,,ღმერ". იგი, მათი აზრით, შეკუმშული და სახეცვლილი ფორმაა ძირისა - ღმარ ბოლოკიდური - თ - მდედრობითი სქესის ღვთაების სახელი უნდა ყოფილიყო და შემდეგ, დროთა განმავლობაში, ქცეულა საზოგადო სახელად. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ქართული ,,ღმერთის" არქაული ძირი ,,ღამარ" ისტორიულად ეტიმოლოგიურ კავშირში უნდა იყოს ელამიტურ ღვთაებასთან ,,ლაგამარ", რომელიც დადასტურებულია ლურსმნულ წარწერებში. მეცნიერის ანალიზით, აქ ძირად გამოიყოფა ,,გამარ", რომელიც პრაქართველურ ენაში დამკვიდრდა ფორმით ,,ღამარ",უკანასკნელისაგან წარმოიშვა ფორმა ,,ღმერთი".[1]

ჩვენის მხრით, აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ივ. ჯავახიშვილი ,,ლაგამარ"-ს სვ. ,,ლამარია"-საც უკავშირებს.[2] ქართველური ტომების უძველეს დროში მჭიდრო რელიგიური და კულტურული კავშირის ქონა წინა აზიის ცივილიზებულ ერთან - ელა-

---

[1] ნ. პაპუაშვილი, რელიგიის ისტორია, კარიბჭე, 1999 წ. გვ. 23.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1979 წ. ტ 1. გვ. 121-122.

მებთან, თავისთავად საამაყო ფაქტია, მაგრამ იქნებ ჩვენშივე არსებობდა იგივე საწყისი, რითაც ,,რაიმე'', კერძოდ, ,,მდედრობითი სქესის ღვთაება'' ,,გარდაისახა'' საზოგადო სახელად - ,,ღმერთად''. მით უფრო, თუკი ამის ნიშნები სვ. რელიგიურ ცნობიერებაშია შემჩნეული. ჩვენ ძიებაც სწორედ ამ კუთხით გვინდა წარვმართოთ და წარვმართოთ იგი, პირველ რიგში, ახალი წლის ციკლის დღეთა ტრადიციის ნიადაგზე.

სანამ უშუალოდ ისევ ამ საკითხზე გადავიდოდეთ აღვნიშნავთ შემდეგსაც: ,,მეცნიერება ენისა და ეთნოსის შესახებ - ლინგვისტიკა და ეთნოგრაფია გვარწმუნებს, რომ უზენაესი ცნება ღმერთი და მისი აღმნიშვნელი სიტყვები დამკვიდრებულია ყველგან, ნებისმიერი ხალხის ცნობიერებასა თუ მეტყველებაში. იგი შემოსილია აღმატებული პატივით და იხსენიებენ უაღრესი კრძალვით. ზოგან ამ სახელის წარმოთქმასაც ვერ ბედავენ...[1] (მაგ. სემიტები - ებრაელნი).

ღმერთი არის უზენაესი სახელი, ყველგან და ყოველთვის აღმატებულთა შორის უაღმატებულესი სიტყვა და ცნება... იგი ,,ყოველთა არსთა მაარსებელი'', მფარველი და პატრონია''...[2]

ღვთის რწმენა არ არის ადამიანისთვის მეორეული, ვიღაცის მიერ თავს მოხვეული, იგი ადამიანის არსების შემადგენელი და ორგანული ნაწილია, ყოველგვარი რელიგიური სისტემის, ანუ ადამიანის რელიგიური ცნობიერების საფუძველი კი ადამიანის მიერ ,,უხილავი და ზებუნებრივი სამყაროს რწმენაა''.[3]

ადამიანი თავის მოქმედებაში, აზროვნებაში, საზოგადოებრივ ცნობიერებაში და ზნეობაში ხელმძღვანელობს ღვთაებრივი და არა მხოლოდ ადამიანური კრიტერიუმებით. იგი უფრო მეტს ხედავს თავის ყოფაში, საზოგადოდ, ყოფიერებაში და სამყაროში, ვიდრე აღქმით და გონების თვალით შეიძლება იქნას დანახული... ადამიანი ისტორიის მანძილზე ავლენს თავს, როგორც რელიგიური კაცი ანუ რწმენის კაცი და არა მხოლოდ მკეთებელი, მოაზროვნე და სხვა.[4]

ადამიანის ეს ქვეცნობიერი თუ ცნობიერი უნარები რწმენის ,,პირველ ქმნილობითვეა'' მოსული დღემდე მთიელი კაცის ,,ღვთისმსახურებაში''. მათ მიერ ფორმულირებული ლოცვითი მიმართვები ამის ნათელი დადასტურებაა (,,სულის სიჯანსაღე'' და ,,სიმრთელე'' ყოფილა ამის მიზეზი!)

შეიძლებოდა ოდესმე ადამიანს, რელიგიურ არსებას, რელიგიურ კაცს ყოველივეს შემქმნელის'' ხატად პირუტყვი წარმოესახა?!, არადა უძველეს და უზენაეს ღმერთად ქართველებში (სვ. ფუსნაბუასდიშ || ,,ხოშა ღერბეთ'' - დიდი ღმერთი!) მიჩნეულია ,,ღვთაება ბოსლა'' - ზოომორფული არსება ანუ ხარი. მის უძველეს ეპითეტს კი - სვ. ,,ბამბღუ'' წარმოადგენს,[5] ხოლო ქართველების უძველეს მზის ღვთაებას ,,ძროხების გამამრავლებელი'' - ქალ-ბაბარი.[6]

რას შეეძლო ამის გაფიქრებაც კი (არა თუ დამტკიცება!) თუ არა ავადსახსენე-

---

[1] ნ. პაპუაშვილი, 1996, გვ. 22.

[2] ნ. პაპუაშვილი, 1996 წ. გვ. 21

[3] იგივე, გვ. 16-17.

[4] ზ. კიკნაძე, სტატია ''რწმენის კაცი'' გაზ. ,,ჯვარი'', 1993 წ. №1.

[5] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვ.) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953. გვ. 112 და გვ. 118.

[6] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1941. ასევე, ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, 1939წ.

ბელ ,,ულმერთობის პერიოდს'', ეპოქალურ ტრაგედიას, რომელმაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა, მთიელი კი დღემდე დატოვა არარელიგიურ არსებად... (არა ადამიანად!), ,,პირუტყვთა თაყვანისმცემლად''... (,,ცოცხლად დამარხულიც'' ამას ჰქვია!). ჩანს, ,,რელიგიური გადმონაშთების'' ამდაგვარად ,,შესწავლის'' გზით აპირებდნენ ,,ულმერთონიც'' ადამიანში ადამიანის მოსპობას... და ეს გახდა არა მხოლოდ ,,ულმერთოთა კავშირის'' ტრაგედია...

ქართველმა დღემდე შემოინახა ღვთის მსახურებისას შესაწირის ორი სახე 1) ცხოველური - ზვარაკი და 2) მცენარეული - პური - ზედაშესთან ერთად. სვანეთში მცენარეული ,,შესაწირის'' ზოგადი სახელწოდებაა ,,ლემზირი''. ლემზირს, ჩვეულებრივი პურისაგან განსხვავებით, გვერდებზე სამ სხვადასხვა ადგილას გაკეთებული აქვს სამი ცალი ,,ლემზირი''. ამ ,,სამ ერთნაირი'' ,,ლემზირის'' ფორმის (ვგულისხმობთ ,,კუწუბოს'') დასახვით ჩვეულებრივი პური (სვ.დიარ) ხდება ,,არაჩვეულებრივი'', ანუ სალოცავი ,,ლემზირი''. სალოცავი პურის სახელწოდებიდან მომდინარეობს ლოცვის სვანური ტერმინიც ,,ლიმზირ'' და მლოცველის ლექსემაც; მემზირ || მგმზირ || მგმზგრი. ერთ ფუძედ შექმნილა ოთხი ცნება: ლემზირ (კუწუბო) ლემზირ (სალოცავი პური) ლიმზირ (ლოცვა) და მემზირ (მლოცველი). ამ ოთხივეს ფუძედ კი - ,,მზირ'' გამოიკვეთა. ,,მზირ'' ფუძიდან წარმოებულთა სემანტიკურ საფუძველს სალოცავი პურის ,,სამი ცალი ლემზირი'' წარმოადგენს და იგი გვაფიქრებინებს მიმართულებას ერთი გარკვეული ,,სიბრტყიდან'' (მიწიდან) მეორე გარკვეულ ,,სიბრტყისკენ'' (ცისკენ!), ანუ მიმართულებას მიწიერის ლოცვისას ზეციერისადმი. ,,მიმართულება'' ამ შემთხვევაში მლოცველის მზერა და გულისყურია!

ივანე ჯავახიშვილს მზის სახელის სრულ ფორმად მიჩნეული აქვს სახელი ,,მზირა''. საერთო ქართული ,,მზირა''-ს გვერდით დგას მეგრულ - ჭანური მზის წინანდელი სახელი ,,მჟარა'' და სვანური ,,მიჟ''. მაგრამ, მისი აზრით, მზის სახელი (,,მზირა'') თავდაპირველად მნათობის თვისების ზოგადი აღმნიშვნელი სიტყვა, მიმღეობა ანუ ზედსართავი სახელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში ქართულში მზის აღმნიშვნელ ტერმინად, აფხაზურ - ჩერქეზულში კი მთვარის აღმნიშვნელად იქცა.[1]

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართულად მზეს ,,მზირა''-მდე ,,არდი'' უნდა რქმეოდა, ხოლო მთვარეს ,,თუთე''. ქართველებს ,,მზის დღედ'' (იგივე მზირას დღედ) კვირა დღე გვქონია. (,,მზის დღე, ქაშხა || ბჟაჩხა, მგჟლაჳდელ''), მთვარის დღედ კი - ორშაბათი (,,მთვარისა, თუთაჩხა თუთაშხა,დოშდიშ). სულხან-საბა მზის დღეს ანუ კვირა დღეს ასე განმარტავს: - ,,კვირიაკე, საუფლო''.[2] ასე რომ მზის ერთ-ერთი უძველესი ფორმა ,,მზირა'' და მისგან მიღებული ლექსემა ,,მზე''-ც საკრალურია და დაკავშირებულია უფალთან. ,,მზირ'' საკრალური ცნება გამოხატავს, პირველ რიგში, ნათებას (ბრწყინვალებას, ბზინვარებას - ივ. ჯ.) ,,რაიმე საგნისას ანუ ,,არდი''-სას და, მეორეც, იმასაც, რომ ეს ,,ბრწყინვალე რაიმე საგანი'' არსებობს სხვაგან (ცაზე) და იგი იდუმალია ადამიანისთვის: ხედავენ მხოლოდ მის წვასა და ნათებას! ხედავენ იმასაც, რომ თავის (ადამიანის) სამყაროზე (მიწაზედ) მისი ძალით (მანათობელი სხივით) იშვის სიცოცხლე, სვანურად ,,ლირდე''. (ხომ არ არის იგი ,,არდი''-ს შესატყვისი?). ამ საიდუმლო არსობით ,,მზირა'', მანათობელი რამ სხეული, უკავშირდება ,,კვირიაკეს'' ანუ ,,საუფლოს'' - უფალს! (,,ღმერთი არის სიცოცხლის მზე'').

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.1 1979 გვ. 169.

[2] იგივე, გვ. 170 და 171. ასევე გვ. 164.

ამდენად, ტრიადა, ,,მზირ''-იდან ნაწარმოები სახელებისა: ლემზირ (ნაწიბური), ლემზირ (სალოცავი პური), ლიმზირ (ლოცვა) სემანტიკურად და ეტიმოლოგიურადაც უკავშირდება უფალს, ღმერთს ,,ყოვლიერების შემქმნელს'', რომლის არსსაც ხილული მზე განასახიერებს. მისი მსახურების აზრს კი სალოცავი პურის ფორმა: მრგვალი, გადაბრუნებული ხმიადი პური ,,სამი ლემზირით''. სალოცავი პურის ფორმაც და მასზე დასახული ,,სამიც'' საკრალურია (რიცხვი ,,სამიც'' საკრალურია რიცხვ ,,ერთ''-თან!). გამოდის რომ, პლანეტა მზის ქართული სახელწოდება ,,მზე''-ც საკრალურია. და იგი ,,ერთ''-ის, უფლის, არსის მომცველია; მისი წვის და ნათების ,,მამზირალი'' ადამიანია მისი საიდუმლოების მსახურიც. ადამიანი მლოცველია სალოცავი ,,ლემზირით''.

,,ლემზირში'' ლე - ქართული სა-ს შესატყვისი პრეფიქსია. თუკი შევცვლით ლე-ს სა-თი მივიღებთ ,,სა-მზირ''-ს ანუ ,,სა-მზეოს - ,,მზისთვის განკუთვნილს'' ,,მზისკენ მიმართულს'' ანუ ,,საკვირიაკოს'' და ,,საუფლოს'', მაგრამ ,,მზე'' ხომ ქართველთათვის, პირველ რიგში, ქალია!..

,,სამზეო'' (საუფლო) ლემზირები, ანუ სალოცავი პურები, სვანეთში მზადდებოდა იმ ფქვილისაგან, რომელსაც ასევე საკრალური სახელწოდება ,,ლამშრია გუ̈ᲘᲖ'' ერქვა. ლამშრია კი - ქალების და მიწის მფარველი ქალღვთაებაა სვანეთში. აღნიშნული ჩვენ იმასაც გვაფიქრებინებს, რომ სახელწოდება ,,ლამშრია'' ნაკლებად უნდა მომდინარეობდეს ებრაული ქალის სახელისაგან - ,,მარიამი'': ,,ლამარიას'' ეტიმოლოგიას ახსნა სვანურშივე მოეპოვება და მისი დაკავშირება ღვთისმშობელთან ქრისტიანულად წინაქრისტიანულის გადასხვაფერება, გადაქცევა და შეცვლა უნდა იყოს.

ვფიქრობთ, ,,ლამშრია''-ს ფუძე ,,ლიმშრეა'' ლიმშრეს ფუძე კი მშრე; კაცი არა მარტო მამრობითი სქესის, არამედ ორივე—ადამიანი! (ზურშლმშრე - დედაკაცი, ღვაუმშრე - მამაკაცი). ლიმშრე ზმნაა და კეთებას, მზადებას, ვინმეს მიერ რაიმესაგან რაიმეს შექმნას ნიშნავს (ლეზბი ლიმშრე - საჭმლის დამზადება, ზექი ლიმშრე - შეშის დაჩეხვა, დამზადება, გეზლა ლანგზშრვითე ლიმშრე - შვილის სამგზავროდ მოწყობა, მომზადება და ა. შ). ამდენად, ჩვენის გაგებით ლამშრია არის ადამიანის მიერ ღვთის მსახურებისათვის საჭირო მზადების (შექმნის!) მომცველი, ეს არის მისი არსობრივი ფუძეც.

,,ლამშრიას'' ფუძე ,,ლიმშრე'', საკრალური ხდება იმის გამო, რომ ,,რაიმეს დამზადება'' დაკავშირებულია წმინდა საქმესთან. კერძოდ, ზეციერის მსახურებასთან ანუ ,,ლიმზირ''-თან. ,,ლიმზირ''-ისთვის ,,ლემზირია'' საჭირო. ლემზირის ლიმშრე კი - სალოცავად გამზადებულ პურის ფქვილისგან ხდება ანუ სალემზირე პური არის ლგმშრე პური, რომელსაც ასევე ,,წმინდად'' შესწირავენ სხვას; უხილავს, ზეციურს და წმინდას. ლიმშრე მიწის ღვთაების უპირველესი ფუნქციაა. ეს მისი უნარია, შემოქმედთა მსახურებისთვის განკუთვნილი.[1]

სალემზირე პური წმინდად ლგმშრე პურია (წყგლიშნ დიშრ || წყგლიშნ ლემზირ). ,,წმინდად ლიმშრე'' შესაწირისა (ამ შემთხვევაში მცენარეული შესაწირისა) ქმნის საკრალურ ცნებას: ,,ლამშრია გუ̈ᲘᲖ'' და, იგი ნიშნავს ,,წმინდად ლგმშრეს'' ქონას! (გუ̈ᲘᲖ სემანტიკურადაც და ეტიმოლოგიურადაც ქონას ნიშნავს!) ანუ ქონას იმისას, რაც ადამიანის ხელით წმინდად არის მოწეული და იგი აქვს მას წმინდის || უხილავის (რწმენით არსებულის) წმინდად მსახურებისთვის. მაგრამ მორწმუნე კაცმა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1972 წ. გვ. ტ. 1.

ისიც იცის, რომ შესაწირის მოწევა მხოლოდ თავისი შრომის შედეგი არ არის. იგი მიწისა და მზის საოცარი ბუნებრიობის ნაყოფია, რომელნიც ადამიანისთვის აუხსნელი შესაძლებლობებით ქმნიან ყოველივეს და მათ შორის ,,გუ̈ზ"-საც. სწორედ ამ აუხსნელი შესაძლებლობის მქონე უხილავნი, უცნობნი, მაგრამ ,,წმინდანნი" გადაქცევია მას ,,ზეციურ არსებებად" (ყოვლის შემძლეებად!) და მათ მსახურებად მოუწვევია ,,წმინდა გუ̈ზიც", წმინდა ლემზირიც მსახურების წესად კი - ,,წმინდად მსახურება მიუკუთნებია. სწორედ ამ უხილავი შესაძლებლობის გამოა ,,გალმერთებული" მიწაც და ცაც; მიწის წმინდა მფარველად მიწისავე ფუნქციიდან მომდინარე წმინდა სახელია მიჩნეული - ,,ლამა̈რია"! (ლიმა̈რე - შექმნა), ხოლო ასევე ,,უხილავი შესაძლებლობის გამო გალმერთებული" ცის არსება, ქვეყნის მანათობელი, არდისთვის ,,მზირა"-ს ფუნქციის გამთავისებელი სახელი ,,მზე"-ა მიკუთნებული (იგი იწვის და იმზირება"... ,,ღმერთი არის ხედვა და წვა"! - ს.ს.ორ.), მისი ცხოველმყოფელი წვის ,,შემყურეა" ადამიანი.

ყოფაში ,,ლემზირების" შემქმნელი ქალია. ქალია ,,ლამა̈რია̈ გუ̈ზ"-ის მომწევიც. ქალის ,,სიწმინდე" განაპირობებდა გუ̈ზის, ლემზირის და ლიმზირის არსობას მთლიანად.

ოჯახი უმეტესად გამოყოფდა საგვიზე მიწას. მიწის ამ ნაკვეთზე (ლაგუ̈ზ), მხოლოდ, საღვთოდ მოსაწევი მცენარეული ითესებოდა. იქნებოდა იგი საუკეთესო ხორბალი - ,,კუ̈ეცენ", ფეტვი - ,,ფატ" თუ კანაფი - ქან. ლაგუზის დახვნა, დათესვა, მომკა, გალეწვა, დაფქვა თუ სხვა სამეურნეო საქმენი ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, ,,თუკი ,,წჯლიან ლა̈ს მეზგე ი სოფელ"! ანუ 1) სოფელში მკვდარი არ იყო და 2) ოჯახში დედათა წესის მქონე ქალი არ იყო. მხოლოდ ამ ორ შემთხვევაში ითვლებოდა ,,წმინდად" ოჯახიც და სოფელიც. მხოლოდ ამ ორ შემთხვევაში იყო დასაშვები ,,წმინდის" - ღვთის მსახურება. თუკი, ოჯახს მიწის სიმცირის გამო ლაგუზის გამოყოფა არ შეეძლო, ხორბლის ყანაშივე ამოარჩევდნენ მკისას საუკეთესო თავთავებს და მათ ცალკე დაამუშავებდნენ, ან პირველ გალეწილ კალოდან საუკეთესო ხორბალს გამოყოფდნენ და მას ცალკე, საგვიზედ შეინახავდნენ (ლატალი).

ადამიანის (ქალის) მიერ ასე წმინდად მოწეული მცენარეული სწორედ რომ საღვთოდ იყო განკუთვნილი. აღნიშნულ სამუშაოებს, ხვნისა და ლეწვის გარდა, ქალები ასრულებდნენ უფროსი დიასახლისის (ხოშა ზურა̈ლ) ხელმძღვანელობით. მოწეული გუიზი წმინდად ინახებოდა საკუჭნაოში (გუ̈ემ || გემ). მას აქაც ,,უსუფთაო" (,,ურწყულ" ,,უწმინდური") ქალი ვერ მიეკარებოდა: ლემზირებსაც მხოლოდ უფროსი დიასახლისი აცხობდა. ჩანს, საღვთოს მომზადებისას ადამიანიც (ქალი) კი საკრალურია; ,,წმინდაობა"ჩვეულებრივ ქონას მცენარეულისას, არაჩვეულებრივ ქონად - ხორბლის ,,გუ̈ზ"-ად გადააქცევდა. ასე იქმნებოდა ქალის ნახელა̈რი ,,ლამა̈რია"-ს ნახელარად, ქალი ,,ყოფიერ შემოქმედად", ,,ლამა̈რია" კი უხილავ წმინდანად, მიწის ბუნებრიობის წმინდა განსახიერებად! ამიტომაც იტყვიან სვანები: - ლამა̈რია გიმჟი სგუ̈ეჯი!", ლამარია მიწაზედ საუფევსო, ან, ლამარია იყოს თქვენი მფარველი! - როდესაც მამაკაცები ლოცავენ ქალებს. კაცთათვის კი ამგვარი შემწე ,,ჯგგრა̈გია" მხოლოდ!

სწორედ ქალისაგან (ვიზუალურად კი უკვე მიწის ღვთაება ლამა̈რიასაგან) ასე შექმნილ გუ̈ზიდან ანუ ლამა̈რია გუ̈ზ-იდან (|| ლამა̈რია ტაბლა̈შ) იქმნება ყველანაირი ფორმის ,,ლემზირი" - სალოცავი პურები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია ის გარემოებაც, რომ ,,ზებუნებრივის" არა თუ პირველი მსახუ-

რი, წარმომსახავიც ქალი უნდა ყოფილიყო. ზებუნებრივის არსობა კი მის მიერ საკუთარი ბუნებრიობის შესაფერისად არის პირველ რიგში წარმოდგენილი; მიწის მფარველი ქალური ბუნებრიობა ,,ლამპრიაა'' და მზის სიწმინდის გამომხატველიც ქალღვთაებაა. ეს ორი არსი კი ერთიდაიგივე, ანუ ,,ერთის'' არსობად და ყოველივეს დამამზადებლად || ყოველივეს შემქმნელადაა მიჩნეული. ახალი წლის დღის ტრადიციით, ამ იდეურ სახეს, ,,ერთ''-ის იდეად კრავს და გამოხატავს ,,დპლ ეშხუამიშ''-ის სახელდება. ამავე დროს, დპლ ქალის სახელწოდებაა სვანეთში და იგი ქალის უმშვენიერესობის, უთეთრესობის, ზეაღმატებული სილამაზის მტვირთველია და არა მხოლოდ ქალის საკუთარი სახელი. მონადირეთა მფარველი ქალღვთაებაც დპლია. დღესასწაულით დპლ, მზის ღვთაების საკრალურ სახელწოდებად გვევლინება.

,,ეშხუ''-ს ვიზუალურად წარმოსახულ იდეას ყოფიერად ავლენს ,,ლემზირ''-ის საწყისი სახე (მისი ფორმა) და მიწიერის მისით ,,ლიმზირი''. ,,ეშხუ''-ს ანუ ,,ერთის'' იდეა ღვთის იდეაა და ჩანს, იგი რწმენის პირველ საფეხურზე ქალურ ბუნებრიობად გაიაზრებოდა; სვანეთში ჯუპრ ეშხრმიშ[1] და დპლ ეშხრმიშ ერთიდაიგივე ცნებებია. დპლის შენაცვლება ჯუპრით არ არის შემთხვევითი და იგი არსის იგივეობიდან მომდინარედ არის მისაჩნევი. საქალებო ლემზირის ზედაპირზე დასმული სამი და ოთხი ნაჩვრეტი, ხაზობრივი გადაკვეთით ქმნის ჯვარს: ჯვარს სამმკლავიანს და ჯვარს ოთხმკლავიანს. ზოგადად კი ეს ორივე სიბრტყეში - წრეში დასახული - ჯვრებია. ასევეა სამამაკაცო ლემზირებზეც ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სამმკლავიანი და ოთხმკლავიანი ჯვარიც სიბრტყეზე, წრეზე არის დასახული. ანუ მათი მკლავები წრის გარეთ გამოდის

(ყველაფერზე მამრობითი არსის მეუფების გამომხატველი გრაფიკული ნიშნები)

ეს კი ნიშნავს მამრობითი არსის მეუფებას როგორც ქალურ ბუნებრიობაზე, ისე მთელ სამყაროზე. ეს არსი დიდი ღმერთის, მამაზეციერის არსი და ლიჟელუ̄ია. თუკი გავიხსენებთ იმასაც, რომ საახალწლო გუ̄ის ნაცრისაგან და ლამპრიპ ფქვილის ხსნარისაგან იხატებოდა საწესო გრაფიკული ხელოვნების წმინდა საგნები და მათ შორის ჯვარი, აღნიშნულში ერთხელ კიდევ დავრწმუნდებით!

რადგან, ,,ერთ''-ის იდეა ,,ყოველივეს შემოქმედი'' ღვთის იდეაა, ღვთის გენეზისიც მხოლოდ და მხოლოდ მზეს უკავშირდება: სვანური დიდი ღმერთი || ,,ფუ̄სნა ბუპსდი'' უზენაესი ქალღვთაების (მზის ღვთაების!) ადგილშენაცვლებული სახეა, სახე ისევ ყოველივეს შემოქმედისა (ოღონდ მამრული არსით!), მაგრამ მათი არსობის ადგილთა გადანაცვლება არ გვესახება ჩვენ არანაირ ,,რევოლიციურ ცვლილებად'': იგი კანონზომიერების წვდომის სურვილი და ამავე დროს კანონზომიერებათა ამღიარებე-

[1] ჯუარ ეეშხუამიშ (ლახმულა) - ,,ჯვარი ეეშხუპმისა'' იხ. ვ. ბარდაველიძე სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი ახალი წლის ციკლი, 1939. გვ. 80.

ლია ღვთის ჭეშმარიტების აღიარებასთან ერთად. ,,ყოველივეს შესაქმის'' იდეას, რომლის ზებუნებრივ შემოქმედთა მსახურებაცაა ახალი წლის ციკლის სამი დღე, აღნიშნული არანაირ მნიშვნელობას არ უცვლიდა: ,,ყოველივეს შესაქმე'' აზრობრივად ამ ორის ერთარსობასაც იტევდა იმთავითვე!..

მზე დედაო ჩემი, მთვარე მამა ჩემი—უთქვამს ქართველს, ,,მზე დაწვა და მთვარე'' შობა!.. ესეც ჩვენი ნათქვამია იმასთან ერთად, ლექსად რომაა აღნიშნული. ,,მე და ვარ და ის ძმა არის, რად ვძულდებით ერთმანეთსა!'' (იგულისხმება მზე და მთვარე).[1] აქედან გამომდინარე, არც ისაა გასაკვირი, თუ რატომ იხატებოდა ,,წმინდა საგნების'' ჭრელებით გომურის ტიხრები თუ სვანური სახლის ავეჯეული, რატომ იხატებოდა ისინი გუბიზის ნაცრით და ,,ლამარიას გუბიზის'' ხსნარით, რატომ იყო მისი მხატვარი ქალი, დიასახლისი, რატომ იყო ყველაფერი გასულიერებული და, საერთოდ, რატომ არსებობდა ჩვენს მიერ აქსიომირებული ,,ყველაფრის კულტი''?

შეეძლო ბუნებასთან ორგანულად დაკავშირებულ ადამიანს, ბუნების უხილავ კანონზომიერებათა ,,საიდუმლოს ამომხსნელს'' სხვანაირად წარმოედგინა საკუთარი თავიც და გარემომცველი სამყაროც, თუკი თავისი თავიც ზებუნებრივის ნობათად მიაჩნდა? და შეეძლო კი არსებობა ამ ,,ყოვლიერის შემქმნელის'' რწმენის მსახურების გარეშე? ჩანს, არც შეეძლო და ვერც შეძლო, რამეთუ თავის თავშივე მოსპობდა ადამიანს: სულს, გონს და აზროვნებას, გადაიქცეოდა უტყვად! არაფრად! არარაობად!..

ამდენად, ,,ქართული ღმერთის'' ეტიმოლოგიისა და სემანტიკის გააზრების იდეურ (წინაქრისტიანულ!) საფუძვლად ჩვენ მიგვაჩნია ქალ-ღვთაება მზე, რომლის პირველი საკრალური მსახურიც ,,მიწის წმინდა არსი'' ლამარიაა. მზის ქალური საწყისის ბუნებრიობის გარდასახვა მამრულ ბუნებრიობად ჩანს ასევე წინა ქრისტიანულია და თვით იდეა ღმერთის ,,სამობისა'' ასევე, წინა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაშია თავშეფარებული. იგი იკვეთება ასე: დამბადებელი შემქმნელი შექმნილი!

ჩანს, ქართველთა უძველეს რწმენა - წარმოდგენებშივე არსებობდა ის აზრობრივი ფენა, რომელმაც უაღმატებულესი არსის წარმომჩენი ლექსემის - ღმერთის ჩამოყალიბება შეძლო. ,,ერთი''-ს იდეური (პარადიგმული) არსებობა აღნიშნულის დამადასტურებელია. ,,ერთი'', ერთის მხრივ, კონკრეტდება ,,მზით'' და ,,ლამარიათი'' რაც თავის თავშივე იტევს ცისა და მიწის კავშირის უძველეს იდეას და, მეორეს მხრივ, ,,ერთი'' იტევს ,,მეორე არსის'' (,,მეორ''-ის) ამ ,,ერთი''-ს არსთან განუყოფლობას; ,,ერთ''-არსება ორის ,,პირველობას''. აღნიშნულის გამო მიგვაჩნია ჩვენ შესაძლებლად წინაქრისტიანულ მსოფლხედვაშივე, მზის ქალღვთაების სახიერებაში ,,მამა-ზეციერის'' პარადიგმული სახის არსებობა. ქრისტიანულმა მსოფლხედვამ კი აღნიშნული მკვეთრად გამიჯნა პირველისაგან და მივიღეთ ,,სამობის'' სხვაგვარი გააზრება: მამაღმერთი, ძეღმერთი და სულიწმინდა, ნაცვლად ჩვენს მიერ წარმოდგენილი ხალხური ,,სამობისა''.

აღნიშნული საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ შემდეგი; დიდი ღმერთის ,,სწავლება'' ქართველებში არ უნდა წარმოშობილიყო ,,მზის კულტისა და ხარის კულტის შერწყმის ნიადაგზე''. ამას ეწინააღმდეგება როგორც ,,ადამიანის არსობა'', ასევე მისი გონით შექმნილ დღესასწაულთა რიტუალური მხარე რელიგიურ მსოფლხედვასთან ერთად. არც ერთ ეტაპზე ადამიანი ყოველივეს შემოქმედად ხარს

---

[1] ხალხურ თქმათა ციტატები აღებულია ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევიდან ,,ქართველთა წარმართობა'', ქართველი ერის ისტორია ტ 1. 1979 წ. გვ 98-99.

არ წარმოიდგენდა; იგი ამ შემოქმედის ,,რაიმე'' თვისების სახიერი მჩენია პირველ რიგში, და შემდეგ მისი ,,უდიდესი შესაწირი'' ადამიანისაგან გაღებული. ამაზე მეტყველებს სვანების არა მარტო ახალი წლის ციკლის წესიერებანი, არამედ მთელი წლის საწესო კალენდარი (რიტუალური მხარე!) და მიწიერის მსახურების წესრიგიც), ,,ლემზირები'' და ,,ლიმზირი''.

არც დღესასწაულთა საკრალური იდეა და არც შესაწირი ლემზირების სახითობა არ გვაძლევს ზემოთ აღნიშნულის დაშვების შესაძლებლობას. სარიტუალო ლემზირებში არ არსებობს ,,ხარის თავის'' ანუ ,,ხარის შუბლა'' ლემზირის სახე, შესაბამისად ღვთის ზოომორფული ხატება ღვთის ხატი.

ყოველივე ამის მტკიცებას ჩვენ კვლავ შევეცდებით იმავე ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, რომელიც ქალბატონ ვ. ბარდაველიძემ შეკრიბა და გამოიყენა საკუთარი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად. ამჟამად ვისაუბრებთ ისევ ახალი წლის ციკლზე, კონკრეტულად საახალწლო - სარიტუალო პურებზე, სადაც ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, გამოვრიცხავთ ,,ხარის შუბლა'' ლემზირის არსებობას. ეს კი ძირითად ფაქტად მიაჩნია ხარით მეკვლეობასთან ერთად, ქალბატონ ვერა ბარდაველიძეს, ღმერთის პირველი სახის - ,,ზოომორფულ ბოსლას'' გამომავლინებლად. (ბასილა, ბომბღია ბამბღუ უძველესი ეპითეტებია ღმერთის).

ახალი წლის ციკლის დღეთა (,,სამი დღე''!) საკრალური იდეა გამოხატულია სალოცავი საწესო პურების ფორმით, რაოდენობით, შექმნის დროით, შეწირვის წესით, მლოცველით და თვით მათი ოჯახის წევრების მირთმევის წესითაც. გავიმეორებთ იმას, რომ საახალწლო ლემზირები მზადდებოდა წმინდად მოწეული ლამჭრიან გუ̃ᲘᲖ-ისაგან, რის გამოც მათ ხშირად ლამჭრიან ლემზირებიც ეწოდება.

ლახამულას მოსახლეობის მეორე ნაწილში (პირველზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი) საახალწლო ლემზირები მზადდებოდა ᲔᲔშხუამის საღამოს. ახალი წლის მოსალოცკალათაში ჩადებდნენ სხვებთან ერთად ,,ორს ჩვეულებრივი სახის ლემზირს, ერთს კი - ჯვარის სახისას, რომელსაც სახელადაც ,,ჯუ̃ᲐᲠ'' ეწოდებოდა. სანოვაგით დატვირთული გიდელი აჰქონდა მეორე სართულზე (სადაც ის ღამეს ათევდა) ქორა მგჭეშხი, რადგან მას ეშხუამ ღამეს სახლის ,,შინაში'' დაწოლა ეკრძალებოდა. სწორედ ამ გიდელით ასრულებდა სახლის პირველი მეკვლე მეკვლეობასაც. ხელის ახსნის წესის შესრულებამდე გიდელიდან ამოალაგებდნენ სამეკვლეო სანოვაგეს და მრგვალ მაგიდაზე (ფიჩქ) დააწყობდნენ უკლებლივ ყველას, გარდა ლამჭრია ლემზირებისა. ეს ლემზირები, როგორც აღინიშნა, იყო ორი ცალი, რომელთაც ზედაპირზე სამ ადგილას თითით ჭდეები ჰქონდა გაკეთებული (და ამით განსხვავდებოდა ის ჩვეულებრივი ლემზირისაგან, რომელიც საახალწლოდ მრავალი ცხვებოდა!). ამ ორ ლამჭრიან ლემზირს მყისვე შესჭამდნენ, რადგან ,,უწენა'' იყვნენ ისინი - ოჯახისთვის უცხოს არ უნდა დაენახა. ხოლო ჯვრის სახიანი ლემზირით სხვა სამეკვლეო ნივთებთან ერთად ხდებოდა ოჯახის წევრების ლიშაᲨᲘ;[1]

ჩუბეხევში ლამჭრია ლემზირები ცხვებოდა ,,ლამარია ტაბლაშის'' ფქვილისაგან (,,ლამარია გუ̃ᲘᲖ''). სამწუხაროდ, აქ არ ჩანს არც მათი ფორმა და არც სიმრავლე. ჩანს, ისინი ისეთივე იყვნენ, როგორც ეს სხვაგანაა აღნიშნული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვ. ბარდაველიძეს განმარტებული ექნებოდა.[2] ჩებუხევში მთელს სამეკვლეო

---

[1] ვ. ბარდაველიძე... კალენდარი, გვ. 79-80. 1939 წ.
[2] იგივე, გვ. 81-82.

გიდელს და მის ნივთებს ლაჭშხიარ ერქვა და შესაბამისად სალაჭშხიარო ლემზირებს - ლაჭხიარ ლემზირალ.

ფარში ეეშხუამ საღამოს დამზადებულ ლაჭშხიარს, ანუ ლაშიაშალს, წარმოადგენდა ლემზირები, შემდეგ მათზე ზემოდან დადებული დიდი ზომის ყველიანი პური ,,ლესკარი'' და მათზე ზემოთ მოთავსებული დანარჩენი: გოჭის თავი, წველა ყველი, წერქჭუ, კანაფ, ბამბა, ვერცხლის ფული ვაშლში ჩარჭობილი, ჯამით პურის ფქვილი; ბამბა და კანაფი ჩამოცმული იყო ჩიჩილაკის მსგავს გათლილ ტოტზე, რომელსაც ფეხ ეწოდებოდა და ისიც გიდელში იყო მოთავსებული.[1]

ეცერში საახალწლო ლაჭშხიარში მოთავსებული იყო ჯერ კარჩით ლამარიშ ტაბლაში, ზედ ხაჭაპური - ლაჭშხიარ ქუთ, მის ზემოთ პუხუარ და სხვა დანარჩენი სასურველი სალაჭშხიარო ნივთები.[2]

ცხუმარში ლაჭშხიარის საწესო პური იყო ლამარია ტაბლაშისაგან გამომცხვარი დიდი ზომის პური, რომელსაც ჩატანებული ჰქონდა ყველისა და ლორის ჭაჭების ნაჭრები.[3]

ბეჩოში ლაჭშხიარის საწესო პურს წარმოადგენდა ,,მუქეღუს''- სახელწოდების ლემზირი, რომელსაც ჰქონდა ,,ჯვრის'' სახე.[4]

ბალს ქვემო სვანეთში ესენია ის საწესო პურები, რომლებიც თავსდებოდა სამეკვლეოში, ლაჭშხიარში. ეს პურები, როგორც აღინიშნა, ცხვებოდა სარიტუალო ფქვილისაგან, რომელსაც ბალს ქვემო სვანეთში ლამარია ტაბლაშს ეძახდნენ. ამ პურებს სხვანაირად ლამარიშ ლემზირებიც ჰქვია. საწესო სალაჭშხიარო პურების რაოდენობაც და ფორმაც სვანეთის ამ რეგიონში სხვადასხვაა, მაგრამ მათი არსი ერთიდაიგივეა. ისინი: ა) სალაჭშხიარო, ბ) სალაშიაშო პურები და გ) ლამარია ტაბლაშისაგან დამზადებული საწესო ლემზირებია. ამდენად, საწესო სალაჭშხიარო პურები ბალს ქვემო სვანეთის სოფლებში ჩნდება შემდეგი სახით:

ა) ,,ლამარია ლემზირის'' სახელწოდებით. იგი არის მრგვალი ფორმის და ზედაპირზე დასახული აქვს სამი (სხვადასხვა ადგილას) ჭდე. საწესო ეეშხუამის დღეს იგი ცხვება 2 ცალი. ესენი უწენალებიცაა და მათ ლიშიაშიმდე შეჭამდა მთელი ოჯახი.

ბ) ჩვეულებრივი ლემზირები მრგვალი, სამლემზირდასახული, მრავალი.

გ) ლემზირები და მათთან ერთად დიდი ზომის ყველიანი პური ,,ლესკარის'' სახელწოდებით.

დ) თვით ,,ლამარია ტაბლაში'' (ფქვილი, ხის ჭურჭლით გიდელში მოთავსებული), ხაჭაპური ,,ლაჭშხიარ ქუთ''-ის სახელწოდებით და პუხუარ-ის სახელწოდებიანი პურები. (მცირე ზომის ულემზირო კვერცია პუხუარ).

ე) დიდი ზომის პური, რომელსაც ჩატანებული ჰქონდა ყველისა და ლორის ჭაჭების ნაჭრები.

ვ) მუქეღუ-ს სახელწოდებით არსებული საწესო პური, რომელსაც ჰქონდა ,,ჯუარ''-ის სახე.

ზ) ორი ჩვეულებრივი სახის ლემზირი და მათთან ერთად ერთი ცალი ჯვრის

---

[1] იგივე, გვ. 83-84.
[2] ვ. ბარდაველიძე... კალენდარი. გვ. 86. 1939 წ.
[3] იგივე, გვ. 87.
[4] იგივე, გვ. 88.

სახის ლემზირი, სახელით „ჯუარ“.

ბალსზემო სვანეთის სოფლებში ტრადიცია სამეკვლეო პურების შემდეგ სახითობას გვთავაზობს: ვერა ბარდაველიძის „კალენდარში“ ვკითხულობთ, რომ ლატალში „საღამოს, მზის ჩასვლამდე, სახლის უფროსი ქალი, მერბიენელი, გამოიტანდა კერიასთან შემოდგომიდან შენახულ ლამპრიშ გუნიზს და გამოაცხობდა სამ ცალ პურს: ერთი განკუთვნილი იყო დიდი ღმერთისათვის და ეწოდებოდა ხოშა ღერბეთიშ ლესკარ, მეორე - ღვთაება ლამარიასათვის და ეწოდებოდა ლამარიშ ლესკარ და მესამეს მუქელუ-ს ეძახდნენ. ქორა მახუში გოჭის ფეხის ძვლით კერიის წინ ამ ლესკარებს აჭრელებდა და თან გაიძახოდა: ხარი, ხარი, ხარი, ძროხა, ძროხა, ძროხა: ვერძი, ვერძი, ვერძი: ვაცი, ვაცი, ვაცი: ვაქიშვილი, ვაქიშვილი, ვაქიშვილი: ადამიანის მშვიდობა, ადამიანის მშვიდობა, ადამიანის მშვიდობა; ბედნიერი რძალი, ბედნიერი რძალი.

ლამარიაშ ლესკარი ქალების საჭმელი პური იყო. კაცებს მისი შეჭმა არ შეეძლოთ, ხოლო „ხოშა ღერბეთ“ ლესკარის შეჭმა ქალებისთვის აკრძალული იყო, ის მხოლოდ კაცებს უნდა შეეჭამათ. რაც შეეხება მუქელუს, მას შეინახავდნენ და როცა ნაახალწლევს ხარებს ყანაში ან ტყეში გაიყვანდნენ პირველად, მათ ამ კვერს შეაგებებდა წინ ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი. მარჯვენა მხრიდან მოუვლიდა, წინ დახვდებოდა და წარმოთქვამდა შემდეგ ლოცვას: წლის შემცვლელი კარგ წელს შეგიცვლიდეთ, კარგი მუშაობის დრო გქონდეთ!

მესამე დღეს მუქელუს ოჯახის წევრი მამაკაცები შეჭამდნენ ისე, რომ ნამცეცი არ დავარდნოდათ. ნამცეცის გადაგდებას ძალიან ერიდებოდნენ და ამიტომ სვანი მუქელუ-ს ჩოხის კალთაში (ლახზარაწლში) შეჭამდა შემდეგი სიტყვებით: ვიდრე ამას არ მოძებნიდეთ, ჩემი მარცხი არავის გაეგონოსო“.[1] აღნიშნული პურები იყო „ლაჭშხიარი“.

ლენჯერში სალაჭშხიარო პურებია: „ორი კვერი, რომელთაგან ერთი მრგვალი იყო და შუაზე ჰქონდა თითით გაკეთებული ჯვრის გამოსახულება. მეორე საქონლის ფეხის ძვლით (ჭიშხით) დაჭრელებული ლემზირი. ჯვრის სახიან კვერს მუქელ-ი ეწოდებოდა. ამ ორ კვერს ერქვა ლენჯერში „ნაჭშხუნი“.[2]

მესტიაში ნავახშმევს დიასახლისი აცხობდა მუქელუ-ს, ორ ნაჭშხუნს - ერთს საკაცებოს, კუწუბებიანს (მუჭუარ-ით) და ერთს ქალებისათვის - ჭდეებიანს. მუქელუ შედარებით უფრო მოზრდილი კვერი იყო. გამომცხვარ ნაჭშხუნებს მერბიენელი ისეთ ადგილას შეინახავდა, რომ უცხოს ვერ დაენახა, რადგან ისინი ლალუყაჯი იყო. მეორე დღეს საქალებო კვერს ქალები და საკაცებოს კაცები შეექცეოდნენ უცხო პირთაგან დაფარულად. როდესაც მუქელუის და ნაჭხუნის მოცომილ გუნდებს მერბიენელი გახურებულ ფილაქანზე (კა-ზე) დადებდა, ის შემდეგნაირად ლოცულობდა: - დიდო ღმერთო, კარგი წელი შეგვიცვალე, საქონელსაც და ადამიანსაც, წლის მოსავლით გაგვახარე, საქონლის სიმრავლით, ადამიანის მშვიდობით, ზაი ზომხა მოგვასწარი კარგ გულზე.[3] ზაი აქ მთელი წლის, წელიწადის აღმნიშვნელი ცნებაა, ხოლო ზომხა ახალი - წლის პირველი დღე, შეშხუამის შემდეგი დღეა.

---

[1] ვ. ბარდაველიძე... კალენდარი. 1939 წ. გვ. 92-93. გვ. 94. მათ ფორმაზე აქ საუბარი არ არის.

[2] იგივე, გვ. 95. 1939 წ.

[3] ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. გვ. 97-98.

მეორე დღეს (ზომხას) ლიშაშალის წესი ცეცხლის პირას სრულდებოდა: ,,უფროსი მეკვლე ლალაშიდან ამოიღებდა მუქეღუ-ს, რომელსაც შემოხვეული ჰქონდა წერექუ-ი, მას ზემოდან ლემზირ-სა და ყველის წველას დაადებდა, სათითაოდ შემოივლიდა ოჯახის წევრებს და ყოველ მათგანს მუქეღუ-ს მარჯვნივ დაუტრიალებდა და დალოცავდა: ოჯახის მოხუცს უმტკივნეულოდ ჯანმრთელ ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებდა, მოზარდს ეტყოდა სახელოვანი ვაჟკაცი გაზრდილიყო, ხნიერ მანდილოსანს ბედნიერ სიბერეს უსურვებდა, ახალგაზრდა ქალს კარგ ბედსა და ილბალს. დალოცვილი პირი მუქეღუ-ს აკოცებდა, ხელის ამხსნელს (მგშიაშალ-ს) ყველისა და ლემზირის ნაჭრებს ჩამოართმევდა და შეჭამდა. ამ დროს მეორე მეკვლე მას არყით სავსე სასმისს მიაწვდიდა, რომლის გამოცლის შემდეგ სასმისს ძირს დადგამდა, რადგან ზომხა დღეს ცარიელი ჭურჭლის ხელში მიწოდება არ ვარგოდა. ლიშაშალის შემდეგ ნაჭხუნ-ის ზიარება ხდებოდა: საქალებოს ქალები მიირთმევდნენ - საკაცებოს კაცები. შემდეგ საქონლის მომვლელი - მგნნი, აიტანდა დარბაზში ერთ ლემზირს, იქ საქონლის ბარაქისთვის ილოცებდა და შეწირულ კვერს იქვე თივაში შეინახავდა. ამავე დროს მერბიელი პურეული ბარაქისათვის მეორე ლემზირით მაჩუბში ილოცებდა და ლემზირს კიდობანში დადებდა.[1]

მულახში ნაჭშხუნუარს შეადგენდა სამი კვერი: ერთი საკაცებო სამყურა (მეჭუარინი), რომელსაც ზომხა დღეს მხოლოდ მამაკაცები ჭამდნენ, მეორე საქალებო, ლამარია ლემზირი, სამჭდიანი, რომელსაც ახალ წელს ქალები შეექცეოდნენ და მესამე მოზრდილი ზომის ყველიანი კვერი, შუაზე ჯვრის გამოსახულებით, რომელსაც ფუსნა მუქეღუ-ი ეწოდებოდა. მათ აცხობდნენ გუიზისაგან.[2]

იფარში ნაჭშხუნებს წარმოადგენდა სამი ცალი პური. ,,მათ შიგთავსად პურისავე ღერღილი ჰქონდა ჩატანებული. ერთი მათგანი საკაცებო კვერები იყო - კაცების შესაჭმელი. ამ კვერს ნაპირებზე ,,რქები'' (მუჭრი) ჰქონდა გაკეთებული. მეორე კვერი საქალებო იყო, ასაკში მყოფი ქალების შესაჭმელი: მას ზედაპირზე სამი ჭდე ჰქონდა თითით გაკეთებული. მესამე კვერი ე. წ. ფუსნა მუქეღუ-ი, განკუთვნილი იყო დიდი ღმერთის სახელზე: ის თავისი მოყვანილობით (მრგვალი და შუაზე ამობურცული) სეფისკვერსა ჰგავდა. ამ სამ კვერს ერთად ნაჭშხუნი ეწოდებოდა''.[3]

კალაში ,,ნაჭშხუნუარ''-ის პურები იყო წვრილი ყველისგულიანი ლემზირები და მათ შორის ერთი პატარა ზომის ფუსნა ლემზირი, რომელსაც შუაზე ჯვრის გამოსახულებას უკეთებენ. ფუსნა ლემზირ სამეკვლეო გიდელში ყველა ,,ნივთის'' ზემოთ იყო მოქცეული.

ხოლო ამავე საზოგადოების მეორე ნაწილში ნაჭშხუნუარს შეადგენდა ერთი დიდი ზომის ყველიანი ლესკარი და ერთი პატარა კვერი, რომელსაც ფუსნა მუქეღუ ეწოდებოდა.[4]

აფხაზეთ სვანეთში ნაჭშხუნუარი იყო ერთი მრგვალი კვერი, რომელსაც ფუსნა მუქეღუი ეწოდებოდა და ერთი დიდი ზომის პური - ლესკარი, რომლის შუაგულზე თითით ჯვრის სახე იყო გამოყვანილი. ისინი აქაც სამეკვლეო შემოსალოც ლაჭ-

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 145-146. ზომხა მესტიაში. 1939 წ.
[2] იგივე, გვ. 99-100.
[3] ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. გვ. 101.
[4] ვ. ბარდაველიძე, იგივე, გვ. 104.

შხიარში თავსდებოდა.[1]

უშგულში ლაჭშხიარს შეადგენდა დიდი ზომისა და საშუალო ზომის პური უშდბალი-ს სახელით. ლაჭშხიარში მათთან ერთად თავსდებოდა ერთი ჯამი გრიზის ფქვილი.[157]

წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალა გვაძლევს მისი დაკონკრეტების უფლებას. კერძოდ: ამ რეგიონში სამეკვლეო პურები გვხვდება შემდეგი სახეობით:

ა) სამი ცალი საქონლის (გოჭის) ფეხის ძვლით დაჭრელებული ლემზირები; 1) „ლამარია ლესკარ", 2) „ხოშა ღერბეთი" ლესკარ, 3) მუქელრ - ხარების დასახვედრებელი პური (ვ. ბარდაველიძე) (ლატალი) ლამარიშ ლესკარ - საქალბოა, ხოშა ღერბეთი ლესკარ - საკაცო.

ბ) ორი კვერი (|| **ლემზირი**); 1) მუქელრ - მრგვალი და ზემოთ გაკეთებული ჯვრის სახე 2) საქონლის ფეხის ძვლით დაჭრელებული ლემზირი (ლენჯერი).

გ) სამი ცალი ლემზირი; 1) მუქელრ - მოზრდილი კვერი 2) საკაცებო. ყველგან, სადაც კი აღნიშნულია პურის „კუწუბო", „სამყურა", „რქები", „ნაწიბური" ნიშნავს „ლემზირ"-ს. (ნ. წ.) პური, რომელსაც გვერდზე სამ სხვადასხვა ადგილას ჰქონდა სამი ლემზირი 3) საქალებო პური - ზედაპირზე სამი ცალი ჭდით, სხვადასხვა ადგილზე. (მესტია).

დ) სამი კვერი; 1) საკაცებო სამლემზირიანი, 2) საქალებო - სამჭდიანი, „ლამშრიშ ლემზირის" სახელწოდებით. 3) „ფუსნა მუქელრი".

ე) სამი ლემზირი; 1) საქალებო, 2) საკაცებო, 3) „ფუსნა მუქელრ"-ი. ამ სამივეს „შიგთავსად ჰქონდა ხორბლის მსხვილად დაფქვილი „ღერღილი". (იფარი).

ვ) წვრილი ყველისგულიანი ლემზირები მათ შორის ერთი პატარა ზომის „ფუსნა ლემზირი", რომელსაც ზედაპირზე ჯვრის გამოსახულება უკეთდებოდა. (I ვარიანტი) და II ვარიანტი: 2 **პური** აქედან ერთი დიდი ზომის ყველიანი ლესკარი და ერთიც პატარა კვერი ფუსნა მუქელრი-ის სახელწოდებით (კალა).

ზ) ორი ლემზირი; 1) მრგვალი პური „ფუსნა მუქელრ"-ს სახელწოდებით და 2) ლესკარი (დიდი ზომის პური), რომლის შუაგულზე ჯვარი იყო გამოყვანილი (დალის აფხაზეთი).

თ) ორი ცალი 1) დიდი ზომის პური - ლესკარი და 2) საშუალო ზომის პური „უშდბალი".

ზემო სვანეთის ხალხური ტრადიცია აღნიშნულ საახალწლო საწესო პურებთან დაკავშირებით გვაძლევს მათთვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშან-თვისებების გამოყოფის შესაძლებლობას.

1) ამ რეგიონში საახალწლო საწესო პურები, ე. ი. ის პურები, რომლებითაც სრულდება „მახე ზ�ს" (ახალი წლის დღეს) საწესო რიტუალი მეკვლეთა მიერ, მზადდება წმინდა ფქვილისაგან, რომელსაც ბ. ქვ. სვანეთში ეწოდება „ლამშრიაშ ტაბლაშ" („ლამარიას ტაბლა") და ბ.ზ. სვანეთში - „ლამშრიშ გრიზ" - „ლამარიას გუიზი".

2) საახალწლო საწესო პურებს ეწოდებათ „ლაჭშხიარ" || „ნაჭშხუნ", || „ნაჭშხუნრარ" (მრ. რ.) ||„ნაჭშხუნი" || „ნაჭშხურა" || „ნაჭშხირა", || „ნაჭშხუნრარ" (მრ. რ.) ||„ნაჭშხუნი" || „ნაჭშხურა" || „ნაჭშხირა".

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. ეეშხუამი აფხაზეთის სვანეთში.

3) ამ პურებს აცხობს დიასახლისი - ,,ხოშა ზურაშლ''.

4) ამ პურებს ამზადებს იგი საღამოს, მზის ჩასვლამდე, ვახშმობამდე ან ვახშმის შემდეგ.

5) ისინი ყველგან თავსდებიან საახალწლო კალათაში სვ. ,,ლაჭშხიაში'' || ,,ლალაშ''. ,,ლაჭშხიარ კუიდრელ'' || ,,ლაშიაშშალ'' || ,,ლაშიაშშალ კარუა''.

6) ამ პურების დაცხობას უნდა დასწრებოდა ოჯახის ყველა წევრი. სტუმარიც კი (,,თათარი თუ ქრისტიანი''!) იმ ოჯახის წევრს, რომელიც ამ დროს სახლში არ იქნებოდა, ეკრძალებოდა ოჯახის საიდუმლო წესებზე დასწრების უფლება. დაცხობის მომსწრე სტუმარს კი უფლება ეძლეობა სხვა საიდუმლო დღეობებზე დასწრებისა.

7) საწესო პურების ფორმად აქ გვხვდება თითქმის ყველანაირი ლემზირი: ჩვეულებრივი ლემზირის ფორმიდან ჯვრის სახიანი ლემზირის ფორმის ჩათვლით.

8) მათი კუთვნილების და დანიშნულების მიხედვით გვიკონკრეტდება: ა) საქალებო და ბ) საკაცებო ლემზირები, რომლებიც ,,თავიანთ მეპატრონეების'' მიერ საიდუმლოდ იყო შესაჭმელი ახალი წლის დღეს. აქედან გამომდინარე, ისინი უმეტესად ხელისახსნის წესში (ლიშიაში) არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მონაწილეობდნენ პირველი მეკვლის მეკვლეობაში, რადგან ისინი (ე. ი. საკაცებო და საქალებო პურები) ჯერ კიდევ სამეკვლეო კალათაში იყვნენ მოთავსებული.

9) ხელის ახსნის წესი ყველგან ხდება იმ სახის ლემზირით, რომელსაც მუქეღუ, და მისი სხვადასხვა სახელითი ვარიანტები წარმოგვიდგენს.

10) საწესო პურების დაჭრელება ხდება გოჭის ფეხის ძვლით, მას აჭრელებს მამაკაცი კერიის წინ შესაბამისი სურვილების შესახელებით.

11) ამ პურების შიგთავსია მსხვილად დაფქვილი ხორბალი, ყველი, გოჭის ჭაჭის ნაჭრები.

12) სამამაკაცო პურის გარდა მხოლოდ მამაკაცებს უნდა ეჭამათ ასევე მუქეღუ-ს სახელიანი საწესო პური (ლატალი, მულახი, კალა), იქ არც ერთ შემთხვევაში არ არის აღნიშნული (ვგულისხმობთ ვ.ბ. კალენდარს) ,,მუქეღუ''-ს ,,შეჭმა'' ხარების მიერ. - აღნიშნულია მხოლოდ, რომ ამ კვერს პირველად ხარების სამუშაოზე გაყვანის დროს კარებთან დახვედრებდნენ და ხარ-მეხრეს ბედნიერ, მშვიდობიანი წლის გატარებას უსურვებდნენ. მუქეღუს მამაკაცები მიირთმევდნენ ისე, რომ ,,მისი ნამცეციც კი არ უნდა დავარდნოდათ მიწაზე''. აღნიშნულის გამო, ჩვენ უვარგყოფთ ,,მუქეღუ''-ს ხარებისთვის მიკუთვნების აზრს. (იგი ეკუთვნის ვ. ბ.-ს). რწმენა, მისი სხვანაირი (ხალხური!) ინტერპრეტაციის წარმოდგენის შესაძლებლობას გვთავაზობს.

ქვემო სვანეთში ვახშმობის შემდეგ დაცხობილ ნაჭშხურას წარმოადგენდა: 1) დიდი ზომის პური (საუკეთესოდ ითვლებოდა გობისოდენა!) შემდეგნაირად დაცხობილი: აფუებული პურის ცომში შეურევდნენ ზომხაგ-ის ქონს (ღრესე-ს), აზელდნენ და შემდეგ გაბრტყელებულ გუნდას გარედან აფუებულ ცომს შემოაკრავდნენ და ისე გამოაცხობდნენ. 2) ,,ფუსნა ტაბგლი'' ღვთაება ,,ფუსნა ბუასდის ტაბგლი'', რომელიც იყო პატარა ან საშუალო ზომის ჯვრის სახედ გამოყვანილი.[1] (სასაში).

სხვაგან საფერხავი პურები იყო ორი ცალი ქონიანი ნაჭშხურა და ერთი ყველიანი ჯვრის სახედ გამოყვანილი, ,,ფუსნა ლემზირის'' სახელწოდებით''[2] (ჟახუნდერი).

ჩოლურში - ორი დიდი ზომის კვერი საახალწლო ღორის ქონით შეზავებული.

---

[1] ვ.ბარდაველიძე, კალენდარი, 1939 წ. გვ. 110.

[2] იგივე, გვ. 112.

ერთ მათგანს ნაპირებზე ოთხი ,,ყური'' ჰქონდა გაკეთებული, მეორეს კი შუა ადგილას ოთხი ჭდე. პირველ ნაჭშხურას (ე. ი. ოთხ ,,ყურიანს'') ,,ფუსნა ტაბგლი'' ეწოდებოდა, მეორეს კი - ,,ლამპარიჴ შილგგნე'', იგი დედათა სქესის შესაჭმელი იყო. პირველი კი - მამაკაცების.[1]

ლენტეხში ერთი ცალი ნაჭშხირა მზადდებოდა. ეს იყო რაც შეიძლება დიდი ზომის პური (გობის ოდენა!) ზომხაᲘ ქონგარეული.[2] სხვაგან ორი ცალი. 1) ,,ფუსნა ლემზირი'' - დიდი ზომის ცერცვის - გულიანი და 2) ნაჭშხირა - ღორის ქონში არეული პური.[3]

სოფ. ფაყში მზადდებოდა საახალწლოდ ცერცვიანი ან ლობიოს გულიანი დიდი ტაბგლი, წვრილი ლემზირი და მათ შორის ,,ფუსტა ფისხუ'' || ,,ფუსნა ფისხ''.[4] ,,ფუსტა ფისხუ''-ს მოსახელე პურის ფორმაზე ქალბატონი ვერა აქ არაფერს გვამცნობს. ამიტომ კითხვის ნიშნის ქვეშ ჩნდება მისი სხვა ლემზირებისაგან განსხვავებაც ფორმის მიხედვით. მხოლოდ აღნიშნულია, რომ ამ სახელწოდების პური ,,მონაწილეობდა'' ამ სოფლის ქალების (ოჯახის მანდილოსნების) შეშხფაჴმის || ლიძიენჴლის ღამეს შესასრულებელ ,,ალაგი ლიხ̄ელეს''-ს წესში, სხვა ლემზირებთან ერთად. ეს ლემზირებია: ,,ფუსნა ფისხფი'', ნამგლის სახის ლემზირი, კენჭივით მრგვალი და პატარა ლემზირი''. ამ სამივეს მარილი ჰქონდათ ჩატანებული და მათ ,,ზენჴხარი'' ეწოდებოდა. ეს სამი კვერი აუცილებლად ოჯახის უხუცეს ქალს უნდა გამოეცხო.[5] აღნიშნული წესის აღწერისას, ,,ფუსნა ფისხფ''-ს სახესა და ფორმაზე, ახალს ვერაფერს ვერ ვიგებთ. ერთი კი ფაქტია, მას რომ ხარის ფორმა, როგორც მთლიანი, ან მისი რომელიმე სხეულის ნაწილისა (თავი, შუბლი...) ჰქონოდა, ავტორს იგი აუცილებლად აღნიშნული ექნებოდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს კვერი არაფრით არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი კვერებისაგან, ყოველ შემთხვევისათვის მას არც ჯვარი ჰქონდა ზემოდან დასახული და არც ნაჭდევები.

სვანური ხალხური დღეობების ,,კალენდარს'' (ვ. ბ.-სი) დართული აქვს ილუსტრაციები. აქ ტაბულა II-ზე მოთავსებულია ,,ზენახარის'' სურათი, რომელსაც ვერა ბარდაველიძე ასე განმარტავს ,,სურ. 1 ,,ზენახარ'': a ,,დფალ'' b ,,უემურ'', c ,,დოშდულ'', d ,,ჯფარ'' - მიწისადმი განკუთვნილი კვერები, ქალების შესაწირავი - სოფ. ლაჯრებულა, ლენტეხი''.[6] აქ, ,,ფუსნა ფისხფ''-ს სახელიანი ლემზირი არ არის ნახსენები,თუმცა ისიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, განკუთვნილია როგორც მიწისადმი ისე საახალწლო დღისადმი, კერძოდ ,,ახალი წლის'' მფარველისადმი (ფუსდ!). ეს ეთნოგრაფიული მასალა აღებულია ქალბატონ ვერას მიერ სოფ. ფაყში, ხოლო სურათები ზენახარისა სოფ. ლაჯრებულაში, მაგრამ ისინი ორივე ლენტეხის რაიონის (ერთი რეგიონის) სოფლები არიან. თუკი ,,ზენახარში'' გარკვეულ სხვა სახიანი ,,ფუსნა ფისხფ'' იარსებებდა, იგი ქალბატონ ვერას, ნამდვილად, არ გამოეპარებოდა (მისი უნიკალური წესრიგი მასალათა დაფიქსირებისა ამის შესაძლებლობას არ მისცემდა). ვფი-

---

[1] იგივე, გვ. 113.
[2] იგივე, გვ. 114.
[3] იგივე, გვ. 114.
[4] იგივე, გვ. 115.
[5] ვ. ბარდაველიძე, კალენდარი 1939 წ. გვ. 119. სოფ. ფაყი. ლენტეხი.
[6] იგივე, სურათების სია. ტაბულა II, გვ. 230.

ქრობთ, „ფუსნა უისხუ“-ის სახელიანი პური ჩვეულებრივი სახის ლემზირია „მარილ-ჩატანებული“. მიწისადმი მისაძღვნელი პურების რიგში ამ ლემზირის აღნიშნული სახელწოდებით (და არა განსხვავებული ფორმით!) არსებობას სხვანაირი ახსნა მოეპოვება.[1] ეს ახსნა კი არ გვაძლევს იმ მოსაზრების გათავისების შესაძლებლობას, რომ ახალი წლის დღის მფარველი (ფუსდი || ღერბეთი შემდეგში!) პირველად ზოომორფული (ხარის!) ბუნების ყოფილიყო. „ფუსტა“ ფისხუ“-ის მოსახელე ლემზირი იგივე არსობისაა რაც ზემო სვანეთის ტრადიციებში დადასტურებული „მუჟელუ“, მისი სხვადასხვა ეპითეტებით.

ქვემო სვანურ ტრადიციაში

1) საახალწლო პურები ცხვება შეშხუამ-ს || ლიძიენაწლს, ღამით ვახშმობის შემდეგ.

2) მათ ამზადებს სახლის უფროსი დიასახლისი.

3) აღნიშნულ რეგიონში საფერხავ პურებს ეწოდებათ „ნაჭშხირა“.

4) ისინი აქაც სამეკვლეო გიდელშია მოთავსებული.

5) ისინი აქაც წარმოადგენენ საქალებო და საკაცებო პურებს.

6) არიან შიგთავსიანნიც და უშიგთავსოც.

7) მათ დამზადება - დაცხობას აქაც ესწრებიან ოჯახის წევრები.

8) გვხვდებიან შემდეგი რაოდენობით:

ა) ორი ცალი: 1) ღორის ქონის შიგთავსიანი დიდი ზომის, 2) ფუსნა ტაბგლი“ - პატარა ან საშუალო ზომის ჯვრის სახედ გამოყვანილი. (სასაში).

ბ) სამი ცალი: 1) ერთი ყველიანი ჯვრის სახედ გამოყვანილი „ფუსნა ლემზირის“ სახელწოდებით 2) ორი ცალი ქონიანი პატარები (ჩვეულებრივი ლემზირები!) (ქახუნდერი).

გ) ორი ცალი: ორივე მრგვალი კვერი საახალწლო ღორის ქონ შეზავებული; ა) „ფუსნა ტაბგლი“ გვერდებზე ოთხი ლემზირით. ბ) „ლამარია შილგნე“ - ზემოდან შუა ადგილას ცერა თითით გაკეთებული ოთხი ჭდით. (ჩოლური).

დ) ერთი ცალი: რაც შეიძლება დიდი ზომის, ზომხაი-ის ქონგარეული.

ე) ორი ცალი: 1) „ფუსტა ლემზირი“ - დიდი ზომის ცერცვისგულიანი, 2) ნაჭშხიარა - ღორის ქონში არეული პური.

ვ) წვრილი ლემზირები და 1) „ფუსტა ფისხუ“ (?). 2) ცერცვიანი ან ლობიოს გულიანი დიდი ტაბგლი.

თუ ზემოთ წარმოდგენილ ეთნოგრაფიულ მასალას „ძალზედ“ დავაკონკრეტებთ, მივიღებთ საფერხავი პურების შემდეგ გრაფიკულ სახეს:

A. ბალს ქვ. სვანეთში
(„ლაჭშხიარ“)

ლახამულაში ლაჭშხიარის პურებია

1) ჩვეულებრივი ლემზირები, მრავალი.

2) ჩვეულებრივი ლემზირისაგან განსხვავებული ლამარიან ლემზირი 2 ც. უწენა.

---

[1] აღნიშნული, მტვირთველია იდეის; „ცა გამაყოფიერებელია მიწის“. ანუ ფუსდ ანაყოფიერებს მიწას. ხარი აქ ფუსდის ბუნებრიობის მჩენია და არა იმისი რომ ფუსდი ხარია. ალაგი ლიხელეს რიტუალით მეტად კონკრეტდება ცით მიწის განაყოფიერების იდეა.

3) ჯვრის სახის ლემზირი, სახელწოდებით „ჯუარ". („ჯუარ")

ლაჭშხიარ ლახამულაში

ჩუბეხევში

1) ჩვეულებრივი ლემზირები.
თუ რა რაოდენობის იყო ეს ლემზირები ნაშრომში არ ჩანს.

ჩუბეხევში

ფარში

1) ჩვეულებრივი ლემზირები (რაოდენობა ?)
2) „ძალიან დიდი ზომის ყველიანი პური. (უსახელო)! (ვ.ბ.)
გოჭის ფეხის ძვლით დაჭრელებული.

ფარში

ეცერში

1) პუხუარ (დანიშნულება? ფორმა?)
2) ხაჭაპური - „ლაჭშხიარ ქუთ".

ეცერში

ცხუმარი

1) „დიდი ზომის პური - გულად ჩატანებული ჰქონდა ყველისა და ღორის ჭაჭების ნაჭრები"...

ცხუმარში

ბეჩოში

1) ჯვრის სახის ლემზირი ერქვა მუქელ-ი

ბეჩოში

B. ბალს ზემო სვანეთში „ლაჭშხიარ“ || „ნაჭშხუნუარ“ || „ნაჭშხუნი“

ლატალში „ლაჭშხიარს“ შეადგენდა:

1) ? „ხოშა ღერბეთიშ ლესკარ“ (საკაცებო)
2) ? „ლამარიაშ ლესკარ“ (საქალებო)
3) ? მუქელუ (ხარებისთვის დასახვედრებელი).

} ლატალი (ვ. ბ.)

1) ხოშა ღერბეთი ლესკარ||მუქელუ

2) ლამარიაშ ლესკარ

} ლატალი (ნ. წ.)

ლენჯერში სამეკვლეო პურებს „ნაჭშხუნი“ ეწოდებოდა.

1) მრგვალი, შუაზე ჰქონდა თითით გაკეთებული ჯვრის გამოსახულება. ერქვა მუქელუი.

2) საქონლის ფეხის ძვლით დაჭრელებული ლემზირი.

} ლენჯერში

მესტიაში

1) ? მუქელუი, სხვა ორისაგან განსხვავებით უფრო მოზრდილი (ფორმა ?)
2) საკაცებო, სამ კუწუბოიანი („მუჭუარ“) ლემზირი
3) საქალებო, სამჭდიანი ლემზირი

? (მუქელუი)

} მესტიაში

აქ შეინიშნება ის გარემოება, რომ საკაცებო და საქალებო პური შეშხუამის ღამესვეა შესაჭმელი. ქალებისა ქალების მიერ, კაცების პური - კაცების მიერ. ასე, რომ საახალწლოდ განკუთვნილი პური მხოლოდ მუქელუია.

მულახში („ნაჭშხუნუარ“.)

1) საკაცებო სამყურა (3 ც.)

2) საქალებო სამჭდიანი - „ლამპარია ლემზირ“.

3) „ფუსნა მუჟეღუ“, - მოზრდილი ზომის ყველიანი კვერი შუაზე ჯვრის გამოსახულებით.

იფარში („ნაჭშხუნი“)

1) საკაცებო კუწუბოიანი (3 ც.)

2) საქალებო ჭდეებიანი (3 ც.)

3) ფუსნა მუჟელუ-ი დიდი ღმერთისთვის განკუთვნილი. ფორმა - მრგვალი და შუაზე ამობურცული, სეფსკუერსა ჰგავს. (ვ.ბ.)

კალაში („ნაჭშხუნუარ“).

1) ყველისგულა წვრილი ლემზირები (? - რაოდენობა). I ვარიანტი.

2) ერთი პატარა ზომის „ფუსნა ლემზირი“, შუაზე ჯვრის გამოსახულება გაკეთებული.

II ვარიანტი

1) დიდი ზომის ყველიანი ლესკარი

2) ფუსნა მუჟელუ, პატარა კვერი (ფორმა - ?)

? (ფუსნა მუჟელუ) (პატარა კვერი ვ. ბ.) } კალაში

დალ-ის სვანეთში („ნაჭშხუნუარ").

1) ფუსნა̈ მუჟელუ-ი, მრგვალი კვერი (ფორმა ?)

2) ლესკარი, დიდი ზომის პური, რომლის შუაგულზე თითით ჯვრის სახეა გამოყვანილი.

? (ფუსნა მუჟელუ) (მრგვალი კვერი ვ. ბ.) } დალის სვანეთში

უშგულში

1) დიდი ზომის კვერი - „ლაჭშხიარ".

2) საშუალო ზომის კვერი - „უშდბალ".

(„ლაჭშხიარ") } უშგული

(„უშდბალ")

C. ქვემო სვანეთი „ნაჭშხურა" || „ნაჭშხირა"

ლაშხეთში (სასაში.)

1) დიდი ზომის პური. ზომხა̈ დ-ს ქონ გარეული.

2) „ფუსნა ტაბგლი" || ფუსნა ბუ̈ა̈ სდის ტაბგლი - პატარა ან საშუალო ზომის ჯვრის სახედ გამოყვანილი.

ლაშხეთში

(„ფუსნა ტაბგლ")

ყახუნდერში

1) ერთი ქონიანი პური

2) ერთი ქონიანი პური

3) ერთი ყველიანი, ჯვრის სახედ გამოყვანილი - „ფუსნა ლემზირი".

ნაჭშხურა

(„ფუსნა ლემზირ“)

ჟახუნდერში

ჩულურში

1) ერთი ქონიანი პური, საკაცებო

2) ერთი ქონიანი პური საქალებო

ნაჭშხურა.

ორივე დიდი ზომის, მაგრამ **პირველს** ნაპირებზე ოთხი „ყური“ ჰქონდა გაკეთებული

მეორეს კი შუა ადგილას ოთხი ჭდე თითით ჩარჭობილი. **პირველს** ერქვა „ფუსნა ტაბგლი“, **მეორეს** „ლამარიან შილგგნე“.

(„ფუსნა ტაბგლი“)

(„ლამარიან შილგგნე“)

ჩოლურში

ლენტეხში

„ნაჭშხირა“

I ვარიანტი

1) ზომხაეს ქონ შერეული გობისოდენა პური.

II ვარიანტი

1) „ფუსტა ლემზირი“. დიდი ზომის ცერცვის გულიანი და

2) ღორის ქონში არეული პური. სახელწოდებით „ნაჭშხირა“.

(„ფუსტა ლემზირი“ — ცერცვისგულიანი)

(ღორისქონიანი „ნაჭშხირა“)

III ვარიანტი

1) ცერცვიანი ან ლობიოიანი დიდი ტაბგლი.

2) წვრილი ლემზირები

3) „ფუსტა უისხუ“.

(ცერცვიანი ან ლობიანი დიდი ტაბგლი)

? („ფუსტა უისხუ“) (ვ. ბ.)

თუკი აქ ჩამოთვლილი სამეკვლეო პურებს თავიანთი საერთო სახითობის გამო გავაერთიანებთ და მათ გრაფიკულად გამოვსახავთ, მივიღებთ შემდეგს.

1) „ლემზირ“ ჩვეულებრივი ლემზირი || საკაცებო ლემზირი.

კერი || გიმი || ლამარიშ || დული ლემზირ || საქალებო ლემზირი - საქალებო ნაჭშხუნი.

2) ყველიანი პური || „ლაჭშხიარ ქუთ“.

3) „პუხუარ“ (ეცერი) ყველისგულიანი წვრილი ლემზირები.(კალა)

4) ჯვრის სახის ლემზირი, სახელწოდებით „ჯუარ“ (ლახამული) || „მუჟოლი“ (ბეჩო)

5) „მუჟეღუ || „ფუსნა მუჟეღუ“ (ყველ ჩართულია და უყველოც, პატარა კვერი). || „ფუსნა ლემზირ“ || „ფუსტა ლემზირ“ || „ფუსტა უისხუ“.

6) „ფუსნა ტაბგლ“ - საკაცებო პური. (ლემზირი) || ფუსნა ლემზირ. მისი ნაირსახეობა „ნეზუ - ტაბი ტაბგლ“ || „გუეჭ ტაბგლ“ (ქვ. სვანეთი).

7) საქალებო პური || „ლამარიშ ლემზირ“

საქალებო პური || ლამარია ლესკარ

8) საქალებო პური || „ლამარიშ შილგგნე“.

ლამარიშ შილგგნე

გვაქვს დიდი ზომის პურები, რომელთა ფორმის წარმოდგენა შეგვიძლია მხოლოდ პირობითად: მრგვალი და, ალბათ,[1] ლემზირებ დასახული. ზემოთ წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ამ სამეკვლეოდ აუცილებელი ,,დიდი ზომის პურები'' შემდეგი ,,ხასიათისაა''.

ა) ყველჩართული ე. ი. ყველიანი პური (,,ძალიან დიდი ზომის ყველიანი პური'' (ფარი)

ბ) ყველი და ღორის ჭაჭებჩატანებული. (ცხუმარი)

გ) მოზრდილი ზომის ყველიანი კვერი შუაზე ჯვრის გამოსახულებით მისი სახელწოდებაა ,,ფუსნა მუქელუ'' (მულახი)

დ) დიდი ზომის ყველიანი ლესკარი (კალა)

ე) ლესკარი, დიდი ზომის პური, რომლის შუაგულზე ჯვრის სახეა გამოყვანილი (დალი)

ვ) დიდი ზომის კვერი, სახელწოდებით ,,ლაჭშხარ'' (უშგული)

ზ) საშუალო ზომის კვერი, სახელწოდებით ,,უშდბალ'' (უშგული)

თ) დიდი ზომის პური ზომხაგ-ს ქონგარეული (ლაშხეთი)

ი) ყველიანი, ჯვრის სახედ გამოყვანილი სახელწოდებით ,,ფუსნა ლემზირი'' (ლაშხეთი)

კ) დიდი ზომის პური ცერცვის გულიანი და ღორის ქონიანი (ქვ. სვ.)

ლ) ცერცვიანი ან ლობიოიანი დიდი ტაბგლი (ქვ. სვ.)

გარდა ამისა, სახელწოდების (და არა ფორმის!) მიხედვით გვაქვს ასევე ლემზირები:

1) ხოშა ღერბეთიშ ლესკარ (დიდი ღმერთის ლესკარი) - საკაცებო პური.

2) ლამარიაშ ლესკარ - (ლამარიას ლესკარი) - საქალებო პური

3) მუქელუ (წინამძღოლი) - ხარების წინ დასახვედრებელი საკაცებო პური.

თუკი, ზემოთ წარმოდგენილი საახალწლო სარიტუალო პურებს, სახელწოდებათა მიხედვით დავალაგებთ, მივიღებთ შემდეგს:

1) „ჩვეულებრივი ლემზირი" ,,ლემზირი'' - მრგვალი, სამ ლემზირდასახული.

ლაჭშხარში ჩვეულებრივი ლემზირი ან 1 ცალი ან 2 ან კიდევ მრავალია (არ ჩანს რამდენი!). კუთვნილების მიხედვით ამ სახის ლემზირს განმსაზღვრელად ემატება ,,საკაცებო ლემზირი'', ე. ი. მისი ჭამა მხოლოდ მამაკაცებს ევალებოდათ. ამრიგად, ჩვეულებრივ ლემზირსა და საკაცებო ლემზირს აქვს ერთიდაიგივე ფორმა: მრგვალი, ნაპირებზე სამი ლემზირი (სამი კუწუბო, სამი რქა... ვ.ბ.) ასევე, ამ ტიპისაა საქონლის ძვლით დაჭრელებული ლემზირიც (ლენჯერი).

2) „ლაჭშხარ ქუთ" (ეცერი) (სალაჭშხარო ხაჭაპური)

ამ სახელწოდების ლემზირია ჩვეულებრივი ხაჭაპური, სამ ლემზირდასახული. ასეთივე უნდა იყოს, ,,უსახელო'', მაგრამ ,,ძალიან დიდი ზომის ყველიანი ლემზირი'' (ფარი) და ,,დიდი ზომის ყველიანი ლესკარი'' (კალა). (იხ. ზ. ნახ. 2).

3) „პუხუარ" (ეცერი)

---

[1] ვ. ბარდაველიძე აღნიშნული პურების ფორმაზე ყურადღებას არ ამახვილებს. მათ ლემზირები ექნებოდათ იმ ,,უბრალო'' მიზეზის გამო, რომ ყველა საკრალურ პურს, გარდა მიწისა და მიცვალებულისათვის მისაძღვნელისა, ლემზირები უკეთდება, მით უფრო სამეკვლეო პურებს.

ამ სახელწოდების კვერების დანიშნულებასა და ფორმაზე ,,სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი'' წარმოდგენას ვერ გვიქმნის. არც მათი რაოდენობაა გარკვეული, რამდენი ცალი იყო აუცილებელი ლაჭშხიარისათვის. ვიგებთ მხოლოდ იმას, რომ არსებობდა ამ სახელწოდების ლემზირები და ისინი შედიოდა სამეკვლეო კალათის ,,ნივთთა'' შემადგენლობაში: არც ის ვიცით ამ კვერებს ლემზირები ჰქონდა თუ არა ასახული.

ნაჭშხენრუარის შემადგენლობაში ერთგან (კალა) აღნიშნულია ,,ყველისგულიანი წვრილი ლემზირები''. რამდენადაც აქ არც მათი ფორმის და არც რაოდენობის შესახებ არაფერია თქმული, პირობით ესენიც შეგვიძლია გავაერთიანოთ აღნიშნული სახელწოდების ლემზირებში (პუხულდარ || პუხრუარ). ასეთივე პურები უნდა იყოს ,,წვრილი ლემზირებიც'' (ლენტეხი) (იხ. ნახ. №3).

4) „ჯრუარ"

ამ სახელწოდების ლემზირი ლაჭშხიარში წარმოდგენილია შემდეგნაირად;

ა) ჯვრის სახის ლემზირი, სახელწოდებით ჯრუარ (ლახამულა)

ბ) ჯვრის სახის ლემზირი, სახელწოდებით მუქელი (ბეჩო)

გ) მრგვალი, შუაზე ჯვრის გამოსახულებით ერქვა მუქელრი (ლენჯერი)

დ) მოზრდილი ზომის ყველიანი კვერი შუაზე ჯვრის გამოსახულებით. ერქვა ,,ფუსნა მუქელრ'' (მულახი)

ე) ერთი პატარა ზომის ,,ფუსნა ლემზირი'' შუაზე ჯვრის გამოსახულებით (კალა).

ვ) ლესკარი, დიდი ზომის პური, რომლის შუაგულზე თითით ჯვრის სახეა გამოყვანილი (დალი) და

ზ) ყველიანი, ჯვრის სახედ გამოყვანილი, ,,ფუსნა ლემზირი'' (ჟახუნდერი) ყველა ეს ლემზირი, ჯვრის სახიანი ან ლემზირზე (სალოცავ პურზე) ჯვარდასახული, წარმოადგენდა მხოლოდ მამაკაცების საკუთრებას - ,,მისი შეჭმა ქალებს არ შეეძლოთ! ყველა ეს პური ,,ხოშა ღერბეთის'' ,,კუთვნილება''იყო.

ამრიგად, ,,ჯრუარ'' ლემზირის პარალელური სახელწოდებებია ,,ფუსნა მუქელუ'', ,,ფუსტა ლემზირ'', ,,ლესკარ''-ი - ჯვარდასახული. ამ პურების ფორმასა და კუთვნილებაზე, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, წარმოდგენა გვექმნება. მაგრამ ვისი კუთვნილებაა ის კვერი რომლის სახელწოდებაც არის მხოლოდ ,,მუქელრ''. (ლატალი) და რომელიც ,,სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარშია'' აღნიშნული ვ. ბარდაველიძის მიერ.

აქ ამ სოფლის მაგალითზე არსებულ ეთნოგრაფიულ მასალაში ვკითხულობთ, რომ ა) ,,მუქელრ-ს შეინახავდნენ და როცა ნაახალწლევს ხარებს ყანაში ან ტყეში გაიყვანდნენ პირველად, მათ ამ კვერს შეაგებებდა წინ ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი; მარჯვენა მხრიდან მოუვლიდა და დალოცავდა - წლის შემცვლელის ძალის წყალობით, ახალი წელი თქვენთვის კარგად მუშაობის წელი იყოსო! და ბ) მუქელრ-ს შეინახავდნენ და მესამე დღეს მას ოჯახის წევრი მამაკაცები შეჭამდნენ ისე, რომ ნამცეციც არ დავარდნოდათ. მისი ზიარების შემდეგ იტყოდნენ: ვიდრე ამას არ მოსძებნიდეს ვინმე (თქვენ) მანამდე ჩემი მარცხი არავის გაეგონოსო.[1]

---

[1] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1939. გვ. 92, 93. ეშხუამ ლატალაში. და გვ. 140 ზომხა ლატალაში.

სამწუხაროდ, აღნიშნული ყოფითი მომენტიდან ჩვენთვის გაუგებარი რჩება: 1) ვისი სახელობისაა „მუქეღუ“, - ხარის?! მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მას ხარებს დაახვედრებდნენ ანდა „ლექეღი“[1] ყოფაში ხარები რომ არიან?!... შეგვიძლია კი, ამ მცირედი ფაქტის გამო, ეს კვერი ხარებს მივაკუთვნოთ?! თუნდაც მათი „მუქეღუ“ ხომ ყოფიერად ისევ ადამიანია. ისე კი, შეძლებით გამორჩეული ხარია ჯოგის მეთაური და სვანურად მისი საკრალური სახელწოდებაც არსებობს: „უისხუ“. (მის „დამბადებელს“ „მუსხუ“-ი ჰქვია და იტევს „გამორჩეულობის“ ლექსემას, რომელიც გამორჩეულისთვისაა შესაწირი. „უსხუ“ უცხუ-დან მომდინარეა და ნიშნავს უცხოს და განსაკუთრებულს. უცხოს და განსაკუთრებულს (არა თავისი ფიზიონომიით!), მხოლოდ და მხოლოდ იმით რომ „უცხო-სთვის და განსაკუთრებულისათვისაა იგი შესაწირი. (განსაკუთრებული განსაკუთრებულს ითხოვს!).

2) თუ „მუქეღუ“ ხარის კულტის მომცველია, რატომ არ შეაჭმევდნენ მათ ამ ლემზირებს? 3) რა განსხვავებაა ფორმის მიხედვით ლატალურ „ხოშა ღერბეთის“ სახელობის ლესკარსა და „მუქეღუ“-ს შორის? 4) რატომ არაა ეს განსხვავება აღნიშნული, თუკი არსებობდა? 5) თუკი მსგავსი დანიშნულების კვერი არსებობდა სვანეთში, რატომ არაა იგი სხვა სოფლებისთვისაც ნაცნობი?! - უძველესია და იმიტომ?!... რადგან აქ ლატალურ „მუქეღუ-ზეა საუბარი, საკითხი დგება ამდაგვარად; არსებობდა თუ არა საერთოდ ლატალურ „ლაჭშხიარის“ შემადგენლობაში იმ სახის კვერი, რომელიც ხარების კუთვნილი იყო იმდაგვარად, როგორც ეს „ლამარიას ლესკარისა“ და „ხოშა ღერბეთის ლესკარი“-ს შემთხვევაში გვაქვს.

ჩვენს მიერ ლატალის თემში დაფიქსირებული საველე მასალები უფლებას გვაძლევს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვაცხადოთ შემდეგი: ლატალური ლაჭშხიარის შემადგენლობაში შედის (და შედიოდა!) ორი და (არა სამი!) სახის სალოცავი პური - ლემზირი! ესენია:

1) „თხუმ ლემზირ“ || „ფუსნა მუქეღუ“ ანუ, უბრალოდ, „მუქეღუ“-ს სახელწოდების პური, განკუთვნილი დიდი ღმერთისათვის - „ხოშა ღერბეთ“ || „ფუსნა ბუსდიშია“. ეს პურია მრგვალი სახის და გაუბრტყელებელ გუნდაზევეა ამობურცული, ამოყვანილი და დასმული რელიეფური გამოსახულება.[2] ეს რელიეფური გამოსახულება იდენტურია იმ ლემზირისა, რომელსაც ლიფანჭლის მხატვრობა იძლევა.[3]

---

[1] ლიქეღუ ადამიანის მიერ ხარების გაძღოლის პროცესს ნიშნავს. მუქეღუ ამ შემთხვევაში მეხრეა. მაგრამ ზოგადად იგი წინდგომას, გაძღოლას, პირველობის მადლს და უნარს ნიშნავს. ამიტომ ეს ლექსემა არ ეხება მხოლოდ მიწიერს.

[2] მუქეღუს ზედაპირზე იგი ისახება შემდეგნაირად. მრგვალი გუნდის ზედაპირს მოაქცევენ სამთითს (ცერა, საჩვენებელი, შუათითი) შორის და ამ ცომის ზემოთ ამოწევით ზედაპირზე ჩნდება სამგვერდიანი გუმბათი. მისი დასმის შემდეგ ამ გვერდების ჩაყოლებაზე უკვე პურის ფუძედ შექმნილ გუნდას, გვერდებზე უკეთდება სამი ლემზირი. „გამოძერწილი“ ლემზირი უკვე „მუქეღუია“.

[3] ვ. ბარდაველიძე, ქართული... ნიმუშები, 1953, გვ. 38. ტაბ. XII. სურ. 7.

აქ ამ ლემზირის სახე ასეთია და ხატია იგი ამ სახის ლემზირთან

ასევე ორ ჯვართან და მთვარესთან ერთად.

აღნიშნულ ლემზირზე (იგულისხმება სურ. 7) ვ. ბარდაველიძე წერს; „ხარის თავის მოყვანილობის რიტუალური კვერი, პირველისგან (სურ.6) განსხვავებით, სპეციალური დანიშნულების იყო - ამ კვერს სვანები მხოლოდ „დიდი ღმერთის" სახელზე სწირავდნენ. ამგვარად გამოყვანილ ჭრელას მხოლოდ ამ ერთ შემთხვევაში ვამოწმებთ (ვ.ბ.) და ჩვენ იგი სვანების საწესო მხატვრობისთვის უცხოდ გვეჩვენება. (ვ. ბ.)[1] ნახატი შვიდის (სურ.7) ლემზირის ჭრელა „საღებავით" მკრთალად შევსებული კონტურია, ნახატი ექვსის - სილუეტური.[2]

საღებავით მკრთალად შევსებული კონტურითაა დახატული ტაბულა XIV-ის (ნახ.5) ლემზირი. მისი სახე ასეთია: იგი დახატულია სხვა საკრალურ საგნებთან. ესენია; ჯვარი ,მთვარე , „ხოჩა ჯუარ" (კარგი ჯვარი!) - ტოლგვერდიანი.[3]

ამ ორი ტაბულის „ლემზირის" ნახატების გარდა, წიგნის ილუსტრაციებში სხვა სახის ლემზირი არ არის ნაჩვენები. ამდენად, საწესო მხატვრობით, ლემზირი გვაქვს სამი სახის დახატული:

ამ სამიდან გრაფიკული სახეა მე-3-ის ხოლო, პირველი ჩვენთვის ხალხური ტრადიციიდან გამომდინარე, არის ამ ორივეს პირველი სახე ანუ სახე გაუბრტყელებელ გუნდაზე სამლემზირდასახული ლემზირის. მე-2 და მე-3, გაბრტყელებულ გუნდაზე სამლემზირდასახული ლემზირია. ეს კი გამორიცხავს „ხარისშუბლა" ლემზირის არსებობას ანუ იდეას იმისას, რომ „ხოშა ღერბეთის" შესაწირი ლემზირის ფორმა უნდა ყოფილიყო „ხარის შუბლი"! ეს რომ ასე არ არის, ამას ამტკიცებს ორი გარემოება: 1) ლემზირის დაცხობის (შექმნის) წესი და 2) არ არსებობს ამ ლემზირის ისეთი სახელწოდება, რომელშიც „დამალული" იქნებოდა „ხარის უზენაესობა"! იმდაგვარად, რომ მის სემანტიკას შერწყმოდა მზის ღვთაების არსი და მიგვეღო ღმერთის (სვანური „ხოშა ღერბეთის"!) არსობრივი ცნება. (ასეთ მნიშვნელოვანს, მთიელის წარმოსახვაში, დრო ვერც კი ერევა!...). ამას ამტკიცებს ისიც, რომ ლატალურ ლაჭშხიარის პურთა ფორმაზე „კალენდრიდან" საერთოდ ვერაფერს ვერ ვიგებთ. აქ ფორმაზე არ არის საუბარი, საუბარია მხოლოდ მათ კუთვნილებაზე: ერთი - ლამარიასია,

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1953 წ. გვ. 38.
[2] იგივე, იქვე 1953. გვ. 38.
[3] იგივე. გვ. 40. ტაბ. XIV.

მეორე - ხოშა ღერბეთის მესამე ხარების. (და მას მამაკაცები შეჭამდნენ) ხალხური ტრადიცია კი აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ლატალურ ლაჭშხიარში შედიოდა და შედის მხოლოდ და მხოლოდ ორი სახის ლემზირი: ერთი, ლამარიას სახელობის, მეორე - ხოშა ღერბეთის სახელობის ლემზირი - „მუჟელუ"-ს სახელწოდებით[1] იგი იმ წესით მზადდება, როგორც ეს ზემოთაა აღნიშნული. ლატალში ახალი წლისთვის განკუთვნილ „ხოშა ღერბეთის" სახელობის ლემზირს მხოლოდ და მხოლოდ ეს სახითობა გააჩნია. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ „ლატალური მუჟელუ" არის ლემზირზე დასახული ლემზირი, რომელიც პირობითად შეგვიძლია ასე გამოვსახოთ;

ამდენად ხალხურად არსებული ორი სახის ლემზირი ერთად ქმნის „ხოშა ღერბეთ"-ისთვის მიკუთვნებულ ლემზირის სახეს - „ლატალურ მუჟელუ"-ს. სვანეთში არ არსებობს სხვანაირი სახის ლემზირი, ვგულისხმობთ ჩვეულებრივ ლემზირს.

როგორც ჩვეულებრივი ლემზირის, ისე ლატალური მუჟელუს სემანტიკური (იდეური!) საფუძველი „სამია" და არა „ხარის შუბლი". „სამის" საკრალურობა უქმნის ჩვეულებრივ ლემზირსაც და „ხოშა ღერბეთის" სახის ლემზირსაც საკრალურ ფორმას. „სამის" იდეის გამოხატვაა ლემზირები და ამ იდეის მსახურია „ლემზირიც". ლატალური „მუჟელუ" „ხოშა ღერბეთის" რწმენასაც გამოხატავს და ადამიანის მოვალეობასაც — ღმერთის (ზეცის!) მსახურებას; ის ხომ ორი გაორმაგებული ლემზირია! აღნიშნულ ლემზირს თუ გრაფიკულად წარმოვსახავთ შედეგად მივიღებთ.

სფეროზე ერთი წერტილიდან (ცენტრიდან!) სამი „სხივის" გამოსვლას. ეს გრაფიკული სახეც წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, რომ ლატალური „მუჟელუ" - ხოშა ღერბეთისთვის მიკუთვნებული ემბლემა - კვერი, მთლიანობაში მოგვაგონებს სფეროსებურ სამყაროს, რომელზეც ფიგურირებს ერთი სათავე „სამი განშტოებით". ამდენად, ჩვენის აზრით, ამ პურზე დასახული „რამ" არ ქმნის „ხარის შუბლის" სახეს. იგი აზრობრივად ხაზს უსვამს „ერთი"-დან „სამი"-ს წარმოქმნის საკრალურობას, და პირიქით „სამი"-ს ერთობას! იგი გამოიხატება სწორედ იმით, რომ აღნიშნული იდეა, დასახული პური, არის „ხოშა ღერბეთის" კუთვნილი და ჰქვია მას „მუჟელუ"-ი, რადგან იგია მთელ სამყაროში ყველაფრის „მუჟეულ"-ი საწყისი! აღნიშნული, თავის თავშივე იტევს ცისა და მიწის მარადიული კავშირის იდეას და ეს ნიშანია იმისა, რომ „ხოშა ღერბეთის" ერთადერთობა უფროსობა და პირველობა არ არის მხოლოდ ზეცის კუთვნილი! იგი მიწიერისთვისაცაა არსებითი და უზოგადესად ჭეშმარიტი, რამეთუ ღმერთია ყოველივეს შემოქმედი!

2) მეორე სახის სალოცავი პური, რომელიც „ლაჭშხიარს" მიეკუთვნება არის „ლამარიას" სახელობის ლესკარი სახელწოდებით „ლამარიან ლესკარ". ფორმით ეს პური მრგვალი, ჩვეულებრივი ლემზირისაგან განსხვავებით ფართო და მოზრდილი, გადაბრუნებული პურია. თავისთავად, იგიც სამლემზირიანია. სახელწოდება „ლესკარი", პირველ რიგში, ჩვეულებრივი ლემზირისაგან განსხვავებული მოცულობის სა-

[1] ეს კატეგორიულობა მთხრობელთა პოზიციაა და არა ჩვენი!

ლოცაე პურს აღნიშნაეს. სხეა რომ არაფერი, მარტო ამ პურის სახელწოდება მიგეითითებს იმაზე, რომ იგი საქალებო პურია - ქალებისთეის საახალწლოდ მისართმეეი. პურის ფორმა გეიქმნის შთაბეჭდილებას იმისას, თითქოს იგი რაიმე სიბრტყის განსახიერება იყოს. პირეელი პურისაგან განსხეაეებით ის ხომ გადაბრუნებულად ცხეება. რას ნიშნაეს ეს?, - მიწის სამყაროს განსახიერებას? იქნებ ლამარია ხომ მიწაზედ მსუფეეი ღეთაებაა („ ლამარია გიმეი სგეჯი! - ლამარია მიწაზედ სუფეეს!), მიწა კი ბრტყელი ფორმითაა წარმოდგენილი „გაუნათლებელი" ადამიანის მიერ. ნაწიბური, ლემზირი, - კი მიმართულების აღმნიშენელ გამოსახულებად გეესახება. თუკი ეს ასეა, აღნიშნული პური მიწიერი არსების მიერ თაეისი „საცხოერებლის" სახედ შექმნილი პური უნდა იყოს. ნუ დაგეაეიწყდება ისიც, რომ „ლამარიას ლესკარი" ჩეეულებრიეი ლემზირის გადიდებული ფორმაა. აქედან გამომდინარე ჩეეულებრიეი ლემზირიც ამ იდეას უნდა ითაეისებდეს და პირიქით. ჩეეულებრიეი ლემზირის სახე ხომ სხეა ყეელა დანარჩენი ლემზირების საფუძეელია. აქედან გამომდინარე სალოცაეი პურის საწყისი ფორმაც და შემდეგ „განეითარებული" ფორმებიც თაეის თაეშიეე იტეეენ „ლიმზირის" იდეასაც. ანუ ადამიანის მიერ ცის მსახურებას, ის ხომ ღეთაებათა საუფლოა.

თაეის „საცხოერებლიდან" (მიწიდან) მიმართაეს ადამიანი იმ სამყაროს, რომელიც მის ზემოთაა და განაგებს მას. იგი მიმართაეს ამ სამყაროს უზენაესსაც, რამეთუ იგია შემქმნელი ყოეელიეესი: ცისაც და მიწისაც. ალბათ, ამ იდეის გამოცაა პირეელი სახის ლემზირი („თხუმ ლემზირ"-ი!) გადაუბრუნებლად გამოცხობილი! ის ხომ „ხოშა ღერბეთის კუთენილებაა", მის სადიდებლად შექმნილი.

შეუძლია კი ყეელაფრის შექმნა ხარს? - რაც არ უნდა მისი შესაძლებლობა მზის ძალასთან დაეაკაეშიროთ?... ბუნებრიეია, ეერც წარმოსახეა და ეერც ყოფის სიშიშელე ეერ გახდის ამ კაეშირიდან ყეელაფრის შექმნას მართებულს. მაშ ეის „ხელეწიფება" ყეელაფერი, ეინ არის პირეელი ანუ დიდი ღმერთი - „ხოშა ღერბეთი".

რწმენით, ეს „ღეთაება" სამყაროს პატრონია! („ფუსნა ბუსდიშ") ასეეე, „დამბადებელი დიდი ღმერთი"! („დამბადებელ ხოშა ღერბეთ") და ყეელა დანარჩენი ღმერთის მამა და უფროსი! „მან გაჭედა ცა და მიწას საფუძეელი ჩაუყარა, სხეადასხეა ღმერთებს მათთეის შესაფერისი საქმიანობა და მოეალეობა დაუწესა. თეითოეულ მათგანს ერთხელ და სამუდამოდ, უცელელად და ხელშეუხებლად საკუთარი გაელენისა და ბრძანებლობის სფერო შემოუსაზღერა, ყეელანი თაეის ნება-სურეილს დაუმორჩილა, ადამიანიც ქეეყანაზე თაეის მადიდებლად გააჩინა. დიდი პატრონი ზე ამაღლებულია („ხოშა ფუსდ ქიბე ლგკლათხე"), ის ცაზე (ეარიანტით მე-7 ცაზე!) სუფეეს, იქიდან უმზერს ზეცასაც და ქეეყანასაც: ქეეყნად ბალახიც კი არ შეიძერის ისე, რომ მან არ შეხედოს: მას თეალი უჭირაეს თაეის გაჩენილზე და სხეადასხეა ღმერთების მეშეეობით ქეეყანას განაგებს და მართაეს"[1] - ასეთია დიდი ღმერთი ხალხური წარმოსახეით. სახიერად კი, - მისი არსი „ლაჭშხიარის" ერთერთი პურით „მუქეღუ"-ით განსაზღერული.

ლატალური მუქეღუ ჰქეია (და ერქეა!) „ხოშა ღერბეთიშ ლემზირს" || ფუსდ აბუსდი ლემზირს" || „ფუსნა მუქეღუს || „თხუმ ლემზირს". სეანეთის სხეა სოფლებში ხოშა ღერბეთის სახელობის პურის აღმნიშენელი სახელწოდებანია: „ჯუარ", „ფუსნა ლემზირ" და ჯეარდასახული ლესკარი - ფუნქციით ესენი ყეელანი ერთიდაი-

---

[1] ვ. ბარდაგელიძე, 1953, გვ. 77.

გივენი არიან და ეკუთვნოდა მხოლოდ მამაკაცს. იგი, ჩანს, ზოგი სოფლის ტრადიციის მაგალითზე, ამ პურს ახალი წლის შემდეგ დაახვედრებდა ხარებს პირველად სამუშაოზე გაყვანის წინ. შემდეგ კი - თვითონ მიირთმევდა; დიდი ღმერთის მადლი ერთნაირად სჭირდებოდათ გლეხკაცსაც და ხარსაც. ჩანს, ამიტომაც ზრუნავდა ოჯახის მამაკაცი თავისი ,,მეგობრისთვის'' და, ბუნებრივია, უფათერაკო წლის დადგომას, კარგ სამუშაო დროს!'' უსურვებდა მასაც. მამაკაცები ამ პურს ისე უნდა ზიარებოდნენ, რომ ლუკმიდან ნამცეციც არ დავარდნოდათ მიწაზე, - მისთვის ფეხი არავის არ უნდა დაებიჯებინა: ეს პური ხომ ,,დიდი ღმერთის'' სიწმინდის და სიძლიერის განსახიერება იყო. ბუნებრივია, მისით ზიარება აღნიშნული რწმენის დაცვასაც მოითხოვდა.

ამრიგად, ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ,,ლატალურ ლაჭშხიარში'' შედის (და შედიოდა!) მხოლოდ ორი სახის და დანიშნულების ლემზირი: ერთი - ,,ხოშა ღერბეთის'' სახელობის ,,მუქეღუ'' ლემზირი, რომელიც იყო დიდი ღმერთისთვის განკუთვნილი საკაცებო პური და მეორე, ,,ლამარიასთვის'' მიკუთვნებული ,,ლამარია ლესკარი'', - საქალებო პური. არ არსებობდა ამ მომენტისთვის არანაირი მესამე, სხვანაირი სახელწოდების და დანიშნულების კვერი - ლემზირი. მით უფრო, ,,მუქეღუ''-ს სახელწოდებისა, რომელიც ხარებს განასახიერებდა.

ამ შემთხვევაში ,,მუქეღუ'' იგივე ,,ხოშა ღერბეთი ლესკარია'' || ,,ფუსნა ლემზირია'' || ,,თხუმ ლემზირია''. აქაც ამ ორ პურს ერქვა ,,ლაჭშხიარ''. ამასთან ერთად, ამ ორი პურის არსებობა აღნიშნულ საზოგადოებაში, სხვა სოფლებისგან განსხვავებით, არაფერს განსაკუთრებულს არ იძლევა: მხოლოდ ხაზს უსვამს და ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ აქაც, ისევე როგორც სხვაგან, საახალწლო საფერხავი პურები ,,ლაჭშხიარ || ნაჭშხენუარ'', წარმოადგენს მხოლოდ საქალებო და საკაცებო პურების ნაკრებს. აქ, საფერხავ პურებში, საერთოდ არ ფუნქციონირებს არც ფრინველის და არც ცხოველთა სამყაროსთვის მიკუთვნებული ან მისაკუთნებელი ლემზირი. ,,ნაჭშხუნი'' და ,,ლაჭშხიარი'' ორი ბუნებრივი არსის, ქალური ბუნებრიობის განმასახიერებელი ღვთაების (ამ შემთხვევაში ,,ლამარიას'') და მამრული ბუნებრიობის განმასახიერებელი განგების (ამ შემთხვევაში ,,ხოშა ღერბეთის'') ერთად არსებობის რწმენას იძლევა, რამეთუ ,,შექმნა - დაბადება'' ყოველივესი, წარმოსახვით მხოლოდ ამ ორი ბუნებრიობის ერთობის ხელმწიფეაა. (ბუნებრივია, ეს აზრობრივი წარმოსახვაა ადამიანისა და არა სექსუალური). ამიტომ ,,ლაჭშხიარის'' ,,მუქეღუ'' ეკუთვნის ,,ხოშა ღერბეთს'',რადგან მისია ყველაფრის უფლობა და ხელმძღვანელობა, ანუ იგია ნამდვილი ,,მუქეღუ''-ი: ,,დამკვალიანებელი'', ,,მაწინამძღვრებელი'' ,,დასაწყისიც და დასასრულიც!''. მისით იქმნება ყოველი, მაგრამ, ჩანს, არა მარტო მისით: ,,ლამარიაცაა'' ამისთვის აუცილებელი. ლამარია ხომ უპირველესად მიწიერის მსახურებას ნიშნავს წმინდად, მარადის მსახურებასაც. მაგრამ ამ შემთხვევაში ლამარია დალ-ის შემცველლია, რადგან დალი უკვე დაკნინებულია და ყოფაში ერთ შემოქმედად დიდი ღმერთია არჩეული. ქალურ ბუნებრიობას მხოლოდ მისი რწმენით მსახურების ფუნქცია აქვს შენარჩუნებული ისე, რომ ,,შესაქმეში'' ამ ბუნების არსის არსებობა არც კი არის უგულვებელყოფილი. (ლამარიას პურებია ამის მჩენი). ამ ორიდან კი, - ,,მმართველი'' ხოშა ღერბეთია: დიდი ღმერთია პირველი ყოფითაც და ცნობითაც (ვგულისხმობთ მამაკაცს, როგორც ხილულ სახეს ,,დიდი ღმერთისას''!), ამიტომ, კვერი ,,მუქეღუ''-ი (ხოშა ღერბეთის ფუნქციის მიმანიშნებელი სახელწოდებით) - ,,ხოშა ღერბეთისაა''!

,,ლაჭშხიარის'' პურებით გამოხატული ორი არსის ერთიანობა თავის თავში

იტევს მიწისა და ცის კავშირის უძველეს იდეას; ,,ხოშა ღერბეთი'' ცის განსახიერებაა, ლამარია კი - მიწის. ცისა და მიწის რწმენითი ერთიანობა ქმნიდა მსახურების ტრადიციას, დროის დღესასწაულებად დანაწილებას. სწორედ ეს მომენტი უნდა მივიჩნიოთ არსებითადაც წინაქრისტიანული ადამიანის მსოფლგაგებისათვის, ,,შესაქმე'' კი, - ამ წარმოსახვის ამოსავალ წერტილად. ,,ყოველივეს შექმნის'' საიდუმლოება საიდუმლო სამოსს უქმნიდა მსოფლგაგებასაც. იგი დროთა მანძილზე კონსერვირდებოდა და წეს-რიგთა ,,მკაცრ'' წყობას ქმნიდა: მისი გადაცემა თაობიდან თაობაზე ტრადიციას მუდმივს ხდიდა. სამყაროს, მთელს გარემომცველ ბუნებას, სულიერად წარმოიდგენდა და ყოველივეს მდედრულ და მამრულ საწყისებამდე დაიყვანდა! ვფიქრობთ, ,,ყოველივეს შექმნის'' საიდუმლოება ჩვენს ენაშიც კია განივთებული: ქართველური ენები არ ითავისებს, ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით, სქესის მაწარმოებელ რაიმე ნიშანს: ის საერთოდ არ არსებობს ენაში (ვგულისხმობთ არტიკლს), ჩვენს ენაში არ არსებობს საშუალო სქესი, სქესი - სქესია! და იგი თვით ლექსიკაშია ჩაკირული აზრით და არა ასოთა ჯგუფით. ვფიქრობთ, ეს ფარული კოდი (ყოველივეს საიდუმლოებისა და არა სიშიშვლისა!) ძარღვად გასდევს ქართველის ზნეობასაც და მორალურ თვისებებსაც.

საიდუმლოება როგორც ადამიანის მოვალეობისა, ისე უზენაესისადმი, ყოველივეს შემქმნელისადმი, რწმენისა და დამოკიდებულებისა, ხდება ქვაკუთხედი დღესასწაულთა აღნიშვნის, ანუ დროის სასწაულებით დაყოფისა და მათდამი ადამიანის დამოკიდებულების.

სასწაული ,,შესაქმისა'', სიკვდილ-სიცოცხლისა და ყოველივეს მარადიული არსებობისა, ითხოვს ადამიანისაგან ,,წმინდად რწმენასაც'' და ,,წმინდად მსახურებასაც''. ეს ორი რამ—რწმენა და მსახურება, არაა განყენებული ადამიანის ბუნებისგან. პირიქით, ეს მისი გონია და ამავე დროს მოვალეობა. ეს მისია, მისთვის დასანახად და გასააზრებლად ჩენილი, რადგან სხვას, არანაირ სულიერს არ ძალუძს მსგავსი. ღვთის ჭეშმარიტება მარადიულია და იგი არსებობს ყველგან, ყველაფერსა და ყველა დროში; რწმენა მისადმი (ღვთისადმი) თანდაყოლილიაო ადამიანისათვის, ამ რწმენისადმი მსახურების ფორმა კი ადამიანის მიერაა შექმნილი. ჩანს, კაცობრიობა მუდამ არსებულ ღვთის ჭეშმარიტებას სხვადასხვანაირადაც ემსახურება. მთავარია მისი მართლად მსახურების გზაც იყოს ნაპოვნი. ჩანს, ეს გზაც მხოლოდ სიკეთის და სიყვარულის გზაა! ადამიანის მოვალეობა უპირველესად სიკეთით და სიყვარულით არსებობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ღვთის რწმენის მსახურებასაც არანაირი აზრი არ აქვს. სწორედ ამ უპირველესის რწმენას და მსახურებას ითავისებს დღესასწაულთა აღნიშვნის წესიც, რომელსაც საწყისად ,,უძველესი დრო გააჩნია, დასასრულად კი ,,ღმერთმა უწყის'' როდის!...

თუკი ზემოთქმულს უფრო დავაკონკრეტებთ, მივიღებთ შემდეგი სახის დასკვნებს. 1) სვანური საახალწლო საფერხავი პურები, სვანურად ,,ლაჭშხიარი'', შედგება მხოლოდ და მხოლოდ ორი არსის გამთავისებელი ლემზირისაგან. მასში არ არსებობს სხვა, ანუ ზოომორფული ბუნებრიობის მქონე სალოცავი პური.

2) ,,ლაჭშხიარი'' შედგება მხოლოდ და მხოლოდ ორი არსის, ქალური და მამრული, ანუ ,,ლამარია''-სა და ,,ხოშა ღერბეთი''-ს ბუნებრიობის გამთავისებელი ლემზირებისაგან. ამიტომაც იყოფიან ისინი საკაცებო და საქალებო პურებად. თავის მხრივ ლამარია მიწის განსახიერებაა, ხოშა ღერბეთი - ცის. მათი ერთად სალაჭშხიაროდ არსებობა ცისა და მიწის კავშირის მარადიულობის ნიშანია.

3) მათი ზიარების წესი (,,უწ̄ენა'') საკრალურს, ანუ საიდუმლოს ხდის ,,შესა-

ქმე“-საც. რადგან ყოველივეს შექმნა საიდუმლოებაა, საიდუმლოა შემოქმედთა „ემბ-ლემა - კვერების“ ზიარების წესიც. „შესაქმის“ მადლი, ჩანს, პირველ რიგში, ამითაც გადმოდის ადამიანზე.

4) ისინი სამეკვლეო „ობიექტები“ არიან და ამიტომ ეწოდებათ, პირველ რიგში, მხოლოდ მათ „სამეკვლეო“-ნი, ანუ, სვანურად „ლაჭშხიარ || ნაჭშხუნჭარ. ჩანს, სამეკვლეო გიდელში არსებული ნივთები დროის შემდეგი დანამატია, როგორც უფრო მეტად დაკონკრეტებული, სასურველი დოვლათი.

5) ამ პურებით ხდება მეკვლეთა მეკვლეობაც (იგულისხმება სახლის მეკვლენი!) და ხელის ახსნის წესიც - „ლიშიაში“. ხელიდან ხელში ყოველივე საუკეთესოს გადასვლის აღსასრულებლად ხშირად მხოლოდ „მუქეღუ“ გვხვდება, რადგან სხვა ფორმის საკაცებო და საქალებო პურები (რადგან ისინი „უწენაწლებია“) ოჯახის წევრების მიერ უკვე წეს-ასრულებული და შეჭმული! (გარე მეკვლე „გარეთა“ სივრცის განსახიერებაა).

6) „მახე ზაჟ“ მთლიანად „ხოშა ღერბეთის“ ხელდასმით მიმდინარე დღესასწაულია ისე, როგორც „შეშხჭამ“ მხოლოდ დალ შეშხჭამის. ეს ორი უზოგადესი ზეციური შემქმნელი ამ სახით ინაწილებს „შესაქმის“ გამომხატველ დღეებსაც.

7) „დალ“-ის ბუნებრიობას მახე ზაჟ-ში „ლამარია“ განასახიერებს. ეს ბუნებრივია, ლამარია არსით დალის ორეულია, ლამარია მიწიერია! მიწაა ადამიანის სამკვიდრებელი, ცითა და მიწის კავშირით (და არა მხოლოდ ზეციური ორი არსის ერთობით!) იქმნება ყოველივე ხილული, რასაც ადამიანი საჭიროებს, როგორც საკუთარი თავის არსებობისთვის, ისე ზეცის მსახურებისთვის. ამიტომ ლაჭშხიარის პურები ამ ჭეშმარიტი კანონზომიერების მტვირთველიცაა.

8) „რადგან, მახე ზაჟ“ „ხოშა ღერბეთის“ ხელდასმით არსებული დღესასწაულია, პირველობაც „ყოველივეს შექმნაში“ მისია, რადგან მას აქვს აღნიშნულის შესაძლებლობა და ამიტომაც არის „მუქეღჩი“ პირველი - „წინმდგომი“ და „წინ არსებული“ ყოველთვის (მახე ზაჟ დროის პირველი დღეა). მისი არსი „სამობაა“, ლემზირს სამი ლემზირი აქვს დასახული, ოჯახს სამი მეკვლე ჰყავს არჩეული, მეკვლე კერას სამჯერ შემოუვლის, შინ შესვლამდე სამჯერ ჩამოთვლის „თავის ნობათს“, და „ჴულის ლემზირის“ დაჩხვლეტისას სამჯერ იტყვიან ყოველივეს სასურველის სახელწოდებას. „ერთარსება სამი“ - ასეთია სვანური ხოშა ღერბეთი და მასში თავშეფარებულია „დამბადებელი, შემქმნელი და შექმნილი“ რითაც იგი, ბუნებრივია, განსხვავდება ქრისტიანული „სამობი“-საგან. ყოველივე ის, რაც ახალი წლის დღისთვის არის საწესო ქმედებისათვის აუცილებელი, იქმნება ჟეშხჭამის დროში, ეს კი ნათელი დადასტურებაა წინაქრიტიანულ „სამობის“ არსში „დამბადებლის“ უცილობელი არსებობისა.

9) სვანური სალოცავი პური - მრგვალი, სამლემზირდასახული ლემზირი, პირველ რიგში, გამოხატავს მიწიერის ზეციერისადმი მსახურების რწმენას, ანუ რწმენას ზეციურის არსებობისა. ეს ფორმა მიგვაჩნია ჩვენ „ლემზირის“ პირველსახედაც და შემდეგ მასზე „ღვთაებათა“, იდეათა შესაბამისად უნდა დაკონკრეტებულიყო თავისი გარეგნული ფორმაც და შიგთავსიც დაკონკრეტებულიყო საქალებო და საკაცებო ლემზირებით, მიწიერ და ზეციურ ღვთაებათა შესაწირავებით!

10) ზეციური ყოვლისშემქმნელის („ხოშა ღერბეთის“) „ემბლემა-კვერი“ სვანეთში არსებობს ან მხოლოდ ჯვრის სახით, ან მრგვალ სიბრტყეზე ჯვრის სხვადასხვა ვარიანტის დახაზვით თუ დასმით, ან კიდევ იმ ფორმით ჩვენ პირობითად „ლატალური მუქეღუ“ რომ ვუწოდეთ; ანუ მრგვალ ზედაპირზე „სამობის“ არსის „მცირე სახიანი“

ლემზირის დასმით. ამ ფორმის ლემზირი განსაკუთრებულადაც კი იტევს მიწისა და ზეცის ერთიანობას და არა მხოლოდ მას—ზეცის პირველადობას და მისი მფარველით ყველაფრის განპირობებულობას!

ᲘᲔᲛᲮᲠᲗᲛ - მახე ზᲗᲐ-ის ტრადიციით ,,დიდი ღმერთის'' სახელობის ლემზირებს ქალბატონი ვერა ბარდაველიძე შემდეგი კლასიფიკაციით წარმოგვიდგენს. მისი აზრით, ,,სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დიდი ღმერთის სახელობის ემბლემა - კვერი ძირითადად ოთხი სახისა იყო:

1) ქვემოსვანური და ქვემო სვანეთის უშუალო ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ზემო სვანეთის სამ თემში - უშგულს, კალასა და იფარში გავრცელებული მუჟოღი ანუ ,,ფუსნა მუჟეღუ'' (,,პატრონის წინამძღოლი'') - ჯვრის გამოსახული კვერი (ნახ. 36, 37, 38).

2) ბალსზემოური ფუსნᲐ ლემზირი (,,პატრონის ტაბლა'') - მრგვალ ზედაპირზე ჯვარდასახული კვერი (ნახ. 39).

3) ბალსზემოურივე მუჟეღუ ანუ მუჟოღი - ფუძებრტყელი ბურთულა კვერი ზედაპირზე აღბეჭდილი ჯვრით, რომელიც ზოგ თემში გადავლებული იყო კვერის ზედაპირზე, ზოგან კი გამოყვანილი ოთხი თითით კვერის შუა ნაწილის ოდნავი შეზნექის საშუალებით (ნახ. 40, 41) და

4) ბალსზემოური ჯუჯარ - ხარის თავის მოყვანილობის კვერი (ნახ. 42, 43), რომლის ჭრელას ლიფანალის მხატვრობა იძლევა.[1]

(ჯუჯარ) — „ხარის თავის მოყვანილობის კვერი, რომლის ჭრელას ლიფანალის მხატვრობა იძლევა“ — ვ. ბარდაველიძე

აქედან ნათლად ჩანს, რომ ,,ხარის თავის მოყვანილობის'' კვერი დასტურდება არა დღესასწაულის ტრადიციისას, არამედ ,,კვერის ხატვისას'' და იგი გამორიცხავს ამ სახით რიტუალში არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მთხრობელების მიერ, მცირე ნიუანსით მაინც, წარმოჩენილი იქნებოდა, ე. ი. წარმოჩენილი იქნებოდა არა ,,სამობის'' იდეა, არამედ ,,ხარის შუბლის'' ლემზირზე უცილობლად დასახვის იდეა! და საერთოდ, ასეთი სახის ლემზირს ჯვარი არ დაერქმეოდა. ამდენად, ,,ხარის შუბლი'' არ თავსდება ხალხური მსოფლხედვით წარმოსახულ ,,დიდი ღმერთის'' არსობაში! შესაბამისად მის ,,ემბლემა - კვერ''-ის სახელწოდებაშიც.

ლემზირის ეს სახე, რომელიც არ გამოგვადგება დიდი ღმერთის ემბლემა - კვერების ერთ-ერთ ჯგუფად, გვაძლევს არა დიდი ღმერთის მისაკუთრებელი ლემზირის - ფორმას, არამედ ,,ჩვეულებრივი ლემზირის'' ფორმას და გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ ,,ჩვეულებრივი ლემზირი'' ორნაირად შეიძლება შექმნილიყო: 1) გაბრტყელებულ მრგვალ ცომზე სამი ლემზირის დასახვით და 2) გაუბრტყელებელ გუნდაზევე სამი ლემზირის გაკეთებით! ამით კი, იქმნება ჩვეულებრივი ანუ საწყისი ფორმა ლემზირისა ორი ვარიანტით.

ამდენად, ჩვენ ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ დღეობათა რიტუალურ წესრიგში არ დასტურდება იმავე მასალებით, რითაც ქალბატონი ვერა სარგებლობდა მის მიერ წოდებული ,,ხარის შუბლა'' ლემზირი, როგორც საფერხავი პური დიდი ღმერთის სახელობისა. საწესო მხატვრობაში ,,წმინდა'' საგნად ,,ამ სახის'' ლემზირის არსებობა არ ნიშნავს ახალი წლის მფარველის, ,,დიდი ღმერთის'', ემბლემა - კვერის ამნაირად არსებობას. ,,წმინდა საგნად''ამ ლემზირის დახატვას სხვანაირი ინტერპრეტაცია გააჩნია და იგი არანაირად არ უკავშირდება ,,ხოშა ღერბეთის'', როგორც კონკრეტულ შემთხვევაში, ,,ახალი წლის'' მფარველის არსობას. ღმერთის რა-

[1] ვ. ბარდაველიძე, 1953, გვ. 81.

ობის საფუძვლად ხარის (ხარის შუბლის!) რაობის არსებობა ყოვლად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია! მაშ რითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ,,ხარის შუბლა'' ლემზირი (პირობითად ვღებულობთ ამ სახელწოდებას) ,,დიდი ღმერთის შესაწირავი ლემზირი იყო, რადგან მასზე განსაკუთრებულადაა ხაზგასმული ღვთის ,,სამობა''. ბუნებრივია, იგი დიდი ღმერთის შესაწირავი იქნებოდა. აქედან ღმერთია ხალხური გაგების შესაბამისი და არა ღმერთი ხარის სახით წარმოდგენილი.

თუკი ჩვენ გავითავისებთ ლემზირის საწყის ფორმად ორ განსხვავებულ სახეს, ისეთს, რომელსაც საწესო მხატვრობა გვთავაზობს, უნდა გავითავისოთ ამ ორ ლემზირში ასახული ორი განსხვავებული იდეის არსებობაც. უფრო სწორად, ერთი საწყისი იდეის ორი მხარე, ერთიდან გამომდინარე ორი ურთიერთგანპირობებული არსი. ერთ საწყის იდეაში ჩვენ ვგულისხმობთ მთლიანად ლემზირის იდეას. როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, იგი არის მიწიერის ხელით შექმნილი სხვა, საიდუმლო, აუხსნელი და უზადო შესაძლებლობის მქონეთათვის შესაწირად შექმნილი. ესენი კი ადამიანს, პირველ რიგში, ეგულება ცაზე! მაგრამ აქ ისიცაა საყურადღებო, რომ ლემზირის ფორმაში მხოლოდ ,,სამი ლემზირი'' ფუნქციონირებს და არა მრავალი, რომელნიც ,,მრავალ ღვთაებათა'' შესაწირავის განსახიერება იქნებოდა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ რწმენის ,,პირველ ეტაპზე'' ადამიანმა ყოვლისშემძლეობა სწორედ ერთში დააკონკრეტა, ერთში მოათავსა და იგი სხვათა, უფრო მცირეთა (,,რწმენის შემდგომი ეტაპი'') ,,პირველად'' დააყენა. საკითხავია, ეს ყველაფერი ნამდვილად ცნობიერების შედეგია, თუ ქვეცნობიერების, ხილულად უზოგადესის ჭეშმარიტების დანახვის, თუ ამ ჭეშმარიტების სიმბოლოებით ჩენის. ვინ იცის... ხალხის გონიერებით შემორჩენილი რწმენა კი იმ სახისაა, რასაც ჩვენ რწმენის მსახურების სახიერება გვთავაზობს!

პირველი სახის ლემზირში ჩვენ ვიგულისხმეთ ჩვეულებრივი ლემზირი, სამლემზირ დასახული - გაბრტყელებული პურის გუნდაზე. იგი ცხვება გადაბრუნებით, რადგან იგი ყველა წმინდანის შესაწირია, ლემზირის ამ საწყის ფორმაში უნდა იგულისხმებოდეს მიწიერი არსების ზეციურისადმი მსახურების იდეური არსი.

მეორე სახის ლემზირი ეს არის ისევ ჩვეულებრივი ლემზირი, ოღონდ სხვანაირია დაცხობის წესი: მრგვალ ბურთულა კვერზე (მცირე ზომის!) დასახული ,,სამი ლემზირი'', დაცხობილი გადაუბრუნებლად. ამ ლემზირის იდეა უნდა იყოს მთელი ქვეყანა -ადამიანის საცხოვრებელიც და ზეცაც ერთად, ქვეყნის უზენაესი მფარველის არსებობის აღიარებით. (ამ იდეას ჩანს შემდეგ დროში ლატალური მუყეღუ აკონკრეტებს!).

ფორმისდამიხედვით ორივე ლემზირს აერთიანებს ,,სამი ლემზირი'', შინაარსის მიხედვით აერთიანებთ ერთი იდეა - ადამინის რწმენა ქვეყნის უზენაესისადმი და მისი მსახურების მოვალეობა, უზენაესის ,,ხატი'' ლემზირში სწორედ ,,სამით'', ,,სამი ლემ-

ზირის" ლემზირზე დასახვით აისახება; მისი იდეა „სამია" და სახელწოდებრივად აღინიშნება „ფუსნა ბუ̈ასდით" || „ხოშა ღერბეთი". „ფუსდ" - უმაღლესი ბატონის, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, აღმნიშვნელი ლექსემაა, „აბუასდ" - ქვეყნის, მთელი სამყაროსი. ამ სიტყვიდან კი კონკრეტდება სახელწოდებანი: „ეჩე ბუ̈ასდ" - საიქიო და „ამე ბუასდ" - საიქაო. ვფიქრობთ, ქვეყნის უზენაეს შემოქმედად ამ ლექსემის არსებობა არ არის შემთხვევითი და მისი პარალელური სახელია „ხოშა ღერბეთ" - დიდი ღმერთი. ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა ამ სიტყვების სადაურობას, იგი და მისი კვლევა სხვათა მიზანი და საქმეა... აქ არსებითია ის, რომ აქ, სვანეთში, ქართველთა ერთ-ერთ უძველეს შტოთა სავანეში, აღნიშნული იდეა არსებობს დღემდე და იგი მსახურების მეტად ცოცხალი სახით არის შემორჩენილი!

რადგან მეორე ლემზირში ღვთის სახე „სამობა" („სამი") უფრო ნათლადაა წარმოჩენილი, გასაკვირი არც ის გარემოება იქნება, რომ იგი სხვა დროს ღმერთის || დიდი ღმერთის შესაწირავი ყოფილიყო მხოლოდ! ჩანს, ეს ეთნოგრაფიული ფაქტია და მას მტკიცება არ ესაჭიროება. მაგრამ, რადგან ეთნოგრაფიული ფაქტითვეა გამორიცხული ამ სახის ლემზირის საფერხავ ლემზირად არსებობა, გამოსარიცხია სვანეთის სინამდვილეში ხოშა ღერბეთის ემბლემა - კვერების კლასიფიკაციაში აღნიშნული სახიანი ლემზირის არსებობა (მით უფრო; „ხარის შუბლის" გამომსახველის იდეით).

რადგან სვანეთის სინამდვილეში არსებული ორი სახის ლემზირი ერთადერთი იდეის მტვირთველია და იგი ემსახურება უზენაესის რწმენას, ბუნებრივია, ამ უზენაესის ემბლემა—კვერის სახეც შეიქმნებოდა ისეთი, როგორიც სინამდვილეში „ლატალურ მუ̈ელუ̈"-ს გააჩნია. პირველი სახის ლემზირი აქ არის მთლიანი ლემზირის ქვედა დეტალი, ხოლო მეორე სახის ლემზირი არის მთლიანი ლემზირის ზედა დეტალი ქვედაზე სამი თითის გარკვეული მოძრაობით, ცომის ამობურცვით შექმნილი. მთლიანობაში აღნიშნული პური ქმნის სფეროს, რომლის პატრონადაც „ხოშა ღერბეთის" იდეური სახე გვევლინება, ამ პურში ასახული მიწისა და ზეცის ერთიანობა ითავისებს პირველი შემოქმედის არსობას, მის მეუფებას ქვეყანაზედ! სწორედ ამიტომ არის იგი „ხოშა ღერბეთის" სახელობის ლემზირი, „მუ̈ელუ̈"-ს სახელწოდებით არსებული საახალწლო საფერხავ პურებს შორის. იგი არის ემბლემა - კვერი იმ მფარველისა, რომელიც „ხელმწიფებს დროზე" ზოგადად და კონკრეტულად ახალი წლის პირველ დღეზე, ყოველივეს ახლად შექმნის საწყის დროზე. აქედან გამომდინარე, მეოთხე ჯგუფის წარმომადგენლად ჩვენ გვესახება „ხოშა ღერბეთის" ლემზირის არა მხოლოდ ერთი დეტალი, არამედ მთლიანად ლემზირის სრული სახე და იგი ჩვენს მიერ პირობითად აღინიშნება, „ლატალური მუ̈ელუ̈ით". თუ მის გრაფიკულ სურათს გამოვსახავთ, მივიღებთ შემდეგს.

„დიდი ღმერთის" სახელობის ემბლემა - კვერების სურათები გვაძლევს შემდეგი სახის გრაფიკულ გამოსახულებას პირველ ჯგუფში, ვერა ბარდაველიძის მიერ შექმნილ ემბლემა - კვერთა კლასიფიკაციაში, ეს ლემზირი გვაძლევს სამ ვარიანტს ესენია; ა) ნახ. 36, გვ. 41. „┼" ჯვრის სახე. მისი სახელწოდებაა „ფუსნა მუ̈ელუ̈" (დიდი

ღმერთის სახელობის კვერი) ლემზირებ დაუსახავი. ბ) ნახ. 37 გვ. 75. „ “ ჯვრის სახე. მასზე, ოთხივე მხარეზე სამ-სამი ლემზირია დასახული სულ 12 ცალი. ამ ლემზირის სახელწოდება „ფუსნა მუჟელუ“ (დიდი ღმერთის სახელობის კვერი). გ) ნახ. 38, გვ. 76. „ “ ჯვრის სახე შუაში ბურთულა კვერით. მას ოთხივე მხარეზე თითო ლემზირი აქვს დასახული (სულ 4 ცალი) ამ ლემზირის სახელწოდებაა „მუჟელი“ || ყუიმბ (დიდი ღმერთის სახელწოდების კვერი). ყუიმბ სფეროს ნიშნავს.

II ჯგუფში დიდი ღმერთის სახელობის კვერი გვაძლევს გრაფიკული გამოსახულების შემდეგ ვარიანტს: ნახ. 39, გვ. 77. „ “ წრეში დახაზული ჯვარი. მისი სახელწოდებაა „ფუსნა ლემზირ“ || „სეფსკუერ“ (დიდი ღმერთის სახელობის კვერი).

III ჯგუფის დიდი ღმერთის სახელობის კვერის გრაფიკული სახეა: ა) ნახ. 40, გვ. 78. სფეროზე (სიბრტყეზე) დასახული ჯვარი სახელწოდებით „მუჟელუ“ და

ბ) ნახ. 41 გვ. 79 - სფეროზე (სიბრტყეზე) დასახული ჯვარი, სახელწოდებით „მუჟელუ“ (ორივე, დიდი ღმერთის სახელობის კვერია) და ბოლოს, IV ჯგუფის დიდი ღმერთის სახელობის ლემზირის გრაფიკულ გამოსახულებად ჩვენ გვეძლევა ნახ. 42, გვ. 80 სამმხრიანი, „ჯუარ“-ის სახელწოდების ლემზირი. მასში მნიშვნელოვანია არა „ხარის შუბლის“ არსი, არამედ მისი ხალხური სახელწოდება „ჯუარ“ - ჯვარი!

დიდი ღმერთის ემბლემა კვერების აღნიშნულ კლასიფიკაციას ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ მეხუთე, სრულიად განსხვავებული სახე ლემზირისა, რომელსაც, ვფიქრობთ, დიდი ღმერთის ემბლემა—კვერის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი სახე უნდა გააჩნდეს (ამ კვერში, ვიმეორებთ, ზედა დეტალია IV ჯგუფის ლემზირი, „რომლის ჭრელასაც საწესო მხატვრობა იძლევა“). ესაა „მუჟელუ“ (ლატალი). (სხვა სოფლების მაგალითზე „ამ შიგნითას“ სახელწოდებაა ჯუარ. აქ ეს ამ ჯვრის გრაფიკულ სახეს აჩენს.).

დიდი ღმერთის სახელობის ემბლემა - კვერებს ჰქვიათ:

ა) „ფუსნა მუჟელუ“
ბ) „ფუსნა მუჟელუ“
გ) „მუჟელუ“
დ) „ფუსნა ლემზირ“
ე) „მუჟელუ“
ვ) „მუჟელუ“

ზ) „ჯუარ“

თ) „მუქეღუ“

დიდი ღმერთის სახელობის ამ სახელწოდებებში ფიგურირებს დიდი ღმერთის საკრალური სახელწოდებანი - „ფუსდ“, „მუქეღუ“, „ლემზირ“, „ჯუარ“. და ყველა ესენი ცალ-ცალკე ღმერთის არსობის გამომხატველნი არიან; ფუსდ - ბატონი || პატრონი! „მუქეღი“ - ხელმძღვანელი! „ლე-მზირ“ - სამ-ზეო! ჯუარ კი ხატი ღვთის მეუფების!

დიდი ღმერთის სახელობის ლემზირები წარმოდგენას გვიქმნის დიდი ღმერთის ემბლემურ ნიშნებზეც. აქ ესენია:

1) ჯვრის სახე („ფუსნა მუქეღუ“, „მუქეღუ“)

2) ჯვარზე დაფარული სიბრტყე (სიმრგვალე - ყუიმბ) „მუქოღი“

3) წრეზე (სიბრტყეზე) დახატული ჯვარი („ფუსნა ლემზირ“ „სეფსკვერ“ „მუქელუ“)

4) „ჯუარ“ („სამმხრიანი ჯვარი! ასე დავარქმევთ მას „ხარის შუბლა“-ს მაგივრად, რადგან მას ხალხი „ჯუარ“-ს ეძახის)

5) წრეზე (სიბრტყეზე) დასახული „ჯუარ“ (ანუ ლატალური) „მუქეღუ“ (წრეზე დასახული სამმხრიანი ჯვარი „მუქეღუ“).

ამ ემბლემურ ნიშნებში ფიგურირებს საკრალური ნიშნები: ჯვარი, წრე, სამ მხრიანი ჯვარი. სვანთა საწესო მხატვრობაში „წმინდა“ საგნებს შორის განსაკუთრებით ჯვარი და წრე ფიგურირებს. აქ ჯვრის სახე (ოთხმხრიანი ჯვარი) უმეტესად „ჯუარ“ სახელწოდებით ფიგურირებს. მხოლოდ ერთგან მას ჰქვია „ლგპრისდე“ და იგი სახით იდენტურია იმ ჯვრისა, რომელსაც კარგი ჯუარი || ხოჩა ჯუარ ეწოდება. მისი „კარგობის“ განმაპირობებელი არის მხრების ტოლგვერდიანობა. სხვა შემთხვევაში ამ გარემოებას ყურადღება არ აქვს მიქცეული. ერთგან ჯვართან შეუკრავი წრეც კი არის დასახული.[1]

რაც შეეხება წრეს, იგი ყველაზე მარტივი ფორმით, წარმოადგენს მზისა და მთვარის სახეს, რომელთა შორისაც დახატულია „წმინდა“ საგანი - ჯვარი.[2] სხვაგან ამ წრეს ემატება სხივები, რაც მზესაც ნიშნავს და მთვარესაც, (მზე დედაა - ჩვენთვის მთვარე - მამა!), მაგრამ ნახევარი წრე, რკალი მხოლოდ მთვარეს აღნიშნავს მთლიანი წრისგან განსხვავებით.

ვიცით, რომ საწესო ჭრელები სვანური სახლის „შინ“-ას ხის ავეჯზე და გომურის ტიხრის ზედაპირზე იხატებოდა. სვანურ სახლს, ბარის ქართველების საცხოვრებელი სახლისგან განსხვავებით, დედაბოძი არ გააჩნია, მაგრამ, ჩანს, ყველა ის სიმბოლური ნიშანი, თავისი საწყისი ფორმით, რომელიც დედაბოძის დეკორშია მოთავსე-

---

[1] იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვ) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953 საწესო ნახატების ილუსტრაციები.

[2] იგივე, ტაბ. XX ნახ. 10, ნახ 11, ნახ. 12. გვ. 44. (მთვარე, ჯვარი, მზე).

ბული, მოთავსებულია სვანური სახლის „შინას“ ინტერიერის ზედაპირზე! (რწმენის საწყისები და ერთიანობაა ამის მიზეზი!) დედაბოძის ორნამენტში საწყისი „წმინდა“ ორნამენტებია ჯვარი და წრე, რომელნიც იდეის შესაბამისად იცვლიან ფორმას. ამ ორიდან კი „ჯვარი არის სწორედ ის ძირეული ფიგურა, რომლის კონსტრუქცია დაედო საფუძვლად სიმბოლოთა დიდი უმრავლესობის აგებულებას და დეკორის კომპოზიციურ სქემას“.[1]

უძველესი მნიშვნელობით ჯვარი ქვეყნიერების ოთხი კუთხის მაჩვენებელი საკორდინაციო ნიშანია. დეკორში მისი მხრები მიგვანიშნებს მზის ოთხ მდგომარეობას ცაზე. თავისუფალი ჯვარი საერთოდ, ქვეყნიერების, სივრცის სიმბოლოა... წრით ან ოთხკუთხედით შემოზღუდული ჯვარი ან ბადურით შევსებული ოთხკუთხედი (იგულისხმება დედაბოძის დეკორი) ლოკალური ნიშანია და კონკრეტულ სივრცობრივ პუნქტსაც აღნიშნავს... ჯვრის გამოსახულებას უკავშირდება ციური სხეულების (ძირითადად მზის!) სიმბოლოები...[2]

მეტად მნიშვნელოვანია (და ვფიქრობთ რწმენის უნიკალური გამოვლინებაა ყოფაში!) ქართველთა უძველესი ტრადიცია „ბუნებრივად მდგარი ხის გარშემო სახლის აშენებისა“. იგი ყოფიერი გამოხატულებაა იმ უძველესი რწმენისა, რის თანახმადაც „ხე სიცოცხლის მომნიჭებელი ძალითაა მოსილი, რადგან იგი ღვთაების სადგურია და ცასთან შიბითაა დაკავშირებული“. ის სიმბოლოს მომცველი იყო. საცხოვრებლის დედაბოძზე იხატებოდა ორნამენტები, რომლებიც მოიცავდა ქვეყნიერების ოთხი მხრის იდეას - ბრუნვის, მარადისობის, მზისა და მცირე მნათობთა სიმბოლიკას... და საერთოდ, იდეას მიწისა და ცის კავშირისას...[3]

და მაინც არის კი ის საწყისი დრო მეცნიერთათვის ცნობილი, რომლიდანაც იწყება ჯვრის სიმბოლოდ გამოსახვა, რა გამოიხატებოდა საწყისით - ჯვრით ანუ რისი იდეაა მასში თავშეფარებული, „წინარე ისტორიული ხანიდან არის ცნობილი ჯვარი, როგორც არქეოლოგიური მონაპოვარი. მისი პირველი სახეც და დანიშნულებაც ნაწილობრივ გაურკვეველია. არსებობდა აზიაშიც, ანტიკურ ქვეყნებშიც, ეგვიპტეში, აფრიკაში... ერთი კი ცხადია, სიმბოლიკური და ორნამენტული მნიშვნელობა უდაოდ ჰქონდა. უწინარეს ყოვლისა, ეს იყო სიცოცხლის სიმბოლო და იგი სიცოცხლის ხისა და მსოფლიო კვერცხის მსგავსად იყო გააზრებული: ბორბალში ჩახატული ჯვარი მზეს გამოხატავდა, კავებიანსაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა (ქართველებში იგი მზის ერთ მხარეზე მოძრაობას აღნიშნავს). ასევე განსხვავებული მნიშვნელობის იყო ეკლებიანი ჯვარიც. წინა აზიაში ჯვარი ბედნიერების სიმბოლო იყო; ებრაულ სარწმუნოებაში ჩვეულებრივი ფორმის ჯვარი უფლისა და რწმენის ნიშნად ითვლებოდა (მათი ანბანის უკანასკნელი სიტყვაა „ტავ“). ბერძნულ - რომაული მრავალსახოვანი სიცოცხლის სიმბოლიკაში დიდ როლს ასრულებდა. სიკვდილის სიმბოლო ამ ორნამენტმა პირველად არკადიულ სამარხებში მიიღო. ადამიანის მოყვანილობის ანალოგიამ განაპირობა ნაწილობრივ ჯვრის სიმბოლიკა ქრისტიანულ ეკლესიაში, სადაც ჯვარმა უაღრესი განვითარება მიიღო... დიდხანს რჩებოდა ჯვარი წარმართულ ბერძნულ და ლათინურ სიმბოლოდ, ქრისტიანობამ კი განავრცო მისი სიმბოლიკა მარადიული, იმქვეყნიური სიცოცხლის, ქრისტეს ვნების, ხსნისა და ამაღლების ნიშნად დაამკვიდრა ეკლესიაშიც, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და მთელს ქრისტიანულ მხატვრობაში...

---

[1] ი. სურგულაძე, „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ, 1986, გვ. 35.
[2] იგივე, გვ. 52-53.
[3] იგივე, გვ. 156-163.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში ჯვარს ბოროტების განმარიდებელი მნიშვნელობა აქვს (პირჯვრის წერა, მავნის განდევნა). კულტის წარმოშობის საკითხი ჯვრაც სადაოა... ჯვრის სიმბოლიკა ჯერ კიდევ ასურ - ბაბილონურ, ინდურ - ჩინურ, ბერძნულ - რომაულ რელიგიებისთვის არ ყოფილა უცხო და, მათთანაც კი „ახალია"...[1] ასე სიმბოლურადაა ჯვრის სიმბოლო მითოლოგიურ ლექსიკონში მოთავსებული. ამდენად, ჯვრის სიმბოლოდ ჩენის დროც და იდეაც ჯერ კიდევ განუსაზღვრელია. ერთი კი ცხადია, იგი ადამიანის სულიერი სამყაროთი შექმნილი ერთ-ერთი (და შესაძლებელია პირველი!) უძველესი სიმბოლოა თავისი უძველესი იდეით და განასახიერებს ქვეყნიერების აგებულებას, ცისა და მიწის კავშირის იდეას, „ყოვლიერების შემქმნელის" იდეას!

სვანური საწესო მხატვრობის „წმინდა" ჯვრები უმეტესად თავისუფალია და ვფიქრობთ, ეს ჯვრებიც აღნიშნული იდეის მტვირთველნი არიან. მათ არაფერი აქვთ საერთო ქრისტიანულ ჯვართან. ასეთ ერთობას ქმნის და სახავს ჯვრის მხოლოდ ის ორი სახე, რომელსაც ერთ შემთხვევაში ჰქვია კარგი ჯვარი ! „ხოჩა ჯვარ" და მეორე შემთხვევაში „ლგპრისდე" („მონათლული"). მზისა და მთვარის ერთიდაიგივე ჭრელათი გამოსახვის წესი სწორედ იმ იგივეობის მიმანიშნებლად გვესახება, შეშხუამ - მახე ზაგს იდეა რომ გვიკონკრეტებს: - „ერთში ორ არსობას" ანუ იმ აზრს ლექსად რომაა თქმული: „მზე დადაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემი". ორი ერთარსნი, არსებითნი ჩემთვის, ანუ სიცოცხლისათვის და მარადიულობისათვის, ორი ზებუნებრივი შემოქმედის ერთ არსობა ხომ ამისი მაუწყებელია!... და ბოლოს, თუკი გავიხსენებთ იმასაც, რომ საკრალური ნახატებიც და საკრალური ლემზირებიც ერთიდაიგივე სახელწოდებით არსებული საკრალურ „ლამარიგ გუიზ"-ის ნობათიდან (ფქვილი, ნაცარი) იქმნებოდა, არ გაგვიძნელდება პურზე და ჯვარზე დახატული „წმინდა საგნების" (ჯვარი, წრე, მზე, მთვარე...) იდენტურობის წარმოდგენა მათი, როგორც სემანტიკური ისე ეტიმოლოგიური მნიშვნელობით; ის რაც „შინას" ინტერიერზეა დასახული, ახსნილია რელიგიურ დღესასწაულთა ტრადიციებში და რწმენა - წარმოდგენებში. ეს წინა ქრისტიან ქართველთა მსოფლხედვაა და ჩვენი უძველესი კულტურის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანიც.

„მითოლოგიურ ლექსიკონში" მოცემულია ჯვრის ძირითადი (საწყისი!) ფორმები და ისინი შემდეგნაირად გამოიყურებიან:

1) ლათინური ჯვარი

2) ბერძნული (სწორი) ჯვარი

3) ეგვიპტური (ფორმის) ჯვარი

4) ბორბლისებური ჯვარი

5) კავებიანი ჯვარი (სვასტიკა)

6) ქრისტეს მონოგრამა ჯვარი

---

[1] ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, გვ. 568-569 ჯვარი.

7) პაპის ჯვარი და

8) ბანქოს ჯვარი.[1]

ჯვრის ეს სახეები არიან არსებითი სხვა შინაარსის და ფორმის ჯვრების სახისა, სადაც ფიგურირებს ქრისტეს სიმბოლო. ერთ-ერთი ასეთი „შექმნილი“ ჯვარია ის, რომელიც „კოსმოლოგიური დანიშნულების და მარადისობის სიმბოლოა“.[2]

გავბედავთ და ვიტყვით ერთსაც - „კოსმოლოგიური დანიშნულების და მარადისობის სიმბოლო ჯვარი“, „ბორბლისებური ჯვარი“ და „ხოშა ღერბეთის სახელობის რიტუალური პურის“ ერთერთი ფორმა - სახოვანი სახით, ერთიდაიგივე არიან. აი ისინიც;

1) კოსმოლოგიური დანიშნულების მარადისობის სიმბოლო ჯვარი“.

2) ბორბლისებური ჯვარი“ (იხ. მით. გვ. 569 ნახ. 4)

3) ხოშა ღერბეთის სახელობის ლემზირი „მუქელუ“. (იხ. ზემოთ!).

ჩანს, „ქვეყნიერების შემოქმედის“ იდეისთვის წრე და შიგ ჩასმული ჯვარი განსაკუთრებული სიმბოლოა! იქნება კი ამ სამივეს შინაარსის იგივეობის თქმა მკრეხელობა?! ვფიქრობთ, რომ არა, რადგან ამ სამივეს საფუძვლად ერთის, ღვთის, ჭეშმარიტება გააჩნია; მისით იწყება და მისით მთავრდება ყოველივე; იგი არსებობს ყველგან, ყოველთვის, ყველაფერში.

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი დიდი ღმერთის ემბლემური ხუთი სახენიშნიდან პირველი სამი აქ თავსდება, მე-3 ემბლემა ნიშანში, ანუ „მუქელუ“ წრეზე დასახული ჯვრის ემბლემით, თავის თავშივე იტევს, ჯვრის სახესაც, ჯვარზე დასახული წრის (ყუიმბ) სახესაც და წრეში დახაზული ჯვრის საკუთარ სახესაც. ამ სამიდან ცალკე მდგომ ემბლემურ ნიშნად, ჩანს, მე-4 და მე-5 ემბლემა ნიშანია და ამ ორივეს ცალ-ცალკე „ჯუარ“ ეწოდება. მაგრამ ამ სახელწოდების იდენტური სახელწოდებაა „მუქელუ“ (ლატალური მუქელუ-ს მაგალითზე). ეს „ჯვარი“ არის სამმხრიანი - ქართული ასომთავრული „ჯარ“ ნიშნის მსგავსი. ჩვენ ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ ამ სახის ლემზირში (და საერთოდ „სამ ლემზირში“) არა „ხარის შუბლის“ (და საერთოდ ხარის!) იდეის არსებობა, არამედ არსებობა ღვთის საკრალური რიცხვისა „სამი“. („ერთი“ = „სამ“-ს!). „ჯვრის“ ეს სახე ისევე, როგორც ოთხმხრიანი ჯვარი, არსებობს როგორც ცალკე, ისე წრეში „ჩახაზული“ (ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ იგი პირველი სამი: ცერა, საჩვენებელი და შუათითის ერთდროული მოქმედებით ისახება! პირჯვარს მართლმადიდებ| ლები ამ სამი თითით ვიწერთ! (რა თქმა უნდა, აქ ხელისგულსაც და დარჩენილ ორ თითსაც პირჯვრის წერისას თავისი საკრალური მნიშვნელობა გააჩნია!...); მაშ, რითი უნდა აიხსნას „დიდი ღმერთის“ ემბლემურ ნიშნად „სამ-

---

[1] ა. გელოვანი - მითოლოგიური ლექსიკონი, გვ. 569.

[2] იხ. იგივე, იქვე გვ. 569, ნახ. 8. იხ. ასევე უძველესი ქრისტეს სიმბოლო.

მხრიანი ჯვრის'' არსებობა და ამავე დროს, ქართულ ასომთავრულში მისი ამ ფორმით - ,,ᲕᲐᲠ'' ასონიშნით ყოფნა?!

თუკი სემიტებში (ეგვიპტელები, ებრაელები) ,,ტავ'' ასო-ნიშანი თავიანთი უძველესი ჯვრის ფორმადაა მიჩნეული (ეგვიპტური ფორმის ჯვარი უფლისა და რწმენის ნიშანი იყო!), რატომ არ უნდა ჩავთვალოთ ქართველებში იგივე მოვლენა სარწმუნოდ. მით უფრო, თუკი ეს ასონიშანი ანბანშიც არსებობს და ტრადიციაში ,,დიდი ღმერთის ემბლემა - ნიშანს ქმნის? ჩვენი აზრით, ქართული ,,სამმხრიანი ჯვარი''[1] ,,ოთხმხრიანი ჯვრის'' წინამორბედია. ორივე წინაქრისტიანული ხანის სიმბოლოები. ,,სამხრიანი ჯვარი'' ღვთის სიმბოლოა და იგი საკუთრივ თავის არსს გამოხატავს (,,სამობა''), ანუ იგია უზენაესი შემოქმედის პარადიგმული სახე, რომელიც თავის თავშივე იტევს ,,დამბადებლის'', ,,შემქმნელის'' და ,,შექმნილის'' იდეას.

,,ოთხმხრიანი ჯვარი'' კი აღნიშნავს ამ ,,ძალის'' ოთხმხრივ, ოთხივე კუთხივ მეუფებას და იგი იტევს მეუფებას როგორც ციდან მიწაზე (,,ვერტიკალური''), ისე თვით ცის სამყაროში (,,ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲘᲡ'') პირველობისა. იგი ,,ყოვლის შემოქმედია'' სივრცეშიც და დროშიც. ამდენად, დიდი ღმერთის სახელობის რიტუალური პურების სახელწოდებანიც და მათი გრაფიკული სახიერებანიც დიდი ღმერთის არსობის გამოხატველნი არიან. მათ ყველას ერთი იდეა აკავშირებთ - დიდი ღმერთიდან ყველაფრის წარმომავლობისა და ყველაფრის მისით საწყისის იდეა. მისთვის მსახურება კი, - ცისა და მიწის კავშირის გამოვლინებაცაა (ადამიანის უპირველესი მოვალეობა!). ეს იდეა გამორიცხავს ,,ხარ ღვთაების'' არსებობას. ახალი წლის დღესასწაული ,,შესაქმის,, დღესასწაულია და უზენაეს შემოქმედად ხარი არ მიიჩნეოდა! ამასთან ერთად; ,,შესაქმის'' იდეა არ ემსახურება მხოლოდ ყოფით დაკონკრეტებულ კანონზომიერებას, გამოხატულს მხოლოდ ადამიანთა, მხოლოდ ცხოველთა ან მცენარეთა ურთიერთობით: ეს წარმოსახვაა იმ უზენაესის ბუნებრიობისა, რასაც ქრისტიანული რელიგია ღვთიური სიტყვის ჭეშმარიტებით გვისაბუთებს. ჩანს, ბუნებრივ ძალთა მლოცველი ადამიანი ყოველთვის იტევდა თავის არსებაში უპირველესი უზენაესის არსებობას. ადამიანის რწმენა კი ქმნიდა იმ მსახურებას, რითაც ერი სხვა ერისაგან განსხვავდებოდა. ჩვენში კი რწმენა ქმნიდა იმ მსახურებას, რასაც სასწაულთა აღნიშვნისათვის აუცილებელ კანონზომიერებად მიიჩნევდა. ჩანს, ამ რწმენასაც და მსახურებასაც საუკუნეების მანძილზე ტრადიცია ითავისებდა და საკუთარ ,,მეობად'' იმტკიცებდა.

ახალი წლის ციკლის დღეთა საწესო ქმედებისას ილოცებოდნენ ,,წლის ძალის შემცველელთა'' სახელზე; ითხოვდნენ მათგან შეწევნას და გამარჯვებას. ლოცვითი მიმართვები არ იტევდა არანაირ მაგიურს - იგი ნდობით და რწმენით სავსე თხოვნა იყო მიწიერისა შემოქმედისადმი, რომელსაც თან ახლდა ადამიანის სულის სიჭრელე

---

[1] ვფიქრობთ, სამმხარიანი ჯვარი ასევე უნდა გამოხატავდეს ხელაღმართულ მლოცველის პოზას - მეშვიდეს - მის გრაფიკულ სახეს. აქ მთავარია ხელები - აპყრობილი ცისკენ, რადგან ეს ქმნის ადამიანის საკრალურობას. რადგან ეს ასეა, იდეაც ამისა ,,ᲕᲐᲠ''-ს უნდა შეეფერებოდეს. ,,ᲕᲐᲠ'' სვ-რი მეᲕᲐᲠ-ის ფუძედ გვესახება. მლოცველს თავისი მხრები (ხელები) სწორედ ისეა აქვს აღმართული, როგორც ამას გრაფიკულად ᲕᲐᲠ ასო ნიშანი სახავს ,, ''. აღნიშნულიც გამორიცხავს ამ ასო-ნიშნის ხარისადმი მიკუთვნებულობას. ქართული ასომთავრულის ამ ასონიშნით დამთავრება ასომთავრულის საკრალურობას კიდევ მეტად უსვამს ხაზს. ადამიანი ამ გაგებით ,,ცის სარტყელზე'' - ღვთაებათა სამკვიდრებელზე არის დამოკიდებული და მართებს მისი რწმენაც და მსახურებაც.

და შემოქმედის ჭეშმარიტად მარადიული არსებობის უსაზღვრო რწმენა. და მაინც, რას შესთხოვენ სვანები როგორც ეშხუმის, ისე მახე ზაი-ის მფარველთ!:

- ო,ო დიდება მოსასვლელო და მადლიანო დალ ეშხუმისაო, დიდება! კარგ ეშხუმს მიგვაყენე, მადლიანო, ჩვენ და ჩვენი ნათესავი ყველა! კარგი წელი შეგვიცვალე მადლიანო! მრავალ დღევანდელ დღეს გვამყოფე კარგ გულზე! დალო ეშხუმისაო, მხოლოდ კარგი გვიშეშხვამე! თეთრ წელიწადს მიგვაყენე! მრავალი ახალი წელი კარგ გულზე მოგვასწარი, მრავალი დღევანდელი დღე მოგვასწარი მშვიდობით, კეთილი გულით, საქონლისა და ადამიანის მშვიდობით... კარგ გულზე მოგვახმარებინე ამ წლის მოსავალი, მოგვეცი ყოველივეს სიმრავლე: ხარის, ძროხის, ვერძის, ვაცის, ვაჟიშვილის, ადამიანის მშვიდობა და ბედნიერი რძალი მოგვივლინე ეშხუმო ცისაო! კარგი წელი შეგვიცვალე, საქონელსაც და ადამიანს ყველას! მოსავლის სიკარგე და საქონლის სიმრავლე გვიწყალობე! მარცხი აგვაშორე - საქონელსაც და ადამიანსაც...

დიდო ღმერთო! კარგი წელი შეგვიცვალე, წლის სიმდიდრით გაგვახარე, საქონლის სიმრავლით და ადამიანის მშვიდობიანობით ახალი წელი კარგ გულზე მოგვასწარი!

ჯგრაგ შეშხუმისაო, კარგი წლის შეცვლა გაგვიმარჯვე, გაგვიმრავლე საქონელი და ადამიანი ყველა! კარგი შეშხუმი გვშუშხვამებოდეს სახლში მყოფთ ყველას! ადამიანის მშვიდობით, საქონლისა და მოსავლის სიმრავლით გავხარებულიყავით!

წლის შემცვლელო! გვიშველე და შეგვეწიე! წლის მოსავლით გაგვახარე: ადამიანის მშვიდობით, საქონლის სიმრავლით ბედნიერი გაგვხადე, ავადმყოფობა გვაშორე მადლიანო!...[1] ახალი წლის დღეს ადამიანის მშველელი და მწყალობელი მადლიანი ღერბეთია. მეკვლე, თავისი ყველა საწესო ქმედებისას, მას შესთხოვს შეწევნას. პირველი ადგილი სადაც მეკვლე ღვთისგან მადლით და სიმდიდრით ,,ხელდასმული'' ხდება, არის წყაროს წყალი და სახლის ეზოში აგებული თოვლის თეთრი ზვინი (კოშკი!, ,,ლამშენ''!); - ღმერთო მადლიანო! კარგი ფეხი მომიტანე! ყველას წყალობა მოგვეცი! წლის შემცვლელო, კარგი წელი შეუცვალე ჩემს სახლს: ღმერთის ყველა წყალობა მოგვეცი: ადამიანის მშვიდობა და ოთხფეხის სიმრავლე: გაისს ახალი წელი კარგ გულზე მოასწარი ჩემს სახლს! - წლის შემცვლელო ღმერთო კარგი წელიწადი მოგვივლინე! მადლიანო, ოთხფეხსაც და ადამიანსაც კარგი წელი შეგვიცვალე: წლის სიკეთე, საქონლის ზრდა და მატება, სულდგმულისა და ადამიანის სიმრავლე გვიწყალობე, დიდებულო!

- ო,ო დიდება მოგსვლოდეს წლის ძალის შემცვლელო! კარგი წელი შეგვიცვალე მადლიანო! ბედით და ბარაქით გაგვახარე, ლამარიავ! წლის მოსავალი მოგვიტანე და შენ გვიშველე; - მადლი გექნება!

- ო,ო, წლის ძალის შემცვლელო მადლიანო! კარგ ახალ წელიწადს მიგვაყენე: ჩვენი სახლის, საქონლის და ადამიანის ზრდით და მატებით გაგვახარე: მოგვეცი საქონლის სიმრავლე და მშვიდობიანობა: მომხმარებლად ადამიანი ამყოფე და მოსახმარი საქონელი მოგვეცი ჩვენი სულის შესარჩენად და ღვთის შესაწირად!

- გრგოლ ბასილ ზღვის კალანდისაო, კარგი წელი შეგვიცვალე! ზრდით და მატებით გაგვახარე, მშვიდობიანობით გაგვახარე!

ამ წყალობით დატვირთული მეკვლე შინას კარებს რომ მოადგებოდა, შესძახე-

---

[1] აღნიშნულის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა იხილეთ ვ. ბარდაველიძის წიგნში: სვ. ხალხ. დღეობ. კალენდარი, 1939 წ. 77-119. ეშხუამი სვანეთში.

ბდა შინ მყოფთ კარი გამიღეთო! რა მოგაქვს შე ბედნიერო?; ეკითხებოდნენ ისინი. ამაზე მეკვლე ასე უპასუხებდა: - დიდი ღმერთის წყალობა! მიჭმ თჷრინგზელის წყალობა, ჯგრჷგის წყალობა!ლამარიას წყალობა, ოთხფეხის სიმრავლე, თორმეტი კასრი რძე. პური ბლომად ლამჷრიას წყალობით, მოვდივარ და ვერ მოვდივარ, კარი გამიღეთ! (კითხვა-პასუხი 3-ჯერ გაიმართებოდა მეკვლეს და შინმყოფებს შორის!).

- წლის სიუხვე მომაქვს, თორმეტი კასრი რძე მაქვს, ადამიანის მშვიდობა და საქონლის სიმრავლე მაქვს, დიდი ღმერთის წყალობა მაქვს, ყველა ღმერთის წყალობა მაქვს, საქონლის სიმრავლე, ადამიანის მშვიდობა, კასრი რძით სავსე, ყოველგვარი ბარაქა, ხარების ჯოგი, კარგი წლის შეცვლა უმარცხოდ და უზიანოდ!

-წინ მომყვება უფლის (ფუსნა!) წყალობა, ადამიანის სიმშვიდე, წლის სიკეთე, საქონლის სიმრავლე: გაისამც მოგვსწრებოდეს კარგ გულზე!

-მომაქვს ადამიანის მშვიდობა, საქონლის სიმრავლე, ხარებით სავსე სახარე, საფურე - ფურებით სავსე, საცხენე ცხენებით სავსე, სათხე - თხებით სავსე, საცხვრე - ცხვრებით სავსე, საღორე - ღორებით სავსე... წლის სიკეთე, მშვიდობიანობა, ზრდა და მატება.

- მე მომაქვს თავდაპირველად ფუსნა ბრჷსდიას წყალობა, ზრდა და მატება, ბედი და ბარაქა, ადამიანის მშვიდობა, საქონლის სიმრავლე: სახარე - ხარებით სავსე, საცხენე - ცხენებით გვაქვს სავსე, საფურე - ფურებით, სახბორე - ხბორებით, საღორე - ღორებით, საქათმე - ქათმებით, საბატე - ბატებით, კიდობნები - ახალი მოსავლით, მარანი - ქვევრებით, ქვევრები - ღვინით, ზანდუკი - ვერცხლით, სხვა დანარჩენი სიკეთე, კარი გამიღეთ, ბედნიერნო!

ღვთით ასეთი ნაწყალობევი მეკვლე სახლში ,,შედის'' ხვავით და ბარაქით. კერას სამჯერ შემოუვლის და შემდეგ დაგორდება ხვავიანბარაქიანი; ის ხომ ოჯახს ეკუთვნოდა!.. კერის გარშემოვლისას კვლავ ილოცებოდა - ო,ო დიდება მოგსვლოდეს, დიდო ღმერთო, წლის ძალის შემცვლელო, კარგი წელი შეგვიცვალე, ადამიანის მშვიდობიანობით და საქონლის სიმრავლით გაგვახარე, გაისი მოგვასწარი კარგგულზე, საუკეთესო წლის შეცვლა თუ ვინმეს ჰქონდეს მეორედ ჩვენც მოგვასწარი, - მადლი გექნება! მარცხი და მავნე გვაშორე კაცს და ჩვენი სახლის საქონელს, ბალნის ბღუჯისა და ჩლიქის ნამცეცის გარდა ნურას მოაკლებ, ზრდით და მატებით გაგვახარე, გარეთ და შინ კარგი შეგვახვედრე, ცუდი აგვაშორე, მადლიანო!

- წელო ახალო, წლის შემცვლელო ღმერთო, კარგი წელიწადი შეუცვალე ჩემს ოჯახს! რამდენი კვირტი და წიწვი ამას (გრეიზ-ს) აქვს რამდენიც ღამეც და დღეც ამას გამოუვლია, იმდენი სიკეთე მიეცი ჩემს ოჯახს!

მეკვლის აღნიშნული ქმედების შემდეგ იმართებოდა ,,ხელის ახსნის'' - ,,ლიშიჷში''-ს წესი. ხელის ამხსნელი ხელასახსნელ პირს ყოველივე კარგს უსურვებდა წლის ძალის შემცვლელის წყალობით და შეწევნით დალოცვილი სამეკვლეო ნივთებით ხდებოდა ხელის ახსნა. მათ სამეკვლეო ხონჩიდან ამოალაგებდნენ და მრგვალ მაგიდაზე - ტაბლაზე (ფიჩქ!) დაალაგებდნენ. დალოცვისას ხელისამხსნელი ლოცავდა ,,ლეშიაშის'' ხელასახსნელს: - კარგი წელი გქონდეს, მრავალი დღევანდელი დღე კარგი გულით შეგსწრებოდეს, როგორც ესენი მე დაუყვედრებლად მოგეცი, ისე მოგცემოდეს ყოველგვარი სიკეთე. ხელასახსნელი პირი გამოართმევდა ხელის ამხსნელს ფიჩქს და ყველაფერს ხელს დაადებდა (ან კბილს დააკარებდა!), არყით სავსე სასმისს გამოსცლიდა. დამლოცველი ამგვარად ოჯახის ყველა წევრს დალოცავდა:

- წლის შემცვლელო მადლიანო!, კარგი წელი შეცვალე, ჯანმრთელობის ბედი მიეცი, მშვიდობით ამყოფე, ასი და ათასი წელი უმარცხოდ და უზიანოდ ამყოფე, -

მადლიანო წლის შემცვლელო! თვალი რასაც მოჰკრა, ხელი რასაც შეახო - ყველა შენი სასარგებლო ყოფილიყოს, როგორიც ეს მე დაუმადებლად მოგცე, ისე დაუმადლებლად გეშოვებოდეს ყველაფერი!

- კარგი წლის შეცვლამც გქონდეს საქონლის მატებით, ზრდით, მშვიდობიანობით, უმარცხო, გაუჭირვებელ წელს შეხვედროდე შენი და შენი ერთგული ადამიანის მშვიდობიანობით, მრავალი წლის შეცვლით, კარგ გულზე მოსწრებით!

- ო,ო წლის ძალის შემცვლელო, ახალ კარგ წელიწადს მიგვაყენე, მადლი გექნება მადლიანო! ზრდით გაახარე მადლი გექნება! შვილების მშვიდობიანობით გაახარე! ვაჟიშვილი შესძინე - მადლი გექნება! წლის ძალის შემცვლელო მადლიანო, ყველა მისი გულის ნებისა ჰყავ, გარეთ და შინ ყველა დედად და მამად დაუყენე, სწავლა უნდოდეს, სწავლის უნარი მიეცი ყველაფერს კარგსღა შეამთხვიე, ამ წელს მარცხი და მავნე აშორე, ყველაფერი უხვად და დაუნანებლად მიეცი.

- სავსე წელიწადსამც მისდგომოდე, ზრდით, მატებით, ბედით და ბარაქით. თავად ბასილ ზღვის კალანდისამც ყოფილიყოს შენი შემწე და შემწე შენი ცოლ-შვილისა, ბედი და ბარაქა მისცემოდეს ყოველივეს, რასაც ხელს მოჰკიდებდე!

,,ლიშაშის'' შემდეგ მეკვლე კიდობანთან მივიდოდა, მასაც მუქელუს დაუტრიალებდა (ხელში დაატრიალებდა წალმა!) და ილოცავდა:

- ლამარია, მადლი გექნება, მადლიანო, ამ წელს ლხინში მოსახმარებლად ღა დაგვაჭირვებინე ჩვენი მოსახმარებელი ქონება. სხვა უნდოზე არ დაგვაჭირვებინო იგი, ბედი და ბარაქა მიეცი ჩვენს მოსახმარებელს.

შემდეგ დარბაზში ავიდოდა და თივასთან ილოცებდა: - დიდება მოგსვლოდეს ღმერთო მადლიანო! მიეცი ბარაქა ჩვენი საქონლის საკვებს, არ მოგვიტანო საქონლის საკვების ნაკლებობა. გვახარე ოთხფეხის სიმრავლით, კარგ ახალ წელიწადს მიგვაყენე, მადლი გექნება!..

მეკვლე პურის მარცვლების დათესვისას კვლავ ღმერთს მიმართავდა: - ღმერთო! გაგვიხარე ნახნავ-ნათესი!

ზომხა დღის სალასკაროდ აღმნიშვნელი სამხუბის უხუცესი მეხრლე (მორიგე) ოჯახში სალოცავ სარკმელთან სალოცავი ლემზირებით (ჩვეულებრივი სამ ლემზირიანი!) ,,დიდ ღერბეთებს'' ცალ-ცალკე ახსენებდა 1-ლი ,,ხოშა ღერბეთი'' იყო, მეორე ,,მგქემ თარინგზელი'' მესამე - ჯგგრაგი. შემდეგი საქონლის მომცემი ღმერთი (,,კუმშიშ მუჰუდი ღერბეთ'' || ,,უეთხმალიშ მუჰუდი ღერბეთ'', შალიანი (კვირიკეს წმინდა ხატი) და სხვა, სვანეთის ძირი სალოცავები. დიდი ღმერთის (ხოშა ღერბეთ'') სადიდებელი ასეთია;

- ო,-ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს, დიდო ღმერთო, დიდება! დიდო ღმერთო მადლიანო, ქვეყანა შენი დაწესებული არის, ყველაფერი კარგი დააწესე ჩვენს საძმოში.

მგქემ თარინგზელის: - ო - ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს, თარგლეზერს დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს, თარგლეზერს დიდება მოგსვლოდეს! თარგლეზერო, ყველა ღმერთის ვაზირი შენ ბრძანდები, ყველა ღმერთს სულ კარგი მოამართებინე ჩვენს საძმოში, მრავალი ახალი წელიწადი კარგ გულზე გვამყოფე!

ჯგგრაგის - ო - ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს მწყალობელ ჯგგრაგს დიდება! ჯგგრაგო მადლით სავსევ, ადამიანის შემწე შენ ბრძანდები და ჩემს საძმოს, პატარას და დიდს, ყველას შენ შეეწიე, გაისს ახალი წელი კარგ გულზე მოა-

სწარი![1]

ამდენად, შეძლებისდაგვარად ჩვენს მიერ განხილულმა ახალი წლის ტრადიციამ (ძველი სტილით ეშხუამ - მახე ზაე - სამ) მითოსის ასეთი სურათი წარმოგვიჩინა;

1. ეშხუამ - მახე ზაე-ის ტრადიცია ითავისებს ,,შესაქმის'' იდეას - ყოველივეს ახლად დაბადების იდეას დროსა და სივრცეში.

2. სამყაროს ანუ ყოველივეს შემომქმედად ორი არსის ერთობლიობა წარმოჩინდება. რიტუალით ისინი ზაი ყერი მგცაედის ,,წლის ძალის შემცვლელი''-ს ეპითეტით გვეელინებიან.

3. ,,ეშხუამ'' არის ახალი დროის დასაწყისის საკრალური - ტრადიციული წიაღი ანუ ეშხუამის დროში იქმნება ახალი დრო და დროში ყოველივე ახალი (მახე ზაე !) ,,ეშხუამ'' დასაწყისიცაა და დასასრულიც.

4. ეშხუამ-ის მფარველი დალ ეშხუამიშია - მდედრობითი არსი, ერთერთი შემომქმედი. მის წიაღში იბადება ყოველივე და ამიტომ დამბადებელიც ყველაფრისა დალ ეშხუამია.

5. დალ ეშხუამიშ ,,ერთი'' მთლიანი არსია, რომელიც ასევე გაიაზრებს მასთან მეორე, მთლიანი არსის ერთიანობასა და განუყოფლობას. აღნიშნულს იტევს ეშხუამ-ის || ეშხუამის - ,,ერთ''-ი, ,,ღმერთის'' ცნების საფუძველია იგი. ეს ,,ერთ''-ის უზენაესობის - უპირველესობის აღიარების გარდა ითავისებს დალ-თან განუყოფელობასაც, ანუ ,,დალ'' არის ,,ერთ''-ის გვერდში მყოფი, უზენაესის ერთ-ერთი პარადიგმული სახე, შემოქმედი მზის ღვთაება. იგი მეორე ბუნებრიობის ,,ხოშა ღერბეთის'' მეწყვილეა ღვთაებათა საუფლოში. ეს ორივე უზენაესია, ,,ერთ''-ის (ღმერთის!) გამომავლინებელი, ყოვლიერების შემოქმედის, დამბადებელი ღმერთის იდეური საწყისი, შეძლებით მზის ბუნებრიობასთან გათანაბრებული და თანაზიარი. მზის სახელწოდება ,,არდი'' ამართლებს იდეურადაც მზეში ასოცირებული უზენაესი შემომქმედის თვისებას ,,ლირდე'' - სიცოცხლეს და არსებობას ყოველივესი. თუკი ამ შემოქმედის უპირველეს ბუნებრიობად მდედრობითი არსია მიჩნეული, მზის ღვთაების სახელწოდებად ,,დალი'' უფრო წარმოჩინდება, ვიდრე სხვა ,,ვინმე'' ან ,,რამე''!

დალის უზენაესობა და პირველადობა ქალის მსახურებითაც დასტურდება ანუ დასტურდება ქალის მიერ ღვთის (ცის!) სამყაროსთვის ,,ზრუნვით'' (ლემზირების შექმნა!), კერის და ,,გიმ''-ის (მიწის!) განგებისაგან მადლის მიღების სურვილით. ქალი ,,უხილავთა'' პირველი მსახურია; მზე - კერა, მიწა, ქალი პირველი საკრალური წრე - ,,ერთი'' უზენაესის მსახურების გამომავლინებელი.

ქართველების (სვანების) ,,ღმერთი'' არ გაიაზრება ზოომორფული არსებით - ხარით (ბოსელით!). მისი ფუძე - არსი არის ,,ერთი''- მზის ბუნებრიობით არსებული. მზე დედაა ქართველთა და სწორედ ეს იყო უძველესი უზენაესი შემოქმედიც. ერთი დამბადებელი. მისი საკრალური საკუთარი სახელია - დალ-ი. ,,ერთი'' ხდება ღმერთის საფუძველი, რომელიც უკვე ითავისებს არა დალის ბუნებრიობას, არამედ ,,ხოშა ღერბეთის''. ამის საფუძველს და მის გენეტიკურ არსებობას ,,ძველზე ახლის ფორმით'' იძლევა მსოფლმხედველობაში ,,დაბადების'' || ,,შესაქმის'' ფუძე იდეის არსებობა. ყო-

---

[1] აღნიშნულის ეთნოგრაფიული მასალა იხ. წიგნში ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღეობათა კალენდარი, 1939 წ. გვ. 121-174. ზომხა - სვანეთში (ცალკეული სოფლის მაგალითზე).

ველივეს შემოქმედად მითოსმაც და რიტუალმაც ეს ორი ცალცალკე ,,ერთ'' ბუნებრიობად გაიაზრა და მას გარკვეული დროის მანძილზე ასეთი რწმენით ემსახურა.

აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა შეშხუამ-მახე ზაგს დღეობათა რიტუალი მთელი თავისი მცირე თუ დიდი ნიუანსით. რიტუალში მოქმედი ყველაფერი, ამ ორის არსებობის და შეშხუამით, ყოველივეს ჩენის, ამღიარებელი და მტვირთველი ფაქტია. ეს ორივე რიტუალი ,,შესაქმის'' იდეის მჩენი და მსახურია, რათა საიდუმლოებით მოსილი ყოველივეს გაჩენა დროსა და სივრცეში აქ, ადამიანის სამკვიდრებელში კერის ირგვლივ იქნეს კვლავ შემოქმედთა ,,სასიკეთოდ'' გაჩენილი, რათა ადამიანმა კვლავ შეძლოს მათთვის ლემზირების მიძღვნა და სხვა მსახურების განხორციელება.

ღვთის რწმენის და მსახურების ყველაზე მეტად მჩენი ლემზირებია. სწორედ ისინი ქმნიან იმ უწყვეტ ჯაჭვს ღვთის რწმენისა და მსახურებისა, რაც წარმოუსახია ადამიანს ლემზირის შექმნიდან დღემდე ღმერთის შეცნობისათვის. აქაა დაკონკრეტებული ღვთის სახე ,,ერთი''-დან ,,სამობით''. აქაა იდეა ცისა და მიწის კავშირისა, ღვთის მიერ ყველაფრის შექმნისა და მიწის (მიწიერის!) ზეცისადმი (ღვთისადმი და ,,ღვთაებებისადმი'') მსახურებისა. აქაა იდეა წმინდად, წმინდით, წმინდა ადგილას მსახურებისა, ტრადიციულად და მარადიულად მსახურებისა, რათა მარადიულად განხორციელდეს სიცოცხლე არსებობისა.

ეს ძირითადი იდეური მხარე ქმნის ღვთის უზენაესი შემოქმედის გრაფიკულ ემბლემა ნიშანსაც. ჯვარი და წრე. (,,შემოსაზღვრულ სიღრმეს''!), ამ ორის ერთმანეთში ჰარმონიული შერწყმა ,,პირველი მეუფის'' ემბლემის საფუძველს (თუ არა ემბლემას!) იძლევა მწყობრი რელიგიური სისტემებისთვის. ქართულ ტრადიციებში დაუნჯებულ სულიერ კულტურას სრული უფლება აქვს უძველეს ცივილიზაციათა გვერდით არსებობისა; აქ იგი ჯერ კიდევ ცოცხალია.

ასომთავრულის ვარ ასონიშანიც იმ იდეის მჩენია, რაც ქრისტიანული რელიგიით იქნა განცხადებული. რწმენა უზენაესი ღმერთისა ერთისა და ჭეშმარიტისა. ადამიანის არსებობა სწორედ მისადმი რწმენით განისაზღვრა. რწმენა ქართველმა მსახურებაში გაითავისა; ხელაპყრობილი ,,მვარი'' გეორგიანელისა ღვთის რწმენასაც სახავდა და მის მსახურებასაც. ეს არის იმ საოცარი კავშირის ჩენა, რაც დვრიტაშივე ჩაუდევს ადამიანისთვის შემოქმედს.

VI

ქრისტეშობა და ქრისტეშობის მსგეფსი „კორკოტობა“ — „ქრისტეშობ“-ის წინა დღე

ქრისტეშობის წინა საღამო საქართველოში მრავალფეროვანი წეს-ჩვეულებებით არის დატვირთული. ამ საღამოთი მთავრდება ქრისტეშობის ექვსკვირიანი მარხვა. ამ მარხვას ქრისტიანი მართლმადიდებლები ქრისტეშობის წინა დღის მძიმე მარხვით ასრულებდნენ. ხალხური ტრადიცია კი იმ წეს-ჩვეულებებს მიმართავდა რომელნიც რწმენით, კეთილდღეობით სავსე მომავლის უზრუნველსაყოფად იყო აუცილებელი.

ქრისტეშობის წინა დღეს (ძვ. სტ. 24 დეკემბერი ახ. სტ. 6 იანვარი) სვანეთში (ზემო სვანეთი) ,,შობ“-ს ეძახიან, სამეგრელოში - ,,ქირსე საღამო“-ს (ქრისტეს საღამო) გურიაში - ,,მრავალწლობას“, იმერეთში - ,,კორკოტობა“-ს რაჭაში - ,,კორკოტობა“-ს ან ,,ჭანტილობა“-ს, ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - ,,ჭანტილობა“-ს, ქართლში - ,,ქრისტეს კორკოტობა“-ს, ხევში - ,,ყორბოულობა“-ს მთიულეთ-გუდამაყარში - ,,თხილობის ღამე“-ს და ა. შ.

ეს დღე ყველგან დიდ უქმედ ითვლებოდა, განსაკუთრებით ქალებისათვის არ შეიძლებოდა კერვა, ქსოვა და სხვა ხელსაქმე. ამ დღეს მთელს საქართველოში პურის მარცვლისაგან იხარშებოდა ფაფა სახელწოდებით: ,,ჭანტილი“ (ქვემო სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი) ან ,,კორკოტი“ (იმერეთი, გურია, სამეგრელო). ,,ქრისტეს კორკოტი“ (ქართლი, თუშეთი), ,,ცხრაწვენა“ (ქართლი, კახეთი), ,,შობა ქაქ“-(ზემო სვანეთი). ეკლესიურად ამ ფაფას კი ,,კოლიო“ ეწოდება.

ჭანტილობა დღეს (24 დეკემბერი) უფროსი ქალი ყველაზე ადრე ადგებოდა. ცეცხლის დანთების შემდეგ შემოიტანდა გობს საჭანტილეთი და შუა ცეცხლთან ამ გობს სამჯერ ისე მიარტყამდა, რომ ქატო[1] ცეცხლში ჩაყრილიყო და ცეცხლიც გაძლიერებულიყო. ამის შემდეგ საჭანტილეს გარეცხავდა, ჩაადგამდა ქვაბში და ცეცხლზე ჩამოჰკიდებდა. როდესაც ხორბალი კარგად მოიხარშებოდა, მოიტანდა ყოველგვარი თესლეულის (რაც ოჯახს გააჩნდა) სამ-სამ კაკალს (სიმინდი, ლობიო, ცერცვი, ოსპი...) და ჩაყრიდა მოხარშულ ჭანტილში. იგი შემდეგ იკმაზებოდა ხახვით, მარილით და ნიგვზით, ან თაფლით (შაქრით) და ნიგვზით. ჭანტილის ჭამა საღამომდე, ვახშმობამდე არ შეიძლებოდა. მოხარშული ჭანტილის ქაფს გარეთ ხეებს წაუსვამდნენ - მომავალ წელს უხვი მოსავალი გვექნებაო!

,,ცხრაწვენა“-სათვის ძირითადად იღებდნენ ლობიოს და მას უმატებდნენ სხვადასხვა მარცვლეულს: ქერს, სიმინდს, ხორბალს, ფეტვს, ცერცვს, მუხუდოს... ცხრაწვენას სქელი წვენი უხვი მოსავლის მაუწყებელი იყო.

მთიანეთში, გუდამაყარსა და ერწო-თიანეთში, აღნიშნულ სარიტუალო დღეს დამბალ ხორბალს დანაყავდნენ და წყალში მოხარშავდნენ; გუთნისდედა (მამაკაცი) წყალში ხორბალს ჩაყრიდა და მსხლის ჯოხით მოურევდა. ამ ჯოხს კი სახლის კედე-

[1] საკორკოტე ხორბალი კილიანი თესლია. მას პირველად დაასველებდნენ, შემდეგ ჩადებდნენ ტომარაში და კეტით ურტყამდნენ რათა კილისაგან (ქატო!) თესლი განთავისუფლებულიყო. კორკოტობისთვის ასე, წინასწარ ,,დაჩეჩქვილი“ (სვ-ად ,,ლგჯ̄ებ“) - კილგამოცლილი ხორბალია საჭირო.

ლში ერთი წლის განმავლობაში შეინახავდა. ზოგჯერ ხორბალს ხშირწვერიანი კაცი ნაყავდა - ხშირი ყანა გვექნებაო! ზოგჯერ ფაფას ბიჭი მოხარშავდა, გარეთ გაიტანდა და ხშირ ტყისაკენ გაიხედავდა, რათა იმ წელს ხშირი ყანები მოსვლოდათ. ქართლში 24 დეკემბერს მოხარშული კორკოტის ქერქის (ანუ სქელი ზედაპირი; გაციებული კორკოტი ასეთ ფენას იკეთებს) ნაწილს გუთნისდედა სახლის ბოძებს ან კედელს წაუსვამდა, ცოტას ხარებს აჭმევდა, ცოტასაც თვითონ შეჭამდა. ამის შემდეგ მას დიასახლისი ხახვით და ნიგვზით შეანელებდა. შენელებულ კორკოტს გუთნისდედა ოჯახის ყველა წევრს თავისი ხელით შეაჭმევდა.

,,კორკოტობის'' შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტია ლოცვა და რიტუალური ტრაპეზები. ამ დღის სვანურ ტრადიციას ჩვენ საუკუნეს მიტანებული რესპოდენტი ასე გადმოგვცემს: საღამო ჟამს, უკვე მოხარშული და გაგრილებული კორკოტის (,,ითქ'' || ,,შობᲘ ქაქ'') ზედა ფენას გადმოვიღებთ თეფშზე, ასევე ავიღებთ უკვე გამომცხვარ სამ ცალ ,,ლემზირს'' (სალოცავი პური) და ორივეს ერთად (ფაფის ნაწილს და ლემზირებსს) გავიტანთ ,,გვემ''-ში, სათავსოში, სადაც მთელი წლის სანოვაგე (მცენარეული!) ინახება. ეს პროცესი ისე უნდა შევასრულოთ, რომ მამაკაცებმა არ დაგვინახონ. აქ, ამ შესაწირით ხელში, ფქვილის კიდობანთან (,,ლაფქიᲘრ'') უნდა დავილოცოთ ,,შობა ლამᲘრიᲘ''-ს სახელზე: - დიდება მოგსვლოდეს შობის ლამარიავ, საუკეთესოდ მიიჩნიე ჩვენი დღევანდელი შენდამი ლოცვა, ბარაქა მიეცი შენს კიდობანს დიდებულო! აღვლენილი (,,ჟილგმზგრე'') აქვე უნდა შეიჭამოს კვლავ საიდუმლოდ. თუ ვერ შევძელით მისი დამთავრება, შევინახავთ და მეორე დღეს დავასრულებთ მას ისევ აქ ,,გვემ''-ში სხვების გარეშე. ამ რიტუალის შემსრულებელი დიასახლისია - ქალი, რომელსაც პურის დაცხობა ევალება. ამ წეს-რიგის შესრულების შემდეგ იმავე ჭურჭლით, რითაც ,,შობ''-ის კორკოტი მოიხარშა სალოცავ სარკმელთან, უკვე მთელი ოჯახის თანდასწრებით ,,შობა ლამᲘრიᲘ''-ს კვლავ აღვუვლენთ შესაწირს; დავილოცებით და შევსთხოვთ შეწევნას. კოლიოს შეწირვის შემდეგ ცალ-ცალკე, სამ-სამ ცალ ლემზირს (ან 6 ცალს ერთად, ან 9 ცალს ერთად) კვლავ აღვუვლენთ ,,ლამᲘრიᲘ''-ს ,,შობ''-ისას. ლოცვის შემდეგ კორკოტსაც და უკვე აღვლენილ ლემზირებსაც სხვა, სამარხო საკურთხთან ერთად, ვუკურთხებთ (,,ლიფᲘნე'' || ,,ქალიფᲘნე'' || ,,ქალეფᲘნე'') გარდაცვლილებს. ამის შემდეგ უკვე სატრაპეზოდ გამზადებულ საჭმელს მივირთმევთ და დავამთავრებთ კიდეც მისით, ,,შობ''-ის რიტუალს.[1] (მთხრობელი ს. გირგვლიანი, 1995 წ. ლატალი 91 წლის).

სხვა ვერსიით (უფრო ახალგაზრდების): საღამო ჟამს დიასახლისი დააცხობს ლემზირებს რაოდენობით 3, 6, 9 ან 12 ცალი. პირველი სამი ლემზირით მლოცველი (მამაკაცი ან ქალი) სალოცავ სარკმელთან ილოცება ,,ჯᲘრ ქრისდᲘშ''-ის სახელზე, შესთხოვს მას ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას, მშვიდობას ოჯახისას (,,შიდბა''), ბედნიერი წლის დადგომას (,,ხოჩა ზᲘᲘ ლიცᲘდი'') და მრავალ სხვა სურვილს. შემდეგი სამი ლემზირით ილოცება იმ წმინდანის სახელზე, რომელსაც მისი ოჯახი ეკუთვნის (ანუ, ვის საბრძანებელზეც ცხოვრობ - ,,იმᲘ ტყვეფქᲘნ სი ხიზგე''!) იქნება იგი ,,ჯგრᲘგი'', ,,Იანი'', ,,მაცხვᲘრი'', ,,თᲘრინგზელი'' თუ ა. შ. სხვანი.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ამ დღის ზემო სვანურ ჩვეულებაზე ვიგებთ შემდეგს: საღამოს ყოველ ოჯახში ლობიან პურებს დააცხობდნენ და ,,მუჯორ''-ს (კანაფის დანაყილი თესლისგან დამზადებული შეჭამადია; გარდაცვლილთათვის იგი

[1] ს. გირგვლიანი - გვიჩიანის, ლატალი, იფხი. 1995 წ. 91 წლის.

ერთერთი აუცილებელი საკურთხი იყო სვანეთში) დაამზადებდნენ. ვახშმობის დროს გაშლიდნენ ორ სუფრას. ერთს - კერის პირას მოთავსებულ სვანურ მერხზე („ბანდᾶრ"), ამ მერხის (მასზე მხოლოდ ქალები სხდებოდნენ!) მომრგვალებულ თავზე დააწყობდნენ ქვაბიდან ამოღებულ მუჯორმოსხმულ თესლსა[1] და ლობიან პურს. ამ სუფრას სალამარიოს („ლამᾶრიᾶ ლეფᾶნე".) ეძახდნენ. მეორე სუფრას, მიცვალებულთათვის განკუთვნილს („ლეფᾶნე"), გაშლიდნენ კერის პირას და მასზედაც თესლსა და ლობიან პურებს დააწყობდნენ. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ სალამარიო სუფრაზე თესლთან ერთად ჯამზე კოვზსა და ჩოგანს ათავსებდნენ და ერთ სანთელს ანთებდნენ, ხოლო სულების სუფრაზე - სამ სანთელს. ლამარიას სუფრასთან დიასახლისი ეევედრებოდა ლამარიას ოჯახის კეთილდღეობისთვის. სულების სუფრასთან კი - ამასვე შესთხოვდა მათ სახლის უფროსი მამაკაცი. ლოცვის შემდეგ მანდილოსნები ლამარიასთვის შეწირულ სანოვაგეს შეექცეოდნენ, ხოლო კაცები და ბავშვები მიცვალებულთათვის გამზადებულს. (მას საწესო ადგილიდან სხვაგან გადადგამდნენ და ისე შეექცეოდნენ!) ვახშმის გათავების შემდეგ დიასახლისი კოვზსა და ჩოგანს კიდობანში ჩააწყობდა, სადაც ისინი მომავალ ამ დრომდე („შობ"-ამდე!) ინახებოდა.

რაჭაში ვახშმისათვის აცხობდნენ სამ ცალ საწესო პურს - „განატეხ"-ს, განატეხი უნდა ყოფილიყო ნიგვზიანი. ჩამოქნიდნენ 4 ჩხირ სანთელს, სამს ჩაარჭობდნენ თითო-თითოდ განატეხში, მეოთხეს კი უფროსი ქალი ან კაცი ხელში დაიკავებდა. განატეხი ანთებული სანთლით, ჭიქა ღვინოთი, ჭანტილით და სხვა საჭირო სანოვაგით ჩაწყობილი იყო გობში. მლოცველი ქალი ან კაცი ამ გობს ცეცხლთან ახლოს წაღმა სამჯერ შეატრიალებდა და შეულოცავდა (დაილოცებოდა!) - ღმერთო, რამდენი კაკალიც ეს არის, იმდენი სიკეთე მოგვეცი, იმდენი თეთრი და ქონება, იმდენი კოდი ხორბალი. ლოცვის შემდეგ ამ ოთხ ჩხირ ანთებულ სანთელს სახლის ოთხივე „ყურეში" მიაკრავდნენ და სანამ არ დაიწვებოდა, არ ჩააქრობდნენ. როგორც ჭანტილს, ისე განატეხს სტუმრებსაც აჭმევდნენ.

ლეჩხუმში საღამოს ვახშმობისათვის, უფროსი ქალი გამოაცხობდა სამ პატარა კვერს, ჯვარდასახულს, სახელით „ხველის ტაბლა". ამ კვერების სართავად უნდა ყოფილიყო ნიგოზი და ხახვი. ჭანტილიან გობში ჩააწყობდნენ ამ სამ კვერს, ჭიქით ღვინოს. გობის კიდეზე დადებულ ნაკვერჩხალზე საკმეველს დააკმევდნენ ან სანთელს დაანთებდნენ. უფროსი ქალი ამ ყველაფერს კერიას ძირში მარჯვნივ სამჯერ შეატრიალებდა და ილოცებდა: - ღმერთო! დაგვიფარე ხველისაგან, სნებისაგან (სნეულება), მიეცი სიმთელე საქონელს, კაცის სულს, გვიშველე და მოგვეხმარე". ამის შემდეგ ეს ჭანტილა და ტაბლებიც შეიჭმებოდა ვახშმობაზე. თუ იმ ღამეს ჭანტილა დარჩებოდა, მას მესამე დღეს დაამთავრებდნენ, რადგან ქრისტეშობის დღეს მისი გამოჩენა არ შეიძლებოდა.

იმერეთში საღამოს, როცა კორკოტს აკეთებდნენ, მთელი ჯალაბობა იკრიბებოდა: უფროსი ქალი შესთხოვდა ღმერთს ოჯახის დღეგრძელობას: შემდეგ კორკოტი ულუფებად რიგდებოდა ოჯახის წევრს შორის.

გურიაში 24 დეკემბერს აცხობდნენ საწესო პურს - „ღვეძელ"-ს (ღვეზელი!), რომელიც ნახევარწრის (ნახევარმთვარის) ფორმისა იყო. ცხვებოდა ხორბლის ფქვილისაგან, ურთავდნენ ყველს და გამომშრალ, შებოლილ კვერცხებს, რომლებიც მთელ-მთელად ან შუაზე გაჭრილი იდებოდა. „ღვეძელი" ცხვებოდა იმდენი, რამდენი წევრიც იყო ოჯახში; უფროსებისათვის უფრო დიდი ზომის, პატარებისათვის კი -

[1] იგულისხმება კორკოტი

მომცრო. ,,ღვეძელის'' გამოცხობა მიცვალებულისთვისაც იცოდნენ.

სამეგრელოში ღვეზელს და მუცლის სალოცავ კვარს (კვერი) აცხობდნენ. თითო კვარში თითო კვერცხს დებდნენ. მათ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით აცხობდნენ.

ხევში ცხვებოდა ორი ,,ყორბოული'' (,,ქრისტეს პური''). მთიულეთში - ,,ქრისტეს პური'' (ხმიადი), რომელსაც ოჯახის უფროსი გარეთ გაიტანდა, ცას დაანახვებდა და ლოცვას იტყოდა. შემდეგ ამავე პურს მუხლებზე დაიდებდა, ხშირ ტყეს გახედავდა, გადატეხავდა და შინ შევიდოდა. ერწო-თიანეთში 3 დაჭრელებული კვერი - ,,ქრისტეს ოხშამი'' (,,ქრისტეს ვახშამი'') ცხვებოდა და გარკვეული რიტუალი სრულდებოდა. თუშეთსა და ხევში ამ დღეს ისეთივე სამზადისი იყო, როგორც ახალი წლის წინა დღეს; ბავშვებს ქერიფქლას და ფიჭვის პატარა ტოტებს მოატანინებდნენ, საღამოს მათ კარებში დაამაგრებდნენ ავი თვალისაგან დასაცავად ყველაფერს, რაც განათხოვრებული ჰქონდათ, ამ დღეს იბრუნებდნენ, სახლიდან ახალს არავის გაატანდნენ (,,კვალის დაჭერა''), დიასახლისი საღამოს გამოაცხობდა პურებს ადამიანთა და შინაურ ცხოველთა გამოსახულებით (,,საღოცავები'' ერქვა ამ პურებს!) და მათ ქრისტეს სუფრაზე'' მოათავსებდნენ. ,,ქრისტეს სუფრა'' შედგებოდა იმ დღეს დაცხობილი ყველა საწესო კვერის, კორკოტის, რაიმე თეთრი ნივთის, ყველის პატარა ნაჭრის, ცოტაოდენი მატყლის, არყისა (პატარა ჭურჭელი) და 1 ცალი სანთლისაგან. ყველა ესენი დაწყობილი იყო ხონჩაზე და მას (5 (18) იანვარი) ,,განცხადება''-მდე კიდობნის თავზე ან თახჩაში ინახავდნენ. ქრისტეს კორკოტის მეორე ნახევარს დიასახლისი ოჯახს მოახმარდა.

სვანეთში ,,შობ''-ის დღეს მეორე დღისთვის წესად იცოდნენ ღორის დაკვლა. ,,ლექრისდ̄ეშ''-ი ერქვა ამ საგანგებოდ გასუქებულ ღორს. მსგავსი წესი სამეგრელოშიც იცოდნენ და მას ,,საქირსე ღორს'' ეძახდნენ. ,,ლექრისდ̄ეში'' აუცილებელი იყო იმ მორიგე ოჯახისთვის, რომელიც თემს საღასკაროდ უმასპინძლდებოდა ქრისტეშობის დღესასწაულზე. ცალკეული ოჯახებისათვის კი მისი ყოლა საკუთარ სურვილზე იყო დამოკიდებული. (კახეთში ამ სადღეობო ღორს ქოსმენი ერქვა).

,,შობ''-ის საღამოს ყველა საწესო ქმედების დამთავრების შემდეგ იწყებოდა ,,ალილო''-ს ,,პროცესია''. მისი შემსრულებელნი იყვნენ მეალილოეები, მგალობლები ანუ ქრისტეს მახარობლები, 3-4 კაცისაგან ან ქალისაგან შემდგარი ჯგუფი. ისინი მთელს სოფელში დაივლიდნენ ოჯახებს კარდაკარ და ულოცავდნენ (გალობით, სიმღერით!) ქრისტეშობის მობრძანებას. სამაგიეროდ მათთვის ოჯახს სურსათ-სანოვაგე (იმ დღეს დამზადებული!) უნდა გაეღო. ,,შემოლოცვისას'' მეალილოენი ხაზს უსვამდნენ თავიანთ ღირებულ მოვალეობას: - ჩვენ მათხოვრები არ ვართ, ვართ ქრისტეს მახარობლებიო!... შეგროვილი სურსათით მეალილოენი იმ ბოლო ოჯახში იქეიფებდნენ, სადაც დაათენდებოდათ... ამ ზეიმით და ღამის თევით ეგებებოდა მთელი საქართველო ,,ქრისტეს შობის'' ბრწყინვალე დღესასწაულს.

,,25-სა ამ თვესაო
ქრისტე იშვა ბეთლემსაო!
მოგილოცავთ დიდ პატარას
ამ ბრწყინვალე ზე - დღესაო!''[1]

საქართველოს სხვადასხვა კუთხის აქ წარმოდგენილი საწესო რეალიები მხო-

[1] ნ. აბაკელია, ქ ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, გვ. 10-21. 1991 წ.

ლოდ მცირედი ნიუანსებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი ავსებენ ერთმანეთს და, საერთოდ, ქართული ტრადიციის ერთ მთლიან სურათს ქმნიან.

საწესო ჩვეულებანი ყოველთვის იტევს თავის თავში საკრალურ იდეას და ყოფითი წეს-ჩვეულებანი ემსახურება და სახილველს ხდის მას. აღნიშნულის ნიადაგზე ჩვენ უფლება გვეძლევა თვითეული ამ წესრიგის ნიუანსთა იდეური გასაღებიც გამოვძებნოთ. დავიწყოთ დღესასწაულის სახელწოდებით;

მეგრული ,,ქირსე საღამო'' ,,ქრისტეს საღამოს'' ნიშნავს. გურული ,,მრავალწლობა'' - მრავალ წელს, სამრავალწლო დღეობას. იმერული ,,კორკოტობა'' - დღეს, როდესაც კორკოტი უნდა მომზადდეს. ასევეა ,,ჭანტილობა'' და ,,ქრისტეს კორკოტობა''. მოხევეთა ,,ყორბულობა'' დღეა, როდესაც მზადდება საწესო პური ,,ყორბოული'' (სვანურად ,,ყურბეველ'' თეთრ, სქელ პურს ნიშნავს) მთიულურ-გუდამაყრული ,,თხილობის ღამე'' კი იმ წესის შესრულების დროა, როდესაც დიასახლისი შუაცეცხლის ზემოდან ჯამით შემოვლილ თხილს კერის ირგვლივ ბავშვებს გადაუყრიდა.

დღის ამ სახელწოდებებში განივთებული წესი დასტურია იმისა, რომ იგი მხოლოდ ამ დღეს ეკუთვნის და არა სხვა რომელიმეს, რადგან ეს წესია იმ იდეის მსახური, რის გამოც შეიქმნა ქრისტეს შობის წინა დღის სახიერი ტრადიცია. ამ შემთხვევაში კორკოტის მოხარშვა, ყორბოულის დაცხობა, კერიასთან დიასახლისის მიერ ბავშვებისთვის თხილის გადაყრის წესი და სხვა მისთანანი. რა იდეის მტვირთველი უნდა იყოს სახელწოდებანი ,,ქირსეს საღამო'' (მეგრული), ,,მრავალწლობა'' (გურული) და ,,შობ''-ა (სვანური). ,,შობ'' სემანტიკურად ,,შობას'' ნიშნავს, მაგრამ არა ქრისტეს შობას, ქრისტეს შობის მომენტს... იგი უფრო ზოგადის, ბუნების კვდომა - განახლების მომცველი იდეური ცნებაა. ვფიქრობთ, მას პირდაპირი გაგებით არაფერი საერთო არა აქვს ქრისტეს დაბადების ფაქტთან. ჩანს, იგი ,,მეტად'' წინაქრისტიანულია და მითიურ სახეს ატარებს. ეს ის იდეაა, რომელიც იტევს დროის ბუნებრივ ცვლას, მის ციკლურობას და მარადიულობას. თავის მხრივ, ამ იდეას იდეურადვე ესადაგება ,,მრავალწლობაც'', ტერმინი, რომელიც უფრო აკონკრეტებს ზემოთქმულს: ,,ყოველივეს შობ''-ის იდეა მრავალწლისეულია, მარადიულია და წრებრუნვადია: ყოველ წელს ,,იბადება'' (,,იშობა''?!) ყოველივე, რომელიც გარკვეულ დროში (წელიწადის ციკლში!) კვდება და კვლავ ახლად იბადება. ამის საწყის დღედ კი, ჩანს, წინარექრისტიანთათვის ქრისტეშობის წინა დღეცაა აღებული და იგი, ამავე დროს, ახალი წლის (ზოგადად: დროის) დასაწყისიცაა.

,,მრავალწლობა'' ასევე აკონკრეტებს სურვილს მიწიერისას იმის თაობაზე, რომ განახლება ყოველივესი უნდა იყოს მუდამ, ყოველ წელს და, საამისოდ ხელს უწყობს კიდეც ,,შემოქმედს'', თავისი შექმნილი ტრადიციებით და რიტუალის წესრიგით. აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, გასაგებიცაა სახელწოდების; ,,ქრისტეს (ქირსეს) საღამოს'' არსებობა სხვა სახელწოდებებთან ერთად. 25 დეკემბერი მზებუდობის დღეა. მზე კი ქრისტოლოგიით ქრისტეა, უფალი ჩვენი, ,,ერთარსება სამი'', მაგრამ წინარექრისტიანულით ,,მზე დედაა ჩვენი''!...

- ,,25 დეკემბერს წინ უსწრებს მზებუდობის რამოდენიმე დღე, როცა მზე თითქოს ბუდეში ზის როგორც კვერცხი - არც იკლებს, არც იზრდება, ძევს უძრავად, გაყუჩებული... დრო თითქოს შეყენებულია, თავის თავშია ჩაბრუნებული. მაგრამ დგება 25 დეკემბერი და რაღაც იდუმალი ბიძგი აამოძრავებს დრო ჟამს, აქამდე თითქოს მარადისობაში გაყინულს და იბადება ახალი მზე...

ამ დღეს ყოველთვის განიცდიდნენ, როგორც დაუვალი მზის დაბადებას (,,მზე უძლეველი'') და დღესასწაულობდნენ მას. არა მხოლოდ იცოდნენ ამ დღის არ-

სებობა, როგორც ასტრონომიული ფაქტისა, არამედ გრძნობდნენ კიდეც მის თვისებას და ამაში იყო დღესასწაულის ძალა.

სვანეთში ამბობდნენ რომ ამ დღეს რომელსაც ეწოდება ,,ქრისდეშ''[1] ანუ დღე ქრისტეს შობისა, მზე ვერძის სამ ნახტომს აკეთებს. აქედან იწყება მზის აღორძინება... 25 დეკემბერს იბადება ქრისტე, აღმოცენდება ,,მზე სიმართლისა''. ეს ,,გატოლება'' ქრისტესი, ხილულ მზესთან მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ქრისტეს შობას თავისი ანარეკლი აქვს ბუნებაში... მარადისობაში შობილი ძე ხილულ მზეზე უწინარესია, რადგან ყველაფერი მისი შექმნილია და ამიტომაც მისი ბეჭდით არის დაბეჭდილი'' (ზურაბ კიკნაძე.)[2] ეს რაც შეეხება ამ დღის ქრისტიანულ აღქმას. მაგრამ, რა იდეის მატარებელია თვით ქრისტეშობის წინა დღის ხალხური ტრადიცია?

ქრისტეშობის წინა დღის სახელწოდებანი გვაძლევს ერთ-ერთ გასაღებს საკრალური დღის - ,,დღე-სასწაულის'' - არსის გასაგებად. აქ ისინი ერთად ერთ მთლიან იდეას ქმნიან და ,,ემსახურებიან'' ბუნებისეულ შობის იდეას. ეს სასწაული, კვდომა - განახლებისა, წელიწადის (ბუნებრივად არსებული დროის ციკლის) პერიოდშია მოქცეული და იგი ამავე დროს, მზის სასწაულიცაა; 25 დეკემბერი მზის ბუდობის დღეა. იგი ბუნების, ყამის, მზის კანონია! ,,ყოველივეს შობის'' დღედაც, ჩანს, ამადაა მიჩნეული. მაგრამ, ვინაა ,,ყოვლიერის შემოქმედი''?! ვის ემსახურება ტრადიციის წესრიგი?! და ვინ არის მისი პირველი მსახური - ქალი თუ კაცი?

დღეობის საკრალურმა სახელწოდებებმა განსაზღვრა, რომ ,,ყოველივეს შემოქმედი'' მზეა. ხალხური გაგებით იგი დედაა. ქრისტოლოგიით ქრისტე - ,,მზე სიმართლისა''. ,,შობ''-ის დღე-სასწაული სასწაულია მზის მიერ ,,ყველაფრის შობისა''. არის კი ეს იდეა ტრადიციული წესრიგის, სახიერი მსახურების შესაფერისი?! ამის გასარკვევად საჭიროა დღეობის ძირითად ნიშან-თვისებათა დაკონკრეტება.

დავიწყოთ იმით, რომ დღესასწაულის (,,შობ''-ის) პირველივე საწესო დროიდან (ადრიანი დილა) ქალი დიასახლისი იწყებს ,,მოღვაწეობას''; ადგება ყველაზე ადრე და დაანთებს კერიაში ცეცხლს. იგი პირველი ადგება, ჩანს, არა იმის გამო, რომ კორკოტია მოსახარში (და ეს მისი საქმეა!), არამედ იმის გამო, რომ პირველად მისი მსახურებაა აუცილებელი. მან გობში მოთავსებული საჭანტილე კერას სამჯერ ისე უნდა მიარტყას, რომ მისი კილი (ქატო!) დანთებულ ცეცხლზე დაიბნას და ამით ცეცხლი უფრო გაძლიერდეს. ჩანს, ამ შემთხვევაში ცეცხლიც საკრალურია და იდეურად (თუ ფუნქციურად!) დაკავშირებულია შემოქმედთან; ცეცხლიც და ქალიც (დიასახლისი, უფროსი დედა!) მისი მსახურნი არიან. ამ ორს ემატება მარცვლეული; პირველ რიგში, წმინდა პური - ხორბალი და შემდეგ ყველა დანარჩენი, რაც რამ მოეპოვება ოჯახს. მათით ჩნდება საკრალური რიცხვი ,,9'' - ,,ცხრაწვენა'' (9 ღვთისმშობლის რიცხვიცაა!) არც გუთნისდედის არსებობაა შემთხვევითი - მიწაა უდიდესი, სახიერი შემოქმედი! მიწის მხვნელი კი ამ მადლის პირველი აღმსრულებელი!... მიწიერ შემოქმედთა სურვილის შესაბამისია მათი ,,მაგიური'' ქმედება; ხორბლის დანაყვა ხშირწვერიანი კაცის მიერ, ხორბლის მსხლის ჯოხით მორევა და შემდეგ მთელი წლის მანძილზე მისი შენახვა, ბიჭის მიერ მოხარშული ფაფის გარეთ გატანა და ხშირი ტყისკენ გადახედვა, ხეებზე ჭანტილის ქაფის წასმა და მისთანანი. ჩანს, ეს ნიუანსებიც ,,შობ''-ის ,,მსახურნი'' არიან!

---

[1] ,,შობ''-ის (კორკოტობის) მეორე დღეა ,,ქრისდეშ'' (ნ. წ.). ,,ქრისტესი'' - ქრისტეს შობის დღე.

[2] ზ. კიკნაძე, შობიდან შობამდე, 1997 წ. გვ. 9-13.

სვანური ჩვეულება ,,შობ''-ის ლოცვისა და რიტუალური პურობის, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა: სიძველის ფენაა დიასახლისის მიერ სხვათა (კაცთა!) გარეშე ლოცვა, ლოცვა საიდუმლოდ ,,გვემ''-ში, საფქვილე კიდობანთან! აქ, ამ ადგილას შეწირვა ხდება კორკოტის ზედა ფენის და 3 ცალ წმინდა ,,ლემზირის''. ბუნებრივია გაგვიჩნდება კითხვა რატომ სამი და არა სხვა რაოდენობა?! რატომ კორკოტის ზედა ფენა და არა შუაგული?! ჩანს, მხოლოდ და მხოლოდ მათი არსობრივი ღირებულების გამო. ამით ,,ზედაპირი''-ც და რიცხვი ,,3''-იც საკრალურია.

რიტუალით კონკრეტდება, რომ ამ შესაწირის შემწირველი და ,,შობ''-ის მფარველი ,,შობა ლამარიშ''. ამით ჩანს, რომ იგია ,,უზოგადესი შობის'' შემოქმედიც და დედამიწის ორეული ღვთაებაც. ,,ლამარიაა მიწის ღვთაებრივი განსახიერება. იგია შემოქმედი დაბლა მიწაზედ, მზე კი შემომქმედი მაღლა ცაზედ. მიწიერია ზეციურის მსახური, და შესაბამისად, ლამარიაც უზოგადესი შემოქმედის - მზის მსახურია. ტრადიციულად ქალია ლამარიას პირველი შემწირველი, შესაბამისად მზის პირველი მსახურიც და მისი დიდების აღმვლენი თუ გამთავისებელიც პირველად ქალია! სწორედ ამ სინამდვილის მომცველია ,,ლამშრია''-ს სემანტიკა თუ ეტიმოლოგია: იგი ,,ლიმშრეა'' შესაწირავის, შემწირველის (ქალის!) მიერ. ,,ლამშრია''-ს ფუძე ,,ლიმშრე''-ა (გამზადება, მზადება!) შესაწირისა და არა ქრისტიანული მარიამი. ,,ლიმარე''-დან (ყოფითი ფაქტიდან და არა ფილოსოფიური გააზრებიდან!) წარმოქმნილი ,,ლამშრიშ'' ამ შემთხვევაში უკვე ღვთაებაა. ვფიქრობთ, ეს მომენტი ძალზედ მნიშვნელოვანია და რწმენის და მსახურების უძველს შრეს გამოხატავს კიდეც. ლამარიას შესაწირი ყოველთვის მცენარეულია. მცენარე კი სიმბოლურად უძველესი რწმენა წარმოდგენებით მდედრობით არსთან (ქალთან!) არის დაკავშირებული: სიცოცხლის ხე, მზის, ღვთაების სადგომი, მუხის ხე და წმინდა ხეები, ფშავ-ხევსურთა საჯვარხატო დროშები, დასავლურ - ქართული საახალწლო ჩიჩილაკი, მისი ორეული სვანური ,,გუ̈ზ'', ,,დ̆ალ ჯეჯგმიშ'' საღვთო მაღლარი ვაზი, წმინდა ნინოს ჯვარი, შესაბამისი მითიური მოთხრობები...[1] და ბოლოს, ქართულ გვარებზე (გურია, ქვემო იმერეთი...) - ხე სუფიქსის დართვა ამ გარემოების დადასტურებაა. ამ უკანასკნელის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ: ,,საზოგადოდ ზანურ ენასა და ქართული ენის ზოგ დიალექტში ხე || ფხე სუფიქსი ერთვის გათხოვილ ქალთა მამისეული გვარის ფუძეს და სხვა ფუნქცია ისტორიულად არასოდეს ჰქონია გარდა წარმომავლობის აღნიშვნისა''[2] (მამაკაცის წარმომავლობის აღმნიშვნელად არსებობს ძე სუფიქსი).

ქრისტეშობის წინა საღამოს რაჭული წეს-ჩვეულება გვამცნობს, რომ ამ დღის საწესო პური სამი ცალი იყო და ერქვა ,,განატეხი'' (რისი?!). იყო იგი ნიგვზიანი. მათი შეწირვის წესი ძალზედ წააგავს სვანურ ,,ლამშრიას ლოცვას'' (||მიწის ლოცვას || კერის ლოცვას). მაგრამ აქ ღმერთია შემწირველი და არა ლამარია. მსგავსი შეწირვის წესი გვაქვს ლეჩხუმურ ვარიანტშიც. აქ შესაწირავია ჯვარდასახული ,,ხველის ტაბლა'', სართავად მასაც ნიგოზი აქვს. (3 ცალი კვერი!); უფროსი ქალი ამ შესაწირს

---

[1] იხ. ვ. ბარდაველიძე, სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, საქ. ეთნოგრ. საკითხები, 1968. გვ. 44-64. ასევე, ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, 1924 წ.

[2] ც. ბენდელიანი, ხე სუფიქსი ქვემო იმერულ დიალექტში. კრებ. ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 1996 წ. (სვანურ ენაში ასეთი სუფიქსი ფხუ ფხე უნდა ყოფილიყო, იხ. ვ. სილოგავა, სვ-ის წერილ. ძეგლები, I, თბ. 1986. გვ. 299) გვ. 35-39. იხ. ასევე პ. ინგოროყვა, ქართული წარმართული კალენდარი. საქ. მუზ. მოამბე ტ. VIII გვ. V

სხვასთან ერთად კერის ძირას სამჯერ წაღმა შეატრიალებდა და ისე სთხოვდა ღმერთს მთელი ოჯახის (და საქონლის!) სნეულებისგან დაცვას.

გურული „მრავალწლობის“ ღვეზელი (ღვეძელი!) ნახევარწრის (ნახევარ-მთვარის) ფორმისა იყო. იგი ხორბლის ფქვილისაგანაა დაცხობილი და ჩართული აქვს ყველი და შებოლილი კვერცხი, რომლებიც მთელ - მთელად ან შუაზე გაჭრილი იდებოდა (ოჯახის წევრთა რაოდენობით მზადდებოდა იგი). კვერცხს დებდნენ ამ დღისთვის მეგრულ საწესო პურშიც. ღვეძელის გარდა აქ ცხვებოდა „მუცლის სალოცავი კვერი“, „ხველის ტაბლის“-ნაირი დანიშნულების. ხევში კი ცხვებოდა ორი „ყორბოული“, იგივე ქრისტეს პური, მთიულეთში ხმიადი - „ქრისტეს პური“, რომელსაც ოჯახის უფროსი გარეთ გაიტანდა, ცას დაანახვებდა და ლოცვას იტყოდა. შემდეგ ამავე პურს მუხლზე დაიდებდა ხშირ ტყეს გახედავდა, გადატეხავდა და შინ შევიდოდა. ერწო თიანეთში 3 დაჭრელებული კვერი „ქრისტეს ოხშამი“ ცხვებოდა. სვანური ლემზირი - ამ დღის საწესო პურიც 3 ცალია, სამ ლემზირდასახული, შიგთავსის გარეშე, რადგან ეს დღე მარხვის დღეა (ქრისტეშობის ექვსკვირიანი მარხვის ბოლო დღე, მძიმე მარხვით), შეჭამანდიც და ლემზირიც სამარხვო მზადდება. ეს ლემზირი, როგორც აღინიშნა, შეეწირება ლამარიას ჯერ „გვემ“-ში და შემდეგ სალოცავ სარკმელთან. ეს ბოლო ლემზირები გარდაცვლილთათვისაც ხდება „კუთვნილი“.

„ლამარია და ღმერთი“, ეს ორნი არიან შობ-ის დღესასწაულის მფარველნი. ფაქტია ის გარემოება, რომ „ლამარიაში“ ყოველთვის მდედრობითი არსის ღვთაება ასოცირდება. ღმერთში კი - მეორე არსი. „ღმერთი“, ისევე როგორც „ლამარია“ სასწაულის შემოქმედია, მას შესთხოვენ იგივეს, რასაც ლამარიას. სიუხვე, სნეულებისგან დაცვა, „ხველის ტაბლა“, „მუცლის სალოცავი კვერი“ ღმერთის სათხოვარი და შესაწირავიცაა. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ღმერთი ცაზედ მსუფევი არსობაა, ლამარია კი მიწაზედ! ცხადია ისიც, რომ ცნება „ღმერთი“ ფილოსოფიური გააზრების შედეგია და არა მსახურებითი ქმედების აღმნიშვნელი, როგორც ეს ლამარიას შემთხვევაში გაგვაჩნია. მაგრამ, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ უძველესი ქართული (სვანური!) მსოფლხედვა ამ „ერთი“-ს (ღმერთის!) არსობრივ სიღრმესაც იტევს. გავიხსენოთ „ᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ“ და „მახე ზᲔ“-ის ჩვეულებანი. სწორედ წლის, დრო-ჟამის საწყისი დღის, შემოქმედად ამ დღეობებითაც „ერთია“ მიჩნეული; „ერთი“ უზოგადესი, უპირველესი შემოქმედი. რწმენის ამ სიღრმეს ემატება „დალ ᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ“ არსებობაც. ეს კი, ვფიქრობთ, ის მითოლოგიური ანა-ბანაა, რაზეც აშენებულია წინარე-ქრისტიანული მსოფლხედვა და იგი მთლიანად იტევს „ღმერთის“ („ღრმა“ და „ერთი“) ცნებას. აქედან გამომდინარე, არც ისაა გასაკვირი, თუ რატომაა ერთი და იგივე დღესასწაულისას შემწირველი „ლამარია“ და „ღმერთი“ (და მათ გვერდით ქრისტე შემოქმედი!).

ქართულ ხალხურ ტრადიციებში მსგავსი სინკრეტიზმის არსებობის აღიარება არ არის ახალი ფაქტი. 30-იან წლებში აღნიშნულის თაობაზე ვ. ბარდაველიძე წერდა: „ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სჭარბობს. ქრისტიანული წმინდანების სახელით, უმრავლეს შემთხვევაში, უძველესი ქართული ღვთაებები იგულისხმება, ქრისტიანული უქმე დღესასწაულების სახელწოდებით და ამ უქმე დღესასწაულებისთვის განკუთვნილ დღეებში, არსებითად, წარმართული სრულდებოდა“.[1] რატომ? ამ კითხვაზე პასუხს ბ-ნ ლ. ფრუიძეს დავესესხებით; ქართველმა ხალხმა, როგორც უძველესმა ბინადარმა და მიწათმოქმედმა, სარ-

[1] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I, ახალი წლის ციკლი 1953 წ. გვ. VIII.

წმუნოების წარმოშობის ყველა საფეხური განვლო და ე.წ. ,,მსოფლიო რელიგიებს'' ღრმად გაცნობიერებული საკუთარი კონცეფციებით და ზნე-ჩვეულებებით დაუხვდა. სწორედ აქაც არის საგულვებელი ქართველთა თავისთავადობის, გამძლეობის ფაქტორი. ძირითადად ამან განსაზღვრა ის გარემოება, რომ ქრისტიანობამ, თექვსმეტ საუკუნოვანი ბატონობის მიუხედავად, ქართველთა რწმენაზე მხოლოდ ზედაპირული ზეგავლენა მოახდინა და ,,სული ქართული'' წყაროსთვალივით ანკარა დარჩა. მისი სათავე ხალხური, აგრალური ძველთაძველი დღესასწაულებია - უხსოვარი დროიდან ცხოვრების ნორმად და რწმენა აზროვნების მასაზრდოებლად რომ ქცეულა...

ყველა გარედან მოსული რელიგია, მაზდეანობიდან მოკიდებული ქრისტიანობის ჩათვლით, იძულებული იყო ქართველთა სამიწათმოქმედო, სამესაქონლეო კულტურებისათვის, უფრო სწორად, სრულიად თვითმყოფადი, ჩამოუყალიბებელი, მეცნიერებისათვის ჯერ შეუცნობელი ადგილობრივი სარწმუნოებისათვის ანგარიში გაეწია. ,,ქართული წარმართობა'', ე.წ. ,,პირველყოფლობას'', ,,ველურობას'' გამორიცხავს და არც ერთი რელიგიის მისიონერებს ჩვენში ,,უმეცართა'' ,,მეცარად'' ქცევა არ დასჭირვებია. ერთი მოძღვრება მეორეთი იცვლებოდა, მაგრამ ხალხურ სარწმუნოებას შედარებით ნაკლებად ერეოდა... ქრისტიანულ ხანას წინ უსწრებდა განვითარების გრძელი პერიოდი, რომელიც იდეოლოგიის ხაზით უძველეს მდიდარ სარწმუნოებებს და კულტებს შეიცავდა''.[1] და ბოლოს ისევ ლევან ფრუიძის კუთვნილი აზრი: ,,ქრისტიანობამაც კი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ქართული სული ვერ გარდაქმნა, უფრო მეტიც, თვით ქრისტიანობა ვიდრე არ ,,გაქართველდა'' ქართველმა ხალხმა არ მიიღო. ათასწლეულთა მანძილზე მძლავრ მდინარესავით ისტორიის კალაპოტში მოძრავი ეს ეროვნული დვრიტა სათავეს ქართველთა ცხოვრების წესსა და შესაბამის აზროვნებაში იღებს...''[2]

ჩანს, ამ სიდიადის შედეგია განსახილველი დღესასწაულის (და საერთოდ ყველა ხალხური დღეობის) წეს-ჩვეეათა თვით უმნიშვნელო ნიუანსის საკრალური ღირებულებაც. მათით გამოხატული არის ჭეშმარიტება საუკუნო და იგი დროის გამძლეა; ცეცხლი, კერა, ქალი, ორი, სამი, ოთხი, ცხრა, ჯვარდასახული კვერი, ნახევარმთვარის ფორმის ღვეზელი, პურის შიგთავსი, კორკოტი, ყორბოული, ლემზირი, სანთელი, საკმეველი, სალოცავი სარკმელი, შეწირვის წესი, მსახურების დრო და ადგილი, ქრისტეს პური თუ ქრისტეს ოხშამი და სხვა დანარჩენი, ცხოველმყოფელია როგორც წინარექრისტიანული ეპოქის ადამიანის რწმენისთვის, ისე მეოცე საუკუნის მართლმადიდებელი აღმსარებლისთვის. და მაინც, რა არის ამ სიდიადის საფუძველი და საფუძველი ხალხურ ტრადიციათა საუკუნოვანი არსებობის? ჩანს, ყოველივე ამის თავი და თავი ჭეშმარიტი რწმენის ,,ქონაა''. ეს ჭეშმარიტება ,,ერთი''-ს ჭეშმარიტებაა და დასაბამთან ერთად იგი ყველაფრის დასასრულიცაა. ,,ერთი''-ს - უზენაესის, უზოგადესი ღმერთის რწმენა საუკუნო მრწამსია და მასში განვითარებულია მსახურების რწმენაც და წესრიგიც.

ზემოთ აღვნიშნეთ ცნება ,,ღმერთის'' ფილოსოფიური საწყისი ,,ლამარიასაგან'' განსხვავებით, თუმცა ტრადიცია შობის დღესასწაულისა ორივეს ერთნაირ ,,შესაძლებლობას'' ანიჭებს. ეს არის ყველაფრის შემოქმედება, ყველაფრის შობის შესაძლებლობა, მაგრამ, ვფიქრობთ, მხოლოდ ეს ვიზუალური მხარე აზროვნებისა არ არის

---

[1] ლ. ფრუიძე, სახალხო კალენდ. დღესასწ. შესწავლისა და ტრანსფორმაციის პრობლემები, ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1986. №8. გვ. 25-26, 27.

[2] ლ. ფრუიძე, დასახ. ლიტ-რა გვ. 27.

თავშეფარებული ლამარიასა და ღმერთის ცნებაში, მათ ურთიერთმიმართებასა და დამოკიდებულებაში. ღვთაება ლამარიას საფუძველი ყოფითობაა, მსახურებაა და იგი, აქედან გამომდინარე, იტევს უზენაესისადმი, უზოგადესი შემოქმედისადმი, ცაზე მსუფევი ღმერთისადმი მიწიერის მარადიულ მსახურებას. იგი თავის მხრივ განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის არსობრივ დამოკიდებულებას: ქალი მამაკაცის ერთგული და მსახური უნდა იყოს ისე, როგორც მიწიერია ზეციერის მსახური, მაგრამ ეს არ არის, მონება, ეს მხოლოდ რწმენაა და ,,ძალის'' რწმენითი მსახურება. ეს მხოლოდ სიყვარულია და იგი ყველაფერია! სიყვარულით მსახურებაა საუკუნო მოვალეობა მიწიერისა ზეციერისადმი; მიწა დედაა, ცა - მამა. ლამაზია ქალია, ღმერთი კი მამაზეციერი თუმცა, ნურც ის დაგვავიწყდება, ქართველებს უზოგადეს ,,ერთი''-ს გვერდით მისი ,,დალ''-იც რომ გვეგულება!

ვფიქრობთ, ,,შობ''-ის რიტუალიც იმ მითოლოგიური შრის მომცველია, რაზეც ჩვენ საუბარი ,,ეშხუამი''-სა და ,,მახე ზაე''-ის დროს გვქონდა. აღნიშნული დღეობები წინაქრისტიანული მსოფლხედვის ანარეკლია, რომელთა ტრადიციებშიც ნათლად ჩანს ქართველთა უძველესი მითოლოგიური მსოფლხედვა, შემოქმედის (,,ერთი''-ს!) რწმენა და მისადმი მსახურების, მისი უზოგადესი ფუნქციების და შესაძლებლობების გათავისების ფაქტი. ამ რწმენის სიმყარე ქმნის მსახურების ფორმას, ტრადიციის სახიერ მხარეს და მის საუკუნო არსებობას; მარადიული მხოლოდ ჭეშმარიტებაა, - ნათქვამია.

ჩანს, უზენაესი შემოქმედის არსებობისა და მისი მარადიული მსახურების რწმენა არის ის უზოგადესი კანონზომიერება, რომელიც, სახიერი ხის მსგავსად, ყლორტთა, ფოთოლთა თუ ნაყოფთა მრავალმხრივობას თუ მრავალფეროვნებას გვთავაზობს. ამ მრავალფეროვნების სიძლიერე მისი ფესვი და მთავარი ღერძია, რომელიც ხის ,,საწყისს'' და ,,დასასრულს'' (ფესვს და წვეროს!) აერთიანებს.

ასეთია ჩვენის გაგებით ტრადიციული, ხალხური, უწიგნო, უსაზღვრო რწმენით არსებული ყველაფრის შემოქმედის სახე. იგი ყველგან და ყველაფერშია და რწმენის სინკრეტიზმიც, ჩანს, ამის შედეგია.

რატომაა აუცილებელი ,,შობ''-ის დღესასწაულზე მიცვალებულთათვის სუფრის კურთხევა? რა საერთო აქვს კოლიოს მათთან? დავესესხოთ მიცვალებულთათვის მართლმადიდებლურ სწავლებას:

,,ჯერ კიდევ ძველი აღთქმის ეკლესიაში იყო ცნობილი მიცვალებულთა მდგომარეობის შემსუბუქების საშუალებებად ქველმოქმედება და ლოცვა. აქედან იღებს სათავეს მიცვალებულის გასვენებისას სუფრის გაშლის მართლმადიდებლურ - ქრისტიანული წეს-ჩვეულება ნათესავ მეგობრებისა და გლახაკთათვის... მართლმადიდებლური ეკლესია ლოცვით მიმართავს ეესო ქრისტეს თავისი გარდაცვლილი შვილების შეწყალებისათვის. თვითონ ძე ღვთისა შუამდგომლობს მათ ღმერთთან და თავისი სისხლით განბანს ადამიანების ცოდვებს''.[1] სვანი მიცვალებულის სახელზე გაშლილ სუფრასთან გარდაცვლილთა სულს შეავედრებს ,,ქრისდე ფუსდ მაცხვარ''-ს - უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს, რათა გადაარჩინოს მათი სული და ნათელში იყოლიოს მუდამ. ,,ქრისტე ტაბაგდუ ჯიგადხ'' - უსურვებს ,,მუშუნდები''[2] მიცვალებულებს; ქრი-

---

[1] არქიმანდრიტი რაფაელი, მართლმადიდებლური სწავლება მიცვალებულთათვის ლოცვისა და მოხსენიების შესახებ, ჯვარი ვაზისა, I, საქ. საპატ. თბ., 1986 წ.

[2] მუშუნდები || მგფანე - მამაკაცი, რომელიც შეუნდობს გარდაცვლილებს მათთვის განკუთვნილ სუფრასთან.

სტეს ტაბლის მოწილე ყოფილიყავითო! ,,ქრისტეს ტაბლა'' კი უაღრესად ვიზუალური და საკრალური წარმოსახვაა უფლის მადლისა და შეწყალებისა! ეს კი არც ისე მცირეა. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ ,,ლიფანე'' და ამით ქველმოქმედება საქართველოს არც ერთ მხარეში არ არის ისეთი ხშირი და თვითმყოფადი, როგორც სვანეთში.[1] ჩანს ყველა რწმენითი კანონზომიერება იმ გარემოს სამოსით იმოსება, სადაც მას უხდება არსებობა.

წიგნში ,,წესი ქრისტიანის ცხოვრებისა'' ვკითხულობთ: ,,ჩვენ სადღეგრძელოში ვიხსენებთ გარდაცვლილ ადამიანებს და მათ სახელზე მივიღებთ ხოლმე ღვინოში ჩაწობილ პურს, რაც სიმბოლურად მიცვალებულის ზიარებას ნიშნავს. ზოგჯერ კი ჭიქიდან ღვინოს პურზე ან მიწაზე დავღვრით ხოლმე. ესეც სიმბოლურია, და მიცვალებულისათვის ცოდვათა მიტევებას ნიშნავს ისევე, როგორც ჯვარცმისას მაცხოვრის სისხლი დაიღვარა მიწაზე, გაჟონა და დაეწვეთა ჯვრის ქვეშ დასაფლავებული ადამის თავის ქალას და განწმინდა იგი პირველი ცოდვისაგან''.[2]

ეკლესიურად მიცვალებულისათვის ლოცვები და ქველმოქმედებანი ძირითადად სრულდება გარდაცვალებიდან მესამე, მეორმოცე და წლისთავის დღეებში; ,,გარდაცვალებისას სული განეშორება სხეულს. პირველი სამი დღე იგი იმყოფება დედამიწაზე, დასტრიალებს საკუთარ სხეულს, ახლობელ ადამიანებს, ემშვიდობება მათ. განსაკუთრებით უხარია იმ ადგილების მონახულება, სადაც ოდესმე სიკეთე ჩაუდენია. მესამე დღეს (პირველ დღედ გარდაცვალების დღე ითვლება) ანგელოზები სულს ზეცაში აიყვანენ და წარადგენენ უფალთან, ამის შემდეგ ექვსი დღის განმავლობაში ათვალიერებინებენ სასუფეველის სანახებს. გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს მას კვლავ წარადგენენ უფალთან, რის შემდეგაც ახლა ჯოჯოხეთს მოატარებენ. მეორმოცე დღეს შედგება ახლად გარდაცვლილის პირადი სამსჯავრო. ანგელოზები წარმოადგენენ მის კეთილ საქმეებს, რაც სიცოცხლეში ჩაუდენია, აგრეთვე იმ სიკეთესაც, რომელიც მის სახელზე სხვამ აღასრულა, განსაკუთრებით გარდაცვალების შემდეგ ორმოცი დღის განმავლობაში... უფალი ჩვენი იესო ქრისტე გაასამართლებს სულს და დედამიწაზე თავის მეორედ მოსვლამდე მიუჩენს დროებით სამყოფელს სასუფეველში ან ჯოჯოხეთში. ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ, შედგება საერთო სამსჯავრო, სადაც თვითოეული ადამიანის სულს უფალი ხელახლა გაასამართლებს ყველას თანდასწრებით და უკვე სამუდამო ადგილ - სამყოფელს მიუჩენს. იმის მიხედვით, თუ როგორ ზრუნავდნენ მისთვის ახლობლები, როგორ ლოცულობდა ეკლესია, შეიძლება სული ჯოჯოხეთიდან სამოთხეშიც იქნას აყვანილი,,, ახლობელ ადამიანს ჩვენ მხოლოდ დროებით ვშორდებით, რათა შემდეგ სამუდამოდ შევეყაროთ''.[3]

ზეთი, რომელიც შეიწირება მიცვალებულისათვის მისი დასაფლავების დღეს, ნიშნავს მართლმადიდებელ ქრისტიანთა იმედს, რომ ეკლესიის ლოცვების მეოხებით მიცვალებული მიიღებს ღმერთისგან წყალობას. მიცვალებულთათვის ლოცვისას კოლიო - ხორბლისა და თაფლის ნაზავი მიგვანიშნებს მართლმადიდებლური ეკლესიის იმ იმედზე, რომ ქრისტეს რწმენით გარდაცვლილები აღსდგებიან მკვდრეთით ნეტარებისათვის... როგორც ხორბლის მარცვალი გვაძლევს ნაყოფს შემდგომ გახრწნისა, ასევე აღსდგებიან სხეულით მორწმუნენი სიკვდილის შემდეგ. თაფლი როგორც ატკბობს ხორბალს, სიმბოლურად გამოხატავს მართლმადიდებლური ეკლესიის იმედს,

---

[1] იხ. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ლიფანალი. მსე, ტ VI, 1953 წ.
[2] ახალციხელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი, წესი ქრისტიანის ცხოვრებისა, თბ., 1998 წ. გვ. 18.
[3] წესი ქრისტიანის ცხოვრებისა, ახალციხელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი, თბ., 1998 გვ. 14.

რომ ქრისტეს რწმენით გარდაცვლილები ღირსნი იქნებიან მარადიული სულიერი ნეტარებისა".[1]

ვფიქრობთ, გასაგებია ის გარემოება, თუ რატომაა აუცილებელი მიცვალებულთათვის ქველმოქმედება და ხორბლის კოლიო საჭირო და რატომაა აუცილებელი გარდაცვლილის სულის მოხსენიება გარკვეულ დღეებში. ჩანს, ტრადიციული წესრიგი საჭიროა ქრისტემდე გარდაცვლილთათვისაც და მის შემდეგთათვისაც. ეს აუცილებლობა კი სწორედ ქრისტეთი და ქრისტიანული სწავლებითაა დაკონკრეტებული. მანამდელი იდეის შესაბამისი წესრიგი „ლიფანეს" ტრადიციულობითაა შემორჩენილი.

„ლიფანეს" ტრადიცია, მივაკუთვნებთ რა მას ქრისტიანულ დროს თუ წინაქრისტიანულს, ორგანულია „შობ"-ის დღეობისათვის ალბათ იმიტომაც, რომ სულის გარდაქმნა - გარდაცვალების რწმენა არსებობდა ქრისტემდელი ქართველის წარმოსახვაშიც. „ლიფანეს" ტრადიცია სულის მარადიულობისა და მისი აღდგომის[2] საიდუმლეობის მსახური იყო. კორკოტი ერთნაირად საჭიროა შობის დღეს როგორც „შობ"-ის შემოქმედისთვის ისე მიცვალებულთათვის, რადგან „ახლის შექმნის", „აღდგომის" და - „ახლად შექმნის", განახლების, სიმბოლური ტრადიცია ორივესთვის საჭიროა და აუცილებელი. „შობ"-ის დღის წესრიგშიც იგი ამიტომაცაა ჩაკირული. ამდენად, ხალხური ქრისტეშობის წინა დღის ტრადიცია ემსახურება ბუნებაში „ყოვლიერების შობას" — სიცოცხლის მარადიულობის საკრალურ იდეას.

ქართულ დღეობებში თავშეფარებული რწმენის სინკრეტიზმი განსაკუთრებით კარგად ჩანს „ქრისტეშობის" დღესასწაულის ხალხურ ტრადიციაშიც.

ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია 7 იანვარს (ძვ. სტ. 25 დეკემბერს) დღესასწაულობს: „რომის იმპერატორმა ავგუსტოსმა ბრძანება გამოსცა რომ მისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნებში ხალხის აღწერა ჩაეტარებინა. ყველა უნდა წასულიყო და ჩაწერილიყო იქ, სადაც ცხოვრობდნენ მისი წინაპრები. იოსები და ყოვლადწმიდა მარიამი წარმოშობით დავითის შთამომავალნი იყვნენ, ამიტომ ისინი ნაზარეთიდან წავიდნენ ბეთლემში. იქ მათ ვერ ნახეს დასადგომი ბინა, ამიტომ იძულებულნი გახდნენ ღამის გასათევად შესულიყვნენ გამოქვაბულში, სადაც მწყემსები ცუდ ტაროსში საქონელს შერეკავდნენ ხოლმე. გამოქვაბულში იმ ღამეს იშვა მაცხოვარი ჩვენი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა შეახვია ჩვრებში ღვთაებრივი ჩვილი და მიაწვინა ბაგაში.

მწყემსებმა, რომლებიც აძოვებდნენ ნახირს, იმ ღამეს ნახეს სასწაული: ისინი გაანათა არაჩვეულებრივმა სინათლემ, გამოეცხადათ ანგელოზი და უთხრა მათ: „ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესრე გახარებ თქვენ სიხარულსა რომლის არს ქრისტე უფალი ქალაქსა დავითისასა და ესე იყოს თქვენდა სასწაულად: ჰპოვეთ ყმაჲ იგი შეხვეული და მწოლარე ბაგასა". ამ დროს ცაში გამოჩდნენ ურიცხვი ანგელოზნი, რომელნიც ადიდებდნენ ღმერთს და გალობდნენ ტკბილად: „დიდება მაღალთა შიდა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება".[3]

ქრისტეშობის „ზე დღეს", როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, წინ უძღვის ექვსკვირიანი მარხვა. მარხვის არსი ეკლესიურად ასეა განმარტებული: „ღვთის რწმენა და სიყვარული ყოველ ადამიანს გულში უნდა ჰქონდეს დამარხული; მაგრამ რწმენა და

---

[1] არქიმანდრიტი რაფაელი, მართლმადიდებლური... ჯვარი ვაზისა. I, 1986.

[2] მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების ქართველთა რწმენაში არსებობა ბუნების კვდომა-აღორძინების რწმენას ემსახურებოდა. ეს კი თავის მხრივ სულის მარადიულობასაც ნიშნავდა. დღეობებისას ყოველივე სულიერია - რადგან, საკრალურია და იდეის მსახურია იგი.

[3] საქ-ოს ეკლესიის კალენდარი, 1983 წ. გვ. 123. ქრისტეშობა.

სიყვარული მაშინ ხდება ცხოველი, როდესაც მათი გამოვლინება ხდება საქმით. ერთ-ერთი ამგვარი საქმეთაგანია, როცა ღმერთის ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარულის საპასუხოდ, ჩვენ ამქვეყნიურ სიამეებს - საჭმელს, გართობას, შვებას ცოტათი მოვიკლებთ და ვიქნებით თავშეკავებულნი. ამას ეწოდება მარხვა".[1]

ქრისტეშობის დღესასწაული ქართველის მიერ მეტად თავისებურადაა აღნიშნული. ამ დღეს სამეგრელოში დილით „საქირსე ღორს" დაკლავდნენ. დილითვე მის თავს მოხარშავდნენ და სადილად მიირთმევდნენ. ზოგან ეს ღორი ქრისტეშობის წინა დღეს („შობ"-ს) იკვლებოდა. იმერეთშიც დაკლული ღორის ხორცით „დილის ხაციცს" მიირთმევდნენ. რაჭაში ღორის მაგივრად დიასახლისი ქათამს დაკლავდა, ერთს საანგელოზოს, მეორეს - საოჯახოს. შინ შეტანილ საანგელოზოს შემოავლებდა თავზე კაცებს, ბავშვებს, ხარებს და იტყოდა: ანგელოზების ბარაზე მიმირთმევია ეს ყვინჩილა თქვენს სამშვიდობოდ. საოჯახო ქათამს კი შემოავლებდა ცეცხლთან ახლოს მიდგმულ სასაფუვრეს და ცეცხლს. ამ დროს იტყოდა ოჯახის სამშვიდობოდ მომირთმევია ეს ქათამიო. ამის შემდეგ ქათმებს დაკლავდნენ და შეწვავდნენ. თან გამოაცხობდნენ ერთ განატეხს. იგი ქონიანი, ნიგვზიანი ან მარტო მარილიანი მაინც უნდა ყოფილიყო. აღავლენდნენ შემწვარ ქათმებს ორივეს, განატეხსა და ზედაშესთან ერთად. აღვლენის შემდეგ საანგელოზო ყვინჩილას მხოლოდ კაცები და პატარა ბიჭები შეჭამდნენ, საოჯახოს კი ყველა, მაგრამ მის შიგნეულს ვერვინ მიეკარებოდა გარდა იმ ქალისა, რომელმაც საოჯახო ქათამი ცოცხლად შემოავლო ცეცხლს და საფუარს თავზე. ეს ყოველივე ძალზედ ადრე, გათენებამდე, უნდა მომხდარიყო. შემდეგ კი შეუდგებოდნენ სადილის სამზადისს. სადილზე არც განატეხის გამოცხობა და არც ლოცვა წესად არ ყოფილა.

ლეჩხუმში ამ დღეს იკვლებოდა წინასწარ „შეთქმული" ორი მამალი. ერთი საანგელოზო ყვინჩილა" და მეორე „ხარების სალოცი". საანგელოზო ყვინჩილა ითვლებოდა ადამიანის, ოჯახის წევრების მფარველად, მათ დამცველად „სნე - ბატონებისაგან". თუკი ვინმე დასნეულდებოდა ოჯახში, მას თავზე შემოავლებდნენ მამალს, თან შეულოცავდნენ - ღმერთო დაიფარე სნეულებისაგანო! ყვინჩილას ცოტა ჭინჭორს ამოაცლიდნენ, რათა სხვებისგან უკეთ გასარჩევი ყოფილიყო და მას სწორედ ქრისტეშობის დღეს დაკლავდნენ. ასეთივე იყო ხარების სალოცი მამალიც, ოღონდ მისი დანიშნულება ხარების დაცვა იყო ნადირისა და ფათერაკისაგან. ამ მამალს ხარებს შემოავლებდნენ მთაზე გარეკვის წინ. ამ მამლის ხორცის შეჭმა თავის, ფეხის, კუჭის და ფილტვის გარდა, გარეშე კაცსაც შეეძლო, მაგრამ საანგელოზო ყვინჩილას შეჭმა არავის შეეძლო, გარდა ოჯახის წევრებისა. ყოველივე ეს „ჩიტის აზვრამდე" - გათენებამდე - უნდა შეესრულებინათ.

ზემო სვანეთში ძალიან ადრე დიასახლისი „ლამარიაშ ტაბლაშისაგან" სულზე თითო ცალ ყველიან კვერს „კუანჭილს" გამოაცხობდა. ისინი უწონაში იყო. მისით ხელში ეევდრებოდა ქორა მახუში ქრისდეს: - დიდება მოგსვლოდეს ქრისდე შობისას შენი ლოცვა - დიდება დაჯვარული გვიქენ მადლიანო, მრავალი ქრისდეში კარგ გულზე მოგვასწარი, მუდამ მშვიდობით გვამყოფე ჩვენ და ჩვენი ნათესავი, ოთხფეხი გაგვიმრავლე გენუკვით, მადლიანო ქრისდე (ქრისტე). სადილობის ხანს დაკვლავდნენ „ლექსრიდეშს" - ღორს, ცხვარს ან თხას. კვლავ ლემზირებს დააცხობდნენ და სადილის წინ გარდაცვლილებს უკურთხებდნენ ხსნილ სუფრას. საღამოსაც იღვაწებდნენ მიცვალებულთათვის. ზოგიერთი თემი „ქრისტეშობას" სალასკაროდ იხდიდა. ლოცვა

[1] წესი ქრისტიანის ცხოვრებისა, 1998 წ. გვ 21.

და საზეიმო პურობა ორი დღე გრძელდებოდა. სვანეთშიც იცოდნენ რაჭა-ლეჩხუმის მსგავსად ,,ლალუაჯის'' დაკვლა ,,ქრისდეშის'' დღეს. ,,ლალუაჯად'' უმეტესად მამალია არჩეული. მის ძვლებს ცეცხლში წვავდნენ.

ქრისტეშობის დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ბარშიც იკვლებოდა სააღებო ღორი (ქართლი). კახეთში მას ქოსმენს ეძახდნენ. ღორის მაგივრად შეიძლებოდა ცხვრის ან მამლის დაკვლა. ზედაშისაგან ცხვებოდა ქადა, რომელიც იმდენ ნაწილად იჭრებოდა, რამდენი წევრიც იყო ოჯახში. საშობაო სუფრაზე უნდა ყოფილიყო: პური, ყველი, ქათამი, ინდაური, საქონლის ხორცი, თხილი, კაკალი, ღვინო და სხვა, რისი შესაძლებლობაც ექნებოდა ოჯახს. გაშლილ სუფრასთან დაილოცებოდა უფროსი; ღმერთო მშვიდობის ზაფხული მოგვეცი, ბარაქიანი წელიწადი მოგვეცი. ღმერთო! უშველე ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს.

ამ დღეს გარდაცვლილთათვის ზრუნავდნენ. იქ, სადაც მოქმედი ეკლესიები იყო ხალხი წირვა - ლოცვას ესწრებოდა და თუ შეთქმული ჰქონდათ, სალოცავშიც (ხატში) გავიდოდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ძირითადი საწესჩვეულებო რიტუალები ხატში სრულდებოდა. სახლში ყოველივე კეთდებოდა ისე, როგორც ბარში, მხოლოდ სუფრისათვის მზადდებოდა მთის ყოფაში დამკვიდრებული კერძები და სასმელი. ხევში ახალი მკვდრის ჭირისუფალი შობის დღეს მისთვის საკლავს დაკლავდა და სასაფლაოზე გავიდოდა.[1]

სვანეთში, როცა ეკლესიები მოქმედი იყო, ,,შუადღისთვის ყოველ მოსახლეს მოჰქონდა ეკლესიაში სამი ცალი ლემზირი და ზედაშე, რომელთაც დაალოცვინებდა მღვდელს ,,ჯუარ ქრისდეშის'' სახელზე და მას ,,გასამრჯელოდ'' ერთ ნაკურთხ ლემზირს დაუტოვებდა, ზედაშეს იქვე მიირთმევდნენ, ხოლო მორჩენილ ლემზირებს სახლში დააბრუნებდნენ და მათ ოჯახის წევრებს უზიარებდნენ''.[2]

დღეს ქრისტეშობა მხოლოდ ლემზირების დაცხობით და მათი ,,ჯუარ ქრისდეშის'' სახელზე ლოცვით აღინიშნება. იგი დღესაც უქმე დღეა და იკრძალება ყველანაირი ხელსაქმე სამამაკაცოც და საქალოც. არ სრულდება ანჭი-კუანჭის წესი და არც ეკლესიაში ლემზირების კურთხევა. ლოცვა ხდება სახლის შენაში აღმოსავლეთის სარკმელთან.[3]

ბუნებრივია, საეკლესიო საზეიმო წირვა-ლოცვისაგან ზემოთ წარმოდგენილი საქრისტეშობო ჩვეულებანი ძალზედ განსხვავდება. მათ თითქოს არც არაფერი აქვთ საერთო, თუ არ გამოვრიცხავთ იმ გარემოებას, რომ ხალხის მიერ ერთ-ერთი ,,ჩვეულებრივი'' დღე ,,არაჩვეულებრივად'', სასწაულის მჩენ დღედ - დღესასწაულად არის წარმოდგენილი. ეს დღე რომ ქრისტესადმი არის მიკუთვნებული, ხალხური ტრადიცია მას მცირე დოზით გამოხატავს ,,ჯუარ ქრისდეშში'' ,,საქირსე'', ,,ქოსმენი'' და სხვა მსგავსი ტერმინები ამის მკაფიო დადასტურებაა. აღნიშნული მკრეხელობაც კია ქრისტესადმი მიმართებაში, ამიტომ მათზე საუბარს არ გავაგრძელებთ. აქ მთავარია იმ გარემოების გათავისება, რომ აღნიშნული უზუსტობანი ძველზეა ,,დამყნობილი'' და ტრადიციასთან შეზრდილი. რა იყო ეს ძველი? - სწორედ მისი წინა საზეიმო დღე, რომელსაც საზოგადოდ ,,შობ''-ის დღე ეწოდა. თითქოს მართლა წინასწარ გრძნო-

---

[1] ნ. აბაკელია... ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ, 1991 წ. გვ. 10-27 ქრისტეშობა.

[2] ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღ. კალენდ. I, ახალი წლის ციკლი, 1939 წ. მთხრ. გ. გირგვლიანი, 1935 წ. ლატალი. სოფ. მაცხვარიში 57 წლის.

[3] ჩვენი ეთნოგრაფიული მასალები, ლატალი. დღეობები. (ნ. წ.)

ბდნენ და ზეიმობდნენ ამ ,,ზე დღის'' დადგომას...

ქრისტეშობის დღის ხალხურ ტრადიციაში მთავარი და ძირითადი გარემოება ოჯახის მშვიდობისა და ,,სნებატონებისაგან'' მისი დაცვაა ამ მადლის მოფენა მათზე ღმერთის ხელმწიფებაა. ამ მადლის მოფენისათვის წეს-ჩვეულებაში ჩნდება ისევ ცეცხლის საკრალურობა, დიასახლისის მსახურება, სალოცავი პურები წმინდა ფქვილისაგან დამზადებული, საკლავ-შესაწირავი და სხვა მისთანანი და, რაც მთავარია, ჩნდება წესის საიდუმლოდ, ,,სხვისი თვალის'' (უწენა) გარეშე, შესრულების აუცილებლობა; მადლი ყოველივე ღვთისაგან მიწიერზე მოვლენილი ღვთის, ზებუნებრივის საიდუმლოა. რადგან მათ (ადამიანებს!) ამ ,,ზე დღეს'' ერთ ერთი განსაკუთრებული მადლი (სნეულებისგან დაცვა!) მოსურვებიათ, წესიც მისი მსახურებისა საიდუმლოდაა შესასრულებელი, თანაც განთიადისას ,,ჩიტის აზვრამდე''. საოცარია, ტრადიციებში, დღესასწაულების აღნიშვნისას, დროც კი საკრალურია!

საინტერესოა ისიც, რომ ღვთისგან მადლის მიღებისთვის ტრადიცია ითავისებს ,,პირველქმნილ'' მარხვის ჩვეულებას. ეს პირველ რიგში დღეების სამუშაო და უქმე დღეებად დაყოფით გამოიხატება. შემდეგ, უქმე დღისას, გარკვეული საქმის აღკვეთით და ბოლოს, საჭმლის თმობით; ,,უწენალებით'' და ,,ლალუაჯებით''. ასეთი აღკვეთის და მარხვის არსი, ბუნებრივია, უზენაესი შემოქმედის არსებობის რწმენაა, მაგრამ თხოვნა და უხეშად რომ ვთქვათ მოთხოვნაცაა, რათა აღსრულდეს მისთვის (მთხოვნელისთვის, ალმკვეთისა და მომარხულესთვის) სასურველი. ეს კი უფრო მეტად ავლენს ადამიანის უძლურ ბუნებას, ვიდრე ამტკიცებდეს ღმერთის ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარულის საპასუხო ქმედებას. თუმცა, ნურც ეს გაგვიკვირდება; აღნიშნული წესები ხომ წინა ქრისტიანის მსოფლხედვის ნაყოფია. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ხალხურ ტრადიციებში, ვგულისხმობთ სადღესასწაულო დღეობებს, მრავლად გვხვდება ,,აკრძალვის'' (მარხვის) წესები, სწორედ იმ დღეებში, როდესაც ეკლესიურად არანაირი აკრძალვა არ არის საჭირო და ყოველივე მათგანი ემსახურება სურვილის ასრულებისათვის ზრუნვას. ეს კი, უმეტესად, ავადმყოფობისა და ბუნების სტიქიებისაგან დაცვის სურვილია.

ქრისტეშობის დღეობისას აღნიშნული წესის ჩართვა დღეობის ტრადიციაში არცაა გასაკვირი: ეს ხომ ,,ზე დღეა'' - ქრისტეს შობის დღე და უძლური ადამიანის ავისაგან დაცვაც ამ ზეციურის შესაძლებლობაა.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დადგენილია მარხვის გარკვეული დრო და ფორმა. არსებობს ხანგრძლივი მარხვები, ერთღდიანი მარხვები და მსგეფსი.

1. ხანგრძლივი მარხვები

წელიწადში დაწესებულია ოთხი ხანგრძლივი მარხვა, რომელიც წინ უძღვის ოთხ დიდ დღესასწაულს. ა) დიდი წმინდა მარხვა - ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წინ; ბ) საშობაო მარხვა - ქრისტეს შობის წინ; გ) მარიამობის მარხვა - ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების წინ; დ) პეტრე-პავლობის მარხვა - წმ. პეტრეს, და წმ. პავლეს დღესასწაულის წინ.

ა) დიდი წმინდა მარხვა ამათგან ყველაზე ხანგრძლივი და საპასუხისმგებლოა. იგი აღდგომის წინ 49 დღით ადრე იწყება და აღდგომის დღესასწაულამდე გრძელდება;

ბ) შობის მარხვა გრძელდება 28 ნოემბრიდან 7 იანვრამდე, როდესაც ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ხორციელად დაბადებას (7 იანვარი სინამდვილეში არის 25 დეკემბერი იმ ძველი და ჭეშმარიტი კალენდრით, რომლითაც სარგებლობს ჩვენი ეკლესია);

გ) მარიამობის მარხვა ორკვირიანია და გრძელდება 14 აგვისტოდან 28 აგვისტომდე, როდესაც ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს - მის მიძინებას.

დ) პეტრე-პავლობის მარხვის ხანგრძლივობა ცვალებადია - 9 დღიდან თვენახევრამდე. ეს იმიტომ ხდება, რომ მისი დასასრული უძრავია, დასაწყისი კი - მოძრავი და უკავშირდება სულთმოფენობის დღესასწაულს, რომელიც, თავის მხრივ, აღდგომის დღესასწაულზეა დამოკიდებული (აღინიშნება აღდგომიდან 50-ე დღეს).

პეტრე-პავლობის მარხვა იწყება სულთმოფენობიდან ერთი კვირის შემდეგ და მთავრდება 12 ივლისს (ახ. სტილით), როდესაც ეკლესია იხსენებს თავთა მოციქულთა - წმ. პეტრესა და წმ. პავლეს.

2. ერთდღიანი მარხვები

ა) ყოველი კვირის ოთხშაბათი და პარასკევი გარდა მსგეფსისა, რადგან ოთხშაბათს იუდამ გასცა იესო ქრისტე, პარასკევს კი ქრისტე ჯვარს აცვეს;

ბ) ნათლისღების წინა დღე - 18 იანვარი (ახ. სტილით);

გ) წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე - 22 სექტემბერი (ახ. სტილით);

დ) ჯვართამაღლება - 27 სექტემბერი (ახ. სტილით).

3. მსგეფსი.

წლის განმავლობაში არსებობს რამდენიმე განსაკუთრებული კვირა ანუ შვიდეული, როდესაც ოთხშაბათი და პარასკევი არასამარხო დღეებია, ანუ ხსნილია. ასეთ შვიდეულს ეწოდება მსგეფსი (ძველ ქართულში ეს სიტყვა ზოგადად შვიდეულის აღსანიშნავად იხმარებოდა, მიუხედავად ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვა-გახსნილებისა, დღეს კი მან იმ კვირის მნიშვნელობა შეიძინა, რომელშიც ყველა დღე ხსნილია) წელიწადში ასეთი მსგეფსი ხუთია;

ა) შობიდან ნათლისღებამდე - 7 იანვრიდან 17 იანვრამდე (ახ: სტილით);

ბ) მეზვრისა და ფარისევლის შვიდეული - დიდი მარხვის დაწყების წინ მესამე კვირა;

გ) ყველიერის შვიდეული - დიდი მარხვის წინ ბოლო კვირა: ხსნილი ყველითა და კვერცხით;

დ) ბრწყინვალე შვიდეული - აღდგომის შემდეგი კვირა;

ე) სულთმოფენობის შვიდეული - სულთმოფენობის დღესასწაულის მომდევნო კვირა;

ოთხი უკანასკნელი მსგეფსის თვე და რიცხვი ყოველწლიურად საეკლესიო კალენდარში უნდა მოიძებნოს.[1]

რაც შეეხება ხალხური მარხვის ჩვეულებებს, ისინი წარმოდგენილია ხალხურ დღეობათა კალენდარში.

,,ქრისტეშობის მეორე დღე ანუ 26 დეკემბერი არის კრება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა. თუშეთში ამ დღეს ქრისტის კუბატს ეძახდნენ და უქმობდნენ. კახეთში ეს დღე ღვთისმშობლობით არის ცნობილი. რაჭა-ლეჩხუმში - ,,შობის დედას'' უწოდებდნენ... ხალხური ღვთისმშობლობის დღეს (ქრისტეშობის მეორე დღეს) განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფეხმძიმე ქალებისათვის, რომლებიც უქმობდნენ ადვი-

[1] წესი ქრისტიანის ცხოვრებისა, ახალციხელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი, თბ., 1998 წ. გვ. 21-23.

ლი მშობიარობისათვის. ,,შობის დედა'' ხალხური რწმენით მიჩნეულია ღვთისმშობლობის დღედ, რომლის უქმის დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი დედებისთვის''.[1]

სვანეთში ქრისტეშობის დღიდან მთელი კვირის მანძილზე ლოცვისა და უზენაესთა მოხსენიების დღეები იყო. ამ კვირიაკეს ,,ქრისდეში ჟარნესგა'' (ქრისტეშობის ორთა შუა. იგულისხმება კვირიდან კვირამდე) ეწოდება. ეს კვირა უქმე იყო, მაგრამ მისგან განთავისულებისათვის ტარდებოდა საგანგებო ლოცვა-ვედრება ქალების მიერ;

,,სოფელ ჟენაშის მცხოვრები ქალები ,,ქრისდეშ'' დღეს დილის სადილის (ჰშმა ხარჯობ) შემდეგ მიდიოდნენ ჟანის სალოცავში. აქ ლიდბაშს გადაიხდიდნენ და ევედრებოდნენ ჟანს ჟარნესგაშის ნასაქმარი მოგვეცესო. ამ პირებისათვის ჟარნესგაშის საქმიანობა უკვე დასაშვებია. მხოლოდ არავის არ შეეძლო ამ დროს სარეცხის დარეცხვა, თავის გაპარსვა, დავარცხნა. გარეცხვამ და გაპარსვამ წვრილი მარცვალი იცისო, ხოლო დავარცხნამ - ცარიელი. ის, ვინც სულ არ წავა ,,ქრისდეშს'' ჟანში სალოცავად სულ უნდა იუქმოს. აღდგომისა და ქრისდეშის ჟარნესგა ვინც მოკვდება, ის სამოთხეში მოხვდებაო, რადგან ამ კვირეებში სანთლის კარი (სანთლი ყორ) ღიაა და რაც უნდა ცოდვიანი იყოს, სულს არ ეკითხებიან არაფერს ისე გაატარებენო. ამ კვირაში კერვა, რთვა და სხვა რამ ქალის სამუშაოა''.[2]

,,ქრისდეშ'' სვანურად ეწოდება ქრისტეშობის დღესაც და დროის შუალედს - ქრისტეშობიდან ახალ წლამდე (7 იანვრიდან 14 იანვრამდე!). ეს ხანგრძლივობა შვიდი დღეა და გააჩნია მეორე სახელწოდებაც - ,,ქრისდეში ჟარნესგა''; ორთაშუა - მსგეფსი. ამ კვირიაკეს ოთხშაბათი და პარასკევიც ხსნილია. მთელი ეს კვირა სალოცავ დღეებად არის წარმოდგენილი;

,,მაცხუარიშის ქალები მთელი კვირის განმავლობაში დადიოდნენ სალოცავად ლატალის სხვადასხვა ხატებში. თვითოეულ მათგანს სალოცავად მიჰქონდა ერთი ,,კარუა'' ფქვილი და ეკლესიის მინაშენში, რომელსაც ,,ლადბაშ'' ეწოდება, გამოაცხობდა ლემზირებს და შესწირავდა ამ ეკლესიის წმინდანს. სალოცავის კარზე ფქვილით ან ცომით წასვლას და იქ ,,ლემზირების'' გამოცხობა-შეწირვას ,,ლიდბაში'' ეწოდება''. ჟარენესგაშის ერთ დღეს ქალები ლიდბაშის აწყობდნენ ,,მაცხუარის'' ეკლესიის კარზე. მეორე დღეს - ჟანში, მესამე დღეს - ჯგრაგში, მეოთხე დღეს - თარინგზელში, მეხუთე დღეს - ლამარიაში, მეექვსე დღეს - მგხერში, მეშვიდე დღეს - ხოშა ღერბეთს ევედრებოდნენ. ლოცვის დროს დაანთებდნენ სანთლებს, დააკმევდნენ საკმეველს, (,,ნატრესუნ'') შესთხოვდნენ სალოცავს ადამიანის ჯანმრთელობას, მოსავლიანობას, ოჯახის ბარაქას.[3]

ჟენაშელი[4] ქალები, როგორც აღინიშნა, ,,ქრისდეშობის'' დღეს (,,ქრისდე ლადალ'') სადილობის შემდეგ მიდიოდნენ ჟანის სალოცავში და ევერდრებოდნენ ჟანს ჟარნესგაში უქმის გატეხვის უფლებას. ,,ჟარუნესგას ორშაბათს ისინი ,,თანლი თარინგზელში'' მიდიოდნენ, რადგან მისი მილოცვა მუდამ ორშაბათს იყო. თანლი თარინგე-

---

[1] ნ. აბაკელია... ქართ. ხალხ. დღ. კალენდარი, თბ., 1991, გვ. 27.

[2] ვ. ბარდაველიძე, არქივი, ივ. ჯ-ის სახელობის ისტორიის... ინსტიტუტი 209 ф[2], საქაღალდე №744. რვ. IV, 1935 წ. ლატალი, ჟენაში მთხ. ქ. ფარჯიანი.

[3] ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღ. კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, 1939 წ. მთხ. ქ. ფარჯიანი. 1935. ლატალი ჟენაში. გვ. 64-69.

[4] ჟენაშიც და მაცხვარიშიც ლატალის ჟბნებია (ნ. წ.)

ლი ვაჟიშვილების მომცემი და მფარველი ღვთაებაა. მას აგრეთვე თავის ტკივილის საწინააღმდეგოდაც ეევედრებოდნენ. ვისაც ვაჟიშვილის გამოთხოვა სურდა, ,,თანღი თარინგზელისათვის'' ნადბაშუნის გარდა, სალოცავში ზედაშეც მიჰქონდა. Ქარნესგას სამშაბათს ქალები მიდიოდნენ მაცხოვრის ეკლესიაში და იქ ლიდბაშის იხდიდნენ. სვანების რწმენით, მაცხუარი დიდი სიცხიანი ავადმყოფობის გამჩენი იყო. მას შეეძლო ეს სენი მთელი ქვეყნისათვის მოედო.

ყველა ლატალელი ქალი Ქარნ̄სგა ოთხშაბათს ლამარიას ეევედრებოდა ლემზირებით ხელში. სვანეთში სალოცავი ლამარიები ყველა ერთი იყო გარდა, ,,ლენთა ლამარიასი'' და ,,ქუთაშიშ ლამარიასი''. ,,ლენთა ლამარია'' ძვლების ტკივილისაგან დამცველი ღვთაებაა. როდესაც მის სალოცავში მიდიოდნენ, თან შესაწირავად მიჰქონდათ ტანისამოსი ან მისი ნაწილები, რომლებსაც იქვე ტოვებდნენ. ამ სალოცავში ქალები ხუთშაბათობით მიდიოდნენ და ლიდბაშის იხდიდნენ. ქუთაშიშ ლამარია კი - მუცლის ტკივილისგან დამცველი ღვთაებაა. მას ჩვეულებრივ თავ-თავის სახლებში სწირავდნენ ლემზირებს. ლამარია ქუთაშისათვის განკუთვნილია ორი დღეობა—,,ლამარიᲨ ლიფთგᲨლი''და ,,ნალმᲨრა ცᲨშ''.

Ქარგნესგას ოთხშაბათს სოფ. Ქენაშის მანდილოსნები ,,ნათგლმცემელს'' შესწირავდნენ ლემზირებს და ეევედრებოდნენ მას სახსრების ტკივილისგან დაცვას. ხუთშაბათს ქალების ლოცვა-ვევედრება და შესაწირავი ლიმზირები მიმართული იყო ჯგგრაგ ბოგაშის სახელზე. პარასკევის ლოცვა და შესაწირავი ლემზირები განკუთვნილი იყო კაᲥშა თარინგზელისადმი. ამ თარინგზელმა, ამბობდნენ სვანები'', მთის ფერდობებიდან მიწის ჩამოშვება და, საზოგადოდ, მიწის ჩაწევა იცისო, რის გამოც სახლის საძირკველს შეარყევს და ხშირად სახლებსაც დაანგრევს ხოლმე. ძალიან ძლიერ და საშიშ ღვთაებად მიაჩნდათ სვანებს კაᲥშა თარინგზელი. Ქარნ̄სგას პარასკევს შეიძლება მოსახლე არ წასულიყო მის სალოცავში, მაგრამ მას სახლში მაინც უნდა შეეწირა ლემზირები და ელოცა მის სახელზე.

შაბათს ჰოკულდაშის სალოცავში მიდიოდნენ და ,,ლიდბაშის'' იხდიდნენ. ნადბაშუნების შეწირვის დროს ისინი ასე ეევედრებოდნენ ჯგგრაგ ჰოკულდაშიშს: ჩვენს ქუდოსანს ისარი და ხანჯარი აშორე, საქონელს შენი გაშვებული ნადირი არ მიაკარო. Ქარნესგას კვირა დღეს სვანი ქალები Ქანს ეევედრებოდნენ და სწირავდნენ მას ნადბაშუნებს: Ქანი თვალისა და თავის ტკივილისაგან მფარველი ღვთაება იყო''.[1]

რა განსხვავებაა 30-იანი წლების ,,Ქარნ̄სგასა'' და 90-იანი წლების ქრისდ̄ში Ქარნ̄სგას'' შორის: 1) ის რომ საერთოდ არ არსებობს ,,ლიდბაშის'' წესრიგი ამ ტრადიციის სრული მნიშვნელობით და, 2) არსებობს ,,ლიდბაშის'' სახეცვლილი ტრადიცია; შესაწირავი ლემზირები ქალების მიერ მზადდება არა ეკლესიის ლამარიაში, არამედ სახლის კერაში. მას წაიღებენ ქალები სალოცავში ან, უმეტესად, სახლის სალოცავ სარკმელთან შესწირავენ წმინდანს.

აღნიშნული მსგეფსისას მოსახლე თუ ამ სალოცავებში არ წავიდოდა, აუცილებელი იყო სახლის შინაში არა თუ ამ წმინდანების ლოცვითი ხსენება, არამედ ყველა იმ წმინდანის და წმინდა სალოცავისა, რაც კი არსებობდა სვანეთში.[2] ლატალის

---

[1] ᲒᲗ. Ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღ. კალენდარი, 1939 წ, გვ. 69. მთხ. Ქ ფარჯიანი, ლატალი.

[2] აღნიშნული რიგით ილოცებოდნენ აღდგომის მსგეფსის პერიოდშიც და დღეობებისას ,,ლიᲥვრეში'' და ,,ლიᲩდუში''. იგივე წესი სრულდებოდა ,,უფლიშიერის'' დღესასწაულზე. ამ დროს სვანეთის სალოცავებს ემატებოდა საქართველოს ძირი (მთავარი) სალოცავებიც.

წმინდა სალოცავები კი შემდეგია:

მაცხუარ, ნესკვლდაში თარინგზელ, ჰოკულდაში ჯგვრაგ, ეან, ტებდიაში ჯგვრაგ, სიდიანარი თარინგზელ, სიდიანარი მაცხვარ, ქრისდე ლელბაგიშ, ლენთა ლამარია, იფხი ლამარია, ბაალა ჯგვრაგ. ჯარ-ბაალ-ზაგრიშ, წეფლი ჯგვრაგ, გერბში მაცხვარ, ჭალი ჯგვრაგ, მაცხვარ მახგლდაშიშ, ჯარ მახგლდაშიშ, ეელ მგჰერიშ. ბარბოლ ზაგრალიშ, ჯგვრაგ ულვლაშიშ, მუჩფა ცანიშ, სამკალარ, ჩარგლდში ლამარია, ხატგნცხოველ, ჰარტი თარინგზელ, ზაგრი თარინგზელ, მაცხვარ კვერხიშ, ჯარ პარპოლდაშიშ, ჯგვრაგ ფურთაშიშ, ფაფგლდა თარინგზელ, ბარბალ - მგხერ - თარინგზელ, ლაპლა ჯგვრაგ, სკარლაში ლამარია, ჭუშხუნი, ზაგრი თარინგზელ, შყალრი ჯგვრაგ, ოქრა თარინგზელ, ბარბოლ, პეტრე ბაჩრიშ, სგობლა მაცხვარ, ლეჟა სგობლა თარინგზელ, დული თარინგზელ, ლახვშდა მაცხვარ თანლი თარინგზელ, ლემქგლდაში თარინგზელ, ჰარში ჯგვრაგ, ნათგლმცემელ, გუჰლი თარინგზელ, ცგზერი ლამარია.

ყველა ეს ეკლესია, ნაეკლესიარი თუ წმინდა ადგილი მდებარეობს ლატალში. მათი რაოდენობა აქ 49, მაგრამ მთხრობელები გადაჭრით აღნიშნავენ, რომ ეს რიცხვი თავიანთი არცოდნის გამო ძალზე შემცირებულია. მათი სრული რაოდენობა 60 მაინც უნდა იყოს. ლოცვისას წესია მათი ხსენება თვითეულისას ცალ-ცალკე, ან 1 ცალი ლემზირით ან 3 ცალით. აქვე გასათვალისწინებელია ერთი განსაკუთრებული წესიც:

ეარგნესგას ორშაბათი მხოლოდ თარინგზელების ხსენების დღეა

სამშაბათი	მაცხუარის!
ოთხშაბათი	ლამარიასი და ნათგლმცემლის!
ხუთშაბათი	ჯგვრაგ ბოგეშის! (ბოგ-ხიდია)
პარასკევი	კაეშა თარინგზელ-ის!
შაბათი	ჯგვრაგ ჰოკულდაშის!
კვირა	ეანისა და ხოშა ღერბეთის!

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი წმინდა სალოცავები ,,ეარუნესგაში'' ლოცვისას უნდა ხსენებულიყვნენ აღნიშნული წესით. ანუ თარინგზელები - ორშაბათს, მაცხუარი - სამშაბათს, ლამარია - ხუთშაბათს და ა. შ. ეს წესი რამდენადმე იცვლება იმ დროისთვის როცა მსგეფსი არ არის. ამ დროს

ორშაბათი ისევ თარინგზელის ხსენების დღეა.

სამშაბათი	მაცხუარის
ოთხშაბათი	არ არის სალოცავი დღე.
ხუთშაბათი	ლამარიასია
პარასკევი	არ არის სალოცავი დღე.
შაბათი	ჯგვრაგისაა
კვირა	ხოშა ღერბეთის.

,,ქრისტეში ეარუნესგას'' ტრადიციის სიძველეზე უნდა მიუთითებდეს მის პერიოდში ქალების ,,ლიდბაშის'' არსებობა; ისე ჩანს, თითქოს, ,,სიწმინდის'' მლოცველი მხოლოდ ქალია და არა მამაკაცი. თითქოს მათ უფრო ესმით მათი მსახურებაც. ემსახურებიან დღეთა რიგით, უფროს უმცროსობით, სათხოვარიც მათი უნარის შეს-

აბამისია; ᲘᲐᲜი თავის და თვალის ტკივილისაა და ამ ტკივილისაგან დაცვას სთხოვენ. მაცხᲠᲘარი სიცხიანი ავადმყოფობის მომდებიაო ქვეყნისათვის და მისგან დაცვას სთხოვენ. კაᲘშა თᲐრინგზელის უნარი ზვავების ჩამოწოლა, საძირკველის დანგრევა და მიწის ჩაწევა არისო მგქემ თარინგზელის უნარია მომატება ძე შვილით და ყოველივე სახიერით: საქონლით, მოსავალითო. ჯგგრᲐგი - მამაკაცების მფარველიაო, ლამᲐრია ქალების, ლენთა ლამᲐრიამ ძვლების ტკივილის და ქალური ავადმყოფობის მოტანა იცისო ,,ქუთაში ლამᲐრიამ'' - მუცლის ტკივილები. ლემქᲗლდი თᲐრინგზელმა ყურების ტკივილი, ჯგგრᲐგ ბოგეშმა - ხიდებზე, ბილიკებზე გავლისას საფრთხის მოტანა, თᲐნლი თარინგზელმა გადასასვლელებსა და უღელტეხილებზე საფრთხის მოვლენა... და ბოლოს, ამ ყველაფრის თავიც და ბოლოც ყოვლის შემძლე და ყოვლის გამრიგე ხოშა ღერბეთმა ,,ყველანაირი'' მადლის მოფენა და საფრთხის მოვლენა და მისგან დაცვა.

ქრისტეს შობის ფაქტიც და სასწაულიც ბუნებაში სინათლის გამოსხივებით აღინიშნა: ,,ის ღამე გაანათა არაჩვეულებრივმა სინათლემ... ამ დროს ცაში გამოჩნდნენ ურიცხვი ანგელოზნი, რომელნიც ადიდებდნენ ღმერთს და გალობდნენ ტკბილად ,,დიდება მაღალთა შიდა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება''... სვანი ქრისტეშობის სასწაულს ,,ანჭი-კᲗანჭი''-ს საიდუმლო შეწირვით აღნიშნავს. სახლის უფროსი მათ მაჩუბის აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელთან აღუვლენს ,,ჯარ ქრისდᲔშ''-ს და ევედრება - შენს წყალობას ნუ მოაკლებ ჩემს ოჯახსო. ლოცვა-ვედრება ხდება დღისა და ღამის გასაყართან, განთიადისას და ეს დროც შემთხვევით არაა გააზრებული!

ბუნებრივია, ქრისტიანული სინათლის გაგებიდან არ წარმოიქმნებოდა წინარექრისტიანული სინათლის რაობა. პირიქით, გათენებამდელი ანჭი-კᲗანჭის კვერებით და მათით საიდუმლო ზიარება სწორედ ღამის სინათლით შეცვლის - თენების, გამთენებლით თენების აღქმა და მისთვის მისაგებლის მიგებება უნდა იყოს. ჩანს რომ ორივე ,,სხვადასხვანაირი'' რწმენის და მსოფლმხედველობის გამოხატულებას რაღაც კანონზომიერებისადმი ერთი და იგივე დამოკიდებულება უდევს საფუძვლად. ამ შემთხვევაში თენების, სამყაროს შეცვლის, ბნელეთიდან სინათლეში გადასვლის კანონზომიერებაა დანახული. მას კი ადამიანის რწმენა მანათობლის ძალით შექმნილად მიიჩნევს. მანათობლად ბოლოს უფლის შვილი - ქრისტე ღმერთი გამოიკვეთა (ტრადიციული ,,ჯარ ქრისდᲔში''). მანამდე მზის სიდიადესთან გაიგივებული უხილავი შემოქმედია ყოვლის შემცველიც და შემქმნელიც.

ვფიქრობთ, ,,შობ'', ,,ქრისტეშობ'' ,,ქრისდᲔში ᲘარნᲔსგა'' ,,ᲘᲔშხᲠᲐმ''-სა და ,,მახე ზათ''-თან ერთად სამყაროს შექმნის საიდუმლოების მომცველი რიტუალებია, დაწყებული მითიური შრით და დამთავრებული ქრისტეს შობის ფაქტით.

ქართული კულტურა, ქართველი ერის არსებობა არ იწყება მხოლოდ ქრისტეს დროიდან. იგი უფრო ძველია და ადრეული (ქრისტეს შობის დღიდან ვგულისხმობთ და არა მის მარადიულობიდან!) ფიზიკური არსებობა მისი, მის სულიერ არსებობასაც განაპირობებდა. მისმა მსოფლხედვამ არ იუცხოა ახალი ქრისტესეული - პირიქით, შეისისლხორცა იგი და ქრისტეს ერთ-ერთი პირველი, მართლმადიდებელი ერი შეიქმნა. ჩანს, ძველთა მსოფლმხედველობა ისეთივე რჯული იყო, რომელსაც სიტყვიერად ,,ბიბლია'' გადმოქვცემს და არ გახდა იგი ,,ახალი აღთქმისთვის'' უცხო. ძველთა რჯული გადმოგვეცა წესით, რწმენით, ლოცვით, ქმნით და შენახვით. დაუწერელი რჯული დროს ვერ გაუძლებდა თუკი იგი ყოფიერით არ გასხეულდებოდა და სიმბო-

ლოებად არ გადაიქცეოდა ღვთის ჭეშმარიტების მსახურად. ,,გამოკეტილმა'' გონმა კი იგი ისე შემოინახა, თითქოს გუშინ შექმნილიყოს; მათ სწამდათ და ემსახურებოდნენ სიწმინდით, წმინდად შექმნილით, წმინდა ადგილას, წესის და რიგის წმინდად დაცვით. ხან საიდუმლოდ, ხანაც სახალხოდ, სადღესასწაულოდ: ლოცვით, გალობით, ,,ლილეთი'' თუ ,,რიჰო''-თი, ,,ჯგრაჭგით'' თუ ,,ო, ქრისდენშით'', ,,ლაქეღუაშით'' თუ ,,კვირიათი'', ემსახურებოდნენ მცირედი შესწორებებით და მაინც, საკუთარი თვითმყოფადი ყოფიერებით და თვითმყოფადი ცნობიერებით, რომელიც თავისთავშივე ასახავდა უძველესობის და კულტურის (სულის) ერთიანობას დასაბამიდან დღემდე.

როგორი იყო ,,შობ''-ის, ,,ქრისდენშ''-ის და ,,ქრისდენში ꙗარნესგა''-ს ტრადიცია სვანეთის სხვა სოფლებში.

აღნიშნული პრობლემების გასარკვევად მივმართოთ კვლავ ვ. ბარდაველიძის მდიდარ ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას. ჩვენ კი შევეცდებით ამ მასალის კლასიფიცირებას დღეობათა ძირითადი ნიშან-თვისებების მიხედვით. დავიწყოთ ,,შობ''-ის დღესასწაულით. 6 ივნვარი. (ძვ. სტ. 24 დეკ.)

1) საშობაო ფაფის დამზადება; იგი იყო ან პურის ფქვილის ფაფა ან საკორკოტე ხორბლის ფაფა (,,ითქ''). მას წინა დღით დაალბობდნენ, ქერქს გააცლიდნენ, გარეცხავდნენ ან გააშრობდნენ და გაანიავებდნენ და შობ-ის დღეს დიდ ქვაბში მოთავსებულს კერიის ნაჭაზე (ჯაჭვი) მოსახარშად შეჰკიდებდნენ. კორკოტის ხარშვას საღამომდე უნდებოდნენ, ხოლო დილას დიასახლისის მიერ გაკეთებულ პურის ფქვილის ფაფას საღამომდე შეინახავდნენ. იყო ამდაგვარი ჩვეულებაც: რამდენიმე დღით ადრე გაარჩევდნენ ხორბალს და ხელის საფქვავზე მსხვილად დაფქვავდნენ. შობის დილას კი მისგან აკეთებდნენ საწესო ფაფას. საამისოდ ხორბლის დაფქვა შობის დილასაც შეიძლებოდა. შობ-ს დილითვე ამ თესლს (,,ითქ'', ,,ქაქ'') საწებლად ,,მუჯორ''-ს გაუკეთებდნენ (გიმბაშ-ს (კანაფი) ან ნიგოზს და მარილს ერთად დანაყავდნენ, ცოტა წყალს შეურევდნენ და აკეთებდნენ ფაფასავით.) (ლატალი) ან გამოხდიდნენ კანაფის თესლს (გიმბაში) ან ნიგვზის (კაკ || გაკ.) ზეთს, ჩენჩოს წყალში გახსნიდნენ, მარილით შეაზავებდნენ და შემდეგ თავისსავე ზეთს გადაასხამდნენ (ფარი).

შობ-ის ფაფა, მუჯორი თუ სხვანი სარიტუალოდ იქმნებოდა დილით და შეეწირებოდა საღამოთი. ამით, დღესასწაულის საკრალური დატვირთვა გადადიოდა, ძირითადად, საღამოს (ღამის) ჟამზე.

2) ლამარიასთვის გამოთლილი ხის კოვზი და ჩოგანი;

ქალბატონ ვერას დაფიქსირებული აქვს ჩვეულება, რომლითაც ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი, შობის დილას ლამარიასთვის ხის პატარა კოვზს (,,კიზ'') და ჩოგანს გამოთლიდა. ვახშმობის დროს ორი სუფრა იშლებოდა 1) ლამარიასათვის ლეფაშნე მეორე - მიცვალებულთათვის ლეფაშნე. სწორედ სალამარიო სუფრაზე იდებოდა ხის კოვზი და ჩოგანი შობ-ის თესლთან ერთად. ეს სუფრა იშლებოდა ქალების კუთვნილ ხის გრძელ ბანდარზე, კერძოდ, მის მომრგვალებულ თავზე. ეს მერხი ყოველთვის მოთავსებული იყო სადიაცო მხარეს და მასზე მხოლოდ ქალები სხდებოდნენ კერიის პირად. აქ აღნიშნულ წესისას აანთებდნენ მხოლოდ ერთ ცალ სანთელს. ლამარიასთვის შეწირულ თესლს მხოლოდ ქალები მიირთმევდნენ, ხოლო კოვზს და ჩოგანს ვახშმის გათავების შემდეგ დიასახლისი საფქვილე კიდობანში (კიბდენ) ჩააწყობდა მომავალ შობამდე! (ლახამულა).

3) შობ-ის კორკოტთან დაკავშირებული ჩვევები.

როდესაც თესლი (კორკოტი) მოიხარშებოდა, თავზე მოდგმულ ქაფს კერიის

ფილაქანზე (კაზე) გადმოასხამდნენ და ქვაბს საღამომდე გვემში შეინახავდნენ (ჩუ-ბეხევი).

მოხარშვის შემდეგ, ქაქს მერბიელი საღამომდე სარკმელზე შედგამდა, საღა-მოს დახედავდნენ: თუ ქაქის ზედაპირი გახეთქილი არ იყო, ეს ოჯახისათვის ბედნიერე-ბას და სარგებლიან წელიწადს მოასწავლებდა და, პირიქით (ლენჯერი).

საღამოს თესლის თავმოდებულ სქელ ზედაფენას აიღებდნენ, ცალკე ჯამში გა-დადებდნენ და პატარა ბავშვს გაატანდნენ ხეხილის ბაღში, რათა ხეებისთვის მთავარ ღეროზე სათითაოდ წაესვა სიუხვისა და ბარაქის ნიშნად (ლატალი).

4) ვახშმობის ჩვეულებანი.

მათგან გამოიყოფა ლიფანეს ჩვეულება და პურობა ლოცვა-ვედრების შემდეგ. ეს სამი მომენტი ლაგდება შემდეგი თანამიმდევრობით: წმინდანისადმი ლოცვა-ვედ-რება, ლიფანე და პურის ჭამა.

ა) ლახამულაში გაშლილი ორი სახის სუფრა ორივე ლეფშნე იყო. ერთი „ლა-მარიშ ლეფშნე“ და მეორე გარდაცვლილთათვის ლეფშნე. გარდაცვლილთა სუფრასაც კერიის პირას გაშლიდნენ, ხოლო ლამარიას სუფრისაგან განსხვავებით მასზე სამ ცალ სანთელს დაანთებდნენ. აქ მოთავსებულს მამაკაცები და ბავშვები მიირთმევდნენ. ამ სუფრასთან უფროსი მამაკაცი შესთხოვდა გარდაცვლილებს ოჯახის კეთილდღეო-ბას და ამასვე შესთხოვდა დიასახლისი ლამარიას მისთვის მიკუთვნებულ ლეფშნესთან. ორივე ეს მიმართვა და ლიფშნე, როგორც აღინიშნა, ხდება კერასთან და არა საღო-ცავ სარკმელთან და ამიტომაც, ბუნებრივია, ეს წესი ამ შემთხვევაში ლიფანეს ტრა-დიციად არის მისაღები იმ წესისგან განსხვავებით, კერიასთან ლოცვა-ვედრების დროს რომ გვაქვს ლამარიასთან მიმართებაში.

ბ) შესაწირავი და ლოცვა-ვედრება „გვემ“-ში.

საღამომდე გვემში შენახულ შობის კოროკოტს საღამოს კვლავ სგირში გამო-იტანდნენ და ერთ ჯამს ცალკე გადაიღებდნენ, მას შუაში „მუჯორს“ დაასხამდნენ. ამის შემსრულებელი დიასახლისი წაიღებდა მას ისევ გვემში და ლოცვა-ვედრებით დადგამდა იმ კიდობანთან, რომელშიც ინახებოდა „ლამარიშ ტაბლაში“...* დიასახლისი ამ კიდობანთან დადგამდა ერთ ჯამ თესლსა და მუჯორს და მხოლოდ მის შემდეგ ახდიდა იგი კიბდენს სახურავს და ამოიღებდა აქედან სალემზირედ ერთ კა-რუა ფქვილს. ამ ფქვილისგან იგი გამოაცხობდა სგირში გატანის შემდეგ სამ ცალ სა-მარხო ლემზირს (კუახ ლემზირ) და ვახშმის წინ მათ, თესლთან ერთად, სახლის უფროსი მამაკაცი სალოცავ სარკმელთან აღავლენდა. (-შობ თავრარისავ! მრავალი შობა მოგვასწარი, კარგ გუნებაზე გვამყოფე ყველა, საქონელიც და ადამიანიც!...). შე-წირულით ივახშმებდნენ (ჩუბეხევი).

საზოგადოდ, შობა დიდ უქმე დღედ იყო მიჩნეული.

გ) „ლამარიას ტაბლაშის“ კიდობნის პირველად (შემოდგომის შემდეგ!) გახსნი-სთვის განკუთვნილი საწესო ჩვევა:

„ლამარიაშ ტაბლაშის“[1] კიდობანს პირველად შობ-ის საღამოს ხსნიდნენ. ვი-

[1] ლამარიაშ ტაბლაში შემოდგომაზე კალოობის დროს ცალკე გამოყოფილი ხორბალი იყო, რომელსაც დაფქვის შემდეგ კიბდენში ჩაყრიდნენ და შეინახავდნენ ისე, რომ უწმინდური არა-ვინ მიჰკარებოდა და არც უცხო ვინმეს მოეკრა მისთვის თვალი, ვინაიდან ლამარიაშ ტაბლაში უწონაში იყო. ამ ფქვილისგან აცხობდნენ ლემზირებს ზამთრის დღეობებში - შობს, ქრისდეშს, ჟეშხუამს და კანდას, მას შემდეგ რაც დიასახლისი შობ-ს პირველად აიღებდა ამ კიბდენიდან სალემზირედ ფქვილს (ვ.ბ.).

დრე მას გახსნიდნენ, ოჯახის წევრი მამაკაცი არყის ხისგან გათლიდა პატარა ჩოგანს, ღუარჩინს. ამ ღუარჩინით ამოიღებდა დიასახლისი საღამოს ლამარიაშ ტაბლაშს: როდესაც ვახშმისთვის მზადების დრო დადგებოდა და კერიაში ცეცხლს გააძლიერებდნენ, დიასახლისი დააპირებდა გასვლას გვემ-ში. მას თან მიჰქონდა ღუარჩინი (ხის ჩოგანი) ფილაქნის პატარა ნაჭერი (კა), და კარუა ფქვილისათვის. ამ დროს ოჯახის დანარჩენი წევრები კერიას გარს შემოუსხდებოდნენ, მის პირად ნახულ ნახშირის ნაჭერს ხელში მაგრად მომუჭავდნენ, თავებს დაბლა დახრიდნენ და სრულ სიჩუმეს ჩამოაგდებდნენ იმ დრომდე, ვიდრე დიასახლისი გვემ-იდან ლამარიაშ ტაბლაშს არ შემოიტანდა. დიასახლისი გვემში შესვლისთანავე ლამარიაშ ტაბლაშის კიდობანს მიუახლოვდებოდა, ლამარიას სახელს ახსენებდა, კიდობანს თავს ახდიდა, ფილაქნის ნაჭერზე მუჭით ფქვილს გადაიღებდა და მას ამ კიდობნის ძირის ქვეშ შედგამდა.

შემდეგ ღუარჩინით კარუაში საჭირო რაოდენობის ფქვილს გადაიღებდა, კიდობანს დახურავდა და გაემართებოდა სგირისაკენ. მისი სგირში შესვლისთანავე შინამყოფნი ნახშირს ცეცხლში შეაგდებდნენ და წამოიშლებოდნენ. დიასახლისი კერიას მარჯვენა მხრიდან (წაღმით) შემოუვლიდა და შეუდგებოდა ლამარიაშ ტაბლაშისაგან (ჭურუ) ხმიადი ლემზირების დაცხობას. ლამარიაშ ტაბლაშის მსგავსად, მისგან გამომცხვარი ლემზირებიც უწონაში იყო'' (ფარი).[1]

მსგავსი წეს-ჩვეულება ქალბატონ ვერას ეცერშიც აქვს დაფიქსირებული; ,,შობ''-ს ღამით დიასახლისი აცხობდა სამ ცალ პატარა კვერს, ეს კვერები ღერღილისაგან (ხელის საფქვავზე მსხვილად დაფქვილი ხორბლისგან) უნდა გამოეცხოთ. ამის შემდეგ ოჯახის წევრები კა-კერას შემოუსხდებოდნენ, ნახშირს მომუჭავდნენ და სრულ სიჩუმეს ჩამოაგდებდნენ. ამ დროს დიასახლისი გადიოდა კეშკში (სგირის მინაშენი, სადაც ფქვილსა და ხორბალს ინახავდნენ). მას თან მიჰქონდა სამი პატარა კვერი და თესლი ჯამით. ის გაჩერდებოდა ლამარიაშ ტაბლაშის კიბდენთან, ახსენებდა ლამარიას სახელს და ეკვდრებოდა მას - ჩემი ოჯახის მოსავალს ბარაქა მიანიჭეო. ლოცვის შემდეგ თესლს იგემებდა, ნალოც კერას კიბდენში ჩასდებდა, ხოლო ამ კიბდენიდან კარუაში გადაიღებდა საჭირო რაოდენობის ლამარიაშ ტაბლაშს და შეწირული თესლითურთ სგირში გამოიტანდა. აქ ის კა-კერასთან მსხდომებს მარჯვენა მხრიდან შემოუვლიდა და საქალებო ადგილთან გაჩერდებოდა. დიასახლისის შემოსვლისთანავე ყველანი წამოიშლებოდნენ, ნახშირს ცეცხლში შეაგდებდნენ და ხმას ამოიღებდნენ. დიასახლისი შეუდგებოდა ვახშმისათვის ლამარიაშ ტაბლაშისაგან კუახ ლემზირების გამოცხობას. ეს ლემზირებიც ისევე როგორც ლამარიაშ ტაბლაში, უწონაში იყო'' (ეცერი).[2]

აღნიშნულ სოფლებში შობ-ის დღეს დამზადებულ თესლს, მუჯორს და ლემზირებს ქორა მახუში ჯერ ლამარიას შესწირავდა, შემდეგ მიცვალებულებს შენდობას შესთხოვდა და ბოლოს, ცხადია, ამ სუფრით თვითონ ივახშმებდნენ. (-,,ლამარია შობაშ! მრავალი შობა კარგ გულზე შეგვახვედრე, მადლიანო. მშვიდობა და ჯანმრთელობა (შუიდბა ი ნაშდები) მოგვივლინე, ჩვენ და ჩვენი ნათესავი უმარცხოდ და უნაკლოდ ამყოფე, ქრისდე შობისაო, მადლიანო. ხშირად, ,,ქრისდე შობის'' მაგივრად ან, ,,შობა ლამარიას'' მაგივრად, მლოცველი ,,ქრისდე ქალქიშს'' (ქრისდე ქალაქისას) მიმართავდა!).

ლატალში, საღამო ჟამს, ვახშმობის წინ სახლის უფროსი მამაკაცი ხელში და-

---

[1] გ. ბარდაველიძე, სგ. ხალხ. დღეობ. კალენდარი, 1939. შობ-ის დღეობა გვ. 33.

[2] იგივე, გვ. 34.

იჭერდა ქაქს, მეორეში - მუჯორს. მივიდოდა სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და ასე ლოცულობდა: - დიდება მოგვეცი, ქრისტე ღმერთო. ქრისდე ღმერთო შენ გვიშველე. მრავალი შობ-ი კარგ გულზე მოგვივლინე შობის ლამარიავ![1] ბალს ზემო სვანეთში შობის რიტუალისას ვ. ბარდაველიძის მასალების მიხედვით შეინიშნება ის გარემოება, რომ აქ დავიწყებულია ლამარია ტაბლაშის კიდობნის პირველად გახსნისათვის საჭირო წეს-ჩვეულება და შენარჩუნებულია მხოლოდ გუემში ლოცვის ტრადიცია;

ვახშმის წინ მერბიელი ქაქ-ს პეშვით სამჯერ ცალკე ჯამში გადაიღებდა შუაზე მუჭით აღებულ მუჯორს დაასხამდა, ჯამს კარუაში ჩადგამდა და გვერდით ლამარიშ გუიზისგან (||ლამარია ტაბლაშ) გამომცხვარ სამ ლემზირს მოათავსებდა. შემდეგ, კარუის ნაპირზე ანთებულ სანთელს მიაკრავდა და კარუას გვემში გაიტანდა, იქ კიბდენის თავზე დადებდა და შეეევედრებოდა ლამარიას; ჩვენს ფქვილს ბარაქა მიეცი, პურს ნუ მოგვაკლებ და კეთილად მოგვახმარეო. შემდეგ კარუას კიბდენში ჩადგამდა და ასე დატოვებდა მეორე დილამდე (მეორე დილით აიღებდა და თვითონვე შესჭამდა იქვე). გუემში ლოცვის შემდეგ მერბიელი დაბრუნდებოდა სგირში, სადაც მას გაწყობილი სუფრა ხვდებოდა. ვახშმის წინ სახლის უფროსი ლამარიშ გუიზისგან გამომცხვარი ლემზირებით ეევედრებოდა შობშ ლამშრიას - ოჯახის ბარაქიანობას (ლენჯერი).

მესტიაში მანდილოსნები, გვემში - კიბდენთან - ჩუბშვ ლიმზირს აწყობდნენ; გაიტანდნენ აქ ქაქს და მუჯორს, ხოშა ზურაშლი დაიჭერდა ხელში ანთებულ სანთელს და ფაფას, დაიჩოქებდა კიბდენთან მიწაზე, თავს მიწამდე დახრიდა და ეევედრებოდა ლამარიას ოჯახის ბარაქას. დანარჩენი ქალები ამ დროს ხოშა ზურალის გარშემო იყვნენ გაჩერებული და გულში იმასვე ეევედრებოდნენ ლამარიას, რასაც მათი უფროსი. ლოცვის გათავების შემდეგ შესაწირს იქვე შესჭამდნენ და ისე დაბრუნდებოდნენ მაჩუბში.

შობ-ის დღეს ქალების ლიმზირის დამთავრების შემდეგ, ვახშმობის წინ, ოჯახის უფროსი შესაწირს შესწირავდა შობ ქრისდეშს. (-დიდება მოგსვლოდეს შობ ქრისდეშისავ შენ გეხვეწები, შენ შეიწირე ჩვენგან წმინდა პურის შესაწირი და წლის მოსავლით გაგვახარე, ბედი და ბარაქა მოგვეცი, დიდება მოგსვლოდეს შობ ქრისდეშისავ!).

კალელები შობ-ის დღეს სალასკაროდ აღნიშნავდნენ. შესაწირი ზვარაკი შობ-ის დღისთვის საგანგებოდ გასუქებული ღორი იყო. მზის ჩასვლის შემდეგ მოქრისდეშის ოჯახში შეიკრიბებოდა ექვსი „წმინდა“ მამაკაცი და ფუთნახევარი ფქვილისგან ერთ დიდ ლესერს გამოაცხობდნენ შემდეგნაირად: მოზელდნენ პურს, დააგუნდავებდნენ, გულში ცოტა მარილს და ფიჩხა ყველს ჩაუდებდნენ, გახურებულ კაზე დადებდნენ და ზემოდან ნაკვერჩხალს დააყრიდნენ. კას ლესერითურთ პირდაპირ მიწაზე დადებდნენ. ამავე დროს ქალები აცხობდნენ ექვს ცალ დიდ ყველიან ლესკშრს და მრავალ პურს. მათი აღვლენისას ენთო სანთლები, ეკმეოდა ნატრსუნი და ლოცულობდნენ ლესკრებითა და ლემზირებით სალოცავ სარკმელთან. (-დიდება მოგსვლოდეს ლამარიას, ბარაქა შენი ბოძებული არის, სამარხოსა და სახსნილოს შორის, ყველგან ბარაქა მოგვეცი, ლამარია შობისავ, ჩემი ლასკარი გააძლიერე, დიდება მოგსვლოდეს!).

ქვემო სვანეთში შობის ფაფას ჭანტი ეწოდებოდა. აქ მოხარშულ ხორბალში ურევდნენ საკმაზად ხახვს, ნიგოზს და მარილს. საღამოს ვახშმის წინ მამაკაცები, გა-

[1] იგივე, გვ. 35.

სათხოვარი ქალები და ბავშვები გადიოდნენ გარეთ. მარტო დარჩენილი მანდილოსნები გააჩაღებდნენ ცეცხლს, დიასახლისი გამოაცხობდა ერთ მოზრდილ კვერს, რომელსაც ლამარიშ შილგგნე ეწოდებოდა, დადებდა მას თეფშზე გადაღებულ ჭანტის ნაწილზე, ნაკვერჩხალზე ნატუსენს ააკმევდა და ლოცვას შეუდგებოდა: ლამარიავ, მრავალი ჭანტილობა მოგვასწარი მშვიდობით ჩვენ სახლში მყოფს ყველას.

,,ლამარია შილგგნე" - ამ სახელწოდების კვერი წარმოადგენდა ,,ოთხ კუწუბიან და შუაზე ორ ადგილას თითით ჩაჩვრეტილ კვერს". ამ პურით და ჭანტილით ოჯახის უფროსი ქალი ბეღლის კარებთან ილოცებოდა ლამარიასთვის - ჩემს ოჯახს ბედსა და ბარაქას ნუ მოაკლებო!...

ოჯახის მამაკაცი ვახშმობის წინ ეკედრებოდა შესაწირავებით ხელში აღმოსავლეთის სარკმელთან ,,ქრისდეშია ყერ-ს ი ანგლეზ-ს", მრავალი ჭანტილობის მშვიდობიანად მოსწრებას.[1]

7 იანვარი (ძვ. სტ. 25 დეკ.)

,,ქრისტეშობა" დიდი უქმე დღე იყო.

1) ლიფანე ხსნილით და უწონაშებით. ამ დღისთვის აუცილებელი იყო ღორის ხორცი, რადგან ქრისდეშს მიცვალებულთა სულები იხსნილებდნენ და მათთვის სახსნილო ლიფანე უნდა მოეწყოთ. სახსნილო სუფრას გაშლიდნენ სადილობის და ვახშმობის ჟამს. დიასახლისი ამ სუფრისთვის მრავალ პატარ-პატარა ლემზირს გამოაცხობდა ლამარიაშ ტაბლაშისაგან. ეს ლემზირები კი უწონაში იყო და მათ უცხო პირებს არც აჩვენებდნენ და არც აჭმევდნენ (ლახამულა).

2) ლიმზირი კუანჭილებით - ,,უწენად"

დიასახლისი წამოდგებოდა ლოგინიდან გათენებამდე - ,,ფრინველის აზვრამდე".კარ-სარკმელ დახურულ სგირში სასწრაფოდ ცეცხლს გააჩაღებდა და ლამარია ტაბლაშისაგან გამოაცხობდა ,,წვრილ-წვრილ ყველიან ლემზირებს - კუანჭილებს". ქორა მახუში მათ აღმოსავლეთის სარკმელთან ,,შესწირავდა" ქრისდე ქალქიშს. (,,ქრისდე ქალქიშ მადლიან, ალ ლაზგაისგაშ მერდე მარე ი ქულუმგენე თერრე ნანგრჰად ანხიდ"!). ამ კუანჭილებს სათითაოდ მიირთმევდნენ. ერთ ცალს ბავშვი გაიტანდა გარეთ, სხვის ყანაში ისროდა შეძახილით - ანჭი კუანჭი მადლიანო ნაპრარ ჴევიშ დაბართე - ჩიტები სხვის ყანისაკენ (ჩუბეხევი).

სხვაგან, როცა ქორა მახუში კუანჭილებით ლიმზირს ატარებდა ასე ეკედრებოდა ქრისტეს; ქრისდე შობისაო. მრავალი ქრისდეში კარგ გულზე მოგვასწარი, მუდამ მშვიდობით გვამყოფე!... (-დიდაბუ აჷვედა ქრისდე შობაშს! ქრისდე შობაშ, ისგუ ლიმზურ დიდაბ ი ლუჯუარ ნაყრ, მალდიან, ფიშირ ქრისდე ხოჩა გუჟი ნაყრ... ჩიგარ შუიდებად ენურდუენ ნა ი ნიშგე ნათი, ფეთხმალ ჩუანფიშირ, ჯაბიცდ მალდიან ქრისდე!).

სადილობის ხანს დაკლავდნენ ღორს (,,ლექრისდეშ"), ცხვარს ან თხას და გაშლიდნენ ლეფანედ სახსნილო სუფრას. ლეფანე სუფრას საღამოსაც უკურთხებდნენ მიცვალებულებს (ფარი, ეცერი).

---

[1] ვ. ბარდაველიძე, 1939 წ, გვ. 43-44. ლენტეხი. (აქ მოცემული ყველა ეთნოგრაფიული ცნობები ეკუთვნის ქალბატონ ვერას და აღებულია მისი წიგნიდან სვ. ხალხ. დღეობათა კალენდარი, 1939 წ. შობ-ი. გვ. 31-44.)

რწმენით, ბარბოლს მზე მამლის სამ ნახტომს, ხოლო ქრისდეშს ვერძის (გიცრის) სამ ნახტომს აკეთებსო.

3) კუანჭილებთან ერთად დაცხობილი სხვა დანიშნულების ლემზირები:

ზოგან დიასახლისი უწენად ლიმზირისათვის (ადრიან დილას!) კუანჭილებთან ერთად დააცხობდა სამცალ მოზრდილ ხაჭაპურს ერთს მწყემსისთვის (მგლდეღია ლემზირ || ანდაუ̄ᲨᲘ ლემზირ), მეორეს საქონლის ზამთრობით მკვებავისა (მგნნიᲨ ლემზირ) და ძროხების მწველელისათვის (მგშგᲐლიᲨ ლემზირ). კუანჭილებს ქორა მახუში სწირავდა სარკმელთან, მგნნი ხარების ბაგის წინ, ანდაუ̄ - ლაშდᲐრთან და მგშგᲐლი - ძროხების ბაგასთან (ლალდიᲐრთან) - ბარბოლს. ქორა მახუ̄ში ეევედრებოდა წვრილფეხა საქონლის გამრავლებას, მგნნი - მსხვილფეხის, მგშგალი - მეწველი საქონლის ბარაქას და ანდაუ̄ - მსხვილფეხასთვის ლოცულობდა. ლოცვის შემდეგ ეს სამი უკანასკნელი პირი თავ-თავის ლემზირებს ლოცვის ადგილზევე შეჭამდა ისე, რომ ამ დროს მათ არც ხმა უნდა ამოეღოთ და არც უკან უნდა მიეხედათ. ხოლო ქორა მახუში წვრილ ლემზირებს ყველა შინმყოფთ სათითაოდ ჩამოურიგებდა და მათაც ხმაამოუღებლად უნდა გაეთავებინათ ნალოცი პურები (ცხუმარი).

სადილისთვის იცოდნენ სახსნილო სუფრის გაშლა მიცვალებულთათვის. ამ დღის ყველა ლემზირი უწონაში იყო. ქრისდეშის დღეს ამიტომ არ იცოდნენ ერთმანეთში სტუმრად მისვლა.

ამრიგად, ბალს ქვემო სვანეთში ქრისდეშის ძირითადი მომენტებია: 1) დილით ადრე, მზის ამოსვლამდე, კარ-სარკმელ დახურულ სახლში უწენალების დამზადება და ლოცვა „ქრისდე ქალქისთვის“ და ლოცვა ბარბოლისთვის - საქონლის გამრავლების თხოვნით.

2) სადილისას სახსნილო სუფრის გამზადება და კურთხევა მიცვალებულებისათვის.

3) ვახშმისას ისევ სუფრის კურთხევა მიცვალებულთათვის. ხსნილია ყველითა და ხორცით. აუცილებელია ლექრისდეშის (ღორის) ხორცი ან ცხვრის, თხის და მამლის ხორცი.

უქმეა, იკრძალებოდა ერთმანეთში სტუმრობა, უწენალები ცხვება და მზადდება ლამარიაშ ტაბლაშისაგან და უწენას წესიც უწ̄ენად სრულდება.

ზემო სვანეთში: 1) ანჭი-კუანჭიებს (უწენალებს!) შესწირავენ სარკმელთან ჯუ̄Არ ქრისდეშს და სთხოვენ შენს წყალობას ნუ მოაკლებ ჩემს ოჯახსო. მათი ზიარება ხდება უწენად.

2) სამ ცალ ლემზირს და ზედაშეს წაიღებენ ეკლესიაში თითოულად ყოველ მოსახლეზე და იქ ლაჭუ̄Შმი მᲐრეს დააღოცვინებს ჯუარ ქრისდეშის სახელზე. 3) დილით უწენა ლემზირების ჭამის შემდეგ შეიძლებოლდა ერთმანეთთან სტუმრობა (ლატალი).

4) ქრისდეშის დღეს სალოცავად ლენჯერში მიიჩნევდნენ „ქრისდე ჯუ̄Არს“. - ოჯახი მშვიდობიანად მიმყოფე და მრავალ ღგნს (დღესასწაულს) შეგვასწარიო.

5) კუანჭილებს აფსასტს შესწირავდნენ დილით ადრე კარ-სარკმელ დახურულ შინაში (-„დიდაბ აჯ̄ᲨᲐდ აფსᲐსტს. დიდაბუ აჯ̄ᲨᲐდა! სი ხი სეუ̄ მუჰდი, სი ჯᲨმზგრიდ კუ̄ᲨᲐნ̄ჭ̄ᲐლᲐრს, სი ლᲐხო ნიშგუ̄ეი მგმᲐრეს ხოჩა სეუ̄, აფსასტ, დიდᲨბუ აჯ̄ᲨᲐდა“.). ამ ლოცვის გათავების შემდეგ კუანჭილებს ოჯახის წევრებს ჩამოურიგებდნენ, ხოლო მწოლიარე მონადირეს და ჩიტების დამჭერ ბიჭს ლოგინშივე დააბანინებდნენ ხელ-

პირს და კუანჭილებს ისე შეაჭმევდნენ. კუანჭილარი და კვერებით შესრულებული ლემზირი უწენა იყო (მესტია).

სხვაგან ანჭი-კუანჭის (სამი, ექვსი, ცხრა ან თორმეტი ცალი) ოჯახის მამაკაცები გაიტანდნენ კალოზე, მონადირის სახელზე შესწირავდნენ და ახსენებდნენ ანჭი-კუანჭი ნაპრალიშს. ლოცვის დროს ისინი მიმართავდნენ სოლომს, რომელიც ფრინველების მოკვლის ნებას აძლევდა, და ნადირთ ღვთაება აფსუსთ-ს. (- ,,დიდაბუ აჯუედა, ჩიგარ ათხიად ნიშგუეი ქორაშ მუმპუელი (ფრინველთ მონადირე) ი მარე. (მულახი).

6) ქრისდეშს ვინც სალასკაროდ აღნიშნავდა, საერთო სუფრაზე დასხდომის წინ ფუსდ მაცხუარს შესწირავდნენ პურს, ხორცს და არაყს (მაგრამ არა ღორის ხორცს! ნ. წ.) (ვაცს ან ხარს!). (- ,,დიდაბ აჯუად ნიშგუეი ფუსდ მაცხუარს დიდაბ! მაცხუარ, სი ლანეშდ, ისგუა ყერშუ ი ჟამშოშ ნომა ანკუადუნა ისგუ ჟერ ი წყალობ, ნაშდობან ი ნაფშირან აიხიად ნიშგუეი სოფელ, ნომა ანშდგხე ისგუ ნამზგრუნ: ისგუ ლიმზგრ დო ათუიშდგნად, ეჩქად ისგუ ჟგრ ი წყალობ ნუმა ანკუადუნა, ათმაზირ ალ ქორ, ისგუა ნამზურუნი მოშდაბდ''). (მულახი, მურშკელი, მაცხოვრის ეკლესიის თემი.)

7) იფარში დილით ადრე კუანჭილები ქრისდე-ლამარიას შეეწირებოდა (-დიდაბუ აჯურშუენან ქრისდე - ლამარია, შობ - ქრისდეში ნაძღგდა (შობ-ქრისდეშის სიდიადეე!) დიდაბუ აჯუედა! ლანეშდ კუმაშს ი მარა, ჯეგგრალდ ისგუა ჟგრს ი წყალობს, იშგდილდედს ი ლახმაზირ, დორა ეჩნოუშ ნომა ანცუიდ'').

სადილისთვის იკვლებოდა ხარი, ვერძი ან ღორი (იფარი). კალელები ქრისდეშს ლესკარად იხდიდნენ და ღერბეთს შესთხოვდნენ სათხოვარს და შესწირავდნენ საერთო ზვარაკს - ცხვარს. მოქრისდეშის სახლში (ოჯახი რომელიც მასპინძლობს ამ დღეს ლასკარს) სარკმელთან ადრე დილით მას აღუვლენდნენ ღერბათ. (მაცხუარს!); ხოშა მარე ხელში აიყვანდა ცხვარს სალოცავ სარკმელთან, მოიტანდნენ ნაკვერჩხალს და ზედ ნატუსუნს დააკმევდნენ, ხოლო ანთებული არყის გამხმარი კანით ან სანთლით სამსხვერპლოს მატყლს შეუტრუსავდნენ შუბლზე, ზურგზე და კუდთან. შემდეგ ცხვართან ერთად (ან მხოლოდ ცხვრს შემოატრიალებდა თუ იგი ძალიან მძიმე იყო და ვერ შეეძლო ერთ კაცს მისი ხელში დაჭერა!) მარჯვნივ შემოტრიალდებოდა ხოშა მარე და მაცხუარის სახელზე ილოცებდა. ამის შემდეგ ზვარაკი იკვლებოდა. ყველაზე უწინ კვლავ საკლავის გულ-ღვიძლს შესწირავდნენ აქ, ან მას ლემზირებსა და ზედაშესთან ერთად წაიღებდნენ მაცხოვრის ეკლესიაში და შეავედრებდნენ წმინდანს მოტანილ შესაწირს და შეწირვის შემდეგ მას უკან გააბრუნებდნენ მოქრისდეშის სახლში. ამ შეწირვამდე სალოცავის კართან მლოცველები სამგზის იტყოდნენ ჯგგრაგის საგალობელს. (კალა, ხალდეში).

8) უშგულში დილით გათენებამდელი წესისთვის დაცხობილ ლემზირებს ალუდალ ეწოდებოდა. კუანჭილების მსგავსად სინიც ოჯახის წევრთა რაოდენობის ყველიანი ლემზირები იყო და მათ სახლის უფროსი შეავედრებდა ქრისდე ლამარიას, ალუდალ უწენალები იყო.

9) ქრისდეშობას - ,,ქრისდეშს'' - მოზეიმე ლასკარი ზეიმობდა ორ დღეს - ქრისდეშს და ლალტხას. ქრისდეშის მეორე დღეს ლალტხა ეწოდებოდა, ვინაიდან ლასკარი მოქრისდეშის ოჯახში ბრუნდებოდა და წინა დღიდან მორჩენილი სანოვაგით ატარებდა დროს ჭამა - სმა - ქეიფში.

10) ქვემო სვანეთში სადილისთვის ჩვეულებრივ პურების გარდა დიასახლისი

გამოაცხობდა ხუთ ცალ ტაბგლს. ამათგან სამი ტაბგლი ჩვეულებრივი ზომის მრგვალი და ოთხ კუწუბიანი კვერი იყო, ერთი მათზე მომცრო, მრგვალივე კვერი, შუაზე კიდით კიდემდე ხელის ყუით დანაკრავი, რომელსაც ლამარია - შილგგნე ეწოდებოდა და მეხუთე ტაბგლი ჯვრის სახისა, რომელიც ყველა ტაბგლზე მცირე იყო და რომელსაც ფუსნა ლემზირი ეწოდებოდა. ლამარია - შილგგნეს შეჭმა დიასახლისს ევალებოდა, ხოლო ფუსნა ლემზირისა - სახლის უფროს მამაკაცს. დანარჩენ სამ ტაბგლს, თუ მათ ოჯახშივე შეავედრებდნენ, შინმყოფთ ჩამოურიგებდნენ. ხოლო, თუ ეკლესიაში გამოიტანდნენ და იქ მღვდელს ან მულზონს შეაწირვინებდნენ, მათ შემწირველს დაუტოვებდა. (სამივეს, ან ორ ცალს ან, ერთს!). შეწირვისას ხელში დაიჭერდა შემწირველი ხუთივეს ერთად: სამს ჩვეულებრივ ტაბგლს ერთმანეთზე დაწყობილს ზემოდან დაადებდა ჯერ ლამარია შილგგნეს შემდეგ ფუსნა ლემზირს და ფუსნა ლემზირზე დააყრიდა ნატუსუნს. მეორე ხელში ზედაშს დაიჭერდა, შესაწირავებით დატვირთულ ხელებს ზევით ასწევდა და ისე ილოცებდა; (- ქრისდეშობია ყერ ი ანგლოზ, სი ლოგუ̄ეშდ, ოგხიდ ამსუ̄ალდა ნაშდობოშ ი კუმში ნაფშიროშ, უჭმიშ ი საქმი ნამშ̄Უ მ̄Გ სალხინისგა ლეᲩმარი გუ̄აყრ, ლოგო ნ̄Უდური კუმ̄შს ი მარას, ოგხიდ ზ̄Უ მაᲩედან, ოგუ̄ᲨᲣ ლუფხუ̄ შუ̄იდობად კუმ̄შს ი მარას, ქრისდე - შობია ყერ ი ანგელოზ, სი ოგქაბგნ ხოლა თეᲣ-აყბა ოგქაბგნ ხოლა მეყ̄Შაბიელ ლეგლირდე, ლოგლეჩ ზიგხენ ი მადილ ჯერი, მადილშუ̄ გოში“).

11). სადილობის ჟამს მიცვალებულებისათვის საკურთხ სუფრას მათს საფლავზე გაიტანდნენ ისინი, ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდათ. ხოლო ძველებს შინ გაუშლიდნენ.[1]

„ქრისდეშ Უარუნენსგა“ (Უარუ̄ნენსგა) (7-14 იანვარი). (ძვ. სტ. 25-31 დეკ.)

ეს არის დრო ქრისდეშიდან Უეშხუამამდე. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია: 1) ლიმზირი ლამᲩრია ლემზირებით (უწ̄ენად!), ყოველ დღე, დილა-საღამოს. ლამარია ლემზირი დაცხობილია ლამარია ტაბლაშისაგან. ამ ლემზირებით სახლის უფროსი მოიხსენებდა სვანეთის ყველა ხატ-სალოცავს და ასევე, ცაგერისა და სამეგრელოს წმინდანებსაც. (ლახამულა).

2) თვითოეულ წმინდანს, მისი ხსენების დროს, სამ ლემზირს შესწირავდა: სახლის უფროსი დაიჭერდა ხელში ამ სამ ლემზირს და ილოცებდა ჯერ ერთი წმინდანის სახელზე, შემდეგ შეწირულ ლემზირებს განზე გადასდებდა და ახალი სამი ლემზირით სხვა წმინდანს ახსენებდა და ა. შ. (- ა,ა, დიდᲨბუ აᲣᲩედა დამბადებილ ხოშა ღერბათ, დიდᲨბუ აᲣᲩედა! დამბადებელ ხოშა ღერბეთ მᲨლდიᲨ, ამ მ̄Ში მიᲨ̄ესგა მᲨ ღეერმეთ ჟოხურᲨენიდ, მᲨ ხᲨტ ჟოხურᲨენიდ, მᲨგ ნიᲨგე მაᲨედ ჩემნ, ხოჩემ მგჩემ“.) (ჩუბუხევი) ბოლო სამი ლემზირის ლიმზირისას იტყოდა - ვინც გამომრჩა, ვერ მოგიხსენე, თქვენც „დიდᲨბუ აᲣᲩედაო“ - თქვენც დიდება მოგსვლოდეთო“. ხოლო, ბოლოს კი - ლამარიას ხსენებით ამთავრებდა ლიმზირს.

3) Უარენესგა უქმე კვირა იყო. აღკვეთილი იყო ქალის ხელსაქმე: ჭრა-კერვა, რთვა, ქსოვა... იარაღისა და სხვა რკინეულის ხმარება. ფიქრობდნენ უქმის გატეხვით წვრილფეხა საქონელს ზიანი მიადგებაო.

---

[1] ეთნოგრაფიული მასალები იხ. ვ. ბარდაველიძის წიგნში, სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი. 1939 წ. ქრისდეშ. გვ. 45-58.

4) დადუარე ცაშის ჩვეულება: (ცხუმარი)

Აარგნესგაში ხუთშაბათ დღეს დადუარე ცᲐში ეწოდებოდა. ამ დღეს ნასადილევს კაცები სგირში ქალებსა და გოგონებს მარტო დასტოვებდნენ და თვით გარეთ გავიდოდნენ, რადგან ამ დროს საქალებო ლიმზგრი უნდა შესრულებულიყო, რომელზედაც მამათა სქესის დასწრება არ შეიძლებოდა. დიასახლისი გამოაცხობდა ყველიან ან ნიგვზიან კვერებს, დანარჩენი ქალების თანხლებით იგი მივიდოდა სგირის აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ ასე ილოცებდა: - დიდᲐბ ᲐჯᲒᲐდ ლამᲐრია დადუᲐრეშს, ჯაბიცდ მᲐრᲒმი ნᲐშუდების, ზᲐᲨ ნატზერის, მᲐᲨ ამსუალდაშდ ხოჩა ლესუ, ეჯი ნომაგეშ ანტიხუნა, მადილ ჯერი. შემდეგ ახსენებდა ლამარია უედშიშს, რომლის სალოცავი ცხუმარის მთაზეა და ლამᲐრიᲐ უშხუანრიშ-ს - ბეჩოში, სოფ. უშხუანარში. ლოცვის შემდეგ ამ ლემზირებით ისადილებდნენ და დამთავრების შემდეგ კაცებს აცნობებდნენ შინ დაბრუნების შესაძლებლობას.

5) ბალს ზემო სვანეთის ტრადიციით Აარნესგას ოთხშაბათი და პარასკევიც ხსნილი იყო და სალოცავ დღედ ითვლებოდა. ოჯახის მანდილოსნები მთელი კვირის განმავლობაში დადიოდნენ სხვადასხვა ხატებში მათთვის განკუთვნილ დღეებში (ლატალი) და იქ ლიდბაშს აწყობდნენ. (თვითეული ხატის მოსალოცავად გარკვეული დღე იყო განკუთვნილი). ზოგ სალოცავში მიდიოდნენ ზედაშითაც (მაგ. თანლი თარინგზილ). ზედაშის გამოხდისას უწმინდური ქალი და დასამარხი ვინმე არ უნდა ყოფილიყო არც ოჯახში და არც სოფელში.

6) ქრისდᲒშის Აარგნესგას ლენჯერში (სოლ) მცხოვრებ ხაფთნების გვარს აკრძალული და აღკვეთილი ჰქონდა სამუშაო ქალისაც და მამაკაცისაც. მათი რწმენით, ეს აღკვეთა მოდიოდა ბეჩოს ხატის მეზრა თᲐრგლეზერისაგან, რათა საქონელი მათი გადარჩენილიყო ხიფათისაგან. ამიტომ ამ Აარგნესგას ხშირად ,,თარინგზილის კარბ''-ით მოიხსენიებდნენ (ლენჯერი).

7) Აარგნესგა ცᲐშის ჩვეულება.

Აარენესგას ხუთშაბათი ქალების სალოცავი დღე იყო. ბუნებრივია, იგი მამაკაცების გარეშე იმართებოდა. მერბიელი ლამარია გუიზისგან აცხობდა ლემზირებს და შეასრულებდა გიმი ლიმზირს; დაიჩოქებდა კა-კერას წინ, შეეევედრებოდა ლამარიას - ოჯახის ბარაქას ნუ მოგვაკლებო. ლემზირებს მანდილოსნები დაინაწილებდნენ ლიმზირის შემდეგ. (ლენჯერი, მულახი, ხალდე).

8) Აარენესგაშს კვირა დღით, იმართებოდა სასოფლო დღეობა. ერთი ან რამდენიმე მოსახლე უსხუ-ს (უსხუᲐᲨ) დაჰკლავდა და მთელს სოფელს და თავის მოკეთენათესავებს უმასპინძლდებოდა.

უისხუ-ის დაყენება ხდებოდა შემდეგნაირად: კვირა დღეს, მას შემდეგ, რაც ხბოს დედის ძუძუს გააშვებინებდნენ, მიიყვანდნენ მაჩუბის აღმოსავლეთ კედლის მარჯვენა სარკმელთან და ფუსნაბუასდიშს შესწირავდნენ: ,, - დიდᲐბ ᲐჯᲒᲐდ ფუსნა ბუᲐსდიშ, ისგუ უსხᲐᲨ, ისგუი ლᲐლგენა უსხუᲐᲨ ათფიშირ ნიშგუეᲨ ქორისგა; ფუსნა ბუᲐსდიშ ისგუი უსხუᲐᲨ ნაყა ისგუა ნᲐმზგრგნდ, დიდᲐბ ᲐჯᲒᲐდ''. ამ ხბოს კუროდ გაუშვებდნენ და სამი - ხუთი წლის შემდეგ მას დიდი ღმერთის სახელზე დაჰკლავდნენ აღნიშნულ დღეს. დღეობის დღეს შესაწირავ უისხუს მიიყვანდნენ მაჩუბის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, რქებზე ანთებულ სანთელს მიაკრავდნენ. ერთ სანთელს სახლის უფროსი აიღებდა და თავზე, ზურგსა და კუდთან ბალანს შეუტრუსავდა და ფუსნა ბუასდის შესწირავდა ლოცვით: - დიდᲐბ ᲐჯᲒᲐდ ფუსდ ნაბუᲐ-

სდიშ (უფალო ბუასდისაო ვ.ბ.), ისგუა უსხუაირე ლაძჰენიშ ტარეს შმიჴ აშირ ათუს ი მადილ ჯერი: ფუსნა ბუასდიშ, ათფიშირ ნიშგუეი ქორისგა კუმაშ ი მარე". ვიდრე უსხუაეს სანთელი რქებზე ჩაუქრებოდა, მამაკაცები არაყს სვამდნენ. შემდეგ მიიყვანდნენ ხარს კერიის პირად, მარჯვენა გვერდზე წააქცევდნენ ისე, რომ თავი აღმოსავლეთისაკენ ჰქონოდა და ბანდარზე დაჰკლავდნენ. (ხალდე) ხარის მარცხენა ბეჭს გათხოვილ ქალიშვილს (ჰასუიშს) გაატანდნენ ძღვნად. გულ-ღვიძლი, კუბადი და ზედაშე ეკლესიაში მიჰქონდათ ფუსნა ბუასდისათვის შესაწირად.

9) კათხ-ტაბაგის და ბაცხის ჩვეულება.

კათხ-ტაბაგი განკუთვნილი იყო ოჯახის კეთილდღეობისათვის, ავადმყოფის სახელზე - მის მოსარჩენად, ან წარმოადგენდა უქმეების (ნაუქმის) გატეხის გამო მისატევებელ შესაწირავს. იყო ჩვეულებრივი პურობა - კათხ-ტაბაგ. (კათხ - კათხაა, ტაბაგ - მაგიდა ე. ი. პურობა). (იფარი).

ბაცხს კი მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად იხდიდნენ. მისი გადამხდელი ოჯახი უმასპინძლდებოდა მთელს სოფელს (უშგული) ზოგი მოსახლე ბაცხსა და კათხ ტაბაგს ლალხორში იხდიდა შაშობა თვემდე (ნოემბრამდე).[1]

ამდენად, ვისთვისაა განკუთვნილი „შობ"-ის, „ქრისდეშობ"-ის და „ქრისდეში ეარნესგა"-ს დღეობები და მათი საწესო რიტუალები. პასუხი მხოლოდ და მხოლოდ ერთია - „ლამარიას"თვის.

„ლამარია შობაშ" ამ ძირითადი სახელით მოიხსენიებენ „შობ"-ის დღესასწაულისას მლოცველნი ლამარიას. რა ძირითადი ნიშან-თვისებებით ვლინდება ლამარიას ბუნებრიობა ანუ, ბუნებრიობა უპირველესად იმისა, რომ იგი შობის შემოქმედია. მას, პირველ რიგში, სიტყვის სემანტიკა და ეტიმოლოგია იძლევა - „შობის ლამარია!" და შემდეგ ყოველივე ის მცირედი ნიუანსიც კი, რომელიც დღესასწაულის წესთა მიერ გამოვლინდება.

ამ დღეს ხდება პირველად, შემოდგომის შემდეგ, საგვიზე კიდობნის გახსნა. (სწორედ ამ დრომდე უნდა ემყოფინებინა დიასახლისს წინა წლის საგვიზე მარაგიც). ვფიქრობთ, ეს არის ერთ-ერთი უნიკალური ჩვეულება, რომელიც მყარად და ნათლად იტევს „შობ"-ის წეს-ჩვეულების არსის გაგებას.

საკრალიზებულია „შობ"-ის დღეობისას ყოველივე, ისევე როგორც საკრალიზებულია რელიგიურ დღეობათა კალენდრის ყოველი რელიგიური დღე. რას ვიგებთ მათგან:

1) ლამარიას ძირითადი ნობათი „გვემ"-ი და გვემში არსებული სიმდიდრეა. გვემ ამ ნობათის შემკრები ადგილია ყოფიერების ნიშნით არსებული. გვემის საკრალურობას ხაზს უსვამს აქ, მის წიაღში, გუიზ-ის არსებობა და როგორც გუიზის ისე გუემის საკრალიზებული სახელწოდება. და რომ ეს ლამარიას ნობათია მასზე სახელწოდება „ლამარიას გუიზი" მეტყველებს ამ გუიზიდან „იქმნება" ყველა რელიგიური დღისთვის საჭირო სარიტუალო პურები და მათ სახელწოდება მხოლოდ იმ დღეს ეცვლებათ, როდესაც გარკვეული დღისთვის ხდებიან აუცილებელი. ბარბლაშის დღეს საჭირო ლემზირები მზადდება ლამარიას გუიზის ფქვილიდან და, რადგან იგი მხოლოდ ამ დღისთვის არის განკუთვნილი, ერქმევა ბარბლაში გუიზ. ასე რომ ზოგადად გუიზ ასოცირდება „ლამარიშ გუიზში" და არა ბარბლაშის გუიზში ან სხვათათვის

[1] ეთნოგრაფიული მასალა იხ. გ. ბარდაველიძის წიგნში. სვ. ხალხური დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, თბ., 1939. გვ. 59-76. ეარუნესგა.

(ᲒᲐᲜ, მაცხუარ, თარინგზელ...) განკუთვნილში. (გუიზ ერთ კიდობანში ინახება!). ამდენად ,,პირველის'', საწყისის გაგება ლამარის უტოლდება (და არა ბარბალეს!).

2) ,,ლამარია'' ყველაფრის მშობია და ამ საკრალური იდეის მსახურია ,,შობ''-ის დღეობაც. ეს კანონზომიერება ადამიანის გონისა და თვალისთვის უხილავია ამადაცაა წესთა შესრულების დროდ ღამე ამორჩეული. ადამიანები ამ იდეის გათავისებას კერით იწყებენ: კერის ირგვლივ დასხდომა, კერიდან ნახშირის ხელში აღება, მუჭაში (მომუჭულში) მისი დაკავება და ხმაამოუღებლად, თავდახრით დიასახლისის გვემიდან გამოსვლამდე ასე ყოფნა, აღნიშნულის დასტურია. აქ ნახშირიც კი საკრალური ღირებულებისაა. ,,უწენალებიც'' და ,,უწენად'' ამ წესის შესრულება ,,შობ''-ის საიდუმლოებაზე მეტყველებს. ,,შობ'', ,,ლამარია'', ,,ქალი'', ,,კერა'' საკრალურად ამ წესითაც ერთმანეთის იდენტური ხდებიან.

3) ვინ არის ლამარიას პირველი და უპირველესი მსახური? ბუნებრივია, ქალი, დიასახლისი. მისი ქმედება ,,ლამარის კიბდენთან'' კვლავ შობის კანონზომიერებისათვის ზრუნვას გამოხატავს. აღნიშნული, მეცნიერული თვალსაზრისით, მაგიური ქმედებაა, მაგრამ დიდება ღმერთს, იგი არ გაიაზრება ,,შავი მაგიის'' გაგებით! ეს წესრიგია, რომელიც ტრადიციის იდეას ძალას ანიჭებს, იდეას ამით ამყარებს და დროსაც იგი ასეთად არსებულობის გამო უძლებს.

4) შობა ლამარიას ხსენება უპირველესად ხდება გვემში, კერასთან, კიდობანთან (გუიზის!) და ბოლოს სალოცავ სარკმელთან. ჩანს, მისი ასტრალურ სამყაროსთან დაკავშირება ამით გამოიხატება. ლამარია ხომ, პირველ რიგში, მიწის საკრალური თვისებაა. მაგრამ მისი პატრონობა ყველაფერს წვდება. ბუნებას, ადამიანს, მცენარეს, საქონელს, რადგან მათი ცვალებადობა ახლად შობაა დროში!

5) შობა ლამარიას შესაწირავებია ლემზირები, ჭანტილი, ღერღილიანი (ცერცვის!) ლემზირები, მას ხომ ყოველივეს მრავლად და მრავალჯერ შობა შეუძლია და, რაც მთავარია, შესაწირავია ,,შილგგნე'' თვით ლამარიას მიერ ხელდასმული კვერი, რომელიც მრგვალი და ოთხკუწუბოიანია (ოთხ ლემზირიანი!) და ასევე ოთხ ადგილას თითითაა დაჩხვლეტილი. ჩვენ ტრადიციისაგან მხოლოდ ეს ლემზირიღა რომ გვქონდა შემორჩენილი, მაინც ბედნიერ შემთხვევად უნდა ჩაგვეთვალა იგი, რადგან მისით ნათელია შობის ღირებულებაც და ლამარიას ბუნებრიობაც (ორი და ოთხი ქალურ ბუნებრიობასთან დაკავშირებული საკრალური რიცხვებია).

6) ლამარია მიწაზედ, ადამიანის საუფლოში, ადამიანთა (მეტადრე ქალთა!) უფრო ახლოს მყოფი ბუნება რომაა (როგორც ჯგგრაგი მამაკაცებისათვის!) ამაზე ,,ლამარიას ლეფანე'' სუფრაც მეტყველებს. ეს ტაბლა იდგმება სადიაცო მხარეს, დიაცთა მერხზე, მის ნაკურთხსაც მხოლოდ დიაცნი მიირთმევენ. აქ ლიფანესას მოთავსებულ კოვზს და ჩოგანს კი, მომავალ შობამდე საგვიზე კიდობანში შეინახავენ და მასზე მხოლოდ ერთ ცალ სანთელს დაანთებენ ჩვეულებრივ მიცვალებულთათვის განკუთვნილ სუფრაზე დანთებულ სამი ცალ სანთლისაგან განსხვავებით. ლამარია ,,ერთია'' - დიახ, ერთი ბუნებრიობაა, რომელსაც ,,შობ''-ა შეუძლია!

7) ,,ერთის'' საკრალურობა არ იტევს მხოლოდ ქალურ ბუნებრიობას. ქრისტიანობამდე იგი მამაკაცის ლიქელუის აღქმამ შეცვალა შემდეგ კი, ქრისტიანული თეოლოგიით განმტკიცდა. სწორედ ამ კანონზომიერების გამო არიან სინკრეტიზირებული შობ-ის დღეობა ქრისტეშობასთან, შობ-ის რიტუალური წესები ქრისტეშობის რიტუალურ წესებთან და შესაბამისად, ქრისდეში ᲒᲐრნესგას წესებთან. ესენი ერთმანეთის იდეური გაგრძელებაა სინკრეტიზმის სახილველი ნიშნებით.

ქრისტეშობის დღეს ,,ქრისდე ქალქიშ'' ,,ქრისდე შობაშ'' იხსენება. ,,შობ''-ის

მადლი, ძალა და არსი ქრისდეშობის დღით მთავრდება. იგი ქრისტიანული მსოფლხედვის შრეა და მისი ძველთან დაკავშირების მომცველი. შობის ლამარია წმინდა მარიამად ასოცირდება, როგორც უფლის ჩვენის მშობი, მაგრამ მას ტრადიცია არ უსვამს ხაზს ჩვეული წესის გამო - იდეის საიდუმლო სამოსის შემოსვით აგრძელებს ძველის ახლით გათავისების ტრადიციას.

ქრისდეშობის ტრადიცია შობ-ის იდეურ გაგრძელებას წარმოადგენს. კუანჭილები, ლამარიას ტაბლიშისაგან შექმნილი, სალოცავ სარკმელთან მათი შეწირვის წესი, მამაკაცის მიერ მათი შეწირვის ჩვეულება და ,,ქრისდეშის" სალასკაროდ აღნიშვნის წესი, ძველ ტრადიციებთან (,,შობის" დღესთან) ახლის სინკრეტიზმის ფაქტებია. ოღონდ, ტრადიციაში ქალის პირველობას ცვლის მამაკაცის მსახურება. ქრისტიანობა ხომ მამა ღმერთის არსებობის რწმენაა. ქრისდეშის მსგეფსის არსებობა იქნებ დასტურია იმისა, რომ უფლის მიერ გაჩენილი დრო ყოველთვის საკრალურია, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შემოქმედის შემოქმედება სრულდება. ზოგადად იგი, ამ შემთხვევაში, ,,ყოვლიერების შობის" პერიოდია. ეარგნესგას დღეები შემოქმედების დღეებია. ისინი ცალ-ცალკე ეკუთვნიან ცალკეულ წმინდანებს, მაგრამ ესენიც ამ დღეებთან ერთად ერთი შემოქმედის ,,კუთვნილებაა" ანუ კუთვნილებაა იმ ძალის, რომლის არსის გაგებასაც ,,შობ"-ის ტრადიციული სადღესასწაულო დღე გამოხატავს და აგრძელებს - ,,ქრისტეშობის" დღე, როგორც ახალი დროით (ქრისტიანულით!) ახლად აღნიშნული და გათავისებული ,,ზე დღე".

ჩვენ ზემოთ თავმოყრილი ვრცელი ეთნოგრაფიული მასალა შემთხვევით არ მოგვიტანია. განზოგადებული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა რომ უფრო თვალნათელი ყოფილიყო, მსგავს ხერხს მივმართეთ რაც, ვფიქრობთ, კვლევის მეთოდის გადახვევად არ ჩაითვლება, პირიქით. იგი დასტურია იმისა, რომ ქართველობა ერთი სულიერი ხედვით მსუნთქავი ერია, მისი გენი და მსოფლხედვა მუდამ ერთი და განუყოფელია, ის ხალხურია - ღვთივმომადლებული ხედვის შედეგი.

ნათქვამია - ,,საქართველოში წარმართობაც საერთო ქართული ყოფილა ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა".[1] ეს კი ქართული ცივილიზაციის არსებობაზე მეტყველებს, მეტყველებს მყარი, საერთო რელიგიური სისტემის არსებობაზე, რომელმაც თავისებური ,,ზეწოლა" განიცადა ახალი რელიგიური (გამოცხადებით!) სისტემისაგან და რომლის საფუძველსაც, თავის მხრივ, ძველი მსოფლმხედველობაც ქმნიდა.

ამ აზრის კვლავ განმტკიცებისათვის ისევ დღეობათა კალენდარს მივმართოთ. გავიგოთ რა სახიერი და შინაარსობრივი მხარე გააჩნიათ მათ.

[1] ივ. ჯავახიშვილი. 1979 წ. ტ.1. გვ. 155-156.

თავი VII

„ბიხობ“, „ლამპარია“, „მეზირ“

მეხუთე-მერვე საუკუნის ქართული მწერლობის უძველესი ძეგლების დათარიღების პრობლემამ მიიყვანა პავლე ინგოროყვა ძველი ქართული წარმართული კალენდრის კვლევამდე. ეს ძეგლები თხუთმეტამდე ტექსტია და ისინი ეკუთვნიან მერვე საუკუნის ნახევარზე ადრინდელ დროს, მაგრამ კონკრეტულად რომელი ძეგლი რომელი საუკუნის კუთვნილება იყო, აუცილებელი გახდა ქრონოლოგიური სისტემის ნათელყოფა (აღდგენა!).

აღნიშნულ პრობლემას მიძღვნილი მონოგრაფიული ნარკვევი პატივცემულ მკვლევარს ორ ნაკვეთად გაუყვია. პირველი ნაკვეთი მოთავსებულია საქართველოს მუზეუმის პერიოდულ გამოცემაში.[1] მონოგრაფიის ეს პირველი ნაწილი მოიცავს წარმართული კალენდრის სტრუქტურის შესწავლას: წარმართული ქართული კალენდრის სისტემის აღდგენას, თვეების სახეებს, მათს თანამიმდევრობას, დათარიღებას და სხვა ტექნიკური მხარის აღდგენას. ხოლო, მონოგრაფიის მეორე ნაწილში, მკვლევარის სიტყვებით რომ ვთქვათ, განხილული იქნებოდა ქართული წარმართული კალენდრის ისტორია, მისი განვითარების საფეხურები, საბოლოო რეფორმის პერიოდი, ჩამოყალიბების დრო და მისი უკანასკნელი ფორმაცია, კულტთა რაობა და მათი ისტორია. ყოველივე ეს მოცემული იქნებოდა ძველი აღმოსავლეთის და ხმელთაშუა ზღვისპირეთის რელიგიებთან მიმართებაში.[2] (სამწუხაროდ ეს ნაწილი დღემდე არ დაბეჭდილა ნ. წ.).

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ წარმართული ხანიდან გადმოსული ძველ თვეთა აღრიცხვა ქართულ მწერლობაში მეექვსე (VI) საუკუნემდე არსებობდა. ამ დრომდე არსებული ძველ თვეთა აღრიცხვა ანუ თვეთა კალენდარი, დაფუძნებული იყო ზოდიაქალურ ციკლზე.[3] თვეთა აღრიცხვის ეს ძველი ქართული სტილი (ე. ი. თვეების დასაწყისი და დასასრული), პ. ინგოროყვას მიერ აღდგენილი, ასე წარმოჩინდება:

1. თთუპ ახალწლისაᲂ 23 აგვისტო - 22 სექტემბერი. ქალწულის ზოდიაქოს რკალი.
2. თთუპ სთუელისაᲂ 23 სექტემბერი - 22 ოქტომბერი. სასწორის „---“
3. თთუპ ტირისკნისაᲂ 23 ოქტომბერი - 21 ნოემბერი. ღრიანკალის „---“
4. თთუპ ტირისდენისაᲂ 22 ნოემბერი - 21 დეკემბერი. მშვილდოსნის „---“
5. თთუპ სარწყუნისაᲂ 22 დეკემბერი - 19 იანვარი. თხის რქის „---“
6. თთუპ აპნისისაᲂ 20 იანვარი - 18 თებერვალი. წყლის საქანელის „---“
7. „----“ მიჰრაკნისაᲂ 19 თებერვალი - 20 მარტი. თევზის „---“
8. „----“ იგრიკისაᲂ 21 მარტი - 20 აპრილი. ვერძის „---“
9. „----“ ვარდობისაᲂ 21 აპრილი - 21 მაისი. კუროს „---“
10. „----“ (მაჩბივის თვე) 22 მაისი - 21 ივნისი მარჩბივის „---“

---

[1] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული წარმართული კალენდარი მე-5, მე-8 სს. ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე 1931 წ. ტ. VI და 1993 წ. - ტ. VII.

[2] პ. ინგოროყვა, დასახ. ლიტ-რა. გვ. 416. ტ. VI-1931 წ.

[3] პ. ინგოროყვა, დასახ. ლიტ-რა. ტ. VI გვ. 414 და გვ. 419.

11. „----“ ქუელთობისაᲘ 22 ივნისი - 22 ივლისი კირჩხიბის „---“
12. „----“ არდადეგისაᲘ 22 ივლისი - 22 აგვისტო. ლომის.[1] „---“

ეს კალენდარი არსებობდა VI საუკუნემდე და ეწოდება „ძველი (ქართული) სტილი“. VI-VII საუკუნის საზღვარზე (არა უგვიანეს VII საუკუნის დასაწყისისა) ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა რომაულ თვეთა აღრიცხვა ანუ რომაული სტილი (ახალი - რომაული სტილი“.).[2]

„ძველი სტილი“ (ქართული) შეფარდებულია გარკვეულ ზოდიაქალურ ქრონოლოგიასთან და განსხვავდება „ახალი სტილისაგან“ (რომაულისგან) 8-12 დღით ანუ, იმის მიხედვით თუ როდის შედის მზე ამა თუ იმ ზოდიაქალურ ნიშანში; ქართული თვეები, რომაულთან შეადარებით, აღნიშნული პრინციპის გამო, 8-12 დღით ადრე იწყებოდა, რის ნიადაგზეც არც ეს „ახალი (რომაული) სტილი“ და არც დღევანდელი თვეთა აღრიცხვის კალენდარი არ შეესაბამება „ძველ (ქართულ) სტილს“.[3] საბოლოოდ, „ძველის“ და „ახალი“ სტილის შეფარდება, პ. ინგოროყვას ნარკვევით, ასე გამოიკვეთა:

1. იანვარი	სარწყუნისაᲘ - ძველად იწყებოდა 10 დღით ადრე.
2. თებერვალი	აპნისისაᲘ - 12 დღით ადრე.
2. მარტი	მიჰრაკნისაᲘ - 10 დღით.
4. აპრილი	იგრიკისაᲘ - 11 დღით.
5. მაისი	ვარდობისაᲘ 10 დღით.
6. ივნისი	
7. ივლისი	ქველთობისაᲘ - 9 დღით.
8. აგვისტო	არდადეგისაᲘ - 9 დღით.
9.სექტემბერი	ახალწლისაᲘ - 9 დღით.
10.ოქტომბერი	სთუელისაᲘ - 8 დღით.
11.ნოემბერი	ტრისკნისაᲘ - 9 დღით.
12.დეკემბერი	ტირისდენისაᲘ - 9 დღით.[4]

ასეთი, რომაულ, თვეთა აღრიცხვა იხმარებოდა VII საუკუნიდან VIII საუკუნემდე. მაგრამ ამის გვერდით იშვიათად გვხვდება აგრეთვე შერეული რომაულ-ქართული ტერმინოლოგიის მაგალითებიც. VIII საუკუნის ნახევრიდან ხმარებიდან გამოდის გარდამავალი ხანის ეს შერეული ტერმინოლოგიაც და ამის შემდეგ ძველ ქართულ თვეთა აღრიცხვის კვალი ქართულ მწერლობაში აღარ გვხვდება; მის ადგილს საბოლოოდ იჭერს რომაული თვეთა აღრიცხვა.[5]

რით იყო გამოწვეული ძველ ქართულ თვეთა აღრიცხვის უარყოფა? - „უპირველესად იმ გარემოებით, რომ ძველი ქართული თვეთა აღრიცხვა - კალენდარი - დაკავშირებული იყო წარმართულ ხანასთან, წარმართულ მოგონებებთან. თვით თვეთა

---

[1] პ. ინგოროყვა, დასახ. ლიტ. ტ. VII გვ. 320.

[2] სახელწოდება ამ მეათე თვისა (მარჩბივის თვე) არ შემონახულა. პირობითად ამ თვეს ვუწოდეთ მარჩბივის თვე, რადგან იგი მარჩბივის ზოდიაქალურ რკალს უდრის. პ. ინგოროყვა, შენიშვნა სქოლიოში.

[3] პ. ინგოროყვა, დასახ. ლიტ. ტ. VII გვ. 320 და გვ. 322.

[4] პ. ინგოროყვა, იგივე ტ. VII „ გვ. 326-327. პ. ინგოროყვას განმარტებით ძველ და ახალ სტილს შორის დღეთა ცდომილების ღირებულება იგივეა რაც დღევანდელი. ცდომილება და ძველსა და ახალ კალენდარს შორის არის 13 დღე. იქვე.

[5] პ. ინგოროყვა. იგივე ტ. VII გვ. 414-415.

აღრიცხვის ტერმინებიც კი, მიუთითებდა ამა თუ იმ წარმართულ კულტს, ანდა წარმართულ დღესასწაულებს, რომლებიც ამა თუ იმ თვეში იმართებოდა. გასაგებია ამის გამო, რომ ქრისტიანობის მოშურნე მამებს ეს ძველი ქართული საკალენდრო ტერმინოლოგია თანდათან ხმარებიდან გამოუგდიათ და მის ნაცვლად რომაულ თვეთა აღრიცხვა შემოუღიათ, როგორც ზოგად ქრისტიანული. მართალია, თვით რომაული თვეთა აღრიცხვაც იგივე წარმართულ ხანას ეკუთვნის, მაგრამ ამას ამ შემთხვევაში არ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან, ჯერ ერთი, იგი საერთო გავრცელებით სარგებლობდა ძირითად ქრისტიანულ ქვეყნებში და ამის გარდა, სიტყვები - იანვარი, თებერვალი, მარტი და სხვანი ქართველი მორწმუნისათვის არავითარ წარმართულ რემინისცენციას არ შეიცავდა. იმ დროს, როდესაც ძველი თვის სახელები ამა თუ იმ საწარმართო კულტის ცოცხალ მოგონებას წარმოადგენდა".[1]

და მაინც, რომელ კულტთა თავშესაფარი იყო წარმართულ კალენდარში თვეთა სახელწოდებები: 1) ვარდობის თვეში (|| ყვავილობისაჲ ||ახალთაჲ) თავშეფარებული იყო „დიდი დედის" კულტი - ვეგეტაციის დღესასწაული. 8 მაისიდან 15 მაისამდე (1 კვ) - იდღესასწაულებოდა „განახლების" ეს დღესასწაული. „ვარდობის" ნაწილობრივი ქრისტიანიზირებით იგი „ღვთისმშობელს" დაუკავშირეს და უჩნდება ვარდობის თვეს პარალელურ სახელწოდებად „ღვთისმშობლობისაჲ". (21 აპრილიდან - 21 მაისამდე, თვე ვარდობისაჲ.). ვარდობის თვის პირველი კვირა 1 მაისიდან 7 მაისამდე ჯვრის დღესასწაულისათვის ყოფილა საქართველოშიც განწესებული.[2]

2) ქველთობის თვეში (22 ივნისიდან - 22 ივლისამდე), არსებობდა დღესასწაული „ქველთობაჲ" და იგი დაკავშირებული იყო მკის დასრულებასთან. ეს ეკუთვნოდა 15 ივლისიდან - 22 ივლისამდე შუალედს. ქველთობაჲს ძველქართული პარალელური სახელწოდებაა თიბისაჲ. ქრისტიანიზირებული კი - კვირიკობა, ელიობა, ათენგენობა, რომლებიც სწორედ ამავე შვიდეულში სრულდება ხოლმე.[3]

3) არდადეგის თვეში მზის დღეობა იყო თავშეფარებული. (23 ივლისიდან - 22 აგვისტომდე). ძველი ქართულით არდადეგი ნიშნავს „მზის დგომას" („მზედეგი„!). „დღესაც „არდადეგი" ქართლის ზოგიერთი რაიონის, ცოცხალ მეტყველებაში ნიშნავს სიცხეების დროს; ითქმის უმთავრესად ივლისის თვის სიცხეების სეზონზე. ძველ სომხურში ამ თვის პარალელური სახელწოდებაა ჰროტიც - „ცეცხლისაჲ", ალვანურში - „მზისაჲ" (ბახნეა).[4]

4) ახალწლის (23 VIII - 22 IX) თვეში კი - „ახალი დროის" პირველი დღის დღესასწაული იყო თავშეფარებული. 23 აგვისტო იყო ძველი, წარმართული კალენდრის ახალი წელი. ამ რიცხვიდან, 23 აგვისტოდან, იწყებოდა თვე ახალიწლისაჲ რომელიც გრძელდებოდა 22 სექტემბრამდე, ვიდრე მზე გაივლიდა ქალწულის ზოდიაქოს ნიშანს. არდადეგის თვეს უშუალოდ მოსდევდა ახალი წლის თვე, არდადეგი კი წლის უკანასკნელი თვე ყოფილა, ხოლო ახალწლისაჲ წლის პირველი თვე. სომხური

---

[1] პ. ინგოროყვა. იგივე ტ. VI გვ. 399.

[2] პ. ინგოროყვა იგივე ტ. VI გვ. 442-446.

[3] პ. ინგოროყვა იგივე, ტ. VII გვ. 273. ტრადიცია - თვის სახელების წარმოება მთავარი საკულტო დღეების სახელებისაგან - წარმართული ხანიდან გადმოვიდა ქრისტიანულ ეპოქაშიც: დღეობა იოანეს შობისა 24 ივნისს - ივანობის თვე, დღ. კვირიკობა - კვირიკობის თვე, დღ. ენკენია - ენკენობის თვე, დღ. გიორგობა - გიორგობის თვე, დღ. ქრისტეშობისა - ქრისტეშობის თვე... პ. ინგოროყვა.

[4] პ. ინგოროყვა, იგივე ტ. VII გვ. 283-284.

ჰროტიც და ალვანური ბახნეაც, არდადეგის შესაბამისი თვეები, წლის უკანასკნელი თვეებია.[1]

,,ქართულ ხალხურ მითოლოგიური ხასიათის დღეობებში დღემდე შემონახულია იმისი გამოძახილი, რომ ახალი წელი, ძველი ქართული წარმართული კალენდრით, აგვისტოს მეორე ნახევარში, აგვისტო - სექტემბრის საზღვარზე მოდიოდა. (არის მხოლოდ მცირეოდენი მერყეობა დღის რიცხვებში, რაც, რასაკვირველია, სრულიად ბუნებრივია, თუ მოვიგონებთ, რომ წარმართული კალენდარი ათასეულ წელზე მეტია, რაც ოფიციალური ხმარებიდან გამოვიდა); გურიაში, აგვისტოს უკანასკნელ ღამეს სრულდება ღამისთევა, რომელსაც ეწოდება ,,დადეგი''. ამ ,,დადეგთან'' დაკავშირებულ რიტუალს და მითოლოგიურ წარმოდგენებს დღემდე შერჩენიათ წარმართული ხასიათი. ანალოგიური ღამისთევები აგვისტო-სექტემბრის საზღვართან სხვაგანაც სრულდებოდა დასავლეთ საქართველოში (კერძოდ, სამეგრელოში - აგვისტოს ნახევრისთვის) თვით სიტყვა ,,დადეგი'' ძველი ქართულია და ნიშნავს დასაწყისს''. ,,დადეგის'' ხალხური რიტუალი ჩანს არაა დაკავშირებული ქრისტიანული კალენდრის ,,ინდიქტიონის დაწყებასთან'', რადგან ასეთ შემთხვევაში ,,დადეგის'' ადგილობრივი სპეციფიკური წარმართული ელემენტები აუხსნელი იქნებოდა. ,,დადეგის'' ღამისთევის წარმოშობის საფუძველი წარმართული კალენდრის მითოლოგიურ ციკლში უნდა ვეძებოთ, - ასკვნის მკვლევარი.[2]

ერთ-ერთი უძველესი თავდღეობა, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში წარმოდგენილი, არის დღეობა ,,ბიხობ''-ით (ამ სიტყვაში - ,,ობ'' მრავლობითობის, კრებითობის აღმნიშვნელია, ფუძედ კი ,,ბიხ''-ი გვრჩება.) ჩვენ ამ დღეობაზე ვიცით შემდეგი:

1) ბიხობ არის თავდღეობა; მისით ხდება დღეობათა ათვლაც და წელიწადის დროებად განსაზღვრაც. ხალხური ტრადიციით ეს დროებია: კაცხ̆ მუქლრ̄ერ, განკრ̄ეთ, მუქლრ̄ერ, ქრისდეში რ̄იჭმ, აღბა მ̆ზნა, აღბიე̄რ, ლილჩ̆ლ, თამფიე̄რ, უფლიშიერ, ანღლაბიე̄რ, სინოხსნაბიე̄რ, ჰგლშიე̄რ, პარპ̄ლდ̆ში ლარ̄იჭმ, პარპ̄ლდაშიე̄რ, ლიმგრიე̄ ლარ̄იჭმ და ისევ კაცხა მუქლრ̄ერ ბიხობით დაწყებული. ბიხობ არის ამ პერიოდში მოქცეული ყოველი დღეობის დროის განმსაზღვრელი - ,,ღგნა თხრ̄იმ''.

2) კვირის რომელ დღესაც იქნება ბიხობის დღე, იმ დღეს იქნება მთელი წლის მთავარი დღეობებიც; ბარბალაშ, მახე ზ̆ᲂ (ძვ. სტ-ით); ქრისდე̄შ.

3) ლიმგრიე̄-ს წინა დღე არის ბიხობ-ის დღე.

4) ბიხობის დღე რიცხვით მყარი დღეობაა და აღინიშნება ძვ. სტილით 14 აგვისტოს ახ. სტ. 27 აგვისტოს.

5) ,,ბიხობ აღინიშნებოდა ოთხი დღე'', მაგრამ ,,ვისთვის'' ან ,,რისთვის'' იყო იგი განკუთვნილი არ ვიცით. (დღიურები. ესტ. გირგვლიანი, ლატალი. 75 წლის 1996 წ.).

6) ,,ბიხო'' || ბიხ̄ა (ბიხვა) ერქვა ,,დაბადების'' ღმერთის (,,დაბდაბა ღე̄რბეთ''ის) შესაწირ კანაფიან ხაჭაპურს. იგი მზადდებოდა ახალმოლოგინებული შვილისთვის დედ-მამის მიერ, მამისეულ სახლში. მას, აღნიშნულ წმინდანს შინ აღუვლენდნენ და შემდეგ ,,ლგმზგრეს'' წაუღებდნენ თავიანთ ასულს ქმრის ოჯახში. ამ პურით დაბდაბა ღე̄რბეთს შესთხოვდნენ შვილის და შვილიშვილის ჯანმრთელობას. ამ ხაჭაპურის პირველი ნაჭერი დედას ეკუთვნოდა.

---

[1] ჰ. ინგოროყვა, იგივე ტ. VII გვ. 285-291.

[2] ჰ. ინგოროყვა. იგივე ტ. VII გვ. 290-291.

7) ,,ბიხო'' ერქვა იმ პურს, რომელსაც ბებიაქალი აცხობდა ქალის მოლოგინეობის შემდეგ მისი ჯანმრთელობისა და ბავშვის მშვიდად გაზრდისათვის. ეს პურიც კანაფიანი ხაჭაპური იყო და აღევლინებოდა ,,დაბდაბა ღერბეთს''. ლოცვა უნდა მომხდარიყო მშობიარობიდან მესამე დღეს. თუკი ეს ვერ მოხერხდებოდა ამ დროისთვის, მისი აღსრულება ,,გაწმინდავების'' (40 დღის შემდეგ) შემდეგ მაინც უნდა მომხდარიყო, მხოლოდ ხუთშაბათს ან შაბათს. სალემზირედ ამ მომენტში აუცილებელი იყო არა გუიზის ფქვილი, არამედ ჩვეულებრივი საპურე თეთრი ფქვილი. ლოცვას ესწრებოდნენ ის ქალები, ვინც ბავშვის გაჩენაში ეხმარებოდნენ დედას. ,,დაბდაბა ღერბეთს'' ლოცვის ჟამს ,,დაბდაბა მგწსე ღერბეთი''-თაც მიმართავდნენ (დაბადების გამჩენი ღმერთი || ღმერთი დამბადებელი). ბუნებრივია, ეს ბიხოც მხოლოდ დედას ეკუთვნოდა. დანარჩენი ქალები ცალკე გაიმზადებდნენ ხაჭაპურს.

8) ,,ბიხობ'' არის ,,კაცხა მუჟღუერის'' პერიოდის პირველი დღე და იგი შეესაბამება საერთო ქართული წარმართული კალენდრის ბოლო და პირველი თვის პერიოდს. თუკი სარწმუნოდ მივიჩნევთ იმ გარემოებას, რომ ,,ბოხობ''-ის დღეობა ოთხი დღე აღინიშნებოდა, მაშინ 23 აგვისტო ქართველ წარმართთა ახალწელი, ბიხობ-ის პირველ დღედ არის ჩასათვლელი, ხოლო ბიხობის დღევანდელი აღნიშვნის დრო, 27 აგვისტო, ამ დღეობის ბოლო დღედ. ეს რომც ასე არ იყოს (ვგულისხმობთ რიცხვებში ცდომილებას) ჩვენთვის მთავარია ის გარემოება, რომ ბიხობ მოქცეულია ზაფხულის ბოლო თვეში, როდესაც იწყებოდა უძველეს ქართველთა ახალი წელი და, წარმოადგენდა იგი ახალი წლის თავდღეობას, ,,დღესასწაულთა თავდღეობის'' (,,ღგნა თხრიმ'') იდეური დატვირთვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ,,ბიხობ'' წარმართული კალენდრის მითოლოგიური ციკლის საწყისად მივიჩნიოთ და მივიჩნიოთ ასევე სამეურნეო დროის დამწყებ პერიოდადაც. ეს პერიოდი მკის პერიოდია.

ბიხობის და ბიხვას ფონეტიკური მსგავსება საკრალურ მსგავსებასაც უნდა იტევდეს. ამ საკრალიზმს კი, ვფიქრობთ, დაბდაბა ღერბეთის - დამბადებელი ღმერთის - იდეური საწყისი უნდა აცნობიერებდეს. და თუკი ,,ბიხო''-ბი და ბიხვა'' ერთმანეთის იდენტური არიან შინაარსითაც და ფორმითაც, მაშინ მათი საერთო მფარველიც ,,დაბდაბა ღერბეთია'' და დაბდაბა ღერბეთია წარმართული კალენდრის მითოლოგიური ციკლის საწყისიც—ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობის იდეური ფუძე საზრისი. ანუ მათი გაგებით ,,ყველაფრის შემოქმედი დროში'' არის დამბადებელი ბუნება ,,მისით ჩნდება და იბადება ყოველივე დროსა და სივრცეში!'' ამ ბუნებრივი კანონზომიერების მჩენი საკრალური დღე ,,ახალი წელია''. ქართველთათვის იგი ოდესღაც 23 აგვისტო იყო დღეს 14 იანვარია - ,,ძველი ახალი წლის'' სახელწოდებით არსებული ,,მახე ზაჲ'', რომელსაც წინ უძღვის ჲეშხრაშის დღე, დალ ეშხუამის მფარველობით არსებული.

ასტრალურად ,,ახალი დროის'' შემოქმედი ქართველთათვის მზეა. (,,მზე დედაა ჩვენი''!). მითიურად ,,არდი'' და შესაბამისად ,,არდადეგიც'' სიცოცხლის და არსებობის დასაწყისად გვევლინება. ამ მითიურ დატვირთვას სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში ავლენს დღეობები ,,შობ''-ის, რომელიც ქრისტეშობის წინა დღეა, ,,ჲეშხუამის'', რომელიც მახე ზაჲის წინა დღეა და ,,ბიხობის'', რომელიც მარიამობის (ღვთისმშობლის მიძინების) წინა დღეა. ასევე ამ მითიურ დატვირთვას ავლენს ,,ლემზირის'' და ,,გრეზის'' იდეური დატვირთვა: ყოველი ლემზირი ,,სამზეოა'' და ისინი შექმნილნი არიან ,,ლამარიშ გრეზი''-საგან || ლამარიას ტაბლა-საგან. ეს კი მიწის წიაღით შექმნილი პურეულია - ქალის ხელით სამზეოდ გამზადებული! ამ იდეის მტ-

ვირთველია კიდევ ქალთა საწესო ჩვევები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით თითქმის წელიწადის ყველა დღეობას ახასიათებს იქნება იგი სხვადასხვა დროში, სხვადასხვა ადგილას საიდუმლოდ თუ დაუფარავად შესრულებული.

დღეობათა ტრადიციებში მზის ღვთაების (დამბადებელი დალ-ის) ბუნებრიობას, პირველ რიგში, მისი მიწიერი ორეული - ლამპრია გამოავლენს, ხოლო მითიურ შრეს მზის ღვთაებისას (დამბადებელი ღმერთისას!) ღვთაებათა ტრიადის „მგქემ თპრინგზელი" ითავისებს. ამდენად, ჩვენის აზრით, ეს ორივე მზის ღვთაების წარმომჩენი განგებანი არიან, ლამპრია კი ამ ორივეს მიწიერი მსახური. ჩანს, ამადაც გააერთიანა მან (ლამარიამ) ქალი, მიწა და მცენარე და საბოლოოდ მოგვევლინა ამ სამივეს ღვთაებრივ მფარველად. ლამარიას პირველი არსი მიწიერის ცისადმი მსახურებაა, რადგან ცის უზენაესი განგება მზის ბუნებრიობაა - დამბადებლის ფუნქციით, მისი მსახურიც ქალი დამბადებელია. თავის ცისადმი მსახურებას კი მიწის (დედამიწის!) ნობათით - მცენარეულით ახორციელებს. ამდენად პირველ მითოლოგიურ შრესაც „შემოქმედთა" ასახიერებს მზე დამბადებელი (სახელწოდებით დალი) და მიწა დამბადებელი - „დედამიწა" (უძველესი სახელწოდებით „გა"). ამ ორივეს მიწიერი მსახური ქალი დამბადებელია (დედა!), რომლის მსახურებაც - „ლემზირების ლიმპრე" - დროთა განმავლობაში ამ სამივეს (თვით ქალისაც!) გამაერთიანებელ საკრალურ ცნებად, ღვთაება „ლამპრიად" გადაიქცევა. საბოლოოდ კი მზეც, დედამიწაც და ლამარიაც იდეურად ერთიდაიგივენი ხდებიან. ისინი ცალცალკეც და, ამავე დროს, ერთადაც მითიურ ერთ უზოგადეს ქალურ ბუნებრიობას განასახიერებენ.

ბიხობის კრებით რიცხვსაც - ოთხ დღეს - თავისებური საკრალური ღირებულება უნდა გააჩნდეს. იგი უნდა უტოლდებოდეს მზის ღვთაების საკრალურ რიცხვს, რომლის ასტრალურ სახელადაც, ეეშხუამის ტრადიციით, მზის ქალღმერთი დალი გვევლინება.

როგორი იყო მზის ღვთაების ქართული წარმართული ნიშანი? - „დასავლურ ქართული გირგედი, გვერგვი და აღმოსავლურ ქართული გვირგვინი მზის ღვთაების სიმბოლური ნიშნებია. ამ ნიშნების მახასიათებელია წრე, წრეში ჩასმული ჯვარი ან წრე და წრეზე დასმული ჯვარი.[1] ამის შემდეგ ძნელი არ არის ქართულ ასომთავრულში ამოვიცნოთ მზის იდიოგრამა. ქართული ასომთავრული ანბანის მეოთხე ასონიშანი - „დონი" - ასტრონომიულად მზის ცას განეკუთვნება. ქართული ასომთავრული „დონი" თავისი მოხაზულობით: წრე, წრეზე დასმული ჯვარი, ცხადია მზის ღვთაების იდიოგრამაა და შესაბამისად მზის ცაზე ზის და ზესკნელის მზეა.[2]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, იბადება კითხვა: თუ „დონი" მზის ღვთაების იდიოგრამაა, მზის ღვთაების აკროფონიც დ-ზე უნდა იწყებოდეს, მაგრამ ბარბალეს შემთხვევაში აღნიშნული გამოსარიცხია, რადგან მზის ღვთაების საწყისი ბგერა ბარბალეში ბ-ა და არა დ. ეს კი ბუნებრივად ქმნის წინააღმდეგობას იმ გარემოებასთან მიმართებაში, რომ ბარბალე არ არის მზის ღვთაების სახელწოდება.

წლის თავდღეობის, ეეშხუამ-მახე ზპეს, რიტუალში ჩვენ პირდაპირ გვაქვს მზის ღვთაების სახელწოდება წარმოდგენელი და იგი დპლ ეეშხუამიშია. მის წიაღში და მისით იბადება ყოველივე ახლად „ახალ დროში". დალ „ეშხუ"-ს „დედოფალია". (დპლ „ერთი" წლის, „ერთი" — მზის, დედოფალია).

---

[1] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთ. ბარბარ, 1941 წ.

[2] რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული გვ. 125-126.

დალ ითავისებს სქესსაც და მზის უთეთრესობას, მის უპირველესობას. იმასაც რომ იგი, ნამდვილად, მიწიერის გონით შერქმეული მზის ღვთაების სახელწოდებაა. დალ ,,ერთი მთლიანის'' - მზით გამოხატული ქალური ბუნებრიობის სახელწოდებაა.

დალ ეშხუმიშ ის უზოგადესობაა, რომელიც თავის თავშივე იტევს ორი არსის ერთობლიობას იქნება იგი ცაზე, თუ მიწაზედ არსებული. თავის მხრივ, იგი ასევე ითავისებს ერთობლიობას ცისაც და მიწისაც; დალი ყოველივეს დამბადებელია დროშიც და სივრცეშიც არსებული ხილულის თუ უხილავის, ციურის თუ მიწიერის. მისი უპირველესი ფუნქციაც ხომ სიცოცხლის და არსებობის ჩენაა (,,დაბადება'' და არსებობა ,,ლირდეა'' სვანურად. მზეს ოდესღაც არდი უნდა რქმეოდა. ივ. ჯ. პ. ინ.),[1] მისი წიაღი წრეა - ,,წრეწირით შემოსაზღვრული სიღრმე'' - ერთი მთლიანი სივრცე.

,,ეშხუ''-ს ბუნებრიობა ,,ხოშა ღერბეთის ტაბგლში'' შემავალი სეფსკუერ-ის ფორმით მრგვალ სიბრტყეზე (ლემზირის წრეზე!) დასმული ჯვრის სახითაც იხატება (ოთხი ნაჩვრეტი, ზემოდან დასმული ოთხი ლემზირი თუ ხელის ყუანაკრავით შექმნილი ჯვარი - ჯვრის სახეს ქმნიან). წრეზე (ლემზირზე) დასახული ჯვრის სახიანი ლემზირები (,,ლაჭშხიარები'') ,,მაზე ზაგ''-ის შემოქმედთა ,,ემბლემური კვერებია''. ისინი ორივეს - ,,ერთი მადლიანი ბუნებრიობის'', - სახიერად მჩენი ლემზირებია. ასევე, ,,ლამარიშ ლესკარი'' (იგივე ფუსდი მგქემ თარინგზელის ლესკარი) - ერთი ცალი დიდი ლემზირი, მზის ღვთაების (და შესაბამისად მისი ორეულის, მიწის ღვთაების!), როგორც ერთი დამბადებელი შემოქმედის არსებობის სახიერი დასტურია.

დალ ეშხუამიში განსაკუთრებით იმით არის ღირებული, რომ იგი იტევს ,,დიდი ღმერთის'' არსსაც და ფუნქციასაც, ანუ იტევს თავისი საპირისპირო ბუნებრიობის - ,,ერთი'' შემოქმედის იდეურ არსობას საკუთარ თავთან ერთად.

დღეობები ბიხობ, შობ და ეეშხუამ დაბადების არსის გამომავლინებელი არიან. სამივე ეს დღე ერთდროულად დასაწყისიცაა და დასასრულიც. მაგრამ ბიხობ, თითქოს, უფრო მიწიერი (ყოფითი) დატვირთვისაა, ვიდრე ეეშხუამ ან შობ. ,,კაცხა მუჟღუერ''-ის პერიოდი ადამიანის მიერ ბუნების შექმნილის - მომკის პერიოდია და ვიზუალურად იგი გადმოგვცემს მიწით და ცით, მიწით და მზით ,,დაბადებულის'' - ,,ნაყოფის'' აღების - მომკის პერიოდს. ადამიანისთვის ეს მგკახის (ლიმკახეს) საოცარი გრძნობაა. ხდება ისე, თითქოს ბიხობით გამოხატული ,,დაბადების'' იდეა უფრო ქვეცნობიერია, ვიდრე ეეშხუამის. ეეშხუამი მეტად და კარგადაც აკონკრეტებს იმას, რაც ბიხობის არსში იქნა ქვეცნობიერად ჩადებული; აქ ყველაფერი ვერ ითქვა. ეეშხუამში კი - მითიური შრე უკვე ითქვა კარგადაც და მყარადაც, რადგან გაცნობიერებული აზრი უკვე საკრალურ ტრადიციად ჩამოყალიბდა: მითიური იდეა, ყოველივეს დამბადებლისა, ეეშხუამის სახიერი ქმედებით - რიტუალით - საუკუნო გახდა.

იქნებ ამადაც არ მოაღწია ჩვენამდე ბიხობის დღესასწაულმა და იგი დღეს ჩვენ ,,დამბადებელი ღმერთის'' არსებობის იდეურ ,,ჩონჩხად'' მოგვეელინა. ხორცშესხმულ მითიურ ორგანიზმად—,,შობ''-ის და ,, ეეშხუამ''-ის რიტუალური ტრადიცია წარმოგვიდგა. ეს კი რელიგიურ დღეობათა კალენდარში ჩაკირული მსოფლმხედველობის, ,,ყოვლიერების შემოქმედის'' იდეის და სახის ,,განვითარების'' საფეხურებს იძლევა და იგი სრულყოფილებას და ჭეშმარიტებას ზეციერისას ესწრაფვის. ,,ყოვლიერების შემოქმედის'' არსებობის იდეა ცით იწყებოდა, რადგან იქ ეგულება ადამიანის გონს

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართვ. ერის ისტორია I[3] გვ. 121.

პ. ინგოროყვა, ძვ. ქართ. წარმართ. კალენდარი, საქ. მუზ. მოამბე. 1933. ტ VII გვ. 283-285.

უზენაესი. იქ ეგულება ქართველს სამყაროს ერთი შემოქმედი („მზე - დამბადებელი ღმერთი - დალი) და ჩანს ეს იყო მისი პირველი იდეური ღმერთიც.

ჩანს ახალი წელი, რაც არ უნდა სხვადასხვა დროში აღნიშნულიყო იგი ქართველების მიერ - სექტემბერში თუ იანვარში (სვანურად მგკჳხ-ში თუ ქრჳხში) - ემსახურებოდა სამყაროში ყველაფრის ახლად დაბადების იდეას და წარმოადგენდა დამბადებელი ღვთაების დღესასწაულს, რომლის სახელადაც კონკრეტდებოდა ციური დალი და არა ბარბალი. იგი შემოქმედი „ერთი“ (ერთ-ერთი) განგებაა მზესთან ასოცირებული, რომელსაც გააჩნია მიწაზედ თავისი ორეული „დედამიწის“ (გა, გაიმ, გიმ) იგივე „მიწიერი დიდი დედის“ სახით. ქართველთა უძველესი საფიცარიც ხომ ცა და მიწაა!

როგორ ხდება ყოველივე ზემოაღნიშნულის რიტუალებში „დაფიქსირება“. ამის წარმოჩენას ჩვენ, პირველ რიგში, ლამარიასადმი მიკუთვნებული დღეობებით დავიწყებთ.

იმ გარემოების გამო, რომ „ბიხობ“ ნამდვილად არის წლის პირველი საკრალური დღე და იგი საფუძველს უქმნის სხვების კალენდარულ არსებობას, უფლება გვეძლევა ლამარიასადმი მიძღვნილი სარიტუალო წესრიგიც ბიხობის პერიოდიდან - კაცხა მუჟღვერიდან დავიწყოთ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სვანურ ხალხური კალენდრითაც ახალი წლის პირველ დროდ შემოდგომის პირველი ნაწილი მიიჩნევა, რომელიც ზოგად ქართულ წარმართულ კალენდარში სამწერლობო ენით ფიქსირდება ახალწლის თვედ - „თუთჰ ახალწლისაᲘ“. ერთ სოფელში (ლატალი) თავმოყრილ დღეობათა ტრადიციები კი ლამჳრიას შემდეგ სახელწოდებებს გვინახავს: ესენია:

კალჳ ლამჳრია (კალ - ეზო)

ლიმგრიე̄ ლამჳრია (ლიმგრიე - მარიამობა)

ლამარიჳ ლიფთჳგალეშ (ლიფთაგჳლ - შობ, დაბადება, გაჩენა)

მგკხჳ ლამჳრია (მგკჳხ - ლიმკჳხე - მოლოდინი)

შობჳ ლამჳრია (შობ - დაბადება, შობა)

გრემი ლამჳრია (გრემ - „საკუჭნაო“, სანოვაგის, (ხორბლეულის) ფქვილის და მისი წმინდა გრიზ-ის შესანახი ნაგებობა).

მგჟგრი მჳშედ ლამჳრია (ლიჟრი - შველა, შეწყალება)

კრინტობა ლამჳრია (კუინტობ - კუიმატობა)

კერი ლამჳრია (კერი || კერჳᲘ - კერა)

ყველიერი̄ ლამჳრია (ყველიე̄რ - ყველიერი)

ჩარგლდა ლამჳრია (ჩარგლდ - ადგილის სახელწოდება შესთხოვდნენ ავადმყოფობისგან დაცვას).

ანღლჳბა ლამჳრია (ანღლჳბ - ამაღლება)

ჰგლგშა ლამჳრია (მეწველი საქონლის - ფურების მფარველი)

სკარლჳში ლამჳრია (სკჳრი || ლჳსკარი - შეკრება სოფლის, ერთი დღეობის გადასახდელად)

ცგზე̄რი ლამჳრია (ცგზე̄რ - ადგილის სახელწოდება)

სიდიჳნრი ლამჳრია (სიდიანარი - სოფლის სახელწოდება)

იფხი ლამჳრია (იფხი - სოფლის სახელწოდება)

სამტჳიში ლამჳრია (სამტჳიშ ადგილის სახელწოდება)

თოთობა ლამჳრია (თოთ - ახალი ამოყვანილი ყველი)

დული ლამჷრია (დულ - ქალების მიერ სალოცავად აღსავლენი ყველიანი პური)

დაბდუბჷ ლამჷრია (დჷბდჷბ - დაბადება)

ლემთა ლამჷრია (ლემთა → მათლია, → ლამთილ, ქალური ტკივილების მფარველი).

ლამჷრია ქალების მფარველი ღვთაება და ლამჷრია - ეკლესიის მინაშენი - სალადბაშე ადგილი.

,,კაცხა მუჟღუერის'' პერიოდში აღინიშნება მხოლოდ სალამარიო დღეობები ესენია „**ბიხობ**" - მარიამობის წინა დღე.

„**ლიმგრიე**" - ღვთისმშობლის მიძინების დღე. „**ლამარიჷ ლიფთგჷლ**" - ღვთისმშობლის შობის დღე.

„**ხოლა მგკახ**" - ჯვართამაღლების მარხვის უქმე დღე.

„**ხოჩა მგკახ**" - მგკხა ლამჷრიას დღე, ჯვართამაღლების მომდევნო ორშაბათი.[1]

ეს დღეობები წარმოდგენას გვიქმნიან **ლიმგრიე ლამჷრიაზე კალა ლამჷრიაზე** (ლიმგრიეს დღეობა), **ლამარიჷ ლიფთგჷლეშზე** (ღვთისმშობლის შობის დღე) და **მგკხა ლამჷრიაზე**. (ხოჩა მგკახის დღე). ბუნებრივია, არც ერთი მათგანი არ შეეფარდება არც სახიერად და არც იდეურად ეკლესიური კალენდრის ამ პერიოდში მოქცეულ დღეობებს. ტრადიციით კაცხა მუჟღუერის პერიოდში მხოლოდ სალამარიო დღეობები აღინიშნება. ვფიქრობთ, ეს არ არის შემთხვევითი და იგი მთლიანად ეხმიანება ,,ახალი წლის'' მფარველის იდეურ დატვირთვას. ეს პერიოდი ძველ ქართველთა ,,ახალი წლის'' პერიოდია.

შემდეგი პერიოდი ,,განკუეთ მუჟღუერის'' პერიოდია და მოიცავს მხოლოდ ,,ლალხორჷლ''-ის დღეობას. (უნდა ნიშნავდეს უფროს ღვთაებათა საკრებულოს ხოშა ღერბეთ, მგქემ თარინგზელ, ჯგგრჷგ, მჷცხვჷრ ლამარია. ამ დღეთა ხუთშაბათი დღე **ლამჷრიას** დღეა.

შობჷ ლამჷრიას და **გუემი ლამჷრიას** წარმოგვიდგენს ,,შობ''-ის დღეობა - ქრისტეშობის წინა დღის ტრადიცია.[2] შობა ლამარიას შესაწირია კორკოტის ზედა ფენა და 3 ცალი ლემზირი გუიზის (ან ფქვილის!) კიდობანთან და, კორკოტი და სხვა ლემზირები სალოცავ სარკმელთან.

კვიმტობა ლამჷრიას, ,,კვიმტობის'' დღეთა მფარველი, ევედრებიან სალხინოდ ყოველივეს მოხმარებას. **კერი ლამჷრია** გვევლინება კვიმტობის დღეს კერის ლიმზირისას. ევედრებიან სალხინოდ, ღვთის სადიდებლად და სულის შესაწირად აუცილებლის (პურის!) მოცემას. შესაწირი მისი კერი ლემზირია. იგი მრგვალი ულემზირო ზედაპირზე თითით გაკეთებული 3 ჭდიანი ,,ჩუბჷუ ლემზირია'' (ქვემოთკენ, მიწისკენ მისამართი ლემზირი). ლოცვის შემდეგ მას კერიის მარჯვენა ფეხთან სამჯერ შემოატრიალებენ. ქვემო სვანეთში კერი ლემზირს აქვს 4 ჭდე და ეწოდება ,,ლამარიჷ შილგგნე''. იგი შედის ,,ზენახარის'' კვერებში. იგი ასევე ,,სალაჭშხიარო'' ლემზირიცაა ხოშა ღერბეთის მუჟეღუთან ერთად.

მგჟრი მჷშედ ლამჷრია (მწყალობელი, შემცოდებელი, მშველელი ლამჷრია!)

---

[1] ამ დღეთა რიტუალური ტრადიცია იხილეთ დღეობათა კალენდარში, პერიოდი - ,,კაცხა მუჟღუერ''. (დანართი).

[2] ლატალის ,,შობ''-ის ტრადიცია იხილეთ კალენდარში. (დანართი) სვანეთის სხვა სოფლების ,,შობ''-ის ტრადიცია - ვ.. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, 1939 წ, დღეობა ,,შობ''.

წარმოჩინდება ლიფანალის პირველი დღის „ადგომის“ საწესო რიტუალისას. ამ რიტუალს მხოლოდ ქალები ასრულებენ; „შობ“-ის ხორბლისგან მორჩენილი ხორბლით ფაფას აკეთებენ. მას და სამ ცალ ლამარია ლემზირს ქალი საფქვილე კიდობნის (ლაფქიარ კიბდენ) თავზე წაღმა დაატრიალებს. ამ შენაწირს თვითონვე მიირთმევს.

დული ლამარია გვხვდება წყალკურთხევის მეორე დღეს - „ღერთაბლე ლიპრიდაბლს“ (არსებობს ასევე დული თარინგზელ!). დულ - კერისთვის განკუთვნილი ყველიანი ლემზირია ან ლემზირებიანი ხაჭაპური. დული ლამარია არსებობს იმავე რელიგიური დატვირთვით, რითაც კერი ლამარია. ეს ორივე კი ლამარიან ლემზირია!

ყველიერი ლამარია - ყველიერის ხუთშაბათის მფარველი. (ყველიერი ცაშ) მასვე აღევლინება ლემზირები ყველიერის აღების ღამეს ლიფანემდე. ამ დღეთა ლიმზირები იგივე ლამარიან ლიმზირია, ე. ი. მას მხოლოდ ქალები ასრულებენ ამ შემთხვევაში ყველიანი ლემზირებით.

ლემთა || ლენთა ლამარია. ქალური ტკივილების დამცველი. ხუთშაბათია მისი სალადბაშო დღე, ოთხშაბათი კი შინ სახსენებელი—სალოცავ სარკმელთან ქრისდეშობისა და აღდგომის მსგეფსში. ქალები აქ მიდიან ასევე „ანღლაბ“-ის დღეს.

ქუთაში ლამარია - მუცლის ტკივილებისგან დამცველი. ევედრებიან „ლამარიან ლიფთაგაბლის (ღვთისმშობლის შობის!) დღეს. ეს დღე **ლამარია ლიფთგალეშსაც** გვაცნობს. **ლამარიასთვის** ლოცულობენ მარიამობის - „ლიმგრიეს“ (ღვთისმშობლის მიძინების) შემდეგ ხუთშაბათსაც - „ნალმარა ცაშ“-ს!

ლამარიან ლიმზირ || კერი ლიმზირ, წარმოებს აღდგომის მსგეფსში ბრწყინვალე ხუთშაბათს - „დადუარე ცაშ“. ამ დღეს, ლოცვის შემდეგ, ავი თვალისაგან დაცვის მიზნით, კერის მარჯვენა ფეხთან მიწაში კოკონილს დამარხავენ.

სკარლაში ლამარია ილოცებიან უფლიშიერისას (სალადბაშო ადგილი).

ცგზერი ლამარია ილოცებიან უფლიშიერისას (სალადბაშო ადგილი).

ჩარგლდა ლამარია ილოცებიან ხატენცხოვლობისას (სალადბაშო ადგილი)

სამტაგში ლამარია ილოცებიან სამტაიშობისას (სალადბაშო ადგილი)

ანღლაბი ლამარია „ამაღლების“ დღის მფარველი (ყოველთვის ხუთშაბათი დღეა!) შესთხოვენ: - ქორს ი დაბ-ლარას ხოჩა ჯარ ი სტარინ ესტარინ! - სახლს და სახნავ-სათიბსაც კარგი ჯვარი და ტაროსი მოუვლინე!

ჰგლშა ლამარია - „ფურლე ლაუიჭმის“ ბოლო დღე (კვირა) - საქონლის მფარველია იგი და შესთხოვენ მის სიმრავლეს. ამ დღის წინა დღეს სამტაიში ლამარიაში მიდიან სალადბაშოდ.

თოთობა ლამარია || თოთა ლამარია პეტრე პავლობის მარხვის პირველ დღეს მას შესწირავენ თოთის ხაჭაპურს (ახალ ამოყვანილი ყველი).

ლამარია გუიზ || ლამარიან ტაბგლ - ყოველ სარიტუალო დღეს განკუთვნილი ლემზირების წმინდა ფქვილი. სწორედ ეს „ლამარიან ტაბლან“ „უხილავთა“ ძალის სადიდებელი, იქნებიან ისინი ცის მეუფენი, კერის თუ გიმის მფარველნი.

ლამარია - სალადბაშე ადგილი. აქ მხოლოდ ქალების შესაწირავი მზადდება. ლოცვასაც მხოლოდ ისინი ასრულებდნენ. ქალები ამ დროს დიდ ღმერთებს არ ახსენებდნენ. ლამარია, ე. ი. ადგილი, სადაც ქალის მიერ აღსავლენი (შესაწირი) მზადდება.

ლამარია - ღვთაებათა პანთეონის ბოლო წევრი, ქალთა ღვთაება, სახ-სიგელის ბოლო „სასმისი“, მისით მთავრდება სარიტუალო და სადღესასწაულო სუფრა.

სამგლოვიარო (ჭირის) სუფრაზე ლამპრიას არავინ არასდროს იტყოდა.

ასეთია ლამპრიას არსი, მისით ყველაფრის დაწყების და დასრულების რიტუალური ფაქტი. ივანე ჯავახიშვილმა სვანური ლამპრია ცნება ,,ღმერთის'' ეტიმოლოგიურ საწყისად, მცირეაზიელთა ,,ლაგომარად'' მიიჩნია და ჩანს არა უსაფუძვლოდაც.[1] ჩვენს სახელოვან მკვლევარს აქ არსებული მასალებიც ხელთ რომ ჰქონოდა, ლამპრიას ქართველთა სულის სიამაყედ წარმოაჩენდა. დოქტორ ბილი გრეჰემის აზრით კი, ქრისტე ,,დაბადების წიგნში გვევლინება, როგორც დედაკაცის მოდგმა!''.[2] ამ ,,დედაკაცის მოდგმის'' მსახურად სვანური ,,ლამპრია'' გამოგვადგება.

ჩანს, ქართველობას, ღვთის ,,საზეპურო ერს'', არ გასჭირვებია ღვთის წარმოსახვა, როგორც ,,უზენაესი შემოქმედისა'' ,,დედაკაცის მოდგმის'' სახით. გადაჭარბებული ხომ არ იქნება ეს განაცხადი?! - ვფიქრობთ, არა! განა ერის სულიერი ხედვის მჩენი დღეობათა კალენდარი, მათი წესრიგი თუ საკრალური მხარე ამის დამამტკიცებლად ცოტა რამეა?! ის მსოფლხედვაა სწორედ ისეთი, სიტყვიერად ,,დაბადებათა წიგნში'' რომ დაწერილა. ჩვენ კი - სულში ჩაგვიწნეხია და ათასწლეულებით გვიტარებია მხოლოდ და მხოლოდ ღვთის რწმენის და არა ქვათა თუ სხვათა (ცხოველთა!) თაყვანისცემის გამო!

,,უზენაესი შემოქმედის'' რწმენის და მისი წმინდად, მარადიული მსახურების მოთხოვნაა ქრისტიანობამდელი მრწამსის თავიც და ბოლოც. განა ეს ცოტაა? - ეს ყველაფერია თუნდაც იმ მრავალრიცხოვან ღვთაებათა არსებობის დროსაც, რომელთა სიმრავლეც ისევ ,,ერთ'', ,,უზენაესი შემოქმედის'' იდეურ სახეში ექცევა. ლამარიპ მისი პირველი მიწიური სახე - დამბადებელი და მშობი ყოველივესი (დასაწყისიც და დასასრულიც!) დპლ ეშხუმიშ კი მისი ღვთაებრივი სახე მზის სიდიადით გაბრწყინებული.

რითი განსხვავდება ,,მეზირი'' ლამარიასაგან და საერთოდ ,,რა'' ან ,,ვინ'' არის მეზირი. სანამ უშუალოდ აღნიშნულზე გადავიდოდეთ, უმჯობესია კერის გამართვის

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, 1979 წ. თავი 1. გვ. 120-122.

[2] ,,შემდეგ, ქრისტე გამოსვლათა წიგნში - საპასექო კრავია
ლევიანთა წიგნში - გამოსყიდვის მსხვერპლი.
რიცხვთა წიგნში - კლდეა, საიდანაც წყალი მოედინება.
მეორე რჯულის წიგნში - წინასწარმეტყველი.
იესო ნავეს წიგნში - უფლის მხედრობის წინამძღოლი.
ისრაელ მსაჯულთა წიგნში - მხსნელი. რუთის წიგნში - ღვთიური მფარველი.
მეფეთა ოთხ და ნეშტთა ორ წიგნში - აღთქმული მეფე.
ნეემიას წიგნში - ისრაელიანთა აღმდგენელი.
ესთერის წიგნში - თავისი რჩეული ერის მფარველი.
ობის წიგნში - ჩემი გამომსყიდველი.
ფსალმუნები - ჩემთვის ყველა და ყველაფერი.
სოლომონის იგავთა წიგნში - ჩემთვის მაგალითი.
ეკლესიასტეს წიგნში - ჩემი მიზანი.
ქებათა-ქების წიგნში - ჩემი სიხარული.
წინასწარმეტყველთა წიგნში - მსოფლიოს მომავალი მეფე.
სახარებებში - ქრისტეა, მოსული დაღუპულთა მოსაძიებლად და გადასარჩენად.
მოციქულთა საქმეში - მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე. წერილებში - ქრისტეა
მამა ღმერთის მარჯვნივ მჯდომი.
გამოცხადებაში - ქრისტეა დიდებით მომავალი და გამეფებული.''
იხ. დოქტორი ბილი გრეჰემი, მშვიდობა ღმერთთან, თბ., 1996 წ. გვ. 20-21.

რიტუალური ტრადიცია წარმოვაჩინოთ:

კერის გამართვა ახალ სახლში ხდებოდა მშენებლობის დამთავრების შემდეგ, თუმცა მისი ადგილი მშენებლობის პროცესშივე უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. პირველ ყოვლისა, შეარჩევენ მთვარეს. კარგ მთვარედ (ხოჩა დოშდულ) მიჩნეული იყო მზარდი მთვარე (მეცხუმ დოშდულ) განსაკუთრებით 7,8,9 დღისა. საუკეთესოდ ითვლებოდა, თუ ახალი მთვარის 17 რიცხვი ორშაბათს დაემთხვეოდა. კერის გამართვა ახალ სახლში გადასვლასაც ნიშნავდა. ახალ სახლში გადასვლისას ოჯახიც და სოფელიც ,,წმინდა'' უნდა ყოფილიყო. გადასვლას ცდილობდნენ წყნარად უხმაუროდ ერიდებოდნენ სტუმრებს. კერაჷ-ს დასადგმელად და პირველი ცეცხლის ასანთებად მოიწვევდნენ ოჯახისთვის კარგად დაცდილ ერთგულ მამაკაცს. იგი ამავე დროს მეკვლეც კი შეიძლებოდა ყოფილიყო (ქჷმე მგჭშხი || ხოჩა შრ̄ი მჷრე).

ახალ სახლში პირველი ცეცხლი იმ სახლიდან გამოჰქონდათ, საიდანაც გამოეყო ეს ოჯახი (ᲗᲗᲐ ქორ). ახალ ოჯახს დალოცავდა ძველ სახლში დარჩენილი ძმა. ცეცხლის დანთებისას ,,მგჭშხი'', მოწვეული მამაკაცი, ღერბეთს შეავედრებდა ახალ ოჯახს, ახალ კერას. - ღერ̄ბეთ, ხოჩა დოშდულქრ̄ნ ᲨᲛᲜᲐᲠᲯᲗ ლემსგი ლიშე ᲨᲚ ქორისგა. სალხინ ი ხოჩა დრეᲗ გარ ახასყ ჩიგᲨᲠ ᲨᲚ ქორისგა კუმშიშ ი მᲨრემი ხოჩᲨმდ ლირდეᲗშ! ათფიშირ ᲨᲚ ლᲨზგა! ხოჩᲨმგნქა ი სალხინგნქა ნრ̄სამაგვეშ ახმᲨრნა ალ კერაᲨქი''.[1]

პირველი ცეცხლის დანთების შემდეგ პურის მცხობელი ქალი ქვაზე (კა-ზე) წაუსვამდა ყველს, ცხვრის დუმას და დაილოცებოდა: - მუდამ ქონიანი (მგჩხმᲨრ) ქენი ეს კერაო. აცხობდნენ შესაწირ პურებს (ლემზირებს), მერე ხაჭაპურებს (ქუთვᲨრ), კუბდარებს, ხარშავდნენ ხორცს. ამ დღეს ოჯახს საჭმელი ბლომად უნდა ჰქონოდა, თანაც მიაჩნდათ ყველაფერს სიმსუქნის წვენი უნდა სდიოდეს - ოჯახს შემდეგშიც ასეთი საჭმელი დაებედებაო. ლემზირების დაცხობის შემდეგ მათ აღავლენდნენ; პირველ სამ ლემზირს ოჯახის მახვში დიდ ღმერთს (ხოშა ღერბეთს) შეავედრებდა სალოცავ სარკმელთან სიტყვებით: - დიდᲨბ ᲨᲯᲨᲨდ მᲨრემი მგწსა ხოშᲨმ ღერ̄ბათ, ხოჩᲨმ დოშდულქრ̄ნ ᲨნმარᲯᲗ ᲨᲚ ქორთერ̄ისგა ლრ̄ზი, მაჩერ̄ნამდ ერვაᲣ ჩუ ხამურᲯერ̄ნს მახე ქორთერ̄ ლრ̄ზი მერ̄მᲨდ ნᲨᲣ ᲨნმარᲯ, ხᲗᲨᲣ წუგლიᲨნ მᲨლდიᲨნ დიდᲨბ ᲨᲯᲨᲨდ. ნუმა Შნშდგხა ᲨᲚ ქორისგა ისგუ ნამზურუნ ი ნო ᲨმსᲗალდს ოხშდგხა ხოჩა ნᲨპუ ნო კუმᲨშს. ლᲨნდერეყ ალ ქორაშ ამსᲗᲨლდ ი კუმᲨშ, ხოლა თეᲣ ი მაᲗრ̄ინ ათქᲨბინ დიდᲨბ ᲨᲯᲨᲨდ. ემმა იშგდრ̄ლ დერ̄დს ისგᲗა ნამზურუნდ—ლᲨხᲨგრინ, მოდეᲣ ნასᲨრვინ![2]

მეორე სამ ლემზირსა და საკლავის ღვიძლს მეკვლე წმინდა გიორგის (ᲯგგრᲨგს) სწირავდა, რათა აპატიოს და ამიერიდან ნება დართოს ამ ოჯახს არ შეასრულოს ის

---

[1] ღმერთო, კარგ მთვარეზე დაგვანთებინე ამ სახლში ცეცხლი. ლხინი და კარგი დროება მოახდინე ყოველთვის ამ სახლში საქონლის და ადამიანის კარგად ყოფნით, ამრავლე ეს ოჯახი, კარგისა და სალხინოს მეტი არაფერი გაამზადებინო კერაზე!...

[2] დიდება მოგსვლოდეს ადამიანის შემქმნელ დიდ ღმერთს, კარგ მთვარეზე მოგვივლინე ამ სახლში შესვლა. საუკეთესოდ თუკი ვინმეს ჰქონდეს დაცდილი ახალ სახლში შესვლა, მეორედ ჩვენ განგვაცდევინე, მრავალი წმინდა მადლის მოსასვლელო დიდებულო! ნუ დაცლი ამ სახლში შენს სალემზირეს (შესაწირს!) და ნურც ადამიანს და ნურც საქონელს მოაკლებ თავიანთ საკვებს. დაიცავი ამ სახლის ადამიანიც და საქონელიც, ცუდი თვალი და მავნე ენა ააშორე, დიდებულო. თუკი შეიძლება შენს სადიდებლად ეს შესაწირი, შეიწირე (შეივედრე!) გაიღე წყალობა) თუ არა და გვაპატიე!

ვალდებულებანი, რომელნიც ძველ სახლში ჰქონდათ დაწესებული (ლგგდჳნე), დღეიდან განთავისუფლებული იქნეს მათგან (მეფშრდე ხჳდდეხ). (ამავე მიზნით, ხშირად ახალი სახლის საძირკველის ერთ კუთხეში ან 1 ც. ლემზირს, ან 3 ცალს ჩაუტნევდნენ).

მესამე სამი ლემზირით ლამჳრიას ევედრებოდა ბედსა და ბარაქას, მის მომატებას ამ ოჯახისთვის, ბიჭების დაბადებით გახარებას და მეწველი საქონლის გამრავლებას. ყოველივე ამის შემდეგ ოჯახი იწყებდა ახალ სახლში ცხოვრებას და კერის სისტემატურად გამოყენებას.[1]

სვანეთში კერის კულტი დაკავშირებულია 1) კერის კულტთან, 2) მიწის კულტთან და 3) სახლთანგელოზის კულტთან. როგორ არის თვითეული მათგანი მკვლევარ მ. ჩართოლანის მიერ ეთნოგრაფიული მასალებით გააზრებული და წარმოჩენილი.[2] დავიწყოთ ჩვენც სახლთანგელოზით.

ავტორის მტკიცებით, ხალხის რწმენიდან გამომდინარე ,,ყოველ სახლს (ოჯახს) თავისი მფარველი ძალა ჰყავდა და იგი ცოცხალი არსების - ხბოს, თაგვის, უხსენებლის (ურშრნა) და სხვათა სახით, სახლში იმყოფებოდა. მას მეზირს უწოდებდნენ.[3]

მეზირის პარალელური სახელებია ქორა მუზებ (სახლის მჭამელი), ქორა მერდე (სახლში მყოფი), მემეთქვ (მიჩვეული) თვალ (თვალი), გიმი თვალ (მიწის თვალი). ესენი მეზირის ამა თუ იმ თვისებებზე მიუთითებენ, ხოლო სახლის მფარველის სახელს ზოგადად, ბალს ზემოთ ქორა მეზირ ან ტჳრ წარმოადგენს, ბალს ქვემოთ კი უმეტესად ქორჳ ტჳრბეზ || ქორა ტგრბეზ.[4]

სახლთანგელოზს თუკი ვინმე ნახავდა, მისი მოკვლა ეკრძალებოდა. სახლში მეზირის ადგილი მოთავსებული იყო ჩრდილოეთის კედელში, დასავლეთის კუთხესთან, საძროხეში (იფარი), გვემში, ჩრდილოეთის კუთხესთან (კალა), სახარეს თავში, ბაგის აღმოსავლეთ კედელში (კალა), მარანში (იფარი), სახლის ყოველ კუთხეში (მესტია) და შგგლზე (აყარზე). აქ იმყოფებოდა ,,ქორა ემგენე ტგრბეზ'' (ცხემარი) და იქიდან ადევნებდა თვალყურს.

სახლთანგელოზის რწმენასა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვევებს სვანურად ეწოდებოდა ქორა ლიმზირ || ქორა სახ || ქორა გვაკვირ. ,,ქორა ლიმზირ'' ნიშნავს სახლისთვის ლოცვას (ლოცვას ოჯახისთვის ადამიანის არსებობით, მცენარეულის დოვლათით, ცხოველის სიმრავლით).

,,ქორა სახ'' - სახლის წესია ანუ წეს-ჩვეულება, რომელიც აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო მისთვის მიკუთვნებულ დროში განსაზღვრული წესრიგით. ,,ქორა გვაკვირ'' კი გულისხმობს ყურადღებას ლოცვა - ვედრების წარმოებით. აღნიშნულ სამივე ლოცვა-ვედრებათა წესი ოჯახის კეთილდღეობისთვისაა შექმნილი და მაინც, როგორი იყო ამ წესთა სახიერი თუ შინაარსობრივი მხარე. პირველ რიგში, ის ითავისებდა ქალის მსახურებას; ქორა ლიმზირს მხოლოდ ასაკს მისული ქალები აწარმოებდნენ, ბავშვების და მამაკაცების გარეშე (უწენად!). შემდეგ შესაწირავის დამზადებას, მათ შეწირვას და ზიარებას. აქვე აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: ქორა ლიმზირ სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა დროს (დღეობისას!) სრულდებოდა. მაგალი-

---

[1] რიტუალი იხ. წიგნში მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961 წ. გვ., 82-84.

[2] მ. ჩართოლანი, 1961 წ.

[3] მ. ჩართოლანი, 1961 წ. გვ. 172. ასევე ვ. ბარდაველიძე, 1939 წ. გვ. 162.

[4] მ. ჩართოლანი 1961 წ. გვ. 175.

თად: აღდგომის შუა ოთხშაბათს ტარი ჯგმალეთ (იფარი), ამაღლება დღეს (ანღლაბ), გიორგობის დღეს (ლიგიერგი), აღდგომის დღეს (თანაფ) (უშგული), ყორ ლიკრაწლს, ყველიერში, აღდგომას და ჰგლშიერში (კალა), ლიმპარის (მესტია), უფლიშსა და თანაფს შორის ხუთშაბათს (დადუარე ცაშ-ს (ლატალი), აღბიერის შაბათ დღეს (ცხგმარში), აღდგომის მომდევნო ხუთშაბათს (ეცერში), კალანდა დღეს, შეშხუამის დღეს (ლენტეხი), მეესარაბის პარასკევს (ხოშა ვებიშს) (სასაში) და ა. შ.[1] აქვე აღვნიშნავთ შემდეგს: ყველა აქ მოტანილი დღეობა ქორა ლიმზირის წეს-ჩვეულებისა დადასტურებული იქნა ერთ სოფელში (ლატალი) და გამოვლინდა ქორა ლიმზირის წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებული ყველა ის ძირითადი ნიშან თვისება, რაც ზოგადად მთელს სვანეთშია ცნობილი. აქვე დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ მთხრობელნი ჩვენს მიერ დასმულ კითხვას - რა არის მეზირი? - ვერც იგებდნენ და ვერც პასუხობდნენ. ჩვენ ვუმარტივებდით, რომ მეზირი არის სახლის ანგელოზი ბაყაყის, გველის, ძლოკვის და მისთანანის სახიანი. - მსგავსი რამე არც გვსმენია და არც გვინახავს, სახლის მფარველ ანგელოზს კი ჩვენ ტგრბეზს || ტარბეზს ვეძახით, - არის კონკრეტული პასუხი. აღმოჩნდა, რომ ტგრბეზ ასევე ჰქვია სახლის იმ მხარეს, სადაც სალოცავი, ,,წმინდა'' სარკმელია მოთავსებული. ანუ ტგრბეზ აქ ეწოდება სარკმელსა და კერას შორის მოქცეულ ადგილს, რომელიც, ჩვეულებრივ, სამამაკაცო მხარეა (კაცხაშ). ტგრბეზ ჰქვია ასევე ეკლესიის საკურთხევლის შიდა მხარესა და ეკლესიის მინაშენსაც (?!), სადაც პურობის ჟამს დასხდებოდნენ მლოცველნი, ეს კი იგივე ლამარიკ - მინაშენია!

ქორა ლიმზირისთვის უმეტესად გამორჩეული დღეები იყო ორშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი. ქორა ლიმზირის დროს ცხვებოდა ორი დანიშნულების ლემზირი - ერთი ქორა მერდესათვის, მეორე - კერისათვის. ქორა მერდესათვის განკუთვნილ ლემზირს მლოცველი ქალი იქ ილოცავდა, სადაც მეზირი ეგულებოდა - კედლის ხვრელში (გვემში, მარანში) და მას აქ მოათავსებდა ლოცვის შემდეგ, ხოლო კერისთვის მიკუთვნებულ ლემზირს თვითონ მიირთმევდა. ქორა მერდეს ლემზირი პატარა იყო და მას კოკორაწლ-ს უწოდებდნენ. მისთვის განკუთვნილ ადგილს (კედლის ხვრელს) - სხვადასხვა სახელწოდება გაჩნდა: ეუეჟულდ, ლამხორ, სენაე, ვვალჩაბ. აქ კოკონაწლის ჩადება მხოლოდ ასაკს მიღწეულ ქალს შეეძლო.[2]

ქორა მერდესთვის განკუთვნილ ლემზირს სხვა სახელებიც ერქვა: ქორა ლემზირ, ლეგემ ლემზირ, მეზირი ლემზირ, ლეშხვნი ლემზირ, კოკორელ || კოკორაწლ (უფეტვო და ფეტვის გულიანი). ერთი ცალი კოკონილ ხვრელში იდებოდა (ფეტვიანი) და 3 ან 4 ცალი - უნდა დაფლულიყო ნაკვერჩხალში კერაე-ის ფეხებთან. ხვრელში ლემზირის ჩადებისას მერბიელი ასე იტყოდა: გიმი მეზირ ჯეგრაწლდ, მაგ ანფიშირ კუმაშ ი მარე მაგ ანუნყერერ, ბედ ი ბარაქ ლანო - მიწის მეზირო, გეეედრებით, ყველაფერი გაგვიმრავლე - საქონელი და კაცი, ყველაფერი დაგვიმშვიდე, ბედი და ბარაქა მოგვეცი! ქალი ,,ლეშხვნის'' შედებდა ხვრელში და მას კვლავ ქვით დახურავდა. თუკი ეს ლეშხვნი მეორე ლიმზირისას ქალს აქ არ დახვდებოდა, ჩათვლიდნენ რომ ლოცვა წარმატებულ იქნა და მეზირმა შესაწირი მიიღო. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონლის ამოწყვეტა და ოჯახს ავი ზნის შეყრა (უფრო მამაკაცისთვის) ჰქონდა გარანტირებული. ეს კი თავის მხრივ ლიმზირის ,,კარგად'' ჩაუტარებლობასაც გულისხმო-

[1] მ. ჩართოლანი 1961 გვ. 172-190.

[2] მ. ჩართოლანი 1961 წ. გვ. 176 და 177.

ბდა, ამიტომ ისინი კვლავ გაიმეორებდნენ ქორა ლიმზირს. ასევე, ლეგემის ნახვა მათ სპეციალურად არ შეეძლოთ. მის ყოფნა-არყოფნას დაინახავდნენ მაშინ, როდესაც მეორე ლიმზირისას აქ ლეგემი იყო ჩასადები. მისი ნახვის პრეროგატივა კი - მხოლოდ ,,ხოშა ზურაბლს'' გააჩნდა![1]

აქ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ხვრელთან ვედრებისას არც ნახსენები და არც ნაგულისხმევი არ არის მეზირის ,,სახეები'' ანუ არ მიმართავდნენ თაგვს, მამალს, უხსენებელს და სხვებს, რადაც მეზირი მიაჩნდათ. მლოცველი მიმართავს მხოლოდ ,,გიმი მეზირს'' - (მიწის მეზირს). მიწის არსი კი არანაირად არ უტოლდება არც თაგვს, არც მამალს, არც უხსენებელის და სხვათა არსობას. მლოცველი ისეთ რამეს სთხოვს გიმი მეზირს, რაც არც წარმოსახვით და არც სახიერად არ შეუძლიათ ამ სახილველ ცხოველებს. აქ ყოფითი პატრონი მეზირის ლემზირისა არაფრით არ უტოლდება წარმოსახვით პატრონს, რომელსაც გიმი მეზირისადმი ლოცვის მიმართება გვიკონკრეტებს. ასევე შეუთავსებელია გიმი მეზირის სახიერ მეპატრონესთან (გველი, ძლოკვი, ხბო, ქათამი, თაგვი...) ის გარემოებაც, რომ მას შეძლებოდა საქონლის გაწყვეტა და გაბოროტება იმ შემთხვევაში, თუკი მისთვის არ ილოცებდნენ და ლემზირს ხვრელში არ დადებდნენ. ვფიქრობთ, ეს ყველაფერი ნამდვილად ცრურწმენის ნიშანია, რომელიც უსათუოდ ახლდა ადამიანის ყოფას. ჩანს, მისი საფუძველი შიშია - ადამიანის თანდაყოლილი თვისება რომელიც თავის მხრივ ქმნიდა მსახურების აუცილებლობას. შიშს აღნიშნული ცხოველებისადმი არანაირი კავშირი არ აქვს იმ მსოფლხედვასთან, რასაც გონება ცის სამყაროს მეუფეებს, უხილავთა არსს, უკავშირებდა. ამ შემთხვევაში კი უკავშირებდა - სახლთანგელოზს, მიწის და კერის ძალას (გიმი მეზირ, კერი მეზირ, ქორა მეზირ!). ეს ის გარემოებაა, როდესაც დაკარგულია ხედვის ძირითადი არსი და ,,ცრუ გამოგონებებით'' ლაბირინთად იქცევა საწყისი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მეზირს, როგორც აღნიშნულ სახიანს, არანაირი კავშირი არ აქვს მეზირთან, რომელიც ქორა ტარბეზის შესატყვისია და სახლთანგელოზს ნიშნავს (ქორა მეზირ || ქორა ტარბეზ). აქ მხოლოდ სიტყვა მეზირის თანხვედრაა, რადგან არსი სახლთანგელოზის თუ სხვათა (მიწის! კერის!), ამ სიტყვაშია ჩადებული და არა მეზირის სახეებში - გველი, უხსენებელი... და მაინც რატომ დაუკავშირდა მეზირ ამ ცხოველებს? ჩანს, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ხვრელში ჩადებული ლემზირი ქრებოდა, იჭმეოდა რაღაც ცოცხალი არსების მიერ. ეს არ იქნებოდა არც ქალი არც მამაკაცი. ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი საქონელი. იქნებოდა ის, რომელსაც ხოხვა და ძრომიალი შეეძლო! ესენი კი ნამდვილად მრავალი ეყოლებოდა სახლის შემოგარენს. ეს ცხოველები არ ასოცირდებიან არც მიწის არსში, არც კერის და, მით უფრო, სახლთანგელოზის მფარველის ღვთაებრივ ცნებაში.

მეზირ, ჩვენი აზრით, არ გაიაზრება, როგორც განყენებული ცნება (მით უფრო რაღაცის სახიანი!) და რაიმეს კულტი. იგი ის წარმოსახვითი ძალაა, რომელიც ერთმანეთში ასოცირებულს ხდის მიწის, კერის და სახლის უხილავი მფარველის არსს, მის მადლს, ადამიანის არსებობისათვის გაღებულს. ,,ქორ'' ის სამყაროა, სადაც ადამიანები ცხოვრობენ საკუთარი ბუნებით, ავით თუ კარგით არა განყენებულნი, არამედ ბუნებასთან ორგანულად დაკავშირებულნი. რწმენით მათი ყოფნა-არყოფნა დამოკიდებულია სწორედ მათ გარეშე, უხილავად არსებულ ყოვლის მომცველ ძალაზე, რომლისგან მადლის მიღება - არ მიღებას, მისდამი ,,წმინდა'' მსახურება განსაზღვრავს. მეზირის მადლი ლიმზირზეა დამოკიდებული! რა უნდა ყოფილიყო ,,მეზი-

[1] მ. ჩართოლანი 1961 წ. გვ 177-178.

რი“ თუ არა მიწის აუხსნელი ბუნებრიობა, კერის (ცეცხლის) მადლი და ცის (სახლის მფარველი ღმერთის || ქორა ტგრბეზ || სახლთანგელოზი) მფარველობა?! სწორედ ეს სამივე წარმართავდა ერთად მიწაზე ადამიანის ყოფნა - არყოფნას და ამიტომაც გააჩნია სამივეს ერთნაირი საკრალური სახელი „მეზირ“. რა შეიძლებოდა დარქმეოდა მისდამი მსახურებას თუ არა „ქორა ლიმზირ“, „ქორა სახ“, „ქორა გვაკვირ“. და რა უნდა მოეთხოვათ მისგან, თუ არა ბედი და ბარაქა, მშვიდი ცხოვრება, ადამიანისა და საქონლის სიმრავლე. „მეზირ“ მადლია უხილავი უზენაესისგან მომდინარე, მადლი ადამიანისთვის გაღებული, ლიმზირით მიღებული - კერით, ცით და მიწით გამოვლენილი.

რა ნიშან-თვისებებით გამოირჩევა „კერი ლიმზირ“ და შესაბამისად „კერი ლემზირ“. „ქორა ლიმზირისას“ (|| ქორა სახისას || ქორა გვაკვირისას), კედელში ჩასადები ლემზირის გარდა, ცხვებოდა „კერი ლემზირ“—კერის ფეხთან შესაწირად. მას მერბიელი დაჩოქილი შეავედრებდა ოჯახის ბარაქასა და ძროხების წველადობის გადიდებას. კერის ლემზირს იგი კერის წინა მარჯვენა ფეხის გარშემო სამჯერ შემოავლებდა მარჯვნივ და ევედრებოდა მის მფარველს რაც შეიძლება ხმადაბლა. ამ ვედრებას მიწის ვედრება (გიმი ლიკგრაწლ) ეწოდება. ამ დროს იტყოდნენ - ლაბწრია, ბედ ი ბარაქ ლახო მიშგუა ქორს, კუმშიშ ი მარემი ნაფშირი, ლამარია ისგუ კალთი ბარაქ ლანო! ლამარია, ბედი და ბარაქა მიეცი ჩემს სახლს, საქონელს და ადამიანს—სიმრავლე. ლამარია, შენი კალთის ბარაქა მოგვეცი ან: - ლამარია, ისგუა ნაფდწლდ ათგენ ნიშგუეი ლეკმარი. მასარდ ლანო ნენი, ოხდრის, მენშგი ფირ ათფიშირ, ათუნყუერ ნიშგუეი მეშგილდარ! მაჩენწმდ ერვაის ჩუ ხამურჯენს მერმად ნაი ანმარჯუ ისგუ ლიკგრწლ, ლამარია დიდაბ აჯკად! ლამარია უშგულაშ სი ლანეშ! მაი ალას ხეფსდენდ მანყურწმდ ათხიად ნიშგუეი ქორა ჯალაბ (უშგული).

- ლამარია დიდაბ აჯკად მადილშ გვეში მალდიან! ალას, კერი ლემზირს, ჯაძღვნიდ! ემა იშგდრლდეს - ლახკგრინ, მოდეი ნუმა ანცუერდ ი ნასწრვინ. ნიშგუეი ქორა კუმაშს ქესწგნ მგდრეყიდ ი მელეჩდ. ხოლა ჰელ, ხოლა ქაჯ ი ჰეშმაი ათქაბინ, ჟილახდერეყ. მენშგს ნუმაგვეშ ოხრეკი - ნაფშირი ლახო, ნიშგუეი მოსისგს, მრმ ნაგდგნდედს ეშჯი ნუმა აჰწსგუნა ნიშგუეითეისგა. კუმაშცახან ი მარაცახან ლირდე ანსგვებინ, მაი ხოჩწმდ ვედენდეს ეჩრ სეუ ბარაქ ლანო. კერი ემგენე ღერბეთ სი ესწგნ ნიშგუეი კუმაშს მგდრეყიდ ი ნაფშირი ლახო! დიდაბ აჯკად მადილშ გვეში მალდიან (მესტია).[1]

კერი ლიმზირის შემდეგ ქალები დასხდებოდნენ მიწაზე. კერი ლემზირს დაჭრიდნენ იმდენ ნაწილად, რამდენი ქალიც იყო და შეჭამდნენ ისე, რომ ნამცეციც არ დავარდნოდათ მიწაზე. თუ დაუვარდებოდათ, უნდა აეღოთ და ცეცხლში გადაეგდოთ. ფეხის დადგმა მასზე ცუდი იყო. ამიტომ ქალები, მიწაზე მსხდომნი, პურს კალთაში ჩაიდებდნენ და ისე ჭამდნენ. ჭამის დამთავრების შემდეგ კალთას მაინც ცეცხლზე დაიბერტყავდნენ, რომ თუ ნამცეცი დარჩებოდა, ცეცხლში დამწვარიყო და მიწაზე არ დავარდნილიყო.[2]

---

[1] მ. ჩართულანი, 1961 წ. გვ. 179.

[2] ლამარია, დიდება მოსასვლელო, მადლით სავსევ, მადლიანო! ამას, კერის ლემზირს, ძღვნად მოგართმევთ! თუ შეგეფერება - შეიწირე, თუ არა და ნუ გაგვიწყრები და გვაპატიე. ჩვენი ოჯახის საქონელს დაადექი შემწედ და მფარველად. ცუდი ტაროსი, ქაჯი და ეშმაკი აშორე, დაიცავი. მეწველს ნურაფერს ავნებ - სიმრავლე მიეცი. ჩვენს მოძულეს, თუკი იგი ჩვენ არ

კერი ლემზირს ერქვა დულ (უშგული, ცხუმარი, ლატალი, ბალს ქვემო სვანეთი), კიხუ (ლენჯერი), ღვინძილ (უშგული), ლამარიშ ლემზირ (ლატალი), ზენიხ (ქვ. სვ.), ლამარიშ შილგგნე (ქვ. სვ). (უშგულში ღვინძილი ქალების ლიდბაშიშას ოჯახზე 4 ცალი ცხვებოდა). კერი ლემზირ || ლამარიშ ლემზირ ან 1 ცალი იყო ან სამი ცალი. კერი ლემზირისთვის საუკეთესო იყო ხუთშაბათის დღე. კერი ლიმზირს სხვანაირად ეწოდება: ჩუბშვ ლიმზირ || გიმი ლიმზირ || ლამარიშ ლიმზირ || ზურალშრე სახ || ზურალშრე ლიმზირ || ქორა სახ.

ხალხური ყოფიდან ჩანს, რომ ქორა ტგრბეზ || ქორა ემგენე ღერბეთ, კერი ემგენე ღერბეთ, გიმი მეზირ, ლამარია ერთიდაიგივენი არიან და მათში, პირველ რიგში, მდედრობითი არსი გაიაზრება. (ტარ ბედნიერი || ტარბედ ღერბეთ, ადამიანებთან მიმართებაში ბედის - მწერალივითაა და ჰეტ-მეჰეტსაც ეძახიან. ტარ, ასევე, ლამშრიას საპირისპირო ბუნებისაა და იგი ამ გაგებით, ჩანს, შემდეგში უკვე კონკრეტული სახით წარმოჩინდება, დღეობებში ეს ,,ტშრ ჭაბუკის'' სახეა).[1]

კედელში (სახლის) მეზირისთვის დასადები კვერის მსგავსად, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, შესაწირი კვერი იდებოდა კერის ფეხთან (ნაღვერდალში, მიწაში) და ლამშრიას ლადბაშებისას მიწის ,,ლაშხენიში''. (შესანახი, ,,ლეშხენი''), პურები ამ დროს 4 ცალი იყო. (ჰგლიშის დღე უშგულში).[2]

,,მეზირ'' გამოხატავს ,,ლიმზირის'' (ლოცვის) ღვთაებრივ ფუნქციას, ანუ უკუგებას, წმინდანისას, ლიმზირის შემდეგ ადამიანისადმი, მისი სათხოვარისადმი, სახლკარისადმი, ადამიანის მთლიანად არსებობისადმი. ამ გაგებით ლამშრია-ს ჩვეულებანი ადამიანის ყოფისთვის ,,მეზირია'' - ლოცვისა და შეწევნის უკუმგებელი. აღნიშნულით ,,მეზირ'' ღვთის ერთ-ერთ პირველ გამომავლინებელ თვისობრივ ლექსემად შეიძლება მივიჩნიოთ და იგი აღნიშნავს მის მადლს (მზე, მემზირ, მეზირ, ლემზირ, ლიმზირ ერთი სემანტიკური დატვირთვისა ჩანან და ლამარიასთან ერთად ქმნიან ზეციერისაგან მადლის მისაღებად ლიმზირის (მსახურების) აუცილებლობას. ნუ დაგვავიწყდება რომ ის ბუნებრივი (უხილავი!) ძალა, რომლისთვისაც ზემოთ აღნიშნული წესებითაც იღვწიან, მხოლოდ ლოცვის შემდეგ ხდება ოჯახისთვის და მისი სათხოვარისთვის ,,ქმედითი'', მეზირი, - ,,დამლოცველი''! ამ გაგებით, ცხადია, ის გარემოება, რომ ზებუნებრივის აღმნიშვნელი ლექსემა ღმერთი მეზირიდან არ იქნებოდა წარმოშობილი. მეზირ ღვთის ერთერთი თვისების მჩენი ანუ ღმერთი დამლოცველია, მადლის მჩენია მათთვის, ვინც მისთვის ილოცება. ამითაა ღმერთი მეზირი - ,,მზირალი'' თავისი მლოცველისადმი. ამით კი არდის ფუნქცია ,,მზირა''-ც უფრო იკვეთება. მეზირ ღმერთი არ არის - ის ღმერთის (,,მზის'', ,,ერთის'', ,,არდის'') თვისებაა, მისთვის ლიმზირის შემდეგ მადლის გაღების თვისება.

ამდენად, მეზირ ღვთის თვისებაა, რომელსაც ,,იგი გასცემს'' ,,ლიმზირის'' შემდეგ ადამიანის სამკვიდრებელზე. ბუნებრივია, ამ თვისების მქონე ძალად ადამიანი არასდროს, არც ერთ ადგილას მცხოვრები, არ გაიაზრებდა არც გველს, არც ქათამს, არც ძლოკვს, არც თაგვს და მრავალ სხვა მისთანებს თავისი ცხოვრების არც ერთ

გვეკუთვნოდეს, ჩვენამდე არ მოაღწევინო. საქონელთან და კაცებთან ცხოვრება გაგვიმარჯვე, რაც კარგად სრულდებოდეს, იმის სვე და ბარაქა მოგვეცი. კერის მფარველო ღმერთო, შენ დაადექი ჩვენს საქონელს დამცველად და სიმრავლე მიეცი! დიდება მოსასვლელო, მადლიანო, მადლით აღსავსევ!

[1] იხ. ნ. აბაკელია - ტარ ჭაბუკის...

[2] მ. ჩართოლანი, 1961 წ. გვ. 189-190.

ეტაპზე. ის შიშის მომტანია სიღატაკის, შიმშილის და ავბედობის ფონზე შექმნილი. ეს შიში არ გაიაზრება სიყვარულის და რწმენის შიშად, რადგან მას ღვთაებრივი სამოსი არ გააჩნია - ის არ მოიცავს ღვთის რწმენას და განაცხადი იმისა რომ ,,შიში შეიქმს სიყვარულსა''! ამ ცხოველების ,,ღვთაებრივი'' არსის გასაგებად აქ არ გამოგვადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში მეზირს ტგრბეზთან არ გააივგებდნენ. ტგრბეზ ხომ ,,სახლის სალოცავის'' და ეკლესიის მფარველის (საკურთხევლის!) ადგილსამყოფელია; ტგრბეზ ღვთის ,,საბრძანისია'' შინაშიც და ეკლესიაშიც!

ღვთის (ასტრალური მზის!) მადლის რწმენის თანადროულია მსახურების იდეური აუცილებლობა. ამით კი მზის ღვთაების (დალ-ის) მსახურების თანადროულია ლამ̄რიას ფუნქციაც. დამბადებლის უზენაესობის გათავისებით იწყება ქართველთა მსოფლმხედველობითი რწმენაც და მსახურების სისტემაც, შემდეგ მას შენაცვლებული ,,ხოშა ღერბეთი'' - უკვე გაცნობიერებული ,,ერთი'' ღმერთი და ღვთაებათა ტრიადა.

მაშ, ქართველთა მსოფლმხედველობის საწყისი ,,ყოვლიერების შესაქმეა''. ,,დაბადებაა'' ის უდიდესი სასწაული, რითაც გაიაზრება ყველაფრის საწყისი. შემოქმედთა მითოლოგიური შრე ოჯახის სტრუქტურისაა, მის ცენტრში მყოფი ადამიანია და არა სხვა რამე (- ხე, ქვა, მცენარე, ცხოველი). ადამიანის არსებობა ბუნებაში არსებობაა, ბუნების კანონზომიერების წვდომა კი მისი მითიური წარმოსახვის საწყისი. ამით ცნობიერება ყოფაში ირეკლება და ყოფიერება ცნობიერებით განისაზღვრება. მისი არსებობა ბუნების ნობათია, ბუნებაც და საკუთარი თავიც უზენაესი შემოქმედის, უხილავის მადლია. მიწაზე არსებობისათვის მადლის მიღება მხოლოდ ამ ზეციერისადმი რწმენის შედეგია. ვფიქრობთ, ეს არის თავიც და ბოლოც ადამიანის არსებობისა, მისი ღმერთთან მიახლოებისა. ეს რწმენაზე, სიყვარულზე, მსახურებაზე, ერთგულებაზე და წმინდად საკუთარი სულის არსებობაზეა დამოკიდებული. სხვაგვარად მადლი ღმერთთან მიახლოებისა და მისგან მადლის მიღებისა შეუძლებელია. ჩანს, მსგავსად მადლიანი ხალხის სულიერი სამყარო ქმნიდა ჩვენი ერის თვითმყოფად კულტურას... მათ სულის ტაძარნიც უშენებიათ და საკუთარი არსებობა მორალის და ზნეობის სიწმინდით ამ ტაძრისთვის შეუფარებიათ!..

თავი VIII

„ხოშა ღერბეთი“ და კვირის შვიდეული

ბიხობის შემდეგ წმინდა წინარექრისტიანული დღესასწაული მხოლოდ „ლალ-ხორია“. „ლალხორ“ სვანურად შეკრებას ნიშნავს. იგი უფროა საკრალური ცნება, ვიდრე მისი სინონიმი „ლუზრობ“. „ლალხორთე ლიზი“ - სულების სამსჯავროზე შე-საკრებად წასვლის აღმნიშვნელია. ჩვენს შემთხვევაში კი უფროს ღვთაებათათვის გან-კუთვნილ სალოცავ დღეთა „ნაკრები“ - „ლალხორია“. ეს პერიოდი ოთხკვირიანია და მათდამი ლოცვა შესაძლებელია ამ ერთი თვის მანძილზე - ოთხშაბათ პარასკევის გარდა.

უფროსი ღვთაებანი ამ დღეებს შემდეგი წესრიგით ინაწილებენ
ორშაბათი - თარინგზელისაა.
სამშაბათი - მაცხვარის.
ოთხშაბათი -
ხუთშაბათი - ლამარიასი.
პარასკევი -
შაბათი - ჯგრაგის.
კვირა - ხოშა ღერბეთის.

ლალხორალის წესრიგი, პირველ რიგში, ითვალისწინებს ამ უფროს ღვთაე-ბათათვის ზვარაკის შეწირვის წესს. თუკი ოჯახს მათთვის ზვარაკი არ ჰყავდა, აუცი-ლებელი იყო სალოცავ დღეს ლიმზირების აღვლენა. ხოშა ღერბეთის საუკეთესო ზვა-რაკი ხარი და მოზვერია. ხარი, მოზვერი, ვერძი, ვაცი, ხბო შეეწირება ჯგრაგსაც, მა-ცხვარსაც და თარინგზელსაც. ლამარიას კი - ძროხა, დეკეული და ხბო (1 წლამდე).

ლალხორებზე იკვლება „ლგლგენე“ - ადრიდანვე ზვარაკად შესახელებული სა-ქონელი: „ხოშა ღერბეთი ლგლგენე“, „ჯგრაგი ლგლგენე“, „თარინგზელი ლგლგენე“, და ა. შ. საქონლის შესახელება („ლილგენი“) გარკვეული „წმინდანისათვის“, მისადმი დიდების გამოხატვასთან ერთად, გარკვეული კონკრეტული პირობების გამოც ხდება. მაგალითად, ხოშა ღერბეთის ლგლგენე ოჯახის საკეთილდღეოდ არის შესახელებული ხოშა ღერბეთისათვის, ჯგრაგის ლგლგენე - მამაკაცთა წინსვლისა და მშვიდობიანო-ბისათვის, ლამარიას ლგლგენე ქალთათვის, მოსავლისა და საქონლისათვის. თარინგ-ზელების ლგლგენე - ძე შვილის მატებისა და სახელიანად მათი დიდი ხნის სიცოცხ-ლისათვის არის გაღებული... ამდენად, თუკი ვინმეს ჰყავს დიდ ღვთაებათათვის ლგლ-გენე ზვარაკი, ლალხორის დღეებში უნდა იქნეს იგი შეწირული.[1]

---

[1] აქვე აღვნიშნავთ ერთ გარემოებას: კონკრეტული თარინგზელებისა და სხვებისათვის „ლგლგენე“ ზვარაკი თავ-თავიანთ კონკრეტულ სალოცავ დღეებში შეეწირება. მაგ. ნესკგლდა-ში თარინგზელს ზვარაკი შეეწირება ახალი მთვარის პირველ ორშაბათს - „უცარდა დეშდიშს“. თანღი-თარინგზელს - თანღილობის დღეს. ბარბალ-მგხერ თარინგზელს თავისი დღეობის დღეს. ჯგრაგ ჰუკულდაშიშს - ლიგიერგის დღეს, ბარბალს-ბარბალობა დღეს, ცანს-ცანობის დღეს. და ა. შ. აქედან გამომდინარე დასაზუსტებელია ის გარემოება, რომ „ლალხორალ“ დიდ ღვთაებათა სალოცავი დღეებია ანუ იმათი, რომელთა დაყოფაც შეუძლებელია ლოკალური ადგილით და ლოკალური თვისებით. ისინი პარადიგმული სახისანი არიან, სივრცითნი, ყოვლის მომცველნი და შემოქმედებითი ძალის მქონენი. ისინი უფროსნი არიან თავიანთ არსში და „ხე-ლმძღვანელობენ“ თავიანთ სავაზიროს წევრებს - „წილ“ (ნაწილიან) წმინდანებს.

ლოცვა - ვედრება და წესის აგება ღვთაებათათვის წმინდად უნდა ასრულებულიყო, წინაალმდეგ შემთხვევაში იგი არც კი შედგებოდა. ოჯახი ,,ლიმზირის'' ჩასატარებლად ყველა საჭირო ზომას წინასწარ ღებულობდა.

საქონლის ,,ლილგენი'' ხდებოდა შინაში - სალოცავ სარკმელთან. ამ დროს ლემზირები არ იყო საჭირო. შემწირველი ხელში დაიჭერდა 1 ც. სანთელს და შეევედრებოდა სასურველ წმინდანს (ე. ი. ვისთვისაც ხდებოდა ამ საქონლის ,,ლილგენი'' - შესახელება) თავისი სურვილის ასრულებას, რისთვისაც იგი (ოჯახის) ამ საქონლის ზვარაკად შეწირვას ივალდებულებდა, ბუნებრივია, გარკვეული დროის შემდეგ. რწმენით, ლგლგენე საქონელი ტყის მხეცისგან და ფათერაკისგანაც უფრო მეტად იყო დაცული ამიტომ ზვარაკად საქონლის გაღება ორმაგად სასიამოვნო იყო ოჯახისათვის; თუკი სხვა ადამიანი ხელყოფდა მის სიცოცხლეს, იგი ღვთისგან დაისჯებოდა.

ლილგენე ხდებოდა თარინგზელისათვის ახალი მთვარის პირველ ორშაბათს - ,,უცა̈და დეშდიშს'', მაცხვარისათვის - უცა̈და თახაშს'' (პირველ სამშაბათს) ლამა̈რიასათვის - ,,უცადა̈ ცა̈შს'' (პირველ ხუთშაბათს), ,,უცადა შაბათს'' - ჯგგრაგისათვის, ,,უცადა მიშლადაღს'' კი - ხოშა ღერბეთისათვის. (სხვა - ,,ნაწილიანთა''-თვისაც შეიძლებოდა ამ დღეებში ლგლგენეს შესახელება მაგ: თარინგზელებისათვის ორშაბათის დღეებში, ჯგგრაგებისათვის შაბათს და ა. შ.

ლალხორალ იწყება ყოველთვის 14 ოქტომბერს და მთავრდება 14 ნოემბერს (ძვ. სტ. 1 ოქტომბერი - 1 ნოემბერი). ლალხორალის ღვთაებათაგან პირველად ჩვენ ხოშა ღერბეთისადმი მიკუთვნებულ დღეთა წესრიგზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ხოშა ღერბეთი - ,,დიდი ღმერთი'' - სვანურ ღვთაებათა პანთეონში პირველია. პირველია იგი ადგილითაც, ძალითაც და ფუნქციებითაც. იგი ყოვლის მომცველი და ყოვლის შემოქმედი ბუნებრიობაა. მისი ეპითეტები თუ პარალელური სახელწოდებანი ,,სენდუქ დეცეშ, უფა̈ლ დეცეშ, ფუსდ აბუა̈სდიშ, ფუსდ დამბადებელ - ხოშა ღერბეთის არსის გამომხატველნი არიან. მისი საკრალური რიცხვებია 1. 3. 12. საკრალური დღე კვირა დღე, საკრალური ზვარაკი - ხარი, აღსავლენი პური ,,წყგლიან ლემზირ''. (ლემზირის სიწმინდესთან ერთად აქ იგულისხმება უყველო და უხორცო ლემზირი).

ლალხორების დღეებში ოთხივე კვირის კვირა დღე ხოშა ღერბეთისაა, მაგრამ მათგან განსაკუთრებულია მესამე კვირის კვირა დღე. ხოშა ღერბეთის ლგლგენეს შეწირვა უმჯობესია ამ დღეს. წესრიგის ასრულება, დღესაც და ძველადაც, ძველ სახლში კერიასა და სალოცავ სარკმელთან ხდება. მანამდე კი აუცილებელია ამ სახლის შინას დაწმენდა - ,,გაწმინდავება'' ნაკურთხი წყლით. ძალიან ძველად ეს საქმე ,,გუიზის'' ნაცარტუტით ხდებოდა.

ზვარაკის შეწირვას ესწრება ერთგული პირი ან პირები (მეზობლები, ნათესავები). უმჯობესია იგი მხოლოდ ოჯახის წევრების მიერ იყოს შესრულებული. რადგან ამ დროს აქ მყოფ ავ და ბოროტ გონებას შეუძლია თავისი ავიც და ბოროტიც შეუთქვას ოჯახის წევრების სურვილებთან ერთად. ეს კი, ვინ უწყის, რომელ იქ მყოფთაგანის ბუნებაში იქნება დამალული. ამიტომაც წესის აგება ხდება ძალიან ადრე - გარიჟრაჟისას. ერთგულ მეზობელს ან ნათესავს, რომლის დასწრებაც ოჯახის მიერ გადაწყვეტილია საკუთარი ლოცვისას, გააფრთხილებენ წინა ღამით. ამ დროსაც, ზვარაკი სანამ დაიკვლება, წინასწარ არის იგი ცოცხლად შესავედრებელი მისთვის, ვისაც ეს შეეწირება. ესეც სალოცავ სარკმელთან ხდება. აქ ნაკვერჩხალზე საკმეველია. ასევე, 1 ცალი სანთელი კედელზეა მიკრული, 1 ცალი კი - ზვარაკს მარჯვენა რქაზე აქვს დამაგრებული, ერთიც შემვედრებელ კაცს უჭირავს ხელში. აქვე არის ოჯახის

ყველა წევრი მამაკაცი, მათს უკან დგას დედაკაცი - უფროსი ქალი - თეთრ მანდილიანი, სადღესასწაულოდ გამოწყობილი. უფროსი, შემვედრებელი მამაკაცი, სანთლით ხელში[1] დგას ზვარაკის გვერდით (მის მარჯვნივ ზვარაკია) ან ზვარაკის უკან და შესთხოვს ხელაღმართული უფალ დეცეშს (ხოშა ღერბეთს) ამ ზვარაკის მიღებას, შემწირველი ოჯახის შეწყალებას და მათზე მადლის გაღებას. ამის შემდეგ აქვე ზვარაკს მარჯვნივ შეატრიალებს (1-ჯერ) და იმ სანთლით, რომელიც ხელში უჭირავს შეუტრუსავს ბალანს შუბლზე, მარჯვენა მხარზე და მარჯვენა თეძოზე. აღნიშნულის შემდეგ თავის სანთელსაც და რქაზე მიწებებულ სანთელსაც კედელზე მიაკრავს და თვითონაც სხვა კაცებთან ერთად ზვარაკის შესაწირად მოემზადება. ზვარაკის დაკვლა - დაჩარექების შემდეგ დიასახლისი ამზადებს აღსავლენ ტაბლებს. უფროსი მამაკაცი ხის შამფურზე აცმულ გულ-ღვიძლს წვავს ნაკვერცხლებზე. ამ დღის ზვარაკი რადგან ხოშა ღერბეთის შესაწირია, მისი გულღვიძლიც ხოშა ღერბეთს აღევლინება თავის ტაბგლსა და ზედაშესთან ერთად. (ზედაშე წმინდად გამოხდილი ორნახადი არაყია - სვანურად „ნატხან" იგი ლიტრიანი ან ნახევარლიტრიანი ბოთლით აღევლინება).

ხოშა ღერბეთის „ტაბგლი" („ლემზირთა ნაკრები") სამი სახისაა:

1) 1 ცალი მუჟელუ + 12 ცალი ჩვეულებრივი ლემზირი.

2) 1 ცალი მუჟელუ + 4 ცალი სეფსკვერი + 1 ცალი მუსუ̆ალდი + 3 ცალი ლემზირი.

[1] შეწირვისას ფიგურირებს 3 ცალი სანთელი, მისი ხმარების ორი ვარიანტით: 1-ლი ზემოთ მოცემული (1 ც - სარკმელზე, 1 ც. რქაზე, 1 ც - შემწირველის ხელში) მე-2 ვარიანტი: 2 ც. ზვარაკის რქებზე, 1 ც - სარკმელზე. შემწირველს არ აქვს სანთელი.

3) 1 ცალი მუჟელუ + 4 ცალი სეფსკვერი + 4 ცალი მუსუ̆ალდი + 3 ც. ლემ-ზირი.[1]

ხოშა ღერბეთის ტაბგლის მუჟელუ ზუსტად ისეთივე ფორმისაა, როგორც ახალი წლის „ლაჭშხიარ მუჟელუ" - სამეკვლეო მუჟელუ, რომელსაც ასევე ერქვა „ხოშა ღერბეთი(შ) ლესკარი".

„სეფსკვერს" ზედაპირზე ცერა თითით ესახება 4 ცალი ნაჭდევი, გვერდებზე კი ცალ-ცალკე (სხვადასხვა მხარეს!) სამი ცალი ლემზირი. (ეს ჩანს მისი ცხობის უფრო ძველი ვარიანტია!) ან ზედაპირზე ორივე ხელის ცერა და საჩვენებელ თითებს შორის ცომის მოთავსებით და მათი ამოწევით („კაჩ ლემზირ") უკეთდება ოთხი ლემზირი, რომელთა დიაგონალური ჭრილი ქმნის ჯვარს. გვერდებზე კი სამი ცალი ლემზირი ესახება. ასევე, თავისუფლი ჯვარი ისახება სეფსკვერის ზედაპირზე მარჯვენა ხელის ჯვრული ყუანაკრავით. სეფსკვერი მუჟელუსაგან განსხვავებით ცხვება გადაბრუნებულად - „ჟილგსპე".

„მუსუ̆ალდი" ნახევარმთვარის ფორმის სამლემზირ დასახული ლემზირია.

„ტაბგლ" ყოველთვის მზადდება ხმიადი ცომისაგან. ტაბგლისა და გულღვიძლის გამზადების შემდეგ ხდება მათი აღვლენა ზედაშესთან ერთად. თუ მლოცველი აქ სამი კაცია, პირველს ხელში ეძლევა ტაბგლი, მეორეს - გულღვიძლი, მესამეს - ზედაშე. სამივენი ერთად ხოშა ღერბეთის შეავედრებენ დღევანდელ დღეს გაწეული ლიმზირის მფარველობას და მით შეწევნას. ლოცვისას კვლავ ანთია სანთელ-საკმეველი, ლოცვა კვლავ ხდება შინაში, სალოცავ სარკმელთან („ქორა ტგრბეზისგა"!). თუკი მლოცველი ერთი მამაკაცია, მას ხის გობზე ულაგდება ყველა ზემოაღნიშნული და მათით ხელაპყრობილი ევედრება ოჯახის შეწევნას. ამ შესაწირავების თავზე ყოველთვის მოქცეულია „მუჟელუ". - დიდება მოგსვლოდეს და მადლი მოგსვლოდეს დიდ ღმერთს, უფალს ქვეყნიერებისას, ზე-ამაღლებულს! - შენ გვიშველე! წესი ყველა შენი დაწესებულია და ყველაფერი კარგი დააწესე ჩვენთვისაც, დიდება მოსასვლელო! შეიევედრე ჩვენი დღევანდელი ლოცვა-ვედრება, ნეტარი და ბედნიერი გახადე ჩვენი ოჯახის ყველა წევრი, ლხინით და სიხარულით გვაცხოვრე, მადლიანო, მადლით აღსავსევ! შენს დიდებას არაფერი გვირჩევნია და ჩვენს შველასაც ნუ დაიზარებ, დიდება მოსას-

[1] ჯგერაშგის ტაბგლიც სამი სახისაა. 1) 12 ცალი ლემზირი, ჩვეულებრივი. 2) 9 ცალი ჩვეულებრივი ლემზირი. 3) 1 მუჟელუ + 4 ც. სეფსკვერ + 1 ც. მესუ̆ალდ + 3 ცალი ლემზირი. სხვა დანარჩენების ტაბგლი (ლამარიასი და ბარბულისგან განსხვავებით - მათ საერთოდ არ აქვთ ტაბგლი!) ან არის 12 ცალი ლემზირი, ან 9 ცალი ლემზირი ან 1 ც. მუჟელუ + 12 ცალი ჩვეულებრივი ლემზირი.

ვლელო, მეუფევ ქვეყნიერებისაო, მადლიანო, მადლით აღსავსევ!

- ,,დიდაბ აჯვად ი მალდ აჯვად ხოშამ ღერბათ, ფუსდ ნაბუასდიშს ქიბე ლგ-კლათხე - სი ლანეშდ! ნასარ მაგ ისგუ ნაწუას-ლი ნიშგუეი ბედქონ მაგ ხოჩა ახწეს დიდაბი ლეკედ! ლახკგრინ ნიშგუეი ლადი ლადღი ლიმზირ - ლიკგრალ, ლგჰაჯდ ი ბედნარდ ანკგ ნიშგუეი ქორა მერდე მარე, ლხინდ ი ხიადდ ანხიდ მალდიან მადილშ გვეში, ისგუ დიდაბს მანგვეშ ნიცხაი, ნიშგუეი ლიშედსი ნუმა ახქანდე დიდაბი ლეკედ ფუსდ ნაბუასდიშ, მალდიან მადილშ გვეში, დიდაბი ლეკედ!''.

თუკი ამ წელს ოჯახს სხვათათვის ლგლგენე არ ჰყავდა, ტაბგლები ხოშა ღერბეთის ზვარაკის შეწირვის დღეს მზადდებოდა მგქემ თარინგზელისა და ჯგგრაგისათვისაც. მაგრამ ისინი ცხვებოდა ხოშა ღერბეთის ტაბგლის შემდეგ. მგქემ თარინგზელის ტაბელი იყო 1 ცალი მომცრო ლესკარი და ჯგგრაგის ტაბგლი ამ შემთხვევაში იყო ან 12 ცალი ან 9 ცალი ჩვეულებრივი ლემზირი. ხოშა ღერბეთისნაირი ტაბგლი მას უმზადდებოდა მხოლოდ საკუთარ დღეს - ,,ლიგიერგის'' ან ლალხორალის შაბათს, როდესაც ზვარაკი მხოლოდ ჯგგრაგისთვის იყო განკუთვნილი. მას ზედაშეც აღევლინება, მგქემ თარინგზელს კი არა. სხვა დანარჩენთ ამ დღეს ლემზირი არ აღევლინებათ.

ლალხორალ საოჯახო დღეობაა, რადგან ზვარაკი ღვთისთვის გაღებული, ოჯახისაა და ღვთისგან მოვლენილი მადლიც ოჯახისთვისაა განკუთვნილი. ძველად არ არსებობდაო ოჯახი, რომელიც ლალხორის დღეებში ხოშა ღერბეთს ან ჯგგრაგს ხარს ან მოზვერს არ შესწირავდა. ზვარაკის ხორცის ნაწილს ოჯახი საზამთროდ შეინახავდა, ნაწილს კი სამხუბის (საძმოს) წევრებს დაურიგებდა. თუმცა ეს ქმედება სავალდებულო არ იყო. მას ოჯახი სურვილის მიხედვით ასრულებდა.

არ არსებობს სვანეთში სალხინო და წმინდა სარიტუალო სუფრა, სადაც პირველი სალოცავი სასმისი დიდი ღმერთის არ იყოს. არ არსებობს არანაირი სასოფლო დღესასწაული, სადაც პირველი ლემზირი ხოშა ღერბეთის არ იყოს (ლივრაში, ლიკდუში, ლიქურეში, უფლიშერ, ლიმპარიელ, ლიგიერგი...). თუკი ლიმზირისას ლემზირები არ აღევლინათ დიდ ღმერთებს და მათგან, პირველ რიგში, ხოშა ღერბეთს, პურის ჭამა მაინც დიდი ღმერთის მადლის მიღების სურვილით იწყება - პირველი სასმისი დიდი ღმერთისაა! ანუ რიტუალური ,,სახ-სიგელი'' დიდი ღმერთით იწყება. (სახსიგელი არასოდეს არ ისმევა სამგლოვიარო სუფრისას. ამ დროს მხოლოდ შესანდობარი ითქმება!).

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს დიდ ღმერთებს შემოსაზღვრული საბრძანებელი არ გააჩნიათ. ისინი, უხილავი და ,,ხელუხლებელი'' განგებანი არიან. - ,,ხოშა ღერბეთ'', ,,მგქემ თარინგზელ'' ,,ჯგგრაგ'' და ლამარია - პარადიგმულ სახეს ქმნიან. მათგან ,,ხოშა ღერბეთს'', მგქემ თარინგზელთან ერთად, ჯგგრაგისა და ლამარიას მსგავსად, ,,ნაწილიანი'' (წილი!) ღვთაებანი არ გააჩნია. (თუმცა, ეს არ გამორიცხავს მათს ,,ყოვლიერების შემოქმედების'' ფუნქციას!); ჯგგრაგის ,,წილი წმინდანები'' კონკრეტდებიან ლოკალური ადგილისა და თვისებების მიხედვით მაგ. ადგილის მიხედვით ესენია: ჰოკულდაში ჯგგრაგ, ტებდიაში ჯგგრაგ გერბში ჯგგრაგ, სამტაიში ჯგგრაგ, მესტიან ჯგგრაგ, ლენგერან ჯგგრაგ და ა. შ. ბ) თვისების მიხედვით: ჯგგრაგ ბიქეიშ, ჯგგრაგ ხვალმიშ, ჯგგრაგ ლითოდურიშ, ჯგგრაგ ლიმპარიშ და ა. შ.

ლამარიას შემთხვევაში ა) ადგილის მიხედვით: იფხი ლამარია, ლახვშდა ლამარია, ქუთაში ლამარია, ჩარგლდა ლამარია, სამტაიში ლამარია და ა. შ. ბ) თვისე-

ბების მიხედვით: შობა ლამპრია, კვინტობა ლამპრია, ლამარიპ ლიფთგპლეშიშ, ფნლ-ლაბა ლამპრია, გუემი ლამპრია, კერი ლამპრია და ა. შ.

ყოველივე ამ ჯგრაგების და ლამარიების უფროსი ,,დიდი ღმერთების'' (ხოშა ღერთპლ) რიგში შემავალი ჯგრაგი და ლამპრიაა. მათით მთელი გარემომცველი ბუნება დაყოფილია ორ სქესად. აქ საშუალო არ არსებობს. ჯგრაგი და ლამპრია, ამავე დროს, რაც მთავარია, არ არიან შემოქმედნი. ისინი თითქოს სხვის მიერ არიან შექმნილნი და თვისებებიც და უფლება-მოვალეობებიც მათ სხვის მიერ აქვთ ბოძებული.

ხოშა ღერბეთსა და მგქემ თარინგზელს მსგავსი მითოლოგიური დატვირთვა არ გააჩნიათ. მათი სახე ორ უზენაეს შემოქმედთა პარადიგმული სახეა. ისინი ყველას უფროსი და უზენაესი შემოქმედნი არიან. ამიტომ არ გააჩნიათ მათ ისეთი ,,სავაზირო'', როგორიც ჩვენ ლამპრიასა და ჯგრაგის შემთხვევაში გვქონდა. განსაკუთრებით ეს ეხება ხოშა ღერბეთს. აქ ჩვენ არ ვგულისხმობთ თპრინგზელების მრავალრიცხოვნებას, რომელნიც, ჩანს, სხვა სინკრეტულ და საკრალურ ჯგუფს ქმნიან. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ არასდროს არ ითქმის და არ გაიაზრება, რომ ამა და ამ ადგილის ფუსდი მგქემ თპრინგზელი იყოს ,,შენი მფარველი'' ან ამა და ამ თვისების ფუსდი მგქემ თპრინგზელი იყოს ,,შენი შემწე და მწყალობელი''. მხოლოდ ამ აღნიშნულ კონტექსტში ფუსდი მგქემ თარინგზელს ,,ნაწილნი'' არ გააჩნია. სხვა შემთხვევაში თარინგზელს ,,ქვეშევრდომთა'' მთელი არმია ჰყავს ჯგრაგსა და ლამპრის მსგავსად.[1]

ლიდბაშებისას შეუძლებელია აღევლინოს ,,დიდ ღმერთებს'' ლემზირები სალადბაშე ადგილას. იგი ,,მცირეთა'' ადგილია და აქ მათი ხსენებით დიდ ღვთაებებს შეურაცხყოფას ვინ მიაყენებდა - ვინ გაბედავდა ამ მკრეხელობას! (,,ღერბათ ეპრ ხეწრპლნი!''). თუ დავაკვირდებით, სალადბაშე ღვთაებანი ლოკალური ადგილის და კონკრეტული თვისებრიობის მფარველნი არიან.

ხოშა ღერბეთის და მგქემ თარინგზელის, ორი განსხვავებული ბუნებრიობის, როგორც უზენაეს და უზოგადეს შემოქმედთა პარადიგმულ სახეს, საკმაოდ მკვეთრად და ამავე დროს, საკმაოდ საკრალურადაც წარმოგვიჩენს ეეშხუშ მპხე ზაე-ის ტრადიცია, რომლის განხილვაზე აქ აღარ შევჩერდებით, რადგან ის მოცემულია თვით ამ დღეობათა ინტერპრეტაციის წარმოდგენისას. ჩვენ აქ მხოლოდ აღვნიშნავთ იმას, რომ ეს ორი უდიდესი შემოქმედი, თავიანთი არსითა და ბუნებრიობით, შეგვიძლია გავუტოლოთ უძველეს ცივილიზაციათა (შუმერთა!...) მიერ წარმოდგენილ სამყაროს ორი შემომქმედის მითოლოგიურ სახეებს აპსუს და თიამათს[2] აქ, მათს წიაღში, ცალ-ცალკეც და ორივეში ერთად ერთი უზენაესი შემოქმედის პარადიგმული სახეა წარმოდგენილი. ორივეს საერთო თვისებაა მზის საკრალურ არსობასთან კავშირი და ამით კვლავ ასოცირდება მათი არსობრივი ერთიანობაც;

არდი - მზირა - მზე - დალ ეეშხუშიშ - ეეშხუ - ღერბეთ - ხოშპ ღერბეთ ამ ერთიანობის ქართული საკრალური წრეა.

---

[1] მსგავსი სავაზირო არც ბარბოლს და არც ეანს არ გააჩნია. ბარბოლ ზოგადადაც ბარბოლია. ეანს გააჩნია ეანპ ნამზგრ, რომელიც ფიქსირდება, როგორც ადგილი საიდანაც ეპნის სალოცავი ჩანს და აქაც შეიძლება ლოცვა-ეანისთვის. ბარბოლს ესეც არ გააჩნია. მისი სახელწოდება შეიძლება შედგეს ადგილის მიხედვით მაგ: ბარბოლ ზაგრპლიშ. ზაგრპლ სოფელია სადაც დგას ბარბოლის სალოცავი. (ლატალი). და ა. შ.

[2] იხ. ზ. კიკნაძე. შუამდინარეთის მითოლოგია. თბ. 1979 წ.

ვიცით, რომ არსებობს ლამპრობის ასეთი რიგი: თებერვალში (ძვ. სტილით) პირველი დღე ,,სვიმნიშ'' || ქვინის (სულის) ლამპრობის დღეა. ანუ გარდაცვლილთა სულებისთვის (სულისთვის!) ინთება ლამპრები. თებერვალში მე-2 დღე (ძვ. სტ. 2 თებ.) ,,ღერთა'' - ღმერთთა ლამპრობაა. მე-3 დღე (ძვ. სტ. 3 თებ.) განკუთვნილია ,,ცის ლამპარობისთვის'' - ,,დეცე ლამარობ'' ანუ, ამ დღეს ცის მთავარი განმგებლის სენდუქ დეცეშისთვის ოჯახის მიერ ინთება 1 ცალი ლამპარი. (საერთოდ სამივე დღეს ოჯახიდან ინთება თითო ცალი ლამპარი).[1] ვფიქრობთ, ასეთი თანმიმდევრობა არ უნდა იყოს შემთხვევითი. ჩანს, პირველი დღე, (რიცხვი 1) სულისთვისაა არჩეული იმის გამო, რომ იგი ერთი გარკვეული განზომილების სამყაროა, ის საიქიოა. ღერთა ლამპრობისთვის რიცხვი ორი (2 თებ.) არჩეულია იმის გამო, რომ აქ ორ უზენაეს ღვთაებაზე უნდა იყოს ყურადღება გამახვილებული. საქმე ისაა, რომ სვანურ ,,მრავალღმერთიანობაში'' ლექსემა ღმერთი მხოლოდ ორადორ უზენაეს არსის განგების სახელწოდებას ახლავს თან. ეს სახელწოდებანია;

ქორა ემგენე ღ̄ერბეთ ——— სახლის მფარველი ღმერთი (ტგრბეზ)

დაბდაბ̆ ღ̄ერბეთ ——— დამბადებელი ღმერთი

ხოშ̆ ღ̄ერბეთ ——— დიდი ღმერთი

ფუსდ მგქემ თ̆რინგზელ ——— ფუსდ მგქემ თ̆რინგზელი.

აქ ფუსდ იდეურად იგივე ღერბეთია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხოშა ღერბეთის ერთერთი ეპითეტი ,,ფუსდ აბუ̆სდია'' (სამყაროს შემომქმედი, სამყაროს მპყრობელი), ფუსდის და ღერბეთის იგივეობის (არსობრივი იგივეობის!) წარმოდგენა არ გაგვიჭირდება. ფუსდი მგქემ თ̆რინგზელში დევს ის კოდი, რომ ამ სახელწოდებით არსებული განგება მომმატებელი, მდედრობითი არსის მქონე ,,დამბადებელი ღმერთია''.

აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია ამ ,,წმინდანის'' სახელწოდების აზრობრივი გაშიფვრა, ანუ ფუსდ მგქემ თ̆რინგზელი იდეურად იგივეა რაც სამყაროს შემოქმედი (,,ფუსდ'') დამბადებელი (,,მგქემ'') ღმერთი. დამბადებლის ფუნქციას გარკვეულწილად ხაზს უნდა უსვამდეს ,,თარინგზელში'' არსებული ფუძე - ,,ნგზელ'' რაც ,,ლიგზელის'' - შობის, ,,გეზ̆ლის'' - შვილის ფუძის ტოლფასად მიგვაჩნია.

,,მგქემ'' - (მომმატებელი), ლიქმე-ს (მატების) ფუნქცია, ბუნებრივია, მამრულ ბუნებრიობასაც გაჩნია და ადვილი შესაძლებელია ფუსდ მგქემ თ̆რინგზელი მამრულ ბუნებრიობად მივიჩნიოთ, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ღვთაებათა პანთეონში სწორედ პირველ სამ წევრში ორჯერ არ გაიმეორებდნენ ერთი და იგივე არსს. აქ მმართველია ხოშა ღერბეთი და მის გვერდით კვლავ იგივე ფუნქციის, არსის და შესაძლებლობის მქონე წმინდანი არც ერთ შემთხვევაში არ მოთავსდებოდა, მით, უფრო როცა სამყაროს შემოქმედებას, მითიური წარმოსახვით, ორი არსი სჭირდება და არა ერთი; სჭირდება სამყაროს ,,შემქმნელიც'' და ,,დამბადებელიც''. ამიტომ ფუსდი მგქემ თ̆რინგზელი ,,დამბადებელი ღმერთია''.

ჩანს, ,,ხოშა ღერბეთთან'' ფუნქციური ტოლფასობის გამოც გაუჩნდა მგქემ თ̆რინგზელს ,,ფუსდი''. ის ,,ხოშა ღერბეთის'' არსის იდენტური რომ ყოფილიყო, მას ,,ღ̄ერბეთი''-ს ლექსემა დაემატებოდა. ამდენად ,,ფუსდ მგქემ თ̆რინგზელი'' ერთი (ქალღვთაების) ბუნებრიობაა, ,,ხოშა ღერბეთი'' (,,მამა-ზეციერის'') მეორე, - სამყაროს

[1] ხოლო ჯგგრ̆ნგ ლამპარის დღეს ოჯახი ანთებს იმდენ ლამპარს, რამდენი მამაკაციცაა ოჯახში.

შემოქმედებისათვის უფლებრივად ტოლნი და არსებითნი, მაგრამ მათგან პირველი მაინც „ხოშა ღერბეთია“.

აზრობრივად ფუსდი მგქემ თარინგზელის იდეა აქ მეორე ლექსემითაცაა გამოხატული. ეს არის „დაბდაბა ღერბეთ“, ამდენად ეს ორი ლექსემა ერთიდაიგივე განგების, დამბადებელი ქალ-ღვთაების სახელწოდებას ქმნის. პირველი მისი საკრალური სახელწოდებაა, მეორე უფრო გაშიფრული ფუნქციური სახელი. (დაბდაბა ღერბეთ“).

რაც შეეხება „ქორა ემგენე ღერბეთს“, იგი „ხოშა ღერბეთის“ ერთ-ერთი თვისების აღმნიშვნელია და არა „სხვა რაიმე ღმერთის“. ამ გარემოებას ამყარებს ისიც, რომ ეკლესიის საკურთხევლის და სახლის სალოცავის აღმნიშვნელად ტგრბეზ გვაქვს. ეს კი - მფარველი ღმერთის (დიდი ღმერთის) უფლებრიობაა. მისით არსებობს ოჯახიც, კერაც („ქორ“) და სალოცავიც, ადამიანთათვის შინიდან გარე სამყაროში გამოტანილი.

ამდენად, „ქორა ემგენე ღერბეთ“ და „ხოშა ღერბეთ“ - „ერთ“-ს უზენაესობას მოიცავს მამრობითი არსით. „დაბდაბა ღერბეთ“ და „ფუსდი მგქემ თარინგზელ“ კი - „ერთ“-ს უზენაესობას მოიცავს დამბადებლის, მდედრობითი არსის ბუნებით. აქედან, თვითოეული „ერთი“ მთლიანია, ცალ-ცალკე კი „მეორე“ „პირველის“ შემდგომი. ამდენად, „ერთი უზენაესით“ („ღმერთი“) საბოლოოდ „ხოშა ღერბეთი“ იკვეთება და არა ფუსდი მგქემ თარინგზელი, რადგან იგია „ყოვლიერების შემოქმედი“. თუმცა ამ მითოლოგიურ ჭრილში ორივენი აუცილებელნი არიან სამყაროს შემოქმედებისათვის! ჩანს ამიტომაცაა ამ ორივესთვის ლიმპარის საწესო დროის რიგით მე-2 დღე არჩეული. ასანთები კი 1 ლამპარი - რაც შეიძლება მაღალ კეტზე დამაგრებული.

საწესო დროის რიგით მესამე დღე - ცის მფლობელისაა. ცის უზენაესი მფლობელი (ტრიადის მიხედვით!) უკვე „ხოშა ღერბეთია“. ის ავლენს თავის „შემოქმედებას“ - „უზენაესობას“ ციდან ყოვლიერებისაკენ, უმეტესად კი - მიწისაკენ - ადამიანის სამკვიდრებლისკენ. ცის მეუფის საკრალური რიცხვიც სამია! (მისი არსი „ერთარსება სამია“!...).

რიცხვით განსაზღვრულ ამ მყარ დღეობებში, სწორედ აღნიშნული უნდა იყოს გააზრებული. წინაალმდეგ შემთხვევაში მათი რიგი დეცე (ცის) ლამპრობით დაიწყებოდა ან სულაც მყარ დღეობათა რიცხვში არ მოთავსდებოდა სამივე ისევე, როგორც ეს ჯგგრაგ ლიმპარისას გაგვაჩნია; იგი მოძრავი დღეობაა და დამოკიდებულია ჯგგრაგ ულულაშის დღეობაზე - „ლალჩა მიშლადაღსა“ და „მეესარაბზე“. ესენი კი „ყორ ლიკრალის“ დღეზე, რომელიც ჯრდი ჰამის მომდევნო კვირა დღეა!

„უფლიშიერისას“, „უფლი ლადაღ“ (უფლის დღე!) ლასკარობის პირველი კვირა დღეა. ამ დღის ზვარაკი მოდღესასწაულეთაგან დამხვედრი ოჯახისაა. ამ დღის ზვარაკის შეწირვის და ლემზირების აღვლენის წესი ისეთივეა, როგორც ეს ჩვენ „ლალხორალ“-ის დროს გვქონდა მოცემული. სალატალო ხარი იკვლება ხოშა ღერბეთის სალატალო დღეობისას - „ფუსდა ჯანი ლითულის“ დროს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ტრადიციაა ამ სოფლის ღვთისმსახურებაში.

სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის შედგენისას გამოიკვეთა ერთი, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი თავისებურება - იმ დღეობების საწესო დრო, რომლებიც თავიანთი არსითაც და სარიტუალო ქმედებითაც დღეობათა ყველაზე ძველ ფენას განეკუთვნებიან, განისაზღვრება არა რიცხვით, არამედ შვიდეულის დღეებით. დღეობათა ათვლის დროს, მეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ორშაბათს, არამედ კვირა დღეს,

მაგრამ, ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ,,ქართულ წარმართულ დღეთა აღნიშვნის, სისტემა ორშაბათით იწყება", ხოლო ,,ქრისტიანული სარწმუნოების გამომხატველი დღეების აღნიშვნის სისტემა - კვირა დღით".[1]

ივანე ჯავახიშვილს ასევე მიაჩნია, რომ სულხან-საბას მიერ მოყვანილი შვიდეულის სახელები წარმართობისდროინდელი უნდა იყოს და იგი IV საუკუნეზე უწინარესი ჩანს, ხოლო, მზის დღის ანუ ქრისტიანული ტერმინოლოგიით - კვირით, შვიდეულის დაწყების წესი წარმართობის დროსვე შემოდის მზის თაყვანისცემის გაძლიერებასთან დაკავშირებით. IV საუკუნიდან მზის დღით დაწყება უკვე უცილობელ წესად ითვლება საქართველოში.[2]

გვაძლევს კი რაიმე ახალს სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის მიერ შემოთავაზებული კანონზომიერებანი შვიდეულის დღეთა წარმართული არსის გაგებისათვის?

ორშაბათს—სვანურად (დოშდიშ) დეშდიშ ჰქვია (მთვარის) ——თჷრინგზელის დღეა

სამშაბათს—თახჷშ.	(თახა-სი) ——მაცხოვჷრის
ოთხშაბათს—ჯგმჷშ.	(ჯგმა-სი) ——
ხუთშაბათს—ცჷშ.	(ცჷ-სი) ——ლამჷრიასი
პარასკევის—ვებიშ.	(ვები-სი) ——
შაბათს—საფტინ	(საფტინი-სი) ——ჯგგრჷგის
კვირას—(მიშლჷდჷლ)	(მზის). ——ხოშა ღერბეთის.

შვიდეულის დღეთა ასეთი დაყოფა ეხება უფროს ღვთაებათა პანთეონს. ეს დღეები მათი მთავარი სალოცავი დღეებია და შესაბამისად მათდამი მიკუთვნებული სახალხო დღეობებიც ამ დღეებში აღინიშნება. ამ წესით განისაზღვრება მათთვის ლემზირების აღვლენის რიტუალური წესი ,,უფლიშიერს", ,,ლიქერეშის", ,,ლიჴდუშის", ,,ლივრაშის", ,,ლალხორჷლ"-ის დღეებში. რაც შეეხება ოთხშაბათს და პარასკევს ისინი ,,მცირე ხარისხოვანი" ღვთაებების კუთვნილნი არიან, კერძოდ რისი, ამას ტრადიცია დაგვიკონკრეტებს. დავიწყოთ ჩვენც კვირა დღით.

ვიცით, რომ კვირა დღე მზის დღეა || კვირიაკე || საუფლო (ს.ს ორბელიანი). ვიცით ისიც, რომ მზეს თავდაპირველად ,,არდი" უნდა რქმეოდა. (ივ. ჯავახიშვილი). მზის უწინარესი ფორმებია მიქ, მჟარა, მზირა. მზე კი ამ ფორმის ზმნებისაგან, კერძოდ კი ,,მზინა" ზმნისაგან, ნაწარმოები მიმღეობა უნდა ყოფილიყო და მას გამაშუქებელი, მზინავის მნიშვნელობა ჰქონდა. ამის გამო ,,მზე" თავდაპირველად მარტო მზის სახელი კი არა, მნათობის ზოგადი ცნების გამომხატველიც იყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ის, რაც ქართულად მზის მნიშვნელობისაა, ამიერკავკასიის ჩრდილო - დასავლეთში მცხოვრებ ერებს მთვარის სახელად აქვთ გამოყენებული.[3]

სვანური ხალხური ტრადიციით, ,,მზის დღე" ხოშა ღერბეთის სალოცავი დღეა. მხოლოდ ამ დღეს შეეწირება ,,დიდ ღერბეთს" ზვარაკი და აღევლინება თავისი ტაბგლი. ხოშა ღერბეთის ტაბგლი, ისევე როგორც ფუსდი მგქემ თჷრინგზელის და ჯგგრჷგის ტაბგლები, საკუთრივ თავიანთი მფლობელის არსის გამომავლინებელი არიან.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია 12 ტომად ტ.1 1979 წ. გვ. 156, 157.
[2] ივანე ჯავახიშვილი, 1979 წ. გვ. 158-159.
[3] ივ. ჯავახიშვილი. 1979 წ. გვ. 164-170.

მაშ რა იგულისხმება ხოშა ღერბეთის ტაბგლში და როგორაა იგი გამოხატული: 1. „მუქელუ“ - წინამძღოლი. ხოშა ღერბეთიც იდეურად წინამძღოლია თავისი პანთეონის; იგი ყველაფერში პირველი და წარმმართველია.

2. „სეფსკუერ“ - ქრისტიანული სეფისკვერის მსგავსია ფონეტიკურად, არსით კი - დამბადებელი. მასში ფიგურირებს საკრალური რიცხვი 4. (ოთხი ნაჭდევი უკეთდება მას ზედა მხარეს, იგი დიაგონალურად ჯვარს ქმნის), ეს კი „შესაქმისეული“ მზის ღვთაების რიცხვია, რომლის იდეური შემცველი ღვთაებათა სამეულში - ფუსდი მგქემ თარინგზელია!

3. „მუსუალდ“ - „სეუი მუჰდი-ლი“ ანუ იგი ზრდის და მატების არსის მომცველია. ეს კი უზენაესი შემოქმედი ღმერთის არსობრივი თვისებაა. დიდი ღმერთის ამ თვისების გამომავლინებად სწორედ „მუსუალდ - მთვარის სახიანი ლემზირი აურჩევიათ. და მას ჰქვია არა დოშდიშ || დოშდულ არამედ „მუსუალდ“, რათა ამ საკრალური ენით დაშიფრული ყოფილიყო შემეცნებული დიდი ღმერთი, თავისი ერთ-ერთი საკრალური თვისებით.

4. „ლემზირ“ - სახიერად მიწის ნობათია, წარმოსახვით კი მიწაზე ცის მეშვეობით მოვლენილი მადლი, მაგრამ შემდეგ ადამიანის ხელით შექმნილი და გააზრებულად ისევ ცისთვის გაღებული. ფონეტიკურად მისი აგებულება ასეთია: სა-მზეო, „მზირა“-სთვის განკუთვნილი. ლემზირების ფორმით თუ ვიმსჯელებთ, მასში ორი საწყისი იდეაა გამოკვეთილი: ა) ცისა და მიწის ერთიანობა, ბ) ზეციური შემოქმედის პირველადობა.

ა) თუკი ლემზირის ფორმას, კერძოდ, მის სიმრგვალეს, მივიჩნევთ დედამიწის გრაფიკულ სახედ, მასზე დასმული სამი ლემზირი - ცის მეუფის საკრალური რიცხვი გახდება. ცის მეუფე, დიდი ღმერთი, სვანთათვის „ერთარსება - სამია“, ან კიდევ ეს სამი ლემზირი შეიძლება იყოს მიწიერის ზეციერისადმი რწმენის - სულიერი მზერის - გამომავლინებელი ნიშანი.[1] (მიმართულება).

ბ) თუკი ლემზირის ფორმას კერძოდ მისი სიმრგვალეს მივიჩნევთ მზის გრაფიკულ სახედ, სახედ იმ მზის, რომლის არსშიც პირველად მდედრობითი არსით „ერთი“ - დალ ეშხუმიში გამოიკვეთა, დასახული სამი ლემზირი - დიდი ღმერთის „ლიქელუის“ გამოვლინების შემდეგ მიღებული „სამობა“ გახდება. ორივე შემთხვევაში ლემზირის სახიერად მჩენი ადამიანია. მისი სულიერი ხედვით შექმნილი ეს სალოცავი პური იმ დროის ნაყოფია, როდესაც მან ცაზე მსუფევი შემოქმედის არსებობის რწმენა გაითავისა. ამ პირველ ერთში მან დამბადებელი მზე დაინახა.

ლემზირ, რისი ფორმაც არ უნდა ვიგულისხმოთ მასში (მზის თუ მიწის!), უპირატესობა მაინც იმ გარემოებას უნდა მიენიჭოს, რომ ეს, სალოცავი პურის ერთ-ერთი უძველესი სახეა და იგი მოიცავს მიწიერის - ადამიანის - ცისადმი მსახურებისა და მისი მეუფის - უზენაესი შემოქმედის - არსობის რწმენასაც. უზენაესის არსი ლემზირით „ერთარსება სამია“.

თუკი ამ ყოველივე ზემოთქმულს შევკრებთ და გავითავისებთ იმ გარემოებასაც, თუ რა გაგებით და იდეური გააზრებით ჩამოყალიბდა დიდი ღმერთის ცნება და შესაბამისად მისი „ტაბგლის“ პურებიც, (აქ, ასევე ყურადსაღებია ტაბგლში ამ პურების რაოდენობაც!) შეიქმნება ის მითიური შრე, რითაც „დიდ შემომქმედთან“ ქალღვთაებაც გაიაზრება. ისინი „ორივენი ერთად“ არიან „ოთხივე კუთხის“ (სივრცის) მფა-

[1] ამას გვაფიქრებინებს ამ სალოცავი პურის სახელწოდება „ლემზირი“ და ნაწიბურის სახელწოდება „ლემზირი“ ანუ ამ ორივეს სიტყვიერი იდენტურობა.

რველნი. მათით ხდება მიწაზე არსებობა („არდი“ მზის სახელია!). ამიტომაცაა ამ აზრის დაფიქსირებისათვის „სეფსკუერის“ ფორმა არჩეული. ეს ფორმა კი იგივე „ლამარიჭ შილგგნეს“ ფორმაა, იგივე გიმი ლემზირის ფორმა; ტაბგლში სეფსკუერის რაოდენობაც ოთხია. პურზე ოთხივე ნაჩვრეტის დიაგონალური შენაერთიც ჯვრის სახეა.

აი რა საიდუმლოებას იტევს რწმენასთან დაკავშირებული ყოველივე მცირე ნიუანსიც კი; ხოშა ღერბეთის ტაბგლი მისი არსის მომცველია. მისი დღე მზის დღეა, უფლის დღე, რადგან უფალი მზესავით ძლიერი და ერთადერთია! და მაინც ვინ არის „ხოშა ღერბეთი“: „ხოშა ღერბეთი“ შემოქმედია, ზრდის და მატების ფუნქციის მქონე. ის სამყაროს (ცისაც და მიწისაც!) მეუფეა, ის პირველია და ამიტომაც ყველგან და ყველაფერში წამმართველი ანუ, „მუქეღუია“. მისი არსებობის ძალა—სამმკვიდრეო—ზეცის სარტყელია და ამ ძალას იგი, უპირველესად, მიწაზედ ავლენს. მიწისა და ცის მარადიული კავშირი წრიულია—მსახურებითი, მიწიერის მისადმი რწმენით გაჯერებული. ღვთისაგან ბოძებული მადლიც ამიტომაა მარადიული. ღვთის უდიდესი მადლი კი მიწიერის კვლავ არსებობაა. ამ ყველაფრის მითოლოგიური შრის გამომავლინებელი სწორედ ის გარემოებაა, რომ უზენაესი ერთის გვერდით არსებობს მისი ზეციური მეწყვილე - მზის ღვთაება დჳლ, რომლის ბუნებრიობის გარეშე ჩანს ეს „მუქეღუი“-ც არაფერია! ამის გამოა ხოშა ღერბეთი „ერთარსება ორიც“და „ერთარსება სამიც“ თავის „ერთადერთობასთან“ ერთად.

აქედან გამომდინარეც, უფლება გვეძლევა, ღღეობების ტრადიციებში გასხეულებული მსოფლმხედველობა წინარექრისტიანულად მივიჩნიოთ და განვაცხადოთ, რომ უფალი, ერთი შემოქმედი, დიდი ღმერთი, ქართველებს ქრისტიანობამდე ბევრად უფრო ადრე ჰყავდათ შეცნობილი. და იგი „ეშხუ“ - „ერთი“-ს ლექსემითაა გამოხატული. მისი არსის ძალა მხოლოდ მზის ბუნებრიობასა და სიცოცხლის ძალასთანაა გაიგივებული.

რიტუალური ტრადიცია აკონკრეტებს იმ გარემოებასაც, რომ ამ „ერთი“-ს გამააზრებელ სულიერ კულტურაში არსებობს მხოლოდ სამყაროს შემოქმედი არსის ძიებითი საფეხურები არა წყვეტილი, არამედ „სრულყოფილებასთან“ მეტად და მეტად მიახლოვებული. ვფიქრობთ, ამ მყარი საფუძვლის გამოც გახდა ქართველი ერი ქრისტიანობის მართლად მადიდებელი ერი, თუმც ისეთი, რომელსაც მსახურების ხალხური, ძველი ფორმები არ დავიწყნია; მთიელის არაეკლესიური ცხოვრება არ ნიშნავს მის ურწმუნოებას!...

ლოცვის ჟამს პირველი ლემზირი დიდი ღმერთისაა, სარიტუალო თუ სალხინო ტრაპეზისას მისი დიდების წარმომჩენი „სახსიგელის“ პირველი სასმისი. მისი დიდების გამომავლინებელია საერთო ღღეობები საუკეთესო ზვარაკიც ოჯახის თუ სოფლის მიერ გაღებული (ხარი!) ისევ დიდი ღმერთისაა; რა უზომო ტკივილია ოჯახისთვის ხარის დაღუპვა, მსხვერპლად დიდი ღმერთისთვის მისი შეწირვა კი - ზეიმია, მადლის გაღების და მიღების ზეიმი. ბუნებრივია, არსებობისთვის ამ უმნიშვნელოვანესის (ხარის!) გაღება შემოქმედის მიმართ არ აღიქმება იმ მადლის ტოლად, რასაც მისგან ელოდებიან, მაგრამ ეს უდიდესია რაც მიწისმოქმედს - ადამიანს - გააჩნია!

დიდი ღმერთია წესების დამწესებელი (წეს მჳგ ისგუ ნჳწჳს ლი!)—შემოქმედი ცისა და მიწისა.

ლიდბაშებისას ხოშა ღერბეთის ხსენება ლოცვითაც კი დაუშვებელია. იგი არც კერის || ლამარიას || გიმი ლიმზირისას არ იხსენება. მისთვის ლემზირების აღმვლენი მხოლოდ მამაკაცია. მიწაზედ ხოშა ღერბეთის სამკვიდრებელი წმინდა სალოცავი ეკ-

ლესიაა. აქაც, ღვთის სამყოფში—საკურთხეველში, ქალი არ დაიშვება. სახლის შინა-შიც სალოცავი სარკმელი მხოლოდ მამაკაცების მხარესაა. ტგრბეზ ჰქვია სვანურად ამ მხარეს, ეკლესიის საკურთხეველსაც ტგრბეზ ჰქვია. შეიძლებაა კი ეს იდენტურობა შემთხვევითობად ჩაითვალოს? ვფიქრობთ, არა. ქრისტიანობა და მისადმი მსახურების კანონზომიერებანი უსაფუძვლოდ არ შეიქმნებოდა. მან, ჩანს, წინარე მსოფლმხედველობისაგან ბევრი რამე შეითვისა... ღვთის და მისადმი მსახურების კანონზომიერება და აუცილებლობა მარადიულია. ის ადამიანშივე კოდირებული „რელიგიური კაცის" ბუნებაა. ღვთის სახიერ გამოცხადებამდეც ხომ იგივე ადამიანი იყო მისი მორწმუნე და მსახური, როგორიც გამოცხადების შემდეგ...

სვანეთში არსებული სალოცავების თავდაპირველი სახე დარბაზული ტიპისაა, იქნება იგი მრგვალი თუ ოთხკუთხედი დაგეგმარების. ჩვენის აზრით, იგი უნდა იყოს შინას ტგრბეზის სივრცის საფუძველზე აგებული. ამით სახლის შინას სალოცავი ცის ქვეშ ცალკე აღმართული სალოცავის მსგავსია. ეკლესიის აშენებით ყოფიერადაც და ცნობიერადაც „მამაკაცი" გახდა პირველი. იქნებ, ღია ცის ქვეშ სალოცავი აღიმართა მაშინ, როდესაც ცნობიერებაში გაჩნდა „წმინდა ადგილის" („ჯგრი ᲐᲒი-ს") შემეცნება, გაცნობიერება იმისა, რომ სწორედ ეს ადგილია სალოცავად ღვთივკურთხეული - ზეცით „ლგჯგირ"! მანამდე?! მანამდე კი არსებობდა ქალის ნებით არჩეული საიდუმლო სალოცავი ადგილები, ისეთი, როგორიც დღეს ლადბაშებია. ეს ქალთა საიდუმლოდ და არა სახალხოდ მსახურების ადგილია, განსხვავებით ეკლესიებისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, „სალადბაშეს ლამᲔრაც" ხდებოდა ეკლესიის საფუძველი - „წმინდა ადგილის" მტვირთველი. აქაც ხომ „უხილავის" მსახურებაა ჩანს, ამადაც იქცა ლამᲔრია სვანეთში ეკლესიის განუყოფელ ნაწილად!

ჩვენის აზრით, უნიკალური შემთხვევაა ეკლესიის ფორმად „სეფსკუერ"-ის ფორმის ამორჩევაც.[1] ეკლესიის ფორმად მისი ამორჩევა რწმენის საგანძურია და სახიერი ფაქტია იმ დროისა, როდესაც უკვე დიდი ღმერთის იდეური სახე ჩამოყალიბდა და მისი მეუფების სიმბოლური სახე (ლემზირის სახე) სალოცავის (ეკლესიის) სახედ იქცა. იქნებ ეს გარდამავალი სახეა ეკლესიის დარბაზულ ტიპსა და ჯვრის სახიან თუ გუმბათიან დაგეგმარებას შორის. ვერ ვიტყვით, რადგან იგი ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. მისი გადაწყვეტა ხელოვანთა საქმეა, მაგრამ იმის თქმა მაინც შეგვიძლია, რომ ის ერთ-ერთი უძველესია, რითაც სახიერად დაფიქსირდა „ერთის" არსში „დამბადებლის" ბუნებრიობის შეცვლა „სიცოცხლის მომნიჭებელი" დიდი ღმერთის ბუნებრიობით. და დაფიქსირდა ის გარემოებაც, რომ პირველი ცაზედაც და მიწაზედაც მამაკაცური ბუნებრიობაა და პირველობაც საეკლესიო მსახურებაში მისია. ამით ქალის მსახურებითი წესები სახიერად დაკნინდა და მზის საკრალური სახე „დიდი ღმერთის" კუთვნილი გახდა.

დᲔლ ეშხუამიშში კოდირებულია მზის ისეთი ბუნებრიობა, რომელსაც შეუძლია ყოველივეს ახლად დაბადება. აქვე კოდირებულია ის მრწამსიც, რომ დᲔლი მეორე „ერთთან" მუდამ არსებული ბუნებრიობაა. ეს ორივე არსი კი „ერთ"-შია გათავისებული („ერთ არსება ორი") და იგი „შესაქმის" რწმენაა. ვფიქრობთ, ეს არის ქვაკუ-

[1] ლატალში თანღის მთაზე მდგომ თანღი თᲔრინგზელს აქვს „სეფსკუერ"-ის ფორმა: შიგნით მრგვალი, გარეთ ოთხკუთხა გუმბათიანი. გავიხსენოთ, სეფსკუერის შექმნის ფორმები. (იხ. ზემოთ) გავიხსენოთ ისიც, რომ ამ გზით (ლემზირზე ჯვრის დასახვით!) შექმნილი ლემზირი, ხოშა ღერბეთის მუჟეღუს სახესაც ქმნიდა სვანეთის სხვა სოფლებში. (იხ. Ეეშხუამის ტრადიცია, ზემოთ).

თხედი ღმერთის („ღრმა“ + „ერთი“), როგორც სემანტიკური ისე ეტიმოლოგიური ახსნისაც და „ორბუნებოვნებიდან“ წარმმართველად მამრულის გამოყოფისაც. (ყოველ შემთხვევისთვის ეს ასე ჩანს უძველეს ქართველთა (სვანთა!) მსოფლხედვაში) „ერთარსება სამიც“ აქედან შეიძლება იღებდეს სათავეს: მამა, დედა, ძე!

მაშ, ყოველივეს დაბადების, არსებობის და სიცოცხლის მიწაზე გაჩენის („ლირდე“-ს) ცით მოვლინებულობის რწმენა და იდეა ხდება ღვთაებრიობის არსებობის რწმენითი საფუძველიც, საფუძველი „ერთი“-ს უზენაესობისა და მისგან „ყველაფრის შემოქმედების“ იდეისა. ეს იდეა კი მოითხოვს მის მსახურებას. მსახურების სახე კი, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ისეთია, როგორადაც იგი სვანურმა ყოფამ და მსოფლხედვამ შემოგვინახა: - ყოველივე წმინდა და საუკეთესო ღვთისთვის - მზისა და საუფლოსთვის. ამადაცაა უძველესთა „მზის დღეც“ ღვთისთვის განკუთვნილი. დღეობათა რიგის ათვლაც მზის დღით იწყება!

ორშაბათი მთვარის დღეა. სამწერლობო ქართულის „მთოვარე“ მოქმედებითი გვარის მიმღეობაა, ამიტომ ეს სიტყვა თავდაპირველად არ შეიძლება მხოლოდ ღამის მნათობის საკუთარი სახელი ყოფილიყო. მთვარის თავდაპირველი სახელი ქართულში „თუთეა“ და ასეთივედ უნდა წარმოდგენილიყო იგი ოდესღაც ორშაბათი დღის სამწერლობო ქართულ სახელშიაც მთვარის წელთაღრიცხვის დროს. მთვარის წელთაღრიცხვა წინარექრისტიანულია, მზის წელთაღრიცხვა კი - ქრისტიანული. ქართველებში მთვარის კულტს წმინდა გიორგი შეენაცვლა.[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში მთვარესთან იდენტიფიცირებულია ჯგრაბი. ჯგრაგი თავის მხრივ იდენტიფიცირებულია ჯეგე-მისარონთან - წმინდა მირსასთან. მიგვაჩნია, რომ ჯგრაბი არ ასოცირდება (ვგულისხმობთ მის პირველ არსს!) არც წმინდა გიორგიში და, მით უფრო, მირსაში. ჯგრაბი წინარექრისტიან ქართველთა მსოფლხედვაა, მირსა - ცეცხლთაყვანისმცემელთა. წმინდა გიორგი ქრისტიანი არსებაა, რომელიც წამებული იქნა ქრისტესათვის. ჯგრაბი არ ასოცირდება მთვარეშიც, ის სხვა არსობრივი დატვირთვისაა. მაშ, რით აიხსნება მზის წელთაღრიცხვამდე მთვარის წელთაღრიცხვის არსებობა და ჯგრაბის ძლიერი კულტი“?

ჩვენ ძალიან გავმარტივდებით და მის საფუძველზე პასუხსაც მარტივს გადმოვცემთ: მთვარის ცვლილება სახილველი ფაქტია და დროის „დაფიქსირებაც“ ამით უფროა ხელსაყრელი, ვიდრე მზით. მზე „შეუიარაღებელი“ გონებისთვის ფორმა უცვლელია, ერთიდაიგივე ანუ დროში უცვლელი - მარადიული! ამდენად, როცა სიცოცხლის შემოქმედად მზე - დამბადებელი გაიაზრებოდა, დროის საზომად (მის მეუფედ!) მთვარის ფაზები, მისი სახიერი ცვლილება გამოიყენებოდა და პირიქით. როცა პირველი შემოქმედი დიდი ღმერთი გახდა, დრო მზის კალენდრით შეიცვალა. ჩანს, მზის და მთვარის (ორი სხვადასხვა არსის) ჰარმონიულობა ამ კანონზომიერებასაც ითვალისწინებდა. მთვარე ქართველთათვის მამაკაცია: „მთვარე მამაა ჩემი“! და ამასვე უკავშირდება განაცხადიც: „მე და ვარ და ის ძმა არის!“ ანუ „ძი“-ს კულტი, როგორც დროში სიცოცხლის გამგრძელებლისა. ამ კუთხით შეგვიძლია ასოცირებულ იქნას ჯგრაბი „მთვარის კულტში“ და სქესობრივად დავუკავშიროთ იგი დიდ ღმერთს. ზრდის და მატების ფუნქცია დიდი ღმერთისაა და ეს თავის ტაბგლში ნახევარმთვარის ფორმის „მუსუ̃ალდ“-ით გამოიკვეთა და არა დოშდულით“. (ჩანს თეონიმი არსს აფიქსირებს და არა რაიმე სახესადმი თაყვანისცემას!). ჯგრაბის ეტიმოლო-

[1] ივ. ჯავახიშვილი 1979 წ. გვ 171. გვ 90, გვ. 88-100.

გიურ ფუძეს კი, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ,,წმინდა ადგილი'' (ჯგგრი + აგი) უნდა წარმოადგენდეს; ჯგგრაშგი || ჯგგრი აშგი ზეციერის ნობათია. იგი მიწის წმინდა ალაგია, სადაც სალოცავი, ღვთის საყდარი უნდა აშენდეს. თუ ეს ასეა, რა კავშირი აქვს მას ძესთან - მიწიერ მამაკაცთან? რატომ გახდა ჯგგრი + აგი ჯგგრაშგი?

მამაკაცია დიდი ღმერთის მიწიერი სახე. მამაკაცია სიცოცხლის შემქმნელი მიწაზე და, ბუნებრივია, ხოშა ღერბეთის ,,ხელდასმული'' ,,ჯგგრი აგი''-ც მათი კუთვნილია. ჩანს, ამ კონტექსტით იცვალა სახე ,,წმინდა ადგილის'' აღმნიშვნელმა ცნებამ ,,წმინდანის'' ცნებამდე; ,,ჯგგრი-აგი'' გახდა ,,ჯგგრაშგი''. ის პანთეონის მესამე წევრია ,,დედის'' და მამის'' შემდეგ.

ამდენად, ჯგგრაშგს ისევე, როგორც ლამაშრიას, ,,მიწიერი'' საფუძველი გააჩნია. ისინი ყოფით გაღმერთებულნი არიან და მითიურად შვილთა სახეს ქმნიან (,,ძე - შვილი'' - ,,ქალი - შვილი''). ,,მიწიერად'' მათი ეტიმოლოგიის ახსნაც ამიტომაა შესაძლებელი: ლამაშრია—ლიმაშრეა. ჯგგრაშგი კი - ჯგგრი აგი. (ზეცით კურთხეული წმინდა ალაგი!)

ლამაშრია ქალის მსახურების მომცველია. ანუ ეს არის მსახურება მიწიერისა ზეციერისადმი მიწის ნობათის მიძღვნით და აღვლენით. რადგან ეს მთლიანად ქალის საქმიანობას უკავშირდება და წარმოადგენს საკრალურ აქტს, ლიმაშრეს მადლი მთლიანად ქალთა მფარველად იქცევა და ხდება იგი ქალთა არსებობის მფარველიც. ქალი კი თავის არსს დედობით, კერით და მიწის ნობათის დამუშავებით გამოხატავს. ის სიცოცხლის მსახურია. ამადაცაა ლამაშრია ყოველივე იმის მფარველი, რაც ქალს და დედის არსს უკავშირდება. ის მსახურების მადლია მიწიდან ზეცისკენ მიმართული, საპირისპიროდ ჯგგრაშგისა. ,,ჯგგრი'' - ,,აგი'' ციდან მიწაზე გაჩენილი სიწმინდეა, ზეცით კურთხეული. ის მამაკაცის კუთვნილია და ამადაცაა იგი მისი მფარველი. სადაც კი არსებობს მამაკაცის ძალა და ბუნების არსი, იქ ჯგგრაშგია წმინდა მფარველი. ის დიდი ღმერთის (,,მამა-ზეციერის'') რჩეულია, მიწაზე თავის დიდებისათვის მოვლენილი. (ეკლესია და ღვთისმსახურება საბოლოოდ მამაკაცის კუთვნილი გახდა! მამაკაცი ღვთის რჩეულია. ქალი - მსახური!...) ყოველივე ამით კი იკვრება წრე მიწიერის ზეციერისადმი რწმენისა და მსახურებისა. ჩანს, ადამიანის ერთ-ერთი მისია ესეც არის! ის ხომ ,,რელიგიური კაცია''!...) მიწაზე ადამიანის არსებობა ძე-შვილის მადლია. მისი მოვლინება ღვთის შვილობაა. ძე-შვილის არსებობა და მისი ღირსებით დამკვალიანებელი ჯგგრაშგია.

ჯგგრაშგია ძე-შვილის არსებობის მფარველი. ძე-შვილი კი გენის, ჯიშის, მოდგმის გაგრძელებაა - მარადიული არსებობის ,,გზაც და ხიდიც''. ვფიქრობთ, არცაა გასაკვირი ქართველებში ამ ,,კულტის'' ასე ძლიერად არსებობის ფაქტი. მისი ასტრალური სახე მთვარეა, ღვთაებრივი მადლი - ჯგგრაშგი, მისი ქრისტიანი მფარველი წმ. გიორგი. აი, საკრალური წრე, რითაც ძე შვილით სიცოცხლისა და არსებობის მარადიული კანონზომიერება იკვრება. ეს მადლი კი ზეცის მადლია მიწიერის კვლავარსებობისათვის მოვლენილი. ასეა რწმენით!...

ამით შეგვიძლია დავამთავროთ საუბარი შაბათის მფარველ ჯგგრაშგზეც, რითაც ჩვენდაუნებურად გადავუხვიეთ კიდეც ორშაბათის მფარველზე საუბარს. ხალხური გაგებით მისი მფარველი თაშრინგზელია და არა ჯგგრაშგი. ამით ჩანს ის გარემოებაც რომ მთვარესთან ,,რაღაცით'' თაშრინგზელიცაა წილნაყარი. საინტერესოა რით?

ზემოთ თაშრინგზელის ბუნებაში დამბადებელი არსი გავიაზრეთ. აქ კი აღვნი-

შნავთ იმას, რომ ,,მთელს მის სავაზიროს'' კვირიაკეს გარდა შვიდეულის ყოველი დღე აქვს სალოცავად მიკუთვნებული:

ორშაბათი დღეა ,,ბარბალ-მგხერ თარინგზელის'', ,,ნესკლდაში თარინგზელის'' და მისი ძირი სალოცავის- ,,ჭუხრნი თარინგზელის'' სალოცავი დღე. ორშაბათივეა ,,თანლი თარინგზელის'' მფარველი და კუთვნილი დღე.

სამშაბათი და პარასკევი - ,,კაბაშა თარინგზელის'' (ზვავების, მეწყერების მეუფე!), ხუთშაბათი - ,,ლემქლდი თარინგზელის'' შაბათი - გუჰლი თარინგზელის''. ,,მეზრა თარინგზელის'' კუთვნილი ძირითადი სადღეობო დღე - სამშაბათია,[1] ნათგლმცემლის - ოთხშაბათი. არსებობს ასეთი სახელწოდების წმინდანი; ,,დეშდშია მგქემ თარინგზელ'', რომელიც ყოველი ახალი მთვარის პირველ ორშაბათს (უცარდა დეშდიშს'') უნდა იქნეს ხსენებული სახლის შინას სალოცავში.

თარინგზელში მზის ღვთაებასთან ერთად მიწის ღვთაებაც უნდა იყოს გაერთიანებული - ორივე ქალ-ღვთაებათა ბუნებრიობით. დედამიწის ღვთაება კოლხებისთვისაა ,,გა'', ბერძნებისთვის ,,გაიმ''. სვანურში ,,გიმ'' წარმოადგენს ,,დედამიწის'' საკრალურობის იდენტურ ცნებას: ჩვეულებრივ ,,ვერ'' ადამიანის ხელით ამოთხრილი, დამუშავებული მიწაა: ,,ვერრ ჯალფარა'' - წყევლის ფორმულაა - მიწა დაგფარებოდეს! (მიწა დაგეფაროს!). ,,ისგუ მუთრენი გიმრ ალმაზრელი'' - შენი დამბადებელი მიწა დალოცვილიყოს და არა ,,ისგუ მუთრენი ვერრ ალმაზრელი''. ,,გიმ ტყვეფნიდა მიჩა ცოდშ'' - მიწა იძვროდა მისი ცოდვით და არა ,,ვერ ტყვეფნიდა მიჩა ცოდშ''. ეს და სხვა მრავალი მსგავსი, ,,გიმ''-ის საკრალურობას ავლენს და მას იდენტიფიცირებულს ხდის ,,გა''-სა და ,,გაიმ''-თან. თავის მხრივ კი - თარინგზელის ფუძე - არსთან.

თარინგზელის პირველ არსში, ჩანს, ასეთი ფორმულირებული იდეაა ჩადებული: ,,ქალი ყველაფერია, მაგრამ სიცოცხლისათვის მარტო იგი—არაფერი''. ამ გაგებით უნდა ხდებოდეს თარინგზელი შვიდეულის დღეთაგან ორშაბათის მეუფე - ღვთაებათა პანთეონში კი - რიგით მეორე წევრი - ქალური ბუნებრიობის და სტიქიონის მეუფე. ჩანს, ამადაც ეკუთვნის მას შვიდეულის ყოველი დღე, გარდა კვირიაკესა - ის ხომ დროში დამბადებელი განგებაა: დამბადებელი ორივე არსის დადებითი თუ უარყოფითი პოტენციით (ავით თუ კარგით, ძით თუ ქალით!..)

სამშაბათი არიას ანუ მარსის დღეა. მარსი კი სამხედრო და ომიანობის ღვთაებად იყო მიჩნეული. ამის მიხედვით საფიქრებელი ხდება, წერს ივანე ჯავახიშვილი, - რომ სვანურ-მეგრულ ,,თახა'' და ჭანური ,,ტარკუნ'' არიას ანუ მარსის სახელი უნდა იყოს და ქართველ ტომთაგანაც ომიანობის ღვთაებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული... ,,ტარკუნ'' ან ,,ტარხონი'' სახელის ღმერთს ხეთელნი ომიანობის ღმერთად თვლიდნენ, მაგრამ ერთსა და იმავე დროს წელზე ხმალშემორტყმული ხელში ელვა - მეხის ემბლემითაც იყო წარმოდგენილი... ,,თახა'' ,,ტარხონის'' თუმცა მერმინდელი, მაგრამ მა-

[1] მეზრა თარინგზელის სასოფლო დღეობანი ლიქვრეში, ლივრაში, ლიჴდუში ყოველთვის კვირას აღინიშნება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეზრა თარინგზელის სალოცავი დღე კვირაა. იმ გარემოების გამო, რომ ამ დღეებში ლემზირები ყველას აღევლინება და მათგან პირველი ხოშა ღერბეთს, მათთვისაც მხოლოდ ამ გაგებითაა ,,გამეტებული'' კვირა დღე. ასევეა ლიმპარიც. იგი კვირის დღეობაა, თუმცა მისი მფარველი უფრო ჯგგრაგ ლიმპარიშია, ვიდრე ხოშა ღერბეთი, მაგრამ ჯგგრაგი ხომ ხოშა ღერბეთის ,,ნაწილია'', მისი ,,მიწიერი ორეული'', მამაკაცის შემწე და მფარველი. ამდენად, კვირის გარდა თარინგზელის სალოცავი დღე შვიდეულის ყველა დღეა.

ინც საკმაოდ ძველი ფორმა უნდა იყოს.[1]

ხალხური გაგებით, სამშაბათი მაცხვარის დღეა. იგი სიცხიანი ავადმყოფობის გამჩენია. სამშაბათს აღევლინება მეზრა თარინგზელს და კაჟა თარინგზელს ლემზირები. ეს ორი კი ერთმანეთის ნაწილნი, მეხის, ელვა - ჭექის (ხოლა ჰალ ი ჭალ!) გამგებელნი არიან. მათი მსგავსია ჰარტი თარინგზელიც. მისი სალოცავი დღე ხუთშაბათია.

ოთხშაბათი დღის ღვთაების წარმართული ქართული სახელი სამწერლობო ქართულს ჯერ-ჯერობით არ უჩანს და ამის მაგიერ ბერძნული სახელით ჰერმესისათვის ანუ მერკურისათვის განკუთვნილად ითვლება. ოთხშაბათის ღვთაება მეგრულად და სვანურად „ჯუმად" იწოდება. „ჯუმა" და ხევსურულად „ჯიმაღი" შეიძლება ჰერმესის ძველ ქართულ ფორმად მივიჩნიოთ,[2] - აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი.

იქნებ „ჯუმა"-ს დღე „ძმის დღეს" ნიშნავს? თუ გავითვალისწინებთ ქართველი ქალისთვის ძმის ფენომენს, მისთვის სალოცავად ერთ-ერთი შვიდეულთაგანის გამოყოფაც არ გაგვიკვირდება. ქალების უმთავრესი სავედრებელთაგანი თავიანთი „ლიდბაშებისა", დღესაც მამაკაცთა სვე და ბედია. ვისთვის იგი ქმარი იყო, ვისთვის ძმა და ვისთვის მამა.

ხუთშაბათი ქალის მიერ ცის მსახურების დღეა - ლამარიას დღე. ყოველი ლემზირი და ლიმზირი ლამარიას გუნიზით იწყება. ლამარიას ტაბგლიც (სახე!) ეგ არის. აღნიშნულით, ვფიქრობთ, ერთხელ კიდევ მტკიცდება ლამარიას არსის ჩვენეული ინტერპრეტაციის მართებულობა. ლამარია ცის მსახურებაა ქალის მიერ კანონად დამკვიდრებული. ხუთშაბათიც ლამარიას კუთვნილი დღე, ცის მსახურების დღეა.

პარასკევის ღვთაების სახელად „ობი" და „ვები" წარმოგვიდგება. (ობიშხა - მეგრულში, ვებიშ - სვანურში). იგი ღირებულთა ბატონი ყოფილა და ენათესავება ხეთურ ავდრის ღვთაებას „თეშუბს".[3] ხალხური ტრადიციით ამ დღეს აღევლინება ლემზირები კაჟა თარინგზელს, მეზრა თარინგზელს და ჰარტი თარინგზელს. ეს სამივენი (ერთმანეთის ნაწილნი) ღრუბელთა ბატონის ბუნების გამომავლინებელნი არიან. მისი ძალა ყოველთვის ავის, საფრთხის - „ვებ"-ის მომასწავლებელია.

შაბათის მეუფე ტრადიციულად ჯგრაგია. სულხან საბას თქმით, შაბათი არს კრონოსი - მეშვიდე ცაზე მსუფევი. ხევსურთა გაგებით, მეშვიდე ცაზე „მორიგე ღმერთია". რაკი კრონოსი ქვეყნიერებისა და დრო ჟამის მომწესრიგებლად ითვლებოდა, შესაძლებელია ამ მნათობ ღვთაებას „მორიგე" რქმეოდა კიდეც, მაგრამ, მაშინ, რასაკვირველია, ეს მისი წოდებულება იქნებოდა, ნამდვილი სახელი კი სხვა უნდა ჰქონოდა, რომელიც გამოსარკვევი იქნებოდა...[4]

იქნებ იგი ჯგრაგია, ფუნქციურად ხოშა ღერბეთის თანაზიარი განგება, მიწიერთან უფრო ახლოს მყოფი და მამაკაცთა მფარველი. ვინ იცის!... თუკი, შვიდეულს ცის სარტყელებად წარმოვიდგენთ და მათ ათვლას დავიწყებთ კვირით, აქედან (მისი ჩათვლით!) მოყოლებული, მე-7 სწორედ, ჯგრაგის სარტყელი იქნება (კვირა, ორშაბათი... 7-შაბათი).

ხოშა ღერბეთის „პირველ განგებად" გამორჩევის შემდეგ ჯგრაგის ღვთაებრივი არსობაც დაკონკრეტებული იქნებოდა „წმინდანის" ცნებამდე და ჩამოყალიბდებო-

[1] ივ. ჯავახიშვილი, 1979 წ. გვ. 173-177.
[2] ივანე ჯავახიშვილი, 1979 წ. გვ. 177.
[3] ივანე ჯავახიშვილი, 1979 წ. გვ. 179-182.
[4] ივანე ჯავახიშვილი, 1979 წ. გვ. 182-187.

და იმად, რა თვისებრიობაც მას ,,დღეს'' გააჩნია: მამაკაცის მფარველი და ამით ქვეყნიერების მომწესრიგებელი. (ქვეყანაში აქ ადამიანის სამკვიდრებელი მოიაზრება). თუკი ეს ასეა, ჯგრაჴგის მეშვიდე ცაზე სუფევაც და მისი ,,მორიგედ'' მონათვლაც მისაღებია.

ჩანს, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის კანონზომიერებანი შვიდეულის მფარველ ღვთაებათა ბუნებრიობის (არსის!) გარკვევაშიც გვეხმარება. იქნებ შემდგომმა კვლევა-ძიებამ შეავსოს და გამოასწოროს კიდეც ჩვენი ვარაუდებიც და დაშვებული ხარვეზებიც.

IX

„ფუსდი მგქემ თᲐრინგზელი“ და „თᲐრინგზელები“

სვანურ ღვთაებათა პანთეონის რიგით მეორე წევრი „ფუსდ(ი) მგქემ თᲐრინგზელია“. ამ სახელის ეტიმოლოგიაზე ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა საუბარი. მისი სრულყოფილი ახსნა არ მოგვეპოვება.

ფუსდ მგქემ თᲐრინგზელ პარადიგმული „პერსონაჟია“; იგი ხოშა ღერბეთის თანმდევი შემოქმედი არსია! სვანურ რელიგიურ წარმოსახვაში თᲐრინგზელის მთელი სავაზიროა, თუმცა არც ერთ მათგანში არ მეორდება „არც ფუსდ“ და „არც მგქემ“ საერთო მხოლოდ „თᲐრინგზელია“. „ფუსდ“, როგორც აღვნიშნეთ „ღვთის“ ტოლფასი ცნებაა (ფუსდ აბᲩᲐსდიშ, ფუსდ დამბადებელ, ფუსდ ჟიბე ლგკლათხე - ხოშა ღერბეთის ეპითეტებია!). „მგქემ“ (თვისება) ძირითადი არსია ფუსდ მგქემ თᲐრინგზელის. ეს ძირითადი თვისება მისადმი მლოცველის მიმართვითაც კონკრეტდება: - ნᲐფშირი Ანვაზირ, ხოჩა დრეე ი ონა Ანვაზირ - სიმრავლე გვივაზირე, კარგი დრო და ჟამი გვივაზირე, დიდებულო!

მგქემ თᲐრინგზელ „დიდი ღმერთის“ ვაზირია. (—ფუსდᲐ ვაზირ ხი!) და ჩანს, ამადაც არსებობს მის სახელწოდებაში ხოშა ღერბეთთან მისი გამტოლებელი სიტყვა — „ფუსდ“.

ფუსდ მგქემ თᲐრინგზელის ეს იდეური სახე ქმნის მრავალმხრივობას ანუ თარინგზელთა სიმრავლეს; მდედრული ბუნებრიობა, ჩანს, ასეთ შესაძლებლობას იძლევა. ფუსდ მგქემ თᲐრინგზელი „დიდი დედის“ მითოლოგიური სახეა. იგი დალის სახელნაცვალი არსია.

თᲐრინგზელის || თარგლეზერის სავაზირო შეიწირავს ყველა სახის შესაწირს. უპირველესად იმას, რაც ქალის საქმესთან არის დაკავშირებული. ეს იქნება წმინდა ხორბლის ფქვილისგან დაცხობილი „ლემზირი“ თუ წმინდად ამოყვანილი ყველისაგან გამოცხობილი ლემზირიანი ხაჭაპურები, ყველიანი შეჭამანდები (ფᲩტრᲐ ჭკგტᲐრ, ჭიშდვრᲐლ, ყვაბ, ლგქლიბე, ქᲐქ, ლუკვნე...).შეიწირავს წმინდად ორშაბათს და ხუთშაბათს. „იხსენიებიან“ როგორც შინ კერაში, ისე დიდი დღესასწაულების დროს ეკლესიასა თუ სახლის შინაში—სალოცავ სარკმელთან. ქალია ამ განგების უპირველესი მსახური. იგი ეხვეწება მათ („თᲐრინგზელებს“) მუხმოდრეკილი, მანდილიანი, როგორც მაღლა, ისე დაბლა (კერისაკენ მიწისაკენ—გიმისაკენ) მიმართული კვერებით. შესწირავს მათ, როგორც სახალხოდ, ისე ჩუმად—საიდუმლოდ, სხვისი (კაცის!) თვალის უნახავად“, მაგრამ მათ მამაკაციც ემსახურება იმდენად, რამდენადაც „შექმნაში“ მასაც „უკავია ადგილი“, მაგრამ არა იმდენად „ღრმად“ და „შინაარსიანად“ რამდენადაც ქალს, ზოგადად—მდედრობით არსს.

სვანურ ხალხურ კალენდარში პირობითად გამოიყოფა სამი შრე: I წინარექრისტიანული დროის დღეობები, II გარდამავალი ანუ სინკრეტიზირებული—წარმართული და ქრისტიანული ელემენტების შერწყმის და ერთად არსებობის პერიოდი, ანუ შრე ასეთი დღეობებისა და III ქრისტიანული დროის და ხასიათის დღეობები.

I-ლი შრის დღეობათა თავდღეობად ბიხობი მივიჩნიეთ, რადგან იგი, ჩვენის

აზრით, შეესაბამება ყველაზე უძველეს, წარმართული დროის კალენდარს, როდესაც ახალი წელი აგვისტოს თვეში იწყებოდა. (23 აგვისტო ახალი წლის დღეა!). ამ შრის რიგით მეორე დღეობათა ციკლზე - ლალხორალზე - ზემოთაც გვქონდა საუბარი მხოლოდ ხოშა ღერბეთთან დაკავშირებით. აქ კი აღვნიშნავთ ფუსდ მგქემ თარინგზელთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებას. იმ შემთხვევაში, როცა ოჯახის მიერ ზვარაკი (ლგლგენე) იკვლებოდა, ხოშა ღერბეთის ტაბგლთან ერთად მგქემ თარინგზელის ტაბგლიც მზადდებოდა. იგი იყო მრგვალი, მომცრო ლესკარი, სამი ლემზირით, გადაბრუნებით დაცხობილი. იგი ისევე, როგორც სხვა ტაბგლები, იყო ხმიადი პურით. მზადდებოდა დიდი ღმერთის ტაბგლის დაცხობის შემდეგ. ფუსდი მგქემ თარინგზელის ტაბგლი (ე. ი. ერთი ცალი მომცრო ლესკარი) ზედაშის გარეშე აღევლინებოდა მგქემ თარინგზელს, ხოშა ღერბეთის ტაბგლის აღვლენის შემდეგ—სალოცავ სარკმელთან. იგი ისეთივეა, როგორც ახალი წლისთვის ეეშხუამის დროს დაცხობილი „ლამარიან ლესკარი", ანუ იგივე „ფუსდი მგქემ თარინგზელის ლესკარი".

ლალხორალისას ფუსდ მგქემ თარინგზელის ლოცვა-ვედრება შემდეგი სახისაა; - დიდან ჯჯვად ჟიბე ლგკლათხე ფუსდ მგქემ თარინგზელ, ფუსდა ვაზირ სი ხი ი ფუსდხანქაი ი ისგუ ყერხანქაი მაგ ხოჩა გარ ლანვაზირ ნაი ი ნიშგუეი ქორა მერდე მარა! - დიდება მოსასვლელო, ზე ამაღლებულო ფუსდი მექემ თარინგზელო, ფუსდის ვაზირი შენ ხარ და ფუსდისგანაც და შენი ძალისგანაც ყოველივე კარგი გვივაზირე ჩვენც და ჩვენი ოჯახის ყველა წევრს, დიდებულო!

ქრისდეშობის მსგეფსის პერიოდში ლატალელი ქალები ორშაბათ დღეს ლიდბაშის იხდიდნენ თარინგზელის ეკლესიის მინაშენში (ლამარიისგა). ეს თარინგზელი დგას სოფელ მაცხვარიშში, მაცხოვრის ეკლესიის გვერდით, მეორე გორაზე და **ნესკგლდაში თარინგზელს** ეძახიან მას. (ნესკგლდაში ადგილის სახელწოდებაა). მის სახელზე ლოცვის ფორმულირება ასეთია; - დიდან ჯჯვად ი მალდ ჯჯვად ნესკგლდაში თარინგზელს, ჟიბე ლგკლათხე, მადლიან მადილშ გვეში! ნიშგუეი ქორა მერდე მარა ლესგი მაზიგ ნრსა ლახთგლე. დიდან ჯჯვად ნიშგუეი მგტვე, ნიშგუეი მავნებელ, ნიშგუეთეისგა ნუმა ანფუშდე - ღვეშგდ ლახატხ, დიდანი ლეენედ!

დიდებულო და მადლიანო, ზეამაღლებულო და მადლით აღსავსე ნესკელდაშის თარინგზელო. აშორე ჩვენი ოჯახის წევრებს გვერდების ტკივილი. ჩვენს მაწყევარს, ჩვენს მავნებელს ნუ მოაღწევინებ ჩვენამდე - უკან დაუბრუნე დიდებულო!

ნესკგლდაში თარინგზელი შეიწირავს მხოლოდ ცარიელ ლემზირებს ან „ლეეღაბის" ხორცისაგან დამზადებულ ხორციან ლემზირებს - („ლემზირ კუბადს") - მხოლოდ თეთრ მარილ მოყრილებს.) სხვა დროს დაკლულ ღორის კუბდარს არც ერთი ღვთაება არ შეიწირავს და თვით „ლეეღაბის" კუბდარიც გარკვეულთათვის არის მხოლოდ აღსავლენი. ესენია:

1. მეზრა თარინგზელ
2. ბარბალ მგხერ - თარინგზელ
3. თანლი თარინგზელ
4. ჯგგრაგ უღულაშიშ და
5. ნესკგლდაში თარინგზელ.

არც ხოშა ღერბეთ, არც მგქემ თარინგზელ, არც ჯგერაგ, ლამარია, ბარბოლი და ეანანგლეზი არ შეიწირავენ ლეეღაბის კუბდარს. აუცილებელია ეს წესი იცოდეს არა მარტო მლოცველმა, არამედ უკლებლივ ყველამ, რათა ლოცვა და შესაწირის

შეწირვაც შედეგიანი გამოდგეს, გვაფრთხილებენ ტრადიციათა წეს-რიგის მცოდნენი.

ნესკგლდაში თარინგზელის ეკლესია აშენებულია XI საუკუნეში. ამბობენ, რომ მისი წმინდა ნაწილი გადმოტანილია კვანჭიანების ,,ჭუშხუნიდან", რომ იგი არის ძირი სალოცავი ნესკგლდაშის თარინგზელისა. ამაზე თვით ჭუშხუნის ეტიმოლოგიაც მეტყველებსო—გვიხსნიან მთხრობელნი. ჭუშხუნი || წუსხუნი || წგსხე მცენარის ფესვია ჯუჯა ფესვისგან განსხვავებით. ამდენად, ნესკგლდაში თარინგზელის ძირი სალოცავი ჭუშხუნის თარინგზელია!

იმ ლიმპარისას, რომელიც მეესარაბის მომდევნო დღეობაა და ზვარაკია შესაწირი, კვლავ მზადდება დიდი ღმერთებისათვის ტაბლები და, ბუნებრივია, მათ შორის მგქემ თარინგზელის ტაბგლიცაა—მრგვალი მომცრო ლემზირებიანი ლესკარი. ლიმპარის მომდევნო დღე **ბარბალ-მგხერ თარინგზელის** დღეობაა. მას ზოგადად ,,ლიმხერის" დღესასწაული ეწოდება. ბარბალ-მგხერ თარინგზელ შვილიერების, ნაყოფიერების (დედის!) და ბედნიერების (დაწყვილების) ღვთაებაა. (მას არ ეხება საქონელი და მოსავალი!) ბარბალ-მგხერ თარინგზელის ძირითადი სალოცავი დღეებია;

1. ლიმპარის შემდეგი ორშაბათი (ძველი დროის ლიმხერი).
2. ლიმპარის შემდეგი სამშაბათი - ,,ლაპლა თახაშ".
3. ლიმხერი - კვირიკობის წინა ორშაბათი.

ბარბალ მგხერ თარინგზელის წოდებაში ,,მგხერ" მახარობელს, გამხარებელს ნიშნავს. რწმენით, ვისაც ძე—შვილი არ ჰყავს, ამ ღვთაებას უნდა შეევედროს შესაწირავით და აუცილებლად ეყოლება იგი. ღვთაებას, ამ მნიშვნელოვანი თვისების გამო, თვისებისავე ცნება ,,მგხერ", ხოლო მის დღესასწაულს, ,,ლიმხერი" დაერქვა. ,,მგხერ" ურარტულთა მითოლოგიაში გმირს ერქვა[1] - ღვთიურ გმირს! ბარბალ ქალღვთაების სახელია (მაგრამ არა ასტრალურის!), თუკი ეს ორი რაიმე ისტორიული აუცილებლობით და შესაბამისად მითოლოგიური აუცილებლობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, იგი გამოწვეული იქნებოდა, პირველ რიგში, თარინგზელის თვისებათა დაკონკრეტებისათვის. ამ კერძო შემთხვევაში თარინგზელის თვისება ხომ ძე შვილის მატება, დაწყვილება და ქალის (დედის!) ბედნიერებაა!

ბარბალ-მგხერ თარინგზელის ლემზირები, სათემო დღეობებისას, ყოველთვის აღევლინება; ლიჴდუში, ლიქვრეში, ლივრაში, უფლიშიერ... ხომ ყველა ღვთაებათა ლემზირებით მოსახსენებელი დღეა.

- დიდაბ აჯჴვად ი მალდ აჯჴვად ბარბალ მგხერ თარინგზელს! ჯემზირდ ი ჯეჴგრალდ ლეტროშ, ლემზირშ, ზედაშშ, ანიჯრ ალი ლიმზირ - ლიჴგრალ დიდაბი ლეჴედ, ანფიშირ სგეი, ჩუნირი ალიარ ლგნჯარ ი ბედნიერ ნაყრ დიდაბი ლეჴედ. ისგუ-ლიმზირ-ლიჴგრალ ჩი დრევს ი ონას ლგნჯარ ნაყრ დიდაბიშ ი მალდი ლეჴედ.

- დიდება და მადლი მოსასვლელო ბარბალ მგხერ თარინგზელო! გლოცავთ და გევედრებით სანთლებით, ლემზირებითა და ზედაშეთი, გაგვიმარჯვე ეს დიდება დიდებულო, ყველა დროსა და ყველა ჟამს გაგვიმარჯვე შენი დიდება, დიდებულო!

თანლი თარინგზელის დღეობა ,,თანლილობა" ტარდება წელიწადში ორჯერ თანლილის მთაზე მდებარე თანლი თარინგზელის ეკლესიაში. (ლახუშდის მხარეს). ამ

[1] გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951 წ. იხ. მისივე, ქართვ. ხალხის წარმოშობის საკითხისათვის თბ. 1953. ასევე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის თბ. 1965 წ.

ეკლესიას ,,სეფსკვერის'' ფორმა აქვს, მსგავსი სახის ეკლესია, ვფიქრობთ, საქართველოს სხვა კუთხეებში არ დასტურდება. ეს უნიკალური შემთხვევა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. თანღი თარინგზელი ქუდის დამხურავის (,,სგეჷ'') სალოცავია და იგი თავის ფუნქციებით ჯგგრაგ ჰოკულდაშისას უტოლდება. თანღი თარინგზელი მამაკაცების დამცველია გზებსა და გადასასვლელებზე ასევე, დამცველია მათი ,,ისრისა და ხანჯლისაგან'' - დიდაბუ აჯვედა თანღი თარინგზელს, ჟიბე ლგკლათხე, მადლიან მადილშ გვეში. ამსვალდა მგნთხლე ხი დიდები ლენედ ი ნიშგუეჷ ღვაჟმარე ჩიღად ლახგნთხილ ცხვიხან ი ხანჯალხან, ჟახირიანდ ი შიდებიანდ ლახზელალინ ისგუ ტყვეფს დიდები ლენედ!

- დიდება მოსასვლელო თანღი თარინგზელო, ზე ამაღლებულო, მადლით აღსავსევ. ადამიანის დამცველი ხარ, დიდებულო, და დაიცავი ჩვენი მამაკაცი ყოველთვის ისრისა და ხანჯლისაგან, სახელიანი და მშვიდობიანი ატარე (იგი) შენს მიწაზე, დიდებულო!''

პირველი ,,თანღილობის'' დღე აღინიშნება ხორციელის აღების მეორე კვირის ორშაბათ დღეს. ხოლო მეორე—უფლიშიერობისას—,,უფლი ლადაღ''-ის შემდეგ, ორშაბათ დღეს (პირველი კვირის ორშაბათი). აქ სალოცავში მიაქვთ ლემზირები, სანთლები, ზედაშე, ლემზირიანი კუბდარი და ლამარიასთვის ლემზირიანი ხაჭაპური. ამ დღეობისთვის ლახუშდის სოფელი ყიდულობს საერთო შესაწირ ცხვარს ან ხბოს თავის ხარჯზე. საკლავის გულღვიძლი შეეწირება თანღი თარინგზელს ზედაშესა და ტაბელთან ერთად. ტაბგლს აცხობს ის ოჯახი, ვისგანაც იყიდიან ზვარაკს. ვინც ამ სალოცავში წასვლას ვერ შესძლებს, ლემზირებს აღავლენს სახლში - სალოცავ სარკმელთან - 3 ცალი ლემზირით. თანღი-თარინგზელს თავის ტკივილებისგან დაცვისთვისაც ევედრებიან. თამფა ჷარენესგას ორშაბათ დღეს ქალები სალადბაშედ თანღი თარინგზელშიც მიდიოდნენ ძე—შვილისა და თავის ტკივილებისაგან დაცვის თხოვნით. ჷარუნესგას სამშაბათს ან პარასკევს ქალები **კაჷშა თარინგზელს** აღუვლენდნენ ლემზირებს. მან ზვავების ჩამოწოდა და მიწის ჩაწოლა იცისო. იგი, რწმენით, მეზრა თარინგზელის წმინდა ნაწილია. ამ ლემზირებს ან შინას სარკმელთან აღავლენენ, ან მაცხვარის ლამარიაში მხოლოდ აქ, პირველი სამი ლემზირი მაცხვარისთვის არის აღსავლენი, შემდეგი სამი კი - კაჷშა თარინგზელისათვის:

- დიდები ლენედ კაჷშა თარინგზელ, ლანგნთხილ ჟაჰხან დიდები ლენედ! - დიდებულო კაჷშა თარინგზელო, დაგვიცავი ზვავისაგან დიდება მოსასვლელო!

ხუთშაბათს **ლიმქგლდი თარინგზელის** ლოცვაა - ქალების დღეობა. აქ სალდაბაშოდ (ლიმქგლდი თარინგზელში) მხოლოდ ქალები მიდიან და სთხოვენ წმინდანს ყურების ტკივილისაგან დაცვას. მიაქვთ სალოცავში ლემზირები, ზედაშეები და სანთლები. - დიდები ლენედ ლგმქელდი თარინგზელ! ლანეშდ ი ლანგნთხელ შდგმრალე მაზიგხან ნაჷ ი ნიშგუეჷ ქორა მერდე მარე დიდები ლენედ!'' - დიდება მოსასვლელო ლიმქგლდის თარინგზელო, დაგვიცავი და გვიშველე ყურების ტკივილისაგან ჩვენ და, ჩვენი ოჯახის ყველა წევრი, დიდებულო! იმ ოჯახის წევრზე, რომელსაც ტკივილი აწუხებს, ცალკე 3 ცალი ლემზირია აღსავლენი, რათა შესთხოვონ მისი გამოჯანმრთელება - განკურნება.

ყველიერის ორშაბათი **მგქემ თარინგზელის** სალოცავი დღეა. ამ დღის მეორე სახელწოდებაა ,,თეთნე ფხუ''. იგი მამაკაცების სვე-ბედის სალოცავიაო. ქალები ლემზირებით შესთხოვენ მაცხვარ ფხუს მამაკაცების ბედნიერებას. ილოცებიან შინ,

სალოცავ სარკმელთან. უწინ მაცხვარის ლამარიაში ამ დღეს ლიდბაში იმართებოდა მაცხვარ ფხუს სახელზე, რომელიც, როგორც ჩანს, მგქემ თარინგზელის ზიარ განგებად იყო მიჩნეული. დიდმარხვის პერიოდში პირველი კვირის ორშაბათი და სამშაბათი ,,მეშხუ ფხუს'' დღეებია. მათი მფარველი ,,მაცხვარ ფხუეშია'' და მაცხვარიშილები (გუაიარის სამხუბ) სალასკაროდ იკრიბებოდნენ ლიმზირის გასამართავად. ეს დღეებიც მამაკაცების სვებედის სალოცავად იმართებოდა. დიდმარხვის მეორე კვირის ორშაბათს ქალების სალოცავი დღე - ხატგნცხოველობ || თეთნე ფხუს დღეობა იყო. ჩარგლდის ,,ხატგნცხოველში'' მიდიოდნენ ქალები სალადბაშოდ. იქ ამ წმინდანს, ხატგნცხოველს, თავიანთ ჯამრთელობას შესთხოვდნენ (ასა მაზიგ ი მაკვშა!).

მგქემ თარინგზელის დაკავშირება აღნიშნულ დღეთა წესრიგთან, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ფხუ ფხულეს შეკვეცილი ფორმა ჩანს. თუ ეს ასეა, მაცხვარის მგქემ თარინგზელთან ორგანულ კავშირზე უნდა მეტყველებდეს იგი. ფხულე თითია და იგი ხელის გარეშე არ არსებობს, იგი ხელის ნაწილია. მაცხვარ სიცხიანი ავადმყოფობის გამჩენია. მგქემ თარინგზელ სტიქიონის მეუფეცაა. ჩანს ამ კონტექსტში უკავშირდება მაცხვარ მგქემ თარინგზელს ანუ, მაცხვარ მგქემ თარინგზელის ნაწილია და აქედან შედგენილია კიდეც მისი სახელწოდება - მაცხვარ ფხუეშ. რას უნდა ნიშნავდეს მასთან დაკავშირებული სახელწოდებები ,,მეშხე ფხუ'' და ,,თეთნე ფხუ''? ჩანს, ისინი ყველიანი და უყველო ლემზირებით ლოცვის გამომხატველია; ყველიერში ლოცვა ხდება ყველიანი ლემზირებით (,,თეთნე ფხუ''), მარხვის პერიოდში, ფხუარუს კვირის ორშაბათს და სამშაბათს, ცარიელი ლემზირებით (,,მეშხე ფხუ''), ხატგნცხოველობისას - ყველიანი ლემზირებით (,,თეთნე ფხუ'') მიუხედავად იმისა, რომ მარხვაა. (!).

მაინც რა საერთო უნდა ჰქონდეს მაცხვარს მგქემ თარინგზელთან. ამისთვის საჭიროა ზემოთქმულის უფრო მეტი დაკონკრეტება; თარინგზელის და ზოგადად მგქემ თარინგზელის სალოცავი დღე ორშაბათია. ორშაბათი დღე ხატგნცხოველობის დღეცაა. მისი მომდევნო დღე სამშაბათი - მაცხვარის. მაცხვარ ეესო მაცხოვართან ასოცირდება პირველ რიგში, მაგრამ ჩანს მას წინარექრისტიანული დატვირთვაც გაჩნია. კერძოდ, იგი სიცხიანი ავადმყოფობის გამჩენი განგებაა! მგქემ თარინგზელ ძე—შვილის მომმატებელი და საერთოდ ყოველივეს მატების განგებაა. თუკი მას ეს ფუნქცია აქვს, ჩანს გააჩნია იმის შესაძლებლობაც, რომ ,,მატება'' არ მოახდინოს უბედური სტიქიების წყალობით. მათში კი ავადმყოფობანიც ერთიანდება. ნესკგლდაში თარინგზელ ადამიანის გვერდების ტკივილისგან დამცველია. ხოლო ხატგნცხოველ, რომლის დღეობის დროსაც იხსენიება ნესკგლდაში თარინგზელ, წარმოადგენს სხეულის (კუნთის - ,,ას'' - ასუარ) ტკივილებისგან მფარველს. ეს ავადმყოფობანი არ ეხება არც მხოლოდ ქალს და არც მხოლოდ კაცს. ისინი მგქემ თარინგზელისგან მოვლენილი ,,სტიქიური'' უბედურებაა. გამოდის, რომ მაცხვარ, ხატგნცხოველ, ნესკგლდაში თარინგზელ, მგქემ თარინგზელის ქვეშევრდომნი არიან. მათ კონკრეტული რამის მფარველობა და მათით ბატონობა აქვთ დაკისრებული. ეს კი აკონკრეტებს იმ გარემოებასაც, რომ მგქემ თარინგზელ სტიქიონის განგებაა, იგი ერთ-ერთი შემოქმედია - მდედრული ბუნებით. სწორედ ამ კონტექსტითაც აიხსნება აღნიშნულთა მეორე სახელწოდებანიც—,,ფხუ'', ,,ფხუარუ''. ისინი ხომ რაიმეს ნაწილი არიან. ,,რაიმე'' ბუნებრივია, აქ მგქემ თარინგზელია.

გუჰლი (ადგილია!) **თარინგზელისათვის** ლოცვა—ვედრება სოფელ სადიანარში დღეობა ყერიაშობისას წარმოებს. ამ სალოცავში ისინი საერთო საკლავით მიდიან და დღესასწაულობენ. სხვა სოფლები ამ სალოცავს უფლიშიერისას აღუვლენენ ლემზირებს. - დიდაბ აჯვად ი მალდ აჯვად გუჰლი თარინგზელს, ხვაი წყგლინ დიდაბ ი მალდ აჯვად. ჯემზირდ ზედაშშ, ლეტროშ ლემზირშ, ყვიეშ დიდაბი ლენედ ი ლგნჯარ ჩემ ლადი ნიშგვეი ლიენგრალ, ლანსარვინ ნიშგრეი ნავთელი ი სახმი ნავხიესგი, ლახენგრინ ნიშგრეი თხვიმ ი ხოჩამთე გარ ლანმერთინ დიდაბიშ ი მალდი ლენედ![1]

გუჰლი თარინგზელის დღეობა ყერიაშობ პეტრე-პავლობის შემდეგ შაბათ დღეს აღინიშნება. ყერიაშობისას ხბოს აღავლენენ ზვარაკად. - ყერიაშის თარგლეზერო, შენ გვიშველე! სალხინო სალოცავი ქენი ჩვენში, კარგი დრო გვიწყალობე, ცუდი ყველა გვაშორე, დიდებულო. (ყერიაშიშ თარგლეზერ სი ლანეშდ, ხოჩემი ლამზერ გარ ნაყრ, ხოჩა დრეე ლანო, ხოლა მაგ ანქაბინ დიდაბ აჯვად). სიდიანები მისთვის საკლავს მორიგეობით ყიდულობენ. აქ ამ გვარის ასული და ბადიში ყველა მიდის. ლემზირები მიაქვთ ოჯახის წევრების რაოდენობით, გუჰლი თარინგზელისთვის ცალკე, ყერიაში თარინგზელს კი - ტაბგლით და გულ-ღვიძლით ზედაშესთან ერთად ახსენებენ.

გუჰლი თარინგზელ, ჰარტი თარინგზელის ნაწილია. („ნაწილ-ლი“!) ეს დღეობა კი კოხის საწინააღმდეგო დღეობაა. და ასევე იგი სვებედისთვის (სევხან!)-აც არის განკუთვნილი. ბუნებრივია, რადგან ჰარტი თარინგზელის ნაწილია გუჰლი თარინგზელი და ჰარტი თარინგზელმა ელვა-ჭექა და საშინელი წვიმები იცის, კოხის (სეტყვის!) მეუფება მისი ნაწილის თვისებაც იქნება. ხოლო, სვე—ბედის (სევ || სერ) მეუფება კი „ყერ“-ის. მათ ხომ ცალცალკე აღუვლენენ ლემზირებს: გუჰლი თარინგზელს მხოლოდ ცარიელ ლემზირს, „ყერ“-ს კი - ტაბგლს. (ყერიაშ თარინგზელ!).

„ყერ“ წმინდა საოცარი ფრინველიაო, - ვიგებთ ვერა ბარდაველიძის მთხრობელისგან. იგი ვარსკვლავივითაა და ერთი ეკლესიიდან მეორეზე დაფრინავს ღამ-ღამობით. ეს რომ მართლა ფრინველი არ არის, ამაზე მისი განმარტებაც მეტყველებს. იგი ვარსკვლავივითაა რადგან ნათელია და ფრინველივითაა რადგან დაფრინავს. მისი ფრენა ჩანს ღამე, რადგან ნათელი ღამით უფრო მეტად ჩანს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი მხოლოდ ღამ-ღამობით დაფრინავს. ეს დღისითაც ხდება, მაგრამ ადამიანის თვალისთვის იგი ამ დროს ნაკლებად დასანახია. დაფრინავს იგი იქ, სადაც ღვთაებრივი სიწმინდეა - ეკლესიიდან ეკლესიაში. ყერ ნათელი ძალაა, იგი შარავანდედისნაირი სიწმინდის მომცველია, ხელშეუხებელი და გონებამიუწვდენელი, ადამიანის თვალის დასანახად შეზღუდული ბუნებრიობა. იგი მხოლოდ ღვთაებრივთ გააჩნიათ. (ყერ-ის ასოცირება ფრინველთან და, მით უფრო, ღორთან (ნ. მარი)[2] მკრეხელობაც

---

[1] დიდება მოსასვლელო, მადლი მოსასვლელო გუჰლის თარინგზელო, მრავალი წმინდა დიდება მოგსვლოდეს. ვილოცებით (შემოგწირავთ!) ზედაშით, სანთლით, ლემზირით, ზვარაკით დიდებულო და დაჯვარე ჩვენი დღევანდელი შენდამი ვედრება. გვაპატიე ჩვენი უჭკუობა და წესთა ზედმიწევნით უცოდინარობა შეივედრე ჩვენი თავი და კარგისკენ-ღა მოგვამართინე ჩვენი არსება, მადლიანო!

[2] ნ. მარი „ღერთემ ყერღო“-ს ასე თარგმნის „ვფიცავ ღმერთს საღმრთო ღორითო“. იხ. Религиоз. веров. абхазцев. христю.восток., Т. I-IV вып. 1. 1915 г. ст. 132. Н. Марр. (ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქ-ში. 1927 წ. გვ. 44.

კია). ბუნებრივია, თᲐრინგზელებთან ,,ყერ''-ის დაკავშირება არ არის შემთხვევითი. იგი მათ ,,წმინდანობას'' (,,წმინდანები!'' - ღვთიური არსებები!) უსვამს ხაზს. ისინი ცაზე მსუფევი განგებანი არიან.

ლატალში არსებობს სალოცავი **სიდიᲐნრი თᲐრინგზელ**, რომელსაც სხვანაირად ,,ამენი თᲐრინგზელსაც'' ეძახიან. მას სადღეობო დღე არ გააჩნია. მისი ხსენება კი პეტრე-პავლობის შემდეგი ორშაბათი დღეა. - დიდᲐბ ᲐᲯᲕᲐდ ი მალდ ᲐᲯᲕᲐდ სიდიᲐნრი თᲐრინგზელს, ხოჩა დრევდ ი ოდნავ ანხᲒდ დიდᲐბი ლᲔᲕედ. Ჯემზირდ ი ᲯᲔᲕᲒრᲐლდ ლეტროშ, ზედაშშ, ლემზირშ, ანმარგ ალ ლიმზირ ლიᲕᲒრᲐლ ი ლᲒნᲯარ ნაყრ დიდᲐბი ლᲔᲕედ. ან - დიდᲐბ ᲐᲯᲕᲐდ ი მალდ ᲐᲯᲕᲐდ ჟიბე ლᲒკლათხე მალდიᲐნ! ნიშᲒᲩᲔᲐ მᲒᲭთე ი ნიშᲒᲩᲔᲐ ხოლა თემი მᲒფხრე ნიშᲒუᲔᲐთᲔᲐსგა ნუმა ანფუშდე, ხოჩᲔმი მᲒმᲔნე გარ Ანფიშირ,[1] ჩანს ,,სიდიანრი (ადგილი) თარინგზელის'' იგივე ,,ამენი (ამინ!) - თარინგზელის'' ხელმწიფება ადამიანისთვის ავი თვალისა და მაწყევარისაგან დაცვაა. ადამიანი მისგან მხოლოდ კარგის მსურველს, კარგისთვის ამენის მთქმელის არსებობას ისურვებს.

Ჰარტი თᲐრინგზელის სალოცავი Ჰარეტის მთაზეა. მისი ყველიანი ლემზირებით ხსენება მიღებულია. მისთვის სალემზირე ფქვილს ყველის შრატიც კი არ უნდა დაეწვეთოს, არა თუ ყველი გაერიოს. მისთვის განკუთვნილი ლემზირები ცალკე უნდა გვქონდეს - ყველისაგან იზოლირებულად. წინაალმდეგ შემთხვევაში, ავდარი იწყება, - გვაფრთხილებენ მთხრობელი ქალები. (შიშდ უჩხას, ლირხუნᲐლის ი ხოლა მანდᲔრას იბნე!).

- დიდებულო და მადლიანო Ჰარტი თᲐრინგზელო, შენს მიწაზე (ისგუ ტყვეფქინ!) ვინც კი მოვხვდეთ, დაგვიცავი. დაიცავი შენს მიწა-წყალზე მოხვედრილი საქონელიც. ცუდი დარი და სეტყვა (ᲭᲐლ ი მანდᲔრა!) აშორე ჩვენს სახლ-კარს და ჩვენ მიწა-წყალს, დიდებულო! სულთმოფენობის მომდევნო ხუთშაბათია ,,Ჰარტი თᲐრინგზელის'' სალოცავი დღე. იგი ძალიან შორსაა, ამიტომ ავიდოდით ,,მᲒᲰარში'' (ადგილია), საიდანაც კარგად ჩანს Ჰარეტისაკენ მიმავალი გზა. ხშირად აქ კაცებს ვაგზავნიდით და ვატანდით სალოცავ ლემზირებს, დიდი მანძილია იქამდე და იმიტომ, - გვიხსნის მთხრობელი. (ს. გირგვლიანი - გვიჩიანის. ლატალი, იფხი, 1998 წ.) როცა ბაალა ᲯᲒᲒრᲐᲬში მიდიან ქალები სალადბაშოდ, Ჰარტი თᲐრინგზელსაც ახსენებენ. ამ ადგილიდან ჩანს Ჰარტი თᲐრინგზელი.

„**ოქრა თᲐრინგზელის**“ სალოცავი ადგილი ნამყვამშია (ლატალი). მას ნიშის მსგავსად კოშკის ფორმა აქვს. იგი მცირე ზომისაა და ამ სოფლის მცხოვრებთა აშენებულია წმინდა ადგილის აღსანიშნავად. იგი უფლიშიᲔრობისას, ბოლო ორშაბათს იხსენიება, სალოცავი დღეობა არ გააჩნია. - დიდება მოსასვლელო ოქრა თᲐრინგზელო, შენ გვიშველე, ჩვენი მაწყევარი, ჩვენზე ავის მთქმელი გვაშორე არ მოუშვა ჩვენამდე სიავე.

„**ზაგრი თᲐრინგზელ**“ || ,,ᲯᲐრ ბᲐლ ზᲐგრი თᲐრინგზელ''. ილოცება საუფლო (უფლიშიᲔრ) დღეობისას, რადგან არ აქვს სადღესასწაულო დღე. - დიდება მოსასვ-

[1] დიდებულო და მადლიანო სიდიანის თარინგზელო, კარგი დრო-ჟამით გვახარე დიდება მოსასვლელო. გეხვეწებით და ვილოცებით შენთვის სანთლით, ზედაშით, ლემზირით, მიიღე ეს ლოცვა და დაგვიჯვარე იგი, დიდება მოსასვლელო! ან - დიდება და მადლი მოსასვლელო ზეამაღლებულო, მადლიანო! ჩვენი მაწყევარი და ჩვენზე ცუდი თვალის მქონე ჩვენამდე არ მოუშვა, კარგი ამენის მთქმელი-ღა გვიმრავლე.

ლელო, ზაგრი თარინგზელო, გლოცავთ და გევედრებით (ჯემზირდ ი ჯენგრაᲚდ!) გა-გვიმარჯვე ჩვენი დიდება (ანმარჯ ნიშგრეი დიდაბ!) გვიწყალობე შენი ძალა და შეწევნა მადლიანო (ისგუ სერ ი ვამშა ლანმაშედ მადლიან!) აქ შირიმის ქვის ჯვარია.

ლაჰილში დგას „**ფაფგლდა თარინგზელის**“ ნაეკლესიარი. (ფაფალ - ზეგანია სვანურად ე. ი. ზეგანზე მდგომი თარინგზელი!) - დიდაბი ლენედ, ლანმერთინ ხოჩამ ადგილთე, ლანგნთხილ სოლომხან (ლეთრემი ღერბეთ-ლი). ი ანმარგ ალ ლიმზირ[1] აღევლინება ლემზირები უფლიშიერისას.

„**მეზრა თარგლეზერ**“ - ბეჩოშია მისი სალოცავი. უფლიშიერისას ლატალე-ლები მასაც აღუვლენენ ლემზირებს. - დიდაბი ლენედ, ანქაბინ ხოლა ჭალ ი ავდარ, ხოჩა მანდერა ლანდრლინ დიდაბი ლენედ![2] მეზრა თარინგზელის ნაწილი კაᲣშა თა-რინგზელია!

„**ალგნგვერი თარინგზელის**“ სალოცავი იფხის ტერიტორიაზეა, იმ ადგი-ლას, სადაც ,,გელში ბაჩარ''-ს ეძახიან (გელაშ ადგილია). წმინდა ადგილის აღსანიშნა-ვად ქვებია დაყრილი და ამიტომ ეძახიან ,,გენლში ბაჩარს''. წმინდა ადგილზე მდებარე ყოველივე: ხე, ქვა... წმინდაა. აქ ერთ წელს ხატი ვიპოვეთ, გვიყვება მხცხოვანი, - ძვლის ლამარია იყო იგი (ძვლის, ქალის ქანდაკი!) და ჩვენს ლამარიას (,,იფხი ლამარია-ას'') განძში ჩავდევით, მაგრამ დაიკარგა - ვინ წაიღო არ ვიცით.[3] ყველიანს არც ეს თარინგზელი ღებულობს. ლადბაშში ჩვენთვის განკუთვნილ ყველს ცალკე წავიღე-ბდით, რომ იგი სალემზირე ფქვილს არ შეხებოდა.

ალგნგვერი თარინგზელისთვის უფლიშიერობისას ვილოცებოდით. ლიდბაში-შას დიდ ღმერთებს ვინ ახსენებს (ს. გირგვლიანი - გვიჩიანისა. იფხი 93 წლის 1998 წ. იფსი).

„**მგჰლალაში თარინგზელ**“ თარინგზელის სალოცავი იყო მგჰლალაშში. - ლახუშდისაგან მოშორებით. იგი ქვიანი და უწყლო, საცხოვრებლად უვარგისი ადგი-ლია. ,,აქ პირველად ცხოვრობდნენო სტეფლიანების გვარი და ცნობილი, გველეშაპის მკვლელი, გმირი კახანი ამ გვარის წარმომადგენელი იყო. კახანს ჩემულობენ ფირცხე-ლინები, ასუმბანები და ჩამგელანები, მაგრამ იგი არც ერთის არაა. ჩანს იგი მა-რთლაც სტეფლიანი იყო, რადგან ამაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებები: კახანის გმირობა ფასდაუდებელი იყო სოფელ ლატალისათვის—მათ ამის შემდეგ საზაფხულო საძოვრებისაკენ გზა ხსნილი ჰქონდათ. უიმისოდ კი სოფელი მძიმე მდგომარეობაში იყო. ასევე გზა ხსნილი იყო მჟავე წყლისკენაც (ჰარაშის გზაზე მდებარე!) მჟავე წყლის გარეშე საქონელი წყდებოდა. ამ ორი სასიცოცხლო მოვლენის გველეშაპისგან და-

---

[1] დიდება მოსასვლელო, მოგვმართე მხოლოდ კარგისაკენ, დაგვიცავი სოლომისგან (სმის (ბახუსის) ღმერთი) და მიიღე ჩვენი ეს დღევანდელი ლოცვა.

[2] დიდებულო, გვაშორე ცუდი დარი და სეტყვა, კარგის დრო მოგვეცი (მანდერა წვიმის მო-მასწალებელია. ერთბაშად ,,საიდანღაც'' მოსვლის აღმნიშვნელი ცნებაა. აქ ამ სიტყვას კარგი გაგება ახლავს).

[3] ,,ამთან თალაშ ივალადაღ მანგვეშ მიწა, შარ ხაქვა ეჯ ამსვალდს, ერვაᲣს მიჩა მავინ ოხსენს (საჯხგ). ლოცვისას მას ასე მიმართავდნენ - დიდაბ აჯვად ი მალდ აჯვად ლემთა ლამა-რია. ჟიბე ლგკლათხე. ანმარჯ ისგუ ლიმზირ ლიენგრალ, ლანმერთინ ხოჩამ აგითე მალდიან მა-დილშ გვეში, ისგუ მეფშდე მაზიგ ანქაბინ, ლეჟა ბიქვს ლახო ლექვა ლიცს. ანქაბინ ჯიჯი მაკვმა (ჯიჯი ლამარია!), ვადი მიზიგ, მადლიან მადილშ გვეში ლემთა თარინგზელ. (ე. ი. ალგნგვერი თარინგზელ || ლემთა ლამარია || ლემთა თარინგზელ!)

ხსნის შემდეგ, ბუნებრივია, სოფელი განსაკუთრებულად დააჯილდოებდა გმირს და, ჩანს, ასეც მოიქცნენ. მაცხვარიშელებმა, სოფელ ლატალის ერთერთმა ძირძველმა გვარმა, თავიანთი სოფლის შუაგულში გამოუყო მათ საცხოვრებელი ადგილი (სტეფლიანები ძალზედ მცირენი არიან 3—4 ოჯახი!). ასევე საძვალედ გამოყო ადგილი მაცხვარის ეკლესიის შესასვლელში მარჯვენა მხარეს. ეს ორი გარემოება მართლაც პრესტიჟულად ითვლებოდა და მას სხვა შემთხვევაში არავისთვის არ გაიმეტებდა არც ერთი სოფლის არც ერთი საზოგადოება. (მსგავსი რამ თემისთვის უცხო და დაუშვებელია!) კახანის გმირობის წყალობით კი სტეფლიანები ქვიანი და უწყლო ადგილებიდან აქ საუკეთესო საცხოვრებელ ადგილას გადმოსახლდნენ, საძვალეც საუკეთესო მიიჩინეს ,,მგჰლალაშში თშრინგზელის'' ნაცვლად''. (მთხრ. ვ. ფარჯიანი 2000 წელი).

,,ᲥᲐᲜ ᲐᲜᲒᲚᲔᲖᲘᲡ'' იგივე **,,მგჟრი, მაშედ ᲥᲐᲜᲐᲜᲒᲚᲔᲖᲘᲡ''** სალოცავი ᲥᲐᲜᲘᲡ ეკლესიაა. (ᲥᲔᲜᲐᲨᲘ!), ხოლო დღესასწაული ,,ᲥᲔᲜᲨᲘᲔᲠ''. იგი აღინიშნება ქრისდეშობის მარხვის პერიოდში და შეიწირავს ფეტვის გამოუცხობელ ჭკგტს. (ჭიშდრᲨᲐᲠ სიმინდის ან ფეტვის ფქვილთან არეული ყველია - გამოცხობილი! უყველოს და გამოცხობილს ჭკგტს ეძახიან!) მას ლესკარის ფორმა აქვს მიღებული მოსაზელ გობში და ამ გობითვე აღუვლენენ ᲥᲐᲜᲡ. სხვა დროს, დიდ დღესასწაულებისას მისი ხსენებისას და ლიდბაშებისას შეიწირავს ფეტვის ხაჭაპურს - ,,ლრᲨკრᲨნეს'', ,,ფეტვის ჭიშდრᲨᲐᲠს'', ,,ფეტვის ყვაბს''.

- დიდᲐᲑ ᲐᲯᲕᲐᲓ მგჟრი ᲥᲐᲜᲐᲜᲒᲚᲔᲖს, სი ჩალშანვᲔლხეს ეჩᲔშ ი ლადᲔ ნᲔსგა მაჩᲔნᲐშდ ჩუ ᲥᲐს ხაჯრᲔნს ისგუ ლიმზირ - ლიᲔგრᲐლ მᲔრმად ნᲐᲥ ანჯარ დიდᲐბი ლეᲔედ. ანქᲐბინ ისგუ მეფშდე მᲐზიგ, თხვიმიშ ი თᲔრლე მასტრᲨნ ი მაᲥთᲐ მᲐზიგ. ისგუ დიდᲐბს მᲐნგვეშ მიცხაᲥ ი ლიშედᲔ ნუმა ათშᲔრნა ნიშგრᲨეᲥ ბედჟᲔნ დიდᲐბი ლეᲔედ. ჯემზირდდ ზედაშშ, ლეტროშ, ლემზირალშ, ი ალი ანმარგ დიდაბი ლეᲔედ![1] (მ. გირგვლიანი).

საერთოდ, როცა ფეტვის დათესვის დრო მოვა (ივნისის დასაწყისი!), უნდა გააკეთო ფეტვის გუნდა. მას თეფშზე ან ტაშტშივე (გობში), ე. ი. რაშიც მოზელ, ლესკარის ფორმა უნდა მისცე და ასე გამოუცხობელი ფეტვის ლესკარი უნდა აღუვლინო ᲥᲐᲜ - ანგლეზს, რათა მან ხვავიანი და ბარაქიანი გახადოს ფეტვის ნათესი (სევიან ი ბარქᲐᲜ!).

ᲥᲐᲜ ანგლეზი ბატკანსაც შეიწირავს (მეწხᲐლდ). როცა პატარა ვიყავი, - გვიყვება მოხუცი, - თვალები ამტკივდა და დედაჩემმა ბატკანი შესწირა ᲥᲐᲜ-ᲐᲜგლეზს. იმის შემდეგ დამრჩა ბეგარად (ლგგდᲐᲜე) ᲥᲐᲜ - ᲐᲜგლეზისთვის ლემზირებით ლოცვა და მარხვის შენახვა - ,,ლიტმე ლიგდᲐᲜი''. მარხვას ვიცავდი ᲥᲔᲜᲨᲘᲔრის პირველ დღეს ,,თხუმ ᲥᲔᲜᲐᲨს''. (ᲥᲔᲜᲨᲘᲔრ, როგორც ბარბალაშიᲔრ სამი დღით აღინიშნება). საღამოს, როდესაც ლუკმას ჩავიდებდი პირში, ლოცვას წარმოვსთქვამდი - ,,დიდᲐᲑ ლიᲔედ მგჟრი ᲥᲐᲜ-ანგლეზ მიშგუ ლᲐდი ნᲐტგმ შᲐვად ი ლᲐსგრგებდ ᲐნიᲔდ, თᲔრლე მᲐსტრᲨნ ი თხრᲨიმი მᲐზიგ, მᲐგ ამქᲐბინ![2] საღამოსვე ცხვებოდა ,,ფეტრᲐ ჯკგტ'' იმავე წესით, რო-

[1] დიდება მოსასვლელო შემწყალებელო ᲥᲐᲜ-ანგელოზო, შენი არსებობიდან დღემდე საუკეთესოდ თუკი ვინმეს გამარჯვებოდეს შენდამი ლოცვა, მეორედ ჩვენ გაგვიმარჯვე. გვაშორე შენი გაშვებული ავადმყოფობა (ტკივილი!) - თავის და თვალების ტკივილი, სიცხიანი ავადმყოფობა. შენს დიდებას არაფერი მირჩევნია და ჩვენს შვილასაც ნუ დაინანებ, დიდება მოსასვლელო. ვილოცებით ზედაშით, სანთლით, ლემზირებით და ეს მიიღე ჩვენგან შეწყალებად, დიდებულო.

[2] დიდება მოსასვლელო შემწყალებელო ᲥᲐᲜ-ანგელოზო. ჩემი დღევანდელი მარხვა (აღკვეთა)

გორც ეს ზემოთ არის მოთხრობილი. (მთხრ. ს. გირგვლიანი 1998 წ.).

სოფელ ლეშგრუნიდან ერთი ვერსის დაშორებით ტებდიაშის გზაზე მდებარეობს ,,**ᲔᲜ - ᲜᲐᲛᲖᲒᲠ**''. ეს ადგილი ᲔᲜის ეკლესიას პირდაპირ უყურებს. აქ გამვლელი პირჯვარს გადაიწერს - მარჯვე დღე მოგვივლინე, ᲔᲜ—ᲜᲒᲚᲔᲚᲝᲗ! და ისე გაუდგება მთისკენ მიმავალ გზას. აქ დიდი ქვაა, ქვაზე კი ქვით ნაშენი ეკლესიის მსგავსი ნიში. (ლატალი).

მესტია - ლატალის გზაზე არსებობს მეორე **ᲔᲜ-ᲜᲐᲛᲖᲒᲠ**. აქ, წმინდა ადგილზე, განმარტოვებით მდგარი ფიჭვის ხე იდგა (მეხმა იგი წინა წლებში წააქცია და ფესვიღაა დარჩენილი!), ამვლელ-ჩამვლელი ᲔᲜ - ᲜᲒᲚᲔᲖს ახსენებდა. ფეხით მოსიარულე კი, იქვე თეთრ ქვას (კვარცი სვ. ᲭᲣᲔᲠᲣ || ჩირხა) დადებდა. ამბობენ უწინ აქ ფიჭვის ძირას, ლიდბᲐში იმართებოდაო. თეთრი ქვები იდებოდა ტებდიᲐშის გზაზე მდებარე ᲔᲜ-ᲜᲐᲛᲖᲒრთანაც. ,,ნათგლმცემელ''- ესეც ,,ᲜᲒᲚᲔᲖ''-ია . მისი სახელობის სალოცავი ლᲐᲛᲘია (ლატალი), ხოლო სალოცავ დღედ მისთვის ოთხშაბათია მიკუთვნებული. ამ დღეს ლიდბᲐშის გამართავდნენ ქალები; - დიდᲐბ ᲐᲯᲕᲐდ ი მᲐლდ ᲐᲯᲕᲐდ ნᲐთგლმცემელს, ჯემზირდ ი ჯᲔᲕგრᲐლდ ლეტროშ, ზედᲐშშ, ლემზირშ. ისგუ მეფშდე შდგმრᲐლე მᲐზიგ ანᲭᲐბინ - ლეჟა ბიქᲩს ლᲐხო ი ლექᲩა ლიცს სგᲩებდ მᲔზი ნᲐყრ მᲐდლიან მᲐდილშ გᲩეში ალი ლიმზირ ლიᲕგრᲐლ დიდᲐბი ლᲔᲕედ![1]

გვაქვს კი უფლება ,,ᲔᲜ - ᲜᲒᲚᲔᲖის'', ,,ᲔᲜ - ᲜᲐᲛᲖᲒᲠ''-ების და ,,ᲜᲐთგლმცემლის'' თᲐრინგზელების ჯგუფში გაერთიანების და მათთან ერთად განხილვის?! ვფიქრობთ, რომ გვაქვს;

თᲐრინგზელ-ის და ანგლეზ-ის სემანტიკა ჩანს, ერთნაირია (თᲐრ-ი-ნგზელ || თარი-ნგზელ-ი და ა-ნგლეზ-ი) - ჩანს ისიც, რომ მათ საერთო გააჩნიათ ,,ანგელოზის'' სემანტიკასთანაც, მაგრამ ამ სამივეს ფუძე - ,,ნგლეზ'' სიძველის, ქრისტიანობაზე უფრო ადრინდელის, შრეს უნდა ქმნიდეს და მას მთავარი ეტიმოლოგიური დატვირთვა უნდა ახლდეს. მაგრამ კერძოდ რა?! ამაზე პასუხს მოგვიანებით გავცემთ. პირველ რიგში კი - უმჯობესია გავითავისოთ ,,ანგელოზის'' თეოლოგიური სწავლება. ანგელოზი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ,,მაცნეს'', ,,მაუწყებელს'', ,,მახარობელს''. ანგელოზები უსახელო, ზეციური არსებები არიან, რომელთაც ღმერთმა არსებობა მიანიჭა, ე. ი. უმყოფელობიდან მყოფობამდე მოიყვანა.

- ანგელოზი არის გონიერი არსება, მარად მოძრავი, თავისუფალი, უსხეულო ღვთის მსახური, რომელსაც მადლის მიერ მიუღია თავისი ბუნების უკვდავება;

- ანგელოზები, როგორც უსხეულონი, სინანულის ვერ მიმღები არიან, მაშინ, როცა ადამიანმა სხეულის უგნურების გამო პოვა სინანული;

- ანგელოზი უკვდავია არა თავისი ბუნებით, არამედ ღვთაებრივი მადლით;

- ანგელოზნი არიან გარშემოწერილნი, არ შეუძლიათ ერთდროულად ცაშიც იყვნენ და მიწაზეც;

- იღებენ იმ სახეს, რა სახითაც შეუძლია მათი ხედვა ამა თუ იმ ადამიანს;

- განათლება ანგელოზებს სული წმინდისაგან აქვთ და არა - საკუთარი არსე-

---

სარგებლიანი გახადე ჩვენთვის. თვალების და თავის ტკივილი ამაშორე.

[1] დიდება მოსასვლელო და მადლი მოსასვლელო ნათელმცემელო, ვილოცებით და გევედრებით სანთლით, ზედაშით, ლემზირით. შენი გაშვებული ყურების ტეივილი გვაშორე - ზემოთ ქარს გაატანე და ქვემოთ წყალს გააყოლე, წინმავალი ქენი მადლიანო, მადლით სავსევ ეს ლოცვა ვედრება, დიდებულო.

ბისგან, ანგელოზები წინასწარმეტყველებენ ღვთის მადლის ძალით;

- ანგელოზნი ღმერთს ჭვრეტენ იმდენად, რამდენადაც ეს ძალუძთ და სწორედ ეს ჭვრეტა შემოქმედისა არის კიდეც მათი საზრდო;

- ანგელოზები იმ სახეს მიიღებენ ხოლმე, რა სახის მიღებაც უფალი ღვთისგან აქვთ ნაბრძანები. იმ სახით ევლინებიან ადამიანებს და ღვთაებრივ საიდუმლოთ განუცხადებენ.

- ისინი ცათა შინა მკვიდრობენ და დაუცხრომლად ადიდებენ ყოვლადწმინდა სამებას.

ეკლესიური სწავლების მიხედვით, ცნობილია ანგელოზთა ცხრა დასი:

სერაბიმნი, ქერუბიმნი, საყდარნი.

უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი.

მთავრობანი, მთავარანგელოზნი, ანგელოზნი.

საეკლესიო სწავლებით ცნობილია ცხრა მთავარანგელოზის სახელი, რომელთაც სხვადასხვა კურთხევა აქვთ მიღებული ღვთისაგან.

1. მთავარანგელოზი მიქაელი—მძლევი ყველა მტრული ძალისა. მფარველი ყოველგვარი უბედურებისაგან, მწუხარებისა და ბოროტისაგან.

2. გაბრიელი—სიმაგრე ღვთისა და კეთილი მაცნე საიდუმლოსი.

3. რაფაელი—ავადმყოფობის მკურნალი და გზაზე დამყენებელი.

4. ურიელი—აღმძვრელი ლოცვის სურვილისა და უცოდინართა განმანათლებელი.

5. ეგუდიელი—მფარველი მოგზაურობისას, გაჭირვებულთა დამხმარე.

6. ვარახიელი—მომცემი და შუამავალი ღვთის სიკეთისა და მფარველი სულიერი და ხორციელი სიწმინდისა.

7. სერაფიელი—მკურნალი ამაკანკალებელი ავადმყოფობისა (მალარია, ეპილეფსია,...) და ღმერთთან მლოცველი ხალხისათვის.

8. ერომიელი—ღვთისადმი სიყვარულის გამაღვიძებელი.

9. ტახნიელი—დამხმარე და დამცველი უბედურებისა და თავდასხმისაგან.

მთავარანგელოზთა დღესასწაული წმინდა ეკლესიის მიერ დაწესებულია 8 (21) ნოემბერს.[1]

რა ,,სახეს'' იძლევა ხალხური ტრადიციებით დღემდე მოსული თ̈რინგზელები?!

1. ,,**ფუსდ მგქემ თ̈რინგზელ**'' - თ̈რინგზელების ,,მამამთავარი'' ანუ უფრო სწორად, ,,დიდი დედა'' ღვთაება, უზოგადესი მდედრობითი არსის პარადიგმული სახე, უფროს ღვთაებათა პანთეონში რიგით მეორე წევრი, შემოქმედი, სტიქიონის მფლობელი. იგი ყოველივეს მომმატებელი (,,მგქმე'') და ამავე დროს ყოველივეს გამნადგურებელიაცაა, რადგან ,,მატება დაბადება'' შეუძლია, შეუძლია მისი მოსპობაც და ეს ხდება სტიქიონის ფლობით, ავადმყოფობის გაჩენით, წარღვნის, მიწისძვრის... მოწყობით. იგი სიცოცხლის მფლობელია; ძე-შვილით მატება მისი ნებაა. ასე რომ, ადამიანის და ბუნების სიკვდილ-სიცოცხლე ,,მის ხელშია''. იგი ხოშა ღერბეთის ვაზირია - მის გვერდში მყოფი - მე-2. ის ყველაფერზე უფროსია მაგრამ, ამავე დროს, უმცროსია ხოშა ღერმეთზე, მაგრამ გარკვეულ წილად დიდი ღმერთის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენაც შეუძლია - ,,ხოჩა გ̈არ ̈ანვ̈ზირ ღ̄ერბათხანქაᲂ ი ისგუ ყერხანჭ̈ᲂ! - მას საკუთარი ძალაც გააჩნია, იგი არაა მხოლოდ ქვეშევრდომი! პირიქით, ერთი მთლიანია. ალბათ, ამიტომაც ერთი მომცრო ლესკარია მისი ტაბგ-

[1] ამით სძლიე! 1998 წ. გვ. 53-55. ასევე საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1979 წ. გვ. 215.

ლი. მისი პარადიგმული სახე კი - ,,დედამიწაა'' და ამადაცაა ტაბგლის ფორმა - ბრტყელი, გადაბრუნებული, ლემზირებიანი ლესკარი. იგი ხმიადია და უზედაშოდ აღსავლენი!

ფუსდ მგქემ თშრინგზელ რომ მდედრობითი ბუნებრიობისაა, ამას მისი ტაბგლის სხვა სახელწოდებაც ამტკიცებს; ,,ლამშრიშ ლესკარ'', ამ სახელწოდებით არსებობს იგი ეეშხუშმ - მახე ზაე-ის რიტუალში მაშინ, როდესაც ყველაფრის ახლად დაწყებას, ახლად დაბადებას ,,ეყრება საფუძველი''. მდედრი და სტიქიონი - ამ ორის ერთმანეთში ასოცირებული ნაზავის სახეა ,,ფუსდ-მგქემ-თშრინგზელი''. მისი ბუნების სიღრმეც და ბოლომდე არ გაგების მომენტიც, ჩანს, ამის განმსაზღვრელია.[1]

2. ,,**ნესკგლდაში თშრინგზელ**'' (სახელწოდება ნაწარმოებია ადგილ-მდებარეობიდან ანუ ადგილს, სადაც იგი ,,არსებობს'' - მისი სალოცავი მდებარეობს - ნესკგლდაში ეწოდება.) - გვერდების (ლესგარ!) ტკივილებისგან დამცავი, ოჯახისგან მათი ,,მატევარის და მავნებელის ამცილებელი!'' (ნიშგუეი მგტენვე, ნიშგუეი მავნებელ, ნიშგუეითეისგა ნუმა ანჭგდე!). ახალი მთვარის პირველი ორშაბათი - ნგსკელდაში თშრინგზელის ხსენების დღეებია.

3. ,,**ბარბალ-მგხერ თშრინგზელ**'' - შვილიერების, ნაყოფიერების და ბედნიერების (დაწყვილების!) განგებაა. სალოცავი დღე ორშაბათია ბარბალ - მგხერ თშრინგზელისაც და ნესკგლდაში თშრინგზელისაც. მისი ძირი სალოცავის - ჭუშხუნშ თშრინგზელის სალოცავი დღეც ორშაბათია. ფუსდ-მგქემ თშრინგზელს კი განკუთვნილი დღე არ გააჩნია - იგი ყოველთვის ,,გჭირდება'' და მისი მადლიც ყოველთვის არის სახსენებელი!

4. ,,**თანღი თშრინგზელ**'' - ძე-შვილის მომცემი, მისი მფარველი ისრისა და ხანჯლისაგან, მთებსა და მწვერვალებზე მოსალოდნელი საფრთხისაგან. სალოცავი დღე ორშაბათი.

5. ,,**მეზრა თშრინგზელი**'' - სალოცავი დღე სამშაბათი. ავდრის მეუფე. ქარიშხლისა და მისით გამოწვეული უბედურებისაგან დამცველი.

6. ,,**კაეშა თშრინგზელი**'' - მეზრა თშრინგზელის ნაწილი. ზვავების მეუფეა იგი. სალოცავი დღე პარასკევი ან სამშაბათი.

7. ,,**ლემქგლდი თშრინგზელი**'' - ყურების ტკივილისგან დამცავი. სალოცავი დღეა ხუთშაბათი. (სალადბაშო!)

8. **ფუსდ მგქემ თშრინგზელის** ნაწილი ,,მაცხვარ ფხუ''. სალოცავი დღე ორშაბათი და სამშაბათია. მამაკაცთა სვე-ბედის მომწესრიგებელი.

9. ,,**ხატგნცხოველი**'' - სხეულის ყველანაირი ტკივილებისგან დამცველი, სალადბაშო დღე ორშაბათი.

10. ,,**გუჰლი თშრინგზელ**'' ,,ჰარტი თშრინგზელ''-ის ნაწილია. გუჰლი თშრინგზელი კოხის (სეტყვის!) მეუფეა, სალოცავი დღე შაბათია.

11. ,,**ყერიაში თშრინგზელ**'' - ადამიანის სვე ბედის მეუფეა, სალოცავი დღე შაბათია.

---

[1] ,,ღრმა'' და უცნობი, მოულოდნელობებით სავსე, ერთნაირად და ერთდროულად როგორც კარგის, ისე ცუდი პოცენტის მქონე სტიქიონია მართლაც მდედრობითი არსის ბუნება: შინაგანი, უხილავი, სიღრმისეული უფრო გრძნობითი და არა ზედაპირული - გონებითი. ამ გაგებითაც მასში დედამიწის ღვთაება ,,გა || გეა''-ც გაიაზრება. იხ. მითოლოგიური ლექსიკონი, აკაკი გელოვანის, გა - დედამიწის ღვთაება.

12. ,,**სიდიპნი თპრინგზელ**“ || ,,**ამენი თპრინგზელ**“. ადამიანის (ავისგან ოჯახის დამცველი. მათთვის ,,კარგი ამენის“ მომვლინებელი. (,,ნიშგუეი მგჭთე, ნიშგუეი ხოლა თემი მგფხრე ნიშგუეითეისგა ნუმა ანფუშდე, ხოჩემი მგმენე გარ ანფიშირ“!) სალოცავი დღე ორშაბათი.

13. ,,**ჰარტი თპრინგზელ**“ ავდრის, ელვაჭექის და ქარიშხლის მეუფე (,,უჩხა“, ,,ლირხუნწალი“, ,,ხოლა მანდერა“!). სალოცავი დღე ხუთშაბათი.

14. ,,**ოქრა თპრინგზელ**“ - ოჯახზე ავის მთქმელის და მაწყევარის ამრიდებელი. ხსენების დღე - ორშაბათი.

15. **ზაგრი თპრინგზელ** || **ჯარ ბპლ ზაგრი თპრინგზელ**. შემწე თავისი ძალითა და მადლით. ხსენების დღე - ოთხშაბათი.

16. ,,**ფაფგლდა თპრინგზელ** - კარგ გზაზე დამყენებელი, სოლომისგან დამცველი. სალოცავი დღე - ორშაბათი.

17. ,,**ალგნგვერი თპრინგზელ** || **ლემთა თპრინგზელ**. მფლობელია ძვლების ტკივილების (ძვლის ავადმყოფობის!) და მუცლის ავადმყოფობის. მფარველია ქალური დაავადებების, სალოცავი დღე - ხუთშაბათი.

18. ,,**მგჰლალაშა თპრინგზელ**

19. ,,**დული თპრინგზელ** - სიკარგისკენ მომაქცევარი. მას სხვანაირად ,,ლეჟპ სგობლა თპრინგზელსაც ეძახიან“. (ადგილის მიხედვით!). სალადბაშო დღე ორშაბათი. ,,დულ“ - ქალთა დღეობის აღმნიშვნელი ტერმინია, ,,ლამარიპ ლიმზირის“ იდენტური.

20. ,,**ბპნ - ანგლეზ**“ - თავის და თვალის ტკივილებისგან დამცველი. ფეტვის ნათესის მომყვანი. მისი დღეობა რიცხვით მყარად განისაზღვრება და აღინიშნება სამი დღე.

21. ,,**ნათგლმცემელი**“. ყურების ტკივილისაგან დამცავი, სალოცავი დღე - ოთხშაბათი.

ნათელია, რომ კვირის ყოველი დღე კვირიაკის, საუფლოს გარდა, თპრინგზელების კუთვნილი დღეებია: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, მაგრამ აქაც გარკვეული და მკაცრად განსაზღვრული წესრიგია. მკაცრი წესრიგია შესაწირავებშიც ზვარაკი იქნება იგი, თუ მცენარეული შესაწირი. მათი უფროს - უმცროსობის პრინციპით განისაზღვრება ზვარაკის სიდიდეც ხარიდან დაწყებული თიკნით დამთავრებული (,,ჭუშხუნე თპრინგზელის“ შესაწირავ ხარს ფუნჩეს ეძახიან!). მკაცრად არის განსაზღვრული ის წესიც, თუ რომელი თარინგზელი მიიღებს ყველიან ლემზირებს, ზედაშეს, სალადბაშოდ არიან სახსენებელი თუ სასოფლოდ, დიდი დღესასწაულებისას. განსაზღვრულია მათი მსახურიც რომლის ქალია, რომლის მამაკაცი.

მათთვის ილოცებიან როგორც შინ, სალოცავ სარკმელთან, ისე ეკლესიის სალადბაშე მინაშენთან (ლამპრიაში!), როგორც საოჯახო, ისე სათემო და სასოფლო დღეობებისას. (უფლიშიენ, ლიქვრეშიენ, ლიკდუშიენ, ლიმპარიენ, ლიგიერგიენ - სათემო დღეობებია. ლიმხერი, ლითნაღი, ფუსდპ ჯპნი ლითუპლ - სასოფლო (სალატალო!) სათემო და სასოფლო დღეობებისას როგორც ზვარაკი, ისე მცენარეული შესაწირავი (გუიზ!) ერთად, ერთნაირად არის გაღებული. (ზვარაკის სქესი ყოველთვის მამრობითია!) მათი მავედრებელი - მემზირი ქალიცაა და მამაკაციც!

თპრინგზელები უფროს - უმცროსობის პრინციპით სამ ჯგუფს (სამ საფე-

ხურს!) ქმნიან:

I. ფუსდ - მგქემ თშრინგზელი.

II. ბარბშლ-მგხერ თშრინგზელ.

თშნლი თშრინგზელ.

ნესკგლდშში თშრინგზელ.

ჭუშხუნი თშრინგზელ.

მეზრა თშრინგზელ.

ეშნ შნგლეზ.

III. ჯგუფში შედის ყველა დანარჩენი.

ყველა თარინგზელი ,,ზე ამაღლებულნი'', ,,მწყალობელნი'', ,,მშველელნი'', ,,მადლიანი'' და ,,მადლით აღსავსენი'' არიან - ყიბე ლგკლშთხე! მგჟრი! მშშედ! მშდლიან! მშდილშ გრეში. და ამით ღვთაებრივი არსის მომცველად გვევლინებიან.

ვფიქრობთ, ამ ყოველივეს შემდეგ თავისთვად გაირკვა ,,ნგზელ''-ის სემანტიკაც და ეტიმოლოგიაც; ნა-გზელ-ი, ლი-გზელ-ი, მგ-გზელ-ი, ნგზელი - ანუ ის არის, ვისაც შობა, შვილის გაჩენა შეუძლია: ბუნებით - მდედრი! ქალის წიაღი!, მაგრამ არა მხოლოდ თვითონ. ამ დროს მასთან წარმოსახვაში მუდამ პირველიცაა ნაგულისხმევი. (ამიტომაა რომ თშრინგზელების მსახური არ არის მხოლოდ ქალი. შესაწირავებიც არ არის მხოლოდ ,,ქალური''. ლოცვა-ვედრებაც არ ხდება მხოლოდ ლადბაშებში!). ეს სიცოცხლის არსია, მისი დამბადებლის არსი ფუსდთან ერთად არსებული! უზოგადესი დამბადებლის ბუნებრიობა ხდება ფუსდი მგქემ თშრინგზელის პირველი არსიც. მასში, ჩვენის აზრით, მზის ღვთაებასთან გაც არის თავშეფარებული. იგი დშლ ეშხრამის შემდგომი პარადიგმული სახეა-დამბადებელი დიდი დედის სახე.

აქვე ჩანს მეორე მხარეც. თუკი მისდამი მსახურება უვარგისია და არასრულყოფილი, მისგან მომდინარე რისხვა - სტიქიონია. მთავარი თშრი-ნგზელი (ფუსდ მგქემ თარინგზელი!) ამისთვის ქმნის თავის ,,შნგლეზთა'' ,,მთელს არმიას'' და მათ სხვადასხვა სტირიქონთა მეუფეებად ხდის.

ამ ყველაფერში თავშეფარებული ხდება ცისა და მიწის კავშირიც ანუ მსახურება მიწიერისა ზეციერისადმი. მსახურება რწმენით, იმედით და სასოებით, ლოცვის წესრიგითა და მისი ერთგულებით!

X თავი

ჯგრაბის დღეობები

„ლალხორალ“ „ჯგრაბი ლგლგენეს“ ზვარაკად შეწირვის პერიოდიცაა. ჯგრაბის ლგლგენე ხარი, მოზვერი და ხბოა, ასევე ვერძი ან ვაცი. მისი ზვარაკის შეწირვა ხოშა ღერბეთის ზვარაკის შეწირვის მსგავსია. ჯგრაბის ტაბგლ უმეტესად 12 ცალი ჩვეულებრივი ლემზირია. ანდა, ხოშა ღერბეთის ტაბგლის ნაირი, 1 ც. მუქეღუ + 4 ც. სეფსკვერი + 1 ც. მუსვალდი + 6 ცალი ჩვეულებრივი ლემზირი. (სულ 12 ცალი). ან 1ც მუქეღუ + 4 ც. სეფსკერი + 4 ცალი მუსვალდი + 3 ც. ჩვეულებრივი ლემზირი (სულ 12 ცალი).[1]

ზვარაკის გულ-ღვიძლი აღევლინება ჯგრაბს თავის ტაბგლსა და ზედაშესთან ერთად. ლოცვის შემდეგ ისაუბრებენ და კვლავ დიდი ღმერთების (ხოშა ღერთალ) მადლის ხსენებით ისურვებენ ლოცვა - ვედრების წარმატებას; შესთხოვენ მათ ამ ოჯახის სიმრავლეს, ბედნიერებას, სიჯანსაღეს და იმ სურვილის ასრულებას, რისთვისაც მათ ეს ზვარაკი გაიღეს. ეს კი, პირველ რიგში, ძე-შვილების ბედნიერი და უსაფრთხო მომავალია.

თუკი ლალხორალებისას ოჯახი რიგი მიზეზების გამო ზვარაკის შეწირვას ვერ მოასწრებდა, იგი მას შემოდგომის გიორგობის დღეს შესწირავდა („ მუქღურეში ლიგიერგი“ - 23 ნოემბერი). მაგრამ აქ ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი: ზვარაკი მხოლოდ შაბათს დაიკვლებოდა, იმ შემთხვევაში თუკი 23 ნოემბერი შაბათის დღეს არ დაემთხვეოდა.

შემოდგომის გიორგობას ლატალის ზოგიერთი თემი სათავისოდ, სათემოდ აღნიშნავდა (მაცხვარიშელები, იფხელები, შყალერის თემი). ვინც გიორგობას ჰოკულდაში ჯგრაბის სალოცავში ვერ ავიდოდა, ლემზირებს იგი სალოცავ სარკმელთან შესწირავდა; - დიდაბ ალჯვალ ჯგრაბგ ლიგიერგაშს, ანჰიგ ფიშირ ლიგიერგი ხოჩა გუქან, ათფიშირ ნიშგუგ ქორისგა ისგუ მუღუნე ი ისგუ ფაყუა მგგემ, დიდაბი ლეალედ ჯგრაბგ ლიგიერგაშ![2]

საზოგადოდ, ძე-შვილის მომცემი წმინდანებიდან პირველი ჯგრაბია, შემდეგ ბარბალ-მგხერ თარინგზელი, შემდეგ კი—თანლი თარინგზელი.

გიორგობის დღის მომდევნო ორი ორშაბათიც ჯგრაბის სალოცავი დღეებია. რწმენით ეს დღეებიც იგივე „სიძლიერისაა“, როგორც თვით გიორგობის დღე. ვინც გიორგობის დღეს სალოცავში ვერ მივა, მივა აუცილებლად მომდევნო ორშაბათს - ნალგიერგი დეშდშარს“. მაგრამ ამ დღეთა ლემზირები მხოლოდ ცარიელი ლემზირე-

---

[1] ჯგრაბის ტაბგლი ხოშა ღერბეთის ტაბგლისნაირია იმ შემთხვევაში თუკი ლოცვა მხოლოდ ჯგრაბის სახელზე ხდება. თუ ზვარაკიც და ლოცვაც ხოშა ღერბეთისთვისაა განკუთვნილი, ჯგრაბის ტაბგლი მაშინ, მხოლოდ, 12 ცალი ჩვეულებრივი ლემზირია. ამ დროს მზადდება ხოშა ღერბეთის ტაბგლიც. მგქემ თარინგზელის ტაბგლიც და ჯგრაბის ტაბგლიც. (მთხრ. ს. გირგვლიანი - გვიჩიანის 1998 წ.)

[2] დიდება მოგსვლოდეს ჯგრაგს გიორგობისას, მოგვასწარი მრავალ გიორგობას კარგ გუნებაზე, ამრავლე ჩვენს ოჯახში შენი მაფიცარი და შენი ქუდის დამხურავი, დიდება მოსასვლელო ჯგრაგო გიორგობისაო!

ბია და არც ზვარაკის შეწირვა ხდება მარხვის პერიოდის გამო. (ქრისდეშობის მარხვაა!).

ქრისდეშობის მსგეფსისას ჯგგრაშგის სალოცავი დღე შაბათია, ხოლო ,,ჯგგრაშგ ბოგაშის'' სალოცავი დღე - ხუთშაბათი. იგი ადამიანის ხიდებსა და საცალფეხო ბილიკებზე საფრთხისაგან დამცველია. ამ საფრთხისგან იგი საქონელსაც იცავს.

ჯგგრაშგი და ლიგიერგი რომ ორი სხვადასხვა რამეა ამაზე, გიორგობის დღესასწაულიდან გამომდინარე, მეტყველებს შემდეგი გარემოებები: 1) სახელწოდება ,,ნალგიერგი დეშდშარ'', რომელიც გადმოგვცემს ორშაბათის დამოკიდებულებას გიორგობისადმი, ე. ი. აქ აქცენტი გიორგობაზეა გადატანილი და არა ჯგგრაშგზე; ჯგგრაშგის მთავარი დღე შაბათია და არა ორშაბათი. 2) გიორგობის დღეობისას ლოცვა-ვედრება აღევლინება არა წმინდა გიორგის, არამედ ჯგგრაშგს, ანუ ჯგგრაშგ ლიგიერგიშ''-ს - ჯგგრაგს გიორგობის დღისას. აქ გიორგობა დღესასწაულად აღიქმება, ხოლო მის მფარველად წმინდა გიორგი კი არაა წარმოდგენილი, არამედ ჯგგრაშგი და 3) ჯგგრაშგის სალოცავი დღე შაბათია და არა ორშაბათი.

ლიგიერგი, ნალგიერგი დეშდშარ პირდაპირ კავშირშია გიორგისთან და არა ჯგგრაგთან, მაგრამ ხალხური რწმენით ამ დღეებშიც ჯგგრაშგია ხალხის შემწე და ლემზირების შემწირველი. ამით ჯგგრაშგი და წმინდა გიორგი ერთმანეთში ასოცირებული წმინდანებია და მათგან, ბუნებრივია, ჯგგრაშგი წინარექრისტიანულია, წმინდა გიორგი კი—წმინდა ქრისტიანული წმინდანი.

ჯგგრაშგის არსი იდეურია და არა სახიერი. იგი ისეთივე ყოვლისმომცველი და საკრალურია, როგორც ,,ხოშა ღერბეთი'' და ,,მგქემ თარინგზელი''. ამიტომაა იგი ხოშა ღერთალე რიცხვში გაერთიანებული, რიგით მესამე წევრი მმართველ ღვთაებათა პანთეონში. წმინდა გიორგი კი - ნამდვილი ისტორიული პირი, რომელიც ქრისტესთვის წამების შემდეგ ქრისტიანულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. რატომ არიან ისინი ერთმანეთში სინკრეტიზირებული და ასოცირებული?! ვფიქრობთ, ერთი მარტივი მიზეზის გამო—ორივე მამაკაცის მფარველია, მისი ძალის და არსის მფარველი.

,,ნალგიერგები'' ჯგარაშგის არსის სამობას გამოხატავს. ადამიანის მოდგმასთან უფრო ახლო მყოფი, მწყალობელი და მშველელი ჯგგრაშგი დიდი ღმერთის ბუნებრიობის სადარია, მაგრამ არა მისი ტოლი, მხოლოდ შემცვლელი - უფრო ,,ხელშესახები'', ,,ადვილად შესაწუხებელი'', ვიდრე დიდი ღმერთი; დიდ ღმერთს ყოვლისმშველელად, ყველაფერზე ყოველთვის არ აწუხებენ.

ჯგგრაშგი მამაკაცების შემწე და მწყალობელია ყველა იმ საქმეში, სადაც ისინი თავიანთ არსს გამოავლენენ. იგი მითიური ,,ძე-შვილია'' იმის გამოც რომ უპირველესია შემქმნელის მიერ მიწიერის შემწედ და მშველელად - ზეციური მადლით მოვლენილი და საწყისია მამაკაცის ღვთივ რჩეულობის, საპირისპიროდ ქალისა. ვფიქრობთ, ამადაცაა მისი ეტიმოლოგია ,,ჯგგრი'' + ,,აგი'' - სიწმინდე მიწაზედ გაჩენილი'', ცით კურთხეული. (ლიჯგრი - მღვდლით კურთხევას ნიშნავს, საპირისპიროდ ლიფშნესი. შგი || ალაგი - მიწის ზედაპირია. აქვს სახლის შინას ცნებაც; ჯგგრი შგი - ვინმეს (და არა მღვდლის) მიერ გაწმინდავებული, ნაკურთხი ალაგია; მამრობითი არსის პირველადობა, ქვეცნობიერად არსებული, გახდა ცნობიერი და ქალის პირველი მსახურებით რჩეულობაც მამაკაცის პირველი მსახურებითი რჩეულობით შეიცვალა. ,,ლშმარიას'' გვერდით ,,ჯგგრი აგის'' არსი ,,წამოიმართა'' და ლამშრიაზევე აღიმართა

,,ჯგრუგის სალოცავი: ნიში, ჯვარი და ეკლესია; ღია ცის ქვეშ ლამარიას პირველი სალოცავი დოლაბგადაფარებული მიწის ხვრელი იყო. შინაში კი - კერა, გვემი და აქ მოთავსებული ფქვილის კიდობანი (ლაფქარ), აღმოსავლეთის მხრის სარკმელი.

ვფიქრობთ, ჯგრუგში მთვარეც კი არ ასოცირდება ისევე, როგორც პიროვნული წმინდა გიორგი. მათ სქესთა არსი თუ აერთიანებთ. მთვარე მზე ღმერთის მეწყვილეა და დიდი ღმერთის ასტრალურ საწყისს გვიქმნის მანამ, სანამ მზე ქალღმერთი მზე მამაღმერთით (გაცნობიერებული ,,ერთი''-თ) შეიცვლებოდა. ამ ცვლილების შედეგადაა შექმნილი ჯგრაგიც ლამარიას სანაცვლოდ თუმცა ამით მათ ერთმანეთი არ მოუსპიათ - ადგილები შეიცვალა: მეორენი პირველნი გახდნენ, პირველნი - მეორენი. იდეა მათი მუდამ ერთიანობისა და განუყოფლობისა, კანონზომიერული ერთობისა, უცვლელი დარჩა. ცაზე ეს ორეული ხოშა ღერბეთით და მგქემ თარინგზელით დაკონკრეტდა და მიწაზედ - ჯგრუგით და ლამარიათი. მათ მსახურებად, ბუნებრივია, დარჩნენ ისევ მიწიერი ქალი და კაცი, ლამარიას და ჯგრუგის მადლის მქონენი; ღვთაებრიობა დასანახია ადამიანის სულისთვის და არა თვალისთვის, თვალი ღვთისაა, მისი ფუნქციის ჩენაა მიწიერზე ბატონობისა თუ პატრონობისათვის!

,,ლიკურიელის'' დღეობისას, რომელიც ლიფანალის ბოლო დღეს - ჯრდი ჰამ-ს იმართებოდა, ახსენებდნენ ჯგრუგ ლითოდურიშს. ძველად ამ დღეობას მხოლოდ სოფელ ალენაშის მაცხოვრებლები აღნიშნავდნენ. ამბობენ, ლიგვანაშალის წეს-ჩვეულება და ტრადიცია ლიკურიელის ტრადიციიდან აქვთო გადაღებული მაცხვარიშელებს. ლიგვანაშალის მაცხვარიშელები იხდიან ძვ. სტ. 2 თებერვალს მაშინ, როდესაც ,,დეცე ლამპრობის'' დღეობაა. ამ დღის მფარველად მათ კვირია ესახებათ, ჩვენ (ალენაშელებს) - ჯგრუგ ლითოდურიშ. ჩვენ (ალენაშელები) სირიან - კვირიან-ს ვიძახით (3-ჯერ), ისინი ,,კვირიას'' (3-ჯერ) - ლოცვის შემდეგ:

დილით ალენაშის ახალგაზრდობა (მეკურიელა) შეიკრიბება ალანის ეკლესიის ეზოში (ალენაშელები ალანის კაცები არიან!). შეკრების შემდეგ იტყვიან ,,ჯგრუგის'' საგალობელს - ,,ჯგრუგიშ''! იგი იწყება მიმართვით - ლაგვიაშედა და გრძელდება ჰაა -ის იმპროვიზირებით. მთავრდება ,,შეძახილით'' დიდებ ალჯვად ჯგრუგს სი ლაგუშედაა ვო-ო! (,,დიდება მოგსვლოდეს ჯგრუგს, შენ შეგვწეოდეო''). ჯგრუგიშ საფერხულო საგალობელი არ არის. იგი ერთ ადგილზე გუნდურად იმღერება. ჯგრუგიშის დამღერების შემდეგ იწყებენ პროცესიას - სოფელს მოყვებიან მარჯვნივ. მაგრამ სანამ ამას დაიწყებდნენ, ჯგრუგის დამთავრებისთანავე ის პირი, რომელსაც ხელში ზანზალაკებიანი (6 ცალი) ჯვარი უკავია (რუენი მგყდანი!), იტყვის შემდეგს: ალ სოფელისგა ვან ი ფირ ათფიშირ, ეჩი მეჭემ მარე ათფიშირ, დაბ-ლარე ათვეზირ, სგეა ათფიშირ, ლათშ ნაგნოვ, ლადაღშ ნაჩომ, მაგ სევინ, მაგ ბარქიან და შეკრებილნი ამ მიმართვის დამთავრებისთანავე ერთხმად დაიძახებდნენ სირიან - კვირიან-ს[1] (3-ჯერ). თვითოეული ოჯახის ეზოში კი ,,ალ სოფელისგა''-ს (ამ სოფელში) მაგივრად იტყვიან ამ სახლში'' (ალ ქორისგა!), სხვა დანარჩენი იგივეა. ოჯახს მათთვის გამოჰქონდა სასმელიც და სურსათიც. მათ ამისთვის სპეციალურად წამოღებულ გიდელში (კიცორა) ჩაალაგებდნენ და სხვა ოჯახში გადავიდოდნენ. ბოლოს კი კვლავ ალენაშის ეკლესიის ეზოში

[1] ამ სოფელში ხარი და ძროხა ამრავლე, იმისი მომვლელი (მიმყოლი!) ადამიანი ამრავლე, სახნავ-სათიბი აბეჯითე, ძე - შვილი ამრავლე, ღამით ნაფიქრი, დღისით ნაკეთი, ყველაფერი ბარაქიანი გახადე.

მოიყრიდნენ თავს და სატრაპეზოდ მინაშენში - ლამპრიაში - დასხდებოდნენ. პურობამდე ეკლესიას ლაჭშხიარით - საფერხულო საგალობელით - შემოუვლიდნენ. ამ საგალობელს ,,დიდებათა'' ჰქვია. ამ სიმღერისას ჯგუფი ორად იყოფოდა და ერთმანეთის მონაცვლეობით იტყვიან - საგალობლის ტექსტს:

ო-ო-ი დიდება ლილგვაიაშედა
ვანარ ჯირდახ სგაშ ლალგენა
მუჭუარ ხანგანხ დიმოქვრაში
ჰაკუდარ ხანგანხ დიმ წაწკვდარე
გიცრალ ჯირდახ სგაშ ლალგენა
მუჭუარ ხანგანხ დიმ ყვარყვჯალე
ჰაკვდარ ხანგანხ დიმ ხვარხვზალე
სიფგლდ მეტყუფე დიმ ჯარენახ
სგან ვანარეშ ლაიესენალედ...

,,ლიგვანაშალის'' დღეობისას მაცხვარიშელებიც იკრიბებიან დილით ადრე მაცხვარიშის ეკლესიის ეზოში. (მაცხვარიშელები მაცხვარის ხალხი არიან!). აქ ოჯახიდან ერთ-ერთი მამაკაცი მაინც უნდა წავიდეს სადღეობოდ და წამოიღებენ თითო ცალ ლამპარს (ჟინჟღილ''). მათ ასევე წინასწარ გამზადებული აქვთ გასაჭვარტლად (გასამურად) აუცილებელი ტილო, ქონით და ჭვარტლით გაპოხილი. ეკლესიასთან ისინი პირველად იტყვიან ,,ლამზგრიაშ''-ს. ამ დროს მათ ანთებული აქვთ ლამპრები. ამ საგალობელს სხვანაირად ,,კვირია'' ეწოდება. ეს კვირია განსხვავდება მკვდრის კვირიასაგან. მას მკვდრისთვის იგალობებენ იმ შემთხვევაში, თუკი ცოცხალი დარჩება მეუღლეც და შვილებიც. სხვა დროს მკვდრის კვირია არ იმღერება.

ლამზგრიაშ || კვირიას ტექსტი დაახლოებით ასეთია:

ო-ო დიდება ვივა!
შე-ი-ვა ზე-ი-დაში-ვა
შე-ი-ვა სე-ფსკუ-რი-ვა
ლემ-ზირ-რი-ვა მაგ-ი-ვა...
ლაგუ-ვიშედა! კვირია! კვირია! კვირია![1]

ეკლესიასთან მეორე საგალობელი ჯგრაგიშია. ამის შემდეგ დაიწყებენ პროცესიას - სოფლის შემოვლას წალმის წესით. ოჯახის კარებთან აანთებენ ჟინჟღლებს და ღია კარებში მათ ,,დაჩაჩხანებისას'' იტყვიან ზავემ ჯაჩეჩხ! ზავემ ჯაჩეჩხ! ზავემ ჯაჩეჩხ! თუკი ვინმე ჩაუვარდათ ამ დროს ოჯახის წევრთაგანი ხელში, გამურავენ საამისოდ გამზადებულ ტილოთი.

ოჯახებიდან ნახევარს რომ მოივლიან, დასხდებიან პურის საჭმელად სოზარ გირგვლიანის ოჯახში. აქ სასმისებით დიდ ღმერთებს ახსენებენ და მესამე სასმისზე ჯგრანგიშს იტყვიან 3-ჯერ. საღამოს, პროცესიის დამთავრების შემდეგ, ,,მაცხვარის სიფში'' კვლავ იტყვიან ჯგერანგიშს, ხოლო აქედან მაცხვარიშის ეკლესიაში ასულები

[1] ო დიდება...
შეიწირე ზადაშიო,
შეიწირე სეფსკვერიო,
ლემზირი და ყველაფერი
მოგვშველებოდე! კვირია, კვირია, კვირია. დაახლოებით ამ შინაარსისაა ტექსტი საღვთოსაგალობელ კვირიასი.

იგალობებენ ლამზგრიაშს და დაამთავრებენ ამით ლიგვნაშპლის ჩვეულებას. მაცხვარიშის სიფში ქეიფისას ლამზგრიაშ არ იგალობება. მხოლოდ მე-3 სასმისზე, ჯგგრაგის სასმისზე, იტყვიან ჯგგრაგიშს.

ლიკურიელის დღეობას ,,ლითოდურის'' სახელწოდებითაც აღნიშნავენ. დღესასწაულს ამავე სახელწოდებით, ლითრდური, ცხუმარელებიც იხდიან დიდმარხვის მეორე შაბათს ლაბსყალდის ეკლესიაში. მათ აქ მოაქვთ ლამპრები მამაკაცების დღეობაა იგი და ილოცებიან ჯგგრაგ ლითრდურის სახელზე. დღესასწაულობენ საღამო ჟამს. ლითრდური მრშ-ის სახელით არსებობს სვანეთში დიდმარხვის მეორე კვირა. (თუ რა კავშირი აქვს ლითოდურის თევდორობასთან, თევდორესთან, მთხრობელნი ვერ პასუხობდნენ. ლიტერატურაში კი ლითრდური თევდორობით არის თარგმნილი. ნ. წ.).[1]

ვფიქრობთ ლითრდურის საკრალური ძირი ,,თოდ'' უნდა იყოს. ყოფაში ,,თოდ'' მატყლისაგან დართული ძაფის საგორგალედ გამზადებული ხვეულია. ,,ლათდიარ'' || ,,ლათდრრ'' იარაღი, რითაც ამ ძაფის ,,ლანჩრიალიდან'' გამოტანა ხდება. ლათდრრზე გადმოტანილი ძაფი ირეცხება და ჯოხებზე დამაგრებით იწელება და შრება. გაშრობის შემდეგ ამ თოდს ერთი ქალი ხელებზე ჩამოიცვამს და მეორე მისგან ,,კუიკუ''-ს გააკეთებს. ლათდრრს T-ს ფორმა აქვს დაბლა ნახევარწრისნაირი მარყუჟით.

ბუნებრივია, აღნიშნულის პირდაპირი დაკავშირება ლითრდურისთან სიგიჟის ტოლფასია, მაგრამ მათ შორის სიმბოლური კავშირი ნამდვილად უნდა არსებობდეს და იგი ჩვენში ღვთაებრივი ,,შიბის'' ასოციაციას იწვევს. თუ ეს ასეა, ჯგგრაგის ეტიმოლოგიაც, ჩვენს მიერ წარმოდგენილი, ამითაც მართლდება, ჯგგრაგი ზეცასთან შიბითაა დაკავშირებული. ეს მამაკაცის ღვთივრჩეულობის დასტურია, აქ აღმართული სალოცავი კი - ღვთის მადლის მიწიერი სამკვიდრებელი. აღნიშნულის გარკვევაში ცხუმარელების ტრადიცია უფრო დაგვეხმარებოდა, რადგან ,,თოდრობის'' რიტუალი და საკრალურობა ჩანს მათთვის უფრო ახლობელია. სამწუხაროდ, ამის აღმნიშვნელი მასალა ჩვენ დღეს არ გაგვაჩნია!

ხვარსა ჯგგრაგის სადღეობო დღე ,,ჯრდი ჰამის'' შემდეგი სამშაბათია. ხვარს საქონლის ავადმყოფობაა და ხვარსობა ჯგგრაგს მისგან საქონლის დაცვას შესთხოვენ. შესაწირია ყველიანი ლესკარი და იგი აღსავლენია მურყვამზე (კოშკი) საღამო ჟამს. ეს ლესკარი სხვისთვის უწენა იყო და ამის გამოც ხდებოდა საღამოს მისით ლიმზირი. ამ დღისთვის დილიდან საღამომდე ცხვრებს საკვების მიღება ეკრძალებოდათ. ჯგგრაგ ულულაშისთვის განკუთვნილი დღეებია;

1. ,,ლაპლჩა მიშლადაღ'' - ჯრდი ჰამ-ის მომდევნო კვირიაკე (კვირა დღე!).

2. ,,ტაბრე ვებიშ'' - ლიმპარის წინა პარასკევი, ხორციელის წინა კვირის პარასკევი.

3. ,,მეესარაბ'' - ლიმპარის წინა შაბათი, ხორციელის წინა კვირის შაბათი. სანამ ამ დღეობებზე გადავიდოდეთ, საჭიროა მცირე ექსკურსი: ძველით ახალი წლიდან (ზუმხადან) მეესარაბის დღეობამდე არსებულ პერიოდს ,,აღბა მაზნა'' ეწოდება. ეს პერიოდი ცვალებადია და დამოკიდებულია ,,თამფა მაზნაზე''. ეკლესიურად ეს უდრის პეტრე-პავლობის მარხვის პერიოდს. აღნიშნულიც ცვალებადია და ორივეს ჯამი ყოვე-

[1] ლიკურიელის და ლიგვნაშპლის მთხ.-ნი ვ. ფარჯიანი, ბ. ნანსყანი, ს. კვანჭიანი, ს. გირგვლიანი. ლატალი.

ლთვის არის 9 კვირა. მაგ. თუ პირველი 3 კვირაა, მეორე იქნება 6 კვირა, თუ-4-ია, მეორე იქნება -5 კვირა და ა. შ. 2 კვირაზე ნაკლები არც ერთი არაა. თუკი აღბა მაზნა 2 კვირაა, დღეობათა რიგი ასე განაწილდება. ზუმხას შემდეგ ლიფანალია - ზუმხადან მე-5 დღეს. იგი მთავრდება ,,ჯოდი ჰამს'' - დასაწყისი დღის მომდევნო ორშაბათს. ამ დღეს იქნება Ქენაშელების ლიკურიᲔელი.

ორშაბათი ჯ̄ოდი ჰამ (ლიკურიელი).

სამშაბათი ხვარსობ. (ჯგგრაგ ხვალმის დღე!)

ოთხშაბათი

ხუთშაბათი ნალტახურა (სულების დაბრუნების დღე!)

პარასკევი

შაბათი ჯანგლობ (კოჭლი სულების სტუმრობა)

კვირა ლალჩა მიშლადაღ (ჯგგრაგ უღრᲚაშისათვის მარხვა - აკრძალვის დღე).

ამ კვირა დღის მომდევნო პარასკევი იქნება ,,ტახრე ვებიშ''-ის დღე. შაბათი - ,,მეᲥსარაბის'' დღე კვირა კი - ლიმპარის დღე და მეᲥსარაბის დღით დამთავრდება კიდეც აღბა მაზნას პერიოდი. ლალჩას დღიდან ლიმპარის დღემდე შუალედი ერთი კვირაა. ამ კვირის მანძილზე იკრძალება ხორცის, ქათმისა და კვერცხის ჭამა, რადგან იგი ,,ლალჩას'' მოყოლებული დღეებია ჯგგრაგ უღრᲚაშის სახელზე.

მაგრამ, როცა ,,აღბა მაზნას'' პერიოდი 2 კვირაზე მეტია, ლალჩასა და ლიმპარის შორის შუალედიც მეტია. ანუ დღეთა რიგი ,,ჯოდი ჰამ''-იდან ლალჩამდე იგივე რჩება და ლიმპარი გადაიწევს ,,ლალჩადან'' იმდენი კვირა, რამდენიც მააზნას ხანგრძლივობა იქნება. ბოლო კვირის პარასკევი დღე იქნება ტახრე ვებიშ, შაბათი - მეᲥსარაბი, კვირა კი ლიმპარი. აქვე ჩნდება კითხვა - როგორ შეიძლება გამოითვალოს ,,მაზნა''. ამისი წესი ჩანს ძალიან კარგად იცოდნენ ძველებმა. წინა წლების მაზნას. (ხანგრძლივობის) დამახსოვრებით ისინი მომდევნო წლის მაზნას გამოთვლიდნენ. თუ წინა წელს მაზნა 2 კვირა იყო (აღბა მაზნასი), მეორე წელს იქნებოდა - 3 კვირა. თუკი წინა წელს თამფა მაზნა იყო 7 კვირა (2 + 7 = 9), მეორე წელს იქნებოდა 6 კვირა (3 + 6). და ა. შ.

არსებობს ლიმპარის (და შესაბამისად აღბა მაზნას) გამოთვლის შემდეგი წესიც; საეკლესიო კალენდრით ადვილად შეიძლება მისი გამოთვლა ანუ აღდგომიდან უკან უნდა გადათვალო 10 კვირა (7 კვ მარხვის და 3 კვირა ხორციელის და ყველიერის). ბოლო კვირის კვირა დღე იქნება ლიმპარი. მისი წინა დღე - შაბათი - მეᲥსარაბი, იმის წინა დღე, პარასკევი—ტახრე ვებიშის დღე.

ჯგგრაგ უღულაშიშ ადამიანის დამცავია ავი ზნისა და ეპიდემიური დაავადებებისაგან. ავადმყოფის სახელზე ,,ლალჩას'' ღამეს (,,ლალჩა მიშლადაღ'') იკვლებოდა მამალი, მის მომდევნო მეორე და მესამე წელს სამი ცალი კვერცხის უწენად მირთმევაც საკმარისი იყო. დილიდან საღამომდე ავადმყოფი მარხულობდა - ,,მგტმეა''. საღამოს დაკლულ მამალს მთელი ოჯახი ,,უწᲔნად'' მიირთმევდა. ბუმბულს და ძვლებს კი დაწვავდნენ ან დამარხავდნენ. თუკი ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო, ლალჩა საღამოს ჯგგრაგ უღულაშისათვის შეიწირებოდა გოჭი. მისი ჯაგარი, ძვლები და ხორციც კი, რომელსაც ვერ შეჭამდნენ და გადარჩებოდათ, ცეცხლში უნდა დამწვარიყო; დარჩენილი ხორცის ჭამა მეორე დღეს არ შეიძლებოდა. პირველ წელს, ამ წესის დაცვის შემდეგ, წესი დაცული უნდა ყოფილიყო მეორე-მესამე წელსაც. მას შემდეგ იგი ოჯახს ეხსნებოდა და მის ბეგარისაგან თავისუფლდებოდა. ამ ტრადიციის ასრულები-

სას ოჯახში მხოლოდ ოჯახის წევრების დასწრება ხდებოდა და ოჯახის წევრებიდანაც დასწრება ეკრძალებოდა მათ, ვინც ეშხუშმის ,,ლაჭშხიარის'' დამზადებისას შინ არ იქნებოდა. ეენაშში, ახალი რძალი ამ რიტუალის დამსწრე იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მას ქმრის ოჯახში ორი წელი ჰქონდა განატარები.

ლალჩა ღამეს ზვარაკის დაკვლისას მიმართავდნენ ჯგგრაგ ლალჩას (ლალჩა - დაცვა; ლილჩე - აკრძალვა) - შენ გვიშველე, შენ დაგვიცავი ავადმყოფობისაგან! ხოლო, ვისაც ამ დღეს შეთქმული არ ჰქონდა ზვარაკი და ლილჩე, ის ჯგგრაგ უღულაშისთვის დააცხობდა 3 ცალ ლემზირს და შესთხოვდა ოჯახის ყველა წევრის ავადმყოფობისგან დაცვას.

,,ტახრე ვებიშ''-ის დღეს (პარასკევი, როდესაც იკვლება ლეეღაბ''-ი) საგანგებოდ გასუქებული ღორი (ტახ) ეწირება ჯგგრაგ უღულაშიშს. შეწირვისას ყელთან პატარა ლამპრით ჯაგარს შეუტრუსავენ და იტყვიან - ჯგგრაგ უღულაშიშ! ფიშირ ამიესნაკვინ შიდებიან ი ხოჩა დრევეენ (მრავალი დამაკვლევინე მშვიდობიან და კარგ დროზე!). ამ დღეს არც ლემზირები მზადდება და არც ლოცვა ხდება. ამ დღეს ლეეღაბის ხორცის ჭამაც არ არის მიზანშეწონილი. მზადდება მეორე დღისთვის ზისხორები.

,,მეესარაბ''ტახრე ვებიშის მომდევნო დღეა—შაბათი. ამ დღის მფარველია ჯგგრაგ უღულაშიშ. მეესარაბ მირსობასთანაა ასოცირებული სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ, ვფიქრობთ, მათ საერთოდ არ გააჩნიათ არსობრივი კავშირი ერთმანეთთან; მეესარაბის დღის მთავარი და ძირითადი წესია უწენალების დამზადება, მათი აღვლენა ჯგგრაგ უღულაშისათვის და მათი ჭამა ტრაპეზი სხვისგან დაფარულად (უწენად! - საიდუმლოდ!) ყოველივე ეს უნდა მოხდეს დილით, ძალიან ადრე. ჩიტის აზვრამდე ეს წესი დამთავრებული უნდა იყოს. (უმჯობესი ასეა!).

მეესარაბ მთელი სვანეთისთვის არისო ბეგარად აღებული შავი ჭირის საწინააღმდეგოდ (ზიგ-ხან, ხოლა მაგიზ-ხან!) ჯგგრაგ უღულაშისაგან. მეტად საშიში და სახიფათო ვითარების გამოც მსახურების ყველაზე მძიმე და განსაკუთრებული წესია შერჩეული. ესაა მარხვა და მისი საიდუმლოდ ასრულების წესი.

უწენა სხვადასხვა გვარში, შესაძლებელია გვარის სხვადასხვა ოჯახიც კი სხვადასხვა შემადგენლობისა იყოს. ეს კანონზომიერება მათ ,,ადათან და ბაბადან'' მოსდევთ, რადგან იგი ,,ნალულაეა'', როგორც სოფლისთვის, ისე მთელი ოჯახისთვის. წესის გადახვევა ავის მომტანია; ზუსტად უნდა იცოდე შენი ოჯახის ამ დღის უწენას შემადგენლობა, - გვარწმუნებენ მთხრობელნი.

ჯგგრაგ უღულაშისთვის უწენალების დაკანონება და მთელი ლატალისთვის ,,ლეეღაბის'' დაკვლის წესი მთელი სოფლის მიერ იქნებოდა შემოღებული, (ჩანს ეპიდემიის არსებობამ მისი მფარველიც გააჩინა!). ამ საშინელებით რომ არ დასჯილიყვნენ, შემოიღეს მისი მსახურების ისეთი წესი, როგორიც ზემოთ იყო მოთხრობილი. უწენას შემადგენლობის დაკანონება კი მოხდებოდა თვით ოჯახების მიერ საკუთარი სურვილით. თქვეს და საიდუმლოდ აღასრულეს, კანონად მიიჩნიეს იგი.

ლეეღაბის ხორცის კუბდარიანი ლემზირები დიდი ღმერთებისთვის არ აღევლინება. იგი შედარებით მცირეთათვის არის განკუთვნილი. ლეეღაბის სახელწოდება მომდინარე ჩანს აღაბ-იდან; მეესარაბის დღით იწყება ხორციელი და ყველიერი.

ჯგგრაგ უღულაშის ძირი სალოცავი ეცერშია - სოფელ უღუალდში, მისი ნაწილი ლატალში ინახება—,,სარგშერების'' ფთა სახლში. იგი მცირე მოცულობის ზა-

რია და მას ,,სამალავიდან'' გამოიტანენ ,,განცხდების'' (წყალკურთხევის) დღეს. წინა წელს მასზე გაკეთებულ ოთხ ცალ სანთელს დაწვავენ და შემდეგ ახალ 4 ცალს მიაკრავენ. სანთლის ზედა მხარე მოკაუჭებულია! ამ სახით მას კვლავ შეინახავენ. ეს ზარი ულრ̌ლაშის ნაწილია მხოლოდ იმის გამო, რომ იგი აღნიშნული ეკლესიიდან არის აქ წამოღებული. მაგრამ რას ნიშნავს მოკაუჭებული სანთელი?! ვფიქრობთ, ჯგგრაშგ ულულაშის ბუნებას - იგი ბოროტია, რადგან საშინელი ავადმყოფობის მომავლინებელია. მას საერთო არ აქვს ,,კეთილ ნებასთან'', რადგან ეს, სხვებისგან განსხვავებით, საერთოდ არ გააჩნია. მისთვის არც კი ლოცულობენ, მხოლოდ ზვარაკს შესწირავენ!

ჯგგრაშგ ულრ̌ლაშის ბუნება მკაცრი და საიდუმლოებით მოცულია. მისი საკრალური რიცხვი ოთხია (ოთხი სანთელი!) საკრალური დღეები პარასკევი, შაბათი და კვირაც კი (,,ლალჩა მიშლადაღ''), თუმცა აქ აქცენტი ,,ლილჩეზეა'' გადატანილი და არა კვირის განგება ხოშა ღერბეთზე. ეს პასუხობს იდეას ,,წესარ მაგ ისგუ ნაწასლი'' (წესი ყველაფერი შენი დაწესებულია) იტყვიან ხოშა ღერბეთზე სვანეთში და ჩანს ,,ლალჩას'' წესიც მისგან მომდინარეა!

რადგან ჯგგრაშგ ულულაშის არსი ბოროტი სტიქიაა მისი სემანტიკური საფუძველიც ეს უნდა იყოს; ოლრაშ - ბოროტია სვანურად რაც თავის მხრივ მტერშიც არის ასოცირებული. საოცარია, მაგრამ ფაქტია ყოველივე ეს; ღვთაებათათვის დუალური თვისებების მინიჭება არ არის გასაკვირი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ბოროტი განგების არსებობა და მისი მსახურება ჩანს, მის არსებობის რწმენას ადასტურებდა. ასეთმა რწმენამ შექმნა ასეთი განგება და მისი მსახურების გარკვეული წესიც.

და მაინც, რატომ მოინათლა ჯგგრაშგ ულრ̌ლაშის დღეობა ,,მეესარაბად'' - მირსას დღეობად?! ,,მტერში'' - ,,სიბოროტეში'' ასოცირებული ჯგგრაშგ ულულაშიშ აბა რისთვის უნდა შეედარებინათ თუ არა უცხო ტომელთა (მტერთა!) მთავარი განგებისთვის - სპარსთა, ცეცხლთაყვანისმცემელთა ,,მთავარი'' ხომ მირსა იყო! (ეს ისე მარტივი მიდგომით და გადაწყვეტით. ზოგადად კი, ჩვენი გაგებით, მესარაბს და მირსას საერთო არაფერი აქვთ ერთმანეთთან. არც ზვარაკი (ღორი) და არც ამ დღის მფარველი (ჯგგრაშგ ულრ̌ლაშიშ) არ წარმოადგენდნენ მაზდეანური რელიგიის ქვაკუთხედის გამოსახულებას. ჯგგრაშგ ულრ̌ლაშიშ ბოროტი ძალაა და იქნებ, მართლაც, მისი სტიქიონის წარმოდგენისთვის დღეობის სახელწოდებად ,,მეესარაბ'' გამოიყენეს (ბოროტი და მტერი ერთმანეთში ასოცირდება!) აქ კი ავად ყოფნის, ავად გახდომის სიბოროტეზეა საუბარი. ავადყოფნა ყველაზე დიდი მტერი და უბედურება იყო ადამიანისთვის. ღორია მისი შესაწირი ანუ ის საქონელი, რომელიც არც ღმერთს უნდა და არც სულს. მაგრამ იმის გამო, რომ იგი სადღეობო დღეს იკვლება, გარკვეული ღვთაებებისადმი მაინც არის აღსავლენი (ისინი ღებულობენ ლეეღაბის კუბდარიან ლემზირს). ეს კი ისეთი ღვთაებებია, რომელთა არსშიც ასოცირდება ორბუნებოვნება - კეთილი და ბოროტი სტიქია. რაც ყველაზე მთავარია, ლეეღაბის კუბდარი არასდროს არ აღევლინება ,,ხოშა ღერბეთს''. დაბოლოს, ზვარაკის დაკვლის დღეს ,,ტაბრე ვებიშს'' (ღორების პარასკევს) ლოცვა არ წარმოებს. ეს პარადოქსული მოვლენა არ აიხსენება იმით, რომ პარასკევი დღე ისედაც არაა სალოცავი დღე. მას უფრო მეტად შორეული ფესვები გააჩნია, რაც არც ერთ შემთხვევაში არ უკავშირდება მაზდეანობის (მირსას!) თაყვანისცემის ფაქტს სვანეთში. ,,მეესარბ'' აქ არსებობს როგორც მხოლოდ დღეობის სახელწოდება.

ჯგგრაშგისთვის დასანთებ ლამპარების დღეს ,,ლამპრობ'' ეწოდება. იგი მეესა-

რაბის მომდევნო დღეა და საკრალურად ამ რიგის არჩევაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ეს სხვაზე, (ბოროტზე, ავზე) ჩვენი რწმენით, ძლევის გამოხატულებაა;

დიდ ღმერთთან წილნაყარი ჯგრაშგის დიდების დღეა ლიმპარის დღე. ამ დიდების აღსანიშნავად წმინდა ხისგან (არყის ხე) ინთება ლამპრები. ეს სანთლის წინა სახეა და საერთო არ გააჩნია ცეცხლის თაყვანისცემასთან! (გაფიქრებაც კი მკრეხელობაა!) საკრალურია ლამპრების შექმნის დღეც (ადგომ!), იმ წელს საჭირო ყველა საწესო ლამპარი ამ დღეს მზადდებოდა.

,,ლიმპარის'' დღის შესაწირავები ,,ჯგრაშგ ლიმპარიშ''-ს განეკუთვნება. იგი მამაკაცების მფარველია და ეს დღეც მთლიანად მათი კუთვნილია; ლიმპარისას დილით ადრე, თუკი ზვარაკია შესაწირი, დიასახლისი დაამზადებს სამივე დიდი ღმერთის ტაბგლს. ზვარაკის გულ-ღვიძლი და ზედაშე ამ დღეს მხოლოდ ჯგრაშგისაა. სარკმელთან შესაწირავების აღმვლენი მამაკაცია და შესთხოვს იგი ძე-შვილების - ქუდის დამხურათვა მშვიდობას და ბედნიერებას. გზა აუცდენელი კაცური ღირსებით ცხოვრებას. ქალი იქვე, ფეხმორთხმული ევედრება იგივეს ჩუმად: კრძალვით და განსაკუთრებული გულისხმიერებით თუ სურვილით შეპყრობილი, განსაკუთრებულად ითხოვს განგებისგან თავისი ძე - შვილების შველას, ოჯახის მფარველობას, ავი ზნისა და ავი თვალისაგან მათს დაცვას, კეთილი საქმეებისთვის გზის გახსნას, ზნეობის სიწმინდეს და სახელიან არსებობას.

ლამპარობის დღისთვის იმდენი ლამპარია გაკეთებული, რამდენი ქუდოსანიცაა ოჯახში. შინ ლოცვის დამთავრებისთანავე ისინი სათითაოდ გააქვთ სახლიდან ანთებული. კერიის ცეცხლით აღმოდებულებს ერთ დიდ კოცონად გააერთიანებენ ოჯახის ეზოში, ყანაში ან საგვარეულო სალოცავში. აქ ისინი კვლავ ჯგრაშგ ლიმპარის სახელზე დაილოცებიან. ძალიან ძველად ლამპრები ამ დღეს სოფლის წყაროზე მიჰქონდათ. (გამდინარე წყალი, მითოლოგიურად, მამრობითი არსის კუთვნილია. იგი აპსუს წყალია (წიაღია) შუმერთა მითოლოგიაში. (იხ. ზ. კიკნაძე, შუმერთა მითოლოგია. 1979, თბ.).

ძველად ,,ლიმპარი'' სათემოდაც აღინიშნებოდა. თემის დამხვედრი ამ დღისთვის ყველანაირად მზად უნდა ყოფილიყო სურსათითაც და სასმელითაც. თემის დახვედრა ამ წელს მხოლოდ მას ევალებოდა.

ჯგრაშგ ხვაშლმის დღე ლიმპარის შემდგომი ხუთშაბათია. მისი ძირი სალოცავი ეცერშია. იგი გრიპის და ფიზიკური ტკივილებისგან დამცავი განგებაა. (ხვაშლმი მაღვეღიახან ლი!). ამ დღეს აცხობენ ლემზირებს იმ პირთათვის, ვისაც შეთქმული აქვს ხვაშლისთვის ლემზირებით ლოცვა-ვედრება, რათა მან ააშოროს თავისი დაავადებები. მას ლეიღაბის კუბდარებიც აღევლინება.

ჯგრაშგ ხვაშლმის მომდევნო დღეს (ლიტყარავის დღეობისას!) - პარასკევს, მგჟერი ჯგრაშგს ევედრებიან ცხვრებისა და თხების დაცვას ქურდისაგან.

,,ლიხევწარის'' დღის მფლობელიც ჯგრაშგია. ამ დღის მთავარ შესაწირს ჰევწარ || ჰემწარ ეწოდება. იგი ფეტვის ფქვილში აზელილი ლეიღაბის ქონის პურია. ჰემწალ || ლიჰემწალ ხვეწნა-მუდარას ნიშნავს სვანურად. ეს დღე საქონლის სიმრავლისა და მისი მომვლელის კარგად ყოფნისთვის არის განკუთვნილი. ჯგრაშგ ლიხევწარის დღე შაბათი დღეა - ხორციელის კვირის პირველი შაბათი—,,ლიტყარავის'' შემდეგ.

ლიხევწარის შემდეგ ლიშდუში - ლიქურეშია. აქაც ჯგრაშგ-ისთვის აღევლინება ლემზირები, ისევე როგორც დიდ თუ მცირე ღვთაებათათვის. სახსიგელისას მესამე

სასმისი ჯგრაგისაა და 3-ჯერ იგალობება „ჯგრაგიშ“.

აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულში (თამფა ჟარნესგა) შაბათი დღე - ჯგრაგის დღეა! ლემზირებს აღავლენენ ან სახლის შინაში, ან ჰოკულდაში ჯგრაგის ეკლესიაში.

უფლიშიერისას თუ სხვა სათემო დღეობებისას ლატალში არსებული ყველა ჯგრაგი ილოცება. ესენია ლაჰლა ჯგრაგი, ჰარაში ჯგრაგი, ტებდიაში ჯგრაგი, ბაალა ჯგრაგი, წეფლი ჯგრაგი, კვერხი ჯგრაგი || შყალრი ჯგრაგ, ბოგა ჯგრაგ, ჭალი ჯგრაგ (მონადირეთა მფარველი), სამტაიში ჯგრაგ, მახგლდაში ჯგრაგ თუ სხვანი. რომელთაც ევალებათ ადამიანისა და საქონლის დაცვა თავიანთ საბრძანებელში. (ესენი ყველა ადგილის ჯგრაგებია!) („ლოცვები“ ნახეთ დანართში - „უფლიშიერ“).

ლატალში ჯგრაგის ძირი სალოცავი ჰოკულდაში (ადგილია) ჯგრაგია. (მსგავსად ძირი სალოცავები სხვა სოფლებსაც გააჩნიათ). ამ ეკლესიაში ხდება და ამ ეკლესიის ძალის მფარველობით აღინიშნება ჯგრაგის მთავარი დღეობები და შეწევნასაც მისგან ელიან. ეს გარემოება ნათლად გამოჩნდა ზემოთ ჯგრაგის დღეობების განხილვისას. აქ კი მოვიტანთ მისადმი მიმართვის ძირითად ფორმულირებას: - ჯგრაგ ჰოკულდაშიშ დიდაბი ლეკვედ, ნიშგუეი ლეფაყუს ცხუი ი ხანჯალ ათჭაბინ, ქულუმგენა ისგუ მეფშდე ნადირ ათქაბინ ი ნოს ლახთგლე მაზიგ-მაშურია დიდაბი ლეკვედ.

- დიდაბ აჯკვად ი მალდ აჯკვად ქიბე ლგკლათხე ფუსდ ჯგრაგს, ჩეი ტკეჩარ როქ აჯგა ამსვალდა ხოჩემი ლაკგრალს ხოშამ ღერბათცახან, ალ ეშა ბედქონ ქიჯისყენს, მერმად ნიშგუეი ბედქონ ახასყ დიდაბიშ ი მალდი ლიკედ. მარემი ნანთხლი, ნაფშირი, ნადდარი ლანო დიდაბიშ ი მალდი ლეკვედ მადლიან მადილშ გუეში!

- დიდაბუ აჯკვედა, მალდუ აჯკვედა, ქიბე ლგკლათხე მადლიან მადილშ გუეში ჯგრაგ სი ლანეშდ! ამსუალდა ხუიუს მუხვიესგი სი ხი ი ხუიუს გარ ანხუიუ, ქადს ნოსა ანქადნა, ლეიდგრე გუეშ ნოსა ანჩომაკვანა, უიდგრა გუეშისგა იმაი ჩენწეხგნეს, სეუ ი კამშა ლანო დიდაბი ლეკვედ, მადლიან მადილშ გუეში ქიბე ლგკლათხე.

- დიდაბ აჯკვად ი მალდ აჯკვად მგქრი ჯგრაგ ქიბე ლგკლათხე, მალდიან მადილშ გუეში, ჯაბიცდ ი ჯეკგრალდ! ამსუალდ მაგ ისგუ ტეტჩუქკან არი ი ამსუალდა მგნთხლე ღგრბეთ ხი დიდაბი ლეკვედ, ლეიდგრე გუეშ ნუმაგვეშ ანჩომაკვნა, უიდგრა გუეშისგა იმაი ჩენწგხგნეს ისგუ სეუ ი კამშა ლანო, ნაი ი ნიშგუეი ლეფაყუ მარა. ათფიშირ ჩიღად ისგუ ღვაქმარე ნიშგუეი ქორისგა - ისგუ მემზირდ ი ისგუ ქახემი მგწენად! დიდაბიშ ი მალდი ლეფედ![1]

და მაინც, „ვინ“ (ან „რა“) არის ჯგერაგი?!

ამაღლებული დიდი ღმერთების ტოლი მეუფე, ფუსდთან თანაზიარი განგება. ფუსდსა და ადამიანს შორის შუამავალი. მისი მუდმივი შემწე და მწყალობელი. ფუსდთან ადამიანის შემწეობისთვის ხვეწნა-მუდარის ქამს ჯგრაგს რკინის სამუხლეები გაუცვეთია! იგი ადამიანის გზაზე დამყენებელია, მისი მფარველობით არსებული ძეკაცი არასდროს არ შეცდება, სანანებელი არასოდეს არ ექნება, სვე და ძალა მოევლინება მამაკაცს მხოლოდ მისგან. ადამიანი (მეტად მამაკაცი!) მისი „კალთის“ შემყურეა, მისი ხელქვეითია. იგი მამაკაცის სიკვდილ-სიცოცხლის გამრიგეა, მისი ძალის და

[1] ქართული თარგმანი იხილეთ დანართში კალენდარში, უფლიშიერ.

ბედნიერების მომტანი, დამცველი და მფარველი ყველგან და ყველაფერში, სადაც კი მას უხდება არსებობა. ამით იგი ღვთაებრივი ძალისმქონე მითიური არსებაა, მამაკაცთა სვეს და ძალის გამრიგე!

დიდი ფილოსოფია არ სჭირდება იმის გაგებას, რომ ჯგგრაგი ,,ხოშა ღერბეთის'' მეტ ზიარად წარმოვიდგინოთ ვიდრე ფუსდ მგქემ თარიგზელის, თუმცა სტიქონით ბატონობა მასთან უფრო მეტად აახლოებს ვიდრე ხოშა ღერბეთთან! აღნიშნული გამოიხატება შემდეგი მთავარი მომენტებით:

1. ჯგგრაგი მამაკაცის მფარველია (იგი ამ ბუნებისაა!)

2. ჯგგრაგის ტაბგლიც იგივეა, რაც ხოშა ღერბეთის.

3. სადღეობო დღეებად საკუთრივ შაბათის გარდა კვირის ყოველი დღე გააჩნია, თვით კვირა დღეც კი.

4. საკრალური რიცხვი, ხოშა ღერბეთის მსგავსად, ძირითადად ცხრა, სამი და 12-ტია.

5. ავადმყოფთა აცილება მიწიერისთვის თარინგზელთან ზიარების შედეგია.

,,ხოშა ღერბეთი'', ,,მგქემ თარინგზელი'' და ,,ჯგგრაგი მითიური პერსონაჟების განსახიერებანი არიან; ,,მამა-ღმერთი'', ,,ქალღმერთი'' და ,,ძე - ღმერთი'' სამყაროს შემოქმედნი არიან; ჯგგრაგი პირველი ორის, პირველი შექმნილი, საფუძველი და არსია სიცოცხლის გაგრძელებისა; იგი მიწიერი არსის მფარველი და მწყალობელია, აქ სიცოცხლის გაგრძელებისთვის მთავარი ძალის შემწე და დამტეველია. ამისთვის კი ჯგგრაგი ,,ქმნის'' ,,ხელქვეითთა'' ,,მთელ არმიას'', რომელთა შორისაც შემდეგნაირადაა განაწილებული უფლება-მოვალეობანი:

ჯგგრაგ ლითოდურიშ (დღეობა) - მამაკაცის მფარველი!

ჯგგრაგ ლიმპარიშ (დღეობა) - მამაკაცის გამამრავლებელი!

ჯგგრაგ ჰოკულდაშიშ (ადგილი) - მამაკაცის ისრისა და ხანჯლისგან დამცველი!

ლაჰლა ჯგგრაგ (ადგილი) მამაკაცისთვის ილაჯისა და ბარაქის მიმნიჭებელი!

ტებდიაში ჯგგრაგ (ადგილი) - თავის ტერიტორიაზე მამაკაცისა და საქონლის დამცველი!

ჯგგრაგ ბოგაშ (ადგილი-ხიდი) - ხიდებსა და ბილიკებზე მამაკაცებისა და საქონლის დამცველი.

ჯგგრაგ ულთლაშიშ (დღეობა) - შავი ჭირისგან ყველას მფარველი.

წეფლი ჯგგრაგ (ადგილი) - საქონლისა და მამაკაცის მფარველი.

შყალრი ჯგგრაგ (ადგილი) - ადამიანის მფარველი.

ჭალი ჯგგრაგ (ადგილი) - მონადირეთა შემწე და მწყალობელი.

სამტაში ჯგგრაგ (ადგილი) - თავის ტერიტორიაზე ადამიანის და საქონლის ხიფათისგან დამცველი. მას შვილის ავი ზნისაგან დაცვასაც ,,მიაბარებენ''.

მახგლდაში ჯგგრაგ (ადგილი) - თავის ტერიტორიაზე ადამიანის და საქონლის მფარველი.

ჯგგრაგ ხვარსის (კანის ავადმყოფობა) - საქონლის ხვარსისაგან დამცველი.

ჯგგრაგ ხვალმიშ - ადამიანის ხველებისგან დამცველი.

ჯგგრაგ ლიხევწარიშ - საქონლისა და მისი მომვლელი ადამიანის მეპატრონე.

ჯგგრაგ ბიქთიშ (ბიქთ-ქარი)

ლალჩა ჯგგრაგ (ლალჩა-ლილჩე-დაცვა)

მგჟრი ჯგგრაგ (მგჟრი - შემცოდებელი)

ჯარ-ბალ ზაგრიშ (ბაალის ჯვარი) (ბაალის ქედი ჰყოფს ბაალს ზემო სვანეთს ბალს ქვემო სვანეთისაგან)

ჯგგრაგ ლაფშდაშ (ლიფშდე - დაშვება - იგულისხმება ტყეში მსხვილი ხეების დასაგორებელი, დასაშვები ადგილები)

ჯგგრაგ ლაშმზგრიაშ (ლაშმზგრ, ლიმზირ, ლიმზგრალი - სალოცავი, ლოცვა, დალოცვა სასმისით, სადღეგრძელოებით).

ეს და მრავალი სხვა, ჯგგრაგი, სვანეთის ტერიტორიაზე ,,დაბინადრებული'', ქმნის ჯგგრაგის საკაზიროს.

თავი XI

„...**წარმართობაც საერთო ქართული ყოფილა**!“ (**ივანე ჯავახიშვილი**)

ქართველთა წარმართობის კვლევისას ჩვენს სახელოვან მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს მითითებული ჰქონდა, რომ „ქართული წარმართობის გამოსარკვევად... მასალები და წყაროები ჯერ კიდევ მეცნიერულად შესწავლილი არ იყო“ და ამიტომ „წარმართობის სრული სურათის წარმოდგენა“ თავის დროისთვის შეუძლებლად მიაჩნდა. მკვლევარი ცდილობდა განსაკუთრებით უმთავრესისათვის მიექცია ყურადღება და „ქართველთა წარმართობის საერთო თვისებები“ გამოეაშკარავებინა.[1] გამოაშკარავებულ უმთავრესთაგანი კი შემდეგი გახდა:

1. „ოდესღაც ქართველ ტომებს სათავისთავო სათემო ღვთაებათა გარდა ყველასთვის საერთო რწმენაც ჰქონდათ, წარმართობაც საერთო ქართული ყოფილა“.

2. „ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა“. 3. „ქართულ-წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს მნათობთა თაყვანისცემა ედო საფუძვლად. მათი თაყვანისცემის შედეგად კი შექმნილი იყო წარმართულ ღვთაებათა პანთეონი და აგებული იყო იგი უფროს-უმცროსობის პრინციპით“.[2]

4. ამ პანთეონში წმინდა გიორგი პირველ ადგილზე მდგომად და ყველაზე უფროსად ითვლებოდა. „წმინდა გიორგის ქართველი ხალხის აზროვნებაში ძველი, წარმართობისდროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების მთვარის ადგილი ეკავა... იგი გულკეთილი და ადამიანის მფარველი იყო. თავისი სიძლიერით კი ყველას, თვით ღმერთსაც სჯობნიდა“.[3]

სახელოვანი მეცნიერის მიერ საგნის შესწავლამ გამოავლინა ქართული წარმართული სარწმუნოების განსაკუთრებით დამახასიათებელი თავისებურებაც. პირველ რიგში, ეს თავისებურება აღმოჩნდა ის გარემოება, რომ ქართული სარწმუნოებისთვის „მთავარ ღვთაებად მზე კი არ ითვლებოდა, როგორც ეს ჩვეულებრივ არის ხოლმე მიღებული, არამედ მთვარე“ და მეორეც, „მთვარე ქართველი ხალხის შეხედულებისამებრ მამაკაცი იყო და არა დედაკაცი“. ორივე ამ გარემოებას კი დიდი მეცნიერი „სარწმუნოების საგულისხმიერო დამახასიათებელ თვისებად“ მიიჩნევდა. მთვარისა და მზის ბუნებრიობის დამადასტურებლად მკვლევარი ხალხურ პოეტურ თქმასაც იშველიებდა. აი ისიც:

1. „ნათელმა მთვარემა ბრძანა
ბევრით მე ვჯობივარ მზესა
დაჯდა, დასწერა წიგნები
ზენა ქარი მიათრევსა.
მზეს რომ კაცი მიუვიდა
მზე ძალიან გაჯავრდესა
მე და ვარ და ის ძმა არის
რად ვძულდებით ერთმანეთსა“.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ 1, 1979 წ. გვ. 79.
[2] ივ. ჯავახიშვილი, იგივე, გვ. 155-156.
[3] ივ. ჯავახიშვილი, გვ. 88-90.

2. ,,მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემი
სხვადასხვა ვარსკვლავები და და-ძმაა ჩემი''.

3. ,,დაიძინე, გენაცვალე, იავ-ნანინა.
მზე დაწვა და მთვარე შობა იავ-ნანინა''.

,,ამ სამივე ლექსში მზე დედაკაცია, მთვარე - მამაკაცი'' (ივ. ჯ.).[1] ამავე დროს, ეს სამივე ლექსი, სხვა რამის მთქმელიცაა. კერძოდ, აქ ჩანს ის გარემოებაც, რომ მზე და მთვარე და-ძმა არიან. მათ უფლება არ აქვთ ერთმანეთის სიძულვილის და უპირატესობის დაჩემების, რადგან ისინი უფლებრივად ტოლნი, ერთი დედ-მამის შვილები ჩანან. ჩანს ისიც, რომ მზე და მთვარე, როგორც დედაკაცი და მამაკაცი ,,მეუღლენი'' არიან - მომავლისთვის ორივე განსაზღვრული (კოდირებული უფლება!) თვისებრიობის მქონენი, უფლებრივადაც ტოლნი! ამ ორივე ,,მშობლი''-დან მშობი მზეა, რადგან ,,დედაკაცია''. მას ხელეწიფება თავის წიაღიდან: ა) შობა მთვარისა, როგორც მეორე ბუნებრიობისა. ბ) შობა მზისაც და მთვარისაც, როგორც დისა და ძმისა და გ) შობა მზისა და მთვარისა, როგორც ცოლ-ქმრისა. (მხოლოდ მათთვისაა დასაშვები ერთიანობა, ისინი ქმნიან ახალ სიცოცხლეს - მომავალს! ,,ერთი მთელის ორი ნაწილი''!) აქ სამივე შემთხვევაში ,,შემქმნელი'' ბუნებრიობა არ ჩანს, მაგრამ რადგან მას მზის მეუღლეობა შეუძლია, იგი მთვარეა მისით ,,გამოსახული'' უზენაესი კი ერთ-ერთი შემოქმედი! ერთ-ერთი, რადგან მის გვერდით მზე შემოქმედიცაა. საინტერესოა, მათგან რომლის საკრალური დატვირთვა გახდა ქართველთა მსოფლხედვაში ,,ღმერთი''-ს, უზენაესი ერთი შემოქმედის, არსობის საფუძველი?!

აქვე დასაკონკრეტებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. ჩანს, ქართველი არასდროს არ ,,მონებდა'' არც მზეს და არც მთვარეს - არ შეუქმნია მათი კერპი. მხოლოდ მათში გასულიერებულ პარადიგმულ სახეს (იდეას) ემსახურებოდა იგი ლოცვით, რწმენით და ვედრებით; მის ძალას სცემდა თაყვანს და სწამდა მისი. ამ ძალთა გარსად იყო წარმოდგენილი მზეც და მთვარეც; მთვარე მამა იყო ქართველთათვის, მზე - დედა. რომელია მარადიულობისთვის მათგან პირველი? ვფიქრობთ, ამ კუთხით უნდა ყოფილიყო ამ ორთაგან უზენაესად ,,პირველის'' - ,,ღმერთი''-ს პარადიგმული სახეც განსაზღვრული.

ეს პრობლემა კი, თავის მხრივ, სახავდა და სახავს როგორც მზის, ისე მთვარის, როგორც სემანტიკურ, ისე ეტიმოლოგიურად გააზრების აუცილებლობას: მზის ეტიმოლოგიის კვლევისას ივანე ჯავახიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავდაპირველად სიტყვა ,,მზე'' პლანეტის მთავარი თვისების (მაშუქებლის, ბზინვის...) აღმნიშვნელი მიმღეობა ან ზედსართავი სახელი უნდა ყოფილიყო... ამიტომ ეს ტერმინი ქართულშიც თავისი პირველადი ფორმით მარტო დღის დიდი მნათობისთვის არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, არამედ სხვა დიდ მნათობთათვისაც. ამის გამო მზეს, რასაკვირველია, თავისი განსაკუთრებული სახელიც უნდა ჰქონოდა.[2] ამ სახელად ივანე ჯავახიშვილმა მიიჩნია სიტყვა ,,არდი'', რომელიც სიტყვა ,,არდადეგის'' შემადგენელი ნაწილია. ,,ამ ტერმინის ორნაწილედი აგებულება ცხადყოფს, რომ თავდაპირველად ,,არდადეგი'' ,,არდი''-ს დადგომის, დგომის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და თუკი ეს მცდარი აზრი არ არის,— დასძენს მეცნიერი,—მაშინ ისე გამოდის, რომ მზეს ქართულად ოდესღაც არდი უნდა ჰრქმეოდა''.[3]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი 1979 წ. გვ. 98-99
[2] ივ. ჯავახიშვილი. 1979 წ. გვ. 168-169.
[3] ივ. ჯავახიშვილი. 1979 წ. გვ. 170. ხალდეველები მზეს არდის ეძახდნენ. (ივ. ჯავახიშვილი).

,,არდადეგი'' ცის სფეროს დამახასიათებელი სიტყვაა და იგი ლომის ზოდიაქოს უდრის ანუ მოიცავს პერიოდს 20 ივლისიდან - 20 აგვისტომდე. (სულხან-საბა).[1]

გამოდის, რომ ორივე ზეციური მანათობლის (მზის და მთვარის) თვისების (ნათების, ბზინვის...) გამთავისებელი ერთიანი ცნება თავდაპირველად ყოფილა ზმნა ,,მზინა'', შემდეგ მისგან ნაწარმოები ,,მზირა'' (,,მჟარა'') და ,,მზე'' (მზინა → მზირა → (მჟარა) → მზე). საბოლოოდ კი, ჩანს, მეტი ელვარების გამო ,,არდი''-ს დარჩა საკუთარ სახელად ,,მზე''. რა ხდება ,,მთვარ''-ის შემთხვევაში?

,,რაკი თავდაპირველად წელთაღრიცხვა და დანაწილება,—წერდა ივ. ჯავახიშვილი,— მთვარის მოქცევასა და სრბაზე იყო დამყარებული, ამიტომ მრავალ ენებში თვისა და მთვარის აღსანიშნავად ერთი და იგივე სიტყვა, სახელდობრ მთვარის სახელი იხმარებოდა''... თავდაპირველად სამწერლობო ქართულსაც მთვარისა და თვის აღსანიშნავად ერთი და იგივე სიტყვა ,,თუთე'' უნდა ჰქონოდა, მთვარე'' კი საზოგადოდ მნათობის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. შემდეგში, ,,როდესაც მთვარის სისტემის წელთაღრიცხვის მაგიერ მზის სისტემის აღრიცხვა შემოვიდა და თვე და მთვარის მოქცევა უკვე ერთმანეთს აღარ უდგებოდნენ, თვისა და მთვარის ცნებათა დიფერენციაციის გამო მოთხოვნილება წარმოიშვებოდა, რომ თვეს და მთვარეს ცალ-ცალკე აღმნიშვნელი სახელები ჰქონოდა, რადგან თუთე დროთა განმავლობაში უკვე ,,თუთე''-დ ქცეული, თვეს ცნებას დაუკავშირდა, მნათობის აღსანიშნავად კი ენას მიმღეობა ,,მთოვარე'' გამოუყენებია''.[2]

ქართული შვიდეულის დღეებში, რომელიც წარმართობის დროინდელია და ქართული წარმართული პანთეონის უფროს მნათობ ღვთაებათა შვიდეულს განასახიერებს, მთვარის დღედ მიჩნეულია ორშაბათი, მზის დღედ კი - კვირა დღე. მზის დღეს სხვანაირად ,,საუფლო''-საც უწოდებს სამწერლობო ქართული.[3] საერთოდ ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ მთვარის დღეობის სწორის უქმობა მეოთხედებზე იყო დამყარებული. ასევე მთვარის მსახურება და თაყვანისცემა მხოლოდ ღამით შეიძლებოდა.[4]

სვანურში თვის მნიშვნელობისაა ,,თეჷ'' (საერთო ქართული ,,თუთე'') და დოშდლიჷრ''. ხოჩა დოშდლიჷრ (დოშდულ მაxე) ენცაᲫდ დიდაᲨი ლეᲩედ'' - ამბობს მთვარის თვის (ციკლის!) მნიშვნელობით ახალი მთვარის მნახველი. ,,დოშდლიჷრ'' ასევე მთვარიან ღამესაც ნიშნავს. ამდენად, ,,დოშდული''-დან (,,მთვარე'') გამომდინარე ვღებულობათ სამ ასეთი სახის ცნებას 1) დოშდიშ - მთვარის დღე (ორშაბათი). 2) დოშდლიერ (-ერ მრ. რ.) - მთვარის თვე (მთვარის ციკლი). 3) დოშდლიერ - მთვარიანი ღამე. სამივე ცნება დროის განმსაზღვრელია ა) დღის, ბ) თვის, გ) ღამის. გამოდის, თითქოს, დროის მეუფე მთვარეა!

ქართველობამ კარგად იცოდა მთვარის მდგომარეობის (მცხრალი, გავსებული, აღვსებულის) ამოცნობა; ისინი წელიწადის დროებს მთვარით ანგარიშობდნენ. მთვარით ანგარიშობდნენ დღესასწაულების აღნიშვნის დღეს. მთვარის განსაკუთრებულ ზეგავლენას აღიარებდნენ ადამიანის ბედ-იღბალზე და, საერთოდ, ცხოვრებასა და არსებობაზე; მთვარით ქმნიდნენ ოჯახებს, მთვარით ითვლიდნენ დაბადებულის მომავალს, მთვარით ხნავდნენ, მკიდნენ, თიბავდნენ, ქმნიდნენ და აშენებდნენ... ამის დამამ-

[1] ივ. ჯავახიშვილი. იქვე. გვ. 170.
[2] ივ. ჯავახიშვილი. 1979 წ. გვ. 171.
[3] ივ. ჯავახიშვილი. 1979 წ. გვ. 160-164.
[4] ივ. ჯავახიშვილი. 1979 წ. გვ. 95-98.

ტკიცებელი კი უამრავი რამაა დღესაც სვანთა ყოფაში შემორჩენილი, რომ არაფერი არ ვთქვათ ,,სხვა ქართველებზე''.

ვფიქრობთ, აღნიშნული მცირედიც კი საკმარისია იმისათვის რომ გავითავისოთ მთვარის—მზის მეწყვილის, კუთვნილების არე. ეს, პირველ რიგში, გახლავთ დრო. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა აქსიომური ჭეშმარიტებაც: ,,ყოველივე რაც არსებობს, არსებობს დროში!''. დრო დაიყო წელიწადებად და მას მთვარე დაედო საფუძვლად (მთვარის წელთაღრიცხვა), წელიწადი დაიყო თვეებად და მასაც მთვარე დაედო საფუძვლად (მთვარის თვიური ციკლი), თვე დაიყო დღეებად და მასაც მთვარე დღედო საფუძვლად (ორშაბათით - მთვარის დღით დაწყებული კვირის შვიდეული). ასე იყო მანამ, სანამ მზის წელთაღრიცხვა შემოვიდოდა და შესაბამისად შეიცვლებოდა თვეთა და დღეთა ათვლაც. ამდენად, დრო ეკუთვნის მთვარეს, დროში ,,ყველაფრის ჩენა'' კი - მზეს! ეს ორივე ერთმანეთს აწონასწორებს და ქმნის სიცოცხლეს, არსებობას, ,,შესაქმის'' ,,დაბადების'' იდეას: დროში იბადება ყოველი სიცოცხლე და არსებობა ყოველივესი ანუ ,,არდი''-ს საკრალურობა ხორციელდება საკრალურ დროში ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელი შემოქმედის მიერ!

,,მზინა'', ,,მზირა'' (,,მჟარა''), ,,მზე'' - სამივე ზმნური ტერმინი, ნათების - ელვარების გამთავისებელია და იგი თავდაპირველად ეკუთვნოდა ყოველი მოელვარე საგნის აღნიშნულ თვისებას, კერძო შემთხვევაში—მზესა და მთვარეს. საინტერესოა, რატომ არ დაერქვა მთვარეს ,,მზე'' და პირიქით. გადაწყვიტაა კი ეს არჩევანი მხოლოდ მზის პლანეტის მეტმა ელვარებამ? მივმართოდ იმ რელიგიურ მხარეს, რომელმაც ქართველს ათქმევინა ,,მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი''...

ამ რელიგიური (სულიერი) ასპექტით ადვილი გასაგებია ის გარემოება რომ მზინა, მზირა - მზე, ელვარების გარდა სხვა ფუნქციასაც ითავისებს. კერძოდ, ითავისებს საკრალურობას რაღაც ძალისას, რომელსაც მზერა შეუძლია! ისმის კითხვა: რომელშია უფრო მეტად ეს საკრალიზმი განივთებული—არდიში თუ თუთეში? პასუხი მარტივია—არდიში, რადგან ,,მზე'' მისი საკუთარი სახელი გახდა. ამდენად, ,,მზე''-ში ,,დაკონსერვდა'' საკრალური ძალის თვისობრივი არსი, რომელიც უძლიერესია, უსინათლესია, უბრწყინვალესია და აქვს ყველაფრის დანახვის უნარი. ამ იდეის უფრო კონკრეტული და ყოფითი სახე ასე წარმოჩინდება: ცეცხლი → თვალი.

გავბედავთ და მოვიტანთ სვანურიდან ასეთ სიტყვებს ,,ლირდე'', ,,ლირდი'', ,,ლიზებ'', ,,მäზäბ''. აქედან ,,ლირდე'' ნიშნავს სიცოცხლეს, არსებობას იმ ყოველივესი, რაც ადამიანის ნება-სურვილს არ ემორჩილება. ლირდე - არსებობაა არსებობა კი - სიცოცხლე. ,,ლირდი'' - აღზრდა ადამიანის ხელით, გონებით, შესაძლებლობებით. (შვილის აღზრდა, საქონლის გამოკვება - გაზრდა...). ლიზებ - აღმოცენება, მცენარეულის - მიწის წიაღიდან თავისით, ადამიანის ხელის გარეშე. ლიზებ - მიწის მადლია, მცენარეულის სიცოცხლით გამოვლენილი. (,,ლიზებ'' ჭამასაც ნიშნავს. ადვილი შესაძლებელია ეს ტერმინი მცენარეულთან დაკავშირებულ ერთ-ერთ უძველეს ლექსიკასაც აღნიშნავდეს, თუნდაც მცენარეულით კვებას. ლი-დიარäლ კი - უკვე ხორბლის ერთ-ერთი ჯიშის ,,დიარ''-ის საკვებად გამოყენებას. ვინ იცის!...). ,,მäზäბ'' უკვე აღმოცენებული, მიწიდან გამოვლინებული რამის მომცველია მაგ. ,,მäზäბ ლიც'' (წყაროს წყალი), (მცენარის შემთხვევაში გვაქვს მხოლოდ ,,მäზäბ''). ,,ლიზებ'' და ,,მäზäბ'' აშკარად უკავშირდება მიწის ბუნებას - მის თვისებიდან მომდინარეა ეს ტერმინები. ,,ლირდი'' - ადამიანის მოღვაწეობას, სხვისთვის მის მიერ სიცოცხლის ჩუქებას ნიშნავს. ,,ლირდე'' კი - დროში სიცოცხლის არსებობას მოიცავს და ეს არსებობა არც მიწაზეა

დამოკიდებული და არც ადამიანზე. ის იდეური ცნებაა და ეკუთვნის ,,უხილავ შემოქმედს'' - ძალას, რომელსაც ყველაფრის არსებობა შეუძლია! უკავშირდება კი არდი-ს ეტიმოლოგია ,,ლირდე''-ს ეტიმოლოგიას? ვფიქრობთ, მათი ფონემური თანხმობა შინაარსობრივ თანხმობასაც ნიშნავს. თუკი მათი ,,ერთარსობა'' (შინაარსობრიობა) სინამდვილეა, სინამდვილეა არდი-ს საკრალურობაც - მზერ-ის ფუნქცია და სიცოცხლის და არსებობის ძალა. ,,მზე'' ანუ თავდაპირველი ,,არდი'' სიცოცხლის და არსებობის მჩენია. ეს ბუნებრიობა ქართველმა მდედრული საწყისით გაითავისა. იგი (მზე || არდი) დედაა ქართველთა! ის სულიერი თვალით დანახული დამბადებელი ბუნებრიობაა.

,,არდი''-ს საკრალურობას ავლენს ,,არდადეგი''-ც. იგი არდი-ს ,,დგომის'' პერიოდია. სხვა პერიოდში კი არდი ,,დადის''. თუკი არდის განსაკუთრებული მდგომარეობა (დგომა) გამოყოფილია მისი ჩვეული მდგომარეობიდან (სიარული), უფლება გვეძლევა ,,არდადეგს'', ანუ პერიოდს ივლისიდან - აგვისტომდე საკრალური მნიშვნელობა მივანიჭოთ და იგი მივიჩნიოთ არა მარტო ზოდიაქურ მდგომარეობად. (ამით ,,არდადეგი'' იდეურად ,,მზე-ბუდობის'' იდეის იდენტურია!) აქედან გამომდინარე, არდის საკრალური თვისების დამადასტურებლად ამ პერიოდშივე უნდა ყოფილიყო არდის (მზის) დღეობაც დანიშნული. ამავე დროს, არდის საკრალურად უკვე გათვითცნობიერებული არსობა ხდება დროის ცვლილებების გამთავისებელიც. (არდის ,,დგომა'' და ,,სიარული'' აღნიშნულის მჩენია!). აქედან გამომდინარე, არდადეგის პერიოდში მოქცეული არდის სადღეობო დღე (23 აგვისტო!) ,,ახალი დროის'' პირველი დღეა და იგი იმავდროულად ,,ძველი დროის'' ბოლო დღეცაა. ე. ი. არდის სადღეობო დღე იდეურად ითავისებს დასასრულსაც და დასაწყისსაც, ანუ დროში ყველაფრის ახლად ჩენის იდეას.

არის თუ არა ეს აზრობრივი დატვირთვა ქართველთა საერთო წარმართულ კალენდარში გათვალისწინებული? ჩანს, რომ არათუ გათვალისწინებულია, არამედ სწორედ ამ აზრობრივ პრინციპზეა იგი აგებული. კერძოდ: ,,თვე არდადეგისა '' ძველ ქართველების კალენდარში წარმოადგენდა ბოლო თვეს წელიწადის დროისას. წლის ბოლო დღე იყო არდადეგის თვის ბოლო დღე 22 აგვისტო.[1] ხოლო ამ ღამის ღამისთევით ქართველნი ეგებებოდნენ ახალი წლის პირველ დღეს - 23 აგვისტოს. სწორედ ეს დღე იყო ახალი წლის პირველი დღე. ხოლო პერიოდს (დროის მონაკვეთს, გარკვეულ ზოდიაქურ წრეს), რომელშიც ეს დღე თავსდებოდა ეწოდებოდა თთუე ახალწლისა (ახალწლის თვე!), (23 აგვისტო - 22სექტემბერი) და შეესაბამებოდა მას ქალწულის ზოდიაქური ნიშანი. (რკალი).[2]

ამდენად, ძველ ქართველთა ბოლო თვეა არდადეგი. (ლომის ზოდიაქოს რკალი) - 23 - ივლისი - 22 აგვისტო) პირველი თვე კი ,,თთუე ახალწლისᲘ'' (23 აგვისტო 22 სექტემბერი).

არდადეგის ბოლო დღეა 22 აგვისტო. ამ დღით მთავრდება წელიწადი. 23 აგვისტოთი იწყება ახალი წელიწადი (ახალი დრო!). ახალი წელიწადის პირველ თვეს ეწოდება თვე ახალწლისა და მის პირველ დღეს ახალი წლის პირველი დღე - ,,ახალი წელი''. ახალი წლის თვე ქალწულის ზოდიაქოს კუთვნილებაა. საკრალურად კი - ,,ახალი დრო'' არდის ,,დგომის'' პერიოდის დამთავრებისთანავე იწყება, ანუ მისი ,,ამოძრავება'' ,,სიარული'' ქმნის ,,ახალ წელიწადს'' - ახალ დროს, ახალ სიცოცხლეს

[1] არდადეგის თვე - 23 ივლისიდან 22 აგვისტომდე.

[2] პ. ინგოროყვა, ქართული წარმართული კალენდარი, საქ. მუზ. მოამბე. ტ. VII გვ. 275-291.

და არსებობას; ,,არდის ბუდობით'' ხდება ახალ დროში ყველაფრის ახლად ჩენა! ეს დრო კი მოიცავს წელიწადის დროთაგან შემოდგომის პერიოდს. აქედან გამომდინარე, ახალი წელი იწყებოდა ძველ ქართველთათვის შემოდგომის პერიოდით. (სამეურნეო კალენდრით ეს ხვავის და ბარაქის ,,შინაში'' მოსვლის პერიოდია ('შემო-დგომა). სვ-ად სექტემბერს მგკ̈ხ-ის თვე ერქვა. შემოდგომას კი ,,მუქლ̌ერ'' - ,,წარმავალი მზის'' დრო!) ახალი წლის თვესა და არდადეგის თვეს შორის მოქცეული კალენდარული დრო არსებობდა VI საუკუნემდე, როგორც ,,ძველი ქართული სტილი'' (სტილი - თვეების დასაწყისი და დასასრული), ხოლო VI-VII საუკუნის საზღვარზე არაუგვიანეს VII საუკუნის დასაწყისისა, ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა რომაულ თვეთა აღრიცხვა ანუ რომაული სტილი - ,,ახალი (რომაული) სტილი''. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ,,ძველმა (ქართულმა) სტილმა'' არსებობა შეწყვიტა. (ქართული თვეები რომაულთან შედარებით 8-12 დღით ადრე იწყებოდა).

პავლე ინგოროყვას მტკიცებით ,,ძველი ქართული წარმართული კალენდარი მთლიანად ქართული წარმოშობისაა!''.[1] ეს კი გადაჭრით თქმაა იმისა, რომ ქართულ თვითმყოფად სახიერ კულტურას ცნობიერებაც საკუთარი და თვითმყოფადი ჰქონდა. ამ ცნობიერების ერთ-ერთ უძველეს ნაშთად, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი გვევლინება იმ თეოსოფიასთან ერთად, რაზეც ჩვენ ასე ხშირად ვამახვილებთ ყურადღებას. საკრალური ენა ხომ რელიგიური ხედვის შიფრია. ეს კი მრავლადაა როგორც სამწერლობო ქართულში ისე, მის დიალექტებში, როგორც წმინდა ყოფის ამსახველ, ისე ,,პოეტურ'' თქმებში.

წელიწადის დროის დანაწილების და დღეობათა ათვლის სვანური კალენდარული ტრადიცია იწყება ,,ბიხობ''-ით. (,,ღენა თხ̌ერ ლი ბიხობ'' ,,ღენ მ̈ბ ბიხობშ იბნი'') ე.ი. ბიხობ ათვლის ,,წერტილია''. იგი ბარბალობამდელი დღეობაა და, აქედან გამომდინარე, ამ დღეობაზე უფრო ძველი დროის მომცველი. ბიხობ არდადეგის თვის დღეობაა იდღესასწაულება ოთხი დღე. ეს ოთხი არ უნდა იყოს შემთხვევითი. ბიხობ უცილობლად მზის საკრალურ იდეასთანაა დაკავშირებული,[2] თუმცა მის სემანტიკაზე და ეტიმოლოგიაზე გადაჭრით რაიმეს თქმა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. და მაინც, ჩვენი გაგებით ბიხობ დაბადების იდეის მომცველია - ,,მზე-ბუდობისნაირი'', მაგრამ უფრო ,,მიწიური'' დატვირთვით. ბიხობის საკრალური საწყისი თესლი, მიწა, მცენარე უნდა იყოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართველთათვის კულტურულ მცენარეთა ,,მოპოვება'' შემოდგომის ხვნა-თესვით (ნათესით!) დაიწყო. ამ გაგებით, ადვილი შესაძლებელია, ბიხობ აერთიანებდეს მზისა და მიწის საკრალურ წრეს.

აქვე აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ ,,ბიხობ'' არის ქრისტიანული ,,მარიამობის'' (ლიმგრიე) წინა დღე. (ღვთისმშობლის მიძინების დღეა 28 აგვისტოს. ძვ. სტ. 15 აგვისტო), ხოლო ეკლესიური ახალი წლის დღე არის 14 - ძვ. სტ. 1 სექტემბერი. ეს სამივე დღეობა მოთავსებულია არდადეგის და ახალიწლის თვის პერიოდში, ანუ იმ დროში, როდესაც ხდება ძველი წლის დასრულება და ახალი წლის დაწყება. (ჩვენთვის და, ჩანს, კალენდრისთვისაც ამ შემთხვევაში არ აქვს რიცხვთა ცდომილებას არსებითი მნიშვნელობა, მთავარია თვის პერიოდი!).

ვფიქრობთ, წინაქრისტიანობის და ქრისტიანობის მიერ წლის საწყისი დროის ასე განსაზღვრა და მის პერიოდში აღნიშნული დღეობების მოქცევა არ უნდა იყოს

---

[1] პ. ინგოროყვა, ქართული წარმართული კალენდარი, საქ. მუზ. მოამბე ტ. VII გვ. 335-336 და ტ. VI გვ. 414-415.

[2] რიტუალებით რიცხვი ოთხი მდედრობითი არსის მჩენია. იგი აერთიანებს შესაქმის იდეას - ორი არსის ერთობლიობას; როგორც ცაზედ ისე მიწაზედ.

შემთხვევითი. აქ ჩანს, რაღაც მნიშვნელოვანი გარემოებისადმი არის ყურადღება გამახვილებული. კერძოდ, იმ საკრალური იდეისადმი, რასაც არდის (მზის) საკრალური სახე განასახიერებს. სწორედ ეს უნდა იყოს არსებითი და მნიშვნელოვანი, როგორც წინარე ქრისტიანთათვის, ისე ქრისტიან მართლმადიდებელთათვის (ამ შემთხვევაში ქართველთათვის) წინააღმდეგ შემთხვევაში ძველი და ახალი დროის (ძველი და ახალი წლის!) დასაწყისი და დასასრული არდადეგის პერიოდში არ მოხვდებოდა, წლის ბოლო თვეს არდადეგი არ დაერქმეოდა, წლის პირველ თვეს კი ახალი წლის თვე და იგი ქალწულის კუთვნილი არ გახდებოდა და, საერთოდ, ამ ყოველივეს ორივე მსოფლმხედველობა ერთნაირად არ გაითავისებდა. ჩანს, ,,ბიხობ''-ს სრული უფლება აქვს იმისათვის, რომ იგი წლის უძველეს (პირველ!) თავდღეობად მივიჩნიოთ.

ამდენად, წლის თავდღეობაც და ახალი წლის პირველი თვეც არდის საკრალურობას ეფუძნება (,,დაბადების'' - სიცოცხლის და არსებობის უნარი დროში!). არდი, დადეგი, ახალი წელი, ქალწულის ზოდიაქოს რკალი, ბიხობი ამ საკრალურობის ჯაჭვს ქმნიან, მათ ემატება ქრისტიანული მარიამის დღეობა (მიძინების დღე!) და საეკლესიო ახალი წელი-ახალი წლის 1 დღე (1 სექტემბერი). აღნიშნული საკრალური ჯაჭვი, ჩვენი გაგებით, უნდა იძლეოდეს არდის როგორც სემენტიკის, ისე ეტიმოლოგიის ახსნას. თუკი მას მზის ღვთაებასთან (დალ-თან) დაკავშირებულ დასკვნებს დავუმატებთ, აღნიშნული პრობლემაც უფრო ნათელი და გასაგები იქნება. აი ისიც;

1. ახალი წლის ციკლი, ახალი წლის დღეობათა პირველი სამი დღე, სვანეთში წარმოადგენს ბუნების შემოქმედთა დღეობას - სამყაროს ახლად დაბადების რიტუალურ წარმოჩენას.

2. ახალი წლის ციკლის პირველი დღე და, ამავე დროს, ძველი წლის ბოლო დღე - ,,ეშხუ̈ამ'' უზენაეს შემოქმედთაგან განასახიერებს ,,ერთ''-ის იდეას, რომელიც თავის თავში იტევს მდედრობითი არსის ბუნებრიობას. ,,ეშხუ̈ამ''-ის დღესასწაული მზის დღესასწაულია, დღის მფარველი კი - უზენაესი დამბადებლის პარადიგმული სახე, მზის საკუთარი სახელწოდება, როგორც ზემოთ გამოიკვეთა, ქართველთა მსოფლხედვაში ,,არდი''-ა. ,,არდი'' - სამწერლობო ქართულმა შემოინახა, ხოლო მზის ღვთაების საკრალური სახელი ,,დალ'' - ხალხურმა რიტუალურმა მეხსიერებამ.

3) ,,მ̈ახე ზ̈ა̆'', ̆ეშხუამის მეორე დღე და ამავე დროს ახალი წლის პირველი დღე, წარმოგვიდგენს მეორე, ,,ერთი''-საგან განსხვავებულ ბუნებრიობას. ,,მ̈ახე ზ̈ა̆'' ახალი დროს პირველი დღეა. მისი მფარველი კი დალ-ისაგან განსხვავებული ,,ხოშა ღერბეთ'' || ,,ფუსდ ნაბუასდიშ''. ანუ, ,,მ̈ახე ზ̈ა̆'' დროის ახალი ციკლის ,,საკუთარი სახელია'', მისი რიტუალური მხარე კი ,,ხოშა ღერბეთის'' ბუნებრიობის მჩენი ქმედება, ე.ი. დროში ყველაფრის ახლად მჩენის დღეობაა ,,მ̈ახე ზ̈ა̆''ამით კი კონკრეტდება იდეა: ̆ეშხუამ წიაღია, სადაც ხდება (წარმოსახვაში) ყველაფრის ,,ჩასახვა'', ,,მ̈ახე-ზ̈ა̆''კი - ამ ,,ჩასახულის'' სამზეოზე ,,გამოსვლაა'' ანუ ყოველივეს ახლად დასაწყისია. ეს კი დაბადების საოცრებაა, რომლის სახიერად მჩენიც მდედრობითი არსია. ამადაცაა მისი სიმბოლური სახე წრე - ◯ - სიღრმის და სივრცის მომცველი, მზის და მიწის გრაფიკული და ამავე დროს, საკრალური ნიშანი. ეს ნიშანი სიღრმეს და სივრცესთან ერთად დროის მომცველიცაა. იგი იტევს დასაწყისის და დასასრულის იდეას და ცოდნას იმისა, რომ ეს უდიდესი კანონზომიერება არსებობს დროსა და სივრცეში.

ეს ,,საოცარი'' ნიშანი ◯ უზენაესი ,,ერთ''-ის სახეა. ის სამყაროს აერთიანებს თავისი ,,ოთხი კუთხით'' (ოთხი მხრით), თავისი ცით და მიწით და ამ ყველაფრის შემოქმედს ,,ერთ''-ს უწოდებს ადამიანის (ქართველის) გონება. გვინდა თუ არ გვინდა ეს

პარადოქსული იდეა ამ შემთხვევაში (დღეობათა კალენდარსა და მასში შენახულ მსოფლმხედველობაში) უკვე ფაქტია. ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სქესი განისაზღვრებოდა მასში პირველად (მდედრი თუ მამრი). მთავარია გაცნობიერება იმისა, რომ ჩვენში არსებობდა სამყაროს ერთი შემოქმედის იდეური სახე, რომელსაც არ ერქვა არც ქალის და არც კაცის სახელი, არამედ არსის სახელი - ,,ერთი", რომელიც იტევს არა სქესს, არამედ ,,პირველს" საწყისს, ძალას შემოქმედებისას. ეს ძალა კი მან მზის ძალას დაუკავშირა, რადგან სახიერად მას მზეზე უკეთესი და უძლიერესი არაფერი არ ეგულებოდა. ამ ძალის მსახურად გაიცნობიერა ადამიანმა საკუთარი არსებობა და პირველსავე შესაწირსაც მზის სახე მისცა - მრგვალი ფორმის შესაწირით, წმინდა პურით დაიწყო ადამიანმა შემოქმედი ერთის დიდებაც და საკუთარი არსებობისათვის ზრუნვაც. აი ღმერთიც და ადამიანიც, ღმერთის არსიც და ადამიანის მოვალეობაც, რწმენაც და მსახურებაც, ცისა და მიწის მარადიული კავშირიც; ამ ძალის მითიური სახეები ,,დალ ეშხუამიშ" და მახე ზაგ-ის მფარველი ,,ხოშა ღერბეთია", ბოლოს კი უკვე დაკონკრეტებული ,,ერთ"-ის გაცნობიერებული საკრალური სახელწოდება - ,,შემოქმედი დიდი ღმერთი"- მამრულ ბუნებრიობას შერჩა.

ახალი წლის პირველი სამი საკრალური დღე იმდენად სრულყოფილი ,,ქმნილებაა", რომ სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ შემდეგი: ამ რიტუალურ სრულყოფილებამდე მას ექნებოდა წინარე რიტუალი, რომელიც ყველაფრის ახლად დაბადების და დამბადებლის საკრალური იდეის გამთავისებელი და წარმომჩენი იქნებოდა. ამ ლოგიკიდან გამომდინარეც, ეშხუამ - მახე ზაგ-ის იდეურ წინამძღვრად ბიხობ-ია წარმოსადგენი. ის ხომ რწმენითაც ახალი დროის და ამ ახალ დროში ყოველი დღეობის (საკრალური დღის - ღგნ-ის) პირველი ამთვლელი დღეა. აქედან გამომდინარე ბიხობ-ის მფარველი ,,ერთი" შემოქმედი - დამბადებელი ბუნებრიობითაა წარმოდგენილი. გვინდა თუ არ გვინდა ,,ბიხობი" თავისი არსით ,,ნაყოფიერების სინკრეტული იდეის" მომცველია და იგი კაცობრიობის ისტორიაში პირველ იდეასაც—შემოქმედად მდედრობითი არსის წარმოდგენის ფაქტს უტოლდება. ამის გარდა ხდებოდა ისეც, რომ ცნობიერება მართლაც განსაზღვრავდა ყოფიერებას ანუ, დასასრულის და დასაწყისის და პირიქით, დასაწყისის და დასასრულის შემოქმედის გრაფიკული სახით იქმნებოდა ადამიანის საცხოვრისიც, კერის (ცეცხლის!) ადგილიც და სამლოცველოს ფორმაც. აი ამის დამადასტურებელი (მართალია მცირე მაგრამ არსებითი) ისტორიულ მეცნიერებათა დასკვნები:

- ზედა პალეოლითის დროს უნდა დაწყებულიყო კავკასიის კულტურული და ეკონომიკური ერთობის წარმოქმნის პროცესი. ამ ერთობის ჩამოყალიბების ძირითადი კერა არის დასავლეთი ამიერკავკასია - დღევანდელი დას. საქართველო. სწორედ აქ, რიონ-ყვირილის ორ - მდინარეთშია გამოვლენილი ძირითადად ზედა პალეოლითური ხანის ადრეული საფეხურის ძეგლები.

- მეზოლითის დროს, გამყინვარების შემდგომ ხანაში, თითქმის მთელი კავკასია ათვისებულია ადამიანის მიერ. მთის რეგიონის ათვისებაც ამ პერიოდში ხდება. ძველი ქვის ხანის კულტურა კავკასიაში ერთი მოდგმის ტომებს ეკუთვნოდა... სავარაუდებელია, რომ რადგან, აქ ერთი მოდგმის ტომები სახლობდნენ, ისინი იქნებოდნენ კავკასიური ენობრივი ერთობის მატარებელნიც. მათი განფენის პროცესს მიჰყვებოდა ენის დაშლის პროცესიც, რაც კვლავ მეზოლითშია სავარაუდებელი.

- კავკასიის ნეოლითი ადგილობრივი, წინარე კულტურის საფუძველზე აღმოცენდა, ოღონდ როგორც ერთ-ერთი შემადგენელი, ეგებ, უფრო პერიფერიული ნაწილი წინა აზიის უძველესი სამიწათმოქმედო ცენტრისა, მასთან ახლო ურთიერთო-

ბაში ვითარდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს სამხრეთ-დასავლეთიდან ხალხთა გარკვეული მასების შემოსვლას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მას რაიმე მნიშვნელოვანი, შესამჩნევი ცვლილებები არ გამოუწვევია.

- ნეოლითური რევოლუცია ჩვენში V ათასწლეულში უნდა დასრულებულიყო. საერთო კავკასიური ერთობა ამ პერიოდისათვის უკვე დაშლილია სამ ძირითად ლოკალურ ერთობად 1) დასავლეთ - კავკასიური 2) სამხრეთ - კავკასიური 3) აღმოსავლეთ - კავკასიური. ამ პერიოდის ბოლოსთვის ჩნდება ლითონის პირველი ნივთები. (ო. ჯაფარიძე).[1]

- ისტორიაში ნეოლითის პერიოდი უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურითაა ცნობილი. როგორია ამ პერიოდის კულტურის ძირითადი ნიშან-თვისებები როგორც წინა აზიის, ისე ამიერკავკასიის ადრე სამიწათმოქმედო კულტურებში?

- წინა აზიის სამიწათმოქმედო კულტურაში ძვ. წ. VII ათასწ-დან ჩნდება საკულტო დანიშნულების, როგორც მცირე ზომის, ისე მიზრდილი შენობები. აქვეა თიხისგან გამოძერწილი ფიგურები: დედა, მამა და ბავშვი - ნაყოფიერების გამომხატველები. ძვ. წ. VI ათასწ. ჰასუნის (ერაყი) კერამიკის მოხატულობაში დასტურდება ტოლმკლავა მსხვილმხრიანი ჯვარი. ძვ. წ. VII-VI ათასწ-ის წინა აზიის საცხოვრებელი სახლები ეზოებითაა გარშემორტყმული. ეზოში გამართულია მარცვლეულის შესანახი ალიზის წრიული ნაგებობები. საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსების გარდა შენობათა კომპლექსში თითქმის ყველგან ჩართულია სარიტუალო დანიშნულების შენობები - სამლოცველოები. საშუალოდ ყოველ სამ საცხოვრებელზე ერთი სამლოცველო მოდის, ხოლო უფრო მოგვიანო ფენაში კი დასტურდება ყოველ ორზე თითო სამლოცველო. სხვადასხვა ფენის სამლოცველოები ხშირად ერთიმეორეზეა დაშენებული, რაც მტკიცე ტრადიციის არსებობაზე მეტყველებს (ჩათალ-ჰიუიკი, სამხრეთ ანატოლია, კონის ველის მთავარი ნასახლარი). სამლოცველოები არც ზომითა და არც ძირითადი აგებულებით არ განსხვავდება საცხოვრებელი ოთახისაგან, მხოლოდ სრულიად განსაკუთრებულად არის მორთული და მოწყობილი... იატაკზე კედლების გაყოლებაზე გამართულია ნაპირებიანი კერა და დაბალი ბაქნები. კერა სამსხვერპლოს ახლოსაა - საგანგებოდ გამართულ თიხატკეპნილ გრძელ მერხებზე და სადგარებზე მაღალი რელიეფით ან სრული მოცულობით. თიხისგან გამოძერწილია სხვადასხვა ცხოველის (ირემი, ლეოპარდი, ხარი) ან ღვთაების - ფეხგაშლილი და ხელაღპყრობილი ქალის ფიგურები. რელიეფურ გამოსახულებებში მთავარი ადგილი მაინც ხარის რქებს ან ხარის თავს უჭირავს. კედლების მსგავსად რელიეფებიც შეფერადებული და მოხატულია სიმბოლური ნიშნებით (რქები, მნათობი, წყლის ნაკადი, გაშლილი ხელი, მტაცებელი ფრინველები).

,,ჩათალ ჰიუიკის სამლოცველოების მოწყობილობასა და შემკულობაში მკაფიოდაა გამოხატული იმდროინდელი მიწათმოქმედი საზოგადოების რთული რწმენა - წარმოდგენები ნაყოფიერების (განსაკუთრებით მდედრობითი), იმქვეყნიური ცხოვრების, მაგიური ძალების და საერთოდ, სამყაროს შესახებ; მასში ძლიერია აგრეთვე წინაპართა კულტი'' - (ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი).[2]

- საქართველოში V ათასწლეულის შუა ხანებიდან მოპოვებელი არქეოლოგიური დასახლებანი განეკუთვნება პირველ მიწათმოქმედთ. (ქვემო ქართლი - შულავერი).

---

[1] ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით) თბ, 1976 წ. გვ. 34-35, 46, 60.

[2] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ, 1971 წ. გვ. 21. 26-30.

დასახლება გამართულია გორაზე. ამ ადრეული ხანის ძირითად საცხოვრებელ ერთეულს შეადგენდა რამდენიმე ნაგებობის ჯგუფი: 1) საკუთრივ საცხოვრებელი - შედარებით მოზრდილი, ალიზის, წრიული გეგმის გუმბათური შენობა, რომლის აუცილებელი ატრიბუტია თიხისგან ნაძერწი კვერცხისებური კერა, განკუთვნილი უქრობი ცეცხლისათვის. 2) სამეურნეო დანიშნულების მიმცრო წრიული ნაგებობა, მიწაში სანახევროდ ჩასმული. სამეურნეო ღუმელი გამართული ეზოში, საცხოვრებლის კედელთან. აქვეა თიხა ალესილი ორმოები - სანოვაგისა და წყლის მარაგისათვის.

საცხოვრებელი შენობა მარტივი სახისაა. გეგმაზე ის ან წესიერი წრიულია ან დაგრძელებული ელიფსური (სიმაღლე მისი 2,5 მ.). 60-70 სმ სიგანის ხვრელისებური კარი გარედან მიწის პირზე ამოდის. რაიმე კანონზომიერება კარის ორიენტაციაში არ ჩანს. სავარაუდებელია, რომ შენობებს სარკმელებიც ჰქონდა (ვერტიკალური, ვიწრო სარკმელი კედელზე. წრიული სარკმელი - გუმბათში). უეჭველია, სამეურნეო კერა ეზოებში იმართებოდა, მუდმივი ცეცხლისთვის საჭირო კვერცხისებური კერა კი საცხოვრებელში. საცხოვრებლის პირველი ტიპია წრიული საცხოვრებელი, შემდეგ ნახევრად წრიული და ბოლოს სწორკუთხა სახლები. ამიერკავკასიაში წრიულ - გუმბათიანი საცხოვრებელი შენობის ტიპი გაბატონებული ჩანს IV ათასწლეულის ბოლომდე.

- ამიერკავკასიაშიც ადრემიწათმოქმედთა კულტურას ეკუთვნის ტერაკოტის (გამომწვარი თიხის) საკულტო დანიშნულების პატარა ქანდაკებები - ქალის ფიგურები. შიშველი ქალის ამგვარი ფიგურები მეტად დამახასიათებელია თითქმის ყველა მხრის ადრეული, განსაკუთრებით მიწათმოქმედი საზოგადოებისათვის, როგორც ნაყოფიერებისა და გამრავლების ძალის განსახიერება; მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველას გააჩნია საერთო თვისება - სხეულის ფორმის სისრულე, ნაყოფიერების გამომხატველი ნიშნების ხაზგასმა, სქემატიზაციისაკენ მიდრეკილება. ზოგ ადგილას ასეთი ფიგურები უტრირებული ნატურალიზმით ხასიათდება, ზოგან კი სქემატურობით. ამ ქანდაკის პარალელურად არსებობს მიცვალებულის - წინაპრის კულტის ძველთაძველი ტრადიცია.

— ადრემიწათმოქმედთა კულტურის დრო ამიერკავკასიაში (კერძოდ საქ-ში) განისაზღვრება V-IV ათას-ით. მისი უადრესი ნასოფლარია შულავერის გორა (V ათასწ. შუახანა) და ეს კულტურა ქართულენოვანი ტომების კუთვნილება იყო. ეს ოლქია ქართველური ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბების ოლქი. მათ საფუძველი ჩაუყარეს მტკვარ - არაქსის კულტურას. ამ უკანასკნელმა კი - თრიალეთის კულტურას. (ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი).[1]

—ადრემიწათმოქმედთა არსებობის პირობებში ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და სულიერი ცხოვრება ერთმანეთშია გადახლართული - ერთმანეთით არის განპირობებული. აქედან მომდინარეობს მათი აზროვნების სინკრეტიზმიც, რომელიც საფუძვლად უდევს არქაული საზოგადოების მიერ შექმნილ სულიერი კულტურის თავისებურებებს და მთლიანად ამ კულტურას განუმეორებელ სახეს აძლევს. არქაული კულტურისათვის დამახასიათებელია უნივერსალური მხატვრული სინკრეტიზმი, რომელშიც მხატვრული შემოქმედებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა ფორმა, მათ შორის რელიგია და ხელოვნება, არ არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი, განსაზღვრავს ერთმანეთს, ურთიერთდიფუზური ფორმით არსებობს და ქმნის ე.წ. პირველყოფილ სინკრეტულ კომპლექსს, რომლის ყოველი მხარე

[1] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი. დასახ. ლიტ. 1971 წ. გვ. 93-94. 50-51, 49-52, 79, 80, 91-92 (სურათი 39).

განსაზღვრულია ამ საზოგადოების მსოფლგაგების უნივერსალური ფორმით - მითოლოგიით... არქაული ხელოვნება ამ კულტურის ,,თვითშეგნება'', ,,თავისებური კოდია'', ის გასაღებია, რომელიც ხსნის კულტურის კონტექსტს, სრულიად გადმოგვცემს მის შინაარს (მ. ხიდაშელი).[1]

ამიერკავკასიის ადრემიწათმოქმედი ტომების მიერ შექმნილი კულტურის ხასიათი ადასტურებს, რომ ამ ტომებს გამომუშავებული ჰქონდათ საკუთარი შეხედულება სამყაროზე, მის აგებულებაზე. როგორც ჩანს, მათ მიერ შექმნილ სამყაროს მოდელში, უპირველეს ყოვლისა, სამყაროს ვერტიკალური სტრუქტურის იდეა იყო გამოხატული. ადრემიწათმოქმედმა ადამიანმა პირველად გაიაზრა სამყარო თავისი უმთავრესი პარამეტრებით: სივრცითა და დროით, გამოიმუშავა დროის ციკლურობის კონცეფცია. სამყარო კი მათთვის ორ ნაწილად გაიყო: ,,თავის ქვეყანად'' ანუ ქვეყნად, სადაც თვითონ სახლობდნენ და ,,უცხოთა ქვეყნად'', სადაც ზებუნებრივი ძალები ბატონებდნენ. აქ იყვნენ როგორც კეთილები, ისე ბოროტები.

საქართველოში, კერძოდ შულავერში, აღმოჩენილი ქალ-ღვთაების ერთ-ერთი უძველესი ქანდაკი მიეკუთვნება ძვ. წ. V ათასწლეულს: ქალ-ღვთაება მჯდომარე მდგომარეობაშია. მისი ვერტიკალური სხეული შემკულია გრაფიკულად შესრულებული სახეებით - ფეხებზე დატანებულია პარალელური ჭდეები. ხოლო, სხეულზე გამოსახული ხე უშუალოდ ქალის საშოდან ამოდის... ამ შემთხვევაში ეს ქანდაკება გაიაზრება როგორც ქვეყნიერების სიმბოლო, რომელშიც სამყაროს ვერტიკალური სტრუქტურის იდეაა ჩადებული. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ პერიოდში აშკარად იკვეთება ქალღვთაებასთან დაკავშირებული სამყარო - ქალი, მცენარე, გველი, ირემი, რაც საფუძვლად დაედო უფრო გვიანი ხანის წარმოდგენებს (მ. ხიდაშელი).[2]

—კოსმიური ხე აზრობრივად აერთიანებს სამ კოსმიურ ზონას - ქვესკნელი, შუასკნელი, ზესკნელი; სამივე სივრცობრივი დროის პარამეტრებს - წარსული, აწმყო, მომავალი; ხალხის გენეალოგიას - წინაპრები, დღევანდელნი, მომავალნი. კოსმიური ხე ასევე ქმნის სამყაროს ჰორიზონტალურ მოდელს. სამყაროს ჰორიზონტალური მოდელისთვის განმსაზღვრელია რიცხვი ოთხი (ქვეყნის ოთხი მიმართულება, წელიწადის ოთხი დრო, ოთხი ან ოთხსახოვანი ღვთაება და სხვა) და წარმოადგენს სტატიკურ მთლიანობას, რომ შეწყვეტილია ქაოსი და სამყაროს ნაწილებს შორის დამყარებულია ყველა შესაძლებელი კავშირი. კოსმიური ხე სამყაროს ჰორიზონტალურ მოდელთან ერთად სამყაროს ვერტიკალური იდეის გამომხატველიცაა. ხელოვნებაში ამ იდეას ადამიანის კოსმიური სხეული, სვეტი, მთა, ტაძარი განასახიერებს. როდესაც ჩნდება წრიული მოძრაობის იდეა, სამყაროს ხის გააზრებას ემატება კიდევ ერთი განზომილება - სიღრმე![3]

ზოგადად კი, - ადრემიწათმოქმედი ტომების მიერ შექმნილი ორნამენტის სიმბოლიკა მეტად დაკავშირებულია ნაყოფიერების იდეასთან, ქალურ საწყისთან. ამიტომაც უმთავრესი ადგილი ნაყოფიერების ქალღვთაებას ეკუთვნის, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეულობის გამრავლებას (მ. ხიდაშელი).[4]

---

[1] მ. ხიდაშელი. დრო და სივრცე ამიერკავკასიის ადრემიწათმოქმედი ტომების სულიერ კულტურაში. მაცნე. ისტ. სერია. 1988 წ. №4. გვ. 41.

[2] მ. ხიდაშელი, საქართველოს უძველესი მოსახლეობის სულიერი კულტურა, ისტ. სამეც. პოპულ. კრებ. დიდგორი, თბ, 1991 წ. გვ. 7,8.

[3] მ. ხიდაშელი, მაცნე ისტ. სერია, 1988 წ. გვ. 55 № 4.

[4] მ. ხიდაშელი. მაცნე ისტ. სერია 1988 წ. № 4. გვ. 49.

—გენეტიკურად ხის კულტის უძველეს ფორმებთან და შესაბამისად კოსმიური ხის რწმენასთან დაკავშირებული დედაბოძი კერასთან ერთად წარმოადგენდა ყველაზე უფრო ინვარიატიულ სიმბოლოს სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხისა, რომელიც კოსმოგონიურ მნიშვნელობას აძლევდა საცხოვრებლის მთელ ინტერიერს. დედაბოძის მთელი კომპლექსი განიხილებოდა როგორც ოჯახის ცენტრი და გააზრებული იყო სამყაროს ცენტრის ანალოგიით, რაც გარე სამყაროს მარადიულობის შემეცნებაზე იყო დაფუძნებული (გრ. გიორგაძე).[1]

—ბოტანიკური, ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ხალხური რელიგიური აზროვნების მონაცემები მეტყველებს, რომ საქართველოს მიწაწყალზე ყველა წინაპირობა არსებობდა კულტურული ხორბლისა და მწარმოებლური მეურნეობის ადგილობრივ ჩასახვა - აღმოცენების და შემდგომი სრულყოფისათვის და რომ საქართველო არის სამიწათმოქმედო კულტურის წარმოშობა - განვითარების ერთ-ერთი დამოუკიდებელი კერა. ეს ფაქტი კი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კულტურულ მცენარეთა გენების ავტონომიური კერა იმავდროულად წარმოადგენს საკაცობრიო კულტურის კერასაც. (ნ. ვაველოვი, ნ. ბრეგაძე).[2]

ქვემო ქართლში არუხლოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი კულტივირებული ხორბლეულის ნაშთები განეკუთვნება ძვ. წ. აღრიცხვის VI ათასწლეულს. აქ შიშველმარცვლიანი სახეობების აღმოჩენა მანიშნებელია იმისა, რომ ამ დროისათვის საქართველოში საქმე გვაქვს უკვე სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების არა პირველად, არამედ მომდევნო ეტაპთან, რომლის საწყისი სტადია (ანუ პირველადი სამიწათმოქმედო კერები) გაცილებით ადრეულ ხანაში, უფრო შორეულ წარსულშია საძიებელი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დასახელებულ ძეგლებზე აღმოჩენილი კულტურული ხორბლის ესოდენი ნაირგვარობა - 8 სახეობა - ახლო აღმოსავლეთში შესწავლილ, არუხლოს სინქრონულ ადრესამიწათმოქმედო არც ერთ კერაში არაა მიკვლეული.[3] (ნ. ბრეგაძე).

საქართველოში ,,ხორბლის უძველესი სახელწოდებაა დიარ და იგი ამავდროულად ბალახსაც აღნიშნავდა. მისი წარმოშობა უნდა განეკუთვნებოდეს ქართველთა ყოფის იმ ადრეულ პერიოდს, როცა მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სხვა საკვები ბალახეულისაგან დიფერენცირებულად გააზრებული. შემდეგში უკვე გაკულტურებულმა მცენარემ დროთა განმავლობაში დაკარგა ძველი, თავდაპირველი, ზოგადად ბალახეულის აღმნიშვნელი სახელი (დიარ) და თავისი განვითარების გზაზე სახეობათა თუ ფორმათა წარმოქმნასთან ერთად შეიძინა არაერთი სხვა სახელწოდება. (ყანა, იფქილი, პური წმინდა, ხორბალი), ხოლო დიარ ლინგვისტური მოწმობა უნდა იყოს იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო ადგილობრივი ველური მცენარის მოშინაურება - გაკულტურება''. (ნ. ბრეგაძე).[4] (ცნობისთვის: სვანეთში საჭმელად გამომცხვარ პურს დიარ ეწოდება. საღვთოდ დაცხობილს კი ლემზირი. იგი დიარისაგან განსხვავდება სამი დასახული ლემზირით. ლემზირი ჯერ საღვთოა, შემდეგ ადამიანის საკვები, დიარ კი - მხოლოდ საკვები, ლემზირებდაუსახავი (ნ. წ.).

—სულიერ კულტურაში მოწმდება მარცვლეულთან დაკავშირებული, ჯერკიდევ არა აგრალური ხანის რიტუალები, რომლებმაც დროთა განმავლობაში სამიწათ-

---

[1] გრ. გიორგაძე, ქართული დედაბოძის შემკულობის სიმბოლიკის პრობლემა, (რეცენზია წიგნისა ირ. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1986 წ.), მნათობი, 1987 წ. №5. გვ. 175.

[2] ნ. ბრეგაძე, საქართველოში მიწათმოქმედების წარმოშობის საკითხისათვის, მსე, 1987 წ. ტ. 23. გვ. 8.

[3] ნ. ბრეგაძე, დასახ. ლიტ. 1987. გვ. 4.

[4] ნ. ბრეგაძე, მსე, 1987, ტ. 23. გვ. 6.

მოქმედო ყოფის წარმოშობა - განვითარებასთან ერთად განიცადა თანდათანობითი ცვლილებები, მიიღო სულ უფრო და უფრო რთული სახე და საბოლოოდ აგრალურ დღესასწაულად ჩამოყალიბდა. ასეთი რწმენის პირველ საფეხურს წარმოადგენს აგრალური ღვთაებისადმი მიძღვნილი კვდომა - აღორძინების რიტუალი და იგი ბუნების კვდომა - აღორძინებისადმია მიძღვნილად გააზრებული. დამარხვის, კვდომის, სამგლოვიარო რიტუალი იმდროინდელია, ვიდრე ადამიანი ისწავლიდა თესვას და მარცვლის გაღივება - აღმოცენებას. აღორძინების რიტუალი კი - დათესვის და აღორძინების გააზრების შემდეგაა დამატებული. ანუ იმ დროისაა, როცა საფუძველი ჩაეყარა სამიწათმოქმედო ყოფას, ე.ი. დატირების ანუ კვდომის რიტუალი უნდა გაჩენილიყო კადევ უფრო ადრე, მიწათმოქმედების ჩასახვამდე, პრეაგრალურ ხანაში, ე. ი. მოსავლის შემგროვებლურ სტადიაზე. მაშინ იგი ცხადია სრულდებოდა მკის დროს და არა თესვისას (დამარხვისას) მკა მცენარის სრულ კვდომად გაიაზრებოდა (აქედან გლოვა - დატირების ტრადიციაც) აღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ,,თიბის სამშაბათის'' სახელით ცნობილი რიტუალი - თიბვასა და მკაში მკვდრის დატირების ჩვეულება; მკისა და თიბვის დროს მოთქმით ტირილის ტექსტების, ხმით ნატირლების - ქორქილას, ღუღუნისა და გვრინის შესრულება, რომლებიც თავისი წარმოშობით სწორედ მცენარის სულის მოკვლას უნდა უკავშირდებოდეს... გამოდის, რომ სულიერი კულტურის სფერომაც, მსგავსად მატერიალური კულტურისა და ლინგვისტური მონაცემებისა, შემოგვინახა სამიწათმოქმედო ყოფასთან დაკავშირებული ცალკეული ელემენტების არა მარტო კომპლექსი, არამედ უმარტივესი საწყისი ფორმაც, განვითარების ერთიანი უწყვეტი ხაზის პირველადი საფეხური (ნ. ბრეგაძე).

საქართველოში სამიწათმოქმედო კულტურის უწყვეტობას ადასტურებს ბოტანიკური და სელექციური ჯიშები, ლექსიკური მასალა, წეს-ჩვეულებანი, სამეურნეო იარაღები და სამეურნეო კალენდარი. საქართველოში სახვნელი იარაღის პირველ სახედ მიჩნეულია ირმის რქის კავწერა, უმაღლეს საფეხურად კი - დიდი ქართული გუთანი. კილიანი ხორბალი - მახა და ზანდური - წარმოადგენს პირველ პურეულს. მათი მოსავლის ასაღებად გამოყენებული შნაკვი უმარტივეს სამეურნეო იარაღს.

—,,ძველმა ქართულმა წარმართულმა კალენდარმა, რომელიც აგრალური კალენდრიდან მომდინარეა, შემოგვინახა შემოდგომის ახალი წლის თარიღი (23 აგვისტო!) ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ ჩვენში სამიწათმოქმედო ყოფის საწყისი უკავშირდებოდა საშემოდგომო, ე.ი. პირველადი კულტურული მარცვლეულის მოყვანას. ეს კი თავის მხრივ, მოწმობაა საქართველოში მიწათმოქმედების ადგილობრივი წარმოშობის''.[1]

ვფიქრობთ, ზემოთ მოცემული ამ მცირედი ექსკურსიითაც უფლება გვეძლევა კვლავ განვაცხადოთ უკვე მრავალჯერ თქმული და განმეორებული ის გარემოება, რომ ქართველობა ის მონოლითური ორგანიზმია, რომელსაც საერთო აქვს ,,სხეულიც'' და ,,სულიც'' - მსოფლმხედველობაც და თვითშეგნება იმისა, რომ მისი ,,სხეულის'' ცალკეული ნაწილი ისეთივე აუცილებელია ერთი მთლიანისათვის (ქართველობისთვის) როგორც სული სხეულის სიცოცხლისთვის; ქართველობის ეთნიკური მრავალფეროვნება მისი სიმდიდრეა. ის რაც ერთის მატერიალური კულტურის რომელიმე სფეროში ,,არ არსებობს'', არსებობს მეორის მატერიალური კულტურის სფეროში. ის რაც ერთის სულიერი ხედვისთვის ,,უცნობია'', მეორისთვის ძლიერი და ორგა-

[1] ნ. ბრეგაძე, ძველ ქართული წარმართული და აგრალური კალენდრების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, კრებ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ, 1976 წ.

ნული ნაწილია ხედვისა. ერთ მთელს მცირედიც რომ დააკლდეს, ერთი მთლიანი აღარ იქნება - ასეთია ქართველობა, მისი სხეულიც და მსოფლხედვაც, მისი ისტორიაც და თანამედროვეობაც, მისი უძველესი რწმენაც და სარწმუნოებაც, ხედვაც და მსახურებაც, ცნობიერებაც და ქვეცნობიერებაც და ის ყველაფერი, რაც უზენაესს შეუქმნია ადამიანის ერთ-ერთი მოდგმისთვის ამ ,,ღვთითკურთხეულ მიწაზე'' საცხოვრებლად.

მიწა და მიწათმოქმედებაა ამ მოდგმის ეთნონიმის განმსაზღვრელი და სხვა ერების მიერ - ,,გეორგიად'' - მიწათმოქმედთა ქვეყანად მონათლულან ისინი. ამ ხალხთა უძველესი საფიცარი ცა (ურანოსი) და მიწა (გეა) გამხდარა. ამ ორივეს შემოქმედი კი, საბოლოოდ ,,ღმერთ,,-ის ლექსემით დაკონკრეტებულა.

საქართველო ,,გონიერი ადამიანის'' საცხოვრისია. ეს გონიერი ადამიანი კავკასიური მოდგმის აბორიგენი იყო და გააჩნდა საკუთარი ენა საკუთარ რწმენასთან (სულიერ ხედვასთან!) ერთად. თვითშეგნების ჩამოყალიბების შემდეგ დაირქვა ეთნონიმად ქართველი და გახდა თვითმყოფადი ყოფითაც და ცნობითაც. თითქმის არ არსებობს ყოფიერების ისეთი დარგი, რომელსაც ქართველისთვის საკუთარი საწყისი არ ჰქონოდა, იქნებოდა იგი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, მეტალურგია, მეთუნეობა, არქიტექტურა (საეროც და საეკლესიოც), მევენახეობა თუ ქალის სხვადასხვა საქმიანობა (ქსელვა, ქსოვა, რთვა...). აქ, ამ მადლიან მიწაზე იყო ამ ყოველივეს დაწყების და სრულყოფილებამდე მიყვანის შესაძლებლობა, თუმცა, ეს არ ნიშნავდა არასდროს ქართველის ,,ვაკუუმში'' არსებობას. მისი კულტურა სხვებთან მიმართებაში მშვენდებოდა, საკუთარს არასოდეს არ ივიწყებდა, სხვისგან თავისთვის განსაკუთრებით ორგანულს იღებდა ისე, რომ ,,ეროვნული ორგანიზმის'' ერთიანობისთვის ამ ახალს ხელი არ შეეშალა. მისი ცნობიერებისა და ყოფიერების დვრიტა მუდამ საკუთარი (ეროვნული!) რჩებოდა!..

ყოფიერს ცნობიერიც ახლდა ეროვნული; თითქმის ყოველი ნივთიერი ,,ორად იყო გაყოფილი'' - საღვთოდ (წმინდად!) და სადღეოდ, რადგან გაჩენისთანავე თან სდევდა მას საკუთარი ,,რელიგიური'' არსი - ღვთითმომდინარეობის რწმენა და მსახურების აუცილებლობა!

ქართველის პირველი დასახლება მიწათმოქმედის დასახლებაა. მისი პირველი საცხოვრისი გორაზეა გაშენებული. მან ერთდროულად აიშენა: საკუთრივ საცხოვრებელი, სამეურნეო ნაგებობა და სალოცავი. სამივეს პირველი დაგეგმარება წრიულია. საცხოვრებლის სახურავიც წრიულია - ნახევრად გუმბათური. მცენარეული და წყლის მარაგის შესანახი ნაგებობაც წრიულია - მიწაში ნახევრად ჩასმული. მუდმივი ცეცხლი მრგვალ, ისიც ნახევრად მიწაშიჩასმულ საცხოვრისში ანთია. ანთია მრგვალ ან კვერცხისებურ კერაში. მრგვალ კერაშივე ანთია სამეურნეო ცეცხლი ოღონდ ღია ცის ქვეშ და არა საცხოვრებელ ნაგებობაში. კერა სამლოცველოშიც და მუდმივი ცეცხლის ადგილასაც პირველად ნაგებობის კედელთანაა ჩატნეული, შემდეგ ცენტრში ექცევა! ყოფის ეს უმარტივესი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ნიშნები საქართველოს ტერიტორიაზე V ათასწლეულიდან ფიქსირდება. ამრიგად ყოფის საწყისი სახე გრაფიკული წრით არის გაცნობიერებული და ცხოვრებასაც ამ ხაზით იწყებენ. რწმენითაც ხომ, ამ ,,ხაზის'' ,,მეუფით'' იწყება არსებობა (სიცოცხლე!).

დამბადებლის უზენაესობას ითავისებს ყოფის აღნიშნული ნიშნები. მათზე დამატებული ქალის საკულტო ფიგურები საბოლოოდ აყალიბებს დაბადების სინკრეტულ იდეას და დამბადებლის უზენაესობას, ხოლო მისი ძალის საკრალურ სახელწოდებად უძველეს ქართველთა დღემდე შემორჩენილ რიტუალებში ცნება ,,ერთი'' ფიქ-

სირდება მასში მდედრობითი არსის საკუთარ სახელად ,,დალ'' ,,ეშხუ̈ამიში'' გვეელინება. სწორედ, ამ ბუნებრიობის გრაფიკულ სახედ იკვეთება, ყოფაშიც და ცნობიერებაშიც, პირველად წრე - დასაწყისის და დასასრულის სიმბოლო, სიცოცხლის სიმბოლო, მზის და მიწის ერთიანობის სიმბოლო, დროის და სივრცის ერთიანობის სიმბოლო და, რაც მთავარია, დამბადებლის სიმბოლო. ეს არის მზის ღვთაების საწყისი არსი, ,,ყველაფრის შემოქმედი ერთი''-ს იდეური საწყისი. ამ იდეის გაცნობიერება კი იწყება მზით, მიწით და საკუთრივ ქალით ანუ ადამიანის გაჩენით და დაბადებით. სწორედ ეს იდეური სიღრმე და ყოვლისმომცველობა ხდება ცნება ,,ღმერთის''-ს საკრალური საწყისიც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საბოლოოდ ,,ყველაფრის საწყისად'' მამრობითი არსი იკვეთება, რადგან ყოფაშიც გამოჩნდა მისი კანონზომიერება და გონებამაც აღიარა ამ კანონზომიერების პირველადობა. ცნობიერებაში მომხდარი მსგავსი ევოლუცია (თუ რევოლუცია!) ი. კიკვიძეს III ათასწლეულის პერიოდში მომხდარად ესახება. მის ბოლო ეტაპად ღვთაებათა ტრიადა მიაჩნია: კაცი, ქალი, შვილი - მორიგე ღმერთი, მზე ქალი, კვირია - (ცისკრის ვარსკვლავი).[1] მაშ, ქართველებში ,,შემოქმედის'' პირველი სახე ,,მშობის'' ბუნებრიობით იკვეთება. მზე, ქალი და მიწა, ამ ბუნებრიობის სახის მჩენი, ერთ იდეურ შემოქმედად ერთიანდება და წარმოგვიდგება ცის სამყაროს მეუფედ - მზის ღვთაებად, ,,ერთ'' შემოქმედად. ცის სამყარო მისი საბრძანისია, თუმც იგი ყველგანაა, რადგან ყოველივეს დამბადებელია. რა ერქვა მზის ღვთაებას? ქალბატონ ვერა ბარდაველიძის პასუხი აღნიშნულ კითხვაზე ასეთია: ქართველთა უძველესი სახელწოდება მზის ღვთაებისა არის ბარბალ, ქალ-ბაბარი! რა თვისებები გააჩნდა მას? იგი იყო:

1. მესაქონლეობისა და შინაური ფრინველების მფარველი.

2. ბარბალე იყო, უწინარეს ყოვლისა, მდედრობითი სქესის არსებათა გამანაყოფიერებელი და გამამრავლებელი ქალ-ღმერთი.

3. ბარბალე იყო არა მარტო ქალური ნაყოფიერების ღვთაება, არამედ ასტრალური ბუნების ქალ-ღმერთიც.

4. ბარბალე თვალის შუქის და გადამდებ სნეულებათა (ცუდი ჭირის) უზენაესი პატრონიც და გამგებელია: ის ანიჭებს ადამიანს თვალის სინათლეს, იცავს მას თვალის ტკივილისა და გადამდებ სნეულებათაგან და ამ სენით დაავადებულებს მკურნალობს: ამავე დროს, ბარბალეს შეუძლია ადამიანს ტკივილები გაუჩეროს და ის სააქიმოდ გახადოს.[2]

5. ბარბალეს დღეობა ბარბალობა დღე იყო. ეს დღე ზამთრის ნაბუნიობის დროს ემთხვევა. ამ დღეობიდან დღე მატებას იწყებს და ღამე კლებულობს. ამით იგი ზამთრის მზის დადეგის დღეობას გამოავლენს და კალენდარული წლის დადეგადაც ითვლება. ეს იყო დღეობათა პირველი დღე. შესაბამისად ბარბალობის თვეც იქნებოდა პირველი თვე ქართველების უძველეს კალენდარში.[3]

რადგან, ბარბალესთან დაკავშირებული მოსაზრებანი ძირითადად და არსებითად ჩამოყალიბებულია სვანური ტრადიციის ინტერპრეტაციაზე, თავს უფლებას ვაძლევთ ჩვენი მოსაზრებანიც ამ მასალათა ხელახალი გააზრების საფუძველზე განვამტკიცოთ და განვაცხადოთ შემდეგი: - ბარბალე არ არის ქართველთა უძველესი ქალ-

---

[1] იხ. ი. კიკვიძე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976 წ. გვ. 176-177 მისი აზრით, ნაყოფიერების კულტი ქვედა პალეოლითის დასასრულს უნდა ჩამოყალიბებულიყო.

[2] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბალ... 1941 წ. გვ. 10, 27, 48-49, 63-76.

[3] ვ. ბარდაველიძე, იგივე, 1841 წ. გვ. 79-80.

ღმერთი. ასეთად, ამ მასალებით, წარმოჩინდება ,,დალი''. წლის პირველი საკრალური დღეობა არის ,,ბიხობი'' და არა ,,ბარბლაში''.

ჩვენი გაგებით, თუკი ბარბარი ქართველებში გაიაზრებოდა როგორც მზის ღვთაება, იგი უნდა აერთიანებდეს მთელს ქალურ ბუნებრიობას იქნება იგი ადამიანში, საქონელში, ფრინველში, მცენარეში თუ განსაკუთრებით მიწასა და მზეში გაარსებითებული. ანუ უნდა აერთიანებდეს სიცოცხლეს, ,,ყოველივეს არსებობას'' მდედრობითი ბუნებრიობით. მაგრამ ბარბალეს შემთხვევაში ეს ასე არ არის. მისი ,,პატრონობის'' არეს წარმოადგენს მსხვილფეხა საქონელი და ადამიანი მხოლოდ, მათი მომვლელის კონტექსტში. მასში, რაც მთავარია, არ ფიგურირებს მცენარე - ,,პური არსობის'' - მიწის წიაღი და შესაბამისად არც მზის ბუნებრიობა. ამიტომ ქართველების (კერძოდ სვანების) ბარბოლ იმთავითვე განისაზღვრება მხოლოდ მესაქონლეთა და საქონლის მფარველ ღვთაებად. ეს მისი კონკრეტული, ძირითადი და არსებითი მოვალეობაა. ამავე დროს, რადგან მას მდედრული სქესის (საქონლის!) განაყოფიერება ევალება, მისი ,,საწყისი სქესიც'' უნდა ყოფილიყო არა მდედრი, არამედ მამრი ბუნებრიობა. (შუმერთა ბარბარის მსგავსად!). ჩანს, მან შემდეგ, წარმოსახვაში ეს თვისობრიობა შეიცვალა და სინკრეტიზირებულ იქნა ქრისტიანულ ბარბარეში—მკურნალობის უნარის გამო. აღნიშნული მას სიტყვა ქალ-ის დამატებითაც უნდა განემტკიცებინა. ქალი ჩანს, უფრო საერთო ქართულის კუთვნილია. მის შემცვლელ ცნებებად ქართველური ენები სხვა ტერმინებს გვთავაზობენ - ,,ხე'', ,,ზურაშ'', ,,დინა'', ,,ხეხუ''...

ამიტომ, მესაქონლეთა და საქონლის მფარველი ბარ-ბარი უნდა გამხდარიყო ქრისტიანობის ზეგავლენით ქალ-ბაბარი, რადგან მან დაიმატა ადამიანის მკურნალობის და (ცოცხალი არსების) დაავადებებისაგან დამცველი ქრისტიანი ბარბარეს ფუნქცია, თუმცა, პირველად, მსოფლხედვის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბარ-ბარ-საც უნდა ჰქონოდა საქონლის ,,ცუდი ჭირისაგან'' დაცვის უნარი - ,,რადგან იგი მათი გამამრავლებელია - მომსპობიცაა მათი.

ასტრალურ სივრცეს მიკუთვნებული ღვთაებები, კერძოდ, მზის ღვთაება, ბუნებრივია, უფრო მეტის მომცველი იქნებოდა, ვიდრე საქონლის გამანაყოფიერებლის და დამცველის ფუნქციით არსებული განგება. თუკი ბარბარეში მზის ღვთაება იქნებოდა თავიდანვე გააზრებული, მისი ,,შემქმნელი'', წარმომსახავი, რაც არ უნდა პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანი ყოფილიყო იგი, პირველ რიგში, საკუთარ თავს, საკუთარ ბუნებრიობას ,,გაანივთებდა''. საქონლის მფარველს, გამამრავლებელს, იგი მზის ბუნებრიობას არ მიანიჭებდა და სამყაროს შემოქმედის, ,,ღმერთ''-ის, ფუძეარსსაც მარტივად არ გაიაზრებდა. ბარბოლ საქონელთანაა დაკავშირებული და არა მზესთან. მაგრამ, საქონელი ადამიანისთვის ერთ-ერთი არსებითია. ბუნებრივია, ამ არსებითის მფარველსაც მიანიჭებდა იგი თავდღეობის ფუნქციას. ქართველი ,,მიწის მოქმედია''. მიწის მოქმედებისას საქონლის ძალის გამოყენებით ხდება მისთვის ღირებული საქონელიც. ბარბალობამდელი თავ-დღეობა ,,ბიხობ''-ია. ის ,,შემო-დგომის'' დროშია. ქართველთათვის მიწის დამუშავება შემოდგომის დროით იწყება. შემოდგომის პურია ,,სანაწილე პურიც'' (დოლის პური ნაწილიანია, დიკა - ნაწილში არ შედის!). (ნ. ბრეგვაძე) უძველეს ქართველთა ახალი წელიც - 23 აგვისტოა.

,,ბიხობ'', ,,ბარბლაშ'', ,,მახე-ზაჟ'' - სამივე თავდღეობაა. ჩანს, ეს ფაქტი ეპოქალური დანაშრევებია და მსოფლმხედველობამ მათი გაერთიანებით შექმნა ისეთი სახე, რომელსაც დღეს გვთავაზობს სვანეთში დაცული ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი. იგი აერთიანებს მსოფლხედვას შემოქმედის რწმენის და მსახურებისას, მითიური შრიდან დაწყებული ქრისტიანული მსოფლხედვით და მსახურებით დამთავ-

რებული. ის რელიგიური კაცის ნააზრევია და არა რელიგიური საქონლის (ოთხფეხის!).

ქართველთათვის პირველი უზენაესი - ,,ერთი'' - საერთო ქართული ,,დიდი დედაა'' - მზე ქალ-ღმერთი. იგი ყველგან და ყველაფერში არსებული მდედრობითი არსია, უზენაესი ქალური საწყისით. მისი სახელწოდებაა ,,დალი''.[1]

საფუძველი ქართველი ადამიანის შემეცნებისა და რელიგიური წარმოსახვისა დაბადებაა. (,,სამყაროსეული შესაქმე''). იგი ხდება მითოლოგიის საწყისი. ამავე დროს, ადამიანის გონში დაბადების შემეცნების სურვილი ქმნის ,,ვერტიკალური სტრუქტურის იდეას'', ვინ ახორციელებს სახიერად ცისა და მიწის კავშირს, ვინ იწყებს მათი იდუმალების აღქმას? - ბურებრივია, ადამიანი. იგი თავის თავს სამყაროს ცენტრში აქცევს, სამყაროს კი—ერთ მთლიანად წარმოიდგენს, თუმცა მშვენივრად ხედავს მის ოთხივე ნაწილს: ზედა და ქვედა, აქეთა და იქითა მხარეს. ზეცა ცას ეკუთვნის, ქვედა მიწას, აქეთა და იქითა ქმნის იმ ხილულ სამყაროს, რაზედაც მას თვალი მიუწვდება. ეს ოთხივე მის ირგვლივ არსებობს და ქმნის ერთ მთლიანს, რადგან ოთხივენი ურთიერთის განმაპირობებელნი არიან. ,,ამ ყოველივეს'' უზენაესი შემოქმედი ღმერთია. სამყაროს ცენტრში მყოფი ადამიანი ჩანს, ამ გააზრებითაც ქმნიდა ჯვრის და წრის პირველ სიმბოლურ სახეს ან მათს საკრალურ ერთობლიობას. წრე სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრით და აქ შეფარებულ უძველეს ქართველთა მსოფლმხედველობით, პირველი შემოქმედის მზე ქალ-ღვთაების სიმბოლოა. წრეზე დასახული ჯვარი კი დიდი ღმერთის სიმბოლო ,,მუჟელ̂ის'' ფუნქციით.

ჩანს ხალხური მსოფლხედვა, ჯვარში ერთდროულად აერთიანებს რამოდენიმე იდეას:

1. ადამიანი, როგორც სახიერი შემოქმედი, ჯვრით გამოსახულ სამყაროს ცენტრშია.

2. ადამიანისთვის თავის ირგვლივი სივრცე მთლიანია. იგი მისთვის აუხსნელ კანონზომიერებას ემორჩილება ჯვარი კრავს სივრცეს, მის ოთხ მხარეს.

3. სივრცის კანონზომიერება მისთვის აუხსნელია, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც არსებობს, არსებობს რაღაც, რომლისთვისაც ყოველივე ეს ნათელია. ის შემოქმედია - უზენაესი, ყოვლის მხილველი და დამწესებელი.

4. ამ შემოქმედის კუთვნილია ყველაფერი თვით ადამიანიც კი, რადგან არც ადამიანმა არ იცის თავისი თავის არსი და შესაძლებლობა მთლიანად.

5. შემოქმედი თავის ძალას ავლენს ზემოდან ქვემოთ, რადგან მისია ზეცა (,,ზემოთა მხარე''!): ზემოდან ქვემოთ მოედინება ყოველივე. მისი ძალა სასწაულია, იდუმალებაა და მარადიული ჭეშმარიტება. იგი სამყაროს შემოქმედია დროშიც და სივრცეშიც.

6. ეს ცისა და მიწის მარადიული კავშირის სიმბოლოა.

7. ეს ,,შინა''-ს და ,,გარე'' სივრცის მარადიული კავშირის სიმბოლოცაა.

8. ეს შემოქმედის მიერ სამყაროს მარადიული მეუფების სიმბოლოა.

9. ეს ადამიანის რწმენის და მსახურების სიმბოლოა. ჩანს, ამ საკრალური ღირებულებების გამოც გაჩნდა ჯვარი წინარექრისტიანთა ხელში. ხედვის ეს კაცობრიუ-

---

[1] დალი კავკასიურ ენებში ღმერთს ეწოდება - იხ. ირ. სურგულაძე, ქართ. ხალხ. ორნამენტის სიმბოლიკა, თბ, 1986 წ. გვ. 115-116. ასევე ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია თავი I, ქართველების წარმართობა, 1979 წ.

მზე უძველესი წარმოდგენების თანახმად ყოვლისმხილველი ღმერთია. იგი წარმოიდგინება, როგორც თვალი - იხ. ნ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, 1997 წ. გვ. 154.

ლი კოდი ძალიან ნათლად და მყარად ჩანს სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში. ვფიქრობთ, გვრჩება იმის თქმის შესაძლებლობა, რომ ქრისტიანობამდელ ქართველთა რელიგია, წარმართობის სახელით მონათლული, ,,ადამიანისეული'', ,,ხალხური'', ,,უწიგნო'' მსოფლმხედველობა, მყარი და სისტემური ხედვაა, რომელსაც გააჩნია: ა) ზებუნებრივი სამყაროს რწმენა და ბ) თაყვანისცემის სისტემა.

შემოქმედის რწმენა და მსახურების აუცილებლობა წარმოადგენს ხალხური რელიგიური მსოფლხედვის ქვაკუთხედს (ვგულისხმობთ ქართველს და არა სხვა ვინმეს!). იგი განსაზღვრავს მათ თვითმყოფადობას არსებობის ნებისმიერ ,,უბანზე''. ეს მათი ზნეობა, მორალი და სამართალია. ეს მათთვის ზეცით მომდინარე რჯულია.

* * *

იმ დროს როდესაც ქალბატონი ვერა იწყებდა მოღვაწეობას და ყალიბდებოდა თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური სკოლა არსებობდა ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. ეს იყო ,,ცალკეული ქართველი ტომების თუ ეთნიკური ერთეულების კალენდრის უქონლობა" რაც ,, შეუძლებელს ხდიდა მთლიანად ქართული ხალხური კალენდრის გათვალისწინებას, მის მეცნიერულ ანალიზს და ამ ანალიზის საშუალებით იმ მთავარი პრინციპის მიკვლევას, რომელიც ნათელყოფდა კონკრეტულ გზებს, რომლითაც ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებანი და მათთან დაკავშირებული რელიგიური მსოფლმხედველობა"..! (1939 წ.)[1]

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით იქმნება 1939 წელს ,,სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი". წიგნი მოიცავს ახალი წლის ციკლის 10 დღეობას. ახალი წლის თავდღეობად აქ ,,ბარბალობაა" მიჩნეული.

რა გაკეთდა ბარდაველიძის შემდეგ ზემოთ წარმოდგენილი პრობლემების გადასაწყვეტად?! - დავესესხებით ბატონ ლევან ფრუიძეს: - ,,სახალხო კალენდარული დღესასწაულების ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვანი პროცესი ნაკლებ შესწავლილია... ჯერ-ჯერობით ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარიც კი არ გაგვაჩნია... ხალხურ დღეობათა კალენდრისთვის მასალების მიზნობრივად შეგროვების საპასუხისმგებლო, მეცნიერული და ეროვნული საქმე ვ. ბარდაველიძის ღვაწლს აღარ გაშორდა... მაინც ნაბიჯი წინ ვერ გადაიდგა, ორიოდე გამოკვლევა თუ წერილი ამინდს ვერ ქმნის, სწრაფად გარდამავალი საუნჯის გადასარჩენად მეცნიერთა მთელი ლაშქრობა იყო და არის საჭირო. ორიათასი წლისთვის, ალბათ, ქართველთა უძველეს რწმენა წარმოდგენებზე ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში აღარაფერი იქნება გადარჩენილი". (1968 წ.)...[2]

ამ ნააზრევის შემდეგაც ,,ქართველ ტომთა წლიური ციკლის დღეობათა სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებებით აღბეჭდილ დღეთა სისტემური აღწერილობი"-ს უქონლობის პრობლემას არაფერი დაკლებია, პირიქით, დრომ თავისი წაიღო და გაიტანა!... რაც შეეხება სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის არსებობის და კვლევის საკითხს ისიც, სამწუხაროდ, ვერა ბარდაველიძით მთავრდება თუ არ ჩავთვლით ცალკეულ კულტსა და დღეობებზე არსებულ სტატიებს, რომელნიც პერიოდულად იბეჭდება დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა, თითქმის არ არსებობს ისეთი სერიოზული ნარკვევი, ისტორიული თუ წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათის, რომელიც ქართველთა ძველ კულტურას კერძოდ, რელიგიის სფეროს ეხებოდეს და მისი საწყისი ფენის წარმომჩენად იქ სვანური მასალები და მათი ინტერპრეტაცია არ იყოს წარმოდგენილი მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ამ ნაშრომთა წაკითხვისას შინაგან წინააღმდეგობაში რჩები რადგან, ,,ეცნობიერად თუ ცნობიერად ის რაც მასალის გააზრებითაა წარმოდგენილი არ არის სრულყოფილი ანუ, - სიმართლე ბოლომდე ვერ თქმული! ვფიქრობთ, ეს უმეტესწილად, სწორედ, ამ მცირე ეთნიკოს"შივე არსებული რელიგიური ცნობიერების საერთო წარმოდგენის და გაუაზრებლობის გამოა შექმნილი. ჩანს, ფაქტის დაფიქსირება ერთია, მისი სწორად წაკითხვა და გაში-

---

[1] ვ. ბარდაველიძე. სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი. ახალი წლის ციკლი. I, 1939 წ. თბ. მეც. აკად. წინასიტყვაობა გვ. VII-VIII.

[2] ლ. ფრუიძე, სახალხო კალენდარული დღესასწაულების შესწავლისა და ტრანსფორმაციის პრობლემები, ,,ჟურ. საბჭოთა ხელოვნება, 1968 წ. №8. გვ. 25-29.

ფრა - მეორე. თუმცა, ამ საკვლევ ობიექტამდე ჩვენ სხვა გარემოებამაც მიგვიყვანა და შესაბამისად, ამ გარემოებამვე განსაზღვრა საწყისში კვლევის მიზანიც და ამოცანებიც.

სადიპლომო ნაშრომზე მუშაობამ, რომელიც სვანეთის რეგიონში ერთი გვარის გენიალოგიის საფუძველზე ოჯახის, მიგრაციის და დემოგრაფიის პრობლემების კვლევას ეხებოდა, საბოლოოდ გამოკვეთა ასეთი პოზიცია: მრავალშვილიანობა, ქართული ოჯახის ორგანული ტრადიცია, მომდინარეობდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალების უქონლობიდან. მრავალშვილიანობის ტრადიცია კი არსებობდა იმ საქართველოში, როცა ყოველგვარ მატერიალურ ფუფუნებაზე, იმაზე, რასაც დღევანდელი ცივილიზაცია იტევს საუბარიც კი ზედმეტია. ჩვენთვის მხოლოდ ამ კონტექსტში ტრადიციის არსებობის განსაზღვრა იმთავითვე გაუმართლებელი ჩანდა და მიზეზიც მრავალშვილიანობისა ჯერ კიდევ უცნობ პრობლემად გვრჩებოდა; - ,,ცივილური გონით'' შექმნილი კონტრაცეპტივის ქონა-არქონა ქართველთა ,,ყოფნა-არყოფნის'' საკითხს ვერ ხსნიდა!...

საკითხი დგებოდა იმგვარად, რომ ქართველ ერს, რომელსაც თავისი კულტურის თვითმყოფადობით მოპოვებული ჰქონდა მსოფლიოს სხვა უძველეს ცივილიზაციებთან და კულტურებთან ერთად არსებობის უფლება, არ გააჩნდა ჩასახვის საწინააღმდეგო ტრადიციული საშუალებები. თუ გააჩნდა, რატომ არ გახდა ის ისეთი მასიური, რომ ქალს მისი გამოყენებით თავისი ტკივილიანი ცხოვრება და არსებობა შეემსუბუქებინა?! ამ კითხვებზეც თავისთავად არსებობდა შემდეგი სახის ბანალური პასუხი: - არ გააჩნდა იმიტომ, რომ გონებაში არ გათვითცნობიერებულა მისი არსებობის აუცილებლობა ანუ, არ მოსურვებია მას საკუთარ სხეულში ჩასახული სიცოცხლის - შვილის - მოსპობა, მაგრამ კითხვა ,,რატომ''... ჩვენთვის კვლავ კითხვადვე რჩებოდა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობამ მიგვიყვანა იმ გარემოებამდე, რომ მშრალი დემოგრაფიული და მიგრაციული ფაქტების კვლავ წარმოჩენით შედეგს ვერ მივაღწევდით. საჭირო იყო სხვა მნიშვნელოვანი რამის გაგება; ჩვენ უნდა დაგვენახა ამ მშრალი ფაქტების მიღმა არსებული ადამიანის სულიერი სამყარო. იმ ადამიანისა, რომელიც ძველი ყოფის საქართველოთი ცხოვრობდა. ცხოვრობდა იმ მხარეში, სადაც ბუნება იყო მისი სულის და ხორცის მასაზრდოებელი და არა ,,სხვისი ცივილიზებული გონება'' - მხოლოდ საკუთარი ცხოვრებით და ტრადიციებით მცხოვრები ქართველის სულიერი ხედვა გვჭირდებოდა. ასეთ ორგანიზმად სიძველის საცავი მთის რეგიონი გვესახებოდა. მთის რეგიონიდან კი - ,,თავისუფალი სვანეთი'' - თავისი ყოფის და ნების მფლობელი. ამ სვანეთიდან კი თავისუფლების ,,მეკარიბჭე'' ლატალი, რომლის ღირებული ტრადიციებიც იძლეოდა მისი არჩევის უფლებას.

უკვე წინწამოწეული პრობლემის ძიების გზაზე გამოიკვეთა ის გარემოებაც, რომ საზოგადოებაში ,,პირდაპირი გზით'' - საკითხის იმდაგვარად დასმით, რაც ჩვენ გვაინტერესებდა (მრავალშვილიანობის მიზეზი, ძე-შვილის კულტი, ორცოლიანობის მიზეზი...) - სასურველ შედეგს ვერ მივაღწევდით. ბუნებრივია, ეს ის საკითხებია, რომელიც ჩვენგან მთხრობელის მიმართ განსაკუთრებულ ტაქტს, გულისხმიერებას და სიფრთხილეს მოითხოვდა. აღნიშნული ჩვენ რომც დაგვეძლია, მთხრობელებისაგან გვექნებოდა ბუნებრივი პრობლემები; ისინი ამ გზით არ ჩაგვახედებდნენ საკუთარ სულიერ სამყაროში და არ გადაგვიშლიდნენ მას ისე სრულად, როგორც ეს კვლევის საკითხს წაადგებოდა.

ბუნებრივად შექმნილი ეს ორმხრივი უხერხულობა სხვა გზის გამონახვით უნდა აგვეცდინა. ამის აუცილებლობაში დავრწმუნდით ერთ-ორ მთხრობელთან მუშაობის-

თანავე, როდესაც მათი გაუბედავი პასუხები არ იყო ღია და ნათელი - ბოლომდე სიმართლე თქმული. ერთადერთს რასაც ისინი პასუხად გვთავაზობდნენ შემდეგი იყო: - ,,გავაჩინე ის რაც ღმერთმა მომცა'' ან, ,,მეტი მინდოდა, მაგრამ ღმერთმა არ მაღირსა!''... ჩვენთვის, ერთი შეხედვით ასეთი მიამიტური პასუხი, მათთვის ცხოვრებისეულ სინამდვილედ და ღვთის კანონზომიერებად ისახებოდა. იგი ჩვენგანვე ითხოვდა გაშიფვრას, რადგან მას მთხრობელნი გვერდს უქცევდნენ და არც პასუხობდნენ!..

გვრჩებოდა მხოლოდ ერთადერთი გზა: - დაგვენახა ამ საზოგადოების სულიერი სამყარო ანუ, ის რაც სახიერი ტრადიციის მიღმა არსებობდა. დაგვენახა სწორედ ის კანონზომიერული მსოფლხედვა ადამიანისა, რომელიც თავისი ყოფნა-არყოფნის სასწაულს ღმერთს - უზენაესს უკავშირებდა.

სვანეთში სულიერი სამყაროს ყველაზე სრულყოფილ სახეს დღეობები წარმოადგენდა. დღეობები ქმნიდა მათი ცნობიერების კიდობანს. ჩვენც იგი, მათი მეშვეობით, ხელახლა უნდა ,,შეგვექმნა'' - აღგვედგინა, დაგვენახა, გაგვეაზრებინა და გაგვეგო არსიც და სახეც მისი ისე, რომ მათი განკითხვის უფლება, საკუთარი თავისთვის არცერთ შემთხვევაში არ მიგვეცა!

ასე გახდა საჭირო და აუცილებელიც, დღეობათა საწელიწადო კალენდრის სრული სახით წარმოდგენაც და გაანალიზებაც რამეთუ, მთიელის მკაცრმა და უთქმელმა ბუნებამ სხვა გზის არჩევის შესაძლებლობა არ მოგვცა!...

აღნიშნულის ნიადაგზე, ჩვენთვის, სასწორის ერთ მხარეზე მოთავსდა ადამიანი თავისი ყოფით, მეორე მხარეზე კი - თავისი რელიგიური ცნობიერებით - ტრადიციებით, დღეობათა წეს-რიგით და მათით გამოხატული მსოფლმხედველობით, რომლებმაც ერთმანეთი კი არ გადაწონეს, არამედ გააწონასწორეს და ცხოვრებისეულ მრავალ კანონზომიერებებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობაც მოგვეცეს. საწელიწადო კალენდრის ერთ საზოგადოებაში შედგენის აუცილებლობა გვარწმუნებდა იმაშიც, რომ მისი შემქმნელი ადამიანის სულიერი ხედვის მთლიანი და სიღრმისეული შეცნობა, ,,სხვათა'' გაგების საფუძველიც გახდებოდა. ეს განზოგადებული სახე კი დაგვანახებდა იმ სულიერ დვრიტას, რაზეც ღმერთი და ადამიანი ანუ, ადამიანი თავისი ცნობიერი ხედვით მოთავსდებოდა; ჩვენ გვჭირდებოდა სიღრმე და ქვაკუთხედი იმ პრობლემისა, რაზეც ზემოთ იყო საუბარი და მის დასანახად ,,ერთი ადამიანის'' (ერთი საზოგადოების ერთი სოფლის) მთლიანი სახის (ყოფის და სულიერი ხედვის!) წარმოჩენა და გათავისება იყო აუცილებელი!

ერთ საზოგადოებაში არსებული რელიგიური ტრადიციების ნათელსაყოფად ბუნებრივია, ძველიც იყო საჭირო. ძველის წარმომჩენი კომპლექსური მასალა კი - ვ. ბარდაველიძის მემკვიდრეობა გახლდათ. საოცრება ისიც იყო, რომ ჩვენი საუკუნეს მიტანებული მთხრობელების მონაყოლი (ვგულისხმობთ დღეობათა აღნიშვნის რიტუალურ წეს-რიგს) კოპირებული ხდებოდა ძველი დროის[1] ტრადიციების. ამ ტრადიციების აღრევას კი განაპირობებდა ,,ახალი დრო'' - უღმერთობის პერიოდი. ამ დროით

[1] ანუ იმ მთხრობელების ნაამბობის, რომლებთანაც უმუშავია ქალბატონ ვერას სვანეთში - სოფ. ლატალში - ყოფნისას. ეს ეთნოგრაფიული მასალა მოთავსებულია მის მიერ გამოცემულ ნაშრომებში (სვ. ხალხ. დღ. კალენდარი, 1939 წ, მასალები საქ-ოს ეთნოგრაფიისათვის (მსე), 1953 წ. ტ VI (ლიფანალი) და, საარქივო მასალით თავმოყრილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში. (ამ არქივიდან 1995 წ. აღნიშნულ ინსტიტუტში მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან მივლინებით ყოფნისას დამუშავებული იქნა ჩვენს მიერ, ,,ლატალის კუთვნილი'' ეთნოგრაფიული მასალა).

იწყებოდა ოჯახების გაყრა, დემოგრაფიული პრობლემები და შვილთა მკვლელობის საშუალებების გამოყენებაც. ჩვენ ამ პერიოდის ადამიანის სულიერი სამყარო არ გვჭირდებოდა.

არ გვჭირდებოდა თუნდაც იმის გამო, რომ იგი ცნობილი, უინტერესო, უღმერთო იყო იმ საკითხებთან მიმართებაში, რაც ჩვენს წინაშე პრობლემად ისახებოდა. გარდა ამისა, დღეობათა ტრადიციები - რელიგიური სამყარო - სვანეთში არსებული, ,,ახალი ადამიანის'' შექმნილი ხომ არ იყო; ჩვენ გვჭირდებოდა თავისუფალი ნების ადამიანი, თავისუფალი სულიერი ხედვით შექმნილ სამყაროსთან ერთად.

მაშ ასე, კონკრეტულად რა იდეური და ისტორიული შრე აირეკლა სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში ანუ, იმ კალენდარში რასაც ლატალური ტრადიცია გვთავაზობს;

1. წელიწადის პირველი დრო შემოდგომაა, შემოდგომის პირველი ნაწილი - ,,კაცხა მუჟღუერ'' - ძველი და ახალი წელიწადის საზღვარი, დროის დასასრულის და დასაწყისის გამაერთიანებელი.

2. წელიწადის პირველი დროის (შემოდგომის!), პირველი საკრალური დღე ბიხობია. ამიერიდან, ყოველი ,,ღგნ'' ბიხობით იწყება. ბიხობ რიცხვით მყარია, დღით მოძრავი. კვირის რომელ დღესაც მოხვდება ბიხობის დღე, იმ დღეს იწყება ,,ბარბლაშ'', ,,ქრისტეშ'' და ,,მახე ზაჟ''. დამტკიცებულია, რომ საქართველოში პირველადი სამიწათმოქმედო კერების ძირითადი არეალი მთის შუაზოლია. საქართველო პურეულის სამშობლოა, სადაც მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 19 სახეობიდან 14 სახეობა (მათ შორის 6 ენდემური), ხოლო ვარიაციებიდან 130-მდეა დამოწმებული.[1]

საქართველოში მარცვლეული კულტურების მოყვანა - დამუშავება იწყებოდა საშემოდგომო რბილი ხორბლით (მახა, ზანდური, დოლი პური და საშემოდგომო ქერი), მათი თესვის საუკეთესო დრო სწორედ შემოდგომის პერიოდი იყო. კერძოდ, აგვისტოს თვე. ამ თვიდან 23 აგვისტო ,,წარმართ'' ქართველთა ,,ახალი წლის'' დღე![2]

გამოდის რომ წარმართულ საქართველოში აგრალური დრო საფუძვლად დაედო დროის კალენდარულ სისტემას. მისი ათვლის წერტილია შემოდგომის დრო, აგვისტოს თვე, ქალწულის ზოდიაქოს წრე და 23 აგვისტოს დღე. სწორედ ეს იყო წინარექრისტიან ქართველთა უძველესი, წმინდა ქართული ახალი წლის დღე. საკრალურ დროთა ათვლაც ამ დღიდან იწყება.

სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრით სწორედ ამ უძველესი ,,ახალი წლის'' თანმხვედრი დღეობაა ,,ბიხობ''. ტრადიციულად იგი ოთხ დღეს აღინიშნებოდა. თუ 27 აგვისტოს ბიხობის ბოლო დღედ ჩავთვლით, მის საზეიმო დღეთა ციკლი 23 აგვისტოთი განისაზღვრება. 23 აგვისტო წინარექრისტიან ქართველთა ახალი წელია!..

ჩვენთვის უცნობია ბიხობის ფუძის (,,ბიხ''-ის) მნიშვნელობა. ,,ობ'' - კრებითობის აღმნიშვნელი ბოლოსართია. ამითაც ცხადია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ,,ბიხობ'' რაიმეს კრებით თვისებრიობას გადმოგვცემს და მის ნიადაგზე ქმნის დღეობათა რიგსაც ამ შემთხვევაში საზეიმო ოთხ დღეს.

---

[1] ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, მემინდვრეობა რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფ. მასალების მიხედვით, 1969 წ. გვ. 3.

[2] პ. ინგოროყვა. ძვ. ქართ. წარმართ. კალენდარი, მე-5, მე-8 სს-ის ძეგლებში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI - 1931 წ. და ტ. VII - 1933 წ. გვ.. ასევე ნ. ბრეგაძე, ძველი ქართული წარმართული და ხალხური აგრალური კალენდრების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, კრებ, ძიებანი საქ-სა და კავკ-ის ისტორიიდან, თბ, 1976 წ. გვ. 400.

საკრალური რიცხვი ოთხი დედის რიცხვია. ის თანმხვედრია ორის და არასოდეს არ ცვლის საკრალურ რიცხვებს ერთს და სამს. ესენი მამრული ბუნების (ხოშა ღერბეთის, ჯგგრაგის) კუთვნილია - ასეა ეს სვანთა რიტუალური წესრიგით. სვანთა რიტუალური წესრიგითვე ოთხი მზის და დედამიწის ღვთაების რიცხვია. ოთხ ნაჩვრეტიანი (მიწის!) და ოთხლემზირიანი (მზის!) ლემზირი მათი მისაძღვნელი სალოცავი პურებია. ლიმზირის შემდეგ ამ ლემზირთა მირთმევა მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. ,,ლამარიჴ შილგგნეა'' ამ ლემზირთა სახელი. (ცნობისათვის: შუმერებში ჰაერიც, წყალიც, მიწაც და მზეც მდედრობით არსს განასახიერებდა. სიცოცხლის ამ ოთხი დედის გამოსახულებიანი თიხის ფირფიტა ქმნიდა კაცობრიობის პირველ კალენდარს (ძვ. წ. აღ. 5000 წ.). ეს სახე ზუსტი ასლია ასომთავრული ქი-ს).[1]

ბიხობის პარალელური ტერმინია ,,ლირსკგნჴლ''. მას ბალს ქვემო სვანეთში ხმარობენ. არც ბიხობ და არც ლირსკგნჴლ არ გამოგვადგება - ამ დღეთა მეუფის - სახელწოდებად, რადგან, ეს ორივე, საკრალური თვისების აღმნიშვნელი ტერმინია. ამიტომ, საძებარია ის ღვთაება, რომელსაც აღნიშნული საკრალური თვისება მიეწერებოდა;

ჩვენს მიერ ველზე აღებული მასალებით გამოვლინდა ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: პური ბიხო (ბიხვა) აღევლინებოდა მამისეულ სახლში პირველად ახალმოლოგინებული ასულის ჯანმრთელობისა და გადარჩენისათვის ,,დაბდაბა ღერბეთს'' (ღმერთი დამბადებელი!). მას აცხობდა დედა და იყო კანაფის გულიანი დიდი ზომის მრგვალი სამლემზირიანი ხაჭაპური. აღევლინებოდა სახლის წინგარდში (ჱჴგამისგა''). აღვლენის შემდეგ მას მთელს წაიღებდნენ ასულის ქმრისეულ სახლში და პირველ მოზრდილ ნაჭერს შვილს გადასცემდნენ მშობლები. დანარჩენს ოჯახის წევრებს დაუნაწილებდნენ და მოილხენდნენ ყველანი ერთად. ეს იყო ტრადიცია მთელი ,,თავისუფალი სვანეთის''.

სხვა დროს, არც დღეობების წეს-ჩვეულებაში და არც თეონომიაში არ მეორდება, აღნიშნული ტრადიცია; არც პური ბიხვა და არც დაბდაბა ღერბეთი. მაგრამ თვით დაბდაბა ღერბეთი, როგორც ,,მართლად'' არსებული და სალოცავი, ღვთაებათა სიაშია შესული - იგი ბოლო ადგილზეა (!) ეს კი განპირობებული უნდა იყოს სწორედ მისი ქალური ბუნებით - ღვთაებათა რიგი ხომ ხოშა ღერბეთით იწყება. აღნიშნულს ხახს უსვამს შემდეგი გარემოებაც: ,,დაბდაბა ღერბეთის'' პარალელური სახელია ,,დაბდაბა ლამარია ''და არა სხვა წოდების მქონე რომელიმე ქალ-ღმერთი.

ფაქტია ის გარემოებაც, რომ სვანურ ღვთაებათა პანთეონში ღერბეთ როგორც მსაზღვრელი და როგორც სახელი მხოლოდ და მხოლოდ ორ შემთხვევაში გვხვდება 1) ხოშა ღერბეთ და 2) დაბდაბა ღერბეთ! ეს არც შემთხვევითი ფაქტია და არც უმნიშვნელო. ის გარდა თავიანთი უძველესობისა ქრისტიანული ლექსემა ,,ღმერთის'' წილნაყარობაზეც მიგვითითებს!..

ამ უმნიშვნელოვანეს გარემოებას რომ თავი დავანებოთ სახეზე დაგვრჩება ,,ბიხობის'' და პურ ,,ბიხოს'' უტყუარი იდენტურობა - ეს ფონემური ერთობით. შინაარსობრივად კი ,,ბიხობ'' თვისების მქონე ღვთაებაა დაბდაბა ღერბეთ. მის სადიდებლად და საევდრებლად გამოცხობილ წმინდა ლემზირს ,,ბიხო'' ეწოდება. გარდა ამისა, რადგან ბიხობ არის როგორც რელიგიური ისე, აგრალური დროის თავდღეობა, დაბდა-

[1] იხ. ზ. ქაფიანიძე. ძვ. აღმ.-ის სამყაროსეულ ცივილიზაციათა სათავე, სალიტერატურო გაზეთი, მარტი, 1997 წ. №5. (24) გვ. 14.

ბა ღერბეთიც ყოფილა ამ თვისებრიობის ,,მქონე'' ქალღმერთი მით უფრო თუკი მას საამისოდ სხვა სვანური სახელწოდებაც გააჩნია - ,,დაბდაბა ლამარია''.

გამოდის, რომ უძველეს ქართველთა (სვანთა!) მსოფლხედვით ქვეყნიერების დროში შემოქმედი არის დაბდაბა ღერბეთ. ხოლო, ,,დაბადება'' კალენდარული დროის ფუძე აზრი და სათავე. დაბადება ქმნის როგორც საკრალურ სივრცეს ისე, ქვეყნიერებაზე სიცოცხლის მუდმივი არსებობისა და დროში განმეორებითობის სასწაულს. წელიწადის არსიც ხომ ეს არის - ყოვლიერების დასაწყისის და დასასრულის ერთიანობა, მოძრაობა, სივრცესა და დროში.

ამიტომ, ჩვენის გაგებით, ხალხურ დღეობათა კალენდარი ყოვლიერების დროსა და სივრცეში ციკლური არსებობის სასწაულის განსახიერებას იწყებს სწორედ თავდღეობა ,,ბიხობით'' და მის მფარველ ,,დაბდაბა ღერბეთით''. ვფიქრობთ, ამ არსებითი იდეის გამოსახატად დედამიწის აღმნიშვნელი შუმერული ფირფიტა ნამდვილად ზედმიწევნითი იქნებოდა (!), ასომთავრული ,,ქი'' ასონიშანი კი უზუსტესი გრაფიკული სახე თავისი კლასიკური ფორმით ანუ ,,ქი'' ქალის თმებით.''[1]

საოცარი დროა შემოდგომა სვ. ,,მუჟღუერ'' - ,,მზის წასვლის'' დრო. იგი იძლევა პურს არსობისას და ამადაც დაურქმევია მისთვის ხალხს ,,მგკახი''-ს თვე. (,,მგკხუ თეუ''). ამ დროში იმკება წინა შემოდგომის ნათესი და იხვნება მომავალი შემოდგომის თესლი. ამ დროში ეყრება საფუძველი ახალს, სამომავლოს და იმკება ბუნების საოცარი ძალით მიღებული მცენარეული საკვები - მიწის წიაღის ნობათი, ლამარიას ნობათი! ხვნისას ,,მგჟრი მუშედ ლუმარიუ'' ადამიანის მშველელი. მისთვის ჩაუბარებია მიწის წიაღში ჩაყრილი თესლის გამრავლება, დაყვავილება, ჯეჯილად და მარცვლად ქცევა ადამიანს. მკისა და ლეწვისას კვლავ ლუმარიუ მათი შემწე და მწყალობელი - ,,ხოჩა ლიმჰიერ ნუყრ დიდაუბი ლეკ̆ედ''.

მთელი ,,კაცხუ მუჟღუერის'' პერიოდი ლამარიასადმი ლოცვა-ვედრების პერიოდია; ,,მგჟრი მაშედ ლამარია'', ,,კალუ ლუმარია'', ,,ლიმგრიე ლუმარია'' ,,ლამარია ლიფთგულეშ'' და ბოლოს ,,მგკხა ლუმარია'' აი, ისინი ვისაც აღევლინებოდა აღნიშნულ პერიოდში ლოცვა-ვედრება. ეს მთლიანად ერთი ლამარიაა და მოიხსენიება ეპითეტებითა და კუთვნილების გამომხატველი სიტყვებით ანუ, ხაზი ესმევა იმას, თუ რა თვისება არის ამ შემთხვევაში ლამარიას კუთვნილი. ესენია: ,,კალ'' (კალო), ,,მგკუხ'' (ნატვრის ასრულების საოცარი უნარი), ,,ლითუულ'' (შობა), ,,ლიჟრი'' (შეცოდება, შეწყალება), ,,ლიშედ'' (შველა) და ბოლოს ქრისტიანულ მარიამთან ასოცირებული ,,ლიმგრიე ლამურიას თვისებრიობა.

ყოველივე აქ აღნიშნული, მიწის წიაღს და ბუნებას უკავშირდება. მის წიაღში ხდება თესვა, ნათესის ჯერ ჯეჯილად და შემდეგ ნაყოფად შობა და ბოლოს, მწიფობა - მკა და ლეწვა, მოსავლის სიმრავლით გახარება. ეს სიხარული მიწის დედის ნობათია, მისით არის გაჩენილი პურეულის (,,პური არსობის''!) ხვავი და ბარაქა. მიწის დედაა ამ ყოველივეს მგმარეც და მშობიც. ჩანს,, ამადაც დარქმევია მიწის ძალას ლუმარია და ,,კაცხუ მუჟღუერის'' (ადრე შემოდგომის) საკრალურ დღეთა მეუფეც ამიტომაა ლამარია.

---

[1] მსგავსი სიმბოლო გამოხატული თიხის ქოთანზე აღმოჩენილია მცხეთაში, განეკუთვნება ძვ. წ. 3000 წელს. იხ. ზ. ქაფიანიძე, კაცობრიობის პირველი დამწერლობა, შუმერების ანბანი - ქართული ასომთავრული. (ძვ. აღმოსავლეთის სამყაროსეულ ცივილიზაციათა სათავე), სალიტერატურო გაზეთი, 1997 წ. მარტი, №5 (24) გვ. 14.

ლამარიას ბუნება სახიერი ქალის ბუნებაა. მათ „მშობლის“ უმნიშვნელოვანესი თვისება აერთიანებთ. ჩანს, ამიტომ ჰქვია შემოდგომის პირველ საკრალურ დღესაც „ბიხობ“ და ახლადმომშობიარებული დედის კუთვნილ პურსაც „ბიხო“. დედის და მიწის ბუნების საოცრება - დაბადების საოცრება - ერთ ფაქტად აღიქმება. ეს არის ახალი სიცოცხლის საწყისი ადამიანშიც და ბუნებაშიც. ჩანს, ამის გამოცაა პირველი საკრალური დღის სახელწოდება ბიხობ. ამადაცაა მისი იდეური მხარე რელიგიური აზროვნების ერთ-ერთი უძველესი შრე!..

ქართველთა მსოფლხედვა დაბადების სასწაულის აღქმით იწყება!..

3. წმინდა ხალხურ დღეობათა ათვლა დღეთა რაოდენობაზეა დამოკიდებული ანუ მისი აღნიშვნისათვის მნიშვნელოვანია შვიდეულის დღეთა რაოდენობა (რიგი) და არა თვეთა მყარი რიცხვი. ჩანს, ათვლის ასეთ პრინციპს მთვარის კალენდარი უფრო უდევს საფუძვლად, ვიდრე მზის კალენდარული სისტემა. ამასთან ერთად, შვიდეულის დღეები განსაზღვრავს მთავარ ღვთაებათა ხსენების და მათდამი მიძღვნილი დღეობების დროსაც: კვირა („მიჟლადაღ“) - ხოშა ღერბეთისაა, ორშაბათი - თშრინგზელის, სამშაბათი - მშცხვარის, ოთხშაბათი - ჟანის (ნათგლმცემელის), ხუთშაბათი - ლშმშრიასი, პარასკევი - კაჟშა თშრინგზელის, შაბათი - ჯგგრშგის. მათგან სამი, ხოშა ღერბეთ, (მზის დღის მეუფე) მგქემ თშრინგზელ (მთვარის დღის მეუფე) და ჯგგრშგი (საბატინის), ღვთაებათა ჟერარქიის მთავარი წევრებია (- „ღვთაებათა ხალხური ტრიადა“!)

4. ხალხური, ჩვენს წინ არსებული კალენდარი წარმოგვიდგენს დღეობათა სამ ტიპს:

ა) წმინდა წინარექრისტიანულს - სადაც, იდეაც და რიტუალიც წინარექრისტიანულია (ხალხური! „წარმართული!“).

ბ) „გარდამავალი დროის“, სადაც დღეობის სახელწოდება ეკლესიურია, მაგრამ მისი აღნიშვნის ტრადიცია ხალხური. და

გ) „წმინდა ქრისტიანული“ დღეობის, მაგრამ მისი აღნიშვნა არც ხალხურად არ ხდება და არც ეკლესიურად (გამოვრიცხავთ ზემო სვანეთში ერთადერთ მოქმედ მესტიის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მსახურებას).

5. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ოდითგანვე სიმბიოზურად ვითარდებოდა მიწათმოქმედებაც და მესაქონლეობაც ხელოსნობასთან ერთად. ბუნებრივია ეს გარემოება უნდა არეკლილიყო დღეობათა კალენდარშიც. აქ, მესაქონლეთა კულტი გამოხატულია დღეობა „ბარბალობით“ და თვით „ბარბალეს“ კულტის არსებობით.[1] რა ეკედრებოდა მას? - საქონელი, მოშინაურებული მსხვილფეხა საქონელი. დაცვა მისი და სიმრავლე მისი. ასევე, დაცვა ამ საქონლის მომვლელი ადამიანისა ყოველგვარი ავადმყოფობისაგან. ეს მოვალეობა, როგორც ყველა „წმინდანის შემთხვევაში ბარბალესადმი ლიმზირის ფორმულირებითაცაა დაკონკრეტებული.[2]

ჩვენის აზრით, არც „ბარბარობა“ და არც „ბარბარე“ არ იტევს არც ერთ იმ მცირე ნიუანსსაც კი, რაც საფუძველს შეუქმნიდა მის მზის ღვთაებად წარმოდგენას.

---

[1] იხ. სვ. ხალხურ დღეობათა კალენდარი, დღ. ბარბალაშ, 1939 წ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბალ, ქალ ბაბარი, 1941 წ.

[2] ლოცვის სვანური ტექსტები იხილეთ ვბ. ბარდაველიძის წიგნში, სვ. ხალხ. დღ. კალენდარი, 1939 წ. დღეობა ბარბალაშ. გვ. 1,2,3,4,5,7,9,11,12,14,20. მათში ყველგან ერთი რამის ხაზგასმაა - დაიცვას საქონელი და მისი მომვლელი ადამიანი საფრთხისა და ავადმყოფობისაგან. ამრავლოს საქონელი და მისგან მიღებული ადამიანის საკვები - რძე და რძის პროდუქტები.

ის ხალხისთვის მხოლოდ საქონლის (მსხვილფეხასი!) გამამრავლებელია. სვანეთში ბარ-ბარეს არსობას არ გააჩნია არანაირი ის იდეურად წარმოსადგენი საკრალური საწყი-სი, რომელიც ყოვლიერების ,,შემოქმედი დედის'' (მზის ღვთაების!) სახეს შექმნიდა. მისადმი მიმართული ეპითეტები წმინდა ადამიანური მომენტია, რომლის დროსაც მლოცველი არანაირ ,,ზეციურ'' თეონომიას არ იშურებს (მადლის მისაღებად) და, ასეთი მიმართვები სხვისადმიც არ არის გამორიცხული პირიქით, - აუცილებელიც კია!

ჩვენის აზრით, ბარბარეს დღეობის თავდღეობად დასახვის უმნიშვნელოვანეს მიზეზს მეურნეობაში მემინდვრეობის გვერდით მესაქონლეობის არსებობა განაპირო-ბებდა. მათი ძალა (ხარი!) და მადლი (რძე და რძის პროდუქტები, სიმრავლე საქონლი-სა) ისევე სჭირდებოდა მიწიერს, როგორც ,,პური არსობისა'', მაგრამ ბუნებაში შე-მოქმედის საოცრება მიწის წიაღიდან საკვების აღმოცენებით უფრო აღიქმებოდა ვი-დრე, საქონლის სიმრავლით და მისგან რძის მიღებით; ამიტომაც არის კალენდარულ რიგში ბარბარობის წინარე თავდღეობა ბიხობი და ამიტომაც არის ,,ბარბარე'' მიწის ნობათის გარეშე არსებული. მზის ღვთაება კი ქართველთათვის დედაა - დამბადებე-ლი ყოვლიერების. ,,ბარბარეს'' მიწიდან ნაყოფის მოვლინება არ ,,ხელეწიფება'', მისი არც სალემზირე გუიზია. ბარბარეს წვრილფეხა საქონელიც კი არ აბარია: ცხვრისა და წვრილფეხა საქონლის მფარველია სარეკელ, ქათმების და ფრინველების — აფსაᲔლდ[1] ბარბარე არც კერის მეუფეა და არც მახე ზაᲣ-ს მეკვლეობის გამრიგე. ,,ბარბლაᲔშს'' გარე მეკვლის შემოსვლა მხოლოდ საქონლის სიმრავლისთვის იყო გან-კუთვნილი. ამ მოვალეობას ,,მახე ზაᲣ''-ის დღეობისას ,,ღვეშგმე მგჯშხი'' ასრულებდა. იგი სახლის შინაში პირველი მეკვლის შემდეგ შემოდიოდა.[2]

ჩვენთვის განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება რომ ბარბლაᲔს სალო-ცავ ლემზირებს აცხობდნენ არა იმ კა-კერიაზე, რომელიც ოჯახისთვის უპირველესი იყო, არამედ ,,ლანნუნᲔლზე'' ახლად გამართულ კა-კერაზე, რომელიც მხოლოდ ამ დღის მსახურებისათვის იწყობოდა.[3] ეს კი მთავარი დასტურია იმისა რომ ბარბარეს არაფერი აქვს საერთო მზის კულტთან, მზის კულტი ხომ პირველ რიგში კერის კუ-ლტში ასოცირდება. კერა მზის ჩაუქრობელი მადლია ოჯახში.

6. ხალხურ დღეობათა კალენდარში ბარბარობის შემდეგი თავდღეობაა ,,ქრი-სტეს შობის'' ,,ზე''-დღე. ხალხურ კალენდარშივე ქრისტეშობის დღეს წინ უძღვის ,,შობ''-ის დღე ზუსტად ისე, როგორც ,,მარიამობას'' (ღვთისმშობლის მიძინების დღე - აგვისტოს თვის მარიამობა) ,,ბიხობ''-ის დღე - თითქოს ეს ორივე (,,ბიხობიც'' და ,,შობაც'') წინარე ქრისტიანული კალენდრის შრე იყონ.

ჩანს ისიც, რომ ,,ბიხობის'' საკრალური იდეა (,,ყოვლიერების ახლად შექმნა - დაბადება დროში'') ,,შობ''-ის დღით უფრო კონკრეტდება. ეს თუნდაც ამ საკრალუ-რი დღის სახელწოდებიდანაც ჩანს (,,შობ''), მას რიტუალური მხარე რომც არ გაა-ჩნდეს. რიტუალით კი, - იგი (,,შობ'') კვლავ მდედრობით არსს და ქალის მსახურებას უკავშირდება. ამ ორი უმნიშვნელოვანესი დღეობით (,,ბიხობ'', ,,შობ'') იკვეთება აზ-როვნების ის უმარტივესი (,,მიამიტური''!) შრე, როდესაც სიცოცხლის ახლად გაჩენა-ში მამრობითი არსი არ გაიაზრებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას რიტუალური წეს-რიგი უმნიშვნელოდ მაინც გაითავისებდა.

---

[1] მთხრ. გ. ფირცხელანი. მ. ფირცხელანი. 2000 წ.

[2] იხ. ,,მახე ზაᲣს'' რიტუალი, თავი I.

[3] იხ. ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღ. კალენდარი ახ. წ. ციკლი, 1939 წ.დღ. ბარბალაშ.

ამ აზრს ამაგრებს მთლიანად ის წეს-ჩვეულებანი, რომლებიც მხოლოდ ქალების მიერ სრულდება იქნება იგი ცალკე დღეობების სახით თუ სხვა დღეობების წეს-ჩვეულებებთან ერთად.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილებაც, რომ რიტუალის საწყისი უმნიშვნელო ნიუანსიც კი მდედრობით არსს უკავშირდება, მასზე აღმოცენდება როგორც იდეის, ისე რიტუალის სხვა დანარჩენი „კომპონენტები" ანუ ძალზე მარტივად რომ ვთქვათ, საწყისი რიტუალური წერ-რიგი და მისი შინაარსობრივი მხარე ქმნის დღეობათა „მატრიარქალურ შრეს". ამისთვის საკმარისია თუნდაც ის გარემოება, რომ ლემზირის შემქმნელი, ქალი - დიასახლისია. სალემზირე გუ̃ზის შემქმნელი კი - „დედა მიწა" - საკრალური ლამარია (ლიმ̃რე - შექმნა, გაჩენა, გამზადება, დაბადება, აი ლამარიას ფუძე აზრი. ამ ფუძე იდეაში ლამარია და ღერბეთ უმეტესწილად ერთმანეთის იდენტურნი არიან. საწყისი არსით ლამარია უხილავი შემოქმედის საკრალური თვისებაა! ხოლო ყოფიერად იგი ვლინდება ადამიანის (ქალის!) ყოველივე საკრალურისადმი მსახურებით (ლიმ̃რეთი!) იქნება იგი ცად, თუ მიწად მსუფევი სასწაული!..)

7. დღეობათა წეს-რიგი და იდეური მხარე უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ შემდეგიც: დღეობათა საწყისი ანუ „მატრიარქალური შრე" იმყნობს და ითავისებს „პატრიარქალურ შრეს" ანუ, დღეობათა წეს-რიგში და მანამდე არსებულ მსოფლხედვაში თავისი არსის და ძალის შესაბამის ადგილს ქალის გვერდით მამაკაციც იკავებს.[1] მთლიანობაში კი ეს „იდეური რეფორმა" კალენდარშიც არის ასახული. ვგულისხმობთ „ეშხუამ" - „მ̃ახე ზ̃ა̃"-ის რიტუალს.

სვანეთი ქართველი ტომების უძველესი ადათ-წესების საუნჯეა. რწმენა-წარმოდგენანი, დღეობებში ჩაკირული, ამ საუნჯის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გასაღები.

„ეშხუ̃ამ" - „მ̃ახე ზ̃ა̃ "„დაბადების" და შესაბამისად „სამყაროსეული შესაქმის" რიტუალურად წარმომჩენი იდეის „კლასიკური" საფეხურია, ის აბოლოებს, ამბობს ბოლომდე მას, რაც წინარე („ბიხობ", „შობ") დღეობებში ქვეცნობიერად თუ ცნობიერად გაცხადებულა. საოცარია ტრადიციისადმი კონკრეტულად დღეობების წეს-რიგისადმი ხალხის დამოკიდებულება; ხომ შეიძლება სრულიად გამქრალიყო „ბიხობ"-აც და „შობ"-აც რადგან უკვე ეშხუ̃ამ - მახე ზ̃ა̃-ის რიტუალი არსებობს და საერთოდ ყველა ის რიტუარული წეს-რიგი გამქრალიყო, რაც ქრისტიანობამდელ დროიდანაა ჩვენამდე მოღწეული - ქრისტიანობა ხომ ყოველივე მანამდელის ერთად

---

[1] აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს მკვლევარი ი. კიკვიძე წიგნში მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძვ. საქართველოში. ეს ნაშრომი არქეოლოგიური ნაშრომია და წარმოადგენს მიწათმოქმედებისა და აგრალური (ნაყოფიერების) კულტის განვითარების ისტორიას საქ-ში ნეოლითიდან ვიდრე ფეოდალურ ხანამდე. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს რომ „ჩვენში ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებამდე სოციალური ისტორიის წარმოჩენის უმთავრესი წყარო რელიგიური რწმენებია". გვ. 4. ავტორის თქმითვე, „-ეშვიათია ადრე სამიწათმოქმედო ძეგლი (ახალი ქვის ხანა), რომელზედაც ქალის მცირე ტერაკოტული ფიგურა არ იყოს დამოწმებული. იგი ერთხმად გააზრებულია ნაყოფიერების ღვთაებად - „დიდ დედად", როგორც ნაყოფიერების მფარველი, მაგრამ მისი კულტი გაცილებით ადრე უნდა ჩასახულიყო, ჯერ კიდევ მიმთვისებელი მეურნეობის დროს, როდესაც სოციალური ურთიერთობანი განუვითარებელია და ნაყოფიერება, შვილოსნობა მხოლოდ ქალის თვისება ჩანს. შემდგომ როდესაც ქორწინება მეტ-ნაკლებად წესრიგდება, ადამიანმა არ შეიძლება ვერ შენიშნოს გამანაყოფიერებლის როლი და ისიც ღვთაების რანგში არ აიყვანოს" გვ. 159-160. (იხ. დასახელებული ნაშრომი, თბ, 1976 წ.)

და სრულყოფილად თქმაა. ჩანს ეს შინაგანი ხედვის და ადამიანური გრძნობის ბრალია. ყოველივე დროით გამოწრთობილი მათთვის უზენაესისაგან მომდინარე ჭეშმარიტებაა და აგურ-აგურ აშენებული რწმენის ტაძარი ბოლოს მათთვის ქრისტიანობით დაგვირგვინდა. ამ ყოველივეს კი აზრის, იდეის, გენის და რიტუალური წეს-რიგის უწყვეტობა ჰქვია; აქ წინარექრისტიანულზე ქრისტიანული (თუნდაც ეს მხოლოდ საეკლესიო დღეობათა სახელწოდებებს რომ ეხებოდეს მარტო) უპრობლემოდ, მშვიდად და ადამიანურად - ხალხურად არის შეზრდილი და გათავისებული. ეს საოცრებაა და მას ხალხური ,,სააზროვნო კიდობანი'' (დღეობათა ტრადიციები!) ინახავს - ინახავს დღემდე!

8. რიგით მეოთხე თავდღეობა სვანურ ხალხურ კალენდარში არსებული, არის ,,მ̈ახე ზ̈ᲐᲒ''. ჩვენი გაგებით ახალი წლის დღეობათა როგორც რიტუალური ისე შინაარსობრივი მხარე ვ. ბარდაველიძისაგან განსხვავებით სულ სხვა სურათს გვთავაზობს კერძოდ;

ა) ახალი წლის ციკლი - პირველი სამი დღე ახალი წელიწადისა, წარმოადგენს სამყაროს შემოქმედთათვის გამართულ დღეობას. აქედან ᲐᲔᲨᲮᲣᲛ ,,ერთი''-სთვის განკუთვნილი დღეობაა. სწორედ ᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ ᲔᲨᲮᲣ არის საკრალური ღირებულების ის ცნება, რომელიც ქმნის ᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ დღეობის საწყის იდეას (შინაგან არსს) ხოლო, მისი არსებობის რწმენა მსახურების წეს-რიგს.

ᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ ,,ერთი'' იდეურად წარმოდგენილი ბუნებრიობაა. მას სახიერება არ გააჩნია. ვგულისხმობთ სახეს მცენარისას, ცხოველისას და ადამიანისას. გააჩნია მხოლოდ არსი სქესით დაკონკრეტებული - ,,იგი ყველაფრის დამბადებელია'' ამიტომ კონკრეტდება ᲐᲔᲨᲮᲣᲐᲛ ᲓᲐᲚ ᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲗ!

ბ) ᲐᲔᲨᲮᲣᲐᲛᲘᲡ მეორე დღე და შესაბამისად ახალი წლის პირველი დღე - მ̈ახე ზ̈ᲐᲒ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ახალ წელს. საკრალური დატვირთვით ,,ზა'' უნდა იყოს ყოველივე ის, რაც დროში არსებობს, ახლად არის გაჩენილი. ეს კი ზ̈ᲐᲒ ყერი მᲒᲪ̈დი ღერბეთის || ხოშა ღერბეთის შესაძლებლობაა. ,,ხოშა ღ̄ერბეთ'' - მ̈ახე ზ̈ᲐᲒის მეუფე - ამავე დროს არის სამყაროს მეორე (ერთ-ერთი პირველი!) შემომქმედი, რომელსაც შეუძლია დროში ყოველივეს ახლად შექმნა. არც მისი სახე კონკრეტდება მცენარეულით, ცხოველურით და ადამიანით. მისი არსი ,,დროში ყოვლიერების ახლად შექმნის ძალაა''. სწორედ ამ ორ იდეურ არსთათვის შექმნილი დღეობით აღინიშნება ახალი წლის (,,ახალი დროის'') შემობრძანება ადამიანის სამკვიდრებელში. ეს ორი საწყისი დღე შემოქმედთა (,,ორი''!) დღეობაა და ქმნის ,,შესაქმის'' ,,დაბადების'' იდეას.

გ) ,,კვიმტ̈არ'' იმ რწმენის მსახურებაა, რომლითაც ადამიანი გამოხატავს თავიანთი ყოფისთვის ყველაფრის ,,კარგად'' მოვლინების სურვილს რადგან მათ იციან, რომ ყველაფერში კარგის გვერდით ცუდიც ჩნდება - მიწიერის სურვილი კი მხოლოდ კარგის (მადლის!) მოვლინებაა. (ამ დღის მფარველს კვინტობა ლ̈ᲐᲛ̈ᲠᲘᲐს ეძახიან).

დ) ახალი წლის საკრალურ დღეთა შემქმნელთ კარგად ესმით დროის და სივრცის ღირებულებაც. ამ ყველაფრის ,,კარგად'' გათავისების და გააზრების გამოც ლაგდება საკრალური დღეები იმ თანმიმდევრობით რომელსაც, პირველ რიგში, ახალი წლის პირველი სამი საკრალური დღე ქმნის შემდეგ, ლიფ̈Ნ̈ᲚᲚი, ღᲒᲜᲘ̈ᲠᲣს დღეობანი და საერთოდ, მთელი საწელიწადო კალენდარი. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,ᲐᲔᲨᲮᲣᲐᲛ'' თავდღეობად არ იქნებოდა მიჩნეული.

რადგან უკვე იდეა გაცნობიერებულია და გაცნობიერებულია უპირველესად ისე, რომ ,,ყოვლიერების'' არსებობა არც ადამიანზე, არც ცხოველზე და არც მცენარეზე, არამედ ამ ყოვლიერებისაგან განსხვავებით უზოგადეს, უდიდეს ძალის მქონეზეა დამოკიდებული (და ეს ჯერ კიდევ ძალიან ადრე ბიხობის დღეობით დაფიქსირდა), იქმნება მისი მსახურების აუცილებლობაც, რადგან მან, ყოვლის შემძლემ, ყოველივე კარგი მოუვლინოს მათ - მსახურებისთვის განწყობილთ.

ძლიერი რწმენა - მსახურების საწინდარია. მსახურების წეს-რიგი ადამიანის შესაძლებლობაა, მისი გონის შემოქმედებაა და არა შემოქმედის დაწერილი, ნაკარნახევი და ნაბრძანები. მსახურებამდე რწმენით მისული ადამიანი მისთვის ყოველივე საუკეთესოს ,,წმინდას'' მიიჩნევს, რადგან მისგან მიღებული მადლიც წმინდა და საუკეთესოა. ასე იქმნება რიტუალები, მასში ერთვება ყოველივე - მცენარეულიც, ცხოველურიც და ადამიანის ხელით შექმნილიც. ერთვება დროც და სივრცეც, ერთვება რიცხვიც, სიმბოლოც, მზეც და მთვარეც, მიწაც და კერაც, სარკმელიც და სიწმინდეც. ერთვება მსახურება - კერძოც და სახალხოც, საიდუმლოც და საერთოც, ამ ყოველივეს ხომ ადამიანის სულიერი ხედვა ქმნის და მართავს!..

ამ გარემოების გამოცაა რიტუალური წეს-რიგიც და რიტუალური ენაც ცოცხალი, გასულიერებული, გააზრებული და საუკუნეებისთვის გათავისებული. ამ ხედვის გამოცაა ყოვლიერების ახლად შეცვლის მეუფედ ,,ერთი'' წარმოდგენილი, ,,ერთი'' - ,,ღმერთის'' წინარე ლექსემად მისაჩნევი.

ეშხუშ-მუხე ზუეის რიტუალი ყოვლიერების ,,ერთი''-დან წარმომავლობის იდეას ემსახურება. ,,ერთი'' ყოვლიერების შემოქმედის საკრალური სახელია. იგი სქესს არ ავლენს. იტევს მხოლოდ ,,პირველს'' ,,დამწყებს'', ,,ძალას ერთისას'' - სრულყოფილებას.

ე) ,,ერთ''-ის იდეური არსი თავის გრაფიკულ სახესაც გვთავაზობს. ეს არის წრე - სრულყოფილების ნიშანი. ნიშანი დასაწყისის და დასასრულისა, რომელიც აერთიანებს დროს, სივრცეს და სიღრმეს, სამყაროს მთლიანობას და მარადიულობას . რიტუალური ენით ამ ყოველივეს მფარველია ,,ეშხუ'', მისთვის განკუთვნილი რიტუალური დღით - ,,ეეშხუშ''-ით. ამდენად, ,,ეშხუ'' - ,,ერთი'' - თავადაა სრულყოფილება, დასაწყისიც და დასასრულიც, დროის, სივრცის, სამყაროს გამაერთიანებელი, მისი მარადიულობის აღმსრულებელი. კალენდრის ენით, იგი არის ,,თავდღეობა'' - სხვათა დროის და არსის განმსაზღვრელი.

ვ) სწორდ ,,ეშხუ'' არის ის ფუძე ლექსემა, რომელიც შემდეგ საკუთარ თავს სქესად დაყოფილად აფიქსირებს ,,დალ''-ის დართვით და, ,,ყოვლიერებაც'' წარმოსახვაში ლაგდება სქესით დაყოფილი. ,,დალ ეშხუმიშ'' ,,ყოვლიერების დამბადებელია'', ხოშა ღერბეთ ,,ყოვლიერების შემოქმედი''. ბუნებაც ამ ორივეს არსებითი ნიშნით არის დაყოფილი ,,საშუალო'' აქ არ არსებობს - ქართველთა წარმოსახვისათვის იგი უცხოა. მსახურების წეს-რიგიც მათი არსის შესაბამისია. ,,ეეშხუშის'' დღეობაში თავსდება ის, რაც დალ ეეშხუშის არსობის მჩენია; ,,ლამარია გუიზი, კარ-სარკმელ დახურულ შინაში ლემზირების შექმნის და აღვლენის წესი, მზის (სინათლის!) სხივისთვის წმინდა გუიზის (ფქვილის!) შეწირვის წესი, ,,ღერღლარების'' შეწირვის წესი, ზვარაკად დედა ღორის არჩევის ფაქტი, მისი კერის წინ სადიაცე ადგილას ,,ბანდარ''-ზე დაკვლის წესი და მრავალი სხვა, დალის წიაღში ყოვლიერების შექმნის და დაბადების იდეის სახიერი მსახურია. ასეა მუხე ზუეს დროსაც და ასეა ყოველივე დღეობისას ანუ, ზოგადად, იდეა ქმნის მსახურების სახეს ანუ, რიტუალის წეს-რიგს.

მეგრული ,,ღორონთი'', ჭანური ,,ორმოთი'' და ,,ღორმოთი'' სვ. ღერბეთთან ერთად სამწერლობო ,,ღმერთი''-ს ფონემური საწყისებია. ეს კი ქართველურ ტომთა მსოფლმხედველობის იდეური ერთიანობის გარეშე არ შეიქმნებოდა. ასე რომ ის რაც სვანურ ღმერთ-ის გაგებაში არის ,,მოქცეული'' - საერთო ქართულია, ,,ერთი გენის'' ნააზრევი.

,,ღრმა'' და ,,ერთი'', ეს ორი უნდა ქმნიდეს ღმერთის ლექსემის მთლიანობას. იდეურად ეს, ორი არსის ერთობლიობაა (,,ერთარსება ორი''), რომელიც ისევ ერთით ბოლოვდება. და რომელიც ისევ ,,ერთ''-ის პირველობას ითავისებს. მა-სში ქართველი შემოქმედის ბუნებრიობას ატევს. ,,ღრმა''-ში დამბადებლის (''ორმო'', - სიღრმე, ,,შემოსაზღვრული'' სივრცე ქალის, მდედრის წიაღია. ესაა დ̆ალ ᲥეშხᲨმის წიაღიც. ორმოა პირველი კერის სახეც). ამდენად, არც სემანტიკა და არც ეტიმოლო-გია ,,ღმერთი''-სა არ ითავისებს არაფრის კონკრეტულის სახეს. მისი საწყისი არსი არ არის აქ ჩამოთვლილთა ბუნება. იგი ,,შემოქმედთა'' ძალის წარმოსახვაა - მითოსი ითხოვს ამ წარმოსახვას ,,ერთი''-ს ჭეშმარიტება კი არა. მითიურად ხდება იგი ,,ერთა-რსება ორიც''[1] და ,,ერთარსება სამიც''[2] ჭეშმარიტება ,,ერთი''-სა მხოლოდ ერთია. - ყველგან და ყველაფერში მისი მარადიული არსებობა. ,,ღმერთი'' - ამ ლექსემით იხა-ტება შემოქმედის სახე ქართველებში.

„ერთარსება ორი“

„ერთარსება სამი“

„შემოქმედი ღმერთი“

„ერთი“

ჩანს ამის გამოცაა ,,ლემზირის'' საწყის ფორმად წრე არჩეული. ის ხომ ზეცად მსუფევი შემოქმედისადმი მიმართული წმინდა შესაწირია და არა მარტო ზეცად მი-მართული. მისი მადლი და ძალა ყველგანაა; მიწაში, კერაში, გუემში, წმინდა ალაგს - სალადბაშედ ამორჩეულსა თუ ოჯახის ტᲒრბეზში, რომლისთვისაც სწორედ მზის ამოსვლის მხარესაა გაჭრილი სალოცავი სარკმელი. ქართველებისთვის ჩანს მზე იყო ის ერთადერთი ფუძე სახილველი, რომელიც იტევდა ყოველთვის უზენაესის არსის ერთობლიობას. მზის ძალა და სხივოსნობა იყო მისთვის უზენაესის ძალის და სხივოს-ნების სადარი. მისი მარადიული არსებობა ქმნიდა ღმერთის მარადიულობის სიმბო-ლურ სახესაც.

---

[1] ,,ერთარსება ორი'' შემოქმედის ორი იდეური სახე მდედრობითი და მამრობითი ბუნებრი-ობით დაყოფილი.

[2] ,,ერთარსება სამი'' - ხოშა ღერბეთ. ფუსდ მᲒქემ თᲨრინᲒზელ. ჯᲒᲒრᲨᲒ - მამის, დედის და ძის განმასახიერებელი ღვთიური წყვილი. და ბოლოს ისევ ყოვლიერების მეუფე ,,ხოშა ღერბე-თი'' - ,,შემომქმედი ერთი''.

ბედნიერება ის არის, რომ, ჩვენს შემთხვევაში, ,,ერთი შემოქმედის'' რწმენის და მსახურების უმცირესი ნიუანსიც კი წლის თავდღეობაშია მოქცეული. ძველთა სულიერი წარმოსახვიდან მხოლოდ ეშხუშ - მაxეზაq-ის დღეობანი რომ ყოფილიყო დარჩენილი, მათი მსოფლხედვის დასანახად ესეც იკმარებდა. ის რაც ჩვენს თვალწინ არსებობს ადამიანის სულიერი ხედვის ნაყოფია. რიტუალი კი ამ ხედვის სახიერი გარსი. თავი და საფუძველი ამ წარმოსახვისა ღმერთთან მიახლოების და საკუთარი რაობის გაგების სურვილია. უზენაესის რწმენა და მსახურება - აი, კალენდრის მთელი დედა არსი.

წინაქრისტიან ქართველთა მსოფლმხედველობის წარმომჩენი ხალხურ დღეობათა კალენდარი ღვთის რწმენით გაჯერებული მითიური სამყაროა. თავ-დღეობის დედააზრი განსაზღვრავს მის მთლიან სახეს. ასე რომ აქ რელიგიური ცნობიერება რელიგიური ყოფიერების (რიტუალის!) შემქმნელი და ხორცშემსხმელია. ის ბუნების კანონზომიერების გათვალისწინებასთან ერთად ადამიანის ადამიანურ თვისებებსაც აჩენს. მისი ზნეობა, მორალი, სიწრფელე, სიჯანსაღე, სურვილი, უნარი, იმედი, მოლოდინი... ყოველივე საუკეთესო, თვისობრივად ადამიანშივე არსებული, რიტუალშია ჩართული. არაფრის სახიერ კულტს (,,თაყვანისცემის ობიექტს'' - ,,კერპს'') არ ითავისებს ეს მითიური სამყარო. აქ ყველა და ყველაფერი იდეის მსახურია. ყოფის უმცირესი ,,ნაწილაკიც'' კი ზეციური შემოქმედის ბუნების გამთავისებელი და რიტუალურად მჩენია. ეს კი სამყაროს მთლიანობის დასტურია. სამყაროს მთლიანობა ხომ შემოქმედის ,,ნახელავია'', მისი კუთვნილია ყოვლიერება! ჩანს, ამადაცაა ,,არაჩვეულებრივ დღეს'' (დღეობისას!) ყველა და ყველაფერი საკრალიზებული და გასულიერებული. იქნება იგი დრო, სივრცე, საგანი, სულიერი თუ უსულო არსება. ისინი ტრადიციაში მონაწილეობენ იმდენად რამდენადაც იდეის გამოვლენა ,,ხელეწიფებათ''. აქ საკრალურია რიტუალის წესრიგიც და თეონომიაც ისე რომ ,,ყოველგვარი სახიერის'' იქით არსებობს აზრობრივი საიდუმლო, რომლის ახსნაც შეუძლებელია მისი წარმოსახვის გარეშე. მისთვის შინაგანი - რწმენის თვალია საჭირო, რამეთუ შემოქმედის და ადამიანის კავშირი მხოლოდ ამ ხედვისთვისაა შესაძლებელი.

9. რატომ აირჩია წარმოსახვამ ,,ერთი''-ს ემბლემად წრე - დისკო. და რატომ გახდა იგი ღმერთის სიმბოლური ნიშანი?

კალენდარი დროში არაჩვეულებრივ დღეთა აღნიშვნის რიგია. საწელიწადო კალენდარი სივრცობრივ საზღვარს უქმნის დროს და ეს არის წელიწადის საზღვარი - თავდღეობა - დასაწყისი მისი და დასასრული. დასაწყისის და დასასრულის ერთიანობა გრაფიკულად წრეა; დრო იწყება სადღაც და მთავრდება სადღაც. ეს ხდება აქ მიწაზედ - ადამიანის საუფლოში სწორედ წელიწადის ციკლით. ეშხუამ ამ ციკლის (წელიწადის!) დასაწყისი და დასასრულია ე.ი. მისი (,,ეშხუ''-ს) გრაფიკული სახეც წრეა და წრე || დისკოა დალ ეშხუამის გრაფიკული - საკრალური სახეც. იგი იტევს დროს, სივრცეს, სიღრმეს და ცვლილებას წელიწადისას ''იწყება და მთავრდება'' რაღაც დროსა და სივრცეში. ბუნებრივია, ამ იდეას გრაფიკულად ვერ გაითავისებდა ვერც სხივი და ვერც ხაზი ორივე მხარეს უსასრულობისაკენ მავალი. აქ მთავარი იყო დროის ,,კვლავ დაბრუნების'' - ,,მარადიული მოძრაობის'' - დაფიქსირების მომენტი - წელიწადის არსი ხომ ეს არის: იწყება, მთავრდება და კვლავ იწყება რაღაც დროსა და სივრცეში. წელიწადი კი ამ მოვლენის ერთ-ერთი მცირე მონაკვეთია, ანუ წელიწადი მარადიულობის ერთი - ,,მცირე'' ნაწილია, მაგრამ მასში ყოვლიერების ცვლილებაა მოქცეული.

საკრალურად არსებული ეშხუამის დღე საკრალურადვე აერთიანებს წელიწადის დროში ყველაფრის დასასრულსაც და დასაწყისსაც. და მაინც, რა აზრობრივ დატვირთვას იტევს ლექსემა ეშხუ̈მ:

ა) ეშხუ-ს დღეობას, მის რწმენას და მსახურებას.

ბ) დროს, როდესაც ხდება ერთი წელიწადის დასასრული და იწყება მეორე წელიწადი.

გ) თვისებას, როდესაც ხდება გარკვეულ (ეშხუ-ს) დროსა და წიაღში ყველაფრის ახლად დაბადება.

დ) თვისებას ,,ყოვლიერების შემოქმედისას'', მის მეუფებას დროსა და სივრცეში შექმნილი ყოველივესადმი. და ბოლოს,

ე) ეშხუ̈მის ეშხუ ხდება ,,ერთი'' - უზენაესი შემოქმედის (ღმერთის!) იდეური და ლექსიკური საფუძველი. მისი დედოფალი დალ ეშხუ̈მიშია!

შეიძლება აქ აღნიშნულ კონტექსტში არსებული დალ-ის მხოლოდ ცისკრის ვარსკვლავად წარმოდგენა? რიტუალით ის უზენაესი დამბადებელია - დედა ღვთაება მზის ძალასთან, მიწის წიაღთან და დედის ფუნქციასთან გაარსებითებული. ის მითიური შემომქმედია და დალია ეშხუამიშის. სწორედ მზის ღვთაების პირველადობაც ქმნის წრის გრაფიკულ ნიშანს - (სიღრმის ნიშანს.) - ადამიანის გონების, თვალისა და ყურისათვის უხილავის, ბუნების საიდუმლოების უსასრულობა, მისი სიღრმე ასეთ ნიშანს მოითხოვდა. ,,ერთი'' შემოქმედის პირველი სახის (ქალ ღვთაების ,,მზის ღვთაების'') დაფიქსირება ხატოვნად წრით - დისკოთი გამოვლინდა. რატომ არ შეიცვალა სქესის შეცვლისას უზენაესი შემომქმედის ეს ემბლემური ნიშანი? უბრალოდ ამ მიზეზის გამო რომ სრულყოფილება მხოლოდ ამ ორი არსის ერთობლიობაა. და მეორეც, ეს ორივე, ცალ-ცალკე ერთი მთელია, ერთი სრულყოფილებაა მაგრამ, აქ არსებითია ის გარემოება, რომ ამ უზენაესის ლექსემა დასაწყისშივე გამოიკვეთა არსით და არა სქესით. (თავის მხრივ ,,ერთი''-ვე იტევს მდედრობით და მამრობით სქესს). ამას აფიქსირებს რიტუალი და ამას ინახავს დღეობის მთელი საკრალური შრე. წრე || დისკო მთელს ამ თვისებრიობას იტევს და ითავისებს. ამასვე ითავისებს ასომთავრულის ,,დონი'' - Ⴓ ,რომლის ნახევარსაც მთვარის - ,,ანი''-ს სახე ჰქმნის. Ⴓ (Ⴓ → Ⴓ).

10. კალენდრის უძველესი თავდღეობა ,,ბიხობ'' ჩვენი გაგებით, კრებითი სახელია და აღნიშნავს მოვლენას, დროში მომხდარ ცვლილებას, თვისებას. ,,ბიხობ'' უფრო იდეის მომცველია ვიდრე საკუთარი სახელის - ვგულისხმობთ შემოქმედის საკრალურ სახელს ვიმეორებთ ეს სიტყვა უნდა ნიშნავდეს ,,ვინმეს'' ან ,,რაიმეს'' თვისებას და ეს თვისება უხეშად რომ ვთქვათ უნდა ითავსებდეს ,,თესვის'' და ,,მკის'' (შექმნის და დაბადების!) ერთობლიობას, უნარს და შესაძლებლობას ერთდროულად. ანუ ეს არის იმ არსის თვისება, რომელიც საკუთარი წიაღში ახდენს თესლის მიღებას, განაყოფიერებას, გამრავლებას, დაბადებას და უტოლდება ნაყოფიერების სინკრეტულ იდეას, რაც სახიერად ქალის სხეულით არის კაცობრიობის მიერ დაფიქსირებული. (ძვ. წ. აღრ. VIII-VII ათასწლეულები.).

ბიხობი შემოდგომის პერიოდია. შემოდგომა კი ,,თესვის'' და ,,მკის'' პერიოდიცაა ერთდროულად. მიწის და ქალის ბუნება - დაბადების უნარი - უნდა ქმნიდეს ,,ბიხ''-ობ-ის საკრალურ დღეობას. ის წელიწადის - დროის - თავდღეობაა. ე.ი. მითოსის საწყისი საფეხური მდედრობითი არსია, საწყისი იდეა კი დროში ყოვლიერების ,,ახლად ჩენა'' - ,,ახლად დაბადება''. მსახური და მჩენი ამ იდეის ქალია. ჩანს დროთა

განმავლობაში, ,,ბიხობ''-ის იდეამ სახე იცვალა და წარმოგვიდგა ეშხუ-ს და დალ ეშხუამიშის პარადიგმული სახეებით. შესაბამისად ,,ახალწლის'' დღის ტრადიციაც აგვისტოდან იანვარში მოექცა (გრიგორიანული კალენდრის (,,რომაული სტილის'') შემოღების გამო. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას რომ ახალი წლის დღეთა რიტუალური ტრადიციაც ამ დროიდან (IX ს-დან) არის წარმოდგენილი. ის გაცილებით ადრეულია.) საბოლოოდ ეშხუს და დალ ეშხუამის იდეური სახე კვლავ იშლება და ვღებულობთ ,,ტრიადას'' - დაბადების კონკრეტულ შემომქმედთ - ,,შემქმნელი'', ,,დამბადებელი'' და ,,შექმნილი''. რამდენადაც აღნიშნული არ იტევს მხოლოდ არც მცენარეულს, არც ცხოველურს და არც ადამიანურს, შემოქმედთა ტრიადაც არ იღებს ამ სამთაგან მხოლოდ ერთ-ერთის სახეს - ისინი კვლავ პარადიგმული სახეებია და შეესაბამებიან მხოლოდ ორი არსის ბუნებრივ შესაძლებლობას: შემქმნელი - ,,ხოშა ღერბეთია'', დამბადებელი - ,,მგქემ თჷრინგზელი'' შექმნილი - ,,ჯგგრჷგი''. აქ სხვა საკითხია ამ ,,წმინდანთა'' ეტიმოლოგიური და სემანტიკური საფუძვლის გარკვევა მაგრამ, ყოვლიერების შექმნისა და დაბადების იდეამ მათი პარადიგმული სახეები ამ ფორმით ჩამოაყალიბა. აი ეს არის მთავარი და არსებითი ხაზი, რომელმაც წარმოქმნა მთლიანად ჩვენს თვალწინ არსებულ დღეობათა კალენდარი. ეს არის ის მითიური შრე - საფუძველი, დვრიტა, რამაც განაპირობა მთლიანად ღვთაებათა ,,ერარქულობა და სიმრავლე, მათი მსახურების წეს-რიგი, სიმბოლური ნიშნები, და საერთოდ რიტუალის შექმნა და ჩვეულებრივი დღის არაჩვეულებრივად გარდასახვა. ყველაფერი დაუქვემდებარა ორი არსის ბუნებას. ის რაც მდედრობითი არსის მჩენი იყო მისი მსახური გახდა და საერთოდ - ბუნების კანონზომიერება არც ერთი ნიუანსით არ უნდა დარღვეულიყო.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ის რაც ჩვენს მიერ აქ ძალად იქნა გაშიშვლებული, რიტუალში და რწმენა-წარმოდგენებში ჩუმი, და საიდუმლოა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ბუნების საიდუმლოებას მოიცავს და შეცნობილიც საიდუმლოდვე უნდა დარჩეს, რადგან მისი გონებისთვის უზენაესის შემოქმედება მაინც საიდუმლო და მიუწვდომელია და რიტუალშიც ეს უნდა დაფიქსირდეს არამედ იმიტომაც, რომ მისი ესთეტიკური გემოვნება უაღრესად დახვეწილი და სულისმიერია. ხორციელი სიშიშვლე არ ქმნის იმ სახეს რასაც ღვთიური მშვენიერება ჰქვია. ჩანს ქართველი წარმოსახვაშიც ისევე როგორც ბუნების კანონზომიერების შეცნობაში, ინდივიდია. ამ იდუმალებაშია მისი სულის სიძლიერე და მსოფლხედვის თვითმყოფადი სახეც.

11. რა სტურუქტურას ქმნიდა დღესასწაულის აღნიშვნის წესი?

ა) დღის მფარველი (სქესით განსაზღვრული).

ბ)აღსავლენი ლემზირები (ფორმით და რაოდენობით განსაზღვრული).

გ) მათი შექმნის (ლიმარეს) დრო და ადგილი. გამთენიისას, დილით, შუადღეს, საღამოს, ღამით, კარსარკმელ დახურულ შინაში და სალადბაშო ადგილას).

დ) ლემზირების შემქმნელი (ყოველთვის დიასახლისია - ხოშა ზურჷლ).

ე) წმინდად მსახურების პირობები (წმინდა გუ̈ზი და წმინდა ლიმზირი).

ვ) შესაწირი ზვარაკი (სქესით განსაზღვრული, დამოკიდებულია მფარველის დღის მეუფე წმინდანის სქესზე).

ზ) შემწირველი ანუ მგმზგრი (სქესით განსაზღვრული).

თ) შეწირვის ადგილი. ეს ეხება ლემზირსაც და ზვარაკსაც. (კერის წინ, სალოცავი სარკმლის წინ, სალოცავში, სახლის შინას სხვადასხვა მხარეს, სალადბაშე ადგილას. ეს ადგილებიც განსაზღვრულია ქალის და კაცის კუთვნილებით).

ი) რიტუალის აღსრულების დრო (სახალხო და საოჯახო).

კ) საიდუმლოდ (მხოლოდ ოჯახში) აღსრულების წესი - ,,უწ̄ნ̈ად ლიმზირ'' (ეს წესი დამოკიდებულია სადღეობო დღის მფარველის არსსა და თვით ამ საკრალური დღის არსზე. ასევე, ,,უწ̄ნ̈ად'' — მამაკაცების გარეშე წარმოებს ყველა ქალთა დღეობა, იქნება იგი ,,ქორ''-ის შინაში თუ გარეთ, ღია ცის ქვეშ - ,,სალადბაშე'' ადგილას. მამაკაცების ასეთი ლიმზირი ტარდება (ე.ი. ქალების გარეშე) სანადიროდ წასვლის წინ. კალენდარში კი დასტურდება ორად ორი სადღეობო დღე, როდესაც მხოლოდ მამაკაცები ლოცულობენ ერთი ,,სიკობის'' დღეს - ,,პეტრ ბაჩართან'' და მეორე ეზოში - უფლიშიერის დროს).

ლ) დღის მფარველის სავედრებელი (სავედრებელი იქმნება იმ თვისების შესაბამისად რაც ამ მფარველს ხელეწიფება, შემდეგ ემატება სხვა დანარჩენი, რაც მლოცველის სურვილს შეადგენს. არ დაიშურება ეპითეტები, დიდების და ზეციურობის გამომავლინებელი სიტყვები).

სავედრებელი ფორმულირდება ა) დიდებით ბ) შენდობით გ) მოწყალების თხოვნით ან, დიდებით, მოწყალების თხოვნით და პატიებით. მთლიანობაში იგი ქმნის რწმენის, იმედის, სასოების, მოწყალების და მადლის მიღების რწმენას.

ასეთია ხალხური, ,,უავტორო'' რელიგიის არსიც და საფუძველიც. ასეთია იმ ხალხის სულიერი სამყარო, რომელთაც არც ბიბლიის და არც სახარების არ გაეგებოდათ რა, მაგრამ მთელი მათი ზნეობა და მორალი სახარებისეულ კანონზომიერებას ქმნიდა.

12. და მაინც, რომელი გრაფიკული სახე იყო ქართველთა ყოფიერებისა და ცნობიერების საფუძველი. ეს იყო წრე და მასზე თუ მასში დახატული ჯვარი!

პირველი საცხოვრების გეგმა.

პირველი სალოცავის გეგმა.

ეშხუამის დროის საკრალური ნიშანი (დასაწყისის და დასასრულის

გამაერთიანებელი სიმბოლო!)

დალ ეშხუამის პირველად აღსავლენი სალოცავი ლემზირი - კუ̈ნ̈ჭილ).

,,ეშხუს'' გრაფიკული სახე - ,,დროის და სივრცის შემოქმედის ნაკვალევი'' (,,დროისა და შემოქმედის მარადიულობის გრაფიკული სახე'').

,,ლემზირი'' - სალოცავი პური.

,,მუქეღუ̄'' - ხოშა ღერბეთის აღსავლენი ლემზირი ასეთია იგი ახალი წლის ,,ლაჭშხიარში'' და ასეთია იგი ,,ტაბგლის'' შემადგენლობაში.).

,,ჯ̄ვ̈არ'' - ,,მუქეღუ̄ს'' გრაფიკული სახე.

„სეფსკუერ'' - „ტაბგლის'' ერთერთი პურის გრაფიკული სახე.

„ერთარსება ორის'' გრაფიკული სახე (დალ ეშხუამის სახე) დონი Ꝑ- მზის ღვთაების ასონიშანი. დალ - მზის ღვთაება. Ꝑ – ანი მთვარის ღვთაების ასონიშანი. („დონ''-ის მეწილე?!).

„მუქელუ'' - „ერთარსება სამი'' - ხოშა ღერბეთის გრაფიკული სახე.

სვანური ქუდის ერთადერთი გრაფიკული ორნამენტი.

საახალწლო ჩიჩილაკის კალპი.

მამაკაცის საქორწინო გვირგვინი.

დედაკაცის საქორწინო გვირგვინი.

და ბოლოს, ქრისტეს მეუფების გამომავლინებელი ბორბლისებური ჯვარი.

გავაერთიანოთ ეს ყველაფერი წარმოსახვაში და მივიღებთ ადამიანს, მთელი თავისი ყოფიერი თუ ცნობიერი სამყაროთი, მორალით, არსით და საუკუნო მოვალეობით. „ერთი'' || „ღმერთი'' და მისი მსახურება — ღვთივკურთხეული რჯული ქართველთათვის.

კუბანჭილ || ღერღლარ || ალუდალ
(ვ. ბარდაველიძის მიხედვით)
„ქართული (სვანური) საწესო
გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები“
1953 წ. ნახ. 47. გვ. 87.

ლემზირ
ვ. ბარდაველიძის მიხედვით
„ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი“
1939 წ. ილუსტრაციები. 5.

კაჩ ლემზირ ვ. ბარდაველიძის
მიხედვით
1939 წ. ტაბულა II, სურ. 2.

ლამარიან ლესკარ
ჩვეულებრივ ლემზირთან შედარებით დიდი
მოცულობის

ლამარიაშ ლემზირ (4 ნაჩვრეტით)
ვ ბარდაველიძის მიხედვით
1939 წ ტაბ 1 სურ 6

ლამარია ლემზირ 3 ნაჩვრეტით

დულ ვ. ბარდაველიძის მიხედვით
1939 წ. ტაბ. II. სურ. 3.

შეშხუამ ლეთი ლემზირ || ჭირვატი
ვ. ბარდაველიძესთან 1953 წ.
ნახ. 45. გვ. 84.

ჭაფხუირ || ქალ-ბაბარ
ვ. ბარდაველიძესთან 1953 წ.
ნახ. 44. გვ. 83.

კირკადუ (მზის და მთვარის სახიანი)
ვ. ბარდაფლიძესთან 1953 წ. ნახ. 45. გვ. 85.
(მზის სახიანი).

პული ლემზირ (ზემო სვანეთი)

გუეჭ ტაბგლ (ქვემო სვანეთი)

მუსუ̆ალდ (ზემო სვანეთი)

ფუსნა ლემზირ || სეფსკუ̆ერ
ვ. ბარდაველიძის მიხედვით
1939 წ. ტაბ. I. სურ. 3.
სურ. 4.

ქვინი დიუ̆რ (სულის პური)
ლიფანუ̆ალისას დაცხობელი

ქვინი დიარ-ცხვენილ.
გასვენების შემდეგ ლეფანე სუფრაზე
(სასაფლაოზე) დასადები პური
ზემოდან ყველი აქვს დაფშვნილი.

ფუნსა მუყეღუ
ვ. ბარდაველიძის მიხედვით.
1953. ნახ. 36. გვ. 74.

ფუსნა მუყეღუ
ნახ. 37. გვ. 75.

მუჟუღ (ყუიმბ)
ნახ. 38. გვ. 76.

ფუსნუ ლემზირ || სეფსკუერ
ნახ. 39. გვ. 77.

მუჟეღუ
ნახ. 40, გვ. 78.

მუჟელუ
ნახ. 41. გვ. 79.

ჯუარ
ვ. ბარდაველიძის მიხედვით
1953 წ. ნახ. 42. გვ. 80.

ჯუარ
ვ. ბარდაველიძის მიხედვით
ჯუარ ნახ. 43. გვ. 81.

სეფსკუერ. ზემოდან ჯვრის სახით
(მარჯვენა ხელით ყუანაკრავი ჯვარი)

სეფსკუერ ზემოდან ჯვრის სახით.
(პურს ოთხივე მხარეს ცერა თითის
დაწოლით ესახება ჯვარი)

სეფსკუერ ზემოდან ჯვრის სახით
(ორივე ხელის ცერა და საჩვენებელ
თითებს შორის ცომის მოთავსებით
ესახება ზემოდან ჯვარი)

ლამარიან შილგგნე (ქვემო სვანეთი)
(ყუანაკრავი ჯვრის სახის)

ლაჭმხიარ.
1) მუჟეღუ
2. ლამარიან ლესკარ.

ლატალური მუჟეღუ

ლატალური მუყეღუს „შესაქმნელი" ორი ლემზირი — წარმოსახვით ერთმანეთზე დადებული ორი ფორმის ლემზირი, რომელიც ერთად ქმნის ლატალურ მუყეღუს.

სამლემზირიანი და ოთხლემზირიანი ლემზირები. ასევე სამნაჩვრეტიანი და ოთხნაჩვრეტიანი გიმი (მიწის) ლემზირები.

„ხოშა ღერბეთი ტაბგლ“ დიდი ღმერთისთვის ერთად აღსავლენი ლემზირები

1) + ზვარაკის გულღვიძლი და ზედაშე

2) + ზვარაკის გულღვიძლი და ზედაშე

3) + ზვარაკის გულღვიძლი და ზედაშე

ჯგგრაბგის ტაბგლი ჯგგრაბგისთვის ერთად აღსავლენი ლემზირები

1)

2)

3)

სხვა დანარჩენთა ტაბლები (ლამარიას და ბარბოლს არ აქვს ტაბლა!)

მგქემ თა̈რინგზელის ტა̈ბგლი

+ ზვარაკის გულღვიძლი ზედაშის გარეშე

მუყგლუ
სეფსკუერ
ა3 ლემზირ
გულა გაბრგლის ტაბლა

საწელიწადო კალენდარი
დღეობები და მათი აღნიშვნის
რიტუალური წეს-ჩვეულება (დანართი)

წელიწადის დროის დანაწილება

„ღგნ მაგ ბიხობშ იბნი“ —
ყოველი დღესასწაული ბიხობით იწყება:

1) „კაცხა მუღლურერ“ - შემოდგომის პირველი ნაწილი, რომელიც ორ თვეს შეიცავს: აგვისტოს ორ კვირას, მთელ სექტემბერს და ოქტომბრის ორ კვირას.

2) „განკუეთ მუღლურერ“ - შემოდგომის მეორე ნაწილი, რომელიც ერთ თვეს შეიცავს: ოქტომბრის მეორე და ნოემბრის პირველ ნახევარს.

3) „ქრისდენ ფიჭმ“ - ექვსი კვირის მარხვა.

4) „აღბა მწზნა - 25 დეკემბრიდან მეჯსარაბამდე.

5) „აღბიერ“ - მეჯსარაბიდან ლილჩალამდე.

6) „ლილჩალ“ - დიდმარხვა.

7) „თამფიერ“ - ერთი კვირა აღდგომა.

8) „უფლიშიერ“ - ახალკვირიდან ანღლაბამდე.

9) „ანღლაბიერ - ანღლაბიდან სინმოხსნაბამდე.

10) „სინმოხსნაბერ - სინმოხსნაბიდან ჭღლიშამდე.

11) „ჭღლშიერ“ - ჭღლიშიდან ერთი კვირის განმავლობაში.

12) „პარაპლღაში ლატიჭმ“ - პეტრე-პავლობის მარხვა.

13) „პარაპოლღაშიერ“ - პეტრე-პავლობიდან 1 აგვისტომდე (იგულისხმება ძვ. სტილი ნ. წ.).

14) „ლიმგრიე ლატიჭმ“ - მარიამობის მარხვა ბიხობამდე.[1]

---

[1] იხ. ვ. ბარდაველიძე, არქივი 209 ф[2] საქაღალდე №673. გვ. 92-93. მთხრობელი ქეერიჯა ფარჯიანი, ლატალი.

აღნიშნულით ჩანს, რომ დროის ათვლა და შესაბამისად დღეობათა ათვლა (ღგნ - დღესასწაულია), იწყება ბიხობით. იგი არის წელიწადის ბოლო და, ამავე დროს, ახალი წლის პირველი დღეობა. „ლიმგრიე ლაუიჭმ“ ამ დღით მთავრდება და „კაცხა მუღლურერ“ ამ დღით იწყება. ასევე კვირის რომელ დღესაც მოხვდება ბიხობ-ის დღე (27(14) აგვისტო), იმ დღეს იქნება წელიწადის მთავარი (ძირი) დღეობები ბარბლაშ, ძველით ახალი წელი, ქრისდენშ და ა. შ. (ნ. წ.).

1. „კაცხა მუჟღუერ“ — შემოდგომის პირველი ნაწილი
(აგვისტოს ბოლო 2 კვირა. სექტემბერი და ოქტომბერის პირველი 2 კვირა)

ამ პერიოდში ქრისტიან მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრით[1] აღინიშნება შემდეგი დღეობები:

სტილი / ახ - ძვ

28 (15) აგვისტო - მარიამობა (მიძინება ღვთისმშობლის)

10 (28 აგვ) სექტემბერი - ხსენება მოწამისა შუშანიკისა (475 წ.)

11 (29 აგვ.) სექტემბერი - თავსკვეთა წმინდისა იოანე ნათლისმცემლისა (მძიმე მარხვა)

14 (1) სექტემბერი - ეკლესიური ახალი წელიწადი. ქვეყნიერების დასაბამიდან 7604 წ. (5604 + 2000).

21 (8) სექტემბერი - ღვთისმშობლობა (შობა ღვთისმშობლის)

26 (13) სექტეემბერი - ხსენება წმინდა დიდმოწამისა ქეთევანის (1624 წ.)

27 (14) სექტემბერი - ჯვართამაღლება (მძიმე მარხვა)

30 (17) სექტემბერი - ხსენება წმინდა მოწამის სოფიოსი და მისი სამი ასულის: პისტი, ელპიდი და აღაპისა (II საუკუნე).

9 (26 სექტ) ოქტომბერი - დღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის ხატისა (დაბრძანებულია თბილისის სიონის ტაძარში 1989 წ.)

14 (1) ოქტომბერი - მცხეთობა, სვეტიცხოვლობა. საფარველი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა.

დღეობათა ხალხური კალენდრის წარმოდგენისას (იგი ზემო სვანეთის სოფელ ლატალში დაფიქსირებული) შეგნებულად ვცვლით სტილს, ე. ი. პირველად ვწერთ ძველ სტილს, შემდეგ ახალს, ხალხურ დღეობათა რიგი და დროის დანაწილებული პერიოდები განისაზღვრება მხოლოდ ძველი სტილით. აღნიშნული პირველი პერიოდის საწყისი (პირველი!) დღე ბიხობ მარიამობის წინა დღეა, ანუ ხალხურად გათვლილი „კაცხა მუჟღუერიც“ (კაცხ - წვერი, სათავე, საწყისი ზემოდან და არა ქვემოდან. კაცხა მუჟღუერ - შემოდგომის საწყისი პერიოდი, ჯერ კიდევ „გამოუკვეთავი“ შემოდგომა) ამ დღით (ბიხობით) იწყება: (**სტილი / ძვ - ახ**)

14 (27) აგვისტო - ბიხობ (ბიხობა)

15 (28) აგვისტო - ლიმგრიე (მარიამობა) (ღვთისმშობლის მიძინება)

29 აგვ (11 სექტემბერი) - თავსკვეთობ (იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა)

8 (21) სექტემბერი - ლაშარიშ ლიფთგაწლ (ღვთისმშობლობა || ღვთისმშობლის შობა)

12 (25) სექტემბერი - „ხოლა მგკახ“ და „ხოჩა მგკახ“.

ხოლა მგკახს მოყოლებული ორშაბათი ხოჩა მგკახის დღეა (სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში იმ დღეობებს, რომელთაც არ გააჩნიათ მყარი რიცხვი, გააჩნიათ მყარი დღე. ეს დღე კი ყოველთვის მისი წინა დღით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში რიცხვის მაგივრად ჩვენ შვიდეულის დღეს აღვნიშნავთ. გარდა ამისა, დღეობათა აღნიშვნის დრო (რიცხვები), მყარი დღეობების გარდა, აქ, ხალხურ კალენდარში, გამოთვლილია 2000 წლის ზემოთ აღნიშნული საეკლესიო კალენდრით. ამიტომ ისინი მხოლოდ 2000 წლისთვის არის მისაღები. ეს დღეობანი მოძრავია და სხვა წლებისთვის ახლადაა გამოსათვლელი ნ. წ.).

* * *

შემოდგომაზე, როდესაც პირველად გადიან სახნავად ჟიქანქაში (იფხი, ლეშუკი), დილით ადრე მერბიელი ერთ დიდ ყველიან ლესკარს გამოაცხობს და ყანაში წაიღებს. ასე მოიქცევიან სხვა ოჯახის მერბიელებიც. აქ სამხები ერთად შეიკრიბება და ილოცება ლამარიას სახელზე - მგჟრი მაშედ ლამარია, ჩანუებერ ლადი ნაჭან ნალაშ, ხოჩა ჯეჯილ ი მულუაჟ ოთოოფშდ, ნამზგრ - ნაჭგრაწლ სგვებდ ანიზზ. (შემცოდებელო, მშვლელო ლამარიავ, გაგვიმრავლე დღეგანდელი ნახნავ-ნათესი, კარგი ჯეჯილი და ყვავილი (მულუაჟ) გამოაშვებინე (მოუვლინე!), ნალოცი და შენავედრები ჩვენი შენდამი - გაგვიმარჯვე). შემდეგ, დაინაწილებენ ლესკარს და შეჭამენ მხოლოდ მამაკაცები. ქალებისთვის იმდენად აკრძალულია ამ დღის ლესკარის შეჭმა, რომ მერბიელმა ის გობი, რომელშიც ლესკარისთვის ფქვილი მოცომა, უნდა წმინდად ამოფხიკოს და მორეცხოს, რომ ამ კვეცნის ნაწილი სხვა პურს არ ჩაჰყვეს და ქალმა არ ჭამოს.

ვერა ბარდაველიძე, არქივი, 209 ф[2] საქაღალდე № 738. გვ. 170. ლატალი.

---

[1] იხილეთ ქრისტიანობიდან 2000 წლის მართლმადიდებლური კალენდარი. დაიბეჭდა რუსთაველ მეტროპოლიტ ათანესეს (ჩახვაშვილი) ლოცვა - კურთხევით. ამის შემდეგ ჩვენ საეკლესიო დღეობათა რიგს ამ კალენდრიდან მოვიტანთ. ამიტომ სქოლიოში მას ამიერიდან არ აღვნიშნავთ.

* * *

ლეწვის დაწყების დღეს ქალები ოჯახ-ოჯახ თავის კალოში ლიდბაშის აკეთებენ, კალოზე გამოაცხობენ ყველიან ხაჭაპურებს და ერთად შეკრებილი ქალები აქვე ილოცებენ: - მეკარი ლამარია, ისგრა მაფასდ ანხნდ - შენი მონაწევეთ გაგვახარე, მუშაობის კარგი დრო და ჟამი დაგვიყენე, შემდეგ ოჯახის ყველა წევრი შელოცილ ხაჭაპურებს დაინაწილებს და შეჭამს".

ვერა ბარდაველიძე, არქივი, 209 $ф^2$ საქ. №738. გვ. 170. ლატალი.

* * *

„ლიშგნი" - ასე ეწოდება ახალი მოსავლის დაწყების რიტუალს. ამ დრომდე, თუ მათ ძველი მოსავალი შემოაკლდათ—იყიდიან, ახლის ხმარებას მაინც არ დაიწყებენ ლიშგნამდე. 17 მთვარეს, რომელიც მაგარ და მტკიცედ ითვლება (ბედნიერ მთვარეზე დაბადებული ოჯახის წევრია მგშგნი), შუაღამისას ადგება მგშგნი. იგი ქვასანაყში დანაყავს ხორბალს, დედა კი—გამოაცხობს. პურს სინათლეს არ უჩვენებს ისე შეაჭმევს მგშგნის—უოლშშლ ბგბიუ-ლი გუშგუეგ ლაფქიარ (მყინვარის ყინულივით მაგარი ყოფილიყოს ჩვენი ფქვილის მარაგი). 8 სექტემბრამდე ახალ მოსავალს არც ასესხებენ და არც გაყიდიან.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 $ф^2$ საქაღალდე 738. გვ. 180 ლატალი.

* * *

ლიმგრიე სგუებნე ლუდაღ ლი ბიხობ. ლიმგრიე ლუდღი ლუისას აღ ლუდაღს ლუისენიდ ეზგნქა მშნგუეშ გუამთქვა. ლიმგრიე ლუდაღ ლოჯგრიდგუარ. ეჯ ლუდაღ ქუინი ლუდაღ ლი.

მარიამობის წინა დღეა ბიხობი. მარიამობის დღის საკლავს ამ დღეს დავკლავთ, ამის გარდა არაფერი არ გვჩვევია ბიხობის დღეს. მარიამობის დღეს მღვდლის მიერ ვუკურთხებდით გარდაცვლილებს სუფრას სასაფლაოზე. მარიამობის დღე სულთა დღეა (მარო ფარჯიანი. 1995 წ. მაცხვარიში).

* * *

ბიხობ ლუთ წყფლიანდ ლი ლიფანე ლგშრავე მად შიდ. ლიმგრიე ლუდაღ ჰამს კალისგა ლიდბაში გვემთქვენ. ლეღბაშიდ ლას ლგმარე ეშხუ ხოშა ქუთ შდიხი გუიგუეი ლგნჩგდე - ჯადუ მაზიგხანნ, 3 ნეცინ ქუთ - ლემზგრილარ - კალუ ლამარიანხანნ ი სემი ლემზირ - ჯგგრაგ ბიქუხანნ. ალი მაგ კალისგა თითეჟინ ჟილემზგრი ლი. ჯადი მაზიგხან ქუთი ლიმზირ ერხის ჟილგგდანე ხადდა ლამარიაშდ. კალა ლუმარიან ლიმზირ ამჟი ლას - დიდაბ აჯუად ლიმგრიე ლამარიას, მაშენე ისგუ დიდაბ კალისგა ჩუნამურჯენს, მერმად ამზატ ანჯარ ისგუ დიდაბ. ჯგგრაგ ბიქუხანი ლიმზირ: - დიდაბ აჯუად ჯგგრაგ ბიქუიშს, ლაბაბაისგა ისგუ ძალა ნუმა ანკალინა, მაწგხეჟინ ჩილად განხან ენეგნ, დიდაბ აჯუად ჯგგრაგ ბიქუიშს. ჯადუ მაზიგხანი ლუმზგრეჟინ: - დიდაბი ლეჟედ ლიმგრიე ლამარია, სგუებდ მეზი ნაყრ ლადი ნაგდან ნამზგრ, დიდაბი ლეჟედ ლიმგრიე ლამარია. ამუნღო ლას ლემარე ლეჯგრი. ლაჯუამეჟინ ბაპ ი დიაკუან ტაბაგს აჯგირდახ, სტაროსტა ლეზბარს ინზარა. სტაროსტა ეჯი ლას ერვაგ ლაჯუმი მკილ ლი. მაცხუარიშ - თამლიანარ ლასხ!. ლიჯგრის ლაჯუამეჟინ იტბაგალდა მგ. მახე ლგდგარი პატრონ ლაგსა ხგნსგას ჩილად ქაჯიდა ტაბაგთექა. ტაბაგეჟინ ლეფანალის გარ ტილდახ.

(საჯხგ გირგვლიანი - გვიჩიანის, 1995 წ. იფხი.)

ბიხობის ღამეს სამარხოთია სულებისთვის დასაფენი სუფრა. ამ ღამეს ხსნილი არ შეიძლება. მარიამობის დღეს, დილით, ეზოში გვჩვეოდა ლიდბაშის გაკეთება, სალადბაშედ მზადდებოდა ერთი დიდი თხილისგულიანი ხაჭაპური - მუცლის ტკივილებისგან დასაცავად. 3 ცალი პატარა ხაჭაპური (ლემზირები)—ეზოს ღამარიასათვის და სამი ცალი ცარიელი ლემზირი—ჯგგრაგ ქარისათვის. თვითოეული მათგანი (აღნიშნული რიგით და რაოდენობით) აღსავლენი იყო ცალ-ცალკე. მუცლის ტკივილებისგან დასაცავად შესაწირი ხაჭაპური ზოგს დაკანონებული (ბეგარად აღებული!) ჰქონდა ღამარიასადმი. ეზოს ღამარიას ლოცვა ასე იყო: დიდება მოგსვლოდეს ლიმგრიეს ღამარიავ. ყველაზე კარგად თუკი ოდესმე გაგვიმარჯვება შენდამი ლოცვა, მეორედ ახლა გაგვიმარჯვე. ჯგგრაგ ქარისადმი ლოცვა ასეთი იყო: დიდება მოგსვლოდეს ჯგგრაგს ქარისას, კალოობისას შენი ძალა არ დაგვაკლო, საჭიროებისას ყოველთვის გვერდით დაგვიდექი, დიდება მოსასვლელო ჯგგრაგ ქარისაო. მუცლის ტკივილებისათვის ლოცვას ასე ვიტყოდით: დიდება მოსასვლელო ლიმგრიეს ღამარიავ! წინმავალი ქენი ჩვენი შენდამი დაბეგრილი დღევანდელი დღის ლოცვა (ლგგდანე - ვალდებულება, ბეგარა). ამის შემდეგ, გამზადებული საკურთხი მიგვქონდა სასაფლაოებზე საკურთხად („ლიჯგგრი" მღვდლით კურთხევაა. ლიფანე" მის გარეშე ნ. წ.). ეკლესიასთან (სასაფლაოზე) მღვდელი და დიაკონი ტაბლებს (მაგიდებს, გაშლილ სუფრებს) აკურთხებდნენ, „სტაროსტა"

კი მათთვის გაღებულ წილს აგროვებდა. „სტაროსტა“ ეკლესიის „მეკარე“ იყო („მოკილ“ - ეკლესიის გასაღების მქონე, შემნახველი). მაცხვარის ეკლესიის „მოკილ“ თამლიანები იყვნენ. (ასეა დღესაც ნ. წ.). ლიმეგრიეს, ლიჯგრისას, აქვე ხდებოდა პურობაც. ახალი მკვდრის პატრონი საკლავის ნახევარს ყოველთვის გამოიტანდა საერთო სუფრაზე. პურობისას მხოლოდ შესანდობარს იტყოდნენ.

* * *

ლიმეგრიენღო არშმენ (ძვ. სტ. 8 სექტ.) ლი ლამარიშ ლიფთგაშლ. ალ ლადაღ ლამარიშ ლიფთგაშლეში ლემზირაშლს ლანყედ - ლეთაშს. ლემზირდ - დიდაბ აჯვად ლამარიშ ლიფთგაშლეშს, მაჩენე მეჰიერ ერუაჟს ხამურჯენს, ეშჯი ნამჰიშრა ნაყრ ამზაუნ, მაგ სეუისგა ლეშდახდ ანვიდინ დიდაბი ლეკედ. ლიმზირდ ჰამს ლავურაცახან, სანთელშ მადეჟ ნატუსუნშ. ალ ლადაღუნღო ლი ლიმჰიერ, მწიფობ - მოსავლი (ნამშაფი) ლიკედ.

მარიამობის შემდეგ, რიცხვით 8-ს, არის ღვთისმშობლის შობის დღე. ამ დღეს ვაცხობთ „ლამარია ლიფთგალეშის“ (ღვთისმშობლის შობის) ყველიან ლემზირებს. ვილოცებით: - დიდება მოგსვლოდეს ლამარიას ლიფთგალეშისას (შობისას!), საუკეთესო მწიფობის დრო ვისაც დასდგომოდეს, მსგავსი დრო დაგვიყენე ჩვენც ამ წელს. ყოველივე კარგი ჟამისთვის მოგვახმარებინე. ვილოცებით დილით საღოცავ სარკმელთან სანთლით ან საკმევლით. ამ დღის შემდეგ არის მწიფობის პერიოდი - მოსავლის აღების პერიოდი.

* * *

ხოლა მგკაბ ხეხილი 12-ჟინ ალ ლადაღ ოხდრისს დეჟ ღურბეთ ესერ იმზირ ი დეი ქუინ როქ იფანე. ალ ლადაღ მარემ იცხსი ტარხან ესერ ნუმაუ ახფიშდ. ესძუმ ლისგურეშ ესერ-ლი.

ხოლა მგკაბ („ცუდი მოლოდინი“) ხვდება ძვ. სტილით 12 სექტემბერს. ამ დღეს ხსნილს არც ღმერთი იკარგს და არც სული. ამ დღეს ადამიანმა ხეხილსაც (მსხალს) კი არ უნდა მოუქნიოს კეტი - იმდენად უქმე დღე არის.

* * *

ხოლა მგკახს დეშდიშ ახჭემნი ეჩქას ლი ხოჩა მგკახ. ლენყე ლი ფეტტრაშ ჭიშდურალ ი ლამზგრიდ მგკა ლამარიას. ალის ლალხორალ ხაჭიმ. ლალხორალ ხოშა ღურბეთი ლიმზირ ლი.

ხოლა მგკახს რომ ორშაბათი მოჭყვება, ხოჩა (კარგი) მგკახის დღეა. დასაცხობია ფეტვის ჭიშდუარები (ფეტვის ფქვილთან ერთად აზელილი ყველი, პურის ცომის გარეშე გამოცხობილი) და ვილოცებით მგკა ლამარიას სახელზე. ამ დღეს ლალხორალ მიჭყვება.

* * *

ბიხუა ხაშხა დიარს. ალის ლამარიშ დაბდაბაშს ხამზგრიხ. ლანავ ზურაშლა ლამზგრთე ლიზის ჩუ ხაყა - ესძუმ წყლიან ეარ ლი. ნალვაჟუნღო ზურაშლს მშმ ხოყა. უღჟუნა ზურაშლ ეშხუ ზაჟ ხეკუეს ნუმა ამჩედელშენ ლამზგრთე. ჟინაწყლიანუნღო ზურაშლს მაგ ჩუ ხოყა.

ლაღუჟაშლჟინ ზურაშლს ხოხრა კარვოშ თხუმჟიკშნქა ხოსპუნედ ფექს, ეჩანღო ეჯის ჩუხვიშხუნიდად. ნალუაჟხანქა სამფანჩიქდ ხეკუეს ლახმაზრა ალ ფექხანქა ლგნყე ლემზირალ. ალ დრეუჟინ დეშ ხიჩო ეჩქას, ჟინაწყლიანუნღო ეშიჟ ჩიღად ლი ლეჩემ ლიმზირ. ლიმზირს ხოლა სახ ათხრალი ეჩქას ბეფშ ხოლა ლერდი ლი. ჟილეტხანი ხუაჟნ ლას ალ ლიმზირ. მიჩეშდ ლამზგრ ლადღარ ლიხ ცკაშ, საფტინ - ხსნილჟინ. მერმე ლადღარს-მაამა. ლამზგრჟინ ი ლემზირლე ლანყაჟინ ღუაჟმერემი ჰერი ხეკუეს ნუმა ჯასმენან, ედო ლიწედ ხომ ცხაჟ. ალ წესი ლიჩემ ღვაჟარს ჩუხოხახ.

ალ ლემზირიშდ გუიზს მშმ ხაყა - ჩვეულებრივ ფექ ლი ლეკედ - ალ ლემზირს ანყე ეჯ ზურაშლ ერუაჟდ ათღვაჟანლე ი ამეჩენ არიხ მაგ ეჯიარ ერვაჟ ლაღუჟაშლჟინ არდახ. ბიხუა ინყოლი ზურაშლაშდგარ - დიეშდ - ქუთ ლემზირ - გიმბაშ ი თაშ ლგნჩგდე. ნიშგუეჟდ ქუთუარს ხვანყად - ლემზირ ლგგნეს - ხოხრაშლას. კუბან ლემზირაშლს ხადურ მშმ ხვანყედ.

ჟიხვამზგრიდ დაბდაბა ლამაშრიას: - დიდაბ აჯვად დაბდაბა ლამარია, მაჩენე ბედნიერ ლერდი ერუაჟს ხარენს ბეფშ, მერმად ამი დის ახგრდანენ, ლიმაჩლადაღდ მერდე, ბედნიერ ლესეს. მგრდიდ მიჩა დიუ არი ხოჩა გუჟინ, დიდაბი ლეჩედ ჟიბე ლგკლაბხე.

ღირალს ნამზგრგნღო ნაჟ გარ ხვიზობდად. ჩულუშხუინ ფექ მაგ სგალეჩმარი ჯარ ლემზირალდ. ეჩი ლიშხუნის მშმ ხაყა.

ერხინ დაბდაბა ლამაშრიშ მგქაფდ დაბდაბა მგწსე ღურბეთს ტულიდ. ეჯლა ერე ალიარ ეშხუ ლიხ: -

დაბდაბა მგწხე ღურბეთ, ჟიბელგკლათხე! ალ ბეფშ ხოჩა ლერდი ჩემ, ლიმაჩლადაღდ მერდე ახასყ, ხოჩა თელ ი ბაყ ესოდ, ლგჯმაშ ი ლუტზერე ახასყ, დიშ ი მუჭ ნაჭრი მგჩემ ჩემ, მიჩა მუთუენი ი მგრდი დი ჯამრთელ ი ბედნიერ ჩემ დიდაბი ლეჯედ. ღვაყმაწრე ხეკუეს ნოდ ფექს ხეწეს ი ნოდ მიჩა შედ კარუას. ქანაწ-ყლიანუნღო კარუა ლიწედ ჩუ ხოყა. კარუა ლესპუნე ლი ეჩქას შომად მაზიგ ჟი ხენი ზურაწლს, ეჩქად მაწმა.

ბიხუა ჰქვია პურს. მას „ლამარია დაბდაბაშს“ (დაბადების ლამარიას) სწირავენ. (აღუვლენენ!). ორსული ქალის სალოცავში წასვლა შეიძლება - მასზე მეტად სუფთა ვინაა! მშობიარობის შემდეგ მას სალოცავში წასვლა ეკრძალება. გათხოვილი ქალი ერთი წილი არ უნდა წასულიყო სალოცავში. განწმენდის შემდეგ ქალს ყველაფრის (სალოცავი ჩვეულების) გაკეთება შეუძლია.

მშობიარობისას ქალს პატარა კარუით (მრგვალი ხის ჯამი) სავსე ფქვილს თავზე წაღმა მოვავლებდით. შემდეგ შევინახავდით. მშობიარობის შემდეგ მესამე დღემდე უნდა აღავლინო ამ ფქვილიდან გაკეთებული ლემზირებით ლოცვის წესი. თუკი ამ დრომდე ვერ შეძლებდი, ქალის გაწმენდის (40 დღე) შემდეგ იგი მაინც უნდა შეგესრულებინა. თუკი ამ ლოცვის წესს კარგად (წესის და მიხედვით - „სახ“-ით!) არ შეასრულებდი ბავშვი ცუდი გასაზრდელი გახდებოდა. ხელახლა ხშირად იყო საჭირო მისი განმეორებაც. ლოცვის დღედ განკუთვნილი იყო ხუთშაბათი და შაბათი ხსნილზე. (ე. ი. ეს არის იმ შემთხვევაში, თუკი მშობიარობიდან მესამე დღემდე არ მოხდებოდა წესის ასრულება!), სხვა დღეები მას არ ეკუთვნოდა. ლოცვისას და ლემზირების დაცხობისას კაცის ხმაც კი არ უნდა გაგეგონა, ამ წესის არსებობა მამაკაცებმა იციან. ლოცვისთვის „გუიზ“-ის ფქვილი არ შეიძლება, ჩვეულებრივი ფქვილია ასაღები - სახმარი! ლემზირს აცხობს ის ქალი, ვინც პირადად ეხმარებოდა ქალს მშობიარობისას („ბებიაქალი“) . აქ სხვა ქალებიც არიან, ისინი, ვინც ესწრებოდნენ მშობიარობას. ბიხუა მზადდება მხოლოდ დედისთვის. ეს არის ხაჭაპურიანი ლემზირი (ქუთ ლემზირ!) კანაფით და ყველით დაცხობილი. ჩვენთვის კი მხოლოდ ცარიელ ხაჭაპურებს (კანაფის გარეშე) ვაცხობდით, ლემზირებდასახულებს, შედარებით მომცროებს (ბიხო მათზე დიდი იყო!). ამ ლოცვისას ცარიელ (უყველო!) ლემზირებს (ცუახ ლემზირაწლს) სულ არ ვაცხობდით.

ვილოცებოდით დაბდაბა ლამარიას სახელზე: - დიდება მოგსვლოდეს დაბდაბა ლამარიაე, ყველაზე (საუკეთესოდ) ბედნიერად თუკი ვინმეს ჰყავდა ბავშვი აღსაზრდელი, მეორედ ამ ქალს გააზრდევინე თავისი შვილი, სიბერემდე ამყოფე, ბედნიერი გახადე. დედამისი ამყოფე ყოველთვის კარგ გუნებაზე, დიდება მოსასვლელო, ზე-ამაღლებულო დაბდაბის ლამარიაე!

პურებს, აღვლენის შემდეგ, ჩვენ მარტო მივირთმევდით. შენახული ფქვილი (იგულისხმება ის, რაც მშობიარობისას ქალს თავზე შემოავლეს კარუით) მთლიანად უნდა გახარჯო ლემზირებისთვის ამ დღეს. მისი სხვა დროისთვის შენახვა დაუშვებელია. ზოგჯერ დაბდაბა ლამარიას მაგივრად დაბდაბა მგწსე ღერბეთს ვიტყოდით იმიტომ, რომ ესენი ერთიდაიგივენი არიან. (დაბდაბა ლამარია - დაბადების ლამარია. დაბდაბა მგწსე ღერბეთ - დაბადების დამწესებელი ღმერთი.). - დაბადების დამწესებელო ღმერთო, ზეამაღლებულო, ეს ბავშვი კარგი აღსაზრდელი გახადე, სიბერემდე ამყოფე, კარგი ჭკუა და გონება მიეცი, ძლიერი და შრომისმოყვარე გახადე, დედამის ყურისმგდებელი. თავისი დამბადებელი და აღმზრდელი დედა ჯამრთელი და ბედნიერი უმყოფე, დიდება მოსასვლელო. კაცმა არც ფქვილი უნდა დაინახოს და არც მისი ჭურჭელი - კარუა. ქალის განწმენდის შემდეგ კარუის დანახვა მამაკაცისთვის შეიძლება. კარუა ფქვილით სავსე, მაშინაა ქალისთვის თავზე შემოსავლები, როცა ტკივილები ეწყება - მანამდე არა!

* * *

ბეფში ბედს ი ნაბდნიერის ჰეტ-მეჰეტ ესერ აწსე. ზურაწლა ლაღუჭალჭინ ჰეტ-მეჰეტ ტგრბეზი ლაჭურაჭინ როქ არი ი ეჩუჩუნ როქ ხარენყინწალნე მიჩა ტეტს: ჟიბარე ი ჩუბარე. ამჩიქქა ალი როქ ტული: ხოჩა-ხოლა, ხოჩა-ხოლა, ბედ-ნაბდნიერი ი იშგენს აჯიდ, მაგაჯ როქ ხაკუჩ ეჯის. მაჯ აშბარეჭინ ბეფში ლიოთენი აითხოლი ეშჯი ბედიშ როქ ირი მახე ლგთაეი. ტეტი ბერ ჟიბარე ათხოლო ხოჩა ლი, ჩუბარე - ხოლა.

(II ვარიანტი:) ზურაწლა ლაღუჭალჭინ, ტგრბეზი ლაჭურაჭინ ჰეტ-მეჰეტიშდ ფაკანშ ლი ლეგემ ლიც. ალ ფაკანს ჯი, ეჩბარე-ამბარე ხარენყინწალნე ი ტული ჩის, ხოლაშ ი ხოჩაში. მაჯ ამბარეჭინ ბეფში ლიოთენი აითხოლი ეშჯი ბედიშ როქ ირა მახე ლგთაეი.

(საჯხგ გირგვლიანი 1999 წ. იფხი. 95 წლის.)

ბავშვის ბედსა და უბედობას ჰეტ-მეჰეტი განაგებსო. ქალის მშობიარობისას ჰეტ-მეჰეტ ტგრბეზის სარკმელზე არისო და აქნევსო თავის ხელს ზემოთ და ქვემოთ (ხელის გული მისი ხან ქვემოთ არის ხან ზემოთ!). ამ დროს იგი თურმე ამბობს: კარგი, ცუდი, ბედნიერი, უბედური და სხვა რამ მსგავსი, რაც მას მოესურვება. რომელ სიტყვებზეც ბავშვის დაბადება მოხდება, ისეთი იქნება ახალშობილიც. ხელის გული თუკი ზემოთ მოხვდა დაბადებისას—კარგია, თუ ქვემოთ—ცუდი. (II ვარიანტი). ქალის მშობიარობისას ტგრბეზის სარკმელზე ჰეტ-მეჰეტისთვის დასადგმელია ჯამით წყალი. ამ წყალს იგი აქეთ-იქით (მარცხნივ-მა-

რჯვნივ) აქანავებს და თან ყველაფერს ამბობს კარგსაც და ცუდსაც. რომელ სიტყვაზეც ბავშვი დაიბადება, ისეთი იქნება ახალშობილი. კარგზე კარგი, ცუდზე ცუდი.

* * *

ბიხობ რშთხრ ლადაღ ლი. მაჲ ლადაღ ბიხობ ხეხრლი ეჯ ლადაღ ლი ბარბლაშ, ქრისდენშ, გუშ-გუეჲ ზაჲ , ქამაშ ხექდი-დენმღად! ღენი ლათხრიმ ლი ბიხობ. (ესტატე გირგვლიანი. 1998 წ. მაცხვარიში 75 წ.)

ბიხობ ოთხი დღეა. რომელ დღესაც ბიხობი იქნება, კვირის იმ დღეს იქნება ბარბალობაც, ქრისდეშობის დღეც და ძველით ახალი წელიც, არ აცდება არავითარ შემთხვევაში. დღეობათა თავი ბიხობია.

* * *

ბიხუა ხაშხა დიარს - ლგგგმბაშს, ხოშა ლესკარს, იმაჲს დიდ ი მუ ხონყეხ ნაღუაჟ ჰასიშს. ალი დიარ ლამუარა ქორისგა გარ ინყრლი. ნანაყუნღო ჟიხამზგრიხ დაბდაბა ღამარიას ღამზგრ ლაჯურამგყ ი ეჩქანღო გარ ხოჯდეს მინე დინას ღამთილთე. ღამზგრჟინ დამბადებელ ღერბათ ხეჯგრალხ ბეფში ნაშდების, ხოჩა ლირდეს, ზურალაშ ი ბეფში ჯამრთელობს, ლიმაჩდ მიჩა ლირდეს. ბიხუა მანკეი ნაპუს ნამზგრუნღო მინე დინას ხაჰდიხ. ეჩქანღო ეჩეჩუ მერდს ჩის. ლგგგმბაში მგქაფ ფატსი ჩუ ხაყა, მარე ლგგგმბაშ ხოშილ ჟახე ლას.

(ესტატე გირგვლიანი 1998 წ. მაცხუარიში.)

ბიხუა ჰქვია კანაფიან პურს (კანაფიან ხაჭაპურს!), დიდი მოცულობისას (ლესკარს!), რომელსაც დედა და მამა უცხობენ თავიანთ სახლში მშობიარე ასულს. გამოცხობის შემდეგ აქვე ალავლენენ მას დაბდაბა ღამარიასთვის სალოცავ სარკმელთან. მხოლოდ ამის შემდეგ წაიღებენ მას ასულის ქმრის ოჯახში (ღამთილთე). ღოცვისას დამბადებელ ღმერთს ვევედრებით ბავშვის მშვიდობას, კარგად ყოფნას, ქალის და ბავშვის ჯანმრთელობას, სიბერემდე სიცოცხლეს. ბიხუას პირველ ღუკმას (ნაჭერს) ასულს მიართმევენ, დანარჩენს იქ მყოფთ გაუნაწილებენ. დღეს კანაფის მაგივრად ფეტვიც დაშვებულია, მაგრამ კანაფიანი ბიხუა უფრო სახელიანია ოჯახისათვის, ვიდრე ფეტვისგულიანი.

შობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა (მარიამობა) 8 (21) სექტემბერი

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას მართლმადიდებლური ეკლესია 8 / 21 სექტემბერს დღესასწაულობს.

უფალმა იმისათვის, რომ ადამიანის მოდგმა ეხსნა, ადამიანური ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი გამოარჩია. ძველი აღთქმის წიგნებში მრავლადაა წინასწარმეტყველება ღვთისმშობლის შესახებ. მოსემ ღვთისმშობელი შეუწყველ მაყვლოვანად იხილა სინას მთაზე, გედეონმა - საწმისად, დავითმა - ვითარცა ცვარი...

ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული (აპოკრიფი ბერძნ. სიტყვაა და თავდაპირველად „დაფარულს" ნიშნავდა) თხზულება „შობა მარიამისა", რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი დაიბადა გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში. მისი მშობლები იყვნენ მართალი იოაკიმე, რომელიც წინასწარმეტყველი დავით მეფის ტომისა იყო და მართალი ანა—პირველი მღვდელმთავრის—აარონის შთამომავალი. ეს ღვთისმოშიში მეუღლენი უშვილონი იყვნენ, რადგან მართალი ანა ბერწი იყო. ასე მიაღწიეს მათ ხანდაზმულ ასაკს, მაგრამ არასოდეს კარგავდნენ იმედს, რომ ღმერთი, რომლისთვისაც არაფერია შეუძლებელი, მათ შვილს მოამადლებდა. იოაკიმემ და ანამ აღთქმა დადეს, რომ ახალშობილს ტაძარში მსახურებისათვის უფალს მიუძღვნიდნენ. ებრაულ სახლში უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა, რის გამოც მართალი მეუღლენი თანამემამულეთაგან მრავალ უსამართლო ყვედრებას ისმენდნენ.

ერთ-ერთ დღესასწაულზე იოაკიმემ მსხვერპლი მიიტანა იერუსალიმის ტაძარში ღვთისათვის შესაწირად, მაგრამ მას უღირსი უწოდეს უშვილობის გამო და მღვდელმთავარმა მსხვერპლის შეწირვაზეც უარი უთხრა. მოხუცი ღრმა მწუხარებით აღივსო და უდაბნოს მიაშურა. იქ მან ორმოცი დღე მარხვასა და ლოცვაში გაატარა.

უფალმა შეისმინა ცოლ-ქმრის ვედრება. მთავარანგელოზმა გაბრიელმა შეატყობინა ანას, რომ იგი მალე დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი განდიდდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების გამო მაშინვე აღთქმა დადო, რომ ბავშვს უფალს შესწირავდა. ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც

აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე მემკვიდრე შეეძინება.

გავიდა ხანი და ანამაც იმშობიარა. მას ქალი შეეძინა და მარიამი უწოდეს. ექვსი თვის მარიამი დედამ გამოსაცდელად მიწაზე დააყენა, ბავშვმა შვიდი ნაბიჯი გადადგა და დედის კალთამდე მიაღწია. გახარებულმა ანამ შვილი ხელში აიტაცა. როცა მარიამი ერთი წლისა გახდა, იოაკიმმა დიდი ლხინი გადაიხადა და შინ მღვდელმთავრები, მღვდლები, მწიგნობრები და პატივსაცემი მოხუცებულნი მიიწვია. მღვდელმთავრებმა და მღვდლებმა ჩვილი დალოცეს და ღმერთს მისი კურთხევა შესთხოვეს.

შობა ყოვლადწმიდა ქალწულისა მარიამისა, ვინც თავისი უმანკო სხეულით განკაცებული უფალი იტვირთა, ქრისტიანებისათვის ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულს წარმოადგენს. ღვთისმშობელმა თავისი სიწმინდით და სათნოებით არა მხოლოდ ყველა ადამიანს გადაამეტა, არამედ—ყველა ანგელოზსაც, ღვთის ცოცხალ ტაძრად მოგვევლინა და, როგორც მას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია უგალობს, გახდა „ზეციური კარი", რომლითაც ქრისტე ამქვეყნად მოვიდა ჩვენს სულთა სახსენებლად".

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღლესი დასის ანგელოზებზე[1] მაღლა დგას. მისდამი მიძღვნილი ერთ-ერთი საგალობელი ამგვარად ხმიანებს: „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა...".

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყველას შემწე და მეოხია, მაგრამ საქართველოსა და ქართველებს ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობა იცავს. ეს იმიტომ, რომ გადმოცემის მიხედვით ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია. როცა მოციქულები წილს იყრიდნენ, თუ რომელ მხარეში ექადაგათ და მოექციათ ხალხი ქრისტეს რჯულზე, ღვთისმშობელს საქართველო ხვდა წილად, მაგრამ რადგანაც მისი მიძინება მოახლოებული იყო, მის ნაცვლად საქართველოში ანდრია პირველწოდებული იქნა გამოგზავნილი, დედას თვით უფალი გამოეცხადა და აუწყა, რომ არ დაეტოვებინა იერუსალიმი, ვინაიდან მისი მიძინება იყო მოახლოებული, ხოლო მისი წილხვდომილი ქვეყანა (საქართველო) გაბრწყინდებოდა მომავალში.

უდიდესია წყალობა ღვთისა - ჩვენ ღვთისმშობლის მფარველობაში ვიმყოფებით, მაგრამ, ამავდროულად, ჩვენი პასუხისმგებლობაც უდიდესი უნდა იყოს ღვთის წინაშე. წყალობას, მადლობის მიღების გარდა, დიდი ერთგულებაც სჭირდება, რადგან წყალობა მხოლოდ მაშინაა ჯილდო, როცა ღირსეულად მსახურებ უფალს, თუ უღირსად ექცევი ბოძებულ მადლს, ეს უკანასკნელი ჯილდო კი არ იქნება, არამედ სასჯელად გექცევა.

ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე ეკლესია აღავლენს საგანგებო საგალობლებს. იგი ადიდებს ყოვლადწმიდა ქალწულს, ვითარცა კიბეს, რომელმაც ცა და მიწა შეაერთა, ხორციელად შვა რა უფალი: „მაყვალს შეუწველს", რადგან დაიტია ღმერთი და არ დაიწვა.[2]

ხალხური გაგებით, 8 სექტემბერის შემდეგ (ძვ. სტ.) იწყება „ლიმჰიერ" - მწიფობა მოსავლის აღების პერიოდი.

მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვრისა — „ჯვართამაღლება" 14 (27) სექტემბერი

მოციქულთა სწორი წმინდა კონსტანტინე დიდი (306-337 წწ) პირველი იყო რომის იმპერატორთაგან, რომელმაც შეწყვიტა ქრისტიანთა დევნა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ყოველივე ამას კი წინ უსწრებდა სასწაული, რომელიც მის ცხოვრებაში მოხდა:

ერთხელ, ერთ-ერთი ბრძოლის დასასრულს (ეს იყო 312 წელს, როცა კონსტანტინე დიდი ეომებოდა მაქსენტის, რომის მკვიდრს), კონსტანტინე დიდმა და მთელმა მისმა ჯარმა დაინახეს ცაზე გამოსახული ჯვარი წარწერით: „ამით სძლიე!" მეორე ღამეს იმპერატორს თვით იესო ქრისტე გამოეცხადა ჯვრით ხელში და უთხრა, რომ ჯვრის ძალით ძლევდა მტერს, თან უბრძანა ჯვარი წინ წაემძღვარა ჯარისთვის ბრძოლაში. იმპერატორი ასეც მოიქცა და გაიმარჯვა.

ირწმუნა რა ჯვრის ცხოველმყოფელობა, კონსტანტინე დიდი უფლის პატიოსანი ჯვრის პოვნის სურვილით აღინთო, რომელზედაც მაცხოვარი ევნო კაცთათვის. ამ მიზნის განსახორციელებლად მან იერუსალიმში თავისი დედა, მოციქულთა სწორი დედოფალი ელენე (327 წ.) გაგზავნა. ნეტარმა დედოფალმა ყველა იუდეველი იხმო იერუსალიმში, რათა მათ დამალული ჯვარი გამოეჩინათ. პირველ ხანებში მისი ძიება წარუმატებელი აღმოჩნდა, მაშინ იუდეველები დაუშინეს და მათაც გაამხილეს მოხუცი იუდეველის - იუდას სახელი, რომელმაც ჯვრის ადგილსამყოფელი იცოდა. იუდა დიდხანს დუმდა ჯვრის ამბავზე, ბოლოს ღრმა თხრილში ჩაგდებულმა გაამხილა, თუ სად იყო ჩაფლული ეს ჯვარი.

---

[1] ანგელოზი - ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მაცნეს", „მაუწყებელს", „მახარობელს" ანგელოზები უსხეულო, ზეციური არსებანი არიან, რომელთაც ღმერთმა არსებობა მიანიჭა, ე. ი. უმყოფელობიდან მყოფობად მოიყვანა. — ანგელოზი არის გონიერი არსება, მარად მოძრავი, თავისუფალი, უსხეულო, ღმერთის მსახური, რომელსაც მადლის მიერ მიუღია თავისი ბუნების უკვდავება.

[2] ამით სძლიე ათორმეტი საეკლესიო დღესასწაულის შესახებ, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მ ბალდავამ და ზ ბოკუჩავამ, გამომცემლობა „კანდელი", თბილისი 1988

დედოფალმა ელენემ დაანგრევინა კერპების ტაძარი, რომელიც ჩამარხულ ჯვარზე იყო აგებული. აღმოაჩინეს მაცხოვრის სამარხი და გოლგოთა, შორიახლოს კი სამი ჯვარი იპოვეს. იქვე იყო ის ფიცარი, რომელზედაც პილატემ სამენოვანი (ებრაული, ლათინური და ბერძნული) წარწერა („იესო ნაზარეველი მეუფე ჰურიათა“) გააკეთებინა და ის ოთხი სამსჭვალიც, რომლებითაც მაცხოვარი ჯვარს მიალურსმეს. იმისათვის, რომ შეეტყოთ ამ სამიდან უფლის ჯვარი რომელი იყო, პატრიარქმა მაკარიოსმა რიგრიგობით შეახო ისინი ერთ მიცვალებულს, რომელსაც იმ დროს დასაკრძალავად მიასვენებდნენ. ცხოველმყოფელი ჯვრის შეხებისთანავე იგი მაშინვე გამოცოცხლდა. გახარებულმა დედოფალმა და მისმა მხლებლებმა თაყვანი სცეს ჯვარს. უამრავმა ადამიანმა ჯვართან მიახლოვება ვერ შეძლო. მაშინ მათ პატრიარქს სთხოვეს, აემაღლებინა ჯვარი, რათა ყველას შესძლებოდა, თუნდაც შორიდან, დაენახა და თაყვანი ეცა მისთვის. პატრიარქმა და სამღვდელოებამ უფლის პატიოსანი ჯვარი აღამაღლეს. ეს საზეიმო მოვლენა 326 წელს მოხდა.

უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის მოპოვების დროს კიდევ ერთი სასწაული მოხდა, განიკურნა მძიმედ დასნეულებული დედაკაცი. ამ სასწაულთა ხილვამ მოხუცი იუდა და მრავალი სხვაც ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია. იუდა, შემდეგში სახელად - კვირიკე, იერუსალიმის ეპისკოპოსი გახდა. იულიანე განდგომილის დროს (361-369 წ.წ.) მოწამეობრივად აღესრულა.

კონსტანტინოპოლში დაბრუნებულმა ელენე დედოფალმა თან წაიღო იერუსალიმიდან ნაწილი უფლის პატიოსანი ჯვრისა და ლურსმნები, რომლითაც მაცხოვარი იყო მიმსჭვალული მასზე (ერთ-ერთი სამსჭვალისი დღეისდღეობით ინახება საქართველოს საპატრიარქოში).

სიკვდილისაგან ადამიანთა მოდგმის გამოხსნაში განუზომელია ჯვრის მნიშვნელობა და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამას ვერ ხედავენ ეშმაკის მანქანებით დაბრმავებულნი, რომელნიც უარყოფენ ჯვრის ცხოველმყოფელობას. ჭეშმარიტი მორწმუნენი და ქრისტეს სჯულის აღმსარებელნი უდიდეს პატივს მიაგებენ ჯვარს, როგორც ძლევისა და გამარჯვების დიად ნიშანს, რადგან ჯვარი ეკლესიის ცხოვრებაა. ჯვარი არის მისადმი მოსავთა საქადელი, რომელმაც გამოგვიხსნა ბოროტის ტყვეობისაგან, განგვარიდა სიკუდილსა და წარწყმენდას. ამიტომაც იყო რომ ჯვარცმისას მორწმუნენი წახდნენ, ხოლო აღდგომისას მათი მწუხარება სიხარულმა შეცვალა. ჯვარმა ადამიანთა ბუნება ანგელოზთა ბუნებას მიაახლოვა და უხრწნელი ცხოვრების ღირსი გახადა, ღვთის მონობიდან ღვთის მეფობრობამდე აღიყვანა. ჯვრის ცხოველმყოფელობით და ძლიერებით ეშმაკი დაეცა და ყოველი მისი მსახური განიბნა. იძალა სიკვდილი და შემოვიდა უკვდავება.

აღმატებული და დიადია ჯვრის საიდუმლოს ძალა, რომელმაც ბნელისგან გამოიყვანა და საუკუნო ნათელს აზიარა ადამიანი, რომელმაც გვასწავლა სამართალი ღვთისა, სიყვარული და მშვიდობა. მოციქულთა სწორმა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა იერუსალიმში ქრისტეს დიდებული აღდგომის სადიდებლად ტაძარი ააშენა, რომელიც თავის კედლებში გოლგოთასაც მოიცავდა და უფლის საფლავსაც. ეს ტაძარი ათი წლის განმავლობაში შენდებოდა. 335 წლის 13 სექტემბერს ტაძარი ქრისტიანულად აკურთხეს. მეორე დღეს მისი კურთხევიდან დაწყებული იქნა დღესასწაული უფლის პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის მსოფლიო ამაღლებისა, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია 14-27 სექტემბერს ზეიმობს.

ჯვრის ამაღლების სადღესასწაულო ღვთისმსახურებაზე სრულდება ე.წ. ჯვრის ამაღლების წესი, შემდეგნაირად:

მწუხრის[1] მსახურების შემდგომ, ჯვარს ღვთისმსახურები ათავსებენ სპეციალურ ლანგარზე და რთავენ მას ყვავილებით. ჯვრიანი ლანგარი იდება საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, იმ ადგილას სადაც დევს ხოლმე წმინდა სახარება (სახარებას გადაადგილებენ იმ დროს მაღალ დასაჯდომზე, შემდეგ კი კმევითა და ლაღობით ჯვარს გამოასვენებენ შუა ტაძარში და ათავსებენ ანალოგიაზე, რითაც მორწმუნეებს საშუალება ეძლევათ ემთხვიონ და თაყვანი სცენ მას). საღმრთო ლიტურგიაზე „საწმინდაოს“ ნაცვლად იგალობება: „ჯვარსა შენსა თაყვანის ვცემთ, მეუფეო, და წმინდასა აღდგომასა შენსა ვუგალობთ და ვადიდებთ“. სამოციქულოდან იკითხება პავლე მოციქულის სიტყვა ჯვრის შესახებ; „რამეთუ სიტყვაჲ იგი ჯვარისაჲ წარწყმედულთა მათთვს ხიელოფე არს, ხოლო ჩვენ ცხოვრებულთა ამათთვის ძალ ღმერთისა არს“. (I კორ. 1, 18) სახარება კი მოგვითხრობს პილატესთან იესო ქრისტეს გასამართლებას და მის ჯვარცმას.

დღესასწაულის შემდგომ, კმევის გასრულებისთანავე, ხდება ცხოველმყოფელი ჯვრის საზეიმოდ აღმართვა და შებრძანება საკურთხეველში, სადაც მას ტრაპეზზე დაასვენებენ.

„ამით სძლიე!“ 1998 წ. გვ. 56-61.

---

[1] მწუხრის ლოცვა აღესრულება საღამოობით, „ცისკრის“ დაწყებამდე. მწუხრი განასახიერებს ძველი აღთქმის დროს სამყაროს შექმნას, პირველი ადამიანების ცოდვით (დამძიმებას) დაცემას, გაძევებას სამოთხიდან, მათ სინანულსა და ლოცვა-ვედრებას უფლის მიმართ. ხსნისა და ცოდვათა მიტევების იმედს და, ბოლოს, უფლის სულგრძელობასა და კაცთმოყვარეობას ახალი აღთქმის დადებით.

2. „განკუნეთ მუჟღუერ“ — შემოდგომის მეორე ნაწილი (ოქტომბრის მეორე ნახევარი და ნოემბრის პირველი ნახევარი)

ამ პერიოდში მართლმადიდებლური კალენდრით აღინიშნება.

14 (1) ოქტომბერი - მცხეთობა - სვეტიცხოვლობა. საფარველი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა.

26 (13) ოქტომბერი - დღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის ხატისა (დაბრძანებულია ფოთში).

31 (18) ოქტომბერი - წმიდა დიდებულისა, მოციქულისა და მახარებლისა ლუკასი (I საუკ.).

21 (8) ნოემბერი - კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ძალთა.

22 (9) ნოემბერი - დღესასწაული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა „მსწრაფლშემსმენელი“-სა.

23 (19) ნოემბერი - გიორგობა.

28 (15) ნოემბერი - ქრისტეს შობის მარხვის დასაწყისი.

დღეობათა ხალხური კალენდრით ამ პერიოდის დღეობებია:

„ლალხორაპლ“ (1 თვე). 1 (14) ოქტომბრიდან 1 (14) ნოემბრამდე

10 (23) ნოემბერი - „მუჟღურეში ლიგიერგი“ (შემოდგომის გიორგობა).

15 (28) ნოემბერი - ქრისდენში ფიჭმი ლუბნა (გიორგობიდან მე-5 დღე, ქრისტეშობის მარხვის დასაწყისი).

„ლალხორაპლ“

სვანური ხალხური კალენდრით, ოქტომბრის პირველში (ძვ. სტ.) იწყება დიდი საუფლო დღესასწაულების პერიოდი - „ლალხორაპლ“. იგი მთელი თვის მანძილზე გრძელდება. ამ თვის პირველი კვირა დღე 1-ლი „ლაპლხორა მიშლადაღია“, მე-2 კვირიაკე - მე - 2 „ლალხორა მიშლადაღი“, მე-3—მე-3 და მე-4—მე-4 „ლალხორა მიშლადაღ“.

სოფელში თუკი ვინმეს ჰყავს „დიდი“ ღმერთისთვის“ „ლგლგენე“ - შესახელებული ზვარაკი, აღნიშნულ კვირა დღეებშია შესაწირი“, რადგან ეს პერიოდი მიიჩნევა საამისოდ საუკეთესოდ. მათგან განსაკუთრებით საუკეთესო და სასარგებლოა მე-3 კვირიაკე—„მენსმე ლალხორაპ მიშლადაღ“. ზვარაკი აუცილებელია დაიკლას კვირა დღეს, თუკი ის დიდი ღმერთის „ლგლგენეა“... თუკი ჯგგრაბგის - მისი შეწირვა აუცილებელია შაბათს, დასაშვებია კვირა დღესაც.

ზვარაკის შეწირვისას აუცილებელია „ტაბგლ“-ების დაცხობა, როგორც ხოშა ღერბეთისთვის, ისე მგქემ თპრინგზელისა და ჯგგრაბგისათვის. (ტაბგლ ამ შემთხვევაში ლემზირთა ნაკრების აღმნიშვნელია).

ხოშა ღერბეთის ტაბგლი შემდეგი შემადგენლობისაა; მუჟეღუ, 4 ცალი სეფსკუერი, + 1 ცალი მუსუპლდი + 6 ცალი ლემზირები, სულ 12 ცალი. ესენი აღნიშნული თანმიმდევრობითაა გამოსაცხობი. (ე. ი. პირველად მუჟეღუ და შემდეგ სხვები...) ჯგგრაბგის ტაბგლი ან ეს შემადგენლობაა, ან 12 ცალი ლემზირი.

მგქემ თპრინგზელის; ერთი ცალი მომცრო ლესკარია, გადაბრუნებული პური, სამლემზირიანი, დაცხობილი ხმიადი ცომისგან („ჭურუდ“).

ლემზირების დაცხობამდე, დილით ძალიან ადრე, „ჩიტების აზვრამდე“, ზვარაკია შესაწირი. სასურველია იგი მხოლოდ ოჯახის მამაკაცებმა შესწირონ, მაგრამ თუკი საამისოდ არ არიან საკმარისი (მაგ. ხარის დაკვლისას!), ოჯახი წინასწარ გააფრთხილებს საძმოსგან იმ პირს, რომელიც ყველაზე ერთგულად მიაჩნიათ საკუთარი ოჯახისთვის. დღევანდელ ყოფაშიც ლალხორთა შეწირვის წესი, ლიმზირების დაცხობაც და მათი აღვლენაც ხდება „ძველი სახლის“ შინაში; ამ სახლს ქალები გაასუფთავებენ - ნაკურთხი წყლით „გააწმინდავებენ“ და დილისთვის სუფთას დაახვედრებენ მამაკაცებს ზვარაკის შესაწირად და წესის შესასრულებლად. მამაკაცები მიიყვანენ ზვარაკს სალოცავ სარკმელთან და ანთებულ 1 ცალ სანთელს მარჯვენა რქაზე დაამაგრებენ, სარკმელზე საკმეველს დაკმევენ და ერთ-ერთი უფროსთაგანი იმ წმინდანის ხსენებით, ვისთვისაც ეს „ლგლგენე“ იყო და იმ პირის ხსენებით, ვისთვისაც ეს „ლგლგენე“ გაიღო ზვარაკად ოჯახმა, (ან მთლიანად ოჯახის მშვიდობიანობისათვის თუ იყო იგი ლგლგენე), აღავლენს ლოცვას.

ლოცვის შემდეგ ამ ხარს მარჯვნივ შემოატრიალებენ და „ყველფზე“-ვე დაკლავენ. ხორცს დაიჩარექებენ და გულ-ღვიძლს სალემზირედ შამფურზე აცმულს ნაკვერჩხლებზე შეწვავენ.

მხოლოდ ამის შემდეგ ინთება ცეცხლი და ქალი იწყებს ლემზირებისთვის სამზადისს. პირველად აცხობს „ხოშა ღერბეთი“-ს ტაბგლს, შემდეგ „მგქემ თპრინგზელის“ და ბოლოს „ჯგგრაბგის“. ამ პერიოდში გულ-ღვიძლიც გამზადებულია შესალოცად და იწყებენ ლოცვის რიტუალს. ისევ მამაკაცი მიგა სალოცავ სარკმელთან და პირველად აღავლენს ხოშა ღერბეთის სადიდებელს. თუკი ზვარაკი ხოშა ღერბეთისაა, მაშინ მის ტაბგლს ემატება გულ-ღვიძლი და ესენი ერთად ზედაშითურთ აღევლინება მას. გობში ჩალაგებული მაღლა აწეული ხელებით სანთელ—საკმეველანთებული, აღევლინება აღნიშნული შესაწირი „ხოშა ღერბეთს“.

ჯგერაგის ტაბლა ოგიგვა რაც ხოშა ლერბეთის — ლაღხორაგლის დღეებში! ან 12 ცალი ჩვეულებრივი ლემზირი.

მგქემ თარინგზელის ტაბგლია ერთი ცალი ლამარინ ლესკარი ჩვეულებრივ ლემზირზე უფრო მოზრდილი ლემზირი

- დიდან ჰჯვად ხოშა ლერბეთ, ფუსდ ნაბუსდიშ ყიბე ლგკლათხე სი ლანეშდ! ნასარ მაგ ისგუ ნაწალ-ლი ი ნიშგუეი ბედქენ მაგ ხოჩა ახწეს დიდაბი ლეკედ. ლანწყალობ ლადი ნიშგუეი ნამზგრ ნაჯგ-რალ, სგუებდ მეზი ნაყრ მალდიან მადილშ გუეში, დიდაბი ლეკედ!

- დიდება მოგსვლოდეს, დიდო ღმერთო, ფუსდნაბუასდიშ ზე ამაღლებულო! წესები ყველა შენი დაწესებულია და ჩვენთვისაც მხოლოდ კარგი დააწესე, გვიწყალობე ჩვენი დღეანდელი ლოცვა, წინმავალი ქენი იგი, მადლიანო მადლით სავსეე, დიდება მოსასვლელო!...

„მგქემ თარინგზელისთვის'' ასე იტყოდნენ, - დიდან ჰჯვად ყიბე ლგკლათხე ფუსდი მგქემ თარი-ნგზელ, ფუსდ ვაზირ ხი ი ფუსდხანქაი ი ისგუ ყერხანქაი მაგ ხოჩა გარ ლანვაზირ ნაი ი ნიშგუეი ქორა მერდე მარა!

- დიდება მოსასვლელო, („დიდება მოგვიდა''.) ზე ამაღლებულო ფუსდი მგქემ თარინგზელო, ფუსდის ვეზირი ხარ და ფუსდისგანაც და შენი ძალისგანაც მხოლოდ კარგი გვივაზირე ჩვენ და ჩვენი ოჯა-ხის წევრს ყველას!...

ფუსდი მგქემ თარინგზელისთვის ზედაშე არ არის აუცილებელი (არ არის საჭირო და იმიტომ!) ჯგერაგისა და ხოშა ლერბეთისთვის კი! ჯგერაგი ლიმზირ შემდეგი მიმართვისაა:

- დიდან ჰჯვად მგერი ჯგერაგს, ყიბე ლგკლათხე, მადლიან მადილშ გუეში, ათფიშირ ნიშგუეი ქორისგა ისგუ მუღუნე ი ისგუ ფაყუა მგგემ დიდაბი ლეკედ მგერი ჯგერაგ!

- დიდება მოსასვლელო, შემოდებელო ჯგერაგო, ზე-ამაღლებულო, მადლიანო, მადლით (სავსეე) აღსავსეე, ამრავლე ჩვენს სახლში შენი დამფიცებელი და შენი ქუდის დამხურავი, დიდება მოსასვლელო, შემოდებელო ჯგერაგო''!..

ლოცვის წარმართვა შეიძლება სხვაგვარადაც. პირველად აღვავლენთ ტაბლებს და შემდეგ გულ-ღვიძლს აღვუვლენთ იმ წმინდანს, ვისთვისაც „ლგლგენე'' არის განკუთვნილი. სეფსკერებისთვის „ღვესე'' (ბადე ქონი) არის გასარევი.

(მიხო დავითის ძე წერედიანი, ეენაში, 1990 წ. 85 წლის).

* * *

„ყოველ დღესასწაულზე, როდესაც ხარი, მოზვერი ან ვერძი დაიკვლება, გააკეთებენ „ტაბგლს", რომელშიც შედის: ოთხი ცალი სეფსკუერი (ოთხშედიანი), ოთხი ცალი მუსუალდი (სახნისის მსგავსი), ერთი მუყელუ (ამობურცული სეფსკუერი), სამი ცალი ლემზირი და „ყეიყე" (სამსხვერპლო საკლავის გულ-ღვიძლი). ამგვარი ტაბგლი განკუთვნილია ხოშა ღერმეთისათვის. მუსუალდი უნდა მოიზილოს წმ. წყაროს წყლით და მის გამოცხობამდე ერთი თვით ადრე ოჯახი „სიწმინდეს" იცავს (ცოლ-ქმრული კავშირის აღკვეთით). მუსუალდს ქალი ვერ შესჭამს, ის მამაკაცების კუთვნილია. რიტუალური პურები შემდეგი სახისანი არიან:

ჩვეულებრივი ლემზირი.

მუსუალდ.

„სეფსკუერ"

ლამარია ლემზირ

„ქრისდე ტაბგლ"

მიცვალებულთა სულებისთვის განკუთვნილი.
ვ. ბარდაველიძის არქივი, 209 ф² საქ. 738, გვ. 180, ქვერიჯა ფარჯიანი.

* * *

ლალხორალ ხოშა ღერბეთი ლიმზირ-ლი. იბნი ჩილად 1 ოქტომბერს – ჯინალენ ი იზგერი 1 ნოემბერს – ჯინალენ. ყეიყი ლიგსენი წეშშ ხაკეჭ მიშლადღარს: პირველ (ეშხუ), მერმე, მესმე, მეშთხუე ლალხორა მიშლადღარს. მაჩენე ლი მესმე. ყეიყი ლაასენენ ლი ლენყე ტაბლარ: მანკყე მუყელუ, ეჩქანღო 4 ცალ სეფსკუერ (ცერა თითით 4 ნაგდევი ზემოდან, გვერდებზე კი 3 ლემზირი), ეშხუ მუსუალდ

, 6 ცალ ან ლემზირ - მაგ 12 ცალ. ალი მაგ ხეკუთუნი ხოშა ღერბეთს ი ხაშხა ხოშა ღერბეთი ტაბგლ. ამუნღო ლი ლენყე ხოხრალა ლესკარ - ჭერუ. ალი ლი ფუსდ მგქემ თარინგზელიშდ ლემზერი. ამუნღო ლენყე ლი ჯგერაგი ტაბგლ ხოშა ღერბეთშალ.

ალარე ლინყალალდ ვან ჩუ ლეგესენი ლი. სეფსკუერილარდ ღვესე ლი ლენჩგდ. ლამზერენ ხოშა ღერბეთს ტაბგლკახან მიჩა ზედან ხაკეჩ, ჯგერაგს - მიჩა. ფუსდ მგქემ თარინგზელს - მამა, მამ ხულუა მიჩ ზედან! ხოშა ღერბეთი ლიმზირ: - დიდან აჯვად ყიბე ლგკლათხე! ხოშა ღერბეთ, ფუსდ ნაბუანდან, ყიბე ლგკლათხე სი ლანედ! ნასარ მაგ ისგუ ნაწას-ლი ნიშგუეი ბედენ მაგ ხოჩა ახწეს.

ფუსდა მგქემ თარინგზელ: - დიდან აჯვად ყიბე ლგკლათხე ფუსდა მექემ თარინგზელს! ფუსდა უაზირ ხი ი ფუსდხანქა მაგ ხოჩა გარ ლანვაზირ ნაი ი ნიშგუეი ქორა მერდა მარა, ი ისგუ ყერხანქაი, მადლიან მადილშ გუეში.

ჯგერაგი ლიმზირ: დიდან აჯვად მგერი ჯგერაგს, ყიბე ლგკლათხე მადლიან მადილშ გუეში, ათფიშირ ნიშგუეი ქორისგა ისგუ მულუნე ი ისგუ ფაყუა მგვემ.

ალიარე ნამზერენღო ყეიყი ყეიყეს ი გუის ყიმგტყაბს ლომზერიდ ეჯ ღერბათ ხედუის ლოლლეგნედ ალ ყეიყ ი ოლიესნედ ალ ლადალ.

საჯხგ გირგვლიანი იფხი. 1995 წ.

დღეობა „ლალხორალ" დიდი ღმერთის სალოცავი დღეობაა. ყოველთვის იწყება ძველით 1 ოქტომბერს და მთავრდება ძველით 1 ნოემბერს. ზვარაკის დაკვლა წესით აუცილებელია პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კვირიაკეს. აქედან საუკეთესოა მესამე კვირიაკე. ზვარაკის შეწირვის დროს აუცილებელია ტაბლები. პირველად მუყელუ, შემდეგ 4 ცალი სეფსკუერი, ერთი მუსუალდი, 6 ცალი ცარიელი ჩვეულებრივი ლემზირი, სულ 12 ცალი. ეს ყველაფერი ეკუთვნის დიდ ღმერთსა და ჰქვია დიდი ღმერთის ტაბლა. ამის შემდეგ დასაცხობია მომცრო ლესკარი ხმიადი ცომით. ეს არის ფუსდ მგქემ თარინგზელის ლემზირი (ტაბგლ). ამის შემდეგ დასაცხობია ჯგერაგის ტაბლა, იმავე შემადგენლობით რაც დიდი ღმერთის ტაბლას გააჩნია. ამათ გამოცხობამდე ხარი უკვე დაკლულია. სეფსკუერებისთვის ბადექონი არის გასარეკი. ლოცვი-

სას ხოშა ღერბეთის ტაბგლს თავისი ზედაშე სჭირდება, ჯგრაგს - თავისი. ფუსდ მექემ თარინგზელს არა აქვს ზედაშე.

დიდი ღმერთის ლოცვა: - დიდება მოგვივიდა ზეამაღლებულო, დიდო ღმერთო, ფუსდო (ბატონო) ქვეყნიერებისაო, ზეამაღლებულო შენ გვიშველე! წესები ყველა შენი დაწესებულია (ყოველი კანონზომიერება შენი კუთვნილია!) და ჩვენზედაც ყოველივე კარგი დააწესე. ფუსდი მგქემ თარინგზელის ლოცვა: - დიდება მოგვივიდა ზეამაღლებულო ფუსდ მგქემ თარინგზელო. ფუსდის ვაზირი ხარ და ფუსდისგანაც კარგი გვივაზირე და შენი ძალისგანაც, მადლიანო, მადლით სავსევ.

ჯგრაგის ლოცვა: - დიდება მოგვივიდა შემცოდებელ ჯგრაგს, ზე ამაღლებულო, მადლიანო, მადლით სავსევ, ამრავლე ჩვენს ოჯახში შენი მაფიცარი და შენი ქუდის დამხურავი (ძე-შვილი იგულისხმება).

ამით ლოცვის შემდეგ ზვარაკის გულ-ღვიძლს შემწვარს (ნაკვერჩხლებზე და აცმულს ხის შამფურზე!) აღვუვლენთ იმ ღმერთს (წმინდანს!) ვისთვისაც იყო შესახელებული ეს ზვარაკი.

* * *

ლალხორა მაწკურ მიშლაადაღ ზორაკ ნამთქვან. ფიკუს მადეგ გიცლაადს ხვაისენიდად. ეჩქანღო ათჯგლოულ - ეშხუ გარ ემაჯ ნემარგოლდეს, ჟანმარგე გიცარ. აღლის ხოშა ღერბათ ხოდსენიდ. ამი ლიწედ ჩის ჩუ ხოშიდდა. ლელუმი ლიზებ მამა. მიჩა ტაბლაშ ი ლესკრი ლიზები დას ხოშიდდა. ტაბგლს ხვანყედ ხოშა ღერბეთი ტაბგლშალ. ხოშა ღერბათს ღვეშგმე ლადაღ ხოდსენიდად გოცს. სგვებნე ლერსგვანხანი ლესგს ლესკარცახან ჟიხვამზგრიდად. აჯაადდ ჟიხოხლინად ყუიჟე-გუის (ჟიმგტყაბს) ტაბგლს ი ზედაშს აშხუდ. ლახე მემზირ სემი ლას, ეჩქას ალიარს ჩუითალიდახ: თითჟინ ხუღუანდახ ი აშხუდ ხამზგრიდახ. ამჟი-ლი ალიარე ლიმზგრი წეს. ფიკუს მანგუეშ იდსენი ლაგურკანქა ი ჯგრაგგნქა.

საჯხე გირგვლიანი - გვიჩიანის 1997 წ. იფხი.

ლალხორის პირველ კვირიაკეს გვჩვეოდა „ზორაკ"-ის გადახდა: თიკანს ან ციკანს დაკლავდით. შემდეგ ვიმკითხავ, მათგან ერთ-ერთის დატოვების უფლება მოგვეცა და მას შემდეგ ვერძს ვკლავთ. მას დიდ ღმერთს ვწირავთ. მისი დანახვა ყველას შეეძლო, ხორცის ჭამა არა. მისი ტაბლის და გულღვიძლის ჭამაც ეკრძალებოდა სხვას. მისთვის ტაბლას ვაცხობთ დიდი ღმერთის ტაბლისნაირად.

დიდ ღმერთს უფლიშის ბოლო დღეს ვწირავთ „გოკ"-ს (ვერძი). მას ზვარაკის წინა მარჯვენა მხარს ლესკართან ერთად აღვუვლენთ. კიდევ აღვუვლენდით გულ-ღვიძლს, ტაბგლს ზედაშესთან ერთად. თუკი მლოცველნი სამნი იყვნენ, გაინაწილებდნენ სათითაოდ და ერთად აღავლენდნენ დიდი ღმერთის ლოცვას. (ზვარაკი ხომ მას ეკუთვნის) ზოგადად ასეა ამათი (იგულისხმება ტაბგლი, ზედაშე, გულღვიძლი) აღვლენის წესი. (ე. ი. ან ერთად ერთი კაცის მიერ, ან ცალ-ცალკე სამი კაცის მიერ!) ფიკუს (თხას) არაფერი არ იკარებს კვირიკესა და ჯგრაგის გარდა.

* * *

„მუჟლურეში ლიგიერგი" (შემოდგომის გიორგობა)

შემოდგომაზე გიორგობის—სასოფლო შეკრება—„ლინზორაალ" იმართება. ამ დღესასწაულისათვის ყოველწლიურად, თემიდან რიგ-რიგობით, ორი კაცი „მელლუა" გამოიყოფა. ისინი ლიგიერგის წინა დღეებში მოსახლეებს შორის შეარჩევენ 3-4 წლიან ვაცს და მის პატრონს გამოართმევენ სასოფლო საკლავად—„ლაყუჟალდ". დღესასწაულის დღეს იგი მიჰყავთ სოფელ მაცხუარიშის მახლობლად სალოცავ ჯგრაგ ჰოკულდაშში და იქ დაკლავენ, საკლავის ტყავს გაყიდიან და მის საფასურად სასოფლო არაყს გამოახდევინებენ. ამ არაყს „ტუფი ნაფას" ეწოდება. ჯგრაგ ჰოკულდაშის სალოცავში ამ დღეს ყოველი ოჯახიდან თითო მლოცველი მიდის ერთი ხაჭაპურით და რამოდენიმე ლემზირით. არაყს, ხორცს და პურებს ერთად დაწყობენ და დაილოცებიან. ლოცვის შემდეგ არაყს აქვე დალევენ... შემდეგ სამსხვერპლოს ლაგაფებად დაინაწილებენ და სახლში წაიღებენ... სამსხვერპლო ვაცის საფასურს მოსახლეობა იხდის ხორბლით, მეორე შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ. ამ დღეს, ისევე როგორც ზაფხულის გიორგობას, ოჯახი დააცხობს ლემზირებს და სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან დაილოცებიან:

- დიდაბ აჯჯად ჯგრაგ ლიგიერგიშს ანჭიდ ფიშირ ლიგიერგი ხოჩა გუჟინ, ათფიშირ ნიშგუედ ქორისგა ისგუ მუღუნე ი ისგუ ფაყუა მგგემ, დიდაბ აჯჯად ჯგრაგ ლიგიერგიშ.

დიდება მოსასვლელო ჯგრაგო ლიგიერგისაო, მოგვასწარი მრავალი ლიგიერგი კარგი გუნებით, ამრავლე ჩვენს ოჯახში შენი მაფიცარი და შენი ქუდის დამხურავი, დიდება მოსასვლელო ჯგრაგ ლიგიერგისაო.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 ф[2] საქაღალდე 679. გვ. 148-150. 1935 წ.
მაცხუარიში გ. გირგვლიანი.

* * *

ლიგიერგის (გიორგობას) პირველ სამ ლემზირს ჯგრაბგს აღვუვლენთ („ლოხლინედ"!), შემდეგს - ჯგრაბგ ჰოკულდაშიშ-ს. ამ დღეს, საერთოდ, ვისაც ჯგრაბგისთვის ზვარაკის (ყუიუ) დაკვლა მოსურვებია, ყველა შესწირავს მას (მაგ ჩაჲსენი). ზვარაკს. შესწირავენ შორს მყოფი ადამიანის (იგულისხმება ოჯახის წევრი: საშოვარზე წასული, ჯარში წასული,...) სახელზე და მშვიდობით მისი ყოფნისთვის ანდა ზოგადად სახლში მყოფი ქუდის დამხურავი კაცის სვეა და მშვიდობით არსებობისათვის. ვისაც ჯგრაბგის სახელზე ლოცვა მოსურვებია (ლიმზირ ხეჭკერი), ყველა მიდის ამ დღეს ჯგრაბგის ეკლესიაში სალოცავად (ჰოკულდაში ჯგრაბგთეკონ).

- ჯგრაბგ ჰოკულდაშიშ, ჟიბე ლეკლათხე, ქადს ნოსა ადქადნა ნიშგუეჲ ფაყუა მგგემ მაწრე, ხუიუს გარ ათხუიუ დიდაბი ლეფედ, ათფიშირ ნიშგუეჲ ქორისგა ისგუ მუღუნე, ისგუ დიდაბი მექვისგ დიდაბი ლეფედ.

- ჯგრაბგ ჰოკულდაშისაო, ზეამაღლებულო, შეცდომაში არ შეიყვანო ჩვენი ქუდოსანი, სამართლიანად აცხოვრე დიდებულო, ამრავლე ჩვენს სახლში შენი მაფიცარი და შენი დიდების მთქმელი, დიდებულო!

სალოცავში წასაღებია ცარიელი ლემზირები (კუაბ ლემზირალ), თუ გექნება, „ხორციანი ლემზირებიც" (კუბდი ლემზირალ), ზედაშე და სანთელი. უწინ , ჩვენ, იფხელებმა, „ლაყუეალ" (დღეობა ზვარაკის შეწირვით!) ვიცოდით. ლიგიერგის ვერთიანდებოდით მთელი საგვიანო, დღეს არ ვმართავთ („ჩაქრიცხ").

მაცხუარიშელები სასოფლოდ დღესაც შესწირავენ „ყუიყს" ჯგრაბგს. საამისოდ აუცილებელია ვაცი („ფიკუ"), ვერძი („გიცარ") ხბო („ღუნ"). მამალი (მამილ) არ შეიძლება, იგი ჯგრაბგ უღულაშისათვის არის მხოლოდ შესაწირი!

ვაცის და ვერძის შეწირვა ეკლესიის ეზოში დაშვებულია, ხბოსი - არა. იგი ცოცხლად უნდა „აღევლინოს" (შეეწიროს) ჯგრაბგს აქ, სალოცავში და მხოლოდ შემდეგ იქნეს ოჯახში დაკლული. შინ დაკვლის შემდეგ გულ-ღვიძლი უნდა აიტანონ სალოცავში ან ჯგრაბგის ტაბგლთან ერთად ალავლინონ შინ. ტაბგლს აცხობდა ის ოჯახი, რომლისგანაც ყუიყს იყიდიდნენ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ოჯახი მაცხუარიშში მცხოვრები იყო და შედიოდა ამ მოდღესასწაულეთა წრეში. თუ ეს ასე არ იყო, ტაბგლს აცხობდა ის ოჯახი, რომელიც მორიგე იყო სოფლის მასპინძლობისას.

სალოცავში წამსვლელ ოჯახს (იმასაც კი, რომელი გვარიც სასოფლოდ დღესასწაულობს) მიჰქონდა „ლესკარი"და ლემზირები. ლესკარის რაოდენობით ("შესაბამისად ოჯახის რაოდენობით) ნაწილდება ხორცი ლაგაფებად. (ლაგაფ - ხორცის ნაწილი, ოჯახისთვის განკუთვნილი. იგი ყველასათვის ტოლია) ლოცვა ხდება სოფლისთვის:

- ჯგრაბგ ლიგიერგიშ სი ლანეშდ ნაჲ სოფელს, ათფიშირ ნიშგუეჲ სოფელისგა ისგუ მუღუნე, ქადს ნოსა ახხვია, ხვივს გარ ახხუიუ დიდაბი ლეფედ!

ლოცვის დამთავრების შემდეგ დასხდებოდნენ პურის საჭმელად („ლაუტბაგალდ"). ზვარაკის ტყავს სასმელზე გაცვლიდნენ, იმღერებდნენ „ჯგრაბგიშს", „ო, ქრისდეშს" და „კვირიას" საგალობლებს.

საჯხგ გირგვლიანი გვიჩიანის. 1997 წ. ლატალი, იფხი.

* * *

კვირია რაღაც ისეთი ღვთაებრივი ძალა იყო, რომლის სახელზე მთელ სვანეთში სადიდებელი საგალობელი არსებობდა. ამ საგალობლის გარეშე კვირიას სახელზე ლოცვა-ვედრება არ იცოდნენ, მას დახმარებას არ შესთხოვდნენ, მხოლოდ წყევლის დროს თუ იტყოდნენ „კვირია გქონდესო" და მაწყევარი ფიქრობდა მის მიერ დაწყევლილი პირი, რომელსაც კვირია მიაკუთვნა დაიწყევლებოდა, დაიღუპებოდა. ხშირ შემთხვევაში კვირია კაცის სახელწოდებას წარმოადგენდა. სხვაფრივ კვირიას ხსენება სვანეთში არ იყო. სვანებმა არ იცოდნენ კვირია კეთილი ღვთაება იყო თუ ბოროტი. კვირიას სადიდებელ საგალობელს მხოლოდ დღესასწაულებში გალობდნენ დიდი მოკრძალებით. სხვა დროს კვირიას საგალობლებს ვერავინ წარმოსთქვამდა. როდესაც რაიმე დღესასწაული ტარდებოდა, საერთოდ ლხინის დაწყების წინ, პირველად მთელი მოდღესასწაულე ხალხი ლიღულაის წესს შეასრულებდა - დაიჩოქებდა და ქუდმოხდილი მოწიწებით კვირიას საგალობელს მოისმენდა. კვირიას სადიდებელ-საგალობელი წაადავდა მიცვალებულის გასვენების დროს სასიმღერო ზარს, ანდა უკეთ რომ ვსთქვათ, მგლების ღმუილს გაურკვეველი სიტყვებით და არა სიმღერა - გალობას. კვირიას საგალობელს მოხუცები გალობდნენ. მაგრამ ყველა მოხუცებულმაც არ იცოდა კვირიას გალობა. აქა-იქ თუ მოიძებნებოდა, მისი მცოდნე პირები.

ვ. ბარდაველიძე არქივი, 208 Φ^2 საქ. №90, გვ. 52 (რვ. VII გვ. 86-87 არსენ ონიანი, მითოლოგია.

* * *

მუჟღურეში ლიგიერგის მაცხვარაშალ (მაცხვარიშის თემი: ძირითადად გირგვლიანები) აშხუდ ხვიმზირდ. ყუიჟ ანლუა ჯგერაშგთეენ (ჰოკულდაში ჯგერაშგ) შყალრაალ მინოუშ იყდიხ ყუიჟს, ნაჟ ნიშგუეიშ ლეჰნა ნაჟ სოფელდ დეშ ჩემინდ ლიმზირ, დეჟ ლიგიერგის ი, დეჟ ნალგიერგი დეშდიშს. ამლა ნაჟ ამზაუ იორი ყუიჟ ახუყიდდ - ეშხუ ლეჰნაშდ ი ეშხუ ამზავიშდ. ყუიჟ ხეკუეს ლესეს ედ ფიკუ, ედ გიცარ, ედ ხაბნა. ამზაუ ხაყანდახ გიცარ ი ხაბნა - ფიკუ დეშ ადთგმეხ. წეს ეშხუ ყუიჟ გარ-ლი.

შყალრაალს სოფელისგა ხოგხ კვერხი ჯგერაშგ ი ეჩხაუ ესღრიხ ლამზერთე აღლ ლადაღ. თამლიანარ მშმ ლიხ ჯგერაშგი მრალ ი მშმ ხამთქუახ ალი. მინე მინოუშ ლახ ანჴდენიხ ლადბაშთე მერმე გუარშალ ედო ყვიჟთუ მშმ ნატყუბახ, იშგანთე სგა ნატყუბახ მაგალითად, „ლიწფელითე“ (აქ საუბარია სოფ მაცხვარიშში მცხოვრებ გვარებზე). დეჟ გუიჩიანარ ლიხ ჯგერაშგი მრალ. ჯგერაგთეენ ლიგიერგი ლადღი ლესფალ ყუიჟშ გირგულიანარგნქა დარ ესღრი. მერმე გუარშუ ესღრიხ მინე ზედაშს, სანთელშ, ლემზირალშ. ლახე ოჯახს ქორს ხაყა ყუიჟ ჯგერაშგიშდ, ეჯი მაიმიზეზ ჟიჴიდე.

„ლამზერიაშ მშმ იღრალოლი აღ ლადაღ - მშმ ხოხახ ი ეჯღა. ალის ტულიხ ლაჰილს - ლიქურეშის ი ლიჴდუშის. იღრალხ ჩრღად ჯგერაშგიშს. „ო, ქრისდენშ“ ლიგიერგის მშმ იქრლი ეჩგნქა ლაჰლა თახაშს ადუ.

ჯგერაშგთეენ ლესფალ ყუიჟს ადნეხ ადორი მრე. ლეტრა ჟიხოსყენეხ ნებგუაჟენ, ჟიხოსპუნეს ღენბათ (ჯგერაშგს). ალიარს დეჟ ლემზირ ხულუახ ი დეჟ ზედაშ. ეჯიარ მინე - მინრუშ ახღუახ ქორხანშ. ყუიჟს ხოსპუნეხ სოფლი ჟახაენ: მინე ხოჩა ლირდეხანშ. ნამზერუნღო ჟიიყუბიხ მაგ ეჯ ქორისგა იმაჟ ლიქურეში ჩემინხ. ამხაუ ჴიდეხ მინე-მინე ზედაშს ი ლემზირს. ამეჩუნ ადსენიხ ყუიჟს, ჟიხოზნანიხ ლელუს ი ჩუმესდე ლაგაფს ადნეხ ქორთე.

მარო გირგვლიანი. 1995 წ. მაცხვარიში.

მაცხვარიშელები შემოდგომის გიორგობას ერთად ვდღესასწაულობთ. შყალერის ხალხი ერთად ყიდულობს ზვარაკს ჯგერაგისთვის, ჩვენ მაცხვარიშელები ერთად. შარშან, მაგალითად, ჩვენ ვერ შევძელით ლიმზირ ლიგიერგისი, ვერც ლიგიერგის დღეს და ვერც „ნალგიერგი დეშდიშ“-ს, ამიტომ წელს ორი ზვარაკი ვიყიდეთ, ერთი შარშანდელისთვის, ერთიც წლევანდელისთვის. ზვარაკი უნდა იყოს ან ვერძი, ან ვაცი, ან ხბო. ჩვენ წელს ზვარაკად შევსწირეთ ვერძი და ხბო, ვაცი ვერ იშოვეს. ორი იმიტომ, რომ წინა წელს ვერ გადავიხადეთ დღეობა და ვერ შევწირეთ ზვარაკი. წესით გიორგობის დღეს ერთი ზვარაკია საჭირო.

შყალერის მოსახლეობა იკრიბება ამ დღეობისას თავის სალოცავში - კვერხი ჯგერაშგ-ის ეზოში. სოფლის შუაგულში დგას იგი. ჩვენ კი ზვარაკი მიგვყავს ჰოკულდაში ჯგერაშგის სალოცავში. თამლიანების გვარი არ არის ჯგერაგის სამწყსოსი (ჯგერაშგი მარალ!) და ამიტომ ამ დღეობისას ჩვენთან ერთად არ არიან. ისე მთელს ლატალს და მთელს სვანეთს შეუძლია აქ სალოცავად მისვლა და ზვარაკის შეწირვა! (მინე მინრავშ ლახ ანჴდენიხ ლადბაშთე მერმე გვარშალ ედო ყვიჟთე მშმ ნატყუბახ) სხვა დღეობებში რომელსაც გირგვლიანები მაცხვარიშის სხვა მოგვარეებთან ერთად აღვნიშნავთ, მაგალითად, „ლიწფელისას“, ზვარაკის ყიდვაშიც ისინიც ჩვენთან ერთად მონაწილეობენ. არც გვიჩიანები არიან ჯგერაშგის სამწყსოსი. ამიტომ აქ ისინიც არ დღესასწაულობენ საერთო ზვარაკით. მოდიან მხოლოდ თავ-თავიანთი ზედაშით, ლემზირებით, სანთლებით და თუკი ოჯახს სურს საკუთრივ ზვარაკის შეწირვა, შესწირავენ მას აქ. წესია ზვარაკის ცოცხლად შეწირვა, მას მარჯვნივ შეატრიალებენ ლემზირების გარეშე, შუბლზე დამაგრებული სანთლით და ცოცხალსვე წაიყვანენ შინ, იქ დაკლავენ. მაგრამ თუკი ვინმემ მოისურვა სალოცავში მისი დაკვლა, იკვლება იგი ეკლესიის ეზოს გარეთ, ცოცხლად შეწირვის შემდეგ. აქვე ადავლენენ საკლავის გულ-ღვიძლსაც.

ზვარაკს აიყვანს მოდღესასწაულეთაგან ორი კაცი ჯგერაშგის სალოცავში, სანთელს გაუკეთებენ (მიამაგრებენ) შუბლზე, შეატრიალებენ მას მარჯვნივ ჯგერაშგის სახელზე და იტყვიან, რომ ეს არის ზვარაკი გირგვლიანების გვარის და მიიღე იგი შენს შესაწირად. ამ დროს მათ არც ლემზირები აქვთ და არც ზედაშე. აღნიშნულის შემდეგ წამოიყვანენ ზვარაკს და მიიყვანენ მას იმ ოჯახში, სადაც აღნიშნეს ლიქურეშის დღესასწაული. აქვე მოიყრიან ყველანი თავს თავიანთი ზედაშით და ლემზირებით. ზედაშე და ლემზირები მოაქვთ ცალ-ცალკე საკუთარ ოჯახიდან ოჯახის ერთ-ერთ წევრს, უფროს ქალს ან მამაკაცს. აქ დაკლავენ ზვარაკს, მოუვლიან ხორცს, მოხარშავენ, დასხდებიან ერთად და იზეიმებენ გიორგობის დღეს.

დღეობისას, როგორც სალოცავში, ისე ოჯახში, სადაც მისი აღნიშვნა ხდება, იმღერება საგალობელი—სადიდებელი „ჯგერაშგიშ“. „ო, ქრისდენშ“, ამ დღეს არ იმღერება. „ლამზერიაში“-ს „თქმა“ აუცილებელია მაგრამ მისი მცოდნენი უკვე არ არიან. სადიდებლები აუცილებელია ყველა დღეობისას, მაგრამ ძველები მიდიან და ახლებმა არ იცან. „ლამზერიაშ“ აუცილებელია „ითქვას“ ლაჰილს დღეობისას ლაჰლა თახაშს რომ ვეძახით მაშინ, ლიქურეშისა და ლიჴდუშიშას, „ფუსდა ჯანი ლითუალისას“, უფლიშიერისას, ლიმხერისას, ლითნაღისას—ყველა დიდ დღეობებისას, მაგრამ დღეს სამწუხაროდ, მისი მცოდნე ერთი-ორი კაცი თუა ლატალში.

* * *

ლიგიერგი ხეხოლი ჟეშდჟონ (ძვ. სტ. 10 ნოემბ). ᲐᲚ ᲚᲐᲓᲐᲒ ᲛᲬᲜᲙᲢᲘ ᲚᲔᲛᲖᲘᲠᲐᲚᲡᲚ ᲯᲒᲠᲩᲒᲡ ᲚᲝᲮᲚᲘᲜᲔᲓ, ᲔᲩᲭᲐᲜᲚᲠᲔᲨᲡ ᲯᲒᲠᲩᲒ ᲰᲝᲙᲣᲚᲓᲐᲨᲘᲨᲡ. ᲐᲚ ᲚᲐᲓᲐᲒ ᲔᲠᲢᲐᲔᲐ ᲯᲒᲠᲩᲒᲘᲨᲓᲔ ᲧᲣᲩᲘᲐ ᲚᲘᲒᲡᲘᲜᲘ ᲮᲔᲭᲙᲠᲘ - ᲛᲬᲒ ᲩᲐᲔᲡᲘᲜᲘ. ᲐᲘᲡᲘᲜᲘᲛᲬᲮ ᲯᲠᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲓᲘ ᲛᲬᲠᲔᲛᲘ ᲟᲐᲮᲐᲟᲘᲜ Ი ᲨᲘᲓᲑᲐᲮᲬᲜ, ᲛᲐᲮᲔᲚᲢᲐᲟᲘ ᲡᲔᲢᲬᲜ Ი ᲨᲘᲓᲑᲐᲮᲬᲜ.

ᲔᲡᲗᲐᲔᲐ ᲚᲘᲛᲖᲒᲠ ᲮᲔᲭᲙᲠᲘ ᲛᲬᲒ ᲟᲔᲡᲚᲠᲘ ᲐᲚ ᲚᲐᲓᲐᲒ ᲯᲒᲠᲩᲒᲗᲔᲟᲘᲜ. ᲛᲘᲩᲘ ᲚᲘᲛᲖᲘᲠ ᲐᲛᲟᲘ ᲚᲘ: - ᲯᲒᲠᲩᲒ ᲰᲠᲝᲙᲣᲚᲓᲐᲨᲘᲨ, ᲟᲘᲑᲘ ᲚᲒᲙᲚᲐᲜᲘᲑ, ᲩᲐᲓᲚ ᲜᲝᲡᲐ ᲐᲗᲩᲐᲓᲐ ᲜᲘᲨᲒᲣᲔᲐ ᲚᲔᲓᲐᲧᲣᲜ, ᲮᲣᲘᲣᲡ ᲒᲐᲠ ᲐᲗᲮᲣᲠᲘᲣ - ᲓᲘᲓᲘᲑᲘ ᲚᲔᲒᲔᲓ. ᲚᲔᲔᲜᲔ ᲚᲘ ᲚᲔᲛᲖᲘᲠᲐᲚ ᲙᲐᲑᲨᲘ Ი ᲙᲣᲑᲐᲓᲨᲘ, ᲖᲔᲓᲐᲨᲘ, ᲡᲐᲜᲗᲔᲚ. ᲐᲗᲮᲐᲓ ᲜᲐᲔ ᲚᲘᲧᲣᲟᲐᲚ ᲜᲐᲛᲗᲭᲠᲐᲜ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ - ᲡᲒᲠᲘᲩᲘᲜᲜᲒᲡ, ᲛᲐᲠᲔ ᲩᲐᲭᲘᲪᲮ. ᲧᲣᲘᲟᲘᲜᲐᲭ ᲮᲐᲟᲘ ᲤᲘᲙᲣᲡ, ᲒᲘᲪᲐᲠᲡ, ᲝᲠᲜᲡ, (ᲛᲐᲛᲘᲚ ᲯᲒᲠᲩᲒ ᲣᲝᲡᲚᲐᲨᲘᲨᲓ ᲒᲐᲠ ᲘᲧᲣᲟᲘ). ᲒᲘᲪᲐᲠᲡ Ი ᲤᲘᲙᲡᲡ ᲯᲒᲠᲩᲒᲛᲒᲧ ᲚᲔᲓᲡᲘᲜᲘᲓ ᲩᲣᲮᲐᲧᲐ. ᲝᲠᲜᲡ ᲛᲬᲛᲐ. ᲯᲒᲠᲩᲒᲘ ᲢᲘᲑᲒᲚᲪᲐᲮᲬᲜ ᲚᲬᲛᲗᲠᲘᲜ ᲓᲘᲓᲘᲑᲘ ᲚᲔᲒᲔᲓ. ᲚᲔᲔᲜᲔ ᲚᲘ ᲚᲔᲛᲖᲘᲠᲐᲚ ᲙᲐᲑᲨᲘ Ი ᲙᲣᲑᲐᲓᲨᲘ, ᲖᲔᲓᲐᲨᲘ, ᲡᲐᲜᲗᲔᲚ. ᲐᲗᲮᲐᲓ ᲜᲐᲔ ᲚᲘᲧᲣᲟᲐᲚ ᲜᲐᲛᲗᲭᲠᲐᲜ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ - ᲡᲒᲠᲘᲩᲘᲜᲜᲒᲡ, ᲛᲐᲠᲔ ᲩᲐᲭᲘᲪᲮ. ᲧᲣᲘᲟᲘᲜᲐᲭ ᲮᲐᲟᲘ ᲤᲘᲙᲣ

4 (17) დეკემბერი - „ბარბლუშ“ (ბარბალობა).
10 (24) დეკემბერი - „ჟანუშ“.
კვირა - ქრისტეშობის მარხვის ბოლო კვირა დღე - „ლივრუში“. (მაცხვარიშის თემში).
24 (6 იანვარი) დეკემბერი - „შობ“ (კორკოტობა).
25 (7 იანვარი) დეკემბერი - „ქრისდეშობ“ (ქრისტეს შობის დღე).
„ნალგიერგი დეშდშარ“ - გიორგობის მომდევნო ორი ორშაბათი.

„ქრისდეში ფიჭშ“
(25 ნოემბერი - 7 იანვარი)

შემოდგომის გიორგობის შემდეგ (ძვ. 15 ნოემბ. ახ. 28 ნოემბ) იწყება ქრისტეშობის ექვსკვირიანი მარხვა. კვირა დღე არის „აღება“ შობის მარხვისა. ხოლო, ორშაბათი ქრისდეშობის მარხვის დასაწყისი. შობის მარხვის აღება ღამეს (სვ. ლიუჭმაწლ-ს ე. ი. კვირას) ვამზადებთ მკვდრის საკურთხს ხსნილით („ლიფაწნე ოხდრიშშ“). ამის შემდეგ მანამ, სანამ მარხვა დამთავრდება „ლიფაწნეც“ და „ლიმზირიც“ მხოლოდ ცარიელი ლემზირებით და სამარხვო საჭმლებით შეიძლება.

ქრისდეშობის მარხვის პერიოდში ხვდება რამოდენიმე მყარი დღესასწაული. ესენია: „ნალგიერგი დეშდშარ“ (გიორგობის შემდეგ მოსული ორი ორშაბათი.) „ტაძრობ“, „ბარბლუშ“, „ჟანობ“ და „ლივრუ-ში“: - სასოფლო დღესასწაული მაცხვარიშის თემში.

შობის მარხვა გრძელდება 28 ნოემბრიდან 7 იანვრამდე, როდესაც ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ხორციელად შობას. („ეკლესია სარგებლობს ძველი კალენდრით; 7 იანვარი არის 25 დეკემბერი ძველი და ჭეშმარიტი კალენდრით! - ახალციხის ეპისკოპოსი მეუფე ნიკოლოზი).

„ნალგიერგი დეშდშარ“.

„ნალგიერგი დეშდშარ“ არის გიორგობის შემდეგი ორი ორშაბათი. ლატალელები პირველ და მეორე „ნალგიერგი დეშდიშს“ „ჰოკულდაში ჯგრუგის“ სალოცავში მიდიან. მიდიან ის ოჯახები, ვინც ვერ შეძლო გიორგობის დღეს სალოცავში წასვლა. („წყლიან მაწმ ლუსხ“) სალოცავში მიაქვთ ლემზირები - მხოლოდ ცარიელი, არც ყველიანი და არც ხორციანი (მარხვის გამო), ზედაშე და სანთლები. სალოცავში მიდიან ქალებიც და მამაკაცებიც. ამ დღეების ლოცვა ისეთივე ძალისაა, რაც თვით გიორგობის დღის სიწმინდეს გააჩნია. ე. ი. გიორგობა სვ-ში იდღესასწაულება 3-ჯერ; თვით გიორგობის დღეს და მას მოყოლებულ ორ ორშაბათს—ზედიზედ. ეს წესი ვრცელდება გაზაფხულის გიორგობაზეც (6 მაისი), ანუ მასაც გააჩნია „ნალგიერგი დეშდშარ“ („არ“ - მრ. რიცხვის სუფიქსია).

„ტაძრობ“

ქრისტეშობის მარხვის ერთი კვირის გასვლის შემდეგ, ანუ პირველ კვირა დღეს არის მყარი დღესასწაული „ტაძრობ“. ხალხური ტრადიციით ამ ღამეს მზადდება სახსნილო საკურთხი გარდაცვლილთათვის („ოხდრიშშ“), სხვა რამ ამ დღისთვის არ არის დამახასიათებელი.

ტაძრობიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ (მეორე კვირის ბოლოს) არის ბარბლუშ. ბარბალობის ღამეს (ბარბაალ ლუთ) ყველას აქვს გუბიზ-ი. „უწენად ლიმზირ-ლი გუბიზ“ - უწენად ლოცვა არის გუბიზი. („უწენა“ - საიდუმლო“ სხვისთვის არ დასანახი - აკრძალული). (საჯხე გირგვლიანი იფხი). ე. ი. გუბიზ ხალხური ტრადიციით არის:

1) საიდუმლოდ ლოცვის წესი; უწენად ლოცვის წესი. (იგულისხმება მთლიანად მისთვის საჭირო რიტუალური პროცესი!).

2) სალემზირე ფქვილი - სარიტუალო ფქვილის მარაგი: ლამარიშ გუბიზ || ლამარიშ ტაბლუშ.

3) გუბიზ - სააბალწლო სარიტუალო ნივთის მრავალკვირტიანი თხილის ტოტის საკრალური სახელწოდება. სიუხვის სიმბოლოა იგი რიტუალისას.

გუბი - სვ-ად არის გული. „ბ“ - ზმნა და ნიშნავს „არის“, „იმყოფება“, „არსებობს“. გუბი ჲ ყუიქე - ზვარაკის ის აუცილებელი ნაწილებია, რომლებიც აღევლინება წმინდანს ლემზირთან ერთად (გულ-ღვიძლი). სხვა რამ ზეციურის აღსავლენი ზვარაკის ნაწილიდან არ არის განკუთვნილი. არც ერთ შემთხვევაში არ ფიგურირებს სისხლი შესაწირად - აღსავლენად. ერთ-ერთი შემთხვევაა „ზისხარების“ არსებობა და ისიც მხოლოდ გარდაცვლილთა ტაბლის კუთვნილებაა. ყუიქე - ღვიძლია. ყუიჲ არის თვით ზვარაკის სახელწოდებაც. ეს აზრობრივი და ფონეტიკური კავშირები შემთხვევითი არ არის. ისინი საბოლოოდ ზეციურის მიერ ყოველივეს მფარველობას და მისგან მომდინარეობას უკავშირდებიან, ამ იდეასა და სივრცეში ექცევიან. ჩანს, ძველ ქართველთა რიტუალური ენა თავადაა უამრავი რამის (საიდუმლოს) მთქმელი.

ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა

21 ნოემბერი (4 დეკემბერი)

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებას მართლმადიდებელი ეკლესია ძვ. სტილით 2 ნოემბერს (ახლით 4 დეკემბერს) აღნიშნავს.

როცა მარიამს სამი წელი შეუსრულდა, მისმა მშობლებმა ღვთისთვის მიცემული აღთქმა შეასრულეს. უხმეს ნათესავ-ახლობლებს, პატარა მარიამი საუკეთესო შესამოსელით შემოსეს და გალობითა და ანთებული სანთლებით ხელში იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. აქ მარიამს მღვდელმთავარი შეეგება მრავალრიცხოვანი სამღვდელო დასით. ტაძარში შესასვლელად 15 საფეხურიანი კიბის ავლა იყო საჭირო. როცა პატარა მარიამი პირველ საფეხურზე დააყენეს, მან, მიუხედავად თავისი ბავშვური ასაკისა, სწრაფად და დამოუკიდებლად აირბინა კიბე. მღვდელმთავარმა სულიწმინდის კარნახით, იგი წმიდათა-წმიდაში შეიყვანა, სადაც მხოლოდ თვითონ შედიოდა წელიწადში ერთხელ სამსხვერპლო სისხლით. ეს იყო აღსრულება ერთგვარი წინასწარმეტყველებისა: მოსეს დროს აგებული მოძრავი კარვით წმიდათა-წმიდაში შეტანილ იქნა სჯულის კიდობანი, აღთქმის ფიცრებით, აარონის კვერთხი და ტაკუტი (მომცრო ზომის ოქროს ჭურჭელი) მანანით (ზეციური პურით). მარიამის წმიდათა-წმიდაში შესვლისას ებრაელთა ეს უძველესი სიწმინდენი იქ უკვე აღარ იყო, რადგან ღვთის რჩეულმა ერმა იგი თავისი ცოდვების გამო დაკარგა. მაგრამ ყოვლადწმიდა მარიამის შესვლით ყველაფერი შეივსო, რადგან ღვთისმეტყველთა განმარტებით, ღვთისმშობელი ის ტაკუტია, რომელმაც ზეციური პური დაიტია. იგი აარონის კუერთხია, რომელიც უსხმელი ტოტისგან, ბერწი მშობლებისგან, აღმოაცენა (ძველ აღთქმაში ცნობილია აარონის კვერთხის აყვავება) და ბოლოს, იგია სჯულის კიდობანი, როგორც დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „აღდეგ, უფალო, განსაკუთრებულად შენდა, შენ და კიდობანი სიწმინდისა შენისა“ (ფსალ 131. 8).

მარადქალწულმა მარიამმა თერთმეტი წელი დაჰყო ტაძარში. იგი იზრდებოდა კეთილმსახურ ქალწულთა წრეში, კითხულობდა საღვთო წიგნებს, ხშირად იყო დაკავებული ხელსაქმით, განუწყვეტლივ ლოცულობდა და ღვთის სიყვარულით სულდგმულობდა.

ღვთისმშობლის მიერ „ცხორებად იქმნა ძეთათვის კაცთადსა“. თუ ევას შეცდომებით წყევა შემოვიდა ამქვეყნად, ღვთისმშობლის მეოხებით კურთხევა მოგვენიჭა. ყოვლადწმიდა ქალწულმა დაუტევნელი დაიტია. დაიტია ის, რასაც ცანი ვერ იტევენ, რომელმაც აღიღო შეცდომანი კაცთანი და ჯვარს ეცვა ჩვენთვის.

იხარებს მართლმადიდებლური ეკლესია, რამეთუ ღვთისმშობლის მიერ განხორციელდა ძე ღმრთისა, უძლურთა შემწე, დაცემულთა სულისა მპყრობელი, ჭირვეულთა ნუგეშის მცემელი, ცოდვილთა მწყალობელი და საუკუნო სასუფევლის მომნიჭებელი.

„ამით სძლიე!“ 1998 წ. გვ. 62-64.

* * *

ბარბლაში წარმოადგენდა საქონლისა და ადამიანის ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ განკუთვნილ უქმე სადღესასწაულო დღეს.

ჯერ კიდევ ლეწვის დროს გადაარჩევდნენ საუკეთესო ხორბალს, დაფქვავდნენ და ცალკე კიდობანში შეინახავდნენ სხვადასხვა დღეობაზე ლემზირების გამოსაცხობად. ამ ფქვილის და მისგან გამომცხვარი კვერების ნახვა და, მით უფრო, მათი შეჭმა არავის შეეძლო ოჯახის წევრების გარდა, ხოლო ოჯახის წევრებიდანაც არ აჩვენებდნენ იმ პირებს, რომლებიც ახალი წლის წინა ღამეს ოჯახში არ ყოფილან და მისი წეს-ჩვეულების შესრულებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ საიდუმლო ხორბლის ფქვილს გუბიზ-ს ეძახდნენ, ხოლო მასთან დაკავშირებულ საიდუმლო წეს-ჩვეულებას და გუბიზით გამომცხვარ კვერებს ეწოდებოდა.

ბარბლაშ საღამოს მერბიელი გუბიზისგან ოჯახის სულზე თითო ლემზირს გამოაცხობდა. ამ ლემზირებს სამ-სამი ცალი კუნუბო ჰქონდა გაკეთებული. სახლის უფროსი (ხოშა მარე) დააწყობა მათ კარუაზე ან გობზე, აიღებდა მას ხელში, მივიდოდა მაჩუბის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ ილოცებდა:

– დიდაბ აჯვაკ ბარბოლს, ბარბოლ, მასტუნ ნოსა ნაყრი მარა ი ქულუმგენა.

– დიდება მოგსვლოდეს ბარბოლს! ბარბოლ, ტკივილს ნუ მოგვცემ ადამიანს და საქონელს.

ლემზირების გამოცხობისას და ლიმზირის დროს არ შეიძლებოდა არც გარეშე პირისა და არც ოჯახის იმ წევრთა დასწრება, რომლებიც შეშხუამ-ს სახლში არ შეგებებოდნენ. კიდევ მეტიც, ამ დროს გარედან სახლში უცხო პირების ხმა არ უნდა შემოსმოდათ, რისთვისაც ოჯახი წინასწარ იღებდა ზომებს—გარეთ დააყენებდა ყარაულს, რომელიც უცხო პირს სახლის მახლობლად არ გააჩერებდა.

ნავახშმევს ოჯახის მამრობითი სქესის ბავშვი გავიდოდა გარეთ და სანეხვის სარკმლიდან შესძახებდა შინ: ნავახშმევის პური გამოაცხვეთო. ამ სიტყვების გაგონებისას წამოდგებოდა დიასახლისი (მერბიელი), კერიაში ცეცხლს შეუმატებდა და გამოაცხობდა ყველიანებს, რომლითაც ოჯახი ამავე ღამეს იხსნილებდა.

ვ. ბარდაველიძე სვ. ხალხ. დღ. კალენდარი, 1939 წ.
1935 წ. აგვისტო, მაცხვარიში,
მთხრ. 57 წლის გიორგი გირგვლიანი. გვ. 20-21.

* * *

„ტაძრობის“ შემდეგ აღინიშნება მყარი დღესასწაული „ბარბლაშ“. ტრადიციით ეს დღეობა იუქმება სამი დღე. პირველ დღეს „თხრმ ბარბლაშ“-ს ეძახიან. ლატალში უმეტესობას ამ სამი დღის მანძილზე აღკვეთილი აქვს ჭამა. ამ დღეებში ჭამამ სახეზე გამონაყარი და ჩირქიანი ავადმყოფობა იცისო. განსაკუთრებით ბავშვებს იცავენ მისგან.

„თხრმ ბარბლაშს“ გუბიზისაგან ლემზირებს დავაცხობდით ოჯახის წევრთა მიხედვით. ამ ღამეს საქონლის მკვებავისთვის (მენენ) ცალკე დასაცხობია ხაჭაპური და იგი მანვე დარბაზზე უნდა აიტანოს და იქ აღუვლინოს ბარბოლს. აღვლენის შემდეგ ეს ხაჭაპური მას აქვე უნდა შეეჭამა. ხშირად საამისოდ „მენენ“ ბავშვებსაც აიყვანდა დარბაზზე. აქ ლოცვისას იგი იტყოდა: - დიდაბ აჯვად ბარბოლს, მახერახან, მაშდახან, ქულუმგენმი კვადხან, მწრემი მასტენხან ლანგნთხილ დიდაბი ლეკედ! - დიდება მოგსვლოდეს, ბარბოლ, მუნისგან, გამონაყრისგან, საქონლის ზარალისგან, ტკივილისგან დაგვიცავი დიდება მოსასვლელო!

ამის შემდეგ ოჯახის უფროსი (იგი შეიძლება „მენენიც“ ყოფილიყო, რადგან საქონლის გამოკვება - თივის განაწილება დიდ გამოცდილებას მოითხოვდა. ნ. წ.) აღავლენდა მაჩუბში 3 ცალ ლემზირს მუნისაგან დაცვის მიზნით (მწხერახან), 3 ცალ ლემზირს (ქორა მერდე მწრეხან“) - ოჯახის წევრებისთვის და 3 ლემზირს საქონლისთვის (ქულუმგენახან) ბარბოლის სახელზე. ამ ლოცვის აღვლენა მამისეულ სახლში ვიცოდით დარბაზზე, ხოლო ქმრის სახლში იმ ადგილას, სადაც მეორე სართულიდან, დარბაზიდან, თივა იყრება - „ლანნუნალენ“. ამ ადგილას გავიტანდით ექვს ცალ ხაჭაპურს, ექვს ცალ სანთელს და მივაკრავდით მათ თითო-თითოზე ხარების დასაბმელ ადგილას (ლაითეჟინ). ეს ლოცვა მათთვის, ხარებისთვის, იყო და იმიტომ.

საჯხგ გირგვლიანი - გვიჩიანის. 1995 წ. ლატალი.

* * *

ჟანაშ უქმე იყო და განკუთვნილია თვალების ტკივილის საწინააღმდეგოდ. ვისაც ამ დროს თვალები სტკიოდა, ის თავის გუნებით ან მარჩიელის რჩევით ამ დღეს მგტმე იყო, ე. ი. უქმელ-უსმელად რჩებოდა დილიდან მზის ჩასვლამდე. სახლის უფროსი ქალი მიდიოდა ჟან-ის სალოცავში და თან მიჰქონდა ნადბაშუნისთვის პურისა და ფეტვის ფქვილის ცომი. წამოღებული ჰქონდა ლეტურე - სანთელი. თვალის ტკივილით დაავადებულის სახელზე დასანთებად. საღოცავში ის აცხობდა პურის ცომისგან ლემზირებს და ფეტვისგან ჯკტებს ავადმყოფის სახელზე აუცილებლად სამ-სამ ცალს, ხოლო დანარჩენებზე რამდენიც შეხვდებოდა. ამ პურებით ხელში და ანთებული სანთლით ის ეკედრებოდა ჟანს, აეშორებინა მისი ოჯახისთვის თვალების ტკივილი და ავადმყოფი მოერჩინა.

ხდებოდა ისედაც, რომ ოჯახი სახლში გამომცხვარ პურებს და ლეტურეს გაატანდა თავის ოჯახის წევრ ბავშვს, რომელიც ამ შემთხვევაში სალოცავ ჟანის მცველი გვარის ნაფსარშერების წარმომადგენელს გამოიხმობდა და მოტანილს შეაწირვინებდა. გასამრჯელოდ მას ბავშვი 2-3 ლემზირს უტოვებდა, ხოლო დანარჩენი სახლში მიჰქონდა. აქ ყველანი თავ-თავის წილ ჭკტს და ლემზირებს შესჭამდნენ და ამის შემდეგ პირს აიხსნიდა.

ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღ. კალენდარი. 1939 წ. 1935 წლის აგვისტო,
სოფ. მაცხვარიში. მთხრ. გ. გირგვლიანი.

* * *

„თხრომ ბარბლაში“-დან „ჟენაშ“-ამდე ექვსი დღეა დარჩენილი. ათვლისას ერთს იმატებს და მეორეს არა (იგულისხმება წინა და ბოლო რიცხვი) („აშხუ სგაჟანჩგდე ი მერმა მწმა“).

ჟენაშ-იც სამი დღეა ისევე როგორც ბარბლაში. („ჟენშიარუჟ სემი ლადაღ ლი ბარბლაშშალ“). პირველ დღეს ის პირი, ვისაც ევალება მარხვა, მარხულობს. ეს პირი ან ოჯახის უფროსი ქალია, ან კაცი, ან ის ვისაც, ხშირად აწუხებდა თვალების და თავის ტკივილი. ჟენშიურ თავის და თვალების ტკივილისაგან დამცველი ლიმზირია. ჟენშიერის პირველ დღეს „თხუმ ჟენაშ“-ს „დასაცხობი“ იყო დიასახლისის მიერ ფეტვის ფქვილის ლემზირები. დაცხობა აქ პირობითია, რადგან მათი გამზადება ხდება შემდეგნაირად: ჯამში მოზელ ფეტვის ფქვილს 3 ცალისთვის. დაადგუნდავენ, გაუკეთებ 3 ლემზირს თითო-თითოზე და ამ ჯამითვე აღუვლენ მათ ჟან ანგლეზს და სთხოვ ტკივილებისგან (თავის და თვალის!) დაცვას. შემდეგ მათ ან აივანზე დავდებთ ჩიტებისთვის, ან ქათმებს შევაჭმევთ.

მეორე დღეს ლიდბაშის გამართავდნენ ქალები ჟან ანგლეზის საყდრის ლამწრიაში: მიჰქონდათ ფეტვის ფქვილი - სამჭადედ და ფქვილი სალემზირედ. ცალკე თავიანთთვის წაიღებდნენ ხაჭაპურს. მას არ აღავლენდნენ და ისე მიირთმევდნენ. ლიდბაშის ლოცვისას იტყოდნენ - დიდება მოსასვლელო ჟან ანგლეზო, თვალების ტკივილისაგან და თავის ტკივილისაგან დაგვიფარე ჩვენ და ჩვენი ოჯახი ყველა. სამი ცალი ლემზირი ცალკე იყო დასაცხობი იმ პირისათვის, ვინც პირველ დღეს იმარხულა და მის სახელზე აღავლე-

ნდნენ ამ ლემზირებს (-ჟან ანგლეზ, ნატაშ სარგებ ოხოჟდ ნიშგუეჟ მწრა. ლიტმე მწრუმი თერლე მასტუ-ნხან ი თხუიმი მაზიგხან გარ ლას. მგტმუმი ლემზირ-ლი ფატა ჯკგტ!") -ჟან ანგლეოზო, მარხვა სასარგებლოდ უქციე ჩვენს კაცს. მარხვა (აკრძალვა!) მხოლოდ ადამიანის თავის და თვალის ტკივილების საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი. „მგტმეს" ლემზირი იყო ფეტვის მჭადი! (იგულისხმება ლიდბაშისას დაცხობილი).

საჯხგ გვიჩიანი. 1995 წ. იფხი.

* * *

„ჟენშობ" თვალების ტკივილებისთვისაა. ვისაც ევალება იქ მისვლა, ყველა მიდის. დავალება, სავალდებულოდ იქ წასვლა, ამდაგვარად ხდება: დიდება მოსასვლელო ჟან-ანგელოზო, შენ ჩემი ტკივილები მომირჩინე და მე ყოველ წელს შენთან მოვალ სანთლითა და ზედაშით". ამ შეთქმის შემდეგ ეს პიროვნება და ოჯახი (თუკი მთელი ოჯახისთვისაა შეთქმული!) სალოცავში მიდის ყოველ წელს. ისე ყველას შეუძლია აქ მისვლა ზედაშით, ლემზირით და სანთლით. ბარბალობას ხილის ჭამას ვიკრძალავთ, მთელი წელი ჩირქიანი, გამონაყრიანი დაავადებისგან დაცული რომ ვიყოთ. არც ჟანობას და არც ბარბალობას ზვარაკს არავინ შესწირავს—მარხვაა და იმიტომ.

მარო ფარჯიანი - გირგვლიანის 1995 წ. ლატალი.

„შობ"

6 (24 დეკემბერი) იანვარი

წინასწარ კარგად დამუშავებული, კილგამოცლილი (ლეჯრებ). დარეცხილ-დასუფთავებული ხორბალი (ითქ) დილით ადრე უნდა ჩაიდგას ქვაბში მოსახარშად. მოხარშვის შემდეგ, საღამო ჟამს, გადმოდგამს მას დიასახლისი გასაგრილებლად. გაგრილების შემდეგ იგი ზემოდან სქელ ფენას დაიდებს და ფაფის ეს ნაწილი დიასახლისმავე კაცების თვალის მოუკვრელად უნდა გადმოიღოს თეფშზე. მასთან ერთად უნდა აიღოს უკვე დაცხობილი 3 ცალი ლემზირი და გავიდეს „გვემში - საკუჭნაოში, სადაც ზამთრის სანოვაგე ინახება და იქ ფქვილის კიდობანთან (ლაფქიარ) უნდა დაილოცოს „შობა ლამარია"-ს სახელზე.

- დიდაბ აჯვაკ შობა ლამარიას! მაჩენამდ ისგუ დიდაბ ჩუ ნამურჯენს მერმად ათხე ანმარჯ დიდაბი ლეჯედ ისგუ დიდაბ. ბარაქ ლახო მალდიან დიდაბი ლეჯედ ნიშგუეჟ ლაფქიარ-ს.[1]

- დიდება მოგსვლოდეს შობის ლამარიავ! საუკეთესოდ მიიჩნიე ჩვენი დღევანდელი შენდამი ლოცვა, დიდება მოსასვლელო. ბარაქა მიეცი, მადლიანო, დიდებულო, ჩვენს კიდობანს.

აღვლენილი ლემზირები და კორკოტი დიასახლისმა უნდა მიირთვას აქვე, სხვებისგან საიდუმლოდ. თუკი ვერ შეძლო მისი დამთავრება, შეინახავს და მეორე დღეს დაასრულებს.

ამ წესრიგის შესრულების შემდეგ იმავე ჭურჭლით, რითაც შობის კორკოტი მოიხარშა, სალოცავ სარკმელთან კვლავ „შობა ლამარიას" სახელზე დავილოცებით. კორკოტის აღვლენის შემდეგ შობა ლამარიასვე შევსწირავთ ლემზირებს ჩვენთვის სასურველი რაოდენობით მაგრამ აუცილებლად ან 3-ს ერთად, ან 6-ს, ან 9 ცალს. ამის შემდეგ შელოცილ ლემზირებს და კორკოტს (ითქ) სხვა სამარხო საკურთხთან ერთად ვუკურთხებთ გარდაცვლილებს. „ლიფჯნეს" შემდეგ ისადილებენ მთელი ოჯახი. ამით მთავრდება შობ-ის რიტუალი.

საჯხგ გირგვლიანი-გვიჩიანის 91 წლის. ლატალი იფხი. 1995 წლის ივნისი.

* * *

სხვა ვერსიით, საღამო ჟამს დიასახლისი დააცხობს ლემზირებს სასურველი რაოდენობით: 3, 6, 9, 12... პირველი სამი ლემზირით მლოცველი, უფროსი ქალი ან მამაკაცი ილოცება „ჯარ ქრისდეშის" სახელზე, შესთხოვს მას ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას, მშვიდობას (შიდბა), ბედნიერი წლის დადგომას (ხოჩა ხაკ ლიცადი) და მრავალ სხვა სიკეთეს. შემდეგი სამი ლემზირით ილოცება იმ ღმერთის სახელზე, ვის საბრძანებელსაც მისი ოჯახი ეკუთვნის (ერკა მწრე სი ხი, ესკაკ ტყვეფეენ სი ხიზგე) იქნება იგი ჯგრაწგი, ჟანი, მაცხვაწარი თაწრინგზელი თუ ა. შ.

შემდეგი სამი ლემზირი ეკუთვნის ჯგრაწგ-ს - ქუდის დამხურავთა მფარველს (ფაყვა მგცადი ღერბეთ || ფაყუა მგგემ ღერბეთ), რათა ამრავლოს მისი მფიცარი მამაკაცი. შემდეგის ხსენება მლოცველის სურვილზეა დამოკიდებული. ბოლოს, ლოცვა მთავრდება „ამენი თაწრინგზელის" სახელზე ან იმ „ღმერთისადმი" მიმართვით, რომელიც ოჯახისგან „ხსენებას ითხოვს და იგი ოჯახმა არ იცის". (მაკ ღერბეთ ნიშგუეჟხანქა ლიმზირს ხიშგომდენ). ეს წმინდანი მლოცველისთვის ამ დროს თავისთავად უცნობია, მაგრამ

[1] სიტყვა-სიტყვით ამ ლოცვის ქართული თარგმანი ასეთი იქნება. - დიდება მოგივიდა შობის ლამარიავ! საუკეთესოდ თუკი ოდესმე დაჯვარულიყო შენი დიდება, მეორედ ეხლა დაგვიჯვარე, დიდება მოსასვლელო, შენი დიდება. ბარაქა მიეცი, მადლიანო, დიდება მოსასვლელო, ჩვენს საფქვილეს.

მოხსენიების (მიმართვის!) ამ წესით ლოცვაც წარმატებული და მიღებულია.

ლოცვის დამთავრების შემდეგ აღვლენილ პურებს (ლგმზგრე ლემზირაალ) კორკოტთან ერთად გარდაცვლილებს უკურთხებდნენ (ლიფჭნე!).

– ქა მაჲ ლაჯჭხვენენხ, მაგ ისგუეჲ სარგებუ-ლი მარენმი ქუინგნქა. ქრისტე ტაბ- აგდუ ჯიგაადხ - ისგუეჲ მგჯგრი - მგფჭნად ნაჲი ხუაჲხანსუ ხუარიდ ი ხოჩა ჭიშხუ ჯიკენრას ისგუეჲ სიმ-სედად.

- რაც თქვენს სახელზე გამზადდეს და გაკეთდეს, ის ყველაფერი თქვენი სარგებელი ყოფილიყოს, ქრისტეს ტაბლასთან გქონდეთ წილი, ჩვენ კი დიდხანს ვყოფილიყავით თქვენი სუფრის მკურთხებლად და კეთილი ფეხი დაგეტოვებინოთ ჩვენთვის, თქვენი დანატოვარისთვის.

სირინო კვანჭიანი, 1995 წ. ლატალი. ჲენაში.

* * *

„შობის დღეს ხელის საფქვავზე დაფქვავდნენ მსხვილად ხორბალს და ფაფას, ქაქ-ს მოხარშავდნენ. ამის გარდა ამზადებდნენ მუჯორს, გიმბაშ-ს ნოგოზს და მარილს ერთად დანაყავდნენ, ცოტა წყალს შეურევდნენ და აკეთებდნენ ფაფასავით. საღამო ჟამს, ვახშმობის წინ, სახლის უფროსი მამაკაცი ერთ ხელში დაიჭერდა ქაქს, მეორეში მუჯორს, მივიდოდა სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და ლოცულობდა:

- დიდაბ აჯვად ქრისდე ღერბათ, ქრისდე ღერბეთ, სი ლანეშდ. ფიშირ შობ ხოჩა გუჟი ნაყრ შობაჲ ლამარია.

- დიდება მოგსვლოდეს ქრისდე ღმერთო. ქრისდე ღმერთო, შენ გვიშველე. მრავალი შობა კარგ გულზე მოგვეცი შობ-ის ლამარიავ! ლოცვის შემდეგ დასხდებოდნენ და ივახშმებდნენ.

ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღ. კალენდარი.
1939. გვ. 35. 1935 წლის აგვისტო,
სოფ. მაცხვარიში მთხ. 57 წლის გიორგი გირგვლიანი.

* * *

„შობ"-ის ღამეს გვჩვევია „შობა ქაქ"-ის გაკეთება (შობის ფაფა) საღამოს ლემზირებია დასაცხობი. ფაფა ცალკეა აღსავლენი და ლემზირები ცალკე „შობა ლამარიასთვის". მანამ, სანამ ფაფას აღვუვლენენ, ერთი ჯამი ფაფა და 3 ცალი ლემზირი აღსავლენია საფქვილე კიდობანთან (ლაფჭქ კიბდენ) გვემი ლამარიასთვის. აქ ისინი უნდა შეჭამოს მლოცველმა ქალმა. ამ ღამეს რასაც ვერ მორჩება, მეორე ღამეს უნდა დაამთავროს მამაკაცების თვალმოუკვრელად. (უწენად).

- დიდაბ აჯვად შობა ლამარიას, მაჩენე ისგუ დიდაბ ჩუ ნამურჯენს მერმად ათხე ანმარჯ. ნიშგუეჲ ლაფქიარს ბარაქ ლახო დიდაბი ლეკედ. „გუემისგა ნამზგრგნღო" (გუემში ლოცვის შემდეგ) აღავლენ ფაფასაც და ლემზირებსაც ხოლო, ლოცვის დამთავრების შემდეგ მათ და სხვა გამზადებულ სანოვაგესაც გარდაცვლილებს უკურთხებენ გაშლილ სუფრაზე.

საჯხგ გირგვლიანი იფხი.
„შობ"-ის მეორე დღე „ქრისტეს შობ"-ის დღეა.

ქრისდენ

(25 დეკემბერი 7 იანვარი)

„ქრისდენში უქმე იყო. დილით გათენებამდე მერბიელი ოჯახის ყოველ სულზე დააცხობდა თითო ცალ პატარა ზომის კვერს - ანჭი-კუანჭიებს. ეს ლემზირები უწენენა იყო - მათ უცხოს არავის დაანახვებდნენ და არ შეაჭმევდნენ. როდესაც ანჭი-კუანჭიები გამოცხვებოდა, სახლის უფროსი მიიტანდა მათ მაჩუბის აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელთან და შესწირავდა ჯუარ ქრისდენშს და თან შეევედრებოდა - შენს წყალობას ნუ მოაკლებ ჩემს ოჯახსო. ლოცვის გათავების შემდეგ შეწირულ კვერებს ოჯახის წევრებს ჩამოურიგებდნენ. ანჭი-კუანჭის ლიმზირი და ანჭი კუანჭით ზიარება სასწრაფოდ ხდებოდა, რადგან სვანებს ეშინოდათ, რომ ამ წეს-ჩვეულების დაფარულად შესრულება არ დაირღვესო, უცხო პირთაგანმა არ შეგვასწროს თვალი და ამით ოჯახმა უნებური ცოდვა არ ჩაიდინოსო.

შუადამისთვის ყოველ მოსახლეს მოჰქონდა ეკლესიაში სამი ცალი ლემზირი და ზედაში, რომლებსაც ლაჯუამი მარეს დაალოცვინებდა ჯუარ ქრისდენშის სახელზე და მას გასამრჯელოდ ერთ ნაკურთხ ლემზირს დაუტოვებდა. ზედაშს იქვე ეკლესიაში დალევდნენ, ხოლო მორჩენილ ლემზირებს სახლში დაბრუნებდნენ და მით ოჯახის წევრებს აზიარებდნენ. თუ ეკლესიის კარზე ლატალელს მოყვარე, ნათესავი ან ახლო მეგობარი შეხვდებოდა, სახლში მიიპატიჟებდა - გაუმასპინძლდებოდა. ამ დღეს ყოველ ოჯახში სახსნილო სუფრა იშლებოდა".

ვ. ბარდაველიძე, სვ.ხალხ.დღ.კალენდარი 1939 წ. გვ. 49. 1935 წ. აგვისტო
სოფ. მაცხვარიში. მთხ. გ. გირგვლიანი.

* * *

ქრისდენ̃შ დღეს დილის საუზმის (ჰამა ხარჯობის) შემდეგ ლატალელი ქალები მიდიოდნენ ᲔᲜ̃ნის სალოცავში, იქ ლიდბაშს გადაიხდიდნენ და ეკვედრებოდნენ ᲔᲜ̃ს Ეარუნ̃ნსგაში ნასაქმარი მოგვეცესო;

-ᲔᲜ̃ ᲜნგლეᲭ მᲬლდიᲜ̃Ნ, ამ მრ̃ში ლიმ̃შაუ მატინ ნომა ნ̃Ყარი, სი ლᲜ̃ნეშდ.

-ᲔᲜ̃ნო ანგელოზო მადლიანო, ამ კვირის მუშაობისთვის მავნეს ნუ მოგვაყენებ და შენ შეგვეწიე.

ამ ლოცვის შეწირულებათა გადამხდელისთვის ამიერიდან Ეარუნ̃ნსგაში მუშაობა დასაშვები იყო. ქალს შეეძლო რთვა, კერვა და სხვა ქალის სამუშაოს გაკეთება. მაგრამ ვინც ამ ლიმ̃ზგრს არ შეასრულებდა, ნება არ ჰქონდა უქმე გაეტეხა და ზემოაღნიშნული სამუშაოები შეესრულებინა. ყველასათვის, განურჩევლად იმისა, გამოთხოვილი ჰქონდა თუ არა უქმის გატეხა, Ეარუნ̃ნსგას განმავლობაში სასტიკად ეკრძალებოდა სარეცხის გარეცხვა, თმის გაპარსვა და თმის დავარცხნა. ვინც ამ წესიდან პირველ ორ მუხლს დაარღვევდა, მის პურეულს მომავალ წელს ვითომ წვრილი მარცვალი გამოესხმოდა, ხოლო თუ თავს დაივარცხნიდა, მაშინ მის ყანას ცარიელი თავთავები ექნებოდა.

ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღეობ. კალენდარი.
1939 წ. გვ. 65. 1935 წ. სოფ. Ეენაში მთხრ. 47 წლის ქ. ფარჯიანი.

* * *

შობ-ის შემდეგ არის ქრისდენ̃შობა - ქრისდენ̃შ. ამ ღამეს ყველაფრისთვის (ყველას) ლოცვა შეიძლება.

მსგეფსისას რომელ ღმერთსაც არ ახსენებ, ის ღმერთი შემდეგ არ მიიღებს შენს ლოცვას, თუკი მაინც ახსენე იგი, ლოცვა არ იქნება წარმატებული! აღვლენილ ლემზირებს გარდაცვლილებს უკურთხებენ (ქალოფᲜ̃ნედ) - ქრისდე ფუსდ მაცხვᲜ̃რ! ნიშგუᲔთეᲔსგა ერთᲜ̃Ეს სგახოგადდეᲭ მᲜგ ლᲜ̃ᲭᲔგრინ. ქრისდე ფუსდ მაცხოვარო ჩვენი ნათესავი ჩვენი მოწილე ვინც იყოს, ყველა შეივედრე (შეიწყალე!).

მსგეფსისას ოთხშაბათი და პარასკევი არ არის განსხვავებული ლიფანესთვის, სხვა დღეებში კი ლიფანეა ხსნილით.

Saჯხგ გირგვლიანი იფხი.

ხორციელად შობა უფლისა ჩვენისა
იესო ქრისტესი

25 დეკემბერი (7 იანვარი)

ძვ. სტილით 25 დეკემბერს (ახლით - 7 იანვარს) აღსრულდა საუკუნეთა მანძილზე თქმული წინასწარმეტყველებანი: უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მაცხოვარი ქვეყნისა იშვა ყოვლად უბიწო ქალწულ მარიამისაგან. ეს მოხდა იუდეის ბეთლემში რომის იმპერატორ ავგუსტუს ოქტავიუსის დროს. ამ იმპერატორის გამგებლობის ჟამს გამოიცა ბრძანება: საყოველთაო აღწერა ჩაეტარებინათ მთელს რომის იმპერიაში, რომლის შემდგენლობაში მაშინ ერთ-ერთ პროვინციად პალესტინაც შედიოდა.

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი და მართალი იოსები ქალაქ ბეთლემში ჩავიდნენ, რათა იქ ჩაწერილიყვნენ კეისრის ქვეშევრდომთა სიებში.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მართალი იოსებისათვის ბეთლემში არც ერთი სასტუმრო ადგილი არ აღმოჩნდა, რის გამოც დაღლილ-დაქანცულნი, იძულებულნი გახდნენ ქალაქგარეთ მდებარე ერთ-ერთი გამოქვაბულისათვის შეეფარებინათ თავი, რომელსაც საქონლის სადგომად იყენებდნენ მწყემსები.

სწორედ აქ, ყოვლადმოუწყობელ გარემოში, იშვა ღმერთკაცი, მაცხოვარი ქვეყნისა იესო ქრისტე.

უფლის განკაცება, ღვთის განხორციელება - ეს იყო საკვირველი, კაცთა გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლო, რომლის სრული გააზრება შეუძლებელია, რადგანაც ამ ქვეყნად მოხდა ის, რაც ამ ქვეყანაზე გამოუთქმელად მაღლა დგას.

თუკი ადამიანთა ერთი ნაწილისათვის მაცხოვრის შობა შეუმჩნეველი დარჩა, ზეციური სამყარო ძე ღვთის ხორციელად შობამ შეძრა. ანგელოზთა დიდძალი მხედრობა, რომელიც მწყემსებს გამოეცხადა, „აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდებაᲔ მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობაᲔ, და კაცთა შორის სათნოება (ლუკა 2, 13-14) უბრალო მწყემსები გაოცებით შესცქეროდნენ ზეციდან გამოსულ მგალობელ ანგელოზების გუნდს და როცა ისინი კვლავ ზეცად ავიდნენ, ერთმანეთს უთხრეს, წავიდეთ ბეთლემს და ვნახოთ, რის შესახებაც გვაუწყა უფალმა. ისინი ბეთლემისაკენ გაეშურნენ და იხილეს ბაგაში მწოლიარე ყრმა, რომელსაც მოკრძალებით თაყვანი სცეს.

გარდა მწყემსებისა, ქრისტეს შობა აღმოსავლელ მოგვებსაც (ვარსკვლავთ მრიცხველებს) ეხარათ უზეულო კაშკაშა, ახალი ვარსკვლავის გამოცხადებით. ეს ვარსკვლავი უძღვოდა მოგვებს მაცხოვრისაკენ, ისინი ეძახდნენ ღვთაებრივ ყრმას, თაყვანი სცეს მას და შესწირეს ძღვენი: ოქრო, მური და გუნდრუკი. ოქრო - როგორც მეფეს, მური როგორც ადამიანს (მიცვალებულებს მურით ასუნელებდნენ), გუნდრუკი - როგორც ღმერთს.

არა მარტო მოგვებმა და მწყემსებმა, არამედ ყოველმა ქმნილმა მიართვა ძღვენი უფალს: ანგელო-

ზებმა - გალობა, ცამ - ვარსკვლავი, მწყემსებმა - სასწაული, მოგვებმა - საჩუქარი, მიწამ - გამოქვაბული, უდაბნომ -ბაგა, ადამიანთა მოდგმამ - დედა ღვთისა, წარმართობამ - ქრისტიანობის დასაწყისი მოგვების სახით.

იესო ქრისტეს ხორციელად შობის მოსახსენებლად წმინდა ეკლესიის მიერ ძველთაგანვე დაწესებული დღესასწაული. თავის დასაბამს იგი ჯერ კიდევ უფლის წმიდა მოციქულთა დროიდან იღებს. მოციქულთა ერთ-ერთ პირველ დადგენილებაში ნათქვამია: „დაიმარხეთ ძმანო, დღენი სასწაულებისანი, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, დღე ქრისტეს შობისა, რომელიც მეათე თვის (მარტიდან) ოცდამეხუთე დღეს აღინიშნეთ ხოლმე".

იესო ქრისტეს ხორციელად შობა - ეს არის უდიდესი დღესასწაული - საფუძველი და დასაბამი ყველა სხვა დღესასწაულისა, ეს არის ზეიმი და გამოუთქმელი სიხარული მართლმორწმუნეთა, რომელიც ღვთის მადლითა და სახიერებითაა გაჯერებული.

ამით სძლიე! ათორმეტი საეკლესიო დღესასწაულის შესახებ,
გამომცემლობა „კანდელი" თბილისი. 1998 წ. გვ. 65-69.

* * *

„ოცდახუთ დეკემბერს წინ უსწრებს მზებუდობის რამდენიმე დღე, როცა მზე თითქოს ბუდეში ზის, როგორც კვერცხი - არც იკლებს, არც იზრდება, ძევს უძრავად, გაყუჩებული... დრო თითქოს შეყენებულია, თავის თავშია ჩაბრუნებული. მაგრამ დგება 25 დეკემბერი და რაღაც იდუმალი ბიძგი აამოძრავებს დრო—ყამს, აქამდე მარადისობაში გაყინულს, და იბადება ახალი მზე...

ამ დღეს ყოველთვის განიცდიდნენ, როგორც დაუვალი მზის (Sol invictus „მზე უძლეველი") დაბადებას, და დღესასწაულობდნენ მას, როგორც გამორჩეულს თავისი ძალით სხვა დღეებისგან. არა მხოლოდ იცოდნენ ამ დღის არსებობა, როგორც ასტრონომიული ფაქტისა, არამედ გრძნობდნენ კიდეც მის თვისებას და ამაში იყო დღესასწაულის ძალა". „საშობაო საგალობელი ამბობს: „დღეს იშვების ქალწულისაგან ღმერთი..." ორიათასი წელი სრულდება, რაც ქრისტიანს ესმის, წარმოსთქვამს - „დღეს"... და ამით ადასტურებს, რომ ეს მოვლენა არ ეტევა ისტორიულ ჩარჩოში, წარმავლობაში, არამედ ეს ხდება დღესაც, ანუ ყოველ იმ დროს, როცა მზე „ბუდიდან ამოდის" და, როგორც სვანეთში იტყვიან, ვერძის სამ ნახტომს აკეთებს"...

„25 დეკემბრიდან იწყება მზის გაძლიერება, რაც თვალნათლივ წარმოგვიდგენს ხატს „სიმართლის მზისა", ანუ ქრისტეს ძლევამოსილ შემოსვლას ამ წუთისოფლად. ამ დღის ძალით ამბობს ქრისტიანი - „ჩვენთან არს ღმერთი", როცა სასოებით უმზერს ქალწულ მარიამის კალთაში მჯდომარე ემანუელის სახეს.

ზურაბ კიკნაძე, შობიდან შობამდე
თბ. „ლომისი" 1997 წ. (გვ. 9, 11. გვ. 18, გვ. 17).

„ლივრაში"

ქრისტეშობის მარხვის ბოლო კვირა დღე

„წესით ეს დღეობა უნდა გადაგვეხადა ქრისტეშობის წინა კვირა დღეს. მაგრამ რადგან ამ დღეს მკვდარი იყო სოფელში მის დამარხვამდე დღეობა ვერ გადავიხადეთ. (თუ მკვდარია სოფელში დღეობა არ ტარდება!). მკვდარი დაიმარხა ხუთშაბათს. პარასკევს კი არც ერთი საღვთო დღეობის გადახდა არ შეიძლება. შაბათს 7-ში ქრისტეშობა იყო. ბუნებრივია, არც ამ დღეს შეიძლებოდა სხვა დღეობის გადახდა ის ხომ ქრისტეშობის დღეა - მისთვის „შეცილება" როგორ იქნებოდა! ყოველივე ამის გამო დღეობა გადავიხადეთ დღეს, 8 იანვარს, კვირა დღეს. საერთოდ, ამ დღესასწაულის სადღეობო დღე კვირა დღეა. წესით დაშვებულია, რომ მსგავსი შემთხვევებისას დღესასწაულის გადატანა შეიძლება მის მომდევნო კვირაში შესაბამის დღეს, ამის შემდეგ, სხვა კვირეებში, დაუშვებელია. ამრიგად მოვიქეცით ჩვენც წელს ლივრაშის დღეობის აღნიშვნისას. ასევე ხდება ლიგიერგისაც (გიორგობა!). თუ ოჯახს ან სოფელს არ შეუძლია მის სადღესასწაულო დღეს დღეობის აღნიშვნა, აღნიშნავენ მომდევნო კვირაში, ორშაბათობით. მისთვის დაშვებულია პირველი და მეორე კვირის ორშაბათი დღეები. („ნაღლგიერგი დეშდშარ"!). ასე ხდება სხვა დღეობების დროსაც.

ლივრაში სამარხო დღესასწაულია, ამიტომ ტარდება იგი მარხვის პერიოდში ქრისტეშობის დღემდე. ამ დღეობაში მონაწილეობენ სოფელ მაცხუარიშის მცხოვრებნი: გირგვლიანები, თამლიანები, სტეფლიანები. მათ ამ ბოლო დროს შეუერთდნენ ორი სხვა გვარის თითო ოჯახი ერთი ნანსყანის და ერთიც გვიჩიანის (მათი ძველი საცხოვრისი სოფ. იფხია, ახალი სოფ. მაცხუარიში. ამ დღეობაში მონაწილეობის მიღების სურვილი მათ მიერ იყო გამოთქმული).

ძველადაც და ახლაც მთელი ეს მოდღესასწაულენი აგროვებენ ლემზირებისთვის ხორბლის ფქვილს, სასმელისთვის—სიმინდის და ქერის ფქვილს: 2-2 ჩაფლაში. 1 ჩაფლაში არის დაახლოებით 6 კგ. 2 იქნება 12 კგ., ე. ი. 12 კგ. ფქვილი ლემზირებისთვის და 12-იც სასმელისთვის. (ლეჰრაყიდ). ამათზე დამატე-

ბით თვითოეულ ოჯახს გამოაქვს ერთი ფინჯანი (ფაკჷნ) ლობიო. დღეობაზე უნდა წავიდეს ოჯახიდან 2-2 კაცი. თუკი ორივემ ვერ შეძლო წასვლა, მის მაგივრად შეუძლიათ სასურველი სტუმრის წაყვანა. მოდღესასწაულეთ მასპინძლობს მორიგე ოჯახი, მაგრამ არა ერთი, არამედ ორი. ამ ორიდან ერთ-ერთის სახლში ხდება მზადებაც და სუფრების გაშლა დღეობა ლივრაშის დროს, ხოლო მეორის ოჯახში კი დღეობა ლიჴდუშის (|| ლიქურეშის) დროს.

ლიჴდუში იგივეა რაც ლიქურეში. ისინი ერთიდაიგივე დღეს აღინიშნებიან, მაგრამ ამ დღეობას ლიქურეშის ეძახიან ფირცხელანები და ხვინთელანები (რომლებიც ერთად აღნიშნავენ ამ დღესასწაულს), ლიჴდუშის კი - ზემოთ ჩამოთვლილი გვარები. ამ დღეობებს ლატალის სხვა გვარები არ აღნიშნავენ, რადგან ისინი მხოლოდ ამ გვარებისთვისაა აუცილებელი. (აღ ლაადღარ მინს ნაღულაჲ ხარხ!).

ლიჴდუშიც იგივე წესით სრულდება, რაც ლივრაშში, ოღონდ ლიჴდუში არის ხორცით (ნაკიცშ) დღეობა, ლივრაშში კი ლობიოთი. ლივრაშში მარხვაში ამიტომ აღინიშნება, ლიჴდუში კი აღბიერში ხორციელის დროს!.

დღეობისას მზადდება მოდღესასწაულე ოჯახთა რაოდენობის მიხედვით ერთი დიდი პური „ლესკარი" + 2 ცალი ლემზირი. ლოცვას იწყებენ შუადღეზე პურების დაცხობის შემდეგ. მლოცველი უნდა იყოს 3, 6, 9 ან 12 მამაკაცი. ილოცებიან ყველა იმ სალოცავისთვის, რაც არსებობს ლატალში, შემდეგ მთელს სვანეთში და ბოლოს საქართველოში. (სვანეთის და ბარის ქართველთა სალოცავებიდან იგულისხმება მთავარი სალოცავები!). ლატალის წმინდა სალოცავებს მოყვებიან მარჯვნიდან! ამ წესით იხსენიებიან ეს წმინდანები ლიჴდუშის დღესაც. ლოცვის დამთავრების შემდეგ იშლება სუფრები. სუფრის თითოეულ წევრს წინ დაუდგამენ (სუფრაზე!) ერთ თეფშ ლობიოს კერძს (ლგრხ ლობიო), 1 ცალ ლესკარს და 2 ცალ ლემზირს. ლიჴდუშის დღეობისას ეს ულუფა იცვლება ერთი დიდი ხორციანი (მხოლოდ ქონიანი ხორცის) ლესკარით და 2 ცალი ლემზირით.

პირველი სასმისი სუფრის უხუცესისაა. იგი პირველი სასმისით იტყვის ხოშა ღერბეთისას და მისი მადლით დალოცავს „მეხრლე" - მასპინძელ ოჯახებს. მეორე ჭიქა - მგქემ თარინგზელისაა, მესამე ჯგრაგის და მეოთხე - „სარგუშ - სუყანის". ეს უკანასკნელი ისმევა წყვილ-წყვილად შემდეგი ტექსტის წარმოთქმით; - ალი, ჟალწესელეს, ეჩრში ლადრ ნესგა მუჩენამდ ლიმზირ - ლიჴგრალ ერგუეს ჩუ ხამურჯენს, ეშჯიტ ოგუმარჯა ლადრ ნამზგრ - ნაჴგრალ! ღერბათ დიდა, კახანს შენდბა, მუშუნდების შიდბა!"

აღნიშნულ სადღეგრძელოს ამ ძირითად სათქმელს (იდეას!) ვინც გადაუხვევს, ის ჯარიმდება დამატებითი სასმისით. „სარგუშ-სუყანი" ისმევა ვახტანგურად, წყვილად, ფეხზე დგომით. ვინც პირველად იტყვის მას, თქმის შემდეგ დაასახელებს თავის მეწყვილეს (გვერდზე მჯდომს ან სხვას!), როცა ესეც იტყვის თავის სათქმელს — დალევენ სასმისებს. მაგრამ დალევამდე ამ მეორემ უნდა დაასახელოს შემდეგი ორი წყვილი, რომლებიც კვლავ ირჩევენ თავიანთ მეწყვილეს. ასე მიყვებიან ბოლომდე. მისი დალევა ყველასთვის სავალდებულოა ქალი იქნება იგი, თუ კაცი. არაა აუცილებელი წყვილები მხოლოდ მამაკაცები და ქალები იყვნენ, შეიძლება ქალმა და კაცმა ერთად მიირთვან იგი. სასმისის დაცლის შემდეგ თვითოეული მათგანი პირში ჩაიდებს თითო ლუკმა ყველს, რომელიც თეფშით თან დააქვს ამ სადღეგრძელოს დროს ერთ-ერთ ქალს, ხოლო ერთ-ერთი მამაკაცი (წგდაჲ) სასმისებს უვსებს მომდევნო წყვილებს. სასმისის დაცლის შემდეგ ერთმანეთს გადაკოცნიან. „ლისყანიელ" - „ლასყანიალოშ ლითრე" - ასე უწოდებენ ვახტანგურად დალევას ჩვენში. სუფრის წევრთაგან ვინც მარხულობს, იგი არ ჩაიდებს პირში ყველის ნაჭერს. თუ რატომაა ყველი აუცილებელი, ეს არ ვიცი!

ამ პირველი ოთხი სასმისის - სადღეგრძელოს—დალევის წესს ეძახიან „სუხ-სიგელშ ლითრეს". ამ წესით ხდებოდა ყველა სადღესასწაულო სუფრის გაძღოლა. ამის შემდეგ უნდა თქვან „ლუმზგრიუშ": „ო, ქრისდენშ" და „ჯგგრაგიშ". ო, ქრისდენშ იცის მხოლოდ ჲესო გირგვლიანმა და სოზარ გირგვლიანმა, ჯგგრაგიშ კი სოზარ და შალვა გირგვლიანებმა. მათ აჰყვება ყველა ის, ვისაც სიმღერა და ხმის გარჩევა შეუძლია. თუ ყურადღება არ მიექცა, ეს სიმღერები დავიწყებას მიეცემა!

საგალობელთა დამთავრების შემდეგ უნდა აირჩიონ თამადა (ტოლბაშ). მის არჩევასაც აქვს თავისებური წესი; იგი ერთ წელს უნდა აირჩიონ ერთი გვარიდან მაგ: გირგვლიანი, მან უნდა აირჩიოს თავისი მოადგილე მეორე გვარიდან მაგ. თამლიანი. მომდევნო წელს ეს მოადგილე უნდა იყოს თამადა. მან თავის მოადგილედ სხვა გვარის წევრი უნდა გაიხადოს და ასე წრიულად ირჩევა სადღეობო თამადა - მოადგილე. არჩევის შემდეგ თამადა აგრძელებს სადღეგრძელოების თქმას და ისევ დიდი ღმერთით იწყებს. პარალელურად გრძელდება სიმღერები, საფერხულოები და „ცეკავ-თამაშობანი". ამგვარი მხიარულობით მთავრდება ლივრაშში და ლიჴდუშიც.

მარო ფარჯიანი - გირგვლიანის. 1995 წ. 8 იანვარი
ლატალი, მაცხუარიში. დღეობა ლივრაშში.

* * *

მუჟღერეში ლიგიერგინღო მეხუშდე ლაადაღს იბნი ლიუჭმაწლ - ტიჭმი თხტიმ ლადაღი. აღ ღეთ ქალოფანედ ჩიღად. ლიუჭმაწლხანქა ქრისდეშდ ხოზი უსგუა ნაგზი. აღ მაზნას ხაშხა ქრისდეში უიჭმ. 6 იანვარს (ძვ. სტ.) ლი შობ. ლაგემდ კუეცნა ითქს, ღასყენედ მუჯორს ი ქალოფანედ. მერმე ლადაღ ლი ქრისდეშობ (ქრისდეშ). ამნოშ იზგერი ქრისდეში ტიჭმ. ქრისდეში ტიჭმისგა, 9 დეკემბერს, ლი ჟენშობ, 17 დეკემბერს (ორიგე ახ. სტ) ლი ბარბლაშ. ჟენშობ თურლე მასტინხან ლი, ერუაჟს ხაგად ეჩხარ ლიზი, ეჯი მაგ ესღრი. ლიგად ამჟი ლი: დიდაბ აჯვად ჟან - ანგლეზს! სი მიშგუ მასტუნ ჟ მაშურია ჭამჟაგ ი მი ჩი ზაჟს ისგუათე ლეტრე-ლემზირშ ხუიჯანნი ი ჯემზგრნი. ამხაუ ლიჯედ ხამიედა ჩის ლეტროშ, ზედაშშ, ლემზირშ.

ბარბლაშს გუიხა ხილი ლიზები ლიტმე-სემი ლადაღს - აღ ზაჟს ქუხი მასტუნხან ლგნთხლე ხირი. ყუიჟშ ლიმზირ დეჟ ჟანობს ი დეჟ ბარბლაშს მამ ლი. ტიჭმ-ლი ი ეჯღა. ქრისდეში ტიჭმისგა მაცხუაროშალ ხუიჩოდ ლიურაშის.

ზუმხა (14 იანვარს) ეშდიოშთხუჟინ ლი. აღ ლადაღხანქა მეხუშდე ლადაღს ლი ლიფანაღი - ადგომ. ზუმხა ლადაღ ლიმზირდ ზაჟ მგცადი ყერს; (ლადდ ყერ მამ-ხი, ამგნქა მამ მასმა მანგუეშ). ქრისდეშხანქა მეჟსარაბთექა ლი აღბა მაზნა. ამზაუ აღი ლი 5 ნაგზი. ლეჭნა ლასს 6 ნაგზი. მიჩა მაზნა ლუფხუა მაზნაჟინ ლი დამოკიდებულ. ლუფხუა მაზნა ლი ჰგლიშხანქა პარპოლდაშთექა. შომაჟ აღ მაზნა 7 ნაგზითეჟინ ესღრი ეჯ ზაჟს მაჩენე ჭემობ ლი. (ჭემ მასარდ წა!).

მარო ფარჯიანი - გირგვლიანის. 1995 წ. მაცხვარიში.

შემოდგომის გიორგობიდან მე-5 დღეს იწყება მარხვა (ლიუჭმაწლ) - მარხვის პირველი დღე. ამ ღამეს ყოველთვის საკურთხია გასამზადებელი. ლიუჭმაწლიდან ქრისტესშობის დღემდე რჩება 6 კვირა. ამ დროს ჭქვია ქრისდეშობის მარხვა. ძვ. სტ. 6 იანვარს არის „შობ". ვხარშავთ ხორბლის თესლს, ვაკეთებთ მუჯორს და ვუკურთხებთ გარდაცვლილებს. მეორე დღეს არის ქრისტეშობა. (ქრისდეშ). ამით მთავრდება ქრისტეშობის მარხვა. ქრისტეშობის მარხვისას არის, (9 დეკემბერს), ჟენშობ, 17 დეკემბერს (ორიგე ახ სტ.) - ბარბალობა. ჟენშობ თვალების ტკივილიდანაა: ვისაც ევალება იქ მისვლა, ყველა მიდის. ვალდებულება ასეა: - დიდების მიმღებო ჟან ანგელოზო, შენ ჩემი ტკივილი და ავადმყოფობა მომაშორე, მე კი ყოველ წელს შენთან სანთლით და ლემზირით მოვალ და შენთვის ვილოცებ. ისე აქ მოსვლა შეუძლია ყველას სანთლით, ზედაშით და ლემზირით.

ბარბალობას ვიცით ხილის ჭამის აკრძალვა სამ დღეს; ამ წელს გამონაყარისაგან დაცული იქნები. ზვარაკით ლოცვა არც ჟანისთვის და არც ბარბოლისთვის არაა დაწესებული—მარხვაა და იმიტომ, ქრისდეშობის მარხვისას მაცხვარიშელები ვიხდით დღეობა ლივრაშის.

ზუმხა ძველით 14-საა. ამ დღიდან მე-5 დღეს არის ლიფანაწლი - ადგომ. ზუმხა დღეს ვილოცებით „ზაჟ მგცადი ყერს" - წლის დროის შემცველელ ძალას. (მთლად ყერ-ი არა ხარო ამის გარდა ყერ-ზე არაფერი გამიგია!). ქრისდეშობიდან მეისარაბამდე არის აღბა მაზნა. ამ წელს ეს 5 კვირაა. შარშან 6 კვირა იყო. ეს დრო ლუფხუა მაზნაზეა დამოკიდებული. ლუფხუა მაზნა კი დროა ჰგლიშიდან პეტრეპავლობამდე. როდესაც ეს მაზნა (ლეფხუა მაზნა) 7 კვირამდე ადის - საუკეთესო თივის პერიოდი დგება. (თივა ბლომად არის!).

* * *

ლიგიერგინღო ლი ქრისდეში ლიუჭმაწლ. აღ ღეთ ოხდრისშ ლოფანედ. ამუნღო წყღლანდ გარ ლი ლიმზირ ი ლიფანეჟ—6 ნაგზი. ეშხუ ნაგზი ლიუჭმალისგა ქაწდგრნე ეჩქას ლი ტაძრობ. ამ ღეთ ოხდრიშშ ქაჟდ ლოფანედ. ტაძრობხანქა ჟორი ნაგზი ქაწდგრნე ეჩქა ლი ბარბლაშ. (სემი ლადაღ).

ბარბალ ღეთ გუიზ ხოგ ჩის. უწენად ლიმზირ ლი გუიზ. ლემზირალს ლანყედ მეზგაისგა ოშუაჟდ ლირდიდ ეჯშელდს. აღ ღეთ მენენიშდ ლი ღენყე ქუთ ი ეჯი ჯინენმდ დარბაზჟინ ხეკუეს ლახმაზრას ბარბოლს. აღი მიჩ გარ ხარ ღეზებ, ვობაშინარ ბოფშარს ჟი ინჯგრნა.

მენენი ლიმზირ: - დიდაბ აჯვად ბარბოლს მახერარახან, მაშდახან, ქულუმგენემი კვადხან, მარემი მასტუნხან ლანგნთხილ დიდაბი ლეჯედ. ამუნღო მარე (მენენ) მაჩუბისგა ჟიდ ხამზგრი 3 ც ლემზირს მახერარახან, 3 ცალ-ლემზირს - ქორა მერდე მარეხან. 3 ც ლემზირს ქულუმგენახან. ლამთილისგა ნაჟ, ლანნუნაღჟინ ნამთქუან ლიმზირ, ლამუარს დარბაზჟინ. ლანნუნაწლმეყ ნაჟ ხვაჟანად უსგუა ქუთს, (უსგუა ლემზირ ქუთს), უსგუა ლეტრეს. ლეტრაწლს ლათეჟ შელდჟინ ხვალწენიდად ჯანრე გვალხან - აღ ლიმზირ ჯანარხან ლი ი ეჯღა. - დიდაბ აჯვად მგური ბარბოლს, ზატდი ბარბლაშ შიდებდ ხვარდენდ ეჯ ზაჟ ნაჭინ, მაგ ხოჩამდ ხვარდენდ ეჯ ზაჟ ენსტარინ, მგური ბარბოლ დიდაბ აჯვად.

თხტიმ ბარბლაშხანქა ჟენაშდ 6 ლადაღ კალი. აშხუ სგაინჩგდე ჟ მერმა მამა. ჟენშაურეჟ სემი ლადაღ ლი ბარბლაშაწლ. თხუმ ჟენაშს - მანკუი ლადაღს, მგტმე ლი ედ ქორა მარე, მადეჟ ქორა ზუ-

რაწლ, მადეგ ეჯი ერუაგს თურაწლ ხეზგი. მერმა ლაადაღ ლიდბაში ლი - თურალხან. ლადბაშთე განთე ესღრიხ. აბხაუ წუს ლი ლეგნე ფეტრან ჭკტრეშ ი ლემზირ კვახრეშ. მინე ლეზობდ ზურალარს ესღუახ ქუთ. თხუმ გენშერ ფეტრან ყუბი ლიგნე გვამთქვა: ფატა ყვბს ჟილაგნედ ლემზირალს ი ჟილამზგრიდ, ეჩქანღო ქანმჩუ ჟილორკინედ, მადეგ ქათლარს ჩუ ლანმნედ. ქუთ ლემზირს „თხუმ გენაშ'' მან ხაყა. ლემზირდ: - დიდბი ლეჭედ გან ანგლეზ თურლე მასტენხან ი თხუმი მაზიგხან ლანგნთხილ ნაგ ი ნიშგუეგ მეზგემი მერდე მარე. 3 ცალ ლემზირ მგტმეხან შდაშ ლი ლენყე: - გან ანგლეზ, ნატამ სარგებდ ოხოკდ ნიშგუეგ მგტმა. ლიტმე მარემი თერლე მასტენხან ი თხუმი მაზიგხან გარ ლას. მგტმემი ლემზირ ლი ფატა ჭკტ.

შობ ლუთ გვამთქვა შობა ქაქ. ნაბოზს ლემზირალ ჯარ ლენყე. ქაქ მიჩოუშ ჯარ ლემზირ ი ლემზირალ მიჩოუშ - შობა ლამარიახან. ქაქა ლიმზგრალალდ ეშხუ ფაკნილ ჟილეკედ ჯარ, ა�ადდ 3 ცალ ლემზირ ი ჟილემზგრი ჯარ ლაფაქმგყ - გუემი ლამარიად! ალ ლუთ იმაგ დეშ ლახზგენე - მერმა ლუთ ჯარ ლეზებ ღაჟერე უფენად: - დიდბ აჯვად შობა ლამარიას! მაჩენე ისგუ დიდბ ჩუნამურჯენს, მერმად ათხე ანმარჯ! ნიშგუეგ ლაფქიარს ბარაქ ლახო დიდბი ლეჭედ. II ვარ. - დიდბ აჯვად შობა ლამარიას! მაჩენე დიდბ ისგუ ას ჩუ ხამურჯენს - მერმაგდ ნაგ ანმარჯ. ბარაქ ლახო ნიშგუეგ ლაფქიარს, ნიშგუეგ ტეტი ნაფადს. ამენღო ლემზირ ლი ლაჯურახან.

ნამზგრენღო ლემზირალს, ქაქს, მუჯორს, ხილმახილს - ჩის ქალოფენედ. შობუნღო ლი ქრისდენ. (მერმა ლადაღ.) ალ ლუთ ჩიმი ლიმზირს ჩუხაყა. ლიფენესი იჩოხ ოხდრიშ.

საჯხგ გირგვლიანი 1996 წ. იფხი

გიორგობის შემდეგ არის ქრისტეშობის მარხვა. ამ ღამეს ხსნილითაა მიცვალებულთა სუფრის კურთხევა. ამის შემდეგ მხოლოდ სამარხოთია (წყგლიან!) ლიმზირიც და ლიფენეც - 6 კვირის მანძილზე. მარხვისას ერთი კვირის შემდეგ არის „ტაძრობ''. ამ ღამეს ხსნილით ისევ ვუკურთხებთ სულებს. ტაძრობიდან ორი კვირის შემდეგ არის ბარბალობა. (სამი დღე).

ბარბალობის ღამეს გუეზი აქვს ყველას. უფენად ლოცვაა გუეზ. ლემზირებს დავაცხობთ იმდენს, რამდენი წევრიცაა ოჯახში. ამ ღამეს საქონლის მკვებავისთვისაა ხაჭაპური დასაცხობი. ის მას დარბაზზე აიტანს და იქ შეავედრებს ბარბოლს საქონელს. ხშირად მას აქ ბავშვებიც ამოჭყავდა და მათაც გაუნაწილებდა ლემზირ ხაჭაპურს. მენენ ასე ილოცებდა - დიდების მიმღებო ბარბოლ, მუნისაგან, გამონაყარისაგან, საქონლის ჭირისაგან, ადამიანის ტკივილისაგან დაგვიცავ, დიდება მოსასვლელო. თავისი საქმის დარბაზზე მოგვარების შემდეგ ეს კაცი მაჩუბში ისევ აღავლენს 3 ცალ ლემზირს მუნისაგან დასაცავად. 3 ლემზირს - ადამიანის ყველანაირი ტკივილებისაგან დასაცავად და 3 ცალსაც საქონლისთვის. ქმრისეულ სახლში ჩვენ ეს ლოცვა თივის ჩამოსაყრელ ადგილას - ლანუნალჟენ - ვიცოდით. მამისეულ სახლში კი - დარბაზზე - თივის შესანახ, სახლის მეორე სართულზე. ლანუნალზე ლოცვისთვის ჩვენ გვჭირდებოდა 6 ცალი ლემზირ - ხაჭაპური, 6 ცალი სანთელი და მათ სახარის მხარეს ლათეგ-ის ზემოთ მივაწებებდით (ერთად კი არა ცალ-ცალკე 6 ადგილას. ლათეგს) - ეს ლოცვა ხარებისთვისაა განკუთვნილი და იმიტომ: - დიდების მიმღებო, შემცოდებელო ბარბოლ, მომავალი ბარბალობა მშვიდობიანად მოგვივლინე, ყველა რომ კარგად ვიყოთ, ისეთი წელი დაგვიყენე, მწყალობელო ბარბოლ, დიდებულო! (ავადმყოფობისაგან დაცვა იგულისხმება ამ თხოვნაში!).

ბარბალობის პირველი დღიდან („თხუმ ბარბლაშ'') გენაშამდე 6 დღეა შუალედი. სათვალავში ერთ დღეს შეირევს, მეორეს არა. გენშერიც 3 დღეა ბარბალობასავით. „თხუმ გენაშს'' - პირველ დღეს გენშიერობისას - მომარხულეგა ან სახლის უფროსი მამაკაცი, ან უფროსი ქალი. ან ის, ვისაც თვალების ტკივილი აწუხებს. მეორე დღეს თვალებისთვისაა ლიდბაში. სალადბაშოდ გან ზე ადიან. აქ წესია ლოცვა მჭადით და ცარიელი ლემზირებით. ქალებს სათავისოდ (და არა სალოცავად!) მიაქვთ ხაჭაპური.

გენშერის პირველ დღეს ვიცოდით ფეტვის გუნდის გაკეთება; მას ლემზირივით „დავაცხობდით''; ან დავგუნდავებდით და ლემზირებს დავუსახავდით, ასე გამოცხობის გარეშე აღუვლენდით. ბოლოს მათ ქათმებს გადავუყრიდით. თუ გამოცხობილი გვქონდა, სარკმელზე დაგიდებდით—ჩიტების შესაჭმელად. ყველიანი ხაჭაპური „თხუმ გენაშ''-ის დღეს არ შეიძლება. ვილოცებდით: - დიდების მიმღებო გან ანგელოზო. თვალების ტკივილისგან და თავის ტკივილისგან დაგვიცავი ჩვენ და ჩვენი ოჯახის ყველა წევრი. ამ დროს 3 ცალი ლემზირი მომარხულესათვის ცალკეა გამოსაცხობი, - გან ანგელოზო, მარხვა სარგებლიანი გაუხადე ჩვენს მომარხულეს. მარხვა თვალების და თავის ტკივილისაგან დასაცავად იყო მხოლოდ. მომარხულის ლემზირი იყო ფეტვის მჭადი. (უყველო!)

შობ-ის ღამეს ვიცოდით შობ-ის ფაფა. საღამოს ლემზირები გვაქვს დასაცხობი. ფაფა ცალკე გვაქვს აღსავლენი და ლემზირები ცალკე—შობა ლამარიასთვის. ფაფის შეწირვამდე ერთი ჯამით მისი ზედა ნაწილი გვაქვს ასაღები. ასევე 3 ცალი ლემზირი და აღსავლენი გვაქვს ეს ორივე საფქვილე კიდობანთან - გვემი ლამარიასათვის! ამ ღამეს რასაც ვერ შეჭამ - მეორე ღამეს შეგიძლია მიირთვა იგი მამაკაცების გა-

რეშე. - დიდების მიმღებო შობის ღამარიავ! საუკეთესოდ თუკი ოდესმე გაგვმარჯვებია შენდამი ლოცვა, მეორედ ახლა გაგვიმარჯვე! ბარაქა მიეცი ჩვენს საფქვილეს დიდებულო; დიდების მიმღებო შობის ღამარიავ, საუკეთესოდ თუკი ვინმეს გამარჯვებია შენდამი ლოცვა - დიდება, მეორედ ჩვენ დაგვიჯვარე, ბარაქა მიეცი ჩვენს საფქვილეს (ფქვილს!), ჩვენი ხელის ნახლებს. ამის შემდეგ ლოცვა უნდა აღავლინო სალოცავ სარკმელთან.

ლოცვის შემდეგ ლემზირებს, ფაფას, მუჯორს, ხილს - ყოველივეს რაც რამ გვაქვს შევუნდობთ. შობ-ის შემდეგ არის ქრისდეშობის დღე. ამ ღამეს ყველაფრის ლოცვა შეიძლება. სულთათვის ხსნილი ეკურთხება.

* * *

ბარბლაშ ხილარ მამ შიდ. ლიმზირ ნამთქფა თხტმ ბარბლა ლენთ ი მესმა ლენთ. მანკეი ლენთ ლემზირაღლს ხვანყედ, ვანრე ლათეგ შელდ ლეტრაღლს ხვასყენედ ი ლეგუნდირთე ქანვალწენიდად თითჟინ. ამუნღო 6 ცალ ლემზირს ჟიხვამზგრიდად ვანარხან ლათეგმგყ: - დიდაბ აჯვად ბარბალ ანგლეზს, ჟიბე ლგკლათხე, მადღიან, ვანარ ანფიშირ, ნალვამში ლახო. ჭგშხრე მასტენ, ხოლა მაზიგ მგ ათქანბინ დიდაბი ლეგ-ედ.

ეჩქანღო ხვამზგრიდ ლამზგრ ლაკურამგყ მარე, ამეჩენ ხვამზგრიდ მარახანნ, მიჩა თხუიმი მაზიგხან, ხოლა მასტენნანნ, ხოლა მაზიგ მგ ბარბოლხანქა ანღრი. ხვეგრალღად მიჩა ლიშედს.

ლანუნალჟინ ლამზგრჟინ ჩილად საჭირო ლი 6 ლემზირ ი 6 სანთელ. 6 სანთელდ ხოშილს ჩუ ხაყა, ხოხრამ მამა. ლამუარს, ამეჩენა ლიმზგრი მგქაფდ ხვიმზირდად დარბაზჟინ. ლგშრავე ჩუშიდ. მემზირ ლი ედ ზურალ, ედ ღვაუმარე (მამ ლი ნახუმსარ). დარბაზთე ენღუან ეშხუ ქუთ ი ეშხუ ლეტრე.

მესმე ლენთ ნაგ ლესკარ ნამთქვან. ალექსანდრეს (მთხრ. შველი) ხაგად თერალხან სემი ლემზირ. ხვანყას ხოხრალა ლესკარს. ალს მიჩა (ალექსანდრეშანნ) ჯახანან ხვამზგრიდ. მერმ ლენთ ხვანყას 3 ცალ ლემზირს. ლესკრი ლამზგრჟინ ტული: დიდაბ აჯვად ბარბოლ ანგლეზს, მესმე ბარბლა ლენთ მაჩენამდ ისგუ ლიმზირ ჩუნამურჯენს, მერმად ათხე ანჯარ, ისგუ მეფშდე მასტენ ნოსა ლანთგლე დიდაბი ლეგედ.

ლატლინისგა ზაგრალს გარ სგვეჯი ბარბოლ. ნაგ ექიმბაშობ ნიხალდა ჩილად ი ნიშგენეგ მაშედ ბარბოლ ლას. მიჩენდ ნახუმსარ ლიმზირ მამ ნიხალდა, მარე მიჩა ლალგენა ჩილად ნირდა. ამეი ჩილად ნირდა ლამარიან ლალგენაგ. ალიარე ლალგენა ჩილად დეკეველ ლი. დეკეველიანი ღუნ ჩილად ჟილელგენი ლი ი ჩულეგსენი ჯარ. ბარბლადა ლალგენა ლეგსენი ლას თანა ლადაღ. ბარბლაში ლიმზირ ხოჩა ლი მახე თანაშ. „ლამგრიგ'' ლიმზირ ი ლიგსენი ცან ლადაღ (მახე ცაშ).

ლალგენჟინ ლეტრე ხეკენეს მიჭს ლახლაწი. ლაგსენჟინ ტეტისგა ჯუღვე ლეტრე. ლემზირალ ლალგენჟინ მამ ნუღუა, მარე ეჯლადაღ ხეკენეს ჟილახმაზრა: - დიდაბ აჯვად ბარბალ ანგლეზს, სი ლანენშდ, ოშუაგდ ფათ ალის ხაგ ეჯშელდ ჟგრი წყალობ ღანმაშედ, ალიგ ლახგნთხილ ი მიჩა აფხნეგი, ესგაგს მაჩენამდ ისგუ დიდაბ ხამურჯენს, მერმად ნაგ ანმარჯ დიდაბი ლეგედ: ბარბოლს ტაბგლ მამ ხაკუჩ. აშხუჟინ ხვიჩოდ 6 ლემზირი ლიმზირს. ლგჩიდალს ჩუ ხაყა.

დაბ-ლარემიშ ი მოსავლი ბედჟინ ბარბოლს დენ ხვამზგრიდ. ბარბოლ ლი ფურალხანნ, მასტენნანნ. ზურალა ბედჟინ ხვემზირდ კერი ღამარიას, ლემთა ღამარიას. ღამარია მოსავლიშ ლი, მოსავალ ღამარიაშ ლი.

საჯხგ გირგვლიანი, 1997 წ. იფხი.

ბარბალობას ხილის ჭამა არ შეიძლება. ლოცვა გვჩვევია ბარბალობის პირველ და მესამე დღეს. პირველ დღეს ლემზირებს ვაცხობთ: სახარის „თვალთა'' რაოდენობით სანთლებს გავაკეთებთ და მათ ცალ-ცალკე ბაგის გამყოფ ფიცარზე - ლეგუნდირ-ზე მივაკრავთ. 6 ცალ ლემზირს აღავლენდით აქვე, ხარების სახელზე—დიდება მოსასვლელო ბარბალ ანგელოზო, ზე ამაღლებულო, მადღიანო, ხარები გაგვიმრავლე, ძალა მიეცი, ფეხების ტკივილი, ყველანაირი ავადმყოფობა ააშორე. შემდეგ ვლოცულობდით სალოცავ სარკმელთან, მაგრამ აქ ვლოცულობდით ადამიანისთვის, თავის ტკივილებისგან, ავადმყოფობისაგან დაცვის მიზნით. ტკივილი და ავადმყოფობა—ყველაფერი ეს ბარბალისაგან მოდის. ამიტომ შევსთხოვთ მას შველას.

თივის ჩამოსაყრელ ადგილას, სახარის ბაგის წინ ლოცვისას აუცილებელია 6 ცალი სანთელი და 6 ცალი ლემზირი. 6 სანთელზე მეტი შეიძლება, ნაკლები - არა. მამისეულ სახლში, აქ ლოცვის მაგივრად, ვლოცულობდით დარბაზზე. ლოცვისას შეიძლება ყველიანით ლოცვა. მლოცველი არის ან ქალი ან კაცი. (არ არის გამორჩეული). დარბაზზე მლოცველს ჰქონდა ერთი ხაჭაპური და 1 ცალი სანთელი. მესამე ღამეს ჩვენ ვიცოდით ლესკრის გამოცხობა. ალექსანდრეს აქვს ბეგარად (მთხრობელის შვილია ალექსანდრე) სამი ცალი ლემზირი. ვაცხობდი მომცრო ლესკარს—მას ალექსანდრეს სახელზე აღავლენდი. 3 ცალ ლემზირს სხვების სახელზე. ლესკრის აღვლენისას ვიტყოდი: - დიდება მოსასვლელო ბარბოლ ანგელოზო, მესამე ბარბალობა ღამეს თუკი ოდესმე გაგვმართლებია შენდამი ლოცვა, მეორედ ახლა გაგვიმართლე, შენი გამოშვებული ტკივილი არ მოგვაკარო.

ლატალში ზაგრალშია (ადგილი) მარტო ბარბალის სალოცავი. ჩვენ ექიმბაშობა ვიცოდით ყოვე-

ლთვის და ჩვენი მშველელიც ბარბოლი იყო. მისთვის განსაკუთრებულად ლოცვა არ ვიცოდით, მაგრამ აღთქმული საკლავი ყოველთვის გვყავდა. ასევე ყოველთვის გვყავდა ლამარიას საკლავიც ("ზვარაკი შესახელებული!). მათი ზვარაკი ყოველთვის დედალი ხბო (დეკემბერ) იყო. ძროხის პირველი ხბო (დეკემბერ ღუნ) ყოველთვის მათი ზვარაკია. ბარბალისთვის შესახელებული ზვარაკი (ლგლგენე) ყოველთვის ახალი მთვარის სამშაბათსაა შესაწირი, („ბარბალაჲ") ლამარიასთვის—(„ლამგრია") ახალი მთვარის ხუთშაბათს (მუხე ც�).

შესახელებისას ზვარაკს რქაზე უნდა მიაწებო სანთელი. შეწირვისას ხელში უნდა გქონდეს სანთელი. ლემზირები შესახელებისას არ არის საჭირო, შეწირვისას კი: - დიდება მოგსვლოდეს ბარბოლ ანგელოზს, შენ გვიშველე, რამდენი თმაც ამას აქვს, იმდენი მადლი და წყალობა (მოგვივლინე) მოგვაშველე, ესეც დაიცავი და მისი ამხანაგიც, ვისაც კი ოდესმე საუკეთესოდ დახვედრია წინ შენი ლოცვა, მეორედ ჩვენ დაგვიჯვარე ასე. ბარბოლს ტაბლა არ სჭირდება. მისთვის ერთად 6 ცალი ლემზირი ხდება. ყველიანი შეიძლება. ველ-მინდვრის და მოსავლისთვის ბარბოლს არ ვახსენებთ. ბარბოლი არის საქონლის - მფარველი და ტკივილებისგან დამცავი. ქალური ტკივილებისგან ქალის მფარველობისათვის მივმართავთ კაერის ლამაწრიას (კაერ სოფელია ლენჯერში) და ლემთა ლამაწრიას. (ეს სალოცავი ადგილია იფხში). ლამაწრია მოსავლისაა, მოსავალი კი - ლამაწრიასი.

4. „ქრისდენ" || „ქრისდენი ჲარნესგა" || „ქრისდენი ჲარუნესგა"
(ქრისტეშობის მსგეფსი 1 კვირა)

მართლმადიდებლური კალენდრით,

7 (25 დეკ.) იანვარი - ქრისტეშობა,
9 (27 დეკ) იანვარი - ხსენება დავით მეფის. ფსალმუნთა მთქმელისა და იაკობ ძმისა უფლისა.
14 (1 იანვ) იანვარი - წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ხსენება ბასილი დიდისა.

ხალხური კალენდრით:
25 (7 იანვ) დეკემბერი - „ქრისდენ" || ქრისდე ლაადაღ.
31 (13 იანვ) დეკემბერი - „ჲეშხუამ".
1 (14 იანვა) იანვარი - ზუმხა || „ჯინელ ზაჲ" (იგულისხმება ძვ. სტილით ახალი წელი.) || მუხე ზაჲ".

ეს რაც შეეხება რიცხვით მყარ დღეობებს. ხოლო, მთელი მსგეფსის პერიოდი „ლიდბაშების" პერიოდია.

„ქრისდენ" იხმარება ორნაირი მნიშვნელობით ა) როცა აღნიშნავს ქრისტეს შობის დღეს („ქრისდე ლადაღ"-ს) და ბ) როცა აღნიშნავს მსგეფსის პერიოდს: „ქრისდენლი ქრისდელაჲდაღხანქა ჯინელ მუხე ზაჲად" - ქრისტეშობის მსგეფსია ქრისტეს შობის დღიდან ძველ ახალ წლამდე. ჲარნესგა - „ორთაშუაა", ე. ი. მსგეფსი ეკლესიური ენით, რადგან ამ კვირაში ოთხშაბათი და პარასკევი მარხვის დღეები არ არის („ჯგმაშ ი ვეფიშ მუმ-ლი!).

25 დეკემბრიდან მეჲსარაბამდელ პერიოდს ვ. ბარდაველიძის მთხრობელი უწოდებს „აღბა მაზნა"-ს პერიოდს. იგი, მისი მიხედვით, რიგით მე-4 პერიოდია. (იხ. ზემოთ!). ჩვენი ერთ-ერთი მთხრობელი კატეგორიულად უარყოფს აღნიშნულს; აღბა მაზნა, მისი თქმით, არის მხოლოდ ძველით ახალი წლიდან მეჲსარაბის დღემდე არსებული დროის შუალედი. („ამას ამბობენ მაგრამ წესი ასეა როგორც გითხარი"! (ს. გირგვლიანი - გვიჩიანის. დღიურები, 1995 წ. ლატალი. იფხი.). თუმცა ჩვენც ზემოთ მოცემული განაცხადი ვ. ბარდაველიძის მთქმელისნაირი, ნამდვილად გაგვიგია. მაგრამ, ჩანს, რომ ქრისდენში ჲარნესგა მართლაც დამოუკიდებელი პერიოდია და ეს ისევ როგორც მას „კატეგორიულად" მთქმელი გვიცხადებს, მისი სხვა პერიოდში გარეშა - დაუშვებელია.

ზოგადად მსგეფსისთვის დამახასითაებელია შემდეგი მთავარი მომენტები: 1) ქალები მიდიან სხვადასხვა ეკლესიის მინაშენში ამ ეკლესიის „მფლობელის" სადიდებლად - „სალადბაშოდ" - ლემზირების აღსავლენად. 2) ქალები წინათ აქვე ამზადებდნენ „შესაწირავებსაც" და „თავიანთ შეჭამანდსაც". აღნიშნულში იგულისხმება ის გარემოება, რომ ხშირად ესა თუ ის წმინდანი, სადაც ისინი ლიდბაშის იხდიდნენ, არ აღივლენდა ყველიან ან ხორციან ლემზირებს. ამიტომ წმინდანს აქ სათავისოს აღუვლენდნენ (უყველოს, უხორცოს!), თავიანთვის კი - „უკეთესს" (ყველიანს და ხორციანს) გაიკეთებდნენ.

3) ლიდბაშებისას დიდ ღმერთებს; ხოშა ღერბეთს, მგქემ თაურინგზელს და ჯგგრაგს - არ აღუვლენდნენ ლემზირებს, ეს მკრეხელობის ტოლფასი იყო. („ღერთაულს ჲარ ხეწრაულნი!"). თუკი მსგეფსისასა მათი ხსენება მაინც უნდოდათ, ლემზირებს აღავლენდნენ არა ეკლესიის მინაშენში, არამედ სახლის შინაში - სალოცავ სარკმელთან კვირა დღეს (უმეტესად!). თუმცა ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ მსგეფსის პერიოდში ლოცვა შეიძლებოდა ყოველ დღეს: თაურინგზელისთვის - ორშაბათს, მაცხუარისთვის - სამშაბათს, ლამაწრიასთვის - ხუთშაბათს, ჯგგრაგისთვის—შაბათს, კვირა კი დიდი ღმერთისა იყო. ოთხშაბათი და პარასკე-

ვი ნათელმცემელს და კაჟაშა თარინგზელს უკავშირდებოდა უმეტესად. ვიმეორებთ, მსგეფსის პერიოდში ხდებოდა „ლიდბაშები“ წმინდა ადგილებსა და ეკლესიის მინაშენებში. მთავარი ღვთაების (პირველი სამის) და მათ „სავაზიროთა“ ხსენება შეიძლებოდა მხოლოდ „შინა“-ს სალოცავ სარკმელთან.

სალადბაშოდ ხშირად ერთი „სამხუბის“ (სამმოს) ქალები მიდიოდნენ ერთად. ისინი თავიანთი სურვილით ადგენდნენ „სალადბაშო ადგილთა“ რიგს, მხოლოდ ისევ იმ კანონზომიერებით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ე. ი. ორშაბათს მხოლოდ ერთერთი თარინგზელის ეკლესიის მინაშენში წავიდოდნენ. სამშაბათს მაცხუარის და ა. შ. მაგრამ რადგან თარინგზელის სალოცავი ლატალში მხოლოდ ერთი არ არის, მათ შეეძლოთ იგი თავიანთი სურვილის მიხედვით (ე. ი. ვის შემწეობასაც მეტად საჭიროდ თვლიდნენ) აერჩიათ. რადგანაც სამხუბი ლატალში (და შესაბამისად მთელ სვანეთში) „ძალიან ბევრია“, მათი ლადბაშების რიგის აქ მოტანა ფიზიკურად შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ამ ტრადიციიდან მხოლოდ ვ. ბარდაველიძის მთხრობელთა განაცხადს მოვიტანთ. იგი „ძველის“ სურათს, ვფიქრობთ, მეტად გაგვაცნობს, ვიდრე, დღევანდელი დღის „აღრეული“ წესები. სალადბაშოდ ლატალელი ქალები უბნის (საგვარეულო, სათემო) სალოცავებს ირჩევდნენ უმეტესად, რათა შეძლებოდათ „ლიდბაშის“ უფრო სრულყოფილად წარმართვა. (ამ მსგეფსისას დღე ხომ საკმაოდ მოკლეა!)

* * *

ჟარუნესგა (ორთაშუა) ეწოდებოდა მთელ კვირას ქრისდეშიდან ზომხამდე. ამ კვირის ოთხშაბათი და პარასკევი (ჯგშაშ ი ტებიშ) ხსნილი იყო. ოჯახის მანდილოსნები მთელი კვირის განმავლობაში დადიოდნენ სალოცავად ლატალის სხვადასხვა ხატებში. თვითეულ მათგანს სალოცავში მიჰქონდა ერთი კარუა ფქვილი და ეკლესიის მინაშენში, რომელსაც ლაშდბაში ეწოდება, გამოაცხობდა ლემზირებს და შესწირავდა ამ ეკლესიის წმინდანს. სალოცავის კარზე ფქვილით ან ცომით წასვლას და იქ ლემზირების გამოცხობა —შეწირვას ლიდბაში ეწოდებოდა. ჟარუნესგას განმავლობაში მანდილოსნები ლიდბაშს აწყობდნენ ლატალის შემდეგ სალოცავებში: ერთ დღეს მაცხუარის ეკლესიის კარზე, მეორე დღეს - ჟანში, მესამე დღეს - ჯგერაგში, მეოთხე დღეს - თარინგზელში, მეხუთე დღეს - ლაშმარიაში, მეექვსე დღეს - მეხერში და მეშვიდე დღეს ხოშა ღერბეთს ევედრებოდნენ სახლში ან მაცხუარის ეკლესიის კარზე. ლოცვის დროს დაანთებდნენ სანთლებს (ლეტრე-ს), დაკმევდნენ ნატესენს, შესთხოვდნენ სალოცავს ადამიანის ჯანმრთელობას, მოსავლიანობას, ოჯახის გარაქას და ლემზირებს შესწირავდნენ.

ჟარუნესგაში კვირა დღეს კუახ - ლიურაშში[1] ეწოდებოდა. სოფელ მაცხუარიშში კუახ - ლიურაშში სასოფლო დღეობა იყო, სოფელს არჩეული ჰყავდა დღეობის მასპინძელი ორი მოსახლე. ჯერ კიდევ შემოდგომის პირზე, მოსავლის აღების დროს, მათ უნდა შეეგროვებინათ სოფ. მაცხვარიშის მოსახლეზე თითო ჩაფლაში (საწყაოს სახელია) პურის ფქვილი (კუეცენი) და თითო ჩაფლაში ქერი (ჭგმინი). შეგროვილი ფქვილისგან მორიგე მასპინძელი კუახ - ლიურაშის დღეს გამოაცხობდა სოფლის მოსახლეთა რიცხვზე ორ-ორ ლესკარს, სამ-ოთხ ცალ ლემზირს და თითო ჯამს სამარხო საჭმელს გააკეთებდა მოსულ სტუმარზე, ხოლო ქერისგან სადღეობო არაყს გამოხდიდა დღეობამდე რამდენიმე დღით ადრე. დღეობა დღეს მასპინძლის ოჯახში იკრიბებოდა სოფელ მაცხვარიშის თვითეული ოჯახიდან ორ-ორი კაცი. გაშლიდნენ სუფრას, ჩამოარიგებდნენ საჭმელ-სასმელს და იმართებოდა საერთო სმა-ჭამა, ქეიფი და მოლხენა. ამ სუფრაზე ირჩევდნენ მორიგე მასპინძლებს მომავალი წლის კუახ—ლიურაშისთვის.

ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღ. კალ. 1939 წ. გვ. 64-65.
1935 წ. აგვისტო სოფ. მაცხვარიში, ლატალი,
მთხრ. გიორგი გირგვლიანი 57 წლის.

ჟარუნესგა ორჯერ მოდიოდა წელიწადში: ერთი იყო შობა-ახალწლის შუა კვირა და მეორე აღდგომა—ახალკვირის შუა. ორივე ჟარუნესგა მეტად დიდ დღეობად ითვლებოდა. ნათქვამი იყო, ამ ორი კვირის განმავლობაში სამოთხის კარები მუდამ ღიაა და ვისაც სურს, თავისუფლად შეუძლია სამოთხეში შესვლაო. რაც უნდა ცოდვიანი იყოს კაცი, თუ ის ჟარუნესგაში გარდაიცვალა, აუცილებლად სამოთხეში მოხვდებაო, სამოთხის კარები სანთლის არისო. (სანთელი ყორაულ). ჟარუნესგას განმავლობაში ქალები ყოველ დღე მიდიოდნენ სალოცავში და ლიდბაშებს იხდიდნენ. თვითეული ხატის მოსალოცად გარკვეული დღე იყო განკუთვნილი. ჟარუნესგას ორშაბათს ისინი თანღი თარინგზელში მიდიოდნენ. იგი ვაჟიშვილების მომცემი და მფარველი ღვთაება იყო. მას აგრეთვე თავის ტკივილის საწინააღმდეგოდაც ევედრებოდნენ. ვისაც ვაჟიშვილის გამოთხოვა სურდა თანღი თარინგზელისათვის, ნაშდაშუნის გარდა, ზედაშეც მიჰქონდა სალოცავში. ზედაშედ აუცილებლად ქერის არაყი უნდა ყოფილიყო და ამავე დროს „წმინდად“ შენახული, ე. ი. მას არ უნდა გაჰკარებოდა ქალი (იგულისხმება „უწმინდური“ ნ. წ.) და არ მისცხებოდა ღორის ქონი.

[1] „კუახ ლიურაში“ ყოველთვის მოდის ქრისდეშობის წინა კვირას. ეს სამარხო დღეობაა და ქრისდეშის ვიჭმში არის მოქცეული და არა ქრისდეშის ჟარნესგაში - როდესაც უკვე ხსნილია. ნ. წ.

ზედაშედ ღვინოს სწორედ იმიტომ არ ხმარობდნენ, რომ ის შორიდან მოტანილი იქნებოდა და შეიძლება „წმინდა“ არ ყოფილიყო. ზედაშედ შესახელებული არაყი ცალკე ინახებოდა (ეეც-ში - ქვევრში). მას უწმინდური ქალი ვერ მიეკარებოდა. საზედაშე არაყს ვერ გამოხდიდა ოჯახი, თუ მას შინ დედათაწესიანი ქალი ჰყავდა. გარდა ამისა, საზედაშე არყს ვერ გამოხდიდა ლატალელი, თუ თემს შიგნით სადმე მიცვალებული ეყოლოებოდათ დაუმარხავი. „უწმინდური“ ოჯახიდან საარაყე ქვაბს არ ინათხოვრებდნენ.

ჟარუნესგას სამშაბათს ქალები მიდიოდნენ მაცხუარის ეკლესიაში და იქ ლიდბაშს იხდიდნენ. სვანების რწმენით, მაცხუარი დიდი სიცხიანი ავადმყოფობის გამჩენი იყო: მას შეეძლო ეს სენი მთელი ქვეყნისათვის მოედო. ამიტომ ეევდრებოდნენ სიცხიანი ავადმყოფობა აგვაშორეო.

- მაცხუარ ლატლარ, ისგუ ნაფიშდუ მაზიგ ნოს ლახთგლე ი ისგუა სუიფისგა ნიშუკილ ხოშა ნორ ჩუემინე.

- მაცხოვარო ლატალისაო, შენი გაშვებული სენი არავის მიაკარო და შენ მოედანზე დიდად შესაცხადებელი არავინ მიიბარო.

სოფელ ჟენაშის მაცხოვრებლების გარდა, ყველა ლატალელი ქალი ჟარუნესგა-ს ოთხშაბათს ლამაარია-ს ეევდრებოდა ლემზირებით ხელში: - ჟარუნესგა ლამაარია, ალ ქორისგა უხუდ ი ჩამაგად ლანო ისგუ ნალეგრ ი სი ლანეშდ.

- ჟარნესგას ლამარიავ, ამ სახლში უხვად და გამოულევლად მოგვეცი შენი ნაწყალობევი და შენ გვიშველე.

სვანეთში სალოცავი ლამარიები ყველა ერთი იყო, გარდა ლენთა ლამაარიასი და ქუთაშიშ ლამაარიასი. ლენთა ლამარია ძვლების ტკივილისგან დამცველი ღვთაება იყო. როდესაც მის სალოცავში მიდიოდნენ, თან შესაწირავად მიჰქონდათ ტანისამოსი ან მისი ნაწილები, რომლებსაც იქვე დატოვებდნენ. ამ სალოცავში ქალები ხუთშაბათობით მიდიოდნენ და ლიდბაშს იხდიდნენ ხოლმე. ქუთაშიშ ლამარია კი მუცლის ტკივილისგან (ჯადი მაზიგხან) დამცველი ღვთაება იყო. მას ჩვეულებრივ თავ-თავის სახლებში სწირავდნენ ლემზირებს. ლამარიან ქუთაშისათვის განკუთვნილი იყო ორი დღეობა: ლამაარია ლიფთგალი და ნალმარა ცაშ-ი.

ჟარუნესგას ოთხშაბათს სოფელ ჟენაშის მანდილოსნები ნათგლმცემელს შესწირავდნენ ლემზირებს და ეევდრებოდნენ მას სახსრების ტკივილისგან დაგვიცავიო.

- დიდაბი ლეჯედ ნათგლმცემელ, ასსუა მაზიგ ნოსა ლანთგლე ი ლეჩუემს ი ლუქურესგს ანხუიდ.

- დიდების მიმღებო ნათგლმცემელო, სახსრების ტკივილს ნუ მოგვაკარებ და საქნელს და საოქმელს მიგვახვედრე.

ჟარუნესგას ხუთშაბათს ქალების ლოცვა-ვედრება და შესაწირი ლემზირები მიმართული იყო ჯგრაგ ბოგაშის სახელზე.

- დიდაბ აჯკაად ჯგრაგ ბოგაშ! ჯგრაგ ბოგაშ ქუინლგმგენე ი მარე მაგ ლანგნთხილ ისგუა ბოგს ი ჭუეკს.

ჟარუნესგას პარასკევს ლოცვა და შესაწირი ლემზირები განკუთვნილი იყო კაჟაშა თარინგზელისათვის. კაჟაშა თარინგზელმა იცისო მთის ფერდობებიდან მიწის ჩამოშვება და საზოგადოდ, მიწის ჩაწევა, რის გამო სახლის საძირკველს შეარყევს და ხშირად სახლებსაც დაანგრევს ხოლმეო. ძალიან საშიშ და ძლიერ ღვთაებად მიაჩნდათ სვანებს კაჟაშა თარინგზელი. ჟარუნესგას პარასკევს შეიძლება მოსახლე არ წასულიყო მის სალოცავში, მაგრამ სახლში მაინც უნდა შეეწირა ლემზირები და ელოცა მის სახელზე.

- კაჟაშა თარინგზელ, ლგლგიმალა ი დეცე-გიმს ისგუ ბეტკ ლოხოდ. - კაჟაშა თარინგზელო, ნაშენებს და მიწაწყალს შენი შესაკრავი შემოაკარი.

ჟარუნესგას შაბათს ლატალელი ქალები ჯგრაგ ჰოკულდაშ-ის სალოცავში მიდიოდნენ და ლიდბაშის იხდიდნენ. ნადბაშუნების შეწირვის დროს ისინი ასე ეევდრებოდნენ ჯგრაგ ჰოკულდაშის:

- ჯგრაგ ჰოკულდაშიშ, ნიშგუეგ ლეგუაყუს ცხუი ი ხანჯარ ათქაბუინ, ქვინლგგმენას ისგუ მეფშუდე ნადირ ნოსა ლახთგლა.

- ჯგრაგო ჰოკულდაშისაო, ჩვენს ქუდოსანს ისარი და ხანჯალი ააშორე, საქონელს შენი გაშვებული ნადირი არ მიაკარო.

ჟარუნესგას კვირა დღეს სვანის ქალები ჟანს ეევდრებოდნენ და სწირავდნენ მას ნადბაშუნებს. ჟანი თვალისა და თავის ტკივილისაგან მფარველი ღვთაება იყო;

- ჟან ლატლარ, მარცხ ი მაუინ ანქაბუინ, მასტუნ ნოსა ლანთგლე, ამ მარ ნაჯგრალ სგუებდ ანხიზ.

- ჟანო ლატალისაო, მარცხი და მავნე აგვაშორე, ტკივილებს ნურას მოგვაკარებ, ამ კვირის შენაევდრები წინ დაგვახვედრე.

ვ. ბარდაველიძე, სვ. ხალხ. დღ. კალენდარი 1939 წ.
ლატალი ჟენაში მთხ. 47 წლის. ქვერიჯა ფარჯიანი 1935 წ.

„ᲫᲔᲨᲮᲣᲛ“ „ᲨᲔᲨᲮᲣᲛ“

ძვ. სტ. 31 დეკემბერი ახ. სტ. 13 იანვარი

„ამ დღეობის მთავარი წესები ერთნაირი იყო ლატალის ყველა სოფელში. მხოლოდ ზოგ წვრილ-მანებში არსებობდა განსხვავება და მას თავთავის ადგილას აღვნიშნავთ. (ვ. ბარდაველიძე).

ჯერ კიდევ შემოდგომაზე, საქონელს საზამთროდ სახლებში შერეკავდნენ, ყოველი მოსახლე შეარ-ჩევდა დედალ გოჭს ან ცხვარს,[1] ცოტაზე კუდს წააჭრიდა - საჭმელი უკეთ შეერგებაო, გაუშვებდა თავისუ-ფლად საზამთრო საცხოვრებელ ბინაში (მაჩუბში) და რაც შეიძლება უკეთ უვლიდა და კვებავდა, რადგან საახალწლოდ ეს საკლავი გოჭი (ლეზრმახი) მსუქანი უნდა ყოფილიყო.

კალოობის დროს, აგრეთვე ცალკე გამოყოფდნენ პირველად გალეწილ კალოდან საუკეთესო ხო-რბალს, დაფქვავდნენ და მყუდრო ადგილას შეინახავდნენ. ამ ფქვილს ლამაწრია გუჩიზ-ი ეწოდებოდა და მას დიასახლისის მეტი ვერავინ მიეკარებოდა. ვერც უკანასკნელი მივიდოდა გუჩიზ-ის კიდობნის (კიბდენ-ის) ახლო, თუ ის „უწმინდური იყო“, ე. ი. თვიურში იმყოფებოდა. როდესაც ოჯახს მხოლოდ ერთი კარუა ლა-მაწრია გუჩიზ-ი ჰქონდა გამოყოფილი, მაშინ ამ ფქვილისგან საახალწლო ლემზირებს აცხობდა, ხოლო თუ მეტი ჰქონდა მომარაგებული, მაშინ ლამაწრია გუჩიზი შეშხუამ-ს გარდა, იხმარებოდა ზომხა-სა და ლიფა-ნალიში.

შეშხუამ დილას, ვიდრე გათენდებოდა, ყველა სვანის ოჯახში ე.წ. ანჭი-კუანჭ-ის წესი სრულდებო-და: მერბიელი გამოაცხობდა იმდენ ცალ წვრილ ლემზირს, რამდენი მოზრდილი წევრიც იყო ოჯახში. თუ ეს უკანასკნელი ერთი ან ორი სულისგან შესდგებოდა, მაშინ სამ ლემზირს გამოაცხობდნენ, რადგან სამ ცალზე ნაკლების გამოცხობა არ შეიძლებოდა. ეს ლემზირები ცერცვისგულიანები იყო და ღერღლაწრ-ი ეწოდებოდა. გამომცხვარ ლემზირებს მიიტანდნენ კარ-სარკმელ დახურულ სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და სახლის უფროსი დაილოცებოდა დალ შეშხუამის სახელზე,

- „დალ შეშხუმიშ, ხოჩა გარ ენშხუამ ნაᲫ ქორს, ფიშირ ლაᲫი ლადაღ ხოჩა გუჟინ ანაჭ“.

- დალო შეშხუამ-ისაო, მხოლოდ კარგი გვიშეშხუამე ჩვენს სახლს, მრავალი დღეანდელი დღე კარგ გულზე მოგვასწარი.

ლოცვის შემდეგ ოჯახის სათანადო პირებს ჩამოურიგებდნენ ამ შესაწირავს და ყველანი მოკრძა-ლებით შესჭამდნენ მას. ამ ლოცვა-ზიარებას ვერ დაესწრებოდა ოჯახის ის წევრი, რომელიც წარსული წლის შეშხუამ-ს სახლში არ იყო ნამყოფი. ხალხი ფიქრობდა, რომ თუ სვანმა ეს წესი დაარღვია, განსაკუ-თრებით გარეშე პირმა თუ დაინახა ღერღლაწრ-ი, მაშინ ოჯახს იმ წელს უთუოდ ღორები ამოუწყდებაო.

როდესაც ღერღლაწრ-ის ჭამას გაათავებდნენ, ხოშა მარე დაიჭერდა ხელში „წმინდა“ თეთრი ფქვი-ლით სავსე კარუას, მივიდოდა ისევ მაჩუბ-ის აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელთან, ამ სარკმელს ცოტაზე გამოაღებდა, კარუით ფქვილს ამომავალ მზის შუქს ან, თუ მზე არ იყო, დღის სინათლეს დაანახ-ვებდა და ხმამაღლა წარმოსთქვამდა;

- დალ შეშხუამიშ,[2] ხოჩა გარ ენშხუამ, ალი თეთნე ლი, ამჟინ თეთნა ზაუ ლანგენ

- დალო შეშხუამისაო, მხოლოდ კარგი გვიშეშხუამე, ეს თეთრი არის, ასეთ თეთრ წელიწადს მიგ-ვაყენე.

ამ ლოცვის გათავების შემდეგ შეიძლებოდა სახლის კარ-სარკმელთა გაღება და გარეთ გასვლა. ნა-ლოცი ფქვილის ნახევრისგან ახალ წელიწად დღეს ლიდბაშს გადაიხდიდნენ და მეორე ნახევარს კი ერთგულ მეზობელს, რომელიც აუცილებლად სხვა გვარის უნდა ყოფილიყო, გაუცვლიდნენ ახალწელიწად დღესავე ხელის ახსნის (ლიშიაშალ-ის) მიზნით.

ყოველივე ამის შემდეგ სახლის უფროსი დაიჭერდა ხელში სამსხვერპლო გოჭს, ლეზრმახ-ს, მიიყვა-ნდა მას მაჩუბის აღმოსავლეთი კედლის მარჯვერა სარკმელთან და იქ შემდეგი სიტყვებით ლოცულობდა:

-დალ შეშხუმიშ, დიდაბუ აჯუედა, ფიშირ ზომხა ხოჩა გუჟინ ანაჭ. - დალო შეშხუამ-ისაო, დიდება მოგსვლოდეს, მრავალი ახალი წელი კარგ გულზე შეგვასწარი.

-ან კიდევ ასე იტყოდა[3]

-დალ შეშხუმიშ, ფიშირ ლაᲫი ლადაღ ანაჭ შუიდებდ, ხოჩა გუჟინ, ქუინლგმგენემიშ ი მაწუმი ნაშდობოშუ ი ნაფშიროშუ.

- დალო შეშხუამ-ისაო, მრავალი დღეანდელი დღე შეგვასწარი მშვიდობით, კეთილი გულით, სა-

---

[1] სოფელ იფხიდან სოფელ ენაშში გათხოვილი 47 წლის ქალრიჯა გვიჭიან-ფარჯიანისა ამასვე ადასტურებს, ხოლო ენ-აშელი Ძემზა წერედიანის და შაუხან ფარჯიანის თქმით, შეშხუამის სამსხვერპლო საკლავი მამალი ღორი იყო და ამიტომ შემოდგომაზე სასუქად ტახს დააყენებდნენ ხოლმეო.

[2] ქალრიჯას თქმით, ამ დღეს რომ ლოცვაში დალ-ს ახსენებდნენ, ეს დალი სულ სხვა იყო, ვიდრე მონადირეობის მფარ-ველი ღვთაება დალი.

[3] ეს ლოცვა Ძემზა წერედიანის ნათქვამია. მისი წარმოდგენით დალ-ი ტყეშია კლდეებში. ეს ღვთაება საქონელსაც შველის და კაცსაც. საზოგადოდ, დალ შეშხუამში ძლიერია, ყველაფერს და ყველას შველისო.

ქონლის და ადამიანის მშვიდობით და გამრავლებით.

ლოცვის შემდეგ სამსხვერპლოს კერიასთან მიყვანდნენ და მის პირად, აღმოსავლეთის კედლის პირდაპირ მდგარ მერხზე (ბანდარ) დააწვენდნენ ისე, რომ თავი აღმოსავლეთით ჰქონოდა, ორი კაცი ფეხებს გაუკრავდა და მესამე კი მუგუზლით ყელთან ჯაგარს შეუტრუსავდა და დაკლავდა. მის სისხლს ჭურჭელში დააგროვებდნენ და ლეზომახს დაჩარექებდნენ გარკვეული წესის მიხედვით: თავიდან კუდამდე მთლიანად ამოსჭრიდნენ ხერხემალს (ამ ნაწილს ზურგვევილ ეწოდება), ნაწლავებს და სხვა შიგნეულს ცალკე გამოყოფდნენ. გარეცხილ გასუფთავებულ ნაწლავში ტყირპის ქონსა და სისხლში არეულ ფიყვებს მოათავსებდნენ, შემდეგ მას პირს მოუკრავდნენ და ისე მოხარშავდნენ. ამგვარად შემზადებულ ძეხვს ზისხორა ეწოდებოდა და მას შეშხუამ ღამეს ვახშმად შეექცეოდნენ.

საახალწლო საკლავი ყოველწლიურად დედამთილსა და რძლებს გამოჰქონდათ მორიგეობით: ერთ წელს ლეზომახი დედამთილის პირადი ქონებიდან იყო გამოყოფილი, მეორე წელს უფროსი რძლის პირადი ქონებიდან, მესამე წელს მეორე რძლისა და ა. შ.

შეშხუამ საღამოს მოსახლეობიდან ერთი რომელიმე წავიდოდა ტყეში და თან წაიღებდა ყველიან ლეზომხირ-სა და ნაჯახს. იქ მსხლის ხეს და თხილის ბუჩქს მონახავდა და თვითეული მათგანის წინაშე შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

ხუა შეშხუამ შიდებდ ოგუენა, ხოჩა გუყონ გუარ ამ ზაუი ზაა.

მრავალი შეშხუამი მშვიდობით მოგვესწროს, კარგ გულზე გვქონდეს ამ წლის მოსავალი.

ამის შემდეგ ის მოსჭრიდა მსხლის ხესა და თხილის ტოტებს, ხეს ტოტებს გააცლიდა და წამოიღებდა მათ სახლში. გზაში ხავსსა და თეთრ ქვას (ჭყერუ-ს) მონახავდა და იმათაც თან წამოიღებდა. ახალი წლის განმავლობაში ამ ქვას ყველს (თაშ-ს) ეძახდნენ და ფიქრობდნენ—რაც უფრო დიდი იქნებოდა შეშხუამ-ს შემოტანილი ჭყერუ, იმდენად მეტი წველა ექნებოდა ოჯახს მთელი წლის განმავლობაშიო. ამგვარად ფიქრობდნენ ამ დღეს მოტანილი თხილის ტოტების შესახებაც, რომელთა კონას გუზ-ი ეწოდებოდა (ხოლო ამ დღეს მოჭრილ მსხლის ხეს ჯულ-ს ეძახდნენ): სვანების ძველი რწმენით, რამდენადაც უფრო კარგი, ე. ი. უფრო, მრავალკვირტიანი გამოდგებოდა ის, იმდენად უკეთესი მოსავალი ექნებოდა იმ წელს სვანის ოჯახს და, პირიქით, უკვირტო ან მცირე კვირტიანი გუზის სახლში შეტანა ამ დღეს წლის ცუდ მოსავლიანობას მოასწავებდა. მსხლის ხეს შეშხუამ ღამეს გარედან ააყუდებდნენ სახლზე, ხოლო გუზ-ს გახვევდნენ ხავსსა და მცირე ნაკელში და სახლის კართან დადებდნენ გარედან, მოფარებულ ადგილზე.

ამავე საღამოს, მზის ჩასვლამდე, სახლის უფროსი ქალი, მერბიელი, გამოიტანდა კერიასთან შემოდგომიდან შენახულ ლამაარია გუზ-ს და გამოაცხობდა სამ ცალ პურს: ერთი განკუთვნილი იყო დიდი ღმერთისათვის და ეწოდებოდა ხოშა ღერთუმიშ ლესკარ, მეორე—ღვთაება ლამაარიასათვის და ეწოდებოდა ლუმარიაშ ლესკარ და მესამეს მუჟეღუს ეძახდნენ. ქორა მახუში გოჭის ფეხის ძვლით კერიის წინ ამ ლესკარ-ებს აჭრელებდა და თან გაიძახოდა;

-ჯან, ჯან, ჯან, ფუერ, ფუერ, ფუერ,: გიცარ, გიცარ, გიცარ; ფიკუ, ფიკუ, ფიკუ, სგეი, სგეი, სგეი: მარუმი ნაშუდები, მარუმი ნაშუდები, მარუმი ნაშუდები: ბედნიერ თელოგრა, ბედნიერ თელოგრა, ბედნიერ თელოგრა".

- ხარი, ხარი, ხარი; ძროხა, ძროხა, ძროხა; ვერძი, ვერძი, ვერძი; ვაცი, ვაცი, ვაცი; ვაჟიშვილი, ვაჟიშვილი, ვაჟიშვილი; ადამიანის მშვიდობა, ადამიანის მშვიდობა, ბედნიერი რძალი, ბედნიერი რძალი, ბედნიერი რძალი:

ლამაარიაშ ლესკარ-ი ქალების საჭმელი პური იყო, კაცებს მისი შეჭმა არ შეეძლოთ, ხოლო ხოშა ღერთუმიშ ლესკარის შეჭმა ქალებისთვის აკრძალული იყო, ის მხოლოდ კაცებს უნდა შეეჭამათ. რაც შეეხება მუჟეღუს, მას შეინახავენ და როცა ნაახალწლევს ხარებს ყანაში ან ტყეში გაიყვანდნენ პირველად, მათ ამ კვერს შეაგებებდა წინ ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი, - მარჯვენა მხრიდან მოუვლიდა, წინ დახვდებოდა და წარმოსთქვამდა შემდეგ ლოცვას:

- ზაა მგლადი ხოჩა ზაა ლიცადალსუ ჯიცადიხ, ხოჩა ლიმშაენლუ ჯარხ. - წლის შემცველი კარგ წლის შეცვლას შეგვიცვლიდეთ, კარგი მუშაობის დრო გქონდეთ.

მესამე დღეს მუჟეღუ-ს ოჯახის წევრი მამაკაცები შესჭამდნენ ისე, რომ ნამცეცი არ დავარდნოდათ. ნამცეცის გადაგდებას ძალიან ერიდებოდნენ და ამიტომ სვანი მუჟეღუს ჩოხის კალთაში (ლახზარალ-ში) შესჭამდა შემდეგი სიტყვებით:

- უოდო ამის დო ახთხალდენ, ეჩქად მიშგუ მარცხ ნოსუუ ხასმა. - ვიდრე ამას არ მოსძებნიდეთ, მანამდე ჩემი მარცხი არავის გაეგონოს.

ვახშმის გათავების შემდეგ ოჯახი შეუდგებოდა საახალწლო სამზადისს. მერბეული გამოაცხობდა ე.წ. ლაჭხიარ-ს. ლაჭხიარის გამოცხობის პროცესს უნდა დასწრებოდა ოჯახის ყველა წევრი, წინაღმდეგ შემთხვევაში მას უფლება ეკარგებოდა მომავალი წლის ისეთ საიდუმლო საოჯახო დღეობებზე დასწრებისა, როგორიცაა მეისარად, ლაწრა, ისგ ლილჩალ და ჭაბგომ. განსაკუთრებით საინტერესოდ მიაჩნდათ ის, რომ ოჯახის წევრს შეშხუამ ღამეს შეეხედა სულებისთვის გაშლილ სუფრისთვის (ლეფუნე-სათვის). თუ ამ დროს

ოჯახის ქალი „უწმინდურად“ შეესწრებოდა, რისთვისაც ის შეშხუამს ოჯახის გარეთ იყო დარჩენილი, - მასაც კი გაუტანდნენ გარეთ და შორიდან შეახედებდნენ ლაჭშხიარ-ს. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ მას არ აღკვეთოდა აღნიშნულ დღეობებზე ქმრის ოჯახში დასწრება. ლაჭშხიარს შეადგენდა: ორი ლესკარი, მუჟელი და მათზე ზემოდან დადებული ლემზომახის თავი ან, თუ ოჯახს საკლავი არ ჰყავდა, ყველის წველა ან კვერცხი, შეშხუამ-ის ლიფუნე-დან გადარჩენილ პურს თუ შემდეგში ნახავდა ვინმე, უკანასკნელს შეეძლო წლის საიდუმლო დღეობებზე დასწრება ამ ლიფანეს პატრონის ოჯახში. მაგრამ სვანების უმრავლესობა მაინც ვერ ენდობოდა ასეთ ადამიანს და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისწრებდა მას თავის საიდუმლო დღეობებზე, თუ ის პირი მის ოჯახში შეშხუამ ღამეს ლაჭშხიარ-ის გამოცხობაზე იყო ნამყოფი.

აგრეთვე ვახშმის შემდეგ ირჩევდნენ საახალწლო მეკვლეებს, კენჭის ყრით (ლიჯგლაჟე) ირჩევდნენ ორ მეკვლეს - ერთს ქორა მგჭეშ-ს და მეორეს ჭაბე მგჭეშ-ს, რომელიც აგრეთვე შინაური მეკვლე იყო, მაგრამ შეშხუამ ღამეს სგიროში არ დაიძინებდა და დარბაზში ან სხვაგან გაათევდა ღამეს. გოჭის ფეხის ძვლისგან გამოჭრიდნენ იმდენ კენჭს (ჯგლაჟ-ს), რამდენი წევრიც იყო ოჯახში. ერთ მათგანზე ამოთლიდნენ ჯვარს და მას ხოშა ღერთემიშ ჯგლაჟ ეწოდებოდა, მეორე კენჭზე სწორ ზოლს ჩათლიდნენ და მას ჯგგრაგი ჯგლაჟ-ს უწოდებდნენ, ხოლო დანარჩენ კენჭებს უნიშნოდ სტოვებდნენ და თვითოეულ მათგანს ყუბ (ცარიელი) ეწოდებოდა. დამზადებულ კენჭებს ჩაყრიდნენ ქუდში, ერთმანეთში აურევდნენ და ოჯახის ყველა წევრი ამოიღებდა სათითაოდ კენჭს. ვისაც ხოშა ღერთემიშ ჯგლაჟ შეხვდებოდა, ის ქორაშ მგჭეში იქნებოდა და ვინც ჯგგრაგი ჯგლაჟ-ს ამოიღებდა, ის ჭაბე მგჭეში უნდა ყოფილიყო.[1] კენჭისყრით ხდებოდა აგრეთვე მეკვლე საქონლის არჩევაც იმ ოჯახებში, რომლებსაც შესახელებული სამსხვერპლო ფისხუ-ი[2] ან ლგლგენე, არ ჰყავდათ. უკანასკნელ შემთხვევაში ოჯახს ერჩია მგჭეში ქუინლგმგენედ კენჭის ყრის დროს ცხენი ამოსვლოდა. როცა ოჯახში ფისხუ-ი იყო, მაშინ აუცილებლად ის უნდა ყოფილიყო მეეკვლე ამიტომ კენჭის ყრა საჭირო არ იყო.

ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I,
ახალი წლის ციკლი, თბ, 1939 წ. გვ. 90-95. 1935 წლის აგვისტო,
სოფ. ლახუშდი მთხრობელი 97 წლის ბასლი ჩამგელანი.

* * *

შეშხუამ ლენთ გუეჭს ლაჟსენიდ (ლეტხვრის). ამრ ღვესეხანქა ჯული მგჯდემიშდ ხეკვეს ანნაყენს სემი ლემზირ. ალი ეჯნემდ ჟი ხეკვეს ლახმაზრას ჯულმეყ დალ ჯეჯგმიშს: - დიდაბ აჯვად დალ ჯეჯგმიშს, ჟიბე ლგკლათხე, ხამარ ანფიშირ დიდაბი ლეფედ. იშგენ ლემზირალს ი ლეჩრდილარს დალ შეშხუამიშს ი ზაჟ მგლაბდი ღერბეთს ლამზერიდ. ღვეშგიმპილს, ალიარს ჩრს ზისხორალლაბან ქალოფანენდ: ალ ნაფანს ერვაჟ ქახეწდენი ეჯის უწენად ჩუხოგად ი ლიგიერგი ლადაღ ლიტულიდრ. (ზისხორას დარ ხამზერი). ლამფარს ალი ქანაფან უწენა ნარ, ამეჩუნ - მამა. ამუნლო ლი ლენყე ლაჭშხიარ ი პუხულდარ. ხოხრა დრირილდარს მახე ზაჟს, ჰამს, ლაბარგთე ლაიდ, ლანნუნალთენ, ლაფაქთე... ამეჩუნ ჩულიშხენიდ, ჩუგარ ლადენსგიდ. ლიმზირშ ალ პუხულდარს შეშხუამ ლენთ ლამზერიდ ლემზირალლაბან: - დიდაბ აჯვად დალ შეშხუამიშს ხოჩა ზაჟ ენლად ი ენშხუამ. ლაჭშხიარ ლი: მუჟელუ, ლესკარ, თა'შ, კაპრაჟ.

საჯხე გირგვლიანი 1995 წ. იფხი.

შეშხუამ ღამეს გოჭი (მამალი გოჭი) არის დასაკლავი. მისი ბადექონიდან უნდა იქნეს დაცხობილი სამი ცალი კუბდარი—ტყიდან ჯულის მომტანისთვის. ესენი მან უნდა აღუფლინოს დალ ჯეჯგმისს ტყეში ჯულის ტოტის მოჭრამდე: - დიდება მოსასვლელო დალო ჯეჯგმისაო, ზეამაღლებულო, ღორები გაგვიმრავლე, დიდება მოსასვლელო. სხვა ცარიელ ლემზირებს და ყველიანებს დალ ეშშხუამისას და წლის ძალის შემცველელ ღმერთს აღვუვლენთ. (ოჯახის შინაში). ბოლოს ამ ყველაფერს ზისხორებთან ერთად გარდაცვლილებს ვუკურთხებთ. ამ ნაკურთხ სუფრას ვინც დაინახავს, გარეშე პირი, მას ოჯახის ყველა უწენაზე დასწრება შეუძლია. (შეუძლია გიორგობის დღეს დაძახებაც). (ზისხორას არავინ არ აღუფლენს წმინდანს). მამისეულ სახლში ეს ნაკურთხი სუფრა უწენა იყო. აქ ქმრისეულ სახლში - არა. ამის შემდეგ დასაცხობია ლაჭშხიარ - სამეკვლეო პურები და პუხულდარები - პატარა პურები. ახალ წელს მათ დილით წავიღებდით სანოვაგის შესანახში, თივის შესანახში, ფქვილის შესანახში... აქ დავმალავთ ('შევინახავთ). ლოკვით მათ შეშხუამ ღამეს აღვავლენთ ლემზირებთან ერთად. - დიდება მოსასვლელო დალ შეშხუამისაო, კარგი წელი მოგვივლინე. ლაჭშხიარში შედის: მუჟელუ, ლესკარი, ყველი, ღორის ზედა ყბა

[1] სოფელ ჟენაშში ქამე მგჭეში არ ჰყავდათ ხოლმე. ქორა მგჭეშის ამორჩევა აქაც ისევე იცოდნენ, როგორც სოფ. ლახუშდში. მხოლოდ დიდი ღმერთისათვის კენჭს არ გამოჰყოფდნენ. განსხვავებული იყო კენჭის მასალაც აქ კენჭებს ჯულის ტოტისგან თლიდნენ და კენჭის ამოღების დროს თვითეული პირი შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა - ჯგგრაგ ჯგლაჟშ, ესფაჟ ხოჩა ჭიშხ ხადეს, ეჩის ოხოკურ. - ჯგგრაგო კენჭისაო, ვისაც კარგი ფეხი ჰქონდეს, იმას (კენჭი) ამოუგდე.

[2] ფისხუ-ი შეწირული ხარი იყო. მასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ე.წ. მფსხუ-ი. მფსხუ-ს ეძახდნენ ძროხას, რომლის მიმართ ოჯახს დათქმული ჰქონდა - ყველა მისი მოზვერი ფისხუ-ად დაკაყნოვო.

„ზომხა“ || „მაxე ზაკ“

1. იანვარი (14 იანვარი)

ზომხა დილით გათენებამდე ქორაკ მგჭაxი წამოიკიდებდა ზურგზე ლალაშ-ს, ცალ xელში წყლის ცარიელ ჭურჭელს დაიჭერდა, მეორეთი მეკვლედ არჩეულ xარს ან ცxენს გაიყვანდა და წავიდოდა წყაროზე. გზაში მას ქალმე მგჭაxი შეეგებებოდა მუჟელეთით xელში და შემდეგი სიტყვებით დალოცავდა:

– xოჩა ზაკი ლიცალალეფ ჯარ, xოჩა ზარუ ლაxგენენა ნალდერყოშ ი ნაფშიროშ.

– კარგიმც წლის შეცვლა გქონებოდეს, კარგ წელიწადსაც მისდგომოდე უზიანოდ და სიმრავლით.

წყაროზე გასვლისთანავე მეკვლე xელ-პირს დაიბანდა, ილოცავდა, xარს წყალს დაალევინებდა, ჭურჭელს წყლით აავსებდა და სახლში ბრუნდებოდა. წყაროზე ან გზაში სxვადასxვა ოჯახების ქორაკ მგჭაxიები ერთმანეთს რომ შეxვდებოდნენ, მისალმების შემდეგ ერთი მეორეს არყით სავსე სასმისებს შესთავაზებდნენ და ეტყოდნენ.

– ამჟინ გუეში ზაკსუუ ლაxგენენა! – ასე სავსე გაისსამც მისდგომოდე!

თავის სახლის კართან მისვლისას ქორაკ მგჭაxი დაიძახებდა:

– ყო-ო-რ მიკარ, ბედნიერ. – კარი გამიღე, ბედნიერო.

შინიდან შეეკითxებოდნენ:

– მაკ აჯღუა, სი ბედნიერ? – რა მოგაქვს შე ბედნიერო?

ამაზე მეკვლე უპასუxებდა:

– მარემი ნაშუდები, ჭანმი ჯუეგ, xოჩა ზაკი ლიცალალ უმარცxუ, უტალუდ. – ადამიანთა მშვიდობიანობა, xარების ჯოგი, კარგი წლის შეცვლა უმარცxოდ, უზიანოდ.

ამ სიტყვებით ის პირველად მარჯვენა ფეxს შედგამდა სახლში, კერიას გარს შემოუვლიდა ლოცვა-ვედრებით, xარსაც შემოატარებდა, შემდეგ xარს ბოძზე მიაბამდა, თივას დაუყრიდა და ლაჭაxიარს საფუარის გვერდით დასდგამდა. ამასობაში ოჯახის წევრები ლოგინიდან წამოიშლებოდნენ, მეკვლის მიერ მოტანილი წყლით, რომელსაც ლეჯე (რძე) ეწოდებოდა, xელპირს დაიბანდნენ, საუკეთესო ტანისამოსში გამოეწყობოდნენ, ფეxსაცმელში ახალ წერაქუას ბლომად და მსუბუქად ჩაიფენდნენ და ფეxსაცმელს ისე ჩაიცვამდნენ, რომ წერაქუი გარეთ გადმოფენოდათ – მთელი წლის განმავლობაში დოვლათიანად და მსუბუქად ვივლითო და კერიის პირად დასxდებოდნენ. ამ დროს სრულდებოდა ე.წ. ლიშიაშალ-ი: ქორა მგჭაxი xელში მუჟელეფ-ს და ღორის თავს დაიჭერდა, ოჯახის წევრებს ჩამოუვლიდა და თვითეულს ცალკე მარჯვნივ დაუტრიალებდა მუჟელეფ-სა და ღორის თავს და ეტყოდა:

– xოჩა ზაკი ლიცალალეფ ჯარ კუმში ქამოფუ, ცxამოფუ, ნაშდობოფუ, უმარცxუ, უმზიგარ ზაკ სი ისგუა ერთგუილ მარემი ნაშდობოშ. ფიშირ ზაკი ლიცალალ xოჩა გუეი ლიჭიშ.

– კარგი წლის შეცვლამც გქონებოდეს საქონლის მატებით, ზრდით, მშვიდობიანობით, უმარცxო, გაუჭირვებელი წელიწადი (გქონებოდეს) შენი და შენი ერთგული ადამიანის მშვიდობიანობით, მრავალი, წლის შეცვლით, კარგ გულზე მოსწრებით.

დალოცვილი ოჯახის წევრი მუჟელეფ-ს აკოცებდა და არყით სავსე სასმისს გამოსცლიდა. როცა ლიშიაშალ-ს გაათავებდნენ, მერბიელი გაშლიდა სუფრას, რომელზედაც ღორის xორცს, მის თავს და ნაჭაxურას მიიტანდა. უკანასკნელს არასოდეს არ დაანახვებდნენ ოჯახისთვის უცxო პირებს და ამიტომ საუზმიდან მორჩენილ მის ნაწილს დაფარულ ადგილას შეინახავდნენ xოლმე – უცxოს თვალი არ მოxვდესო.

ამის შემდეგ მოდიოდა ქამე მგჭაxი. ის სახლის კარს რომ მიადგებოდა დააკაკუნებდა. შინმყოფნი მას ლალაშს მიაგებებდნენ საახალწლო შემოსალოცით. ლალაშით დატვირთული გარეშე მეკვლე შევიდოდა სახლში, კერიას გარს შემოუვლიდა, შემდეგ მის უკან (კარეშგიმ) საფუართან დაგორდებოდა და დაიძახებდა: – ამჟიფ აჯგურნენაxბ ზაკ! ასემც დაგგორებოდეთ წელიწადი.

ამას ყველა სიცილ – მxიარულებით xვდებოდა. შემდეგ გარეშე მეკვლე ლიშიაშალს შეასრულებდა და ყველანი სადილად დასxდებოდნენ. ქამე მგჭაxის დაასაჩუქრებდნენ ან საქალამნე ტყავით, ან xუთიოდე მანეთით და ჯიბეში აუცილებლად წერექუის კონას ჩაუდებდნენ და ისე გაისტუმრებდნენ.

ნაჭაxუნის მუჟელეუს ოჯახის წევრთაგან მxოლოდ მამაკაცები სxამდნენ, ჭამის დროს ისინი ცდილობდნენ ნამცეცი მიწაზე არ დავარდნოდათ და ამიტომ ჩოxის კალთას გაიშლიდნენ წინ ან ქუდში შესxამდნენ. მუჟელეფ-ს ნამცეცებს თუ ვინმე ფეxს დაადგამდა, მას ფეxის ტერფი დაუბერდებაო, – ამბობდნენ სვანები.

ვინც ამ დღეს სვანის სახლში შევიდოდა, შინაური იქნებოდა ის თუ გარეული, სახლის კედელზე გარედან მიყუდებულ ჯულს ტოტს მოსტეxდა, სახლში შესვლისთანავე მას სxვენზე შეაგდებდა და თან წლის შემცვლელი ღმერთის მადლს ასxენებდა.

ზომxა დღეს თოვლზე ციგაობა იცოდნენ. დიდი და პატარა უკუღმა შეაxდებოდა მარxილს ან ციგას და თითოჯერ მაინც გაისრიალებდა – წლის განმავლობაში ზურგი მაგარი გვექნებაო.

ახალწელიწადს ბედობა დღე იყო. ამიტომ ამ დღეს მამაკაცები ნედლ ხეს გააპობდნენ, ქალები ცოტაოდენს დაართავდნენ და გაკერავდნენ რამეს, მონადირე ცდილობდა ფრინველი ან ნადირი მოეკლა - წლის განმავლობაში ნადირობა კარგი მექნებაო; სასესხებლად მოსულ მეზობელს არას დაუჭერდნენ და ხელცარიელს არ გაბრუნებდნენ, მხიარულობდნენ, ჩხუბს ერიდებოდნენ, ყოველ საქმეში, რომელსაც კი ამ დღეს წამოიწყებდნენ, გამარჯვებას ცდილობდნენ, რათა წლის განმავლობაში ყველაფერში გამარჯვებული გამოვიდეთო.

შეშხუამ ღამეს მოტანილ ჯულს (ერთს მსხლისას და მეორეს არყის ხეს) ლიფანალ-იმდე ეზოში შეინახავდნენ და მხოლოდ ლიფანალ-ს შეჰქონდათ სახლში.

ახალწლის შემდეგ პირველად რომ შეშის მოსატანად წავიდოდნენ ტყეში, შეშას ზემოდან მარხილზე აუცილებლად ნაძვის ხეს დასდებდნენ და უკან ისე გამობრუნდებოდნენ. ეს დღე, სვანების რწმენით, ზომხას გამოყოლილი დღე იყო.

ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I,
ახალი წლის ციკლი. თბ. 1939 წ. გვ. 138-141. 1931 წლის ზაფხული
სოფ. ჟენში, 1935 წ. სოფელი ლახუშდი. მთხრობელები: 97 წლის ბასლი ჩამგელანი,
57 წლის გიორგი გირგვლიანი, 47 წლის ქვერიჯა ფარჯიანი.

შეშხუამ

„შეშხუამს იჟსენრლი ტუხ ლეზრმახ. ტუხ ეჯღა ლი ხოჩილ ერე მიჩა კუბად ჟიჟმზგრრლი, ნენზიშ მთმა. ნუჟსანუნღო ამთ ღვესემი კუბად ლი ლენყე ჯული მგვდენიშდ. ჯულ იცხრუ აშხულ-ლი. ჯულს ყრრ ქუმჩუნ ხუჭდა მაგ ჭაგუმისგა. ქორთეჟსგა ლას ლეჯდე გუზიზ - შდიხინდი აშხულ, ლგჩენჩხ მიჩა მუშანშ. ული გუზიზ ლაჭშხიურჟენ ლი ლეთგგნე. ჯული აშხულს სგამეჯედ მთრე ქახაყეჩე ჟ ქორთეჟსგა სგაჯიდე. ერხინ შგილთეჟენ აკგენახ. გუზიზ აშხულ ადგომლენთ-ლი კერიჟსგა ლეშხი. ალ ლენთ ლესყენე-ლი ზისხრრულ. ლენყე ლიხ ლემზირულ. მთნკუ ჟილუმზგრიდ ხუჟ მგცადი ღერბეთი ჟახახან, მადეჟ დულ შეშხვამიშხან: ხოჩა ზუჟ ლიშხგუმეს ლეჯგრულდ (ჯარ ქრისდენშ ქრისდელადაღ იმზგრრლი, ალ ლადაღ მთმა). ეჩქანღო ულ ნამზგრ ლემზირილურს ი ზისხრრულს აშხუდ ქალოფუნედ.

ლენზრმახ ტუხი ლაჟსენჟენ ჟ მიჩა ღვესემი კუბდი ლუმზგრჟენ უმჟი ლუტტლიდ: დიდუბ უჯჯუდ ჯეჯგლუმს, ტახს ჯიჟსენი, ანფიშირ ხამურ დიდუბი ლეჯედ. ჯეჯგლუმ (ჯეჯგლუბ) ხამრე მგფშირე-ლი. ღვესემი კუბადს ლამზგრიდ ჭაგუმისგა, ეჩეჩუნ იმუჟ ჯული ლულჭიდდ, მუდეჟ ცხეკს, იმუჟ ჯული მგჯდე ჯულს ი გუზიზს ანჭკვერნე.

ნადიარობუნღო ლენყე ლიხ ლუჭშხიურ: მუჟეელუ ი ლამთრიშ ლგსუე დიურ. (ჩრლად ლაჭშხიარიუქ ინყრლიდა ი ინყი ჟორი დიურ: მუჟეელუ ი ლამთრიშ ლესკურ. მენმე დიურ ლაჭშხიარიუქ დეს ხასმა). ალიურცახან ლენყე ლიხ პუხულდურ - უსგვა მუდეჟ ჩხარა შელდ. ჭამს ზუმხალადუღ ქა იმუჟთე ადგრნე ულ პუხულდურ ქალეჟნე-ლიხ: ლუფქიართე, გუემთე, დარბაზთე, კიდენურთე, ჩრთე იმაჟ ქონება ლი ლუშხვინ. ამეჩუნ ჩუ ლედი ლიხ ი ზარდი შეშხვუმჩიქდ ლეშხვნი.

ჭამაშდ ლაჭშხიურ ჟილემურე ლი. ლაჭშხიართეჟსგა ესღრი: მუჟეელუ, ლამთრია ლესკურ, ეშხუ ნაყულ თუშ, ლეზრმუხი კაპრუჟ (ემა გვეჭ ლას ეჩქას თხუმ), გუზიზ, ვარჩხლი განძ, მადეჟ ბერჯა მანუთ. ლაჭშხიურს ლულუშთეჟსგა ადესგიდუხ. შეშხვუმ ლენთ ჟი იჯლუჟდახ ლემსგი მეშას, ქორა მგჭშხის, ღვეშგმე მგჭშხის ი ქამე მგჭშხის. ჯგლიურს ხეშხან ყუბ, ლენჯურ, ალიურ ჟრვუჟს ათხრლელ ეჩნოშ იჩომდა მაგ მიჩამიჩა ლეჩემს.

მერმე მეზგახან მგჭშხის ხეშხან ქამე მგჭშხი. ული ქორთე ღვეშგიმპილს, შომაჟ ქორისგა ჩრს მიჩამიჩა ლეჩემ ლგჩმინე ხადდა ეჩქას ჯედნიდა. ალი მგჭშხი იცადოლდა ეჩქას შომაჟ ქორისგა მთრემი ქვინი ბერა ხეხრლიდა".[1]

„ზომხა || ზუმხა"

„ზომხა ლადაღ მენკვი მფნულ (ლემსგი მეშე || სარაფთექა მეზი || ქულუმგენოშ ქორა მგჭშხი) ქორისგა მენკვი იგნულდა. ჟრკადდა ლალუშ ლაჭშხიურს, ნატტესუნს, ულის ჟატტსა გუალა თხუმ, ქაფიშდა მგჭშხი ჯუნს, მუდეჟ ჩრს ქულუმგენა. ალიარე გვალხანქა ქალაჯუდჟენ ტრლდა, ხოჩა ზუჟ ეჯრგჭენახ, კვად ი ზარულ ისგვეჟ თხუმოშ მგქუბივ ნარ, ალფიშრეელხიდუ. ეჩქანღო ჯანცახან ალ ლალუშშ ქაღეგრდა ლიცთექა, ეჩნოშ ქაიბრულდა, ჯანს ლიცს ჩუხათრა, ჩუიმზირდა ი სგატეხნიდა. ჭარ ლახთხანეელ ქაითრახ, უშხვუარ ჩაშიუშიდახ ი სგატეხნიდახ. ქორთე ჯიდახ ოხარს - გვეშიშ ლეჯოშ. სგანაჯუდუნღო ლემესგს ჟუშა. ქორა მერდე მთრა ჩრს ჩაშიუშიდა.

[1] მთხრობელი საჯხე გირგვლიანი - გვიჩიანის, ლატალი. იფხი, 1995 წელი.
დაბ. 1904 წელს. ქართული თარგმანი იხილეთ „ეეშხუამ-მახე ზაეის" რიტუალის განხილვისას (თავი I).

ᲐᲛᲘ ნაშიაᲨუნღო ჟი იგნალდა ქორა მᲒᲭᲨხი. ქორა მᲒᲭᲨხის ჩᲘᲚად ᲨგაᲜᲨგ აყვნახ სგირისგა მᲘᲛა - ᲨგანᲨგ ე. ი. იმაᲓ ოჯახ მᲘᲛ აყვრა. მი ჩᲘᲚად ᲨგაᲜᲨგ, ჰᲓგᲐᲛ ჟიᲥᲐᲜ ლარდილ ხაადდა ნანას ეჩეჩუნ მაყვნახ. ოხვიᲨᲔ ლᲒᲮილ ხვას ეჩქანეᲨ ლიᲨᲔᲚᲬᲚალᲔ ხოᲭᲨხიდას მიᲨგუ ლამუᲬᲡს.

მი სგა ლᲬᲮᲟᲜ ლალᲬᲨს ჩუ მახვიᲨსგიდᲐხ ჰᲓგᲐმისგა ი ამნოᲨ სგალურდას ქორთეᲓსგა. სგალიᲮᲐ-ᲚᲬᲚᲔ მეᲭᲔᲓᲬᲚᲔᲓᲐხ მᲐᲓ როქ აᲯღვა, მი ჩᲘს ჩუხვიᲨᲔᲚᲔᲓᲜიდას: ᲮᲐᲓ ნავᲮᲔრი, ᲮᲝჩა ᲓრეᲒ ი ონა, ᲜᲐᲨᲘრი, ᲜᲐᲓᲓᲐრი... მᲐᲒ მაᲯᲝᲜᲯა, მᲐᲒ მაᲨᲝᲜთა ᲧᲝᲠ ჩამკარეᲓ. სგანაᲭᲐᲓᲣᲜᲔᲚᲝ ალი მᲒᲭᲨხი (ᲥᲐᲛᲮᲐᲜისგა მᲒᲭᲨხი) ყველᲨᲟᲜ, კავეᲨგიმ Ხეკვეს ჩალგურᲜᲔᲚᲬᲐ: ამᲟᲜ როქᲟ ალგურᲜᲔᲚი მᲐᲮე ᲮᲐᲓ - ქᲐტᲘᲚᲔᲓა. ამᲘ სგა ნაᲭᲐᲓᲣ-ᲜᲔᲚᲝ ი მიჩა ჩუნაშიᲬᲨუნᲔᲚᲝ ᲭᲔᲓᲜიდა ᲓᲒᲔᲨგმე მᲒᲭᲨხი. ᲬᲚი ᲔᲓ მიᲨგუ დი ᲚᲬს, მᲐᲓᲔᲓ მიᲨგუ მუ - ალიᲬᲠ ᲨᲔᲨხვამᲚᲔᲨᲝ მიᲨგვა ᲪᲐᲮᲐᲜ იყᲜᲐᲚᲓᲐᲮ. მინე ᲭᲘᲨხი ᲜᲐᲭიᲓ ქუᲚᲣᲨგᲜᲐᲮᲐᲜ ᲚᲬს, მიᲨგუ მᲐრეᲮᲐᲜ ი მოსავალᲮᲐᲜ (ნამᲨავᲮᲐᲜ). ᲓᲒᲔᲨგმე მᲒᲭᲨხის ჩუ ᲮᲐᲮვიᲨსგიდᲐხ ᲚალᲬᲨ ᲚაᲭᲨხიᲬᲠს ი სგანაᲭᲐᲓᲣᲜᲔᲚᲝ ᲔᲯიᲓᲐ ჩუიᲒᲒვრანᲚᲔᲓა კერაᲓმᲒᲧ ი ᲯიᲓᲐ ქᲐტᲘᲚᲔᲓა: ამᲟᲜᲠᲝᲨᲟ ალგურᲜᲔᲚი მᲐᲮე ᲮᲐᲓ ᲮᲐᲓᲣრ მᲐᲜᲙვი მᲒᲭᲨხის || ᲚᲔმსგი მᲒᲨᲐ, ᲮᲔ-ᲨᲮᲐᲜ სგვᲔᲑᲜᲔ მᲒᲭᲨხი.

ამუᲜᲔᲚᲝ გᲐᲠ ᲮᲔკვეს ამᲯᲔᲓᲔᲚᲬᲐᲜ ᲭᲐმᲔ მᲒᲭᲨხი. ᲜᲐᲓ ქორს ეᲭქანᲔᲓᲒᲔ მᲔᲯᲔᲓ დᲔმᲜᲐრ ᲜᲔᲑᲭᲐᲜ, ᲔᲯᲔᲚა ᲔრᲔ ესᲘᲟმ ᲮᲝᲚᲬᲐმᲓ ᲜიმᲯᲔრᲬᲐᲜდა ᲜიᲨგვᲔᲓᲨ გვᲔᲨი Ლაგას - ᲚიᲒᲜᲔ. ამუᲜᲔᲚᲝ Ლას ᲚიᲮᲠᲘᲚᲔ, დᲐრ ისკვრᲔᲚიდა უᲨ-ᲮᲒᲐრთᲔ ᲚᲠᲮის. მაგ იᲮიᲬᲓᲬᲚᲔᲓა ᲮᲐᲓ ᲚიᲪᲬᲓის".[1]

* * *

Შობა-ახალ-ᲬᲚᲔიᲬᲐᲓᲔ

„Შობის ᲬᲘᲜა დღეს სვანᲔᲑი ეᲥახიᲐᲜ „Შობ", თვით ᲨობᲐს კი „ᲥᲠისᲓᲔᲨ". ᲝᲠიᲒᲔ სიტყვა გᲐᲓმოითა-რგმᲜᲔᲑის: ᲨობᲐ ᲥᲠისტᲔსი. ᲮᲝგიᲔრთ საᲮ-Ში Შობის ᲬᲘᲜა დღეს თვითეᲣᲚ სოფᲔᲚს ცალ-ცალკᲔ ᲰᲯავს Ერთი მᲐსპᲘᲜძᲔᲚი, რომᲔᲚმაც უᲜᲔᲓა აᲭᲐმოს მთᲔᲚი სოფᲔᲚის მცᲮოვრᲔᲑთ სადილი და ვᲐᲮᲨᲐმი. ამ დღეს სᲐᲮ-ᲜᲘᲚოს Არ სᲭᲐმᲔ. ᲪᲔრᲪᲐ, პუᲠᲘ და ᲐრᲐᲧი შᲔᲐდგᲔᲜს ᲮᲐᲚᲮის საᲭᲛᲔᲚს-ᲡᲐსᲛᲔᲚს.მეორᲔ დღეს, ე. ი. ᲨობᲐს კიდᲔᲒ Ერთი მოსᲐᲮᲚᲔ მᲐსპᲘᲜძᲔᲚᲐᲓ უᲜᲔᲓა დაუᲮვდეს მთᲔᲚს სოფᲔᲚსა, თუ სოფᲔᲚი მცირᲔ რიცᲮოვᲐᲜიᲐ. დიდ სოფᲚᲔᲑᲨი კი მოსᲐᲮᲚᲔᲜი ორ ᲐᲜ სამ ᲯგუᲠᲣᲚᲐᲓ იყოფიᲐᲜ. Შობის მᲐსპᲘᲜძᲔᲚს ეᲮᲐრᲯᲔᲑᲐ ოც მოსᲐᲮᲚიდგᲐᲜ შᲔ-მდგᲐრ მაცᲮოვრᲔᲑᲚᲔᲗᲐთვის - ცოტა რომ ვსთქვᲐთ - 80 მᲐᲜᲔთის სᲐᲮორცე, 30 მᲐᲜᲔთის ყველი, შვიდი მᲐᲜᲔ-თის შᲔშᲐ. Ერთი სიტყვით 200 მᲐᲜᲔთამდის... აᲭ უᲜᲔᲓა შᲔვᲜიᲨᲜო რომ ცუᲓ მოსავᲚიᲐᲜი ᲬᲚᲔᲑის გᲐმო Ეს Შობის დღᲔსᲐსᲬᲐუᲚი, რომᲔᲚიც ᲑᲔვრ ᲮᲐრᲯს თᲮოუᲚᲝᲑს, ᲮᲝგიᲔრთს სოფᲚᲔᲑᲨი სრუᲚიᲐᲓ მოისᲐპო და სადაც დᲐრᲩა, იᲭ სოფᲔᲚი რამდᲔᲜიმე ᲜაᲬილᲐᲓ გაიყო, რომ მოსᲐᲮᲚᲔს უფრო შᲔᲓᲐვᲐთი მიეცᲔს დღᲔსᲐᲬᲐ-ᲚᲘს გადᲐᲮდᲐში და იმᲔდიᲐ, მᲐᲚᲔ სუᲚ ყველგᲐᲜ მოისᲐპობᲐ Ეს დღᲔსᲐᲬᲐუᲚი, რომᲚᲘს გამო აᲭᲐური ამდᲔᲜ ᲮᲐრᲯს ᲔᲬᲔვᲐ და უკიᲓურᲔᲚ სიᲚᲐრიბᲔში ვᲐრდᲔბᲐ.

ᲐᲮᲐᲚი ᲬᲚᲔიᲬᲐᲓᲔ სვᲐᲜურᲐᲓ ᲐრიᲜ „ᲮᲝმᲮᲐ". სიტყვა „ᲮᲝმᲮᲐ" რთუᲚიᲐ, იგი შᲔმდგᲐრიᲐ: „ᲮᲐ" ᲬᲚᲔიᲬᲐᲓᲔ და „მᲐᲮᲐ" ᲐᲮᲐᲚი, სᲐᲑᲐᲗᲝᲜᲝ სვᲐᲜᲔᲗᲨი ᲐᲮᲐᲚ ᲬᲚᲔიᲬᲐᲓს „კᲐᲜᲓᲐს" ეᲓᲐᲮიᲐᲜ.

ᲐᲮᲐᲚი ᲬᲚᲘს ᲬᲘᲜა სᲐᲚᲐმოს, ვᲐᲮᲨᲘმᲝᲑᲐმᲓᲔ, ყოველს ოჯᲐᲮᲨი დᲐᲐᲑუᲠᲑუᲨᲔᲚᲔᲑᲔᲜ მოკᲚᲔᲓ და ᲬᲥრიᲚᲐᲓ ᲮᲘს ᲜᲐᲙᲝᲑᲔᲑისᲐᲒᲐᲜ შᲔმდგᲐრს კᲝᲜᲐს, რომᲔᲚიც ოთᲮი კვირის ᲬᲘᲜᲐთ იყო ჩᲐმოკიᲓᲔᲑᲣᲚი სᲐᲮᲛᲝᲑᲐᲓ სᲮვᲔᲜ ᲭᲔᲒᲨ Ამ დᲐᲜიᲨᲜულᲔᲑისᲐთვის და ᲐᲮᲐᲚ ᲬᲚის ᲓᲘᲚᲐმᲓᲔ აᲭ უᲜᲔᲓა იყოს, როᲓᲔსᲐც მᲐს პირვᲔᲚᲐᲓ დᲐᲐყ-რიᲐᲜ ᲪᲔᲪᲚᲔᲚᲖᲔ, ᲨᲔᲨის მᲐგიᲠ. სᲐᲚᲐმოს, ᲐᲮᲐᲚი ᲬᲚის ᲬᲘᲜ, ოჯᲐᲮᲨი ყველᲐ მᲨვიᲓობიᲐᲜᲐᲓᲐა: ᲪუᲓს სიტყვᲐს ᲐრᲐვᲐᲜᲔ Არ ეუᲑᲜᲔᲑᲐ ᲔრთმᲐᲜᲔთს, რᲐᲓგᲐᲜ, ᲮᲐᲚᲮის ᲐᲮრით, ᲐᲮᲐᲚᲬᲔᲚიᲬᲐᲓი უკვე დᲐმᲓგᲐრიᲐ. სᲭᲐმᲔᲜ ვᲐᲮᲨᲐმᲔᲓ. ნავᲐᲮᲨᲐმᲔᲓ Ერთი ოჯᲐᲮთᲐგᲐᲜი სᲮვᲐგᲐᲜ მიᲓის, სᲐᲓმᲔ სოფᲚის უკაᲪრიᲔᲚ სᲐᲮᲚᲨი, სᲐᲓაც მოვᲚიᲐᲜ აგრᲔთვᲔ იმ სოფᲚის თვითეᲣᲚ მოსᲐᲮᲚიᲗᲐგᲐᲜ თითო კაᲪი. ამ კაᲪს სვᲐᲜურᲐᲓ ᲰᲥვია „ᲥᲐმᲔ მᲒᲭᲨხი" („გᲐრე მაკᲚიᲔ-Ლი"). ამ გᲐრე მაკᲚიᲔᲚს გᲐრᲓᲐ უᲜᲔᲓა იყოს ორი შიგᲜით მაკᲚიᲔᲚი (ისგაა მუᲭᲨხი), რომᲔᲚᲜიც სᲐᲮᲚᲨი-ᲕᲔ რᲩᲔᲑᲐᲜ და მეორᲔ დილას, ᲐᲮᲐᲚ ᲬᲚიᲬᲐᲓს, სᲮვᲔᲑის ᲐᲓგრომᲐმᲓᲔ უᲜᲔᲓა ᲐᲓგᲐᲜᲔ. კᲔრიᲐსთᲐᲜ დᲐტოვᲔᲑᲣᲚი ᲑურᲑუᲨᲔᲚᲐ ᲪᲔᲪᲚᲔᲚᲖᲔᲓ, ᲜᲐკᲔᲠᲩᲐᲚᲖᲔᲓ უᲜᲔᲓა დᲐაყᲐრონ, რის შᲔმდეგᲐც ორიᲕᲔ მდინᲐრᲔ ᲬყᲐᲚᲖᲔᲓ მიᲓიᲐᲜ. Ერთ Ამ მაკᲚᲔᲚთᲐგᲐᲜს, ᲬყᲐᲚᲖᲔᲓ რომ მიᲓიᲐᲜ, ᲰᲥიᲓიᲐ ᲬყᲚის მოსᲐტᲐᲜი ᲭᲣრᲭᲔᲚი, მეორეს პᲐტᲐრᲐ გოᲓორი, რომᲔᲚᲨიც უᲨყვია Ერთი „უᲨᲓᲑᲐᲐᲚი", Ე. ი. ყველიᲐᲜი პუᲠᲘ, ᲬინᲐ სᲐღᲐმოს გᲐმომცხვᲐრი, რომᲔ-ᲚსᲐც მცᲮობᲔᲚი ქᲐᲚი ᲨუᲐᲨი დᲐᲐᲭᲔრს ᲔრთᲐᲓ სამ თითს: ᲪᲔრს, სᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚ და ᲨუᲐ თითს. ამ პუᲠის გᲐ-დᲐᲑრუᲜᲔᲑᲐ გᲐმოცხობᲐმᲓᲔ Არ ვᲐრგᲐო. მᲐს უᲨᲓᲑᲐᲐᲚი გᲐᲓმოუᲑრუᲜᲔᲑᲔᲚი პუᲠᲘ ᲰᲥვია. ამ პუᲠს გᲐრᲓᲐ გოᲓორᲨი აწყვია კᲐᲪის სუᲚᲖᲔᲓ თითო ყველიᲐᲜი პუᲠᲘ. როᲓᲔსᲐც წყᲐროს წყᲐᲚᲖᲔᲓ მივᲚᲔᲜ, Ეს ორიᲐᲜ თი-გᲜით მაკᲚიᲔᲚᲔᲑი პუᲠᲔᲑს ᲨᲔუᲚოᲪᲐვᲔᲜ ᲝმᲔრთს: წყᲚის ᲰᲥურᲭᲔᲚს - ᲮᲝᲠ - (კᲐსრის მსგᲐვსიᲐ, ᲬᲚᲔᲖᲔᲓ მოსᲐკიᲓᲔᲑᲔᲚი, რომᲔᲚსᲐც ᲨუᲐᲨი ᲐმᲝᲭრილი ᲐᲭᲕს მრგᲕᲐᲚᲐᲓ წყᲚის ᲩᲐსᲐსᲮმᲔᲚᲐᲓ და გᲐᲓმოსᲐსᲮმᲔᲚᲐᲓ) წყᲚით ᲐᲐვსᲔᲑᲔᲑ და Შინ ᲑრუᲜᲔᲑᲘᲐᲜ. როცᲐ სᲐᲮᲚᲨი ᲨᲔმოᲓიᲐᲜ, Ერთი ᲐმᲑᲝᲜს „როგორც ᲑᲐსიᲚმᲐ ᲮᲝᲕᲐᲨი კᲐᲚᲐᲜᲓა დᲐᲐᲑრუᲜᲐ, ᲬᲚᲔᲖᲔᲓ ᲜᲐᲭᲐᲮი გᲐირᲰᲭ, ᲮᲐᲚᲮᲨი ᲨᲔმოვიᲓა და ყველა საᲭᲝᲜᲚᲔᲚი გᲐᲐმრᲐვᲚᲐ, იმის მსგᲐ-ვსᲐᲓ ᲐᲮᲐᲚი ᲬᲚის ᲬინᲐმᲓᲒᲝრᲐ, ᲝმᲔრთᲝ, კᲐრგი ფᲔᲮი ᲨᲔმომᲐტᲐᲜინე ᲩᲔმს ოჯᲐᲮᲨი". სᲐᲮᲚᲨი რომ ᲨᲔმო-ᲕᲚᲔᲜ, ᲪᲔᲪᲚᲔᲚი, სᲐᲓაც წყᲐᲚᲖᲔ მისᲕᲚᲐმᲓᲔ ᲑურᲑუᲨᲔᲚᲐ დᲐაყᲐრეს, ᲐᲜთᲔᲑᲣᲚი ᲮᲕᲓᲔᲑᲐთ. ოჯᲐᲮᲨი ისᲔᲒ ᲬვᲐᲜᲐᲜ

[1] მთᲮრობᲔᲚი იგიᲔᲒ, ᲚᲐტᲐᲚი. იᲣᲮი, 1995 წ. ᲥᲐრთუᲚი თარგმᲐᲜი იᲮილᲔთ „ᲓᲔᲨᲮუᲚᲐ მᲐᲮე ᲮᲐᲓის" რიტუᲐᲚის განᲮილ-ᲕისᲐს.

სხვები. რაკი გარე მაკვლიელი შეიტყობს, რომ შიგნით მაკვლიელები წყლიდგან დაბრუნებულან, მოვა კარზე და დაიძახებს სვანურად: „კარი გამიღე, შე ბედნიერო“. შიგნით მაკვლიელი მიუგებს“ - რა ბედნიერება მოგაქვს?“ - გარეთ მაკვლიელი - „საქონლის და კაცის სიცოცხლე და სიკეთე, კარი გააღე, შე ბედნიერო“. ამას გაიმეორებდნენ სამჯერ და მესამედ გარე მაკვლიელი სახლში შამოვა. ამ დროს ოჯახიც ადგება. ყველა ულოცავენ ერთმანეთს ახალწელიწადს. ოჯახი პირს დაიბანს ახალ მოტანილის წყლით, რომელსაც რძეს ეძახიან. დაჯდებიან საუზმედ. შიგნით მაკვლიელი ყველას თვითეულად მოაკიდებინებს ხელს ჯამზედ. რომელშიაც ძევს ახლად ამოყვანილი ყველი, ნიშნად გულის სისპეტაკისა და შემდეგ ჭამას მოჭყვებიან. ჭამის დროს ერთი მეორეს მოიკითხავენ რამე საჭმლით ანუ სასმელით და ულოცავენ ერთი მეორეს დღესასწაულს. ნასაუზმევს ხალხი გარეთ მოიყრის თავს. გარეთ გამოსვლისთანავე ეკლესიას შეხედავენ, შემდეგ ურჩევნიათ იმ გვარის კაცის ნახვა - თუკი შეხვდათ, რომელიც განთქმულია სოფელში თავისი კარგის ქცევით, მშვიდობის მოყვარულობით და სიწმინდით. გარეთ ნახვაში ყველა ერთმანეთს ლოცავს. დაიწყებენ სიმღერას, ცეკვას და ამნაირად გაატარებენ დროს საღამომდე. ამ დღეს დაუპატიჟებლად სხვის სახლში მისვლა წესი არ არის. მეორე დღეს თვითეული ოჯახი ჰპატიჟებს ერთს ვისმეს, განგებ ამ დღისთვის ამორჩეულ კაცს. ამის მოსვლის შემდეგ ყველას ნება აქვს მივიდეს ოჯახებში, მაგრამ უფრო ხშირად ნათესავები მოდიან, რომელთაც საჩუქარი უნდა მიეცეთ. მაგალითად მოდიან ქალიშვილები, მათი შვილები და ქმრები. აგრეთვე ადგილის მიმყიდველები ოჯახისა. აქაც ისინი საჩუქრებით მოდიან... ახალი წლის წინა ღამეს ერთი ოჯახთაგანი კარზედ სჭრის დაახლოებით არშინის სიგრძეთ არყის ხეს, რომელსაც რამდენიმედ დააპობს. ამ ნაპობებს კარს იქით-აქეთ მხარეს მიაყუდებენ და ეძახიან „ნათე“-ს. ყოველი გარეშე პირი, ახალ წლის მეორე დღეს მომსვლელი ოჯახში, ვალდებულია აიღოს ეს ნათე და მიიტანოს სახლში. პირველად ნათეს მიაყუდებენ კერიას და შემდეგ ცხვენ - ქვეშ გაარჭობენ. ამნაირად მთავრდება ახალწელიწადი სვანეთში“.

ბ. ნიჟარაძე. იხილეთ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები თბ, 1962 წ. ტ 1, გვ. 52-56.

* * *

ალბა მაზნას პერიოდი ცვალებადია. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია თაბაფა მაზნას პერიოდზე. მათი ხანგრძლივობის ჯამი ყოველთვის არის 9 კვირა. 2 კვირაზე ნაკლები არც ერთი არ არის. მათგან ერთი იზრდება მეორის ხარჯზე და პირიქით, რამდენი კვირითაც ერთი იზრდება, იმდენი კვირით მეორე კლებულობს. ჩანს, ეს იყო ორივე დროის შუალედის გამოთვლის ერთერთი ხერხი.

მეორე ხერხი აღბა მაზნას გამოთვლისა არის შემდეგი: ყოველთვის მეჟსარაბის მეორე დღეა ლიმპარი. ლიმპარის გამოთვლიან აღდგომის დღესასწაულის დროით. აღდგომის დღიდან უკან ახალი წლისკენ აიღებენ 10 კვირას. აქედან 7 კვირა დიდი მარხვის დროა + 3 კვირა ხორციელის და ყველიერის ერთად. სწორედ მეათე კვირის კვირა დღე იქნება ლიმპარის დღე. ლიმპარის წინა დღე კი მეჟსარაბ. ამ მეჟსარაბსა და ძველით ახალ წელს შორის შუალედია „ალბა მაზნა“.

ამდენად, მთელი პრობლემა ალბა მაზნას გამოთვლისა არის ლიმპარის დღის გამოთვლა. მის შემდეგ ადვილია აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა, რადგან ამ დღესა და ძველით ახალ წელს შორის შუალედი არის აღბა მაზნას პერიოდი. (14 იანვრიდან - ლიმპარიმდე). ლიმპარი „ალბიერის“ პირველი დღეა.

ხალხური გაგებით: „ყველიერი და ლალჩა (იგულისხმება „ლალჩა მიშლადაღ“ ნ. წ.) ახალ მთვარეზე მოვლენ. ლალჩა მოდის ერთი თვით ადრე ყველიერზე და ერთი კვირით ადრე ლიმპარიელზე. ჟარნესგა, (იგულისხმება „ქრისდენში ჟარნესგა“ ნ. წ.). ზუმხასა და ქრისდენში შუა, თუ ახალ მთვარეს დაემთხვა, მოსავლისთვის კარგია. ლიჟდუში—ლელმი ალბის წინა კვირა დღეა. ლიმპარი—ლიჟდუშის წინა კვირა დღე. ლალჩა ლიმპარის წინა კვირას მოდის, ყრრ ლიკრაწლ ლალჩას წინა კვირას. ლალხორთე ლიზი მოდის კვირას ყრრ ლიკრაწლის წინ მაშინ, როდესაც აღბა მაზნა მოკლეა. ლალხორთე ლიზის წინა კვირას ხან ხვდება ზუმხა, ხან არაფერი.

(ვ. ბარდაველიძე არქივი, საქალალდე 673. გვ. 87-88 ლატალი.)

5. აღბა მაზნას პერიოდი

ხალხური კალენდრით „აღბა მაზნას“ პერიოდში აღინიშნება:

1 (14) იანვარი - „ზომხა“ || „ზუმხა“ || კანდა. (ძველი ახალი წელი).

2 (15) იანვარი - „კუიმტარ“ (კვიმატები) სვანეთის ზოგ სოფელში იგი ერთი დღეა, ზოგში - 2, ზოგში - 3. (იხ. ვ.ბ. სვ. ხალხ. დღ. კალენდარი 1939).

5 (18) იანვარი - „ადგომ“ - ლიფანწლის პირველი დღე.

6 (19) იანვარი - „განცხდაბ“ || „ლიცი ლიპრისდწლ“ - (წყალკურთხევა || ნათლისღება).

შაბათი - „ლაწლხორთე ლიზი“ (სულთა სამსჯავროზე წასვლის დღე).

კვირა - „ლალხორხან ლიტეხ“ (სამსჯავროდან დაბრუნების დღე)

ორშაბათი - „ჯრდი ჯამ“ („გრძელი დილა“) ლიფანალის ბოლო დღე.[1] ამავე დღეს არის ჟენაშელეგის „ლიკურიული“.

სამშაბათი - „ხვარსობ“ (ხვარს - ავადმყოფობაა საქონლის).

ხუთშაბათი - „ნალტახურა“ (სულთა დაბრუნების დღე).

შაბათი - „ჯანგლობ“ (ხეიბარ სულთა მასპინძლობის დღე).

კვირა - „ყრრ ლიკრაალ“ („კარის გაღება“).

კვირა - „ლალჩა მიშლაღალ“ („დაცვის კვირიაკე“).

პარასკევი - „ტაახრე ვებიშ“ (ღორების პარასკევი“). (ხოლა ვებიშ - ცუდი პარასკევი)

შაბათი - „მეჟსარაბ“ (მეჟსარაბის დღე).

კვირა - „ლიმპარი“ (ლამპრობის დღე).

ჩანს ლიმპარის დღე გარკვეულწილად ლიფანალის პერიოდზეც არის დამოკიდებული. სხვა ცვალებადი დღეობები მას (ლიმპარის) წინ არ უძღვის. ლიფანალით განისაზღვრება ზემოთ ჩამოთვლილი „ღენ“. (ვგულისხმობთ „აღბა მაზნას დღეობებს). ბუნებრივია ის გარემოებაც, რომ დღეობების შვიდეულის დღეებით ათვლა ხალხური კალენდრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებად მივიჩნიოთ. ეს კი თავის მხრივ მთავარის კალენდარს უნდა ეფუძნებოდეს, ხოლო, რიცხვით დღეობების გამოთვლა—მზის კალენდარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღბა მაზნას ზემოთ აღნიშნული დღეობებიც ერთ-ერთი უძველესია ხალხურ დღეობათა სათვალავიდან.

„აღბა მაზნას პერიოდში რიცხვით მყარი დღეობებია:

1 (14) თებერვალი „სტიმნიშ“ || „ქტინი ლამპრობის“ დღე.

2 (15) თებერვალი - „ღერთა ლამპრობ“-ის და მაცხვარიშელების „ლიგვანაშალ“-ის დღე და

3 (16) თებერვალი - „დეცე ლამპრობ“-ის დღე.

(ქტინ - სული, ღერბეთ- ღმერთი, ღერთა - ღმერთთა || ღმერთის, დეც-ცაა (ცის).

ჩანს, ძველი ტრადიციით ეს ლიმპარები ყოველთვის მეჟსარაბსა და ლიმპარიმდე აღინიშნებოდა, რადგან ნათქვამია, დეცე ლამპრობის შემდეგი პარასკევი ყოველთვის არის „ტაახრე ვებიშის“ დღე, მისი მომდევნო კვირა კი—ლიმპარი. ძველის (ხალხურის) ეკლესიურ კალენდართან შერწყმის ნიადაგზე ეს რიგითი კანონზომიერება დარღვეულია, რადგან დღეობათა გამოთვლა (ათვლა და დროს განსაზღვრა) დამოკიდებული გახდა არა კვირის დღეებზე, არამედ აღდგომაზე, დიდმარხვასა და თვით აღებანის სამკვირეულზე (ხორციელი და ყველიერი).

მართლმადიდებლური კალენდრით „აღბა მაზნას“ პერიოდი თანხვედრია პერიოდისა წინადაცვეთის დღიდან ხორციელის კვირის დასაწყისამდე. ამ დროის შუალედში აღინიშნება:

14 (1) იანვარი - წინდაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

18 (5) იანვარი - ნათლისღების წინა დღე. მძიმე მარხვა.

19 (6) იანვარი - ნათლისღება. წყლის კურთხევა.

21 (8) იანვარი - ხსენება წმ. მოწამისა აბო თბილელისა (786 წ.)

27 (14) იანვარი - ნინოობა.

30 (17) იანვარი - ხსენება ღირსისა მამისა ანტონ დიდისა (356 წ.)

1 (19 იანვ) თებერვალი - ხსენება ანტონ მარტყოფელისა (VI ს).

8 (26 იანვ) თებერვალი - დავითობა. ხსენება წმ. დავით მეფე აღმაშენებლისა (1125 წ).

12 (30 იანვ) თებერვალი - წმ. დიდთა მღვდელმთავართა ბასილი დიდისა, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა.

15 (2) თებერვალი - მირქმა

20 (7) თებერვალი - მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე (დიდმარხვისათვის სამკვირიანი მარხვის დასაწყისი).

25 (12) თებერვალი - დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა (პორტაიტისა)

27 (14) თებერვალი - კვირა უძღები შვილისა

(3 მარტი - დედის დღე საერო დღესასწაული).

---

[1] ლიფანალის პერიოდის ხანგრძლივობა ცვალებადია. იგი (ზემო სვანეთში) იწყება ზომხადან მე-5 დღეს და გრძელდება ამ დღეს მოყოლებულ ორშაბათამდე. (ორშაბათის დილის, „ჰამ“-ის, ჩათვლით.) ჩვენ მაგალითისთვის ავიღეთ საუკეთესო შემთხვევა, როდესაც „ადგომ“ ხვდება ორშაბათს და ლიფანალი შესაბამისად გაგრძელდება მეორე ორშაბათამდე. ყველაზე არასასურველი პერიოდია მაშინ, როდესაც „ადგომ“ მოხვდება შაბათს ან კვირას (მით უფრო კვირას), რადგან ლიფანალი უკვე მეორე დღეს - ორშაბათს უნდა დამთავრდეს და ყველა სხვა საწესო დღე აღარ აღინიშნება. ამ შემთხვევას „ხორკობ“-ს ეძახიან და იგი ავის მომასწავლებელია - ახალი დამდეგი წელი ძალიან ფათერაკიანი და უნაყოფო იქნება. („ხორკობ“ - გაწყვეტა, ამოწყვეტა!)

„კუმტარ“

2 იანვარი (15 იანვარი)

„კვიმიტობა ახალი წლის მეორე დღეს ერქვა. ის მეტად უკუღმართ დღედ მიაჩნდათ და ამიტომ ერიდებოდნენ ამ დღეს საქმის წამოწყებას, ერთმანეთში მისვლა-მოსვლას, რისიმე გატანა განათხოვრებას. რაც უნდა კარგი დღე იყოს კვიმატობაო, მას აუცილებლად ცუდი მთვარე დაეწევაო და დღეს გააფუჭებსო, მაგრამ მაინც კარგი დღე იყო თუ კვიმატობას 9 ან 7 მთვარის დღე შეხვდებოდა. ამ დღეს წყაროზე საქონელს გარეკავდა ის პირი, რომელმაც მათ ზომხა დღეს წყალი დაალევინა, რწმენით, ამ დღეს რომელიღაც წუთი ბედნიერი იყო, მაგრამ რომელი იყო ეს წუთი არავინ იცოდა“.

ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი,
მეც. აკად. 1939 წ. გვ. 180-181. მთხრ. ჩამგელანი ბასლი 97 წლის
ფარჯიანი ქვერიჯა 47 წლის 1935 წლის აგვისტო ლატალი.

* * *

„რწმენით, ყველა თვეს გააჩნია კვიმატიანი დღეები. ესენია; იანვარში - 2, 15. თებერვალში - 23, 24. მარტში 4. 20. აპრილში 3. 20. მაისში 6. 20 ივნისში 3. 17. ივლისში 6. 20. აგვისტოში 6-15. სექტემბერში 3. 24 ოქტომბერში 21. ნოემბერში 17. დეკემბერში 3. 20“.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 ф[2] საქაღალდე №673. გვ. 71.
მთხრ. გიერგ გურგულიანი 57 წლის მაცხვარიში ლატალი.

* * *

„კვინტობს ვილოცებით „კვინტობა ლამარიას სახელზე. „ლაჭშხიარ“-თან რომ გვაქვს ერთი წველა ყველი, იქიდან დავაცხობთ ხაჭაპურს და დავილოცებით: - „კვინტობის ლამარიავ, შენი სვე და ბარაქა მოგვეცი, არ დაგვაცხობინო არასასურველი პური ჩვენს კერიაზე, სალხინოდ მოგვეცი შენი მოწეული, დიდება მოგსვლოდეს კვინტობის ლამარიავ!“[1] ლოცვა ხდება ყველას თანდასწრებით სალოცავ სარკმელთან.

ამ დღესვე ქალები ასრულებენ „კერი ლიმზირს“; დილით ამოყვანილი ყველისგან აცხობენ 3 ცალ ხაჭაპურს და ილოცებიან.

- კერი ლამარია, სალხინიშდ, ღერთა ლამზრდ ი ქუინი ნაჴგრგნდ გარ ლანკუადინ ისგუ კაქა ნანაყ ი ნასყვ დიდბი ლეჴედ, მაჲ ჯარ ნიშგუეჲ ცოდ დიდბი ლეჴედ“[2] ქალები ამ დროს ლოცულობენ საიდუმლოდ - მამაკაცების გარეშე. ლოცვას ასრულებენ მხოლოდ ასაკში შესული ქალები, ისინი, ვისაც ქალის წესი დაწყებული აქვთ, მაგრამ ამ მომენტში წმინდად არიან. კერის იგივე გიმი (მიწის) ლემზირს ჩვეულებრივ ლემზირი კი არ აქვს, არამედ ცერა თითის დაწოლით ზედაპირზე უკეთდება 3 ჭდე და ცხვება გადაბრუნებით. ლოცვისას ქალი უცილობლად მანდილით უნდა იყოს. დაიჩოქება იგი კერიის მარჯვენა ფეხთან და მის გარშემო ლემზირების შემოტარებით ილოცება ზემოთ აღნიშნულ ლოცვას. ლოცვისას სანთელი არ აქვთ.

საჯხგ გირგვლიანი - გვიჩიანის
1995 წ. ივნისი. ლატალი. იფხი.

* * *

ქალები ამ დღეს ე.წ. გიმი ლიმზირს აწყობდნენ - სადილის შემდეგ მამაკაცები გავიდოდნენ სახლიდან გარეთ და მარტო ქალებს დასტოვებდნენ. მერბიელი გამოაცხობდა სამ ან მეტ ცალ ლემზირს, შემდეგ კა-კერის მარჯვენა ფეხთან ცალ მუხლს მოიყრიდა, ლემზირებს კერიის ფეხის ირგვლივ სამჯერ შემოატარებდა და თან ასე ილოცებდა:

- კუინტობა ლამარიაჲ, ხოჩა ზაჲი ლიკაჲდალ ნაყრ. თეთნაჲდ ენურდუინ ზურალაჲრ - კვიმატობის ლამარიავ, კარგი წელი შეგვიცვალე, თეთრად გვამყოფე ქალები.

შემდეგ შეწირულ ლემზირებს დამსწრეთ ჩამოურიგებდა და ყველანი მათ აქვე შეექცეოდნენ. თუ ოჯახში „უწმინდური“ ქალი ვინმე იყო, მაშინ იმ დღეს კერიაში ცეცხლს ვერ დაანთებდნენ და ვერაფერს ვერ გამოაცხობდნენ, გარდა გიმი ლემზირის კვერებისა.

ვ. ბარდაველიძე, 1939 წ, 1935 წლის 18 აგვისტო
სოფ. ლახუშდი და ჟენაში მთხრობ. 97 წლის ბასლი ჩამგელანი
და 47 წლის ქვერიჯა ფარჯიანი.

---

[1] კვინტობა ლამარია ისგუ სეუ ი ბარაქ ლანო, ვინდომა დიარ ნრს ანნაყნა ნიშგუეჲ კერაჲქა დიდბი ლეჴედ. სალხინეინ გარ ლანო ისგუ მაწან მაჯად, დიდბი ლეჴედ კვინტობა ლამარია.

[2] კერი ლამარიავ, სალხინოდ, ღმერთის სადიდებლად, სულის შესაფერებლად მოგვეცი შენს კერაზე დაცხობილი და შექმნილი ყოველიფე, რად გინდა ჩვენი ცოდო, დიდება მოსასვლელო.

* * *

კვინტობს ლემზირდ კვინტობპ ლამპრრიას: ლაჭშხიარკახპან ერ გვრზ თპში ნაყპლ ეჩნოშ ქალანყედ ქუთს ი ყილპმზგრიდ: - კვინტობპ ლაპმპრია, ისგუ სეე ი ბპრაქ ლპნო, ვინდომპ დიპრ ნრს აბნაყნა ნიშგუედ კერაჯქა დიდპბი ლეკედ, სალხინყონ გპრ ლანო ისგუ მბწპნ - მპჯად დიდპბი ლეკედ კვინტობპ ლაპმპრია. ალი ლიმზირ ლი ეჩქა შომპდ მპგ ქორს აპრი - ჰპმს. ალ ლადაღს ზურაალპრ იჩოხ კერი ლიმზირს. აალ ლადაღს ჰპმს ნაყალ თპშხანქა ლანყედ 3 ცალ ქუთულდპრს: - კერი ლაპმპრია სალხინიშდ, ღერთპ ლაპმზგრდ ი ქუინი ნაჯგრგნდ გპრ ლაბკვადინ ისგუ კპქა ნაბაყ ი ნაბსყაგ დიდპბი ლეკედ მპდ ჯპრ ნიშგუედ ცოდ. აალ ლიმზირ ლი ღვაყპრულ, იმზირხ ზურაალპრგარ. ლახე წყდლიან მპმ ლას ეჩქს აშ ლემზირაალ გპრ ინყალლი. კერი || გიმი ლემზირს აშ ლემზირაალხანქა ნახუმსარდ ხპრხ ყიქან სემი „ნაკაცშალ“ (ნაჩვრეტი) - ლერსგვენ ტეტი ცერი ნაზიმ. კაყენ მიჩა ჩუნაღფუნღო, შომპდ ჩუქეპნ ყი იეზკლი, ყილესპუნე ლი. ქანაჭაუნღო ლი ლიმზირ: ლაპმზგრყენ ზურაალ ჩულუჩქოვე ლი, ლაჩაქ ყიხალფარა, ლემზირაალს კერი ლერსგვენ ჭიშხხპნ ხოსპუნე სპმინ.

სირინო ფარჯიანი. 1996 წ. ლედმანი. 91 წლის.

კვინტობს ვლოცულობთ (ვევედრებით!) კვინტობა ლამარიას. სამეკვლეოსთან რომ ყველი გვაქვს, მისგან გამოვაცხობთ ხაჭაპურს და შეევევედრებით - კვინტობის ლამარიავ, შენი სვე და ბარაქა მოგვეცი, არასასურველი პური არ დაგვაცხობინო ჩვენს კერაზე, დიდება მოსასვლელო, სალხინოდ მოგვეცი შენი ნაწყალობევი, დიდება მოსასვლელო, კვინტობის ლამარიავ. ეს ლოცვა ტარდება მაშინ, როცა ყველა შინ არის - დილას.

ამ დღეს ქალები ასრულებენ კერის ლიმზირს (ლოცვას). დილით ამოყვანილი ყველიდან დავაცხობთ 3 ცალ ყველიან ლემზირს (ხაჭაპურს): - კერი ლამარია, სალხინოდ ღვთის სადიდებლად და სულის შესაევედრებლადღა მოგვახმარებინე შენს კერაზე დაცხობილი და გაკეთებული ყოველივე, რად გინდა ჩვენი ცოდო. ეს ლოცვა კაცების გარეშეა. მას მხოლოდ ქალები ასრულებენ. თუკი ოჯახი წმინდა არ არის, ცხვება მხოლოდ ჩვეულებრივი ლემზირები. ისინი კერი || გიმი ლემზირისაგან განსხვავდებიან. მათ ზემოთ მარჯვენა ცერა თითის დაწოლით უკეთდება 3 ცალი ნაჩვრეტი. კერაზე ქვედა მხარის გამოშრობის შემდეგ იგი გადასაბრუნებელია. ლემზირთა გამოცხობისთანავე ხდება ლიმზირი, ლოცვისას ქალი დაჩოქილია, თავსაფარი აფარია, ლემზირებს კერის მარჯვენა ფეხთან შემოავლებს სამჯერ ლოცვისას.

ლიფანპალი

(18 იანვრიდან პირველ ორშაბათამდე, ორშაბათი დღის ჩათვლით.)

ლიფანპალი იწყება ძველით ახალი წლიდან (ზომხა) მეოთხე დღეს. მაგ. ზომხა მოხვდა კვირა დღეს. ათვლას ვიწყებთ, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი ე. ი. ლიფანალი იწყება ხუთშაბათს. იგი გრძელდება მაქსიმუმ ერთი კვირა, ყველაზე მცირე კი - ორი ან ერთი დღე. ლიფანალის ხანგრძლივობა დამოკიდებულია „აობპ მაზნა“-ს ცვალებადობაზე.

ლიფანალის პირველ დღეს ეწოდება „ადგომ“, მეორე დღეს - „განცხდაბ“. იგივე „ლიკი ლიპრისდალ“. შაბათ დღეს - ლალხორთე ლიზი“, კვირას - „ლალხორხან ლიტენ“, ორშაბათს „ჯრდი ჰპმ“.

„ადგომ ლადაღ“, ლიფანპალის პირველ დღეს, განსაკუთრებული სამზადისია. ქალები ოჯახის ჯამჭურჭელს, განსაკუთრებით იმას, რაშიც უნდა დამზადდეს საკურთხი საჭმლები, დარეცხავენ ისე, რომ მკვდრის სულს აქ შემოსვლა გაუხარდეს. ამ დღეს ოჯახის წევრები განსაკუთრებული პატივისცემით, სითბოთი და სიყვარულით უნდა მოექცენ ერთმანეთს. ღამე უფროსებმა ბავშვებს ზღაპრები უნდა მოუყვნენ, რათა პატარებთან ერთად გარდაცვლილნიც გაერთონ.

„ადგომ ლეთისთვის“ (საღამოს) მზადდება მხოლოდ სამარხვო საჭმელები, ქვნაშ, ხორბლის ფაფა, მუჯორ, კარტოფილის და ლობიოს პურები, მრავალი ჩვეულებრივი პური - „კუახ დიპრ“, თაფლი, ხილი, არაყი... გამზადებულ სუფრაზე მოათავსებენ ანთებულ სანთლებს.

სულების (ქუინრე) დასაპატიჟებლად მივდივართ იმ ეკლესიაში სადაც ჩვენი გარდაცვლილები მარხია. იქ მიგვაქვს კარუით კანაფგარეული კარტოფილის პურები სამი ან ექვსი ცალი, არაყი და სანთელი. ეკლესიის ეზოში, სადაც ჩვენი გარდაცვლილები მარხია, ქრისდე ფუსდ მაცხუპრ-ს (ქუინრე თხუომ-ს) შეევედრებით (ხვეგრაალდ): დიდპბ აჯვაად ქრისდე ფუსდ მაცხუპრ-ს, ერუაკა ნიშგუეკთეკსგა წელა ლაზბუნაზუმ სგა ოხგადდედეს მპგ ლაბვგრინ ი მპგ ლგწს ახასყ ნიშგუეკთეკსგა დიდპბი ლეკედ.[1] ამ სიტყვების შემდეგ გარდაცვლილებს ჭიქას გადავუქცევთ, მარჯვნივ შემოვტრიალდებით და შინისაკენ გავუძღვებით ჩვენს სტუმრებს (გარდაცვლილთა სულებს).

გზად მომავალი ვესაუბრებით, ვლოცავთ მათ მოსვლა - სტუმრობას („წელა ლაზბუნაზუ“ - შემ-

[1] დიდება მოსასვლელო ქრისდე ფუსდ მაცხოვარო, ვინც ჩვენს ფუძეს იოტისოდენად კი ეკუთვნოდეს—ყველა შეიკედრე და სტუმარი გახადე ჩვენი.

დეგი შინაარსისაა. წელს - წერექოს ღეროა. ამ ერთი ცალი ღეროს სიცოცხლისთვის საჭირო მიწის ნაწილია წელს ლაზბუნა, ეს თითქმის იგივეა, რაც იოტისოდენა, ამიტომ თარგმნისას ამ შინაარს აღნიშნული ტერმინით ვცვლით) და შევსთხოვთ ოჯახში კარგი ფეხის მოტანას (ხოჩა ჭიშხტ აჯვიდახ.) სახლში შესასვლელ კართან ვახვედრებთ ანთებულ სანთელს. აქ კვლავ დავლოცავთ მათს სტუმრობას და გადაუქცევთ ჭიქას. შინ შესვლის შემდეგ კერას მარჯვნივ შემოვუვლით (იგულისხმება დამპატიჟებელი და „სტუმრები“) ერთად, თან სტუმრებს ვლოცავთ და ბოლოს კარტას დავდგამთ იქვე კერასთან იატაკზე. კარტაში პურებს ამოვიღებთ და დანით დავჩხვლეტთ, ოთხ ნაწილად დავჭრით და სიტყვის უთქმელად (უშკუშუნ) ოჯახის წევრებს მივართმევთ. პურების დაჩხვლეტისას ვილოცებით შემდეგი სიტყვებით, - დიდბი ლეკდილ, ერვაჲს ნიშგუეჲთეჲსგა წელა ლაზბუნაზუმ სგა აჯგაადდეხ, ეჯის ჩრს შენდბატ ჯარხ. მარემი ქრინგნქა მაგ ლასგრგებდუ აჯვედახ, ლაკჟრას ოდდოდ დერა (მუს. ფოლ) ოთხშდეხეს, ჭალაჲს ქვიშა ჲ გურეჭ ეჩქად უხტდუ ლაჭოდენა ნიშგუეჲ ოჯახს სეუ ი ბარაქ.[1]

დაჭხვლეტილი პურების მირთმევის შემდეგ ხდება უკვე გამზადებული სუფრის კურთხევა (ლიფჭნე). მუშუნდები მამაკაცები ფეხზე დგომით, პირით აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ქალები ჩამუხლულები დიდებით მოიხსენიებენ სტუმრებს, დალოცავენ აქ მოსვლისათვის, ბოდიშს მოუხდიან და პატიებას ითხოვენ ასეთი მოკრძალებული დახვედრისათვის და შესთხოვენ ოჯახში სასიკეთო ფეხის შემოტანას. ოჯახის უფროსს ხელები ამ დროს მაღლა აქვს აწეული - თითქოს ლოცულობსო: გარდაცვლილებს დიდებით მოიხსენიებს და არც ერთი მამაკაცი ლიფანალის ამ პირველ დღეს ჭიქას არ გადაუქცევს. მათ ამ წესით არ შეუნდობს. (საერთოდ, ლიფანეს ერთერთი დამახასიათებელი წესია ლიშუნდები - სასმელის გადაქცევა მიწაზედ - იატაკზე. ნ. წ.) ჭიქის გადაქცევის მაგივრად ყველა სახის საკურთხს, რაც რამ არის მაგიდაზე მათთვის გამოტანილი, წაღმა დაატრიალებენ ოდნავ ადგილიდან დაძვრით. სუფრასთან მდგომი ხოშა მარე მიმართავს „სტუმრებს“ - დიდბი ლეკდილ ქრისდე ტაბაგდუ ჯიგახდ ი ეჩნოშუ ხიდ ლგსარვინე, მაგდილშ გუეშილ ხოჩა გარ ათთიალედ ნიშგუეჲ ბედჟინ, მარემიშ ი ქულუმგენემი ნაშდბოშ, დბ - ლარემი ნავზეროშ ლგხიად ანცირდ. ნაჲ ივალადაღ ისგუეჲ მუშუნდები ხუირიდ. ისგუეჲ სარგებული ქა მაჲ ლაჯაბუნენეს მარემი ქრინგნქა, მაკლია ისგუეჲ ჩიქქაჲ ირელ ი ლაჯსარვინაბუ ნიშგუეჲდი ქნ მაკლია, იმაჲ ისგუეჲ ბედჟინ სახს დეშ ხვახვუსგიდედ ი ქადს ხვგნრლდედ ეჯი მაგ ნიშგუეჲდი ლგსარვინეუ ლი, დიდბი ლეკდილ“.[2]

ლიფჭნე ყოველ დღეა, დილა-საღამოს. „ადგომ“ დღეს, ოთხშაბათს და პარასკევს ეკურთხებათ მხოლოდ სამარხოთი. სხვა დღეებში დასაშვები და აუცილებელია ხორცი და ყველი. ამ დღეებისთვის ოჯახმა არაფერი არ უნდა დააკლოს და რაც შეიძლება ხვავიანი სუფრა გაიმეტოს მათთვის. „ადგომ“ მეორე დღეს - „განცხდაბს“ დაკლავენ საკლავს. შაბათ საღამოს ადრე უკურთხებენ სუფრას, რადგან სულები (ქრნარ) „ლალხორში“ (ბჭობაზე) მიდიან და გრძელი გზა აქვთ გასავლელი. კვირა საღამოს ლახორიდან დაბრუნებულებს დაახვედრებენ ახალ გაკეთებულ, ცხელ ფაფას. „ჯრდი ჰამ“-ის რიტუალით კი ამთავრებენ სტუმრების მასპინძლობას. დილით ადრე, სუფრის კურთხევის შემდეგ, გავაცილებთ მათ სანთლის შუქით და გზაზე რძის დაპკურებით. სანთელი ამ დროს გასასვლელ კარზეა დამაგრებული.

„ადგომ“ საღამოს (ლეთშ) კერიის ცეცხლში უნდა დაიწვას ახალი წლის გუბიზი - თხილის ტოტი.

დღიურები. მთხრ. მიხო წერედიანი, დაბ. 1905 წ. 1993 წელი ლატალი, ჟენაში.

* * *

ადგომს უქმე და ძალიან დიდი მარხვა იყო. ვისაც კი ლიფანალში სულების მოსვლა სწამდა, ამ დღეს დილიდან საღამომდე საჭმელ-სასმელს თმობდა - მგტმე იყო. მგტმე იყო აუცილებლად ოჯახის უფროსი კაცი და დიასახლისი ქალი, რამდენადაც ისინი იყვნენ მგფჭნე: მუშუნდები და მერბიელი - ვიდრე ამ დღეს მზის ჩასვლის შემდგომ ტაბლებს არ შეუნდობდნენ, ვერაფერს შესჭამდნენ და წყალსაც ვერ დალევდნენ.

დილით კაცები ტყეში მიდიოდნენ, იქ არყის ხეების მსხვილ ტოტებს სჭრიდნენ, სახლში მოზიდავდნენ, წვრილ-წვრილად სიგრძეზე აპობდნენ (ლიშხრგლე), კონებად კრავდნენ და გასახმობად სხვენზე (შგილ) აწყობდნენ. ამ სტიმნი ლამპარების დამზადება დღეობა ლიმპარიელისათვის (რომელიც ხორციელის

---

[1] დიდების მიმღებნო, ვისაც ჩვენი თავი იოტისოდენადაც კი გეკუთვნოდეთ, შენდობილი ყოფილიყავით, ადამიანის სულის გარდა ყველაფერი თქვენი სასარგებლო ყოფილიყოს, მყინვარს სანამ ყინული მოაკლდეს, მდინარეს ქვიშა და ქვა, მანამდე მისცემოდეს ჩვენს ოჯახს სეე და ბარაქა.

[2] დიდება მოსასვლელნო (დიდების მიმღებნო), ქრისტეს ტაბლის მოწილე ყოფილიყავით და იმით ყოფილიყავით შენდობილი. მადლით სავსენო, მხოლოდ კარგი მოისურვეთ ჩვენთვის, ადამიანის და საქონლის მშვიდობით, ველ-მინდვრის სიბეჯითით გახარებული დაგვტოვეთ, სამუდამოდ თქვენი შენდობის მთქმელნი ვიქნებით, თქვენი სარგებელი ყოფილიყოს ყოველივე, თქვენზე შესახელებული, ადამიანის სულის გარდა. უკმარისობა თქვენს დროსაც იქნებოდა - გეპატიებინოთ ჩვენთვისაც სიდუხჭირე. რასაც თქვენთვის საჭიროს ვერ ვხვდებოდეთ და ამის გამო ვცდებოდეთ, ის ყოველივე ჩვენც მოგვტეგებოდეს, დიდების მიმღებნო!..

კვირას მოდიოდა) აუცილებლად ლიფანალის პირველ დღეს უნდა მომხდარიყო და, რადგან ეს საქმიანობა საღმრთო სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა, ამიტომ ის უქმის გატეხვად არ ითვლებოდა.

არყის კონების დამზადების შემდეგ რკინეულს დაბორკავდნენ. ცულს, ნამგალს, დანას, ხანჯალს, თოფს და ლიფთონის სხვა იარაღს ერთად შეკრავდნენ, სახლიდან გაიტანდნენ და ლიფანალის დამთავრებამდე სადმე სხვაგან შეინახავდნენ. მხოლოდ წყალკურთხევის დილით დანა გამოჰქონდათ საკლავის დასაკლავად და დასაჩერექებლად, რის შემდგომ მას კვლავ შეინახავდნენ. ამ დროს ნემსსაც კი გაიტანდნენ სახლიდან, რადგან ნემსიც ტყვიის ნავალზე მიდისო (ნახოშ ნადგარ) - რკინის იარაღით მკვდარი სულები არ შეშინდებიან და ჩვენზე გულმოსულები სახლს არ გაეცლებიანო.

ადგომ ლადაღ ყველა ტანს დაიბანდა, დასუფთავდებოდა. განსაკუთრებით ქალები. მშობიარე ან ახლად მომშობიარებული და თვიურიან ქალებს ლიფანალის განმავლობაში სახლში დარჩენის ნება არ ჰქონდათ. ისინი სადმე სხვაგან უნდა წასულიყვნენ და ღამე გაეთიათ უკაცურ სახლებში (უკცირ ქორაალისგა).

ამ დღეს ოჯახში დაურეცხავსა და დაუსუფთავებელს არას სტოვებდნენ ქალები. საქმეს დილაადრიან შეუდგებოდნენ, წყლითა და ქვიშით ხეხავდნენ, გვიდნენ და „აწმინდავებდნენ'' საცხოვრებელ ბინას შიგნიდან და გარედან, რათა საღამოს ოჯახში შემოსული სულებისათვის ყველაფერი რიგსა და წესზე დაეხვედრებინათ: მიცვალებულებს რაიმე რომ არ მოსწონებოდათ, ოჯახს დასწყევლიდნენ. ჯამ-ჭურჭლისა და ავეჯეულის „დაწმინდავება'' ხდებოდა მეკვლისგან ახალ წელიწადს დილით მოტანილი წყლით (ნაჭეშხ ლიც). ამ წყალს მიაპკურებდნენ გასაწმენდ შინას. ამავე მიზნით ხმარობდნენ კანდას შემოტანილ თხილის კონას (გუიზ). მას ლიფანალის წინა დღით დასწვამდნენ (უფრო მეტად ადგომ-ს დილით), ნაცარს წყალში აურევდნენ და ყველაფერს ამ ნაცარმტუტით წმენდდნენ.

დასაწმენდად თოვლს იყენებდნენ. სვანის რწმენით, სულებს არ შეუძლიათ „უწმინდური'' ადამიანის მიერ დალახული გზაზე გავლა. ამიტომ იყო, რომ ლიფანალიში განსაკუთრებით დიდი თოვლი მოდიოდა, ადამიანებისგან დატკეპნილ გზებს ახალი თოვლი დაეფინებოდა და ამით სულებს უადვილდებოდათ ოჯახში მისვლა. ცოტა თოვლს სვანი სახლშიც შეიტანდა და მერხზე (ბანდარ) დაჰყრიდა - სულები უფრო სიამოვნებით ჩამოსხდებიან და ცეცხლის პირად გათბებიანო.

საღამოს კერიაში დიდ ცეცხლს გააჩაღებდნენ: ზამთრის პირობებში მგზავრობის შემდეგ სულებს სითბო ესიამოვნებათო. ამავე მოსაზრებით ადგომს კერაში ცეცხლის ჩაქრობა ყოვლად დაუშვებელი იყო.

ადგომს ოჯახის მამაკაცებს ტყიდან არყის ხესთან ერთად ტირიფის (გგნწიშ || ჭეჭინდ) წნელები მოჰქონდათ და საღამოს მისგან გირგუდარს წნავდნენ თხისა და ცხვრის სიმრავლისთვის. გირგუდარები სახლში ხის კავებზე ეკიდა მთელი წლის განმავლობაში.

ამავე საღამოს ოჯახის მანდილოსანი, ზოგჯერ ბავშვებიც სახლის კედლებს შიგნიდან, ტიხარს, ბაგასა და კიდობნებს მხატვრობით ააჭრელებდნენ: ნაცარს ან პურის ფქვილს წყალში გაქნიდნენ და თითით სხვადასხვა სახეებს გამოიყვანდნენ. ლატალში ლეჭრელეს გაკეთება ნათლისღებას (ლიცი ლიპრისდალ) იცოდნენ.

მიცავლებულთა დასახვედრად სვანი თავს არ ზოგავდა და რაც რამ საუკეთესო საჭმელ-სასმელი გააჩნდა, მათთვის ამზადებდა. მზადებას მზის ჩასვლის ხანს იწყებდა და სამარხო საჭმელებს აკეთებდა, რადგან ამ დღეს მარხვა იყო. აცხობდა უსპა პურებს, ქერის ან ფეტვის კვერებს - პუხტარ. ქერის ჭეკტსა და ფეტვის ჭეკტს (მჭადებს). ლიფანე-ში ფეტვის პურების გამოცხობა მეტად მიღებული იყო, რადგან სულებს თურმე ფეტვის მოსავლის ნახევარი წილად რგებიათო. თითეულ პუხტარს ოთხჭდიანს აკეთებდნენ და ამიტომ თითო პური ოთხ მიცვალებულს ჰყოფნიდა. აცხობდნენ ლობიოსგულიან, კანაფისგულიან, ნიგვზისგულიან პურებს, კარტოფილიანებს და ა. შ. აკეთებდნენ ფაფებს. ქერის, ფეტვის და სიმინდის ფქვილისაგან გაკეთებულ ფაფებს „შამ'' ერქვა. პურის ფქვილისა და ხორბლის თესლისგან დამზადებულს - „ქაქ''. აკეთებდნენ კანაფის შეჭამადს - გიმბში ნაყუნ'', მუჯორს და ქგნაშ-ს, სხვადასხვა ფხალეულის შეჭამანდს. მიცვალებულის სუფრას ასევე ემატებოდა კორკოტი, მოხარშული ლობიო, ნიგვზისა და კანაფის ზეთი, თხილი, კაკალი, ვაშლი, მსხალი, ჩირი, რძე, - ბავშვებისათვის სათამაშოები, ჩამოქნიდნენ უამრავ სანთელს და მათ ჯულის ჩხირებზე ჩამოაცმევდნენ.

როდესაც საჭმელ-სასმელი გამზადდებოდა, სუფრებს გაშლიდნენ. ამ დღეს სავახშმო სუფრები ჩვეულებრივზე ადრე იშლებოდა. სულებისთვის რამდენიმე სუფრას დგამდნენ; საქალებოს ცალკე, საკაცოს ცალკე, ბავშვებისთვის ცალკე, საბეროს ცალკე. ბერს ოჯახი ისეთ მიცვალებულს ეძახდა, რომელმაც სიცოცხლეში წმინდად იცხოვრა, შეინახა მარხვები და არ დაქორწინდა, არ გათხოვდა. ლიფანალის განმავლობაში ყოველწლიურად მიცვალებულთა სულებისათვის ახლ-ახალი საჭმელი მზადდებოდა და ახალ-ახალი სუფრა იშლებოდა.

დიასახლისი ფაფას მოხარშავდა ხელის საფქვავზე მსხვილად დაფქვილი ხორბლისგან, რომელიც მას „შობ''-იდან ჰქონდა შემონახული. შემდეგ მორჩენილ დაფქულიდან სამ პეშვს ჯამში გადაიღებდა და მისგან სამ ცალ ე.წ. ლამარია ლემზირს გამოაცხობდა. ამგვარად მომზადებულ ფაფას და ტაბლებს ფქვილის შესანახ კიდობნის (ლაფქიარ) თავზე წაღმა დაატრიალებდა და ლამარიას შესწირავდა: - მწყალობელო მშველელო ლამარიავ! ბარაქა მიეცი ჩემს ნახელარს, მხოლოდ ლხინში სახმარი გაგვიხადე იგი. შენა-

წირს კიდობან'ში ათავსებდა, სადაც ის მეორე დღემდე უნდა დარჩენილიყო ისე, რომ კიდობანი არავის არ აეხადა და ფაფისა და ტაბლებისათვის არვის არ შეეხედა.

რწმენით, თუ ლიფანალის სუფრაზე ანთებული სანთლებიდან რომელიმე უეცრად ჩაქრებოდა, ოჯახში იმ წელს აუცილებლად ვინმე მოკვდებოდა.

ლიფანალის პირველ დღეს მომზადებული ფაფის ზედაპირის დასკდომა ცუდი წლის მიმანიშნებელი იყო. პირიქით, როდესაც ფაფას ზედაპირი შეკრული ჰქონდა, კარგი წელიწადი გვექნებაო. ფაფის ზედაპირის ხეებზე წასმა—ხეხილის კარგი მოსავლის მომტანად მიაჩნდათ.

იცოდნენ გუზითი მკითხაობა. გვიზს პურის საცხობ ფქვილზე დაყრიდნენ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და ფერფლს ხოშა ღერბეთის ან მასთან ერთად, მგქემ თარინგზელის, ჯგგრაგის და ლამარიას სახელზე შეუთქვამდნენ ადამიანთა მშვიდობიანობას, საქონლის გამრავლებას, მოსავლის სიუხვეს. შესახელება ხდებოდა ნაცრის ჯგუფ-ჯგუფად დანაწილებით. შემსახელებელი იყო დიასახლი ან ოჯახის უფროსი მამაკაცი, რომელიც ამ დროს ქუდმოხდილი იდგა. წესი სრულდებოდა ვახშმობისას ოჯახის წევრების მიერ პირის ახსნის შემდგომ. სულთან დაკავშირებული წესი ლატალში მაშინ სრულდებოდა, როდესაც მიცვალებულთა ხატებს სახლში იწვევდნენ სასაფლაოზე გაგზავნილი ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ. გარეთ დადებულ ჯულის ტოტს ოჯახის უფროსი შემოიტანდა. მასზე მხედრულად შესვამდა ბავშვს და დაატარებდა ხელით ბავშვსაც და ჯულსაც. ოჯახის დანარჩენი წევრები ჩუმად არიან. კერის გარშემოვლის შემდგომ ბავშვს სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან ჩამოსვამდნენ. ოჯახის უფროსი კარვა'ში მოთავსებულ პატარა კვერს ამოიღებდა და მას'ში მატყლს დანის წვერით ჩაარჭობდა. როდესაც ამას მორჩებოდა, მატყლიან ადგილებს დანის წვერით ამოსჭრიდა და მათ ძაღლებს გადაუგდებდა, ხოლო დანარჩენ კვერს დატეხავდა და ჩამოურიგებდა ოჯახის წევრებს, რომლებიც თავის წილ კვერის ნაჭერს მაშინვე შესჭამდნენ და ამით პირს იხსნილებდნენ. ზოგ ოჯახში ჯულის კვერს ცეცხლში შეკეთებულ ჯულის ტოტზე ათავსებდნენ.

სტუმრების დამპატიჟებელს ლატალში „მგწსის'' ეძახდნენ ან მგჭშის'' (მეკვლეს). გზაში იგი სულებს ესაუბრებოდა უმთავრესად იმის შესახებ, რომ ღარიბია და ამიტომ მათ მხოლოდ შეძლებისდაგვარად უხვდება. ამიტომ ნუ დაემდურებიან და კარგი ფეხი მოუტანონ მის ოჯახს. „მეკვლე'' სულებისთვის განკუთვნილი პურებით და სანთლით, ზედაშით, სასაფლაოსკენ გაემართებოდა მიცვალებულთა სულების მოსაყვანად. თუ ოჯახს ახალი მიცვალებული ჰყავდა, მაშინ ოჯახის უფროსი ზედმეტ სამარხვო საჭმელებსაც წაიღებდა, სასაფლაოზე სუფრას გაშლიდა და ახალ მიცვალებულს შენდობას ეტყოდა, ქრისდე ფუსდის სახელზე ილოცებდა და თავისი ოჯახის მიცვალებულთა სულებს სახლისკენ წამოუძღვებოდა.

წარმოდგენით, მიცვალებულთა სულები ცოცხლებთან მიდიოდნენ მზის ჩასვლის შემდეგ, მათი მოსვლა დამხვდურებში დიდ მოკრძალებას იწვევდა. ლიფანალის განმავლობაში, ვიდრე სულები ოჯახში იმყოფებოდნენ, სრული სიწყნარე სუფევდა. ლიფანელას მუშუნდები (შენდობის მთქმელი) იყო უფროსი მამაკაცი ან დედაკაცი, ან ორივე ერთად. კაცები ერთ მხარეს იყვნენ ჩამწკრივებულნი, ქუდმოხდილნი და ქალები მეორე მხარეს—დაჩოქილნი. პირველ საღამოს მიცვალებულებს შენდობას არ ეტყოდნენ და არყით სავსე სასმისს პირს არ წაუქცევდნენ, რადგან შენდობის თქმა იმას ნიშნავს, რომ სულების გასტუმრება გწადია. ამის ნაცვლად ადგომ ღამეს სულებს დიდებით მოიხსენიებდნენ: - დიდება მოგსვლოდეთ, კარგი ფეხი მოგეტანოთ უფალ დალ̆ებს. (- დიდაბუ აჯ̆ვედახ, ხოჩა ჭიხუ აჯ̆ვ̆ედახ უფალ დალ̆ ̆ბრს || ფუსდ დალ̆ ̆ბრს).

სულების გამასპინძლება გრძელდებოდა იმდენ ხანს, რამდენიც ვახშმობისთვის იყო საჭირო. როდესაც სულების ვახშმობა დამთავრდებოდა, ოჯახის რძლები წამოიშლებოდნენ და კერასთან ახალ სუფრას გააწყობდნენ: სულების სუფრიდან სანოვაგეს თავიანთ სუფრაზე გადაიტანდნენ. ასე ხდებოდა მთელი ლიფანალის განმავლობაში: დილით, შუადღეზე და საღამოს, სულების პურობის შემდეგ.

ადგომს, მთელი ღამის განმავლობაში არავინ არ იძინებდა, ყველას ეველებოდა სულების გართობა, ზღაპრების მოყოლა და ჭიანურზე დაკვრა.

„განცხდა̆ბ“ || „ლიცილიპრისდა̆ლ“

(ლიფანა̆ლის მეორე დღე)

ამ დღეს უქმობდნენ. დილით ადრე ოჯახის წევრები გუზითი მკითხაობას გამართავდნენ: „ადგომ'' დღეს კა-ზე დარჩენილი გუზის ფერფლის მიხედვით—რომელი იყო მუქი ფერის და რომელი შავის, რომელ ადგილას მეტი ფერფლი იყო და რომელ ადგილას ნაკლები. შეთქმულის მიხედვით ხვდებოდნენ მომავალი წლის ავ-კარგს.

დილა ადრიანად სოფლის მღვდელი ეკლესიიდან გამოიტანდა ჯუ̆ ̆ბრს ან ხატს, ღელისკენ წაიღებდა და წყალს მიადგამდა, ან იმ ქვაბში ჩაუშვებდა, რომელიც დილის წყალს იყო მიდგმული. ამის შემდეგ ქვაბიდან ამოღებული წყალი ნაკურთხი იყო. დილით ადრე მთელი სოფელი წავიდოდა ჭურჭლით ნაკურთხი წყლის ასაღებად. ამავე დროს ხდებოდა ეკლესიისათვის ფულის შეწირვა წყლიდან ჯვრის აღების გამო. ჯვრის აღება ამღებისთვის სასიკეთო იყო. შინ წაღების შემდეგ ამ წყალს გუზის ნაცარში აზელდნენ და

„ლგპრისდე ტგტს“ გამოაცხობდნენ. ეგონათ, რომ ნათლისღებას მოტანილი ნაკურთხი წყალი ბოთლში არ შეინახებოდა. იგი ბოთლს გახეთქავსო და ამიტომ მას ნაცარში ურევდნენ და კვერის სახით ინახავდნენ. ამასთან ერთად, გუბზის ნაცარი ლგპრისდეთი აზელილი ორმაგად ძლიერი საშუალება იქნებოდა ადგილის გასაწმენდად.

ლატალში „ლგჭრელებს“ წყალკურთხევას ასრულებდნენ მკითხაობის დამთავრების შემდეგ. გუბზის ნაცარს ნაკურთხ წყალში შეურევდნენ და მიღებულ სქელ სითხეში ამოვლებული თითით სხვადასხვა გამოსახულებებს ხატავდნენ კიდობნებსა და სხვა სახის ავეჯეულზე, სასმისებსა და ჯამ-ჭურჭელზე, საქონლის სადგომის ხის ტიხარზე („ლეჭუნდურა“), კარებსა და საბლის კედელზე ჯვრებს აკეთებდნენ. იხატებოდა ყველანაირი გამოსახულება: მცენარეულიც და ცხოველურიც. მხატვრობას დიასახლისთან ერთად ბავშვებიც ასრულებდნენ, საქონლის გამრავლებისა და მიცვალებულთა სულების გამხიარულების მიზნით.

ამ დღეს მოტანილ ნაკურთხ წყალში მოზელდნენ პურის ფქვილს და გამოაცხობდნენ პატარა, შუაზე გახვრეტილ მრგვალ კვერს - „ლაღაშ ლემზირ“-ს. მას ბაწარზე წამოაცმევდნენ და სათესლე ხორბლის შესანახ კალათაზე (ლაღაშ) შეაბამდნენ გარედან. გაზაფხულზე თესვის დროს ამ კვერს სათესლე ხორბალში ჩაფხეკდნენ და თესლთან ერთად მიწაში მიაყოლებდნენ - თესლს განათლავს და ნათესი წმინდა იქნებაო.

სათესლე კირკადრლთან (ლაღაშ ლემზირ) ერთად იმავე ცომისგან ექვს ცალ კოკონრლს გამოაცხობდნენ, ბაწარზე ააცმევდნენ და დიდმარხვისთვის შეინახავდნენ. დიდმარხვაში ყოველ კვირა დილას ოჯახის უფროსი თითო ცალ კირკადრლს ჩამოხსნიდა, მეორე სართულზე საკვამლესთან მიიტანდა, იქიდან ქვემო სართულში კერის პირად მოთავსებულ პურის საცხობ ფიქალს დაუმიზნებდა და ჩააგდებდა შემდეგი სიტყვებით - ამჟიუ ამკედელი ართა - კუართა ლილაწლ (ასე ჩამოვარდეს დიდმარხვაო!). ამას სამჯერ გაიმეორებდა და კარკაკდრლს დატეხავდა ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით და მათ სათითაოდ ჩამოურიგებდა. ამ ნაჭერს შემდეგი წესით შეექცეოდნენ: დაიჭერდნენ მას მარცხენა ხელში, ამ ხელს თავზე გადმოიტარებდნენ, მარჯვენა მხრიდან პირთან მიიტანდნენ და ისე შესჭამდნენ.

ამ დღეს, როდესაც ოჯახში ქალები მარტო რჩებოდნენ, დიასახლისი ადგომ საღამოს ლამარიას სახელზე შეწირულ ფაფას (ქაქ) და კვერებს ფქვილის კიდობნიდან ამოალაგებდა, მიცვალებულთა სულებისთვის გაშლილ სუფრაზე დაფენდა, ცოტა ხანს დააცდიდა და შემდეგ ამ ფაფას და კვერებს იქ მყოფი ქალები შეექცეოდნენ. მათ ეგონათ, რომ თუ ამ დროს ქალების პურობას კაცებმა თვალი მოჰკრეს, ოჯახში თაგვი მომრავლდებაო.

დილით, ზემოთ აღნიშნული ყველა რიტუალის დამთავრების შემდეგ დაჰკლავდნენ ლიფანაწლის საკლავს - ლიფანაწლი ლაჟსა (ლელფაწლ). მას შემოდგომაზე შეარჩევდნენ და საგანგებოდ გაასუქებდნენ. საკლავად, ჩვეულებრივ, მსხვილფეხა საქონელს გამოჰყოფდნენ: ვაცს ან ვერძს. ხალხის რწმენით, ამ დროს ღორს არ დაჰკლავდნენ, რადგან საიქიოში მიმავალმა მიცვალებულებმა ადამიანმაც და ოთხფეხამაც ვიწრო ხიდი უნდა გაიაროს, ღორი კი ამ ხიდზე ვერ გავა.

მსხვერპლის დაკვლის წინ მარჯვენა სარკმელთან მიიყვანდნენ, თან ზედაშესა და სანთელს მიიტანდნენ, სანთელს აანთებდნენ და საკლავს შეულოცავდნენ, შემდეგ მას სამჯერ წაღმა შეატრიალებდნენ და კერიის პირად მოთავსებულ მერხზე (ბანდარ) დაჰკლავდნენ. მსხვერპლს ოჯახის უფროსი მამაკაცი სწირავდა შემდეგი სიტყვებით: - შენდბაუ ჯარხ ნიშგუეჟ ლეშუნდებრლს, ისგუეჟ სარგებუ-ლი მაგ ქა მაჟ ლაჯ-ჟახენნ (შენდობილიყავით შესანდობლებო, რაც გისახელოთ თქვენი სასარგებლო ყოფილიყოს). თუ მსხვერპლი ღორი იყო (უკიდურეს შემთხვევაში), მას სარკმელთან არ შეალოცავდნენ, მიიყვანდნენ მერხთან და იქ უბრალოდ დაჰკლავდნენ.

საკლავის გულ-ღვიძლს მაშინვე შესწვავდნენ და მას, ლემზირებსა და ანთებულ სანთელს სარკმელთან მიიტანდნენ და ქრისტე ღმერთს შესწირავდნენ - ოჯახის უფროსი მას მიცვალებულთა სულებს შეავედრებდა. შემდეგ ამ გულ-ღვიძლს ლეფაწნედ გამზადებულ სუფრას შეუერთებდნენ და მიცავლებულებს სხვა სახის სახსნილო საჭმელ-სასმელით გაუმასპინძლდებოდნენ. სულების სადილობის და ვახშმობის შემდეგ, წესისამებრ, მათ სუფრებს შეუნაცვლებდნენ, საჭმელ-სასმელს გადაალაგებდნენ და თვითონ მირთმევდნენ. ამ დღეს დაკლული საქონლის ხორცით სულებს უმასპინძლდებოდნენ ყოველ დღე, ლიფანალის დასასრულამდე.

ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი,
მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
ტ VI. გვ. 242-263, გვ. 263-271.

წყალკურთხევის მეორე და ლიფანალის მესამე დღე.

წყალკურთხევის მეორე დღეს (ძვ. სტ. 7 იანვარი) ეწოდებოდა „ღერთაშლე ლიპრისდაწლ“ (ღმერთების მონათვლა). უქმე დღე იყო. ამ უქმის გატეხა საიქიოში მიცვალებულებს ვნებდა. ქალები ამ დღეს დულს მართავდნენ (|| ლამარიაწ ლემზირ) დიასახლისი ხაჭაპურებს კერიის პირად ლამარიას შესწირავდა და შესთხოვდა მას საქონლის გამრავლებას, ოჯახის ბარაქას და ადამიანთა ჯანმრთელობას. მათ მამაკაცების გარეშე მიირთმევდნენ ქალები.

ლალხორთე ლ̄ზი (შაბათი) — ბჭობაზე წასვლის დღე

ბჭობაზე წასვლის დღეს ეწოდება ლ̆ალხორთე ლ̄ზი. რწმენით მიცვალებულთა სულები ლიფშ̆ნ̆ლის გარკვეულ დღეს ცოცხლების ოჯახს სტოვებდნენ და მიდიოდნენ სულეთში (ლ̆ქუნთე) კრებაზე (ლ̆ალხორ) ქრისტე ღმერთთან. სულების ერთი ასეთი საკრებულო ლენ̆ვ̆ერას თემის სოფელ ლ̆ალხორში იყო და იქ ბალსქვემოურების მიცვალებულთა სულები მიემგზავრებოდნენ. მეორე კი კალას თემის სოფელ ლ̆ალხორში ჭალაზე, სადაც ბალსზემოურების სულები იკრიბებოდნენ. მათი წასვლა ხდებოდა ლიფანალის შაბათ საღამოს. მთელი ღამე გზაში იყვნენ, დანიშნულ ადგილას კვირა დილით მიაღწევდნენ და საღამომდე იქ რჩებოდნენ. საკრებულოში გარდა კოჭლებისა, ყველა მამაკაცის სული მიდიოდა. კოჭლების, ქალებისა და ბავშვების სულები კი ცოცხლების ოჯახებში რჩებოდნენ.

შაბათ საღამოს სუფრას ადრე უკურთხავდნენ. თან საუკეთესო სუფრას გაშლიდნენ, სუფრაზე საპატიო ადგილას სამსხვერპლო საკლავის მოხარშულ თავს მოათავსებდნენ, სტუმრებს გზას დაულოცავდნენ, მათ ქრისტე ღმერთს შეავედრებდნენ და შეევედრებოდნენ ოჯახისთვის კარგი განაჩენის გამოტანას ბჭობისას (ლ̆ალხორჟ̄ნ). ალაყაფის კარამდე არყის წაქცევით გააცილებდნენ. გაცილების ეს წესი ძალზედ საამყო იყო მიცვალებულთათვის. რადგან შაბათ ღამეს სულები შინ არ იყვნენ, ოჯახი აღარ ცდილობდა კერიაში ცეცხლი გამოუნელებლად ნთებოდა.

ბჭობის კვირა დღე — „ლ̆ალხორა̆ მიშლ̆ადა̆ღ“

დილით ლიფშ̆ნე არ იმართებოდა, რადგან სულები ლალხორს იყვნენ. მიცვალებულთა სახელზე ტაბლების დაფენა და კურთხევა კვირაობით საერთოდ არ იცოდნენ, რადგან, რწმენით, კვირა დღეებში მიცვალებულები ქრისტეს წვეულები იყვნენ. როდესაც სულები თავიანთ უფროსთან - ქრისტესთან იკრიბებოდნენ იგი მათ ატყობინებდა, თუ იმ წელს ცოცხლებიდან ვის რა ბედი მოელოდა, რომელი ოჯახი რძალს მოიყვანდა ან ვერ მოიყვანდა, ამა თუ იმ ოჯახს წელიწადი ბედნიერი იქნებოდა თუ არა და, რომელ ოჯახში ვინ მოკვდებოდა. შემდეგ ამ „საკითხების“ გარშემო ბჭობა იმართებოდა, ამ დროს კი შეეძლოთ სულებს თავიანთი თხოვნა ოჯახის სასარგებლოდ გამოეთქვათ, შეეთხოვათ უფლისთვის და იგი მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. ამიტომ იყო, რომ მასპინძლები თავს არ ზოგავდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ მიცვალებულთა სულებისთვის ესიამოვნებინათ, რათა ისინი ლალხორზე გულნაკლულნი არ წასულიყვნენ. თუ სულები მასპინძლებით კმაყოფილი იქნებოდნენ, მათთვის სასიკეთო გადაწყვეტილებასაც მიიღებდნენ.

ლალხორიდან სულები ამ კვირა საღამოს ბრუნდებოდნენ, მზის ჩასვლის ხანს. ამ დროისთვის კერაში ცეცხლი ინთებოდა და სულების შესაგებებლად ფაფა მზადდებოდა. ფაფას მათ ძალიან ცხელს, ორთქლი რომ ასდიოდა (მუთურა) ისეთს დაახვედრებდნენ - გაყინულები იქნებიანო და დაღლილები, მშივრები ამით დანაყრდებიან და თან გათბებიანო. დიასახლისი ვახშამს დაამზადებდა და ნამდვილი ლიფშ̆ნე მაშინ მოეწყობოდა. ლიფანალის კვირა ღამეს არავინ არ იძინებდა. მთელი ღამე ადრე დილით ლეფშ̆ნე სუფრის სამზადისი იყო.

ამ ღამეს სულების სუფრაზე ანთებული სანთლებით მკითხაობდნენ სულების გადაწყვეტილების ავ-კარგზე, როცა სანთლები ბჟუტავდა—ავი განაჩენის მანიშნებელი იყო და პირიქით, რწმენით, თუ ოჯახში ვინმე ავადმყოფი იყო მასთან სული მივიდოდა და შეატყობინებდა მას თავის აღსასრულსაც და იმასაც, თუ ვის რა ბედი და განსაცდელი ელოდებოდა. ამიტომ იყო, რომ მიცვალებამდე მომაკვდავი ავადმყოფი გადაკრული სიტყვებით სახელებს იტყოდა; იმას კარგად მოუარეთო, რაც ნიშნავდა, რომ დასახელებული პირი სასიკვდილო იყო, მაგრამ მომაკვდავი ამ სულების ხათრით ვერ ამბობდა.

„ჯ̄ოდი ჭა̆ბ“ — „ქუნრე ქ̆ალიბგრდა̆გი“
(სულების გასტუმრება).

ლიფანალის უკანასკნელი დღე ზემო სვანეთში იყო ორშაბათის დილა. (ქვემო სვანეთში ხუთშაბათს). როგორც აღინიშნა, სულების გასასტუმრებლად სამზადისი იწყებოდა ჯერ კიდევ კვირას ნაშუადღევს. რწმენით, რაც უფრო ადრე გაისტუმრებდნენ სულებს, მით უკეთესი იყო ოჯახისთვის; თუ ოჯახი სუფრის გაშლას გათენებამდე ვერ მოასწრებდა, სულები არ დაიცდიდნენ და უსმელ-უჭმელი წავიდოდნენ ოჯახზე გულნაკლულები. ეს კი მასპინძლებისთვის საზიანო იყო. ოჯახიდან მათი ადრე გასტუმრება სხვა გარემოებითაც ხდებოდა: შინიდან ადრე წასულები მეორე ოჯახის სულებს გაუვლიდნენ, ისინი ერთად მესამე ოჯახს და ასე ყველას მანამ სანამ არ შეიკრიბებოდნენ ერთად. შეკრებილნი გაემართებოდნენ საიქიოსაკენ... ყველაზე საუკეთესოდ ითვლებოდა ის დრო, როდესაც მესამე შენდობა დღე-ღამის გაყრის ჟამს ითქმებოდა.

მიცვალებულებს გასტუმრებისას საუკეთესო საჭმელ-სასმელით უმასპინძლდებოდნენ, ამასთანავე სანოვაგეს დიდი რაოდენობით ამზადებდნენ, რადგან იგი საგზლადაც სულებს თან მიჰყვებოდათ. ლეფშ̆ნე ტაბლებს დილით ადრე ჯულის ტოტისგან გაკეთებული საჭვრეტით აჭრელებდნენ. პურს რამდენი ნაჩხვლეტიც ჰქონდა, იმდენი მიცვალებულისთვის იყო განკუთვნილი. საჭვრეთს ცერად გავლებული ჭდეები და ღა-

რები ჰქონდა. მისი მეშვეობით დიასახლისი თან პურებს აჭრელებდა და თან საქონლის გამრავლებასა და ადამიანთა ჯანმრთელობისთვის (ნაშდები) ლოცულობდა.

ახალ წელიწადს შემოლოცვილ წერექოს საჭმელ-სასმელთან ერთად ტაბაგზე მოათავსებდნენ და თან კარიდან კარამდე, კარიდან ჭიშკრამდეც დაობნევდნენ - სულები ამ სუფთა მცენარეზე გაივლიანო. სუფრები ჩვეული წესით იშლებოდა, ჩვეული წესით სრულდებოდა ლიფანე. სუფრა სამჯერ იშლებოდა ახალ-ახალი სანოვაგით, თანაც ყველაფერი თბილი, უნდა ყოფილიყო. სანთლები სამჯერ უნდა დამწვარიყო. ყოველ ლიფანეზე მუშუნდები პატიებას ითხოვდნენ მცირე პატივისცემისთვის და სთხოვდნენ მათ კარგი ფეხის დატოვებას.

სულებისთვის ტაბლების გამოცხობისას სულ ბოლოს ცხვებოდა ე.წ. „ლესგი ლემზირ" - გვერდის კვერი - ხორციანი და ყველიანი რიცხვით ექვსი და დამატებით თითო ცალი ოჯახის იმ წევრისათვის, ვისაც გვერდი სტკიოდა. ეს ლემზირები უწონა იყო ოჯახის უცხო პირთათვის, ვიდრე სულებს მესამეჯერ შეუნდობდნენ, ოჯახის მამაკაცები ამ კვერებს წინგარდში (ჰაგამ) გაიტანდნენ და იქ ლესკლდაში თარინგზელის სახელზე შესწირავდნენ, რათა მათთვის აეშორებინათ გვერდების ტკივილი. ამ აღვლენილ პურებს სხვა პურებთან ერთად სულების სუფრაზე მოათავსებდნენ. შემდეგ მათ ოჯახის თვითეული წევრი უწენად მიირთმევდა.

სამჯერ ლიფანემის დამთავრების შემდეგ იწყებოდა სულების გასტუმრების ცერემონიალი, კარუაში ჩადებდნენ ყველა სახის სანოვაგეს, ხელში დაიკავებდნენ რძეს, შემოუვლიდნენ სუფრას, კერას, თან რძეს წვეთ-წვეთობით ასხამდნენ ძირს დაფენილ წერექოზე, შენდობას უთვლიდნენ სულებს, კარგი ფეხის დატოვებას სთხოვდნენ მათ და ასე ზურგშექცევით, პირით კარისკენ წინ უძღვებოდნენ სტუმრებს. ეზოს კართან გამცილებელი წაღმა მოტრიალდებოდა, სანთელსა და კარუას კედლის გარეთა თაროში მოათავსებდა და შინ შემობრუნდებოდა. შინ შემოსული ოჯახის უფროსი (მგგრდაგი) და ოჯახის სხვა წევრები მიცვალებულთა სულების ირგვლივ სულების მიერ მიმობნეული პურეულის მარცვლებს ეძებდნენ. რწმენით, მიმდინარე წელს ოჯახს იმ პურეულის კარგი მოსავალი ექნებოდა, რომლის მარცვალსაც ამ დროს ნახავდა.

სულების გასტუმრების დღეს, ორშაბათს, არ მუშაობდნენ, უქმე იყო. ზოგან ამ დღეს სულებისთვის უქმობდნენ, ზოგან საქონლის გამრავლებისთვის. ასე მთავრდებოდა მიცვალებულთა გამასპინძლების და გასტუმრების წესი ლიფანალი, რომელიც სვანურ დღეობათაგან უმნიშვნელოვანეს და უნიკალურ ტრადიციადაა ცნობილი.

ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი,
მსე VI. გვ. 271-290. გვ. 290-292 ლიფანალი.

ლიფანალი

ზუმხანქა მე-5 ლადაღს ლი ადგომ - ქაქა ლიჩემ, წყლიან ხარჯი ლიმარე. განცხდაბს - ლეღუ ჲ ოხდრის ლი ლეფანე. მახე ლგდგარი პატრონ აღ ლადაღ ლაჲსას აჲსენი. უწასთე ბაპ ჯარს ჴიდა ი ლიცს სგახოგამდა (სგაზაჭდა). აღ ლიც უკვე ლგპრისდე ლას, მიჩა ლაზერთე მთელ სოფელ ჴედნიდა - შედარშ. ქორთე ნაჲასგუნღო აღ ლიცშ გუნიზი ტგტს იბერდიდახ, ლემზირილაღშაღ ქაანყან ი მაწგხენ ჩუიჭმარდახ. ჯუარი ლიკედს მახე წილარ იმქარაღლდახ, ერუაჲ დეშ ანკედნა ეჯის 5 თუმან ხადდა ლედესგი ბაპაქ. ალ წესღა განცხდაბს ლიცი ლიპრისდაღ ხაშხა.

საფტინს დროუაშ ხაკუ ლიფანე: ლალხორთე როქ ესღრიხ ეჯღა: ხოჩა ნალხორ როქუ აჯვიდან - ლატულიდ ლაფანაჟენ. მიშლადაღ ლალხორხან ანტიხხ. მინეშდ ტებდი ქაქ ლი ლეხტუესგი. აღ ლენ ქალეფანედ ლი. მერმა ლადაღ რიჭჩიქდ ქალეფანე ლი. ქალიბგრდაგი ნაფანუნღო. აღ ლენ - ჯრდი ჰამს - ლესგი ლემზირილარ გვამთქვა. ალიარ ნესკლგდაშ თარინგზელდ ლიხ ლემზგრი - ჩულეთფე უწენად. ლიმზირ ლესგი მაზიგხან-ლი - ლანგნგთხილ ლესგი მაზიგხან დიდაბი ლეჭედ ნესკლდაშ თარინგზელ, ნიშგუეჲ ქორა მერდე მარე.

ჯრდი ჰამს, ქუნრე ქანაბგრდაგუნღო ლი სირიან კვირიან. ჯრდი ჰამს ცაშ ახჭემნი ეჯქას ლი ნალტახურა აღის საფტინ ეჩქას ჯანგლობ. იფანეხ ოხდრიშს. მერმა ლადაღ ყრრ ლიკრაღ-ლი. ამუნღო ლალჩა მიშლადაღ. ლალჩაზანქა ლიმპარიდ ეშხუ ნაგზი ხრზი. ლალჩას ერუაჲს ჯგგრაგ უღულაშიდ მამილ ხაგად ეჯი მანკუი ზაჲს აჲსენი მამილს. მერმე ი მესმე ზაჲს ლგგრაღსი ჩუხოყა.

საჯხგ გირგვლიანი 1995 წ. იფხი.

ზუმხადან მე-5 „დღეს არის ადგომ", ფაფის გაკეთება, წმინდა (სამარხო) საჭმლის გაკეთება. „განცხდაბს" (მე-2 დღეს) - ხორცით და ყველიანით (ხსნილით) ლიფანეა საჭირო. ახალი მკვდრის პატრონი ამ დღეს საკლავს დაკლავს. უწასთე (ადგილია მაცხვარიშში. წყაროს წყალი და სოფლის შესაკრები ადგილია იქ) მღვდელი ჯვარს მოიტანდა და წყალს მიუდგამდა. ეს წყალი უკვე ნაკურთხი იყო. მის შინ მისატანად აქ მთელი სოფელი მიდიოდა. სახლში წაღების შემდეგ ამ წყლით გუნიზ-ის ნაკარს მოზელდნენ, ლემზირებივით დააცხობდნენ და საჭიროებისას იხმარდნენ. ჯვრის აღებას ახალი პატარძლები ეჯიბრებოდნენ, თუკი

ვინმე მის აღებას ვერ შეძლებდა ჯარიმად მღვდლის სასარგებლოდ 5 თუმანი ჰქონდა დასადები. ამ წესის გამო „განცხადების“ დღეს წყლისკურთხევაც (ლიკი ლიპრისდა̄ლ) ერქვა.

შაბათს ადრე უნდა სულებისთვის სუფრის გაშლა—სამსჯავროზე მიდიანო და იმიტომ. კარგი განაჩენი მოგეტანოთო ჩვენთვის - ვეუბნებით სუფრის კურთხევისას. კვირას სამსჯავროდან ბრუნდებიან და მათთვის ცხელი ფაფაა დასახვედრებელი. ამ ღამეს კვლავ ლეფანეა. მეორე დღეს გათენებამდე მათთვის სუფრაა გასაშლელი. სუფრის კუთხევის შემდეგ მათთვის გაცილებაა მოსაწყობი. ჯოდი ჰამ-ის წესთა აღსრულების დროს გეჩვეოდა გვერდის ლემზირების დაცხობა. ესენი ნესკლდაში თარინგზელისთვის არიან აღსავლენი (აქვე, შინაში) და უწენად არიან მისართმევი. ლოცვა გვერდების ტკივილისგან დაცვისთვისაა დაწესებული: - დაგვიცავი გვერდების ტკივილისაგან, დიდებულო ნესკლდაში თა̄რინგზელო, ჩვენი ოჯახის ყველა წევრი. „ჯრდი ჰა̄მს“ სულების გასტუმრების შემდეგ არის „სირიაა̄ნ-კვირია̄ნ“ (ენაშელების ლიკურიენელი). ჯრდი ჰა̄მს რომ ხუთშაბათი მოჰყვება - არის ნა̄ლტახურა. ამის მომყოლ შაბათს - ჯანგლობ. საკურთხია ხსნილით. მეორე დღეს „ყრრ ლიკრა̄ლია“. მის მომდევნო კვირას ლა̄ლჩა მიშლადა̄ღ. ლალჩადან ლიმპარიმდე ერთი კვირის შუალედია. ლალჩა დღეს ვისაც ჯგრა̄ბ უღულაშისთვის მამალი ადევს ბეგარად, შესწირავს მას პირველ წელს. მეორე და მესამე წელს მის მაგივრად კვერცხებიც შეიძლება. (ისინი უწენალებია!).

* * *

ჯრდი ჰა̄მლ̄ეთ ქუნრე ქა̄ნა̄ბგრდა̄გუნღო ლი ლენყე ლემზირა̄ღ. ხემზირხ ნესკლდა̄ში თა̄რინგზელს: - დიდბი ლეჭედ ნესკლდა̄ში თა̄რინგზელ, ნიშგრეჟ ქორა მერდე მა̄რე ლა̄ხენთხილ ლესგი მა̄ზიგხან დიდბი ლეჭედ. ლემზირილა̄რ უწ̄ენ̄ად ლიხ ლენყე ი ჩულეთფე.

სირინო ფარჯიანი 1996 წ. ლედმანი.

„ჯრდი ჰამ“-ის შემდეგ სულების გასტუმრებისთანავე დასაცხობია ლემზირები. ილოცებიან ნესკლდა̄ში თარინგზელისთვის - დიდების მიმღებო ნესკლდა̄შის თარინგზელო, ჩვენი ოჯახის წევრები დაიცავი გვერდების ტკივილისაგან, დიდება მოსასვლელო. ლემზირები უწ̄ენად არიან დასაცხობი და მისართმევი.

ნათლისღება — გაცხადება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის ნათლისღების ანუ გაცხადების დღესასწაულს 6 (19) იანვარს აღნიშნავს.

მა̄შინ, როდესაც იოანე ნათლისმცემელი სინანულს ქადაგებდა და მდინარე იორდანეში ხალხს ნათლავდა, განკაცებულ მაცხოვარს ოცდაათი წელი შეუსრულდა. სხვებთან ერთად, ისიც მივიდა იოანესთან, რათა ნათელეღო. იოანეს ულირსად მიაჩნდა თავი, მოენათლა იგი და უთხრა, რომ უფრო დიდ სიმართლედ მიაჩნდა, თვით მას ნათელეღო ქრისტესაგან, რაზედაც უფალმა მიუგო „... აცადე აწ, რამეთე ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“. (მათე 3, 15). ამ სიმართლის აღსრულება ქრისტეს მიერ მონის სახის მიღებას გულისხმობდა.

ნათლისღება - ეს არის დღე, როცა იესო ქრისტემ მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემელისგან ნათელიღო და წყალი ხრწნილებისაგან განიწმინდა, რათა ჩვენთვის მის მიერ ცოდვათა მიტევება მოენიჭებინა.

ამ დღესასწაულს ღვთის გაცხადებაც ეწოდებოდა, რადგან მაცხოვრის ნათლისღებისას ქვეყნიერებას ერთარსება ღმერთის სამგვამოვნება განეცხადა; „და ნათელი-იღო იესო, და მეყსეულად აღმოვიდა რაჲ წყლისა მისგან, და აჰა განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმერთისაჲ, გარდმომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა. და ჴმაჲ იყო ზეცით და თქუა; ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო - ყაკ (მათე: 3,16-17).

- ამით წმინდა სამება განცხადებულ იქნა.

ნათლისღებით ძველი სჯული[1] დასრულდა, (ძველი რჯულის დასასრულს მოასწავებდა მაცხოვრის ჯვარცმის დროს იერუსალიმის დიდებულ ტაძარში კრეტსაბმელის (ფარდის) შუაზე გახევა და დასაბამი ახალმა მიიღო, რადგან ღმერთი გამოჩნდა და მადლი გამობრწყინდა. იესო ქრისტემ წყლით და სულიწმიდით განაახლა ცოდვებისაგან დაძველებული კაცის ბუნება და პირველქმნილი ადამი კრულებისაგან იხსნა.

უფლის ნათლისღების დღესასწაულით წმინდა ეკლესია გვასწავლის, თანაბარი ღირსებით ვაღია-

[1] ძველი სჯული, რომელიც მოსეს მიერ მიეცა ებრაელ ხალხს, იყო ღვთივ გამოცხადებული, სჯულის მიღება მოხდა უდაბნოში ეგვიპტიდან გამოსვლის ორმოცდამეათე დღეს 40 დღიანი მარხვის შემდეგ სინის მთაზე. მოსე წინასწარმეტყველმა ღვთისგან მიიღო ორი ხელთუქმნელი ფიქალი, რომელზედაც სჯულის ათი მცნება იყო ამოტვიფრული.

რებდეთ და განვადიდებდეთ ერთარსება სამებას.

ძველ აღქმას წმინდა პავლე მოციქული „ჭეშმარიტების აჩრდილს“ უწოდებს. მას გზა უნდა დაეთმო „გამობრწყინებადი ჭეშმარიტებისათვის“. წმინდა იოანე მახარობელი ამბობს: რჯული მოსესგან მოგვეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება ჩვენ ქრისტეს მიერ იქმნა.

ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო ქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს - ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მადლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს. წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმინდა კი, გონებისთვის მიუწვდომლად, თვით სულს განაგებს.

ნათლობით ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევება და იგი (ე. ი. ნათელღებული) ღვთის შვილობის პატივს იღებს. ნათლისღებისას სულიერი ძალები ახლდებიან და მემკვიდრეობითი ხრწნის მოქმედებაც სუსტდება, თუმცა სრულიად არ ისპობა.

ამ დღესასწაულით მართლმადიდებელი ეკლესია გვიჩვენებს ნათლისღების საიდუმლოს აუცილებლობას ყველა ჭეშმარიტი მორწმუნისათვის, გვინერგავს ღრმა მადლიერების გრძნობას ჩვენი ცოდვილი ბუნების განმანათლებლის, განმწმენდელისა და მხსნელისადმი. იგი გვასწავლის, რომ ჩვენი ხსნა და განწმენდა ცოდვათაგან შესაძლებელია მხოლოდ სულიწმიდის მადლის ძალით. ამიტომ აუცილებელია ღირსეულად დავიცვათ საკუთარ თავში ეს მომადლებული წყალობანი წმიდა ნათლობისა, რათა სიწმინდით შევინარჩუნოთ ის მადლი, რომელიც ნათლისღების დროს გარდმოდის ჩვენზე.

მოუნათლავ ადამიანს ღვთის საუფლოში შესვლა არ ძალუძს გარდა, იმ მოწამეებისა, რომლებიც ქრისტეს სარწმუნოებისთვის ეწამენ და ამით სისხლისმიერი ნათლობა აღასრულეს... ცხონებისთვის სხვა გზა არ არსებობს, გარდა ნათლობისა.

ცხონებული სული ადგილს ცათა სასუფეველში იმკვიდრებს. (სასუფეველი ესაა სავანე, სადაც მართალთა სულები განისვენებენ). ამ სამკვიდროში მარადიული ნეტარება და წარუვალი სიტკბოებაა. თითოეული ადამიანი ამქვეყნად იმგვარ ცხოვრებას უნდა ესწრაფოდეს, რომლის საზღაურიც იმქვეყნიური მარადიული და ნეტარი ცხოვრება იქნება, ხოლო ხსნა ჯოჯოხეთის ტყვეობისგან და ზეციური სასუფევლის მოპოვება—ეს არის ჩვენი უპირველესი საზრუნავი დედამიწაზე, რადგან, როგორც მაცხოვარი გვასწავლის, რა სარგებელია ჩვენთვის, თუკი სულის წარწყმედის სანაცვლოდ შევიძენთ რაიმეს, თუნდაც მთელს ქვეყნიერებას.

წყლის კურთხევას, ანუ დიდ აიაზმას უძველესი ტრადიცია აქვს. წყალში ჯვრის გამოსახვით (რომელიც სიმბოლურად განასახიერებს უფლის სამგზის შთაფვლას იორდანეში), ხდება წყლის კურთხევა, რომელსაც თან ერთვის შესაბამისი გალობანი.

იოანე ოქროპირი მეოთხე საუკუნეში ამბობდა: „ქრისტე მოინათლა და განწმინდა წყლის ბუნება. ნაკურთხი წყალი დროთა განმავლობაში როდი ფუჭდება, ხშირად ორი და სამი წლის მანძილზე ისევეა, როგორც წყაროდან ახალი ამოღებული.

ნაკურთხ წყალს უდიდესი ძალა გააჩნია. მისი სხურებით, იწმინდება ტაძრები თუ საცხოვრებელი სახლები. იგი ფლობს მაკურთხებელ ძალას. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ავადმყოფი რომელმაც რწმენით მიიღო ნაკურთხი წყალი, განიკურნა.

უფლის ნათლისღებამ მიწისაკენ, ხორციელისაკენ და წარმავალისაკენ მიდრეკილი კაცობრიობა ზეცისაკენ, წარუვალისკენ აახედა. ნათლობით ადამიანი ღმერთს უერთდება და მასში იწყებს სიცოცხლეს, ხოლო ის, ვინც ქრისტესმიერ ცხოვრებას ეზიარება, მარადიულ ნეტარებასა და სიხარულში მკვიდრდება.

თუკი ადამიანი ძველი აღთქმის ეკლესიის წევრი წინდაცვეთის მეშვეობით ხდებოდა, ახალი აღთქმით ეკლესიაში დამკვიდრება ნათლობის საიდუმლოს მეშვეობით ხდება. ნათლობა იგივეა, რაც ადამიანის ხელახალი, ოღონდ ამჯერად სულიერი შობა, რომლის აღსრულებისას ადამიანზე ღვთის ბრძანებით მფარველი ანგელოზი გადმოდის, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე იცავს და კეთილის ქმნისათვის აღძრავს ადამიანს.

ძველი საეკლესიო (კალენდრით) ტრადიციით, ნათლობას წინ უძღოდა მოსამზადებელი (მოწაფეობის) პერიოდი, რომელიც დიდ მარხვას ემთხვეოდა, დიდი მარხვის პირველ დღეს ახალ მორწმუნე (ნათლობის მსურველი) დაიდგინებოდა ქრისტეს მოძღვრების მოწაფედ ანუ კათაკმევლად. ის ვალდებული იყო მთელი დიდი მარხვის განმავლობაში დასწრებოდა ღვთის მსახურებას, მოესმინა სამოძღვრო (კატეხეტური) ქადაგებანი, საღმრთო წესის კომენტირებული კითხვა და სხვა. დიდ შაბათს კათაკმეველთა საერთო ნათლობა ხდებოდა მდინარეში. ნათლობის შემდეგ, განწმედის ნიშნად, ახალნათლიღებულნი შეიმოსებოდნენ თეთრი, ბრწყინვალე სამოსელით და ანთებული ლამპარებით, ჯვრებითა და ხატებით გაემართებოდნენ ეკლესიისაკენ, დაესწრებოდნენ ჟამისწირვას და პირველად ეზიარებოდნენ წმიდა საიდუმლოს.

ამრიგად, უძველეს ეკლესიაში ნათლისღებისათვის ერთი, საყოველთაო დღე იყო დადგენილი - დიდი შაბათი. IV ს-ის შემდეგ, როცა მოსანათლავთა რიცხვმა მკვეთრად იმატა, ნათლისღება დაშვებული იქნა სხვა დღეებშიც: ქრისტეს შობას, ნათლისღებას, ლაზარეს შაბათს და სულთმოფენობას. შემდგომ ამ დღეებს დაემატა ყოველი შაბათი დღე (რადგანაც შაბათი კვირის წინა საღამოა, ისე როგორც დიდი შაბათი ქრისტეს აღდგომისა). ეს ჩვეულება დიდხანს მტკიცედ იყო დაცული ეკლესიაში. კვირაძალის გარდა სხვა დღეებში ნათლისღება აკრძალული იყო. მოგვიანებით, ბოლო საუკუნეებში ეს აკრძალვა მოიხსნა. მო-

ნათლულ ბავშვზე ზრუნვის პასუხსიმგებლობა მიმრქმელს ეკისრება. იგი ვალდებულია, შეეწიოს მას სულიერი ცხოვრების გზაზე. ნათლობისას მიმრქმელი თავისი ნათლულის ნაცვლად სამგზის უარყოფს სატანას და მის მზაკვრობას. ამდენად, იგი ვალდებულია იფხიზლოს სულიერად, რათა მართლად წარმართოს ნათლულის სარწმუნოებრივი სვლა მართლმადიდებლობის წიაღში.

მიმრქმელი, საიდუმლოს შემსრულებელ მღვდელთან ერთად, ითვლება ნათლულის სულიერ მშობლად. ამიტომ მას გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება ნათლულის წინაშე.

აუცილებელია, რომ მიმრქმელმაც და ნათელღებულმაც ეკლესიურად იცხოვრონ, რადგან ნათლობით ადამიანი ქრისტეს ეკლესიის წევრი და მისი ნაწილი ხდება. ეკლესიური ცხოვრება ნიშნავს სისტემატურად წირვა-ლოცვის მოსმენას, მარხვას, აღსარებას, ზიარებას, საკუთარი ნების დავიწყებასა და ღვთის ნების ძიებას, აღსრულებას. მხოლოდ ამგვარი ცხოვრებითაა შესაძლებელი იმ მადლის შენარჩუნება, რაც ადამიანს ნათლობის საიდუმლოთი ენიჭება.

„ამით სძლიე!" 1998. გვ. 27 -36.

„ლიკურიელ"-ი || „სირიან-კვირიან"

ორშაბათს, სულების გასტუმრების დღეს, არ მუშაობდნენ უქმე იყო, ლატალში ამ დღეს საქონლის გამრავლებისთვის უქმობდნენ, სხვაგან გარდაცლილი სულების პატივსაცემად. ლატალში ამ დღეს - „ჯრდი ჯამ"-ს ლიკურიელისაც ეძახდნენ. მას აქვს მეორე სახელწოდებაც - „სირიან - კვირიან".

„როცა კარგად გათენდებოდა, სოფლის ახალგაზრდობა შეიკრიბებოდა თავ-თავის სალოცავ ეკლესიაში, აირჩევდნენ მედროშეს (ხელში მისცემდნენ დიდ კეტს თავზე წამოცმული ნაჭრით) და მგმზგრაწლის, ანუ რუჟნი მგყდანის-ს. „რუჟინ" იყო კეტზე წამოცმული პატარა ზარი. სიარულისას იგი მოძრაობდა და მისი ხმით იგებდა მოსახლე მეკურიელ-ის მოსვლას. პროცესია იწყებოდა ეკლესიის ეზოში. იქ კვირიას დაიმღერებდნენ, მარჯვნივ შემოუვლიდნენ ეკლესიას და სოფელში გავიდოდნენ, სოფელსაც მარჯვნივ უვლიდნენ ოჯახში შესვლით. იქ ოჯახს კარგი სუფრა უნდა დაეხვედრებინა. ეს სუფრა მეკურიელთან ერთად მყოფ ბავშვებს თუ მოეწონებოდათ - ოჯახს დალოცავდნენ: მარეგ ქულუმგენე მაგ ჩუ ალფიშრელხიდ, ციც ი შდუგ ქიე აჯხეტახ - ადამიანი და საქონელი გამრავლებულიყავით, კატა და თაგვი ამოგწყდომოდეთ, თუ არ მოეწონებოდათ დასწყევლიდნენ - მარეგ ქულუმგენე ქიე (ამხვეტხიდ) ამკედხიდ - შდუგ ი ციც ჩუ აჯფიშრენახ - კატა და თაგვი გაგმრავლებოდეთ ადამიანი და საქონელი ამოგწყვეტოდეთ. ლიკურიელის შემსრულებლებს მოსახლის წევრები აუცილებლად უნდა გავმურათ რადგან, რწმენით, ოჯახისთვის ეს კარგი იყო - იმ წელს მას უხვი მოსავალი ექნებოდა. ნაჩუქარ სურსათ-სანოვაგეს ბავშვები გიდელში (კიცრრა) აგროვებდნენ და, როდესაც სოფლის მოვლას მოამთავრებდნენ მათ თანაბრად გაინაწილებდნენ ან სადმე სახლში ან ეკლესიასთან საერთო სუფრას გაშლიდნენ და შეექცეოდნენ".

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 ф[2] საქალალდე №736. გვ. 78.
1935 წლის მასალები, ლატალი.

* * *

ლატალში ჯენაშის ახალგაზრდობა „სულების" გასტუმრების შემდეგ ორშაბათ დღეს დილითვე შეიკრიბება თავისი ეკლესიის ეზოში. იტყვიან „ჯგრრაგიშ"-ს და შემდეგ ყველანი ერთად, სამჯერ, შემოუვლიან ეკლესიას სიტყვებით:

- ჯგრრაგ ლითორდურიშ! აკ სოფელისგა ვან ათფიშირ, ფირ ათფიშირ, მერდე - მარე ათფიშირ, დაბ - ლარა ათვეზირ; ლეთშ ნაგრმ, ლადაღეშ ნაჩრმ, მაგ სევინ, მაგ ბარქიან. სირიან-კვირიან!

- ჯგრრაგ ლითოდურისაო! ამ სოფელში ხარი, ძროხა, ადამიანი ამრავლე, ყანა და სათიბი აუმჯობესე (ლივზერი - სიბეჯითე ლგვზერე - ბეჯითი, მუყაითი); ღამით ნაფიქრალი დღისით შექმნილი უხვი (სევიან) და ბარაქიანი გახადე სირიან - კვირიან.

ეკლესიის გარშემოვლისას ამ სიტყვებს (ლოცვას!) ამბობს „მუჟელეტ" (|| მგმზგრაწლი || რუჟნი მგყდანი), ხოლო მისი დამთავრების შემდეგ აქ შეკრებილი ახალგაზრდობა ერთხმად დაუბრუნებს (შესძახებს!) - „სირიან - კვირიან"-ს.

წინ მიმავალს („მუჟელეტ"-ს „თხტმ მეზი"-ს) ხელში უკავია კეტზე წამოცმული პატარა ზარი, რომელიც ეკლესიაში ინახება უხსოვარი დროიდან. ზარს ადრე წითელი ნაჭერი ჰქონდა შემოხვეული და წინ მიუძღვოდა მოდღესასწაულეთა პროცესიას. ამ ზარს ჰქვია „რუჟინ" (-ილ) || „ზანგლაგ || „სამკაწლარ". ლოცვითი მიმართვის დროს მუჟელეტ ზანზალაკს აჟღრიალებს. ეკლესიის გარსშემოვლის შემდეგ მარჯვნივ შემოუვლიან მთელ სოფელს ოჯახ-ოჯახ და ყოველი ოჯახის კარზე ლოცვის (მიმართვის!) იგივე ტექსტს გაიმეორებენ, ოღონდ სოფლის მაგივრად ოჯახს ლოცავენ; - „აკ ქორისგა... (ამ სახლში!)...

დალოცვისთვის ყოველი ოჯახი გამოიტანს გარეთ სუფრას სასმელთან ერთად. აქ შეძლებისდაგვარად მოილხენენ, „ნარჩენებს" გიდელში ჩაიდებენ და სხვა ოჯახში გადავლენ მის დასალოცად.

მოგროვებული სანოვაგით ან ეკლესიის ეზოში დასხდებიან ერთად ან, ვინმეს ოჯახში და

ივახშმებენ. ამ დღეობაში ყოველი ოჯახიდან ერთი წევრი მაინც უნდა იღებდეს მონაწილეობას—მოხუცების გარდა. სოფლის შემოვლის დამთავრების შემდეგ, სულ ბოლოს, ისევ ეკლესიის ეზოში ბრუნდებიან, კვლავ იმღერებენ „ჯგრუნგიშ"-ს და სხვა საგალობლებს საფერხულოსაც კი და მხოლოდ ამის შემდეგ ივახშმებენ. ვახშმობამდე „რუჟინ"-ს შეინახავენ ეკლესიაში—მომდევნო წლისთვის. დღეობა განსაკუთრებული სიმხიარულით ტარდება და მთელი სოფელიც განსაკუთრებული განცდით არის დამუხტული.

მაცხვარიშის თემში მსგავსი დღეობა ტარდება ძვ. სტ. 2 თებერვალს და „ლიგურნაშალის" ეძახიან. მოდღესასწაულენი ცდილობენ მისალოცი ოჯახის გამურვას. მური ქონთან ერთად წასმული აქვთ კეტზე წამოცმულ ნაჭერზე ან ხელზე. მასპინძელიც თავის მხრივ ცდილობს, რომ ვალში არ დარჩეს და გამუროს სხვა. ამ სიტუაციას მრავალი ხუმრობა და სიცილი მოყვება და დღეობაც ორმაგად „საინტერესო"—სადღესასწაულო ხდება. ამბობენ ეს მომენტი საქონლის და მოსავლის „გამამრავლებელიაო".

უწინ ჯგრუნგის მაგივრად კვირიას იმღერებდნენ ეკლესიასთან. დღეს მისი არცოდნის გამო, „ჯგრუნგიშ"-ს იტყვიან. აქ, ეკლესიასთან, სამღერი კვირია სხვანაირია და მიცვალებულთან რომ ამბობენ კვირიას, ის სხვაა. მიცვალებულის კვირია იმღერება მაშინ, როდესაც გარდაცვლილი „ბედნიერია" - მასზე ადრე არც შვილები და არც მეუღლე არ არის მკვდარი.

ლიკურიელის სხვანაირად „ლითრდურისაც" ეძახიან, ხოლო ლითრდურის სახელწოდების დღეობა ტარდება ცხუმარის თემში დიდმარხვის პირველ შაბათს. ლაბსყალდელები დღესასწაულობენ მას ლაბსყალდის ეკლესიასთან. ეს დღე მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი და მათ ეკლესიის ეზოში დასანთებად მიაქვთ „ ლამპრები" - არყის ხის კონები. დღესასწაულობენ საღამო ჟამს".

მიხო დავითის ძე წერედიანი დაბადებული
1905 წელს ლატალი, ჟენაში, 1993 წელი.

ლიკურიელი

ეს დღესასწაული გვჩვევია მხოლოდ ჩვენ, ჟენაშელებს, ანუ იმ გვარებს, ვინც „ჟან" -ის სამწყსოში შედის. იგი იმართება სულების გასტუმრების დღეს - „ჯრდი ჰაშ"-ს. მაცხვარიშელების ლიგვნაშალი სხვანაირია, თუმცა იგი მათ ჩვენგან, ლიკურიელის წეს-ჩვეულებიდან აქვთ გადატანილი. ისინი, მაცხვარიშელები, ლიგვნაშალის დღეს კვირიასთვის ილოცებიან, ჩვენ - ჯგრუნგ ლითრდურისათვის. ისინ იტყვიან შეძახილად - კვირია! კვირია! კვირია! ჩვენ - სირიან - კვირიან! სირიან - კვირიან! სირიან - კვირიან!

ლიკურიელისას დილით ახალგაზრდობა შეიკრიბება ჟანის ეკლესიის ეზოში, „იტყვის" „ჯგრუნგიშს"-ს შემდეგ ერთი ამორჩეული კაცი, ახალგაზრდების უფროსი, კარგი მთქმელი, ზანზალაკის ხელში დამკავებელი (მუჟელრ || „მეგზური" წინამძღოლი) იტყვის საწესო ლოცვას: ჯგრუნგ ლითრდურიშ აკლ სოფელისგა ჯან ი ფირ ათფიშირ, ეჩრ მეჭემ მარე ათფიშირ; დაბ-ლარე ათვეზირ, სგეჟ ათფიშირ, ლათშ ნაგნოვ, ლადალრუშ ნაჩომ, მაგ სევიან, მაგ ბარქიან და სირიან კვირიან-ის შეძახილით ამთავრებინებენ მას ახალგაზრდები ამ საწესო ლოცვას: - ჯგრუნგ ლითრდურისაო, ამ სოფელში ხარი და ძროხა ამრავლე, მისი მიმყოლი (მომვლელი!) კაცი ამრავლე, ყანა და სათიბი აბეჯითე, ძე შვილი ამრავლე, ღამით ნაზრევი, დღისით ნაქნარი - ყველაფერი სვიანი და ბარაქიანი! - სირიან - კვირიან. უფროს ამორჩეულ კაცს ხელში უჭირავს ზანზალაკებიანი (6 ცალი ზარი) ხის ჯვარი. წინ ეს კაცი მიუძღვით, უკან შეკრებილნი მიჰყვებიან და წაღმის წესით შემოუვლიან სოფელს, ანუ თითეულ ოჯახს მიადგებიან ყველანი ერთად. აქ ოჯახის შესასვლელ კარებთან, სახლის ეზოში, ისევ იტყვის უფროსი, ანუ მთქმელი, თავის საწესო ლოცვას მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ამ სოფლის მაგივრად დაიძახებს „ამ ოჯახში" და შემდეგ ისევ ისე გააგრძელებს მის თქმას, როგორც ეს ზემოთ არის აღნიშნული. ძველად წესი იყო ამ წესის შემსრულებელთათვის პურმარილის გამოტანა ოჯახის მიერ. ისინი ამ პურმარილით დღეობასაც ამ ვახშმით დაამთავრებდნენ. ამ მედღეობე გვარებიდან მორიგეობაა შედგენილი: ერთ წელს ერთი გვარი უმასპინძლდება, მეორე—წელს მეორე და ასე შემდეგ. ერთად ყიდულობენ საკლავსაც და სასმელსაც. სხვა სურსათი სურვილის მიხედვით გროვდება.

საღამოს, როდესაც სოფლის შემოვლა დამთავრებულია, კვლავ ავლენ „მეკურიელენი" (წესის შემსრულებელნი!) ჟანის ეკლესიის ეზოში და იქ ეკლესიას საფერხულო საგალობლით მარჯვნივ შემოუვლიან. ეს საგალობელია „დიდებათა". ამით მთავრდება ლიკურიელის წეს-ჩვეულება. შემდეგ იწყება ჩვეულებრივი წესრიგით პურობა, „სადღეობო ტრაპეზი".

ვიტალი ვარლამის ძე ფარჯიანი. 2000 წელი, ჟენაში.

„ხვარსობ"

(სამშაბათის)

„ჯრდი ჰაშ"-ის მერე, სამშაბათს, არის „ხვარსობ". უქმე დღეა. „ხვარს" საქონლის, როგორც წვრილფეხა ისე მსხვილფეხას ავადმყოფობაა: ამ ავადმყოფობის აღსაკვეთად კი ეს დღეა დაწესებული. წესით, „ხვარსობ"-ის დღეს ცხვრებს საჭმელი არ უნდა აჭამო დილიდან საღამომდე - მათი მარხვაა („ღოლიაჭა

ლიტმე“). ჩვენ „ხვარსობ“-ის აღსანიშნავად ქმრის ოჯახში ვიცოდით (გვიჩიანებში!) ლოცვა მურყუმზე (კოშკზე). საღამო ჟამს, ვაცხობდით ყველიან ლესკარ-ს და მას აღვუვლენდით „ხვარსობა ჯგრაშგ“-ს.

– დიდაბ აჯვად ხვარსობა ჯგრაშგ! ხვარს ი მავნებელ ნიშგუეგ მანცინს ი ქულუმგენა ნუმაგვეშ ლაბთოგლე.

– ხვარსობის ჯგრაგო! ხვარსი და მავნებელი არ მიაკარო ჩვენს წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელს!...

ეს საღოცავი პური უწენა იყო. დღეს ამ დღეს არც ჩვენ არ აღვნიშნავთ.

საჯხგ გირგვლიანი – გვიჩიანის.
1995 წ. ლატალი. იფხი.

„ნალტაბურა“

(ხუთშაბათს)

„ჯრდი ჯამ“-ის შემდეგ ხუთშაბათს კვლავ სულების „დღეობაა“. ამ დღეს „ნალტაბურა“ ეწოდება, რადგან ოჯახის ლიფაწალის დროინდელი „სტუმარი“ ყველა უკან ბრუნდებაო („ლიტეხ“ – დაბრუნება – „ნალტაბურა“). ამიტომ ამღამინდელი გარდაცვლილთა სუფრაც—ლეფაწნე, განსაკუთრებული უნდა იყოს. ეკურთხება ხსნილიც და სამარხვოც. სუფრას გაუშლიან საღამო ჟამს, რადგან ისინი ამ დროს სტუმრობენო ოჯახს.

„ჯანგლობ“

(შაბათს)

ნალტაბურას მერე შაბათს ეძახიან „ჯანგლობ“-ს – „ჯანგლობა“—კოჭლ და ხეიბარ ადამიანთა სულების დღეა. ეს სულები შეუძლებლობის გამო მხოლოდ ამ დღეს მოაღწევენო სტუმრად ოჯახში. მათი დანალოცი და ფეხის დანატოვარი ყველაზე მადლიანი არისო და ამიტომ საკურთხი სუფრაც და გამასპინძლებაც განსაკუთრებულად უნდა ჩაატაროს მასპინძელმა. ეკურთხება ხსნილით, საღამო ჟამს. „ჯრდი ჯამის“ მსგავსად მათი გასტუმრება არ ხდება.

მიხო დავითის ძე წერედიანი 1993 წელი.
87 წლის, ლატალი ჟენაში.

„ლაღლჩა მიშლადაღ“

(კვირას)

„ჯანგლობ“-ის (შაბათი) მეორე დღეს კვირას „ყრრ ლიკრაწლ“-ს ეძახიან. მეორე კვირას— „ღაღლჩა მიშლადაღ“-ს. ეს დღე „აკრძალვაა“ ჯგრაშგ უღვლაშ-ის სახელზე.

ჯგრაშგ უღვლაშის ხატი ასვენია ეცერში სოფ. უღვალდში. მისი „ნაწილი“ („მიჩა ნაწილ“) კი ასვენია ლატალში, „სარგშერებ“-ის ფუძე სახლში (გიორგი გირგვლიანის ოჯახში. სარგშერ მათი სამხუბია). ეს წმინდა ნაწილი არის მცირე მოცულობის ზარი, რომელსაც სამალავიდან („გუბანდ“-იდან) ტრადიციულად გამოასვენებენ „განცხდაბ“-ის (ლიფანალის პერიოდში) დღეს—სახლის შინაში.

წინა წელს მასზე გაკეთებულ 4 ცალ სანთელს აანთებენ და მისი დაწვის შემდეგ კვლავ ახალ 4 ცალ სანთელს მიამაგრებენ. ამ სახით მას კვლავ შეინახავენ.

„ღაღლჩ მიშლადაღ“-ის დღიდან (კვირა) მეორე კვირა დღემდე, ანუ ლიმპარის დღეობამდე, წესით, იკრძალება ხორცის ჭამა. მით უმეტეს მათთვის, ვის სახელზეც ხდება აღნიშნულ დღეს ჯგრაშგ უღლაშისათვის მსხვერპლის შეწირვა. მსხვერპლად უნდა შეეწიროს პირველ წელს მამალი, მეორე და მესამე წელს 3-3 ცალი კვერცხი. მამალიც და კვერცხიც სხვისთვის „უწენა“-ლებია. სამი წლის გასვლის შემდეგ ოჯახს ეხსნება ეს წესი – მისი შესრულების აუცილებლობა – და ავადმყოფიც იკურნება ავი ზნისგან. ეს აკრძალვა დღესაც ძალაშია, რადგან ავი ზნე და ავი თვალი ყველასთვის და ყოველთვისაა მოსალოდნელი. შეწირვის „რიტუალი“ საიდუმლოა, ამიტომ მისი სხვისი თვალით ნახვაც დაუშვებელია. ქათმის ბუმბულს ცეცხლში დაწვავენ ან დამარხავენ. სხვა ნაშთებსაც ცეცხლს ან მიწას „მიაბარებენ“.[1]

სახჯგ გირგვლიანი – გვიჩიანის.
1995 წ. 90 წლის, იფხი, ლატალი.

* * *

„ლალჩა“ ღამეს მამალს დაკლავენ. შეეკედრებიან ჯგრაშგ ლალჩა-ს: – შენ გვიშველე, შენ დაგვიცავი ავადმყოფობისაგან!...

ჯგრაშგისთვის ეს საკლავი შეთქმულია. შეუთქვამენ მას მკითხავის რჩევით ავადმყოფის განსაკურნავად. ამ შეთქმულს კი ასრულებენ „ღაღლჩას“. ციებ-ცხელებიან, ავზნიან, ავთვალიან – გათვალულ – ავა-

[1] „ლილჩ“ სიტყვა სიტყვით ნიშნავს დაცვას.

დმყოფის მორჩენას შეეხვეწებიან. მამალს კლავენ ისეთ დროს, როდესაც სოფელში „კაცის ფეხის ხმა“ მიწყნარდება, რათა არავინ გაიგოს არც კაცის ხმა და არც მამლის ყივილი. ვისაც ამ დღისთვის შეთქმული არა აქვს საკლავი, ის ჩვეულებრივ აცხობს ლემზირებს და ილოცება, - ჯგრაბ უღულაშისაო! დაიცავი ავადმყოფობისაგან ჩვენი ოჯახი!

ჯგრაბ უღულაშის ხატის ნაწილზე, რომელიც ჩვენთანაა შენახული, უკეთდება მოკაუჭებული 4 ცალი სანთელი, ჩვეულებრივად სწორი სანთლის მაგივრად. იგი მცირე მოცულობის ხატია და თავზე აქვს მცირე ზანზალაკი.

მარო ფარჯიანი - გირგვლიანის. („სარგშერ“.)
ლატალი, მაცხვარიში. 1995 წ. 70 წლის.

* * *

„ლალჩას, საღამო ჟამს, როდესაც კაცის ფეხის ხმა არ ისმის, ოჯახში დაკლავენ მამალს ან მამალ გოჭს. გოჭს შემოდგომიდან ასუქებენ, ხოლო მამლის ყიდვა წინა დღითაც შეიძლება. ვიდრე მსხვერპლი დაიკვლება, ოჯახის უფროსი მას მიიყვანს აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა ფანჯარასთან. შეალოცებს ჯგრაბ უღულაშიშს, შესთხოვს ჩემს ოჯახს მაზიგი აშორეო. („მაზიგ“ - ავადმყოფობაა). შემდეგ მამალს მიწაზე, ხოლო გოჭს ბანდარზე დაკლავს ისე, რომ მისი სისხლი არ დაიქცეს. მას ჭურჭელში დააგროვებენ და ზისხრარას გააკეთებენ. შემდეგ ყვიჟეს და სამ ლემზირს კვლავ ფანჯარასთან ალავლენენ. მთლიანად დაკლული მსხვერპლი თავისი გულღვიძლითა და ზისხრარათი ლალყაჯია. მათი ჩვენება უცხო პირისთვის არ შეიძლება. „**ტახრე უებიშ**“ ლალჩას მომდევნო პარასკევს მოდის. დილით დაკლავენ ტახს, რომელსაც ეწოდება „ლეჟღულაშ. ტახს შემოდგომიდან აირჩევენ, თოვლი რომ მოვა, შეამწყვდევენ და ასუქებენ. ამავე დროს აუცილებლად შეაჭრიან კუდს. ირჩევენ ზოგჯერ 3-5 წლიან ტახს. ტახრე ვებიშ-ის დღეს ლოცვა არ იციან. მხოლოდ დაკვლის წინ ჯგრაბ უღულაშიშ მიშველეო, ეტყვიან. საკლავის დაკვლისას და გაპუტვის დროს პირს იხვევენ, რომ საკლავი არ ისუნთქონ. ამ მხრივ ფრთხილად უნდა იყვნენ. შაბათ დილამდე არ შეიძლება მისი ხორცის ჭამა. ლალყაჯია: ტახის წინა მარჯვენა ფეხი, „ნენრ“ და მისი ქონი, ყუიჟე, გული და მუჭდილ, (მკერდის ნაჭერი), თხუმ ზისხრარა. სისხლიანი ზისხრარა კი ლალყაჯი არ არის.

* * *

ტახრე ვებიშს ფარჯიანების გვარი ტახს ვერ დაკლავს, რადგან მათ მეისარაბის გოჭის შეწირვამდე ტახის დაკვლა არ შეუძლიათ. მეისარაბ დღეს ყველაფერს დაწმენდენ, დაასუფთავებენ და შემდეგ „ლეჟღულაშს“ დაკლავენ და იტყვიან: - ჯგრაბ უღულაშიშ დიდაბ აჯჯად, მაჟთა, მაზიგ ნრსა ლანთგლე ი ენენგ მგლჩე - მგდრეყიდ.

ტახრე უებიშის წინა კვირას (იგულისხმება „ლალჩა“ ნ. წ.) ჯგრაბგი დაუძახებს „ლეჟღულაშს“ - დღეის სწორს ჩემს სახელზე დაიკვლებიო. ამას რომ შეიტყობს ტახი, მთელი კვირის განმავლობაში მეტად ცუდ გუნებაზეა.

ლალჩას ზვარაკს შეჭამენ და ჯაგარს ცეცხლში დაწვავენ. საერთოდ, ამ ღამეს ოჯახისათვის გარეშე პირის დასწრება არ შეიძლება. ოჯახის წევრთაგანაც დაესწრება ის პირი, რომელიც ზომხას ოჯახში პურის დაცხობას დაესწრო.

სოფ. ჟენაშში ახლად მოყვანილი რძალი მაშინ დაიშვება, თუ ის ორ ზუმხას ქმრის ოჯახში შეხვდა. თუ ამ წესს არ დაიცავენ, მათ იმ წელს საქონელი ამოუწყდებათ და ავად გახდებიან. „ლალჩა“-დან მოყოლებული „მეჟსარაბამდე“ ღორის და ქათმის ხორცის და კვერცხის ჭამა არ შეიძლება“.

ვ. ბარდაველიძე, საქაღალდე №676. გვ. 9-12.
მთხ. გ. გირგვლიანი, 1935 წ. მაცხვარიში.
ქვერიჯა ფარჯიანი ჟენაში.

* * *

„ლალჩახანქა ლიმპარიდ ეშხუ ნაგზი ხარზი“ - ლალჩა-ს დღიდან ლიმპარის დღემდე ერთი კვირის შუალედია.

ყოველთვის ლალჩას შემდეგი პარასკევი „ტახრე ვებიშ“-ის დღეა. შაბათი - „მეჟსარაბის და კვირა - „ლიმპარის“

საჯხგ გირგვლიანი, იფხი, 1995 წ.

„ქრინი ლამპრობ“ || „სრიმნიშ“

1 (14) თებერვალი

ყოველთვის ძვ. სტ. 1 თებერვალს უნდა აღინიშნოს „ქრინი ლამპრობ“ - სულთა ლამპრობა, ანუ ლამპრობა სულთათვის, რომელსაც გააჩნია მეორე სახელწოდებაც - სრიმნიშ.

რამდენადაც „აღბა მაზნა“ ცვალებადია, იმდენად შეუძლებელია ამ და სხვა ლამპრობის დღეობის დღეთა განსაზღვრა. მისი აღნიშვნა რიცხვს მისდევს. (ე. ი. რიცხვით მყარი დღესასწაულია), ხოლო დღეთა მიხედვით იგი ხორციელის ან პირველ, ან მეორე კვირაში ხვდება. ხალხი ამ დროს ერთ დღეობასაც აღნიშნავს და მეორესაც. მაგ. 1996 წელს სრიმნიშ დაემთხვა ხორციელის მეორე კვირის დღეობებს. კერძოდ - სვიმნიშ დაემთხვა „ხოლა ჯგმაშ“-ს, „ღერთა ლამპრობ“ - „ლიმქგლდის“ დღეობას, დეცე ლამპრობ - „ხოლა ვბიშს“.

უწინ ლიფანალისას თურმე ცოცხალი ადამიანი ხედავდა თავის სტუმრებს - „ქუნარს“. ერთ ქალს, მათი წასვლისას „ჯრდი ჰამ“-ს ვერ მოუთმენია და ხელი მოუკიდია თავისი მკვდარი შვილისთვის, რომ არ წასულიყო სახლიდან. შვილის სახე იმწამსვე გამქრალა. საცოდავ ქალს მყისვე ლამპარი აუღია ხელში, დაუნთია და ძებნა დაუწყია. ღმერთს უთქვამს: ამიერიდან მკვდრების სახეს ვერ დაინახავთო და ყოველი წლის ამ დღეს მათთვის ლამპარი გექნებათ ასანთებიო. ასე დაწესებულა „სვიმნობ“-იც || „ქრინი ლამპრობ“. საღამო ჟამს, როდესაც სიბნელე შემოიპარება, ყველას, მით უმეტეს ახალი გარდაცვლილის პატრონებს, სასაფლაოებისაკენ ანთებული ლამპრები მიაქვთ. თან წაიღებენ პურებს და არაყს - შესანდობად.

განუმეორებელი სილამაზისაა ეს ღამე. მთვარიან ღამეში ლამპრებით განათებული ეკლესიები საუკუნო იდუმალებას გადმოგვცემენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამ დღეობით წუთისოფელი მარადიულობას ხვდება, ორი სხვადასხვა ქვეყნის—საიქიოსი და საქაოს ერთმანეთში გარდასახვის მომენტი ჩნდება.

„ღერთა ლამპრობ“ „ლიგვნაშალი“

2 (15) თებერვალი

„ღერთა ლამპრობ“ ღმერთთა სათაყვანებლად ანთებული ლამპრის ეკლესიაში „აღვლენის“ ჩვეულებაა. ჟაჭვერა - არყის ხე რომლისგანაც ლამპარია გაკეთებული, წმინდა ხეა. იგი იგივე სანთელია, ოღონდ დიდი სანთელი წმინდა ხისგან წმინდად გაკეთებული. ასეთი „სანთლის“ სიდიდე ღვთის, სულისა და ცისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების სიმბოლოა. ღერთა ლამპრებს ზოგი ეკლესიის ეზოში დაანთებს ერთ დიდ კოცონად, ზოგიც საკუთარ ეზოში.

ესტატე გირგვლიანი, მაცხვარიში 1994 წელი.
ლატალი.

* * *

მაცხვარიშის თემში ამ დღეს „ლიგვანაშალია“ ეს დღე მათ შეთქმული აქვთ ზვავის საწინააღმდეგოდ. ილოცებიან ჯგრანგის სახელზე. ოჯახიდან ქუდის დამხურავის რაოდენობით გააქვთ ეკლესიის ეზოში ლამპრები იგივე „ჟინჟილილ“ დახ. 50-70 სმ სიგრძის. მისი ერთი ბოლო დაკეპილია - „ლგშრგლე“ - ცეცხლის უკეთ წასაკიდებლად, მეორე მხარე კი—არა, რადგან ხელის მოსაკიდებელია იგი. მოდღესასწაულენი, შეკრებილნი ეკლესიის ეზოში „იტყვიან“ - „ჯგგრანგიშს“. ლოცვის რიტუალის დამთავრების შემდეგ შეკრებილთ გამოეყოფიან ახალგაზრდები და „სირიან - კურიან“-ის ნაირად მარჯვნივ შემოუვლიან სოფელს (მაცხვარიშს). თითოეულ ოჯახს დალოცავენ და ბოლოს კვლავ ეკლესიის ეზოში მოგროვდებიან. აქ კვლავ იმღერებენ „ჯგგრანგიშს“, სიმღერითვე შემოუვლიან ეკლესიას და, მთელი დღით კმაყოფილები, დაიშლებიან.

რიტუალის მონაწილეთ „მეკურიელა“ ჰქვიათ. სოფლის შემოვლისას თვითეულ მათგანს ხელში უჭირავს „ჟინჟილილ“ და ამ დღისთვის სპეციალურად გამზადებული ჭვარტლსა და ღორის ქონში ამოვლებული ტილოები. ოჯახის კარებთან მყოფი „მეკურიელენი“ სამჯერ დაიძახებენ: ზავემ ჯაჩეჩ, ზავემ ჯაჩეჩ, ზავემ ჯაჩეჩ. (აქედანაა სახელწოდება „ლიჩაჩხიელ“). მეკურიელის უპირველესი მიზანია ოჯახის რომელიმე პირის გამურვა. იმ ოჯახის, წევრი, რომლისგანაც „მეკურიელი“ არ ჰყავთ, ცდილობენ რაც შეიძლება მეტად გამურონ. ამ თემში (მაცხვარიშში) მოხვედრილ და მათ ჩვეულებას შემთხვევით გადაყრილს ხომ „განსაკუთრებული“ ყურადღებით უმასპინძლდებიან. ლიჩაჩხიელის პროცესს იმდენი სიცილი და მხიარულება მოჰყვება ხოლმე, რომ მთელი წლის მანძილზე ყოფნით მოსაგონებლად. რწმენით, რამდენადაც მეტს გაიმურებოდა ოჯახი ან მისი წევრი, მით მეტი მოსავალი, საქონელი, ადამიანის ჯანმრთელობა და სიუხვე ექნებოდათ. გასამური ტილო, თავის მხრივ, მასპინძელსაც ჰქონდა მომზადებული, რაც სიმბოლურად ერთმანეთისადმი სიუხვის და სიმრავლის „მიცემა-მინიჭების“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ბაგრატ ტარასის ძე ნანსყანი,
ახალშენი, ლატალი. 1994 წელი.

ლიგვანაშვილი

ყოველთვის აღინიშნება 15 თებერვალს (ძვ. სტილით 2 თებერვალს). ეს დღეობა მხოლოდ მაცხვარიშელებისაა. ისინი დილით შეიკრიბებიან მაცხვარიშის ეკლესიის ეზოში. თან მოაქვთ ცალი ლამპარი - „ჟინჟღილ". ლამპარი არყის ხისგანაა გაკეთებული და შემდეგ ის მოგრძო კეტზეა დამაგრებული. ლამპრები ანთებული მიაქვთ ეკლესიის ეზოში. აქ, ამ ანთებული ლამპრებით ხელში, პირველად იგალობებენ საგალობელს „ლაშმზგრიაშ"-ს იგივე „კვირია"-ს და შემდეგ „ჯგრაგიშ"-ს. ამის შემდეგ წაღმის წესით შემოსავლელად გაემართებიან სოფლისაკენ. ოჯახს როცა მიადგებიან, ირგვლივ შემოუვლიან მასაც ანთებული ლამპარებით და შესასვლელ კართან მისულები, ყველანი ერთად შესძახებენ: ზავემ ჯაჩეჩხ! ზავემ ჯაჩეჩხ! ზავემ ჯაჩეჩხ! - წელიწადმა მოგახვავაო. ანთებულ ლამპრებს შეძახებისას კარებისაკენ მიმართავენ ისე, თითქოს ხვავს და ბარაქას უყრიდნენ კარებში. ნახევარ სოფელს როცა შემოუვლიან, დასხდებიან სადილად სოფელ ნამყვამ-ში (სოზარ გირგვლიანის ოჯახში!) აქ პურობისას ჯგრაგისს ისევ იტყვიან და შემდეგ კვლავ გააგრძელებენ თავიანთ სადღეობო მისიას. როცა სულ მორჩებიან, ავლენ კვლავ მაცხვარიშის ეკლესიაში და იქ იმღერებენ მხოლოდ „ლაშმზრიაშ"-ს. აქედან ჩამოსულები მაცხვარიშის სიფში გამართავენ ლხინს და დაიმღერებენ „ჯგრაგიშს", შემდეგ რაც კი რამ მოესურვებათ. სიფში ქეიფისას „ლაშმზრიაშ" არ იმღერება. ქეიფი იწყება პირველი სამი ჭიქით დიდი ღმერთების სადღეგრძელოთი, მესამე, ჯგრაგის სახსენებელ საწესო სადღეგრძელოზე, იმღერებენ ჯგრაგიშს, სხვა დროს არა. (მენსმაშ ჭიქონ ჯგრაგიშ-ს ტულიხ!).

ამრიგად, ამ დღის საწესო საგალობლებია: ლამზგრიაშ და ჯგრაგიშ დილით, ეკლესიის ეზოში საღამოს ეკლესიის ეზოში ითქმის ლამზგრიაშ ხოლო, გგრაგიშ - ქეიფისას მაცხვარიშის სიფში—ჯგრაგის სახსენებელ საწესო სადღეგრძელოზე. ლაშმზგრიაშ, ანუ კვირია ამ ქეიფისას (საღამოს) არ იგალობება.

ეს კვირია სხვაა და ის კვირია სხვა გარდაცვლილის წესის აგებისას რომ დაიმღერებენ. ამ კვირიაში იხსენება ზედაშიც, სეფისკვერიც, მათი შეწირვით შველა ღვთის მიერ; (ლაშმზგრიაშ || კვირიაა).

- ო, დიდება ვივა!

შე-ი-ვა, ზე-ი-და შივა.

შე-ი-ვო, სეფსკუერივა

ჟ-ი-ვა მნგ-ივა, ლოგუშედა!...

დაახლოებით ასეთია მისი სიტყვები.

ჯგრაგიშის: ლაგვივიშედა. ჰაი, ჰოი, ჰუი... და ხდება ამ შეძახილის გათამაშება და ბოლოს დიდაბ აჯვაბ, ჯგრაგს სი ლაგუშედაიო!

„ლამზერიაშ" || საგალობელი კვირია ახლა სოფელში მხოლოდ სოზარმა და შალვა გირგვლიანებმა იციან.

ვიტალი ფარჯიანი, 2000 წელი.

მირქმა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

2 (15) თებერვალი.

მიგებება (მირქმა) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი ერთ-ერთია ათორმეტი დიდი ქრისტიანული დღესასწაულიდან, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია 2 (15) თებერვალს ზეიმობს.

ამ დღესასწაულით ეკლესია იხსენიებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ჩვენი უფლის - იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებიდან. შობიდან მეორმოცე დღეს ყრმა იესო იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. მოსეს სჯულის მიხედვით, როცა დედაკაცი მამრობითი სქესის ყრმას შობდა, ორმოცი დღის შემდეგ უფლება ჰქონდა ღმრთის ტაძარში შესვლისა. საშოს გამხსნელი ყოველი შვილი უფლის წმინდად ითვლებოდა და ოჯახი ასეთ შემთხვევაში ვალდებული იყო შესაწირი მიერთმია ღვთისთვის. ღარიბი ოჯახისთვის ორი გვრიტი იყო დადგენილი ან მტრედის ორი ხუნდი.

ღვთისმშობელმა მარიამმა და მართალმა იოსებმა უფალს სამადლობელი და განსაწმენდი მსხვერპლი შესწირეს, კერძოდ ორი ხუნდი მტრედისა. თუმცა ყოვლადწმიდა ქალწულს - დედას ღვთისას არ სჭირდებოდა განწმენდა, რადგან ქორწინების გამოუცდელად შვა მან წყაროო სიწმინდისა, მაგრამ თავისი ღრმა სიმდაბლით რჯულის განწესებას მაინც დაემორჩილა. იმ ხანებში იერუსალიმში ცხოვრობდა მართალი მოხუცი სვიმონი. გადმოცემის მიხედვით, იგი იყო ერთ-ერთი სამოცდაათთაგანი, რომლებიც ძველი აღთქმის წიგნებს ებრაულიდან ბერძნულად თარგმნიდნენ. სვიმონი თარგმნისას დაეჭვდა ესაია წინასწარმეტყველის იმ სიტყვებმა, რომელიც აუწყებდა, რომ მაცხოვარი ქალწულისგან იშვებოდა. სვიმონმა ჩათვალა რომ სიტყვა „ქალწული" შეცდომით ეწერა და მოინდრმა მისი შეცვლა „ქალით", მაგრამ ამ დროს ღმერთმა მას ანგელოზის პირით აუწყა, რომ მანამ არ აღესრულებოდა, სანამ ქალწულისგან შობილ ქრისტეს საკუთარი თვალით არ ნახავდა. მართალი სვიმონიც სასოებით მოელოდა აღთქმული მესიის მოსვლას.

ღვთის ჩაგონებით, მოხუცი ტაძარში იმ დროს მივიდა, როცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა და მართალმა იოსებმა ყრმა იესო მიიყვანეს, რათა რჯულით დადგენილი წეს-ჩვეულება აღესრულებინათ. სვიმონმა ხელში აიყვანა ღვთაებრივი ყრმა, აკურთხა ღმერთი და წინასწარმეტყველური სიტყვები წარმოსთქვა ქვეყნის მაცხოვარზე...

იმ დროს ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის ქვრივი დედაკაცი ანნა წინასწარმეტყველი, რომელიც ტაძარს არ შორდებოდა და დღედაღამ მარხვითა და ლოცვით ემსახურებოდა ღმერთს. მართალი სვიმონი და ანნა წინასწარმეტყველი ღირს იქმნენ იერუსალიმის ტაძარში მიგებებოდნენ კაცობრიობის მსხვერპლს.

ქრისტეს შობამდე ყოველი მართალი მამაკაცი და დედაკაცი ქვეყნის მომავალი მაცხოვრის—მესიის რწმენით ცხოვრობდა და სასოებით მოელოდა მის მოსვლას (შემდგომში იუდეველთა ნაწილმა დაკარგა მესიის ჭეშმარიტი გაგება. მათ გაამიწიერეს ეს ცნება. მესია გააიგივეს ხორციელ მეფესთან, რომელიც ამქვეყნიურ დიდებას მოუტანდა ისრაელს და პოლიტიკურად და ეკონომიურად გააბატონებდა მას მთელს მსოფლიოზე. ამგვარი მსოფლხედვისა და შეგნების ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ იუდაველთა უმრავლესობამ ვერ იცნო ჭეშმარიტი მესია—იესო ქრისტე, რომელიც მიწიერ ხელისუფლებას კი არა, ცათა სასუფეველს ქადაგებდა.)

ღვთის მიგებების (მირქმის) დღესასწაული ქრისტიანული ეკლესიის უძველეს დღესასწაულებს განეკუთვნება. მაგრამ მიუხედავად ადრეული წარმოშობისა, იგი VI საუკუნეზე ადრე არ აღინიშნებოდა.

მიგებების დღესასწაული არის ზეიმი ადამიანის მიგებებისა, შეხვედრისა უფალთან—იესო ქრისტესთან. ეს დღესასწაული გვასწავლის, რომ ვინც რჯულის მიხედვით ცხოვრობს, მის მოთმინებასა და სასოებას უფალი აუცილებლად სიხარულს, მშვიდობასა და ბედნიერებას მიაგებს.

„ამით სძლიე!“ 1998. გვ. 37-40.

„დეცე ლამპრობ“

3 (16) თებერვალი

ძველი სტილით 3 თებერვალს „დეცე ლამპრობ“-ის დღეა. გადმოცემით ეს დღე იმიტომ დაწესებულა, რომ ცის სარტყლის („ცისარტყელის“) სანახავად ერთი კაცი ანთებული ლამპრით მიდიოდა თურმე. ამის შემხედვარე ღმერთს უთქვამს: ამიერიდან ლამპარი გექნებათ ასანთები ცისთვისო. „დეცე ლამპრობის“ აღსანიშნავად ისევ გააქვთ ლამპარი ეზოში და დიდი სიგრძის ჯოხზე წამოცმულს დაამაგრებენ მიწაზე. ამ დღეს არ ილოცებიან. ხოლო „ღერთა ლამპრობის“ დღეს ლემზირებს უცხობენ „სენდუკ დეცეშს“ (დიდი ღმერთი), შესთხოვდნენ მას თვალების ჯანმრთელობას, მამაკაცის სვეს და ძალას (ლვაკმარენმი სეს ი ჯაშშა).

საღვთოდ ანთებული სანთელი არ შეიწირება იმ შემთხვევაში თუ მას თეთრი ფერის ქსოვილი არა აქვს ჩატანებული. ღმერთი არ მიიღებს ქალის ლოცვას იმ შემთხვევაში, თუ იგი ფეხზე დგას - დაჩოქილი უნდა იყოს და მანდილი უნდა ეხუროს. მამაკაცს კი ლოცვისას წელზე სარტყელი უნდა ერტყას ქუდი არ ეხუროს. მთხრ. ესტ. გირგვლიანი. 1994 წ. მაცხვარიში

* * *

მთელს სვანეთს „დეცე ლამპრობ“ დანიშნული გვაქვს მუნისა და წითელას საწინააღმდეგოდ (ბუგურირხან ი წითლაჟხან გეჯრ მთელ შანს დეცე ლამპრობ ნაღულაჟ“)

სახჯგ გირგვლიანი იფხი.

„ტაბრე ვებიშ“

(პარასკევს)

ყოველთვის „ლალჩა“-ს შემდეგ პარასკევს არის „ტაბრე ვებიშ“. ამ დღისთვის საგანგებოდ გასუქებულ მამალ ღორს (ტახ-ს) ეძახიან „ლეღლაბ“-ს, რადგან იგი „ალბიერ“-ში „თხუმ ალაბ“-ს იკვლება. „ალბიერ“ არის პერიოდი, რომელშიც ერთიანდება ხორციელის ორი კვირა და ყველიერის ერთი კვირა, ე. ი. იგი 3 კვირას გრძელდება. „ტაბრე ვებიშ“ კი არის „ალბა მაზნა“-ს ბოლო დღე. „ალბა მაზნა“-ს ეძახიან პერიოდს „ქრისტეშიდან მეისარაბამდე“ - ქრისტეშობის დღიდან მეისარაბიმდე. „მეღსარაბ“ კი „ტაბრე ვებიშის“ მეორე დღეა - შაბათი დღე.

პარასკევს („ტაბრე ვებიშ“) ყოველ ოჯახში იკვლებოდა მხოლოდ „ლეღლაბი“ (შეძლებისდაგვარად ამ წესს დღესაც ასრულებენ!). ლოცვა ამ დღეს არ წარმოებს. ლეღლაბის მსხვერპლად შეწირვის დროს აღნიშნავენ, რომ ეს არის ზვარაკი „შენი ჯგრაბგ უღულაში“-საო, ტახს ყელთან ლამპრით შეუტრუსავენ ჯაგარს, შენატრუსს დანით გადაფხეკენ კარგად და დაკლავენ მიმართვით - ჯგრაბგ უღულაშიშ ათასი დამაკვლევინე მშვიდობიან და კარგ დროზე სახლის სიკეთისათვის და საუკეთესოდ მიგვიჩნია დღევანდელი ჩვენი შენდამი ზვარაკის შეწირვა. („ლაჟსა“). ამ დროს არც სანთელია ანთებული, არც საკმეველი (ნატუსუნ) და არც ლემზირები. როგორც ითქვა, ლიმზირი არ შეიძლება. ამ დღეს ლეღლაბის ხორცის ჭამაც იკრძალება. აუცილებელია ზისხორების გაკეთება. ამბობენ „ტაბრე ტებიშიც“ და „მეღსარაბიც“ მთელი სვანეთისათვის არისო „დაკანონებული“ - „ნაღრულაჟ“ - შავი ჭირისგან დასაცავად!

მეახარაბ—ტაბრე ტებიშის მეორე დღეს მოდის—დილით ადრე, მზის ამოსვლამდე, გამოაცხობენ ლემზირებს, ქონიანებს (კუბდარს). ამ დღეს არყის ქონა სავალდებულო არ არის (ჩანს, ზედაშე იგულისხმება. ნ. წ.). ოჯახის უფროსი აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელთან მიიტანს ნატუსუნს ყუიჟს, ლემზირს და დაილოცება. ხატის ჯგრაშგ უღულაშის სახელზე იკვლება მუდამ ტახები და მამლები. ამ ხატმა ჭკუაზე შეშლა და სიცხის მიცემა იცისო. ლოცვის შემდეგ ოჯახის ლალყაჯს შეჭამენ. ამ დღეს შეიძლება სახლის ასაგებად სილის მოტანა, სხვა საქმინობა არ იციან. მეისარაბიდან იწყება ალბიერ. (გვ. 13. მთხრ. გ. გირგვლიანი).

მეისარაბ დღეს ნუაშერები ღამით, როდესაც ფეხის ხმა მიწყდება, დაკლავენ გოჭს და იმის შეჭმა ოჯახის მხოლოდ იმ წევრებს შეუძლიათ, რომლებიც ოჯახში ორი წლის განმავლობაში ესწრებიან შეშხუამს. ამიტომ ახალი პატარძლები აქედან სრულიად გამორიცხულები არიან. ამ გოჭის ყველა ნაწილი, ჯაგარიც და ძვლებიც, დილამდე უნდა გააქრონ, დაწვან ცეცხლში, ჩაფლან მიწაში ან სხვა რამ უყონ. თუ ჩვეულებრივი წესი დაირღვა, მაშინ მათი წარმოდგენით, ყველას, ოჯახის წევრებს, მთელი წლის განმავლობაში გამოულეველი სიცხე ექნება.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 $ф^2$ საქალალდე №676.
გვ. 16 შაუხან ფარჯიანი.

„მეახარაბ"

(შაბათს)

„ტაბრე ვებიშ"-ის შემდეგ თენდება „მეისარაბ"-ის დღე. დილით, ძალიან ადრე. ოჯახის დიასახლისი და უფროსი მამაკაცი შეუდგებიან საწესო რიტუალის შესრულებას; დიასახლისი იწყებს ლემზირების დაცხობას, ოჯახის უფროსი უწენალების შეწვას. უწენა ლატალის საზოგადოების სხვადასხვა გვარში და შესაძლებელია გვარის სხვადასხვა ოჯახშიც სხვადასხვა შემადგენლობისა იყოს. მაგალითად, „ფეჩაკარ"-ების (წერედიანების გვარი) უწენაში (მეისარაბის დღის!) შედის: ზისხარა (ტაბრე ვებიშის დღეს დამზადებული), 3 ცალი გადაბრუნებული პური - ზემოთ ცერა თითის ნაჩვრეტით (შუაში), 6 ცალი ლემზირის ტოლი ხაჭაპური (წესით ეს ხაჭაპურები ან უნდა იყოს 3, ან 6, ან 9) ყბის მარჯვენა მხრის ნაჭერი (კაპრაკ ნაქვიც), მკერდის ნაჭერი (მუჭდილ), ნაწლავების ნაჭერი (ნაწლავრე ნაქვიც), ღვიძლის, (ყვიჟე), გულის (გუი), ფილტვის (პერშდა) ნაჭრები და წინა მარჯვენა ფეხი. ესენი ყველა ერთად, ზისხარას გრდა, ოჯახის უფროსმა უნდა ააცვას შამფურზე და შეწვას ნაკვერჩხალზე. ისინი ჯერ უნდა აღუვლინონ „ჯგრაშგ უღულაშიშ-ს და შემდეგ ზისხარასთან ერთად უნდა უკურთხო გარდაცვლილებს, მხოლოდ ესენი და არა სხვა რამ, ე. ი. გარდაცვლილებს ამ დღეს მხოლოდ უწენალები ეკუთვნით. უწენა სხვის უნახავად უნდა მიირთვან („უწენალე ლითფე"), რასაც ვერ შეჭამენ, ძაღლს გადაუგდებენ ან მეორე დღისთვის შეინახავენ.

უწენალების ეს შემადგენლობა უხსოვარი დროიდან - ადადან და ბაბადან - მოგვდევს, რადგან იგი „ნაღულად" არის, პირველ რიგში, სოფლისთვის შემდეგ ყველა გვარისა და ოჯახისთვის. წესის გადახვევა, ე. ი. „უწენას" ნაწილების დავიწყება ძალზე არასასურველია, მაგრამ რატომ, ეს უკვე არ ვიცით. რჩება მხოლოდ ერთი გზა: უნდა იცოდე შენი ოჯახისთვის „ლედღაბის" რომელი ნაწილია უწენა და იგი უნდა გადასცე მემკვიდრეობით. ღორის ყველა ნაწილი არ შეელოცება და არ შეეწირება (მაშმ იმზგრი მაგ. ზისხარა), ამიტომ აუცილებელია წესის ზუსტად ცოდნა. უწენა სხვადასხვა გვარისთვის სხვადასხვაა, მაგრამ არც ეს ვიცით რატომ.

მიხო წერედიანი 1992 წ.
დაბ. 1905 წელს ლატალი ჟენაში.

* * *

ჩვენ, გვიჩიანებს უწენად გვქონდა ღორის „ღვესეს" კუბდარი (ღვესე - ბადე ქონი - შემოხვეული აქვს ელენთას - ნგნარ. მხოლოდ ეს ღვესე იხმარებოდა უწენასთვის), ყბა (კაპრაკ), „თხერემ ზისხარა" (სწორი ნაწლავის ზისხარა), ნგნარ (ელენთა), ლერსგვენ ჭიშხ - მარჯვენა ფეხი, ყვიჟე ა გუი - ღვიძლი და გული.

მამისეულ სახლში (გირგვლიანები - გუაკარ) უწენა იყო ღვესეს კუბდარი და ელენთა (ნგნარ).

სახჯგ გირგვლიანი გვიჩიანის 1995 წ.
ლატალი, იფხი.

* * *

„ოტაშერებს" (ნანსყანების გვარი) მთელი ღორი - ლედღაბი - ისე უნდა დაეკლათ, გაესუფთავებინათ და შეეჭამათ, რომ კაციშვილს არ გაეგო არაფერი. ლედღაბის ქონისგან გაკეთებული საპონიც კი სხვისთვის არ უნდა დაენახვებინათ. ჯაგარი დაეწვათ. ფარჯიანებსაც (ნუაშერ) იგივე წესი ჰქონდათ.

მიხო წერედიანი 1993 წ.
ლატალი, ჟენაში.

მეისარაბ-ს ცხვება ასევე კუბდარები, იხარშება ღორის ხორცი და ქეიფით მთავრდება აღნიშნული დღე. სხვა საწესო ქმედება მისთვის არ არის დამახასიათებელი.

„ლიმპარი“
(კვირას)

„ლიმპარი“ მეფესარეების მომდევნო დღეა (კვირა). ბალს ქვემო სვანეთში მას „ლიჩედურალ“-ს ეძახიან. ლიმპარის დღე ყოველთვის კვირა დღეა - კვირიაკე. ლიმპარი ყოველთვის არის „ლალჩას“ მომდევნო კვირიაკე და ლალჩა ყოველთვის არის „ჯრდი ჰამ“-ის მომდევნო მეორე კვირიაკე. ამ თანმიმდევრობით ხდებოდა მამაკაცთა საუკეთესო დღესასწაულის ათვლა და გაანგარიშება.

საერთოდ მლოცველს უნდა ახსოვდეს, რომ „ლეფლიბ“-ის კუბდარი აღევლინება მხოლოდ ოთხ წმინდანს ესენია: „მეზრა თარინგზელ“ (ეკლესია მისი სახელობის მეზირის მთის თავზეა ბეჩოში) „ბარბალ - მგხერ თარინგზელ“ (მისი სახელობის ეკლესია ლატალშია მგხერის მთაზე), „თანღი თარინგზელ“ (მისი სახელობის ეკლესია ლატალშია სოფ. ლახუშდის მთაზე) და „ჯგრაგ ულელაშიშ“-ს (ეკლესია მისი ეკერეშია სოფ. ულელდში). სასურველია ეს წესი იცოდეს არა მარტო მლოცველმა, არამედ უკლებლივ ყველამ, რათა ლოცვა და შესაწირის შეწირვაც შედეგიანი იყოს. არამც და არამც არ შეეწირება „ლეფლიბის კუბდარი“ ლემზირით „ხოშა ღერბეთს“, „მგქემ თარინგზელს“, ჯგრაგს, ლამარიას, ჟანს და ბარბოლს.

ლიმპარი მამაკაცების დღეობაა. მათთვის ტარდება ამ დღის შესაწირავებით ლოცვა-ვედრება. სურვილისმიხედვით იკვლება შესაწირი ზვარაკი - ცხვარი, ხბო, ხშირად ხარიც! მათი არჩევა ოჯახის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ზვარაკი შეეწირება იმდაგვარად, როგორც ეს დიდი დღეობებისას ხდება: მიიყვანენ სალოცავ სარკმელთან, აანთებენ სანთელს, მისით შუბლზე, მარჯვენა მხარზე ბალანს შეუტრუსავენ, შესთხოვენ ჯგრაგს ამ შესაწირის მიღებას და სურვილის ასრულებას. საკლავს მარჯვნივ შეატრიალებენ და დაკლავენ. იმ დროს, როდესაც მამაკაცები ზვარაკის შეწირვით არიან დაკავებული, დიასახლისი „ტაბლგბის“ მზადებაშია გართული. მერბიელი ამ დღისთვის სალოცავად ამზადებს სამი სახის „ტაბგლს“. „ეს არის ხოშა ღერბეთის ტაბგლ“, „ჯგრაგის ტაბგლ“, „მგქემ თარინგზელის ტაბგლ“ პირველად მზადდება (ცხვება!) ხოშა ღერბეთის. მასში შედის: 1 ცალი მუჟელტ, 4 ცალი სეფსკტერ, (მრგვალი ფორმის, სამლემზირიანი და ზემოდან ცერა თითით გაკეთებული ოთხი ნაჭდევი), 1 ცალი მუსვალდ-ი (მთვარის ფორმის სამლემზირიანი) და ექვსი ცალი პატარა ლემზირი. სულ 12 ცალი სალოცავი პური.

ამის შემდეგ ცხვება მგქემ თარინგზელის ტაბგლი და იგი მხოლოდ 1 ცალი ლემზირია - მცირე მოცულობის „ლესკარ“ - გადაბრუნებული, სამლემზირიანი პური.

ბოლოს ჯგრაგის ტაბგლი. იგი ან ხოშა ღერბეთისნაირია ან 9, ან 12 ცალი „კუთხ ლემზირები“ - ჩვეულებრივი სახის სამლემზირიანი ლემზირები.

ლოცვისას ზვარაკის გულ-ღვიძლი აღევლინება ხოშა ღერბეთს. მასთან ერთად ზედაშე და თავისი კუთვნილი ტაბგლი. შემდეგ, შესაწირი აღევლინება მგქემ თარინგზელს და ეს არის მისი სახელობის ტაბგლი და ბოლოს, ჯგრაგს აღევლინება თავისი სახელობის ტაბგლი ზედაშესთან ერთად. თუკი ზვარაკი ჯგრაგის სახელზე იკვლება და არა ხოშა ღერბეთის, მისი გულ-ღვიძლი ჯგრაგისთვისაა აღსავლენი და არა ხოშა ღერბეთისთვის.

მამაკაცი ლოცვისას ქუდმოხდილია, ფეხზე მდგარი, ხელები შესაწირით მაღლა აქვს აპყრობილი, ერთ ხელში ლემზირები, მეორეში—ზედაშე, ან თუ ზედაშე არ აქვს, ორივე ხელით უკავია შესალოცი. დგას სალოცავ სარკმელთან, სანთელი ანთებულია და საკმეველი დაკმეული ნაკვერჩხალზე. მის უკან ფეხმორთხმით, მანდილიანი დედაკაცი ევედრება უფალს იმასვე, რასაც მლოცველი მამაკაცი. საევედრებელი ამ დღისა მხოლოდ მამაკაცების სიმრავლე, ჯანი, სიმრთელე, ბედნიერება, სვე და დიდი ხნის სიცოცხლეა („სგეფ შიდბახან ი ნაშდებიხან“).

შინ ლოცვის დამთავრების შემდეგ მამაკაცებს სათითაოდ გააქვთ არყის ხის კონები - „ლამპარალ“ ეკლესიის ეზოში. ლამპრები „ადგომ“-ის დღეს არიან გამზადებული. სასურველია ეს კონები ძალზე გამხმარი იყოს, რათა ლამპარს კარგად წაეკიდოს ცეცხლი (კარგად აინთოს!). ცეცხლს ლამპარს კერაში წაუკიდებენ და ასე ანთებული ლამპრებით გადიან სახლიდან. ეკლესიის გალავანს შიგნით დაანთებენ ყველანი ერთად ამ ლამპრებით კოკონს, აქ მოტანილი ლემზირებითა და ზედაშით დაილოცებიან. ლხინით და ერთმანეთის დალოცვით ნასიამოვნები ბრუნდებიან შინ. ეკლესიასთან შეძლებისდაგვარად იმღერებენ ყველა საგალობელს, აუცილებელი არის „ჯგრაგიშ“. ძველად ლამპარები მიჰქონდათ წყაროსთან. ეკლესიასთან და ყანაში მისი წაღება შემდეგ დამკვიდრდა.

დავით მიხეილის ძე წერედიანი 2000 წ. ჟენაში.

* * *

„ლიმპარი ლალაღ მაცხუართეენ ესღუახ ლამპარალ ღვაჟმარემი შელდჟენ, ესღრიხ ზედაშშ, ლემზირშ, იმზირხ ღვაჟმარემი სეენან, შიდბახან ი ნაშდებიხან. იღრალხ, იხარულხ ი ეჩენქა დუმგვაშ იჩოს“.

- ლიმპარისას მაცხოვრის ეკლესიაზე მიაქვთ ლამპრები ოჯახიდან მამაკაცთა რაოდენობის მიხედვით. მიაქვთ ზედაშე, ლემზირები, ილოცებიან კაცთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის. მღერიან, მხიარულობენ და სხვას არას აკეთებენ.

მარო ფარჯიანი - გირგვლიანის.
1996 წ. ლატალი, მაცხუარიში

* * *

ლიმპარის მომდევნო კვირა დღეს არის „ლივდუში“.

„ლიმპარის წინა დღით დაკლავენ ყველა ისეთ საქონელს, რომელიც დიდი ღმერთისათვის არ არის განკუთვნილი - ცხვარი, თხა, ვაცი, ხბო და მეორე დღისთვის ამზადებენ. ლიმპარის დილით, გათენებამდე, ყოველი ოჯახიდან მიდიან მამაკაცები ანთებული ლამპარებით (თვითო-თვითო) მოსახლესთან დასაპატიჟებლად. მათთან ერთად სტუმრები, აგრეთვე ანთებული სანთლებით მოემართებიან ეკლესიის გალავნისაკენ ან, თუ ეკლესია შორს არის, ვისიმე ყანაში ჩარგავენ ანთებულ ლამპრებს, თვით კი მასპინძლებთან ერთად მის ოჯახისაკენ მიემართებიან. მისვლისთანავე დასხდებიან სუფრაზე და 3-3 ჭიქა არაყს დალევენ და შემდეგ სუფრაზე მოაქვთ გარკვეული საჭმელ-სასმელი შემდეგი თანმიმდევრობით: ტაბგლი, ქუთუარი, კუბდარი, ლელუ, ბატკანი მრგვალად შემწვარი, ჭიშდუარ (ფეტვიანი ან სიმინდიანი ხაჭაპური). შემდეგ ჭაჭილაარისათვის ყველი და კვერცხები მოხარშული და ბოლოს თაშ მგჯაბ. სუფრაზე ბლომად აწყვია პურები - იმდენი უნდა იყოს, რომ სუფრა მთლიანად დაიფაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სიღარიბის ნიშანია.

პირველად ტაბგლის ჩამორიგების დროს სახსიგელს დალევენ. ამ დროს ახსენებენ 3 ღვთაებას: ხოშა ღერბეთს, თარინგზელს და ჯგრაჭგს. შემდეგ, ხაჭაპურები რომ ჩამორიგდება კვლავ სახსიგელი ისმევა. ასევე როდესაც კუბდარი ჩამორიგდება. შემდეგ ბატკნის ჩამორიგებიდან იწყება სახ-სიგელის წარმოთქმა ხუთი ღვთაების - ხოშა ღერბეთ, თარინგზელ, ჯგრაშგ, სარტაშ, საყან, ჭაჭილარ. შემდეგ კერძო სადღეგრძელოები უფროს უმცროსობით, სტუმრების შემდეგ მასპინძლების. შემდეგ, ქალების და ბოლოს, სახ-სიგელიდან იხსენიება ლამაარია. ჯგრაჭგის სახ-სიგელს ეწოდება „ლაჯუჭმია“. ამ სადღეგრძელოს დროს სავალდებულოა ნათავნი - მაგარი არაყი. ჯგრაჭგის სახსიგელის დალევას მოაყოლებენ ჯგრაჭგი სიმღერას. მგლოვიარის ოჯახშიც კი - ჯგრაჭგის სიმღერა მაინც უნდა ითქვას ასევე, ლიმპარის და უფლიშის დროს. შემდეგ მრავალი სხვადასხვა სიმღერები დაიწყება, მხოლოდ არ შეიძლება იმღერონ ბუბა-ქაქუჩელა, რადგან ამ სიმღერით თხოვნაა ღვინო არ დამალევინოო. თუ ოჯახი დამწუხრებული არ არის მაშინ ცეკვა-თამაში იმართება სხვადასხვაგვარი.

პირველად ტაბგლს შეავედრებენ იმ ღვთაებას, ვის სახელზედაც იკვლება „ლგლგენე“. ჩვეულებრივ უფრო ხშირად იკვლის ჯგრაჭგის სახელზე და მას შეავედრებენ: ჯგრაჭგ ლამაარიშ! მულგმაარი მწრე ათფიშირ აელ ლაზგაისგა ი ნიშგუეგ მუშგუარალე ქორისგა. ქუთუარებზე არ დაილოცებიან, რადგან ქუთუარები ლამარიასია და კვირა დღეს ლამარიას არაფერს არ შესწირავენ, რადგან ეს დღე ლამარიასი არ არის. კუბდარებით და უბრალო პურებით ილოცებენ: ხოშა ღერბეთს, მგქემ თარინგზელს, მაცხუარს, ჟანს, თანღი თარინგზელს, ჯგრაჭგს, ლახუშდა მაცხუარს და ბარბოლს. შემდეგ თუ პურები კიდევ აქვთ, ახსენებენ დანარჩენ ღვთაებებს სანამ კუბადები ეყოფათ. მლოცველები არიან ოჯახის უფროსი და სტუმრებიდან უფროსი. თითოეულ ღვთაებას ევედრებიან იმას, რაც აღნიშნულია უფლიშიერის ლოცვაში. სტუმარი ქალები მიდიან ოჯხში მაშინ, როცა ქუთუარების ცხობა დამთავრებულია. (? ნ. წ.). ქალების სუფრა ცალკეა გაშლილი, მამაკაცების ცალკე, ბავშვების ცალკე - ლგლგიმზე. ქალები სხედან ბანდარზე, კაცები ფანჯრისაკენ სასკამზე, სასკამი რომ დგას იმ მხარეს და მათ ერთ კუთხეში კარებისაკენ ბავშვებია. საქონელს შემოდგომიდან ასუქებენ ლიმპარიელისათვის. პირველ დღეს საკლავი იკვლება ხოშა ღერმეთის სახელზე, ხოლო მეორე დღეს, ორშაბთს, აუცილებლად უნდა დაკლან მგხერი თარინგზელის სახელზე - დაკლავენ ვერძს. მეისარაბს ჯგრაჭგის სახელზე დაიკვლის ტახი ან ვაცი. ვერძი და ხარი ხოშა ღერმეთის სახელზე. ლიმპარისთვის დაკლავენ ხარს და ვერძს. ორშაბათს მგხერი თარინგზელის სახელზე დაიკვლის უშობელა თხა და ცხვარი (მეწხალდ ი დაგ), ვაცი და ვერძი (ხარი, მოზვერი - იშვიათად).

ვ. ბარდაველიძე. არქივი. 209 $ф^2$, საქალალდე №744. გვ. 15-17.

„ლამპარ“. სამი კვირით ადრე მოჭრიან, ხუთშაბათ დღეს არყის ხეს. მოიტანენ სახლში და კერას ზემოდან ფიცრებზე შედებენ გასახმობად. ლიმპრის წინა დღეს ამ ხეს დაჭრიან კონებად - იმდენ კონას გააკეთებენ, რამდენიც ოჯახის წევრია - ეს არის ლამპარ.

ვ. ბარდაველიძე არქივი 209 $ф^2$, საქალალდე №736.
გვ. 85. 1935 წელი.

* * *

ლიმპარის ოჯახი კლავს ხარს და სხვა საქონელს და იპატიჟებს სტუმრებს სხვა უბნიდან. ლამპაროობა მორიგეობით იმართება - ერთ წელიწადს ერთი უბნელები მართავენ წვეულებას და იპატიჟებენ მეორე უბნელებს, მეორე წელიწადს მეორე უბანი და იწვევს პირველ უბნელებს. ახალგაზრდები ლიმპარის დღეს აკეთებენ თოვლის კოშკს. მის შუაგულში ჩაარჭობენ დიდ ჯოხს სიმაგრისთვის და თავზე ჯოხს ჯვარს გაუკეთებენ (2 საჟენი სიმაღლეა ჯოხი). ამორჩეული ახალგაზრდები სოფლების მიხედვით იყოფიან და ერთმანეთს ებრძვიან კოშკის წასაქცევად. საიოაც კოშკი წაიქცევა, ე. ი. რომელ სოფლისკენაც, იმ სოფელში კარგი მოსავალი მოვა ამ წელს. ასეთივე ცილობა ხდება ჯვრის მიმართ კეტზე - ვისაც ის ჩაუვარდება, ის ვაჟკაცია სახელოვანი.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 $ф^2$, საქ. №742 გვ. 67.

ალბა მაზნა

ლიფანალი იზგერი ჩილად დეული ლადაღ. მერმე ნაგზაისგა ვები ლადაღ ჩილად ლი ტახრე ტე-ბიშ. სოფტინს ლი მეკსარაბ. ვები ლადაღ მანგრეშ შიდ დეკ ლიმზირ ი დეკ ლეღრმი ლიზებ-ხოლა გამაშ აღბიერ როქ ხოხა.

მეისარაბ ლადაღ იმზირხ ჯგერაგ ულულაშხან (ეცერს სგეჯი - ულუალდს) - ნიშგუეკ გუიბანდ-ერან სგეჯი მიჩა ნაწილ. ხოხრა ხატგლდ ლი ი ზანგლაგარ ხარ. მიჩეშდ ლეტრას ნაკ ლკონკეს ხვასყენედ ი ეკის ხვატრედ. ჯგერაგ ულულაშიშ კუახს იმზირ.

ჯოდი ჰამს ნაკ, მაცხუარშალს, ნამთქუა ლიგუნაშალი: სირიან-კეირიანს აჯჰიმხ მთელ მაცხუა-რიშს ლერსგანთე ლემხეღუაკი. ჯოდი ჰამს ნაკ ხომ ქუნარს ლობგრდაგიდ ი აღი ლიქმინალ დოუ ეკიარე ეახაერან ლას. ამნოშ ეკიარს ხობგრდაგიხ ი მესედ მარე მიჩეშდ იმზირ, მოსავალიშ, ქულუმგენემიშ ი მარე-მი ლიფშირს ი ტანი ნაჰდურის. მანკუ ერეტბალხ მაცხუარერან, ზანგლაგს აშმეხ, ქაიცხაეხ სოფელისგა მე-ზგალს, ერზრიხ ნამზგრს ი სგატხნიხ ლაჯუამთეკსგა (მაცხუარის). ამერუნ ლერსგანთე ქახაჰიმხ ლაჯუამს ლაღრალშიშ. იღრალხ ცხაუ ქრისდეშს (ლამზგრიაშ ლი ალიეკ). ნაღრალუნღო იხირულხ ი ითხრეხ.

მარო გირგვლიანი 1995 წ. მაცხვარიში.

ლიფანალი მთავრდება ყოველთვის ორშაბათს. მეორე კვირაში, პარასკევი დღე ყოველთვის ტახრე ვებიშის დღეა. შაბათს - მეკსარაბი. პარასკევს არაფერი არ შეიძლება არც ლოცვა და არც ხორცის ჭამა - უგემური ალბიერის პერიოდი გექნებაო. მეკსარაბის დღეს ილოცებიან ჯგერაგ ულულაშის სახელზე (ეცერშია მისი ძირი სალოცავი - ულვალდში). ჩვენს გუბანდზე (ძველი სახლის ერთერთი განყოფილება) ას-ვენია მისი ნაწილი; პატარა ხატია და ზანზალაკები აქვს. მისთვის სანთელს ჩვენ მოკაუჭებულს ვაკეთებთ და ისე ვანთებთ. ჯგერაგ ულულაშიშ ცარიელ ლემზირს საჭიროებს.

ჯოდი ჰამის დღეს ჩვენ, მაცხვარიშელებს, გვჩვევია ლიგუნაშალი. სირიან კვირიანს (ლიგუნაშალის მეორე სახელწოდებაა) მოყვება მაცხვარიშის სოფელს მარჯვნივ სოფლის მთელი ახალგაზრდობა. ჯოდი ჰამს ხომ ჩვენ სულებს ვისტუმრებთ და ეს პროცესიაც მათ საპატივცემულოდ უნდა იყოს შემოღებული. ამითაც ვისტუმრებთ ჩვენ მათ, ხოლო საკაოს დარჩენილები საჩვენოდ მოსავლის, საქონლის და ადამიანის სიმრავლეს და ჯანმრთელობას მოვისურვებთ. პირველად შეიკრიბებიან მაცხუარზე (მაცხოვრის სახელობის ეკლესიაა მაცხვარ), ზარს ჩამოკრავენ, შემოიკრებიან სოფელში ყველა ოჯახს, შეაგროვებენ სანოვაგეს (ნალოცს) და ბრუნდებიან კვლავ ეკლესიის ეზოში. აქ მარჯვნივ შემოუვლიან მას საფერხულოთი და საგა-ლობლით („ცხაუ ქრისდეშ") და ნადიმით დაამთავრებენ სასოფლო ზეიმს.

* * *

ჯგერაგ ულულაშიშ ეცერს სგეჯი. მიჩა ნაწილ სარგშელმგყ (გირგვლიანების ერთერთი საძმო) სგეჯი. ხოხრა ზანგლაგილ-ლი. აღის 4 ლეტრე ხალწა. განცხდაბ ლადაღ ალის ჩუჯიდეხ გუბანდახან ტთა ქორთე - ლეტრილარს ჩაშხიხ ი მახეს სგახალწენიხ. ეჩქანღო ჩუენ აშხტნიხ. ლეტრილარ ლიხ ლკონკე.

ლალჩა მიშლადაღხანქა ლიმპარიდ ლეღუმი ლიზებს მამ ხაყა (1 ნაგზი). ჯგერაგ ულულაშიშდ მამლი ლიგდანეს ჯგლიარ ჯატილდა. ლალჩა ლენთ ლემზირალან ინყი. ესტადს მამ ხაგად ეჯი მამილურ იმზირ ლემ-ზირალშ: - ჯგერაგ ულულაშიშ, ნიშგუეკ ქორა მერდე მარა ლახეშდ. აღი ლემზირალ უწენა ლიხ.

ლალჩანღო ვები ლადაღ ტახი ლიგსენი ლი - ტახრე ვებიშ. საფტინს - მეკსარაბ. ლამუარს ღვესენ-მი კუბად ი ნენრი ნარ უწენა. ლამთიილს კაპრაკ, თხტიმ ზისხორა, ნენრ, ლერსგენ ჭიშხ, ნენრი ღვესენ-მი კუბად, ყტიყე, გტი. მეკსარაბ ლადაღ ჰამს აღიარ მაგ რიჰჩიქდ ჩულეთფე ლიხ. აღ უწენალცახან ლემ-ზირალი ლიხ ლენყე - აღიარი უწენა ლიხ. დემ ლახხზებენე ჩულიშხვნის ჩუჯიყა.

ლეკლაბი ლაკენენან ლამპრილშ ყიას ყილოტტესედ: - ჯგერაგ ულულაშიშ მაჩენე ისგუ ტახი ლიგ-სენი ნამურჯენს - მერმად ათხე ანმარჯ. მეისარაბს ლემზირალ 6 ცალ ლიხ ლენყე. აღ უწენან ლემზირალს ი უწენალს ფიჩქმ ყილამზგრიდ. ნამზგრუნღო აღიარ, ი აჯადდ ემა ჯეღენი უწენანქა ლემზირალ ლემზგრე, ქალეფანე ლიხ. ზისხორალს ქაგარ ლოფანედ - მამ ლამზგრიდ. მეკსარაბ მერმე ლადაღ ლი ლიმპარი.

საჯხგ გირგვლიანი. 1995 წ. იფხი.

ჯგერაგ ულულაშის ძირი სალოცავი ეცერშია. ამ ეკლესიის წმინდა ნაწილი სარგშერების საძმოს სამალავში ასვენია. (სარგშერ გირგვლიანების ერთერთი საძმოა.) პატარა ზანზალაკია და მას 4 ცალი სან-თელი აკრავს. „განცხდაბის" დღეს მას ჩამოიტანენ გუბანდიდან ძველ (ტთან) სახლში. სანთლებს აანთებენ და ახალს მიაკრავენ. შემდეგ კვლავ შეინახავენ. სანთლები მოკაუჭებულია.

ლალჩას კვირიაკედან ლიმპარის კვირიაკემდე ხორცის ჭამა არ შეიძლება (1 კვირა). ჯგერაგ ულუ-ლაშისათვის მამლის შეწირვას მარჩიელი გეტყოდა მარჩიელობის შემდეგ. ლალჩა ღამეს ლემზირებიც მზა-დდება. ვისაც მამალი ბეგარად არ ადევს, ის მის გარეშე ილოცება ლემზირებით: - ჯგერაგ ულულაშისაო,

შეეწია ჩვენი ოჯახის წევრებს. ეს ლემზირებიც და ლიმზირიც უწენა არის.

ლალჩას შემდეგ პარასკევს ღორების დაკვლის დღეა, ღორების პარასკევი, შაბათს - მეᲮსარაბი. მამისეული სახლში მეᲮსარაბის დღეს ბადე ქონის კუბდარი და ელენთა გვჩვეოდა უწენად. ქმრის სახლში - ღორის თავი, „ნაწლავის თავი,“ ელენთა, მარჯვენა ფეხი, ელენთის ბადექონის კუბდარი, ღვიძლი, გული. მეᲮსარაბის დღეს ესენი ყველა დილით გათენებამდეა მისართმევი. ამ უწენალებთან ლემზირებიცაა დასამზადებელი - ესენიც უწენალებია. თუკი ვერ დაამთავრე აღნიშნულ დროს, შენახვა და მეორე დღეს შეჭმა შეგიძლია (მთავარია მათ ოჯახის არაწევრმა არ მოკრას თვალი).

ლეᲮღაბს (სააღაბე ღორს) დაკვლისას ყელს ლამპრით (არყის ხის ერთი ანათალი!) შევუტრუსავთ: - ჯგრაᲭ უღულაᲨისაო საუკეთესოდ თუკი ოდესმე დაგვჯვარებია შენდამი საკლავის დაკვლა, მეორედ ახლა გაგვიმართლე. მეორე დღისთვის 6 ცალი ლემზირია დასაცხობი. ეს უწენა ლემზირები და სხვა უწენალები ტაბლით („ფიჩქ“ || ტაᲑაგ) ერთადაა აღსავლენი. ლოცვის შემდეგ მათ და, თუკი სხვა შენალოცი პურებიც გვექნება, ერთად სულებს შევუსახელებთ. მათ ტაბლაზე უნდა მოვათავსოთ ასევე ზისხორებიც. ზისხორას არავითარ შემთხვევაში არ აღვუვლენთ ღვთაებებს. (უწენაში შემავალი ნაწლავის თავი, ნაწილი ზისხორათი არ არის გაკეთებული ის მხოლოდ მოხარშულია ნ. წ.). მეᲮსარაბის მეორე დღეს არის ლიმპარი.

* * *

ჯრდი ჰამუნღო თაᲮᲨ ლი ხვარსობ. ლისგურეშ ლი. Ალ ღᲨდაღ ღოლიᲭქარ ლიხ მგტმე. ნᲐᲮ (ᲚᲨმთიღს) მურყუᲨმჟინ ლიმზირ ნემთქუᲨᲨ: - ხვარსობᲨ ჯგრაᲭგ, ხვარსი მᲨვნებელ ნიშგუᲮᲮ მᲨნცᲨნს ი ქუᲚუმგენა ნუმაგუᲨ ᲚᲨხთᲮლე. Ალ ᲚესკᲨრ Ლეთფე ლი უწენად. (ᲚესკᲨრ ლი ქუთიშ).

ჯრდი ჰამის შემდეგ სამშაბათს ხვარსობის დღეა. უქმეა. ამ დღეს ცხვრების თმობის დღეა. ჩვენ (ქმრისეულ სახლში) კოშკზე ვიცოდით ამ დროის ლოცვის წარმოება. - ხვარსობის ჯგრაᲭგო, ხვარსი და სხვა რამ მავნებელი არ მიაკარო ჩვენს წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელს. ეს შესალოცი Ლესკარი უწენად იყო მისართმევი. იგი ქუთ Ლესკარია - ყველიანი.

საჯხᲗ გირგვლიანი - გვიჩიანის, 1996. იფᲮი.

6. „ᲐღბიᲨრ“ — მეᲮსარაბᲮᲨნქა ᲚიᲚჩᲨᲚდ

მეᲮსარაბიდან დიდმარხვამდე (3 კვირა)

„ᲐღბიᲨრ“ - Ხორციელის 2 კვ + ყველიერის 1 კვ.

მართლმადიდებლური კალენდრით:

5 (21 თებერვალი) მარტი - Ხორციელის კვირიაკე. საშინელი სამსჯავროს Ხსენების დღე (Ხორციელის ბოლო დღე) ამ დღიდან აღდგომამდე Ხორცი არ იჭმევა.

9 (25 თებერვალი) მარტი - შიოობა.

12 (28 თებერვალი) მარტი - ყველიერის, მიტევების, სამოთᲮიდან ადამის განდევნის კვირიაკე (ყველიერის ბოლო დღე).

13 (29) მარტი - დიდმარხვის დასაწყისი.

ᲮალᲮური კალენდრით:

შაბათი (იგულისხმება ყოველთვის Ხორციელის წინა შაბათი) - „მეᲮსარᲨბ“.

კვირა - „ᲚიმᲨᲨრი“

ორშაბათი - (Ხორციელის პირველი დღე) „ᲚიმᲮᲨრი“
სამშაბათი - „ᲚაჰᲚᲨ თᲨᲮᲨᲨ“.
ოთᲮშაბათი - „კასამᲨᲚა ჯგმᲨᲨ“.
Ხუთშაბათი - „ᲮᲨᲚმი“.
პარასკევი - „ᲚიტᲨᲨრᲨვი“.
შაბათი - „ᲚიჰევᲨᲨრი“.
კვირა - „ᲚიᲨდუᲨი“.
} Ხორციელის I კვირა

ორშაბათი - „ᲚითნᲨღი“.
სამშაბათი - „ᲨაᲭᲮᲨᲨ“.
ოთᲮშაბათი - „ᲮᲚა ჯგმᲨᲨ“.
Ხუთშაბათი - „ᲚიმᲭᲚდი“
პარასკევი - „ᲮᲚა ვᲨᲨᲨ“
შაბათი -
კვირა - „ᲚიᲭᲨრეᲨი“, „ᲚეᲚᲨმი ᲐღᲨᲑ“
} Ხორციელის II კვირა

ორშაბათი - „თეთნე ფხუ“ (|| „მცახვაპრ ფხუ“)
სამშაბათი - „ლილაობ“
ოთხშაბათი - „ტაპრი ჯგმაშ“ || „ტაპრი ჭაბგობ“ || „ყველიერი ჯგმაშ“
ხუთშაბათი - „ყველიერი ცაშ“.
კვირა - „ყველიერი აღაბ“.

} ყველიერის კვირა

ხორციელის I კვირა
„ალბიერ“ || „ღგნიაპრუ“

წელიწადის დრო, რომელსაც „ღგნიაპრუ“, ანუ „ალბიერ“ ეწოდება „ალბა მაზნა“-ს დროის შემდეგ მოდის. თუ „ალბა მაზნას“ დრო ცვალებადია, ღგნიაპრუსი პირიქით, იგი განისაზღვრება ყოველთვის სამი კვირით: ერთი კვირა არის ყველიერის, 2 კვირა ხორციელის (პირველად ხორციელის კვირაა!) + 2 დღე, მეგსარაბ და ლიმპარი.

ტრადიციით ლიმპარის დღესასწაული გაერთიანებულია „ღგნიაპრუ“-ს დროში. ჩვენ აქ „ღგნიაპრუს“ ვიწყებთ არა „ლიმპარით“, არამედ „ლიმხერის“ დღეობით.

„ლიმხერ“
(ორშაბათს)

ლიმხერ-ი ბარბალ-მგხერ თაპრინგზელის დღეობაა. იგია შვილიერების, ნაყოფიერების და ბედნიერების ღვთაება. მის „ხელშია“ ძალა ადამიანისა, შესაძლებლობა და მშვიდობა. ამ ღვთაების ძირითადი სალოცავი დღეებია:

1) ლიმპარის შემდეგი ორშაბათი, როდესაც ოჯახში ხდება სალოცავი პურებით ლოცვა-ვედრება.

2) ლიმპარის შემდეგი სამშაბათი სახელწოდებით „ლაჭლა თაბაშ“ (დიდი სასოფლო დღესასწაული) და

3) კვირიკობის წინა ორშაბათი სახელწოდებით „ლიმხერ“-ი კვლავ სასოფლო დღესასწაული, რომლის აღნიშვნა სოფელმა (ლატალი) დაიწყო 1993 წლიდან, როდესაც აღდგენილი იქნა უძველესი სალოცავი ამ წმინდანისა მგხერის მთაზე. (ამბობენ ამ სალოცავში ყველაზე უძველესი შესაწირი ნივთები ანტიკური პერიოდისაა!). სალოცავი აშენებულია ევროპაში უმაღლეს ადგილზე. სახელი „მუხერ“ || „მგხერ“ მახარობელს ნიშნავს. რწმენით, ვისაც ძე შვილი არ ჰყავს, ამ ღვთაებას უნდა შეევედროს შესაწირავით და უცილობლად ეყოლებაო. ღვთაებას ამ მნიშვნელოვანი თვისების გამო თვისებისავე სახელწოდება „მგხერ“ დაერქვა დღესასწაულს კი - „ლიმხერი“.

1) ლიმხერი ოჯახში აღნიშნული.

როგორც აღვნიშნეთ, ლიმპარის შემდეგ ორშაბათს ოჯახის შინაში იმართება ბარბალ-მგხერ თაპრინგზელის ლოცვა-ვედრება. სალოცავად აცხობენ „ლეგაბის“ ხორცის კუბდარებს და ცარიელ პურებს (ლემზირებს). ეს თაპრინგზელი არ ილოცება ყველიანი ლემზირებით. ლოცულობენ, ჩვეულებრივი წესით, სალოცავ სარკმელთან.

* * *

ლიმპარის მეორე დღეს, ორშაბათს, მგხერი თაპრინგზელის სახელზე დაკლავენ „მეწხალდს“ (უშობელი ცხვარი) და „დაგს“ (უშობელი თხა), რომლებსაც შემოდგომიდანვე ასუქებდნენ. (ლატალი).

მგხერი თაპრინგზელ ძეობის ღვთაებად ითვლებოდა. მას უძეოთათვის ძის მიცემას ევედრებოდნენ და დაბადებული ძის ოჯახისათვის სასარგებლოდ ყოლას. უძეობისათვის მას განსაკუთრებულ სალოცავებსაც უხდიდნენ შვილს ნატრული ოჯახები. სალოცავს ზოგი შინ იხდიდა, ზოგი მიდიოდა ლატალში, სადაც მოშორებით მთაზე ამ მთავარ-ანგელოზის ეკლესია იყო. მლოცევლებს თან მიჰყავდათ სისხლიანი ზვარაკი - ხბო, ვერძი, ზოგს მოზვერი და სრული ხარიც კი. ლოცვას აქ ადგილზე იხდიდნენ სალოცავი წესების დაცვით. როგორც გაბრიელ თაპრინგზელს, ისე მგხერია თაპრინგზელსაც ცალკე სალოცავი დღეები ჰქონდათ დათმობილი.

ალ. დავითიანი ეთნოგრაფისათვის
გვ. 17-18. მოთავსებულია ვ. ბარდაველიძის
არქივში, 208 ф[1] საქ. №90. გვ. 43.

„ლაჰლა თაxაშ“
(სამშაბათს)

ლიმპარის შემდეგი სამშაბათი დღე ისევ ბარბალ- მეxერ თაურინგზელისაა. რამდენადაც ეს დღეობა ლაჰილში (სოფ. ლატალში) თაურინგზელის ეკლესიაში იმართება, დღესასწაულს „ლაჰლა თაxაშ“ დაერქვა. წესით, ამ დღეს იმართებოდა ძველად მუxერის დღეობა მუxერის მთაზე. მაგრამ ერთ წელიწადს, როდესაც xალxი სალოცავიდან შინ ბრუნდებოდა, ზვავი ჩამოწოლილა და სამი კაცი თან ჩაუყოლებია. ამ ტრაგედიის გამო სოფელს აუკრძალია xამთრის პერიოდში იქ ასვლა. სამაგიეროდ დღეობა გადმოუტანიათ ლაჰილში თაურინგზელის ეკლესიაში. მუxერის ეკლესიის წმიდა ნაწილები ამ ეკლესიაში იქნა ჩამოტანილი.

მლოცველებს ამ დღეს სალოცავში მოაქვთ ზედაშე. ერთი დიდი კუბდარი, სანთლები, ოxახის სახელზე სამი ცალი ლემxირი და თითო კაცზე (ოxახში არსებულზე) სამ-სამი ცალი ლემxირი. სადილად ზოგიერთი xაჭაპურსაც წაიღებს.

ამ დღეს რაც რამ საწუxარი გექნება, ყველაფრისთვის შეგიძლია ილოცო: ციxეში მყოფისთვის, უშვილობისათვის, ყველასა და ყველაფრისთვის შეგიძლია ლოცვა, სანთლების ანთება. სოფელს მასპინძლობს პაკელიანების ოxახი, რადგან ესენი არიან ამ ეკლესიის მეკარენი. უძველესი დროიდან შარგიანების გვარი ითვლებოდა ამ ეკლესიის მეპატრონე - მეკარედ. დღეს ისინი ამოწყვეტილნი არიან და მათი მაგივრობა პაკელიანების (ლაჰლა ჯიდოშა) გვარxეა გადასული. (დღეს ამ გვარიდანაც მxოლოდ ერთი ოxახი ცxოვრობს ლაჰილში).

ძველად მასპინძლები დღეობის წინა დღეს, ორშაბათს, ჩამოუვლიდნენ სოფელს, რათა შეეგროვებინათ კუბდარისთვის xორცი (ნაკიც) და ლემxირებისთვის გეიზ - წმინდა სალოცავი ფქვილი. არაყი კი გროვდებოდა დღეობისას ეკლესიაში. ზედაშის ნაწილს გადაასxამდნენ xურxელში, ნაწილს იxმარდნენ დღეობისას და სულ მცირეს შინ წაიღებდნენ („ნამxგრგნდ“). ეკლესიაში შეგროვილი სასმელი xმარდებოდა მლოცველებს პურობის დროს.

საერთოდ, ლატალის სასოფლო დღესასწაულები გამოირჩევიან განსაკუთრებული სიმxიარულით, საწესო საგალობლებისა და საფერxულოების შესრულებით. ლოცვის დამთავრების შემდეგ იწყება იგი და გასტანს მანამ, სანამ მასპინძელი ოxახი (მეxრლე) მიიპატიჟებს სოფელს (ლისგვრაწალდ) სადილად. ამ დროს მეფერxულენი „გერეგილის“ ფერxულით შემოუვლიან მარxვნივ ეკლესიას და სიმღერით აგრძელებენ გზას „მეxრლე“ ოxახისაკენ. მამაკაცები ერთ სუფრაზე სxდებიან, ქალები - მეორეზე. მამაკაცები თავიანთ თამადას ირჩევენ, ქალები—თავიანთს. სასმისებს სვამენ საx-სიგელის წესით: პირველი სასმისი xოშა ღერბეთისაა, მეორე - მგქემ თაურინგზელის, მესამე ჯგგრაგის, მეოთxე - სარვაშის, მეxუთე საჭინის და მეექვსე - ლაშაxრიასი.

ლაჰლა თაxაშ

ეს დღე „მეxერი“-ს დღეობაა, ამიტომ მას სxვანაირად „ლიმxერ“-ისაც ვეძახით. მისი აღნიშვნა ამ დღეს xდება სოფ. ლაჰილში ლაჰლა ჯგგრაგის ეკლესიაში. ადრე ეს დღეობა იმართებოდა მეxერის მთაზე, მაგრამ ზვავში მოყოლილი მსxვერპლის შემდეგ იგი აქ ლაჰილის ეკლესიაში იქნა ჩამოტანილი. ამ დღის მფარველია ბარბალ-მეxერ თაურინგზელ. მეxერის ეკლესიის სიწმინდეებიც ამ ეკლესიაში იქნა ჩამოტანილი. მეxერის მთაზე დღეობა იმართებოდა იმ დღეს, როდესაც ახლა „ლაჰლა თაxაში“ აღინიშნება. xოლო დღეს მეxერის მთაზე ახლად აღდგენილი დღეობა იმართება კვირიკობის წინა ორშაბათს, რათა ყველამ შეძლოს იქ ასვლა და მადლის მიღება. ბუნებრივია, თებერვალში დღეობის აღდგენას აზრი არ ექნებოდა.

ლაჰლა თაxაშში სასოფლო დღეობაა. აქ მიდის ყველა, ვისაც სურვილი აქვს და მიდის განსაკუთრებით, ის ვისაც ძე-შვილი მოსურვებია. საერთოდ ყველა სასოფლო დღეობა იყოფა სამ საწესო ნაწილად. ესენია:

1. ლიმxირი.
2. საწესო საგალობელთა თქმა-გალობანი.
3. „ტრაპეზი.“

რადგან ეკლესიის „მეკარე“ პაკელიანია, იგია სოფლის დამxვედრიც. თუმცა მას სამასპინძლოდ არაფრის გაღება არ ევალება, გარდა ოთაxებისა, სადაც ისადილებენ მოდღესასწაულენი. ლოცვისას წესია შესაწირ ლემxირებიდან ლემxირის დატოვებაც და ზედაშიდან საერთო xურxელში, რომელიც იქვე დგას ეკლესიის კარებთან, სასურველი მოცულობის ზედაშის ჩასxმა. ესენი შემდეგ ისევ მედღეობე xალxს xმარდება პურობისას. ამ დღეობისთვის სასოფლო საკლავი არ იკვლება, ამიტომ ყველას მიაქვს სათავისო xარჯი: კუბდარი იქნება იგი, xაჭაპური, ლემxირი თუ სxვა რამ.

შეეწირება მxოლოდ ლემxირი, ლემxირიანი xაჭაპური და კუბდარი ზედაშესთან ერთად. მლოცველი მამაკაცები დგანან ეკლესიის მარxვენა კედელთან და იქ აღავლენენ ლემxირებს. დღეობაში წამსვლელს თვითვე შეუძლია აღავლინოს ლიმxირი, მაგრამ წესია, რომ სასოფლო დღეობისას ეს მისია მან „მემxირ“-ს გადააბაროს, რადგან ისინი არიან ამ დღეს ამ ფუნქციისათვის არჩეულები. როცა „ლიმxირი“ დასრულდე-

ბა, იკვრება მომღერალთა წრე და იგალობება პირველად საგალობელი „ლამზრიჲ“, შემდეგ ჯგრჭგიშ, შემდეგ ო, ქრისდენ. ამ სამი სადიდებელის დამღერების შემდეგ ითქმება საწესო - 7 სახის საფერხულოები. ესენია: 1. დიდებათა.

2. ყანსაჟ-ყიფიანენ.
3. ირინოლა.
4. როსტომ-ჭაბიკუ.
5. გაულ-გავხე.
6. მურზაჲ -ბეთქილ.
7. იავ ქალდი. (ოჩამჩიარერა!).

ეს შვიდივე სიმღერა საფერხულოა (ლაჭშხაშ!) და ასრულებენ მას ეკლესიის შემოვლისას. ბოლო საფერხულოს დამღერებისას ფერხულითვე შევლენ მასპინძლის ოჯახში და მას აქ დაამთავრებენ. პირველი სამი მხოლოდ საგალობელია ე. ი. სრულდება ფერხულის გარეშე. საწესო საფერხულოები სრულდება ორი ჯგუფის მიერ. იწყებს ერთი ჯგუფი და მეორე იმეორებს ამ ჯგუფის „ნათქვამს.“ საგალობლები კი პირიქით, მხოლოდ ერთ მომღერალთა ჯგუფის მიერ იმღერება. მას მხოლოდ მცოდნენი იტყვიან. საფერხულოებისას შეუძლია ყველამ შეკრას ერთად წრე ფერხულისა და ასე გამოხატოს თავისი სიხარული დღეობაში მონაწილეობის მიღების. (ბუნებრივია, მთლად უცოდინარი ამ ფერხულებშიც ვერ მიიღებს მონაწილეობას!).

აქ აღნიშნული საგალობლები თუ საფერხულო სიმღერები აუცილებელია დაიმღეროს მოდღესასწაულე ხალხმა ყველა სასოფლო დღეობისას იქნება ეს ლაჰლა თაზაშ ლაჰილში, თუ ლიმხერი—მეხერის მთაზე, თანღილი - თანღილის მთაზე, ფუსდაჯანი ლითრალ სიკუილაჭდზე - მაცხუარიშის თემის ტერიტორიაზე, მაცხუარ თაბაშ ისევ ამ ადგილას თუ სხვანი. მათი თქმის გარეშე სასოფლო დღეთა აღნიშვნა ყოვლად დაუშვებელია. თუკი სოფელში გარდაცვლილის გამო უხერხული იყო ხალხისთვის მხიარულება, პირველი ამ გარდაცვლილის ჭირისუფალი იწყებდა სიტუაციის განმუტტვას: თუ სიმღერა იცოდა, საგალობელსაც თვითონ იმღერებდა და საფერხულოსაც თვითონ დაიწყებდა, თუ არა და სთხოვდა წესრიგის ასრულებას აქ მყოფ საზოგადოებას. ნათქვამია, დიდ დღეობათა საგალობლების გარეშე აღნიშვნა სოფლისთვის საზიანო არისო, უარეს ჭირს გადაყრისო მათ. საღვთო წესრიგი ღვთის შესაფერისად უნდა ასრულდეს!

სხვა სოფლებმა არც ერთმა არ იცის ამ საგალობელთა თქმა გარდა ქაშუეთელებისა. (ლენჯერი) მაგრამ მათ იციან მხოლოდ ჯგრჭგიშ. ჩვენ ესეც ვიცით „ლამზრიჲ შიც“ და ო, ქრისდენშიც. საფერხულოებიდან „დიდებათა“.

ვიტალი ფარჯიანი 2000 წელი ჯენაში.

„კასამპრლა ჯგმაშ“

(ოთხშაბათს)

„ლაჰლა თაზაშის“ მომდევნო დღეს, ოთხშაბათს, „კასამპრლა ჯგმაშ“-ს ეძახიან. ამ დღეს ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით გამოაცხობენ პატარა მოცულობის ხაჭაპურებს და მიირთმევენ მათ უწენად. ამ დღეს ზოგ ოჯახს აკრძალული აქვს საქონლის სადგომის მოვლა, ასევე კერის იატაკის (იგულისხმება ძველი სახლი) გაწმენდა - გასუფთავება (მაგ. „ხაშშერ“-ს. გვარი - წერედიანები), ზოგს საქონლის ხორცის ჭამა, ზოგსაც რაიმე სამეურნეო საქმის გაკეთება.

საერთოდ, ეს აკრძალვები ხდება ოჯახის ნებით (ლიყჯენი), რათა ღმერთს მათთვის სათხოვარი „შეესრულებინა“. ეს იქნებოდა ჩათქმული საქონელზე, ადამიანზე თუ მოსავალზე. მსგავსი ლალყაჯი || ლიტმე რამზიშერებსაც (გვარი გირგვლიანები) ჰქონდათ ჯრდი ჰამის მეორე დღეს. საჭმლის ჭამა ამ დღეს ეკრძალებოდა საქონლის მკვებავსაც და საქონელსაც საღამომდე. საღამოს საქონელს დაუყრიდნენ თივას და თვითონაც იხსნილებდნენ.

აქვე აღსანიშნავია ის გარემობა, რომ დიდი ოჯახიდან განაყარი ოჯახი სახლის მშენებლობისას ჩაუტნევს საძირკველს სამ ცალ ღემზირს და მსგავსი სახის აკრძალვებს ოჯახი ამით მოიხსნის. აღნიშნულის შემდეგ ეს „მცირედი ლოცვანი“ არ არის აუცილებელი და დროთა მანძილზე დავიწყებასაც ეძლევა იგი.

რამზი გირგვლიანი 1995 წელი.
70 წლის. ლატალი, მაცხვარიში.

„ხვაჭლმი“

(ხუთშაბათს)

ხუთშაბათს „ხვაჭლმის“ დღეა. ეს არის გრიპის, ფიზიკური ტკივილების, ხველების, სიცხიანი ავადმყოფობის („მალველიაზან“) საწინააღმდეგო ლოცვა. აცხობენ ღემზირებს იმ პიროვნებისთვის, ვისაც შეთქმული აქვს ხვალმისთვის ღემზირები („ერვაჲს ხოგად“ ან ერვაჲს ლგგდანე ხარ) ვილოცებით ჯგრჭგ ხვაჭლმის სახელზე (ეცერშია ძირი სალოცავი)

- ჯგრაგ ხვალმიშ, ჟიბე ლგკლათხე ისგუ მეფშდე მაზიგ - მაშურია ლეჟა ბიქვს ლახო, ლექვა ლიცს.

- ჯგრაგ ხვალმისაო, ზე ამაღლებულო, შენი გაშვებული ტკივილი ზემოთ ქარს გაატანე, ქვემოთ წყალს.

ლოცვისას ანთებული პატარა ლამპარი და არყის ტოტზე წამოკმული სამი ცალი პატარა კვერი (კურაპალი - ბურთულა კვერი) უნდა აიტანო დერეფანზე (ლაფრა). ეს შელოცილი ლემზირები ანთებული ლამპრით კვლავ უნდა შეულოცო ჯგრაგ ხვალმიშ-ს, ხოლო ტოტზე აკმული კურაპილი იქვე უნდა დადო (იგი სიუხვისთვის არის!). ლოცვა ხდება დილით საუზმისას (სადილობჟინ) შინ ლოცვის ჟამს ჯგრაგ ხვალმიშს შეგვიძლია აღვუვლინოთ კუბდარებიც.

საჯხგ გირგვლიანი - გვიჩიანის.
1995 წელი. იფხი.

„ლიტყირავი“
(პარასკევს)

„ხვალმის“ შემდეგ პარასკევს, დილით „ლიტყირავია“. ამ დროს „მეტყირის“ პერანგის და თხელი ფეხსაცმლისამარა აქვს გამოსასვლელი ეზოში. მარჯვნივ სამჯერ უნდა შემოტრიალდეს და სამჯერ დაიძახოს „ნიშგუეგ ქუით ჰარინ-კარი, ნიშგუეგ ქუით ჰარინ -კარი, ნიშგუეგ ქუით ჰარინ-კარი (ჩვენი ქურდი ცარიელ-ტარიელი...) ამ დღეს მეტყირისა და მწყემსისთვის კუბდარია გამოსაცხობი, მწყემსმა ეს კუბდარი უნდა გაიტანოს ტყეში და იქ დაილოცოს ჯგრაგის სახელზე:

- მგერი ჯგრაგ, ჟიბე ლგკლათხე, ათფიშირ ი ანგნთხილ ნიშგუეგ დაჯარ. - მწყალობელო ჯგრაგ, ამაღლებულო, დაიცავი და ამრავლე ჩვენი თხები.

ეს დღე მეტყირავისათვის უქმეა. ის ამ დღეს სახლის შიდა სამუშაოებს (ქორა ლეშდბარ) არ ასრულებს, ოჯახის სხვა წევრები კი მუშაობენ. მათთვის ეს დღე არაა უქმე. მეტყირავი ყოველთვის ქალია.

საჯხგ გვიჩიანი 1995 წ. იფხი.

„ლიჰევწარი“
(შაბათს)

შაბათს ლიჰევწარია. ზემოურები ამ დღეს „ლიღმესარის“ ეძახიან. ამ დღისთვის გამოსაცხობია პურები სახელწოდებით - „ხევწარალ“, კუბდარები და ცარიელი ლიმზირები. ხევწარ ცხვება შემდეგი წესით: წყლით მოზელილი ფეტვის ფქვილი გამოსაცხობია ღუმელში. ეს მასა გაცივებამდე ასაზელია ღორის ქონში და გამოსაცხობია ხაჭაპურივით.

3 ცალი ლემზირი და ერთი ცალი ხევწარი საქონლის მკვებავმა „მენენ“-მა დილითვე დარბაზში უნდა აიტანოს, ილოცოს და ლუკმა-ლუკმა დატეხილი ლემზირები თივას უნდა ჩამოაყოლოს. მენენმა ამ დღეს საქონელს განსაკუთრებული პატივი უნდა სცეს. მთაში მყოფ საქონელს ეს დღე რომ გაახსენდება, ნეტარებისაგან ხტუნვას იწყებსო, - ნათქვამია. მენენ დარბაზში ასე ილოცება:

ჯგრაგ ლიხევწარიშ, სი ლანეშდ! ლენენ ი მენენ ხოჩა თალაშდ ენურდინ, ქულუმგენე ჩანფიშირ, ლიხევწარის მაჩენამდ ისგუ დიდაბ ჩუნამურჯენს მერმედ ამზავ ანმარჯ.

- ჯგრაგ ლიხევწარისაო, შენ გვიშველე! კარგად გვამყოფე დასაპურებელიც და დამპურებელიც, გვიმრავლე საქონელი, თუკი ოდესმე საუკეთესოდ გაგვიმართლა ლიხევწარის ლოცვამ, მეორედ, ახლა გაგვიმარჯვე...

შინაში სალოცავ სარკმელთან ჯგრაგ ლიხევწარიშ-ს აღვუვლენთ ხაჭაპურს, კუბდარს, ხევწარებს, ლემზირებს საქონლისთვის ცალკე, ოჯახის წევრებისთვის ცალკე.

მიხეილ წერედიანი 1993 წელი.
ლატალი ჯენაში.

* * *

„ლიქურეშ“ - ლატალის თემის სოფელ ლახუშდსა და ჯენაშის უბან ლამში აღნიშნავდნენ. „ლიკ-დუშის“ დღეს იხდიან „ლიქურეშის“ ლახუშდელი ფირცხელანები და ლამელი ხვინთელანები. ამ დღესასწაულის გამართვა მორიგეობით ხდება. ფირცხელანებში ორ-ორი მოსახლე წელიწადში ერთხელ არის მორიგე. ისინი იწვევენ თავისთან დანარჩენ ფირცხელანებს. მათია საკლავი, არაყი და სხვა ხარჯი, მეორე წელიწადს ორი სხვა ოჯახია მორიგე, ხვინთელნებში კი ერთი მოსახლე მხოლოდ არყით უმასპინძლდება სტუმრებს. ამ დღისთვის ის გამოხდის არაყს და დაპატიჟებს ყველა ხვინთელანს. მათ თან მიაქვთ ლესკრები როგორც ლამში, ისე ლახუშდში. ამ დღეს მეზრა თარინგზელს ლოცულობენ. ამ დღესასწაულის გადახდის შესახებ ლეგენდაა გავრცელებული: მეზრა თარინგზელის სალოცავი ბეჩოშია და მისი დღესასწაული მხო-

ლოდ ბეჩოელებმა იცოდნენ. ერთხელ ლიქურეშობას, როდესაც სტუმრად დღესასწაულზე ლატალელებიც იყვნენ მოსულნი, ეთქვათ: მეზრა თარგლეზერის მთიდან გადავყაროთო ქვევით შესაწირი ჭურჭელი და ვისი ჭურჭელიც არ გატყდება, მთელი აღმოჩნდება, ეს ნიშანი იქნება იმისა, რომ ამ მთელი ჭურჭლის პატრონებისგან მეზრა თარინგზელი ლიქურეშის გადახდას მოითხოვსო. ასეც მოიქცნენ და მთელი დარჩა ხვინთელიანების და ფირცხელიანების ჭურჭელი. ამის შემდეგ ამ გვარებმაც შემოიღო ლიქურეში მეზრა თარინგზელის სახელზე.

ვ. ბარდაველიძის არქივი 209 ф[2] №676. გვ. 5. გირგვლიანი.

„ლიკდუში“
(კვირას)

ლიჰევწარის შემდეგი დღე (კვირა) „ლიკდუშის დღეობისაა. „ლიკდუშის“ ამ დღეს მაცხვარიშილები ეძახიან, ხოლო ლამელები და ლახუშდელები „ლიქვრეში“-ს. ლატალში ამ დღესასწაულს სხვა თემები არ აღნიშნავენ. ეს დღესასწაული აღინიშნება ხორციით (ნაკიცშ), რადგან იგი ხვდება ხორციელის აღების კვირაში. მსგავსი სახის დღესასწაული „ლივრაშის“ სახელწოდებით ტარდება ქრისტეშობამდე ერთი კვირით ადრე, კვირა დღეს, ე. ი. მარხვაში. (ქრისდეშობის მარხვა).

ლიკდუშის დღესასწაულობს მაცხვარიშის თემი: გირგვლიანები, სტეფლიანები, თამლიანები და თითო ოჯახი ნანსყანისა და გვიჩიანისა, რომლებიც ახალშენში ცხოვრობენ. „ლიქვრეშის“ დღესასწაულობენ ლამელი ხვინთელანები და ლახუშდელი ფირცხელიანები ერთად.

ამბობენ, ლიკდუშიც, ლივრაშიც და ლიქვრეშიც მეზრა თარინგზელის მიერ არის დაწესებულიო.

ლიკდუშის მოდღესასწაულენი, ძველადაც და ახლაც, აგროვებენ ხორბლის ფქვილს ლემზირებისთვის, სიმინდის და ქერის ფქვილს სასმელისთვის 2-2 ჩაფლაშ-ს - „ეეშხუ ჩაფლაშ“ არის დაახლოებით 6 კგ. მოცულობის ე. ი. 12 კგ მოსატანია ლემზირებისთვის და 12-იც სასმელისთვის („ლეჭრაყიდ“). სასმელი - სადღეობოდ მზადდება წინასწარ, ხოლო დღესასწაულის წინა დღეს ყველა ოჯახს მოაქვს ღორის ხორცის მხოლოდ მსუქანი ნაწილი. (თეთნე ნაკიც), რომლისგანაც დღესასწაულის დღეს აცხობენ ლესკარს - დიდი მოცულობის პურს. ეს ლესკარი და 2 ცალი ცარიელი ლემზირი ცხვება დღესასწაულში მონაწილე ოჯახის რაოდენობის მიხედვით. დღეობაზე წასვლის უფლება აქვს ოჯახიდან მხოლოდ 2 კაცს, თუ ორივე ვერ წავა შეუძლიათ ერთის მაგივრად სასურველი სტუმარი წაიყვანონ. მოდღესასწაულეთ ხვდებათ ორი ოჯახი. მათგან ერთი ოჯახი უშუალოდ მასპინძელია „ლივრაშისას“, მეორე - ლიკდუშიშას - ამ დღეობებს ლატალში ზემოთ ჩამოთვლილი გვარების გარდა არავინ არ აღნიშნავს, რადგან იგი მათ მარტო აქვთ დაწესებული მეზრა თარინგზელისაგან. („ნალულაგ ხარ“). ლოცვას იწყებენ შუადღისას, რადგან ამ დროს ამთავრებენ ლემზირების ცხობას ქალები სალოცავ ლემზირებს აღავლენენ სალოცავ სარკმელთან აღმოსავლეთის მხარეს, ანთებული აქვთ სანთლები. მლოცველი ამ დროს უნდა იყოს 3, 6 ან 9. ყოველი წმინდანის ხსენებისას ისინი ხელში დაიჭერენ ერთ ცალ ლესკარს და 2 ცალ ლემზირს (3 ცალი!). ჯერ ახსენებენ ყველა იმ სალოცავს რაც არსებობს ლატალში, შემდეგ სვანეთში და ბოლოს საქართველოში (იგულისხმება მთავარი, ძირი სალოცავები).

სოფელში სალოცავებს მოყვებიან მარჯვნივ. პირველად ამბობენ ფუსდ - ნაბუსდისთვის (|| ხოშა ღერბეთ) მე-2-ედ მეზრა თარინგზელისთვის (რადგან მის მიერაა დაწესებული ეს დღეობები) მე-3 მგქემ თარინგზელისთვის, მე-4 მაცხვარისთვის მე-5 ნესკგლდაში თარინგზელისთვის და ა. შ. ადიან 116-მდე. ესენია;

ჰოკულდაში ჯგრაგ, ჟან, ტებდიაში ჯგრაგ, სიდიანრი თარინგზელ, სიდიანრი მაცხუარ, ქრისდე ლელბეგაშ, ლენთა ლამარია, იფხი ლამარია, ბალა ჯგრაგ, ჯარ-ბალ ხაგრიშ, წეფლი ჯგრაგ, გერბში მაცხუარ, ჭალი ჯგრაგ, მაცხუარ მახგლდიშ, ჯარ მახგლდიშ, ჟელ მგჰერიშ, ბარბოლ ხაგრიშ, ჯგრაგ ულულაშიშ, მუჩფა ცანიშ, სამკალარ, ჩარგლდი ლამარია, ხატგნცხოველ, ჰარტი თარინგზელ, ზაგრი თარინგზელ, მაცხუარ კუერხიშ, ჯარ - პარპალდაშ, ჯგრაგ ფურთაშიშ, ფაფულდა თარინგზელ, ბარბალ - მგხერ თარინგზელ, ლაჰლა ჯგრაგ, მაცხუარ ლაჰლაშ, სკარლაში ლამარია, სამტაში ლამარია, ჭუშხუნი, ზაგრი თარინგზელ, შალრი ჯგრაგ, ოქრა თარინგზელ, ბარბოლ, პეტრე ბაჩრიშ, სგობლა მაცხუარ, დული თარინგზელ || ლეჟ სგობლა თარინგზელ, ლახუშდა მაცხუარ, თანლი თარინგზელ, ცგზერი ლამარია, გულა გაბრელ, შიხრა ჯგრაგ, უშხუანრი ლამარია, დოლა საყდარ, მეზრა თარინგზელ, ქართვანი თარინგზელ, ჰებდი მაცხუარ, კალაში ლამარია, ჯგრაგ ულულაშიშ, სტიფი ჯგრაგ, ყაბსყალდა თარინგზელ, ფხუტრერი თარინგზელ, ჯგრაგ მესტაშ, მგჰი ჯგრაგ, || ჯგრაგ ლახმგლდაშიშ, ჯგრაგ ლენჯერაშ, კარა ჯგრაგ, ილორი ჯგრაგ, ქრისდე ზანეშ, თბილისი მაცხუარ, ჯგრაგ ქაშუეთიშ, ქუთაში ლამარია, ცგარი ლამარია, ფაყი ჯგრაგ, ლელტხა მაცხუარ, ჩოლრი მაცხუარ, ლაშხი მაცხუარ, ცანი ჯგრაგ, უშგულა ლამარია, ფუსდ უშგულაშ. ლაგურკა შალიანი, ხალდი მაცხუარ, ჯგრაგ იფარიშ, წუირმი მაცხუარ, წუირმი თარინგზელ, ივან მაღლობელ, ჟელ მაცხუარ, ხეშკლი ჯგრაგ, მუჟალა თარი-

ნგზელ, ჭოლაში მცხეთარ, სოლა ჯგერაგ, თარინგზელ მესტიაშ, ლამარია მესტიაშ, გული ჯგერაგ, სენდუქ დეცეშ, ჯგერაგ ბოგაშ, ჯგერაგ ლენჩაშ, აფსალდ, ლალარალა თარინგზელ, დოშდულ მწხე, ხატგნცხოველ, ხოჩა დაბდბ დ ჰეტ-მეჰეტ.

ყველა ეს წმინდა სალოცავი ითქმება როგორც ლიჯდუშის დღესასწაულზე, ისე ლივრაშის დროს აღნიშნული თანმიმდევრობით. ლოცვა ხდება შემდეგი წესით: ვთქვათ, მლოცველია სამი მამაკაცი. პირველ „წმინდანს" - ფუსდ ნაბუასდიშ-ს პირველი მლოცველი იტყვის, მეორეს - მეზრა თარინგზელ - მეორე მლოცველი, მესაშეს - მგქემ თარინგზელ - მესაშე მლოცველი და ა. შ. შემდეგ. სამ სალოცავს ამავე წესით კვლავ „გაინაწილებენ" და ჩაყვებიან ბოლომდე. ასე ხდება მაშინაც, როცა მლოცველნი 6, 9 ან 12 კაციც კია.

ლოცვის დამთავრების შემდეგ იშლება სუფრები. სუფრის თვითეულ წევრს წინ დაუდებენ „ნაკიცშ ლესკარს" - მოზრდილ კუბდარს მხოლოდ მსუქანი ხორცისას და 2 ცალ ლემზირს. (ლივრაშის დღეობისას - ერთ თეფშ ლობიოს კერძს, ერთ ცალ ლესკარს და 2 ცალ ლემზირს).

პირველ ჭიქას იღებს სუფრის უხუცესი და ილოცება ხოშა ღერბეთის სახელზე, მისი მფარველობით ლოცავს „მეხლე" - მასპინძელ ოჯახებს. მეორე - ჭიქით - მგქემთარინგზელს, მესამეთი - ჯგერაგს, მეოთხეთი ისმევა სარვაშ-საყანი. ეს სასმისი (სადღეგრძელო!) ისმევა წყვილ-წყვილად - ლასყანიალოშ (ლისყანიელ!). სადღეგრძელო სარვაშ - საყანისა უნდა ითქვას შემდეგნაირად, - ალი ჟალწგსელეს, ეჩრშ ი ლადრ ნესგა მაჩენამდ ლიმზგრ - ლიჯგრალ ჩუ ასხამურჯენს, მერმად ნად ოგმარჯა ლადრ ნამზგრ ნაჯგრალ. ღერბათ დიდბ, კახანს შენდბა, მუშუნდების შიდბა.

- რაც ეს დაწესდა (იგულისხმება სარვაშ საყანის სადღეგრძელო) იმდღიდან მოყოლებული დღემდე, საუკეთესოდ ლოცვა-ვედრება ვისაც ჰქონდეს მიჩნეული, მეორე ჩვენი ყოფილიყოს, ღმერთს დიდება, კახანს შენდობა, შენდობის მთქმელს მშვიდობა.

სადღეგრძელოს ამ ძირითად აზრს ვინც გადაუხვევს, ჯარიმდება, თუმცა არც არის აუცილებელი მისი სიტყვა-სიტყვით განმეორება, სადღეგრძელო უნდა ითქვას დახვეწილად, აზრიანად და ხატოვნად ისე, რომ ძირითადი აზრი არ იქნეს დარღვეული.

სასმისი ამ სადღეგრძელოსი ისმევა წყვილ—წყვილად - „ვახტანგურად". იგი უნდა დალოცოს ქალმაც და კაცმაც: აუცილებელი არაა წყვილები ქალი და მამაკაცი იყოს ან მხოლოდ ქალები და მხოლოდ მამაკაცები. სუფრაზე შენს გვერდით ვინც იქნება, მასთან უნდა გადახვიდე ალავერდს. სადღეგრძელოს თქმას იწყებენ სუფრის თავში მსხდომნი და ასე წყვილ-წყვილად ჩამოუყვებიან სუფრას ბოლომდე. სასმისის მირთმევის შემდეგ დააყოლებენ თითო ლუკმა ყველის ნაჭერს (რაც აუცილებელია, ოღონდ არ იციან მთხრობელებმა რატომ ნ. წ.). ვინც ამ დროს მარხულობს, ის არ შეჭამს ყველის ნაჭერს (იგულისხმება ლივრაშის დროს მომარხულე ნ. წ.).

აღნიშნული „სახ-სიგელით" ხდებოდა ძველად სალხინო სუფრის გაძღოლა. სახსიგელის დამთავრების შემდეგ უნდა თქვან საღვთო საგალობლები - „ლამზრიაშ"- ო, ქრისტეში და ჯგერაგიშ. სიმღერების დამთავრების შემდეგ უნდა აირჩიონ თამადა. მისი არჩევაც თავისებურად ხდება: ერთ წელს უნდა აირჩიონ ერთი გვარიდან თამადა-ტოლბაშ. მაგ. გირგვლიანი. მან მეორე წლისთვის ამ დღესვე უნდა აირჩიოს თამადად სხვა გვარიდან, მაგალითად თამლიანი, რომელიც გირგვლიანის თამადობისას იქნება გირგვლიანის მოადგილე. თამლიანი თავის თამადობისას აირჩევს მოადგილეს სხვა გვარიდან და მომდევნო წელს ეს მოადგილე იქნება სუფრის თამადა და ა. შ.

ტოლბაშ - თამადა - არჩევის შემდეგ იწყებს ისევ თავიდან, სადღეგრძელოების თქმას სახ-სიგელით, ოღონდ ამ დროს არ მეორდება სარვაშ-საყანის სადღეგრძელო. შემდეგ აგრძელებს თავისი ნება - სურვილით. ბოლო სასმისია ლამარიასი. დღეობისას რაც არ უნდა მგლოვიარის ოჯახში იყოს სუფრა, აუცილებელია მხიარულად ყოფნა-ცეკვა და სიმღერები.

მარო ფარჯიანი - გირგვლიანის,
1995 წ, 70 წლის. მაცხეარიში.

* * *

ამრიგად, დღეობები: ლიმხერი, ლაჭლა თახაშ, კასამპარლა ჯგმაშ, ხვალმი, ლიტყერავი, ლიჰევწარი, ლიჯდუში ხორციელის პირველი კვირის დღეობანია. ეს კვირა, ჩანს, ხალხური წესებითაც მსგეფსია - ოთხშაბათი და პარასკევი სალოცავი დღეებია.

ლიჯდუშის დღეობა ტარდება ხორციელში. ლივრაშის დღეობა კი ქრისტეშობის მარხვის პერიოდში. ფორმით და შინაარსით ესენი ერთი და იგივენი არიან, მხოლოდ ლიჯდუში ხორცით აღინიშნება - ლივრაში ლობიოთი.

„ტრაპეზი" მიმდინარეობს „სახ-სიგელის" წესის ასრულებით. „სახ-სიგელ"-ის წესი სადღეგრძელოთა თანრიგი და სმის წესია. სახ-სიგელშ ლითრე"-ში შედის;

1. ხოშა-ღერბეთის სადიდებელი სასმისი - (1 ჭიქა).
2. მგქემ-თარინგზელის სადიდებელი სასმისი - (1 ჭიქა).

3. ჯგრაგის სადიდებელი სასმისი - (1ჭიქა).

4. სარგუ-საყნ-ის სასმისი - (2 ჭიქა).

5. ჭუჭილარ (2 ჭიქა).

6 ლამარია (1. ჭიქა).

სარგუ-საყნში ერთიანდება ორი დამოუკიდებელი სასმისი ა) სარგუის ბ) საყნის.

სარგუის ნიშნავს - ლუსარვინას (საპატიოს, შესაველრებელს)

საყნის ნიშნავს - ლასყნიას ანუ საალავერდოს.

ეს ორი ჭიქა ერთად ისმევა წყვილის მიერ ვახტანგურად სმის წესით („ლასყუ-ნიალოშ!). თუკი მათი შესმისას რაიმე მცირედი შეცდომა დაუშვი, დაგემატება ჯარიმა—დამატებითი ჭიქა („ჩანჩალუჯ''.). დალევისას ჭიქაში წვეთი არ უნდა დატოვო. სასმისიც ისე უნდა დალიო, რომ დამსწრეთ ზურგი არ შეაქციო. შემდეგ წყვილს ირჩევ მხოლოდ დალევის შემდეგ, მანამდელი არჩევა შეცდომაა და ჯარიმას დაგიმატებენ. ამ სადღეგრძელოს დროს უნდა თქვა: ალი ჟალწესელეს ეჩრში ლუდრ ნენსგა მაჩენამდ ერვუალ ხამურჯენს ულ ლუდაღ ლიმზირ, მერმად ნუ აგუმარჯუა, ღერბათ დიდუბ, კახნს შენდბა, მგთრა შიდბა! თუ რომელიმე სიტყვა შეგეშალა—ჯარიმდები.

ამ სასმისში ნახსენები კახანი სოფლის გმირია, მაგრამ მას ჩემულობენ ფირცხელანებიც, ჩამგელანებიც და ასუმბანებიც. მე კი გამიგია რომ კახანი იყო სტეფლიანების გვარის.

ესენი, სტეფლიანები, მაშინ ცხოვრობდნენ თურმე ლახუშდის იქით, მჭლულეშის მიდამოებში. ეს ადგილი ქვიანი, ღორღიანი და უნაყოფო ადგილია. რადგან კახანმა გმირობა გამოიჩინა და სოფელი იხსნა განსაცდელისაგან, ლატალმა მისი გვარის წევრები „დაასაჩუქრა'' მიწით და საძვალით. მათ მაცხვარიშელეგმა, (სოფ. ლატალის ძირძველმა თემმა გირგვლიანებისამ), გამოუყვეს საცხოვრებელი ადგილი თავიანთი თემის შუაგულში და მისცეს საძვალე მაცხვარიშის ეკლესიის შესასველელში. თუ არა ჩადენილი მსგავსი გმირობა ასეთი „საჩუქარი'' ერთი გვარისა და თემისა, მეორე გვარისა და თემისადმი, სვანეთის წეს-ჩვეულებისათვის ძალზე უცხოა. ამიტომ მიმაჩნია უფრო ლოგიკურად და სამართლიანად კახანის სტეფლიანობა ვიდრე სხვა გვარობა, ზემოთ ჩამოთვლილ გვართა!

მჭლულეშში კი დღესაც არსებობს საცხოვრებელ ნაგებობათა ნანგრევები. აქ ეკლესიაც კი მდგარა - მჭლულეშში თარინგზელს ეძახიან მას.

ჭაჭილარ სახსიგელის ერთ-ერთი უძველესი საწესო სასმისია. მისი დალევა ხდებოდა ძველ სვანურ სახლში ანთებულ შუაცეცხლთან. შუაცეცხლი ძალზედ ავარვარებული უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭაჭილარის წესი არ სრულდებოდა. სასმისს სვამდნენ ისევ წყვილები, მაგრამ მხოლოდ ქალი და კაცი. მუხლებით დადგებოდნენ ძირს დადებულ ბალიშზე, ხელში დაიჭერდნენ ორნახად, ნათავდ არყით სავსე სასმისებს, იტყოდნენ სადღეგრძელოს და შემდეგ ხელთა გადაჯვარედინებით დალევდნენ მას. არ შეიძლებოდა ჭიქაში წვეთის დატოვება, არც მისი ნარჩენის ცეცხლზე შესხმა და არც ზემოთ, ჭერისკენ ასხმა—ჯარიმდებოდა მისი ჩამდენი. დალევის შემდეგ გადაკოცნიდნენ ერთმანეთს და მათ ადგილს მეორე წყვილი დაიკავებდა. - ალი ჟალწესელს ეჩრშ ი ლუდი ნენსგა მაჩენამდ ერვაის ჩუხამურჯენს მერმად ნუ აგუმარჯა, ლაგუშედუ ჭაჭილარე მულდ!

(ლემესგს ნატხანს ეჯღა ლაბდედ ერე ღერბეთ ესერ ხოსდი სოლომი ძალას!)

ჭაჭილარის წესი ლატალში მხოლოდ გირგვლიანებმა იცოდნენ. მერე ჩვენც გადმოვიღეთ, მაგრამ დღეს მივიწყებულია. უფლიშიერობისას, როცა გვარის ასულების წვეულების დღე გვაქვს, იმართება სახსოგელის წესით დალევა. ჭაჭალარს დღეს იშვიათად სვამენ. თუკი დალევენ, დალევენ აღნიშნულ დღეს უფლიშიერობისას.

ვიტალი ფარჯიანი. ჟენაში. 2000 წელი.

ხორცელის მეორე კვირა
„ლითნალი"
(ორშაბათს)

ხორცელის მეორე კვირის ორშაბათი დღე „ლითნალის'' დღეობისთვისაა განკუთვნილი. იგი მამაკაცების სალოცავი დღეა. ილოცებიან „თანღი თარინგზელ-ის სახელზე. მისი ეკლესია ლახუშდის თემის მთა თანღილზე დგას. მსგავსი ფორმის ეკლესია სვანეთში არ დასტურდება. იგი „სეფსკუერის'' || „მუჟეღუ''-ს ნაირია. ეს ფაქტი კი მრავლისმეტყველი და მნიშვნელოვანია რათა გაირკვეს ამ სალოცავის რაობაც და წარმომავლობაც—ის, თუ რამდენად უძველესია იგი.

„თანღი თარინგზელის'' დღესასწაული ლატალში აღინიშნება ორჯერ. პირველი „თანღილობა'' ტარდება აღნიშნულ დღეს მეორე კი - „უფლიშიერის პერიოდში პირველ ორშაბათს. „თანღი თარინგზელი'' ქუდის დამხურავის - სგეჟ-ის სალოცავია. იგი თავისი ფუნქციებით „ჯგრაგ ჰოკულდუშშს'' უტოლდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თანღი თარინგზელს ევალება მამაკაცების დაცვა გზებსა და გადასას-

ვლელებზე (თანაღ - გადასასვლელია, უღელტეხილი, აქედან კი სახელწოდებაა ღვთაების - თანღი თარინგზელ, დღეობისა კი - ლითანაღი.). მასვე ევალება ჯგრეგის მსგავსად მამაკაცის დაცვა ხანჯლისა და ისრისაგან.

- დიდებუ აჯვედა თანღი თარინგზელ, ჟიბე ლგკლათხე, მადლიან მადილშ გვეში, ამსტალდა მგნთხლე სი ხი დიდები ლეფედ ჷ ნიშნტეჷ ღვაჟმარე ჩილად ლახგნთხილ ცხვიხან ი ხანჯალხან, ჟახრიანდ ი შიდებიანდ ლახზელალინ ისგუ ტყვეფს დიდები ლეჭედ.

- დიდება მოგსვლოდეს თანღი თარინზელო! ზეამაღლებულო! მადლიანო! ადამიანის მშველელი შენ ხარ და ჩვენი მამაკაცი დაიცავი ყოველთვის ისრისა და ხანჯლისაგან, სახელიანად და მშვიდობიანად ატარე იგი შენს მიწაზე, დიდებულო!

დღეობაზე წასვლა შეუძლია ყველას ლატალისაც და სხვა სოფლის მცხოვრებთაც. მათთვის აქ მოსვლა სავალდებულოა 3-ჯერ! ხოლო შემდეგ, სურვილის მიხედვით. მაგრამ მთელი ლახუშდისთვის იქ მისვლა ყოველწლიურად არის სავალდებულო. ასევეა ლახუშდის გათხოვილი ასულთათვის და ბადიშებისთვის. („ნიბაშინ" - „ლამბაშნა" - ბადიშია სვანურად.), მერამდენე თაობისაც არ უნდა იყოს.

თვითოეულს სალოცავში მიაქვს ლემზირები, სანთლები („ლეტრე" - ლეტრალ!) ზედაშე, კუბდარი და ხაჭაპური. სოფელი ლახუშდი ყიდულობს საერთო სამსხვერპლოს: ან ცხვარს, ან ხბოს. საკლავის გულღვიძლს აღუვლენენ ღვთაებას „ტაბგლთან" ერთად. თანღი თარინგზელის ტაბგლში შედის ერთი მუჟეღუ და 12 ც. ლემზირი.

ტაბგლს აცხობენ ლახუშდელები - ერთ-ერთი დიასახლისი. ვინც არ წავა სალოცავში ამ დღეს, იგი აღავლენს ლემზირებს ოჯახში (3 ცალი ლემზირით!)

სახჯგ გირგვლიანი - გვიჩიანის. 1995 წ. იფხი.

* * *

ორშაბათს ლოცულობენ თანღი თარინგზელში ზოგი ვაჟის შესაძენად და ზოგი თავის ტკივილის წინააღმდეგ. თუ მლოცველს ზედაშე აქვს წაღებული, ის უთუოდ ვაჟიშვილის შეძენას ეხვეწება, თუ სხვა რაიმე ნადაშუფ—მაშინ თავის ტკივილისაა. ზედაშეს ცოტათი მიწაში ჩააქცევენ და დანარჩენს სახლში წამოიღებენ. ძველად მრგვალ ტაბლაზე ცოტათი დააკურებდნენ არაყს. („ფიჩქ" - პატარა ტაბლა) და ცეცხლს მოუკიდებდნენ სიტყვებით: ჩვენს მტერს ასე ცეცხლი წაეკიდოსო. საერთოდ, ბოთლის ძირში არაყი ცოტა თუ დარჩება (ან სასმისში), კერაში ანთებულ ცეცხლს შეასხამენ და იტყვიან: ისგუეჷ ამახუს ამ-ჟიუ ესსგენა, სგაჷ ჩილად ჟიუ გარ ჯარხ. თუ სხვას გაატანეს ზედაშე, მაშინ მას მოკილის ქვევრში ჩასხამენ—მხოლოდ ერთ ყლუპს, დანარჩენს შინ წაიღებენ და ვისთვისაც ვაჟიშვილს ეხვეწებიან, იმ კაცს დაალევინებენ. ხოლო მოკილის ქვევრში დაგროვილი ამნაირი არაყი სოფელს ამ დღეობაზე მოხმარდება. ის ვინც ერთხელ ზედაშეს შესწირავს, უკვე ყოველთვის იქ მიდის სხვა წლებშიც (სამჯერ მაინც წავა ზედიზედ). ამიერიდან ამ ოჯახისთვის ეს ზედაშე ბეგარაა. ზედაშე აუცილებლად უნდა იყოს ქერისაგან გამოხდილი. არაყს არ უნდა მოხვდეს ღორის ქონი. ღვინო არ ვარგა ზედაშედ, რადგან შორი გზიდან მოდის და ვინ იცის რამდენი უწმინდურება მოხვდება. ზედაშედ დათქმულ არაყს ინახავენ და არავის არ დაალევინებენ, რაც არ უნდა კარგი სტუმარი მოვიდეს. ზედაშის შენახვა კეცში არ შეიძლება, ცალკე ჭურჭელში უნდა შეინახონ.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 ф[2] №744 რვ. IV. გვ. 5-6.

„ჟაჭხან"

(სამშაბათს)

სამშაბათს დიასახლისი კვლავ დააცხობს ლემზირებს. პირველი სამი ლემზირი მაცხუარის-თვისაა აღსავლენი. მეორე სამი—„კაიშა თარინგზელი"-ს. მისი სალოცავი ბეჩოშია „მეზრა თარინგზელის" ეკლესიაში. მეზრა თარინზელის ნაწილია „კაჷშა თარინგზელ". ამ ღვთაებამ ზვავების (ჟაჭ) ჩამოწოლა იცისო, რის გამოც მისი დიდების აღვლენა აუცილებელია;

- დიდები ლეჭედ კაჷშა თარინგზელ, ლახგნთხილ ჟაჭხან დიდები ლეჭედ ნიშგუეჷ გიმ-მეგემ...

- დიდება მოგსვლოდეს კაჷშა თარინგზელო, დაიცავი ზვავისაგან ჩვენი სამოსახლო (გიმ-მიწა, მეგემ-ხე).

ამ დღეს „მაცხუარის" ლოცვა განკუთვნილია იმისათვის, რომ დაიცვას მან მისი მახვეწარი სიცხიანი ავადმყოფობისაგან.

- დიდები ლეჭედ მაცხუარ ლატლარშ! ისგუ ნაფიშდ მაზიგ ნრს ლახთგლე ჷ ისგუა სიფისგა ნიშუკალ ხოშა ნრარ ჩემინე...

- დიდება მოსასვლელო მაცხუარ ლატალისაო, შენი გაშვებული ავადმყოფობა არავის არ მიაკარო. შენს სიფში მწარედ შესაცხადებელი არავინ არ გაწირო...

სამშაბათი ზვავის საწინააღმდეგო უქმე დღეა.

„ხოლა ჯგმაშ“
(ოთხშაბათს)

ოთხშაბათს „ხოლა ჯგმაშია“ (ცუდი ოთხშაბათი), რადგან ამ დღეს ლოცვა არ შეიძლება. საერთოდ „ხოლა ჯგმაშს“ და „ხოლა ვებიშს“ ვეძახით იმის გამო, რომ ამ დღეებში ლემზირებით ლოცა აკრძალულია. ეს დღე სამუშაო დღეა. ამ დღის ცუდმა ამინდმა მარხვისას ცუდი ამინდი იცისო.

Saxjg girgvliani - gvichianis. 1995 w. iphi.

„ლიმქგლდი“
(ხუთშაბათს)

სოფ. ლახუშდის ზემოთ წმინდა ადგილია, სადაც „ლიმქგლდი თარინგზელის“ სალოცავს ეძახიან და აღნიშნავენ მის დღეობას „ლიმქგლდი“-ს. ეს დღეობა ქალთა დღეობაა და ძველად აქ ლიდბაში - ლიმზგრი იმართებოდა მათ მიერ. დღეს კი თან მიაქვთ დაცხობილი ლემზირები და სანთლები, სურვილის მიხედვით ზედაშე. უქმე დღეა. ილოცებიან ყურების ტკივილის საწინააღმდეგოდ.

- დიდბი ლეჭედ ლემქგლდი თარინგზელ, ლანეშდ ი ლანგნთხილ შდგმრალე მაზიგხან ნაჟ ი ნიშგუეჟ ქორა მერდე მარე დიდბი ლეჭედ.

- დიდება მოსასვლელო ლემქგლდის თარინგზელო, გვიშველე და დაგვიცავი ყურების ტკივილისაგან ჩვენ და ჩვენი ოჯახის წევრები, დიდება მოსასვლელო.

ოჯახის წევრს, რომელსაც ყურის ტკივილი აწუხებს, დალოცავენ ლემზირებით და ზედაშით.

„ხოლა ვებიშ“ - ცუდი პარასკევი. პარასკევი დღე, ამ კვირის, ისევე როგორც ოთხშაბათი, ცუდი პარასკევია. ამ დღეს იფხელები უქმობენ, სოფლის სხვა უბნელები - არა.

„ლელუმი ალაბ“
(კვირას)

კვირა დღეს მთავრდება ხორციელი. ამ დღეს მიცვალებულებისთვის მზადდება საკურთხი სუფრა - ლეფანე. აუცილებელია მათთვის გაკეთდეს კერძი - ცგრცმა (ღორის ქონში მოხარშული ფეტვის ფქვილი), ასევე აუცილებლად უნდა მოიხარშოს „ლეიღაბ“-ის ბარძაყი (ამ ბარძაყის რბილი ხორცისგან „ღენიარუს“ დღეებში მზადდებოდა შესალოცი კუბდარები, ხოლო დარჩენილი ძვალი ამ დღისთვის ინახებოდა). ლიფანე-ს შემდეგ ბარძაყის ძვლებს შეაგროვებენ და გადააგდებენ ეზოში შემდეგი სიტყვებით - ელო, გელო, ალი ამზაკ ჯაფდეს ზავდ ვანმი ლესგს აჯკვანნე“...

- ელო-გელო, წელს ეს იკმარე, მომავალ წელს ხარის ბარძაყს გამოგიგდებ. (ელო-გელო მგლის სახელია!). ხარის ბარძაყის მოლოდინში ელო-გელო ნაკლებად ავნებს ჩვენს საქონელს.

Saxjg girgvliani - gvichianis. 1995 w. iphi.

* * *

„ლითნაღის“ (ორშაბათის) მომდევნო კვირა დღეს ლახუშდის გვარები და ლამის ფირკხელანები დღესასწაულობენ „ლიქურეშის“. მას თვითეული გვარი სათავისოდ აღნიშნავს; ფირკხელანები ცალკე, ხვანთელანები ცალკე, ასემბანები ცალკე და ა. შ. ერთი წელს გვარიდან ერთი ოჯახი ხვდება მთელს სოფელს (მორიგე), მეორე წელს მეორე და ა. შ. ლიქურეში ლახუშდელებს დარჩენიათ მას შემდეგ, რაც თანღილობიდან დაბრუნებულებს (ლატალის გვართა თვითოეულ წარმომადგენელს) ჩამგელანების კოშკის სათოფურიდან უსვრიათ თავიანთი თიხის საზედაშე დოქები (სტამანნალარ) და დაბლა ყველასი გამტყდარა, გარდა ხვინთელანებისა და ლახუშდელებისა. აღნიშნულის ნიადაგზე მათ ღვთის სადიდებლად „ლიქურეში“ დაუწესებიათ.

Mixo wereduiani 1992 w. ednaši.

ყველიერი
„ლილაობ“
(სამშაბათს)

ყველიერის ორშაბათი მგქემ თარინგზელის სალოცავი დღეა. ამ დღის მეორე სახელწოდებაა „მეშხე ფხუ“. იგი მამაკაცებისთვის სვე-ბედის სალოცავიაო. ქალები ლემზირი - ხაჭაპურით შესთხოვენ მაცხუარ ფხუ-ს მათ ბედნიერებას. ილოცებიან შინ, სალოცავ სარკმელთან.

ყველიერის სამშაბათს „ლილაობ“-ს ეძახიან. ამ დღეს განსაკუთრებული მოსაკითხი უნდა მიგვეტანა ახლადმოლოგინებული ქალისთვის, ჩვენი „ჰასიშის“-თვის (ჰასიშ - ასული); გამოვაცხობდით დიდი მოცულობის კანაფგარეულ ან ფეტფგარეულ ხაჭაპურის ლესკარს. მაგრამ ფეტვიანი ნაკლებ მიღებული იყო,

ვიდრე კანფიანგულიანი. ამ პურს „ბიხო“ ჰქვია. მას, გამოცხობის შემდეგ, აღვუვლენდით ჩვენს სახლშიგე ლამაწრიას, ახლად მოლოგინებული ქალის და ბავშვის სახელზე. შეესთხოვდით მათს ჯანმრთელობას და ქალის კარგად მორჩენას. ლოცვის დამთავრების შემდეგ ბიხოს წავიღებდით ქალის „ლამთილში“ (ქმრის სახლში) და იქ მათთან ერთად მივირთმევდით. რადგან ამ დროს მათი ოჯახი ქალის მოლოგინების გამო „უწმინდურად“ ითვლებოდა, არ შეიძლებოდა იქ ბიხოს აღვლენა ლამარიასთვის. ძველად ბავშვის გაჩენისას არც ქეიფი ტარდებოდა და არც არაფერი ერთ წლამდე. ერთი წლის ვაჟიშვილს „ლინზაურეს“ გადაუხდიდნენ. ეს იყო და ეს, სხვა არაფერი. ლინზაურე დღეს ნათლიას დაუნიშნავდნენ. ნათესავებსაც ამ დღეს დაპატიჟებდნენ.

ლილაობის დღეს ვისაც მოლოგინებული ჰასტეში არ ჰყავდა, წესად იყო სამი ლიტრა არყის წაღება მის ლამუარიდან ლამთილში. ლილაგს წამღებს ასაჩუქრებდნენ და კარგად უმასპინძლდებოდნენ. „ლილაობ“ - გათხოვილი ასულის მოსანახულებლად ძღვენის (მამისეულ სახლიდან) მიტანის წესია.

სახჯგ გირგვლიანი - გვიჩიანის. 1995 წ. იფხი.

საშა გირგვლიანი 1994 წ. ლატალი. მაცხუარიში.

„ტარი ჭაბგობ“ || „ტარი ჯგმაშ“

(ოთხშაბათს)

ყველიერი ოთხშაბათს ყველის ან კანაფის გულიან (ლგგგმბაშ) ლესკარს გამოაცხობდა დიასახლისი. საღამოს მას მთელი ოჯახი ჰაგაშში (წინგარდი) გაიტანდა. იქ ლესკარს ოჯახის უფროსი „შესწირავდა“ ტარ-ჭაბუკს ვედრებით: ამ სახლის საქონელი და ადამიანი კარგ გულზე გვამყოფეო. შეწირულ ლესკარს ოჯახის წევრები იქვე გაინაწილებდნენ და შეჭამდნენ, შემდეგ შინ-აში შევიდოდნენ და ივახშმებდნენ. ტარი ჯგმაშ ორჯერ მოდის წელიწადში და განკუთვნილია საქონლის სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის. ერთი „ლიკულთხანალის“ მეორე დღეს მოდის მეორე-ყველიერის ოთხშაბათს და მას ყველიერი ჯგმაშ ან ტარი ჯგმაშ ეწოდება. ჯგმაშ - ოთხშაბათია, ტარი - ანგელოზი.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 208 ф[1]

საქალალდე №30, გვ. 60, ლატალი.

დღეს, „ტარჭაბიკვისთვის“ განკუთვნილი ყველიანი პური ჰაგაშში არც ილოცება და არც იჭმევა. მას სამზარეულოში ალავლენენ და მიირთმევენ. (ნ. წ.)

„ყველიგრი ცაშ“ (დულ).

(ხუთშაბათს)

„დულ“ - ქალების უქმეა. გაზაფხულზე და ზაფხულში, როდესაც დიდი წველაა, („შერშლობ“) ქალები 7 ხუთშაბათს აცხობენ ხაჭაპურს „დულს“, სთხოვდნენ ლამაწრიას რძის მომატებას. „დულს“ მამაკაცების ჩუმად შეჭამენ.

არქივი ვ. ბარდაველიძე, 209 ф[2] №681. გვ. 1 ლატალი 1931 წ.

„ყველიერი ალაბ“

(კვირას)

კვირას ყველიერის კვირეულიც მთავრდება. მანამ, სანამ მიცვალებულის საკურთხს გაამზადებ, გამოსაცხობია ლემზირები „ყველიერი ლამაწრიას“ სახელზე. აუცილებლად ეს ლემზირები ყველიანი უნდა იყოს. სხვა საკურთხთან ერთად ესენიც უნდა ეკურთხოს ლოცვის შემდეგ გარდაცვლილებს. საკურთხიც მხოლოდ ყველისაგან გაკეთებული კერძები უნდა იყოს. ყველიერის კვირის მანძილზე ლოცვა მხოლოდ ყველით შეიძლება. დაუშვებელია ამ დროს ხორციანი ლემზირები. მათით ლოცვა ხდება ხორციელის ალების ორსავე კვირაში, ხოლო ყველიანები იმ დროს დაუშვებელია.

სახჯგ გირგვლიანი - გვიჩიანის. 1995 წ. იფხი.

* * *

თაში ალაბის ღამეს გამოაცხობენ ხაჭაპურებს მრავლად და კარგ ვახშამს გააწყობენ. ვახშმის შემდეგ ხელმეორედ აკეთებენ ხაჭაპურს: ყველჩართულ რძის ფაფას „ქაქს“ ან „თაშმჯამს“. ვაჟები კერიასთან ცალ ფეხზე დადგებიან. ერთ ხელში ჯამით ფაფას დაიჭერენ, მეორეში კოვზს. ჭამენ თან კერას გარშემო - უვლიან ასკინკილათი და გაიძახიან „ში“ ფაფა გემრკელად დინა ყუნედი ჭყინტ ლგფუთე ჰაა.

არქივი, ვ. ბარდაველიძე, 209 ф[2] №676, გვ. 5.

ქვერიჯა ფარჯიანი 1934 წ.

* * *

ლიმპარი ლადაღ მაცხუართეჟინ ესღუაბ ლამპრალ ღვაჟმარემი შელდ: ესღრიხ ზედაშშ, ლემზირშ, იმზირხ, იღრალხ, იხრულხ ეჩგნქა დემგუბაშ იჩოხ.

ლიმპარის მიშლადაღ ახჭემნი ეჩქას-ლი ლიჭდუში (ნაკიცშ!). ალი მაცხუარშალს ნაღულაჷ ნარ მეზრა თარინგზელხან. ხამმი კუბადს იმზირ: მეზრა თარინგზელ, ბარბალ-მგხერ თარინგზელ, თანღი თარინგზელ, ჯგერაგ უღულაშშ. ალ რშთხუნქა ხამმი კუბადს - ლემზირშ მანგუეშ იმზირ. ამღა ლიჭდუში ლადაღ ხვიმზირდ კუბდი ლესკარშ ალ რშთხუ ლაჭუამხან. ჯანმი (შესაბამისად ყველა მამრთობითი სქესის საქონლის ხორცის) კუბადს იმზირ მაგ ლაჭუამ, ალ რშთხუნქა. ხამმიში მაგ მამ იმზირრლი ეჯღა ლი უწენალ მეჷსრაბ ლადაღ. უწენა ჩი გუარიშდ მრშ-მოშ ლი-მამ მიხა იმღადო.

ლიმპარინღო თახაშ ერ ჭედნი ეჩქას ლაჭლა თახაშ ლი. ლიმზირ ლი ლაჭლა ჯგერაგჟინ. ჯგმაშ მაშაჷ, ცაშ ხეჭლმობ ლი, იმზირხ ჯგერაგ ხუჭლმრშს - მაღუეღიახან ესერ ლი. ალის საფტინ ხეჭმენი ეჩქას ლი ლიჯგრი საფტინ. ალის მიშლადაღ ხეჭმენი ეჩქას ლი ლიჭდუში. ალის დეშდიშ ეჩქას თანღილ. ალის ცაშ ხეჭმენი ეჩქას ლი ლიმქგლდი. იმზირხ ლიმქგლდაში თარინგზელხან. ლეღუმი ადაბ-ლი ჷრრი ნაგზი. ლეღუმი ადაბუნღო იბნი თაშმი ადაბ. ექგრდას ხაშხა „ალბიერ''.

თაში ადაბისგა თაში ოხდრიშშ გარ შიდ ლიფანალი ი ლიმზირი. ალ ნაგზაისგა დეშდილადაღ ღვაჟმარემი სეუხან ლისგურეშ ლი. თახაშ ლალაობ, ჯგმაშ-ტარი ჯგმაშ, ქულუმგენახან ესერ ლი. ქორს ქალანყედ ლესკარს ი ჰაგაამისგა ჟილამზგრიდ: მუქუხს შენდბა, ჭაბიკუს დიდაბ. მიშლეთ ქალოფანედ თაში ოხდრიშშ. ლეღუმი ალბიერ იზგგრი ეჩქასი ქალოფანედ - ლეღუშ! ყველიერ ერ იზგგრი იბნი ლილჩალ. (7 ნაგაზი).

მარო ფარჯიანი - გირგვლიანის. 1995 წ.

ლიმპარის დღეს მაცხოვრის ეკლესიის ეზოში ააქვთ ლამპრები მამაკაცის რაოდენობით თვითოეული ოჯახიდან. მიაქვთ ზედაშე, ლემზირები, ლოცულობენ, იგალობებენ, იმხიარულებენ. ამ სალოცავში აღნიშნულ დღეს მხოლოდ მამაკაცები მიდიან. ლიმპარის მომყოლი კვირა დღე ლიჭდუშის დღეა. ის ხორცით ხდება (ლივრაშისაგან განსხვავებით!). ეს დღეობა მაცხვარიშელებს დაბეგრილი გვაქვს მეზრა თარინგზელისგან. ღებულობს ღორის ხორცის კუბადს (მხოლოდ „ლეღაბის''!). ღორის ხორცის კუბდარს (ლეღაბის) ღებულობს ასევე ბარბალ-მგხერ თარინგზელ, თანღი თარინგზელ, ჯგერაგ უღულაშის. ამ ოთხის გარდა ღორის კუბდარს ლემზირით სხვა არ ღებულობს. ამის გამო, ლიჭდუშის დღეს აღვავლენთ კუბდარის ლესკარს ამ ოთხი სალოცავისთვის. ხარის და შესაბამისად მამალი საქონლის ხორცის კუბდარს ყველა სალოცავი შეიწირავს ამ ოთხის გარდა. ღორის ყველა ნაწილიც არ შეიწირება, ამიტომ გვაქვს უწენალები მეჷსარაბის ღამეს. უწენა ყველა გვარისთვის სხვადასხვაა, არ ვიცი რატომ.

ლიმპარის შემდეგი სამშაბათი ლაჭლა თახაშის დღეა. ლოცვა ხდება ლაჭლა ჯგერაგის საყდართან. ოთხშაბათს არა და ხუთშაბათს „ხვალმია''. ლოცულობენ ჯგერაგ ხუჭლმრშს - გრიპისა და ხველების დამცავი არისო. ამას შაბათი რომ მოჰყვება, მაშინ არის ლიჯგრის შაბათი (ლიჯგრი მღვდლით გარდაცვლილთა სუფრების კურთხევის წესია) ამას კვირა რომ მოჰყვება, მაშინ არის ლიჭდუში. ორშაბათს - თანღილობა. ხუთშაბათს - ლიმქგლდი, ლოცულობენ ლიმქგლდაში თარინგზელისთვის. მეჷსარაბიდან ამ კვირის კვირიაკემდე არის ხორციელი. ხორციელი არის 2 კვირა. მის მერე იწყება ყველიერი. ორივეს ერთად ჰქვია „ალბიერ''.

ყველიერში ყველით მარტო შეიძლება ლიფანეც და ლოცვაც. ამ კვირაში ორშაბათი დღე მამაკაცის სევისთვისაა (სვე!) - უქმეა. სამშაბათი - ლილაობაა, ოთხშაბათი - ტარის ოთხშაბათი (ტარი ჯგმაშ) - საქონლისათვისაა ეს დღე მიკუთვნებული, სახლში დავაცხობთ ლესკარს და ძველი სახლის წინგარდში აღვავლენთ: - მუქუხს შენდობა, ჭაბუკს დიდება! კვირას ყველის ნაწარმით შევუნდობთ სულებს. ხორციელის ბოლო დღესაც ვიცით სულებისათვის სუფრის დაფენა (ლეღმი ადაბლენთ), მხოლოდ ხორცით. ყველიერიც მთავრდება და მეორე დღეს 7 კვირიანი მარხვა იწყება.

* * *

ლიმპარის ხოშა ღერთაალე ტაბლარ ლიხ ლენყე. ხოშა ღერბეთიშ მრშ, თარინგზელიშ მოშ, ჯგერაგიშ მოშ. ხოშა ღერბეთი ტაბგლ: 1 მუყეღუ, 4 სეფსკუერ, 1 მუსუბალდ, 6 ლემზირ (= 12 ც.). მგქემ თარინგზელიშ: ეშხუ ხოხრალა ლესკრილ. ჯგერაგიშ - 9 ც. აშ ლემზირ. ტაბგლ ჩრდად ჭურუ ჭიკნანქა ლი ლენყე - ჩიღად კუან ლემზირ. ჟილემზგრი ლიხ სგეჷხან.

დეშდიშ ქორს ლემზირდ ბარბალ-მგხერ თარინგზელს - სგეჷხან. თახალადაღ ლაჭლა თახაშ-ლი: ღვაჟმარემი ჯამშახან, განკუეთხან, შიდბახან. ლიმზირ ლესფალ ლიმზირ ლი ლაჭლა ჯგერაგს. ესღუახ ზედაშ, ლემზირალ, ლეტრე. ქუთ ი კუბად - მინეშდ. ალის მამ ხამზგრიხ. ბარბალ - მგხერ თარინგზელიშდ კუბდი ლიმზირს ჩუ ხაყა. ჯგმაშ კასამპრლა ჯგმაშ ხაშხა: ლენყე ლი ქორა მერდე მარემი შელდჟინ

ქუთ ლემზირაპლ. ალიპარ უწენაფ ლიხ ლეზებ - ლიმზირ მპმ �lი. ლიმზირ მპმ ლი აპლ ნაგზაისგა ვებიშსი. ამლა ლატულიდ აპლ ვებიშს ი ჯგმაშს ხოლა ვებიშს ი ხოლა ჯგმაშს. ლიმპარინლო მიშლადაღ ლი ლიჭ-დუში. ნაკიცშ. (მაცხვარიშ). ლახუშდარ ი ლამჰპარ აპლ პერიოდჟინ იჩოხ ლიქურეშის ჟორი ლადაღს - საფტინს ი მიშლადაღს.

ცაშ ხვალმი ლი. ლემზირაპლ ლი ლენყე ერვაჟს ხეგდი ეჩი - ჟახაჟინ. ლამზგრიდ ჯგერაგ ხვალმიშს (ჰეცერს სგვეჯი!): ჯგერაგ ხვალმიშ, ჟიბე ლგკლაპთხე ისგუ მეფშდე მაზიგ - მაშურია ლეჟა ბიქუს ლახო, ლექუა ლიცს. ლამზგრჟინ ლამპრიალს ხაკუჩ ჟილიგნე მგტარს ლაფრათეჟინ. ამთეჟინ ლი ლეჟინე აჯაჟდ, ჟაჭეერ აშხლიდჟინ ლენცრლე სემი კურაპალ. ქორს კუბდარს ჟილამზგრიდ ჯგერაგ ხვალმიშხან. ლიმზირ ლი - ჰამს სადილობჟინ.

ვებიშ ჰამს ლიტყრიელ-ლი. აპლ ლადღი მეტყირის ფატნი ჰამარშ ი ლაჩონთხალარშ ქა ლეგედ ხარ კალთექა, ლერსგუანთე სამუნ ლესიპ ი ლექურესგ: ნიშგუეჟ ქუით ჰარინ კარი, ნიშგუე ქუით ჰარინ კარი, ნიშგუეჟ ქუით ჰარინ კარი. აპლ ლადაღ მეტყრიშდ კუბად ჯარ ლენყე. ლენყე ლი კუბად მგლდეღიშდ. მგლდეღს ქალეგნე ხადდა აპლ კუბად ცხეკთე (ღვესემი კუბად) ი ეჩეჩუნ ჟილემზგრი ჯგერაგშდ: - მგერი ჯგერაგ, ჟიბე ლგკლაპთხე, ანფიშირ ი ანგნთხილ ნიშგუეჟ დაჯარ. აპლ ლადაღ მეტყრავი ჩალსგურეში, ქორა ლეშდბარ მპმ ხარ ლეჩემ მიჩ, ეჩგნქა მეარმე მარა ლიჩმიშ ხარ.

საფტინს ლი ლიჰევწარი || ლიდმესარი. ლენყე ლი ხევწარაპლ, კუბდარ, ლემზირაპლ (3 ც). მაგ დარბაზთე ლი ლეჟი. აპლ ლადაღ მენენს ქულუმგენემიშდ ხოჩა პატივ ხარ ლეყრინე. ლახუს როქ ენრ ხეშყდენი აპლ ლენთ - ლიმტრეკუპლს როქ იბნეხ. მენენ დარბაზჟინ იმზირ: ჯგერაგ ლიხევწარაშ სი ლანეშდ ლენენ ი მენენ ხოჩა თაპლაშდ ენურდინ, ქულუმგენე ჩანფიშირ. ლიხევწარის მაჩენამდ ისგუ დიდაბ ას ჩუხამურჯენს მერმად ნაჟ ენმარჯ. ქორს ჟილამზგრიდ ქუთუარს, კუბდარს, ხევწარაპლს. ქულუმგენახან ცალკე, ლემზირდ ჯგერაგ ლიხევწარაშს. ჯგერაგს სგუეჯი ალიეჟ.

მიშლადაღ ლი ლიჭდუში მაცხუარიშ, ლიქურეში-ლამს ი ლახუშდს. ალიარ ლიხევწარი ლადაღ ჟი იყუბიხ ი ჯიდეხ ნაკიცს. ამჟი ლენ ხარხ მაცხუარშაპლს ქრისდეში უიჭმისგა - ეჯი ლობიოშ ლი. ხაშხა ლივრაში.

დეშდიშ ხეხრალი ლიითნაღი. აპლ ლადღი ლამპარ ხვაჟს ხაგად. ჟილგტრე ლამპარს ჰაზისგა ჟალჯენიხ (მუსისგა). აგის იმზირხ თანღი თარინგზელს. ლიმზირ ლი ღვაჟმარეხან. ლისგურეშ ლი ჟაჰხან. ხეკუეს ჟილახმაზრა სემი ლემზირ კაჟშა თარინგზელს, ლეჯგრალდ ჟაჰხან ლინთხლეს. კაჟშა თარიგზელ სგუჯი მეზრა თარინზელს - მიჩა ნაწილ ლი ეჯლა. კაჟშა თარინგზელი ლიმზირ ლი თახაშ-ვებიშ.

ჯგმაშ ხოლა ჯგმაშ ლი. ლიჩმიშ. აპლ ლადღი ხოლა დარს ლილჩალე ხოლა დარ ხოხა. ცაშ ლი ლიმქგლდი, ლახუშდ ჟიჭნ ცხეკისგა ლი ლიმქგლდაში თარინგზელ (ტანარ ლიხ ამჩრენ), ლადბაშთე ესლრიხ. ხეჯგრალხ შდგმრალე მაზიგხან ლინთხლეს. ესვაჟს შდგმრალ ხეზგი ეჩი ჟახაჟინ ცალკე ესლუახ ლემზირაპლ. იმზირხ ოხდრიშშ. ლისგურეშ-ლი.

ვებიშ ხოლა ვებიშ ლი. ლიჩმიშ ლი. ნაჟ მპმ ხვაშდბად აპლ ლადაღ.

ლიმპარის დღეობისას დიდი ღმერთების ტაბლებია დასაცხობი. დიდი ღმერთის ტაბგლია; 1 ცალი მუეელუ 4 ცალი სეფსკვერი, 1 ცალი მუსუაპლდი + 6 ცალი ლემზირი (= 12 ცალი). მგქემ თარინგზელის: 1 ცალი მომცრო ლესკარი (სამლემზირიანი, გადაბრუნებით გამოცხობილი.) ჯგერაგის: 9 ცალი ცარიელი ლემზირი. ტაბლა ყოველთვის ხმიადი ცომისგან ცხვება და ყოველთვის ცარიელი ლემზირით. ესენი აღსავლენია ვაჟიშვილის (სგეჟ) სახელზე.

ორშაბათს, (ლიმპარის მეორე დღეს) ვახსენებთ ლოცვით ბარბაპლ - მგხერ თარინგზელს - ვაჟიშვილისთვისაა ეს ლოცვაც. სამშაბათს ლაჰლა თახაშის დღეა; მამაკაცის ძალას, შესაძლებლობას და მშვიდობას შევსთხოვთ. სასოფლო დღეობაა ლაჰლა თახაშ. ლოცვა ლაჰილის ჯგერაგშია. მიაქვთ ზედაშე, ლემზირები, სანთლები. ხაჭაპური და კუბდარი - თავიანთთვის, მათ არ აღავლენენ. ბარბაპლ-მგხერ თარინგზელისთვის მათი (ხაჭაპურის და კუბდარის) აღვლენა შეიძლება. ოთხშაბათს კასამპოლას ოთხშაბათი ჰქვია: დასაცხობია ოჯახის წევრთა რაოდენობით ყველიანი ლემზირები. ესენი უწენად არის მისართმევი, ლოცვა არ ხდება. ლოცვა არ ხდება ამ კვირის პარასკევ დღესაც. ამის გამო ვეძახით ამ ოთხშაბათ-პარასკევს ხოლა ვებიშს და ხოლა ჯგმაშს. (ხოლა ჯგმაშის დღეს ხაშშერებს, წერედიანების ერთ-ერთ საძმოს, საქონლის სადგომის გაწმენდა აქვთ აკრძალული. მსგავსი აკრძალვები მთელს ლატალში აქვს ყველა საძმოს, საძმოში თვითეულ ოჯახს, ოღონდ წლის სხვადასხვა დროს. ნ. წ.). ლიმპარის შემდეგ კვირას არის ლიჭდუში - ხორციანი კუბდარით. (მაცხვარიშში). ლახუშდელები და ლამელებიც იხდიან ამ დროს მსგავს დღეობას ოღონდ ორ დღეს - შაბათს და კვირას, ეძახიან ლიქურეშის.

ხუთშაბათი ხვალმის დღეა, ვისაც ევალება, მის სახელზე ლემზირებია დასაცხობი. ვახსენებთ ჯგერაგ ხვალმის (ეცერშია ეს სალოცავი): - ჯგერაგ ხვალმისაო, ზეამაღლებულო, შენი გაშვებული ავადმ-

ყოფობა და სიავე ზემოთ ქარს გაატანე და ქვემოთ წყალს. ლოცვისას ლამპარია (პატარა) ასატანი დერეფანზე. აქ ასევე ამოსატანია არყის ხის ტოტზე აცმული სამი პატარა ბურთულა კვერი. სახლში ჯგრაგ ხვალმის კუბდარს აღვავლენთ. ლოცვა ხდება დილით.

პარასკევს დილით „ლიტყირილ"-ია. ამ დღეს „მეტყირი" (ის ვინც წესს ასრულებს!) პერანგის და ქოშების ამარა უნდა გამოვიდეს, მარჯვნივ სამჯერ შემოტრიალდეს და თქვას: - ჩვენი ქურდი ცარიელ-ტარიელი, ჩვენი ქურდი ცარიელ-ტარიელი, ჩვენი ქურდი ცარიელ-ტარიელი. ამ დღეს მეტყირისთვის კუბდარი გვაქვს ცალკე დასაცხობი. კუბდარია ასევე დასაცხობი მწყემსისთვისაც. მას ეს კუბდარი უნდა გაეტანა ტყეში და იქ უნდა აღევლინა ჯგრაგისთვის. (ეს კუბდარი ბადექონისგან იყო დაცხობილი). - მწყალობელო ჯგრაგო, ზეამაღლებულო, ამრავლე და დაიფარე ჩვენი თხები. ეს დღე მეტყირავისთვის უქმეა, სახლის სამუშაოდან თავისუფალია, სხვებს, ოჯახის წევრებს, სამუშაოს შესრულება შეუძლიათ.

შაბათს ლიჰევწარია || ლიღმესარი. დასაცხობია ხევწარები, კუბდარები, ლემზირები (3 ც) და დარბაზზეა ისინი ასატანი. ამ დღეს საქონლის მკვებავმა საქონელს კარგად უნდა მოუაროს. მთაში ახსენდებათო ამღამინდელი სიამოვნება - სიმაღრე! - და კუნტრუშს იწყებენო. მენენ დარბაზზე ილოცება; - ჯგრაგ ლიჰევწარისაო შენ გვიშველე. გამოსაკვებიც და მათი მკვებავიც კარგად გვამყოფე, საქონელი გვიმრავლე. ლიხევწარის თუკი ვინმეს შენი დიდება გამარჯვებია, მეორედ ჩვენ გაგვიმარჯვე. შინ აღვავლენთ ხაჭაპურებს, კუბდარებს, ხევწარებს, ლემზირებს, საქონლისთვის ცალკე, ადამიანისთვის—ცალკე. ვახსენებთ ჯგრაგ ლიხევწარისას. ჯგრაგის სალოცავში სუფევს ეს წმინდა ნაწილიც.

კვირას მაცხვარიშელების ლიჯდუშია. ლიქურეში - ლამში და ლახუშდში. ესენი ლიხევწარის ღამეს შეიკრიბებიან და მოიტანენ ხორცის მხოლოდ მსუქან—თეთრ ნაჭრებს. მსგავსი დღეობა აქვთ მაცხვარიშელებს ქრისდეშობის მარხვისას, ოღონდ ლობიოთი. ჰქვია ლივრაში.

ორშაბათი ლითნალის დღეა. ამ დღისთვის ლამპარი ბევრს ავალია, ანთებულ ლამპარს ეზოში დაამაგრებენ (თოვლში). შინ ილოცებიან თანღი თარინგზელისათვის მამაკაცთა სახელზე. უქმეა ზვავის საწინააღმდეგოდ. ლემზირები ამის გამო კაჲშა თარინგზელს უნდა აღუვლინო. ვევედრებით ზვავისაგან დაცვას. კაიშა თარინზელი მეზრა თარინზელის სალოცავშია, მისი ნაწილია და იმიტომ. კაიშა თარინგზელის ლოცვაა სამშაბათს და პარასკევს.

ოთხშაბათი ცუდი ოთხშაბათია. უქმე არ არის. ამ დღის ცუდმა ამინდმა მარხვისას ცუდი ამინდები იცის. ხუთშაბათს - ლიმჭღლდა; ლახუშდის თავზე ტყეში „დგას" ლიმჭღლდაში თარინგზელ (ბუჩქებია აქ!), სალადბაშოდ მოდიან, ევედრებიან ყურების ტკივილებისაგან დაცვას. ვისაც ყურები სტკივა მის სახელზე ცალკე მიაქვთ ლემზირები. ლოცულობენ ყველიანით, უქმეა. პარასკევი ცუდი პარასკევია. ჩვენ არ ვმუშაობთ ამ დღეს.

* * *

ჯინალეინ პირველ თებურუალს ჩილად ლი სვიმნიშ || ქუინი ლამპარობ. 2 თებურუალს - ღერთაჲ ლაშპრობ, მაცხვარშალე ლიგუნაშალი || ლიჩაჩხიულ. 3-ენ დეცე ლაშპრობ. თხერემი ლაშპრობ ოვალადაღ მაშმ მასმა. მთელ შანს დეცე ლამპრობ ნალულაჲ გვარ ბუგურირხენ ი წითლაჲხენ.

ძველით პირველ თებერვალს ყოველთვის არის სვიმნიშ || სულის ლამპრობა.

2 თებერვალს - ღმერთის ლამპრობა, მაცხვარიშელების ლიგვანაშალი || ლიჩაჩხიული. 3 თებერვალს - ცის ლამპრობა. მგელთა ლამპრობა არასოდეს მსმენია. მთელ სვანეთს ცის ლამპრობა დაბეგრილი გვაქვს წითელასა და ქეცის საწინააღმდეგოდ. („წითლაჲ ი ბუგურირ").

* * *

ლეღრმი აღაბლენთ ლიფანე ლი ცგრცმოშ: ხამმი ჭყანისგა ფეტრაჲ ფექს აჯაბდახ. ათხე, ჟილაჯაბდ ტახმი ფოყს ი ქალოფანედ. ნაფანუნღო ჯიჯუარს გელოს ქალოკანედ: ელო-გელო აღი ამზატ ჯადედეს, ზავდ ჭანმი ლესგს აჯკუარნე (ლეღროანალ!). აღლს ლიჩოდ მიშლადაღ შომაჲ ლიღრმი აღაბ იზგარი.

ხორციელის ბოლო ღამეს გასამზადებელია სულთა საკურთხად ცგრცმა; ღორის ქონში მოხარშული ფეტვის ფქვილის ფაფა. ასევე მოსახარშია ღორის უკანა მხარის (ფოყ) ძვალი (მისი ხორცი ღენიარუს დღეებში დაიხარჯა.) და საკურთხია სულთათვის. კურთხევის შემდეგ ძვლებს გელოს გადავუყრით: - ელო-გელო ეს წელს იმყოფინე, მომავალ წელს ხარისას გამოგიგდებო - მისაძახებელია ძვლის გადაგდებისას. ვატყუებთ ელო-გელოს. (მგელია ელო-გელო!). ამას ვაკეთებთ კვირას, როდესაც ხორციელი მთავრდება.

* * *

ყველიერი დეშდიშ ლიმზირ ხაკუჩ დეშდშიაკ მგქემ თარინგზელს. თეთნე ფხუ ხაშხა აღ ლაფალს. თანხაშ ლილაობ-ლი. ცაშ ზურაწლა წეს ლიმზირ - კერი ლიმზირ. მიშლადაღ თაშმი აღაბ იზგერი. აღ ლეთ ხაკუჩ ყველიერი ლამარიკ ლიმზირ, ეჩქანლო ლიფანე ოხდრიშშ - თაშშ გარ. ლელვს ლელრში აღაბლეთ გარ იფანე.

ყველიერის ორშაბათს ლოცვაა საჭირო ორშაბათის მგქემ თარინგზელისათვის (დეშდშია მგქემ თარინგზელ!). თეთნე თხუ - თეთრი ფხუ ჰქვია ამ დღეს. სამშაბათს ლილაობის დღეა. ხუთშაბათს ქალების საწესო ლოცვაა - კერის ლოცვა. შემდეგ ლეფანეა ყველიანით. ხორცი მხოლოდ ხორციელის დროსაა საჭირო. ხორციელისას ყველი არ იხმარება.

* * *

ღენაარიშდ კვეცენხანქა მაგ ქალდესგიდა შდაშ ფექს. ამხანქა ინყოლდა ლემზირ მაგ. მაგაკ ჟიმზეროლდა აღ ზაკსგა. აღის ხეშხან გუიზ. ლალცხატს მაგაკ დაბ ხაზდან ეჯის ლაგუზს ხატილდახ. ამეჩუნ ალაშიდახ კვეცენს ი აღი მაგ ლას გუიზიკქ. ლაშმინად ფეტრას ხოცადდახ შგანაგ. მერმა ზაკს კუეცენ, ლაგუზ დაბისგა ილაშოლდა. აღ ღენაარიშდ გუიზხანქა მარშდ იშხუინდახ უფენან გუიზს. ამხანქა უფენალ გარ ინყოლდა. უფენალ ლიხ ღენყე ჭაბგობლეთ, ბარბლაშს, კასამპოლა ჯგმაშს ი ისგლილჩალა ჯგმაშს.

კვეცენს მაგ წყლიანჟინ ხეშდაბდა. უშდა ზურალ დაბთექა მამ ღერდა. სოფელისგა ღგდგარ ზგსდან ეჩქას დარ ხაშდაბდა. ამნოშ კუეცენ ჩილად წყლიაკ ლას.

სადღეობოდ ხორბლის მარაგიდან ყველა გადადებდა ცალკე ფქვილს. აქედან ცხვებოდა ყოველივე ლემზირი, რაც რამ აღევლინებოდა ამ წელს. ამას ერქვა გუიზ. ლალცხატის მიწის გვერდით რომელი ნაკვეთიც იყო, მას ლაგუზს ეძახდნენ. აქ თესავდნენ ხორბალს და იგი მთლიანად გუიზისთვის იყო განკუთვნილი. (საგვიზე კუეცენი!). მიწას დასასვენებლად ფეტვს შეუცვლიდნენ. სხვაგან ამ მიწის ზომის მიწაზე ხორბალს დათესავდნენ. მეორე წელს ხორბალი ისევ საგვიზე ყანაში ითესებოდა. ამ გუიზიდან ცალკე ინახავდნენ უფენალებისთვის საჭირო გუიზს. მისგან მხოლოდ უფენალები ცხვებოდა. უფენალები დასაცხობია ჭაბგობის ღამეს, ბარბლაშს, კასამპოლა ჯგმაშს და შუა დიდმარხვის დღეს - ოთხშაბათს. საგვიზე ხორბალს ყველა წმინდად ყოფნისას ამუშავებდა. დედათა წესით ქალი ყანაში არ გავიდოდა. თუკი სოფელში მკვდარი იყო, არც ამ დროს მუშავდებოდა იგი. ამით გუიზი ყოველთვის წმინდა იყო.

საჯხგ გირგვლიანი 1995 წ. იფხი.

* * *

ლიგვანაშალინღო ვები ლაფალ ლი ტაბრე ვებიშ. ხემზირხ ჯგგრაგ უღრლაშხან. მარე, ალ ლადაღ მამ, მერმე ლადაღ - მეესარაბს. ვები ლადაღს ტახი ლიფსენინქა მანგრეშ ხეხრლი. ტახს ყიამგყ ლამპარშ ჟიხოცხვლეხ, ქახოხკენეხ ი ეჩქანღო გარ ხოხნიხ ყიას: - ჯგგრაგ უღრლაშიშ ათას ამზიჰნაკინ შიდბაჟინ ი ხოჩა დრეფყინ ქორა ნაშდებიხან.

მერმა ლადაღს, მეესარაბს, ჰამს ბგგიდ დრსდ ინგნალხ - ზურალ ი ღვაჟმარე. ამარეხ უფენალს. გუშგუეკ ქორა უფენალ ლი ზისხორა - თხუმ ზისხორა ნაქუიც, 3 ცალ ლგსპე დიარ ჟიქანნ სემი წერტილ ხარ ცერშ ლგსყენე მოშ-მოშ ადგილს - პილთე, 6 ცალ ლემზირ ქუთულდარ (ალ ლემზირიღარ ხეკვეს ლესეს ედ სემი, ედ უსგუა, ედ ჩხარა.), ლერსგვანხანი კაარაკ ნაქვიც, მუჭდი ნაქვიც, შგაშირი ნაქვიც, ყვიჟემიშ, აერშდაშ, მუჭდი ნაქვიც, სგვებე ლერსგვენ ჭიშხ. ალიარ მაგ ჟინცოლი შამფირჟინ ი ჟატყბეხ ლემესგჟინ. ალიარს ჩის მანკუ ჟილამზგრიდ. ნამზგრუნღო ქალოფანენ, ნაფანენღო უფენად ლი ლეთფე. ჩუ დეშ ლახზებნე ლეშხი ჯადდა. მაგაკ მამ ლას უფენა ეჩრ ლიფანეს ალ ლადაღ მამ ჯიყანდა. ამნოშ იზგერილდა მეესარაბ. (საფტინს) მიშლადაღს ლას ლიმპარი.

ზისხორა ნაქვიც ერ ლგრაქვედ აღი ჟიუსყა ზისხორაკ ლას - თხუმ ჭინჭლი ნაქვიც. აშ ზისხორაკ დეს ხემზგრილდა დეშომა.

მიხო წერედიანი. 1992 წ. 83 წლის. ჟენაში.

ლიგვანაშალის შემდეგი პარასკევი დღე ტახრე ვებიშის დღეა. ლოცულობენ ჯგგრაგ უღულაშის სახელზე, მაგრამ ამ დღეს არა - მეესარაბს. პარასკევს მხოლოდ ღორის დაკვლა იციან. ღორს ყელთან ლამპრით ჯაგარს შეუტრუსავენ, გაუფხეკენ და მხოლოდ შემდეგ დაკლავენ. დაკვლისას იტყვიან - ჯგგრაგ უღულაშიშ, ათასი დამაკვლევინე მშვიდობიანობისა და კარგად ყოფნის ჟამს სახლის მშვიდობისთვის.

მეორე დღეს, მეისარაბს, დილით ძალიან ადრე, ადგებიან უფროსი ქალი და მამაკაცი. ამზადებენ უფენალებს. ჩვენი სახლის უფენალებია: ზისხორა (თხუმ ზისხორაკ ნაქუიც), 3 ცალი კერის ლემზირის ნაირი (ზემოთ 3 ცალი ნაჩვრეტიანი!). („ლგსპე დიარ"), 6 ცალი ლემზირიანი ხაჭაპური. (საზოგადოდ, ეს ლემზი-

რები უნდა იყოს 3, 6 ან 9 ცალი), ყბის მარჯვენა მხრის ნაჭერი, მკერდის ნაჭერი, ნაწლავის ნაჭერი. ღვიძლის, გულის, ფილტვის ნაჭერი და წინა მარჯვენა ფეხი. ესენი ყველა უნდა აიცვას შამფურზე, შეიწვას ნაკვერჩხალზე. მათ ყველას ერთად აღვავლენთ პირველად. შემდეგ გარდაცვლილებს დავუფენთ, შემდეგ უწეენად არიან მისართმევი (მთელი ოჯახის მიერ) თუ ვერ შეჭამდი, უნდა დაგეწვა. რაც უწენა არ იყო მისი სულებისთვის დაფენა ამ დღეს არ შეიძლებოდა. ამით მთავრდებოდა მეისარაბ (შაბათს). კვირას ლიმპარია. ზისხორას ნაჭერი რომ ვახსენეთ, ეს გაუკეთებელი ზისხორა იყო - მსხვილი ნაწლავის თავი ნაჭერი. ისე ზისხორა არასდროს არ აღვლინებოდა.

* * *

ლიმპარის სგეჲ შელდ ლამპარს ატრახ. ლამპარ სგვებნავ ლას ლესყენე ხოშა ლადალ. ადგომს ასყენახ, მადეჲ ხოჩა ლადდარს. ჟატრახ თითენ. ერვაჲ ქორს მამ არდა ეჩი ჟახაჟინი ჟატრახ. აალ ლამპარს აჲნა ხოშა მარე. ესღვენდახ ჭარაყ ი 6 ცალ ლემზირ. აალი ლემზირ იმზერალდა ეჩეჩენ იმაჲ სოფელ (სამხუბ) იყბალდა. ლიყუბალ ხეხალიდა ჩიღად ლიცმგყ-სიფისგა. ლამზერენ ამხუდ იკადდახ მინე-მინე ლემზირალს ი ხამზერიდახ ჯგერაგ ლიმპარის მინე ჟახაზან.

ლიპარისას მამაკაცების წევრთა მიხედვით ანთებდნენ ლამპარს. ლამპარი წინასწარ იყო გაკეთებული. უმეტესად „ადგომ"-ს იყო იგი შექმნილი ან კარგ (საღვთო) დღეებში. აანთებდნენ თითო-თითოზე. ვინც სახლში არ იყო, მის სახელზეც აანთებდნენ ლამპარს. მას წაიღებდა უფროსი კაცი. მიჰქონდათ არაყი და 6 ცალი ლემზირი (ან 3 ცალი). ეს ლემზირები აღვლინებოდა იქ, სადაც სოფლის შესაკრებელი იყო (წყაროსთან!) ლოცვისას ერთად აიღებდნენ ყველანი თავ-თავიანთ ლემზირებს და ილოცებდნენ საკუთარი თავისთვის, ძეთათვის, ჯგერაგ ლიმპარისადმი მიმართვით.

მიხო წერედიანი. 1992 წ. 83 წლის ჟენაში.

7. ხოშა ფიჭმ || ლილჩალ — დიდმარხვა (7 კვირა)

მართლმადიდებლური კალენდრით:

13 (29 თებ) მარტი - დიდმარხვის დასაწყისი.

19 (6) მარტი - მართლმადიდებლობის ზეიმი.

25 (12) მარტი - საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე. წმ. მეფისა დიმიტრი თავდადებულისა (1284 წ.).

2 (20 მარტი) აპრილი - ჯვრის თაყვანისცემის კვირა.

7 (25 მარტი) აპრილი - ხარება.

8 (26 მარტი) აპრილი - ხარების წარგზავნა. კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა.

9 აპრილი - სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.

14 აპრილი - ქართული ენის დღე. (ორივე საერო დღესასწაული).

22 (9) აპრილი - ლაზარეს შაბათი.

23 (10) აპრილი - ბზობა. ბაიობის კვირიაკე.

28 (15) აპრილი - დიდი („წითელი") პარასკევი. ხსენება იესო ქრისტეს ვნებათა. მძიმე მარხვა.

30 (17) აპრილი - გრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი.

ხალხური კალენდრით:

„ფხუარუ" - მარხვის პირველი კვირა (||„ფხუარი მიშ").

„ლითოდფური მიშ - მარხვის მეორე კვირა.

„ლილაშუნე მიშ - მარხვის მესამე კვირა.

„ისგლილჩალა მიშ - მარხვის მეოთხე კვირა.

„აჲა მიშ" - მარხვის მეხუთე კვირა.

„ბაჲა მიშ" - მარხვის მეექვსე კვირა.

„ჰორიან მიშ" - მარხვის მეშვიდე კვირა.

„თანაფ" - აღდგომა მარხვის მეშვიდე კვირის კვირიაკე.

I. ფხუარუს კვირაში ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი მაცხუარ ფხუ-ს სალოცავი დღეებია. მათ სხვანაირად „მეშხე ფხუ"-ს ეძახიან. ამ დღეობისთვის სალემზირედ გუიზის ფქვილი გროვდებოდა. გუიზის აკრეფის დღეს „გუიზობს" ეძახდნენ. ამ სამივე დღეს, მაცხვარიშის თემში, აღნიშნავდნენ სალასკაროდ. ყველის ხმარება იკრძალებოდა, არც საკლავი იკვლებოდა - მხოლოდ ლობიო და დამარილებული ხორცი - „ლერ" იხარჯებოდა. ჩანს, ამადაც დაერქვა ამ დღეს განმსაზღვრელად „მეშხე" - „შავი" - ფხუ-ს დღეები. (ფხუარუ").

II. ლითოდურის კვირაში:

ორშაბათი - „ხატგნცხოვლობ“ || „თეთნე ფხუ“.

შაბათი - „ლითრდური“ (ცხუმარის თემში დღეობა) ლატალში ჯგგრაგ ლითოდურისათვის ლემზირების აღვლენა სალოცავ სარკმელთან.

III. ლილაშუნეს კვირაში:

შაბათი - „ლილაშუნე“.

IV. ისგლილჩალის კვირაში:

ოთხშაბათი - ლოცვის დღე „ისგ ლილჩალა ღურბეთისათვის“ გამოსაცხობია კანაფიანი „ლამტკვა-ლარ“ - ულემზირო ბურთულა კვერები ოჯახის წევრთა რაოდენობით. ასევე, „უფამ-ჟამი“ ლემზირალ 3 ც. ისინი აღსავლენია ისგლილჩალის მეუფისათვის - ღმერთისათვის!.

ხარების დღე - „ხარაბ“. „ძლიერი“ უქმე.

V. „აია“ კვირა.

VI. „ბაიას კვირა“ (ბზობა - ქრისტიანული დღესასწაული).

VII. ჭორიას კვირაში მაგიური ქმედებანი ეშმაკებისაგან (ყოველივე ეშმაკისეულისაგან) თავდასაცავად.

ხუთშაბათი - „შიხარ ცაშ“. (ეშმაკების „საბოლოოდ“ განდევნის დღე!) || „თამფა ცაშ“ (მკლავზე ფერადი ძაფის მობმის ტრადიცია - ავისაგან დაცვის მიზნით.)

შაბათი - ჯგგრაგის ლოცვა. „თიკანს აღუვლენდით მას.“

კვირა - აღდგომა. „მუჩფა თანაფ“-ის ხსენება, ლემზირებით. „ლეტყბარილარ“ - წინასწარ გამხმარი ყველი. მისი შეწვის ტრადიცია.

* * *

„ფხუარუ“ და „ლითოდური მიშ“

ყველაფრის დამთავრების შემდეგ ორშაბათს იწყება დიდი მარხვის პერიოდი და გრძელდება 7 კვირის მანძილზე. მარხვის პირველ კვირას (პირველ 7 დღეს) ფხუარუ მიშ ეწოდება.

პირველი კვირის პირველი სამი დღე - ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი - „ფხუარუ“-ს დღეებია, „მეშხე ფხუს“ (არ იციან მთხრობელებმა ფხუს განმარტება ნ. წ.) ეძახიან ამ დღეებს.

ეს დღეები მამისეულ სახლში (ლამუარს გირგვლიანების თემი. საძმო - გუაგარ) მაცხუარ ფხუ-ს დღესასწაული და სალოცავი იყო. ხუთი-ექვსი ოჯახი, ვინც ლესკარს წარმოვადგენდით, ერთად შევიკრიბებოდით და როგორც „უფლიშერ“-ს, ისეთი თანმიმდევრობით ვილოცებდით ღვთაებების სახელზე, მაგრამ ეს დღეები უპირველესად მაცხუარ ფხუ-ს ეკუთვნოდა - დიდბ აჯვად მაცხუარ ფხუშ-ს, ხოჩა დრევ ი ონა ლანო დიდბი ლეგედ, ანჯეჯილ ი ანკეთილ, ნაფშირი, ნაბდნიერი ენსტარინ დიდბი ლეგედ.

- დიდება მოსასვლელო მაცხუარ ფხუეშისაო! კარგი დრო და ჟამი მოგვანიჭე, დიდებულო. გვამრავლე და გვაბედნიერე, სიმრავლე, ბედნიერება მოგვახვევ, დიდება მოსასვლელო.

ორშაბათს ლობიოს მოვხარშავდით, სამშაბათს დამარილებულ ხორცს („ლერ“). ლობიოს მასპინძელი ოჯახი გაიღებდა, ხორცს ჩვენვე ვაგროვებდით. ვისაც როგორ და რა სიდიდის მოტანა შეეძლო იმის და მიხედვით. ლემზირებისთვისაც ვაგროვებდით ფქვილს - ერთ სულზე ორ ჯამ წმინდა გუიზ-ს. შეკრება ერთ წელს ერთ ოჯახში ხდებოდა, მეორე წელს მეორე ოჯახში (მასპინძლობა მორიგეობით - „ხერასშ“ იყო). მაცხუარიშის ეკლესიაში მღვდელი ორშაბათს იწყებდა ცოდვის მოსანანიებელ - „ცოდა ლახგაშინა“ - წირვას და კვირამდე ამ წირვებს აგრძელებდა. ზიარების აღების შემდეგ ხორციელის ჭამა ეკრძალებოდა მომარხულეს. ოჯახში ყველა თუ არა, ერთ-ერთი წევრი უფროსი დედაკაცი ან მამაკაცი მაინც მარხულობდა.

საჯხგ გირგვლიანი - 1995 წ. იფხი.

(1937 წელს დახვრიტეს ლატალში მყოფი უკანასკნელი მღვდელი,
გვარად მარგიანი. მოქმედი ეკლესია ამ დრომდე იყო
მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესია - „მაცხუარ ლატლიშ“ ნ. წ.)

* * *

„მეშხე ფხუ“ - დიდმარხვის პირველი ორშაბათი (შავი ორშაბათი). ამ დღეს - ლილჩალის პირველ დღეს, ოჯახში ხსნილი საჭმლის ნამცეციც არ უნდა ყოფილიყო. დილიდან საღამომდე ამ დღეს მარხვას იცავდნენ ოჯახის უფროსი დედაკაცი ან მამაკაცი— ჩვენთვის ჩაბარებულ სანოვაგეს ბარაქა ექნებაო. საღამოს ვახშმისათვის აკეთებდნენ სამარხვო საჭმელს: კანაფის თხელ ფაფას - ქგნაშს, „კარტოფილის ღერღილს,“ გამოაცხობდნენ ლემზირებს, დაამზადებდნენ შარბათს, მოიტანდნენ არაყს და უფროსი მამაკაცი დაილოცებოდა მაცხუარ ფხუეშის სახელზე და შემდეგ ივახშმებდნენ. მეორე დღეს დილით და საღამოთი ლემზირებს კვლავ დააცხობდნენ მაცხუარი გუიზიდან და მაცხუარ ფხუეშს ევედრებოდნენ: ადამიანის ძალ-ღონის და სიცოცხლის მატებას და „ლამქარალში“ გამარჯვებას. მაცხუარი სიფში შეიკრიბებოდნენ

ძველად მარჯვე კაცები და ლიმქარჭალ-ს (შეჯიბრი) გამართავდნენ. ის პირი, რომელიც დაინტერესებული იყო ტყვიებით ფესვიან ჯირკს ამოიტანდა, სიფში დადგამდა და მასზე თუთუნის კონას ააყუდებდა, თუთუნის კონაზე მანეთის ნახაზს დაამაგრებდნენ და იწყებოდა მისი მიზანში ამოღება.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 208 ф[1] №676, გვ. 13
1931 წ. გიერგ გირგვლიანი. ლატალი.

* * *

ოთხშაბათს გუბიზობის დღესაც ეძახდნენ. ოჯახისთვის გუბიზ-ის ფქვილიდან გამოაცხობდა მერბიჭელი „ლგგმბაშ“ (კანაფიან პურებს იმდენს, რამდენიც იყვნენ ოჯახის წევრები. პურის ჭამის დროს სიჩუმე უნდა ყოფილიყო.

II კვირიაკეს შაბათი დღე ლითოდურის დღეა (თევდორობა!) ამ დღესასწაულს იხდიდნენ ცხუმარელები - სოფ. ლაბსყალდის მცხოვრებნი. იგი მამაკაცების დღეობაა და საღამო ჟამს ეკლესიაში აიტანდნენ ანთებულ ლამპრებს. დღეობა განსაკუთრებული ლოცვითა და სიმხიარულით გამოირჩევა. ლატალში ამ დღის აღსანიშნავად არაფერია დაწესებული. მხოლოდ შესაძლებელია სურვილის და მიხედვით დიასახლისმა დააცხოს ლიმზირები და ოჯახშივე დაილოცოს ჯგრაგ ლითოდურის სახელზე. ლითოდურის დღეობა მარხვის მეორე კვირიაკის შაბათი დღეა.

საჯხგ გირგვლიანი - გვიჩიანის. 1995 წ. იფხი.

„ხატგნცხოვლობ“

ამ კვირის (მარხვის II კვირის) ორშაბათი დღე ხატგნცხოვლობის ანუ „თეთნე ფხუს“ დღეა. ქალები სალადბაშოდ მიდიან ჩარგლდის (კვანჭიანარი) „ხატგნცხოველში“. მლოცველი ქალები აქ ნესკგლდაში თარინგზელსაც ახსენებდნენ. საერთოდ, ნესკგლდაში თარინგზელ ლოცვით იხსენიება ყოველთვის ახალი მთვარის პირველ ორშაბათს ყველიანი ლემზირებით. „ხატგნცხოვლობ“-ის დღეს გამართულ ლიდბაშისას ქალები ნესკგლდაში თარინგზელს ყველიან ლემზირებს აღუვლენენ მიუხედავად მარხვისა. ნესკგლდაში თარინგზელის შესაწირავები ყოველთვის ყველიანი ლემზირებია - „ქუთ ლემზირ“. აღნიშნავენ, რომ ეს მარხვა კარგი მარხვაა, რადგან ამ მარხვისას წმინდანთა ხსენება შეიძლებაო.

- დიდებ აჯვად ი მალდ აჯვად ხატგნცხოველს, ხვაჲ წყლიან დიდებ ი მალდ აჯვად, ისგუ მეფშდე ასა მაზიგ ი მაკვშა ნუმაგვეშ ლანთგლე ნიშგვეჲ ქორა მერდე მარა. - დიდებულო და მადლიანო ხატგნცხოველო, მრავალი წმინდა დიდება და მადლი მოგსვლოდეს, შენი გაშვებული ტკივილი (ასა მაზიგ ი მაკვშა!) არ მოგვაკაროო ჩვენს ოჯახის წევრებს!...

აქ სალოცავში მიდიან ისინი, ვისაც ეს ლოცვა დაწესებული აქვთ (ლგგდანე!) სხეულის ტკივილებისგან დასაცავად. თუკი ასეთი მამაკაცია, ქალები წაიღებენ მის სახელზე ლემზირებს ან იქ დააცხობენ 3 ცალს. ხატგნცხოველის ადგილას კოშკი დგას დღეს. ხატენცხოველის დღე განკუთვნილია სახსრების ავადმყოფობისაგან დასაცავად: ამ დროს ლემზირებს გამოაცხობდნენ და ილოცავდნენ სახლის ბინაშიც.

ვ. ბარდაველიძე არქივი. 209 ф[2] საქ. №650. გვ. 15.

* * *

ფხუარუ პირველი დიდმარხვის მთელი კვირეულია. ქალები მარხულობენ ბარაქისთვის, კაცები მარხულობენ ორშაბათს - სეფისათვის (სიმარჯვისათვის), ჟაჰნან - ზვავის საწინააღმდეგოდ, ზოგჯერ, ქალები მარხულობენ კაცების მაგიერ სამშაბათს. ოთხშაბათს მარხულობენ საიქიოსთვის, მიცვალებულთა სულისთვის, ქალებიც და მამაკაცებიც. ხუთშაბათს და პარასკევს არაფერია. „სგეიხან“, ანუ ვაჟიშვილების მშვიდობისათვის, კაცებიც და ქალებიც მარხულობენ შაბათს. თავის ტკივილებისგან დასაცავად - კვირას, ქალებიც და კაცებიც.

არქივი 209 ф[2] №744. გვ. 25. რვ. IV. ვ. ბარდაველიძე. 1935 წ.

* * *

ხატგნცხოველი კოშკია კვანჭიანარში. ხატგნცხოველი არის ფხუარეს (მარხვის I-ლი კვირეული) კვირის შემდეგ ორშაბათს. ამ დღეს ვისაც სახსრები ტკივა, ისინი მარხულობენ.

არქივი. 209 ф[2] საქ. 744. რვ. IV. გვ. 25. ლატალი.

„ლილაშუნე მაშ“

(მესამე კვირა)

მარხვის მესამე კვირას ლილაშუნე მაშ ეწოდება. თვითონ ლილაშუნე ლითონდურის სწორზე - შაბათ დღეს - მოდის. იგი განკუთვნილია მიწის კარგი მოსავლისათვის. (საჯხგ გირგვლიანი).

* * *

„ამ დღეს საღამო ჟამს ყოველი მოსახლე გავა ყანაში და იქ მიჯრით ერთ ადგილზე თოვლს ჩათხრის და შიგ ხორბლის თესლებს დასთესავს. ამავე საღამოს აცხობენ სამ ცალ ლემზირს და „კუეცნა დიარებს“. შემდეგი სახის და სახელწოდების: ძუჭა, ფლვა, კუეცნა შდა, სიმინდი შდა, სიმინდ, ბერ. ამ პურეებით ხელში ოჯახის უფროსი დაილოცება - დიდან აჭვად ღერმათ. ღერმეთ ხოჩა ნამშარ ანიჭდ, დარი ჭავდარ მასგუა ჩემ ი სალხინჟინ ანჭგრმაგინ მარაჲ ი ქულმუგენა.

„ლილაშუნეს“ დღიდან ხორბლეულს არავის არ გასცემდნენ ვიდრე თესვას არ გაათავებდნენ. ლილაშუნე ღამეს ხორბალს მოხარშავდნენ, შიგ თაფლს გაურევდნენ. ერთ ჯამს ცალკე გადასდებდნენ და დანარჩენს თვით შეჭამდნენ. გადადებულ ჯამს წაიღებენ სასაფლაოზე და მკვდარ მონადირეს შეწირავდნენ - საიქიოს ის იმ ხორბალს დასთესავს და აყვავებულ ჯეჯილს ხარ-ირემი შეჭამსო“.

ვ. ბარდაველიძე. არქივი 209 ф[2] №676 გვ. 8 და გვ. 5-6.

გ. გირგვლიანი. ქ. ფარჯიანი 1931 წ.

ლილაშუნეს დღე შაბათი დღეა!

„ხატგნცხოვლობ“

(ორშაბათს)

დიდ მარხვის მეორე კვირის ორშაბათ დღეს არის დღეობა - „ხატგნცხოვლობ“. ეს ქალების დღეობაა და აქ სალოცავში სალადბაშოდ მხოლოდ ქალები დადიან. მიდიან სოფ. ჩარგლდში. აქ ერთი კოშკია, რომელსაც „ხატგნცხოველი“-ს სახელით მოიხსენებენ და მართავენ მასთან „ლიდბაშის“. ამ დღეს მეორე სახელწოდებაც გააჩნია „თეთნე ფხუ“. ეს დღე დაწესებულია ძვლის ტკივილის საწინააღმდეგოდ (მაკრშალხან ლი ლიმზირ!). ძველად აქ ლიდბაშის გამართავდნენ ქალები დღეს სალოცავი ლემზირებით მიდიან მხოლოდ. არ მიაქვთ ყველი, რადგან „ლილჩალია“. (მარხვა!)

შუშანა ფარჯიანი. 1995 წ. 55 წლის. ჟენაში.

* * *

იმაჟი უფლიშერისგა ხვეჭმენდად ლიმზირს, ეშჯი ხვეჭმენდად ფხუარუისგაჟ. (თაბაშს ი დეშდიშს). ფხუარუ ლილჩალ მანკური ნაგზი ლი. მაცხუარ ფხუეში ლადღარ - დეშდიშ ი თაბაშ. ხვემზირდად მაცხვარ ფხუს - დიდან აჭვად მაცხუარ ფხუეშს ხოჩა დრეგ ი ონა ლანო.

დეშდი ლენთ ლობიო ნემთქვინ. თაბა ლენთ ლერ ნემთქვინ. ლერს აშ ხვაჯაბდად. მეხრლე მეზგე ასჟენა ლობიოს. ლერ ნიშგუეჟ ნაჭიდ ლას - ერაჟაჟ ხედენ ანჭდა მაღდეჟ მამალაჟ ჩუ ხაჟენ. გუიზიანქ ფექს ხვანხრარად. ეშხუ ფაკანს მარემი შელდჟინ. აღ ლადაღს მოშდ ხაშხა მეშხე ფხუარ. თეთნე ფხუ ლას ყველიერი დეშდიშ. აღ დეშდიშ ღვაჟმარეაში სევხან ესერ ლი ი ზურაღლარ ქუთს ანყან ი ესღგრდახ ხატგნცხოველთე - თაბაშ ზურაღლა (ჰასშემი) ლილაობ ლი. ჰასიშთე ლეკმარი ლი ლეჟნე - ჰარაჟ ეშხუ ლაყვლაშ. ჰასშემ ლამთილ ამღა ლუშჩქვარს ჯუფშდა.

* * *

როგორც უფლიშიერისას მოვყვებოდით ლოცვის წესს სალოცავების მიხედვით, ისე ვლოცულობდით ფხუარუს დღეებშიც (ორშაბათს და სამშაბათს). ფხუარუ მარხვის პირველი კვირეულია, მაცხვარ ფხუეშის დღეები კი ამ კვირის ორშაბათი და სამშაბათი. ვლოცულობდით მაცხვარ ფხუსადმი - დიდება მოსასვლელო მაცხვარ ფხუეშისაო, კარგი დრო და ჟამი (მოგვეცი) მოგვიელინე.

ორშაბათ ღამეს ლობიოს ვხარშავდით, სამშაბათს - ლორს. ლორს მოვიტანდით ოჯახიდან ვისაც გვექნებოდა, ლობიოს დამხვედრი მასპინძელი ოჯახი ამზადებდა. საგვიზე ფქვილს ვაგროვებდით - ერთ ჯამს ოჯახის წევრთა მიხედვით. ამ დღეებს სხვანაირად მეშხე (შავი) ფხუსაც ეძახიან. თეთნე (თეთრი) თხუ იყო ყველიერის ორშაბათს. ეს ორშაბათი მამაკაცთა ძლიერებისთვის (სეუხან!) არისო. ქალები ხაჭაპურს დააცხობდნენ და მიდიოდნენ ხატგნცხოველში. სამშაბათს ქალების დღეობა იყო - „ლილაობ“. ოჯახს თავისი ასულისთვის მიჰქონდა სანოვაგე (ნაკმარუნ! - მოსაკითხი!) - ერთი ლაყულაშის (საზომია) არაყი. ამის გამო მოსაკითხის მომტანი, ოჯახის მიერ საჩუქრდებოდა.

მარო ფარჯიანი-გირგვლიანის 1995 წ. მაცხვარიში.

* * *

ხატგნცხოველთე ლემზირს ი ზედაშს ხვაჯნად. ასუარხან ლი ლიმზირ.

ხატგნცხოველში ზედაშეს და ლემზირებს წავიღებდით—სხეულის ტკივილებისგან დამცავი ლოცვაა ამ დღის ლოცვა.

სირინო ფარჯიანი. 1997 წ. ჯენაში.

„ისგ ლილჩალა მაშ“

(მეოთხე კვირიაკე)

ამ კვირის ოთხშაბათ დღეს პირველად (ოღონდ სადამოს) გამოსაცხობია „ლამუკჯალარ“ - მცირე მოცულობის ბურთულა კვერები. - ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით უნდა მიირთვან ჩუმად. - (უშკუშუნი ლემზირილარ) შემდეგ უჟამ-ჟამი ლიმზირები. (სამი ცალი). ისინი ისგლილჩალა ღმერთისთვის არის შესაწირი: - ისგ ლილჩალა ღერბეთ, დიდაბი ლეკედ, მაჩენამდ ისგუ ლიმზირ ნამურჯენს მერმად ათხე ანმარჯ დიდაბი ლეკედ!

- შუა დიდმარხვის ღმერთო, დიდებულო, საუკეთესოდ მიიჩნიე ჩვენი დღევანდელი ლოცვა, დიდებამოსასვლელო.

მარხვის მეოთხე შვიდეულში ხვდება დიდი ქრისტიანული დღესასწაული ხარება - ხარაბ. ეს დღეობა საერთოდ არაფრით არ გამოირჩევა სხვა ჩვეულებრივი დღეებისგან სვანეთში. გარდა იმისა, რომ ამ დღეს ყველა ხეხილს ამყნობს - ხეხილის დამყნობა საუკეთესო არისო, საზამთრო სადგომიდან გამოიყვანენ ფუტკრებს. ასევე საუკეთესოდ მიიჩნევენ ხარების დღის მთვარეზე მიწაში თესლის ჩაყრას. (თესვის დაწყებას). ქვედაურებმა იციან ამ დღეს ლოცვა, ჩვენ არა, უქმე დღეა.

საჯხგ გვიჩიანი იფხი 1995 წ.

* * *

„ხარაბს უქმობენ. ეს დღე ბედნიერ (სევიან) დღედ ითვლება. ამ დღეს თლიან ცკემად-ს (მშვილდი) და ცხენის ძუისგან ჩიტის მახეს „ნეჯიდ“-ს აკეთებენ. ხარაბ ლადაღს ისეთ ტანისამოსში გამოეწყობიან, რომელიც უნდათ რომ საიქიოში ეცვათ. სწამთ, რომ ამ წელს თუ მოკვდა, საიქიოშიც ამ დღეს ჩაცმული ტანისამოსით მოხვდება.

ხარაბს მერცხლის მსგავს პურს გამოაცხობენ, „შდულარ“-ს („შდავალ“ - მერცხალია ნ. წ.) და ამ პურებით ლაშხეთის ხატს იუან მახარობელს შეევედრებიან: - დიდაბ ჲჯჭაკ ივან მახარობელს, ჯენიან ჯემზირდ ჲ ფენდიდ (ლაგვეშდ) ლანმეშედ ისგუ ყერ ჲ მალდ. - ივან მახარობელო! შორს გეხვეწებით და ახლოს მოგვაშველე შენი ძალა და მადლი.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 ф[2] №679. გვ. 135.
ქ. ფარჯიანი, 1931 წ. ლატალი.

* * *

ხარაბ ლადაღ გუნ ტიცხტ-ლი. ლეშდაბს დემეშმიშ ხაყა. აშხუნ ეშხტ ზურალს დემ ოთჯგრტა - მგდენსერედო ხარაბ - ესერ იხრაბალნი ჲ მი ნაბოზს სგირი ფატანს სგა როქ ლახქუემნე. ლოხბინა ფატნი ლიჯიშ. ნაბოზს, ეჯგუარ გუშგუეჲ ამახტს, ლაჯშიანარჟინ ალ ზურალ ჟილუგცუნერე ლგმარლი, ეშჯი ესხვენახ მინეშარს.

(ამ ფაქტის ამსახველი ფრესკა დღესაც ამჩნევია ლენჯერში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას - ქაშუნეთი ჯგგრაგ).

მეტია გირგვლიანი - წერედიანის. დაბ. 1905 წ.
ლატალი, ენაში. 1970 წელი.

* * *

ამ კვირის ოთხშაბათს „გუიზობი“ ჰქვია. მას „ისგლილჩალა ლადაღიც („შუა მარხვის დღე“) - ერქვა. ამ დღეს ოჯახი თავის გუიზიდან (გუიზის ფქვილიდან!) გამოაცხობდა კანაფიან (ლგგმბაშ) პურებს. იმდენს, რამდენიც იყვნენ ოჯახში. პურის ჭამის დროს ხმა არავის არ უნდა ამოეღო. თუ ვინმე ვერ დაიოკებდა ლაპარაკის სურვილს, პური კერაზე უნდა დაედო და მთელი დღე მშიერი ყოფილიყო. ამ დღეს ილოცებოდნენ ისგლილჩალა ღმერთის სახელზე.

დღიურები. მთხრ. ესტატე გირგვლიანი 1992 წ.
მაცხვარიში.

ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა
25 მარტი (7 აპრილი)

ხარებას - ამ უდიდეს დღესასწაულს - მართლმადიდებელი ეკლესია ძველი სტილით 25 მარტს (ახლით - 7 აპრილს) ზეიმობს.

როგორც წმინდა სახარებიდან არის ცნობილი, იოანე ნათლისმცემლის შობის შესახებ ზაქარიას, იოანეს მამას, გაბრიელ მთავარანგელოზმა აუწყა. ამ უწყებიდან და გამოცხადებიდან მეექვსე თვეს გაბრიელ მთავარანგელოზი ღვთის მიერ გალილეის ქალაქ ნაზარეთში იქნა მივლინებული ქალწულ მარიამთან და უთხრა; „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის" (ლუკა 1, 28). ქალწულ მარიამს უნდა ეტყვირთა ის, რომელმაც ყოველივე შექმნა. ამ დღეს ანგელოზების ქებას ადამიანები უერთდებიან და ყოვლადწმინდა ქალწულს მიმართავენ! „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა!".

საღამოს გადმოცემის მიხედვით, ხარებისას მარიამი ესაიას წინასწარმეტყველების იმ ადგილს კითხულობდა, სადაც ლაპარაკია ქალწულზე, რომელიც ძეს შობს და სახელად ემანუელს უწოდებს. მთავარანგელოზის მიმართვის შემდეგ მარიამი ბუნებრივ კითხვას აძლევს მას: „ვითარ - მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?" (ლუკა 1, 34). ქალწულისაგან უმამაკაცოდ შობა არ იცოდა კაცობრიობამ და სწორედ ამიტომ, მარიამი კეთილგონივრულად, და არა ურწმუნოებით, გამოიძიებს, თუ როგორ აღსრულდება ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი ეს საიდუმლო. ანგელოზი უცხადებს ქალწულს რომ სულიწმიდა მოვა და ძალა მაღლისა დაფარავს მარიამს. ყოვლადწმიდა ქალწულმა თავისი ნება ღვთის ნებას დაუმორჩილა და უთხრა: „აჰა მჴევალი უფლისაჲ; მყავნ მე სიტყვისაებრ შენისა!" (ლუკა 1, 38) ამ სიტყვების შემდგომ მეუსეულად სულიწმიდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში შევიდა და მისი ბუნება განწმინდა.

თუ ევას საქციელმა მრავალგზის მწუხარებაში ჩაგდო ადამის მოდგმა, ქალწულმა მარიამმა უდიდესი სიხარული მოუტანა კაცობრიობას. ცოდვით დაბადებული ქვეყნიერებისათვის ყოველივე სიკეთის დასაბამი ის დღე გახდა, როცა ყოვლადწმიდა ქალწულს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა: „გიხაროდენ, მომადლებულო! უფალი შენ თანა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის". ამ დღეს ხარება ეწოდება, რადგან არა მხოლოდ ღვთისმშობელს, არამედ მთელს კაცობრიობას ეხარა, რომ სახიერმა ღმერთმა თავისი გამოუთქმელი კაცთმოყვარეობით ინება ცოდვის ტყვეობაში მყოფ ადამიანთა მოდგმის გამოხსნა. ამ დიდი, ღვთაებრივი სასწაულის განსახორციელებლად უფალმა ყოვლადწმიდა მარიამი გამოარჩია ყოველთაგან, რომელსაც ეკლესიის მამები ამგვარი ეპითეტებით ამკობენ: „კრავი განწმენდილი". „ტაძარი ღმერთისა პატიოსანი", „საღმრთო იგი შეზავებული საკუმეველი", „სამღვდელოთ იგი გჳ- რგჳნი", „წმინდაჲ ჴორცითა და სულითა", და ბოლოს, გრიგოლ ნეოკესარიელის ხატოვანი თქმით: „ბჭე იგი, რომელი აღმოსავლად ხედვიდა და უფლისა შესავლითა გამოსვლვითა ყოველი სოფელი განანათლე, მსხმოჲ იგი ზეთისხილი, რომლისგან ჴორციელი იგი უფალი მოიღო სულმან წმინდამან და მრავალ-გუემული ნათესავი კაცთა აღჰმართა".

ამით სძლიე!" 1998 გვ. 41-43.

აჲა მაშ (მეხუთე კვირა)
ბაჲა მაშ (მეექვსე კვირა)
ჰორიაპლე მაშ || „ლიგოფალი" (მეშვიდე კვირა)

დიდი მარხვის მე-5 და მე-6 კვირა „უმნიშვნელოა" ლატალელთათვის. ქალბატონ ვერას მიერ შედგენილი სადღესასწაულო კალენდრით აჲა მაშ-ს აღინიშნებოდა ფარელების შეკრება - „ფარლე სკარობ" ბაჲა მაშს ეცერლების შეკრება - ჰეცრალე სკარობ".

ვ. ბარდაველიძე, არქივი 208 ф[1] საქალალდე 78.
მყარი და მოძრავი დღესასწაულები.

* * *

„ჰორიაპლე მაშ" - „კუდიანების კვირიაკეს დღეებში ყოველ საღამოს მამაკაცები და ახალგაზრდები ავარვარებულ მუგუზლებს გააქანებდნენ და ყვირილითა და ხმაურით ავი სულების დასაფრთხობად შორს გაისროდნენ. ორშაბათს დილით ადრე კაცებს ეკლის (ასკილის - მუნჭუპარი) ჯოხები მოჰქონდათ და კარფანჯარას უკეთებდნენ გარედან. სანამ ეკლებს გაუკეთებდნენ, მანამ ეშმაკებს დევნიდნენ სახლიდან (ლირრლაპრი). ბავშვები ლაყულფაში იღებდნენ ცეცხლმოკიდებულ მუგუზლებს. მას აქეთ - იქით აქანებდნენ და ასე კერას სამჯერ შემოუვლიდნენ - ეშმაკებს ერეკებოდნენ. ერთ ბავშვს ხელში რკინის ასტამი ეჭირა და მას ქვას ურტყამდა. ეს ცერემონიალი მეორდებოდა ოთხშაბათიდან მოყოლებული ხუთშაბათამდე. ყოველდღე ეშმაკებს მიმართავდნენ: ჰარა, ჰარა, ახლავე წადით, მოგვცილდით, მდინარეში წადით, ქვიშა ჭამეთ, ტყეს დაესიეთ, მდინარის მრგვალ ქვას გესვრით, მუგუზლებს დაგარტყამთ.

ორშაბათს ღამით, ოჯახის ყველა წევრი თავზე ისვამდა ნიორს და ღორის ქონს ერთმანეთში არე-

ულს, რადგან სწამდათ მათ ეშმაკი ვერ მიეკარებაო.

ხუთშაბათს დილით ქალები ლემზირებს აცხობდნენ და შეავედრებდნენ. მერე მერბიელი წავიდოდა წყლის პირას და იქიდან ხმის ამოუღებლად (უშკუშუნ) მოიტანდა: ლამყინა ქვას, წმინდა მიწას რძის საკვეთის (მგლდგრლა) ქვეშ დასაფენად. ეკლის ჯოხს რძის საკვეთის ამოსარევად. ყოველივე ამას სახლში რომ მოიტანდნენ, იწყებდნენ შავი ძაფის დართვას. ამ ძაფს ღამით აბამდნენ ოჯახის ყველა წევრს მკლავზე და ფეხზე. მას აბამდნენ ასევე უღელს, კიდობანს, ფქვილის ამოსაღებ პატარა ნიჩბებს (სილთგლდარ). ამ ძაფს უწოდებდნენ თანაფრლს. ამბობდნენ თანაფოლ ეშმაკს სახლში არ უშვებსო. რაზედაც ის არის მიბმული, იმას ეშმაკი ვერ მიეკარებაო.

ხუთშაბათ საღამოს - „შიხარ ცაშ" - ეშმაკებს საბოლოოდ გარეკავდნენ კარში რკინის ჩაჩხუნითა და მუგუზლების ქნევით. კარებს გაიხურავდნენ და ეშმაკებს ეზოდან განდევნიდნენ, თან მუგუზლებსა და ქვებს მიაყოლებდნენ. ამის შემდეგ კარ-ფანჯარას გარედან ეკლის ჯოხებს გაუკეთებდნენ (ლგცგრრე) ზედა კამარის გარშემო, რათა ეშმაკები სახლში არ შემობრუნებულიყვნენ".

ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების
ისტორიიდან, ღვთ. ბარბალ, თბ. 1941 წ.

* * *

ხუთშაბათს „თამფა ცაშ"-იც ერქვა. ამ დღეს ოჯახის უფროსი ქალი ადგებოდა და ოჯახის ყველა წევრს მკლავზე მოაბამდა ფერად ძაფს. ეს ძაფი წესით მეორე წლის ამ დრომდე უნდა ეტარებინათ. თან სურვილს ჩაუთქვამდა დიასახლისი მისი მიბმისას.

აღდგომის დღეს (თანაფს) ილოცებოდნენ „მუჩფა თანაფს". აცხობდნენ ხაჭაპურებს, ხარშავდნენ ხორცს, აკეთებდნენ კუბდარებს და პირს ამით იხსნილებდნენ.

ესტ. გირგვლიანი 1992 წ. მაცხვარიში.

ბზობა — დიდებით შესვლა იერუსალიმში
უფლისა-ჩვენისა იესო ქრისტეესი

(მოძრავი დღესასწაული)

მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის დიდებით შესვლას იერუსალიმში, რასაც ქრისტიანები ბაიობას, ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა აღდგომის წინა კვირა დღეს.

წმინდა სახარება საცნაურს ხდის იმ ფაქტს, რომ უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, ყოველთვის ილტვოდა მიწიერი პატივისა და დიდებისაგან. იგი სრული თავმდაბლობით და სიმშვიდით იფარავდა თავს ამქვეყნიური ზეიმისაგან.

სწორედ ამ სიმდაბლის მოახლოებისა და სიყვარულის გამო მაცხოვარმა კიდევ ერთხელ მისცა საშუალება ისრაელს მისი შეცნობისა, თუ ვინ მიანიჭებდა მას მშვიდობასა და ხსნას.

მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში იყო როგორც შესვლა ძლევამოსილი მეფისა სატახტო ქალაქში. როცა უფალი მიუახლოვდა ბეთბაგეს და ბეთანიის მთას, რომელსაც ზეთისხილის მთა ეწოდება, ორი მოწაფე მიავლინა პირდაპირ მდებარე სოფელში, რათა იქ, შესასვლელშივე, დაბმული ვირი და ჩოჩორი, რომლის ზურგმაც არ იცოდა ადამიანი, აეხსნათ და მოეყვანათ მისთვის. მათი პატრონისათვის კი ეთქვათ, რომ ისინი უფალს სჭირდებოდა. მოწაფეებმა ბრძანება აღასრულეს. იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალს ხალხი ტანსაცმელს უფენდა გზაზე, ზოგი კი ხის ტოტებს. ყოველი მხრიდან ღაღადებდა ერი მაცხოვარის დიდებას. მაცხოვარი დიდებით შევიდა წმინდა ქალაქ იერუსალიმში გაცხადებულად, აღსრულდა ზაქარიას წინასწარმეტყველება.

ბზის ან პალმის ტოტთა მშვენიერებით ეკლესია უფრო ცხოვლად გამოსახავს უფლის დიდებით შესვლას იერუსალიმში... თვითეული ქრისტიანი მზად უნდა იყოს, რათა სულიერად შეეგებოს ღმერთს, სამოსლის ნაცვლად გული დაუფინოს კვიცზე მჯდომარე მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებივით მიართვას მას და მიიღოს უფალი საკუთარ ხელში, როგორც იერუსალიმში.

ბზობას მორწმუნენი ეკლესიაში ისმენენ წირვა-ლოცვას და ეზიარებიან ამ დიდი დღესასწაულის მადლს. ღვთისმსახურებისას ხელთ უპყრიათ ბზის ტოტები, ნიშნად იმისა, რომ თვითეული მათგანი შეერთვის იმ გუნდს, რომელიც სიყვარულის გამოსახატავად გზაზე უფენდა უფალს საკუთარ სამოსსა თუ პალმის ტოტებს, და ასე ღაღადებდა; „ოსანა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა!".

დიდმარხვის მეექვსე კვირა - ბზობა - ხსნილია თევზით.
„ამით სძლიე!"
(გვ. 7-13). 1998 წ.

* * *

აღდგომის წინა შაბათს ჯგრაჭის ლოცვა ვიცოდით. თიკანს აღვუვლენდით, როცა თიკნები გვყავდა. ამჟამად არაფერიც არ გვყავს და არც ვილოცებით. აღდგომის წინა ხუთშაბათი დღე არის „თუნფა ც�sშ", კვირა დღეს არის აღდგომა. ვილოცებით მუჩფა თანაფს ყველიანი ლემზირებით. ვაცხობთ „ლეტყბაჭრილნარ"-ს (მცირე მოცულობის წინასწარ გამხმარი ყველი, ტაფაში შემწვარი.).

ამ დღით მთავრდება დიდი მარხვის ბოლო შვიდეული.

ს. გვიჩიანი. 1994 წ. იფხი. ლატალი.

„დიდმარხვაში კვირაობით ჭამენ ნათლისღებას მოტანილ ნაკურთხი წყლით მოზელილ და გამომცხვარ ლავაშებს".

ვ. ბარდაველიძე, არქივი 209 ф[2] №746. გვ.6.

8. „თამფიგრ" || „თამფა ჟარნესგა" (1 კვ.)
„თანაფხანქა უფლი ლადაღდ"

აღდგომიდან უფლიშიერის პირველ დღემდე. || ახალკვირამდე || თომას კვირამდე || „უფლი ლადალამდე". „ბრწყინვალე შვიდეული"

მართლმადიდებლური კალენდრით:

1 (18 აპრილი) მაისი - საფლავთა კურთხევა (ლეჯგრი. ორშაბათი დღე).

6 (23 აპრილი) მაისი - გიორგობა („ლიგიერგი")

7 (24 აპრილი) მაისი - თომას კვირა, აღდგომის განახლება („უფლი ლადაღ").

ხალხური კალენდრით:

ორშაბათი	ლიჯგრი	ქუინი ლიშრავი.[1]
სამშაბათი	მაცხუარ თანხაშ	მაცხუარი ლიშრავი.
ოთხშაბათი	ტარი ჭაბკობ || ტარი ჯგმაშ	ჭაბიკუი ლიშრავი.
ხუთშაბათი	დადუარე ცაშ	ლამარია ლიშრავი.
პარასკევი	კაჟშა თარინგზელი ლიმზირ	ვირიაჟი ლიშრავი.
შაბათი	უფლიში საფტინ	ჯგრაჭგი ლიშრავი.
კვირა	აღდგომა. უფლი ლადაღ	ხოშა ღერბეთი ლიშრავი.

აღდგომის დღესასწაულის დანიშვნის დრო დაადგინა ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელიც 325 წელს ჩატარდა ქალაქ ნიკეაში. ამ დადგენილებით, აღდგომა იზეიმება გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობის) შემდგომ. პირველი, სავსე მთვარეობის მომდევნო კვირას (იუდეველთა პასექის შემდგომ, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს). ეს ხდება ძველი სტილით 22 მარტიდან 25 აპრილამდე (ახ. სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე).

„თამფა ჟარნესგა"
„თამფიერ" 1 კვირა

სვანურად აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს „თანაფ" ეწოდება. აღდგომიდან ერთი კვირის შემდეგ იწყება დიდი საუფლო დღესასწაული „უფლიშიერ". დროის შუალედს თანაფიდან უფლიშიერამდე უწოდებენ „თანფიერს" - ან თანფა ჟარნესგა"-ს (1 კვირა). ეს ჟარნესგა, ისევე როგორც „ქრისტეში ჟარნესგა", სალოცავი დღეებია (მსგეფსია); თვითეულ დღეს გარკვეული ლოცვა - ლიდბაში მიმდინარეობს. ამ მსგეფსში რომელ ღმერთსაც არ ახსენებ, მისი ხსენება გეკრძალება სხვა დღეებში,— აღნიშნავენ მთხრობელები. როგორც ქრისტეში ჟარნესგაში ისე, თანფა ჟარნესგაში გარდაცვლილის სული აუცილებლად სამოთხეში მოხვდებაო.

თამფა ჟარნესგაში შემდეგი სახის ლიდბაში - ლიმზირები იმართებოდა. როგორც ცნობილია, ლიდბაში - ლიმზირი მხოლოდ ქალის მოვალეობაა. ისინი ამ დროს ან სალოცავში მიდიან სალიდბაშოდ, ან სახლის შინაში აწყობენ ლიმზირს.

ორშაბათს თანღი თარინგზელს აღუვლენენ ლემზირებს და ვაჟიშვილის მშვიდობით ყოფნას ევედრებიან, ზოგიც მისი ყოლის წყალობას, ზოგი - თვალთა სისაღეს და თავის ტკივილებისგან დაცვას.

სამშაბათს მაცხუარ ლატლიშ-ს ეხვეწებიან სიცხიანი დავადების თავიდან აცილებას, რადგან, რწ-

[1] „ლიშრავი" - პირის ახსნა მარხვის შემდეგ. ქუინ სული. მაცხვარ-მაცხვარია, ჭაბიკუ-ჭაბუკი, ლამარია - ლამარიაა. ვირიაჟ - ეშმაკი. ჯგრაჭგი - ჯგრაჭგი. ხოშა ღერბეთ - დიდი ღმერთი. მათი ამ ქმედების გამო, ხალხური გაგებით, შემოლებული იქნა სწორედ ის დღეობები, რომელთა რიგიც აქ არის წარმოდგენილი აღდგომის მსგეფსში. მარხვა სვანურად არის ლიფრწყვევი.

მენით მაცხუარი დიდი სიცხიანი ავადმყოფობის გამჩენია და სიცხეს მთლიანად მოსდებს ქვეყანასო.

ოთხშაბათს ლენთა ლამპრიას შესთხოვენ ძვლების ტკივილისგან დაცვას ეს წმინდანი ქალების მფარველი და ქალური ავადმყოფობისგან მათი დამცველია. სალოცავში წასვლისას მიჰქონდათ ან სამკაულები, ან ტანსაცმელი. სალოცავი ლეშუკშია (ლატალი). ლენთა ლამპრიას განსაკუთრებული დღე ხუთშაბათი დღეა და სხვა დროს აქ მხოლოდ ხუთშაბათობით დადიან.

ხუთშაბათს ჯგრაჭგ ბოგაშ-ს შესთხოვდნენ ადამიანის და საქონლის საფრთხის თავიდან აცილებას თავის საბრძანებელში - ხიდებზე გასვლის დროს.

პარასკევი „კაჟაშა თაჭრინგზელის" სალოცავი დღეა. ევედრებიან ზვავების და მიწის დაწევისაგან სახლ-კარისა და სახნავ-სათესის დაცვას.

შაბათი ჯგრაჭგისა იყო და სთხოვდნენ ჯგრაჭგ ჰოკულდაშიშს ქუდის დამხურავის დაცვას ისრისა და ხანჯლისაგან, ყოველგვარი საფრთხისაგან.

ლოცვები:

- დიდაბ აჯვად მაცხუარ ლატალიშ! ისგუ ნაფიშდ მაზიგ ნოს ლახთგლე ჟ ისგუა სიფისგა ნიშუკილ ხოშა ნორ ჩემინე.

- დიდაბ აჯვად ლენთა ლამპრიას! ლანგნთხილ მალდიან ჯიჯი მაკვშალხან დიდაბი ლეკედ ისგუ მეკგრაკლ ზურალარ.

- დიდაბ აჯვად ჯგრაჭგ ბოგაშ-ს! ჯგრაჭგ ბოგაშ ქულუმგენეჟ მარე მაგ ლანგნ თხილ ისგუა ბოგს ი ჭეკს დიდაბი ლეკედ.

- დიდაბ აჯვად კაჟაშა თაჭრინგზელს, ისგუ ბატკ ლოხოდ ნიშგუეჟ ლალგიმალა ი დეცე გიმს დიდაბი ლეკედ.

- ჯგრაჭგ ჰოკულდაშიშ ათქაბინ ნიშგუეჟ ლეფაყუს ცხუი ჟ ხანჯალ, ქულუმგენა ისგუ მეფშდე ნადირ ათქაბინ ჟ ნოს ლახთგლე მაზიგ მაშურია დიდაბი ლეკედ.

ლიდბაშისას „დიდი ღმერთები" არ იხსენიებიან. ვინ გაბედავს ამ სიწმინდეების ლიდბაშისას ხსენებას - „ჟარ ხემსხარალნი დიდაბი ლეკდილს!".

საჯხგ გვიჩიანი 1995 წ. იფხი.

* * *

თანაფს, აღდგომის დღეს (კვირას) ყანაში „ჩანჩლარ"-ს დადებდნენ. ესენი არყის ხის ტოტებისაგან გაკეთებული რგოლებია თავის ფოთლებიანად. ამ დროს შესთხოვენ ღმერთს მოსავლის მზის მწველი სხივებისაგან დაცვას და სასარგებლო ჩრდილით დაჩრდილვას. აცხობენ ხაჭაპურებს.

მარო გირგვლიანი. 1995 წ. მაცხუარიში.

„ლიჯგრი"

(ორშაბათს)

თანფა ჟარნესგაში-ს დღეებში „ლიდბაში - ლიმზირების" პარალელურად იმართებოდა სასოფლო დღეობებიც. ორშაბათი დღე საყოველთაო დღესასწაულია გარდაცვლილთათვის. ამბობენ, ორშაბათს პირველად სულს უხსნილებია და ამიტომაც აღინიშნებაო ამ დღეს „ლიჯგრი" გარდაცვლილთათვის. ახალი მიცვალებულის ოჯახი მცირე საკლავს დაკლავს: თხას, ცხვარს, ხბოს ან გოჭს და ქათმებს. ამ დღის საკურთხი სუფრები განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევიან. „ლიჯგრი" აუცილებლად საკურთხის სასაფლაოზე მიტანით იმართება. ადრე გარდაცვლილის პატრონისთვის ეს არ არის აუცილებელი. მისი ლიფანე ოჯახში ხდება.

შუადღისთვის სამზადისი დამთავრებული უნდა იყოს. სუფრების სასაფლაოზე გაშლის შემდეგ ხდება ჭირისუფლების მიერ მათი დატირება. პირველად ახალი მკვდრის ჭირისუფალი დაიტირებს, შემდეგ სხვები. დატირების შემდეგ აქ მყოფი მამაკაცები, ხანში შესულებიც და ახალგაზრდებიც, შენდობას ეტყვიან გარდაცვლილებს თვითეულად სასაფლაოზე.

„ძველად ამ სუფრებს მღვდელი აკურთხებდა. სტაროსტა გვერდით მიყვებოდა და საკურთხის დიდი ნაწილი მის ჩანთაში ლაგდებოდა". დღეს სუფრის კურთხევა მხოლოდ შენდობის თქმით და ჭიქა სასმისის გადაქცევით აღინიშნება. ასე რომ „ლიჯგრი" მღვდლის მიერ დღეს არ ხდება. „ლიფანე"-ს შემდეგ სუფრის მცირე ნაწილი და სასმელი თავმოსაყრელია ერთ ადგილას (მას ყველა მგფანე ოჯახი გაიღებს) და იმართება პურობა. დანარჩენს ოჯახი შინ წაიღებს და ვინც კი მოვა სულის პატივსაცემად ნათესავი, ახლობელი თუ შორებელი, მიირთმევს „ნაფან"-ს.

მთხრ. საჯხგ გვიჩიანის. 1995 წ.
იფხი, ლატალი.

„მაცხუარ თახაშ“

(სამშაბათს)

რწმენით, სამშაბათს აღდგომის მერე „მაცხუარ“-ს „გაუხსნია პირი“ („ხსნილი უჭამია“.) (ლიშრავი - ლიშრაულე, ოთშარვა!) ამის აღსანიშავად მთელი სოფელი აღნიშნავს სასოფლოდ „მაცხუარ თახაშ“-ის დღესასწაულს.

ამ დღეს ყოველთვის იკვლებოდა სალატალო ხარი, მაგრამ დღევანდელი გაჭირვებული ცხოვრების გამო (იგულისხმება ბოლო 10 წელიწადი (1990-1999), ხარი არ დაკლულა. მის მაგივრად დღეობა „ფუსდა ჭანი ლითუალ“-ისას შესწირავენ ხბოს „მაცხუარ თახაშის“ სახელზე. ხბოს მაგივრად მოზვერიც შეიძლება იყიდონ - ზვარაკის სიდიდე უკვე სოფლის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

ძველად, როგორც „მაცხუარ თახაშის“, ისე „ფუსდა ჭანის“ შესაწირი ხარების საფასური გროვდებოდა ნატურით: თვითეული ოჯახიდან „ჩაფლუშ“ ხორბალი იყო მისაცემი. დღეს გადასახადი ფულითაა. სალოცავში ამ დღეს ყველა ოჯახი მიდიოდა ზედაშით, მამაკაცის რაოდენობაზე თითო სამ-სამი ლემზირით, სანთლებით და ერთი დიდი სალოცავი პურით - ლესკარ-ით. შინ მათ მიჰქონდათ მათთვის განკუთვნილი „ლაგაფ“. ლაგაფ არის ზვარაკის მოხარშული ხორცის ნაწილი. საერთოდ, სასოფლო დღეობებისას, ზვარაკიც სასოფლოა. ყოველ გვარს, ყოველ უბანს ჰყავს ამ დროისთვის გამოყოფილი მამაკაცები, რომელთაც ევალებათ სხვებთან ერთად ხარის შერჩევა, მისი შეფასება, ფასის გაყოფა-განაწილება ოჯახებზე და შემდეგ მისი შეგროვება. ხარის ყიდვის შემდეგ მისი შეწირვა დღესასწაულის დღეს მოხარშვა, ხორცის ტოლ ნაწილებად (ლაგაფებად“) დანაწილება და გაცემა აქ მოსულ ოჯახის წევრებზე. (ლამზგრთე მეკდე). ასეთ კაცებს უკვე დღეობის დროს ეწოდებათ მეხორცე - „მგლელუ“. მათ ევალებათ თავის „განმგებლობაში“ მყოფი უბნის დაკმაყოფილება - გაცემა „ლაგაფებით“. ლაგაფში მეტ-ნაკლებობა ყოვლად დაუშვებელია. ზვარაკი ყველასგან გაღებულია და მისი ტოლად მიღებაც აუცილებელია ყველასთვის.

დღესასწაულისას ეკლესიის შესასვლელ კარებთან დგანან მლოცველები. თუ ეკლესია ღიაა, დგანან კანკელის წინ. მლოცველი რამოდენიმე კაცია, სურვილის მიხედვით ხდება ლამზგრში წასულის მიერ მლოცველის არჩევა. მივლენ მათთან, მისცემენ ზედაშეს, ლემზირებს და სთხოვენ დალოცვას იმისას, რაც მათ სურთ. მლოცველნიც შესთხოვენ ამ დღეობის წმინდანს სურვილს ზედაშის პატრონისას. ქალები ეკლესიის ლამარიაში შესწირავენ ლიმზირებს.

ლოცვის შემდეგ იმართება პურობა. ლაგაფების დალაგება, ერთმანეთის დალოცვა და ამ სასიამოვნო ურთიერთობით ჩვეულებრივი დღე არაჩვეულებრივი ხდება. პურობის დროს უფრო ასაკოვანი ხალხი რჩება, ახალგაზრდები ნაკლებად. ისინი სხვანაირ დროსტარებას ირჩევენ. ძველად აწყობდნენ შეჯიბრს და ამ შეჯიბრისას იკვეთებოდა სოფლის ყველაზე ძლიერიც.

პურობის შემდეგ იმართება „მესამე განყოფილება“ დღეობისა. ეს არის ზეიმი საგალობლებით. აქ მონაწილეობს ყველა, მომღერალიც და არამომღერალიც, ცეკვის მცოდნე და არამცოდნე, მგლოვიარე თუ არა მგლოვიარე. თუკი სოფელში ამ დღეობამდე ვინმეს გარდაცვალების გამო გლოვა იყო, პირველი მკვდრის ჭირისუფალი იმღერებდა და ამის შემდეგ მთელს სოფელს სიმხიარულის უფლება ეძლეოდა. თუმცა მისი აკრძალვის ნებაც არავის აქვს, მაგრამ საკუთარი მორალით მაინც ანგარიშგასაწევი ხდებოდა ჭირისუფლის ოჯახი და გარდაცვლილი.

დღეს, როგორც აღინიშნა, არ ტარდება „მაცხუარ“ თახაშ-ის ცალკე დღესასწაული და იგი „შეზრდილია“ „ფუსდა ჭანი“ ლითუალის დღესასწაულთან. მაცხუარ თახაშის ზვარაკის ლაგაფებიც იმ დღეს ნაწილდება.

დავით წერედიანი. 1999 წ. ჯენაში

ე. გირგვლიანი 1994 წ. ლატალი. მაცხვარიში.

„ტარი ჭაბგობ“

(ოთხშაბათს)

თამფუ ჯარნესგას ოთხშაბათს ტარი ჭაბგობ-ის დღეა. ამ დღეს ტარი ჭაბიკუ-ს (ანგლეზ-ს ანგელოზს) უხსნილებია პირი. მისთვის გამოაცხობენ ერთ ცალ დიდი მოცულობის ხაჭაპურს (კანაფიანს) და მთელი ოჯახი „იტრაპეზებს“ ამით. ტარი ჭაბუკისთვის ლოცვა უწინ ხდებოდა წინგარდში - „ჰაგამ“-ში. რწმენით, ეს დღე საქონელსაც ეკუთვნის. მათი სიმრავლისათვის ამ დღეს ოჯახს უნდა ემარხულა - „მგტმე“ იყო. საღამოს კანაფის ხაჭაპურს (ლგგგმბაშ ქუთ) გამოაცხობდნენ და ვინც „მგტმე“ იყო, ის ამ ხაჭაპურით გაიხსნიდა პირს.

უფლიშიერისას, მაცხვარიშის თემში, ამ დღის „ტარი ჭაბგობის“ აღსანიშნავად ერთ დღეს მხოლოდ ბადექონის კუბდარს აღუვლენდნენ „ტარი ჭაბუკს“. სხვებისთვის ლოცვა ამ დღეს არ ხდება. ეს დღე ერთერთი ოთხშაბათი დღეა. - „ტარი ჭაბგობ, დიდაბ აჯუაც, ჲღო ნაჯ იმჯაღა ოთულსგურენედ ეჯი მაშედ ნაყრ“.

მთხრ. ესტატე გირგვლიანი 1992 წ. მაცხვარიში.

* * *

ჯგმაშ ტარი ჯგმაშ ლი. აღ ლენთ ლესკარ ქუთ გვამთქვა. ქანანაყუნღო ჰაგაშმისგა ლი ლემზერი ჭაბგობა ლამაწრიად. ნამზერენღო სგალაჭადჟონ ლუტულიდ - მუქუხს შენდბა, ჭაბიკვს დიდაბ. ლიმზირ ლი მაწრემი შიდბახან (მარაწხან!)

აღდგომის ორთაშუას ოთხშაბათი - ტარი ჯგმაშია. ამ საღამოს დასაცხობია ლესკარი და ხაჭაპური (ან ხაჭაპურიანი ლესკარი). ეს ჰაგაშმში - წინგარდშია აღსავლენი ჭაბგობა ლამაწრიასთვის. ლოცვის შემდეგ შემოსასვლელში იტყვიან მუქუს შენდობა, ჭაბუკს დიდება. ლოცვა ხდება მამაკაცისთვის.

ს. გირგვლიანი იფხი.

ქალების სალოცავი ხუთშაბათი არის აღდგომის ორთაშუას ხუთშაბათს (თამფა ჟარნესგა ცაშ) და უფლიშიერის პირველ ხუთშაბათს. ნადბაშუნი მიაქვთ ჩარგლდის ლამარიაში. შინ კი კერის ლიმზირს აწყობენ. ამას, უფლიშიერობისას, მეორე და მესამე ხუთშაბათი რომ მოყვება ლოცვა ხდება ზვავის საწინააღმდეგოდ. ილოცებიან ჰარტი თარინგზელის სახელზე, ცარიელი ლემზირებით. ის ყველიანს არ იკარებს, ვაცხობთ ლესკარს ბადექონიანს ორი ოჯახისათვის 1 ცალს.

სირინო კვანჭიანი 1996 ლედმანი.

„დადუარე ცაშ“
(ხუთშაბათს)

თანფუ ჟარნესგაში ხუთშაბათი დღის სახელწოდებაა „დადუარე ცაშ“. ამ დღეს ლამაწრიას „ოთშარვა“ და მის აღსანიშნავად ქალები აწყობენ „ლამაწრიან ლიმზირს“. ეს ლიმზირიც შედის ქალების დღესასწაულთა რიცხვში; ქალები დააცხობდნენ თავიანთი რაოდენობით ხაჭაპურებს. მათგან უფროსი კერიის ფეხთან დაიჩოქებს და შესთხოვს ლამაწრიას;

- კერი ლამაწრია, ალ კერაჟქა უნდბაშ ნოსა ანნაყნა, მაგ სალხინისგა ლენთხე ჩემ ნიშგუეჟ ქორა ზურაწლა ნაფდაწლ. ქორს მადას ისგუ კიზ ესად, ქამალაშას ხოჩა ჯეჯილ ჟ მულუაჟ ოთოფშდ, ლანო ბარაქ ისგუ ლამზრაწლდ დიდაბი ლეჯედ.

- კერი ლამარიავ! ამ კერაზე არ დაგვაცხობინო არასასურველი პური. სალხინოდ გახადე ამ სახლის ქალთა ნახელავი. სახლში არსებულს შენი ჩოგანი დაადე, გარეთ დათესილს კარგი ჯეჯილი და ყვავილი მიეცი, მოგვეცი ბარაქა შენს სადიდებლად, მადლიანო!

ამ ლიმზირს მხოლოდ ქალები ასრულებდნენ: ხაჭაპურებსაც თვითონ მიირთმევდნენ.

საჯხე გირგვლიანი. 1995 წ. იფხი.

* * *

დადუარე ცაშ შედის ქალების დღეობათა რიცხვში. ქალების დღესასწაულები შემდეგია: ყორ ლიკრაწლ, თოთობ - ჭლიშის მეორე ორშაბათი, დადუარე ცაშ - თამფა ჟარნესგა ცაშ, ზურალაწრე ცაშ - უფლიშიერის ხუთშაბათს და კვინტობ.

ვ. ბარდაველიძე, არქივი. 209 $ф^2$ საქ. №744 რვ. 3. გვ. 65.
ქ. ფარჯიანი, 1931 წ.

* * *

დადუარე ცაშ ლი აშხუდ, თანფაშ ი უფლიში ნესგა ცაშ (თამფა ჟარნესგა ცაშ), მერმად, უფლიში მანკეი ნაგზაისგა - ცა ლადაღ. ნადბაშუნ ესღვახ ჩარგლდა ლამაწრიათე. ქორს კერი ლიმზირს იჩოხ. ალის მერმე ი მესმე ცაშ ახჭმენი (უფლიშიერისგა) ეჩქას ლი ლიმზირ ჯაჰხან. ხემზირხ ჰარტი თაერინგზელს კვაზშ. აღი ქუთს მამ ითლე. ლანყედ ლესკარს, ღვესმიშს, იორი მეზგემი შელდჟინ ეშხუ ცალს.

„დედლების ხუთშაბათი“ ერთი არის აღდგომის მსგეფსის ხუთშაბათს (თამფა ცაშს) და მეორე—უფლიშიერის პირველ ხუთშაბათს. სალადბაშე მიაქვთ ჩარგლდის ლამაწრიაში. შინ (უფლიშში) კი კერის ლოცვას აწყობენ. ამ დღეს მეორე და მესამე ხუთშაბათი რომ მოჰყვება, არის ლოცვა ზვავების საწინააღმდეგოდ. ლოცვა ხდება ჰარტი თარინგზელის სახელზე—ცარიელი ლემზირებით. ის ყველიანს არ იკარებს. მისთვის ვაცხობთ ლესკარს, ბადექონიანს, ორი ოჯახისთვის 1 ცალს.

სირინო კვანჭიანი, 1996 წ. ლედმანი.

* * *

„ლატალში თაწაფსა (აღდგომა) და უფლიში შორის ხუთშაბთს „დადჭარე ცაშ“ - დედლების ხუთშაბთი ეწოდება. ამ დღეს კერი ლემზირს აცხობდნენ ქალები. იგი კაცებს არ ეჭმეოდათ (მაშ ხოშიდდახ). მას კერის უკანა ფეხებთან ვევედრებოდით დაჩოქილი, სამჯერ ფეხის გარშემო შემოვავლებდით „ლამაწრია, ხოჩა ბაწარაქ - მაჭად ლანო, მერბიჭულ ათფიშირ აღ ქორისგა, ლერბიჭულ მასარდ ლანო“. კერის ლემზირს აცხობდნენ იმდენს, რამდენი ქალიც იყო ოჯახში, მაგრამ სამზე ნაკლებიც არ შეიძლებოდა. ეს ლემზირი იყო მიწის თვალის (გიმი თვალ) სახელზე. ჩუბაკ ლიმზირს მართავდნენ ხუთშაბათობით (ცაშარა), ზოგჯერ შაბათსაც (საფტინ) და ორშაბათსაც (დეშდიშ). ამ დღეებში გამომცხვარ ჩუბაკ ლემზირს კიხუ ეწოდება. (მას სამ ჩაზნექილ ნიშანს უკეთებდნენ თითით) მას კერის მარჯვენა ფეხთან ავედრებდნენ, სამჯერ შემოავლებდნენ კერის გარშემო და თან ლამაწრიას ევედრებოდნენ ძროხების წველადობის გადიდებას, ოჯახის გამრავლებას ბედისა და ბარაქის მომატებას.

ამ დღეს კიხუ-თან ერთად ცხვებოდა ერთი პატარა კვერიც - კოკორაწლ, რომელსაც კერის მარჯვენა ფეხთან მარხავდნენ ნაღვერდალში, თან ლამაწრიას ევედრებოდნენ, რომ აეცდინა ოჯახისთვის ქაჯი და ეშმაკი (ქაჯ ა ჰეშმა), გლახა თვალი (ხოლა თე), არ მოეშვა მავნე, ცუდი ხმაური (ხოლა ნატაკ) წყევლა (ნაჭათუ) გიმი თვალის სახელზე ილოცებოდნენ გვემშიც. ზოგიერთ ოჯახს წესად ჰქონდა ლემზირების შეწირვა გიმი თვალისთვის გვემში და ამ ლემზირების დადება ფანჯრის რაფაზე“.

მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური
კულტურის ისტორიიდან, 1961 წ. გვ. 183-184.

* * *

„გიმი ლიმზირი ოჯახის მეზირისთვისაა განკუთვნილი. მეზირ ანუ თაღ („თეთნე ფხუ“) წყალში ცხოვრობს, მაგრამ მისი მოჩვევა და პატრონობა ძნელია. ერთ კაცს ლაჰილში შეჩვეული ჰყავდა თეთრი ბაყაყი - თეთნე ფხუ, ანუ მეზირ. იგი მხოლოდ მეზირით უნდა ეხსენებინათ. მერბიჭული აჭმევდა მას. მეზირი კერის უკანა ფეხთან ამოდის მიწიდან და ჩადის ხოლმე. მერბიჭულის მეტი მას ვერავინ აჭმევს. ვიდრე ოჯახს მეზირი ჰყავს, ეს ოჯახი ბედნიერია, ბარაქიანი, მაგრამ სამ თაობაზე მეტს იგი ვერ გაძლებს - ოჯახი ამოწყდება.

მიწის თაღ და წყლის თაღ სხვადასხვანაირია. მიწის თაღ ახლად დაბადებულ გოჭს ჰგავს - მსხვილი და მოკლე უზარმაზარ თვალებიანი მცოცავი არსებაა. წყლის თაღი წყალში ცხოვრობს. წყლიდან ხარს ჩაჰყვება ხოლმე. მის კანსა და ხორცს შორის მოთავსდება - კვერცხის ფორმისაა იგი. ასეთი ხარი ვისაც ჰყავს, ის ოჯახი და საქონელი ბედნიერია. როდესაც ხარი კვდება ან დაკლავენ, თაღი მის ცხვირიდან გამოდის და სხვა ხარში შედის, მაგრამ ყველა ხარში არ შევა“.

ვ. ბარდაველიძე, არქივი 209 $ф^2$ საქ. №744. რვ. 3. გვ. 65.
ქ. ფარჯიანი, 1931 წ. ლატალი.

* * *

„თამფა ადარნესგაში“-ს პარასკევ დღეს ეშმაკს (ვირიაჯ-ს) უხსნილებია პირი,[1] ამიტომ ამ დღეს ლიმზირი არ იმართება. საზოგადოდ, თამფა ადარნესგაში ლიდბაშები არ იმართებოდა სხვა ორთშუებისაგან განსხვავებით. ეს პერიოდი ქრისტეს აღდგომის და მისი ზეიმის პერიოდია.

დღიურები. მთხრ. საჯხგ გირგვლიანი — იფხი 1995 წ.

„უფლიში საფტინ“
(შაბათს)

თანფა ადარნესგაშის შაბათი ჯგგრაწგისთვისაა განკუთვნილი. ამ დღეს ჯგგრაწგს უხსნილებია პირი. მის აღსანიშნავად შაბათიდანვე ხდება საუფლო დღეების ათვლა. შაბათი „უფლიში საფტინია“. ძველად ამ დღეს სოფელში სამხიარულო წარმოდგენები იმართებოდა ლენჯერის ქაშვეთელებსა და ლატალელებს შორის:

„უფლიში საფტინ“-ს შეიკრიბებოდა ლასკარი (ოჯახები ვინც დღეობას ერთად იხდიდა) „მეუფალიშთან“ (ოჯახი, რომელიც მასპინძლობდა რიგის მიხედვით ლასკარ-ს || „უფლიშ“-ს) და დაიწყებოდა დღესასწაულის წინა სამზადისი (უფლიშიჭრ გრძელდებოდა ერთი თვის მანძილზე) - უმეტესად გუბზ-ის მოგროვება.

ამ დღეს ლენჯერლების გამორჩეული ქალ-ვაჟები მოდიოდნენ ლატალში სტუმრად. აქ იმართებოდა ამ ორ სოფელს შორის შეჯიბრი სიმღერაში, ცხენის რბოლაში, ბურთის ტყორცნაში, ნიშნის აღებაში,

[1] პირის ახსნა მარხვის შემდეგ ნიშნავს მომარხულე პირისთვის სამარხოს ჭამას. მარხვა სვ-ად არის „ლიურწყეკი“ და პირის ახსნა „ლიშრავი“.

ქვის აღებაში, ჭიდაობაში, ურთიერთ პატივისცემასა და სტუმარ-მასპინძლობაში. ორივე მხარე ცდილობდა გამარჯვებას ლიმქარწლისას (შეჯიბრში).

საღამოს მისი დამთავრების შემდეგ ლატალის ყველა „მეუფალიში" გაინაწილება სტუმრებს. კვირა საღამოს, როდესაც საუფლო ხარს დაკლავდნენ მეუფალიშნი, „საუცხოოდ" გამასპინძლებული სტუმრები ერთად შეიკრიბებოდნენ სოფლის ცენტრში და ბრუნდებოდნენ შინ.

„ქაშვეთობა" დღეს, რომელსაც „უფლიში საფტინის" სწორზე დღესასწაულობენ ქაშვეთელები, მასპინძლობას ლატალელებს ქაშვეთელები უწევდნენ. აქაც ლატალიდან ნარჩევი ხალხი მიდიოდა. ისევ იმართებოდა შეჯიბრი და გამარჯვებულნი აქაც და იქაც ხელშეუხებელნი ხდებოდნენ. ამ დღეობის სიკარგე და სიამოვნება დღესაც მრავალს ახსოვს. მთხრობელნი დღესაც სიხარულით იხსენიებენ მას. დღეს ამ დღეთა მხოლოდ „აჩრდილია" დარჩენილი. გული სწყდებათ ძველებს, რომ ყველა კარგი ტრადიცია ძველი დროისა, მივიწყებულია არადა, ნამდვილად სურთ ის ისევე სრულდებოდეს, როგორც 60-70 წლის წინათ იყო.

საჯხგ გვიჩიანი. 1995 წ. იფხი.

„ლიგიერგი" — გიორგობა (6 მაისი)
„ლუფხუა ლიგიერგი" — გაზაფხულის გიორგობა

„გაზაფხულის ლიგიერგიდან შემოდგომის ლიგიერგიმდე ორშაბათი დღის დილის ყველს მამაკაცებს არ აჭმევდნენ - ცუდი ზნე ექნებაო. ყველს აგროვებდნენ და ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთ ორშაბათს ასაკში შესული ქალები გააკეთებენ „ლგქლიბეს" - ფეტვისა და ყველისაგან ერთად აზელილ კოკრებს და მგქემ თარინგზელის სახელზე ილოცებენ ვაჟების სიწყნარეს, შეავედრებენ მათ თავს და შეჭამენ. ამ დროს მამაკაცები სახლში არ უნდა იყონ.

ვ. ბარდაველიძე არქივი 209 ф[2] საქ. №744. გვ. 67.
მთხრ. ქვერიჯა ფარჯიანი.

* * *

„ლუფხუა ლიგიერგისაც" გააჩნია სწორები ისევე, როგორც შემოდგომის გიორგობას. ეს ორი მომდევნო ორშაბათია. საერთოდ, შემოდგომის გიორგობას უფრო მეტად „ზეიმობენ", ვიდრე გაზაფხულისას. ამ დღეს, ვისაც სურვილი აქვს, სალოცავში აღავლენს ლემზირებს, ზედაშესა და სანთლებს - წმ. გიორგის (ჯგრაწგ ჰოკულდაშის) ეკლესიაში. ვისაც იქ წასვლა არ შეუძლია, შინას სარკმელთან იმოქმედებს - შესთხოვს წმინდანს, „ჯგრაწგ ლიგიერგიშ"-ს, ოჯახის მამაკაცების მფარველობას.

დღიურები.

ლილჩწლ. თამფიეერ. უფლიშიერ.

ლილჩწლისგა მწკეტი დეშდიშ ი თუხაშ ლი ფხუწრუ. ხემზირხ მაცხუწრ ფხუეშს. ლიმზირ ლი კუეხუ. ოხდრიშს მწმ იმზირ. აწლის მეშხე ფხუწრ, ხაშხა აწლის დეშდიშ ხეჭმენი ეჩქას-ლი ხატგნცხოველ - ლუდბაშთე ესღრიხ ჩარგლდთე. ხუტგნცხოველ ლი მურყეუმ, ამეჩუნ ხორიკ ლებილდარ ი იდბაში მემზირ მწრე. ხუტგნცხოველს ლიმზირს ხატულიხ თეთნა ფხუს. აღი ლი მაკუშწლხან ლიმზირ. ალ დეშდიშს საფტინ ხეჭმენი ეჩქას ლი ლითორდური. აწლ ლადაღ ჩალსგურეში ი იმზირხ ჯგრაწგ ლითოდურეშს. მიჩა ლუჭუმ ნაჯ მთმ გუიგ-ლგგ ლაბსყწლდს.

ისგ ლილჩწლ ლადაღ ლუნყედ უშკუშუნ ლეზებ 3 ლემზირს - ქულუმგენახნ როქ-ლი. ლილჩწლ ღვეშგმე ლადაღ-ლი თანაფ. აწლი ჩიღად ხეხოლი მიშლადაღ. აწლ ლადაღ ქალოფწნედ. ალის დეშდიშ ხეჭმენი ეჩქას ესერ ოთშარვა ქრინსი. მიჩეშიწქდ ლოჯგრიდ ჩიღად: მახე ლგდგაერს ლაჭუმეენ, ჯინელს ქორს ლოფწნედ. თახა ლადაღ მაცხუწრს ესერ ოთშარვა, ეჯღა გუწრ მაცხუწრ თუხაშ. ლუჯსენიდ ლელტალა ჭანს. ჯგმეშ ჭაბიგუს ესერ ოთშარვა, ამღა გუწრ ჭაბგობ. ცეშ ლამწრიას ესერ ოთშარვა, ლიმზირდ ლამარიახნ, ვებიშ ვირიეჯს ი დეშგვეშ ლიჩოდ. საფტინის ჯგრაწგს ოთშარვა - ლიმზირდ ჯგრაწგხან, მიშლადარს ხოშა ღერბეთს ესერ ოთშარვა - ლიბნედ უფლიშიერს. ლესკრი მეუფალიშ აჯსენი ჭანს მადეჯ, ხაბნას. ალის დეშდიშ ახჭმენი ეჩქას ლი თუნღილ. (თანღილ ჯარუნ ლი ზაჯსგა ეშხუ ლინთისგა, ეშხუ ლუფხუისგა).

თანღილგნღო თუხა ლადაღ ლი გულა თუხაშ. ე. ი. მაცხუწრ თახში ნანგაზა. ეჩქას გულთე ლიზი ერვაჯს ხაჭკრა ი დეშ ესღრი, ეჯი მაგ ჯანთეეენ ღგრი ლემზირშ, ზედაშშ, ლეტროშ. ხემზირხ გულუ-გაბრელს, მიჩა ნაწილ ჯანს სგუეჯი ი ეჯღა ესღრიხ ჯანთე. საფტინს ნაჯ ჯანა ლასკრობს ხვიჩოდ: ერვაჯს ჯანთე ლიზი ხაჭკრა ეჯი ესღრი მადეჯ, ლესკრისგა ხვიმზგრიდ. აწლის ცეშ ხეჭმენი ეჩქას ლიზი ლი პეტრე გაჩართე: ლემზირაწლს ქახონყედ ღვაჭარს ი მინგაერ ესღრიხ სიკუილაჯთეეენ - ამჩუნ ლგგხ პეტრეგბაჩარ.

უფლიშიერ ათხად ეშხუ თეფს ნამოქრჭენ. ლეჭნა გუთიზი ნავლუენოშ ეშხუ ნაგზის გარ ჩემინდ, ამზატი ამჟინ ირა სერთხნდ. ხვიმზირდ ი ხვიყუბალდ ეჩქად ოდდოდ გუთიზ ნასიდ, ეჩქანლოო ჩუფხეენიდ. გუთიზს მეზგემი შელდ კარანს ხვაზრიდ. ეჩხვ იორი ჩაფლაშ ხასკდა. მაცხუარ თახში ჯანმიშდ ეშხუ ჩაფლაშს გარ ხვაზრიდ, ფუსდა ჯანმიშდ იორი ჩაფლაშს. ალის ეჯ მეზგა ხოჯდა სოფელ ერვაჲ ალ ჯანარს ადნეშენა.

ლილჩალ ღვეშგმე ნაგზი ცა ლადაღის ხატულიხ შიხარ ცაშს. შიხარ ცაშხანქა ანღლაბდ ხრზი 6 ნაგზი. ანღლაბ ჩღლად ცალადაღ ხეხრლი. შიხარ ცა ლადაღ უშკუშუნდ ხეკუეს ახლეთი მეშხე ქიპ ი უშკუშუნდ ხეკუეს ქალახბა ქორსმერდეს, კერაჲს, ლაფქიარს...

ლილჩალე ღვეშგმე ნაგზისგა ლი ჭორიალე მრშ. ალ ნაგზა ცა ლადაღს ხაშხა შიხარ ცაშ. სარხელს ალ ლადაღ იჭკურეხ, ლასმანარსი (ღამელხანქა). ლახე ალ ლეთ დეშ ახსყინე ეჯიარს, ნაკიც ესერ ეშიდ ჟი ხეკუეს ესგენა - ხუჭაჲ ხანს როქ გეჭნი.

დიდმარხვა, აღდგომა, საუფლო დღეები

დიდმარხვის პირველი ორშაბათი და სამშაბათი ფხუარუს დღეებია. ახსენებენ ლოცვით მაცხეარს ფხუეშისას. ლოცულობენ ცარიელი ღემზირებით, ყველიანს და ხორციანს არ იკარებს. ამ დღეებს ჰქვია მეშხე (შავი) ფხუ. ამას ორშაბათი რომ მოჰყვება არის ხატგნცხოვლობა, სალადბაშედ მიდიან ჩარგლდში. ხატგნცხოველი კომკის „სახელია", აქ ლოცულობენ, აქვე აწყობენ ლიდბაშის. მძივები ჰკიდია, ამ კომკზე. (მლოცველთა დანატოვარი!). ხატგნცხოველთან ლოცვის დღეს თეთნე ფხუსაც ეძახიან. ეს ძვლების ტკივილის დასაცავი ლოცვის წესია. ამ ორშაბათს მოყოლებული შაბათი ლითოდურის დღეა. ამ დღეს უქმობენ და ლოცულობენ ჯგრაჭგ ლითოდურისას. მისი საყდარი ჩვენ არ გვაქვს - დგას ლაბსყალდში (ცხუმარი).

შუა დიდმარხვის დღეს ვაცხობთ 3 ცალ ღემზირს—საქონლისთვისაო ეს დღე მიკუთვნებული. დიდმარხვის ბოლო დღე არის აღდგომა. აღდგომის მეორე დღეს ორშაბათს პირი უხსნილებიაო სულს და ამის გამო ყოველთვის ეს დღე ლიჯგრის დღეა: ახალ მკვდარს სასაფლაოზე მიუტანენ საკურთხს, ძველს—სახლში დაუფენენ. სამშაბათს მაცხეარს უხსნილება პირი და მისთვის მაცხეარ თახაშის დღეობა იმართება. შევწირავთ ამ დღეს სალატალო ხარს. ოთხშაბათს ჭაბუკს უხსნილებია პირი და ამიტომ ვიხდით ტარი ჭაბგობს. ხუთშაბათს ლამარიას უხსნილებია და - ლამარიასთვის ვილოცებით, პარასკევს ეშმაკს და არაფერს არ აღვნიშნავთ, შაბათს ჯგრაგსა და ვილოცებით ჯგრაჭგისთვის. კვირას დიდ ღმერთს და ვიკრიბებით საუფლო (უფლიშიერის-თვის!) დღეებისთვის. საძმოს (ლესკრის!) დამხვედრი (მეუფალეშ) შეწირავს დიდ ღმერთს ხარს ან მოზვერს. ამ დღეს მოყოლებული ორშაბათი თანღილის დღეა. (თანღილობა ორჯერაა წელიწადში: 1-ზამთარში, 1-იც ზაფხულში).

თანღილის შემდეგ არის გულის სალოცავის „გულა გაბრელის" დღე - „გულა თუხაშ". ამ დღეს გულის (სოფელია ბეჩოში) სალოცავში სურვილის მიხედვით ყველა მიდის. თუკი იქ წასვლა ვერ მოახერხეს, ადიან ჟანის სალოცავში (აქ მისი ნაწილი ასვენია და ამიტომ!). შაბათს ჩვენ ჟანის ლასკრობა ვიცით: ვისაც აქ ასვლა სურს და ლოცვა სწადია მისთვის, ადის ვისაც არა შინ, ლასკარში ილოცება. ამას მოყოლებულ ხუთშაბათს წასასვლელია პეტრეს (პეტრ) ქვებთან (სიკუილაჭდთეკინ), ღემზირებს დავუცხობთ კაცებს და მარტონი ადიან აქ სალოცავად.

უფლიშიერ აქამდე ერთი თვე ვიცოდით. შარშან გუთიზის უქონლობით - ერთი კვირა დავყავით მხოლოდ, წელსაც ასე იქნება ალბათ, ვლოცულობთ და ვიკრიბებით მანამ, სანამ გუთიზი გვაქვს დარჩენილი, შემდეგ ვიშლებით. გვიზს ოჯახის რაოდენობის მიხედვით ვაგროვებთ ერთი ზომის საწყაოთი კარან, - შიგ ორი ჩაფლაშ ეტევა. მაცხვარ თახაშისათვის ერთ ჩაფლაშს ვაგროვებდით, ფუსდა ხარისთვის—ორს, ამას იმ ოჯახს მივუტანთ, ვინც საზვარაკე ხარებს გაასუქებდა.

დიდმარხვის ბოლო კვირის ხუთშაბათს შიხარ ცაშს ეძახიან. ამ დღიდან ამაღლებამდე არის 6 კვირის შუალედი. ამაღლებაც ყოველთვის შიხარ ცაშის დღის სწორზეა (ე. ი. ხუთშაბათს). შიხარ ცაშის დღეს ულაპარაკოდ (უმძრახად!) უნდა გაამზადო შავი ძაფი და და უძრახად უნდა შეაბა იგი ოჯახის წევრებს, კერიას და საფქვილეს. დიდმარხვის ბოლო კვირაში არის კუდიანების კვირა (ჰორიაჭლე მრშ). სწორედ ამ კვირის ხუთშაბათს ჰქვია შიხარ ცაშ, სარეკელასაც (კვეთ ჩასხმული რძის ასარევი ჯოხი). ამ დღეს მოჭრიან და ხარის აპეურებსაც მოიტანენ შინ. თუკი ამ ღამეს მათ ვერ გააკეთებ, ანათალი მაინც უნდა დაამჩნიო - დიდხანს გაძლებსო.

მარო ფარჯიანი - გირგვლიანის. 1995 წ.
მაცხვარიში.

* * *

ყველიერინღო იბნი ლალჩა - ხოშა ფიჭმ. (7 ნაგზი). ლამუკარს ლესკარ ნადდა მანკური ნაგზაისგა. ფხუკარუს ხვემზირდად ამ ჩიქქა. დეშდიშ იბნოლდა ლილკოფალ ი მიშლადაღ ქაზგგრა ბაა მაცხუკარისგა. ცოდა ლახვაშინა წირ ხადდა ჩილადალ-სემინ ლადაღისგა. ზიარება ნაკიდუნღო ლელუმი ლიზებს მამ ჯიყან, დეე ზისხორაშ ი დეე ნათხარიშ. იბნოლდა ლილჩალ.

ალის დეშდიშ ახჭემნი ეჩქას ხატგნცხოვლობ ლი. ისგლილჩალს (დიდმარხვის შუა კვირა - IV კვირა, ამ კვირის ოთხშაბათი დღეა ნაგულისხმევი) უჟამ - ჟამი ლემზირალ ხაკუჩ, ეჩქანღო ლამუკუნალარ ლიხ ლენყე. ეჩქანღო ა'შ ლემზირალ. ლისგურენშ ლი. ლიმზირ: - ისგ ლილჩალა ლამზგრ, მაჩენამდ ისგუ ლიმზირ ნამურჯენს, მერმად ათხე ანმარჯ დიდაბი ლეკედ.

25 მარტს (ახ. სტ. 7 აპრილს) ლი ხარაბ. სემი ლადაღს ლილსგურენშიდ. ჩაბარს ლიმზირ ხამთქვახ, ნაჲ ლილყინალი გარ. ამუნღუნ მიშლადაღს ხაშხა აჲ მიშლადაღ, ეჩქანღუნშს ბაჲა მიშლადაღ ი ღვეშგიმპილია ნაგზის - ჰორაბ მენ. ალ ნაგზ მიშლადაღს ლი თანაფ. იზგრი ლილჩალ.

თანფა სგვენე ცა'ს შიხარ ცა'ს ხაშხ. თანფა სგვენე საფტინს ჯგრაგი ლიმზირ ნამთქვან. ნეღაშტს ხვამზრდად ნეღაშტ შომაჲ ნირდა ეჩქას, ათხე დენმგვა'შ. თანაფ ლადაღ ლემზირდ მუჩფა თანაფს. გვიხა ხოხრა თა'შმი ჟილიტყბე ტაფაისგა. ალი სგვენნაუ კერაჲჟიქან ნარკინ, ქალგფრე ლი.

ყველიერის შემდეგ იწყება დიდი მარხვა (7 კვირა). მამისეულ სახლში პირველი კვირის მანძილზე სალასკაროდ ვიკრიბებოდით - ფხუარუსთვის ვლოცულობდით ამ დღეებში. ეკლესიაში, ორშაბათს, იწყებდა მღვდელი ლოცვას და კვირას ამთავრებდა. ცოდვის მოსანანიებელ წირვას ასრულებდა იგი ყოველდღე - დღეში სამჯერ. ზიარების აღების შემდეგ ხორცის ჭამა იკრძალებოდა—იწყებოდა მარხვა.

ამის მომყოლი ორშაბათი ხატგნცხოვლობის დღეა. ისგლილჩალს (დიდმარხვის შუა კვირა, მე-4 კვირის ოთხშაბათი დღეა ნაგულისხმევი) „უჟამოჟამის'' ლემზირებია დასაცხობი (უჟამ-ჟამი ლემზირალ!), შემდეგ „ლამუკვალარის'' სახელით არსებული ლემზირები (მათ ლემზირები არ აქვთ, ბურთულა კვერებია) და ბოლოს ჩვეულებრივი ლემზირები. ეს დღე უქმეა.(ლოცვა, - შუა დიდმარხვის მადლო, საუკეთესოდ მიგვიჩნია დღეგანდელი ლოცვა.) 25 მარტს (ახ. სტ. 7 აპრილს) არის ხარება. მას სამი დღის უქმობით აღვნიშნავთ, ქვედაურებმა ლოცვა იციან, ჩვენ ხეხილის მყნობა. მომდევნო კვირას ჰქვია აიას კვირა. შემდეგს - ბაიას კვირა, შემდეგს კუდიანთა კვირა და ამ კვირის კვირიაკეს არის აღდგომა. მთავრდება დიდმარხვა.

აღდგომის წინა ხუთშაბათს „შიხარ ცა'შ'' ჰქვია. აღდგომის წინა შაბათს ჯგრაგის ლოცვა ვიცოდით. თიკანს შევწირავდით როდესაც გვყავდა, ახლა აღარაფერს. აღდგომის დღეს ვახსენებთ „მუჩფა თანაფს''. ვიცით ყველის ტაფაში შეწვა. ეს ყველი წინასწარ არის კერის თავზე ჩამოკიდებით გამხმარი.

* * *

თანაფუნღო დეშდიშ ლიჯგრი ლი. თახაშ მაცხუარ თახში ლიყუჟალ, სოფელ ჭანს აჲსენი. ჯგმაშ - ტარი ჯგმაშ. ალ ლენთ ქუთი ლესკარ გვარ ლენყე, ჟილემზგრი ლი ჰაგამისგა ჭაბგობა ლამარიაშდ. ნამზგრუნღო სგალაჭადჟინ ლუტუნლიდ: მუქუხს შენდბა, ჭაბიგუს შიდბა. ლიმზირ ლი მარახაკ. ცა'შ დადუარე ცა'შ ლი: - ზუარალარე დულაჲ. საფტინს - უფლიში საფტინ. მიშლადაღ მეუფალიში ჭანმი ლიჲსენი. მერმა საფტინს ლენჯარლე ქაშუათობ. მეესმე მოშლადაღს ლი ფუსდა ჭანი ლითუალ. (თანაფ, უფლიშ, ფუსდა ჭანი ლითუალ - ზედიზედ არის სამივე კვირის კვირა დღეებში).

აღდგომის შემდეგ ორშაბათს ლიჯგრია გარდაცვლილთათვის — სასაფლაოებზე სუფრის კურთხევა. სამშაბათს - „მაცხუარ თახაშ''-ის დღე, სოფელი მას ხარს სწირავს. ოთხშაბათს - ტარი ჯგმაშ''. ამ ღამეს ხაჭაპურიანი ლესკარი გვაქვს ლემზირი ჭაბგობა ლამარიასათვის ძველი სახლის წინგარდში. შინ შემოსვლისას ვამბობთ მუქუხს შენდობა, ჭაბუკს დიდება. ლოცვა არის ადამიანის კეთილდღეობისთვის. ხუთშაბათს - დედლების ხუთშაბათია - ქალების „დულაჲ''. შაბათს უფლიშის შაბათია. კვირას „მეუფალიშის'' მიერ ხარის დაკვლის დღე. მეორე შაბათს ლენჯარლების ქაშვეთობა. მესამე კვირას (აღდგომიდან) ფუსდის ხარის დაბადების დღეა - ფუსდა ჭანი ლითუალ. (ე. ი. თანაფ პირველი კვირიაკე, უფლიში მიშლადაღ მეორე კვირიაკე, ფუსდა ჭანი ლითუალ მესამე კვირიაკე, ერთმანეთის მიყოლებით. სამივე კვირა დღეებში)

* * *

ლითორდური ლი ლილჩალე მერმე მიშლადაღს, ლითოდურრ მენში საფტინს. ლაბსყალდარს ხამთქვახ. ლითოდურრ ნაგზიხანქა ნაგზი ჭენდგრნე ეჩქას ლი ლილაშუნენ (საფტინს). ალ ნაგზის ლილაშუნენ მენშ ხაშხა. ალ ლადაღს ლამარიას ხამზგრიხ ლემზირალს: ბერს, ძიჰას, ხემზირხ ლილაშუნენ ლამარიას.

ჰორაბ მენისგა შიხარ ცა'შ თანაფრლს ხაბემხ უშკუშუნ. ჩრს - მეშხე ქიაჲ ლი ლელთე. ფხუე დეშდი ლადაღ (ფხუარუს!) ჰაბ-ხან ლი წგრნი ქიაჲ ლებემ.

ლითოდური არის დიდმარხვის მეორე კვირას. ამ კვირის შაბათს ლაბსყალდელებმა (ცხუმარი)

იცოდნენ ლითოდურის დღეობის აღნიშვნა. ამ კვირის მეორე - მომდევნო კვირა - ლილაშუნეს (თესლობის) კვირაა და ეწოდება - ლილაშუნე მა'შ. თესლობის დღე (შაბათია თესლობის დღე) ლილაშუნე ლადაღ, ლამარიას აღუვლენენ ლემზირებს, ახსენებენ ლილაშუნე ლამარიას.

კუდიანების კვირეულში „შიხარ ცაშს" უბრალ მიბამენ შავ ძაფს (თანაფრლს) ყველაფერს. ფხუარუს ორშაბათს, სახის ფერის დასაცავად, იციან წითელი ძაფის ხელზე შებმა.

* * *

უფლიშიერისგა მწნკერი ცა' ლადაღს ხაშხა დადუარე ცა'შ. ლემზირდ ქუთუარ'შ. ჩარგლდა ლამარიათე ლადბა'შ ეგულერა. ქორს კერაადმგყ იმზირხ. ალის მერმე ცა'შ ახჭემნი ეჩქას სკარხალხან ლი ლიმზირ - ბარისგა (ე. ი. ქვედა სოფლებში) - დენა'შ, ლამ, მაცხვარი'შ. ალის მწსმე ცაშ ახჭემნი ეჩქას ლეეკქწნქდ ლი ლიმზირ - სკარხალხწნ. ლემზირდ ჰარტი თარინგზელს. ლისგურერ'შ ლი. ლანყედ ლესკარს ღვესემი'შს - 2 მეზგემი შელდჟინ - 1 ცალს.

უფლიშიერისას პირველ ხუთშაბათს ჰქვია დედლების ხუთშაბათი. ვლოცულობთ ხაჭაპურებით. ჩარგლდის ლამარიაში სალადბაშე მიგვაქვს. სახლში კერასთანაც ილოცებენ. ამას მეორე ხუთშაბათი რომ მოჰყვება - სეტყვის საწინააღმდეგოდ ილოცებიან ლატალის ბარელები: დენაში, ლამი, მაცხვარიში. ამის მომყოლ ხუთშაბათს (მე-3) ზედაურები ლოცულობენ ჰარტი თარინგზელისთვის სეტყვის აცილების გამო. უქმეა ვაცხობთ ლესკარს ბადექონისას—1 ცალს 2 ოჯახზე.

* * *

მგჟა'შს ეჩხანთე გელა'შს ხვატულიდ ეჩეჩენ ხვიმზირდ ალგნგერერი თა'რინგზელს. ალი ჰარტი თარინგზელი ნაყენილ-ლი. მიჩა ნაწილ ნიშგრეგ მურყუამისგა სგრეჯი. თა'ში ნავალს დემ ითლე, ტანიშ ზურა'ლს დემ ითლე ეჯინ ტიცხრ-ლი. უფლიშერისგა ესლურადდ ამხარ.

მგჟა'შს იქით გელა'შს ვეძახით. იქ ვლოცულობთ ალგნგერერი თა'რინგზელისთვის ქალები. ეს ჰარტი თარინგზელის ნაწილია. ხოლო მისი ნაწილი ჩვენს კოშკშია შენახული. ყველის ნაწარმს არ იკარებს, ასევე დედათა წესის მქონე ქალსაც. უფლიშიერობისას მივდიოდით აქ სალადბაშედ.

* * *

„უფალ დეცეშ" იგივე „ხოშა ღერბეთია" || „ფუსდ დამბადებელ" || „ფუსდ ნაბუასდიშ". მისი ლოცვის შემდეგ „მგქემ თარინგზელისა" და „ჯგრაგისთვის" არის აღსავლენი ლემზირები და მათ შემდეგ ყველა ის წმინდანი და სალოცავია, სახსენებელი, რაც კი დგას ლატალში. მათ რიგს იწყებენ მარჯვნიდან და მოჰვებიან ბოლომდე. თუ გადარჩათ ლემზირები, ახსენებენ სვანეთის სხვა სალოცავებსაც. ლემზირები არ ცხვება გამოთვლილად. ისინი იმდენი უნდა დამზადდეს, რამდენიც მეორე ლიმზირამდე იქნება ლასკარისთვის სამყოფი.

„უფლი ლადაღ" (კვირა დღეს) ლოცვა-ვედრება უნდა მოხდეს დღის 12 საათამდე. საფტინების დროს მზის ჩასვლამდე ან 9-10 საათზეც კი შეიძლება. უფლიშიერობა ჩვენ 1 თვის მანძილზე ვიცით. „უფლი ლადაღ"-ს არ შეიძლება ლიფანე, საფტინების დროს კი—აუცილებელია!

ხუთშაბათები ყოველთვის ქალთათვისაა განკუთვნილი. ისინი მხოლოდ თავიანთთვის ლოცულობენ ამ დღეს. სხვა დღეებში დადიან სხვადასხვა სალოცავის ლადბაშებში და იქ იხდიან ლიმზირს.

ქალებმა ვიცით ლესკარის დამთავრების შემდეგ „ჰაგუ"-ის გაკეთება - „ჰაგუა ლინყე"! ბოლოს როცა „გუიზ" გადაგვირჩება ან სპეციალურად დავტოვებთ საჭირო რაოდენობის ფქვილს, დავაცხობთ მამაკაცების გარეშე ხაჭაპურს, ფეტვიანსა და მხოლოდ ყველიანსაც. გავაკეთებთ „ჩხეტრას" და სახლში, სადაც ლესკარი გვქონდა, დავილოცებით ლაშარიას სახელით. სალადბაშედ ქალები ყოველდღე მივდივართ ორშაბათისა და პარასკევის გარდა. სალადბაშედ წასვლა ხდება დილით. სალადბაშედ არ მივდივართ „უფლი ლადაღსაც".

სახ-სიგელისას „სარვაშ-საყანს" და „ჰაჭილარს" სვამს ორ-ორი კაცი ერთად, ორ-ორი სასმისით. ხოლო „ჩარინგ" ისმევა ერთი კაცის მიერ ერთი სასმისით. ჩარინგ უმეტესად საქორწილო, სალხინო სუფრისა არის. იგი ისმევა ლაშარიას შემდეგ; სუფრიდან აშლილ სტუმრებს მასპინძელი დახვდება კარებში და არ გაუშვებს მანამ, სანამ ჩარინგის სადღეგრძელოს არ დაალევინებს - ღურბეთ ჩის ლაჩრინგაწლდ როქუ ჯაჰდი! ეს არის ჩარინგის დედაზრი!

გირგვლიანი მეჭარბი 72 წლის 2000 წ.
კვანჭიანი დოდო 57 წლის 2000 წ. მაცხვარიში.

* * *

ჩვენი ლასკარი შედგება შვიდი ოჯახისგან, ხუთი ხაშაა სამხების და 2-იც უზანშა. გუჩიზ მესფატინისთვის 50 კგ. ხორბლის ფქვილია, მეუფალიშისთვის კი - 70 კგ. ხუთშაბათი დღე (აღდგომის შემდეგი ხუთშაბათი) გუჩიზობის დღეა. „ლესფატინი" არის შვიდი ან რვა კვირის ხბო, ასევე ცხვარი (ვერძი) და ღორი. მეუფლიშის ზვარაკია ხბო ან ვერძი.

„საფტინისას" საღამოჟამსაც შეიძლება შეკრება, „უფლი ლადაღის" დროს კი—აუცილებლად დილით. ლოცვისას ანთებულია იმდენი სანთელი, რამდენიც მლოცველია. 3, 6, 9 ან 12. პირველად ლატალის ეკლესიათა მფარველთ აღუვლენენ ლემზირებს, შემდეგ სვანეთისას, თუ გადარჩებათ ლემზირებით საქართველოს სხვა კუთხეთა ძირითად სალოცავებსაც ახსენებდნენ.

ტაბგლ ცხვებოდა ზვარაკის გულ-ღვიძლის აღსავლენად (9 ცალი ა̈შ ლემზირ!) პარასკევს და ოთხშაბათს საფტინებს არ ვაკეთებდით, სხვა დღეებში—კი! ჩვენი ლესკარი იკრიბება 2 კვირა. პირველი ორი კვირის მანძილზე ხუთშაბათი დღეები ქალთა დღეობებია - „ზურა̈ლარე ლიმზირ", ანუ ცა̈შა̈რ. „ჰაგვს" ვასრულებდით ბოლო დღეს. (ლასკრობისას ბოლო დღეს ქალების ლოცვას „ჰაგვ" ეწოდება.) ესეც და ცა̈შა̈რ-იც მხოლოდ ქალების მიერ სრულდებოდა. ამ დღეს თუ, კარგი ამინდი იყო, მივიდოდით ეკლესიის ლა̈მა̈რიაში, ვეხვეწებოდით ლა̈მა̈რიას სვეს და ბარაქას ქალებისთვის და ქალების ხელით შექმნილისთვის. სალადბაშედ თითო ნაწველი ყველი მიგვქონდა და მისგან ვაკეთებდით ფეტვიან თა̈შ მჯა̈ბ-ს ანუ ჩხეტრას, ფეტვის მჭადს დააცხობდნენ პირველად, გამოცხობილს დაფშვნიდნენ ქვაბში. აქ ჩაყრიდნენ მსხვილად დაფშვნილ ყველს, ერთმანეთში აზელილს ვეძახით ჩხეტრას. კიდევ ვაკეთებდით თა̈შ-დრუწაჲს"; ქვაბში ჩაფშვნილ ყველს დადნობის შემდეგ ცოტაოდენ ფქვილს ჩავაყრით. ერთმანეთში აზელილი ყველი იწელება და უგემრიელესი საჭმელია. თა̈შდრუწაჲ, თითო ან სამი ცალი ლემზირი და თითო ცალი ხაჭაპური ჩხეტრასთან ერთად აღსავლენი იყო ლა̈მა̈რიასთავის—ქალების სვესა და ბარაქაზე. ლოცვისას სანთელს დავამაგრებდით კედელზე. მანდილიანები და დაჩოქილები შესაწირავებით ხელშა ვეხვეწებოდით ლა̈მა̈რიას ჩვენს სურვილს. მლოცველნი სამი ქალი ვიყავით ერთად. ლოცვის შემდეგ დავსხდებოდით და მოვილხენდით. თუ ცუდი ამინდი იყო, შინ მივიდოდით ლოცვის დამთავრებისთანავე. მივიდოდით იმ ოჯახში სადაც უფლიში, გვქონდა. სალადბაშედ დამატებით მიგვქონდა ასევე სამი ცალი ლემზირი ოჯახის წევრ მამაკაცების სახელზე. თუკი ქალთაგან ვინმეს ემართა ლემზირები ლა̈მა̈რიასთვის, მიგვქონდა ასევე სამი ცალი ლემზირი.

უფლიშიერობისას „უფლილადაღ" დასაცხობია ოჯახის რაოდენობით თითო ცალი ლესკარი და ერთიც „ხარებისთვის" (მათს სახელზე!), ე. ი. სულ ცხვება თვითეული ოჯახისთვის ამ დღეს 2 ცალი ლესკარი. ასევე ლესკარი დასაცხობი იყო „ფუსდა ჭანი ლითჭა̈ლის" დღესაც ოჯახზე თითო ცალი. ასევე - „მაცხჭა̈რ თა̈ხაშ"-ის დღესაც (ოჯახზე თითო ცალი). ორივე დღეობისას წასაღებია სალოცავში ლესკართან ერთად ზედაშე, სანთლები და 3-3 ცალი ლემზირი.

თანლილობისას წასაღებია ხაჭაპურიც და კუბდარიც, ლემზირი რამდენიც გენდომება, იმდენი. ამ დღეობაზე ლესკარი არ ცხვება. სალოცავ კუბდარსაც და ხაჭაპურსაც მხოლოდ თეთრი მარილი აქვს. წასაღებია სანთლები და ზედაშე.

სამხუბის გათხოვილ ასულებს - „ჰასა̈რ"-ს საფტინების დროს (ერთ-ერთი საფტინისას!) დავპატიჟებდით. მესფატინს საფტინისთვის მოჰქონდა 10 ლიტრა „სამერავი" და 2 ლიტრა ორნახადი არაყი. მეუფლიშს კი - 20 ლიტრა „სამერავი" და 3 ლიტრა ორნახადი არაყი.

ძველად მეუფალიში ხარს შესწირავდა ზვარაკად ლასკარის სახელზე. ტებდიაშიდან (საზაფხულო საძოვარი, სათიბი მთა) მეუფლიშის ხარისთვის ყოველ ოჯახს, ვინც ლასკარში შედიოდა, მოგვქონდა თითო მარხილი საუკეთესო თივა. მერე, როცა ჩვენი სამხები ორად გაიყო (ე. ი. ერთი ლასკარი გაიყო ორად!), მეუფლიშის დღეს დავმატა საფტინები და ზვარაკი ხარის მაგივრად მესფატინის ზვარაკებზე განაწილდა. მეუფალიშ დაკლავდა მოზვერს, მესფატინი კი მასზე ასაკით მცირე საკლავს.

შუშანა ფარჯიანი დაბ. 1940 წელს 2000 წელი.
დავით წერედიანი 2000 წელი. 1947 წ. დაბადებული. ჟენაში.

* * *

უფლიშიერობისას გუჩიზია შესაკრები: 1 ჯამი ყოველი ეკლესიის (ლატალის!) სახელზე + თითო ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობაზე + თითო მოზრდილი ჯამი ღმერთების სახელზე (ხოშა ღერთა̈ლეშ!) + თითო ჯამი ხარების სახელზე. გუჩიზისთვის ხორბლიდან საუკეთესო ნაწილს გამოყოფდნენ და მას გაზაფხულზე დაფქვავდნენ. („გუჩიზ" || „ითქ წჯლიან".). გუჩიზის შეკრებისას ყველა შევიკრიბებოდით. ალ ლეთ - ამ ღამეს გუჩიზი იკრიბებოდა მეუფალიშის ოჯახში. იგი საკლავს დაკლავდა (ხაბნა ან გიცა̈რ). შეწირვამდე ხბოს მარჯვნივ შეატრიალებდნენ სალოცავ სარკმელთან. ორ ცალ სანთელს რქებზე დაამაგრებდნენ და ერთს შემწირველი დაიჭერდა ხელში. ცოცხლად მისი შეწირვის შემდეგ; ზვარაკს დაკლავდნენ, დაანაწილებდნენ, გულ-ღვიძლს შეწვავდნენ, („შამფურზე აცმულს,) ნაკვერჩხალზე. მას კი - ტაბგლსა და ზედაშესთან ერთად აღუვლენენ „უფალ დეცეშ", დიდა̈ბ ა̈ჯჯა̈დ ი მა̈ლდ ა̈ჯჯა̈დ უფა̈ლ დეცეშს (|| ფუსდ ნა̈ბუ-

ასდიშ), ლახეშდ ნიშგუეჟ ლესკარს, ხოშაშმ ი ხოხრაშმ. ისგუა ლიმზირს ნაჟ დემ ათუშდინნედ, ნიშგუეჟ მეუფალიშს, ნიშგუეჟ ლესკარს, ლესკრი ლაჩგდს ისგუა მაშედ ნუმა ოთლრნა დიდაბი ლეკედ! ეჩქანლო ლემზირალს ხოშა ღერთალს ლოხლინად. ეჩქანლო სახ-სიგელშ ლითრე იბნრლი ი ჰამს ჩუფხეკნიდ.

ლესკრები ცხვებოდა დღეობებისთვის - „მაცხვარ თახაშს", ფუსდა ჯანი ლითუალს", „პარპრლდაშს", „ჭლიშს" და „ლიჩდუში დეშდშარს". ასევე „ლიბლაურეს". („კვუცნი ლიმშხეხან. კვეცენი ბგლაჟ-ხან"). ამ დღეებს, „მაცხვარ თახაშსა და ფუსდა ჯანი ლითუალის" გარდა, ლაყვჟალარ-ს ვეძახით.

აღდგომის შემდეგ მეორე ორშაბათს „ლიბლაურეს" აღვნიშნავდით. შევწირავდით ორ ზვარაკს. (ღუნ ი გიკარ) ჩვენს ეკლესიასთან (ჭუშხუნი) შეეიკრიბებოდით და იქ აღვნიშნავდით.

პარპრლდაშისა და ჭლიშისთვის ერთად იკვლებოდა ორი ზვარაკი—ერთი—პარპრლდაშისთვის მეორე—ჭლიშისთვის. (პარპრლდაშ - დარ-ავდრისაა, ჭლიშ - მოსავლის).

ორშაბათი დღეები უქმე დღეები იყო („ლიჩდუში"). მათ გამო ერთ დღეს შეეიკრიბებოდით და ლოცვას გავმართავდით თარინგზელის კაცები თარინგზელის სახელზე.

სილიბისტრო კვანჭიანი 2000 წელი.

10. „ანღლაბეერი" — ანღლაბხანქა სინმოხსნაბდ ამაღლებიდან სულთმოფენობამდე (10 დღე)

მართლმადიდებლური კალენდრით:

8 (26 მაისი) ივნისი - ამაღლება. (აღდგომიდან მე-40 დღე).

15 (2) ივნისი - მამადავითობა.

18 (5) ივნისი - სულთმოფენობა. (აღდგომიდან 50-ე დღე).
(ამაღლებიდან მე-10 დღე).

ხალხური კალენდრით:

„ანღლაბ" (ამაღლება) - „თანაფხანქა მე-40 ლადარ"

„სინმოხსნაბ" „ანღლაბხანქა" მენშდე (მე-10) ლადარ"-ლი სინმოხსნაბ. (სულთმოფენობა)

„ლიწფელი" - სულთმოფენობის დღეს მაცხვარიშელების დღეობა).

ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი
(მოძრავი დღესასწაული)

ათორმეტთაგან რიგით მეორე მოძრავ დღესასწაულს - ამაღლებას - მართლმადიდებელი ეკლესია აღდგომიდან მეორმოცე დღეს, მეექვსე კვირის ხუთშაბათს, ზეიმობს.

წმინდა სახარებიდან ცნობილია, რომ ბრწყინვალე აღდგომიდან ორმოცი დღის განმავლობაში იესო ქრისტე ეცხადებოდა თავის მოწაფეებს და მოუთხრობდა მათ ღვთის სასუფევლის შესახებ. აღდგომიდან მეორმოცე დღეს კი ქრისტეს მოწაფეები, გალილეიდან იერუსალიმში დაბრუნებულები, ერთ სახლში შეიკრიბნენ. აქ მათ გამოეცხადათ უფალი, რომელმაც შეკრებილებს გონება გაუხსნა, რათა შეეცნოთ წმინდა წერილი და უთხრა, რომ ყოველივე ნაწინასწარმეტყველები უნდა აღსრულებულიყო: ქრისტეს ვნება და ჯვარცმა, მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომა, მისი სახელით სინანულისა და ცოდვათა მიტევების ქადაგება ყველა ხალხში, იერუსალიმიდან მოყოლებული ვინც ირწმუნებდა ქრისტეს და მოინათლებოდა, ცხონდებოდა. ვინც არ ირწმუნებდა, განისჯებოდა. ქრისტეს სახელით მოხდებოდა კაცთაგან ეშმაკთა განსხმა და ავადმყოფთა განკურნება.

ამის შემდგომ მაცხოვარმა აღუთქვა მოწაფეებს, რომ მალე მოუვლენდა მათ სულიწმიდას და უბრძანა, არ გაშორებოდნენ იერუსალიმს. შეკრებილთ ეგონათ, რომ უფალი აღადგენდა ამ დროს ისრაელის სამეფოს. მაცხოვარმა კი უთხრა, რომ მათი საქმე იყო იმ დღეთა და წელთა ცოდნა, რომელიც ღმერთმა გააჩინა თავისი ძალმოსილებით. მოწაფეები მაშინ მიიღებდნენ ძალას, როცა სულიწმიდა გადმოვიდოდა მათზე და ისინი იქნებოდნენ ქრისტეს აღმსარებელნი, როგორც იერუსალიმში, იუდეასა და სამარიაში, ასევე ქვეყნის კიდემდე, მთელს დედამიწაზე.

საუბრობდა რა მოწაფეებთან, მაცხოვარმა გამოიყვანა ისინი ბეთანიის მიმართულებით, ელეონის მთაზე. შემდეგ ხელები ცისკენ აღაპყრო და აკურთხა შეკრებილნი. კურთხევისას თანდათან დასცილდა მათ და ზეცად ამაღლება იწყო. მცირე ხანში კი ღრუბლებში გაუჩინარდა. ვიდრე მოწაფეები ცას შეჰყურებდნენ, ეჩვენა მათ ორი კაცი, თეთრი სამოსით, რომლებმაც უთხრეს: „... კაცნო გალილეველნო, რაჲსა სდგათ და ჰხედავთ ზეცად? ესე იესო, რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად". (საქ. მოც. 1,11) ამაღლდა უფალი ზეცად და დაჯდა მარჯვენით ღმრთისა. მოწაფეები, სულიწმიდის გადმოსვლის მომლოდინენი, სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში. ისინი განუწყვეტლივ ლოცვაში იყვნენ, ადიდებდნენ და მადლობდნენ ღმერთს რომელმაც თავისი აღდგომითა და ამაღლებით კაცობრივი, მოკვდავი ბუნება უკვდავებას აზიარა.

უფლის აღდგომა ადამიანებს სიკვდილზე ძლევას შეახსენებს, ხოლო ამაღლება ქვეყნიერების

სვლას, ზეციისაკენ წარმართვას. ზეცად ამაღლებული უფალი ჩვენი იესო ქრისტე კვლავ მოვა ამქვეყნად, რათა განსაჯოს ცოცხლები და მკვდრები, რომელნიც უფლის მეორედ მოსვლისას აღდგებიან. ადამიანთა მოდგმის ხსნაც სწორედ იმაშია, რომ ჩვენი მსგავსი კაცობრივი ბუნება (გარდა ცოდვისა) მკვდრეთით აღდგა, ზეცად ამაღლდა, საუკუნო ნეტარ სამყოფელში, ძლია ხრწნელება და შემოვიდა უკვდავება. მსგავსად ამისა, ყოველი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც უფლის მეორედ მოსვლისას საშინელ სამსჯავროზე განმართლდება, უხრწნელი სხეულით ამაღლდება ზეცად და სამარადისოდ განლმრთობილ ადგილს ცათა სასუფეველში დაიმკვიდრებს.

ამით სძლიე! 1998 წ. გვ. 13-21.

* * *

ანღლაბხანქა მერმა საფტინს ლი ლიწფელი. აღ ღაღაღს მოშდ ხაშხა სინმოხსნაბ. აღ საფტინხანქა მერმე საფტინს ლი ჭღლიშ. ჭღლიშხანქა პარპრლდაშდ ხრზი ესძუმ მავაღ აღბა მაზნას 9 ნაგზითექა ახკვედნი (ე. ი. თამფა მაზნას + აღბა მაზნა = 9 ნაგზის). თამფა მაზნა ლი ჭღლიშხანქა პარპრლდაშთექა დრეტ. აღბა მაზნა ამზაუ რრა 4 ნაგაზი, ეჯღა ერე აღბა მაზნა ლას 5 ნაგაზი. მაზუმაგ შ ხოშილ ლი თამფა მაზნა ესძუმშ ხოჩილ ლი ჭემობ ე მოსავალრ.

ანღლაბ ჩალსგურრეში: ვაღხან ესერ-ლი. ქუთუარრ ხაკუჩი ი ლემზირალრ. დაბარისგა ჩანჩლარს დესგიხ: ქაჭუერაკ კუაღალს აგრუზეხ. ქაჭუერას აღ დრეუჟენ ბალე ქამეკდე ხარ ი ხატულიხ: მოსავალ ჟიროქუ ლაჯგნთხილაბ მიუხანნ, ქუეირ როქუ ლაჯგენაბ.

მარო ფარჯიანი-გირგვლიანის. 1995. მაცხვარიში.

ამაღლებიდან მესამე შაბათს არის „ლიწფელი". („წეფლი ჯგგრაგის დღეობა). ამ დღეს სხვანაირად ჭქვია სულთმოფენობა. ამ შაბათიდან მეორე შაბათს არის ჭღლიშობა. ჭღლიშიდან პეტრეპავლობამდე იმდენი დროა დარჩენილი, რაც აღბა მაზნას 9 კვირამდე შეავსებს. თამფა მაზნა არის ჭღლიშიდან პეტრეპავლობამდელი დრო. ეს წელს იქნება 4 კვირა რადგან, აღბა მაზნა არის 5 კვირა. რამდენადაც მეტია თამფა მაზნა მით უკეთესია მოსავლისთვის - უმეტესად თივისთვის.

ამაღლების დღე უქმეა - მუცლის ტკივილის ასაცილებლად არისო ამ დღის ლოცვა. ხაჭაპურებიცაა საჭირო და ლემზირებიც. ყანებში „ჩანჩლებს" დებენ, არყის ხის ტოტებს რგოლებად კრავენ. ამ დროს არყის ხეს ფოთლები გამოტანილი აქვს და რგოლებს ამ ფოთლებიანად აკეთებენ. ყანებში მათი დამაგრებისას იტყვიან - ჩვენი მოსავალი დაგეცვას მზის ცხუნვარებისგან, სიგრილე მიგენიჭებინოს მისთვის.

* * *

— ზურაღარ მახე დეშდი ღაღაღ იჩომდაბ კერაგმგყ ლიმზირს. აღლის ხატულდაბ ღამარია ლიმზირს. აღლის ღვაკრე უშდილ იჩომდაბ. ხეკუთნრლდა ქულუმგენემი ნაფშირის ი ლაშგა ლიცხემს. ამდა ალ ლიმზირს ბარბლა ლიმზირსრ ხატულიდაბ.

— ქალები ახალი მთვარის ორშაბათს კერასთან ლოცულობდნენ. ამას ეძახდნენ ლამარიას ლოცვას. ამას კაცების მალულად ახდენდნენ. ეკუთვნოდა საქონლის სიმრავლეს და ნაწველის მომატებას. ამის გამო მას ბარბლა ლიმზირსაც ეძახდნენ.

* * *

ანღლაბს მგჩენჩალის ქუთ ხაკუჩ. მერმე ქუთ - ჩანჩლარე ყართეჟენ მგდა. მესმე - ლაყულა მგვდა. ლაყულა ჭერუ ლი, ლაბაბაჟენ ლაყულად ლედესგი. ჩანჩალ ქაჭუერაკ ლგბალ კუადალ ლი. ამხანქა ლი გირგუედ ლესყენე. მგჩენჩალის ხარ ჩანჩალ ლეკდე ი ჟილესყენე, დაბისგა ჟილელჯენი. ყართეჟენ მგდანა ლედანე ხარ 6 ც. ჩანჩალ ი ჟილესემ. ჩანჩლარ დაბისგა ლელჯენი, ხოშილ ლიხ. ალიარს ჟიხოსემხ ი ეჩქანღო ჟამზგრიხ ყარჟინ- დიდაბ აჯვად ანღლაბი ლამარიას! ხოჩა ჯარ ი სტარინ ენსტარინ. დაბისგა, - დიდაბ აჯვად ანღლაბი ლამარიას, ნიშგუედ დაბლარას ხოჩა ჯარ ი სტარინ ესსტარინ. ამეკსგა მაკად სალხინიშდ გარ ენკუადინ. ლაყულა მგვდა, ლაბაბამგყ, უშკუშუნდ ხარ ლეზებ მიჩა ქუთ. ამჟი უშკუშუნდ ხარ ლეკდე ცხეკხან ლაყულა, ჩანჩლარ ლესყენე ი ცხეკხან ლეკდე. ქორს ხამზგრიხ ჯარ ანღლაბიშს ი ანღლაბი ლამარიას.

ამაღლების დღეს მგჩენჩალის ხაჭაპური უნდა. მეორე ხაჭაპური—ამ ჩანჩალების ყავარზე ამტანს, მესამე—კალოობისას გასანიავებლად საჭირო ხის კეტის მომტანს. (მას გზესა და თესლს შორის გამყოფად დებენ—ლაყულა.). მგჩენჩალის აქვს ტყიდან არყის ხის კონა მოსატანი და ჩანჩალები გასაკეთებელი, შემდეგ ყანაში დასამაგრებელი. ყავარზე ასატანია 6 ცალი ჩანჩალი და იქ თოვლზეა დასამაგრებელი. დასამაგრებელი ჩანჩალი მეტი მოცულობისაა, ვიდრე ყავარზე ასატანი. მათი დამაგრების შემდეგ ილოცება აღნიშნულის შემსრულებელი: - დიდების მიმღებო ანღლაბის ლამარიავ, ჩვენს ველ-მინდორს კარგი ჯვარი დასწე-

რე. აქ მოწეული სალხინოდ მოგვახმარებინე,—იტყოდა ყანაში. ყავარზე კი: დიდების მიმღებო ანღლაბის ლაშარიან, კარგი ჯვარი დაგვწერე. ლაყულას მომტანს კი უბრად აქვს ბზის გასანიავებელ ადგილზე თავისი ხაჭაპური შესაჭმელი. მას ტყიდანაც უბრადვე აქვს მოსატანი ლაყულა. უბრად აქვს მგჩენჩალისაც თავისი საქმე შესასრულებელი. შინ ილოცებიან ჯარ ანღლაბის სახელზე. ასევე ანღლაბი ლამარიას სახელზე.

* * *

სინმოხსნაბლადაღ ლი ლიწფელი. იმზირხ ჯგგრაშგ წეფლიშს. ლისფაღ ლი მაცხვაშრიშლეშ. აისენიხ 2 ღუნს, იზრიხ ეშხუ ფაკან თაშს. მეზგახანქა სემი ხვიდ მეზი. (მგლდეღი ქუთ ცალკე ლი ლენყე.) ეშხუ მელდეღ ლი ქორხანქა მეზი, მერმე - მერბიშულ, მესმე - მეყუჟალ. მერბიშელიშდ || მგდბაშიშდ თაშ მგჯაბს შდაშ ხვიჩოდ. წეფელს კასგულას ხვასყენად ი ეჩექა ხვანყად დირალს ი ლემზირალსი. ეჩხაფ ჰამს ესღრიდ - ლელდღარს ლაინედ ეჩქას. ქორს მერდე ლეფანეს ამარე.

სულთმოფენობის დღეს არის ლიწფელი. ლოცულობენ წეფლი ჯგგრაშგს. მაცხვარიშელების სოფლობაა ეს დღე. შესწირავენ 2 ხბოს, აგროვებენ ერთ ჯამ ყველს. ოჯახიდან სამი ვართ სალოცავში წამსვლელი. (ამ დღეს მწყემსის ხაჭაპური ცალკე არის დასაცხობი.). ერთი მწყემსია, მეორე - პურის მცხობელი, მესამე - ზვარაკის შემწირველი. პურის მცხობელთათვის „თაშ მგჯაბბ"-ს ცალკე ვაკეთებთ. აქ კასგულას გავაკეთებდით და მასზე ვაცხობდით პურებს და ლემზირებს—ლიდბაშის ვასრულებდით. ოჯახში დარჩენილი საკურთხ სუფრას ამზადებს.

* * *

ჰგლიშდ ეშხუ ნაგზი ხრზი ხსნილმოხსნაბხანქა (სულთმოფენობა.). ლანყედ ქუთ ლესკარს, ქუთუარს ლემზირალშ, კვახ ლემზირალს. ლემზირდ ჰგლშა ლამშრიას. ზურალარ ესღრიხ ლადბაშთე სამტაადშთე. მიშლეთ ლიფანე ლი ი იბნი ჰგლშა ტიჭმ.

სინმოხსნაბხანქა 1 ნაგზის ჰგლშა ლაუჭმ, ფურლე ლაუიჭმი ხაშხა. ამჩიქქა თაში ნავალ, შელი მამ ჯადდა ლეთრე ედო იშგენ ხოშ ცხაგ მამა.

სულთმოფენობიდან ერთი კვირაა დარჩენილი ჰგლიშამდე. (ჰგლიშის დღე - შაბათი) ვაცხობთ ყველიან ლესკარს, ხაჭაპურებს ლემზირებით, ცარიელ ლემზირებს. ვახსენებთ ჰგლშა ლამშრიას. ქალები სამტაიშში მიდიან სალადბაშოდ. კვირას ლიფანეა და იწყება ჰგლშა პერიოდის მარხვა. სულთმოფენობიდან ერთი კვირა გრძელდება ჰგლშა უიჭმი. მას სხვანაირად ძროხების უიჭმსაც - აღკვეთას - ეძახიან. ამ დროს ყველის ნაწარმის ჭამა არ შეიძლება და შრატის ხმარებაც კი იკრძალებოდა საკვებად.

* * *

ჰგლშა ლაუიჭმუნღო ლი პარაპალდაში ტიჭმ. პარაპალდაში ტიჭმს ლემზირ გვეშ მანგვეშ ხეჩდა, იშგენ ტიჭმარს ჩრს. ამღა ლი აღ ტიჭმ მადრენე. აღ ტიჭმს ხაშხა აჯაგდ თამფა || ლუფხტა მაზნა. აღბა მაზნაგ ლუფხტა მაზნა აშხუდ ლი 9 ნაგზი.

აღბა მაზნა ლი მახე ზაგხანქა მეგსარაბდ. აღის ქრისდენში ნაგზის ხანჩგდე მაგ ედო წეს ამჟი ლა იმაგენ ჭაჯენქა. აღი ტიჭმ იზგგრი პარაპალდაშს. (ძვ. სტ. 29 ივნისს ახ. სტ. 12 ივლისი).

ჰგლიშის მარხვის შემდეგ არის პეტრე-პავლობის მარხვა. პეტრე-პავლობის მარხვას სალოცავი დღეები არ ურევია, სხვა მარხვებს—კი. ამიტომ არის ეს მარხვა ყველაზე ცუდი. ამ მარხვის პერიოდს ჰქვია ასევე თანფა || ლეფხტა მაზნა. აღბა მაზნა და ლუფხუა მაზნა ერთად 9 კვირაა. ეს მარხვა მთავრდება პეტრე-პავლობას (ძვ. სტ. 29 ივნისი, ახალი სტ. 12 ივლისი). აღბა მაზნა არის ზუმხადან მეგსარაბამდე. ამას ქრისდენის კვირას ამატებენ, თორემ წესი ისეა, როგორც მე გეუბნები.

* * *

სინმოხსნაბიშ ი ჰელშა უშხუარ ნესგა ვები ლადაღ ლი მესტიელრე ლიღუნთუარი. ზაგხანქა ზაგთექა ლი რშთხტ გარნესგა:

1) ქრისდენშ ი ზუმხა.

2) ლიმპარი ი ლიკდუში.

3) სინმოხსნაბ ი ჰგლიშ.

4) თანაფ ი უფლიშ.

სულთმოფენობასა და ჰგლიშს შორის მოქცეულ კვირაში პარასკევს არის მესტიელების ლიღუნგარი (ხბობა). წლიდან წლამდე არის ოთხი ორთაშუა - მსგეფსი!

1) ქრისტეშობა და ზუმხა.

2) ლიმპარი და ლიჴდუში.
3) სულთმოფენობა და ჭლიში.
4) აღდგომა და უფლიში.

* * *

აჴანაჴა ლი პარპოლდაშუნლო მანკუი საფტინს. აჴანაჴას იბნი ლიჭმალ. აღ ლაადაღს აჴანაჴას ნაკს ჴიჩომდად. აღლის მერმე საფტინ ჴეჭმენდა ეჩქას ნაჷ - ჟიქანქას ნამთქვან აჴანაჴა. ნადობს ჴვიჩომდად. ჴვაჷ-სენდად ლაჷსას, ჴვემზირდად სოლომს - ლიჭმალიშ ი ლითიანლე ლერბათ!

საჯჴგ გირგვლიანი 1997 წ. იფჴი.

11. „სინმოჴსნაბიერ“ || „სინმოჴსნაბჴანქა პარპოლდაში ვიჭმთექა“
(სულთმოფენობიდან პეტრე-პავლობის მარხვამდე)

მართლმადიდებლური კალენდრით:
19 (5) ივნისი - სულთმოფენობა.
25 (12) ივნისი - ხსენება ყოველთა წმიდათა.
26 (13) ივნისი - პეტრე-პავლობის მარხვის დასაწყისი.
ხალხური კალენდრით:
ამაღლებიდან მე-10 დღეს - „სინმოხსნაბ“. (სულთმოფენობა)
ამავე დღეს - „ლიწფელი“—(მაცხვარიშის თემში.). მის მომდევნო შაბათს „ჭლიშა საფტინ“ || „სამ-ტაიშობ“. კვირა დღეს კი „ჭლიში“. სინმოხსნაბსა და ჭლიშს შორის (1 კვირა) პერიოდი - „ჭლიშა უიჭმის“ || „ფურლე ტიჭმის“ პერიოდია. მეორე დღეს იწყება პეტრე-პავლობის მარხვა.

„სინმოჴსნაბ“
(შაბათს)

„ანღლაბ“ - ხანქა მეეშდე ლაადაღ-ს ლი „სინმოხსნაბ“ - ამაღლებიდან მე-10 დღეს არის სულთმოფენობა. ხალხური ტრადიციით ეს დღე სულთათვისაა განკუთვნილი. ახალგარდაცვლილის ოჯახი გამზადებულ საკურთხს აუცილებლად გაიტანს სასაფლაოზე, ხოლო, დანარჩენები შინ შეუნდობენ მათ.

„ლიწფელი“
(შაბათს)

„ლიფაანე“-ს ტრადიციის გარდა ლიტალიში მაცხვარიშის თემი სულთმოფენობის დღეს აღნიშნავს დღეობა „ლიწფელი“-ს. დღეობა ტარდება „წეფლი ჯგგრაგის“-თვის. იგი დგას მაცხვარიშიდან მოშორებით ტყეში მინდორზე. ლიწფელის დღეობაში მონაწილეობს მაცხვარიშის სოფლის ყველა გვარი. სულთმოფენობა და შესაბამისად „ლიწფელი“ ყოველთვის შაბათი დღეა.

თანაფიდან 6 კვირის შემდეგ არის სულთმოფენობა (ხალხური ათვლით). მის შემდეგ შაბათს არის ჭლიში. ჭლიშის შემდეგ პარპოლდაშის მარხვა, იწყება თიბვა (ლიჭმალიერ). პეტრეპავლობამდე ცელის და ნამგლის ხმარებამ ცუდი დარი (ხოლა ჭალ ი ჭალ!) იცისო: „სინმოხსნაბ ანღლაბის შემდეგ მეორე შაბათს მოდის. ეს დღე განკუთვნილია სულებისთვის. ყოველ ოჯახში ლიფანეს იზამენ - სულებისთვის სახსნილო სუფრას გაშლიან. ვისაც ახალი (1 წლის) მიცვალებული ჰყავს, ის ამ დღეს 8-9 საკლავს დაკლავს: თიკნებს, ბატკნებს, ერთ ტახს, ხბოს და თავის მეხუბარარს მოიწვევს“.

ვ. ბარდაველიძე არქივი. 209 ф[2] საქ. №679. გვ. 192.
მთხრ. გ. გირგვლიანი.

სულთმოფენობა — სულიწმინდის გარდამოსვლა
(მოძრავი დღესასწაული)

წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია სულიწმიდის გარდამოსვლას - სულთმოფენობას უფლის მკვდრეთით აღდგომიდან 50-ე, ხოლო მისი ზეცად ამაღლებიდან მე-10-ე დღეს დღესასწაულობს.

იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს იერუსალიმში, ერთ-ერთ სახლში, მოციქულები ღვთისმშობელთან და უფლის სხვა მოწაფეებთან ერთად იყვნენ შეკრებილნი. სამი საათი იყო (ჩვენი დროით დილის 9 საათი), როცა ციდან მოისმა რაღაც ხმაური, თითქოს ძლიერმა ქარმა მოჰბერაო, და ამ ხმაურით აავსო სახლი. სულიწმიდა ხილულად, ცეცხლოვანი ენების სახით, გარდამოვიდა და თითეულ მოწაფეს თავზე დაადგა. ყველანი აღივსენ სულიწმიდით და მათთვის უცნობ ენებზე იწყეს დიდება უფლისა.

ასე რომ, მაცხოვრის აღთქმის შესაბამისად, სულიწმიდა მოციქულებზე გარდამოვიდა ცეცხლის

ენების სახით. ენებისა იმიტომ, რომ ამით უფალმა მიანიშნა ის ძალა და შესაძლებლობა, რომელიც მიეცა მოციქულებს ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად მთელ დედამიწაზე, ხოლო ცეცხლისა იმიტომ, რომ ამით მინიშნებულ იქნა ის ნიჭი, რომელიც ეძლეოდა მოციქულებს ცოდვათა დასაწვავად, სულთა განსაწმენდელად, განსანათლებლად და განმათბობელად.

იმ დროისთვის, როცა ეს სასწაული მოხდა, იერუსალიმში უამრავი ხალხი იყო ჩასული სხვადასხვა ქვეყნიდან. იმ დღეს ქრისტეს რწმენაზე მოქცეული, მონათლული სამი ათასამდე შეიქმნა. სულიწმიდის გარდამოსვლა მოციქულებზე ითვლება წმინდა სამოციქულო ეკლესიის დაარსების დღედ. მოციქულთა დროიდან სულთმოფენობა ყოველწლიურად იდღესასწაულება. სულიწმიდის გარდმოსვლის დღესასწაულამდე, შაბათს, ეკლესიებში იხდიან დიდ პანაშვიდს მიცვალებულთა სულის საოხად. სულის შაბათი (ანუ სულთობა) - ასე უწოდებენ ამ დღეს ქრისტიანები.

მართლმადიდებელი ქრისტიანები სულიწმიდის მოფენის დღეს საზეიმო წირვისას, ტაძრებს ხის მწვანე რტოებით, ბალახებითა და ყვავილებით რთავენ, რომელიც მოგვაგონებს იმ წმიდა განმახორციებელ მადლს, რასაც სულიწმიდის მოფენის შედეგად ვიღებთ (ყვავილები და სიმწვანე, სიმბოლურად, სიცოცხლის მიმანიშნებელია).

ჭეშმარიტ ქრისტიანს, რომელსაც მიღებული აქვს მადლი სულიწმიდისა, მისი (სულის) ნაყოფით გამოვიცნობთ, რომელიც პავლე მოციქულის სიტყვებით, არის, „სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, მყუდროება, სახიერება, მარხვა და მოთმინება. (გალ. 5,22).

ამით სძლიე! 1998 წ. გვ. 21-26.

„ჰგლშა საფტინ“

(შაბათს)

სულთმოფენობის („სინმოხსნაბ“) დღიდან (შაბათი) „ჰგლშა საფტინ“-ის (ჰგლიშის შაბათი) დღემდე ერთი კვირის შუალედია. სხვანაირად ამ პერიოდს „ფურლე ლატიჭმ“ || „ფურლე ტიჭმ“ ეწოდება, რადგან ამ კვირეულის მარხვა განკუთვნილია საქონლის მშვიდობიანობისა და სიმრავლისთვის. ამ კვირეულის დღეებში აღკვეთილია ყველის და მისი ნაწარმის ჭამა. ამ აღკვეთის დამწესებლად ხალხს ბარბალე მიაჩნდა. ასევე ეს დღეები, ბუნებრივია, ითვლებოდა წველის ბარაქის გადიდებისთვის განკუთვნილ აღკვეთის პერიოდად. მარხულობდა დიასახლისი. „ფურლე ლატიჭმ“ მთავრდება „ჰგლშა საფტინის“ დღით. ამ დღეს ლატალელი ქალები „სამტაიშობას“ აწყობდნენ. „სამტაიშ“ ჰქვია ადგილს (ფარჯიანების საცხოვრებელ ადგილიდან აღმოსავლეთით), სადაც „სამტაიში ჯგრაგ“-ის ადგილსამყოფელია, მაგრამ აქ არც ეკლესიაა და არც ნაეკლესიარი— არის მხოლოდ წიფლის წმინდა ხე. სწორედ აქ, ამ ხესთან გამართავდნენ ქალები „ჰგლშა საფტინ“-ს „ლიდბაში - ლიმზირს“. აქ მიჰქონდათ კა-კერის მოწყობილობა, ჯამები და ქვაბი - ჭურჭლეულობიდან, ხოლო შესაწირად და სალემზირედ ფქვილი, ფეტვის ფქვილი, ყველი. ამ ყველისთვის მამაკაცებს თვალი არ უნდა მოეკრათ და სალოცავში ისე უნდა წამოელოთ. აქვე აცხობდნენ ლემზირებს, „ჩხეტრა“-ს (ფეტვის ფქვილისა და მსხვილად დაჭყლეტილი ყველის გუნდასთან ერთად აზელილი შეჭამანდი), და ხაჭაპურებს. ამ დღეს აღვუვლენდით შესაწირს ორ წმინდანს: სამტაიში ჯგრაგს და სამტაიში ლაშარიას. სამტაიში ჯგრაგ ვთქვით სადაც არის. სამტაიში ლაშარია კი დგას სოფ-ჩარგლდში (აღნიშნული ტერიტორია სოფ. ჩარგლდასაც ეკუთვნის.). პირველად ვილოცებოდით სამტაიში ჯგრაგის მფარველობისთვის - შევწირავდით ცარიელ ლემზირებს, ხოლო, შემდეგ სამტაიში ლაშარიას და შევწირავდით „ჩხეტრას“. ამ ორის ხსენების შემდეგ ლემზირებს აღვავლენდით და ვიტყოდით: იმ წმინდანისთვის ყოფილიყოს, რომელიც ჩვენგან დიდებას ითხოვდეს. (მავაჲ ღერბეთ ნიშგუეჲხანქა ლიმზირს ხიშგომდედ ი ხუტეს დეშ ჯახუეშგიდედ“) მას ხაჭაპურს შევწირავდით. ლოცვის შემდეგ პურს შევჭამდით და მხიარულ დღეს გავატარებდით.

სანამ ამ სალადბაშე ადგილას წამოვიდოდით, სახლის შინაში დავაცხობდით ხაჭაპურს, ლესკრის ტოლს, პატარა ხაჭაპურებს - ლემზირებიანს, და ჩვეულებრივ უყველო ლემზირებს. მათ აღვუვლენდით „ჰგლშა ლაშარიას“. მხოლოდ ამის შემდეგ მივდიოდით ქალები სამტაიშის სალოცავში.

საჯგ გვიჩიანი. 1995 წ. იფხი.

* * *

სამტაჲშთე ესღურდდ ჰგლშა საფტინს. ენღუან ფატ ჩხეტრაჲაქ. ხვამზგრდდ ჯგრაგ სამტაიშიშს - აშ ლემზირილარს. ჩხეტრას ხვამზგრდდ სამტაიში ლაშარია. აღლ ლაჯუამ ჩარგლდ ჟიქან ლგგ. სამტაიში ჯგრაგი მგქაფდ წიფრა ლგგ. ლადბაშთე ლეენე ნაყალი ლიწედ ღვაქარა მმ ხოყა. ლადბაშთე ჲერ ცხუდს ჯიდა ჩხეტრაშ ლაჩომდ, ჲერ ცაშტს. ქა კაქა ხვირბიენლდდ. აღლ ლადაღ მნკუ ხვამზგრიდად ჯგრაგ სამტაიშიშს (ცკეხ ლემზირშ) მერმაჟან სამტაიში ლაშარიას (ჩხეტროშ) მესმაჟან - ერეკაჲ ღერბეთ ნიშგუეჲხანქა ლიმზირს ხიშგომდენდ (ქუთშ).

სამტაიში ჯგრაგი წიფრაჟან ხორიკდა ჟაკვერაჲხანქა ლგსყე გირგვდალ. აღლ ხერკინლდა ხოლა მანკიშ ბოშფშრე ჟეხაჟან - მინე ნანყრრიხან. ბოშფშრე ლიკგრგნეს იჩომდახ ცაშ ლადაღ. ლაკგრგნაჟან

წირხ შდგხინდიშ ხაბდა ბეფშს. აალი ესყანდა ედ დიას მადეგ დის. წირხსი აალიარ ხოსყენახ. მერმემი ლიწედს ჩუხეყენ. ნაჯგრაალუნლო გირგვედს ჟიხორკინახ წიფრაჟენ. მინ ქორთე ტეხნიდახ.

სირინო ფარჯიანი. 1996 წ. ლედმანი.

* * *

სამტაიშის წიფელას ხეზე ძველად ჩამოკიდებული იყო თხილის ან არყის ტოტისგან გაკეთებული რგოლები. ამ რგოლებს ჩამოკიდებდნენ ცუდი ზნის, ავი ზნის მქონე („ხოლა მაწკ") ბავშვების სახელზე მათი სიმშვიდისათვის. ბავშვებს შესავედრებლად წაიყვანდნენ „ფურლე ლატჭმის" პერიოდში ხუთშაბათ დღეს -„ჭლშა ცაშ"-ს. ბავშვს ეს რგოლი ჰქონდა ჩამოკიდებული ყელზე. იგი მიყავდა ან დედას, ან ბებიას (ვისაც ასეთი საქმეები უკეთესად ეხერხებოდა!) რგოლსაც („წირხ" || „გირგუნედ") ესენი ჩამოკიდებდნენ ყელზე. შეიძლებოდა აქ წამოსულები ამ ფორმით ვინმეს დაენახა, მაგრამ უმჯობესი იყო მისი გაკეთება სხვის უჩუმრად, ამიტომ რაც შეიძლება დილით ადრე, გათენებისთანავე წაიყვანდნენ ბავშვებს. ლემზირები არ მიჰქონდათ, სიტყვიერად სთხოვდნენ ბავშვის სიმშვიდეს და ავი ზნის დაკარგვას. „ნაჯგრუნლო" ამ რგოლს ხის ტოტზე ჩამოკიდებდნენ და შინ ბრუნდებოდნენ.

ფურლე ტიჭმ" || „ჭლშა ტიჭმია".

* * *

„ჭლიშ" (კვირას)

დღესასწაული „ჭლეშ" იმართებოდა „ჭლშა საფტიანის" შემდეგ კვირა დღეს; ბალს ზემოურები-სთვის მესტიაში და ბალს ქვემოურებისთვის ბეჩოში - შიხრას ველზე. ეს იყო შეჯიბრი ცხენთა რბოლაში. თან გამოჰქონდათ სახეო დროშა - „ლემ".

ამ დღეს დაცხობილ ლემზირებს ბალს ზემოური ქალები ლაშარიას შესწირავდნენ, ხოლო ბალს-ქვემოურები - ბარბოლს. ლემზირები მზადდებოდა მარხვის პერიოდში დაგროვილი ყველისაგან. ბალს ზემოურები ჭლშა ლაშარიას ლიმზირის შემდეგ გავამზადებდით ლეფანეს და ამ ლემზირებთან ერთად მათაც ვუკურთხებდით („ქახოფანად"). ამით მთავრდებოდა „ფურლე ლატჭმ", ანუ იგივე „ჭლშა ტიჭმ" და იწყებოდა „პარპოლდაში ტიჭმ".

დღიურები

ჯგრაგ სამტაიშიშ - წიფლის ხე - უფლიშიერობის შაბათს მიდიან. სხვა დროს მხოლოდ ქალების სალოცავია. მიაქვთ ყველი და პური".

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 ф[2] საქ. 736. გვ. 78. 1935 წ. ლატალი.

12. „პარპოლდაში ტიჭმ" — პეტრე-პავლობის მარხვა

„პეტრე-პავლობის მარხვის ხანგრძლივობა ცვალებადია—9 დღიდან თვენახევრამდე. ეს იმიტომ ხდება, რომ მისი დასასრული უძრავია, დასაწყისი კი - მოძრავი უკავშირდება სულთმოფენობის დღესასწაულს, რომელიც, თავის მხრივ, აღდგომის დღესასწაულზეა დამოკიდებული (აღინიშნება აღდგომიდან 50-ე დღეს).

პეტრე-პავლობის მარხვა იწყება სულთმოფენობიდან ერთი კვირის შემდეგ და მთავრდება 12 ივლისს (ახ. სტილით), როდესაც ეკლესია იხსენებს თავთა მოციქულთა წმინდა პეტრესა და წმინდა პავლეს".[1]

პარპოლდაში ტიჭმის (პეტრე-პვლობის მარხვის) მეორე სვანური სახელწოდებაა „თამფა მაზნა". მისი ხანგრძლივობა, ხალხური ტრადიციითა და გაგებით, დამოკიდებულია „ალბა მაზნაზე" (პერიოდი - ზუმხახანქა მეესარაბდ) ამდენად, „პარპოლდაში ტიჭმ" არის იგივე „თამფა მაზნა" || „ლუფხტა მაზნა".

მართლმადიდებლური კალენდრით:
26 (13) ივნისი - პეტრე პავლობის მარხვის დასაწყისი.
7 (24 ივნ.) ივლისი - შობა იოანე ნათლისმცემლისა.
12 (29 ივნ.) ივლისი - პეტრე-პავლობა.
ხალხური ტრადიციით:
„თოთობ" (ორშაბათი) - პეტრე პავლობის მარხვის პირველი დღე.
24 (7) ივნისი „ეანობ" - „ეან ანგლეზობ"

[1] წესი ქრისტიანის ცხოვრებისა, თბ, 1997 წ. გვ. 22.

* * *

„თოთობ-ს ხვამზგრდად თოთს. თოთ ლი ხადურ მსხე ნაყალ - ჰამშ. მიჩა ლიწედ ღვაქმარეს მამ ხოყა. ხვამზგრდად ლამზგრ ლაჭრარამგყ. ლეტრე ნიტარდა, ზედაშ მამ ნგღრენ. ხვანყად თოთხანქა ქუთს. - დიდაბი ლეჭედ თოთობა ლამარია, ნიშგრეგ ლაშგს ი ზურალს სალხინიშდ ახცვადნავინ მიჩოვშ ნასყავ ი ნამარ. ტანიშ ლახე ირელ ზურალ ეჩქას მამ ხვიჩომდად ლიმზირს. ეჩქას ეარ ხეწრალნი ღერბათ. ლიმგრიედ ნაგზი ხრზი ეჩქას ხვივჭმად ჯადხან.

სირინო კვანჭიანი. 1996 წ. ლედმანი.

„თოთობ'' ქალების დღესასწაულია. ამ დღეს ამოყვანილ დილის ყველს „თოთ-ს'', - ვეძახით, მამაკაცებს არ ვანახებდით და სალოცავ სარკმელთან აღვუვლენდით—თოთა ლამარიას''. ავანთებდით სანთელს ან, საკმეველს დავაკმევდით. ეს ხდებოდა დილით. ლოცვისას ვიტყოდით: - დიდება მოსასვლელო თოთა ლამარიავ! ჩვენი ოჯახის ქალს სალხინოდ მოახმარებინე თავისი ხელით შექმნილი. (ნიშგრეგ ლაშგს ი ზურალს სალხინიშდ ახკუადინ მიჩრვშ ნასყავ ნამარ.

* * *

უცადა დეშდი ლადაღს, ჰამს ნაყალ თაშშ ხვიჩომდად ლამარია ლიმზირს. ალ ლემზირალს კერაგს ლერსგვენ ჭიშხხან (3-ჯერ) სამუნ ქახვაცხპუნავნად ი ხვიმზირდად: - მგერი მაშედ ლამარია, სალხინჭინ ლეშდაზდ ლანკვადინ ნიშგრეგ ფურლე ნაშგ-ნაყელ, ათჯეჯილ, ათუნყურარ ნიშგრეგ ფურალ ი მიჩა მგზნანი ზურალ დიდაბი ლეჭედ. ლეტრეს დენ ხვატრად, დეგ ზედაშ ნულრენ. იმზირხ ყენდიდ ღვაჟრე უწადდ. ალ ლიმზირ ქუთშ გარ ლი - კვახშ მამა. ქუთულდს გიმბში ლგშრდს იჩოხ, ფატაშს - მამა. ლიმზირს ხსნილჭინ ი წყლიანჭინ გარ ხვიჩომდად.

„კერი ლიმზირ'' || „ჩუბაფ ლიმზირ''.
სირინო ფარჯიანი, 1996 წ. ლედმანი.

ახალი მთვარის პირველ ორშაბათებს დილით ამოყვანილი ყველით ვაწყობდით ლამარიას ლოცვას. ამ ლემზირებს კერის მარჯვენა ფეხს სამჯერ შემოვავლებდით და ვლოცულობდით: - მშველელო და მწყალობელო ლამარიავ, სალხინოდ მოგვეცი ჩვენი ძროხების ნაწველი, ამრავლე, მშვიდად ამყოფე ჩვენი ძროხები და მისი მომვლელი ქალები, დიდებულო. სანთელს ლოცვისას არ ვანთებდით, არც ზედაშე გვქონდა. ვლოცულობდით მშვიდად, მარტონი, მამაკაცების გარეშე. ეს ლოცვა ყველიანებითაა, უყველო პურებით არა. ხაჭაპურს კანაფიანს აკეთებდნენ, ფეტვიანს - არა! ლიმზირს ხსნილზე და სუფთაზე ახდენენ. კერის ლოცვა || ქვევით (მიწისკე) მიმართული ლოცვა - „ჩუბაკ ლიმზირ''-ია.

„თოთობ"
(ორშაბათს)

„ჰგლიში''-ს (კვირა დღე) მეორე დღიდან (ორშაბათიდან) პეტრე-პავლობის დღეობამდე (სვ. პარპალდაშ) პერიოდი მარხვის პერიოდია და ეწოდება „პარპალდაში ფიჭმ''. იგი მთავრდება პარპალდაშის დღით. პარპალდაშ მყარი დღესასწაულია და აღინიშნება ძვ. სტ. 29 ივნისს, ახლით 12 ივლისს.

„პარპალდაში ფიჭმ'' ხალხური ტრადიციით იგივეა რაც „თანფა მაზნა'' ან „ლუფხუკ მაზნა''. „თანფა მაზნას და „აღბა მაზნა''-ს დროთა ჯამი ყოველთვის არის 9 კვირა. ეს ორივე პერიოდი ცვალებადია, მაგრამ აღბა მაზნას პერიოდით (ხანგრძლივობით) შეიძლება თამფა მაზნას ხანგრძლივობის გამოთვლა, რადგან იგი წლის დასაწყისშია. მაგ. თუ „აღბა მაზნა'' არის 6 კვირა, თამფასი იქნება 3 კვირა, თუ ხუთია - 4 კვირა და ა. შ. აღბა მაზნა არის პერიოდი ქრისტეშობიდან მეისარბამდეო რომ ამბობენ, ეს შეცდომაა. აღბა მაზნას არ ემატება „ქრისდეში ეარნესგან ნაგზი''. აღბა მაზნა არის „ზომხადან - მეისარბამდე'' პერიოდი.

სირინო გვიჩიანი 1995. მიხო წერედიანი 1993 წ.

ქალების დღესასწაულია „ყორ ლიკრალ'' „თოთობ'' - ჰგლიშის მეორე დღეს, ორშაბათს. დადუარე ცაშ - თამფა ეარნესგა ცაშ-ს, ზურალარე ცაშ'' - უფლიშიერის ხუთშაბათს და „კვინტობ''-ის დღეს.

ჰგლიშის მეორე დღეს თოთობს საერთოდ მარხვაა, მაგრამ ამ დღეს ქალი ყველს ჭამს ამ დღეს გამოლებული ყველისგან ქალი დულს გამოაცხობს, დაილოცება ლამარიას სახელზე და შეჭამს. აღნიშნული ხუთი დღესასწაულის რიტუალი ერთნაირია - გიმი ლიმზირს აწყობენ. საღამოს გამოაცხობენ სამ დულს თუ ოჯახში 1,2 ან 3 ქალია, ხოლო თუ ქალი მეტია, მაშინ დულსაც მეტს - სულზე თითოს—კერის ფეხთან დაიჩოქებენ და შესთხოვენ ლამარიას: ლამარია, ამ კერიაქა უნდაშ ნრს ანნაყნა, მაგ სალხინისგა ლეშთხე

ჩემ ალ ქორა ზურაბლა ნაფდაბლ, ქორს მადას ისგუ კიზ ესად, ქამალაშს ხოჩა ჯეჯილ ი მეღუაბ ოთოფშდ, ფოდ ისგუ ლიმზირ ნაბ დო ათუშდგნად ეჩქად სიდ ნუმა ათუშდგნა ნიშგფედ ლიშედ.[1] ამ ლოცვის შემდეგ ქალები შენალოც „დულს", ანუ „კიხუარს" შეჭამდნენ. გიმი ლიმზირის დროს მამაკაცები სახლში არა-ან. ისინი ისე შორს მიდიან, რომ სახლში ხმა არ ისმის. თუ ქალებმა (გათხოვილიც და გაუთხოვარიც) ვერ გაათავეს შენაწირი, მაშინ მორჩენილს ძაღლს შეაჭმევდნენ. თუ ქალის მიერ ამ ხუთ დღესასწაულზე ლაშა-რიამ შესაწირი მიიღო, მაშინ ეს ყანის თავთავებს დაეტყობა - ყანა კარგად მოჩანს—პურის თავთავები შეკ-რულია კონებად.

ვ. ბარდაველიძე, არქივი 209 ф[2] საქ. 744. გვ. 65.
ქვერიჯა ფარჯიანი. ლატალი.

„ბაბნობ"

24 (7) ივნისი.

„ლიტმე-ლი თურალხან" - თმობენ, სმა-ჭამას, თვალების სიჯანსაღისთვის. ქალები ლიდბაშის გამა-რთავდნენ ბანის ეკლესიის მინაშენში - ლაშარიაში. დააცხობდნენ და შეწირავდნენ „ბან ანგლეზს" ლემზი-რებდასმულ ფეტვის მჭადებს. შესთხოვენ მთელი ოჯახის სახელზე თვალების სიჯანსაღეს. თუკი ოჯახში თვალების ტკივილით დაავადებული იმყოფებოდა, მომარხულეც იგი იყო და ლემზირების (ფეტვიანი მჭა-დის) შემწირველიც იმ შემთხვევაში, თუ ეს ქალია, მაგრამ თუ მამაკაცი იყო, ჭამა-სმას აღიკვეთავდა თვი-თონ, ხოლო მის სახელზე ფეტვიანებს შესწირავდა ქალი, რომელსაც შეეძლო „ლადბაშში" წასვლა. ასეთი პირისთვის შემწირველი ქალი შესწირავდა სამ ფეტვიან ლემზირს - მხოლოდ ფეტვს შესწირავდნენ, სხვას არაფერს. მას ან გამოაცხობდნენ, ან გამოცხობის გარეშე აღუვლენდნენ ბანს: მოზელდნენ ცივი წყლით, პატარა გუნდებად დაყოფდნენ, ლემზირებს დასახავდნენ და ჯარაზე, პურის საცხობზე, დაალაგებდნენ. „ბან ანგლეზს" პირველი სამი აღვლინებოდა ავადმყოფის ჯანმრთელობისთვის, შემდეგი სამი მთელი ოჯახის თვალთა სისაღისათვის იყო. აღვლენის შემდეგ ამ ფეტვს ყველს გაურევდნენ და თვითონ მიირთმევდნენ ლი-მზირის გარეშე!

„პარპალდაშ"

„პეტრე-პავლობა თუ კვირა დღეს არ დაემთხვა, მიცვალებულთათვის ლიფანე-ს გადაიხდიან და მხოლოდ მომავალ კვირა დღეს იდღესასწაულებენ საკლავის დაკვლით „პარპალდაშიერ"-ს, სასოფლო დღესასწაულს. იგი განკუთვნილია ყანებისა და სათიბების მოსავლისთვის. ამ დღისთვის სოფელი მორიგეო-ბით აირჩევს მონაწილე გვარებიდან თითო-თითო კაცს „მელელტ"-ს. ისინი მონახავენ რომელიმე მეზობე-ლთან სამი წლის „ლაყუჟალ"-ს. წაიყვანენ მას სოფლის სალოცავში და დაკლავენ სასოფლოდ, ხოლო მის ტყავს გაყიდიან და საფასურით არაყს იყიდიან. ლაყუჟალ-ს დაკლავენ „მელელტები" და „ლაგაფებად" დაუ-ნაწილებენ სალოცავში მოსულებს. სალოცავში ამ დღეს მიდის მოსახლეზე თითო კაცი, სულერთია ქალი იქნება, თუ კაცი. თან მიაქვთ თითო ლესკარი. აქ საერთო სუფრას აწყობენ: წინ დაილაგებენ ლესკარს, ა-რაყს, ლაგაფს და დაილოცებიან. შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ, საკლავის პატრონს საფასურად აძლევენ მოსახლიდან ერთ ჩაფლაშს, რაც უდრის 1/2 ფუთ პურის ხორბალს.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209. ф[2] საქ. №679.
გვ. 69-70. გ. გირგვლიანი, მაცხუარიში.

* * *

პარპალდაშის დღით მთავრდება „პარპალდაში ფიჭმ". ამ დღეს სოფ. ბენაში (ოღონდ კვირა დღეს, რადგან ზვარაკია ღვთისთვის შესაწირი) აღნიშნავს პარპალდაშს. იკვლება ორი ხბო, ერთი ჭვლი-შის სახელზე—მეორე პარპალდაშისა. ჭვლიშ საქონელიდანაა, პარპალდაში მოსავლიდან. ვაგროვებთ ფულს და მის საფასად ვყიდულობთ საკლავს. ეს სასოფლო დღეობაც ისეთივე წესრიგით იმართება რო-გორც სხვა სასოფლო დღეობები. ოღონდ მისი აღნიშვნა ჩვენ, ბენშელებმა, ვიცით.

დავით წერედიანი. 1997 წ. ბენაში.

* * *

პარპალდაშიერის შემდეგ შეიძლება მხოლოდ თიბვის დაწყება, მანამდე არა. თუ ვინმემ დაიწყო, ცუდია, რადგან იგი თიბვისას ამინდს გააფუჭებს („ხოლა ჭალ ბ ჭალ ხოხა"). „ახანახა" ერქვა თიბვის დასა-წყისს, პირველ დღეს. ბენაშელებისთვის ეს დღე იყო პარპალდაშის შემდეგი შაბათი, (პირველი შაბათი!) მეორე შაბათი იყო ჩვენთვის - ჩვენი „ახანახა", - იფხელებისთვის.

ესტატე გირგვლიანი 1995 წ. მაცხვარიში
საჯხე გირგვლიანი 1995 წ. იფხი.

---

[1] ლამარია, ამ კერაზე არასასურველი პური არ დაგაცხობინო, ყოველივე, ამ სახლის ქალთა ხელნახლები საღხინოდ გახადე, სახლში არსებულს შენი „ხელი" მიანჭე (კრზ-კოგზია!), დათესილს შენი ჯეჯილი და ნაყოფი მიაღებინე, სანამ შენი ლოცვა ჩვენ მოგვბეზრდეს და დავივიწყოთ, მანამდე შენც არ დაივიწყო ჩვენი შვილა. (ნ. წ.)

* * *

პარპლდაშის დღეს ცალკეული თემი დაკლავდა ხბოს და მამალ ცხვარს. მაცხვარიში ცალკე (თავიანთთვის), და ჟენაში ცალკე. კვანჭიანარი ცალკე, ლახუშდელები და ზედაურები (ჟიქწნქა) ცალკე. ჭლიშისთვის იკვლებოდა დედალი ხბო. ამ დღეს ცხვრის შეწირვა არ შეიძლება. პარპლდაშს მიეკუთვნება დარი და ავდარი. ჭლიშს კი მოსავალი. პარპლდაშის წინ ერთი კვირით ადრე არის ჭლიში. ჭლიშის დღეს მესტიელები ბერავენ დროშას - ლემს და იმართება შეჯიბრი ცხენთა რბოლაში. მსგავსი დღეობა (ჭლიშობა) იმართება ბეჩოშიც. ხშირად, როდესაც ჭლიშის დღე გარკვეული მიზეზების გამო არ აღინიშნება, სალოცავ დღედ „პარპლდაშის ყუიჟობის" დღეს გადაიხდიან ანუ ამ დღეს ორივესთვის (ჭლიშისა და პარპლდაშისთვის) დაკლავენ ზვარაკს. ოჯახს მიაქვს ორი ლესკარი, ლემზირები, ზედაშე. შინ მოაქვს ხორცის ნაწილი - ლაგაფ.

მიხო წერედიანი 1992 წ. ჟენაში

* * *

თანაწფხანქა უსგუა ნაგზინღო ლი სინმოხსნაბ. აღ ლადაღ ქუინ ი ღერბეთ მაგ ირშნი. მერმა საფტინს ლი ჭლიშ. ჭლიშენღო ლი პარპლდაშ. ჭლიშენღო იბნი „ლიჭმალიჯრ" აშ პარპლდაშჩიქდ მერჩლიშ ი ნაშდაქი ლიჭმინეს ხოხა ხოლა ჭაღ ი ჭაღ. პარპლდაშს ჩი თემ აგსენი ღუნს (მაცხვარშაღ მინეშდ, ჟენშარ მინეშდ, კვანჭიანაღ მინეშდ...) ი გიცარს. (ხაბნას ი გიცარს). ჭლიშ ლადაღ იგსენრლი დეკეილ აღ ლადღიშდ ღოლიქქა ლიგსენისი მაშ ხაყა. პარპლდაშ ლი დარ - ავდარიშ, ჭლიშ ლი - მოსავლიშ.

ჭლიშს ი პარპლდაშს ლიყუჯაღს იჩოხ: ჟენაშს, მაცხვარიშს, ჟიქწნქას, კვანჭიანარს, ლახუშდს. ჭლიშს მესტიელარ აბეღეგ ლემს ლი უშხუარი ლიმქარაღ ჩაჟრე ლაჭმუნაისგა. ჭლიშს იჩოხ ბეჩის ი ჭუბერსი. ლატლი პარპლდაშ ლადაღ იმზირ პარპლდაშხანი ჭლიშხანი. ლიყუჯიგ ეჯ ლადაღ ხეხლი ექგრდაგხან. მეზგეს ესლუა ეორი ლესკარ, ლემზირაღ, ზედაშ, ქორთე ახღაგხ ლაგაფ. მელღუა იყდიხ ღუნს ი ჭარაყს. მელეღუს ითშიხ ჩი უბანხან თით მარა. ჟენში სოფელისგა ლამჭარ მინეშდ ითშიხ მელეღუს, ფეჩუარ მინეშდ, ლეშგუანი მინეშდ, ლედმან მინეშდ ამჟი ლი მერმე სოფელსი. აღ მელღუს ხბრაგაგ აჯაგდ ეჯ ზაგს სოფლი გოშარი; ქულუმგენალე ლაბუთე ლიგნე, ეჩხან ლიტხე, შუკრე ლისყენე, მელდღაშ ლითში ი მერმე ზაგშდ მაგე მელღუშ ლითში.

ლესფაღ ღენჟინ მელღუა ითშრლი იორ-იორი ეშხუ გვარხან. ამჟი ლი, მაცხვარ თაბშიშდ, ფუსდა ჭანა ლითუალიშდ.

მიხო წერედიანი 1992 წ. ჟენაში.

აღდგომიდან ექვსი კვირის შემდეგ არის სულთმოფენობა. ამ დღეს ღმერთიც იხსენიება და სულიც. მეორე შაბათს არის ჭლიშის დღე. ჭლიშის შემდეგ არის პეტრეპავლობა. ჭლიშის შემდეგ იწყება თიბვის პერიოდი. პეტრე-პავლობამდე ცელის და ნამგლის ხმარებამ ცუდი ტაროსი იცისო. პეტრე-პავლობისთვის ყოველი თემი (იგულისხმება ლატალი) გაიღებს ზვარაკს: ხბოს ან ვერძს. (მაცხვარიშილები თავიანთთვის. ჟენაშელები თავიანთთვის, კვანჭიანები თავიანთთვის...). ჭლაშის დღეს იკვლება დეკეული. ამ დღეს ცხვრის დაკვლაც არ შეიძლება. პეტრე-პავლობა (პარპლდაშ) დარ-ავდრისაა, ჭლიში - მოსავლის.

ჭლიშობას და პარპოლდაშობას „ლიყუჯაღ"-ს ახდენენ ჟენაშში, მაცხვარიშში, ზედა სოფლებში (ჟიქწნქას!), კვანჭიანარში, ლახუშდში. ჭლიშის დღეს მესტიელები ბერავენ ლემის დროშას და სპორტულ შეჯიბრს აწყობენ ცხენების სრბოლაში. ჭლიშს აწყობენ ბეჩოშიც და ჭუბერშიც. ლატალი პეტრეპავლობის დღეს ლოცულობს პარპლდაშისთვისაც და ჭლიშისთვისაც. ზვარაკიც ორივესთვის ამ დღეს იკვლება. ოჯახს მიაქვს ორი ლესკარი, ლემზირები, ზედაშე, შინ მიაქვთ ხორცის ლაგაფი. „მელღუა" - (მეხორცენი - დღეობის წეს-რიგის უფროსნი) ყიდულობენ ზვარაკს და არაყს. მელეღუ-ს ირჩევენ თვითეული უბნიდან თითოს. სოფელ ჟენაშში ლამელები თავიანთ მელეღუს აირჩევენ, ფეჩუარები - თავიანთს, ლეშგუანები - თავიანთს, ლედმანელები - თავიანთს, ასეა სხვა სოფლებშიც. ამ რჩეულებს აბარიათ ასევე, ამავე წელს, სოფლის საქმეების აღსრულება. მაგ, საქონლის მთაში გარეკვის წესრიგის მოწყობა, იქიდან საქონლის ჩამოყვანა, გზების შეკეთება, მწყემსების არჩევა და მეორე წლისთვის ახალი „მელეღუებ"-ის არჩევა. სასოფლო (სალატალო) დღეობისას ასეთი კაცები ირჩევიან ერთი გვარიდან ორი. ასე ხდება დღეობებისას „მაცხვარ თაბაშ"-ს, „ფუსდა ჭანი ლითუალ"-ს.

* * *

მაცხვარს ხვამზერიდ ნაგ პარპლდაშს. - დიდაბ აჯვაგ მაცხვარს, ზაგდი პარპლდაშ ხოჩა გუჟინ ანჭიგ ნაგ ი ნიშგუეგ სოფელს აშხუდ. პარპლდაშ ლი ლარახან. აღ ლადაღ ლიმზირი ლი ი ლიფანეგ. ჭლიშ ლი ფურალხან. ჭლშა ლესკარ გვამთქვა ქუთშ. ლემზირდ ჭლშა ლამარიას. ჭლშა საფტინს ლამ-

ზგრიდ ჰგლშა ბარბოლდს. მიშლაადაღ ჩის - ხოშა ღერთაალს. დეშდიშ თოთობლი. თოთაკ ქუთ ხეკრეს ლაკ-ხმაზრა. ღვაკშარა მამ ხოყა აამ ლისდი. ღვაკშარა მანგვეშ ხეყრენი მარე ლაშგს ხარ ხოლა. სინმოხსნაბუ-ნლო ეშხუ ნაგზი ქანდერნე ეჩქას ლი ჰგლიშ. (სოფტინს) მიშლენთ ლი პარაპლდაში ლიუკშალ. აალ ლიუკშა-ლისგა დეგ ღერბეთს ი დეგ ქუნარს ლიმზირ მამ ხოშიდ.

მაცხვარს (იგულისხმება მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესია) ვლოცულობთ ჩვენ პარაპლდაშის დღეს; - დიდება მოგსვლოდეს მაცხვარს, მომავალი წლის პეტრე-პავლობა კარგი დროით მოგვასწარი ჩვენც და ჩვენი სოფლის მცხოვრებთაც ერთად. პარაპლდაშ არის „მინდვრებიდან" (მინდვრის მოსავლი-დან!). ამ დღეს ლოცვაც არის და ლიფანეც. ჰგლიში არის ძროხებისთვის ლიმზირი. ჰგლიშის ლესკარი დი-დი ხაჭაპურია, ვლოცულობდით ჰგლიშის ბარბოლის სახელზე, კვირას ყველა დიდ ღმერთს ვახსენებთ, ორ-შაბათი „თითობის" დღეა. თოთ-ის ხაჭაპური უნდა აღავლინო, მამაკაცებს არ შეუძლიათ (ეკრძალებით!) ამის ნახვა. მამაკაცს არაფერი არ ემართება, მაგრამ წველისთვის არის მავნე. სინმოხსნაბიდან ერთი კვირის შემდეგ არის ჰგლიში. (შაბათს). კვირას არის პარაპლდაშის „ლატიჭმი". ამ მარხვისას არც ღერბეთის და არც სულის ხსენება არ შეიძლება.

საჯხგ გირგვლიანი - გვიჩიანის. 1996 წ. იფხი.

13. „პარაპლდაშიერ" — „პარაპოლდაშხანქა — ლიმგრიე უიჭმთექა" პეტრე-პავლობიდან მარიამობის მარხვამდე (33 დღე. 4 კვ და 5 დღე)

მართლმადიდებლური კალენდრით:

12 (29 ივნ.) ივლისი - პეტრე-პავლობა.

13 (30 ივნ) ივლისი - სვეტიცხოვლობა. კრება წმინდა დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა.

26 (13) ივლისი - კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა.

2 (20 ივლ) აგვისტო - ილიაობა.

9 (27 ივლ) აგვისტო - ხსენება მკურნალისა პანტელეიმონისა (305 წ.).

14 (1) აგვისტო - მარიამობის მარხვის დასაწყისი.

ხალხური ტრადიციით:

15 (28) ივლისი - „ლიგურკე" - კვირიკობა. (ყალა)

„ყერიაშობ" - პარაპლდაშის შემდეგ პირველი შაბათი. (იფხი).

„ლიმხერი" - „ლიგურკეს" წინა ორშაბათი. (ლატალი).

„მუჩფა ცანიშ" - კვირიკობის შემდეგი ხუთშაბათი („ფეჩრაარ" - წერედიანების გვარში).

20 ივლისი (2 აგვისტო) „ალელიობ" - პარაპლდაშხანქა სემი ნაგზინღო. (პეტრე-პავლობიდან 3 კვ-ის შემდეგ). (სასოფლო დღეობაა ლენჯერში).

„ყერიაშობ"
(შაბათს)

პარაპლდაშის შემდეგ „პირველ შაბათ დღეს ლატალში სოფ. სიდიანარის მცხოვრებნი (გვარი - სიდიანი) უქმობენ და დღესასწაულობენ „ყერიაშობ"-ას, „ყერიაში თარინგზელ"-ის დღეობას. დღესასწა-ულს იხდიან მორიგეობით, ერთ წელს ერთი მოსახლის ხარჯით, მეორე წელს - მეორესი და ა. შ. ყერიაშ-ობის მორიგეს ეწოდება „მოყარიაშ". მისია საკლავი, (ცხვარი ან ხბო), არაყი. საკლავს დაკლავენ „გუჰლი თარინგზელის" სალოცავში, სადაც თავს იყრის მთელი სოფელი. თვითეულ მოსახლეს სალოცავში მიაქვს პურის ცომი და იქ გამოაცხობენ ლესკრებს, რომლის ზომას იქვე ხეზე შემოხაზავენ. საკლავის დაკვლის და ლესკარის გამოცხობის შემდეგ სალოცავშივე გაშლიან სუფრას და ყველანი აქ ატარებენ დროს ქეიფსა და მოლხენაში (საღამომდე). მთხრობელმა მითხრა, რომ ეს დღესასწაული განკუთვნილია სეფისათვის ე. ი. სვე-ბედისათვის. ხოლო შემდეგ თვითვე შეასწორა—კოხის საწინააღმდეგოო. მისივე თქმით, „ყერ" საოცარი წმინდა ფრინველია, რომელიც ვარსკვლავივითაა და ერთი ეკლესიიდან მეორეზე დაფრინავს ხოლმე ღამ-ღამობით."

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 ф[2] საქ. 676.
გვ. 1,2. მთხრ. გ. გირგვლიანი 1935 წ. მაცხვარიში.

* * *

„ყერიაშობ - პარაპლდაშის შემდეგ პირველ შაბათს მოდის. სოფელ სიდიანარის მცხოვრებნი უქ-მობენ და ლვემზირებს თარინგზელის სახელზე აცხობენ - ლოცულობენ. „ყერ" - ვარსკვლავივით დაფრი-ნავს ეკლესიიდან ეკლესიამდე ღამით. მორიგეობით ერთ წელს ერთი მოსახლე, მეორე წელს მეორე კლავს საკლავს - ცხვარს ან ხბოს. დაკლავდნენ გუჰლი თარინგზელის სალოცავში. არაყიც მორიგის ოჯახიდან

მოჰქონდათ და ცომს კი თითო ოჯახი წაიღებდა სალოცავში. იქ გამოაცხობდნენ დიდ-დიდ ლესკრებს (იქვე ხეზე დახატავდნენ ლესკარის ზომას). იქვე დასხდებოდა მთელი სოფელი და ქვიფსა და მოლხენაში ატარებდა მთელს დროს. ლოცულობდნენ კოხის საწინააღმდეგოდ. „მოყორიაშ“ ეწოდება იმ პირს, ვინც იმ წელს მორიგეა და უმასპინძლდება სოფელს.

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 ф[2] საქ. 748. გვ. 55.

* * *

ჯრიაშობს იმზირ გუჭლი თარინგზელ. პარპალდაშს საფტინ ახჭიმ ეჩქას ლი ჯრიაშობ, გუჭლი თარინგზელი ლადაღ. ჯრიაშს ღუნს ხოდსენიხ. ალის დეშდიშ ახჭიმ ეჯქას ჟიქანქას ნარ ლისგურეშ. ლისგვრეშ ჯრიაშობ ლადაღს ლი (საფტინს): - ყერიაშ თარინგზელ სი ლანეშდ, ხოჩენი ლამზგრ, ხოჩა დრეტ ლანო, ხოლს მაგ ანქაბინ დიდაბ აჯვად. სიდიანრაღს ხერაშ ხარხ ყვიყი ლიყდი, ამხაგ სიდიანრი ჰასიშ - ნიბაშინ მაგ მეზილი. ესღაიხ ლემზირალ. მარემი შელდჟინ სემი ცალ. ყვიჟეცახან ტაბგლს ანყეხ. გუჭლი თარინგზელს მოშდ ხემზირხ ლემზირშ. (ე. ი. ცალკე) ი ყერიაში თარინგზელს მოშდ - ტაბგლშ, ყვიჟეშ ი ზედაშშ.

საჯხგ 1995. იფხი.

ყერიაშობის დღეს გუჭლი თარინგზელის სახელზე ლოცულობენ. პეტრე-პავლობის შემდეგი შაბათი ჯრიაშობის დღეა - გუჭლი თარინგზელის სადღეობო დღე. ჯრიაშს ხბოს დაუკლავენ. ამის მომდევნო ორშაბათს ჩვენი ზედა სოფლების უქმეა. უქმე ჯრიაშობის დღეცაა. (შააბთს): - ყერიაშის თარინგზელო, შენ გვიშველე, კარგის სალოცავი, კარგი დრო და ჟამი მოგვივლინე, ცუდი ყოველივე აგვაშორე, დიდებულო. სიდიანები მორიგეობით ყიდულობენ ზვარაკს. აქ სიდიანების ასულიც და ბადიშიც ყველაა წამსვლელი. მიაქვთ ლემზირები, ოჯახის წევრზე სამი ცალი. გულ-ღვიძლის აღვლენისას ტაბგლია საჭირო. გუჭლი თარინგზელს ცალკე აღუვლენენ ლემზირებს. ჯრიაში თარინგზელს ცალკე—ზვარაკის გულ-ღვიძლს, ზედაშესა და ტაბლასთან ერთად.

* * *

პარპალდაშს საფტინ ახჭმ ეჩქას ლი სიდიანრი თარინგზელი ლიმზირ. (ეჯიარეშდ ერვაგ ჯრიაშობს მამ იჩო!). სიდიანრი თარინგზელს ხაშხა აჯაგდ ამენი თარინგზელ. ამიშდ ერვაგს ხაგად ლემზგრილარ ხოშა ლაღალ ეჯი ხამზგრი. დიდაბ აჯვად ი მალდ აჯვად, ჟიბე ლგკლათხე, ხოჩენი მგმენე გარ ანფიშირ, მგჭთე ი ნიშგრეგთეგსგა ხოლა თენი მგფხრე ნიშნრეგთეგსგა ნუმა ანფუშდე, ხოჩენი მგმენე გარ ანფიშირ დიდაბი ლეჭედ.

საჯხგ 1996 წ. იფხი.

პეტრე-პავლობის დღეს მოყოლებული შაბათი არის სიდიანარის თარინგზელის ლოცვის დღე. (იმათთვის ვინც ჯრიაშობას არ აღნიშნავს) სიდიანარის თარინგზელს კიდევ ჰქვია ამენი თარინგზელ. მას ის მიმართავს ლოცვით, ვისაც ევალება - დაბეგრილი აქვს ლოცვა:—დიდებულო და მადლიანო, ზეამაღლებულო, კარგის ამენის მთქმელი გვიმრავლე, მაწყევარს და ჩვენთვის ავი თვალით შემხედვარეს ჩვენამდე არ მოაღწევინო, კარგზე ამენის მთქმელი გვიმრავლე, დიდებულო.

„ელიობ“

„ელიობა დღეს თუ ავი დარი დაიჭირა, ცუდის მანიშნებელია. ასეთ შემთხვევაში ხეხილი, განსაკუთრებით თხილი გაფუჭდებაო. ელიობას მოხარშავენ ვაშლებს დაისვრიან ყანებში. რისთვის აკეთებენ ამას, მთხრობელმა არ იცის“...

ვ. ბარდაველიძე, არქივი, 209 ф[2] საქ. №679. გვ. 69. 70.
მთხრ. გ. გირგვლიანი 1931, 1934 წწ. მაცხუარიში.

* * *

„ელიობ“ ლენჯერის სასოფლო დღეობაა.

* * *

ელ დეცეშ-ის სალოცავი დგას ლატალის საზოგადოების ტერიტორიაზე - „ჭალაჟ“-ის მხარეს. ნაეკლესიარი ადგილია იგი დღეს. მისი სალოცავი დღე დაწესებული ყოფილა „გამოცხადებით“. მკათათვეში ხანგრძლივი დროის მანძილზე მოდიოდა და ნათესებს ერთი-ორად ანადგურებდა სეტყვა. ერთ კაცს სიზმარში გამოცხადებია წმინდანი „ელ“, რომელსაც გამოუთქვამს სურვილი: თუ ჩემს სახელზე დღეობას დააკანონებთ (დააწესებთ!), სეტყვა და ცუდი ტასოსი აღარ მოგვევლინებათო. აღნიშნულის გამო დღეობაც

დაწესებულა და მისი სალოცავიც აშენებულა. მას ჯელ მგჰერიშს ეძახიან. („ჯელ დეცეშ'' (ჯელ ცისა) - ელია წინასწარმეტყველი)

მირონ ფირცხელანი 2000 წელი. თბილისი.

* * *

ჯელიობა ლიყუჭალ ნამთქვა ანღლაბს დეშდიშ ხეჭმენი ეჩქას. ზურალაარ თით ნაყალ თაშს ხვანზრრედ - ჟიხვაჯაბდ. ჯელ ლენჯერიშდ ლი ლიმზირ. ალი ლი პარპალდაშენღო სემი ნაგზი ქალდგრნე ეჩქას. (12 ივლისი (პარპალდაშ)-დან 3 კვირის შემდეგ ორშაბათს.

საჯხგ გირგვლიანი იფხი. 1997 წ.

ჯელიობს ლიყუჭალ ნამთქვა. ჯელ ლენჯერიშდ ლი ლემზირ. - დარი ავდარ მაგ მასგუად ანიჟდ დიდაბი ლეჭედ ჯელ ლენჯერიშ, ნიშგუეჯ დაბს ი ლარას, ნიშგუეჯ დეცე გიმს, ლგშგ - ლგყარს. ლიმზირ ლი პარპალდაშნქა სემი ნაგზინღო. მაკაჯ ლადაღს პარპალდაშ ათხალი ეჯ ლადაღს-ლი ჯელიობ. ლიმზირ მამლი ჯგმაშს ი ვებიშს.

ელიობის დღეს ზვარაკს შევწირავთ. ლოცვა ჯელ-ლენჯერისთვის არის მიმართული: - დარი და ავდარი ყოველთვის სარგებლიანი გახადე ჩვენთვის ჯელ ლენჯერისაო, - ჩვენი მინდორ-ველისთვის, ჩვენი მიწა-წყლისთვის, ნაწველისთვის. ლოცვის დღე არის პეტრეპავლობიდან სამი კვირის შემდეგ. რომელ დღესაც პეტრე-პავლობა იქნება, იმ დღეს არის ელიობაც. ლოცვა არ არის ოთხშაბათს და პარასკევს.

საჯხე გირგვლიანი იფხი. 1995, 1996 წწ.

„ყერ"

ყერ მხოლოდ ღამით გამოჩნდება და ისიც მხოლოდ იქ, სადაც ყველაზე წმინდა ადგილი ეგულება, ყერ ანგელოზების მსგავსია და მისი ლოცვა ადამიანისთვის მადლიანია. ნახვითაც, ვინც წმინდა ადამიანია მხოლოდ იმას ენახვება. ყერ ცეცხლივით ანათებს ღამით. ერთი ადგილიდან მეორეზე გადაფრენისას ლამპარივით ანათებს, სადაც დაეშვება, იქ ქრება. ყერ ზოგჯერ კოშკებზეც ეშვება, ამის გამო იმ ოჯახს ლოცვა აქვს აღსავლენი ამ კოშკის ყერ-ისთვის.

